

# გზაზე ერთი კაცი მიდიოდა

პირველი ნაწილი

აიეტი

ეს იმდროინდელი ამბავია, როცა ვანი ზღვისპირა ქალაქი იყო; როცა კოლხეთის მიწაზე პირველმა ბერძენმა დაადგა ფეხი და მორიდებულად ითხოვა თავშესაფარი. ზღვამაც სწორედ იმ დღეს გაბედა და ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ პირველი ნაბიჯი გადადგა უკან. მთავარი პირველი ნაბიჯი იყო, მერე ყველაფერი თავისით მოხდებოდა, ან ვინ გაუბედავდა შეჩერებას. ყველა ვანელს, დიდიან პატარიანად, კალთაზე რომ გამოეხა ზღვა, მაინც გაიპარებოდა, რადგან ვერავითარი ძალა ვეღარ აღუდგებოდა წინ ბუნების ჩანაფიქრს. ადრე თუ გვიან ასე უნდა მომხდარიყო, ზღვა გამბედაობას მოიკრეფდა და შეუდგებოდა ამ მართლაც ვერაგული განზრახვის აღსრულებას.

ვანელები ისე დაფრთხნენ, ისე დაიბნენ, მერე აღარც უცდიათ დაკარგულის ძებნა და დაბრუნება. მათი ღრმა რწმენით, რაც დროთა განმავლობაში უფრო და უფრო გაღრმავდა, ზღვამ ისინი რაღაც დიდი ცოდვის გამო მიატოვა, დიახ, მიატოვა, როგორც მარჩენალმა - ოჯახი, ქმარმა - ცოლი, რომლის ქარაფშუტობასა და გარე-გარე კურკურს აღარ დაადგა საშველი. ქმარიც ადგა და წავიდა. მაგრამ წასვლამდე ისე ფრთხილად, საზრიანად და მოთმინებით იქცეოდა, ვერ შეატყობდით, რა ჰქონდა განზრახული, ხოლო, როცა ყველაფერი გამომჟღავნდა, უკვე შორს იყო.

ზღვისგან მიტოვებული მიწა, ახალშობილის კანივით სველი და დაჭმუჭნილი, თანდათან გაიზარდა, გაფართოვდა და სამგლოვიარო არშისავით გაუყვა მთელ სანაპიროს. მერე ვანსა და ზღვას შუა უზარმაზარი ჭაობი გაჩნდა, ურჩხულის ამონარწყევით მწვანე, დაბუმტული და ლორწოიანი. ოდესღაც სახელგანთქმული, ქვეყანაში გამოსული ქალაქი, მივარდნილ, მიუვალ და მიყრუებულ ადგილად იქცა. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ყველა ვანელის ფანჯრიდან მოჩანდა ზღვა, ყველა ვანელის ჭერქვეშ ისმოდა მისი გაბმული, გაუთავებელი ქშენა. არც ერთ ვანელს არ მოუვიდოდა აზრად, სარკმელი მხოლოდ ზღვის საცქერლად გამოეღო, ანდა ძილი გაეტეხა და ლოგინში წამომჯდარს მისთვის ესმინა. ზღვა ყოველთვის ახლოს ეგულებოდა.

რომელ ქალს სჯერა, ქმარი რომ მიატოვებს? არც ვანს სჯეროდა, ზღვა თუ მიატოვებდა. წითელი, სისხლივით ხასხასა კრამიტით გადახურული, თამამად დასკუპებოდა წინ, როგორც ლამაზი გოგო სიყვარულით გაოგნებულ გოლიათს.

ვანელებს უყვარდათ ნავსადგურში გამოსვლა, უცხო ხალხთან გამოლაპარაკება, ენის მოფხანა და ქვეყნის ავანჩავანის გაგება. ყველაფერი აინტერესებდათ, ყველაფერი იცოდნენ, სად რომელი ხომალდი იდგა, რა მოეტანა, რითი იტვირთებოდა, მიდიოდა თუ მოსულიყო. ნავსადგურიდან ქვეყანა უფრო ვრცელი და უფრო საინტერესო ჩანდა. ვანიც ამ ვრცელი და საინტერესო ქვეყნის ნაწილი იყო და აქეთკენაც ხალისით მოისწრაფოდნენ ხომალდები. აქ გატარებული დრო ყველას ერთ უცნაურ, თავბრუდამხვევ სიზმარივით ამახსოვრდებოდა.

ვინც ღვინის ვაჭარ ბახას ორმოცსაფეხურიან სარდაფში არ იყო ნამყოფი, მან ნამდვილი ღვინის გემო არ იცოდა. იქ დალეული ერთი ჯამი ღვინო ქვევრებს გადასწონიდა, ერთი ღამის საყვარელივით უცებ და უდროოდ დროს მოგანატრებდა თავს, საქმეს მიგატოვებინებდა და ისევ ვანისკენ გაქნევინებდა პირს. არც მან იცოდა სიმღერის ფასი, ვისაც შავთვალემა მალალოსა და მისი ექვსი ქალიშვილისთვის ერთხელ მაინც არ მოესმინა.

შავთვალემა მალალო ბაბილონელი ქალი გახლდათ და ყველა უცხოელს მის მშობლიურ ენაზე უმღეროდა. "ბაბილონმა გამაჩინა, ვანმა კი გამზარდაო", - ასე აცნობდა ხოლმე თავს შავთვალემა მალალო სტუმრებს და რომ გეკითხათ, ალბათ, თვითონაც ვერ გიპასუხებდათ, რომელი უფრო უყვარდა, რომელი ერჩია: ბაბილონი თუ ვანი. ექვსი, ერთნაირად თმადავარცხნილი, ერთნაირ კაბებში გამოწყობილი ქალიშვილი ისე დაემსგავსებინა, გეგონებოდათ, შავთვალემა მალალო ერთდროულად ექვსი სარკიდან იყურებო. ქალიშვილები თვალემაში შესცივინებდნენ დედას, როგორც კარგი მოწაფეები მასწავლებელს და თუთიყუშით იმეორებდნენ, იმეორებდნენ და იხეპირებდნენ მის სიტყვა-პასუხსა და მიხვრა-მოხვრას.

შავთვალემა მალალოს ნამდვილი თუთიყუშიც ჰყავდა, ბაბილონიდან ჩამოყოლილი, ერთადერთი თანამემამულე და ერთადერთი მოწმე გზადაგზა გაფლანგული ახალგაზრდობისა. თუთიყუშს ისეთი სახე ედო, თითქოს საკუთარ თავს ყარაულობდა, თითქოს ერთდროულად მოწყენილი ტუსადიც იყო და მისი ფხიზელი მეთვალყურეც. ქვევრისებური, ლერწმის გალია გრძელი ჯაჭვით ეკიდა ჭერზე და ვისაც არ უნდა ჩაეველო გვერდით, უსათუოდ ხელს წაჰკრავდა, თითქოს იმის დარდი აწუხებდა, მეთვალყურეს ტუსადი ძილში არ გაეპაროსო. "მასპინძელო!" - დაიჩხავლებდა გალიასთან ერთად აქანავებული თუთიყუში, ამოძეებულ კუდს კაუჭა, შავსა და პრიალა ნისკარტთან მიიტანდა და ბორბალივით დატრიალდებოდა ხარხაზე. მერე ერთხელ კიდევ დაიძახებდა "მასპინძელო" და ყვითელ, გვირილის ხელა თვალემა ბრაზიანად დაუბრიალებდა ქვეყანას, ყველასა და ყველაფერს, რაც გალიის კედლებს იქით დარჩენილიყო. "მასპინძელო, მასპინძელო", მაშინვე აჰყვებოდნენ ხოლმე თუთიყუშს შავთვალემა მალალოს სტუმრებიც, უგალიოდ დარჩენილნი და დაბნეულად მოდიმარნი თავისუფლების ტყვეობაში.

მართლაც, ერთი სიამოვნება იყო შავთვალემა მალალოსთან სტუმრად ყოფნა. ბევრს მოუწევდა აქეთკენ გული, უცხოსაც და შინაურსაც, მაგრამ ყველა როდი ხდებოდა შვიდი მომღერალი ქალის ყურადღების ღირსი. შავთვალემა მალალოს ერთი შეხედვით შეეძლო კაცის გამოცნობა. "ცუდი სიმთვრალე ეცოდინებაო" - დაასკვნიდა მაშინვე, როგორც კი წვრილს, ახლო-ახლო ჩასმულ თვალემა, ანდა არაბუნებრივად წითელსა და სველ ტუჩებს დაინახავდა. ვინც კი ცუდი სიმთვრალე იცოდა, მისთვის სამუდამოდ იკეტებოდა შავთვალემა მალალოს სახლი. "ჩემი სახლი ტამარიო" - უყვარდა თქმა შავთვალემა მალალოს და მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები უმთავრესად მამაკაცები იყვნენ, მთელ სახლში მართლაც სამაგალითო სისუფთავე და სიმშვიდე სუფევდა, შვიდი წყვილი ხელისა და შვიდი წყვილი თვალის წყალობით. სტუმრები დიდ ოთახში იკრიბებოდნენ, სადაც მოლაპარაკე თუთიყუშის გალია ეკიდა და ექვსი ერთნაირად თმადავარცხნილი, ერთნაირ კაბებში გამოწყობილი ქალიშვილი დაუზარებლად უხსნიდა და ურჩევდა, სად წასულიყვნენ, რა ენახათ, რა ეყიდათ და გაესინჯათ მათთვის ჯერ კიდევ უცხო ქალაქში. ასე გადიოდა დრო ლერწმის გალიის ჩრდილით აქანავებულ ქვეყანაში. ამ დიდი ოთახის გარდა ბევრი პატარა ოთახიც იყო შავთვალემა მალალოს სახლში, მაგრამ რა

სალაპარაკოა, რა ხდებოდა იმ პატარა ოთახებში, ან საერთოდ რა ხდებოდა შავთვალეზა მალალოს სახლში, როცა იქიდან სიმღერა აღარ ისმოდა. თუმცა ქალაქს სწორედ მაშინ ახსენდებოდა შავთვალეზა მალალოცა და მისი ქალიშვილებიც. მოულოდნელად ჩაბუდრებული სიმღერა ერთი წუთით მთელ ქალაქს ააფორიაქებდა ხოლმე, როგორც გლეხს - ჯერ დაუთესავ ყანაზე ფიქრი.

ყველას, ვისაც კი ბედი თუ განზრახვა ვანისკენ აქნევინებდა პირს, ერთი სული ჰქონდა საკუთარი თვალით ენახა, რაც ამბად გაეგონა, რისი გულისთვისაც მართლა ღირდა, გაბმულიყო ამსიგრძე გზაზე. მან ჩამოსვლამდე იცოდა, ვანური სამკაულისათვის ათი ქალი რომ გამოყვებოდა ცოლად; ვანური ხანჯალი რომ შეეხა, ანდა ვანურ აკვანში ჩაეწვინა შვილი, შურისაგან ნახევარ ქალაქს დაებრიცებოდა სახე. ის კი არა, მომაკვდავისათვის რომ ეთქვათ, ვანურ სარკოფაგში ჩაგაწვენთო, ისე გაუხარდებოდა, ისე იოლად გადაეყრებოდა მოახლოებული სიკვდილის შიში, თითქოს ვანური სარკოფაგი სიკვდილისგანაც დაიფარავდა.

სხვაც ბევრი რამ ეგულებოდათ ვანში სანახავიცა და გასაკვირიც, ისე კი დარიაჩანგის ბაღიც ეყოფოდა კაცს სამზერლად და სანატრელად. ამ ბაღის ერთი ბოლო კვირტს რომ იკეთებდა, მეორე ბოლოს ნაყოფი ჩამოსდიოდა. ისეთ სურნელს აფრქვევდა, ვაჟკაცს წააბარბაცებდა. ვანელები ამბობდნენ, ვინც დარიაჩანგის ბაღში თავის ხელით მოწყვეტილ ვაშლს შეჭამს, ოქროსთმიანი ვაჟი გაუჩნდებაო. ვაშლის მოწყვეტა კი ყველას შეეძლო, ვისაც მოესურვებოდა; ყველას შეეძლო წამოკოტრიალებულიყო მის ხავერდოვან სიგრილეში, მაგრამ კიწი რაა, კიწიც არ უნდა შეეტება, თორემ ამოდენა ბაღი თვალის დახამხამებაში უკვალოდ გაქრებოდა. ბაღის სურნელი ზღვაშივე ეგებებოდა ვანისაკენ მომავალ ხომალდს, უხილავ მკლავებს ხვევდა, თავისკენ იზიდავდა და მერე უკვე ძნელად თუ დაიღწევდი თავს ამ სურნელოვანი მარყუჟიდან, ათას რამეს რომ გპირდებოდა, ათასნაირად რომ გიფორიაქებდა გულსა და გონებას. "მოვსულვართ და ეგ არისო" - ამბობდნენ მეზღვაურები, როგორც კი მარადიული ნაყოფიერების სურნელი მოეფინებოდა ზღვას. ეს იმ ქალაქის გამოსაცნობი სურნელი იყო, ნელ-ნელა რომ ამოდიოდა ზღვიდან აჩქარებული ხომალდის თვალწინ, თეთრად რომ ქათქათებდა, თავზე კი წითელი კრამიტის ალმური ედგა.

მართალია, ვანის ყველა უბანს თავისებური, განსაკუთრებული ელფერი ჰქონდა, მაგრამ ოქრომჭედლების უბანი მაინც სხვა იყო. არც ერთი უცხოელი არ წავიდოდა ვანიდან ისე, ერთხელ მაინც არ გაევილო ამ უბანში. ნათქვამია, ქებას ნახვა სჯობიაო, და ვინ გაუშვებდა ხელიდან ასეთ ბედნიერ შემთხვევას. დილიდან საღამომდე ისმოდა ოქრომჭედლების უბნიდან პატარა ჩაქურების ტაკატუკი, ჩარხების ღულუნნი და საჭრეთლების წრიპინი; დილიდან საღამომდე იწნებებოდა, იჭრებოდა და იტვიფრებოდა ოქროს ლასტები, დილიდან საღამომდე წკრიალებდა, კისკისებდა და ფერხორციტ ივსებოდა კეთილშობილი ლითონი, ერთ ღამეში დაქალებულ გოგოსავით. ამ უბანს ჯადოქრების უბანსაც ეძახდნენ და მართლაც იყო რაღაც იდუმალი, მომნუსხველი და მომთვინიერებელი ოქრომჭედლის ეშმაკურად მოწკაურულ თვალებსა და შეკავებული ღიმილით დანაოჭებულ ტუჩებში. უბნის თავსა და ბოლოში იმოდენა სარკეები დაედგათ, ცხენიანი კაცი გამოჩნდებოდა შიგ. ვის გაუძლებდა გული, ვის არ გაექცეოდა თვალი სარკისაკენ, როცა გაგებული ჰქონდა, ამ უბანზე ამოვლილი, ვინც არ უნდა იყოს, ოქროს კაცად იქცევაო. თვალი გაურბოდა კი არა, წასვლა ავიწყდებოდა, ხელით ამოწმებდა სარკის

ზედაპირს და თვითონაც ისე დაბნეულად იღიმებოდა, როგორც სარკიდან გამომზირალი ოქროს კაცი.

პატარა, საწნახელივით ვიწრო სახელოსნოებში ციყვებივით შეყუჟული ოქრომჭედლები ვითომ ზედაც არ უყურებდნენ გაცეხულ უცხოელს, მაგრამ წინასწარვე იცოდნენ, როდის როგორ მოიქცეოდა. "ახლა ხელებზე დაიხედავსო" - იტყოდნენ ისინი გუნებაში და უცხოელიც, თითქოს ხათრს არ უტეხდა, გზაზე ნაპოვნი ნივთებივით ათვალეირებდა საკუთარ ხელებს. ოქრომჭედლების გამოცდილებით უცხოელს ახლა სარკე უნდა შეემოწმებინა და არც ის აყოვნებდა, ათრთოლებულ თითებს ფრთხილად, გაუბედავად მოაფათურებდა ხოლმე სარკის ზედაპირზე, როგორც ბრმა - გარდაცვლილი ტყუპისცალის სახეზე. ყველას ერთნაირად ეუფლებოდა შიშნარევი რიდი და მოკრძალება გამოუცნობის წინაშე, თუმცა რა იყო გამოსაცნობი, ერთმანეთზე გადაბმული სახელოსნოებიდან ოქროს იმდენი მტკერი გამოდიოდა, სპილოს ჯოგი რომ გაგეტარებინათ, თავფეხიანად მოოქროვდებოდა.

ასე ცხოვრობდა ვანი, სანამ ზღვისპირა ქალაქი იყო, სანამ კოპწია ქალის უყურადღებობით განაწყენებული გოლიათი გუდანაბადს აიკრავდა, ემანდ გულუხვობა სიბრიყვეში არ ჩამითვალონო. ყველაფერი კი იმ დღეს დაიწყო, როცა ბედიამ თავის ნავში ცოცხალმკვდარი ბიჭი და ვერძი ამოათრია. არავის არ გასჩენია უბედურების წინათგრძნობა, მთელი ქალაქი საზეიმოდ იყო განწყობილი. არც ბუნებას აუტეხია განგაში. ზღვა ისევ ისე ლივლივებდა. მოკრიალებულ ცას ერთი ფთილა ღრუბელი უფრო მშვიდსა და ახლობელს ხდიდა. მოფარებულში ქალი ზღვის წყლით იბანდა თავს. ბავშვებს თიკანი აეყვანათ სახურავზე, დამფრთხალი თიკანი ადგილზე ტრიალებდა, კრამიტზე ფეხი უსხლტებოდა, საცოდავად კიკინებდა, მაგრამ ბავშვები მოსვენებას არ ამღევდნენ, ქვებს ესროდნენ, უყვიროდნენ, ხელებს უქნევდნენ და ისიც კიკინ-კიკინით მიხტოდა სახურავიდან სახურავზე.

გონწასული ბიჭი ისე ჩახვეოდა ვერძს, ბედია იძულებული გახდა ორივენი ერთად ამოეთრია ნავში. ბედიამ სველი ხელები გულმკერდზე შეიმშრალა და უნებურად ქალაქს გამოხედა, თითქოს ქალაქი ეტყოდა, საიდან ან როგორ მოხვედრილიყო ამ შუა ზღვაში თითის ხელა ბიჭი და არაჩვეულებრივი სიდიდის ვერძი. შორს, ლაჟვარდისფერ ბურუსში, წითელმა კრამიტმა გაიჭიატა. ბედიას გაელიმა. გადარჩენილი ბავშვიცა და ვერძიც მის ნავში ესვენა. ნებაზე მიშვებული ნიჩბებით შეკავებული ნავი ერთ ადგილას ტრიალებდა, ტორტმანებდა, თითქოს ბედიასაც და მის ნადავლსაც წყალში გადაყრას უპირებსო. დანარჩენი მეთევზეებიც აქეთკენ მოიჩქაროდნენ. ისინი კოჭებამდე იდგნენ თევზში, მაგრამ თევზი ვიღას ახსოვდა, ყველა ცდილობდა ახლოს მისდგომოდა ბედიას ნავს და შიგ ჩაეხედა. ნავში ახალხან, მათ თვალწინ ხელმეორედ დაბადებული ბიჭი იწვა. მეთევზეების გარუჯულსა და გამკვრივებულ სახეებზე სიხარულისა და სიამაყის ღიმილი უცებ ისე შეიფრთხილებდა ხოლმე, როგორც ჭრელი ჩიტი ქანდარაზე. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ბედია აელელებინა ამ ამბავს. ეს უცხო ბიჭი, მართლაც ახალშობილივით უსახელო და უწარსულო, მისი წყალობით ხელმეორედ მოვლენოდა ქვეყანას. ეტყობა, ასე ეწერა ბედის ფიცარზე, განსაცდელი შეხვდეს, მაგრამ თავი დააღწიოს და ვანელი მეთევზის ნავში ხელმეორედ დაიბადოსო.

ბედია მოძალებულ ღიმილს ვეღარ მორეოდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ორღობეში ჩვილჩაკრული, ჭყეტელა ჭინჭებით დამშვენებული აკვანი მიჰქონდა.

ნიჩბები ჭრიალებდნენ. ნავი უკვე მსუბუქად მისრიალებდა ნაპირისაკენ და ამოდენა ფარღალღალა სივრცეს ოჯახური სიმყუდროვით ავსებდა. ეს სივრცე ბედიას სახლი იყო, აქ გაჩენილიყო, გაზრდილიყო და დაბერებულიყო კიდევ. ამ სახლის კედლებს თავიანთ ჭკუაზე გამოეძერწათ, გამოეწრთოთ და გაეწვრთნათ მისი სული და ხორცი. ის ამ სახლში საცხოვრებლად ვარგოდა მხოლოდ; ირგვლივ ყველაფერი გაჩენის დღიდანვე ნაცნობი და ახლობელი იყო. ზღვაზე გასულ ბედიას გული ყოველთვის საგულესა ჰქონდა. ტყუილად როდი აერჩიათ მეთევზეებს თავიანთ მეთაურად, ხუთი თითივით იცოდა, სად რა იდო ამ სახლში, საიდან ადგებოდა მზე, საიდან ჩამოდიოდა წვიმა; ათასჯერ ჰქონდა გადაჩხრეკილი ყველა კუთხე-კუნჭული, სარდაფიც და საკუჭნაოც. ერთ ნახვად ღირდა ვირთევზების ჯოგს დადევნებული ბედია, ნავის ქიმზე შემდგარი, ოდნავ წინ გადახრილი და ილლიამდე გამიშვლებული, ბრინჯაოსფერი მკლავით თავს ზევით სამთითა შემართული. მაშინ ბედია სანადიროდ გამოსულ ღმერთს ემსგავსებოდა და ამაოდ აწვებოდა გულმკერდზე ქარი, ამაოდ არყევდნენ ნავის ქროლვით გაცოფებული ტალღები, გაღახულნი და დამცხრალნი ისევ გამჩენის წიაღს რომ უბრუნდებოდნენ სადღაც, ბედიას ზურგს უკან. ბედია ნავის განუყრელი ნაწილი იყო, მისი ამონაყარი, მისი ტოტი, მისი სიმტკიცე და სილამაზეც. ბედიას ნატყორცნი სამთითა მხოლოდ ერთი წუთით გაუჩინარდებოდა ხოლმე მწვანე, აქაფებულ ზვირთებში და თითქმის მაშინვე, წყვილიადიდან ამოსხლეტილ სხივივით, გაბრწყინდებოდა მზეზე, გამარჯვებული, გამარჯვების ცრემლებით სველი. უცაბედი სიკვდილით გასაცოდავებულ ვირთევზას გარშემო სისხლის შავი ლაქა შემოსდგომოდა და ამაოდ ცდილობდა შესცოცებოდა ზედ, ისევ ჩაბრუნებულიყო თავის მრგვალსა და სლიპინა ჭურჭელში, საიდანაც სამუდამოდ გამოედევნა ბედიას სამთითას.

ზღვაზე მომხდარმა ამბავმა უფრო ადრე მიაღწია ნაპირამდე, ვიდრე ნავებმა. მთელი ქალაქი გამოფენილიყო. ყველას აინტერესებდა გადარჩენილი ბიჭის ნახვა. სავსე ტიკებივით ათახთახებული ბიჭიცა და ვერძიც ნავიდან ფრთხილად გადმოიყვანეს, სილაზე დააწვინეს და მოასულიერეს. პირველად ვერძი გამოერკვა, მაშინვე ფეხზე წამოხტა, რამდენჯერმე დააბოყინა, ბეწვი შეიბერტყა და განაწყენებული კაცივით გვერდზე გაიხედა. მალე ბიჭმაც გაახილა თვალი. ბედიამ ბიჭს თავქვე მუხლი ამოსდო და ხელადიდან ღვინო მოასმევინა. ბიჭი დაიძანჭა და ღვინო უკანვე ამოასხა. "ჩვენებური არ ყოფილაო" - გაიხუმრა ბედიამ. პირზე მუჭმიფარებული ქალები გაბმულად ზმუოდნენ. მოსულიერებული, თვალგახელილი ბიჭი უფრო შემზარავს ხდიდა სიკვდილს, რომლისგანაც შემთხვევით დაედწია თავი. სისხლისფერი ღვინის ნაკადი ბიჭს კისერში ჩაუცურდა და გულმკერდზე უცნაური ყვავილივით გაეფოთლა. ბიჭი თავისით წამოდგა. მოკლე ტუნიკი ეცვა, ოქროს სირმებით გაწყობილი. ცალი სანდალი დაჰკარგოდა, მეორე სანდლის თასმები კი წვივზე ჯვარედინად შემოეხვია. მაგრად მოკუმული მჯიღი ძლივსძლივობით გაშალა და ხალხისკენ გაიშვირა, ხელისგულზე დაჭმუჭნილი, ფერშეცვლილი და კიდებდამსკდარი ზეთისხილის ფოთოლი ედო. ბედიამ ფოთოლი აიღო, კარგახანს ატრიალა ხელში და, როცა დარწმუნდა, მართლა ფოთოლი იყო და არაფრით არ შეიძლებოდა სხვა რამე ყოფილიყო, მაღლა ასწია და დაიძახა: ზეთისხილის ფოთოლია, თავშესაფარს თხოულობსო!

ბიჭიცა და ვერძიც მაშინვე აიეტს მიჰგვარეს. სადამოსთვის ყველაფერი მისხალ-მისხალ გაირკვა. აიეტის სასახლიდან ბარტყეებით ბრმად მოფრინავდნენ ახალთახალი ცნობები და მაშინვე პირში უვარდებოდნენ მომლოდინე ქალაქს. ვანის რომელ უბანშიაც არ უნდა მოხვედრილიყავით იმ დღეს, ყველგან ბიჭისა და ვერძის უცნაურ თავგადასავალს ყვებოდნენ, სახლების წინ ჩამომსხდარი დედაბრებიც, ღვინის ვაჭარ ბახას ორმოცსაფეხურიან სარდაფში თავშეყრილი კაცებიც, უთავბოლოდ მოსეირნე გოგო-ბიჭებიცა და, თქვენ წარმოიდგინეთ, შავთვალეზა მალალოს სტუმრებიც კი.

ბიჭისა და ვერძის თავგადასავალი მართლაც უცნაური იყო. ბიჭი ხელმწიფის შვილი აღმოჩნდა, სახელად ფრიქე ერქვა. დაცა ჰყოლია, მაგრამ გზაში დაღუპვია. მამამისს, როგორც იტყვიან, ლოგინი გაუახლებია, მაგრამ დედინაცვალს გერები აუთვალწუნებია, სხვისი ოხრებისთვის რატომ მოვიწყვიტო წელიო. იმდენი უქნია, ბოლოს ქმარიც გადმოუბირებია, ვირის ტვინი უჭმევია და შვილების დახოცვაზე დაუყაბულებია. მიზეზად კი მოუსავლიანობა დაუხვევია ხელზე, ვითომ მაგათი ბრალია ჩვენს სახელმწიფოში ყანა თავთავს რომ არ იკეთებსო, სინამდვილეში კი თურმე თვითონვე ახმობდა და აოხრებდა სათესლედ გადარჩეულ ხორბალს. იმდენი უჩიჩინებია, ისე გაუბეზრებია ქმარი, თუ ქალის შენახვის თავი არ გქონდა, ცოლად რატომ მირთავდიო, იმასაც ჩაუქნევია ხელი. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ქურუმს გაღესილი დანა უკვე ხელში სჭერია, სად იყო და სად არა, ვერძი მოფრენილა, კი არ მოურბენია, მოფრენილა, ოხერტიალი და-ძმა ზურგზე შეუსვამს და ყველანი ხახამშრალი დაუტოვებია. დედინაცვალი ქვის სროლით მოსდევდა თურმე, მაგრამ რაღას გააწყობდა. ის პაწაწა გოგო გზაში დაღუპულა. საცოდავს გრძელი, ოქროსფერი კულულები ჰქონია და ვაშლა ლოყები. კიდევ ბევრი უფრენია ვერძს, მაგრამ ბოლოს ისიც დაღლიდა და ბიჭიანად ჩვენს ზღვაში მოუდენია ტყაპანი. აიეტს ბიჭი ძალიან მოსწონებია და ძალიანაც გამწყრალა, ეს რა ხალხი ყოფილა, ასეთი ბიჭი მართლა არამია მაგათთვისო. მერე თავისი შვილები, ქარისა და აფრასიონი მოუყვანინებია და უთქვამს: დღეიდან სამნი ხართ, აბა თქვენ იცით, უცხოობა არ აგრძნობინოთო.

ბიჭი და ვერძი სასახლეში რომ წაიყვანეს, ხალხიც მალე დაიშალა. ნაპირზე მარტო მეთევზეები დარჩნენ. თევზი მისახედი იყო, ნავები დასაბინავებელი. სილაზე ამოთრეული ნავების ხრიალი რომ გაიგო ბედიამ, ისევ გაახსენდა დილანდელი შეშფოთება. დილით, როცა ნავებს ზღვისკენ მიაჩოჩიალებდნენ, ბედიას ზღვა ეშორა, ზურგი გაეოფლა და გაუკვირდა, მაგრამ მაშინ ხმა არ ამოუღია, იფიქრა, ალბათ, მომეჩვენა, ანდა მართლა დავბერდი და იმის ბრალიაო, მაგრამ, ეტყობა, ბოლომდე მაინც ვერ ამოეფხვრა ეჭვის ჭია, რადგან ახლაც, როგორც კი ხალხი დაიშალა და ნავები ცხელ სილაზე ყელგამოჭრილ კამეჩებივით ახრიალდნენ, ისევ წამოუარა დილანდელმა შეშფოთებამ. აქამდე არც გახსენებია, ანდა სად იყო საამისო დრო. დილის თევზი ბარაქიანად ეტანებოდა ბადეს; მერე შორს მოტივტივე შავი საგანი დაინახა და ტანმა უგრძნო, რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო მის ცხოვრებაში. მაშინვე იქით გააცურა ნავი. მართალია, თევზიც დაჰკარგა და ბადეც, მაგრამ ასეთი ნადავლით არასოდეს დაბრუნებულა ზღვიდან. ის რომ არა, მართლაც დიდი ცოდვა დატრიალდებოდა. განა მისი ბრალი არ იქნებოდა, ბიჭი რომ დაღუპულიყო? განა სახლის პატრონმა არ უნდა აგოს პასუხი ყველაფერზე, რაც მის სახლში ხდება? ასე ფიქრობდა ბედიაც, მაგრამ ახლა პირველ მღელვარებას უკვე გაველო, ბიჭიცა და ვერძიც სამშვიდობოს იყვნენ და ბედიას ისევ გაახსენდა უცაბედად დაგრძელებული მანძილი

ზღვასა და ნავების სადგომს შორის. არა, ზღვა ნამდვილად რაღაცას ემშაკობდა. მეთევზეები ნავებს უკვე ქვიშაზე მოახრიალებდნენ, ის კი ჩაცუცქებულობდა და ჭროდა, მოუსვენარი თვალებით ხან ზღვას გახედავდა, ხან გადაკამკამებულ ნაპირს, სადაც სილის ყველა მარცვალსაც კი ტერფებით ცნობდა. მეთევზეები ნელ-ნელა გაიკრიფნენ. მძიმედ მიაბიჯებდნენ და ამაყად მიჰქონდათ თევზით ამოთეთრებული კალათები. ერთი-ორჯერ გამოსძახეს თავიანთ მეთაურს, რას შვრები, აღარ მოდიხარო, მაგრამ ბედიამ ხელი რომ აუქნია, მაშინვე გაანებეს თავი. ბედიამ ასე იოლად ვერ წავიდოდა აქედან. მის საკუთარ სახლში ვიღაცას დაუკითხავად გადაეადგილებინა ავეჯი, არა, ავეჯი კი არა, კედელი. მართალია, უმნიშვნელოდ, მაგრამ თუ დროზე არ მიხედავდა, ასე ცოტა-ცოტაობაში ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება, საერთოდ აღარ დახვედროდა. ბედიამ იცოდა, თვალის გაშტერებით ზღვას ვერაფერს დააცდენინებდა, ზღვას თვალის გაუძლებდა და მოთმინებაც. ის საკუთარ ეჭვს ათვალისწინებდა, წონიდა, ღირდა თუ არა საგანგაშოდ, მოუწონებდა ხალხი ასეთ სიფხიზლეს, თუ ვიღაც ოხუნჯის სამასხარაო გახდებოდა: ჩვენს ბედიას ზურგწამხდარი ვირივით კაჟკაჟი მოლანდებიაო. არც ეს იყო გამორიცხული. ამიტომ მეტი მოთმინება მართებდა, ეჭვს - შემოწმება. ეჭვი პატარა იყო, თევზის ქერცლივით სლიპინა და დრეკადი, ხელიდან სხლტებოდა, მაგრამ შორს არ გარბოდა, იქვე ორ ნაბიჯზე ეგდო და ბრჭყვიალებდა და, ალბათ, ყველაზე სწორი გამოსავალი იყო ის, რაც ბედიამ აირჩია. მან თოკით რამდენჯერმე გადაზომა მანძილი ნავების სადგომიდან ზღვამდე, მერე თოკი დაახვია და კისერზე გადაიკვია, ყოველთვის რომ ხელთა ჰქონოდა, თუკი დასჭირდებოდა. გადაიკვია თუ არა კისერზე თოკი, მაშინვე დამშვიდდა, თითქოს ამ გაბურძმეული თოკით ამოდენა ზღვა დააბა და ახლა უიმისოდ ფეხსაც ვერ მოიცვლიდა.

ბახას ორმოცსაფეხურიანი სარდაფი უკვე ხალხით იყო სავსე. აქაც ბიჭსა და ვერძზე ლაპარაკობდნენ. სარდაფში გრილოდა, მოსაუბრეთა დაგუბული, ათრთოლებული ხმები, შებოლილი, ნესტით დალაქავებული კედლები და გაუბედავი, კიბის შუა წელამდე ჩამოპარული დღის სინათლე ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს რომელიღაც აკრძალული ღვთაების სამყოფელში მორწმუნენი საიდუმლოდ შეკრებილანო.

ღვინის ვაჭარი ბახა ყურადღებით უსმენდა სარდაფში თავშეყრილ ხალხს, მაგრამ სრულებითაც არ სიამოვნებდა, მისი მსახური ბიჭი იმანო უსაქმოდ რომ იდგა და გულხელდაკრეფილი, არხეინად მიჰყუდებოდა კასრს; ღვინის ვაჭარ ბახას ქეიფის ყურება უყვარდა, მთვრალი ხალხი უფრო აინტერესებდა, ვიდრე ფულის მოგება და რომ მოგეკლათ, ღვინოში წყალს არ გაურევდა, დიდ ცოდვად მიაჩნდა ამ ორი შეურიგებელი სტიქიის ერთ ჭურჭელში მოთავსება, რადგან მათი ნამძალადევი შეუღლების შედეგად ყოველთვის ბეჩავი და უნდილი ბავშვი იბადებოდა. თუკი ვინმე ერთ ხელადას იყიდდა, ბახა ორს ჩამოდგამდა, : ოღონდ მალე არ წასულიყო, ეყაყანა, ებორძიკა, სანამ... სანამ კიდევ შეეძლებოდა ორმოცსაფეხურიან კიბეზე ასვლა, კურდღელივით ფხიზელ, კურდღელივით მხდალ ქვეყანაში დაბრუნება.

ღვინის ვაჭარი ბახა იმ ღვთაებრივი ძალით იყო მოხიზლული, კასრებში რომ ჰყავდა ჩამწყვდეული. ნებაზე თუ მიუშვებდა, მთელ ქვეყანას გადაღებავდა, გარდაქმნიდა და ისეთ სახეს მისცემდა, როგორც მოეპრიანებოდა. და მართლაც, როცა იმანო კასრს კოკას შეუდგამდა ხოლმე, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა ღვინის ვაჭარ ბახას, თითქოს მის სარდაფში თავშეფარებულ ღვთაებას ძარღვი ეხსნებოდა და იმ ძარღვიდან მოთქრიალებდა ეს ჯადოსნური სითხე,

ღვთაებასავით უსასრულო და მარადიული. ღვინის ვაჭარ ბახას აუღელვებლად არ შეეძლო ეცქირა, როგორ გადადიოდა ღვინო კასრიდან კოკაში, კოკიდან დოქში, დოქიდან ჯამში, ჯამიდან კი სტომაქში; ეს დიდებული, საზეიმო სვლა ერთი ჭურჭლიდან მეორეში, კასრიდან თავდაღწეულ ღვინოს სულის მოსათქმელად, ფეხის გასაშლელად სჭირდებოდა, გზადაგზა ხალისდებოდა, კისკისებდა, ბრწყინავდა, შხეფებს ისროდა და ჯიუტად მიიწევდა წინ საბოლოო მიზნისაკენ, რათა უკანასკნელ წვეთამდე, განურჩევლად გადაეცა ყველა მსურველისათვის თავისი ძალა და სიხალისე და როცა ეს ძალა და სიხალისე ყველას გადაედებოდა ხოლმე, მაშინ ღვინის ვაჭარი ბახა ბედნიერად გრძნობდა თავს, ბედნიერი და ამაყი იჯდა თავის საყვარელ სკამზე, როგორც ამ ძალის პატრონიცა და წარმმართველიც, თითქოს მართლა მისგან გამოდიოდა ეს ყოვლის გარდამქმნელი ძალა, ყველას რომ ალამაზებდა, ათამამებდა და ამდიდრებდა. იჯდა ღვინის ვაჭარი ბახა თავის საყვარელ სკამზე, მუხლებს შორის შვინდის მრგვალთავიანი ჯოხი ჩაედგა, გასივებული, მზითა და ქარით დაშაშრული ხელები ჯოხის თავზე კრამიტებივით შემოეწყო, ზემოდან კი ნიკაპი დაებჯინა, თითქოს შიშობდა, კრამიტები არ ჩამოცვივდესო. განა რამე შეედრებოდა იმ თამამ ხმებს, მარადიული ნესტითა და წყვდიადით დარბილებულ თაღებში რომ გუგუნებდნენ, ბობოქრობდნენ და ჟღერიალ-ჟღერიალით ჩამოდიოდნენ ძირს, ერთმანეთში არეული სიმღერისა, ფიცისა, დაპირებისა თუ დაქადნების ნამსხვრევებად? ღვინის ვაჭარი ბახა ბედნიერი იყო, სიცოცხლე რომ გრძელდებოდა, მის ორმოცსაფეხურიან კიბეზე ყოველ დილით რომ მოცოცავდა სინათლე და სარდაფის იდუმალი წიაღიდან ამომავალ ხმებსა და სურნელს საღამომდე უჭუტავდა თვალებს, ოქროსბეწვიან კატასავით ნებიერი, და ასე უნდა ყოფილიყო სულ, რადგან სულ ასე იყო, რაც ამ სარდაფის პატრონი გამხდარიყო და თითქოს სამუდამოდ მოკალათებულიყო შიგ, როგორც კერპი ტაძარში.

ბედიამ კიბიდანვე დაიძახა: ბიჭის მამა ვარ, ერთ ჩაფ ღვინოს ვდგამო. სარდაფი ახორხოცდა.

- იმანო, საშუალოდან! - გასძახა ღვინის ვაჭარმა ბახამ მოსამსახურე ბიჭს, რომელსაც ნამდვილი სახელით არასოდეს არ მიმართავდა და ამიტომაც სხვებიც იმანოს ეძახდნენ. იმანომ კარგად იცოდა, ერთნაირი ღვინო რომ ესხა ღვინის ვაჭარ ბახას კასრებში, მაგრამ მაინც "საშუალოს" შეუყენა კოკა. კასრის დასახელება მაგიურად მოქმედებდა მუშტარზე, ხალისი ემატებოდა, თავი ეამაყებოდა, შინაურად რომ თვლიდნენ და "განსაკუთრებულ" ღვინოს ასმევდნენ. უბრალო სიტყვაც თავის საქმეს აკეთებდა ამ ზღაპრულ სარდაფში.

კარგად იყვნენ უკვე შეზარხოშებულნი, როცა ყასაბმა თქვა: ვერძიც დამიკლავს და ნერბიც, ბატკანიცა და თოხლიც, ერკემალიცა და ჭედლიცა, მაგრამ ფრთისა არაფერი შემიმჩნევიაო.

- დუმის ქვეშ თუ შეგიხედავს? - ჰკითხა მჭედელმა.

სახე ისე წამოჭარხლებოდა, თითქოს გავარვარებულ ლითონს დასცქეროდა; ყვრიმალეებზე კი ორი თეთრი ლაქა გასჩენოდა და ალბათ ამიტომაც დანარჩენი სახე არაბუნებრივად წითელი მოუჩანდა.

- დუმის ქვეშ?! - გაიკვირვა ყასაბმა.



- დუმის ქვეშა ჰქონია ფრთები, - თქვა მჭედელმა. ამკარად ეტყობოდა თავს ძალას ატანდა, თვითონვე რომ არ გასცინებოდა საკუთარ ხუმრობაზე. სამაგიეროდ სხვებმა ველარ შეიკავეს თავი და უეცარი სიცილი ჭურჭელივით მიემსხვრა კედლებს. ყასაბსაც გაელიმა, თავი გააქნია და რატომღაც იდაყვით მაგიდა მოამშრალა.

მჭედელი წარმატებამ გაათამამა. ახლა ბოჩიას დაადგა თვალი, აკვნის ოსტატს, ყველაზე ძონძროხა კაცს, არა მარტო ამ სარდაფში, არამედ მთელს ქალაქში; აუჩქმდა, გინდა თუ არა, ამ ათი წლის წინათ ერთი ღამით საბერძნეთში ხარ ჩაპარულიო.

- შენი ამბავი რომ ვიცი, ერთი ღამეც გეყოფოდაო, - ამბობდა მჭედელი.

სარდაფმა ისევ გაიცინა. ყველაზე მეტს ყასაბი იცინოდა.

ბოჩია პირთეთრა კაცი იყო და ასეთივე თეთრი, ოქროსფერი ღინღლით დაფარული მკლავები ჰქონდა. მზიან ამინდში, ვანში კი უმთავრესად მზიანი ამინდი იდგა, ქუჩაში შეხვედრილ ნაცნობს ერთი წუთით რომ გამოლაპარაკებოდა, ერთიანად დაწითლდებოდა ხოლმე, თითქოს ენდროს წვენი უბანავიაო. თავად გულკეთილსა და მორიდებულს, საწყენი თუ შეხვედებოდა რამე, ხეების ქვეშ დადგებოდა და მაშინვე გადაეწმინდებოდა გუნება. მისი დამზადებული აკვანი თავისით ირწეოდა და ღიღინებდა კიდეც, ერთხელ უნდოდა ხელის წაკვრა, მერე ბავშვის პატრონს შეეძლო მშვიდად დაეძინა. არავინ იცოდა, რა ხნის იყო ბოჩია, ყველას ასეთი ახსოვდა, ასეთი დახვედროდა და ასეთივე დაეტოვებინა მის მრავალ თანამოქალაქეს, მათ შორის საკუთარ შვილებსაც. მისი მრავალრიცხოვანი შთამომავლობა განუწყვეტლივ მრავლდებოდა მიწაზეც და მიწაშიც. იბადებოდნენ, ხანში შედიოდნენ, ბერდებოდნენ და იხოცებოდნენ, ბოჩია კი უცვლელი რჩებოდა. ასეთი იყო ბოჩია მაშინაც, როცა ფოთოლამ პირველი შვილი გაუჩინა. მერე კი მათ ოჯახში აღარ შეწყვეტილა აკვნის ჭრიალი და ჩვილის ღუღუნი. ეს უცნაური ცოლ-ქმარი დროს არ ეპუებოდა. შეიძლება იმიტომ ხდებოდა ასე, ფოთოლასა და ბოჩიას მზე და მთვარე ერთმანეთზე რომ ამოსდიოდათ, გაუნელებელი სიყვარული რომ შეჰყროდათ და ვერც კი წარმოედგინათ ეს ქვეყანა უერთმანეთოდ. ბოჩიას განუწყვეტლივ ენატრებოდა თავისი კაფანდარა, ხალისიანი და დაუზარელი ფოთოლა. არც ის ახსოვდა ვინმეს, რამდენი ხნის ცოლ-ქმარი იყვნენ ისინი. ბოჩიამ ფოთოლა მამობილის სიკვდილის მერე შეირთო, იმავე დღეს, როცა დაუმთავრებელ აკვანზე თავმიდებულ მამობილს სამუდამოდ დაეძინა. მამობილიც აკვნის ოსტატი იყო, ხის სუნით ისე გაჟენთილიყო, კოდალები ასხდებოდნენ. ერთი ნაბიჯით დააგვიანა ბოჩიამ, ვერ მოასწრო მადლობის თქმა ამ მართლაც ხესავით კეთილი კაცისათვის. ბოჩია რომ სახელოსნოში შევიდა, მამობილს აკვანზე ჩამოედო თავი, მოწყვეტილი, ჩამოშვებული მკლავები კი ბურბუშელაში ეთრეოდა. დაუმთავრებელი აკვანი ნელა ირწეოდა. ბოჩიას მამობილისაგან ბევრჯერ ჰქონდა გაგებული, ცარიელი აკვნის გარწევა არ ვარგაო, და აკვანი გააჩერა. ბოჩიამ ფოთოლა მამობილის სახლში მოიყვანა, მამობილის ფეშტამალი აიფარა, მამობილის ჩარხს მიუჯდა და მუხლებამდე ჩაჰყო ფეხები ცაცხვის სურნელოვან ბურბუშელაში; მერე იმდენი შვილი გაუჩნდათ, ანგარიში აერიათ და ყველა ბავშვს შვილად თვლიდნენ, თავიანთი იყო თუ სხვისი. "ხომ შეიძლება ჩემი შვილი ყოფილიყო" - პირველი ეს გაიფიქრა, როცა ფრიქსე დაინახა, ამოდენა ხალხის თვალწინ უმწეოდ გამოტილი სილაზე, წყალმცენარის ღეროსავით სუსტი და უსიცოცხლო. ბოჩია მიგდებული ბავშვი იყო და შეიძლება ამიტომაც უყვარდა ბავშვები. მართალია, თვითონაც აღარ

ახსოვდა თავისი ასაკი, მაგრამ აქამდე თვალწინ ედგა ის მზიანი დილა, როცა მისმა მამობილმა ფრთხილად გადაადრო კალათას ჭრელი ხელმანდილი და შიგ ჩაიხედა. კალათაში ბოჩია იწვა და სწორედ მაშინ აეხილა თვალი, როცა მამობილმა ხელმანდილი გადახადა კალათას. პირველი, რაც მან დაინახა, რაც სამუდამოდ აღიბეჭდა მის მახსოვრობაში, მამობილის გაცეცხული, გაღიმებული და დილის მზით განათებული სახე იყო. ამის მერე ბოჩიასთვის მთელ ქვეყანას ასეთი სახე ჰქონდა: გაცეცხული, გაღიმებული და დილის მზით განათებული. ახლა ფრიქსეზე ფიქრობდა. მჭედლის ოხუნჯობამ ისევ გაახსენა გადაფითრებული, ტუჩებგალურჯებული ბავშვი; ბოჩიამ ერთი პირობა დააპირა კიდეც გამოსულიყო ხალხიდან და ეთქვა, ჩემი შვილია, დამანებეთ, მე თვითონ მოვუვლიო, მაგრამ ვერ გაბედა, ისე ღელავდა, ენა ვერ მოუტრიალდებოდა სიტყვის სათქმელად, მაგრამ დაუფიქრებლად იშვილებდა, უკეთესი პატრონი რომ არ გამოსჩენოდა ამ უცხო ბიჭს.

მჭედელი კი ჭირვეულობდა, გამოსავალს ვეღარ პოულობდა უკვე მარილგამოცლილი ხუმრობიდან; ამას თვითონაც გრძნობდა, ღიზიანდებოდა და უფრო და უფრო იხლართებოდა შიგ.

- ფოთოლამ თუ იცის ეს ამბავი, ფოთოლამ? - ხმაში ბრაზი გაერია მჭედელს. თითქოს ბოჩია ათი წლის წინათ მართლა ჩაპარულიყო საბერძნეთში ერთი ღამით და მართლა ეღალატა ფოთოლასათვის. ყასბის მეტი აღარავინ იცინოდა მის გაჭიანურებულ ხუმრობაზე. მჭედელს ესეც აბრაზებდა, აღარ იცოდა, ყასაბს მიბრუნებოდა, თუ ჯერ ბოჩიასთან მოემთავრებინა საქმე. მისი ლაპარაკი უკვე ჭინჭყლსა ჰგავდა, რასაც უაღრესად ამაფრებდა თანამესუფრეთა დუმილი. ამიტომ, როცა ბედიამ დაუძახა, გეყოფა, დაგვალევინე რამეო, თითქოს გამოფხიზლდა და ბედიას კისერზე გადაცმულ თოკს წყალწაღებულივით წაეტანა.

- ერთი გამაგებინეთ, რატომ იხრჩობს ეს კაცი თავს! - იყვირა მჭედელმა და თოკი ისე მაგრად მოქაჩა, ბედიას კისერი ეტკინა.

ბედია შეკრთა, მოეჩვენა, თითქოს ზღვამ აიქნია თეთრად აქოჩრილი თავი და მარილისფერი თვალეზი დაუბრიალა.

- კარგად ვიცნობ მაგ ბერძნებს, ერთ ცხვარს შემოგიგდებენ და მთელ ფარას მოგთხოვენო, - თქვა ღვინის ვაჭარმა ბახამ.

ბიჭისა და ვერძის ამბავი შეიძლება უფრო მალე დავიწყებოდათ ვანელებს, ყველაფერი ასე რომ დამთავრებულიყო, მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ არ ელოდა. მეორე დღეს მთელი ქალაქი ცხვარზე ამხედრებული ბავშვებით გაივსო. გაფრენის სურვილით შეპყრობილი ბავშვები აღმადაღმა დააქროლებდნენ პირზე დუქომოდგარსა და თვალეზისხლიანებულ ცხვრებს, მაგრამ მათდა გასაოცრად, მათდა გულდასაწყვეტად, არც ერთი ცხვარი არ აპირებდა მიწას თუნდაც ერთი გოჯით ასცდენოდა, ისევ მიწაზე სიკვდილი ერჩიათ და მართლაც დიდხანს ვერ უძლებდნენ ეს უწყინარი ცხოველები მათთვის ყოვლად შეუფერებელ ჯირითს, ბუმტებივით გაბერილნი, ლაჯებში უსკდებოდნენ გაჯიუტებულ მხედრებს. ქუჩები თვალამოტრიალებული და ანროტინებული ცხვრებით მოიფინა. კაცები დანებით გამორბოდნენ, ქალები მიწას აყრიდნენ სისხლის გუბებს, ბავშვები კი სრულებითაც არ აპირებდნენ ხელი აეღოთ ამ უცნაურ ახირებაზე,

ამოდენა მსხვერპლი რომ სჭირდებოდა. "ვერძობანამ", როგორც თვითონვე დაარქვეს თამაშს, ყველაფერი დაავიწყათ. მალე ვანელებს ცხვრის ხორცი დასანახად შესჯავრდათ. ცხვარი კი არ ილეოდა. არც კი იცოდნენ, ამდენი ცხვარი თუ ჰყავდათ. ცხვრის პეტელმა სხვა ყველანაირი ხმა განდევნა ქალაქიდან. ყრუ-მუნჯებივით დაბნეულად მოდიმარი ხალხი უაზროდ შლიდა ხელებს, კაცები თვალს არიდებდნენ დასაჭექად გამზადებულ ქალებს, მაგრამ უნდოდათ თუ არ უნდოდათ, მაინც უნდა ჩარეულიყვნენ საქმეში, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაევიწყებინათ ბავშვებისათვის ეს მართლაც სულელური თამაში, სულელური კი არა, დამლუპველი, ოჯახის დამაქცევარი, მოყვარული ცოლ-ქმრის გამთიშველი, კერიის გამციებელი... და მართლაც, იმ დღეებში ვანში სადილი არ გაკეთებულა, ქმარი ცოლთან არ განმარტოებულა, ქვაბიცა და საწოლიც განწირული ცხოველის მავედრებელ, სისხლისგამყინავ პეტელს აევსო. "შემოჰკარი-მეთქი, სანამ დროა. შემოჰკარი!" - უკვე ღვარძლიანად შეჰღმუოდნენ ცოლები ქმრებს, მაგრამ ქმრები კიდევ დიდხანს იფხანდნენ ქეჩობს, რადგან ძალიან უყვარდათ ბავშვები. სიყვარულს შიშიც ემატებოდა, დარწმუნებულნი იყვნენ, ბავშვს თუ შემოჰკრავდნენ, ხელი გაუხმებოდათ. ეს რწმენა კი შთამომავლობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე და ყველანი ბრმად ემორჩილებოდნენ, რადგან არავის გასჩენია მისი შემოწმების სურვილი. ან რა ჰქონდათ დასაეჭვებელი? რატომ უნდა აეტკიებიათ აუტკივარი თავი?

ვანი კი ამასობაში ნაომარ ქალაქს დამსგავსებოდა. ქუჩებში ფილაქანი აიყარა, ღობე-ყორეები მოირღვა, ხეებს ძონძებივით ეკიდა ჩამოხლეჩილი ტოტები, ბავშვებიც ერთიანად დაჩეჩქვილ-დალილავებულიყვნენ. ახლა აღარც ღამით ჰქონდათ მოსვენება, "ვერძობანას! მათ სიზმრებშიაც შეეღწია: ვითომ ვერძზე ისხდნენ და მიფრინავდნენ, მაგრამ სიამოვნების ნაცვლად სული შიშით ელეოდათ, ვერძს ზურგი გასიპული ჰქონდა, რქაზე კი ეკალი ესხა. თავის დამაგრება ჭირდა, ხოლო ქვევით აქაფებული ზღვა ღრიალებდა, ყალყზე დგებოდა, მშიერი ნადირივით ეტანებოდა ვერძსაც და ბავშვსაც. სუნთქვაშეკრული ბავშვი თავს ველარ იმაგრებდა ვერძის გასიპულ ზურგზე და აღრიალებულ ზღვისკენ თვითონაც ღრიალით მიჰქროდა. გულგახეთქილი, ლოგინიდან წამოვარდნილი მშობლები ბავშვს აღვიძებდნენ, წყალს ასმევდნენ, უფრო მეტს ზედ ასხამდნენ და ეხვეწებოდნენ, გამოფხიზლდი, გამოიხედე, შენი მშობლები ვართო. გაწუწული ბავშვი მაგდაგებდა, კბილებს გიჟივით აკრაჰუნებდა და მშობლებს ძალით იშორებდა, რა გინდათ, თავი გამანებეთ, ხომ ხედავთ მძინავსო.

რა არ სცადეს, რა არ მოიგონეს, მაგრამ არ იქნა და აღარ გაუარა ბავშვებს ამ უცნაურმა გატაცებამ. ხოლო როცა არც დაყვავებამ გასჭრა და არც მუქარამ, ბავშვები დააბეს, ხელ-ფეხი გაუკოჭეს და დაჰყარეს, როგორც დასადაღავი მოზვრები სამჭედლოს წინ. მაგრამ არც ამით შეცვლილა რამე, ბავშვების გატაცება თოკზეც ძლიერი აღმოჩნდა. ისინი წამებულებივით ყველაფერს უხმოდ იტანდნენ, შესაფერ დროს უცდიდნენ, მერე თოკებს კბილებით ღრღნიდნენ და შინიდან გარბოდნენ, რათა ყველაფერი თავიდან დაეწყოთ.

და აი, ერთ დღეს მოხდა ის, რისაც ყველას ეშინოდა და რასაც უკვე ყველა ელოდებოდა. მამამ შვილს ხელი შემოჰკრა. მთელს ქალაქში ისეთი ლაწანი გაისმა, კარ-ფანჯრები ჩამოცვივდა, ჯამ-ჭურჭელი დაიმსხვრა, მიწაში ქვევრები დაიბზარა, ბოსლებსა და ფარეხებში საქონელი აზმუვლდა, ყველაზე მძიმე საგნებმაც კი თავისით მოინაცვლეს ადგილი. მამა, რომელმაც შვილს

შემოკრა, ქალაქის მთავარ მოედანზე გამოვიდა და მთელ ქალაქს დაანახა გამხმარი მარჯვენა, ჩამოხლეჩილი ტოტივით რომ ეკიდა მხარზე.

მაშინ ვანელებმა გადაწყვიტეს, საერთოდ აღარ შემოეშვათ ქალაქში ცხვარი, სანამ ბავშვები დაიზრდებოდნენ და ყველაფერი ჩაწყნარდებოდა. მთელ ქალაქში ერთადერთი ცხვარი დარჩა, ისიც აიეტის სასახლის ეზოში საგანგებოდ მისთვის აგებულ სადგომში ება; გარშემო ცერისხელა კურკლი ეყარა, პირს განუწყვეტლივ აცმაცუნებდა და, რაც მთავარია, ანათებდა; ოქრომჭედლების უბანზე რომ ამოატარეს, მისმა ხუჭუჭა ბეწვმა იმდენი ოქროს მტვერი აიკრა, შეიწოვა და დაირჩინა, ამ უჩვეულო ტვირთით დამძიმებულს, ფეხის გადადგმაც უჭირდა. სადგომში რომ შეიყვანეს, ისე გაანათა იქაურობა, თითქოს ცხვარი კი არა, ალიზის კედლების გასაშრობად დანთებული კოცონიაო.

ვანელი ბავშვები, სხვა ბავშვების მსგავსად, ყველაფერს ადვილად ეგუებოდნენ; რაკი ცხვარი გაქრა, "ვერძობანაც" დაივიწყეს, მაგრამ ვანის ყველა კარიბჭესთან და, რა თქმა უნდა, ნავსადგურშიც, ჯერ კიდევ დიდხანს იდგნენ მცველები, ვინმეს რომ არ შემოეპარებია ეს ყოვლად უწყინარი და ამავე დროს ყოვლად სასარგებლო ცხოველი.

ამასობაში ზაფხულმაც მოაწია. სასახლეში სააგარაკო სამზადისი დაიწყო. აქოთქოთდნენ ძიძა-გადიები, ისეთი ალიაქოთი დააყენეს, თითქოს მტერი დასცემოდათ და აღარ იცოდნენ რა წაელოთ, რა უფრო გამოადგებოდათ ლტოლვილებს.

როგორც ყოველთვის, ბავშვებს ჯერ წასვლა არ უნდოდათ, მუცლის ტკივილს იგონებდნენ, ეკალბარდივით ებლაუჭებოდნენ ყველასა და ყველაფერს, და მართლაც ისე გაუჭირდათ ძიძა-გადიებს მათი ნავში ჩასმა, როგორც ტომარაში ხმელი ძეძვის ჩატენა. მაგრამ საკმარისი იყო წელსზევით შიშველ მენავებს ნიჩბები წყალში ჩაეშვათ, ბავშვებს ყველაფერი დავიწყებოდათ, ზღვისა, ნავისა და მენავების გარდა. ნავი ჩრდილოეთისაკენ აიღებდა გეხს, სანამ წყალუხვი მდინარის შესართავს მიადგებოდა, მერე მდინარეში შეცურდებოდა და ქვეყნის შუაგულისკენ აუყვებოდა გადაბურდულ ნაპირებს, ტაძრებივით გარინდულ ტყეებს, გადაბრიალებულ ბალვენახებს, ბოლისა და ნახირის სუნით გაყურებულ სოფლებს, გოგო-ბიჭებით გადაჭრელებულ შუკებსა და ეზოებს.

ჩარდახიან ნავს ახლა სამი ბავშვი მიჰყავდა: ქარისა, აფრასიონი და ფრიქსე.

ფრიქსე უკვე შეჩვეოდა ახალ "და-ძმას". თუ ქარისა, ძიძა-გადიების უჩუმრად, ნავიდან გადაიხრებოდა და წყალში ჩაყოფდა ხელს, ფრიქსეც იგივეს იმეორებდა. თუ ქარისა ეტყოდა გამიცვალე ადგილიო, დაუფიქრებლად თანხმდებოდა. თითქოს ორივეს ერთდროულად გასჩენოდათ ადგილების გაცვლის სურვილი. ქარისა ცელქობაში ორივე ბიჭს ჯობნიდა. ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, განუწყვეტლივ კისკისებდა, ჰქონდა თუ არა საამისო მიზეზი.

აფრასიონი თავისთვის იჯდა და წყალზე გადმოფენილ ტოტებს, ჰაერში გაშემებულ ნემსიყლაპიებსა და ხავერდოვან ბუჩქებში ჩამალულ ჩიტებს უსმენდა. აფრასიონი ფრიქსეზე სამი წლით უმცროსი იყო, ქარისაზე კი ორით. არაჩვეულებრივი სიმშვიდითა და ბავშვისთვის შეუფერებელი ლაპარაკით ყველაზე მეტად ძიძა-გადიებს ალიზიანებდა, რადგან მათი ბუნება

წინასწარვე შეგუებული იყო ბავშვის სიცვლქეს, მოუსვენრობას, სიკერპესა და სიჯიუტეს, და თუმცა ყოველთვის წუწუნებდნენ, ჩიოდნენ და თავბედსაც იწყევლიდნენ, მაინც ეს იყო მათი ცხოვრება და ასეთი "ძნელად მოსავლელი" ბავშვების გარეშე არც მათ ძიძა-გადიობას ჰქონდა ფასი. აფრასიონმა კი არ გაუმართლათ, ერთხელაც არ დაჰკარგვიათ, ერთხელაც არ დაუღლეია გაოფლილს ცივი წყალი, ერთხელაც არ გამიზიზიზებულა საჭმელზე, ერთხელაც არ ჩაწოლილა ლოგინში ხელ-ფეხ დაუბანელი. ძიძა-გადიები კი რიდას მაქნისები იყვნენ, თუ საშუალება არ მიეცემოდათ შემფოთებისა, გაბრაზებისა, წამოტირებისა და ჩივილისა. "მამიდამისის ბრალია, ის ასულელებსო" - ამბობდნენ ძიძა-გადიები და თუმცა ეშინოდათ ამ მაღალი, ჭოკივით გამხმარი და პირმოკუმული ქალისა, მაინც შემთხვევას არ გაუშვებდნენ, ზურგს უკან არ გაეჭორათ. "არც მაგის გაცოცხლებული მკვდარი უნახავს ვინმეს და არც მაგის გაახალგაზრდავებული ბებერიო" - ამბობდნენ ისინი, თითქოს ამით რამე ჩრდილი მიადგებოდა მათ პირქუმ მეტოქეს, რომელსაც მათზე გაცილებით მეტი გავლენა ჰქონდა აფრასიონზე, თუმცა არც ხელ-პირს ბანდა და არც ფაფას უხარშავდა. ქალაქზე რომ ჩაივლიდა, ნიავის ამოქროლვამდე მთელს ქალაქში წამლის სუნი იდგა. მამიდა ყამარი მართლა ასწავლიდა თავის ძმისშვილებს სამკურნალო და შხამიანი ბალახების გამოცნობას, მაგრამ ქარისაზე ადრევე ჩაიქნია ხელი. ქარისას ის ყვავილი მოსწონდა, რომელსაც დიდი ფურცელი ჰქონდა და თმაში კარგად ჩერდებოდა; სხვას ვერც ამჩნევდა და არც აინტერესებდა. "შენგან ცოლის მეტი არაფერი გამოვაო", - უთხრა ერთხელ მამიდა ყამარმა, მაგრამ ქარისას არ წყენია, გაეხარდა კიდეც, ასე უცებ რომ გაანებეს თავი, ასე იოლად რომ დაუსხლტა ხელიდან მამიდის შეგონებებს.

აფრასიონს კი შეეძლო დიდიდან საღამომდე ეცქირა, როგორ ინაყებოდა უზარმაზარ ქვიჯაში ათასნაირი ფესვი; უსასრულოდ ეყნოსა ქონდრის ხის, ცერცოს, მრავალმარღვას, ქარქვეტასა თუ რძიანას სუნი და ბედნიერებისაგან ცასა სწვდებოდა, როცა ნებას აძლევდნენ, გრძელი ჯოხით მოერია აბუყბუყებულ ქვაბისთვის, რომელშიაც, მამიდას თქმით, სიკვდილ-სიცოცხლის წამალი დულდა და გადმოდულდა. ბევრი რამე ისწავლა აფრასიონმა მამიდისაგან, მაგრამ, საუბედუროდ, არც მას ეწერა ქურუმობა. ის ბიჭი იყო და თანაც უბრალო ბიჭი კი არა, ტახტის მემკვიდრე. "მე მაინც არასოდეს არ გავხდები მეფეო", - ამბობდა აფრასიონი და ამას იმიტომ კი არ ამბობდა, მეფობას ქურუმობა რომ ერჩია, არამედ იმიტომ, წინასწარ რომ შეეძლო ყველაფრის განჭვრეტა, რაც მომავალში უნდა გადახდომოდა თავს. წინასწარ განჭვრეტის უნარი ბუნებას ეჩუქებინა მისთვის და ამით სამუდამოდ გამოერჩია სხვა ბავშვებისაგან, სამუდამოდ წაერთმია მოულოდნელობის განცდის სიმძაფრე. მეორე და მთავარი უბედურება კი ის იყო, არავის რომ არ სჯეროდა მისი, არც მამიდას და, ალბათ, ყველაზე მეტად მამიდას, რადგან, თავად მისანმა, სხვებზე კარგად იცოდა, რამდენი ცოდნა და გამოცდილება სჭირდებოდა, კაცის ბედი კი არა, ამინდი რომ გამოგეცნო ერთი დღით ადრე. მაგრამ აფრასიონმა უცნაური ბავშვის სახელი მაინც დაიმკვიდრა. აიეტს არ მოსწონდა, მეოცნებე მემკვიდრე რომ ეზრდებოდა, მას მუხლებგადატყაული, გახვითქული, ცხენის ფაფარს გამობმული ქაჯი ერჩია, მაგრამ ჯერ საქმეში არ ერეოდა, ჯერ აფრასიონი ქალებს ეკუთვნოდა და აიეტიც იცდიდა. "ბავშვია, გაუვლისო", - ამბობდნენ მის გასაგონად სასახლეში, მაგრამ აიეტს არც ეს ესმოდა, არ უნდოდა გაეგო, თითქოს თუ ყურადღებას არ მიაქცევდა, უკეთესად მოერეოდა ბავშვობას მისი ვაჟიშვილი. აიეტმა არ იცოდა, რას უნდა გაეგო, რა უცნაურობა სჭირდა ტახტის მემკვიდრეს, მაგრამ ხვდებოდა, "უცნაურობა" რბილად ნათქვამი სიტყვა იყო და ამ სიტყვას შეიძლება ათასნაირი

მნიშვნელობა მიეღო, თუკი ჩაემიებოდა. შეიძლება, ამის ეშინოდა აიეტს და ამიტომაც არ ერეოდა საქმეში. ასე იყო თუ ისე, აფრასიონი ჯერ ისევ ქალების ფრთის ქვეშ იზრდებოდა. ძიძა-გადიებს კი, მოუსვენარი, თამაშზე გადაგებული, ძნელად მოსავლელი ქარისა ერჩიათ, წყნარსა და გამგონ აფრასიონს. აფრასიონი ხანდახან ისეთ რამეს ეტყოდათ, ფეტვივით დააბნევდათ ხოლმე. ქარისა კი ჩვეულებრივი ბავშვი გახლდათ, ცელქი, დაულაღავი, კისკისა.

ერთხელ აფრასიონი ავად გახდა, მაშინ ხუთი წლისაც ძლივს იქნებოდა. სიცხე მოსვენებას არ აძლევდა და მთელი ღამეები შამფურივით ტრიალებდა საწოლში. ძიძა სასთუმალთან ეჯდა და ყვინთავდა.

- ჭადარი ამბობს... - დაიწყო უცებ აფრასიონმა.

- აბა, ჭადარიო, - წამოვარდა გულგახეთქილი ძიძა.

- ჭადარი ამბობს, ვინმემ ფოთოლი რომ შემაწყვიტოს და აფრასიონს დააფაროს შუბლზე, მაშინვე მორჩებაო, - თქვა აფრასიონმა.

რა უნდა ექნა ძიძას, ამ შუალამისას ხეზე ხომ არ ამკრებოდა, ან რა იცოდა, რომელი ჭადარი ელანდებოდა სიცხისაგან გადაბლენტილ ბავშვს.

აფრასიონი კეთილი ბიჭი იყო. ყველაფერზე გული შესტკიოდა. ქათამი რაა, ქათმის დაკვლას ვერ აყურებინებდით. თონეს რომ გაახურებდნენ, დაკვირტული ფიჩხის ტკაცატკუცზე ცრემლი მოადგებოდა ხოლმე. "ასეთი თუ დარჩა, როგორ უნდა იცხოვროსო", - გულს ასკდებოდა აიეტი. აიეტმა რა იცოდა, სასახლეში თავსაც რომ იქცევდნენ მის მემკვიდრესთან ლაზღანდარობით, თორემ დიდი ცოდვა დატრიალდებოდა ალბათ. ამდენს ველარ მოითმენდა ვერც მამა და ვერც მეფე. "ერთი მითხარი, თუ ბიჭი ხარ, შარშან რომ შავტარიანი დანა დამეკარგა, სად არის და როგორ არის ახლაო", - ეკითხებოდნენ შუაში ჩაყენებულ აფრასიონს სასახლის უსაქმურები. აფრასიონი კი წუხდა, ტუჩებს იჭამდა, შუბლზე ოფლი ასკდებოდა, ამდენის გაგება რომ არ შეეძლო. მართლა ესმოდა, რას ამბობდა ჩიტი, ან ბალახი, ბზარში ჩამალული ჭირიჭინა თუ ფოთლებზე ადგაფუნებული წვიმა, გული წინასწარ უგრძნობდა, თუკი რამე სასიხარულო, ანდა საწყენი უნდა შეხვედროდა მასაც და მის ახლობლებსაც, ხოლო იმ დანის ავანჩავანი, შარშან რომ დაჰკარგოდა ვიღაცას, და ისიც საკითხავი იყო, მართლა დაჰკარგოდა თუ არა, რა თქმა უნდა, არ იცოდა და ვერც გაიგებდა. ამიტომაც წუხდა აფრასიონი და დამნაშავესავით თავჩაღუნული იდგა "დაკარგული დანის" პატრონის წინაშე, თითქოს თვითონ მოეპარა ის დანა და ახლა ნაქურდალის გამოჩენისა რცხვენოდა. თუმცა, ისეთი უცნაური ლაპარაკი იცოდა, არავის გაემტყუნებოდა, თავშესაქცევად გაეჩერებინა ეს ფერმკრთალი ბიჭი, სასახლის ტალანებში მართლა მისანივით რომ დახეტილობდა. "ყველა პეპელა ბრმაა", - ამბობდა აფრასიონი და როცა ჰკითხავდნენ, რატომ აბრმავებ პეპლებს, რა დაგიშავესო, სრულიად სერიოზულად პასუხობდა, მე კი არ ვაბრმავებ, ბრმებად იბადებიან, ორი დღის სიცოცხლე უფრო გრძელი რომ ეჩვენოთო.

"პეპელა რომ ბრმა არ იყოს, ჩამოსაჯდომი ყვავილის არჩევასაც ვერ მოასწრებდა, ყველა ყვავილი ერთნაირად მოხიბლავდა, ერთნაირად მიიზიდავდა და იმასაც უნდა ეწვალა, ყოყმანა და ამ წვალებასა და ყოყმანში მოკვდებოდა კიდევ. ახლა კი უფრო მეტსაც ასწრებს და უფრო მეტ

ყვავილსაც პოულობს, რადგან ბრმაა და არჩევანის უნარი არა აქვსო", - ამბობდა აფრასიონი და მოდი და ნუ გაგიკვირდებოდა ამ ცეროდენა ბავშვისაგან ასეთი ლაპარაკი.

"ბავშვისა არაფერი სცხიო", - ამბობდნენ მიძა-გადიები და ისევ "დასაბმელი" ქარისა ერჩიათ, წყნარსა და თვინიერს, უდროოდ დაბრძენებულსა თუ სულელად დაბადებულ აფრასიონს.

ახლა აფრასიონი სხვებთან ერთად ნავში იჯდა და წყალუხვი მდინარის ნაპირებს ათვალიერებდა. მან ეს გზა ზეპირად იცოდა, მაგრამ რაც სხვებისათვის ჩვეულებრივი ხე, ბუჩქი ან ყვავილი იყო, სხვა ათასი ხის, ბუჩქისა და ყვავილის მსგავსი, მისთვის ყოველ მათგანს უთვალავი სული და სახე ჰქონდა. ნაირნაირ, უცნაურ ჩვენებად შეიძლება ქცეულიყო უცებ წვიმით ჩამორეცხილი ფლატე თუ სოკოებით გადაჭმული კუნძი. მან წინასწარ იცოდა, სად წამოუხტებოდათ ვეფხვი და, მართლაც, მოუხვევდა თუ არა მდინარე, მოტვლეპილ ბორცვიდან ისე უცებ იფეთქებდა იელი, თითქოს ვეფხვი წამოვარდაო, "ვეფხვი, ვეფხვიო", - ყვიროდა აფრასიონი და თვალეზგაბრწყინებული ილიმებოდა, არავის რომ არ შეეძლო მისი "ვეფხვის" დანახვა, თუმცა მთელი გზა ქარისაცა და ფრიქსეც აცეცებდნენ თვალებს, კისრებს იგრძელებდნენ, რათა თვითონაც ამოეცნოთ ჩვეულებრივ ჯაგნარში - მდინარისკენ მომავალი ირმების ჯოგი, ასაფრენად გამზადებული არწივი თუ მოქეიფე ავაზაკები. მაგრამ რასაც აფრასიონი ხედავდა, ის მათთვის არ არსებობდა. მენავეებიც უნებურად უსმენდნენ ბავშვებს, ელიმებოდათ მათ სისულელეებზე და უფრო ხალისიანად აწვებოდნენ ნიჩბებს.

- აბა, გვითხარი, ის ჩიტი რას ამბობსო, - უთხრა მენავემ აფრასიონს.

ის მენავე ყველაზე ახლოს იჯდა ბავშვებთან და როცა ილიმებოდა, ჩამტვრეული კბილები მოუჩანდა. ქარისას უკვე შეემჩნია მენავის ჩამტვრეული კბილები და ხშირ-ხშირად გამოხედავდა ხოლმე, მოუჩანს თუ არაო.

- ის ჩიტი ამბობს, როგორ გაზრდილა ქარისა, ნეტავ მეც ასე მომაჩიტებინა ბარტყებო, - მაშინვე უპასუხა აფრასიონმა.

ყველამ ქარისას შეხედა. ქარისას შერცხვა, მაგრამ დამორცხვება რომ არ შესტყობოდა, ფრიქსეს ისე მაგრად უბიძგა ხელი, ფრიქსე მერხიდან გადავარდა და სახე ნიჩბის ტარს ჩამოკრა. მიძა-გადიები წამოცვივდნენ, ნავი ატორტმანდა, უნებურად ყველანი ერთმანეთს მიაწყდნენ. ფრიქსეს ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა, ფერი დაჰკარგვოდა, მაგრამ მაინც ილიმებოდა. სისხლს მჯილით იხოცავდა და უარესად ეთხუპნებოდა სახე. ამის შემხედვარე, ქარისა გულიანად კისკისებდა. ალბათ, ამიტომაც არავის გაუგონია აფრასიონის ნათქვამი: იმ ჩიტმა ისიც თქვა, ქარისა ფრიქსეს ცოლი გახდებოდა.

ათი წლის მერე მართლაც ასრულდა ჩიტისა თუ აფრასიონის წინასწარმეტყველება.

\* \* \*

ფრიქსეს და ქარისას ქორწილმა მთელი ქალაქი სასიყვარულოდ განაწყო. წლისთავზე ქალების უმრავლესობა მოსალოდინებელი იყო. ხან გუთანს გადმოდგამდნენ ბანზე, ხან კი ჯარას, ვის რა გაუჩნდებოდა, ბიჭი თუ გოგო. ქარისას ფეხმძიმობა არც კი გაუგია, არც სახე შეშუპებია და არც

ფეხები, მუცელიც ძლივს ეტყობოდა, უხდებოდა კიდეც. საგანგებოდ ფეხმძიმობისთვის შეკერილ კაბებს ძველებურად დააფრიალებდა და ერთდროულად სასახლის ყველა კუთხიდან ისმოდა მისი კისკისი. ქარისა ბედნიერებას ეცეკვებოდა, თავს არ უტყდებოდა, არ უნდოდა დაეჯერებინა, მისი გარდაქმნილი ბუნება სამუდამოდ რომ ემშვიდობებოდა უდარდელსა და უზრუნველ სიყმაწვილეს. ბებია ქალმა საწოლში ჩვილი რომ ჩაუწვინა, ცოტა გაუკვირდა კიდეც, უცებ ვერ მოისაზრა, რა კავშირი ჰქონდა ამ პატარა არსებასთან, ოფლიანსა და ოდნავ შეღინღულ თავს ჯიუტად რომ აბრუნებდა მისკენ, როგორც ყვავილი სინათლისაკენ. მას ადრე არასოდეს ენახა ეს სასაცილო ცხოველი, შორეული მგზავრობით დაქანცული, ჯერ კიდეც რომ ვერ მოსულიყო გონზე, მემკვიდრეობით მიღებული გამოცდილება თვალეებს რომ ახუჭვინებდა, რათა მიღბურანში შეჩვეოდა ახალ გარემოს და საბოლოო გამოღვიძებისას თავზარი აღარ დასცემოდა. პირველი გრძნობა, რაც ქარისას საკუთარი შვილისადმი გაუჩნდა, უცხოობის გრძნობა იყო, მაგრამ ბავშვის პირველსავე წამოტირებაზე ისე დაეთუთქა გულ-მუცელი და ისე უცებ მოისაზრა, რას მოითხოვდა მისგან ეს უშნო და უმწეო მბრძანებელი, მაშინათვე ძუძუ ჩაუღო პირში, თითქოს მთელი სიცოცხლე ასე ეწვა გვერდით და არასოდეს არ არსებობდა დრო, როცა ქარისას არ ჰყავდა იგი. ქარისა უკვე დედა იყო.

არც მეფე-დედოფალი გამოჰკლებია თანამოქალაქეთა სასიყვარულო აღტკინებას. აიეტის მეუღლემაც თითქმის ქალიშვილთან ერთად მოიმშობიარა. მაგრამ დედოფლისთვის ცოტა ნაგვიანევი აღმოჩნდა მშობიარობა, ძუძუში რძე არ ჩაუდგა. სამაგიეროდ ქარისას იმდენი რძე ჰქონდა, შვილსაც აჭმევდა და დასაც.

ქარისამ ერთმანეთის მიყოლებით ოთხი შვილი გააჩინა. ოთხივე ვაჟი. ვაჟებს მამის ხატრით ბერძნული სახელები დაარქვეს: არგუსი, კიტისორე, მელასი და ფრონტისი. მართალია, ისინი ტყუპები არ იყვნენ, მაგრამ ტყუპებივით ერთდროულად მოუნდებოდათ ხოლმე ჭამაც და ტირილიც. მოთმინებიდან გამოსული ფრიქსე თავზე დაადგებოდა და დაჰყვიროდა: აკკო, ალფისტო, მირმო; აკკო, ალფისტო, მირმო - და ბავშვებიც მაშინვე ჩუმდებოდნენ. ასე რომ, თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, ხალხიც მომრავლდა და ცხოვრების ხალისიც, მაგრამ ერთ დღეს ფრიქსემ მოიწყინა, სევდა შემოაწვა გულზე. იმ დღეს ლოგინიდან არ წამომდგარა, იწვა გულალმა და ჭერს მიშტერებოდა. ხან ერთი ვაჟი შემოუყვანა ქარისამ, ხან მეორე. ბოლოს ოთხივენი ერთად დააგორა მამის საწოლზე. დათვის ბელებივით ღონიერი ვაჟები ყირაზე გადადიოდნენ, მაგრამ ფრიქსეს შუბლი მაინც არ გახსნია, იწვა და ჭერს უყურებდა.

ასე გაგრძელდა მთელ კვირას, მთელ თვეს და ატირებული ქარისა მშობლებს ფეხებში ჩაუვარდა, მიშველეთ, ქმარი მეკარგებაო.

- იქნებ აღარ უყვარხარ? - ჰკითხა აიეტმა შვილს, როცა მისი ნაამბობი გულდასმით მოისმინა.

- თუ არ ვუყვარვარ, დღესვე გასძრომია სული! - იყვირა ქარისამ.

მამის ნათქვამმა წამით მაინც დააეჭვა, მაგრამ მაშინვე გამოერკვა, თავი ჯიუტად აიქნია და თქვა: ასე რომ იყოს, ტანი მიგრძნობდაო.



- მეც ვუყვარვარ და შვილებიც, მაგრამ გულზე რაღაც უქმური აწევს და ჩვენამდე აღარ უშვებ-ებს,
- მოთქმასავით გააგრძელა ქარისამ.

მეორე დღეს მეფე-დედოფალმა სიძეს დახედეს. სიძე გულაღმა იწვა ერთი თვის აულაგებელ ლოგინში და ჭერს მიშტერებოდა. სახის ფერი შესცვლოდა, კანი მობოშებოდა, თვალები ჩასცვენოდა, ჩაღამებოდა; გალეული, სანთლისფერი ხელები საბანზე ზემოდან დაეწყო; სიმამრ-სიდედრის დანახვაზე, ოდნავ გაიღიმა, უფრო სწორედ, გაღიმება სცადა და პირი ისე საცოდავად დაედრიჯა, დედოფალმა თვალი აარიდა.

- აბა, ჩემო სიძე, მითხარი, როგორ ბრძანდები, - დაუყვავა აიეტმა.

ფრიქსემ სახეში შეხედა აიეტს, უყურა, დიდხანს უყურა და ცერისხელა ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე. "ხელიდან წასულაო", - ჩუმად გადაულაპარაკა აიეტმა მეუღლეს.

სასახლე მისნებით, მკითხავებითა და მაჯის შემტყობებით გაივსო. წამლის სუნით ისე აქოთდა იქაურობა, მოახლეები ცხვირზე ხელმოჭერილნი დადიოდნენ. ავადმყოფს კი არაფერი დასტყობია.

მოდიოდნენ და მოდიოდნენ ექიმები, მისნები, მარჩიელები; ყველას გაეგო აიეტის სიძის ავადმყოფობა. მალე სასახლეში ადგილი რომ აღარ დარჩა, სასახლის ეზოებში დადგეს კარვები. აიეტი დაბნეული დაალაჯებდა კარვებს შორის, როგორც მხედართმთავარი, რომელმაც არაფერი იცოდა მტრისა, როდის გამოჩნდებოდა, ან საიდან გამოტყვრებოდა. საითაც არ უნდა გაგებხდათ, ყველგან ცეცხლი ენთო, ყველგან წამალი იხარშებოდა. ბედს შეჩვეული, უბრძოლველად დანებებული ავადმყოფი თვალდახუჭული ყლაპავდა ფუტკარსა და ღრიანკალს, მერცხლის ნაცარსა და კალიის ფეხებს, კაკბის ელენთასა და მელიის სკორეს. დაკონკილი კარვებიდან დილიდან საღამომდე ისმოდა მისნების გაბმული ბუტბუტი. ქარისამ უკვე იცოდა, თუ სნეული ბნელში ყოფნას ინატრებდა, ავი ნიშანი იყო, თუ სასთუმლიდან თავი გადაუვარდებოდა, თუ კედელს დაუწყებდა ლაპარაკს, თუ სუნთქვა მყრალი ექნებოდა, თუ კაცის ნახვა არ ენდომებოდა, თუ ცალი თვალი დაუპატარავდებოდა, და კიდევ ათასი, ათიათასი ავი ნიშანი იცოდა ქარისამ ზეპირად და ფეხები ჩამოწყვეტაზე ჰქონდა, რადგან ყოველდღე ამდენჯერვე უნდა მიერბინა ავადმყოფის სარეცელთან, რათა მის სახეზე შეემოწმებინა მისნების ნაბუტბუტარი. როგორც ქარისას ეჩვენებოდა, ავადმყოფს ყველა ავი ნიშანი ჰქონდა, მაგრამ მაინც არ შეეძლო შეჰკუებოდა იმ აზრს, ქმარი რომ მოუკვდებოდა, ასე უბრალოდ და ასე უსინდისოდ თუ ადგებოდა და მიატოვებდა. "რა უფლება აქვს სიკვდილისაო", - ფიქრობდა ქარისა და თავზარი ეცემოდა, ქვრივობას რომ წარმოიდგენდა.

ქარისა ლაღად იყო გაზრდილი, რასაც ინატრებდა, უსრულდებოდა კიდევ და ბოლო-ბოლო დაიჯერა, არაფერს რომ არ შეეძლო მისი დაღონება და გაწბილება. ახლა კი, ეს წყეული, ამოუხსნელი სენი ჩასდგომოდა ჯიბრში და ლამის ეჯობნა კიდევ.

ფრიქსეს სიკვდილი ბევრ რამეს შეცვლიდა ქარისას ცხოვრებაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვალდებული იქნებოდა ქმარი ეგლოვა, ძაძები ჩაეცვა, ბნელში ჩაკეტილიყო და, ვინ იცის რამდენი ხნით, დამალვოდა ცხოვრებას, დამალვოდა საკუთარ თავს. ქარისას კი ეს არ

შეეძლო. არ შეეძლო და არც უნდოდა. ვინღა დაუბრუნებდა სიბნელეში დაკარგულ დროს, ვინ იკისკისებდა მის მაგივრად, ვინ ჩაიმაგრებდა თმაში ყველაზე ფართოფურცლიან ყვავილს. "ჩემთვის რა უნდა გესწავლებინა, თვითონ არაფერი გცოდნიაო", - უყვირა ერთხელ მამიდა ყამარს და მამიდამ დამჭკნარ პირზე ხელი მიიფარა, ძმისშვილი რომ არ დაეწყევლა. ქარისამ შავთვალემა მალალო და მისი ქალიშვილები სულ კინწისკვრით გამოყარა სასახლიდან, რადგან ვერც მათმა სიმღერამ გამოახედა ავადმყოფი. მთელ სასახლეს გული უკვდებოდა, ამ დღეში რომ ხედავდა ქარისას. ძნელი სათქმელია, ვინ უფრო ეცოდებოდათ, სასიკვდილოდ განწირული ქმარი, თუ მისი ახალგაზრდა მეუღლე, კბილებით ჩაფრენილი ქმრის მიღეულ სიცოცხლეს. სასახლის მოედანზე ფეხმოუცვლელად იდგა ხალხი. ათასში ერთხელ რომელიმე მსახური ქონგურზე გადმოდგებოდა და თავს გადააქნევდა, არაფერია ახალიო.

ერთ დღეს აიეტთან მეუღლე შევიდა და უთხრა: მეფე ხარ და უშველე, სიძეს ვიღა ჩივის, შვილი გველუპებაო.

- იქნებ ცოდვა გაწევს რამე? - ჰკითხა დედოფალმა და დაუმატა, მე შენსა და ღმერთების წინაშე პირნათელი ვარო.

ამ ამბავმა აიეტიც ჩააფიქრა, დაგრინა ფიქრის ბაწარი, ჩაჰკიდა უძირო ჭაში და ჩაჰყვა. ჩაჰყვა და გული გადაუქანდა, ჭის ფსკერი ხალხით იყო სავსე და ის ხალხი მას ელოდებოდა. "მადლობა ღმერთს, გაგახსენდითო", - შესძახეს ჭის ბინადრებმა. აიეტი დააკვირდა, კიდევ დააკვირდა და ყველანი იცნო: მის მიერ განდევნილი კოლხები იყვნენ, ჯავრნაჭამი, ხელმოცარული, დამარცხებული და ტიტველ მგლებივით საშიშნი და დაუნდობელნი.

ყველაზე მეტს მისი ბიძაშვილი, კოლხეთის ყოფილი მეფე, ოყაჯადო ყვიროდა: ჭკუით იყავი, აიეტ, ტახტი არ გამიცვითო, თორემ მერე ბიძაშვილობა ვეღარ გიშველისო. სხვები მხარს უბამდნენ და იდგა ჭაში ერთი ხორხოცი და გნიასი. აიეტს რატომღაც ბავშვობა გაახსენდა, უფრო სწორედ ერთი დღე გაახსენდა ბავშვობისა, ბიძაშვილი რომ გალახა. აიეტმა უცებ იცოდა გაბრაზება, მერე თვალეები უბნელდებოდა და თვითონაც არ ახსოვდა, რას აკეთებდა. იმ დღესაც რაღაცაზე გააბრაზა ოყაჯადომ. გაბრაზებულმა აიეტმა, სხვა რომ ვერაფერი მოიხელთა, იქვე მდგარ ბატკანს უკანა ფეხებში ჩაავლო ხელი და ბიძაშვილს გამეტებით შემოჰკრა, გაქცეულსაც ბატკნიანად დაედევნა. იმ დღის მერე ოყაჯადო ერიდებოდა აიეტის გაბრაზებას. თავი ისე ეჭირა, ვითომ არაფერი მომხდარიყოს და თვითონაც იცინოდა, როცა "ბატკნით გალახულს" ეძახდნენ მამა-ბიძები. აიეტს დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდა ეს ამბავი და თვითონვე გაუკვირდა ახლა, ამდენი ხნის მერე, ჭაში ჩაკიდულს რომ გაახსენდა. "იმის მერე ვეჯავრებო", - გაიფიქრა აიეტმა.

აიეტი დიდხანს ითმენდა ოყაჯადოს მეფობას, მაგრამ როცა შეატყო, ბიძაშვილის უყარათობას შეიძლება ქვეყანაც დაეღუპა, ვეღარ მოითმინა და ერთ მშვენიერ დღეს ისიცა და მისი დამქაშებიც სამუდამოდ მოაშორა ტახტს; მაგრამ უსისხლოდ და უმტროდ ასეთი საქმე არ კეთდება, რაც არ უნდა მართალი იყო, შენს სიძარტლეს პურივით ყველას ვერ გაუნაწილებ. ავი ვერც გაუნაწილა. ბოღმასა და შურისძიების სურვილს ამოდენა ჭა აევსო და ეს ჭა დღითიდღე სულ ასე გაივსებოდა, სანამ, დამწიფებული მუწუკივით, ერთხელაც იქნებოდა, არ გასკდებოდა და არ გამოირწყვებოდა.

ჯერ გაუშვებენ მელასაო და მერე დაუწყებენ სტვენასაო, ასე დაემართა აიეტსაც, რადგან თავის დროზე გამორჩა, მხოლოდ მკვდარი ძაღლი რომ არ იკბინება. ნამეფარი, თავის ხალხიანად, ხომალდებში ჩაჯდა და სამშობლოდან გადაიხვეწა. აიეტს ხელი არ შეუშლია, წავიდნენ, ოღონდ მომშორდნენო; არც არავიზე დასწყვეტია გული, უხეიროს გარდა. უხეირო ნამდვილი მეომარი იყო, იარაღით ჭამდა პურს და, ჯერ კიდევ პირტიტველა ბიჭს, ვერავინ შეედრებოდა ვერც ღონესა და ვერც სიმარდეში. ოცი კაცი რიგში რომ ჩაგეყენებინათ, ერთად გაიტანდა ოცივეს მისი ნატყორცნი შუბი. ოყაჯადოს შემთხვევით ენახა იგი და სასახლეში წამოეყვანა. მერე, ყველაფერი წაღმა რომ შეტრიალდა, უხეიროც მასთან ერთად ჩაჯდა ხომალდში.

აიეტი ჭიდან გუნებამომზამული ამოვიდა. პირველსავე კარავში შევიდა და მისანს უთხრა: ასეთი და ასეთი ცოდვა მაწევს, ეს ხომ არ არის ჩემი სიძის ავადმყოფობის მიზეზიო.

- განა ეგ ცოდვაა? - შეუბრუნა კითხვა მისანმა.

ხანგრძლივმა, მოურჩენელმა სენმა თანდათან ყველას გული გაუგრილა ავადმყოფის ბედის მიმართ. დრომ ჩვეულებრივ მოვლენად აქცია წამლებისა და დაკონკილი კარვების მყრალი სუნი. მისანთა და მარჩიელთა, მკურნალთა და მაჯისშემტყობთა გაუთავებელი ჩხუბი და კამათი, დამწყვდეული, წამლის საცდელი ძაღლების ყმუილიც, ძაღლური ერთგულებითა და სიხარბით რომ თქვლევდნენ წამალგარეულ სალაფავს და ყოველდღე ათობით ეწირებოდნენ მათთვის უცნობი ადამიანის სიცოცხლეს.

ერთმა მისანმა სხვების უჩუმრად შავ ძაღლს ფრიქსეს ხელის ნაბანი გადაასხა, ძაღლმა ტანი რომ არ შეიბერტყა, კარავი ჩუმად აშალა და სასახლიდან გაიპარა. მისნის გაპარვა მალე შეამჩნიეს, რადგან ნაკარვალზე, გამოხუნებულ მიწის პატარა ნაგლეჯზე, ძვლების ზვინი იდგა, გეგონებოდათ იმ მისანს ჭამის მეტი არაფერი უკეთებიაო. გაპარულ მისანს მალე სხვებიც მიჰყვნენ, ზოგმა რა მოიმიზეზა და ზოგმა რა. არც არავის უცდია მათი შეჩერება, ყველას თავი მოედრიკა უკურნებელი სენის წინაშე და ყველაფერზე თანახმანი იყვნენ, ოღონდ რამე შეცვლილიყო, თუნდაც უარესობისკენ. მისანთა და მკურნალთა ეს ერთიანი აყრაც მოსალოდნელი ცვლილებების წინამორბედი იყო. კარავი რომ აიშლებოდა, მის ნახგომზე გამოხრული ძვლების ხროვა რჩებოდა და ახლა ამაზე ჰქონდათ წიოკობა ნაშიმშილევე, მაგრამ ბედზე გადარჩენილ ძაღლებს. ქვაბები სახმარად აღარ ვარგოდა, რამდენიც არ უნდა ეხეხათ, აღარ შორდებოდა ფსკერზე მიმწვარი ბალახბულახი. ჩაუნელებელ კოცონებს ფილაქანი დაეზარა და სამუდამოდ მიეხატა ზედ საკუთარი გამოსახულება, ნაცრისფერი და უძრავი.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს აქამდე ჩრდილში მდგარმა მკურნალმა, თავი რომ მარტო დაიგულა, გამბედაობაც მოიკრიბა და ხმამაღლა განაცხადა: ეს ისეთი სენია, არც დანას მიიკარებს და არც მალამოსო. ამ სენს სამშობლოს მონატრება ჰქვია და მშობლიური ჰაერით გაბერილი ერთი ღორის ბუშტი მთელს ჩვენს წამლებს ასჯერ და ათასჯერ გადაამეტებსო.

- აგაშენა ღმერთმა! - ამოიგმინა ფრიქსემ და საწოლში გვერდი იცვალა.

ეს პირველი სიტყვები იყო, რაც ფრიქსეს მთელი ავადმყოფობის მანძილზე ამოსვლოდა პირიდან. მალე მთელი სასახლე იმეორებდა ამ სიტყვებს: გაიგეთ, ფრიქსემ თქვა, "აგაშენა ღმერთმაო". ისე

უხაროდათ, თითქოს ამ ორი სიტყვის თქმა უჭირდა აქამდე ფრიქსეს, ყელში ჰქონდა ძვლებივით გაჩხერილი და რაკი, ბოლოს და ბოლოს, მაინც ამოთქვა თუ ამოანთხია, ახლა აღარაფერი უჭირდა.

ავადმყოფობის დადგენა, მართალია, განკურნებას არ ნიშნავს, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, ფრიქსეს თვალში რომ გამოეხედა. მალე ფეხზეც წამოდგა. სასახლე ზეიმობდა, წყალში არ ჩაუცვივდათ ამოდენა ამაგი. ქარისას კისკისმა ტალანები მოირბინა და აიეტსაც უქმური სიზმარივით დაავიწყა ჭის ბინადრები. აქამდე დაუფასებელი და ჩრდილში მდგარი მკურნალი განდიდდა და დაესახლა. "მოთმინებით გვაჯობაო", გულზე სკდებოდნენ სხვები, უფრო ადრე რომ მიეტოვებინათ ავადმყოფის სარეცელი.

მართალია, ფრიქსე წამოდგა, მაგრამ მაინც ავადმყოფად დარჩა, ეგ იყო, რომ აღარ იწვა გაუნძრევლად, ეზოშიც ჩამოდიოდა, წამომდგარი მამის ხილვით აჟღურტულეებულ, ფეხებში გაბლანდულ ვაჟიშვილებს თავზე ხელსაც გადაუსვამდა ხოლმე, მაგრამ მისი ფიქრი და გონება სხვაგან ფრენდა, ისევ ბურანში დარჩენილიყო. სეირნობისას უცებ სახედარივით გარინდდებოდა, თავს მაღლა ასწევდა და სიცარიელეს იქამდე მიაშტერდებოდა, სანამ ცოლი, ან მეთვალყურე მსახური ხელს ოდნავ არ უბიძგებდა. ახლა ბალახებს დააშტერდებოდა, მერე რომელიმე მათგანს მოწყვეტდა, დაყნოსავდა, გაღეჭავდა, ისევ დაყნოსავდა და იტყოდა: ეს ბალახი ჩვენშიც ხარობსო.

თუ სხვები, ასე თუ ისე, განკურნებულად თვლიდნენ ფრიქსეს, ქარისამ ხომ იცოდა, მისი მეუღლის თავს კარგი ამბავი რომ არ იყო.

აქამდე ქარისას ერთი რამის ეშინოდა მხოლოდ, ფრიქსე არ მომკვდარიყო და ქვრივად არ დაეტოვებინა ოთხი შვილის ამარა. ქარისამ თავიდანვე დაირწმუნა თავი, ფრიქსე მისთვის გამოეგზავნათ ღმერთებს, ფრიქსეს ქარისა უნდა ყვარებოდა, ეს ევალეობდა და ამიტომაც არ ჰქონდა სიკვდილის უფლება. ამიტომაც არ გადასწურვია ქარისას იმედი, თუმცა მისნების ნაბუტბუტარ ყველა ავ ნიშანს ქმრის სახეზეც კითხულობდა. ახლა კი... ახლა აღარ იცოდა, ქვრივობა ჯობდა თუ ასეთი ქმრის ცოლობა. ფრიქსე თითქოს ვერ ამჩნევდა ქარისას, აღარც მისი დანახვა უნდოდა და აღარც მისი ხმის გაგონება. ამ ამბავმა ქარისა ჯერ დააბნია, იმდენად ძნელი წარმოსადგენი, იმდენად ძნელი დასაჯერებელი იყო, ქმარს მობეზრებოდა, აღარ ყვარებოდა. ერთი პირობა ისიც იფიქრა, მისნებმა და მკითხავებმა ხომ არ შემიცვალესო, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ცხადი ხდებოდა, ფრიქსე შეგნებულად არიდებდა თავს. მაშინ კი გაცეცხლდა ქარისა, მაგრამ ავადმყოფობისგან ჩამომჰკნარ ფრიქსეს რომ უყურებდა, საცოდაობით იწვოდა და თავს იკავებდა; ოღონდ თვითონაც არ იცოდა, სანამდე ეყოფოდა მოთმინება. მათი საწოლი ჯერ კიდევ გათიშული იყო, ფრიქსე დუმდა, ქარისას კი თავმოყვარეობა არ აძლევდა ნებას, თვითონ შეეთავაზებინა თავისი თავი, მაგრამ ახლა უფრო გვიანობამდე ეჯდა ქმარს სარეცელთან, თუმცა მისი ქმარი, ხისგან გამოჩორკნილ თოჯინასავით უძრავი და უმწეო, შორს იყო მისგან, ღრუბლებში დაფრინავდა და აღარ შეეძლო, ან არ უნდოდა ქარისას მშვენიერებათა დანახვა. ქარისა შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, მაგრამ, ამავე დროს, საგონებელში აგდებდა ქმრის გულგრილობა. იმასაც გრძნობდა, ფრიქსე ახლა უფრო იზიდავდა თავისი გულგრილობით, უფრო მნიშვნელოვანი და უფრო საინტერესოც გამხდარიყო მისთვის. მაგრამ ეს მეორე მხარე იყო,

შედარებით უმნიშვნელო; იქამდე ვერ მოისვენებდა, სანამ არ გაიგებდა ამ გულგრილობის მიზეზს. მისი ბუნება ვერ შეეგუებოდა, თუნდაც ერთი დღით ყოფილიყო დავიწყებული, უგულველყოფილი, მობეზრებული. არა, ქარისა ამას ვერ აიტანდა, ჯობდა ისევ სიკვდილს წაერთმია ქმარი, ვიდრე ქმარი თავისით წავიდოდა მისგან. მაგრამ ჯერჯერობით მოთმინება ჯობდა, თავი ისე უნდა დაეჭირა, ვითომ ვერაფერს ამჩნევდა, ვითომ არაფერი არც იყო შესამჩნევი. მეუღლის სარეცელთან ჩამომჯდარი, სიცოცხლესავით მომხიბვლელი და ხალისიანი, გათენებამდე ეზურჩულებოდა ძილგამკრთალსა და ერთიანად მოჩვარულ ქმარს, რომელსაც ყველაზე მეტად მისი მომხიბვლელობისა და სიხალისის ატანა უჭირდა. ქარისაც ხვდებოდა ამას, თვითონაც ღიზიანდებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა, დაფარული სიბრაზისაგან გაუხეშებული ხმით ახსენებდა თავიანთ ბავშვობას, პირველ კოცნას, პირველი შვილის დაბადებას... თითქოს გაჭირვებულ ბავშვს დასაძინებელ ზღაპარს უყვებოდა და, შეიძლება, თვითონაც ვეღარ გრძნობდა, ყოველი მისი სიტყვა ცუდად შენიღბული მუქარა რომ იყო, ქალის მუქარა, რომელიც არავის არ მისცემდა ნებას მასხრად აეგდო მისი ყველაზე ბედნიერი დღეები.

ქარისა ამაცი, პატივმოყვარე ქალი გახლდათ, მაგრამ ჯერ კიდევ შერჩენოდა ბავშვური გულბრყვილობა: რასაც ფიქრობდა, იმას ხედავდა და ისეთად ხედავდა, როგორც უნდოდა რომ დაენახა. ის იმ ყაიდის ქალებს ეკუთვნოდა, წინასწარვე რომ გადაწყვეტენ, ვის შეაყვარონ თავი, ერთ დღეს რომ დაიჯერებენ შეყვარებულნი ვართო და უყოყმანოდ, უდრტვინველად იბლანდებიან წარმოდგენილი სიყვარულის ბადეში. ეს რწმენა, ხანდახან, მთელი სიცოცხლის მანძილზე, ნამდვილი სიყვარულის მაგივრობას უწევთ და სხვა ქალებთან შედარებით, გაცილებით მტკივნეულად განიცდიან ყოველგვარ მარცხს, რადგან ქვეცნობიერად იმასაც გრძნობენ, თვითონვე რომ არიან ყველაფრის წამომწყებნი. მარცხი ისევე აღიზიანებთ, როგორც ფიზიკური ნაკლი, რომლის არც შემჩნევა უნდათ და არც დამალვა შეუძლიათ. თავის მოსულელება ასეთი ქალებისათვის თავდაცვის საშუალებაა და, მართლაც, ყოველთვის ისე უჭირავთ თავი, თითქოს არაფერი ჰქონდეთ შესაშფოთებელი. სინამდვილეში, ხალხისა ეშინიათ, ხალხის თვალში დამცირების, და პირად ცხოვრებას ისეთივე გულმოდგინებით მალავენ, როგორც უადგილო ადგილას ამოსულ ბალანს.

ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მტკიცედ რომ გადაწყვიტა, "ფრიქსეს თავი უნდა შევაყვარო", მერე კი ვეღარ გაარკვია, რა უფრო მთავარი იყო მისთვის, ბავშვობაში მიღებული გადაწყვეტილება თუ ფრიქსე. ეს გადაწყვეტილება ზრდიდა და აქალებდა ქარისას და მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული, როგორი იქნებოდა იგი, როცა მართლა შეძლებდა კაცის შეყვარებას, თამამი და პირდაპირი, თუ მხდალი და ანგარიშიანი. ქარისა მხდალიც იყო და ანგარიშიანიც. სიყვარული, თუკი მართლა არსებობდა ასეთი რამე, სამკაულად სჭირდებოდა და არა სატანჯველად. ის სატანჯველად არ იყო გაჩენილი, ტკივილს ვერ აიტანდა, ის კი არა, თითო რომ გაკაწვროდა, ნახევარ სასახლეს სული უნდა ებერა განაკაწრზე, მეორე ნახევარს კი კოცნიდა და საჩუქრებით აევსო. ქარისას ის უნდოდა, რაც დაამშვენებდა, კიდევ უფრო გამოაჩენდა და კიდევ უფრო შესაშურს გახდიდა მის ბედსა და სილამაზეს. ფრიქსესაც ამიტომ შეაყვარა თავი. უცხოელი მეფის შვილი დღითიდღე იზრდებოდა, მშვენდებოდა და დღითიდღე იქცეოდა გოგოების ყურადღებას. ქარისამ კი თავი შეაყვარა, რადგან ქარისა ყველა გოგოს ჯობდა და ის უნდა ყვარებოდა ყველაზე კარგ ბიჭსაც. მაგრამ ეს ძველი ამბავი იყო უკვე, ახლა ის "ყველაზე კარგი ბიჭი" გაპარვას

აპირებდა, აღარ უნდოდა ქარისა და ადვილი შესაძლებელია, თუკი მართლა ასე მოხდებოდა, ხვალ მასხრად აეგდოთ ქარისა იმავე გოგოებს, რომლებსაც თავის დროზე თვალი დაუყენა და შურით დაუხეთქა გულეები. "შვილი კიდევ გავაჩინოთ, ესენი უკვე გაიზარდნენ, რაღა დროს მაგათი მოფერებაა, ხომ ხედავ ახლოსაც აღარ გვიკარებენო", - ეტიტინებოდა ქარისა ფრიქსეს და როცა ფრიქსე პასუხობდა: ეგენიც არ უნდა გაჩენილიყვნენო, ვერ გაეგო, რატომ არ უნდა გაჩენილიყვნენ მისი შვილები და გრძნობდა, როგორ ელეოდა მოთმინება, რა ცოტა აკლდა, ქმარს რომ ყელში სწვდომოდა და ფრჩხილებით ამოეძირკვა მისთვის სანახევროდ ისედაც გადმოყრილი თვალები.

- მაგათგან რა ხალხი უნდა გამოვიდეს, ჯერ კუჭში საკუთარი პური არ ჩასვლიათო, - ამბობდა ფრიქსე.

ქმრის სიტყვები მწარედ ხვდებოდა გულზე ქარისას, იმ წუთას დასანახავად ეჯავრებოდა ფრიქსე, რადგან იმას არ ამბობდა, რაც მას აწუხებდა და აინტერესებდა. მეორეც ერთი, ფრიქსეს უფლებაც არ ჰქონდა, უმადური ყოფილიყო ვინმესი. ქარისას ქმარ-შვილს ვინ გაუბედავდა პურის დამადლებას, ან ფრიქსეს როგორ უტრიალდებოდა ენა, თუ ესეც მორიგი ხრიკი არ იყო ქარისასაგან თავის დასაღწევი. ქარისას გაკვირვებული, ზიზღნარევი ღიმილი შეეყინებოდა ხოლმე სახეზე.

- ამაღლის თუ არ ამაღლის, ასეა, - თავისას იმეორებდა ფრიქსე.

ეს დამეული საუბრები, ყოვლად უაზრო და უნაყოფო, ორივეს უაღრესად აღიზიანებდა და თანდათან, ნებაზე მიშვებული წყალივით, ნთქავდა და ატალახებდა იმ პატარა ეზო-ყურეს, ქარისას რომ შემოელობა ოდესღაც წარმოდგენილი სიყვარულით. ახლა ისინი ყოველ სიტყვას გადაჭარბებულ მნიშვნელობას აძლევდნენ, გულში ათასჯერ წონიდნენ, აწვალდნენ და თვითონაც წვალდნენ. ცოლიცა და ქმარიც თავთავიანთ ნაჭუჭებში შეიკეტნენ და ახლა იქიდან დაუწყეს თვალთვალი ერთმანეთს. ფრიქსეს ავადმყოფობის გამო გათიშული საწოლი ისევე გათიშული დარჩა. სიცოცხლე გაჭირდა, გაუფერულდა, კოჭლი ცხვარივით ჩამორჩა ფარას, მზით განათებულ გორაკებს რომ მიიძოვდა და მიათეთრებდა. ვანში შემოდგომის წვიმები დაიწყო, გალავანზე შეცოცებულ ძალღყურძენას შაშვები შეესია. გარუხებულ ფილაქანზე წითელი ფოთოლი ეყარა. მთებიდან დამრულმა ჯანღმა ქალაქი გადაიარა და ზღვაზე გაწვა. შეშას ცრემლი სდიოდა, მაგრამ არაფერი ჯობდა ცეცხლთან ჯდომას.

ფრიქსეს მიზეზი გამოუჩნდა, ისევე გამოკეტილიყო თავის ოთახში, გამოტილიყო ტახტზე და თვალები ჭერისთვის მიეშტერებინა. მაგრამ ერთ დღეს, ყველასათვის მოულოდნელად, ვაჟიშვილები იხმო. ქარისას გულმა ცუდი უაზრა, მაგრამ მამას შვილებთან განმარტობას ხომ ვერ დაუშლიდა? სანამ ვაჟები მამის ოთახში იყვნენ, ქარისამ ვეღარ მოისვენა, ჯერ საქსოვს მოჰკიდა ხელი, მაგრამ მალე დარწმუნდა, აცახცახებული ჩხირებით აცაბაცა თვლები გამოჰყავდა, და ახლა სამკაულების ყუთი გახსნა, ბეჭდები და საყურეები მაგიდაზე წამოჰყარა და სათითაოდ მოირგო, თითქოს პირველად ხედავდა, მაგრამ დიდხანს ვერც ამას დაუდო გული და ხელის ერთი მოსმით კიტრის ნაფცქვენივით გადახვეტა მაგიდიდან. ბოლოს ისე გამწარდა, მოახლეს ცოცხი გამოსტაცა, ზერელედა ჰგვი, კუთხეებში მტვერი გრჩებაო, მაგრამ ცოცხიც მალე მიახეთქა

კედელს და ოთახიდან გავარდა. ბევრჯერ აუარა-ჩაუარა ქმრის გამოკეტილ ოთახს, იქნებ წამლად ერთი სიტყვა მაინც გამოფრინდესო, მაგრამ ოთახიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა, თითქოს ერთიანად ამოხოცილან, ანდა გაპარულანო. ქარისას ხუთი ყველაზე ახლობელი და საყვარელი ადამიანი ახლა ამ ოთახში იყო, მაგრამ მისი არსებობა ამწუთას არც ერთს არ ახსოვდა. ქარისამ თავი გარიყულად იგრძნო და ისეთი სევდა შემოაწვა გულზე, "შე ბედდამწვარო", მიატირა საკუთარ თავს და მწარე, ხმაურით ჩაყლაპული ცრემლი ესიამოვნა. ქარისა ისეთი ხის ანაჭერი გახლდათ, თავის გაპარტახებულ ეზო-ყურეში სხვას არ ჩაახედებდა, არც ეჭვის ჭიას მისცემდა ნებას, სხვების თვალწინ გამოცოცებულყო. ახლაც უცებ გამოფხიზლდა, ცრემლმა გამოაფხიზლა და ღვარძლიანად გაუღიმა სიცარიელეს. მან მიიღო ქმარ-შვილის გამოწვევა და საბრძოლველად მოემზადა.

ასე გაიარა შემოდგომამ, მერე ზამთარმაც და, როცა კარიბჭის თაღებში პირველი მერცხალი დატრიალდა, მხოლოდ მაშინ იგრძნო ქარისამ, რა დრო გასულიყო ამ უაზრო თვალთვალსა და მიყურადებაში. "კიდევ ერთი გაზაფხულიო", - გაიფიქრა სევდიანად.

მიწა ჯერ კიდევ სველი იყო, ჯერ კიდევ იდო თოვლი შორეულ მწვერვალებზე, ფრიქსემ სახედარს ბარ-ნიჩაბი რომ აჰკიდა, ვაჟებიც თან გაიყოლა და მთებისკენ გასწია. როცა ჰკითხეს, სად მიდიხარ, რა გადაგიწყვეტიაო, ვალიდან ამოსვლაო, უპასუხა ფრიქსემ. ქარისამ თავისი ხელით ჩაულაგა ქმარ-შვილს საგზალი. არც იმათ უთქვამთ, სად მიდიოდნენ და არც ქარისას უკითხავს. სხვებს კი ეუბნებოდა: წავლენ, გაივლიან, კაცები არიან, ახლა მამასთანაც არაფერი გაუჭირდებათო. სანამ მისი ქმარ-შვილი პირველად გავიდოდა უიმისოდ სასახლის გალავანში, სახიდან ღიმილი არ მოშორებია.

სამი თვე სარკმელთან იდგა ქარისა, სამი თვე თავგანწირულად იგერიებდა ავ წინათგრძნობას, რადგან დარწმუნებული იყო, ხუთივენი დაბრუნდებოდნენ, ასე ვერაგულად, სიტყვის უთქმელად არ მიატოვებდნენ, ვერ გაბედავდნენ მის გაცურებას. ხეები აყვავდნენ, დაიკვირტნენ და შეიფოთლნენ კიდევ. ჰაერში ირმის დორბლი დაფრინავდა. სამი თვის თავზე ქალაქში ბარ-ნიჩბების ხმამ მოაღწია და ვანელებმა მალე დაინახეს კიდევ წელამდე თხრილში ჩამდგარი ფრიქსე და მისი ვაჟები. მათ ზურგსუკან პირღია და დაკლავნილი თხრილი ნისლით გაბაცებულ მთებამდე გადაჭიმულიყო. ხუთი კაცი გამალებით თხრიდა მიწას, თხრილის კიდეზე ხმელი პური და ხელადა შემოედგათ. ვანელები შეწუხდნენ, ამ დღეში რომ იხილეს მეფის სიძე და შვილიშვილები, მაგრამ ფრიქსემ ახლოს არავინ გაიკარა: ქალაქში წყლის შემოყვანა ღმერთებმა დამავალეს, რათა ამით მაინც გადაგიხადოთ მადლობა, უპატრონო ბავშვს თავშესაფარი რომ მომეცითო.

- ეს მარტო ჩემი და ჩემი შვილების საქმეა, - მტკიცედ განაცხადა ფრიქსემ და გაოფლილი სახე ხელის ზურგით მოიწმინდა, გალეულ კისერზე ლურჯი ძარღვი უფეთქავდა, მოხრილი და სუსტი ბეჭები მზეზე დასწვოდა.

ქალაქში უფრო გაჭირდა თხრილის გაყვანა, სახლებისთვის გვერდი უნდა აექციათ, ქუჩები გადაეჭრათ, სანამ მთავარ მოედანს მიაღწევდნენ. თხრილით გაგლეჯილ ქუჩებზე მორებს სდებდნენ, ხალხს რომ სიარული შეძლებოდა. მთავარ მოედანზე ფრიქსემ ქვითკირის ნავი

ამოაშენა, თალი დაადგა, თალში ღარი დაატანა და ერთ მშვენიერ დღეს მღვრიე, დაუწმენდავი წყალი, მოთვინიერებული ურჩხულივით, წამოჰყვა თხრილს ნისლით გაბაცებული მთებიდან ქალაქამდე - გზადაგზა ისე იკლავებოდა, თითქოს უხილავი და შემაწუხებელი ტვირთის მოშორებას ცდილობსო - ბოლოს, თალში დატანებული ღარიდან ითქრიალა და პირველ შხეფებს შარშანდელი ფოთლები, ბალახის ხმელი ღეროები და შლამიც გადმოაყოლა. წელამდე შიშველი, მიწაში ამოგანგლული ფრიქსე ნავის კიდეზე ჩამომჯდარიყო, ხელში ჯამი ეჭირა და ხალხს ეპატიჟებოდა: მოდიოთ, გასინჯეთ ჩემი წყალიო. ფრიქსე ბედნიერი იყო, მისი ოთხი ვაჟი იქვე, მის ფეხებთან მიყრილიყო და დაღლილობისაგან მძიმედ სუნთქავდა. წყალი დგაფუნობდა, შხეფებს აფრქვევდა და მთელი ქალაქის თავზე გრილსა და ვერცხლისფერ ბურუსს აყენებდა. ამ ბურუსში გახვეულ ფრიქსეს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ოცდახუთი წლის წინათ დაკარგულ სახლში დაბრუნებულიყო.

ქარისა მაშინაც სარკმელთან იდგა, მოედანზე შეკრებილი ხალხის ჟრიამული ესმოდა და გრძნობდა, როგორ დაშორებოდა ქმარ-შვილს. ისინი კი მობრუნებულიყვნენ, მაგრამ ისეთები არა, ამ სამი თვის წინათ რომ გაესტუმრებინა. სამი თვის უკედლებო, უმეთვალყურო ცხოვრებას, თხრილში ძილსა და ერთი ხელადიდან დაღეულ წყალს ისინი უარესად დაეახლოვებინა და დაემსგავსებინა კიდევ ერთმანეთისათვის. მართალია, ქარისას არც ერთი არ ენახა ჯერ, მაგრამ გრძნობდა, გაუჭირდებოდა მათი ცნობა. იმ ხუთს, სისხლის გარდა, სხვა რაღაცაც აერთებდათ, თითქოს თხრილი თავიანთ გარშემო შემოევლოთ და ქარისა თხრილს აქეთ დაეტოვებინათ. გაღმა ნაპირზე არავინ ეპატიჟებოდა და ქარისას უცებ შეეშინდა ქმარ-შვილთან შეხვედრისა, ისინი უფრო ძლიერებიც ჩანდნენ, თანაც ხუთნი იყვნენ და, თუ მათთან ყოფნა უნდოდა, მარტოს უნდა გადმოედლია ხუთი მამაკაცის ძალა. ის ხომ მარტო იყო. თუმცა არა, ქარისას მედია ჰყავდა, დაცა და ქალიშვილიც. მედია რომ გაახსენდა, შვება იგრძნო, მედია თხუთმეტი წლისაც არ იყო ჯერ, მაგრამ მაინც მისი იყო, მისიანი!

მედია აღმოჩნდა ის ნოყიერი მიწა, სადაც მამიდა ყამარს შეეძლო მშვიდად ჩაეთესა თავისი ცოდნის მარცვალი. მამიდა ყამარი ჯიუტად ებლაუჭებოდა სიცოცხლეს, ქედს არ უხრიდა, ბოლო წუთამდე ჭოკივით წელგამართული დადიოდა, რადგან გული უგრძნობდა, ადრე თუ გვიან, ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდებოდა იმ საქმეს, რომლისთვისაც, ვინ იცის, რამდენი წელი შეეღია. ქარისამ და აფრასიონმა არ გაუმართლეს იმედი. ერთს საამისოდ ქალურმა ქარაფშუტობამ შეუშალა ხელი, მეორეს კი - ბიჭობამ. მამიდა ყამარის რწმენით, ბუნების საიდუმლოებათა ცოდნა მამაკაცის ხელში იგივე იყო, რაც გიჟის ხელში ხანჯალი. ასე რომ, როგორც კი მედეამ ძიძის კალთას გაუშვა ხელი, მაშინვე მამიდა ყამარის იდუმალ სამყაროში შებაჯბაჯდა. ათი წლისას უკვე ცოფიანის დაწყნარებაც შეეძლო და უწყინარის გაცოფებაც. გონიერი და მგრძნობიარე გოგო ადვილად მიიკვლევდა გზას ცოდნის უკაცრიელ ტალანებში. მთელი ქვეყანა, ბალახის ფესვიდან ვარსკვლავამდე, წიგნივით ედო წინ და საკმარისი იყო, წუთით მაინც მოეშორებინა თვალი, მამიდა ყამარი მტაცებელი ფრინველის ნისკარტივით მოკაუჭებულ თითს წიგნზე დაუკაკუნებდა და ისევ შიგ ჩაახედებდა. ეს ბრძნული, იდუმალების ბურუსით გამშვენიერებული წიგნი თანდათან ისე გადაეფოფრა ბავშვის მამიებელ სულსა და გონებას, როგორც კრუხი ერთადერთ კვერცხს, რომლის მოვლა-გამოჩეკაზედაა დამოკიდებული მისი გვარჯილაგის შენარჩუნება. წიგნის სიტყბო-სიმწარეში, სითბო-სიცივეში მედეაც თანდათან



იზრდებოდა და ნათდებოდა; მის სინათლეს დღითიდღე ახალახალი საოცრებანი გამოჰყავდა მარადიულობის წყვდიადიდან. სანამ მისი დისშვილები ღობე-ყორეს ედებოდნენ და ქვეყანა ფეხზე ჰქონდათ ამოცმული, ცოდნის სუსხით შემკრთალი და მობუზული მედეა მამიდის შეგონებებს ისმენდა და იმახსოვრებდა, გადაყრუებულ ტყე-ღრეებსა და ხევ-ხუვებში დაჰყვებოდა და კაბის კალთაში ათასნაირ ყვავილს, ბალახსა და ხავსს იგროვებდა.

- ბალახშია კაცის სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოო, - ეუბნებოდა ჭოკივით გამხმარი და წელგამართული მამიდა.

მამიდა ყამარზე ამბობდნენ, კაცს თუ შეხედა, ადგილზე გააქვავებსო. ეს, რა თქმა უნდა, ტყუილი იყო, მაგრამ მართლა უცნაური თვალეზი ჰქონდა, მწვანე, ცეცხლიანი, გეგონებოდათ, წარბები და წამწამები თვალეზის სიმხურვალეს შეუტრუსიაო. მედეამ იცოდა ამ თვალეზის ძალა, უცნაური ჟრუანტელი დაურბენდა ხოლმე მთელს ტანში, როცა მამიდა ყამარი გამომცდელ მხერას მიაპყრობდა და ეტყოდა: ნეტავი მომინდებოდეს, იმწუთას შენისთანა კნაჭა გოგოდ ვიქცეოდით.

მედეას სჯეროდა, მართლა რომ შეეძლო მამიდამისს კნაჭა გოგოდ გადაქცევა. ის კი არა, უეცრად ორ, ერთნაირად ჭორფლიან, პატარა გოგოს დაინახავდა ხოლმე, კაბის კალთებში ბალახბულახი რომ მოეგროვებინათ და გამხდარი კანჭები მოუჩანდათ. მედეა თავჩაღუნული დაჰყვებოდა მამიდას და გულში ფიქრობდა, ნეტავი მართლა მოუნდებოდეს, ნეტავი მართლა იქცეოდეს ჩემოდენა გოგოდ, ერთს მაინც გადავკოტრიალდებოდით ამ მინდორზეო. მედეამ მამიდისგან იცოდა, ამგვარი ფიქრი დანაშაული იყო, რადგან ცოდნის ადგილს იკავებდა გონებაში; მედეამ ისიც იცოდა, მინდორზე სულელი და არაფრისმცოდნე ბავშვები კოტრილობდნენ, მაგრამ ხანდახან ისე წამოუვლიდა თამაშის ჟინი, თანახმა იყო, ყველაზე სულელი და ყველაზე უვიცი ბავშვი ყოფილიყო მთელს ქვეყანაზე, ოღონდ ერთხელ თავის ნებაზე გაენავარდა.

მამიდა ყამარს ფიქრის წაკითხვაც შეეძლო; უცებ გაუჩერდებოდა, ერთს ისე გამოხედავდა, თითქოს ბუჩქებში ნადირმა დაიღრინაო, და ეტყოდა: სად დაფრინავ, მე ვისთვის ვლაპარაკობო.

მამიდა ყამარი რომ მოკვდა, მედეას არც გაჰკვირვებია და არც ძალიან დასწყვეტია გული, რადგან ესეც ყოვლისშემძლე მამიდის სურვილად ჩათვალა: ალბათ, ასე იყო საჭირო, ალბათ, სიკვდილი ერჩია კნაჭა გოგოდ გადაქცევასო. არც ის გაუკვირდებოდა, ერთ მშვენიერ დღეს სულეთიდან მობრუნებული რომ ენახა.

მამიდა ყამარის ტამარი დარიაჩანგის ბაღში იდგა. მედეა ყოველდღე დადიოდა იქ და მთელმა ქალაქმა იცოდა, როდის გამოჩნდებოდა ჯორებშებმული ეტლი. ეტლზე შემდგარ მედეას მარჯვენაში სადავე ეჭირა, მარცხენაში კი მათრახი. თორმეტ მხევალს კაბები მუხლებამდე აეწია და სირბილით მიჰყვებოდა უკან. ცოტა ხნის მერე, ერთი ჭკუისა და ერთმანეთზე მშვენიერი ცამეტი ქალიშვილი კოცონივით დაბრიალებდა დარიაჩანგის ბაღში. აქ იყო მათი ქვეყანა, მათი სამფლობელო, უცხო თვალს გარიდებული და ტამრის სიახლოვით ჩაწყნარებული. მაგრამ მეორე, უფრო ვრცელი, უფრო დაუცველი და უფრო თამამი ქვეყანა, საიდანაც ყოველ დილას გამორბოდნენ ისინი, ჯორებშებმულ ეტლის მტვერში გახვეულნი, არც აქ აძლევდათ მოსვენებას, აქამდენაც აწვდენდა ტლანქსა და ვნებიან ხმას. ეს ხმა ათრთოლებდა ფოთლებს, ახტუნავებდა კალიებს, აზუზუნებდა ფუტკრებს და გოგოებიც გრძნობდნენ, თავს არ უტყდებოდნენ, მაგრამ

გრძნობდნენ, ამ ხმის ბრალი რომ იყო, თვითონაც თუ ფოთლებივით თრთოდნენ, ფუტკრებივით ბზუოდნენ და კალიებივით მიხტოდნენ ბალახიდან ბალახზე. ისინი ამ ხმას კი არ გაუბოდნენ, თითქოს მასთან ერთად განმარტოებულიყვნენ, რათა უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ, გაეგოთ და შეჩვეოდნენ კიდევ.

დაბნეულ ფეტვის მარცვალსააა...

წამოიწყებდა უცებ რომელიმე გოგო და დანარჩენებიც მაშინვე აჰყვებოდნენ:

რა მოჰკრეფს წიწილის მეტი.

მე და შენის სიყვარულსააა

რა გაჰყრის სიკვდილითის მეტი?

მღეროდნენ და მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდნენ, შეთქმულებივით სახეში შესცქეროდნენ ერთმანეთს, საკუთარი სითამამით შემკრთალნი და აღტაცებულნი. სიტყვებს ამოფარებული საიდუმლო დანაშაულის ტკბილ ბურანში ხვევდათ.

მედეას კი ამ სიმღერაში ყველაზე ძალიან წიწილა მოსწონდა, ფეტვის მარცვალს რომ კენკავდა, ყვითელი და გაფუყული.

აქანავებულ რტოებში ხანდახან ზღვის ლურჯი, ფიქრიანი თვალი გამოკრთებოდა და ახლა ზღვისკენ გაუწევდათ გული. საბანაო ადგილიც მყუდრო და მოხერხებული შეერჩიათ, მხოლოდ ზღვას შეეძლო მათი სიშიშვლის დანახვა. რადგან იმალებოდნენ, ალბათ, იცოდნენ კიდევ, რატომაც იმალებოდნენ, რა სჭირდათ დასამალი. ზღვა თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა. ადგაფუნებულ წყლიდან ხან ვარდისფერი დუნდული გამოაჰყეტდა, ხან მარმარილოს ფიქალივით თეთრი მუცელი, ანდა ძუძუს ხორკლიანი დვრილი. მერე გახურებულ სილაზე დაეყრებოდნენ და მზისგან დავიწროებულ თვალს ცას მიაბჯენდნენ. იმ მეორე ქვეყნიდან წამოყოლილი ხმა ახლა მათ საფეთქლებში გუგუნებდა. ისინიც გატრუნულნი უსმენდნენ და ამაფორიაქებელი, ძნელად მოსარევი სიხარული ეუფლებოდათ, როგორც საჩუქრის მომლოდინე ბავშვებს.

ქარისა რომ შემოვიდა, მედეა თმას ივარცხნიდა. თმა ნაუცბათევად გაიკრა უკან და სარკე გვერდზე გადადო.

- რა ლამაზი ხარ, - უთხრა ქარისამ.

მედეას გაეღიმა და უნებურად თვალი ისევ სარკისკენ გააპარა. ქარისა დას გვერდით მიუჯდა, შუბლზე აკოცა და გაუმეორა, ძალიან ლამაზი ხარო.

ქარისამ იცოდა მოსიყვარულება, არც საქებარ სიტყვას დაიშურებდა ვინმესთვის. თვითონ რომ ყველაზე ლამაზი იყო, ეჭვიც არ ეპარებოდა, მაგრამ ეს სილამაზე სხვებისთვისაც უნდა ყოფილიყო ასატანი, სხვებსაც უნდა ეღიარებინა იგი. ამიტომ არც ქარისა ივიწყებდა უმნიშვნელო ქრთამის გაღებას. ტკბილი სიტყვის დამადლება ისეთივე დანაშაულად მიაჩნდა, როგორც ავადმყოფთან ხელცარიელი მისვლა.

მედეა უშნო გოგო არ იყო, მაგრამ არც ლამაზი ეთქმოდა, ამინდივით ცვალებადი გარეგნობა ჰქონდა, არა მარტო სახის ნაკვეთები, მთელი სხეული შეეცვლებოდა ხოლმე, თვალების ფერიც კი. ერთი წუთის წინ აყვავებული ტოტივით ნაზი და ვარდისფერი, შეიძლება, უცებ ჩიხში მიმწყვდეულ ნადირს დამსგავსებოდა, ერთდროულად რომ ჩასდგომია თვალებში სევდაცა და მრისხანებაც.

- შენს ქმარს თავი სიზმარში უნდა ეგონოს და გამოღვიძებისა ეშინოდეს, - თქვა ქარისამ.

მედეამ გაიღიმა. "ეს რომელი კაბა გაცვიაო", - ჰკითხა ქარისამ და მკერდზე ხელი ჩამოუსვა. მედეამ კაბაზე დაიხედა.

- ყველას გადია მე ვარ. ჩემთვის დროც აღარ მრჩება, - თქვა ისევ ქარისამ და ახლა იმან გაიღიმა.

მერე კარგა ხანს დუმდნენ ორივენი. ქარისამ უცებ მოიწყინა, რაღაცას დასჩერებოდა იატაკზე. მედეამ კი არ იცოდა, რა ეთქვა, და უცებ შვება იგრძნო, დის ხმა რომ შემოესმა ისევ:

- ვისაც მე არ ვუნდივარ, წყალს წაუღია ყველანი, ქმარიცა და შვილებიც. ქოთანიც შენ უნდა გაუტანო, რადგან მოახლისა რცხვენია, შენი კი არა.

მედეა დაიძაბა. ქარისა სხვას ამბობდა, უჩვეულოს, რაზედაც არასოდეს არ ულაპარაკიათ ადრე. მედეამ იცოდა, ქალები რომ თხოვდებოდნენ, კერპად რომ იხდიდნენ თავიანთ ქმრებს და მართლაც ტაძრის მხეველებივით ტრიალებდნენ ოჯახში, მაგრამ ეს სხვა ქვეყანაში ხდებოდა და იმ ქვეყნისა მედეას არაფერი გაეგებოდა, არაფერი იცოდა, გარდა იმ სულელური ლექსისა, მისი მხეველები რომ მღეროდნენ დარიაჩანგის ბაღში. ის ქარისას ქვეყანა იყო. მართალია, ისა და ქარისა დები იყვნენ, მაგრამ ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როგორც წყალი ღვინისაგან. მედეა ღვთაებას ეკუთვნოდა, ქარისა კი მამაკაცს. მამიდა ყამარმა მედეა თავიდანვე მთვარის მხეველად განაწესა და, შეიძლება, ამიტომაც არასოდეს არ უფიქრია სხვანაირ ცხოვრებაზე. არც მისი ბავშვობა ჰგავდა სხვებისას. ერთადერთ თოჯინას, თვითონვე რომ შეეკოწიწებინა, აქამდე სასთუმლის ქვეშ მალავდა უკანონო შვილივით, რადგან გრძნობდა, ისიც იმ ქვეყნიდან, მედეასთვის აკრძალული ქვეყნიდან იყო მოგზავნილი და მასაც იქითკენ ეწეოდა. მედეას კი იქით გახედვისაც ეშინოდა. მაშინვე მამიდა ყამარის ცეცხლოვანი თვალები და მტაცებელი ფრინველის ნისკარტივით მოკაკვული თითი დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ. მამიდა ყამარისგან მემკვიდრეობით მიღებული ცოდნა სარქველივით აწვებოდა მის არსებაში ჩაბუდებულ ქალობას, სინათლესა და ჰაერს უხშობდა, არ აძლევდა თავის წამოწევის ნებას. მედეამ ჯერ არ იცოდა, რომ მთელ მის ცხოვრებას მისივე ქალურობის ის პატარა, ძალით მიჩქმალული, ჯერ კიდევ

განუვითარებელი ყლორტი წარმართავდა, რითაც ბუნებას დაეჯილდოებინა და არა იმავე ბუნების საიდუმლოებათა ცოდნა, რაც მამიდა ყამარისგან მიეღო. ეს სხვა ცოდნა იყო და ჯერ წყვილიაღში თვლიდა, თუმცა უკვე იმშუშნებოდა ძილში, როგორც ღრმად ჩაძინებული პატიმარი მედილეგეს ნაბიჯების ხმაზე. ნაბიჯები ახლოვდებოდა, დილეგის თავზე ტრიალებდა და ძლიერდებოდა. მედეას შესცივდა და მოიბუზა. ქარისამ გადაიკისკისა.

- ალბათ ისე შეგაშინე, კაცისკენ აღარც გაიხედავო, - თქვა ქარისამ და ისევ გადაიკისკისა.

- არა, - გააგრძელა თვითონვე, - ოჯახში სიამტკბილობაც ბევრია, ვინც გიყვარს, წყალსაც მიაწვდი და ქოთანსაც.

მედეამ არ იცოდა, რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო. ერთს კი გრძნობდა, რაღაცის მიხვედრას თხოულობდნენ მისგან, რაღაცის, რასაც მისი უფროსი და ასე აეფორიაქებინა. მედეამ არც ის იცოდა, ქარისას ჭია რომ გასჩენოდა და კოდალას ნატრულობდა. კოდალის მეტი არაფერი არ უნდოდა, ის ჭია რომ ამოეცლია თავისი ბასრი ნისკარტით. მედეამ რამდენჯერმე დააპირა კიდეც ეთქვა, უფრო გასაგებად მითხარი, რა გაწუხებს, ხომ ხედავ, ვერ მივმხვდარვარო, მაგრამ თავი შეიკავა. თუ ქარისა "უფრო გასაგებად" არ ამბობდა, ალბათ არც იყო საჭირო. მედეა თვითონ იყო დამნაშავე, მისი მიუხვედრელობის ბრალი იყო, თვითონაც რომ წვალობდა და დასაც აწვალებდა. ქარისამ კი სრულიად მოულოდნელად ისეთი რამ ჰკითხა, უარესად დააბნია: შენ თუ იცი, როგორ ქოთს ავადმყოფის ლოგინიო. საბედნიეროდ, პასუხს აღარ დაუცადა და გააგრძელა: ვინც არ უნდა იწვევს შიგ, სულერთია, მაინც წამოგაზიდებს, მაინც შეიკავებ სუნთქვას, სანამ შეგემლება, სანამ რამეს არ მოიმიზეზებ და არ გამოიმურწები გარეთო.

"რომ მომინდებოდეს, მაშინვე შენისთანა კნაჭა გოგოდ ვიქცეოდიო", - რატომღაც გაახსენდა მედეას მამიდა ყამარის სიტყვები. ამ სიტყვებს მამიდა ყამარი ხშირად იმეორებდა და მედეასაც ყოველთვის უკვირდა, რატომ არ უნდა სდომებოდა მამიდას პატარა გოგოდ გადაქცევა, ცოტა ხნით მაინც. "იქნებ ამიტომო", - გაიფიქრა მედეამ, რადგან უცებ იგრძნო, რაღაც ბუნდოვანი, ძნელად ხელჩასავლები კავშირი რომ არსებობდა ყველა კნაჭა გოგოსა და ქარისას ნალაპარაკებს შორის, ხოლო რასაც ქარისა ამბობდა, იმდენად ამაზრზენი ჩანდა, მედეას უკვე ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა იგი. ქარისა, თავისდა უნებურად, სწორედ იმ კარს აჯაჯგურებდა, რომლის იქითაც მედეას ნამდვილ ბუნებას ჯერ კიდეც ეძინა, მაგრამ მძინარესაც ესმოდა და აღიზიანებდა ეს უსიამო ხმა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მის გამოღვიძებას რომ ცდილობდა.

მაგრამ ასე დამდურებულივით ჯდომაც უსინდისობა იქნებოდა მისგან. ქარისა თვალებით სთხოვდა, ხმა ამოელო, რამე ეთქვა, დაემშვიდებინა, მხარი დაეჭირა, აპყოლოდა. ყოველ წუთას შეიძლებოდა, წარბები შეეწკიპა, გაბრაზებულიყო და მედეას დუმილი განდგომად ჩაეთვალა.

- როგორ მიხარია, ფრიქსე რომ წამოდგა, - თქვა უცებ მედეამ.

ფრიქსეს ხსენებაზე ქარისა გველნაცემივით შეკრთა, გაკვირვებული სახე დაედო. ერთი ცხადი იყო, მედეას ვერაფერი გაეგო, ანდა ეშმაკობდა და თვალს არიდებდა სატკივარს, რომელსაც ქარისა აჩეჩებდა. ქარისა ამისთვის მოვიდა მხოლოდ, თავისი სატკივარი უნდოდა მოემორებინა, როგორც ნივთი, რომლის დანიშნულებისა არაფერი გაეგებოდა, ვერ მიმხვდარიყო, რაში

გამოყენებინა საერთოდ. არც მედია აურჩევია შემთხვევით. რაც არ უნდა ყოფილიყო, სხვა ქალებით არ იზეიმებდა მაინც, როცა გაიგებდა, მისი უფროსი და ქმარს აღარ უნდოდა, თავს არიდებდა და ემალებოდა, როგორც გაზულუქებული ბავშვი გადიას. ქარისა ამის შესაჩივლად მოვიდა სწორედ, სიმარტოვისა შეეშინდა და დასთან გამოიქცა. მაგრამ მაშინვე იგრძნო, დისთვისაც რომ გაუჭირდებოდა ბოლომდე გულის გახსნა. ეჭვიც არ ეპარებოდა, მედია თანაუგრძნობდა, მაგრამ ახლა სწორედ ამ თანაგრძნობისა შეეშინდა. თუკი თანაგრძნობას დაიმსახურებდა, ასე თუ ისე, მაინც დამცირდებოდა მედეას თვალში, ამით მისი სატკივარი მხოლოდ გაიზრდებოდა, რადგან ახლა ორს ეცოდინებოდა ის, რაც აქამდე მარტო მან იცოდა. მეორე, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, უკვე ეჭვის თვალით დაუწყებდა ცქერას, შეეცდებოდა თვითონაც აღმოეჩინა ის ნაკლი, რის გამოც შეიძლებოდა გული აპყროდა ქმარს ამ მართლაც მშვენიერსა და მარად მოღიმარ ქალზე. ისევ თვალთმაქცობა ჯობდა და ქარისაც თვალთმაქცობდა. მედეას არარსებულ ქმარს თითქმის უქნევდა, აფრთხილებდა, ემუქრებოდა კიდევ, თუკი მოლოდინებოდა, თუკი გვერდზე გაექცეოდა თვალი მას მერე, როცა მედეას საქალწულე სარტყლის შეხსნის ნება მიეცემოდა. "არ ვაპირებ გათხოვებასო", - ეუბნებოდა ცრემლნარევი ხმით მედია, მაგრამ ქარისა მაინც თავისას განაგრძობდა, უკანვე რომ ჩაებრუნებინა მთავარი სათქმელი, რისი გულისთვისაც მოსულიყო, რისი გულისთვისაც საერთოდ დაეწყო ლაპარაკი. "კაცი ცოლითაა ამაყიცა და ბედნიერიც", - ბობოქრობდა ქარისა, მაგრამ როცა მედეამ მოულოდნელად ფრიქსე ახსენა, უცებ წყალი გადაესხა, ისე გამოხედა მედეას, თითქოს პირთან მიტანილ ჯამზე ხელი აუკრესო. მედეას გული დაუმძიმდა, ავმა წინათგრძნობამ გუნება მოუშხამა, რადგან უცებ მთელი არსებით იგრძნო, რა საცოდავი და უბედური იყო მისი უფროსი და, ერთდროულად ისიც იგრძნო, რა ძლიერი და დამთრგუნავი იყო კერპი, ქარისას რომ აერჩია. უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში მედეას უცნაური ფაჩუნი შემოესმა და უნებურად გულზე აიფარა ხელები, თითქოს ვინმეს შეეძლო დაენახა, როგორ იშლებოდა მისი გული, მზედაკრულ კვირტივით.

- შენ კი ბედნიერი იქნები, - თქვა ქარისამ.

ფრიქსეს ვაჟები ახლა ყოველდღე იკრიბებოდნენ მამასთან. იქიდან დაბრუნებულებს ისეთი სახეები ედოთ, თითქოს დიდ დანაშაულს სჩადიოდნენ. ყველას თვალს არიდებდნენ. ოთხივეს ერთნაირად ჰქონდა სახე ალექსილი. თვალებიც სიცხიანივით ულაპლაპებდათ. ქარისა გრძნობდა, მასსა და ქმარ-შვილს შორის საიდუმლო გაჩენილიყო, რომელშიაც არც წილი ედო და არც ადგილი ჰქონდა. იტანჯებოდა, მაგრამ სიამაყე მაინც არ აძლევდა ნებას, თავი დაემდაბლებინა და შვილებისთვის ეთხოვნა, გამაგებინეთ რა ხდებო.

შვილებს დედა ძველებურად, ისევ მთელი გულითა და სინაზით უყვარდათ, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო ერთადერთი სიყვარული. ქარისას მეტოქე გასჩენოდა, მაგრამ იმ მეტოქის არც სახე იცოდა და არც სახელი, ამიტომაც უფრო მეტად ეშინოდა მისი და უკვე აღარ ჩქარობდა მასთან შეხვედრას.

მაგრამ ეს საიდუმლოც ისევე მოულოდნელად და მარტივად გაიხსნა, როგორც ყველა საიდუმლო. ერთ დღეს, როცა მთელი ოჯახი სადილად იჯდა, ფრიქსეს უფროსმა ვაჟმა არგუსმა

თასიდან ღვინო მოწურუპა და თქვა: ჩვენი ზღვა ღვინისფერიაო. დანარჩენი სამი ვაჟი დედას ისე დაჟინებით მიაშტერდა, ქარისა უნებურად დაიძაბა, რაღაც ითქვა, რაღაც მნიშვნელოვანი, რაც ბევრ რამეს აუხსნიდა, უფრო ყურადღებიანი რომ ყოფილიყო. ქარისამ ფრიქსეს შეხედა. ფრიქსემ იგრძნო ცოლის მზერა, ყვრიმალნი აუწრიატდა, მაგრამ თავი მაინც არ აუღია. მერე თვითონაც მოსვა ღვინო, თასი გვერდზე გააჩოჩა და არგუსს უთხრა: ოღონდ ამ ღვინისა არა, ჩვენებურ ღვინოს სხვა ფერი დაჰკრავსო.

მაშინ კი მიხვდა ქარისა, რომელ ზღვაზე და რომელ ღვინოზე იყო ლაპარაკი. უცებ მოეშვა, ხელები კალთაში ჩაიწყო და მწარედ გაიღიმა მოტყუებული კაცივით, სხვა ადგილას რომ მიატანინეს ტვირთი. "რამდენი ხანია კაბა არ გამომიცვლიაო" - გაიფიქრა ქარისამ და უცებ იგრძნო, როგორ ბრაზდებოდა, როგორ ეკიდებოდა ცხელი ქარი თმის ძირიდან ფეხის ფრჩხილამდე. იმიტომ კი არა, საშინელების მოლოდინი რომ გაუწილდა, არამედ იმიტომ, ასე რომ იჯდა ქმრისა და შვილების თვალწინ, დაღლილი კაცივით მობუზული, კალთაში ხელებჩაწყობილი. ქარისამ ხელი ისე დაჰკრა მაგიდაზე, ღვინით სავსე თასი იატაკზე გადმოვარდა და ჟღერიალ-ჟღერიალით დაბზრიალდა.

- რას მებუტებით, გველი ხომ არ შემიწვავს თქვენთვის! - იყვირა ქარისამ.

ფრიქსემ სადილი მიატოვა და თავის ოთახში გაიძურწა. შვილებმა ვერ გაბედეს ადგომა, თითო ლუკმა კიდევ წაილოდნეს ძალისძალათი, თითქოს მართლა გველის ხორცსა ჭამდნენ, მერე დედას მადლობა გადაუხადეს სადილისთვის და წამოიშალნენ. ფრონტისმა ფეხი აითრია, მაგრამ პირგამეხებულ დედასთან მისვლა მაინც გაუჭირდა და უფროს მძებს გამოედევნა. ქარისა მარტო დარჩა, თავს გამარჯვებულად თვლიდა, მაგრამ იმის ნაცვლად, ეზეიმა, უფრო და უფრო ბრაზდებოდა. "რა მემართებაო", თვითონვე უკვირდა, მაგრამ ჭურჭელი ისევ ზრიალით ჩამოდიოდა თაროებიდან და მის ფეხებთან იმსხვრეოდა. მან უკვე იცოდა თავისი მეტოქის სახელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც თმით დაითრევდა და ვერც თვალეხს ამოკაწრავდა. ის აქედან ძალიან შორს იყო, ამიტომ უფრო ძლიერიცა და ღირსეულიც ჩანდა. ქარისას ისღა დარჩენოდა, ჭკუისთვის მოეხმო და ღმერთებისთვის მადლობა შეეწირა, მისი მეტოქე ჩვეულებრივი, მოკვდავი ქალი რომ არ აღმოჩნდა, დედაკაცი დედაკაცის ნაშობი, რომლის მეტოქეობა, უბრალოდ არსებობაც კი, მართლა მიწასთან გაასწორებდა მის ქალურ სიამაყესა და პატივმოყვარეობას. კაცმა რომ თქვას, ქარისას უფლებაც არ ჰქონდა, დაეშალა შვილებისთვის მამის სამშობლოს სიყვარული; ალბათ, არასოდეს მოუვიდოდა თავში ამგვარი აზრი, მის ქმარ-შვილს ყველაფერი საიდუმლოების ბურუსში რომ არ გაეხვია. ქარისას ქალური ღირსება გადარჩენილი იყო, შეულახავი, მაგრამ ასე არასოდეს არ გაცოფებულა, შეიძლება იმიტომაც, თავი სამშვიდობოს რომ დაიგულა. ახლა სხვა სახე მიიღო ქმარ-შვილის გაუთავებელმა ჩურჩულმაც: "რადგან მიმაღავენ, ეტყობა, ჩემი შიშიც ჰქონიათო", დაასკვნა გუნებაში და გადაწყვიტა იქით შეეტია შეთქმულებისთვის, მართლა ეგრძნობინებინა თავისი ძალა და ძალაუფლება, რათა ერთხელ და სამუდამოდ შეეგნოთ, ვისთან ჰქონდათ საქმე. უპირველეს ყოვლისა კი მედეასთან მივიდოდა, გულში ნაზად ჩაიკრავდა და ეტყოდა: თუ გიყვარვარ, იმდღევანდელი ჩემი ლაპარაკიცა და საქციელიც დაივიწყე, უძინარი ვიყავი და შენც გაგაწვალე, ჩემო პატარა, ჩემო ლამაზო და ჩემო სულელო დაიკონაო. ვინ იცის, რას არ ფიქრობდა მედეა. თუმცა ისეთი სახე

ედო, თითქოს ვერაფერს ხვდებო, მაგრამ ხომ შეიძლება, ეთვალთმაქცა. არც ისეთი გულუბრყვილო იყო, როგორადაც თავს აჩვენებდა. მაგ ხნისას უკვე შვილი ჰყავდა ქარისას.

მართალია, უეცარი განდგომა არც სიცოცხლეში აპატია ქარისამ ქმარს და არც მკვდარს დაუვიწყა, მაგრამ მათი ურთიერთობა, ასე თუ ისე, მაინც გამოსწორდა. ოჯახი ისევ ოჯახს დაემსგავსა, გარედან ასე ჩანდა, უფრო სწორად, გარედან არ ჩანდა გათიშული საწოლი და ქარისას შეეძლო მშვიდად ყოფილიყო.

ერთ საღამოს ქარისა სავარძელში იჯდა და ქსოვდა. ფილაქანზე გაგორებულ ძაფის გორგალს კატა ეთამაშებოდა. ფრიქსე ტახტზე გამოტილიყო, ჭერს შესცქეროდა. ვაჟები კუთხეში მიმსხდარიყვნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. ბოძის ბზარში ჩამალული ჭრიჭინა გულსაკლავად მოთქვამდა. მისი გაბმული ხმა ოთახში გამეფებულ სიმყუდროვეს უფრო ამძაფრებდა. უცებ ქარისამ თავი აიღო და ყველას გასაგონად თქვა: ისე არ მომკლა, ჩემი ქმრისა და შვილების სამშობლო არ ვნახო. ამას კი მართლა არავინ მოელოდა ქარისასაგან, არც ქმარი და არც შვილები, არც ჭრიჭინა, რადგან უცებ ისიც გაჩუმდა. ფრიქსე ტახტზე წამოჯდა და შიშველი ტერფებით ფლოსტებს დაუწყო ძებნა.

- მართლა ამბობ?! - ჰკითხა ხელისგულებით ტახტის კიდეზე დაყრდნობილმა და წინ გადმოხრილმა ფრიქსემ.

"მართლა ვამბობ", - დაუდასტურა ქარისამ და ვითომც აქ არაფერიაო, ისევ განაგრძო ქსოვა. ფრიქსე და მისი ვაჟები აწრიალდნენ, წამოიშალნენ და ნელ-ნელა, ლაპარაკ-ლაპარაკით ქარისას გარშემო მოგროვდნენ. ქარისა კი ქსოვდა, იღიმებოდა და თავს მშვიდად იქნევდა. ვაჟებს სიხარულით გული ებერებოდათ, ტკბილად მოღიმარი დედა თავს რომ უქნევდა და უწონებდა მამის მონაყოლით გაცნობილსა და შეყვარებულ ქვეყანას. ყველანი ენად გაიკრიფნენ, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, რადგან ქარისას ღიმილს მეუღლისა და დედის ჯადოქრული ძალა დაბრუნებოდა.

- დედილო, ჰაი, დედილო, - ჭიკჭიკებდნენ ფრიქსეს ვაჟები, - თურმე მამის ქალაქში ერთი დედაბერი გოგრის თესლსა ჰყიდდა. მამა და უბედური მამიდაჩვენი ძიძას ეპარებოდნენ, გოგრის თესლი რომ ეყიდათ. ისეთი გემრიელი ყოფილა, იმის გემო მამას ახლაც ახსოვს. ძიძას კი იმიტომ ეპარებოდნენ, მეფის შვილები რომ იყვნენ და გოგრის თესლის ჭამას არავინ დაანებებდათო.

ბედნიერებისგან სახეგაბადრული ფრიქსე ცოლს სახეში შესცქეროდა, თითქოს იმ გოგრის თესლის ხსენებაზე ქარისასაც პირწყალი უნდა მოსვლოდა. ქარისა კი ქსოვდა, იღიმებოდა და თავს მშვიდად იქნევდა.

იმ ღამეს ფრიქსემ დიდხანს იწრიალა ლოგინში, ვერ იქნა და ვერ დაიძინა, ძიძმა კარი არ გაუღო. ფრიქსეს რაღაც აკლდა, სხეულის რომელიღაც ნაწილი, ურომლისოდაც წონასწორობას ვეღარ იცავდა და ამიტომაც ვერც ძილის სამეფოში შეეღწია. როდის-როდის გონება გაუნათდა და მიხვდა, რომ ის "რაღაცა" ქარისა იყო, მისი საწოლის მონახვერე და მისი ვაჟების დედა. ამ აღმოჩენამ ფრიქსე დააფრთხო, რადგან უცებ ისიც იგრძნო, ამ ხნის განმავლობაში როგორ გადაჩვეოდა საკუთარ ცოლს. ახლა რომც მოგვეკლათ, ასე უბრალოდ ვეღარ გადახდიდა საბანს. ის

გზა, რომელიც თავის დროზე, ბედისა და უბედობის გამო, არ გაეწეო ქარისას დასაუფლებლად, მთელი სიძნელეებითა და ხიფათებით ახლა წამოყვლავებულიყო. ფრიქსე ჯერ გზის თავში იდგა, ქარისა კი გზის ბოლოში. მოულოდნელად გაჩენილმა მანძილმა მუხლები მოჰკვეთა. ყველაზე დიდი უბედურება კი ის იყო, საკუთარი ცოლისა რომ რცხვენოდა. "რა პირით მივადგეო", - ბრაზობდა ფრიქსე, რადგან გრძნობდა, სურვილიც თანდათან უფრო აუტანელი ხდებოდა. გრძნობდა ქალის სიძლიერესაც და იმასაც, ეს ქალი მას რომ აღარ ეკუთვნოდა. ქალი, რომელიც მეუღლედ დაისვა, რომელმაც ოთხი ბავშვი გაუჩინა, მისთვის მიუღწეველი აღმოჩნდა უცებ. ამით იყო ის ქალი ძლიერი, ამით აბამდა და აშეშებდა ერთ ადგილზე ფრიქსეს მამაკაცურ ძალასა და ჟინს. "რა კაცი მე ვარ, - ფიქრობდა ფრიქსე, - ბალღივითა ვწვალობ. ისიც ისე მექცევა, თითქოს მართლა ბალღი ვიყო. ძილის წინ ფეხები უნდა დამებანინებინა და მაშინ სხვანაირად წავიდოდა საქმე. ქალს თუ დაუთმე, დაგზავრავს და ახიც იქნებაო".

ფრიქსე პირველად იყო ამგვარ დღეში, მის არსებაში ერთმანეთს ებრძოდა ყმაწვილური სიმორცხვე და მამაკაცური სურვილი. მან იცოდა, ქალზე უფლება რომ ჰქონდა, მისი რწმენით, ის მისი საკუთრება იყო და ევალეობდა კიდევ მისი ყველა სურვილის აღსრულება. ვინ იცის, იქნებ ქალსაც დიდი სიხარულით შეესრულებინა "მისი ყველა სურვილი", მაგრამ სწორედ სურვილის გამხელა ვერ გაეხედა ფრიქსეს, ვერაფრით ვერ გადაელახა მოულოდნელად გამომტყვრალი საზღვარი სიმორცხვისა თუ მორიდებისა, რომლის იქითაც ადამიანს ყველაფერი ბუნებრივად და შესაძლებლად ეჩვენება. არ ყოფილა შემთხვევა, ეს საზღვარი გადაულახავი დაეტოვებინოს ვინმეს, მისი გადალახვა აუცილებელიცაა, თუკი ცხოვრება გინდა, მაგრამ გადალახვასაც გააჩნია. ზოგი დაუდევრად, ტლანქად, უყოყმანოდ, დაუფიქრებლად, ბრმად, ჯიუტად, უკან მოუხედავად, გალადებული პირუტყვივით გადათელავს ხოლმე ადამიანის სულში გაკიაფებულ ამ ფარღალალა სინათლეს, ისე გადათელავს, მისგან კვალიც აღარ რჩება. ერთი პირობა ფრიქსემაც გადაწყვიტა, შესულიყო ცოლის ოთახში და კი არ ეთხოვა, არამედ მოეთხოვა, არა, არც მოეთხოვა, უბრალოდ აელო, როგორც საკუთრება. ასე და მხოლოდ ასე დაისჯებოდა ღირსეულად ქალის გულგრილობა და უყურადღებობა, რომელსაც ქმრიდან ორ ნაბიჯზე, ალბათ, მშვიდად ეძინა. ფრიქსე თავს იქეზებდა, სიმორცხვისა და მორიდების უკანასკნელ ბორკილებს იშორებდა, რადგან ქალი, რომლის დასჯასაც ვითომ იგი ფიქრობდა, ახლა მისთვის ყველაზე სასურველი და ყველაზე მიუღწეველი ქალი იყო; ამავე დროს სულ ორ ნაბიჯზე იმყოფებოდა მისგან, იმავე ჭერქვეშ, იმავე კედლებში, იმავე ჰაერს სუნთქავდა და მიუხედავად იმისა, რომ ამდენი საერთო ჰქონდათ, არც კი ახსოვდა ფრიქსე, თითქოს არც არსებობდა. ფრიქსეს კი მისი სიმხურვალე ფეხით დაჭერილ ფრინველივით ფრთებს უტყლაშუნებდა სახეში და თვალებს უბნელებდა, მთელი სხეული ისე უცახცახებდა, თითქოს ეს წუთია რაღაც დიდი ბოროტმოქმედება განეზრახა, განეზრახა კი არა, უკვე ჩაედინა, მაგრამ ისევ დანაშაულის ადგილზე იტკეპნებოდა, ვერ გარბოდა, სინდისი აღარ უშვებდა. ფრიქსე იტანჯებოდა, ავადმყოფურად აღვზნებული სურვილი მართლა უჩენდა დანაშაულის გრძნობას, რადგან დამალული იყო, გაჭიანურებული და მომაბეზრებელი.

ფრიქსეს წარმოდგენით, ქარისას აუცილებლად უნდა სძინებოდა, და მხოლოდ მაშინ გაიღვიძებდა, როცა მკლავებში ეყოლებოდა მომწყვდეული, როცა უკვე გვიან იქნებოდა. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა წამოსადგომად მოემზადა, ერთი წამით გაიფიქრა, ხომ შეიძლება ეღვიძოსო.



ამ გაფიქრებამ ცივი წყალი გადაასხა; რა უნდა ეთქვა ცოლისთვის, თუ მართლა გაღვიძებული დახვდებოდა? ამაზე არც ეფიქრა, რადგან მხოლოდ იმას ნატრობდა, ყველაფერი ულაპარაკოდ, სიტყვის უთქმელად მომხდარიყო. სიტყვით გამოთქმული მისი სურვილი დამამცირებლად და სამარცხვინოდ ეჩვენებოდა. ფრიქსემ ახლა სხვანაირად დაიწყო ფიქრი, უფრო საკუთარი გაუბედაობისა და სილაჩრის მისაჩქმალად: "თვითონ მოვა, არ შეიძლება არ იგრძნოს და არ მოვიდესო". მერე ეს ფიქრი ისე დაიჯერა, რამდენჯერმე მოეჩვენა კიდეც, თითქოს ოთახში ფეხაკრეფით ვიღაც შემოვიდა. ჩვენება იმდენად ცხადი იყო, სუნთქვა შეეკრა და საწოლზედაც წამოიწია. ქალის აქ შემოსვლა ფრიქსეს უფრო ბუნებრივად მიაჩნდა, ქალს აუცილებლად უნდა ეგრძნო მისი სურვილი, უნდა გაეგო მისი გულის ბაგაბუგი, თუკი ქალი იყო, თუკი ცოლი ერქვა, უნდა მოსულიყო, აუცილებლად უნდა მოსულიყო და ეთქვა: "აჰა, მოვედი შენი ყველა სურვილის აღსასრულებლადო". "რატომაც არა, - ფიქრობდა ფრიქსე, - განა მას კი შეუძლია მშვიდად დაძინება?" ფრიქსემ ისე დაძაბა გონება, სრულებითაც აღარ გაჰკვირვებია, ოთახში ქარისა რომ შემოვიდა.

- მე შენი საკუთრება ვარ, - თქვა ქარისამ, - განა უკვე ყველა სურვილი შეგისრულე?

ქარისას თეთრი, გამჭვირვალე პერანგი ეცვა. ფრიქსეს ეს პერანგი მხოლოდ ერთხელ ენახა და უკვე კარგა ხნის დავიწყებული ჰქონდა. ეს პერანგი ეცვა ქარისას მათი ქორწინების პირველ ღამეს. სწორად ჩამოვარცხნილი თმა ბოლოში გაენასკვა და მხარზე გადმოეგდო. თხელი, ჰაეროვანი პერანგი ოდნავ დაქანებულ მკერდსა და მუცელზე ისე მიჰკვროდა, თითქოს ვიღაც უჩინარი სულს უბერავდა. სუსტი ხორბლისფერი მკლავები უღონოდ ჩამოეშვა. "რატომაც არა?" - ისევ გაიფიქრა ფრიქსემ, ნერწყვის გადაყლაპვა გაუჭირდა და საწოლში უნებურად ჩაიჩოჩა. ამ უნებლიე მოძრაობისა თვითონვე შერცხვა, მაგრამ იხტიბარი აღარ გაიტეხა, საბანი გადაიდრო და ქალს დაენახა.

"მაპატიე, მაპატიე" - ლულულულებდა ცოტა ხნის მერე ფრიქსე და ქალის წარმოდგენილ ძუძუებს კოცნიდა. ქალი უხმოდ ტიროდა. ფრიქსე ვერ ხედავდა ცრემლს და ამიტომაც ჩვეულებრივი ცრემლის წვეთი საოცრად დიდი ეჩვენებოდა. ერთდროულად დაფასებულებდა და დამცირებულებდა, ქვეცნობიერად გრძნობდა, მისი ბუნება ამ ორივე, ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობას უმტკივნეულოდ მიიღებდა, რადგან იმასაც გრძნობდა, ეს რომ იყო სწორედ ნანატრი თავისუფლება, რომელსაც დედაკაცის სუნი და ცრემლის სიმწარე უფრო ცხადსა და ხელშესახებს ხდიდა. ქალის დამშვიდებული ხელი ფრიქსეს ზურგზე მრავალფეხა, მაგრამ უწყინარი ცხოველივით დაცოცავდა, თითქოს საცმუცნავს დაეძებსო. ამ ორ სხეულს არ შეეძლო და არც უფლება ჰქონდა ერთმანეთის უარყოფისა. ისინი ერთმანეთს სჭირდებოდნენ, ერთმანეთს ავსებდნენ და ალამაზებდნენ: მათ შორის სრული თანხმობა სუფევდა და ამ თანხმობას მათი გათიშვა დაარღვევდა მხოლოდ, რადგან მათი შეერთებით იქმნებოდა ის სრულყოფილი სხეული, ბუნების გამომგონებლურ ნიჭსა და გატაცებას ორ ნაწილად რომ გაეყო.

"რომ მეღალატნა, რას ფიქრობდიო" - თქვა უცებ ქალმა და სველი ლოყა მხარზე შეახოცა.

მთლიანად არც ერთი ქალი არ ნებდება მამაკაცს. მას ყოველთვის რჩება პატარა, ხელუხლებელი, შეუვალი მიწა, სადაც მისი დამარცხება არავითარ ძალას არ შეუძლია. ქალმა ეს იცოდა, ისიც

იცოდა, ის რომ მთავარი ქალი იყო ფრიქსესთვის და ამის ცოდნა ათამამებდა. ვერც ერთი ქალი მის ადგილს ვერასოდეს ვეღარ დაიკავებდა, ვერავინ წაართმევდა პირველობის უფლებას. უფრო სწორედ, ქალი კი არა, ფრიქსე ფიქრობდა ასე, რადგან თანდათან ფხიზლდებოდა და ახლა სიცარიელისა და სისველის შეგრძნება აღიზიანებდა. სახტად დარჩენილი ფრიქსე დაბნეული უღიმოდა წყვიდად. მწარედ მოხვედროდა ცოლის ნათქვამიც: რას ფიქრობდი, რომ მეღალატაო. ისე მწარედ მოხვედროდა, იმ უსაზღვრო სიამტკბილობიდან, რასაც წუთის წინათ განიცადა, ნატამალიც აღარ შერჩენოდა. მან უკვე იცოდა, ყველაფერი მისივე გამძაფრებული წარმოდგენის უდღეური ნაყოფი რომ იყო, სველი და ამაზრზენი, როგორც გაჭყლეტილი გომბეშო. მაგრამ ცოლის ხმა ჯერ კიდევ მკვეთრად ჟღერდა ყურებში. მას რომ ცოტა გამბედაობა ყოფნოდა და როგორმე მიეღწია ცოლის საწოლამდე, მაშინაც ყველაფერი ზუსტად ასე მოხდებოდა ალბათ, რადგან ყოველთვის ასე ხდებოდა. ასე რომ, შეიძლებოდა ცოლსაც მართლა ეთქვა ის, რაც მისმა ადგზნებულმა გონებამ ათქმევინა. "საქმე ღალატამდე მისულაო", - გაიფიქრა ფრიქსემ. ცოლის შესაძლებელი ღალატის წარმოდგენამ ისე შეაშინა და შეურაცხყო, ყმაწვილური სიმკვირცხლით წამოხტა საწოლიდან და ახლა უკვე ნამდვილად წატანტალდა ქარისას ოთახისკენ. როცა ფრიქსემ კარამდე მიაღწია, ქალაქში პირველი მამლები აყივლდნენ, მამლების ყივილზე სახლში ჩაბუდებული წყვიდადი შეკრთა და გაიცრიცა. ქარისას არ ეძინა, საწოლში წამომჯდარიყო, თითქოს ქმარს ელოდებოდა. ეს ისეთი მოულოდნელი აღმოჩნდა ფრიქსესათვის, ერთი წამით გამობრუნებაც დააპირა. ისიც მოეჩვენა, თითქოს ქარისა დამცინავად იღიმებოდა, თითქოს ფრიქსეს დაბნეულობისა და წარამარა წამოჭარხლების მიზეზიც იცოდა და უხაროდა, რადგან ქალი იყო, გამარჯვებული ქალი, მამაკაცის ამაღელვებელიც და დამთრგუნავიც. ფრიქსემაც იგრძნო დამარცხება. თუ მას ამ ქალის მიმართ უეცრად გაჩენილი დანაშაულის გრძობა და ამ გრძობიდან აღმოცენებული უმწეობა უბორკავდა ხელ-ფეხს, ქალს ქალური ღირსება, საკუთარი თავის პატივისცემა და უპირატესობის შეგრძნება არ მისცემდა ნებას, თვითონვე შეეთავაზებინა თავი ამ სასაცილო და საცოდავი კაცისათვის, რომელსაც მისი მეუღლე ერქვა და ამწუთას, ალბათ, არც კი შეეძლო ასეთი საჩუქრის მიღება. ფრიქსემ მეუღლის მომღიმარ თვალებში უცებ საკუთარი თავი დაინახა: დედიშობილა, მათხოვარივით კართან ატუზული, ქურდობაზე წასწრებული ბავშვივით შემკრთალი და დაბნეული. ქალი კი საწოლზე იჯდა და, რაღა თქმა უნდა, ისიც ასეთ ფრიქსეს ხედავდა. თუმცა თავი ისე ეჭირა, თითქოს სიბნელის გამო კარგად ვერც კი ამჩნევდა, ვინ იდგა მისი საწოლი ოთახის კართან.

ქარისამ ჩუმად, თითქოს ჩურჩულით, რადგან ამ დროს სახლში ჯერ კიდევ ყველას უნდა სძინებოდა, იკითხა: რომელი ხარო, და როცა მღელვარებისაგან ხახადახშულმა ფრიქსემ ხრინწიანად, უსიამოდ ჩაახველა და უპასუხა: მე ვარ, ვერ დავიძინე და გასავლელად ავდექიო, ქარისა შეწუხდა და ახლა უკვე ხმამაღლა დაუძახა ქმარს: რა იყო, თუ ცუდად ხარ, ავდგებიო. ახლა კი მიხვდა ფრიქსე, ბრძოლის გაგრძელებას აზრი რომ აღარ ჰქონდა. ის დამარცხდა, სამარცხვინოდ და სამუდამოდ, ხოლო დამარცხების მიზეზი ისევ და ისევ საკუთარი გაუბედაობა და უმწეობა იყო, ღატაკი ნათესავებივით ბავშვობიდანვე რომ ასდევნებოდნენ და მისი ბედის მოშურნენი ყოველ წუთას ახსენებდნენ თავს. ფრიქსეს უცებ ყველაფერი შეეზიზღა, ყველაზე მეტად საკუთარი თავი და ძლივს ამოილულულა: ნუ, არაფერი მიჭირსო.

ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, ცოლის სიცილი რომ შემოესმა. იმდენად მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ფრიქსესთვის ამ სიცილის გაგონება, გაცეხული ერთ ადგილას გაიყინა, მომეჩვენა თუ მართლა იცინისო. ქალი მართლა იცინოდა: ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ნერვიულად, გამომწვევად.

ამ უსიამო ღამის შემდეგ ფრიქსე ერთიანად გამოიცვალა, თითქოს უფრო გახალისდა კიდეც, ენაც გაეხსნა და ხელიც, მაგრამ გზაზე დამდგარი კაცივით დიდხანს ვერც ლაპარაკს უღებდა გულს და ვერც საქმეს. თუმცა ასედაც იყო, ის უკვე აღარ მალავდა თავის განზრახვას და ყველას გასაგონად ამბობდა, შინ ვაპირებ დაბრუნებას, რა ვიცი მამაჩემის ქონებას ვინ ოხერი ანიავებსო.

- ყველაფერი კარგია, - იტყოდა ხოლმე ფრიქსე, როცა ოჯახის წევრებს ერთად დაიგულებდა, - ყველაფერი კარგია, მაგრამ კაცმა თუ თავის მამულს არ მიხედა, რაღა კაცია. უბრალო ვინმე ხომ არა ვარ, მეფის შვილი ვარ და ტახტის კანონიერი მემკვიდრე. ის ტახტი კი, რომ იცოდეთ, არც ერთ ტახტზე ნაკლები არ არის. ცოლ-შვილის წაყვანაც მინდა, თუ, რა თქმა უნდა, ისინიც დამეთანხმებიან (ამას რომ იტყოდა, აუცილებლად ქარისას შეხედავდა ხოლმე და გაუღიმებდა). შვილებმა ხომ უნდა ნახონ, მათი მამა სად დაიბადა. ვინ იცის, უბედურ მამაჩემს თვალი გზისკენ რჩება და შვილისა და შვილიშვილის დანახვამ იქნებ სიცოცხლე ორი დღით კიდეც გაუხანგრძლივოსო. ბოლოს აუცილებლად დაამატებდა: გული იმაზე მწყდება, ჩემი უბედური და ამ დღეს რომ ვერ მოესწრო.

ფრიქსე ბარგის ჩალაგებას შეუდგა, თან გაიძახოდა, მოდით, ნახეთ, მარტო ის მიმაქვს, რაც ჩემი შრომით შემიძენია და რაც აუცილებელია ამხელა გზისთვისო. როცა ეკითხებოდნენ, კი მაგრამ რითი აპირებ წასვლასო, იღიმებოდა და პასუხობდა, ჩემი სიძამრი ერთ ხომალდს კი მათხოვებს, ანდა სულაც მომაქირავებსო.

- თხოვებით კი გათხოვებ, მაგრამ არკი გირჩევ, - უთხრა მოღუმულმა აიეტმა.

- ბავშვი აღარა ვარ, - უპასუხა ფრიქსემ.

აიეტმა ტუჩზე იკბინა, სისხლის წვრილი ზოლი, დაფეთებულ ჭიაყელასავით, ჩაუსრიალდა წვერში. ქალიშვილის ხათრით მაინც თავი შეიკავა. ქარისამ განაცხადა: სადაც ჩემი ქმარ-შვილი იქნება, მეც იქ უნდა ვიყო და თვითონაც შეუდგა ბარგის ჩალაგებას. ფრიქსე დააბნია ქარისას გადაწყვეტილებამ, ყველაფერს ელოდა, ამას კი არა. ის ადრეც ფიქრობდა შინ დაბრუნებას, მაგრამ ახლა ასე თუ ჩქარობდა, ქარისას ბრალი იყო, ის ქარისას გაურბოდა, რცხვენოდა და ემინოდა კიდეც მისი. იმ ღამის შემდეგ მათი ერთ ჭერქვეშ ცხოვრება წარმოუდგენლად მიაჩნდა და ესეც ახედვინებდა ოდინდელი განზრახვის აღსრულებას, შორეულსა და საიდუმლო წარსულში შებრუნებას. ფრიქსემ ხელაღებით უარის თქმა მაინც ვერ გაუბედა ცოლს და ცალყბად მიუგდო: შენ იცი შენი საქმისაო. სამაგიეროდ ფრიქსეს ვაჟები სიხარულისგან მართლა გადაირივნენ, მთელი დღე ვანის ქუჩებში დარბოდნენ და გაჰკვიდნენ: მივდივართ, კარგად ბრძანდებოდეთ, ყველაფრისთვის მადლობა მოგვიხსენებიაო.

მაგრამ ფრიქსეს მოულოდნელმა სიკვდილმა ყველაფერი წაღმა შეატრიალა.

\* \* \*

ფრიქსე ლოგინში ნახეს მკვდარი. მოკუნტული იწვა, თითქოს ძილში საბანი გადახდია და შესცივნიას. ფრიქსე ცოტა უფრო ადრე რომ მომკვდარიყო, არავის გაუკვირდებოდა, ერთი პირობა ყველამ ხელი ჩაიქნია კიდეც, მაგრამ ახლა, როცა თვალში გამოიხედა, ცხოვრებაზე გული მოუბრუნდა და ამხელა გზაზე აპირებდა დადგომას, მისმა სიკვდილმა ხალხი საგონებელში ჩააგდო. იმ დღეს ერთხელ კიდეც გაიხსენეს მისი უცნაური გამოცხადება, როგორ გამოიყვანეს მეთევზეებმა ნაპირზე ისიცა და ვერძიც, როგორ ჩაასხა ბედიამ პირში ღვინო და როგორ გაეცინა ყველას, როცა მან უკანვე ამოაბრუნა ბედიას ღვინო. სასახლის მსახურებს კი მხოლოდ ახლა გაახსენდათ, რომ ფრიქსეს ვერძი, რომელიც იქამდე, ოქროს კერპივით გარინდული იდგა საკუთარ სინათლეში, გათენებამდე რქებით ეხეთქებოდა კედელს, სწორედ იმ ღამეს, როცა ფრიქსე კვდებოდა.

ფრიქსეს სიკვდილი ყველაზე მეტად მაინც ბოჩიამ განიცადა. მთელი ღამე იწრიალა ლოგინში, თითქოს ჭიანჭველების ბუდეზე იწვა. ფოთოლას აკვანი საწოლთან ედგა და როცა მისი ნაბოლარა ძილში წამოიკნავლებდა, ფეხით წაურწევდა ხოლმე. "თითქოს შვილი მომკვდომოდესო", - ხვნეშოდა ბოჩია. ბოჩია არ ტყუოდა, როცა მან პირველად იხილა ფრიქსე, ზღვის ნაპირას გამოტყლილი, ზღვის წიაღში ნახეტიანები ტოტივით გამოფიტული და ფერშეცვლილი, ისე შეწუხდა, თითქოს მართლა მისი შვილი ეგდო სილაში ასე საცოდავად და ასე სამადლოდ. აიეტს რომ არ ეშვილა ფრიქსე, ბოჩია იშვილებდა და გაზრდიდა კიდეც. ბოჩიასა და ფოთოლას იმდენი ბავშვი გაეზარდათ, არც ეს გაუჭირდებოდათ. მათი ვაჟები და ქალიშვილები თავადაც ისე მრავლდებოდნენ, ალბათ, მალე მთელი ახალი ქალაქი დასჭირდებოდათ; თუმცა, ხან წელიწადი ისე გაივლიდა, არც ერთი შვილი არ მოაკითხავდა. ისინიც უკვე ცხოვრების უღელში იყვნენ შებმულნი, ოჯახებს მოჰკიდებოდნენ და იმის დროც აღარ რჩებოდათ, მარად ახალგაზრდა მშობლები მოენახულებინათ.

"რამე რომ უჭირდეთ, გაგვიხსენებენო", - ამშვიდებდა ბოჩია ფოთოლას და ილიმებოდა, რადგან იცოდა, მისი ცოლი გუნებაში ახლა შვილებს ითვლიდა: ვინ უკვე მომკვდარიყო, ვინ დაბერებულიყო, ვინ ჯერ კიდეც ჭარმაგად მიუყვებოდა ცხოვრების ორღობეს. შეიძლება შვილებს რცხვენოდათ კიდეც, მშობლებზე ხნიერად რომ გამოიყურებოდნენ და ამიტომაც არიდებდნენ თავს. მართლაც სირცხვილი იყო, წვერზე ხავსმოდებულ, სიბერისაგან ბეჭებში მოხრილ შვილს თავისი გასაჭირი ბიჭივით წელგამართულ მამისთვის შეეჩვილა. "ასე იმიტომაცა, - იტყოდა ხოლმე ბოჩია, - ჩემს შვილებს ზოგს ვირის გვერდი რომ შეხვდა ცოლად, ზოგს კი ძაღლის ყბაო". ფოთოლა მართლაც სხვა იყო, ფოთოლასთანა ცოლი მეორე არ მოიძებნებოდა მთელს ქვეყანაზე, ქმრის გულისთვის ცეცხლის კალოში ჩადგებოდა, გინდაც ორსულად ყოფილიყო (ორსულად კი ძალიან ხშირად გახლდათ). წყალს არ მოაწოდებინებდა, ორსულობას არ დაამადლიდა, ბოლო წუთამდე არ გააგდებდა ხელიდან ცოცხსა და ტილოს. დღეში სამჯერ გამოგვიდა სახლს, დღეში ათჯერ ავიდოდა სხვენში, ათასჯერ დახედავდა საქათმესა და ბოსტანს; არც ზედმეტს გამოჰკითხავდა ქმარს, არც ზედმეტს მოუყვებოდა. ერთხელ იყო მხოლოდ, ფოთოლამ ქმარი რომ გააღვიძა. ისეთი მუშტარი მოუვიდა, სული ამოართვა, ახლავე და ახლავე გააღვიძე შენი ქმარიო.

რომ ვერაფრით მოიშორა მუშტარი, ფოთოლამ სკივრიდან საქორწილო ქოშები ამოიღო, თითქოს საქორწილო ქოშები ნებას მისცემდნენ და უფრო თამამადაც მიიყვანდნენ ქმართან. ფოთოლამ ქოშები ჩაიცვა და ბოჩიას ოთახში გაიარ-გამოიარა. ბოჩიას მართლაც გამოელვცა ქოშების ბაკუნზე, ცოლის დანახვა გაუხარდა, მაგრამ მეორე დღეს, სარკეში რომ ჩაიხედა, ერთი ღერი ჭაღარა გასჩენოდა თმაში. ბოჩიამ თეთრი თმა ამოიგლიჯა, ფოთოლას აჩვენა და უთხრა: აი, რა ქნეს შენმა ქოშებმაო. ის იყო და ის, იმ დღის მერე ბოჩიას შეეძლო მშვიდად სძინებოდა. ფოთოლა უმაღლეს ზღურბლზე მოკვდებოდა, ქმარს კი არავის შეაწუხებინებდა.

"გინდაც შვილი მომკვდომოდეს და გინდაც შვილი მომკვდომოდესო", - მთელი ღამე ოხრავდა ბოჩია და აღარ იცოდა, რა ექნა, როგორ ეშველა ქმრისთვის მარადიული ცოლქმრობის საწოლში გატრუნულ ფოთოლას.

ნაადრევი სიკვდილი თავგზას უბნევდა ცოლსაც და ქმარსაც, წონასწორობიდან გამოჰყავდა ორივენი, რადგან მათი სიცოცხლე სიკვდილთან ბრძოლა იყო მხოლოდ, სიკვდილს ედგნენ კრიჭაში ერთი ტახტითა და ერთმანეთის სიყვარულით. ძლიერი და ვერაგი მტრის მოსაგერიებლად სხვა იარაღი არ გააჩნდათ და გული ჩაწყდებოდათ ხოლმე, როცა ამოდენა მტერს კიდევ დამხმარე და ხელისშემწყობი გამოუჩნდებოდა. სიკვდილი დაუმარცხებელი იყო, თავისი ყოველთვის მიჰქონდა, მაგრამ თუ არ შეებრძოლებოდი, უარესად გალადდებოდა, თავს აიშვებდა და ერთბაშად გადაძოვდა ქვეყანას. თუ სამართალი არსებობდა, სიკვდილს მხოლოდ მაშინ უნდა წაეყვანა ადამიანი, როცა ის ადამიანი სიცოცხლისთვის აღარ ივარგებდა, სიბერე ყუნწზევე ჩამოაჭკნობდა და იმდენი ძალაღა შერჩებოდა, თავისით ჩამოვარდნილიყო მიწაზე, თავისი ფეხით შესულიყო სიკვდილის სამეფოში, როგორც თავშესაფარში, არავის ებიძგა ზურგში ხელი, არავის აეჩქარებინა, რათა თანდათან შეჩვეოდა იმ იდუმალი ქვეყნის ბინდსა და აბლაბუდას, გაჩენის დღიდანვე რომ აშინებდა და იზიდავდა კიდევ; ის სიკვდილისთვის უნდა მომზადებულიყო და იძულებით კი არ უნდა შევარდნილიყო შიგ, როგორც დამფრთხალი თავგი შევარდება ხოლმე პირველსავე სოროში, არამედ დაბინავებულიყო, როგორც ხმელი ხილი სხვენში, რათა მკვდარიც გამოსდგომოდა ცოცხლებს და ზამთრის გრძელ ღამეებში, ადამიანის ხმებით გახალისებულ დარბაზებში მის სურნელებასაც შემოეღწია, მეზღაპრესავით კეთილს, მიწის სინედლითა და ხანგრძლივი მზის სიმბურვალით გაჟღენთილს. სიკვდილს მაშინ შეეძლო ადამიანის წაყვანა, როცა მისი მაგიერი გადმოდგამდა ფეხს ბოჩიასა და ფოთოლას ტახტიდან. მაგრამ ვერაგი და გაუმადლარი სიკვდილი ბრძოლის წესებს ხშირად არღვევდა, რადგან ხელისშემწყობიც ბევრი ჰყავდა: მკვლელი და გარეწარი, სენი და შემთხვევა - ყველანი სიკვდილის ამხანაგები იყვნენ. მაგრამ ბოჩიას მაინც ყოველთვის უჭირდა დაჯერება, რომ ვინმეს ან რამეს ნაადრევად მართლა შეეძლო ადამიანის სიცოცხლის წართმევა, წართმევა იმისა, რისი მითვისებაც არ შეიძლებოდა. გინდაც ჯერ კიდევ სჭეროდა სისხლიანი დანა მკვლელს, ბოჩია ხელს მაინც ვერ დაადებდა, ვერ "დააბრალებდა" ამოდენა ცოდვას. მთელი მისი არსება სიკვდილის წინააღმდეგ იყო განწყობილი, ვერ შეგუებოდა, ვერ შერიგებოდა და, ალბათ, მისი მეუღლის მარადიული ნაყოფიერებაც სწორედ ამ შეურიგებლობის შედეგი იყო.

ფრიქსეც ნაადრევად იყო მკვდარი. გუშინდელ დღესავით ახსოვდა ბოჩიას მისი გამოცხადება და მართლაც ერთ დღესავით გაფრინდა ბოჩიასთვის ის ორმოციოდე წელი, რაც ფრიქსესთვის გამოემეტებინა ბუნებას. ბუნების ეს სიძუნწე და უსამართლობა უკლავდა გულს, აბეჩავებდა და

აბოროტებდა ბოჩიას, როგორც ხუროთმოძღვარს წლობით ნაშენი და მიწისძვრისგან ერთბაშად დანგრეული ტაძარი. ისე დაათენდა თავზე, ოხვრა და ვიშვიში არ შეუწყვეტია. როცა ფოთოლამ აჩხავლებული ჩვილი აკვნიდან ამოიყვანა და პირში ძუძუ ჩაუდო, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, ცოლი შეეცოდა და უთხრა: დღეს ფეხზე როგორღა უნდა იდგე, შე საბრალო.

ფრიქსე ძველებური წესით დაკრძალეს. ხარის ტყავში გაახვიეს და მიცვალებულთა ჭალაში ხეზე ჩამოკიდეს. როცა გვამით დამძიმებული ტყავის კუბო საკიდრებზე აქანავდა, ფრიქსეს ვაჟებმა ამოიგმინეს: გაფრინდა მამაჩვენიო. მაგრამ ფრიქსე ველარსად გაფრინდებოდა, ველარასოდეს იხილავდა იმ სანატრელ ქვეყანას, მთელი სიცოცხლე სიზმარით რომ ახსოვდა და ამ სიზმრიდან აყოლილმა სევდამ აკი ზეზეურად ჩამოახმო კიდევ.

ვანმა ღირსეულად დაიტირა თავისი შვილობილი. სახელგანთქმული მოტირალი ქალები მთელი კვირის მანძილზე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და აიეტის ძაძით მოსილ სასახლეში წუთითაც არ შეწყვეტილა მოთქმა-ტირილი. ვანელები უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ სასახლისკენ. იმ დღეებში ისე არავინ გამოვიდოდა შინიდან, ხელში დაფნის ან ტირიფის ტოტი არ დაეჭირა. სასახლის წინა ეზოში დასვენებულ ფრიქსეს გარს უვლიდნენ და რტოებს ესროდნენ. თავთით ვერძი დაებათ, ფეხებთან კი მისი ბავშვობის დროინდელი ცალი სანდალი და მოკლე, ოქროს სირმებით გაწყობილი თეთრი ტუნიკი დაეწყოთ. ფრიქსეს მთელი ქალაქი გლოვობდა. ხალხს არც ხეიბრები და მიხრწნილი ბებრები დავიწყნოდათ, ცოცხალი თუ ვერ ნახეს, მკვდარი მაინც ვაჩვენოთო და ატატებულნი მოჰყავდათ, ანდა ფარდაგებზე დაეწვინათ და მოათრევდნენ. მთავარ კარიბჭეში შესული ხალხი უკანა კარიბჭიდან გადიოდა, რათა ახლა ბედიასთვის მიესამძიმრნა, მობუზული, განზე რომ გამდგარიყო და ცრემლიანი სახე კისერზე გადაცმულ თოკის გაბურძმვულ ხლართებში ჩაემალა.

ფრიქსეს ვაჟები თაღის ქვეშ შეყუჟულიყვნენ, ერთი დღის ობლობას ოთხივენი გაეცრიცა და დაეპატარავებინა, მაგრამ ოთხივენი აღზნებულნი იყვნენ, თითქოს უცებ, მოულოდნელად, გადაუდებელი საქმე გასჩენოდათ, ანდა იმედი, რომელსაც აღარ ელოდებოდნენ. უცნაურია, მაგრამ ადამიანს სწორედ მაშინ უჩნდება იმედი, როცა თითქოს ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია. ის ამ იმედს ჯიუტად, ბოლო წუთამდე ებღაუჭება და ურჩევნია უკეთესზე იფიქროს, ვიდრე უარესი შეამჩნიოს. ასეთია მისი ბუნება და თუკი საამისოდ რაიმე საშუალება გააჩნია, საკუთარ უბედურებას არ დაიჯერებს, რადგან დაჯერება უბედურების ბოლო საფეხურია, იქ წყდება კიბე და მერე აღარაფერი აღარაა, სიმარტოვის სუსხისა და წყვდიადის გარდა. მან შეიძლება ძვირფას ცხედარს მკერდზე ყურიც დაადოს, ხომ არ მეშლებაო, და ალბათ, ამიტომაც არ მარხავს მაშინვე, იმედი აიძულებს ფეხი აითრიოს და რაც შეიძლება გვიან შეხედოს სიმართლეს მკაცრსა და გათოშილ თვალებში.

ფრიქსეს ვაჟები, თვალგაფაციცებულნი, კისერდაგრძელებულნი, ათვალიერებდნენ უწყვეტსა და ფეხათრეულ პროცესიას, რომელიც ნელა, მაგრამ მაინც არბილებდა და თითქმის აქარწყლებდა კიდევ იმ საერთო მწუხარებას, მათი მამის სიკვდილს რომ ჩამოეგდო ქალაქში. "რამდენი ხალხი მოსულაო", - ფიქრობდნენ და თან თითის წვერებზე იწეოდნენ, თითქოს ამ უცნაური მდინარის სათავის დანახვას ცდილობდნენ. ყველაზე მეტად მათი უმცროსი ძმა, ფრონტისი დაეტყვევებინა სანახაობას, დამაბულობისაგან პირი დაელო და ენის ვარდისფერი წვერო გამოეყო, თითქოს

ციყვი იხედებოდა ფულუროდან. როცა უფროსი ძმები ერთმანეთს მუჯღუგუნს წაჰკრავდნენ შეფარულად და გადაუჩურჩულებდნენ - კიდეც მოდიანო, ისიც ძმებს ახედავდა და სახეზე სიამაყის შეკავებული ღიმილი გადაუბრუნდა.

ქარისა მედეასა და აფრასიონს ჩაეყენებინათ შუაში. შვილებისა არ იყოს, მასაც ეამაყებოდა, ასე რომ გლოვობდნენ მის ქმარს ვანელები. ის უკვე შეეჩვია, შეიფერა და დაიჯერა კიდეც, ფრიქსე მართლაც რომ იმსახურებდა ყველას სიყვარულსა და პატივისცემას. განა ქარისა უღირსს ქმრად გაიხდიდა? "კარგი კაცი იყო ფრიქსე, - ფიქრობდა იგი, - მაგრამ მაინც გამეპარაო".

ცოდვა გამხელილი სჯობს და ქარისას ცოტა გაუხარდა კიდეც ქმრის სიკვდილი. ნახევარცოლობას, განუწყვეტელ თვალთმაქცობასა და გულის ბრუნებას, ისევ ქვრივობა ერჩია. ქარისას რწმენით, ქმარი მაინც ცოლზე ადრე უნდა მომკვდარიყო და რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, დღეს მოხდებოდა ეს ამბავი თუ დღეისწორს. მას სულის სიღრმეში უკვე მოსწონდა კიდეც ოთხი ობლის დედობა და ქვეყნის საპატივსაცემო კაცის ქვრივობა. მათი საწოლის საიდუმლო ქმარმა თან გაიყოლა, მისგან კი ისედაც ვერავინ გაიგებდა.

დაკრძალვის დღეს მთელი სასახლე სამხედრო ბანაკს დაემსგავსა: ვინ ქვაბებს ხეხდა, ვინ შეშას აპობდა, ვინ ცეცხლს უბერავდა. ნავლსა და ნაცარს გადაეპენტა იქაურობა. სიკვდილს ყველაფერი ბევრი სჭირდებოდა: კასრებით იდგა ძმარი, ტაშტებით იდგა მარილი, დანაყილი ქინძი და ცერეცო მწვანე, წვიმაგადავლილი ბორცვებით ბზინავდა. უზარმაზარ ქვაბს სკამზე შემდგარი მზარეული ნავის ნიჩბით ურევდა. შუა ეზოში, სადაც ადრე მიცვალებული ესვენა, ახლა მარტო ვერძი დარჩენილიყო. თოკით კუნძზე გამობმული, ოქროს ვერძით გარინდებული, საკუთარი სინათლის წრეში იდგა და ფიქრობდა. საფიქრალი კი ბევრი ჰქონდა: თუ რამე სასწაული არ მოხდებოდა, ეს აშკარად მისი უკანასკნელი დღე იყო. "ერთად მოვიდნენ და ერთადაც წავლენო", - ებრძანებინა აიეტს. რაღა უნდა მომხდარიყო, ან ვინ გამოიღებდა თავს ერთი გადაბერებული ვერძის გადასარჩენად.

"საოცარი კია, ვინც გადავარჩინე, იმის გულისთვის მკლავენო" - ფიქრობდა ვერძი. კუნძზე დანა იდო, გრძელპირიანი, თევზისფერი, დაღარული. ღარში ჭიანჭველა მიცოცავდა. ყასაბმა ნეკერი დაუყარა და ქერო მოფხანა, თითქოს წინასწარ ებოდიშებოდა. "თვალი გეჭიროს, არ გაგიფრინდესო", - დაუმახა ვიღაცამ ყასაბს. ყასაბმა ყრუდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაიცინა, თითქოს ახველებსო და ისევ მოფხანა ქერო. ვერძს ყველაფერი ესმოდა, თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე კაცის ენაც შეესწავლა. თვითონაც გაეცინა გუნებაში: მე მაშინ ვფრინავ, როცა ღმერთებს მოესურვებათო. მაგრამ მაინც ბოლო წუთამდე სჯეროდა, რაღაც ისეთი მოხდებოდა, უსათუოდ გადარჩებოდა. არკი იცოდა რა, მაგრამ ხომ უნდა განსხვავებულიყო ჩვეულებრივ ცხვრისაგან: ადამიანის ენა ესმოდა და ეფრინა კიდეც, მართალია, მხოლოდ ერთხელ, მაგრამ აქამდე ახვევდა თავბრუს ოდესღაც განცდილი ქროლვა და სიმსუბუქე. არა, ერთი ცხვრის კვალობაზე მას მართლაც წარმოუდგენლად ბევრი მოესწრო და განეცადა. არაფერს არ იმადლებოდა, არც სიკვდილისა ეშინოდა, სირცხვილიც იყო, ცხვარს კაცზე მეტი ეცოცხლა, მაგრამ ასე, მართლაც ჩვეულებრივი ცხვარივით ნუ გამოჭრიდნენ ყელს, რაღაცით გამოერჩიათ, სხვანაირად მაინც მოეკლათ, სიკვდილის წინ მაინც შეეხსნათ ტალახში ამოგანგლული თოკი, მოემორებინათ ეს კუნძი, დამპალი სისხლის სუნით რომ ყარდა; ის ხომ არ გარბოდა, ხომ არ

მიფრინავდა, მიფრინავდა კი არა, იმდენი ოქრო ჩაღებოდა ბეწვში, ნაბიჯის გადადგმაც უჭირდა.

ვერძს ბოლომდე არ სჯეროდა, ღმერთები თუ დაივიწყებდნენ, ღმერთები, ოდესღაც მაინცდამაინც ის რომ გამოერჩიათ იმის განსაცდელად, რაც არასოდეს არ ღირსებია მის რომელიმე თანამოძმეს. ვერძმა უცებ თითქოს ისევ იგრძნო, როგორ გამოეცალა ფეხქვეშ საყრდენი და როგორ მძლავრად დაუბერა სახეში ხორკლიანმა ქარმა. მაგრამ ვერძს შეეშალა, ეს სხვა ქროლვა იყო, სხვანაირად სუსხიანი, სიკვდილისმიერი, იქვე რომ ჩაცუცქულიყო და დანახე შეცოცებულ ჭიანჭველას თითოთ აწვალეზდა, ზევით-ქვევით დაატარებდა დანის ღარში. ვერძი კი მართლა არ იყო ჩვეულებრივი ცხვარი, ის უმაღლეს სიკვდილს შეურიგდებოდა, ვიდრე ჩვეულებრივობას, თუმცა მხოლოდ სიკვდილს შეეძლო ხელის ერთი დაკვრით მოესპო ის უპირატესობა, რაც სიცოცხლეში მოეპოვებინა და რითაც სამუდამოდ გამოთიშვოდა ხუჭუჭა და პეტელა მოდგმას, რომელსაც მხოლოდ რძის, ხორცისა და მატყლის მიცემა შეუძლია ადამიანისთვის. მან კი უფრო მეტი გაიღო, მან ადამიანის ჩანაფიქრის განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა და თუმცა ბოლომდე ვერ გაეგო, რა იყო ამ ჩანაფიქრის არსი, მაინც ყოველთვის სიამაყით გრძნობდა, დიდსა და არაპირუტყვეულ საქმეში რომ იყო გარეული. რაკი გადმოხვეწეს, ეტყობა, საჭიროდ მიაჩნდათ მისი აქ ყოფნა. ვიღაცას, ვიღაცას კი არა, ადამიანს სჭირდებოდა ასე და იმის ნაცვლად, დაეკლა, ხორცი შეეჭამა, ტყავი კი ჩაეცვა, ზურგზე ბიჭი შეუსვა და აიძულა ჩიტვით გაფრენილიყო, სამუდამოდ მოშორებოდა სამშობლოს, დიახ, სამშობლოს, რადგან სადაც თვალს გაახელ, შენი სამშობლოც იქ არის, გინდა ცხვარი იყავი, გინდა ადამიანი. მაგრამ, ეტყობა, აღარ სჭირდებოდათ იგი ადამიანებს, შესასრულებელი შეესრულებინა და ახლა ჩვეულებრივი ცხვარით უპირებდნენ დაკვლას. "ჩვეულებრივი ცხვარითო", მაშინაც ეს გაიფიქრა ვერძმა, როცა ყასაბმა ყელში დანა გამოუსვა, გრძელპირიანი, თევზისფერი დანა, და გადახსნილი ხორხიდან შავმა სისხლმა იფეთქა. ეს ფიქრი სამუდამოდ ჩარჩა და ჩაიყინა მის მკვდარ თავში, დაგრეხილი რქები იდაყვებით რომ ჩაეწყო სისხლის გუბებში და ღიად დარჩენილი, გადათეთრებული თვალებითა და საგნის გულგრილობით ირეკლავდა ყველაფერს, ღვინით აბარბაცებულ მექელეხეებსაც, ჩანავლებულ ცეცხლსაც და სპილენძის ქვაბსაც, რომელშიაც მისი ტან-ფეხი მოეხარშათ.

ფრიქსეს სიკვდილს, თითქმის ზედიზედ, რამდენიმე ისეთი უცნაური ამბავი მოჰყვა, აქამდე უშიშარი და უდარდელი ქალაქიც კი დააფიქრა და, ცოტა არ იყოს, დააფრთხო კიდეც. ქელეხზე აიეტმა უნებურად სამაროლეს წაჰკრა ხელი და მთელი მაროლი სუფრაზე მოაპირქვა. ხალხი გაისუსა, ჯერ ჩხუბი რა იყო და ახლა აიეტთან! აიეტსაც სახეზე მიწის ფერმა გადაჰკრა, არ უნდა დამეკვლევინებინა ვერძიო, ერთხელ კიდეც გაიფიქრა და ნამალადევიად გაიღიმა, დაპნეული მაროლი პეშვში ჩაიხვეტა და პეშვიდან შეჭამა ცხენით. იმავე დღეს ქალაქის სხვადასხვა უბანში, როგორც მოგვიანებით დაადგინეს, ერთსა და იმავე დროს, ნაგვის ქექვით გართული ღორები უცებ ერთმანეთს ისეთი გაშმაგებით დაერივნენ, სანამ მდულარე არ გადაასხეს, ვერაფრით ვერ დააშოშმინეს. ცოტა ხნის მერე კი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ღორები ისევ ღრუტუნით მიბრუნდნენ სანაგვეზე. კარგად არც კი ჰქონდათ დავიწყებული ღორების ეს უეცარი გაშმაგება, ახლა უცნაურმა სიზმარმა რომ ააფორიაქათ. სიზმარი ბედიას ენახა, მისი საკუთრება იყო, მაგრამ ველარ დაემალა და ღვინის ვაჭარ ბახას ორმოცსაფეხურიან სარდაფში მოეყოლა; ასე რომ, ის



სიზმარი მაშინვე მთელმა ქალაქმა იცოდა, მთელი ქალაქის საკუთრებად ქცეულიყო და უკვე ისე ყვებოდნენ, თითქოს ყველას ერთდროულად დასიზმრებოდა. მისნებსაც კი გაუჭირდათ ამ სიზმრის ახსნა, მაგრამ დაინტერესდნენ, დრო მოითხოვეს, ათასნაირი ჯადო და თილისმა დაიხვავეს წინ და ბუებივით გაუშტერეს თვალი ამოუხსნელის პირმოკუმულ წყვიდადს. სიზმარი კი მართლაც უცნაური იყო: ვითომ მათ ქალაქში ორი მელოტი შემოვიდა, ძმებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, ორივეს ცალი სახე უცინოდა, ცალი კი ჩამოსტიროდა; ვინც კი შემოხვდებოდათ, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი, ყველას ყურძნის მტევანს აჩეჩებდნენ, თუმცა არც გოდორი ეკიდათ ზურგზე და არც კალათა ეჭირათ ხელში. საითაც უნდა გაგებდათ, ყველგან ყურძენს ჭამდნენ, ყველას ცალი სახე უცინოდა, ცალი კი ჩამოსტიროდა. ყურძენს მსხვილი, ცერისხელა მარცვალი ჰქონდა, მაგრამ უხორცო იყო და უგემურიც, ცრემლივით მწკლარტე გემო დაჰკრავდა. ხალხი კი მაინც ჭამდა. გაუთავდებოდა თუ არა, ის მელოტი ძმები ახალ მტევანს გაუწვდიდნენ და ისე გადაიხარხარებდნენ, თითქოს ცა ჩამოიქცაო. "რას ნიშნავს, რა ოხრობააო" - წრიალებდნენ ვანელები.

ამ საერთო დაბნეულობით ზღვამაც ისარგებლა და კიდევ ერთი ნაბიჯით დაიხია უკან, ისე მოხერხებულად, რომ მისი ფხიზელი და ჯიუტი მეთვალყურე, კისერზე თოკის გორგალგადაცმული ბედიაც კი გააცურა. თუმცა არც ბედიას გაემტყუნებოდა, ჯერ ფრიქსეს სიკვდილმა და მერე სიზმარმა ცოტა ხნით ისიც ამოაგდო კალაპოტიდან, ხოლო როცა ზღვის ვერაგობა შეამჩნია, ისევ დაგვიანდა, ისევ არ ღირდა განგაშის ატეხა და ბედიაც იძულებული გახდა, თოკი გაეგრძელებინა.

ყველაფერი კი ვერძის დაკვლით დაიწყო. ფეხით დაკიდულ ვერძს ყასაბმა ტყავი რომ გააძრო, მკლავები მოსწყდა, მუხლიც შეაშველა, მაგრამ მაინც ვერ დაიმაგრა და თვითონაც ქვეშ მოჰყვა ჩამოშვავებულ ტყავს. "მიშველეთ, გავიწყლიტეთ", - აყვირდა ბოლოკივით გაწითლებული ყასაბი. ვერძის ტყავი მართლაც ოქროს ზოდვიით დამძიმებულიყო. ოცმა კაცმა ძლივს აუწია პირი, ყასაბს ჩაჩეჩვილი ფეხები რომ გამოეთრია. "იქნებ არ უნდა დამეკვლევიინებინაო", - პირველად მაშინ გაიფიქრა აიეტმა. უნებურად ყველამ უკან დაიხია, თითქოს მიწაზე დაფენილ ტყავს თილისმა ჰქონდა. დაბნეულნი მეფეს მიაჩერდნენ. აიეტმა გაიცინა, უფრო ხალხის დასამშვიდებლად, და თქვა: ახლა ხომ მაინც დარწმუნდით, ჩვეულებრივი ცხვარი რომ არ იყოო. მერე ჩაფიქრდა, შუბლშეჭმუნხული იდგა და ცას უყურებდა, თითქოს ფრიქსეს აჩრდილს უთვალთვალეზო. ცოტა ხნის მერე ისევ გაუბადრა სახე ნაძალადევმა ღიმილმა და გააგრძელა: ეს ფრიქსეს საჩუქარია, ჩვენც უნდა მივიღოთ და მოვუაროთ, მკვდრის გაწბილება არ შეიძლებაო. ტყავი ციმციმ შეიტანეს სასახლეში. აიეტის დარბაზი უარესად გაჩახჩახდა. აიეტმა ტახტის უკან კედელში განჯინა გამოაჭრევინა და ტყავი შიგ დაჰკიდა. განჯინას კარი შეაბეს, კარს ფარდაგი ჩამოაფარეს და ისევ მიადგეს ტახტი. "დამშვიდებული ბრძანდებოდდე, სიმეც ბატონო, შენს საჩუქარს ბეწვიც არ ჩამოვარდებოაო", - თქვა აიეტმა და ტახტზე დაბრძანდა.

ვანმა ძველებური იერი დაიბრუნა, საქმემ და ჩვეულებამ ყველას გაახსენა თავი. ისევ ძველებურად ახმინდნენ სახელოსნოები; ნავსადგურიც ძველებურად ფუსფუსებდა, მოდიოდნენ და მიდიოდნენ, იცლებოდნენ და იტვირთებოდნენ ხომალდები; ქუჩები და მოედნები უზრუნველად მოსეირნე გოგო-ბიჭებს აევსო; "რა ნახეთ, რა გაიგეთო", - ეკითხებოდნენ შინ მობრუნებულებს უფროსები, ისინი კი მხრებს იჩეჩავდნენ და პასუხობდნენ, არც არაფერი

გვინახავს, არც არაფერი გაგვიგია, ჯერ ავიარეთ, მერე ჩამოვიარეთო. და მართლაც, როცა უფიქრდებოდნენ, თვითონაც უკვირდათ, ყველაფერი უკვე ათასჯერ ჰქონდათ ნანახიც, ნათქვამიცა და მოსმენილიც.

მაგრამ მთლად ისე არ იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. მართალია, ნელა, შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც იცვლებოდა ყველაფერი: ადამიანიცა და ქალაქიც, თავისთვის რომ აეშენებია ადამიანს, გარე სამყაროსგან თავის დასაცავად, ნადირის შიში რომ აღარ ჰქონოდა, აღარ ეძიებია შიშისა და სიცივისაგან გამოქვაბულის ნესტსა და წყვდიადში და მშვიდად ეცხოვრა, გამრავლებულიყო და ასევე მშვიდად დაეთმო ადგილი ნაშიერისათვის. ქალაქის კედლებში გავლილი დრო კვალს მაინც ტოვებდა. ბათქაში იტკიცებოდა, იბზარებოდა და ცვიოდა; ეტლის ბორბლებს ქვაფენილი დაეღარა; მზესა და წვიმებს კრამიტი გადაეხუნებინა; ხეები მალღდებოდნენ, მსხვილდებოდნენ და გამომშრალი, გამოფიტული კანი ტანზე ასკდებოდათ; ხმარებისგან ცვდებოდა, ილეოდა, ფერს იცვლიდა ავეჯიცა და ჭურჭელიც, მაგრამ ადამიანი ვერ ამჩნევდა, რადგან ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა, თვითონ იყო ამ გარდაქმნების მონაწილე. ვერც საკუთარ არსებაში მომხდარ ცვლილებებს ამჩნევდა, რადგან დღეს უფრო მეტი იყო ვიდრე გუშინ, წინაპრის ცოდნისთვის თავისიც მიემატებინა, ცოდნას კი სიფხიზლე წაერთმია, რაც ასე სჭირდებოდა მის წინაპარს, გამოქვაბულში დაყურსული, გულის ფანცქალით რომ ითვისებდა გარე სამყაროს იდუმალ ხმებს. ადამიანს ახლა შიშის გრძნობაც დაჰკარგვოდა, უფრო სწორედ, შიშის მიჩქმალვის უნარი გასჩენოდა, რადგან უკვე დარწმუნებულიყო სიკვდილის გარდუვალობაში; დარწმუნებულიყო, ეს ქვეყანა სიკვდილ-სიცოცხლის მკაცრად დაცული მონაცვლეობა იყო და მეტი არაფერი: ერთი მეორეს აჩენდა, ერთს მეორე ამოჰყავდა დედაბუნების დაუშრეტელ წიაღიდან. თვითონაც სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვლეობის ამ მარადიულ წრეში მოხვედრილიყო და ერთი საზრუნავიდა ჰქონდა: არ ამოვარდნილიყო იქიდან. დროისა და ბუნების მარადიულ, განუწყვეტელ ცვალებადობას ერთფეროვნების ნილაბი აეფარებინა პირზე, რათა ბოლომდე შეუმჩნევლად და მშვიდად ეკეთებინა თავისი საქმე. ცხოვრება გამოცანა იყო და გამოცანად დარჩებოდა, რადგან ამ გამოცანის მთელი სირთულეცა და სიმარტივეც იმაში მდგომარეობდა, რომ რაც ქვეყანაზე ხდებოდა, თითქოს ადამიანის გამო, ადამიანის მეშვეობით, ადამიანის გულისთვის, მაგრამ მაინც უიმისოდ ხდებოდა... სამაგიეროდ, საითაც არ უნდა გაეხედა, ღმერთი შემოხედავდა. იმდენი და იმდენნაირი ღვთაება დაეხვავებინა გარშემო, ხისგან გამოჩორკნილი, თიხისაგან გამოძერწილი, სპილენძისა თუ ოქროსაგან ჩამოსხმული, მართლა შეეძლო აღარ ემტვრია თავი მარადიული გამოცანის ამოსახსნელად. ღვთაებები მშობლიურად მკაცრნი და ღმობიერნი იყვნენ და უკეთ იცოდნენ, რისთვის დაესაჯათ, ანდა რისგან დაეცვათ იგი. ისიც იმ მოყვარულ შვილს ჰგავდა, მშობლები უფრო ადრე რომ დახოცვოდა, ვიდრე მათი ამაგის გადახდას მოასწრებდა და ახლა მთელი მისი ფიქრი და საზრუნავი მათი სამუდამო განსასვენებლის მოვლა-პატრონობით ამოიწურებოდა. თავზე ევლებოდა მარადიული დუმილითა და სიბრძნით დამაბულ სახეებს, მარადიული დედობით გათქვირულ ძუძუებსა და მარადიული მამაკაცობის, სტიქიათა დამთრგუნავი ძალით დაკუნთულ მკლავებსა და ბარძაყებს. ადამიანი მათთვის ცალკე ასუქებდა ფრინველსა და საქონელს, მზითა და შრომით გახვითქული, პურის მშრალი ხიწვით კანდაშაშრული, პირველ ძნას მათ სახელზე დგამდა და პირველი ჩხაც მათთვის გამოჰქონდა ვენახიდან. ის ყველა ღვთაებას ერთნაირად სცემდა პატივს და განზე გადგებოდა ხოლმე, როცა ისევ მისი გულისთვის, მაგრამ ისევ უიმისოდ ღვთაებები ერთმანეთს

სპობდნენ ან ამრავლებდნენ, აღარიბებდნენ ან ამდიდრებდნენ, ასუსტებდნენ ან ამლიერებდნენ; მისი თაყვანისცემა, მორჩილება და სამსახურიც მარადიული იყო, შეურყეველი, გაუნელებელი, განურჩეველი, რადგან სინამდვილეში ძველსაც და ახალსაც, დამარცხებულსაც და გამარჯვებულსაც, ერთი და იგივე ღვთაება განასახიერებდა, ოღონდ ოდნავ ფერშეცვლილი, გამლიერებული, გაზრდილი, გალამაზებული და დაბრძენებული.

იმ დღეებში კიდევ ერთი უჩვეულო სიზმარი დაიბადა ვანში და თუ ბედიას სიზმარივით ისიც ყველას საკუთრება არ გამხდარა, მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა პატრონმა ვერ გაბედა ამ სიზმრის მოყოლა. სიზმრის პატრონი კი აიეტის უმცროსი ქალიშვილი გახლდათ. სასახლეში და საერთოდ ვანში მომხდარმა ამბებმა მედეაც შეაკრთო და დააფიქრა. მართალია, მედეას თავისი განსაკუთრებული ქვეყანა ჰქონდა და იმ ქვეყნისა, სადაც ეს ამბები ხდებოდა, ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო შესამჩნევი, მით უფრო ხმაურიანი და საინტერესო ხდებოდა იგი. როგორც მოზიემე სახლის უცებ გამოღებული კარიდან, გამოიჭრებოდა ხოლმე იქიდან ქარისას უდარდელი კისკისი და ერთი წამით ააფორიაქებდა ყველაფერს, რაც კარს აქეთ დარჩენილიყო. მედეაც კარს აქეთ იდგა, მასაც უცნაურად შეაკრთობდა ხოლმე დის კისკისი, სისხლის გემოს უჩენდა პირში და მისთვის უცხო, თითქოს არარსებული ყვავილების სურნელი ასდიოდა. არასოდეს არ დაბადებია მედეას იმ კარში შესვლისა თუ შეხედვის სურვილი; რცხვენოდა და იმიტომ, ეგონა ყველანი სიცილს დააყრიდნენ, ამას აქ რა უნდაო. მედეას იმისაც რცხვენოდა, საკუთარ დის ნალაპარაკებს რომ ვერ ხვდებოდა. და გულს უხსნიდა, მას კი შიგ ჩახედვა არ შეეძლო. სამაგიეროდ, ქარისამ საკუთარი გული აპოვნინა მედეას. მას მერე მედეას მოსვენება დაეკარგა, გულის უნებართვოდ ნაბიჯს ველარ გადადგამდა, სიტყვას ველარ იტყოდა; თუ რამეს არ მოუწონებდა, ისეთ დღეს დააყრიდა, მამიდა ყამარი მოგონილი იყო, ბალიშში თავჩარგულს დილამდე მწარედ აქვითინებდა ხოლმე. "აბა, ერთი შენს დაიკოსაც ჰკითხე, ეტირება თუ არაო", - არ ასვენებდა გული და მედეამაც აღარ იცოდა, რა ელონა, სად დამალვოდა ამ მართლაც დაუნდობელ არსებას. "რატომ არ უნდა ეტირებოდეს, ქმარი მოუკვდაო", - ჩასმახოდა ბალიშს მედეა, მაგრამ გული სხვანაირად ფიქრობდა, სხვანაირად ირჯებოდა; რადგან დამალული იყო, ყველაფრის უფლებას აძლევდა თავს.

მედეას რწმენით ფრიქსე ქარისას ღვთაება იყო, ქარისას კერპი, რომელიც ერთმანეთზე უკეთესი ვაჟებით ასაჩუქრებდა თავის ერთგულსა და მშვენიერ მხევალს. მაგრამ მედეა იმასაც გრძნობდა, განსაკუთრებით ბოლო დროს, განსაკუთრებით ქარისასთან უკანასკნელი საუბრის შემდეგ, რომ რაღაც მომხდარიყო, რაღაცას დაერღვია ის სავალდებულო თანხმობა, რაც ღვთაებასა და მხევალს შორის უნდა არსებელიყო. ღვთაებები რომ მიზეზიანები იყვნენ, ესეც კარგად იცოდა მედეამ, მაგრამ მხევალი რის მხევალი იქნებოდა, თუ ღვთაების მიზეზიანობა მოთმინებიდან გამოიყვანდა, მოვალეობას დაავიწყებდა. რამდენჯერ შეჭმუხნია შუბლი მედეას ღვთაებას, რამდენჯერ დამალვია ღრუბლებში, მაგრამ მას არც ლოცვა შეუწყვეტია და არც სამსახური. მართალია, ქარისას ღვთაება სხვა იყო და მედეასი სხვა, მაგრამ მაინც ჰგავდნენ ერთმანეთს, თუნდაც იმით, რომ ორივეს მხევალი სჭირდებოდა. მართალია, ფრიქსე მოკვდა, მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა სხვებზე ნაკლებად როდი დაამწუხრა მედეა, მაგრამ მედეასთვის ეს

მაინც ღვთაების სიკვდილი იყო, იმედის მომცემი. განა ღვთაებები არ კვდებოდნენ? მაგრამ ღვთაებები იმიტომ იყვნენ, მკვდრებით აღდგომაც შეეძლოთ, ხელმეორედ დაბადება, რათა უფრო ძლიერი და მშვენიერი დაბრუნებოდნენ ქვეყანას. გული კი ცქმუტავდა, ფრთხილებდა, როგორც ნაყოფი დედის მუცელში, ყრუ და მთრთოლვარე ბიძგებით თავს რომ ახსენებს ქვეყანას: იქნებ მეყოფა, იქნება დროა ჩემი გამოჩენისათ. მედეასაც ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს გული უჩანდა, თითქოს ხელებს თუ მოიშორებდა მკერდიდან, ყველანი დაუნახავდნენ, ქარისას თემებში ჩაწნული ყვავილივით დიდსა და ალისფერ გულს. გული კი მართლა ისე იქცეოდა, თითქოს ეპატარავებოდა, ეხოთირებოდა ქალწულის სუსტი და სიფრიფანა სხეული; ან მართლა დააღწევდა თავს მისი ტყვეობიდან და ნაპირზე ამოგდებული თევზივით სასაცილო ხტუნვა-ხტუნვით დალევდა სულს, ან მასაც აიყოლიებდა და გაიტაცებდა ნამდვილი ცხოვრების ღრინაცელში, მტვერსა და ტალახში, ქარის საწინააღმდეგოდ, როგორც ბირკაკრული, მკერდგაქაფული სადოლე ცხენი ზედდამკვდარ მხედარს.

რას არ იგონებდა გული, მედეა რომ უარესად დაეფრთხო და დაეზნია, ეგრძნობინებინა, რამდენად ძლიერი, შორსმჭვრეტელი და ყველაფრის მცოდნე იყო თვითონ, ვიდრე მისი მტვრითველი. "იცოდე, ძაღლებს შევაჭმევინებ შენს თავსო", - ემუქრებოდა გამწარებული მედეა, ის კი, სიბნელეში საიმედოდ შეეყუჟული, ერთსა და იმავეს იმეორებდა და უარესად ამწარებდა მტკივნეული, ძირფესვიანად შემარყვეველი გარდაქმნებით ისედაც აფორიაქებულ გოგოს. "ერთი ჰკითხე მაინც შენს დაიკოს, ქმარი მოუკვდა თუ მოკლა, მოუკვდა თუ მოკლა, მოუკვდა თუ მოკლაო". - ცეცხლზე გამთბარი დოლივით გუგუნებდა გული.

რა თქმა უნდა, გული აჭარბებდა, ფრიქსე არც შხამით იყო მკვდარი და არც ხანჯლით, უბრალოდ, სიკვდილს მოეკლა, თავისთვის გამოერჩია, მაგრამ მედეა მაინც შეიპარა იმ დარბაზში, სადაც ფრიქსეს ცხედარს ღამდამობით ასვენებდნენ ხოლმე. "დარწმუნდი? მოისვენე?" ჩასმახოდა მედეა გულს, მაგრამ გული მაინც არ იშლიდა თავისას, მაინც ირწმუნებოდა, რომ კაცის მოსაკლავად აუცილებელი არ არის შხამი და ხანჯალი. მედეა კი მხოლოდ იმაში რწმუნდებოდა, თუ რა სახიფათო, დაუნდობელი და ძნელად შესაჩვევი იყო ქვეყანა, მისი უფროსი დის ქვეყანა, საითაც დღითი დღე მეტი მონდომებითა და სიჯიუტით ექაჩებოდა გული. ქარისას ქვეყანა უფრო სახიფათოც იყო და უფრო საინტერესოც. ყოველ წუთას რაღაცა ხდებოდა იქ, ყოველ წუთას რაღაც შენდებოდა, ანდა ინგრეოდა, გრუხუნით ენარცხებოდა მიწაზე, გამომწვევად გაამაყებული გარდუვალი დაღუპვის შეგრძნებით და იმითაც, რომ ერთი წუთით მაინც შეეძლო გაეხვია ყველაფერი საკუთარ მტვერში.

მედეა ჯერ ისევ ძველებურად ცხოვრობდა. ყოველ დილით შედგებოდა ხოლმე ჯორებშებმულ ეტლზე, მარჯვენაში სადავეს დაიჭერდა, მარცხენაში მათრახს და თორმეტი მხევის თანხლებით დარიაჩანგის ბალისკენ გასწევდა, მაგრამ იქაც, თავისი დიდებული ღვთაების ტამარშიც, ვეღარ ივიწყებდა იმ ვნებიან, აღზნებულსა და მოურიდებელ ხმელს, ახლა უფრო თავისუფლად რომ წვდებოდნენ, ტლანქად აჯანჯლარებდნენ, თითქოს გამოღვიძებულ უპირებდნენ, რათა თავიანთ ბუნაგში შეეთრიათ და კიდევ უფრო გაძლიერებულიყვნენ, გამრავლებულიყვნენ. გული იყო ყველაფერში დამნაშავე, გული აღარ ასვენებდა და ხან მუდარით, ხან კი ცრემლითა და ბუზლუნით ეწეოდა იქითკენ, როგორც კალთაზე ჩაბლაუჭებული ბავშვი ექაჩება შინისკენ დედას, მეზობელს რომ გასჩერებია სალაპარაკოდ. "შენ თამაშობ, ისინი

კი ცხოვრობენო", - ოხრავდა გული და, რაც არ უნდა მოეყრუებინა, რაც არ უნდა დაეხუჭა თვალი მედეას, მაინც ყველაფერი შეცვლილი ეჩვენებოდა ირგვლივ, თითქოს მის არსებაში ჩასახლებული მეორე უჩინარი არსების განუწყვეტელ ბაგაბუგზე ქვეყანას თანდათან ეზარებოდა ნამდვილი სახის დასამალავად აფარებული თიხის ნიღაბი. მედეას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ადრე უფრო დიდი იყო ეს ბაღი და ტაძარიც. ან ისინი დაპატარავებულიყვნენ თვალსა და ხელს შუა, ან თვითონ გაზრდილიყო, იმდენად გაზრდილიყო, ეჩოთიერებოდა კიდევ სივრცე, სადაც აქამდე შეუმჩნევლად იკარგებოდა, როგორც მისი მხევლების სიმღერიდან გადმოპარული ყვითელი და გაფუყული წიწილა. "დაბნეულ ფეტვის მარცვალსაა ვინ მოჰკრეფს წიწილის მეტი", - უნებურად წაილიღინა მედეამ და სევდიანად გაეღიმა, წიწილისა არ იყოს, მასაც ძნელი საქმე გასჩენოდა: თავიდან უნდა შეჰკუებოდა აქაურობას, სანამ ის ქვეყანა, ამჯერად ფრიქსეს სიკვდილით აფორიაქებული, თანდათან ჩაწყნარდებოდა, დამშვიდდებოდა და მედეასაც გაანებებდა თავს. მედეას თავისი ქვეყანა ჰქონდა, მამიდა ყამარის დანატოვარი, მამიდა ყამარის ცოდნის აგურით ნაშენი და მამიდა ყამარის მოთმინების კირით შელესილი. მაგრამ მამიდა ყამარს ცოდნაცა და მოთმინებაც, ეტყობა, სამი კედლის ამოსაშენებლად ეყო მხოლოდ, რადგან აქაც, დარიაჩანგის ბაღშიც, უკვე თავისუფლად დანავარდობდნენ ქარისას ქვეყნიდან მოფრენილი ქარები. არა, ისინი უფრო ადრე შემოფრენილიყვნენ აქ, ვიდრე მედეა შეამჩნევდა, ვიდრე ყურადღებას მიაქცევდა. დიდი ხნის წინათ მათ მიერ მობნეული თესლი უკვე გაფუებულიყო და, მზის ქვეშ ვერაგულად გატრუნული, უხვად აფრქვევდა მათრობელა მტვერსა და ბუსუსებს, და თორმეტ ტიტლიკანა გოგოს კვიცივივით დააჯირითებდა, უმიზეზოდ ასევდიანებდა, ასევე უმიზეზოდ ახარებდა და მათ საქციელს, საუბარსა თუ სიმღერას თამაშის ელფერში ხვევდა, როგორც ყოველგვარ ბავშვურ საიდუმლოს. ასე გაგრძელდებოდა მანამდე, სანამ დრო ამ გოგოებს თავლაში არ შელალავდა, იმ ქვეყანაში, სადაც თამაშობას ცხოვრება ერქვა, ოცნებას კი სინამდვილე. ეს სურნელოვანი ბაღი და მზით გადათეთრებული ნაპირიც თავლაში სანატრელი გაუხდებოდათ, მაგრამ ასეთები ველარასოდეს დაბრუნდებოდნენ უკან, არც ბაღი და ნაპირი დახვდებოდათ ასეთი, თანდათან გაუფერულდებოდა, უარესად დაპატარავდებოდა და დაშორდებოდა კიდევ, რადგან დღითი დღე დაუმოკლებდათ აღვირს ქმრის ბუზლუნი და შვილების ღნავილი.

ამ პატარა, ვაშლის ფოთლებით დაჩრდილულ ქვეყნიდან გამოსვლა შეიძლებოდა მხოლოდ, იმ დიდ ქვეყანაში კი - შესვლა. ისინიც აუცილებლად გამოვიდოდნენ ერთიდან, რათა მეორეში შესულიყვნენ. გული მართალი იყო, მაგრამ ეს სიმართლე ჯერ კიდევ აფრთხობდა და აღიზიანებდა მედეას, თუმცა უკვე თვითონაც გრძნობდა, არც მას ეყოფოდა ცოდნა და მოთმინება იმ მეოთხე კედლის ამოსაშენებლად, მამიდა ყამარს რომ დარჩენოდა თუ დაეტოვებინა ამოუშენებელი. უმაღლეს დანარჩენებსაც მოანგრევდა, დაუფიქრებლად, დაუნანებლად, როგორც ჩხირების ხუზულას ბავშვი, რომელსაც გადია სადილად ეძახის.

დაბნეულ ფეტვის მარცვალსაა

რა მოჰკრეფს წიწილიის მეტი...

უხმოდ მღეროდა მედია და ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს, გაურკვეველი, სულის გამაწვრილებელი მოლოდინი გასჩენოდა და უარესად იტანჯებოდა, ვერაფრით რომ ვერ გაერკვია, რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდა. სიზმარი რომ ნახა, ცოტა გულზე მოეშვა, ეტყობა, ამის მოლოდინში ვიყავიო, მაგრამ ახლა სიზმრის სითამამემ და შიშის მომგვრელმა ნეტარებამ აურია გზაკვალი. თუმცა გზაკვალი სიზმარსაც არეოდა თითქოს: დები შეშლოდა და ქარისას ნაცვლად მედეას მოსდგომოდა, რადგან მედეას აზრით ქარისას უფრო ეკუთვნოდა იგი. ამ სიზმრის გმირი მკვდრეთით აღმდგარ ღვთაებას ჰგავდა, ქვესკნელიდან დაბრუნებული, ღვთაებრივი სიმშვიდითა და სიმტკიცით რომ მოაბიჯებს ქვეყანაზე, დროებით დაკარგულის დასაბრუნებლად.

სიზმრის ხილვის შემდეგ მედია მთელი ღამე ფრიქსეზე ფიქრობდა. მისი სიზმრის გმირი რალაციტ მართლა ჰგავდა ფრიქსეს, მაგრამ უფრო ლამაზი, უფრო თამამი და უფრო ღონიერიც ჩანდა. თუმცა, არც ეს იყო საკვირველი, სიკვდილი ხომ ღვთაებაში უარესად აღვივებს სიცოცხლეს, როგორც ქარი ცეცხლს. მაგრამ თუ ის მართლა ფრიქსე იყო, სიკვდილით გარდაქმნილი და გამშვენიერებული, რატომ გამოეცხადა მედეას და არა ქარისას, რაც უფრო ბუნებრივი იქნებოდა?! ან იქნებ მედეაც გარდაიქმნა და ქარისას სახე მიიღო?! რამდენჯერ უნატრია, რამდენჯერ წარმოუდგენია თავი ქარისასავით ლამაზი და რამდენჯერ გადასტრიალებია გული, როცა ქარისას მტვრის ნამცეცი ანდა ნავლი ჩავარდნია თვალში და ერთი ამბავი აუტეხია, ვაიმე დავბრმავდი, ვერაფერს ვეღარ ვხედავო. მედეას ცივი ოფლი დაასხამდა ხოლმე თვალდათხრილი ქარისას წარმოდგენაზე და მართლა დამბლადაცემულივით ელოდებოდა, როდის მოიშორებდა ქარისა თვალიდან ხელს. მერე კი ბედნიერებისგან იბადრებოდა და აღტაცებული შესცქეროდა დას, რომელსაც ნატკენი თვალი ოდნავ დასწითლებოდა და გრძელსა და სველ წამწამებს ისე სწრაფად ახამხამებდა, თითქოს შავი პეპელა ყვავილზე თავს იმაგრებსო.

ან იქნებ ქარისამ მიითვისა უმცროსი დის სინორჩე და სიქალწულე, რათა მკვდრეთით აღმდგარსა და გაჭაბუკებულ ქმარს თვითონაც უმანკო და ხელუხლებელი დახვედროდა?! ამგვარი ფიქრებით თავატკივებულს, დაბნეულსა და დარცხვენელ მედეას შინიდან გამოსვლა ესიკვდილებოდა, შინ მობრუნებულს კი ფეხები უკან რჩებოდა, თითქოს ვინმე დატუქსავდა ანდა დასცინებდა. კაბა ისე აწუხებდა, თითქოს კაბიანად ებანავა და ტანზევე შემორობოდა. თავისუფლად მხოლოდ დისშვილებთან გრძნობდა თავს და ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა, როდის ჩაუჯდებოდა შუაში ამ ოთხ თამამსა და ღონიერ ბიჭს. მათი უხეში მოძრაობები და ხმამაღალი, მოურიდებელი ლაპარაკი მალამოსავით ეცხებოდა მედეას აფორიაქებულ ბუნებას. ამ ბიჭებში იყო ის ძალა, რომელიც თვითონ არ ჰქონდა, მაგრამ მოაჯირივით სჭირდებოდა, ბავშვობის უკანასკნელ საფეხურზე შემდგარსა და სიმალისა და სიახლის შეგრძნებით თავბრუდახვეულს. ფრიქსეს სიკვდილის შემდეგ ბიჭებმაც მოუხშირეს დეიდასთან სიარულს. "დეიდას" ხუმრობით ეძახდნენ და მედეასაც გულიანად ეცინებოდა, იმდენად უცნაურად მიაჩნდა თავის ტოლა ბიჭების დეიდობა. უაზრო და გაუთავებელ საუბრებში ისე დაათენდებოდათ ხოლმე, თვითონვე უკვირდათ და უხაროდათ კიდეც, ძალით რომ აღარ მიათრევდნენ საწოლებში ძიძა-გადიები. გრძნობდნენ, გაზრდილიყვნენ, ხოლო ამის შეგრძნება

ათამამებდათ და უფრო მეტის უფლებას აძლევდნენ თავს, ვიდრე უნდოდათ, ანდა სჭირდებოდათ, რადგან ყველაფერი მეტი უნდოდათ, თანაც ერთბაშად.

ხანდახან ქარისა მოუკაკუნებდათ ხოლმე, რა გაქვთ ამდენი სალაპარაკო. შემოსვლით კი არ შემოვიდოდა, თითქოს ისიც გრძნობდა, შვილები რომ გაზრდილიყვნენ და ადგილიც აღარ დარჩენილიყო მისთვის. ამასვე ადასტურებდა მისი დაღლილი და მავედრებელი ხმაც. ქარისა აღრე ერთს დასჭექავდა, ოთხივეს კინწისკვრით გაირეკავდა წინ და ვერც ერთი ვერ გაუბედავდა სიტყვის შებრუნებას. ახლა კი გაიცინებდნენ ხოლმე დედის ხმის გაგონებაზე და გასძახებდნენ, გვაცალე, დედილო, რა დროს ძილია, ბავშვები ხომ არა ვართო. ბავშვობა აღარ უნდოდათ, რადგან ჯერ ისევ ბავშვები იყვნენ.

"იმ გოგრის თესლი თუ არ ვჭამე, ისე ცხოვრებას რა ფასი აქვსო", - იტყოდა არგუსი და ოთხივენი ისე მადიანად აწვლაპუნებდნენ პირებს, თითქოს მოხალული და მარილმოყრილი გოგრის თესლი კალთაში ეყარათ. "ჩვენი გოგრა უთესლოა?" - უკვირდა მედეას და აღფრთოვანებული შესცქეროდა ძმების აქოჩრილ თავებს, სადაც მისთვის გაუგებარი ფიქრები ბუდობდნენ. ძმებიც გრძნობდნენ მედეას აღფრთოვანებულ მზერას და ოთხივეს უარესად ეუფლებოდა თავის გამოჩენისა და ბაქიბუქობის ჟინი ამ ერთადერთი ქალის წინაშე, რომელიც დადაც ეკუთვნოდათ და დეიდადაც. "ვინ იცის, მამაჩვენის ქონებას ვინ ოხერი ანიავებს. ჯერ ჩავიდეთ..." - იმუქრებოდნენ ფრიქსეს ვაჟები და თან პაპის ჯიბრზედაც ლაპარაკობდნენ ასე, რადგან გულის სიღრმეში ოთხივენი ნაწყენები იყვნენ აიეტზე, მიცვალებულთა ჭალაში ყველას გასაგონად რომ განაცხადა: მორჩა და გათავდა, ყველა თავის ადგილას დაეტიოსო. ფრიქსეს გვამი უკვე ხეზე ქანაობდა, მისი ვაჟები კი მჯილით იწმენდნენ მდულარე ცრემლს და უკვე გაქცევაზე ფიქრობდნენ. არა, გაქცევაზე მერე დაიწყეს ფიქრი, როცა აიეტმა თქვა: მორჩა და გათავდა, ყველა თავის ადგილზე დაეტიოსო. "მაინც წავლენო", - გაიფიქრა აფრასიონმა და თვითონვე შეეშინდა, ხმამაღლა არ წამოსცდენოდა ის, რაც მხოლოდ მან იცოდა. მართალია, ფრიქსეს ვაჟებიც იმ წუთას გაქცევაზე ფიქრობდნენ, მაგრამ ეს უფრო დამუქრება იყო, ვიდრე გადაწყვეტილება. რაც ფრიქსე მოკვდა, აფრასიონს თავი არ აუწევია მალლა, თითქოს თვითონ იყო დამნაშავე ფრიქსეს სიკვდილში, თითქოს ის იყო დის დაქვრივებისა და დისშვილების დაობლების მიზეზი. არც მთლად უსაფუძვლოდ გასჩენოდა აფრასიონს ამგვარი გრძნობა, ყველაზე აღრე ხომ მან იგრძნო ფრიქსეს სიკვდილი და მისთვის მაშინაც მკვდარი იყო ფრიქსე, როცა თვალში გამოიხედა და საწოლიდან წამოდგა. მაშინაც, როცა წელამდე შიშველი, მიწას თხრიდა. სიკვდილი ჯერ აფრასიონის გონებაში ჩასახლდა და იქედან სტაცა ხელი ფრიქსეს. მართალია, აფრასიონი ვერაფერს გახდებოდა, ვერაფრით გადაუკეტავდა გზას, მაგრამ წინასწარ რომ იცოდა მისი არსებობის შესახებ, ესეც დანაშაულად მიაჩნდა, სიკვდილმა ის თანამზრახველად გაიხადა, მესაიდუმლედ, თუმცა აფრასიონმა საიდუმლო არ შეუნახა, მაგრამ ამითაც დააშავა, დისშვილებს შეაჯავრა თავი. "გინდოდა და იმიტომ ფიქრობდი მამაჩვენის სიკვდილზეო", - უთხრეს დისშვილებმა.

აფრასიონი კი ტყეში გაიპარებოდა ხოლმე და ბალახში პირჩამხობილი ტიროდა სევდიანად მოღიმარ ფრიქსესაც, უდარდელად მოკისკისე ქარისასაც და მუხლებგადატყაულ, ოფლისაგან ქოჩორგადაგლესილ დისშვილებსაც, ერთმანეთის მიყოლებით რომ ხტებოდნენ ციხის კედლიდან. მერე კი თავჩალუნული დადიოდა და ყველას არიდებდა ცრემლნარევი მიწით

მოთხუპნულ სახეს. ფრიქსე მიდიოდა, მიიპარებოდა, როგორც გაბზარული ჭურჭლიდან წყალი. აფრასიონი ისე შეზარა მისი შვილების უდარდებლობამ, ვეღარ მოითმინა და უთხრა - მამათქვენი მოკვდებო. ოთხივეს მიწის ფერი დაედო სახეზე, სიძულვილისაგან აწრიალებული თვალები ძლივს ააწყვიტეს მართლაც ბავშვივით ასლუკუნებულ ბიძას, უხერხულად რომ იხოცავდა ცრემლს; შეტრიალდნენ და წავიდნენ; აფრასიონს ცრემლი ღაპალუპით ჩამოსდიოდა აკანკალებულ სახეზე, რადგან ფრიქსეც უყვარდა და მისი ვაჟებიც.

როცა აფრასიონმა მიცვალებულთა ჭალაში გაიფიქრა "მაინც წავლენო", არგუსმა დაბღვერილმა გამოხედა, თითქოს მიხვდა, რას ფიქრობდა ბიძამისი და გააფრთხილა, ენას კბილი დააჭირეო. მაგრამ აფრასიონი ისედაც არავის გაუმხელდა, რადგან უკვე ბევრჯერ გამოცადა, რომ წინასწარ თქმას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაინც ისე მოხდებოდა, როგორც უნდა მომხდარიყო, როგორც უკვე გადაეწყვიტათ ბედისწერის ქალღმერთებს. ამიტომაც ჰგავდა აფრასიონის ცხოვრება სიზმარს, ყველაფერი იცოდა, გაკეთებით კი ვერაფერს აკეთებდა ისე, როგორც თვითონ უნდოდა. ცოდნა თრგუნავდა, თითქოს თავს ამადლიდა. არც სხვებს სიამოვნებდა წინასწარ შეტყობა იმისა, რაც მომავალში ელოდებოდათ, სასიხარულო იყო თუ სამწუხარო. აფრასიონს ერთადერთი რამე ანუგეშებდა მხოლოდ: დიდი ხნის სიცოცხლე არც მას ეწერა.

სწორედ იმ დღეს, როცა მედეამ სიზმარი ნახა, აფრასიონმა, დაგვილსა და წყალმოკვურებულ ეზოში მარტო რომ დასეირნობდა, ისე უცნაურად გაუღიმა ჯორებშებმულ ეტლზე შემდგარ დას, მედეა უნებურად შეკრთა, იმდენი სითბო, სიყვარული და სინანული გამოსჭვიოდა აფრასიონის ღიმილიდან. მედეამაც დაბნეულად გაუღიმა ძმას და რატომღაც ჯორებს მათრახი გადაუჭირა. განაწყენებული ჯორები თავების კანტურით გავიდნენ ალაყაფში. მედეა უკვე მზად იყო სიზმრისათვის, რომელიც ლამაზ, მაგრამ მძიმე გვირგვინად უნდა დაედგა მის შინაგან მღელვარებას, დაბნეულობასა და შეუცნობლისაკენ უნებლიე ლტოლვას.

იმ დღესაც დიდხანს იჭყუმპალავეს ზღვაში გოგოებმა. მერე მედეა ცხელ სილაზე განმარტოებით მიწვა და ჩამავალ მზეს მიაჩერდა. შავ-წითელი ღრუბლები ბოლქვა-ბოლქვა გროვდებოდნენ დასალიერზე. მედეა ისე მოეთენთა წყალსა და მზეს, განძრევაც ეზარებოდა, თუმცა იცოდა, წასვლის დრო იყო. საღამოს ნიავი ზღვის ზედაპირს ათრთოლებდა და წეწავდა. თეთრი პატარა ტალღები ფარეხიდან გამოდენილ ბატკნებივით უთავბოლოდ აწყდებოდნენ ერთმანეთს, სილა ნელა ცივდებოდა და მედეას ტანზე ეკალს აყრიდა, მაგრამ მაინც არ დგებოდა, თითქოს ნაბრძანები ჰქონდა, ასე წოლილიყო და დაეცადა. რისთვის უნდა დაეცადა, არ იცოდა, მაგრამ გრძნობდა, რაღაც უნდა მომხდარიყო, რაღაც, რაც მის ბუნებას კიდევ აკრთობდა და კიდევ აინტერესებდა.

და აი, მართლაც გამართლდა მედეას მოლოდინი: ზღვიდან კაცი ამოვიდა. დობილების ხმა შორიდან ძლივსღა ისმოდა. მედეამ ჯერ მხოლოდ შავი ლანდი გაარჩია, რადგან ზღვიდან ამოსული კაცი ჩამავალ მზეს ზურგით აეფარა. ერთბაშად ჩამობნეულა. მედეას უარესად შესცივდა და გაკვირვებული მიაჩერდა მისკენ მომავალ მამაკაცს. არც წამოდგომა უცდია, არც კაბისკენ წაუღია ხელი, თითქოს ასე უნდა წოლილიყო და ასე ჩვენებოდა უცნობს, თამამად რომ მოაბიჯებდა მისკენ. მედეა გულაღმა იწვა და ხელები გაეშალა. კაცი კი მოდიოდა. ფეხქვეშ ქვიშა ჩხრიალებდა, ბრინჯაოსფერი სხეული ქონწასმულივით უბზინავდა, ზვირთივით მოძრავ თმას



ოქროს თასმა აკავებდა. უცნობს ხელში სამკბილა ფიწალი ეჭირა, ისე მოდიოდა, თითქოს იცოდა, რომ უცდიდნენ და ისიც იცოდა, ვინ ელოდებოდა. პირდაპირ მედეასკენ მოდიოდა. მედეამ თვალები დახუჭა და ისე გააჟრჟოლა, თითქოს უცებ შიშველ ტანზე ლელვის ხაოიანი ფოთოლი ჩამოუსვესო. ხოლო, როცა თვალი ისევ გაახილა, კაცი მის ფეხთით ჩაჩოქილიყო, ფიწალი კი ტარით სილაში ჩაესო. ფიწლის სამი გამახული კბილი თანავარსკვლავედით ბრწყინავდა. კაცმა ორივე ხელით მედეას ფეხი ფრთხილად ასწია, თითქოს წიწილა აიყვანა, და ვარდისფერ ტერფზე აკოცა. მედეას მთელ სხეულზე თბილმა ტალღამ გადაუარა, თითქოს უეცრად ზღვა ამოვარდა ნაპირზე. ამ ტალღამ იგი ერთიანად დაიმორჩილა, დაასუსტა და ნეტარების ღიმილით ზაგე გაუპო. კაცმა ახლა ცერა თითზე უკბინა, გახურებული ხელისგული მედეას ფეხს ბოლომდე ნელა ჩააყოლა, და ბატკანივით ხუჭუჭა ბორცვზე დაადო. მედეას ეგონა, არასოდეს არ გათავდებოდა ეს უცნაური ნეტარება, თავისკენ რომ ეწეოდა, ისრუტავდა, ალბობდა და გადაყლაპვას უპირებდა. მედეაც, მხოლოდ და მხოლოდ უნებურად, ალაღბედზე ეჭიდებოდა ქვებს, რათა ამ მძლავრი მიზიდულობისგან თავი შეეკავებინა. მაგრამ ქვები ფესვებიანად ამოდიოდნენ ფოსოებიდან და მასთან ერთად მიფრინავდნენ. მედეამ ოდნავ გაღებული ქუთუთოებიდან სამი დიდი ვარსკვლავი დაინახა: წითელი, მწვანე და ლურჯი. ვარსკვლავებიც თავბრუდამხვევად ტრიალებდნენ მედეას ზემოთ და ფერად წრეებს აჩენდნენ სივრცეში. ზღვაც უცნაურად ქმინავდა და მოიწევდა, თითქოს ყველაფერი, მთელი სამყარო, მედეას არსებაში შელწევას ცდილობდა. და მედეამ იგრძნო, როგორ გაიხსნა, როგორ შეიჭრა მის გატრუნულ ბუნებაში გამდნარი ვარსკვლავების ნაკადი, ცხელი და უსასრულო, შლეგი და თამამი.

მედეას გაეღვიძა. თორმეტივე გოგო თავზე დასდგომოდა და ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს მათთვის უცნობ და ნაპირზე შემთხვევით გამორიყულ ცხოველს ათვალთვლებდნენ. მედეამ რომ თვალი გაახილა, "გემინაო" - შესძახეს ერთხმად და ისე გადაიკისკისეს, თითქოს უცებ ჩიტების გუნდი წამოიშალაო.

მზე უკვე სანახევროდ ჩასულიყო ზღვაში, ველური თაფლივით ძარღვიანი და ალისფერი; ასეთივე ფერის ფართო ზოლს შუაზე გაეჭრა ზღვა, მზიდან ნაპირამდე. მზე გოგოების შიშველ მხრებზეც ბრწყინავდა. მედეა ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო სიზმრიდან და ვერ გაეგო, რატომ დასცქეროდნენ გოგოები ასე. მერე ყველაფერი გაახსენდა და მაშინვე წამოდგა. დობილებს ზურგი შეაქცია და კაბა სწრაფად გადაიცვა, რადგან მთელ სხეულზე ისევ ცხადად იგრძნო მხურვალე ნაკოცნები. სამი ნაკოცნი, სამი ვარსკვლავით დამჩნეოდა მკერდზე: წითელი, მწვანე და ლურჯი.

მედეამ თმა დაიწნა, ნაწნავი ბაგირივით დაიხვია თავზე და ძვლის ჩხირით დაიმაგრა. გოგოებიც მაშინვე კაბებს მისცვივდნენ, სველი, დამძიმებული თმა მათაც ნაუცბათევადა დაიგრაგნეს თავებზე და ერთი წუთის მერე ყველანი მზად იყვნენ წასასვლელად. მალე, ბატებივით დამწკრივებულნი, ტაძრისკენ მიმავალ ბილიკს მიუყვებოდნენ. მათ ზურგს უკან ზღვა ოხრავდა. წინ მედეა მიუძღოდათ: დაქალბული, დამფრთხალი და ბედნიერი. სიგრილისაგან გაცრეცილ სახეზე ღიმილი გადაჰფენოდა, როგორც მოსაწვევი ბარათი იმ უცხო ქვეყნიდან, რომელსაც აქამდე ქარისას ნალაპარაკევით იცნობდა მხოლოდ და რომელიც ყოველთვის აშინებდა და აღიზიანებდა, როგორც მსახიობს სცენა, სანამ ზედ დაადგამდა მღელვარებისგან აძიგძიგებულ ფეხს. მაგრამ მსახიობმა ისიც იცოდა, შიშიცა და მღელვარებაც მოგონილი იყო იმ ჯადოქრულ

ძალასთან, რომელიც სცენაზე დაეუფლებოდა და უნარს მისცემდა, გაეკეთებინა ის, რასაც უიმისოდ ვერასოდეს ვერ გაბედავდა.

ახლა მედეაც ამგვარ ძალას გრძნობდა სწორედ და, როგორც მსახიობი სცენისაკენ, აკანკალებულ მუხლებითა და მომღიმარი სახით მიდიოდა ცხოვრებისკენ, სადაც უკვე ელოდებოდნენ და ადგილიც მოეცალათ მისთვის. მედეა დარწმუნებული იყო, ქარისას უნდოდა ასე, ქარისა ცდილობდა მის გადაბირებას, თავის ქვეყანაში შეტყუებას, რათა მედეასაც ეწვინა, რაც თვითონ უკვე განეცადა და გადაეტანა. მედეამ ისიც იცოდა, უბედური რომ იყო მისი უფროსი და, მაგრამ ეს უბედურებაც მაცდური და მიმზიდველი ჩანდა, როგორც სხვა ყველაფერი, რაც ქარისასთან იყო დაკავშირებული. "იყოს როგორც შენ გინდა, - ფიქრობდა მედეა, - შენი გულისთვის ესეც შემძლიაო". მედეა იმ ბავშვივით დამთმობი და გულუხვი გამხდარიყო უცებ, ყველაზე კარგი სათამაშო თვითონ რომ ჩაუხუტებია გულში. ეს "ყველაზე კარგი სათამაშო" კი სიზმარი იყო. ამ სიზმარს თავცოცხალი არავის აჩვენებდა და არც დაუთმობდა, ის მისი იყო, მხოლოდ მისი და თავს ბედნიერად გრძნობდა, ასეთი სიზმარი რომ ჰქონდა. ახლა, როგორმე, ცდუნება უნდა დაეძლია, თავი შეეკავებინა და არ მოეყოლა, თორემ მასაც ის დღე დაადგებოდა, ერთ საწყალ ბიჭს რომ დაადგა, დაადგა და ახიც იყო, რადგან ვეღარ მოითმინა და დედინაცვალს უამბო თავისი სიზმარი. "დედი, დედი, - გამოაჯავრა მედეამ გუნებაში იმ საწყალ ბიჭს, - აქეთ მზე მეჯდა, იქით მთვარე, შუქურ-ვარსკვლავი ხელ-პირს მაბანინებდაო". შემურდებოდა დედინაცვალს, აბა რა იქნებოდა, განა შეიძლება ასეთი სიზმრის მოყოლა? მართალია, ბიჭმა არც დედინაცვალს დაუთმო თავისი სიზმარი და არც ხელმწიფეს, მაგრამ საბოლოოდ, თავის სიზმრიანად, ხაროში ამოყო თავი.

\* \* \*

მარილის ჭამის შემდეგ აიეტს გუნება დაუმძიმდა. ასი კოკა წყალი დალია, ასი კოკა ღვინო დააყოლა, მაგრამ არ იქნა და არ გადნა მარილის ხორკლიანი ლოდი. დანალვლიანებული აიეტი ფიქრებს მიეცა. ისევ ჩაეშვა უძირო ჭაში. ჭამ ყიჟინა დასცა. "რა გიხარიათო", - გაუკვირდა აიეტს, "რაც შენ გადარდებსო", - ამოსძახა ჭამ.

- ამოდით, თუ ბიჭები ხართ! - იყვირა სიბრაზისაგან გადაფითრებულმა აიეტმა.

აიეტი ისე გაბრაზდა, ლამის ორივე ხელი გაუშვა ბაწარს და თითონაც ჭაში მოადინა ზღართან. ჭის ფსკერი კი ზეიმობდა. ჰქონდა კიდევ საზეიმო. აიეტი რადგან ბრაზობდა, ეტყობა, მაინცდამაინც ვერ იყო გულდამშვიდებული. ეს კი პირველი და უტყუარი ნიშანი იყო იმისა, რომ მის სიმტკიცესა და სიკერპესაც გასჩენოდა ბზარი, წყალი შესდგომოდა, მის სატახტო ქალაქში ბერძნის ხელით შემოყვანილი წყალი, მკლავის სისხლ ღარში ურჩხულივით რომ დგაფუნობდა და მთელ ქალაქს ბრჭყვიალა ბურუსში ხვევდა.

აიეტი ჭიდან ამოცოცდა, ბრძანება გასცა, მისი საომარი ეტლი გამოეგორებინათ და შიგ ყველაზე ფიცხი ცხენები შეებათ. სასახლეს თავზარი დაეცა, რა მოელანდაო, მაგრამ შეპასუხებას ვინ გაუბედავდა. თქმა და აღსრულება ერთი იყო, ეტლი უკვე კარიბჭესთან იცდიდა. ცხენები დადორბილ აღვირს ღეჭავდნენ. ადგილზე ცქმუტავდნენ და ერთი სული ჰქონდათ, როდის მოსწყდებოდნენ მიწას. ეტლში აფრასიონი იდგა, სადავე მაჯაზე დაეხვია და, ოდნავ უკან

გადაზნეილი, ადგილზე აშეშებდა ცხენებს. აიეტმა შვილს სადავე ჩამოართვა, მარტო მინდა გავიაროო, და ეტლი ადგილიდან მოწყვიტა.

რაშებმა თვალის დახამხამებაში უკან მოიტოვეს ქალაქი, ქუჩებში კი ისეთი ბული დააყენეს, ხალხს ხველება დააწყებინა. ეტლი დაუშრეტელ მდინარეს მიაწყდა და აღმა აუყვა. ბევრი იომეს რაშებმა, ბევრი ატრიალეს დაძარღვული კისრები, მაგრამ მაინც ვერ წაართვეს თავი მათზე არანაკლებ გაცოფებულ მხედარს. შუადამე გადასული იყო, მტვერსა და ტალახში ამოგანგლული, ბორბლებმორყეული ეტლი აიეტმა ქალაქში რომ შემოიყვანა. გასავათებულ, გახვითქულ ცხენებს ფეხი უსხლტებოდათ ქვაფენილზე, დაბერილი მუცლები უბუყბუყებდათ და მხედრის შიში რომ არ ჰქონოდათ, ქუჩაშივე დაეყრებოდნენ. აიეტმა სადავე მეჯინიბეს მიუგდო და უთხრა: ცხენის ხორცი თუ გიყვარს, ეგ ცხენები შენთვის მიჩუქნია, მეტი მაინც არაფრისთვის აღარ ვარგანანო. "დავასვენებ, დავბან, დავაძღობ და გავყიდო", - მაშინვე გაიფიქრა მეჯინიბემ. აიეტს ჯავრი გადაჰყროდა. სასახლეში ძველებურად წელგამართული შევიდა, მსახურს კვარი გამოგლიჯა და მძინარე ცოლს ასე გაჩირადნებულნი დაადგა თავზე.

მაგრამ ეჭვი მაინც თავისას განაგრძობდა, ის სულ სხვა მხრიდან ღრღნიდა კედელს, თითქოს საერთოდ არ აინტერესებდა აიეტი, ოღონდ ეგ იყო, ათასში ერთხელ ფიქრის ბაწარს ცხვირწინ აუქანავებდა ხოლმე, ხომ არ გათხოვოო. აიეტი თვალს არიდებდა, გულის სიღრმეში კი იცოდა, ცდუნებას დიდხანს ვეღარ გაუძლებდა, ისევე წაეტანებოდა გამომწვევად აკონწილებულ ფიქრის ბაწარს და ისევე ჩაჰყვებოდა იმ ამოსაქოლ ჭაში. ფიქრის ბაწარი იზიდავდა და აფრთხოვდა კიდეც, როგორც შშიერ ლომს მისატყუარზე დაყრილი საქონლის შიგანი. მაგრამ აიეტი ჯერ ითმენდა, უნდა მოეთმინა, სანამ შეძლებდა, რადგან იქ ჩასვლას ყველაფერი ერჩია. "რას ჩამოგტირით ცხვირპირით", - შეუძახებდა ხოლმე თავისიანებს, მაგრამ მისი ნამძალადევი მხიარულობა იმდენად თვალშისაცემი იყო, უტამფანდურობა არ გაემტყუნებოდათ, ღვინოზე კი არავინ ამბობდა უარს. ფრიქსეს ვაჟები ხარებივით სვამდნენ, პაპას ტოლს არ უდებდნენ და ტრახახობდნენ კიდეც: ეს ღვინო გვბერავს, ვერკი გვათრობსო. მაგრამ ამას რომ ამბობდნენ, ღვინო უკვე შემჯდარი ჰქონდათ, ღვინო ალაპარაკებდათ ასე.

ერთხელ კიტისორემ დაიძახა: მამაჩემმა ჩაიარაო. ფრიქსეს ხსენებამ ყველანი შეაკროთო, ყველამ კიტისორეს გაშვერილ ხელს გააყოლა თვალი. აიეტი მოიღუშა, ნაადრევად მკვდარი სიძე ეცოდებოდა, მაგრამ არც ის უნდოდა, გულჩვილობა შეეტყო ვინმეს. აიეტმა თავისიანებს დაუწყო თვალიერება, სათითაოდ ისე აკვირდებოდა ყველას, თითქოს პირველად ხედავდა. როდესაც მედეასაც მიაპყრო მახვილივით წამახული მზერა, გაუკვირდა და სახტად დარჩა, პატარა, ჭორფლიანი გოგოს ნაცვლად, მის წინ ქალი იჯდა. იმ ქალს არ იცნობდა, არასოდეს არ ენახა, მაგრამ მშობლიურმა სინაზემ უცებ ისე აუჩქროლა გული, სისხლი ეტკინა, ლამის წამოდგა და უმცროს ქალიშვილს თაფლისფერ თავზე ხელი გადაუსვა. მართლა რომ არ წამომდგარიყო, მაგიდას მთელი ძალით დაჰკრა მუშტი, ჩემი მტრების სადღეგრძელოს ვსვამო.

- ძალას ისინი მამლევენ! - იყვირა აიეტმა.

ფრონტისს აწრიატებული ლოყა დოქის სველ მუცელზე მიედო და თვალები ებლანტებოდა. "ნულა სვამო", - ეძახდა მედეა. ღვინოს აიეტიც დაეთრო, მაგრამ დასავიწყარი მაინც ვერ

დაევიწყებინა. ფიქრის ბაწარი ახლაც ცხვირწინ უქანავებდა, გრძნობდა კიდეც, როგორ წახეხუნებოდა ხოლმე მისი მშრალი და მსუსხავი ბეწვი.

- არ გიყვარდა მამაჩემი, არა! - ჯიუტად იმეორებდა არგუსი. მაგრამ აიეტი აღარ უსმენდა, უცებ მობეზრებოდა ყველაფერი, არც წასვლა უნდოდა, რაღაც აკავებდა და ხელები ისე მოემწყვდია ლაჯებში, როგორც ლომის ტორები ხაფანგში, უნებურად რომ არ წასტანებოდა ცხვირწინ აქანავებულ ბაწარს, რადგან ახლა არც ჭაში ჩაშვების თავი ჰქონდა. "როგორ გაზრდილავ", - ათასში ერთხელ გაუელვებდა თავში და დაბნეული გახედავდა მედეას, თავდახრილი რომ ილიმებოდა მთვრალეების ჟრიამულზე. ამ თავლისფერ არსებას, სიწმინდისა და სისუფთავის გულისამაჩუყებელ სურნელს რომ აფრქვევდა ირგვლივ, მამის გულში, რატომღაც, სიბრალულისა და შიშის გრძნობა გაეჩინა ერთდროულად. ის არც ქარისას ჰგავდა და არც აფრასიონს. უფრო სწორედ, ორივეს ჰგავდა და კიდეც ჰქონდა რაღაცა, რაც ამავე დროს ორივესგან მკვეთრად განასხვავებდა. ეს "რაღაცა" ხელები იყო, მუხლებზე მშვიდად დაწყობილი, და როგორც კი შეამჩნია ისინი აიეტმა, მაშინვე თვალი აარიდა, რადგან მართლა შეაკრთო მათმა არაბუნებრივმა სიმშვიდემ და სრულყოფილებამ.

ამის მერე დიდი დრო არ გასულა და ფრიქსეს ვაჟები დაიკარგნენ. ჯერ მზარეული ამოვარდა მეფესთან, სახე გვერდზე მიიბრუნა და დაიჩემა: დამსაჯე და დამსაჯეო.

- ხომ უნდა ვიცოდე რისთვის დაგსაჯო, - ჩაეკითხა აიეტი, თუმცა გულმა მაშინვე გააფრთხილა, ნუ ჰკითხავ, კარგს ვერაფერს გაიგებო.

აიეტმა ხელი აუქნია, წადიო და მზარეულიც უხმოდ გაიძურწა.

"ნეტავ ყველაფერმა ამაზე გადაიაროსო", - გაიფიქრა აიეტმა.

კარშიც არ იყო გასული მზარეული, ნავსადგურის მცველთა უფროსი შემოვიდა, მეფეს თავი დაუკრა და მხედრულ ყაიდაზე, მოკლედ და სხარტად მოახსენა: ჩვენს ნავსადგურს ერთი სასეირნო ხომალდი დააკლდაო. აიეტმა რომ არ უპასუხა, თვითონვე გააგრძელა: ძველი ხომალდი იყო, კუპრგაცლილი, მაგრამ თავი მაინც ვალდებულად ჩავთვალე, მომეხსენებინაო.

- ტალღა თუ მოიტაცებდა, - სცადა სიმართლისთვის გვერდის ავლა აიეტმა.

ნავსადგურის მცველთა უფროსმა თავი შეურაცხყოფილად ჩათვალა. ზღვაზე გარუჯულსა და გამძვალტყავებულს, ისღა აკლდა ტალღას ხომალდი წაერთმია.

- ორი კვირაა ზღვა გაციებულ ფაფასავითაა, ლამის ნაპირს ობი მოეკიდოს. თანაც, მადლობა ღმერთებს, გაწყვეტილსა და გაჭრილს ჯერ კიდეც ვარჩევ, - განაცხადა ნავსადგურის მცველთა უფროსმა და რატომღაც, მზარეულისა არ იყოს, იმანაც გვერდზე გაიხედა.

- მით უარესი შენთვის! - ჩაიბურღლუნა აიეტმა და ხელით ანიშნა, ახლა შემეშვი, შენცა და იმ ხომალდს თავი ქვისთვის გიხეთქიათო.

მეჯინიბემ რომ გაიგო, საკუჭნაო და ნავსადგური გაუქურდავთო, მაშინვე თავლაში შევარდა და ცხენები გადათვალა. ყველა ცხენი ადგილზე დაუხვდა, თოფრებში თავჩაყოფილნი მადიანად

ახრამუნებდნენ შვრიას. ერთი წუთით აიღეს მხოლოდ თავები და გაკვირვებულებმა გამოხედეს მეჯინიბეს. გახარებული მეჯინიბე მეფესთან გაიქცა და მოახსენა, საჯინბოში ყველაფერი რიგზეა, ცხენი კი არა, შვრიის მარცვალაც არ დამკარგვიაო. მაშინ კი იფეთქა აიეტმა, თვალები გადმოკარკლა, თმა-წვერი აებურძგლა, რაც ხელში მოხვდა, კედელს მიაძხვრია, ხოლო სულელი მეჯინიბე, გასაშრობი ტყავით, შუა ეზოში ოთხ პალოზე გააბმევინა და გველის სიმსხო, გველებით მწივანა შოლტებით თავფეხიანად ააჭრელებინა. "მეყოფა, მაპატიეო", - ბლაოდა მეჯინიბე.

ამასობაში ფრიქსეს ვაჟების დაკარგვაც გამომჟღავნდა, მაგრამ ამ ამბავს აიეტი აღარ გაუკვირვებია, ელოდებოდა კიდეც, და უცებ დამშვიდდა, რაკი მოლოდინი გაუმართლდა. მხოლოდ ესღა უთხრა გულგადატრიალებულ ცოლსა და ქალიშვილებს: კი არ დაიკარგნენ, გაიპარნენო.

ქალაქში დიდი შეშფოთება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია ფრიქსეს ვაჟების გაპარვამ. ხალხი ბერძნის წყაროსთან იკრიბებოდა და იყო ერთი გაუთავებელი სჯა და ბაასი. ყველანი აიეტის შვილიშვილებს ამტყუნებდნენ. რა თქმა უნდა, არც ფრიქსე დავიწყებიათ. ნათქვამია, მკვდარზე ან არ ლაპარაკობენ, ან კარგს ამბობენო, მაგრამ ცოცხლებს განსაკუთრებულად უყვართ მკვდრებზე ლაპარაკი და არც ცუდის თქმას ერიდებიან. ახლაც ასე მოხდა. ფრიქსეს უცნაური გამოცხადების ამბავი და მისი არანაკლებ უცნაური თავგადასავალი, თავის დროზე ყველამ უდრტვინველად რომ დაიჯერა, ახლა სხვანაირად ჩანდა, ექვის ბურუსში გახვეულიყო და ამდენი ხნის მერე უკვე უჭირდა ხალხს იმის დაჯერება, რაც ოდესღაც საკუთარი თვალთ ენახა. როგორ იყო, მოყვიო, წინ აგდებდნენ კისერზე საბელგადაცმულ ბედიას და ისიც მეთასჯერ ყვებოდა ერთსა და იმავეს. "ზღვაზე რომ გავედით, შეგვეწიოს იმის მაღლი, წყალი რაღაცას მოათამაშებდა, არც თევზი იყო, არც ნავი, ხომალდიდან გადმოყრილ ძონძებს ჰგავდა, მეც ასე ვიფიქრე, მაგრამ ძონძებს ამდენ ხანს წყალზე რა გააჩერებდა-მეთქი"... - ყვებოდა ბედია.

საკმარისი იყო რამე უცნაური ამბავი მომხდარიყო ქალაქში, ზღვაც მაშინვე ისარგებლებდა და უკან დაიხევდა. ბედიამ ეს უკვე კარგად იცოდა და ამიტომაც იმ დღეებში ერთხელ კიდეც გადაზომა მანძილი ნავების სადგომიდან ზღვამდე. ზღვას ამჯერადაც დაეხია და საგონებელში ჩავარდნილმა ბედიამ თოკი ისევ დააგრძელა, მაგრამ ახლაც გაჩუმდა, რაღა ეს უნდათ, ხალხი ისედაც არეულიაო, და დახვეული თოკი კისერზე გიჟის პერანგივით გადაიცვა. მართლაც, როგორც კი თოკის უხეში ბუსუსების შეხებას იგრძნობდა, მაშინვე მშვიდდებოდა.

შვილიშვილების გაპარვამ აიეტსაც გაახსენა თავისი ფიქრის ბაწარი. ამჯერად ვერც მან გაუძლო ცდუნებას და ისევ ჩაჰყვა უძირო ჭაში. შენც არ მომიკვდე, ჭიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. აიეტს ერთი პირობა გულზე ეფონა, ხომ არ ჩაიხოცნენო, მაგრამ კარგად რომ შეაჩვია თვალი სიბნელეს, უნებურად შეკრთა, ჭის ბინადრები გაღიმებულნი ამოსცქეროდნენ ფიქრის ბაწარზე ჩამოკონწიალებულ აიეტს. ეტყობა, მათაც შეატყვეს შეკრთომა, რადგან ერთმანეთს მუჯლუგუნები წაკრეს და მრავალაზროვნად გადაბრცეს თვალეები. ხმა კი არ დაუძრავთ. კარგა ხანს ეკიდა ასე აიეტი. ჭის ბინადრებს პირი შეეკრათ, არ აპირებდნენ მასთან ლაპარაკს, მაგრამ აიეტი სიტყვის უთქმელად როგორ დაბრუნებულიყო უკან?

- იტყვის რამეს? - ჩასძახა ჭას აიეტმა.

"იტყვი რამესო" - ამოსძახა ჭამ.

- თქვე კარგი დედმამის შვილებო, - დაიწყო აიეტმა და მისდა გასაკვირად ხმა აუცახცახდა. აიეტმა ჩაახველა. ჭამ გაიცინა. - თქვე კარგი დედმამის შვილებო, - გააგრძელა აიეტმა, - მე რა, ეს ტახტი თან ხომ არ უნდა წავიღო... ტახტი რა მითქვამს, თუ ქვეყნისთვის უვარგისი კაცი აზობლდება ზედა. ფუი, და კიდევ ფუი, ეგეთ ტახტსაც და ზედ მჯდომარესაც. მე ეს ტახტი ქვეყნის სასიკეთოდ მჭირდება. აბა, გაიხედეთ, ასეთი დამიტოვეთ ქვეყანა? - აიეტმა თოკს ცალი ხელი შეუშვა და მღელვარებისგან პირს მომდგარი ქაფი მოიხოცა. - სიმართლე კი არ უნდა დაუკარგოთ კაცსა. ახლა ჩემი შიშით ჩვენს ცაზე ყორანი ვერ გადაიფრენს, მიწაზე კი ჭიანჭველაც ვერ გაცოცდება. ქვეყანა გქვია, ხალხი გაამაყებულა, ისეთი სახით დაბრძანდება, გული გაგინათდება. - აიეტმა შეიცადა, რას იტყვიან ამაზეო, მაგრამ ჭამ რომ ხმა არ გაიღო, თვითონვე გაიცინა და გააგრძელა: - ერთმანეთს რომ თვალში ჩაუვარდნენ, ხელს არ ამოისვამენ, კარგმა ცხოვრებამ ხალხიც გააკარგა. ყველაფრის ასე სუფრასავით გადაბერტყვა როგორ იქნება. მერე რაა, რომ ჩხუბი მოგვივიდა, ჩხუბიცა და მორიგებაც და-ძმანი არიან, ერთი დედის გაჩენილი, უერთმანეთოდ ორივენი კოჭლია. ერთად კი ორივე ლამაზი. ასე არაა? - ისევ ჩაეკითხა აიეტი ჭას, მაგრამ მისი შეკითხვა ახლაც ქვასავით ჩაიკარგა. აიეტმა აღარ იცოდა რა ეთქვა, საიდან მისდგომოდა ჭის ბინადრებს, რომლებიც დუმილსა და გულგრილობას უფრო ძლიერი და საშიში გაეხადა.

- ქვეყანა დაილუპება, ხალხოო! - ჩაბღავლა ჭას აიეტმა, რადგან იგრძნო, ხელებში ძალა ელეოდა და დიდხანს ვეღარ გაძლებდა ასე, ფიქრის ბაწარზე ჩამოკონწიალებული.

მაშინ კი აჟღერიალდა, აჩხრიალდა, აზრიალდა და აყაყანდა ჭის ბნელი და ნესტიანი ფსკერი.

"დაილუპოს, დაილუპოს, შენს ჯავრს ხომ ვიყრითო", - ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ჭის ბინადრები.

აიეტმა ჭაში ჩააფურთხა და მალლა ამოცოცდა. იმავე წუთას დარბაზში ქარისა შემოვიდა. ქარისას ძაძა გაეხადა, თმა მალლა აევარცხნა და კინკრიხოზე ზვინივით დაედგა. ხელში ისეთი გადამწიფებული ნესვი ეჭირა, წვენი გასდიოდა.

- ნესვს რომ არა ვჭამ, - უთხრა აიეტმა, მაგრამ მაინც ჩამოართვა, არ გააწბილა უფროსი ქალიშვილი.

შვილების გაპარვამ ქარისა საფუძვლიანად შეარყია, არ ელოდა და იმიტომ, თუმცა ერთი შეხედვით თითქოს უნდა ჰქონოდა ამის მოლოდინი, რადგან ისინიც ფრიქსეს ნაშიერები იყვნენ, და ალბათ, ფრიქსე თავის შხამს მათაც გადასცემდა, სანამ საბოლოოდ მოახერხებდა ცოლის კლანჭებიდან თავის დაღწევას; მაგრამ ქარისა სხვანაირად ფიქრობდა: სანამ ეს ოთხი ბიჭი გვერდით ჰყავდა, არც ფრიქსე ითვლებოდა მთლიანად გაპარულად, ის ამ ოთხ ბიჭში განაწილებულიყო და ყველა შვილის თვალებსა თუ მოძრაობაში რაღაცა დარჩენოდა, უეცრად გულს რომ გადაუქანებდა ხოლმე ქარისას. ახლა კი ისინიც გაპარულიყვნენ, ისინიც ქარისას გაჰპარვოდნენ, თითქოს იმ ეზო-ყურეში, რომელიც ქარისას საკუთარი რწმენით, სიამაყითა და

სიყვარულით შემოელობა, მის გარდა მართლა არავისთვის არ იყო ადგილი, არც ქმრისთვის და არც შვილებისთვის, ქარისა კი იმდენ ხანს ღობავდა ამ ეზო-ყურეს, ისეთი მონდომებითა და აღტაცებით, წვნიელიც რომ შეეტება ვინმეს, თვალებს ამოწიწვნიდა. წვნიელს კი ისევ მისი ქმარ-შვილი ატეხდა, ატეხდა კი არა, ღორის კოლტივით უთხრიდა ძირს, როგორმე რომ გაეღწია იქიდან, თითქოს ღობის იქით უკეთესი მიწა იყო, უფრო იოლად მოსაჩიჩქნი და უფრო გემრიელიც. ამიტომაც წაეკიდა გულზე ცეცხლი ქარისას, შვილების გაპარვამ კი არ შეაშფოთა, რაც უფრო ბუნებრივი იქნებოდა, არამედ შეურაცხყო და გააბრაზა, როგორც ვაჭარი - მუშტრის სიბეცემ, მის კარგ საქონელს სხვისი ცუდი რომ ამჯობინა. ქარისას მაშინვე ის უძილო და უსასრულოდ გრძელი ღამეები გაახსენდა, როცა დაკოჭლებულ საწოლში კბილს კბილზე აჭერდა, სიკვდილივით მკაცრი, დაუნდობელი და გათოშილი, რადგან მაშინ ქმრის სიკვდილზე ოცნებობდა და ღრმად იყო დარწმუნებული, მხოლოდ ქმრის სიკვდილი გადაარჩენდა შერცხვენასა და დამცირებას. მარტო იმის წარმოდგენაც აგიჟებდა, ქმარს რომ აღარ უნდოდა, გაურბოდა, გვერდზე გამდგარიყო და თავის მაგივრად უაზრო, დამაკნინებელი მოთმინება შეეწვინა ცოლისთვის. მადლობა ღმერთს, ოცნება აუსრულდა, ფიზიკური ნაკლივით შემაწუხებელი, სამარცხვინო, მაგრამ ფრიქსე რომ არ მომკვდარიყო, ღმერთებს რომ არ შეესმინათ ქარისას ლოცვა-ვედრება, მაშინ თვითონ მოკვდებოდა, რადგან ვერ აიტანდა ასეთ ცხოვრებას, სხვა თუ არაფერი, მარტო ბოლმა მოუღებდა ბოლოს. მაგრამ ქმრის სიკვდილი მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. თვითონ ხარის ტყავში არხეინად მოკალათებულიყო, ქარი უნანავებდა, ჩიტები ასხდებოდნენ, გაზაფხულზე იმდენი ყვავილი დაეყრებოდა ხოლმე, შორიდან აღარც ჩანდა, მიწაზე კი შხამიანი თესლი დაეტოვებინა და ახლა ის თესლი უპირებდა მის ცოლს თავის მოჭრასა და გაპამპულებას. მაგრამ არა, ქარისა იმის ქალი არ გახლდათ, ხალხი გაეცინებინა, ანდა სხვათა უჩუმრად ესლუკუნა და ეყლაპა მნელად ჩასაყლაპი ცრემლი მიტოვებული ცოლისა და ათვალწუნებული დედისა.

ქარისა ახლა სკდებოდა გულზე, ფრიქსე რომ აირჩია ქმრად, ჯერ აირჩია და მერე შეიყვარა, ანდა დაიჯერა მიყვარსო, რადგან ასე უნდოდა და ამიტომ გამორჩა თავის დროზე, ვერ შეამჩნია თუ ვერ გაითვალისწინა ის, რაც თავისთავად, მისგან დამოუკიდებლად, მისი სურვილისა და ცოდნის საზღვრებს გარეთ არსებობდა, არა მარტო არსებობდა, ქარისაზე ძლიერიც იყო, მაგრამ ქარისა ასე ღრმად არ ჩაჰყოლია ამ დაგვიანებულ აღმოჩენას, მას შეცდომის მომხიბვლელობა აინტერესებდა და არა მისი ფესვები, რაც თავიდანვე ღრმად ჩამალულიყო სულსწრაფობისა და წინდაუხედაობის მიწაში. შეცდომის მიმართ ადამიანი უმთავრესად ბრმაა. მაგრამ თუკი აღმოაჩენს მას, ერთ სიამოვნებად ესეც ეყოფა და თითქმის მაშინვე გაუნახვერდება ამ შეცდომის მიზეზით თავსდატეხილი უბედურება, განსაკუთრებით ქალს და კიდევ უფრო განსაკუთრებით ქარისასთანა ქალს, შეცდომაშიც საკუთარი გზისა და გრძნობების გამართლებას რომ ეძებს. ასეც მოხდა. შეცდომის აღმოჩენამ ქარისას ბევრი რამ მოუტანა. ჯერ ერთი, გულიდან გადაჰყარა დანაშაულის ის არასასიამოვნო შეგრძნება, მკვდარი ქმრის მიმართ რომ გასჩენოდა, რადგან მტკიცედ სწამდა, მისმა მხურვალე ლოცვა-ვედრებამ ჩააწვინა ფრიქსე ჩიტების ჩამოსკორილ ტყავის კუბოში. ახლა შეეძლო გაემართლებინა თავისი სიძულვილიც, გამონაგონი სიყვარულის უსიცოცხლო ღეროს რომ გამოეხა ყვავილად. გარდა ამისა, მან შეცდომასთან ერთად საკუთარი პიროვნებაც აღმოაჩინა, არა მარტო აღმოაჩინა, არამედ შეაფასა კიდევ და აღფრთოვანებული დარჩა, ისევ მხნედ რომ იყო და ორივე ხელით ჩაეხუტებინა ცხოვრება, რომელსაც ერთხელ უკვე

ემუხთლა მისთვის, მაგრამ მაინც ვერ მოეტეხა, ვერ მოედრიკა მისი ამაყი კისერი. მართალია, მისი პიროვნება თავისთავად ადრეც არსებობდა, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ იყო პიროვნება, სანამ თავის განსაკუთრებულ თვისებებს არ გამოამჟღავნებდა, როგორც შეცდომა არ იყო შეცდომა, სანამ ქარისა არ აღმოაჩინდა. "რამდენი დრო დამიკარგავს ტყუილ-უბრალოდო", - გაიფიქრა ქარისამ და გული დაწყდა, იმდენი გზა გაუნათა ერთბაშად შეცდომამ. შეცდომა ანათებდა, მასაც საკუთარი სინათლე ჰქონდა და, მნათობთა მსგავსად, მასაც გააჩნდა ყველაფრის გარდამქმნელი, ყველაფრის ამაფორიაქებელი ძალა. რაც არ უნდა თავზარდამცემი, საშინელი და დამაქცევარი ყოფილიყო იგი, გასაქცევარსა და თავშესაფარს მაინც უტოვებდა მისგან დამფრთხალ არსებას. ეხმარებოდა კიდევ ამ თავშესაფარის პოვნაში, სადაც მისი მსხვერპლი ისე შევარდებოდა ხოლმე, როგორც დევნილი ნადირი სოროში. ეს თავშესაფარი გონება იყო, ამ შემთხვევაში ქალის გონება, ქარისასი, რომელიც სრულებითაც არ აპირებდა ფარ-ხმალის დაყრას და "ბოლომდე ვიომოთო" - გამომწვევად უღიმოდა ცხოვრებას. გონება ერთადერთი ადგილი იყო, სადაც კვლავ შეეძლო ყოფილიყო მართალიცა და მშვენიერიც, მაგრამ არც ამ სიმართლესა და არც ამ სიმშვენიერეს არ ექნებოდა ფასი, თუკი "სოროში" დარჩებოდა, თუკი მარტო ქარისას ეცოდინებოდა მისი არსებობის შესახებ. მადანივით მასაც გამოტანა უნდოდა სააშკარაოზე. ამ განზრახვით დაიჭირა ხელში გადამწიფებული ნესვი და მამას ეახლა, უდარდელი, ქერქეტა და ლამაზი ქალი, თუმცა სხვამ თუ არა, თვითონ ხომ იცოდა, რა კუპრი დულდა და გადმოდულდა მის გულში.

- ყუნწზევე დამპალა. აღარც იჭმევა, - თქვა აიეტმა და უნებლიეთ წელში მოიხარა, ნესვის წვენი გულზე რომ არ ჩამოესხა, მერე ხელი მოუნაცვლა და განთავისუფლებული ხელის გაწებილი თითები გაილოკა.

- საჭმელად არც მე მომიტანია, - უპასუხა ქარისამ.

აიეტმა შვილს თვალი გაუსწორა, შვილი კი ღიმილით შემოსცქეროდა, დოინჯშემოყრილი და წელში გაზნექილი, როგორც მხოლოდ მისი გვარის ნაშიერებს სჩვეოდათ. აიეტი უცებ მიხვდა, ეშმაკობით რომ ეჯობნა შვილს, თვითონ დოინჯი შემოედგა, მამისთვის კი ნესვი მიეჩეჩებინა ხელში და საძრაობა წაერთმია. აიეტმა წარმოიდგინა, რა საცოდავად გამოიყურებოდა და თვითონაც გაელიმა. "ღმერთქალივით ლამაზი და ვერაგია ჩემი უფროსი ქალიშვილიო", - გაიფიქრა გუნებაში.

- მეც ამ ნესვივით ყუნწზე ვლპები, - თქვა ქარისამ.

- რას ამბობ, დედაკაცო, ოთხი საცოლე შვილი გყავს, რა ყუნწებზე ლაპარაკობ!.. - მართლა გაუკვირდა აიეტს.

- აღარც ქმარი მყავს და აღარც შვილები, - წაიმღერა ქარისამ, - ქალწულივით თავისუფალი ვარ.

აიეტმა უმწეოდ მიმოიხედა ირგვლივ, არ იცოდა რა ექნა ნესვისთვის, თქრიალით რომ გასდიოდა წვენი. ველარც ბრაზდებოდა, თითქოს გაბრაზების უფლებაც არ ჰქონდა, სანამ ეს რბილი და სურნელოვანი ნაყოფი ეჭირა ხელში.

- მამაშვილობას, თავი შეიკავე! - შეეხვეწა აიეტი ქარისას და რატომღაც ხმას დაუწია.



აიეტს საერთოდ უჭირდა ქალებთან ლაპარაკი, მით უფრო საკუთარ ქალიშვილებთან, განსაკუთრებით ამგვარ ამბებზე. ქარისა ოთხი შვილის დედა იყო, მაგრამ აიეტს ვერც კი წარმოედგინა, თუ მისი ქალიშვილიც ისევე ორსულდებოდა, როგორც სხვა ქალები. "ძნელია, განა არ ვიცი, მაგრამ რა ვუყოთ, ასე მოხდაო", - ამოილულულა დამნაშავე ბაღლივით და შვილს თვალი აარიდა, რადგან შერცხვა მისი, თითქოს ის არაფერ შუაში არ იყო და იძულებული გაეხადათ, მოესმინა ამგვარი საუბარი. "ჩემი ცოლია მოსაკლავიო" - გაიფიქრა აიეტმა ბრაზიანად, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, ეს საქალებო საქმე იყო და მისი ცოლის სიბრიყვეს აედულებინა ქარისა მამასთან მისულიყო შესაჩივლად. ხმამაღლა კი თქვა: შენი ქმარი ხეზე ჰკიდია, შვილებიც მოსავლელი გვყავს, ნუ გავაცინებთ ქვეყანასო.

- შვილები თუ მყავს, ერთი დამანახე, სად არიან! - არ დაიხია ქარისამ, მაგრამ ხმამ უმტყუნა და პირზე მუშტი მიიფარა.

აიეტს გული ჩაწყდა, შვილის სევდა-წუხილი უპატრონო ბავშვივით შეაცოცდა ფეხებზე და ისიც უნებურად გაშემდა, გაუთვალისწინებელი, ტლანქი მოძრაობით რამე არ ეტკინა მისთვის. უცებ იგრძნო, რა ცეცხლს გამოქცეოდა მისი ქალიშვილი და თუ სახიდან ღიმილს არ იშორებდა, ესეც მათი ჯილაგის სიამაყისა და გაუტეხელობის ბრალი იყო. აიეტმა ნესვი იატაკზე დადო და გაწეხილი ხელები ბარძაყებზე შეიხოცა.

- გამოჩნდებიან, შვილო, აბა რა იქნება... - დაუყვავა გაბზარული ხმით.

ქარისამ კი კვლავ ძველებური სიკეკლუციტ შეჰკლიმილა, თითქოს ვერც კი შეამჩნია მამის ხმასა და თვალეში უნებლიეთ გაელვებული სისუსტე, მასაც რომ ავალდებულებდა ჩამოეხსნა უდარდებლობის ნიღაბი, ყოფილიყო გულახდილი და თამამად დაედო ხელი ნატკენ ადგილზე. ახლა მასაც გაუჭირდებოდა თვალთმაქცობა, რადგან მამამაც ძალის ნაცვლად თანაგრძნობა შესთავაზა. ქარისა აჩქარდა, მეფის სიტყვისა მჯერაო, თავი დაუკრა აიეტს და დარბაზიდან წელი რხევით გაიტანა.

აიეტმა დიდხანს ამებნინა შვილიშვილები, მაგრამ მათ კვალს ვერც ზღვაზე მიაგნეს და ვერც დაუშრეტელ მდინარეზე. ვერც ის გაიგეს, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, და სწორედ მაშინ, როცა აღარავინ ელოდა ფრიქსეს ვაჟების გამოჩენას, ოთხივენი, ცოცხლები და უვნებელნი, თავისი ფეხით დაბრუნდნენ შინ. ვანელებს იმდენი კარგიცა და ცუდიც ჰქონდათ უკვე ნათქვამი მეფის შვილიშვილებზე, აღარ იცოდნენ სწყენოდათ თუ გახარებოდათ მათი დაბრუნება. ყველა მხრებს იჩეჩავდა. სასახლე კი სიხარულით ფეხზე ვედარ იდგა. ისევ გაისმა ქარისას კისკისი, ლალი, გამომწვევი, მოზეიმე, და შეიძლება ამიტომაც, შეუფერებელი, დაკარგული შვილების ხილვით გახარებული დედისათვის. თითქოს ეს კისკისი ამ ბედნიერ შემთხვევას კი არ გაეჩინა, არამედ ქარისას მიესადაგებინა იგი ბედნიერი შემთხვევისათვის. ამიტომაც ჰრიდა ყურს, ამიტომაც იქცევდა ყურადღებას: მას ახალშობილის სიბრძავე აკლდა.

თავისი შეცდომის აღმოჩენის მერე ქარისა გონების ტყვეობაში მოექცა, უფრო სწორედ, გონების კალთას შეხიზვნოდა, რადგან დარწმუნებულიყო, მხოლოდ ასე, ამ ძლიერი და მკაცრი, ყოველგვარ სისუსტისაგან დაზღვეული მფარველის წყალობით შეძლებდა დაკარგული დროისა და ღობემორყეული ეზო-ყურის დაბრუნებას. მისთვის ახლა სულერთი იყო, დედის სიყვარულს

დაებრუნებინა ფრიქსეს ვაჟები, თუ სხვა მიზეზთა გამო იძულებულნი გამხდარიყვნენ ასე მოქცეულიყვნენ. მისთვის მთავარი მათი დაბრუნება იყო.

როგორც არ უნდა ეთვალთმაქცა ქარისას, მაინც ვერ შეეგუებოდა უარყოფილი ქალის ბედს, ვერ აიტანდა მეორე ქალის თვალეზში ამოკითხულ თანაგრძნობას, დამთრგუნველს, დამაკნინებელს და, როგორც თვითონ ეჩვენებოდა, დამცინავსაც კი. შვილების დაბრუნებით ქმარიც ბრუნდებოდა მასთან, უნდოდა თუ არა, ქარისას ქმრად რჩებოდა, უცხო თვალისთვის მაინც. მთავარი კი ეს იყო, არავის არ უნდა გასჩენოდა ეჭვი, რომ ფრიქსე ქარისას გაჰპარვოდა, ასე ნაადრევად იმიტომ მომკვდარიყო, სხვა გამოსავალი რომ ვერ გამოენახა გადაყვარებული ცოლის კლანჭებიდან თავის დასაღწევად.

ფრიქსე მკვდარიც საშიში იყო, მკვდარიც ებრძოდა ქარისას. მის ხსოვნას ოთხი საიმედო ბურჯი ამაგრებდა, ოთხი მამაკაცის სიყვარული და ერთგულება, თავისი ნაადრევი სიკვდილით უარესად რომ განემტკიცებინა ფრიქსეს. ქარისას ხანდახან მართლა ეგონა, თითქოს ფრიქსე კი არ მომკვდარიყო, ოთხ ნაწილად გაყოფილიყო, რათა ქარისას გასჭირვებოდა მისი თვალთვალი და დაკავება. მართლაც, რომელი ერთისთვის ედევნა: ან ოთხივენი თავის ნებაზე უნდა მიეშვა, ანდა თვითონაც ოთხად უნდა გაჭრილიყო. თუმცა კიდევ იყო ერთი გამოსავალი და ქარისასაც ამის იმედი ჰქონდა: როგორმე თავისკენ გადმოებირებინა ვაჟიშვილები თუ გაოთხებული ქმარი, თანამზრახველად გახდომოდა, კვერცხი ეგორებინა, თუ საჭირო იქნებოდა, ემლიქვნელა კიდევაც საკუთარი შვილების წინაშე, ოღონდ ისეთი წარმოდგენა შეჰქმნოდა ყველას, თითქოს ისიც საქმეში გადიოდა და თუ ისევ დააპირებდნენ გაპარვას, ისიც თან წაეყვანათ, ნუ მიატოვებდნენ ასე უსინდისოდ. ამდენის უფლება ხომ ჰქონდა დედას? მართალია, ჭიპის შეჭრის შემდეგ არც ერთი შვილი აღარ ეკუთვნის მშობელს, როგორც აშვებული ნავი აღარ ეკუთვნის მიწას, მაგრამ შვილები ხომ სიკვდილამდე ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ და ჩირქი არ მოსცხონ დედის სახელს? არც ქარისა თხოულობდა მეტს, მაგრამ ესეც ბევრად ეჩვენებოდა, როცა ერთიანად გარუჯულ, დაკუნთულსა და ქოჩორაწეწილ ოთხ ვაჟკაცს უყურებდა, იმის დაჯერებაც უჭირდა, ეს ოთხი უკვე ხიფათგამოვლილი და გაუხეშებული მამაკაცი მისი შვილები რომ იყვნენ.

ფრიქსეს ვაჟები ამ ორ თვეში მართლაც დაკაცებულიყვნენ, ახლა უფრო უტიფრად და გამომწვევად ეჭირათ თავი, თითქოს დამხვდურების ბრალი იყო, კუდამომუებულნი უკანვე რომ მობრუნებულიყვნენ, ბოლომდე რომ ვერ მიეყვანათ პირველივე დამოუკიდებელი განზრახვა. სიტყვას იმადლებოდნენ, ძალიან ნუ აჰყვებით სიხარულს, დროებითა ვართ დაბრუნებულიო, უღრენდნენ ყველას და ბუნაგიდან ძალით ამოთრეულ მგლის ლეკვებივით მოფერებაც აღიზიანებდათ, რადგან ეშინოდათ, დასაცინი არ გამხდარიყვნენ, ბავშვურ სისულელედ არ ჩაეთვალა ვინმეს მათი მტკიცე და მამაკაცური გადაწყვეტილება.

ფრიქსეს ვაჟებმა მიცვალებულთა ჭალაშივე იგრძნეს, მამასთან ერთად მისგან გაცნობილ ზღაპრულ ქვეყანასაც რომ კარგავდნენ, სამუდამოდ თუ არა, კარგა ხნით მაინც, რადგან ახლა, ფრიქსეს სიკვდილის მერე, აიეტი ასე ადვილად აღარ გაუშვებდა შვილიშვილებს უცხო ქვეყანაში, რომელიც, ვინ იცის, მართლა არსებობდა თუ არა; იქნებ მისი დასნეულებული სიძის ოცნების ნაყოფი იყო და მეტი არაფერი, მაგრამ ის ნაყოფი მათაც ეგემნათ უკვე და მათაც გადასდებოდათ მამის სენი. ახლა სულერთი იყო, მართლა არსებობდა თუ არა ის ქვეყანა, ისინი მაინც

წავიდოდნენ, ალაღბედზე, ზღვისა და ხოფების ამარა, და თუნდაც ხელში არაფერი შერჩენოდათ, მართლა მონაჭორი აღმოჩენილიყო ზღაპრულად ლამაზი ქვეყანა და მათი მეფური წარმოშობაც, გულის მოსაოხებლად ისიც ეყოფოდათ, თვითონაც რომ გაივლიდნენ იმ გზაზე, რომელზედაც მათი მამის ოცნება დაძრწოდა. შეიძლება ფრიქსემ მართლა წარმოიდგინა ყველაფერი, მოიგონა და მემკვიდრეობად ეს მოგონილი ქვეყანა დაუტოვა თავის შვილებს, რადგან სხვა არაფერი შეეძლო, სხვა არაფერი ებადა. მაგრამ "მოგონილ ქვეყანასთან" ერთად ის ხომ იმედსაც უნერგავდა თავის შვილებს?!. იმედიც ქონებაა! ისინი უფრო თამამად იცხოვრებდნენ, თავს არავის დააჩაგვრინებდნენ, რადგან "წასასვლელი" ექნებოდათ. თუმცა საბოლოოდ ყველაფერი შებრუნებულად გამოვიდა. ამ "წასასვლელის" არსებობით მან შვილებს სულიერი სიმშვიდე დაუკარგა, რადგან კაცს თუ წასასვლელი ეგულება, აუცილებლად წავა კიდეც, რადგან ყველას იქ ურჩევნია, სადაც თვითონ არ არის. აკი ფრიქსეს ვაჟებიც წავიდნენ, წარმოდგენილი არჩიეს ნამდვილს, დაუფიქრებლად მიატოვეს სახლი, სადაც დაჩენილიყვნენ და დაზრდილიყვნენ. რა იცოდნენ მაშინ ფრიქსეს ვაჟებმა, რომ პაპისეული სახლი ერთადერთი, ნამდვილად მათი სახლი იყო, რომლის მაგივრობას ვერ გასწევდა ვერც ერთი სხვა სახლი; პაპისეული სახლის კედლების სუნი, დროთა განმავლობაში, შეუმჩნეველად, მაგრამ ჯიუტად ილექებოდა მათი კანის სვრელებში, ნაოჭებში, სულშიც... და სამუდამო, წარუშლელ მოგონებად აკრისტალებდა მათ პირველ ნაბიჯსა თუ სიტყვას, ცრემლსა თუ ღიმილს, პირველ შეკრთომასა თუ სიხარულს, ისევე როგორც თაფლი აკრისტალებს ხოლმე თავის ოქროსფერ წიაღში მოხვედრილ მწერს, ყვავილის ბუსუსსა და უბრალო ხიწვს.

ის, რაც აქ შემთხვევითად, სხვა ნებისმიერ სახლში არასოდეს აღარ შეემთხვეოდათ, გახსენებით კი გაახსენებდათ თავს და მწარედაც დააღონებდათ, თუკი აღარ ექნებოდათ უკან მოსაბრუნებელი პირი. მაგრამ ამის ცოდნა ჯერჯერობით არ შეეძლოთ ფრიქსეს ვაჟებს, ისინი ძლივს შეზუმბლული ბარტყებივით გუმანითა გრძნობდნენ, გაფრენის დრო დასდგომოდათ და ამ შეგრძნებით აღგზნებულნი, ბრმად ემორჩილებოდნენ მამისგან მემკვიდრეობით მიღებულ ოცნებას, დედაჩიტის დაუნდობლობით რომ ერეკებოდათ ბუდიდან. დედა ჩიტიც გუმანის ბრძანებით იქცეოდა ასე, დაზრდილსა და დამძიმებულ ბარტყებს ბუდე რომ არ ჩამოექციათ და ამავე დროს ფრენაც დროულად ესწავლათ, თუკი ცხოვრება უნდოდათ. განა ადამიანი ბევრით განსხვავდება ჩიტისაგან, ან სხვა, რომელიც გნებავთ, ცხოველისაგან? მასაც ხომ გუმანი წარმართავს, ხოლო გონება იმ ცხოვრების შესაფასებლად სჭირდება, რომლის დაბრუნება, განმეორება, ანდა შესწორება უკვე ყოვლად შეუძლებელია.

ფრიქსეს ვაჟების გაპარვა მარცხით კი დამთავრდა, მაგრამ სამაგიეროდ მათ უკვე იწვნიეს მარცხის სიმწარე, გამოცადეს დაბრუნების სიავეარგე და, რაც მთავარია, შეიტყვეს ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდებოდათ: მეორე ქვეყნის არსებობა. მართალია, ჯერჯერობით ვერ მიაღწიეს იმ მეორე ქვეყანამდე, მაგრამ უკვე მტკიცედ იცოდნენ, რომ მათი მამა არ ტყუოდა, ხოლო თუკი მამა არ ტყუოდა, მაშინ თვითონაც მართლები იყვნენ. ეს სიმართლე მათ საქციელსაც ამართლებდა და შეიძლება ამიტომაც ეჭირათ ასე გამომწვევად თავი, იმის ნაცვლად, ფხეებში ჩავარდნოდნენ პაპას და ბოდიში მოეხადათ დედისათვის, იმ წუხილისა და შიშის გამო, რაც მათი წყალობით შეხვედროდა. დამხვედურთა სიხარული უფრო ამმაფრებდა მათ სითამამეს, უქარწყლებდათ დანაშაულის გრძნობას და არც ერთს არ ეპარებოდა ეჭვი, მთელი მათი

დანაშაული მხოლოდ იმ ზარალით განისაზღვრებოდა, რაც მათი ხელმოცარული გაპარვის შედეგად დასტყდომოდა თავს მათი პაპის ნავსადგურსა და საკუჭნაოს. ისინი გულწრფელნი იყვნენ, როცა პაპას ეუბნებოდნენ, ყველაფერს მისხალ-მისხალ დაგიბრუნებთ, როგორც კი მამის მემკვიდრეობას მივიღებთო და ეამაყებოდათ კიდევ, ამის თქმა რომ შეეძლოთ. "წადით თქვე ფსიკიანებო", - ვერ ბრაზდებოდა აიეტი, რადგან განუწყვეტილ ეღიმებოდა და სიხარულისაგან თვალები უჭუჭუნებდა. შვილიშვილებიც გრძნობდნენ პაპის სიხარულს, საიმედოდ რომ აბამდა მის ბობოქარ ბუნებას, და ესეც, რაღა თქმა უნდა, ხელს უწყობდა მათ სითამამესა და უტიფრობას.

- იქიდან გადმოხტომას რა უნდა, ნახეთ რა დაბალი ყოფილა გალავანი, - თქვა მელასმა და ხელი სარკმლისკენ გაიშვირა.

ძმებმაც იქით გაიხედეს. სარკმელში მართლა მოჩანდა გალავნის დაკბილული კედლები, ხვლიკისფერი, მზეზე გამომშრალი და გამკვრივებული, საიდანაც ხტომაში ეჯიბრებოდნენ ხოლმე ძმები ერთმანეთს.

- კი მაგრამ, - ამბობდა ღიმილისაგან პირგადიდებული აიეტი, - გეკითხათ მაინც, რომ დაადეთ თავი და წახვედით.

"გიცნობდით და იმიტომო", - თითქმის ერთხმად უპასუხეს ფრიქსეს ვაჟებმა და აიეტის მშვენივრად ხვდებოდა, უნდობლობას რომ უცხადებდნენ შვილიშვილები, მაგრამ ჯერ არ ბრაზობდა, უფრო სწორედ, არ უნდოდა გაბრაზებულიყო, მაგრამ სიხარულის ტალღას თითქმის უკვე გადაევიდა და ღიმილიც თანდათან კარგავდა სითბოსა და სინაზეს.

- თუ ხომალდი დაგემტვრათ, როგორღა დაბრუნდით, ან იქნებ თქვენც მოფრინდით, მამათქვენივით?! - სიტყვას ღვარძლი გაურია აიეტმა, რაკი სიხარულმა საბოლოოდ გადაუარა და შვილიშვილებიც ახლოს დაიგულა.

ფრიქსეს ვაჟები აიმრიზნენ, ქარისამაც მამას მიაპყრო შემფოთებული მზერა.

- დედათქვენის ხათრი, თორემ... მოიხედე აქეთ! - უცებ უყვირა აიეტმა მელასს, ისევ სარკმელში რომ იყურებოდა და სტუმრის გულგრილობით ათვალთქვებდა ეზო-გალავანს.

სახელაწილმა ძმებმა ერთმანეთს გადახედეს. აიეტი უკვე ბრაზობდა, თითქოს ახლა მიხვედრილიყო პირველად, ხალხის სალაპარაკო რომ გაეხადა ამ ოთხ ღლაპს, მაგრამ თურმე რა ბედნიერი პაპა, რა ბედნიერი მამა და მეფე იქნებოდა, ყველაფერი ამით თუ დამთავრდებოდა. წინ უარესი შერცხვენა და უბედურება ელოდა, ხოლო ამ უბედურების მეგზურობა სწორედ მისი შვილიშვილებისთვის დაევალებინა ბედსა და განგებას.

წყალუხვი მდინარის ლერწმოვანებში უკვე იდგა ბერძნული თორმეტნიჩბიანი ხომალდი. შვილიშვილების მიკიბულ-მოკიბული ნაამბობიდან მან უკვე იცოდა, რომ ამ ხომალდს გადაერჩინა ისინი დაღუპვისაგან, თორემ მათი ხორცი თევზები უკვე კარგა ხნის დამძღრები იქნებოდნენ. ასე რომ, აიეტი უკვე დავალებულიც იყო იმ ხომალდისაგან, უნებართვოდ რომ შემოჭრილიყო მის ქვეყანაში. ვალს კი გადახდა უნდოდა. "საოცარია, - ფიქრობდა აიეტი, - რა იცოდნენ იმ მამაძაღლებმა, რომ მაინცდამაინც ჩემს შვილიშვილებს გადაარჩენდნენო". მართლაც,

წარმოუდგენელია ამ იმედით ამხელა გზაზე წამოსვლა. ახლა იმის დადგენაც ჭირდა, თავიდანვე იცოდა იმ ხომალდმა რისთვის მოცურავდა კოლხეთისაკენ თუ მერე, კოლხეთის მეფის შვილიშვილების გადარჩენის შემდეგ გასჩენოდა ამგვარი განზრახვა. იქნებ სულაც აიეტის შვილიშვილებისაგან გაეგო ოქროს ვერძის არსებობა. იქნებ თვითონ ბიჭები დაპირდნენ გადარჩენის საფასურად, რადგან წყალნაყლაპებსა და შიშნაჭამებს სხვა ვერაფერი მოაფიქრდათ უკეთესი. მართალია, მისი შვილიშვილები ჯიუტად გაიმახოდნენ, იმ ხომალდის მეთაური მამაჩვენის ნათესავია, კანონიერი ტახტის დაბრუნება უნდა და შენთან შემწეობის სათხოვნელად არის მოსული, მაგრამ აიეტის თავში ათასნაირი ფიქრები ირეოდნენ და დაუზოგავად ნთქავდნენ ერთმანეთს მშიერი თევზებივით. ხომ შეიძლებოდა, ისინი ჩვეულებრივი ავაზაკები ყოფილიყვნენ, კი არ გადაერჩინათ, არამედ, უბრალოდ, ტყვედ ჩაეგდოთ მისი შვილიშვილები, დაემინებინათ და ახლა გამოსასყიდს თხოულობდნენ, მაგრამ შენიღბულად, ეჭვი რომ არ შეჰპარვოდა ვინმეს მათ ავაზაკობაში. ასე თუ აღმოჩნდებოდა, დიდი დღე არ ეწერა იმ ხომალდს, მაგრამ თუ შვილიშვილები არ ტყუოდნენ, აიეტისაგან მართლაც წარმოუდგენელი უმადურობა და სისასტიკე იქნებოდა, ასე განუკითხავად დაეწვა ხომალდიცა და მისი პატრონიც. პირიქით, მეფური ბუნება ავალდებულებდა, პატივით მიეღო შვილიშვილების გადამრჩენელი ხალხი და ღირსეულადაც დაესაჩუქრებინა. მაგრამ რაღა მაინცდამაინც ვერძის ტყავს თხოულობდნენ ისინი? ფრიქსეს ვაჟებს ამაზედაც ჰქონდათ მზად პასუხი, მაგრამ ძნელი დასაჯერებელი იყო ყველაფერი. თუ შვილიშვილებს დაუჯერებდა, ვითომ მათი მამის აჩრდილი სამშობლოში ჩასულიყო და აეწრიალებინა თავისიანები, თუ გინდათ, რომ მოგასვენოთ და ჩემი ცოდვაც მოგაშოროთ, გინდათ თუ არა იმ ცხვრის ტყავი დაიბრუნეთ, რომლითაც თქვენ დანას დავაღწიე თავიო. ასე ყვებოდნენ და იფიცებოდნენ ფრიქსეს ვაჟები, მაგრამ ეჭვის მყარალი სუნი ჯიუტად ეტანებოდა აიეტის დაბერილ ნესტოებს. იმდენ ბედნიერ შემთხვევას მოეყარა თავი, ერთნაირად სასაცილო ჩანდა ნდობაცა და უნდობლობაც. რაღა მაინცდამაინც მისი შვილიშვილები უნდა გადაერჩინა მაინცდამაინც იმ ხომალდს, რომელსაც მაინცდამაინც კოლხეთისაკენ ედო გზა და მამასისხლად უღირდა საიმედო მეგზური და შუამავალი. რაღა მაინცდამაინც გადარჩენილების ნათესავი უნდა აღმოჩენილიყო გადამრჩენელი, თუ თვითონ ღმერთებს არ უნდოდათ ასე, ანდა თუკი უკეთესი ვერაფერი მოეგონა შეშინებული ბავშვისა თუ ხარბი ავაზაკის გონებას. "თუ კარგი ხალხია, - ფიქრობდა აიეტი, - ლერწაში რატომ იმალებიან, ჩემი ნავსადგური ხომ ყველასათვის ღიააო".

აიეტმა ყველაფერი ყურადღებით მოისმინა, მერე თავი ასწია, ჰაერი ხმაურით დაყნოსა, ცხენივით, და თქვა: ჩემს სასახლეში ღალატის სუნი ტრიალებსო. მაგრამ მაინც დათანხმდა მიეღო უცხოელი და როგორც შვილიშვილები სთხოვდნენ, "მხოლოდ მოესმინა" მისთვის. აიეტს უკვე თვითონაც აინტერესებდა იმ უცხოელის ნახვა და თუ არ ბრძანა, კნუტებივით ამოეყარათ ისიცა და მისი მხლებლებიც თორმეტნიჩბიან ხომალდიდან, მხოლოდ იმიტომ, თავიდან რომ აეცდინა უსიამოვნო გაუგებრობა, თუკი ის უცხოელი მართლა მისი სიძის ნათესავი აღმოჩნდებოდა.

თორმეტნიჩბიან ხომალდზე კი მოუთმენლად ელოდებოდნენ ფრიქსეს ვაჟების დაბრუნებას, უფრო სწორად, გაურკვეველ, უსახელო და უმისამართო მოლოდინს შეეპყრო ყველანი.

ფრიქსეს ვაჟების დაბრუნება შეიძლება საბედისწეროც აღმოჩენილიყო მათთვის. ადვილი შესაძლებელია, ახლა აიეტის ხალხისათვის გაეწიათ მეგზურობა, მიესწავლებინათ მათი

ადგილსამყოფელი და მაშინ... მაშინ აღარაფერი უშველიდათ, იმაზედაც მადლობა უნდა ეთქვათ და სამ-სამჯერ უნდა ეკოცნათ მიწისთვის აიეტის ფეხებთან, თუკი უკან გაბრუნების ნებას მისცემდა. სამშობლოში მიღებული გადაწყვეტილება ახლა არც ისე სამართლიანი და არც ისე იოლად შესასრულებელი ჩანდა. ფეხი უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ზეპირად, ზომის აუღებლად შეკერილი წაღა. გაწეული შრომა ხარაზს ან წყალში უნდა ჩაჰყროდა, ანდა როგორმე უნდა მოეგო განაწყენებული მუშტრის გული და შეექცია კიდეც, სანამ ახალს, უფრო ხალვათ წაღას შეუკერავდა. ჩხუბსა და აყალმაცალს აზრი არ ჰქონდა, მუშტარი მართალიც იყო და ღონიერიც. არც გაქცევა უშველიდა. ან სად გაქცეულიყო, ვინ აუნაზღაურებდა დაკარგულ დროს, დახარჯულ მასალას, ამოღამებულ თვალებსა და სადგისით დაჩხვლეტილ თითებს. ამიტომაც იცდიდა დაუშრეტელი მდინარის ლერწმოვანებში ჩამალული თორმეტნიჩბიანი ხომალდი, აუტანელი იყო მისი მოლოდინი, უცხო გარემოს ყველაფერი, მათი განზრახვაც კი, იდუმალების, მიუღწევლობის ბურუსში გაეხვია. შეიძლება, სწორედ დამალული განზრახვა იწვევდა უნებური დანაშაულის გრძნობას, რაც თავის მხრივ შიშისა და სიფრთხილის გრძნობასაც უღვიძებდათ და უღიზიანებდათ. სამშობლოდან იმდენად შორს იყვნენ, დახმარების არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდათ. არც კოლხთა ხომალდები ჩამოუვარდებოდნენ მათ თორმეტნიჩბიან ხომალდს სისწრაფეში. ასე რომ, ყველაფერს ბედი და ბედნიერი შემთხვევა გადაწყვეტდა. ისინიც იცდიდნენ.

პირველ დამეს საგულდაგულოდ შენიღბულ ხომალდზე უვახშმოდ დაიძინეს, უფრო სწორად, გაათენეს, რადგან ახლა, როცა სულ ერთი ნაბიჯიღა აკლდათ მიზნამდე, ყველაფერს თავისი ნამდვილი ფერი და სუნი დაებრუნებინა. უკვალოდ გამქრალიყო უცხო ქვეყნისაკენ მოგზაურობის სიამოვნებაცა და ხიფათების განცდის სურვილიც. აიეტის ქვეყანაში ქურდულად შემოპარულნი მწარე ფიქრებს მისცემოდნენ. უცხო გარემო, დამის წყვდიადი და ბაყაყების გაუთავებელი ყიყინი მოსვენებას უკარგავდათ. ირგვლივ საზარელი მოჩვენებები დაძრწოდნენ, დაშლიგინობდნენ, წითელ თვალებს აბრიალებდნენ, ჩურჩულებდნენ, ფაჩუნობდნენ, კიოდნენ და ხარხარებდნენ. წყლის ჩვეულებრივი ჩქაფანიცა და ლერწმის შრიალიც თავზარს სცემდათ. იმ დამეს ცეცხლის ანთება ვერ გაბედეს. არც სანთლის თასმა შეუხსნია ვინმეს, თითქოს მზად უნდა ყოფილიყვნენ გასაქცევად. ისხდნენ ასე, დამდურებულებივით, და თვითონაც არ იცოდნენ, რას ელოდებოდნენ. ოღონდ მალე მოთავებულებიყო ყველაფერი და, რაც მთავარია, ეს მტანჯველი, გულისგამაწვრილებელი მოლოდინი, ერთადერთი სინამდვილე, რაც გარე სამყაროსთან აკავშირებდათ.

"როგორ მომივიდა, როგორ ვენდე და როგორ გავუშვიო". - გულს ასკდებოდა იასონი. ის ხომალდის ერდოზე იჯდა, ხელები წვივებზე შემოეხვია და ნიკაპი შიშველ მუხლებზე ჩამოედო. შორიდან კაცს ეგონებოდა, დასძინებიაო, მაგრამ საკმარისი იყო, ოდნავ გაფაჩუნებულიყო რამე, პატრონის მომლოდინე ძალივით, მაშინვე წამოწევდა თავს და წყვდიადს მიაშტერებოდა. იასონი შეგნებულად მოიქცა ასე, შეგნებულად გაუშვა ოთხივენი, რადგან ვერ გაბედა მძევლის დატოვება. იმდენი რამე უამბეს მისმა "ნათესავებმა" მრისხანე აიეტზე, ეს უშიშარი ბედისმამიებელიც კი ჩააფიქრეს. მართალია, წამოსვლამდეც ბევრი რამე უთხრეს, ბევრი თვითონაც გამოიკითხა კოლხთა მეფეზე, მაგრამ იქ, სამშვიდობოს, სხვა იყო, იქ მოსწონდა, ეამაყებოდა კიდეც, ასეთ მრისხანე და ძალგულოვან კაცთან რომ მოუწევდა შეხვედრა. შენს

სახლში, სადაც მხოლოდ შენი ნაცნობ-მეგობრები შეკრებილან, თანაც ხელში ღვინით სავსე თასიც გიჭირავს, სასიამოვნოცაა ლომზე საუბარი, თანაც ისეთ ლომზე, რომლის სიავე და დაუნდობლობა ზღაპრად ქცეულა და მთელ ქვეყანას მოსდებია, მაგრამ ბრიყვი უნდა იყო, თუ ასეთივე გრძნობა დაგეუფლება, როცა იმ ლომის ბუნაგის სუნი გეცემა ცხვირში. იასონს ძალის იმედი არცა ჰქონდა და არც უნდა ჰქონოდა. ეშმაკობითა და მოხერხებულობით თუ გამოაცლიდა იმ ქვეციანი ვერძის ტყავს, რომელზედაც ლომი იწვა და შეფერებული მედიდურობით, ზანტად, ათასში ერთხელ თუ დაახამხამებდა უცხო სტუმრებისაკენ მიპყრობილ ყვითელ თვალებს. იასონსაც ცხვირის ქურქი უნდა ჩაეცვა, თავი ჩაელუნა და მორიდებით დაეკვიცინებინა თავისი გასაჭირი, იქნებ ასე მაინც მოეგო გული იმ მრისხანე მეფისათვის, რომელმაც, ალბათ, უკვე იცოდა დაუპატიჟებელი სტუმრების შესახებ და ვინ იცის, რა ავი ზრახვები უტრიალებდა თავში. იასონს სხვა მაინც არაფერი შეეძლო, რომელიმე შვილიშვილის მძევლად დატოვება უარესად გააცეცხლებდა აიეტს და იასონის სათხოვარსაც ავაზაკის ტყაპუქს გადააცმევდა. ის მეფე იყო, უსამართლოდ დაკარგული ტახტის სამართლიანი მემკვიდრე და ახლა მეორე მეფესთან შემწეობის სათხოვნელად მოსულიყო. ამით ხომ ის აიეტის უპირატესობასაც აღიარებდა და უსაზღვრო ნდობასაც უცხადებდა მის მეფურ ძალასა და კეთილშობილებას. განა მეფე, მით უფრო აიეტივით ძლიერი, ვალდებული არ არის მხარში ამოუდგეს მეორე მეფეს, მით უფრო იასონივით უძლურს, თუკი იმ მეორის სახელი და პატივი უსამართლოდ ითელება და თუკი ამ სახელისა და პატივის აღდგენა ერთ ქვეციან ტყავს შეუძლია, რომელიც აიეტისათვის, ოქროთი მდიდარი აიეტისათვის, მართლაც ქვეციანი ტყავია და მეტი არაფერი?! "აბა, თვითონ იფიქრე, შენი სიკეთისა და გულუხვობის იმედი რომ არ მქონოდა, ამხელა გზაზე ასე ალაღბედზე გიჟის მეტი ვინ წამოვიდოდაო" - ალაგებდა იასონი აიეტისათვის სათქმელ სიტყვას, მაგრამ თვითონვე არ მოსწონდა, რაც უფრო მეტს უკირკიტებდა, არბილებდა და ატკბილებდა, მით უფრო ყალბად და არაბუნებრივად ეჩვენებოდა. დარწმუნებული იყო, აიეტი, თუკი მართლა ეღირსებოდა მასთან მშვიდობიანი საუბარი, მაშინვე მიუხვდებოდა ეშმაკობას, სათქმელს არ დაამთავრებინებდა, ანდა ენასთან ერთად ამოგლეჯდა სიმართლეს. არა, აშკარად დიდ გამოცდას უმზადებდა ბედი იასონს. ან ბოლომდე უნდა გაეძლო, შიშს არ აჰყოლოდა, ანდა ახლავე, შეუმჩნევლად, ისე, რომ მის ბიჭებსაც არ გაეგოთ, ჩაცურებულიყო წყალში და ბაყაყურით გასცლოდა აქაურობას, სანამ ღონე ეყოფოდა, სანამ სამშვიდობოს გავიდოდა. უცებ მართლაც ისე მოუწინა იასონს აქედან გაპარვა, თავი ძლივს შეიკავა, ბაყაყურით წყალში რომ არ მოედინა ტყაპანი. ამ მაცდური ფიქრის მოსაშორებლად, წინ გადმოიხარა, ოთხზე დადგა დანესტიანებულ მორებზე და ხომალდზე ჩამოწოლილ წყვილიადს, მის ბიჭებს რომ მალავდა, ჩურჩულით გასძახა: გძინავთ, ძმებო. მისმა ჩურჩულმა წყვილიადი შეაკრთო, ფუძეგამოცლილ სილის ბორცვივით ჩამოაქცია; წყვილიადის დონდლო ნაფლეთები იასონისკენ გამოცოცდნენ, ბუდედანგრეულ ხოჭობივით. მეთაურის ჩურჩულმა ოდნავ მიყურებული შიში ისევ გამოაფხიზლა და ყველამ უნებურად იმ ადგილს მიაშურა, საიდანაც ეს უსიამო ჩურჩული მოესმათ; თითქოს ხომალდს უეცრად ბზარი გასჩენოდა და იმ ბზარიდან მათი დამლუპველი წყალი მოშხუოდა.

- ძმებო. - ისევ დაიჩურჩულა იასონმა.

მერე მუჭში ჩაახველა და რატომღაც ირგვლივ მიიხედ-მოიხედა.

მერე სინათლევ დაინახეს; ყვითელი, მოუსვენარი ლაქა დევნილი ნადირივით მოხტოდა დაყურსულ ბუჩქებზე, მოძვრებოდა ასწლოვან ხეებს შორის, მოცოცავდა გველებივით დაგრეხილ ფესვებზე და ყოველ წუთას ახლოვდებოდა, რადგან დიდხანს ვერაფერზე ვერ იმაგრებდა თავს, მთელი ქვეყანა ქონწასმულივით ეცლებოდა ფეხქვეშ.

სინათლეს ფრიქსეს ვაჟები მოჰყვებოდნენ. "ჩვენა ვართო", - შორიდანვე გამოსძახეს ხომალდს, თითქოს იგრძნეს, რა აუტანელი იყო ხომალდზე მყოფთათვის მოხტუნავე, ყველაფრის დამაბრმავებელი სინათლის ყურება, სანამ გაიგებდნენ, რას მოუძლოდა, რას მალავდა იგი. ახლა სინათლე ხომალდზე მყოფთა სახეებს ანათებდა და ამდენი დამფრთხალი სახის ხილვამ ისე შეადრწუნა არგუსი, ჩირადდანი წყალში გადააგდო. შიშინით ჩამქრალმა ცეცხლმა ჰაერში კვარის სუნი დააყენა.

დილით იასონი და ფრიქსეს ვაჟები ერთად გაემართნენ აიეტის სასახლისაკენ. დილამ სიმხნევე შეჰმატა ყველას. დანახული ქვეყანა არც ისე საშიში იყო, როგორც წარმოდგენილი, ღამის წყვდიადით გადაშლილი და გადაგვარებული. ღამეს უჟმურიც თან წაეყოლა, ერთიანად მოელოკა ქვეყანა, როგორც გველი მოლოკავს ხოლმე ქვას, რომელზედაც შხამსა სტოვებს. ფრიქსეს ვაჟების ნაამბობმაც ცოტათი ჩააწყნარა ავი წინათგრძნობით აწრიალებული გულები. აიეტი თანახმა იყო მიეღო უცხო სტუმარი, ეს კი სხვას თუ არაფერს, სიცოცხლის შენარჩუნებას მაინც ნიშნავდა. მიჩქმალულმა შიშმა ახლა ლაზღანდარობის გუნებაზე დააყენა ისინი. "ერთ ღამეში მაზანდა აიწია, ახლა ცხვრის ტყავს პაპათქვენის ტყავიც თუ არ მოაყოლეთ, ისე სამშობლოში არ წაგიყვანთო" - უთხრა იასონმა ფრიქსეს ვაჟებს, თვითონაც გაღიმებულნი და აღტაცებულნი რომ შესცქეროდნენ მეთაურის ხუმრობაზე ახარხარებულ თანამემამულეებს.

ნელა, წვალებით თენდებოდა, მაგრამ სადღაც, უსასრულობის წიაღიდან დაძრულ დღეს ველარაფერი შეაჩერებდა, სანამ მთლიანად არ დაიბადებოდა. ჯერ კიდევ წელამდე რძისფერ ბურუსში იდგნენ ყველანი. თორმეტნიჩბიან ხომალდს მარტო ცხვირი და ანძა ამოეყო გაგლეჯილი ბურუსიდან. სადღაც ჩიტმა დაუსტვინა და ამ სუსტმა, თითქმის უმნიშვნელო ხმამ კიდევ უფრო დაადასტურა მიწის არსებობა. ყველამ ყურადღება მიაქცია ჩიტის სტვენას, კისრები მოეღრიცათ, თითქოს ჩიტის დანახვასაც შეძლებდნენ, თითქოს სანამ ჩიტი უსტვენდა, ცუდი არაფერი მოხდებოდა. მერე ბურუსის მცოცავი ხელებით უთანასწოროდ დაგლეჯილი მიწაც გამოჩნდა. ბურუსი თავს აღწევდა უთავბოლოდ გადაფარჩხულ ბუჩქებსა და ხეებს, თითქოს ძლივს ჩაძინებულ ბავშვს დედა ეპარებოდა, ბავშვს კი ჩაძინებამდე ორივე ხელით ჩაებლუჯა დედის უბე და თავშალი. ხეებისა და მიწის დანახვამ უარესად გაამხიარულა ყველანი, თითქოს გარემოც ეცნაურათ, თითქოს შინ მობრუნებულიყვნენ უკვე. მიწა აქაც მიწა იყო, ერთნაირად სახედაღარული და სულის შემძვრელად გაყურებული მარადიული მშობიარობის ტკივილებით.

იასონი ხომალდის მოაჯირზე შედგა, ტუნიკის კალთები აიწია და ნაპირისაკენ ისკუპა. "ჰეეეი", - ამოიძახა ხომალდმა და თვალი გააყოლა მეთაურის ბრინჯაოსფერ ბარძაყებს. "ასე იცის ბიჭმა!" - დაიძახა იასონმა და სათითაოდ ამოიღო რბილსა და ნოტიო მიწაში კოჭებამდე ჩაფლული ფეხები. მერე ამაყად გამოხედა მისი სიმკვირცხლით ახორბოცებულ ბიჭებს. ის მეთაური იყო და შემთხვევას არ გაუშვებდა, თავი რომ გამოეჩინა ამ ბიჭების წინაშე.



- თქვენ კი იქამდე კენკრა და მაყვალი მაინც მოაგროვებთ. შიმშილით ნუ მოიკლავთ თავს, - ისევ გამოსძახა იასონმა ხომალდს და ხაზგასმული არხეინობით გადადგა პირველი ნაბიჯი მისთვის ესოდენ უცხო და ესოდენ საბედისწერო მიწაზე.

ჩიტი კი უსტვენდა, თითქოს მასაც ათამამებდა ბურუსიდან თავდაღწეული ქვეყნის ხილვა. ფართო, ნოყიერი ფოთლები რძით გაძიძგულ ჯიქნებივით წვეთავდნენ. მთელ ქვეყანას შობისა თუ განახლების მძაფრი სურნელი ეფინებოდა. გადახობებულ ლოკოკინას ლორწოვანი, ბრჭყვიალა ზოლები დაემჩნია ქვებზე. სილაში ჩაფლული თოთო ნიჟარები ხრამუნით იმსხვრეოდნენ ფეხქვეშ. დაუშრეტელი მდინარის სილისფერი წყალი ათასში ერთხელ, თითქოს შემთხვევით მიაწყდებოდა ხოლმე თორმეტნიჩბიან ხომალდს და გამობერილ ფერდებზე ხელისგულის მსგავს ანაბეჭდს უტოვებდა. მდინარის განუწყვეტელ ქარს ისე გადაეზინქა ლერწამი, თითქოს ეს წუთია ზედ ვიღაცა წოლილაო. მიწამ ამოიფშვინა და დამპალი სოკოსა და აბედის სუნი სახეში შეაფრქვია დილის სუსხით აძიგძიგებულ ბიჭებს, ხომალდის მოაჯირზე გადმომდგარნი ხელს რომ უქნევდნენ გაურკვევლობისაკენ არხეინად მიმავალ მეთაურს.

იასონს ხელში ზეთისხილის ტოტი ეჭირა. როგორც კი მიუახლოვდნენ სასახლეს, გაიქცა და სამოციქულო ქვაზე ჩამოჯდა. მედეა ამ დროს ჯერ კიდევ თავის ოთახში იყო და ქარისასთან წასასვლელად ემზადებოდა. არაფერი არ უგრძენია, არაფერს არ შეუშფოთებია მისი არსება, თუმცა სამოციქულო ქვაზე ჩამომჯდარი იასონს გული ბაგაბუგით უცემდა. ფრიქსეს ვაჟები მოშორებით იდგნენ, თითქოს მათაც გადასდებოდათ იასონის დაფარული მღელვარება და, რადგან მასთან ერთად მოსულიყვნენ პაპისეულ სასახლეში, ახლა ისინიც თავს უცხოებად გრძნობდნენ. მცველებმა მალე შეამჩნიეს სამოციქულო ქვაზე ჩამომჯდარი უცნობი და როცა მის სიახლოვეს ფრიქსეს ვაჟებიც დაინახეს, მაშინვე მიხვდნენ, ვინც უნდა ყოფილიყო იგი.

უკვე მთელი სასახლე ლაპარაკობდა თორმეტნიჩბიან ხომალდზე, ფრიქსეს დაკარგული ვაჟები რომ მოეყვანა. აიეტმა ბრძანა, სტუმრებს ღირსეულად დახვედროდნენ. "სტუმრებსო" - ხაზგასმულად თქვა აიეტმა, რადგან შვილიშვილებსაც უკვე "უცხოელებად" თვლიდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს პირველად ხედავდა მათ. ფერგაცრეცილი, მაგრამ ამაყად წელში გამართული იასონი გაღიმებული მოუძლოდა წინ ფრიქსეს ვაჟებს. მედეას ჯერ კიდევ არ გამოელო თავისი ოთახის კარი, როცა დერეფანში მხეველებმა ჩაირბინეს და მისმა სმენამ უნებურად შეიტოვა მათი საუბრის უმნიშვნელო, თითქმის არაფრის მთქმელი ნაწყვეტი, როგორც გამოდებული თავშლის ნაკუწი - ღობემ. მედეას გონებამ თითქოს არ მიიღო, უყურადღებოდ დატოვა შემთხვევით ჩასმენილი სიტყვა თუ სიტყვები. მაგრამ, ეტყობა, მაინც მოასწრო და აღიქვა იგი, რადგან ცოტა ხნის მერე, როცა სასახლისკენ მომავალი უცნობი დაინახა, მაშინვე პირველყოფილი სიცხადით გაახსენდა დერეფანში ჩარბენილი მხეველების უცნაურად მოქდურტულე ხმები, რომლებსაც რატომღაც მხოლოდ ახლა, უცნობის ხილვისას მიეცა გარკვეული აზრი და მნიშვნელობა. მედეამ ღობეს წამოდებული თავშლის ნაკუწიც დაინახა, უმწეოდ რომ ფრიალებდა ქარში, როგორც ცალფრთიანი და ამიტომაც გასაფრენად უვარგისი არსება. მთელი სასახლე ეზოში გამოფენილიყო და მედეას შეეშინდა, ხომ არ შევკვივლეო, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველას ყურადღება უცხოელ სტუმარს მიეპყრო.

ქარისამ რომ შვილები დაინახა, გული მოერღვა, იმდენად უმწეონი ჩანდნენ მომხიბვლელი უცხოელის გვერდით. თვითონაც უცხოებივით მოაბიჯებდნენ, გუშინდელი სითამამის ნასახიც არ შერჩენოდათ და ისე აცეცებდნენ თვალებს, თითქოს პირველად შემოედგათ ფეხი პაპისეულ სასახლეში. ქარისამ იგრძნო, შვილები მას დაემებდნენ და უნებურად წინ გამოვიდა. შვილებს გაუხარდათ დედის დანახვა, დაბნეულად გაუღიმეს და ქარისას უარესად ეტკინა გული. ნამდვილ უცხოელს კი თავი ამაყად ეჭირა, ზეთისხილის შტოს წვივზე იტყლამუნებდა და მომხიბვლელად იღიმებოდა. ქარისა ჯერ დაიბნა, მერე გაბრაზდა, მერე კი გული დასწყდა, რადგან თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო ასე მტკივნეულად, ასე შვების მომგვრელი სიძულვილით მამაკაცის მიმზიდველი ძალა, გულუბრყვილო ღიმილს რომ ამოფარებოდა ახლა და, უპირველეს ყოვლისა, მის საკუთარ შვილებს თრგუნავდა, აფერმკრთალებდა, ამდაბლებდა. ქარისას ერჩია, მიწა გასკდომოდა ფეხქვეშ, ვიდრე ამ დღეში ეხილა შვილები. მან უკვე იცოდა, ვის ბაძავდნენ ისინი, საიდან მოდიოდა მათი გუშინდელი სითამამე, სიტლანქე და უხეშობა, ასე რომ გააოცა და მოხიბლა კიდევ იგი. "აი, თურმე როგორი ყოფილა ჩემი მეტოქეო", - ფიქრობდა ქარისა და თვითონვე უკვირდა, ასე მშვიდად, ასე უდრტვინველად, დამაწყნარებელი უმწეობით რომ ითმენდა მის არსებობას, ალბათ იმიტომ, მამაკაცად რომ ვერ წარმოედგინა მეტოქე და ახლა, ამგვარი მოულოდნელობით უცაბედად დამშვიდებული, უარს ამბობდა აჯანყებოდა იმას, რისთვისაც გაჩენილიყო, რასაც ელტვოდა, უსიტყვოდ ენდობოდა და ემორჩილებოდა კიდევ.

მედეას კი ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, ისე მოშვებოდა, ისე დაცარიელებოდა მთელი სხეული, თითქოს გონი დაეკარგა და ნელ-ნელა, თანდათანობით ერკვეოდა სისუსტისა და არარაობის ბურანიდან. ამ ავადმყოფურ შეგრძნებას ისიც უმძაფრებდა, ყველანი რომ უღიმოდნენ. აფრასიონმა ხელიც შეავლო ფრთხილად, თითქოს მაჯას უსინჯავდა. ის კი, მისი სიზმრის გმირი, ზეთისხილის შტოს იტყლამუნებდა წვივზე და მედეას მხოლოდ მოქნეული ტოტის შხუილი ესმოდა და გული ამოვარდნაზე ჰქონდა, რადგან ვერ გაეგო, ვერ მიმხვდარიყო, რატომ არ მოდიოდა და რატომ არ ადებდა მხარზე ხელს, როგორც საკუთრებას. მედეა ხომ მისი საკუთრება იყო. ეს უკვე ყველამ იცოდა, ალბათ, და იმიტომაც უღიმოდნენ. ისიც იცოდნენ, რის სათხოვნელად იყო მოსული უცხოელი და რაზე ელაპარაკებოდა აიეტს. მაგრამ რა ჰქონდათ ამდენი სალაპარაკო, რას შეცვლიდა ლაპარაკი, როცა ღმერთებს უკვე გადაეწყვიტათ მისი ბედი.

მედეას მხოლოდ ტოტის შხუილი ესმოდა და უცხოელის აწითლებულ წვივს ხედავდა, კი არ ხედავდა, გრძნობდა, როგორ აწითლებდა უცხოელის წვივს ზეთისხილის აშხუვლებული ტოტი. მერე ცეცხლის სუნი ეცა და დაინახა, როგორ ამოატრიალა თვალები ყელგამოჭრილმა ხარმა. ახლა ყასბის ხმა ესმოდა, რაღაცას ეუბნებოდა და გადაბანილ, ცივი წყლისგან დაწითლებულ ხელებს წინსაფარზე იმშრალეზდა. ყასაბმა გაუღიმა, წინსაფარი მოიხსნა და ხარის გასისხლიანებულ თავს გადააფარა. წინსაფრის კიდე სისხლის წებოვან გუბეში ჩავარდა და მაშინვე გაიჟღინთა. მედეამ არ იცოდა, როდის მოსულიყო, ანდა რა უნდოდა აქ; ვერც ის გაეგო, რას ეუბნებოდა ყასაბი და თვითონაც უღიმოდა. ყრუმუნჯივით, წინასწარვე ყველაფერზე მობოდიშე, ყველაფერზე დამთანხმებელი ღიმილით. "ნუთუ ახლაც დამესიზმრაო" - წუხდა მედეა და ვერ მიმხვდარიყო, სად გამქრალიყო უცხოელი, რატომ აღარ ესმოდა ზეთისხილის ტოტის შხუილი და რატომ ვეღარ ხედავდა წვივის აწითლებულ კანს. კიბეებზე რომ ადიოდა,

ერთმა მონა ქალმა მეორეს დაუძახა: ჩვენი ბიჭებიც იბანენო და ისევ მოეკვეთა მედეას მუხლები. უცხოელი მართლა მოსულიყო, აქ იყო, მამამისის სახლის კედლებში.

სანამ იასონი და ფრიქსეს ვაჟები სასტუმრო აბანოში სიამოვნებისგან ხვნეშოდნენ და დგაფუნობდნენ, აიეტი ეზოში დადიოდა და სუფრის სამზადისს თვითონვე ადევნებდა თვალყურს.

- შენც დაგესვენა ცოტაო, - დაუძახა კიბის თავიდან დედოფალმა.

- რას ამბობ, ქალო, რა დროს დასვენებაა, შვილიშვილები მეწვივნენ სტუმრადო, - უპასუხა მოღუშულმა და მარნისკენ გასწია.

მარანში ბნელოდა. სველი მიწისა და ღვინის სუნი მომლოდინე ქალივით შემოეხვია და ტუჩებზე უსიამოდ დაეკონა. აიეტმა ტუჩები მოიწმინდა. ქვევრთან მოფუსფუსე ლანდები გაშემდნენ და ორი წყვილი თვალი ქვემოდან მიაჩერდა აიეტს. "რას ხედავთ ამ სიბნელეშიო", - თქვა აიეტმა. "შეჩვეულები ვართო", - უპასუხეს ლანდებმა და აიეტმა გაიგონა, როგორ მირაკრაკებდა ღვინო ორშიმოდან კოკაში. მერე კედელზე ყვითელი ზაფრანის აცმა დაინახა და გაიფიქრა: არც ისე ბნელაო. "ხომ არ მიირთმევთო", - უთხრეს ლანდებმა. აიეტმა სიბნელეს სველი ორშიმო ჩამოართვა და მოიყუდა. ნელ-ნელა სვამდა. ორშიმოს ძირი რომ აუწია, ჭერზე ჩამოკიდებული ყვითელი ზაფრანის აცმა ისევ დაინახა. "თენდებაო", - რატომღაც გაიფიქრა და ამ სულელურ გაფიქრებაზე თვითონვე გაეცინა, ცარიელი ორშიმო სიბნელეს დაუბრუნა და მარნიდან გამოვიდა. მარნიდან თითქოს სიბნელეც გამოიყოლა, კარგა მოსაღამოებულიყო. აიეტმა ეზო გადაჭრა, გალავნის უკანა კარში გავიდა და აღმართს შეუყვია. უცებ გაიოფლა და გული აუფრიალდა. მიდიოდა და ფიქრობდა: რა ამბავია ჩემს თავსო. ვიწრო, საცალფეხო ბილიკი ყოველ ნაბიჯზე უხვევდა, ბუჩქებში მიიკლაკნებოდა, თითქოს ემალებოდა. აიეტის უნებურად ფეხს უჩქარებდა, ცდილობდა, როგორმე დაეჭირა ბილიკის კუდი, სანამ მოასწრებდა და საბოლოოდ გაუჩინარდებოდა ბუჩქებში. უცებ, სად იყო და სად არა, ობოლი, წვეტიანი ვარსკვლავი გამოქანდა ციდან და აიეტს თვალებს შორის დაეტაკა. თვალებიდან ნაპერწკლები გააყრევინა და კარგა ხნით დაარბმავა. ცივი ოფლი ახლა სახეზეც წურწურით ჩამოსდიოდა. ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა. ვარსკვლავი, წელან თვალებს შორის რომ დაეტაკა, ისევ ცაზე ეკიდა და ისე ციმციმებდა, თითქოს ისიც სულს იბრუნებდა. აიეტმა უნებურად ხელი სახეზე აიფარა. ლეღვების ქვეშ დაბორკილი ცხენი ბალახს ახრამუნებდა. უცებ გარკვევით იგრძნო ცხენისა და ხმელი ბალახის სუნი და ცხენზე შეჯდომა ისე მოენატრა, გული აუჩუყდა. შორიდან ნიავმა ვიღაცის არხეინი ხმა მოიტანა: თვალი გეჭიროს არ ჩაგეწვასო. "კვდები", - გაიფიქრა აიეტმა და უცებ გულზე მოეშვა, თითქოს სიკვდილის მთელი საშინელება მისი აღიარება იყო. აიეტს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მარტო ის კი არა, მასთან ერთად მთელი ქვეყანა კვდებოდა: ვარსკვლავიც, ჯიუტად რომ მოსჩერებოდა, და აიეტს ვერ გაეგო, რა უნდოდა ვარსკვლავს, რას მოსჩერებოდა - "იქნებ ესაა სიკვდილიო?" - გაიფიქრა კიდევ; იმ კაცის ხმაც კვდებოდა, "არ ჩაგეწვასო" - ვიღაცას რომ დაუბარა და თვითონ კი იქით წავიდა, საითაც გულმა გაუწია; ლეღვის ხეებიცა და მათ დახუთულ, მუშლებით აწრიალებულ წყვდიადში თავშეფარებული ცხენიც. "ყველაფერი კვდება", - დაასკვნა აიეტმა. "იცი მაინც, რატომ კვდები?" - ჩაეკითხა საკუთარ თავს

და მწარე ღიმილმა სახე დაუსახიჩრა. "ვიცი, - გადააბა კითხვას პასუხი, - იმიტომ რომ... იმიტომ, რომ, არ მინდა სიკვდილი".

აიეტმა წაიბორძიკა და უნებურად იქვე დაყრილ ლოდებს დაეყრდნო. ლოდი თბილი იყო, ღრმად ჩამინებული ნადირივით, თითქოს ფეთქავდა კიდევ.

მეორე დღეს მთელი ვანი აიეტის უცხოელ სტუმარზე ლაპარაკობდა. ხალხი ჯერ კიდევ კარგად ვერ იყო გარკვეული საქმეში და როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ერთმანეთში ურევდა მართალსა და ტყუილს, გაგონილსა და გამონაგონს. ზოგი ამბობდა, ბერძენმა ტახტი მოსთხოვა აიეტსო, ზოგი, პირიქით: ტახტი დაუკარგავს და აიეტს დახმარების სათხოვნელად მოადგაო, ფრიქსეს ნათესავი ყოფილა და აიეტზე ახლობელი სხვა არავინ ჰყოლიაო. იმასაც ამბობდნენ: რის ტახტი, რა ტახტი, ქალის სათხოვნელად ჩამოვიდა, ფრიქსესი არ იყოს, ეგეც დანათესავებას გვიპირებსო. ცოტა-ცოტა სიმართლე ყველგან ერია, მაგრამ სიმართლე მაინც სხვა იყო: იასონმა აიეტს ვერძის ტყავი მოსთხოვა, მეტი არაფერი. ეს იყო და ეს. თანაც იასონმა თავისი თავგადასავალი და აქ ჩამოსვლის მიზეზი, რატომღაც, ზღაპრად მოუყვა აიეტს, ალბათ, იფიქრა, ასე უფრო იოლად გავაგებინებო.

- იყო და არა იყო რა, - დაიწყო იასონმა, - იყო ქალაქი იოლკოსი. ამ ქალაქის მეფეს ნახევარძმა ჰყავდა, დედით ერთნი იყვნენ, მამით კი სხვადასხვანი. ამ ნახევარძმას თვითონაც მოუწონდა მეფობა და ერთ მშვენიერ დღეს მართლაც დაისაკუთრა ტახტი, კანონიერ მეფეს კი კარი გამოუკეტა. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ერთ ტახტზე ორი მეფე ვერ დაეტევა, როგორც ერთ სამზარეულოში ორი ქალი (იასონმა გაიღიმა). ჩავარდა საწყალი სიღარიბეში, მაგრამ რა უნდა ექნა, თავს ზევით ძალა არ იყო. ეტყობა, ღმერთებმა მთლად არ გასწირეს ნამეფარი და ვაჟი აჩუქეს (იასონმა გულზე ხელი მიიღო და ისევ გაიღიმა, ვითომ ის ვაჟი მე გახლავართო). მამას შეეშინდა, ნახევარი ძმა არც შვილს შემარჩენსო და ახალშობილი მთებში გადამალა, მწყემსებთან. ხალხში კი ხმა გაავრცელა, მკვდარი ბავშვი დამებადაო და ქელეხიც გადაიხადა (იასონმა შეიცადა და დარბაზში მყოფნი მოათვალიერა. ყველანი ყურადღებით უსმენდნენ). ყმაწვილი რომ წამოიზარდა, - გააგრძელა იასონმა და უცებ მედია დაინახა, არა, მედია კი არა, მედეას ხელები, მუხლებზე დაეწყო და დასჩერებოდა, თითქოს წიგნს კითხულობსო. იასონს სიტყვა გაუწყდა, ოდნავ წინ წადგმული მარჯვენა ფეხი ისე აუთამაშდა, თითქოს დასაკლავად წამოქცეულ პირუტყვზე ედგა. უცებ ზღვის გუგუნნი გაიგონა, ყრუ, შეკავებული, გეგონებოდათ თავზე საბანწაფარებული რაღაცას ბუტბუტებს, ანდა მოთქვამსო. - ყმაწვილი რომ წამოიზარდა, - აჩქარდა იასონი, - თავის ქალაქში დაბრუნება გადაწყვიტა. მივიდა მეფესთან და უთხრა: ესა და ესა ვარ და ჩემი ტახტი დამიბრუნეო. ფეხზე ცალი სანდალილა შერჩენოდა, ტახტს კი თხოულობდა. - გაიცინა იასონმა, მაგრამ სიცილი ამჯერად ნაძალადევი გამოუვიდა, ეს თვითონვე იგრძნო და ნირწამხდარმა გააგრძელა: - მეფეს თავზარი დაეცა, საიდან გამოტყვრა ეს ოხერიო, მაგრამ ჭკვიანი იყო და ეშმაკობა იხმარა. თანახმა ვარო, მიუგო ნახევარძმისშვილს, მხოლოდ ერთი პირობა უნდა შემისრულოო (აიეტმა თავი ასწია და იასონს თვალი გაუსწორა. ყველამ იგრძნო, ამ ზღაპარში ეს პირობა იყო მთავარი. იასონიც აღელდა, მაგრამ მაინც დაატანა თავს ძალა, რათა პირობის ყველა სიტყვა გამოკვეთილად ეთქვა). მეფემ უთხრა: სიზმარში ბიძაშენის, მამაშენის ბიძაშვილის, ფრიქსეს აჩრდილი გამომეცხადა და იმ ვერძის ტყავის უკან დაბრუნება მთხოვა, რომლითაც იგი კოლხეთში გაფრინდაო. მე აღარც ასაკი მიწყობს ხელს და

აღარც ღონე მომდევს, ამოდენა საქმე ვითავო, შენ კი ახალგაზრდა ხარ, წაბრძანდი, ჩამოიტანე, ბიძის აჩრდილიც მოასვენე და გვარსაც მოაშორე ცოდვაო. რა ექნა ჭაბუკს, ისიც ადგა და წამოვიდა. - დაამთავრა იასონმა ზღაპარი და ისევ გაიღიმა, მომხიბვლელად, გულუბრყვილოდ.

- ყველაფერი გავიგე, - თქვა აიეტმა, - ადამიანი ორ ნაწილადაა გაყოფილი, ერთი ტახტზე ზის, მეორე კი ტახტს დაემბსო.

- ჩვენ არაფერი არ გვინდა, აქედან წასვლის მეტი, - უპასუხა არგუსმა.

არგუსს ძმებთან შედარებით უფრო თამამად ეჭირა თავი, მაგრამ მაინც ეტყობოდა, როგორ ესიკვდილებოდა ყოველი სიტყვის თქმა. "ის ტყავი მამაჩემს ეკუთვნის, მამაჩემი კი ამ კაცის ბიძაა. როგორ ვუთხრათ უარი მამის ნათესავს რაღაც ქეციანი ტყავის გამოო", - თქვა არგუსმა და ყურებამდე გაწითლდა. "ქეციანი ტყავი" იასონის გამოთქმა იყო და მან ახლა უნებურად გაიმეორა იგი.

ვანელები ამბობდნენ, აიეტი ისე გაცოფებულა, უთქვამს, ჩემს სუფრას რომ არ შეხებოდით, სუყველას ენებს დაგაჭრიდით, მაგრამ ახლა იძულებული ვარ მოვითმინო. ამაშიც იყო სიმართლის ნატამალი, რადგან ერთი გზობა აიეტმა მართლა გადაწყვიტა, იქვე, სუფრასთანვე დაეხოცა ყველანი, წიწილებივით წაეგლიჯა თავი შვილიშვილებისთვისაც, როცა მათი და მათი ნათესავის მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი ყელში ამოუვიდა.

აიეტმა უცებ ლოყაზე ლომის ხაოიანი, მშრალი ენის შეხება იგრძნო და გვერდზე გადაქანდა: "კიდევ ცოცხალი ყოფილაო", - გაუკვირდა და "რა გინდაო?" - ჰკითხა - შენ თვითონ რა გინდა? - შეუბრუნა ლომმა კითხვა. დაამთქნარა, მკლავის სიგრძე წითელი ენა შავ ნესტოებზე გადაისვა და გააგრძელა: მაგათ კიდევ ვეყოფიო.

ლომი აშკარად საბრძოლველად იყო განწყობილი, მარტო წაქეზებალა აკლდა. "ხომ არ მიუუქსიოო", - ერთი კი გაიფიქრა აიეტმაც და თვალები ისე გადააბრიალა, ყველანი გაისუსნენ. მეუღლემ გამაფრთხილებლად გაუღიმა და აიეტი ამ ღიმილს ისე ჩააფრინდა, როგორც გამარცხული კაცი ქამარს, რომელიც აღარც კი იცის რაში გამოიყენოს. "არა, - გადაუჩურჩულა აიეტმა ლომს, - ჯერ უნდა გამოვცადო, ვნახოთ, რა ბიჭები არიან, იქნებ ჩიტი ბდღვნადაც არ ღირდესო".

"შენ იცი შენი საქმისაო", - ჩაიბურღლუნა ლომმა და აიეტის სულის გადაყვითლებულ ბალახში ჩაწვა.

იასონი დაუშრეტელი მდინარის ჭანჭრობებში ჩამალულ თორმეტნიჩბიან ხომალდზე რომ დაბრუნდა, თქვა: ცუდადაა საქმე, აიეტი, ვერძის ტყავის სანაცვლოდ, გამოცდას მიპირებს და, ალბათ, ისეთ რამეს დამავალებს, მე კი არა, ქაჯიც ვერ შეასრულებსო.

- იქნებ ჩემი ძვლების წაღება მოგიხდეთ აქედან, - დაუმატა იასონმა.

დამალვას კი აზრი აღარ ჰქონდა, მათი აქ ყოფნა და განზრახვა უკვე ყველამ იცოდა, ასე რომ, ჯობდა თორმეტნიჩბიანი ხომალდი აშკარად მიებათ ნაპირზე. იასონის ბიჭები ხოფებს ნელა

უსვამდნენ და თან ფიქრობდნენ: ალბათ, ყველა ლერწმის უკან კაცი ჰყავთ ჩასაფრებულიო. თორმეტნიზიან, გამარჯვებასა და დროსტარებას შეჩვეულ ხომალდზე ისევ ჩამოწვა შიშისა და გაურკვევლობის ღრუბელი. ყველანი დონდლო, სლიპინა მუცლის ქვეშ მოიყოლა და თავფეხიანად გალუმპა. მუმლი და კოლო მომრავლდა. ბაყაყებმაც ხმას აუწიეს. ყურთასმენა აღარ იყო.

ლამით დაუშრეტელი მდინარის ნაპირები ისევ ბურუსში გაეხვია. ფერფლისფერი, წებოვანი მასა უხერხემლო ურჩხულივით მოძვრებოდა ტირიფებსა და ძეწნებს შორის და გზადაგზა ყველაფერს განურჩევლად ნთქავდა. ბურუსი ტანში ატანდა. გემბანზე მიყრილი ბიჭები ერთმანეთს ეხუტებოდნენ, ვინცობაა რამე მოხდეს, ახლოს ვიყოთო. ხანდახან ჭოტი დაიკვივლებდა, ისე მოულოდნელად, ისე შემზარავად, ყველას სისხლი ეყინებოდა. მაგრამ რა უნდა ექნათ, ჭოტი იმის ჭოტია, ღამღამობით თავისი ბოღმა და სატკივარი ქვეყანას შესჩვილოს. თავიანთ ქვეყანაშიც ზუსტად ასე კიოდნენ ჭოტები, მაგრამ იქ სხვა იყო, იქ მარტო ბავშვს თუ შეაკრთობდა ჭოტის უეცარი შეკვივლება და ქალებს თუ დააწყევლინებდა თავს, სადღაც დამპალ ფულუროში გაფუყული ფრინველი.

იასონი ახლაც მარტო იჯდა კიჩოზე, ხელები წვივებზე შემოეხვია და ნიკაპი მუხლებზე ჩამოედო. "ძალი მაინც მყავდესო", - ფიქრობდა იგი. ამოდენა ხომალდი მის ერთგულ ბიჭებს გაეცხო და მაინც მარტოდ გრძნობდა თავს, რადგან აიეტი მარტო მას უპირებდა გამოცდას, ამიტომაც მხოლოდ მას ელოდა განსაცდელი. თუმცა ასედაც უნდა ყოფილიყო, ბიჭები ხომ მისი გულისთვის წამოსულიყვნენ ამხელა გზაზე. მაგრამ ახლა ვერაფრით ვერ შეჰკუებოდა იმ აზრს, მარტო მას რომ ელოდა ხიფათი. ადრეც ბევრჯერ მდგარა სიკვდილ-სიცოცხლის შუა, მაგრამ მისი ჯიუტი ბუნება არასოდეს არ შეჰკუებია სიკვდილს. იასონს არ შეეძლო დაეჯერებინა, რომ ისიც, ასეთი მარდი და ღონიერი, ასეთი ზრდილი და მომხიბვლელი, შეიძლებოდა სხვებივით მომკვდარიყო. სიკვდილზე ფიქრი იმდენად აბნევედა და ასულელებდა, იმდენად ეძნელებოდა საკუთარი სიკვდილის წარმოდგენა, უმაღ და უყოყმანოდ ირწმუნებდა მომხიბვლელ სიყალბეს, ოღონდ ამაზრზენი ჭეშმარიტებისათვის თვალი მოეხუჭა. სჯეროდა, ღმერთები მისი გულისთვის რამე გამონაკლისს დაუშვებდნენ, არ მისცემდნენ ამ ქვეყნიდან წასვლის ნებას. ანდა სად უნდა წასულიყო, აქაც მშვენივრად გრძნობდა თავს. აქ იყო მისი ადგილი და ამიტომაც იდგამდა წელებზე ფეხს, ნემსის ყუნწში ძვრებოდა, რადგან აქ, ამ ქვეყანაზე უნდოდა ყველაფერი, რაც სხვას ჰქონდა, ანდა შეიძლებოდა ჰქონოდა. მართალია, დღევანდელის არ იყო, ბევრჯერ გაწბილებულა, მაგრამ ყოველთვის ღირსეულად გამომძვრალა იმ არასასიამოვნო შეგრძნებიდან, რომელსაც გაწბილება ბადებს. ახლაც ამაზე ფიქრობდა, ახლაც თავის დასაღწევ გზებს დაეძებდა და გული სიბრაზით ევსებოდა, მარტო რომ იყო. აიეტს ამჯერად ზრდილობიანად გამოეპანღურებინა, მაგრამ შეიძლებოდა უარესადაც დამთავრებულიყო ყველაფერი. ახლა არჩევანის უფლება მაინც ჰქონდა: ან როგორც მოზრმანდა, ისევე წაზრმანებულიყო, ანდა მიეღო აიეტის გამოწვევა. ესეც მას უნდა გადაეწყვიტა, მხოლოდ და მხოლოდ მას ეხებოდა და იმიტომ. ბიჭებს რა უჭირდათ, ხეტიალი და დროსტარება არც აქეთობას აკლდათ და არც იქითობას დაიკლებდნენ. მას კი დროსტარებაზე მეტი უნდოდა და მეტიც მოეთხოვებოდა, საკუთარი კუჭის ტკივილის გარდა, საშვილიშვილო საქმეც ევალებოდა. ასე უთხრა სწორედ ყველაზე დიდმა მეფემ მინოსმა, "საშვილიშვილო საქმეაო". ბიჭებს მართლა არაფერი უჭირდათ: თუ

იასონი პირობას შეუსრულებდა აიეტს, რისიც ძალიან ეეჭვებოდა, ყველანი მშვიდობიანად დაბრუნდებოდნენ შინ. თუ არა და, ახლა მარტო ისინი დაბრუნდებოდნენ იასონის ძვლებით სავსე ტომრიანა, რომელსაც, ალბათ, აიეტი გამომშვიდობებისას შემოუგდებდათ ხომალდზე. მკვდრისთვის ვილა გამოიღებდა თავს, ის კი არა, გზით გულგაწყალებულებს შეიძლება მისი ძვლებით ეკოჭავათ კიდეც, თავი შეექციათ და მადლიერების გრძნობით მოეგონებინათ თავიანთი მხიარული მეთაური, სიკვდილის მერეც რომ არ აკლებდათ გასართობს. "ფუი და ფუი" - გადააფურთხა იასონმა და გინებაც მიაყოლა: ჩემი აქ გამომგზავნის მკვდარიცა და ცოცხალიცო. სადღაც ისევ დაიკვილა ჭოტმა. იასონი აიბურძენა და ახლა მართლა გაბრაზდა, ერთი ძალი როგორ არ უნდა გვყავდეს ამხელა ხომალდზეო.

მერე ბიძამისის, სიბერისგან დაჭმუჭნილი, ვაზის ქერქივით დაფშვნილი და გამომშრალი სახე დაუდგა თვალწინ და ისევ გადააფურთხა. როცა ბიძამისმა გაიგო, იასონი, მისი ტახტის მოცილე, კოლხეთში მიემგზავრებაო, ბერიკაცი სიხარულმა გააბავშვა. რა ახარებდა იმ უკბილოს? რა და, იასონის მოსალოდნელი სიკვდილი. იასონმა თუ არ იცოდა, ბიძამისმა ხომ იცოდა, საით უსტვენდა მისი თავქარიანი ძმისშვილი. "იცოდა იმ შობელმალმაო" - გულს ასკვებოდა სიცივისაგან აწკაწკავებული იასონი. ბიძის სიკვდილის მერე ის მაინც ავიდოდა ტახტზე, მაგრამ აღარ დაადგა საშველი ბიძამისის სიკვდილს, არც იასონს მოუთმინა გულმა, თანაც საქმეში მინოსი ჩაერია და იასონმა ვერ შეხედა უარი ყველაზე დიდ მეფეს, ყველა ტახტისმადიებლის მფარველსა და ქომაგს. "თუ გინდა რომ ტახტი დაგიბრუნო, კოლხეთში წადი, მიიხედ-მოიხედე, გაიარ-გამოიარე, მოინახულე ჩვენი ბუდე და სამარე. იმ სამარეში მამაშენის ბიძაშვილი, ბეოტიის ტახტის მემკვიდრე ასვენია, ბუდეში კი მისი ოთხი ბარტყი პირდაბჩენილი ელოდება მშობლიურ ლუკმას. იცოდე, ყველა ბერძენი მეფისთვის საშვილიშვილო საქმეა იმ ოთხი ბარტყის დაპურება. თან საბუთად ვერძის ტყავიც გამოაყოლე ხელს, რომლითაც მამაშენის ბიძაშვილი გავაფრინეთ აქედან. დანარჩენზე კი მერე ვილაპარაკოთო", - უთხრა მინოსმა იასონს და იასონმაც ყველაფერი გაიგო, მინოსის დავალება კი ისეთი იოლი ეჩვენა, გაუკვირდა კიდეც, ერთი ქეციანი ტყავის გულისთვის (მაშინაც ასე თქვა: "ქეციანი ტყავიო") რატომ უნდა დაესვათ ტახტზე, მაგრამ ჭკუა იხმარა და ენას კბილი დააჭირა, მინოსი ტყუილად არაფერს იტყოდა, არც სხვას ათქმევინებდა ზედმეტს, თუმცა თანხმობის მეტი მაინც არაფერი ესმოდა.

იასონი მაშინვე ბიძამისთან გაიქცა, მაგრამ პირველი, რაც ამ მართლაც მიხრწნილი ბებრის თვალებში დაინახა, საკუთარი სიკვდილი იყო. არა, მისი მოსალოდნელი სიკვდილით თავაშვებული სიხარული. მაშინ კი აღარ დაზოგა იასონმა ბიძა და პირში მიახალა, სიცოცხლეშივე უნდა გადმოგფერთხო მაგ ტახტიდან მტვერივითო. ბიძამ თასი ესროლა, იმ თასით რძესა სვამდა ხოლმე. საერთოდ რძის მეტს არაფერს ჩაუშვებდა პირში და ამიტომაც იყო, ალბათ, საშველი რომ არ ადგებოდა მის სიკვდილს. იასონს ახლაც გაეღიმა, ბიძამისის შეშინებული სახის გახსენებაზე: წვერულვაშზე რძის მსუქანი წვეთები შერჩენოდა, თითქოს ეს წუთია, მისი ღორმუცელობით გაბეზრებულმა დედამ პირიდან ძალით გამოგლიჯა ძუძუო.

"ძმებო", - ამოიგმინა იასონმა და იქითკენ გაიხედა, საითაც ბიჭები ეგულეობდა. ნაცრისფერი ნისლი ბოლქვა-ბოლქვა იგრაგნებოდა ხომალდზე, თითქოს დამპალ შენოს ახრჩოლებენო. იასონი მარტო იყო, მარტო იყო და ამ სიმარტოვეს ხედავდა კიდეც, ერთგული ძალივით დასკუპებოდა წინ. "ოოოოჰ", - ძალივით შეჰყმუვლა იასონმა წყვილიადს და საკუთარ ხმას მიაყურადა. ხმამ ვერ

გაარღვია ბურუსის სქელი კედელი და სველი ფოთოლივით ზედ აეწება. არც ხომალდიდან გამოპასუხებია ვინმე, ეტყობა, მაგრად დასძინებოდათ წუხანდელ უძინრებს. ახლა ამან შეაწუხა. "იქნებ მივუხტე და ამ შუალამისას დედაბუდიანად ამოვხოცო ყველანიო", - გაიფიქრა იასონმა, თუმცა თვითონვე იცოდა, ეს ტყუილი ფაფხური იყო, გულის გასაკეთებელი, შიშის დასაფრთხობი, სიბრაზისა და შურის ნაყოფი, რადგან ახლა მართლა ყველასი შურდა, ვისაც მშვიდად დაძინება შეეძლო. არა, იასონი არც ისეთი სულელი იყო, აიეტს მივარდნოდა. ისა და მისი ბიჭები არ ეყოფოდნენ ამ საქმეს. ან რომელი წაყვებოდა, ან რომელს გაუშვებდა თვითონ. გამოცდილებით იცოდა, რომ მახვილის, ისევე როგორც ქალის, ტყუილუბრალოდ გაშიშვლება სირცხვილია და მეტი არაფერი. თავლაფის დასხმა. და აი, სწორედ მაშინ გაახსენდა იასონს მედეა. არა, მედეა კი არა, მედეას ხელები, არაბუნებრივად მშვიდი და სრულყოფილი, ერთდროულად მშვენიერიცა და საშიშიც. გაახსენდა, როგორ გაუწყვიტა სიტყვა აიეტის დარბაზში ამ ხელების ხილვამ. მერეც, როცა სუფრასთან ისხდნენ, იასონი მხოლოდ მედეას ხელებს ხედავდა. სხვას არაფერს შეუძრავს მისი ბუნება ასე, არც აიეტის დიდებულ სასახლეს და არც თვითონ აიეტს, ურჩხულივით რომ უბრალებდა თვალეხს; არც ქარისას, თავს რომ დასტრიალებდა და თავისი ხელით უსხამდა ღვინოს; არც აფრასიონს, ურჩხულის მემკვიდრეს, რომელსაც არაფერი ეცხო მამისა და სისულელეებს რომავდა, თუ გინდა რომ ბედნიერი იყო, ჩემს დას არაფერი აწყენინო. იასონს არაფერი გაეგებოდა აფრასიონის ბჟუტურისა, ვისთვის რა უნდა ეწყენინებინა, ისედაც ეკლებზე იჯდა და ისიც არ იცოდა, გააღწევდა თუ არა ამ სასახლიდან თავცოცხალი.

მედეა იასონს ვიღაცას ახსენებდა, ახსენებდა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, ვის; შეიძლება იმიტომაც, რომ მაშინ, აიეტის სასახლეში, არ შეეძლო მარტო მედეაზე ეფიქრა, თუმცა ცალი თვალთ მანინ მოასწრო გადაეთვალთქვინა ხსოვნაში ჩარჩენილი ქალები, მაგრამ ვერც იქ მიაკვლია მედეას მსგავსებას. ახლა კი, გემბანზე ჩაცუცქულს, ბურუსში ჩაკარგულს უცებ გაუნათდა გონება. მედეა ზღვას ჰგავდა. ახლა ისიც გაახსენდა, განუწყვეტლივ ზღვის ხმაური რომ ესმოდა, სანამ მედეა დარბაზში იჯდა. მაშინ ამ ხმისთვის ყურადღება არ მიუქცევია, არც გაჰკვირვებია, იცოდა, ზღვა ახლოს იყო, მაგრამ გაახსენდა თუ არა მედეა, ისევ ჩაესმა ზღვის გუგუნის, დინჯის, შეკავებული, თითქოს სამუდამოდ დამცხრალი და სამუდამოდ შეგუებული ბუნებისაგან დადგენილ ჯგბირებს. ეს ხმა მედეას ხმა იყო. ზღვა კი იმიტომაცა ზღვა, არც დაცხრეს და არც შეეგუოს რამეს. ის უბრალოდ სულს ითქვამდა, კლდოვან ნაპირებზე ჩამოკარგულ ტალღებს იმშვიდებდა, რათა ერთხელ კიდევ შეხეთქებოდა ერთფეროვნებასა და უძრაობას. იასონის ყურებში მართლა ხმაურობდა ზღვა, როცა მედეა თავჩალუნული იჯდა მამასა და უცხოელ სტუმარს შორის და ხელის გაშლილი მტევნები მუხლებზე დაეწყო. როგორც... როგორც სასამართლოს მაგიდაზე ყველას დასანახად დააწყობენ ხოლმე იარაღს, რომლითაც მკვლელობაა ჩადენილი. რა თქმა უნდა, იასონს ასე არ უფიქრია, მაგრამ უცნაურად შესძრა და ააფორიაქა ამ ხელების ხილვამ, სიტყვა გაუწყდა და ფეხი ისე აუკანკალდა, თითქოს დასაკლავ პირუტყვზე ედგა. "აი, ვინ მიშველიდაო", - ფიქრობდა ახლა იასონი. ხომ შეიძლებოდა მედეას მოსწონებოდა და შეჰყვარებოდა კიდევ იგი. განა ცოტაჯერ მომხდარა ასეთი რამე? რამდენიც გინდა. რამდენჯერ უთქვამთ იასონისათვის, ამა და ამ დღეს აქა და აქ ყოფილხარ და მავანსა და მავანს ისე შეჰყვარებხარ, თითი რომ დაუქნიო, მოედანზე დაგიწვებაო. რატომ არ შეიძლებოდა, ახლაც ასე მომხდარიყო, რას დაუწუნებდნენ ვითომ კოლხი გოგოები. რასაკვირველია, ახლა ამ გაუკვალავ



ბურუსში სისულელეც იყო მედეას სიყვარულის იმედით საოცნებო კომპეზის აგება, მაგრამ იასონმა ვერაფრით ვეღარ მოიშორა მედეაზე ფიქრი, გული ეუბნებოდა, რაღაცის გამოდნობა შეიძლებოდა ამ ფიქრიდან. ქალის ხელით გაკეთებულ საქმეს გემოც განსაკუთრებული ჰქონდა; არც ეს იყო უცხო ხილი იასონისათვის, მაგრამ ის ქალები სხვა ქალები იყვნენ, როცა იასონისთვის ირჯებოდნენ, უყვარდათ კიდეც იგი. სიყვარული ახუჭვინებდათ თვალს და უნათებდათ გონებას. მედეას კი რა სჯიდა, რატომ უნდა გამოედო თავი ამ უცხოელისათვის, სულ ერთხელ რომ ჰყავდა ნანახი და ისიც საკითხავია, მართლა ნახა თუ არა. როგორც იასონს ახსოვს, მედეას თავიც არ აუწევია, არც კი გამოუხედავს მისკენ, იჯდა და საკუთარ ხელებს დასცქეროდა. ქალი კი მხოლოდ მაშინაა სანდო, როცა უყვარხარ. ასე რომ, იასონს ჯერ თავი უნდა შეეყვარებინა მედეასთვის და მერე ეთხოვა შემწეობა. "კი არ მეშორებო, მაგრამ მეჭორებო", - წაიმღერა გუნებაში იასონმა. მან კარგად იცოდა, რა ძნელი მოსავლელები არიან ასეთი ჩუმი და თავგალული გოგოები. უღელი კამეჩის ძალაც არ გეყოფა, ოდნავ მაინც რომ მოაცილო ერთმანეთს მათი მიტყუპებული მუხლები. მაინც სასიამოვნო იყო მედეაზე ფიქრი, იმედის მომცემი, გამაყურებელი, დამამშვიდებელი, მით უფრო, რომ სიცივე უკვე ძვალ-რბილში ატანდა, ფილტვებიც წებოვანი ბურუსით გაჟღენთილიყო და სადღაც, თითქოს ჯიბრზე, გულსაკლავად მოთქვამდა ჭოტი.

\* \* \*

დილით ვანის ქუჩებში უცხო ხალხი გამოჩნდა. ვანელები უკვე ორი დღე მოლოდინში იყვნენ და არავის გაჰკვირვებია კბილებამდე შეიარაღებული ჯგუფის დანახვა. ისე შეეგებნენ, თითქოს ძველი ნაცნობები ყოფილიყვნენ. "ფრიქსე, ფრიქსეო", - მოსმახოდნენ ნელა მოძრავ ჯგუფს, რადგან ბერძნულად სხვა არაფერი იცოდნენ. ვანელები კარგ გუნებაზე იყვნენ, მზიანი დღე იდგა და ეს უჩვეულო სანახაობაც ძალიან ართობდათ. საგანგებოდ გაპრიალებული ამდენი მუზარადი, ბალთა, საბარკული, ფარი და მახვილი მთელ მზეს თავისკენ იზიდავდა და თვითონაც ისე ლაპლაპებდა, დიდი ხნით თვალს ვერ გაუსწორებდი. სხვათა შორის, ვანელებს სწორედ ამ დღეს შეექმნათ წარმოდგენა, რომ ბერძნები საერთოდ ასე შეიარაღებულნი დადიოდნენ, ომიანობა იყო თუ მშვიდობა, სტუმრად იყვნენ თუ შინ. "ყველას თავისი წესი აქვსო", - ამბობდნენ ვანელები. ბერძნები არც არაფერს თხოულობდნენ, არც არაფერს კითხულობდნენ, არც არავის აჩერებდნენ, არც არავის უჩერდებოდნენ; ეგ იყო, რომ მოძრაობდნენ, სიცოცხლის სხვა ნიშან-წყალი არაფერი ეტყობოდათ. მათი ყურება ყველაზე ადრე ბავშვებს მობეზრდათ. დიდხანს ეჭყანებოდნენ ისინი სპილენძის დიდ ფარებში სასაცილოდ დამახინჯებულ საკუთარ გამოსახულებებს, მაგრამ როცა მიხვდნენ, მეტს ვერაფერს გამორჩებოდნენ, თავი გაანებეს. როცა შუადღის მზემ დააცხუნა და ქალაქი გრილ ოთახებში შეიკეტა, ბერძნები წყაროსთან შეჩერდნენ, რაკი თავი მარტო დაიგულეს, სიცხე მათთვისაც აუტანელი გახდა. მაგრამ ჯგუფი არც იქ დაშლილა, სათითაოდ გამოდიოდნენ ჯგუფიდან, მკლავის სისხო ნაკადს მუზარადს უშვერდნენ, სვამდნენ, მუზარადში ჩარჩენილ წყალს ოფლისაგან გადაგლესილ თავზე ისხამდნენ და ისევ ჯგუფში ბრუნდებოდნენ. ასე რომ, ფარებაფარებული ჯგუფი თითქმის უცვლელად და უძრავად იდგა, ჯუჯა კომპივით. წყურვილი რომ მოიკლა, ჯუჯა კომპმა ისევ აიდგა ფეხი, დინჯი, გამოზომილი ნაბიჯით ქალაქიდან გავიდა და გეზი დაუშრეტელი მდინარისკენ აიღო.

მაღლე ჯუჯა კომპის გამოჩენა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ვანის ქუჩებისთვის. ახლა უფრო თამამად ეჭირა თავი, ბერძნის წყაროსთანაც უფრო დიდხანს ჩერდებოდა, წყალსაც გემოზე სვამდა, თავკისერსაც უშვერდა მოდგაფუნე ნაკადს, იცინოდა და, როგორც ვანელები ფიქრობდნენ, კმაყოფილებასაც გამოთქვამდა თავის ენაზე. ვანელ გოგობს, უცხოელების დასანახად უარესად რომ იმტვრეოდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება გვიან მიჰფარებოდნენ თვალს, ახლა დაუფარავი აღტაცებითა და სიხარბით უთვალთვალდებდნენ და, ალბათ, იმ კუნძულზე გატარებული დღეები ახსენდებოდათ, სადაც ქალებს მამაკაცი სანთლით საძებნი გახდომოდათ. მაგრამ აქ ისე ვერ იყო საქმე. თუ ვანელი გოგოები თავს აწონებდნენ, ვანელი ბიჭები დაბღვერილები ზომავდნენ მათ ყოველ ნაბიჯს და ჩხუბის მიზეზს ისე ელოდებოდნენ, როგორც ათი გოგოს მამა ვაჟის გაჩენას. მაგრამ უცხოელებს ჯერჯერობით თავი წესიერად ეჭირათ, ასე რომ, არავითარ საბაბს არ იძლეოდნენ საჩხუბრად და საკინკლაოდ. რა მათი ბრალი იყო, თუ ვანელ გოგობსაც ყველაფერს ერჩიათ უცხო თვალის წინ კოპწიობა. მაგრამ, ეტყობა, ქალი და ჩხუბი მართლა ერთად დადიან, რადგან მაინც მოხდა პატარა უსიამოვნება.

შუადღის მზე ვანურად აცხუნებდა, ჯუჯა კომპი ბერძნის წყაროსთან ისვენებდა. ერთი ბერძენი ვანელ გოგოს გამოელაპარაკა. გოგო წყლის წასადებად მოსულიყო, გულითადად გაულიმა უცხოელს და ხელები გაასავსავა: შენი ვერაფერი გავიგეო. ბერძენმა ისევ უთხრა რაღაცა. დანარჩენებმა გადაიხარხარეს. გოგოს ეწყინა და წარბები შეწკიპა. სად იყო და სად არა, მიწიდან ვანელი ბიჭი ამოდვრა, ბერძენს წინ აესვეტა და ჰკითხა: რა გინდა ამ გოგოსგანო. ახლა ბერძენმა გაიღიმა და მანაც ხელები გაასავსავა: შენი ვერაფერი გავიგეო. ვანელმა კი ერთი ისეთი გაულაწუნა, ფარშუბიანად ადგილზე დააბზრიალა. ჰკუა ეყოთ თუ ვაჟკაცობა, დანარჩენი ბერძნები ჩხუბში არ ჩარეულან, თავისიანს კი შეუყვირეს, გაამხნევეს, გონზე მოიყვანეს და ისიც გამწარებული ეცა ვანელს. ატყდა და რა ატყდა, აქეთ ვანელებმა, იქით ბერძნებმა დასცხეს ტაში და ყიჟინა. ფალავნები კი მტვერში გორავდნენ, ერთმანეთს კბენდნენ, ხელებს უტრიალებდნენ, თმას აგლეჯდნენ და ქშინავდნენ. ბოლოს ისევ გოგომ ჩააწყნარა ყველაფერი, ძირს გაგორებული მუზარადი წყლით აავსო და მოჩხუბრებს გადაასხა, ფალავნების გაწუწვამ ბერძნებიცა და ვანელებიც სიცილის გუნებაზე დააყენა. მოჩხუბრები გვერდზე გადგნენ და ტანსაცმელი ჩამოიბერტყეს.

ამ შემთხვევამ კიდევ უფრო დააახლოვა სტუმრები და მასპინძლები. ჯუჯა კომპს ახლა მხიარული შემახილებით ხვდებოდნენ ყველგან. "ესენიც ჩვეულებრივი ხალხი ყოფილაო", ამბობდნენ ვანელები.

დღე არ გაივლიდა, ორჯერ მაინც არ გამოჩენილიყო ჯუჯა კომპი ოქრომჭედლების უბანში. კარგა ხნით შეწყდებოდა ხოლმე ჩარხების ღულუნნი, ლითონის წკრიალი, ჩაქუჩების ტაკატუკი და საჭრეთელის წრიპინი, როცა ამდენი მოოქროვილი მეომარი ფრჩხილებით აფხეკდა და აბლორტნიდა ერთმანეთს ზედ შეფრქვეულ ბრჭყვიალა მტვერს.

ვანის ქუჩებში უთავბოლო ხეტიალმა ჯუჯა კომპი, ბოლოს და ბოლოს, ღვინის ვაჭარ ბახას ორმოცსაფეხურიან სარდაფთანაც მიიყვანა. ისეთი სიფრთხილითა და მოწიწებით ჩაათავა ორმოცი საფეხური, თითქოს სამუდამო განსასვენებელში ჩადიოდა. სარდაფის სიღრმემ თუ შიგ

ჩაგუბულმა ღვინის სურნელმა თავბრუ დაახვია და ბალღვით გახარებული გაუჩინარდა მარადიულობის ნესტიან სიგრილეში.

ღვინის ვაჭარი ბახა ისევ ისე იჯდა თავის საყვარელ სკამზე, შვინდის მრგვალთავიანი ჯოხიც ისევ ისე ჩაედგა მუხლებს შორის და ზემოდან ორივე ხელი კრამიტებივით შემოეწყო. ამდენი მოწყურებული, ღვინოს მონატრებული ვაჭკაცის ხილვამ ისიც ააღელვა. სარდაფში ტევა აღარ იყო. ყველანი მას მისჩერებოდნენ სურვილისაგან დანაკვეთილზე მდებარე თვალებით, კვალზე დამდგარ ძაღლებივით ნესტობდაბერილნი. "იცინა ჩემი ძალაო" - გაიფიქრა ღვინის ვაჭარმა ბახამ და თითქმის მაშინვე გაისმა მისი მოკლე, მაგრამ ღვთაებრივად უხვი და მრავლის მთქმელი ბრძანება: იმანო, დიდიდან, სტუმრებიაო!

"დიდიდან" ჩამოსხმულმა ღვინომ მალე აახორხოცა სტუმრები. ვიღაცამ ნივრის გალას შეუწვდინა ხელი და ისე მადიანად ჩაკვირა გაუფიქრებელი ნიორი, ცოტა ხნის მერე, ხმელი, გაფშვკილი, ერთმანეთზე გადაწული ფოჩებიღა კონწიალებდნენ ხარიხაზე.

- გააღეთ კარი, შემოიხედოს ქვეყანამო! - დაიძახა შავთვალემა მალალომ, როცა ქუჩაში მწყობრი ნაბიჯების ხმა გაისმა და აქამდეც მოაღწია ღვინისა და ნივრის სუნმა. შავთვალემა მალალომ იმავე დღეს საგანგებოდ დააკრიალებინა სახლი ქალიშვილებს, როგორც კი გაიგო, წყალუხვ მდინარეში ბერძნების თორმეტნიჩბიანი ხომალდი შემოსულაო. იმ დღის მერე ელოდებოდა სტუმრებს. სტუმარი, თანაც ახალი, თანაც უცხოელი, ყველაზე კარგი წამალია სიბერისა, რისიც ასე ეშინოდა შავთვალემა მალალოს. მართალია, სიბერე ჯერჯერობით გარე-გარე უვლიდა, მაგრამ დღითი დღე უშინაურდებოდა. ყველა გაპრიალებულ საგანში უსაფრთებოდა, მოულოდნელად "ჭიტა" რომ დაეძახა და გული გაეხეთქა ცხოვრების მოტრფიალე ქალისთვის. შავთვალემა მალალოს კი მართლა უყვარდა ცხოვრება, მაგრამ დრო მაინც თავისას აკეთებდა, წასაღები მიჰქონდა, დაუკითხავად, დაუნანებლად, და ექვსი ქალიშვილიც, უკვე დებივით რომ მოსწრებოდნენ დედას, ამას ადასტურებდა მხოლოდ. რაც შავთვალემა მალალოს აკლდებოდა, ის მის ქალიშვილებს ემატებოდა. ამიტომაც იყო, ასე რომ ცდილობდა დამსგავსებოდა თავის ქალიშვილებს, ანდა ისინი დაემსგავსებინა, რათა უცხო თვალს გაჭირვებოდა გამოცნობა, რომელი შეიძლებოდა ყოფილიყო ამ შვიდ ქალში დანარჩენი ექვსის დედა. "აი, რამდენი ვარ! ერთიდან მეორეში გადავსკუპდები, მეორედან მესამეში... მესამედან მეოთხეში, მეოთხედან მეხუთეში, მეხუთედან მეექვსეში... სიბერემ კი მსდიოს, სანამ არ მობეზრდებაო", - იტყოდა ხოლმე შავთვალემა მალალო, მაგრამ სიბერის უბრალოდ ხსენებაც კი ისე ასევიდებოდა, ექვსივე ქალიშვილს ბატის ჭუკებივით ერთად გახვეტავდა ოთახიდან და ტიროდა, გულით ტიროდა, მაგრამ ცრემლს ქუთუთოსთანავე ახვედრებდა ხელს, ფერუმარილი არ ჩამომრეცხოსო. ექვსი ქალიშვილი ცოტა იყო სიბერისგან თავის დასაღწევად, სხვა რამ უნდა მოეგონებინა შავთვალემა მალალოს.

"მასპინძელო", - ეძახდა თუთიყუში, მაგრამ მაშინ აღარაფერი ესმოდა საკუთარი სიყმაწვილის ფეხის ხმის მეტი, ის კი თანდათან შორდებოდა, ყრუვდებოდა და ქვეყნის ხმებში ითქვივებოდა. "უსინდისო, მოლაღატევი!" - მისძახოდა გულაჩუყებული შავთვალემა მალალო თვალსა და ხელს შუა გაპარულ სიყმაწვილეს, უკანმოუხედავად რომ გარბოდა, თითქოს დიდი განსაცდელისათვის დაეღწია თავი. მაგრამ არც სევდა ძლებდა დიდხანს, რადგან შავთვალემა მალალომ ისიც იცოდა,

უდარდელობითა და მხიარულებით თუ თავის ახალგაზრდობას ვერ დაიბრუნებდა, სხვისას მაინც მიიზიდავდა და ის "სხვისა" მისივ გახდებოდა, ცოტა ხნით მაინც. ოღონდ, გალიაში დამწყვდეული თუთიყუშით ჭრელსა და ხმაურიან ცხოვრებას დროზე უნდოდა ხელის წაკვრა, რათა არ ჩასძინებოდა, არასოდეს დარღვეულიყო სიჭრელისა და სისადავის, ცრემლისა და ღიმილის, ტუსადისა და მეთვალყურის ერთიანობა, ერთარსებობა, ერთსულოვნება.

სანამ ბერძნები ქალაქსა და მის ადათ-წესებს ეცნობოდნენ, აიეტმა სასახლეში თათბირი გამართა.

აიეტი უკვე გრძნობდა, დიდი შეცდომა რომ ჩაედინა, როცა მშობლებისაგან განწირული ფრიქსე შინაური კაცივით მიიღო სასახლეში და მერე დაინათესავა კიდეც. ახლა ფრიქსეს კვალზე მთელი ხომალდი მოსულიყო. ხვალ კი, შეიძლება მთელი საბერძნეთი მოსდგომოდა კარს. არა, დათმობაზე ლაპარაკსაც არ აპირებდა, დათმობა სისუსტეს ნიშნავდა. მართალია, უცხოელს თითქოს უფლებაც ჰქონდა მოეთხოვა ის, რასაც თხოულობდა და, რაც აიეტისთვისაც არ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც ძნელი შესაღწევი, მაგრამ ვინ დაუდგებოდა თავდებად, უცხოელი არ ტყუოდა. განა მგელი ითაკილებს ცხვრის ტყავში გახვევას, თუკი ფარეხში უნდა შეპარვას? აიეტს არ სჯეროდა უცხოელის, საამისოდ ზედმეტად მომხიბვლელი ეჩვენა იგი. ჰქონდა კიდეც უნდობლობის საბაზი. საიდან აღარ მოდიოდნენ ვანში ხომალდები, რა არ მოჰქონდათ და მიჰქონდათ, მაგრამ არც ერთს არ აურიდებია თავი ნავსადგურისათვის და დაუშრეტელი მდინარის ჭანჭრობებში არ დამალულა. არც შვილიშვილების მათთან ერთად დაბრუნება, მათთვის ასეთი ზრუნვა და თავგამოდება მიაჩნდა ბუნებრივად. შეიძლება შვილიშვილებს მართლა კეთილშობილი გრძნობა ამოქმედებდათ, თავს რომ არ იშურებდნენ, რათა საკადრისი სამსახური გაეწიათ გადამრჩენლისათვის (თუკი მართლა გადამრჩენელი იყო), მით უფრო, რომ ეს გადამრჩენელი ნათესავადაც ეკუთვნოდათ (თუკი მართლა ეკუთვნოდათ), მაგრამ ასევე შეიძლებოდა, დაემინებინათ ისინი, ანდა ისეთ რამეს დაჰპირებოდნენ, გადაებირებინათ ეს ოთხი ლაპი პაპისა და ქვეყნის წინააღმდეგ. მოკლედ, აიეტს არ სჯეროდა არც უცხოელისა და არც შვილიშვილებისა. "შენიანის გეშინოდესო", - აკი ყოველთვის აფრთხილებდა მამა. აუხდა კიდეც; როცა ერთხელ კიდეც გადაათვალიერებდა ხოლმე გუნებაში თავისიანებს, ეჭვს მხოლოდ და მხოლოდ ქარისას შთამომავლობა იწვევდა. მედეას სათვალავშიც არ აგდებდა, რადგან გაუთხოვარ ქალს მშობლებზე ძვირფასი არავინ არ უნდა ჰყოლოდა. აფრასიონი კი სხვანაირად აბრაზებდა აიეტს. წლები გადიოდა, აფრასიონი იზრდებოდა, მაგრამ ძველებურად გულჩათხრობილი და "უცნაური" რჩებოდა. "რადაცაში გაერიოს, მეფობასაც სწავლა უნდაო", - ეტყოდა ხოლმე აიეტი მეუღლეს, მაგრამ გულის სიღრმეში, სადაც მამა სჭარბობდა მეფეს, სიამოვნებდა კიდეც, ასეთი თავდაჭერილი შვილი რომ ჰყავდა, ცხვირს რომ არ ყოფდა ყველაფერში, აქაოდა მეფის მემკვიდრე ვარო. ყველაფერი ყველაფერი, მაგრამ ლალატის კაცი კი ნამდვილად არ იყო, თითქოს სულ ასე მემკვიდრედ აპირებდა ყოფნას და, ვინ იცის, იქნებ ღმერთებსაც ევედრებოდა, მამაჩემი დიდხანს მიცოცხლეთ, ქვეყნის საზრუნავი ჩემს კისერზე რომ არ გადმოვიდესო. აფრასიონს მართლა უყვარდა მამა და ეს აიეტმაც იცოდა. ერთხელ ხუმრობით ჰკითხა, თუ მართლა ყველაფრის გამომცნობელი ხარ, ისიც მითხარი, როდის მოგკვდებიო; აფრასიონს თვალში ცრემლი ჩაუდგა, ყბა აუცახცახდა და ძლივს ამოილულულა: არ ვიცი, ეგ ჩემს მერე მოხდებაო. აიეტს შვილის სიბრაღულით გული დაეწვა და მერე აღარ უკითხავს ამგვარი რამ. ასე იყო თუ ისე, აფრასიონი მამის ეჭვს არ იმსახურებდა და ამიტომაც,

აიეტმა ფიქრშივე მოუხადა ბოდში: მაპატიე, შვილო, ტახტი ისეთი რამეა, ყურზე ყური უნდა გამოიბა და თვალზე თვალიო.

აიეტმა ცხვირწინ აქანავებულ ფიქრის ბაწარს ხელი აუქნია, რადგან ისედაც იცოდა, რა ზარზე იმი იდგა, ალბათ, ჭაში, და ხმამალა განაცხადა:

- ჩემი აზრით, ბერძნების თორმეტნიჩბიანი ხომალდი უნდა დაიწვასო...

სანამ აიეტი თათბირობდა, მედეას ტანგაუხდელს დასძინებოდა და სიზმარს ხედავდა. ეს სიზმარი პირველს არ ჰგავდა, მაჯლაჯუნსავით საზარელი, მტანჯველი და დაუნდობელი. საცოდავი გოგო ოხრავდა, ოფლში იწურებოდა, მაგრამ ვერაფრით დაეღწია თავი, ვერ გაქცეოდა მაჯლაჯუნსს.

სიზმარი კი მართლა შემზარავი იყო: ვითომ ყველანი აიეტის სალხინო დარბაზში შეკრებილიყვნენ, უცხოელიანად, და უცხოელი, ვითომ, ისე უღიმოდა მედეას, მისი საცოდაობით ქვა გადნებოდა. "რისთვის მოსულხარო", - ეკითხებოდა აიეტი უცხოელს და თან ფრიქსეს ვაჟებს თვალს უკრავდა. "ქალი უნდა გამატანო", - პასუხობდა უცხოელი და მედეას შესცქეროდა. აიეტს კი ვითომც არ ესმოდა მისი პასუხი და ეუბნებოდა: თუ გინდა, რომ ვერძის ტყავი გაგატანო, ადუღებულ ქვაბზე ითამაშეო. "არ მინდა ვერძის ტყავიო", - ყვიროდა უცხოელი და მედეას გულსაკლავად უღიმოდა. სპილენძის უზარმაზარ ქვაბში წყალი უკვე დუღდა. იმ ქვაბში მთელ ძროხას ხარშავდნენ ხოლმე, ათი კაცი დგამდა ცეცხლზე. ქვაბზე ფიცარი გაედოთ. იმოდენა ოხშივარი მოება პირზე, ხალხს ერთმანეთის დანახვა უჭირდა. "ითამაშე და ითამაშეო", - აუტყდნენ ყველანი უცხოელს. უცხოელმა აღარ იცოდა რა ექნა, თავისას ვერ აგებინებდათ. მარტო მედეას ესმოდა მისი, მაგრამ მამის შიშით ენას როგორ დასძრავდა. უცხოელი კი, დასაკლავი ხარვივით, ხან მედეას შეამტერებდა თვალებს, ხან კი გამხიარულებულ აიეტს... "თუ ფიცარზე ავა, ვყვარებივარო", - ფიქრობდა მედეა და თან გული უსკდებოდა, მართლა არ ავიდეს, ეს რა სულელური ფიქრები მომდის თავშიო. უცხოელი მაინც ავიდა ფიცარზე, ხელები საცოდავად გაშალა და ფეხებიც გაუსვ-გამოუსვა, ვითომ ვცეკვავო. აიეტმა გადაიხარხარა და ფიცარს ხელი გამოჰკრა. მედეამ შეჰკვივლა, უცხოელი კი აბუყბუყებულ ქვაბში ჩავარდა და ჩაიხარშა. "გადაღვარეთ წყალიო", - ბრძანა აიეტმა და ქეიფი გააგრძელა. ათმა კაცმა გადმოიღო ქვაბი, გარეთ გაიტანა და ქაფქაფა წყალი, უცხოელის ძვლებიანად, მიწაზე დაღვარა. "მე რაღა მექეიფებო", - გაიფიქრა მედეამ და ისიც გარეთ გამოვიდა. მდულარეგადასხმულ მიწას ორთქლი ასდიოდა. გაფანტულ ძვლებს ძალლი და ღორი მისეოდა. მედეამ კალთაში მოიგროვა ძვლები, თავის ოთახში შეიტანა და საწოლზე დაყარა. "გავაცოცხლებ, ვინანებ, არ გავაცოცხლებ და მაინც ვინანებო", - თქვა მედეამ. მერე საწამლე ყუთიდან კასპიის ნიჟარა ამოიღო, რომელშიაც ჯადო-წამალი ჰქონდა მოგროვილი და ძვლებს მოაპკურა. გაცოცხლებული უცხოელი საწოლზე წამოჯდა, თვალელები მოიფშვნიტა და თქვა: რა იქნა ოქროს საწმისიო? მერე, ცოტა გონს რომ მოეგო, წამოხტა და ისევ აიეტის სალხინო დარბაზისკენ გაიქცა. მირბოდა და ყვიროდა: გავიმარჯვე, გავიმარჯვეო!

უცხოელი რომ დაინახეს, ყველამ გაიცინა, ამ წუთას ქვაბში ჩაიხარშა და ახლა საიდან მოგვევლინაო. - ხომ ჩემია ვერძის ტყავიო? - ჰკითხა უცხოელმა აიეტს. "აკი ქალის სათხოვნელად

მოვედიო?" - შეუბრუნა კითხვა აიეტმა. მერე მედეას გასძახა, მოდი, ქალო, ისევ შენ უნდა გადაწყვიტო ჩვენი დავაო. "ნეტავ თავს რატომ არ გამანებებენ, ჩემგან რა უნდათო" - გაიფიქრა მედეამ. ხმამაღლა კი თქვა: ერთი სიტყვა მეც მათქმევინეთო. "ათი თქვიო", - დაუძახეს აქეთ-იქიდან.

- უცხოელმა პირობა შეასრულა, - თქვა მედეამ.

ატყდა და რა ატყდა, ყურთასმენა აღარ იყო. "დააცადეთ, ათქმევინეთო", - ყვიროდა უცხოელი და თან ფარს იფარებდა. "ახლა მამაჩემმა ითამაშოს ადუღებულ ქვაბზე და მაშინ ბარი-ბარში იქნებიანო", - როგორც იქნა დაამთავრა მედეამ თავისი სათქმელი და შიშით გული გაუსკდა. რეებს ვროშავ, რა უბედურებაა ჩემს თავსო. მეორე გული კი ეუბნებოდა, რადგან ამბობ, ეტყობა, გინდა კიდეცო. მედეას შიშით გული კი უსკდებოდა, მაგრამ ამავე დროს საკუთარი სითამამეც მოსწონდა, ერთიანად აღზნებული და ატაცნილი, ისე არხეინად იქცეოდა, თითქოს ცაში ფრენდა და მიწაზე აღარ აპირებდა დაბრუნებას. "ეგრე იყოსო", - თქვა შემცბარმა და დაბნეულმა აიეტმა. მერე ფიცარზე ავიდა. ისეთი სახე ჰქონდა, მედეას პირზე ხელი რომ არ აეფარებინა, დაუძახებდა, რას შვრები, მამი, სად მიდიხარ, რამ გადაგრია ამხელა კაციო. აიეტს ეტყობოდა, სულ არ ჰქონდა საცეკვაო გუნება-განწყობილება, მაგრამ ხელები მაინც გაშალა და ფეხებიც აათამაშა. მედეამ ქვაბთან მიირბინა და აცეკვებულ მამას ფეხქვეშ ფიცარი გამოაცალა. თან გუნებაში ამბობდა: "რას ვაკეთებ, რატომ ხელები არ შემახმებაო", მეორე გული კი პასუხობდა, რადგან აკეთებ, გდომებია კიდეცო.

აიეტი მდულარეში ჩავარდა და ჩაიხარშა. ათმა კაცმა დაავლო ქვაბს ხელი და გარეთ გაიტანა. "გავიმარჯვე, გავიმარჯვეო", - ყვიროდა უცხოელი და თან ფარის უკან ჩაცუცქულიყო, ამოდენა ხალხმა ზედ არ გადამიაროსო. მედეა დარბაზიდან გამოვარდა და წამლების ყუთს მიაშურა. მაგრამ კასპიის ნიჟარა ცარიელი დაუხვდა. რაც შიგ წამალი ჰქონდა დაგროვილი, სულ უცხოელის ძვლებისთვის დაეპკურებინა. ისე შეწუხდა მედეა, ისე შეწუხდა, მაშინვე გამოელვინა.

როგორც კი თვალი გაახილა, ვარდისფერ წყვილიაღში აღმოჩნდა. შეშინებული ფეხზე წამოიჭრა და ოთახის კედლები მოათვალიერა. როცა ყველაფერი იცნო, ახლა ბალიშის ქვეშ შეაცურა ხელი და, თოჯინაც რომ ადგილზე დაიგულა, შვებით ამოისუნთქა.

"არა, ჩემო კარგებო, - ჩურჩულებდა გულაჩუყებული მედეა, - როგორ იფიქრეთ, სულელებო, ეს ხომ სიზმარია, ცუდი სიზმარი, ეს კი ჩვენი სახლია, მამაჩემის სახლი. რა ესაქმება უცხოელს ჩვენთან. გესმის, გესმის, გესმის... - დაუშინა მუშტები თოჯინას. თოჯინას ნახშირის თვალი წამოვარდა, მაგრამ მედეა ისევ სცემდა და უყვიროდა: "რამ დაგაყრუა, რით ვერ გაიგეო." მერე კაბის კალთა წამოიხადა და მთელი სახე ერთიანად შეიმშრალა. "ჩემგან ნურავითარი დახმარების იმედი ნუ გექნება. შენ კი არა, ქარისამაც რომ მთხოვოსო", - თქვა სახეზე კალთააფარებულმა და უცებ ისევ აუჩქროლდა გული, რატომ აქამდე არ ვიფიქრე, ხომ შეიძლება, დამ მართლა მთხოვოს უცხოელის დახმარებაო. ის უცხოელი ხომ ქარისას შვილების ნათესავი იყო და, თუ მას რაიმე უბედურება შეემთხვეოდა, აიეტი ფრიქსეს ვაჟებსაც ზედ მიაყოლებდა, იმ უცხოელის მოყვანისათვის. მაშინ... "მაშინ აღარც ასე დავიტანჯებოდიო", - დაამთავრა ფიქრი მედეამ და კარი გამოაღო, რადგან უცებ დასთან გადაწყვიტა წასვლა, მაგრამ კარშივე გაჩერდა, ასე

თმაგაწეწილი და ფეხშიშველი როგორ მივადგეო. ისევ შემობრუნდა ოთახში, მაგრამ გულმა აღარ დააყენა, რა მოხდა, ვინ გიყურებსო და ისევ კარს მიაშურა, მაგრამ ვერც ახლა გადააბიჯა ზღურბლს. სამგზის სცადა წასვლა და სამგზისვე თავი შეიკავა, მერე კი ბარბაცით ისევ საწოლთან მივიდა და ზედ გადაემხო, როგორც საყვარელი ადამიანის ცხედარს. ეგდო ასე, ბალიშში პირჩამხობილი და უხმოდ ტიროდა. რა იცოდა, რომ მთელი სიცოცხლე ასე უხმოდ უნდა ეტირა. ასე უხმოდ და უამხანაგოდ. მისი მარადიული ცრემლი პირველ ლაქას აჩენდა ახლა სიქალწულის სასთუმალზე და მედეაც უკვე დამნაშავედ გრძნობდა თავს, თუმცა ჯერ არაფერი ჩაედინა. ვერც დანაშაულის ამ მწარე გრძნობას მოშორდებოდა როდისმე, მიჩვეული ძალღივით აედევნებოდა, მასთან ერთად გადასცურავდა ზღვებს და უცხო მიწაზედაც აჰყვებოდა, რადგან ამ ძალს ვერც კეტი დააფრთხობდა და ვერც მოწამლული სალაფავი მოუღებდა ბოლოს, ის ბედისმიერი იყო, ღმერთების მოგზავნილი. მედეამ ეს ჯერ არ იცოდა, მაგრამ გინდაც სცოდნოდა, მაინც ძნელი სათქმელია, შეიცვლებოდა თუ არა რამე მის ცხოვრებაში.

თავგადაგოზილ ქვევრში რომ იტიროს ქალმა, მეორე ქალი მაინც გაიგებს. ეს "მეორე ქალი" ამჯერად ქარისას მხევალი აღმოჩნდა. მან შემთხვევით მედეას ოთახის წინ ჩაიარა, მაგრამ რაღაცამ შეაწუხა და ისევ ამობრუნდა. დაბნეულმა მიმოიხედა და კარს ყური მიადო. ასე კი იმიტომ მოიქცა, კარგად რომ ვერ გაარჩია, რა ხმა ისმოდა ოთახიდან, ბავშვის სლუკუნსაც ჰგავდა და ძალღის წკმუტუნსაც.

მხევალმა შესვლა მაინც ვერ გაბედა ქალიშვილის ოთახში და ქარისასთან გაიქცა, მაპატიე, შენსა მზესა, მაგრამ მგონი თქვენს დას რაღაც უჭირსო. ქარისასთვის სწორედ რომ სულზე მისწრება იყო მხეველის გამოჩენა, ის შვილებს გამოემწყვდიათ და აქეთ-იქიდან მგლებივით უღრენდნენ: ხომ ხედავ, მამაშენი რას გვიშვება, დედა ხარ და მოგვეხმარე, სანამ დედაბუდიანად გადაგვიწვია აქაურობაო. ქარისას დიახაც უნდოდა მიხმარებოდა შვილებს, მაგრამ რა უნდა ელონა ან რა შეეძლო ამ უბედურ ქალს, ზედიზედ რომ მარცხდებოდა ცხოვრებასთან ბრძოლაში, ისევ და ისევ თავისი ამპარტავნული ხასიათის გამო; მისი ოცნების კოშკები სინამდვილეში სილის კოშკები აღმოჩნდა, ბავშვობაში ზღვისპირას რომ აკოწიწებდა და მერე თვითონვე ანგრევდა. ის შორს იყო შვილებისაგან. ავადმყოფურად გამძაფრებული თავმოყვარეობა არც დედური სინაზის გამომჟღავნების ნებას აძლევდა. შვილებსაც არ ესმოდათ დედისა. ისინი მამაკაცები იყვნენ და ყველაფერს გაწირავდნენ თავიანთი კაცობის დასამტკიცებლად. ღირდა ბრძოლის გაგრძელება? ქარისა ისევ მარტო იყო, ისევ ხუთის წინააღმდეგ. ხუთი მამაკაცის წინააღმდეგ. როცა ქარისამ უცხოელი იხილა, მაშინვე დარწმუნდა, შვილებს ვეღარ შეაკავებდა. ის უცხოელი, შეიძლება, მართლა ნათესავად ეკუთვნოდა ფრიქსეს, მაგრამ ფრიქსეს არ ჰგავდა, სხვანაირი შუქი ედგა თვალებში, ნადირის შუქი, დატყვევებული რომ უფრო საშიშია, ვიდრე ნებაზე გაშვებული. ამისთანა მამაკაცს ბიჭბუჭები ბაძავენ, ქალები კი ნებდებიან, რადგან მასთან ბრძოლას აზრი არა აქვს. ქარისაც უკვე მზად იყო გადასულიყო იმ ხუთის მხარეზე, მაგრამ არც ეს იყო იოლი საქმე, ამასაც დამსახურება უნდოდა, მასაც უნდა ჩაედო თავისი წილი საერთო საგანძურში, სრულყოფილებიანი წევრი რომ გამხდარიყო დღემდე მოწინააღმდეგე ბანაკისა.

ქარისას ბევრი აღარ დაუყოვნებია და მედეას ოთახისაკენ გაიქცა. მხევალიც აედევნა, მაგრამ ქარისამ დაუცაცხანა და ჩამოიშორა.

ქარისამ საწოლზე პირქვედამხობილი და მხრებაცახცახებული მედეა რომ დაინახა, თავზარი დაეცა: ალბათ, აიეტმა ჩემი შვილები გაწირა და ჩემზე ადრე ამან გაიგო: "ვამე შვილებო, რატომ არ დაიქცევა ეს ოხერი სახლიო", - ამოიგმინა ქარისამ. მედეა მუხლებზე წამოჯდა და ნამტირალევი თვალებით გაკვირვებული მიაშტერდა დას. "სულელო, შენს შვილებს რა სჭირთ სატირალი, ან მამის სახლს რატომ წყველი, რა დაგიშავაო", - უნდოდა ეთქვა მედეას, მაგრამ პირი ისე შეჰკვროდა, ტუჩებს ერთმანეთს ვერ აშორებდა. მედეამ ერთი იცოდა მხოლოდ, შეყვარებული იყო და ვერავითარი ჯადო-წამალი ვერ განკურნავდა, ამით უნდა მომკვდარიყო და სანამ მოკვდებოდა, ასე უნდა ყოფილიყო: აწეწილი, აფორიაქებული, აღზნებული. "სიკვდილი მინდა, დაო, სიკვდილიო", - უნდოდა ეყვირა, რადგან მართლა უნდოდა სიკვდილი, ფიქრობდა კიდევ, ალბათ, ესაა სწორედ სიყვარული, სიკვდილი რომ გინდაო. მედეა ღრმად იყო დარწმუნებული, უცნაურად მოლიმარე უცხოელს რამე რომ მოსვლოდა, ერთ დღეს აღარ იცოცხლებდა თავს, ან ზღვაში გადავარდებოდა, ან ძელზე ჩამოეკიდებოდა, ანდა მამიდის დამზადებულ შხამს დალევადა, მაგრამ ჯერ, სანამ ის უცნაურად მოლიმარი უცხოელი უვნებლად ეგულებოდა, სიკვდილი არ შეეძლო, უნდოდა, მაგრამ არ შეეძლო და სიყვარულის მთელი ავანჩავანიც ეს იყო სწორედ. "სიკვდილი მინდაო, დაო, სიკვდილი!" - ყვიროდა პირმოკუმული მედეა და გულწრფელად უკვირდა, რატომ მთელ სასახლეს არ ესმის, რატომ ყველანი აქეთ არ გამორბიანო. სიტყვა "სიყვარული" მედეას ისე აკრთობდა, გუნებაშიც უჭირდა მისი წარმოთქმა. ეს პატარა და ერთი შეხედვით უწყინარი სიტყვა იმდენ წინააღმდეგობასა და უბედურებას იტევდა, იმდენ საზარელ ჩვენებას მოითრევდა თან, მედეა გრძნობდა, როგორ ეხუთებოდა სული, როგორ ეცლებოდა ძალა და როგორ ითქვიფებოდა ჰაერში, ჰაერივით მსუბუქი და უსხეულო. ამიტომ ამ სიტყვის თქმაცა და დანაშაულის შეგრძნებაც ერთი იყო, თითქოს თუ მართლა გიყვარდა, დანაშაულიც უნდა ჩაგედინა, თუკი გინდოდა, შენი სიყვარული გამოგეხატა და დაგემტკიცებინა კიდევ.

"შენც ასე იყავი, შენ რა დანაშაული ჩაიდინეო", - უნდოდა ეკითხა დისთვის მედეას, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, პირი რომ გააღო, ისეთი რამე თქვა, თვითონაც გაოცდა, მაგრამ აღლომ უკარნახა, ასე სჯობს, რადგან ეს აირჩიე, ბოლომდე ჩაყვიო. მედეაც ბოლომდე ჩაყვა.

- შენი შვილების ბედი მაშინებს და მატირებს, დაო, - თქვა მედეამ.

დანაშაულისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ერთი ნაბიჯი სიარულს არ ნიშნავს; პირველს მეორე უნდა მოჰყოლოდა, მეორეს მესამე და ასე შემდეგ, რათა მედეასაც ესწავლა და შეძლებოდა დამოუკიდებლად სიარული იმ იდუმალსა და თავბრუდამხვევ მინდორზე, სიყვარულს რომ ემახიან.

- შენი შვილების ბედი მაწუხებს, დაო, - გააგრძელა მედეამ, - ისინი ხომ ჩემი ძმები არიან. რამდენჯერ უთქვამს დედას, შენი ნამდვილი დედა ქარისააო.

და აი, უკვე გაჩნდა სივრცე აბაჯბაჯებულ ბავშვსა და ჩაცუცქულ, ხელებგაშვერილ მშობლებს შორის, შიშნარევი აღტაცებით რომ აყოლებენ თავს თავიანთ პირმშოს.

მედეას ახლა მხოლოდ მომხრე და გამმართლებელი სჭირდებოდა. მას უნდოდა თავისი გულისწადილი, რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში მაინც აჰყვებოდა, სხვა, გარეშე



ვალდებულებითაც განემტკიცებინა, იძულებად ექცია სურვილი და აი, თავისი ფეხით ეახლა ისიც: იძულება! განა შეიძლება სათხოვარზე მოსული დის გაწბილება? არაფრის გულისთვის, თანაც თუ ის და უფროსია და დედის მაგიერიც, მისი ძუძუთი ხარ გაზრდილი და, ის რომ არ ყოფილიყო, ადვილი შესაძლებელია, არც შენ ყოფილიყავი და არასოდეს განგეცადა ეს ღვინოსავით მათრობელა და სიმთვრალესავით თამამი გრძნობა.

- სიკვდილი მინდა, დაო, სიკვდილი! - შეჰღმუვლა დას მედეამ.

მედეას ნათქვამითა და საქციელით უარესად გულგახეთქილი ქარისა დას მუხლებზე მოეხვია, თავი მუცელზე მიადო და ასლუკუნდა. მედეამ უკვე იცოდა, რას ეტყოდა ქარისა, ის უმალ მამას გაწირავდა, ვიდრე შვილებს და ასე იმიტომ კი არ მოიქცეოდა, შვილები რომ ერჩივნა მამას, არამედ შვილები უფრო სჭირდებოდა ახლა, ერჩივნა, სხვათა თვალში შვილების მფარველად გამოსულიყო, ვიდრე უმწეო და უოჯახო ქალად, ისევე მამის საპატრონებელი რომ გამხდარა. მედეას ლოყები გაუწითლდა, სირცხვილის გრძნობამ შეაწუხა, რადგან იცოდა, თვითონაც აიძულებდა დას ეღალატა მამისათვის, თვითონაც ავალდებულებდა, ვიღაც უცხოელის გადასარჩენად შემწეობა ეთხოვნა. "მეც შვილებს ვტირი, დაო, ჩემო ოქროსთმიანო, ჩემო გონიერო", - სლუკუნებდა ქარისა და მედეას მუცელზე კოცნიდა. მერე თავი წამოსწია, ჩამოყრილი თმა თავის ერთი აქნევით უკანვე გადაიყარა და ისეთი თვალებით შეხედა მედეას, მედეას ცოტა შეეშინდა კიდეც, ამან შეიძლება კაციც მოკლასო.

დიდხანს უყურეს დებმა ერთმანეთს თვალებში, თითქოს ახლახან გაეცნოთ ერთმანეთი და ვერაფრით დაემლიათ უცხოობისა და უნდობლობის გრძნობა, რაც ყველა ადამიანს დედის მუცლიდან დაჰყვება ხოლმე. ქარისა კი სულ ტყუილად წვალობდა, მედეამ უკვე იცოდა მისი სათქმელი და თანაც ამ სათქმელს გულისფანცქალით მოელოდა, რათა დის პირიდან ამოსული სიტყვა კანონად გაეხადა და ამ კანონისათვის ამოეფარებინა თავისი ვნება და საწადელი.

- დაიმახსოვრე, ცხადშიც და ძილშიც... - ბუტბუტებდა ქარისა.

"რას ამბობო", - ჩაეკითხა მედეა.

- არც მკვდარი მოგასვენებ, არც მკვდარი დაგიჯერებ, რომ არ შეგეძლო ჩემი და ჩემი შვილების გადარჩენა. - თქვა ქარისამ.

მედეა შეწუხდა, მუხლებზე წამომჯდარი ისე აწრიალდა, თითქოს აფრენა უნდოდა და ვერ ახერხებდა. მედეას უკვირდა და თავის თავზე ბრაზობდა, რადგან გრძნობდა, მისი დისშვილები, იგივე ძმები, ადრე სიცოცხლესაც დაუფიქრებლად რომ ანაცვალებდა, ახლა სადღაც, გულს გარეთ დარჩენილიყვნენ და მათი ბედი ამ წუთას სრულებითაც არ აღელვებდა. სიბრალულის მთელი მარაგი, რაც მის არსებას შეეძლო გაეღო - თვითონვე სჭირდებოდა. ამ სიბრალულს ვერავის გაუყოფდა, მით უფრო ოთხ ვაჟკაცს, საითაც მოეპრიანებოდათ, იქით რომ გაუტევდნენ, ქარებივით. "მე ვიკითხო, მეო", - მოთქვამდა გულში მედეა.

- წვიმს, - თქვა უცებ.

ქარისამ გაცემულმა ამოხედა დას, მაგრამ მაშინვე თვითონაც გაიგონა წვიმის შრიალი. წვიმამ სარკმელში ცხელი ჰაერი შემოდენა. ოთახი ჩაიხუთა. ორივემ წვიმას მიუგდო ყური. მედეამ დაინახა, როგორ მიდიოდა ჭალაში გაწუწული უცხოელი, ფარი ორივე ხელით თავზე დაეფარებინა. მედეას გაელიმა და უთხრა, როგორ გაწუწულხარო.

- ჰა! - გამოერკვა ქარისა ფიქრისაგან.

- როგორ გაწუწულხარ, - გაიმეორა მედეამ.

ქარისამ მედეას კაბის კალთა ნამტირალევ თვალებში ამოისვა და ფრიქსე დაინახა. ფრიქსე სახლისკენ მორბოდა, აქეთ-იქით ორ-ორი ბავშვი ამოეღლიავებინა. ბავშვები ფეხებს იქნევდნენ და სიხარულისაგან კიოდნენ. ქარისასაც გაელიმა, სევდიანად, სინანულით.

ამბობენ, თუ ძალიან მოინდომებ რამეს, აგისრულდებაო. ეს ერთდროულად არის და არც არის მართალი. არ არის იმიტომ, რომ არც ერთი სურვილი, ყველაზე ძლიერიც კი, თავისით არ ასრულდება. ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. ხოლო მართალია იმდენად, რამდენადაც ადამიანის არსება მთლიანად მოექცევა ხოლმე ამ სურვილის გავლენისა და ზემოქმედების სფეროში და რასაც მერე აკეთებს, ყველაფერი სურვილის კარნახის, უფრო სწორედ, ბრძანების კეთილსინდისიერი აღსრულებაა. ეს სურვილი აიძულებს ადამიანს, გააკეთოს მხოლოდ ის, რაც მის აღსასრულებლადაა საჭირო, რასაც ამ სურვილის გარეშე არასოდეს არ გააკეთებდა. ის აიძულებს აგრეთვე, აღმოაჩინოს თავის არსებაში საჭირო ძალაც, სიმტკიცეც და სითამამეც და, თუკი აუცილებლობა მოითხოვს, თვალთმაქცობის უნარიც, უტიფრობაც და უსინდისობაც კი. აი, ასეთი ყოვლისშემძლეა სურვილი, თუკი წინააღმდეგობას არ გავუწევთ, რაც თავისთავად უკვე საკმაოდ დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული, რადგან ყოველგვარი სურვილი თანაბრად მომხიბვლელია და მომთხოვნი.

დებიც ახლა სურვილის ტყვეობაში იყვნენ, ორივენი თვალთმაქცობდნენ და ორივენი მართლები იყვნენ საკუთარ თავთან.

მედეა რომ შეეყვარებული იყო, ქარისას დის ოთახში შემოსვლისთანავე უგრძნო ტანმა. ამ აღმოჩენამ ისე ააფორიაქა, თითქოს მას ეცილებოდნენ რაღაცაში, რაც მხოლოდ მას ეკუთვნოდა და რასაც დისთვისაც ვერ გაიმეტებდა. წვიმის ხმამ ისევ გაახსენა წელანდელი შემფოთება. "რა სულელი ვარ, - გაიფიქრა, - თუ ეს მართალია, მედეას ჩემი თხოვნა რაღად უნდაო". ქარისა წამოდგა, ოთახში წინ და უკან უაზროდ გაიარა, მერე ისევ ჩამოუჯდა დას საწოლზე და თანამზრახველივით ყურში ჩასჩურჩულა: უცხოელს უთქვამს, თუ გვიშველის, მხოლოდ მედეა გვიშველისო. მედეა ყურებამდე გაწითლდა და უნებურად ხელები სახეზე აიფარა. ყველაფერს ელოდა, ამას კი არა. დამ მოულოდნელობით აჯობა. ქარისა გულში ზეიმობდა, ალლომ არ უმტყუნა, ახლა კი საჭირო იყო, თავი ისე დაეჭირა, ვითომ ვერაფერს ხვდებოდა, რათა დისთვისაც დაეტოვებინა თვალთმაქცობის საშუალება.

- ისიც უთქვამს, ჩემგანაც სთხოვეთო, - წაიჩურჩულა ქარისამ.

- სხვისი თხოვნა რად მინდა, - უნებურად ჩურჩულითვე უპასუხა მედეამ. მერე წარბები შეწკიპა, ვითომ დის ნათქვამი იწყინა და ჩვეულებრივ ხმით გააგრძელა: - განა შენი თხოვნა საკმარისი არ არის, წყალში რომ გადავვარდე, ცეცხლში რომ ჩავდგე, მიწა რომ ვჭამო? არა, ქარისა, შენი და შენი შვილების სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერი გამაჩნია. ის უცხოელი კი დამშვიდებული ბრძანდებოდეს, ოღონდ მალე მოგვმორდეს და მოგვასვენოსო.

ქარისა დის ოთახიდან ფრთებშესხმული გამოვიდა, მის შვილებს არავითარი საფრთხე აღარ მოელოდათ, რადგან მედეა თავს არ დაზოგავდა თავისი სიყვარულის გადასარჩენად. ეს ქარისაზე კარგად არავინ იცოდა. მედეას ჯადო-წამლების წინაშე აიეტიც კი ალუა ბავშვივით უმწეო და უსუსური იყო. რაც მთავარია, ახლა მასაც მიესვლებოდა იმ ხუთეულთან, იმ ეკლიან გორგალთან, ამდენი ხანი მისგან თავის დაღწევას რომ ცდილობდა, მაგრამ ცდებოდა, რადგან ღირსეულად ვერ აფასებდა ქარისას, არ სჯეროდა ქარისასი, არ ენდობოდა. ახლა ქარისასაც ემოვნა რაღაც, საერთო სალაროში ჩასადები. ქარისა ძველებურად ბედნიერი იყო!

მან სიტყვასიტყვით ჩაუკაკლა ყველაფერი შვილებს, მოუთმენლად რომ ელოდებოდნენ დედის დაბრუნებას და მართლაც დამწყვდეული მგლებივით აწყვდებოდნენ კედლებს. როცა შვილების თვალებში აღტაცება და მადლიერება დაინახა, ქარისა ამაყად გაიშალა ბეჭებში. თუმცა წვიმას ჯერ კიდევ არ გადაეღო, არგუსი მაშინვე დაუშრეტელი მდინარისაკენ გაქანდა. ძმებს კი დაავალა, თვალი ედევნებინათ მედეასთვის, რადგან ადვილად შეიძლებოდა, "სულელ გოგოს" გადაეფიქრებინა თავისი გადაწყვეტილება და უკანასკნელ წუთს ისევ მრისხანე მამის მხარი დაეჭირა. "მაგის დარდი ნუ გაქვთო", - ეუბნებოდა ქარისა. მაგრამ ისინი კაცები იყვნენ და ქალებისა არაფერი გაეგებოდათ.

მწარე ღამე იყო ის ღამე მედეასთვის. არც კი გაუგია, თანდათან როგორ ჩაწყნარდა სასახლე, როგორ აჭიატდნენ ცაზე ვარსკვლავები, როდის შეწყვიტეს ძაღლებმა ყევა და როდის ჩაეძინა ქვეყანას, წყალსაც და შვილმკვდარ დედასაც. მხოლოდ მედეას არ ეძინა, ან რა დაამინებდა, როცა ეს ბნელი, ჩახუთული და ყოვლისმომცველი ღამე უკანასკნელი ღამე იყო ბედნიერი, ლამაზი და მშვიდი სიქალწულისა. ხვალიდან ახალი ცხოვრება დაიწყებოდა. გარიჟრაჟზე გრუხუნით გაიღებოდა რკინის უზარმაზარი კარი და უჩინარი, ტლანქი, ღონიერი ხელი ამ პატარა გოგოს გაურკვევლობის ღრიჭოში შეითრევდა. ღმერთმა იცის, რა დახვდებოდა კარს იქით. ერთი კი ცხადია, უკან ვერასოდეს ვეღარ შემოადგამდა ფეხს. უკან დასაბრუნებელი გზა სამუდამოდ უნდა დაევიწყა, დაწყველილსა და შეჩვენებულს, მშობლების მოლაღატეს, იმ მშობლებისა, ბარტყივით ხელის გულზე რომ გაეზარდათ. მერე ვისი გულისთვის? ვიღაც უცხოელის გულისთვის, რომელსაც არც კი დალაპარაკებია, რომელიც თავისას მიიღებდა და გზას არხეინად გაუდგებოდა, რადგან ელოდებოდნენ, გზა ჰქონდა, ჭერი და კერია. მედეას კი ხვალიდან აღარაფერი ექნებოდა, სიყვარულის მეტი, გაუმხელელი, გაუზიარებელი, გაუმართლებელი სიყვარულის მეტი. მართალია, მედეას დაუხმარებლად ის უცხოელი მოკვდებოდა, მაგრამ რა მისი ბრალი იყო, ან რა მისი საქმე. მამამ ხომ უკეთესად იცოდა დასარჩენიცა და არდასარჩენიც. ეს ხომ კაცებს უნდა გაერკვიათ და თვითონ რატომ იტანჯებოდა? იმიტომ, რომ უყვარდა, თავს ერჩია. მშობლები არ უყვარდა? მშობლებიც, მშობლებიც, მაგრამ ის სხვა იყო... იმას საფრთხე ელოდა!

ვინ იცის, როგორ გამოცდას მოუწყობდა აიეტი უცხოელს. ალბათ, თავის მურემა ხარებთან შეაბრძოლებდა, ბნელ გამოქვაბულში დამწყვდეულებს გარედან მუგუზლებს რომ ჩრიდნენ ნესტოებში; სიგიჟით ისედაც თვალებაჭრილ ხარებს ადამიანი დასანახად შესჯავრებოდათ და, თუკი შემთხვევა მიეცემოდათ, დაგლეჯდნენ, გათელავდნენ, დაჩეჩქავდნენ. მედეამ ხარის რქებზე წამოგებული უცხოელი დაინახა. მრისხანე იყო მამამისი. უზომო იცოდა ყველაფერი, განკითხვაცა და დასჯაც, მაგრამ ასე თუ ისე, მაინც შეიძლებოდა მისი რისხვის აცილება. თანაც, ის არ იყო ერთადერთი საფრთხე, რომელიც უცხოელს ელოდა. როგორც კი თვალი მოჰკრა მედეამ სასახლის ეზოში მომავალ უცხოელს, მაშინვე იგრძნო და გააოგნა იმ განსაცდელის სიდიადემ, ამ მომხიბვლელ ჭაბუკს რომ ასდევნებოდა, თუმცა უცხოელს ამაყად ეჭირა თავი და უდარდელი ღიმილი გადაჰფენოდა სახეზე. მედეამ არა მარტო იგრძნო, არამედ დაინახა კიდეც, ბეწვზე რომ ეკიდა მისი სიცოცხლე. მისი ბედისწერის ძაფი ვიღაცას, შემზარავად ძლიერსა და დაუნდობელს ეჭირა ხელში და შეედლო ყოველწუთას გაეწყვიტა. მედეამ იმ უხილავის ვეებერთელა ჩრდილიც დაინახა - თავზე წამოსდგომოდა მოღიმარ უცხოელს. საფრთხე, რომელიც მამამისისაგან, სიმკაცრით სახელგანთქმული აიეტისაგან შეიძლებოდა დამუქრებოდა იმას, მოგონილი იყო იმ გაურკვეველ და გარდაუვალ საფრთხესთან შედარებით, რომელსაც ეს მხარბეჭიანი და გულადი ყმაწვილი გამოქცეოდა. დიახ, გამოქცეოდა. რადგან მის სახეში მართლა იყო რაღაც ლტოლვილისა, უპოვარისა, გამწარებული, ხელმოცარული და იმედის ანაბარა დარჩენილი კაცისა. შეიძლებოდა მედეას ეჩვენებოდა, შეიძლება ასეთი გრძნობა სწორედ იმ უდარდელმა ღიმილმა გაუჩინა, ასე რომ უხდებოდა უცხოელს, მაგრამ ერთი ცხადია, იგი ბეწვის ხიდზე მოაბიჯებდა. მედეას იმის მერე არ გაქრობია ავი წინათგრძნობა და ამიტომაც იყო, ერთი გზობა კიდეც რომ გადაწყვიტა, მამას ფეხებში ჩავარდნოდა და უცხოელის დაცვა ეთხოვნა; თავისთან დაეტოვებინა, არ გაეშვა, რადგან აქ, მამის სასახლეში, შეიძლება, მართლაც გადარჩენოდა იმ მთავარ განსაცდელს, სადღაც, ცხრა ზღვის იქით რომ განეზრახა მისთვის ვიღაცას.

რას არ ფიქრობდა საწყალი გოგო. ეგონა, ამდენი ფიქრისაგან თავი უშნოდ და უსასრულოდ ეზრდებოდა. ახლა ამან შეაშფოთა, ისედაც ზედ არ მიყურებს და ახლა ასე თავგასიებული როგორ დავენახვოო. მოკვდება და მოკვდეს, მეც თავს მოვიკლავ და ეგ იქნებაო. "ასე სჯობს, რა თქმა უნდა, ასე სჯობს", - ხელზე იხვევდა ამ ფიქრს მედეა, ხელზე არა, კისერზე და ჩაბნელებულ ოთახში ბრმასავით დაბორიალობდა, კედლებს ეხლებოდა, თითქოს ამ ოთახში შემთხვევით შემოფრენილი ჩიტი იყო და გასასვლელს ვედარ პოულობდა.

ახლა ქალების ქილიკაობა და სიცილი შემოესმა. სისხლი გაეყინა. კედელს აეკრა, თითქოს უნდოდა კირივით შეგლეხვოდა და სამუდამოდ ზედ შერჩენოდა. ქალები მედეას დასცინოდნენ: ვერ უყურებთ, ეს თავდახრილი გოგო სინამდვილეში რა გულშმაგი ყოფილაო. ერთ ოყლაყს მამაც ანაცვალა და ქვეყანაცო. რა გაუჭირდა საამისო, აფსუს ჩვენო კაცებოო. და ათას ამგვარ სისულელესა და სიბილწეს ამბობდნენ ქალები, სინამდვილეში მკვდრებივით რომ ეძინათ და მედეა სულაც არ ახსოვდათ. მათ მაგივრად მედეა ფიქრობდა და ლაპარაკობდა ასე. "შვილო, ცოტა მაცალე, მე თვითონ გაგათხოვებო", - ახლა მამამ შემოანათა სევდაჩამდგარი თვალები. ოოოი, ამოიგმინა მედეამ. არავის არ ესმოდა მისი, არავის არ უნდოდა გაგება.

"სიკვდილი მინდა, სიკვდილი!" - იყვირა მედეამ და წამლების ყუთს ეცა, საწოლზე ჩამოჯდა და ყუთი მუხლებზე დაიდო. ყუთმა სიზმარი გაახსენა და გველნაცემივით წამოხტა, ძვლებს ხომ არ დავაჯექიო. დიდხანს დასცქეროდა საწოლს, რომელსაც მთვარის ოქროსფერი, ბრჭყვიალა შუქი ბუსუსაშლილი საბანივით გადაჰფარვოდა. მედეამ საწოლს ხელი ფრთხილად გადაუსვა და სიცოცხლე მოუნდა, ასე რომ სტანჯავდა და აწვალებდა, აფრთხოვდა და აბნევდა, რადგან აქამდე მუშტად შეკრულ კვირტსა შლიდა და ამ პატარა ოთახში უკვე ვეღარ ეტეოდა. აქ აღარ იყო მისი ადგილი. მედეამ ეს არ იცოდა და ამიტომ იტანჯებოდა ასე. სიცოცხლე კი მხოლოდ ერთი საფეხურით ინაცვლებდა მალლა და მედეასაც თან მიითრევდა, რადგან ის მედეას კუთვნილი სიცოცხლე იყო და უიმედოდ ბიჯსაც არ მოიცვლიდა. მედეამ არც ეს იცოდა, მაგრამ მაინც მიყვებოდა, რადგან სხვანაირად არ შეეძლო, არც უფლება ჰქონდა, არ გაჰყოლოდა ამ ღონიერ ხელს, მის პატარა სხეულს ტკივილითა და ნეტარებით თანაბრად რომ ავსებდა.

ინათა თუ არა, მედეამ უკვე იცოდა, უცხოელს უშველიდა და თუ უცხოელი ხელს დაუქნევდა, ძალღივით გაეკიდებოდა კიდევ.

უპირველეს ყოვლისა, მედეამ პირსაბან ჯამში ჩაიხედა, მართლა ხომ არ გამზრდია თავიო. თავი არ გაზრდოდა, მაგრამ ჯამიდან თმაგაჩეჩილმა, თვალბუმეშუპებულმა და სახეგაცრეცილმა გოგომ ამოხედა. მედეამ თითი ჩაჰკრა ჯამში და როცა ცივმა წყალმა დამსხვრეულ მინასავით დაიწვრიალა, ესიამოვნა და გაიღიმა. "დღეს ლამაზი უნდა ვიყო", - გაიფიქრა და ახლა ორივე პეშვით ამოიღო ჯამიდან წყალი. პირის ბანას რომ მორჩა, გაშიშვლდა და მთელი ტანი ვარდის ზეთით დაიზილა, იღლიები სურნელოვანი წყლით გამოიბანა და კეფაზე გაკრული თმა ჩამოიშალა. გრილი, მსუბუქი თმა შიშველ მხრებზე ჩამოედვარა. მედეა უნებურად შეკრთა. საკუთარი თმაც ეუცხოვა. გარეთ ჩიტები აჟივჟივდნენ. სადღაც, ქალაქის მეორე ბოლოში მამალმა დაიყვილა და მედეას უცებ შერცხვა, ასე ტიტველი რომ იდგა სარკის წინ, თითქოს მთელი ქვეყანა მას უყურებდა. მამალმა ისევ დაიყვილა, გაბმულად, ხრინწიანად.

მედეამ ოქროს ბალთებით გაწყობილი ფირუზისფერი კაბა გადაიცვა. ოთახი დილის ხმებით გაივსო, ცეცხლისა და წყალმოკპურებული ფილაქნის სუნი დატრიალდა. "მე უკვე მზადა ვარო", - გაიფიქრა მედეამ და ქვეყანა დაინახა, ქარისას ქვეყანა, გარეთ რომ იტყუებდა, ამ პატარა ოთახს სამუდამოდ რომ აკარგვინებდა და სანაცვლოდ არაფერს პირდებოდა, რადგან იქ ყველაფერი თვითონ უნდა მოეპოვებინა. მედეასაც ეს აშინებდა სწორედ და ახლა ოქროსვარაყიან სარკეში საკუთარი სახის ნაცვლად იმას ხედავდა, რაც კედელს იქით ხდებოდა, ქალწულის სენაკს გარეთ. მონა ქალები გრძელტარიანი ცოცხებით სასახლის ეზოს გვიდნენ. ცოცხის ყოველ მოსმაზე მკვეთრად ინაკვთებოდა მათი ღონიერი თემოები, თეთრად ელავდა წვივები, როცა ფილაქნებს შორის ამოპარული ბალახის ამოსაწიწკნად იხრებოდნენ. მათ ყოველ მოძრაობაში, დაბანილ სახეებსა და სადად გადავარცხნილ თმაშიც ჯერ კიდევ გამოსჭვიოდა მიტოვებული საწოლის სითბო და საიდუმლო, რაც უფრო ხელშესახებს, ახლობელსა და სასიამოვნოს ხდიდა დილის სისუფთავესა და სიმყუდროვეს.

თონეში ტკაცატკუცით იწვოდა ფიჩხი და მის ამომვერილ ბოლოებს წითელი და წვრილი ნაყოფივით შესეოდა ნაპერწკალი. ხაბაზებს ტილოგადაფარებული ვარცლი მოჰქონდათ,

თითქოს შიგ ვიღაცას ეძინა და მართლაც ცოცხალივით სუნთქავდა სურნელოვანი ცომი ტილოს ქვეშ.

თორმეტი მხევალი ხელით აჭმევდა შვრიას მედეას ეტლში შებმულ ჯორებს. ახლა მხოლოდ ეს ეტლი აკავშირებდა მედეას ძველ ქვეყანასთან. ამ ჯორებმა სხვა გზა არც იცოდნენ. საკმარისი იყო მედეა შემდგარიყო ეტლზე, ერთ ხელში სადავე დაეჭირა, მეორეში მათრახი და ჯორებიც მაშინვე დარიაჩანგის ბალისკენ დაადებდნენ თავს. დღესაც ასე მოხდებოდა. მედეამ რატომღაც იქ დაუნიშნა უცხოელს პაემანი, თავისი ღვთაების სამფლობელოში, მამიდა ყამარის დანატოვარ ქვეყანაში. შეიძლება, ეს უკანასკნელი, თავგანწირული გაბრძოლება იყო ქალწული სულისა, უკვე რომ გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეს, უკვე რომ მზად იყო ამ საფრთხესთან შესახვედრად, მაგრამ მაინც ეძებდა უკანდასახევ გზას, არა იმიტომ, საფრთხისთვის აერიდებინა თავი, არამედ საბოლოოდ, ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო მის ძალასა და გარდუვალობაში. "თუ ჩემი ღვთაება უფრო ძლიერია, დაე, ადგილზე გამათავოს. თუ მამიდა ყამარს მართლა შეუძლია გაცოცხლება, ახლა უნდა გაცოცხლდეს. მე უმწეო ვარო", - ფიქრობდა მედეა, როცა ახლად აკოკრებულ ძუძუებზე გადაჭიმულ სარტყელში "ამირანის მალამოს" იდებდა. ვინც ამ წამლით სხეულს დაიხედა, ვერც ცეცხლი დასწვავდა და ვერც მახვილი განგმირავდა, ღონეც შეემატებოდა და მამაცობაც, მაგრამ მხოლოდ ერთი დღით, ერთი დღის მერე წამალი ძალას კარგავდა. მედეასაც ამ ერთ დღეს სთხოვდნენ მხოლოდ, ერთ დღეში უნდა მოესწრო ღალატიცა და სიყვარულიც, რადგან ხვალინდელი დღე აღარ არსებობდა. ამ ერთი დღისთვის გავჩენილვარო, ფიქრობდა იგი და ძალიან აინტერესებდა, დაუთმობდნენ თუ არა ამ ერთ დღეს ღვთაებები და მამიდა ყამარი. მუხლებამდე კაბააწეული თორმეტი მხევალი თავდახრილი მისდევდა ეტლს.

უსაშველოდ გაიწელა მოლოდინის წუთები. გოგოებმა უკვე ყველაფერი იცოდნენ. უკვე კენჭიც ეყარათ, ვინ დარჩებოდა ამაღამ ტაძარში, ვის მაგივრად შეჰყვებოდა ჯორებშებმულ ეტლს აიეტის სასახლეში ქალადგადაცმული უცხოელი. "ჩვენ ქალები ვართ და ყოველთვის სუსტის მხარეზე უნდა ვიყოთო", - უთხრა მედეამ. დრო კი იწელებოდა. ფეხს ითრევდა, დღის სინათლეზე თავის მოსაკვეთად გამოყვანილ ტუსალივით ყველაფერს ებლაუჭებოდა. მაგრამ მაინც წინ მიიწევდა, მოედნისკენ, სადაც უნდა აღსრულებულიყო განაჩენი. მოედნამდე უჭირდა მისვლა, რადგან იქამდე კიდევ ჰქონდა რაღაცის იმედი, მერე კი, კუნძს რომ დაინახავდა, სასერიოდ გამოსული ხალხის ღრიალს რომ გაიგონებდა, თვითონვე აჩქარდებოდა, თავის ფეხით მიირბენდა კუნძთან და მავედრებელი თვალებით ამოხედავდა ჯალათს, დროზე მოუღე ბოლო ჩემს უაზრო ტანჯვა-წამებასო.

ცამეტმა გოგომ ერთდროულად დაინახა მათკენ მომავალი უცხოელი. ოქროსფერი, მოძრავი თმა თასმით შეეკავებინა თავზე, მოკლე, თეთრი ტუნიკი ეცვა და ვერცხლისფერთასმებიანი სანდლები. თეძოზე ფართოპირიანი მახვილი ეკიდა. მღელვარებისგან ფერი დაჰკარგვოდა, მაგრამ მაინც იღიმებოდა, თუმცა თვითონ ჯერ ვერავის ხედავდა. მედეას კი უკვე დაენახა თავისი კუნძი და ხალხის ღრიალიც გაეგო. ისღა მოახერხა, მხევლებისთვის ხელით ენიშნებინა, მოშორებით იყავითო. ერთი პირობა მხედველობაც წაერთვა, ხომ არ მომელანდაო, გაიფიქრა და უკან მოიხედა, საიდანაც ბედისწერას მოეთრია აქ. ნაბიჯების ხმა ჯიუტად ახლოვდებოდა. მედეა მარტო იდგა მოედანზე. ყველა მისკენ იშვერდა ხელს, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ და

მედეას ვერ გაეგო, იცოდებდნენ თუ წყევლიდნენ. არც ღვთაება ჩანდა, არც მამიდა ყამარი. თვალისმომჭრელად ჩახჩახებდა მზე. "რატომ? რისი გულისთვისო?" - ერთხელ კიდევ გაიფიქრა მედეამ და როცა თვალეში ჩამდგარი ბინდი თანდათან გაეცრიცა, უცხოელი უკვე მის წინ იდგა. დიდხანს შესცქეროდნენ ერთმანეთს. ხმელი წკირი თუ გაუტყდებოდა ფეხქვეშ ბუჩქებსამოფარებულ მხეველს, ანდა ხელიდან მოულოდნელად დასხლეტილი ტოტი თუ გაიშხუვლებდა ჰაერში, ისე კი, თითქოს მთელი ქვეყანა დამუნჯებულიყო.

- ნუ გეშინია. - თქვა ბოლოს უცხოელმა და პირველად მაშინ იგრძნო მედეამ, რა იყო შიში.

შიშს უწამწამო თვალეები ჰქონდა, უკბილო პირი და ნიკაპზე დორბლი ჩამოსდიოდა. მედეას მკერდში ჩაუყო ხელი და ისე მწარედ მოუჭირა მარცხენა ძუძუზე, ტკივილისაგან მთელი ზურგი უცებ გაეოფლა. "ხმა, კრინტი!" - გააფრთხილა შიშმა მედეა და ისე გადმოიხარა მისკენ, თითქოს კოცნას უპირებსო. მედეამ ვერ გაბედა მოერიდებინა სახე, მაგრამ შიშმა კი არ აკოცა, დორბლიანი ნიკაპი შეახოცა ტუჩებზე. მედეამ ვერც პირის მოწმენდა გაბედა და უაზროდ გაიფიქრა: რისი უნდა მეშინოდესო.

უცხოელი კი ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა და როდის-როდის მისწვდა მედეას სმენას მისი ხაოიანი ხმა. ხმაც ისევე ჯიუტად ცდილობდა მედეას გონებაში შეღწევას, როგორც მედეას ფეხებთან ზურგზე დაცემული ხოჭო ცდილობდა გადმობრუნებას და გამხმარ, ბუსუსებიან ფეხებს უმწეოდ ასავსავებდა ჰაერში. მედეა ხოჭოს უყურებდა და უცხოელის ხმა ესმოდა. ხმა აბრუებდა სწორედ, როგორც გველს შელოცვა და ამიტომაც ვერ ეშველა ხოჭოსთვის. არადა, თითის წაკვრა უნდოდა მხოლოდ. "ჯოხი მაინც მქონდესო", - ისევ უაზროდ გაიფიქრა მედეამ და ახლა ჯოხს დაუწყო ძებნა თვალით. "მერე კი წავა, საითაც უნდა". - მედეა უცებ დაიხარა და ხოჭო გადააბრუნა. მწერი დაფეთებული გაექცა ადამიანის ხელს. "ცოლები და დედები... ზღვის ნაპირას დამხობილან... უკვე დაგვტირიან..." - ამბობდა უცხოელი და მედეაც უნებურად, მოწაფესავით იმეორებდა: "ცოლები" ... "დაგვტირიან" - თითქოს პირველად ესმოდა ეს სიტყვები და მათი მნიშვნელობის არაფერი გაეგებოდა, მაგრამ თუ ვერ გაიგებდა, ვერც თავს დააღწევდა ამ უცნაურ გარინდებას.

- სიკვდილამდე მადლობელი ვიქნები შენი, - თქვა უცხოელმა და გაჩუმდა.

შეწყდა თუ არა ხმა, მედეაც მაშინვე გამოერკვა. თამამად გაუსწორა უცხოელს თვალი და გაუღიმა. აღარ რცხვენოდა, რადგან მოვალეობა, რომლის აღსრულებასაც ის უკვე მტკიცედ აპირებდა, არ იწვევდა სირცხვილის გრძნობას. ის განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანს ეხმარებოდა.

- მერე კი წადი, საითაც გულმა გაგიწიოს, - თქვა მედეამ და რატომღაც ისევ ხოჭო მოელანდა, დაფეთებული რომ გარბოდა ბალახებში.

მედეამ უცხოელის მძიმე და ცხელი მარჯვენა ორივე ხელით აიღო და გააგრძელა: მომიყვი, როგორია ის ქალწული, შენ რომ გელოდებო. მედეას თვითონვე გაუკვირდა, ისე მშვიდად და თავისუფლად უთხრა ეს უცხოელს, როგორც სტუმრად მოსულ ბავშვს ჰკითხავენ ხოლმე რაღაცას, უმნიშვნელოს, სხვათა შორის, უფრო თავისუფლად რომ იგრძნოს თავი და გაშინაურდეს.

- ძვირფასო, - გაუბედავად თქვა უცხოელმა, რადგან უცებ იგრძნო, ქალს უყვარდა, არა, უფრო სწორედ, მერე იგრძნო, როცა უკვე ნათქვამი ჰქონდა ეს სიტყვა, ამიტომაც ცოტა ხნის მერე უფრო თამამად გაიმეორა - ძვირფასო, და მედეას ორივე ხელი პეშვში მოიმწყვდია.

ზღვიდან ცივმა ნიავმა დაუბერა. ბუჩქებს ამოფარებული მხევლები აეფორიაქებინა განმარტოებული ქალ-ვაჟის ცქერას, შეიძლება იმიტომაც, შეფარვით რომ უცქერდნენ. ასე იყო თუ ისე, წასვლის დრო ახლოვდებოდა. ტაძრიდან რომ კაბაგადაცმული უცხოელი გამოვიდა, გოგოებმა თავი ველარ შეიკავეს და ჟივილ-ხივილით გამოცვივდნენ საფარიდან. დარცხვენილი და დაბნეული უცხოელი უაზროდ შლიდა ხელებს და ილიმებოდა. კაბიანმა მამაკაცმა გოგოებს მორიდების გრძნობა გაუქრო, თითქოს, რადგან კაბა ეცვა, მათიანი გამხდარიყო, მათი ბანაკისა. ჩიკორივით აზზრიალებდნენ, აქეთ-იქით ექაჩებოდნენ, კაბა ცოტა ჩამოიწიე, კანჭები გიჩანსო. ყყაჩოსავით სახეაბრიალებული უცხოელიც ხელებს შლიდა, ტრიალებდა, ილიმებოდა და... ითმენდა.

\* \* \*

მედეა რომ მამასთან შევიდა, აიეტი ტახტზე იჯდა, იატაკს დაშტერებოდა და მოღელილ გულმკერდს უნდილად იფხანდა. ამ ბოლო დროს აიეტი ხშირად იჯდა ხოლმე ასე გვიანობამდე, ავი წინათგრძნობა აწუხებდა და ის უფრო უკარგავდა მოსვენებას, ყველაფერში თვითონვე რომ გამოდიოდა დამნაშავე. "როგორ მეკრა ხელი ობოლი ბიჭისთვის, ქვეყანა მოსაკლავად რომ დასდევნებოდაო", - წუხდა აიეტი. ახლა ის ყველაზე ბევრს ფრიქსეზე ფიქრობდა. უფრო სწორედ, რაზედაც არ უნდა ეფიქრა, ბოლობოლო ფრიქსეს მიადგებოდა და ესმოდა კიდეც, ქარის ყოველ წამოქროლვაზე როგორ ავად ჩხრიალებდნენ მისი სიძის ძვლები. "რას მემართლები, რას მედავები, რას მემუქრებიო", - უღრენდა აიეტი ფრიქსეს აჩრდილს. აჩრდილი აზუზული იდგა კართან, გალახული ძალივით დასევდიანებული, მადლიერი, და მართლა ძალივით გაიძურწებოდა ხოლმე აიეტის შეღრენაზე, რათა ცოტა ხნის შემდეგ ისევ მობრუნებულიყო უკან. ასეთი ახსოვდა აიეტს ფრიქსე, უწყინარი და მადლიერი. პირველად რომ მოიყვანეს სასახლეში, გამოიქცა და ხელზე აკოცა. აიეტს გული აუჩუყდა. ბავშვის ტუჩების შეხებამ მთელს სხეულში ჟრუანტელად დაუარა და გამაბრუებელი, რულისმომგვრელი სისუსტე შეატოვა. სხვა რომ ვერაფერი გააწყო, უცხო ბიჭი ლაჯებში ჩაიყენა და კინკრიხოზე დასუნა. თმის სურნელმა უარესად მოაღბო ეს ლომივით კაცი, შორეული, ბავშვობისდროინდელი მოგონებები აუშალა, მაგრამ მაინც ვერ გაიხსენა, რას ჰქონდა ზუსტად ასეთივე სურნელი, ნაზი, გულისამაჩუყებელი, საოცრად ახლობელი, მაგრამ უკვე გადავიწყებული. მერეც რამდენჯერ ჩაუყენებია ფრიქსე ლაჯებში და რამდენჯერ დაუყნოსავს მისი კინკრიხო, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გაარკვია, რას ახსენებდა ბავშვის თმის სუნი. აიეტი წვალობდა, ენაზე მადგას და ვერ მითქვამსო, თვითონაც ბავშვივით შესჩიოდა თავისიანებს, მაგრამ ფრიქსემ ეს საიდუმლოც თან გაიყოლა. ამ უცნაური სურნელის ბრალი იყო, თუ საერთოდ ფრიქსეს სამწუხარო თავგადასავლისა, აიეტს ნახვისთანავე შეუყვარდა იგი, მაშინვე გული მიუვიდა, შეეცოდა და თავიც გამოიღო: მეფის შვილი მეფურად მიიღო და, რა თქმა უნდა, მეორე მეფის, ფრიქსეს ნამდვილი მამის ჯიბრზეც მოიქცა ასე, რადგან ყველაზე უფრო იმ ნამდვილი მამის არსებობამ გააბრაზა, იმ უხილავმა მეტოქემ, რომელსაც უფლება ჰქონდა, სასიკვდილოდ გაემეტებინა შვილი. აიეტს კი ამ პატარა ბიჭის დაცვა შეეძლო მხოლოდ, გამოქომაგება და მეტი არაფერი. ამიტომაც ნამდვილი მამა ყოველთვის მეტი იქნებოდა



ფრიქსესათვის, ვიდრე აიეტი, გინდაც მას ხელში დანა სჭეროდა, აიეტს კი ნაზუქი. აიეტს მაშინ ამდენი არ უფიქრია, მაგრამ ტანმა უგრძნო, ტანმა გააბრაზა და როცა ამბობდა "ეს ბიჭი მართლა არამი ყოფილა თავისი მშობლებისთვისო", ესეც შეუგნებელი, ბრმა გაბრძოლება იყო უხილავი, მაგრამ ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ, რათა მთლიანად გაეშვებინებინა ხელი ამ შემკრთალი და გაცრეცილი ბიჭისთვის, გაურკვეველი, სულის შემძვრელი სურნელი რომ ასდიოდა თავზე. დრომ ყველაფერი ჩააწყენარა. ახლა ბავშვების ოთახის კედელზე ფრჩხილით გასმული არათანაბარი ხაზების სამი მწკრივი იყო, სამი კიბე, რომელზედაც სამი ბავშვის ყოველწუთას მზარდი სიცოცხლე მიხტოდა მაღლა და მაღლა. ფრიქსე სიმაღლეში მატულობდა, იერს იცვლიდა, შინაურდებოდა და ყველაფერი ეს აიეტის თვალწინ ხდებოდა. ასე რომ, აიეტს მალე დაავიწყდა ფრიქსეს ნამდვილი მამის არსებობა. დამშვიდდა, რადგან სიმართლე არ იცოდა. სიმართლე კი მწარე იყო, ღვარძლიანი. მისი გემო ჰქონდა სწორედ პირში აიეტს ოცდახუთი წლის მერე, როცა მასთან მედეა შემოვიდა ბლის კუნწულით ხელში. აიეტმა დაუფიქრებლად შეაწყვიტა კუნწულას ნაყოფი, იქნებ ყელი ჩამეწმინდოსო.

სიმართლე ფრიქსემ იცოდა მხოლოდ და ის ოცდახუთი წელი, რაც მან აიეტის სასახლეში გაატარა, ამ სიმართლის დამალვას შეაღია. ფრიქსე ათი წლისა იყო, უკანასკნელად რომ გადმოაბიჯა მამისეული სახლის ზღურბლს. ათი წლისა იყო, მაგრამ სიღარიბეში გაზრდილ ბავშვს ჭკუა დიდისა ჰქონდა. მან მაშინვე შეიგნო, რას მოითხოვდნენ მისგან, რა ევალეობდა, უფრო სწორედ, რაში უხდიდნენ ფულს მის დატაკ მშობლებს ყველაზე დიდი მეფის კაცები. ერთი მათგანი სიკვდილამდე არ დავიწყებია ფრიქსეს, უკვე დავაჟკაცებულსაც ესიზმრებოდა და შიშისაგან გაოფლილი ფეთიანივით წამოხტებოდა ხოლმე საწოლიდან. იმ კაცს გიშრის შავი ყელსაბამი ეკიდა და ფრჩხილებიც შავად ჰქონდა შეღებილი. ლაპარაკისას ჩამინება იცოდა და მერე ფრიქსეცა და მისი მშობლებიც სულგანაბულნი ელოდნენ, როდის გაიღვიძებდა, როდის გაახელდა ჭაობისფერ თვალებს. ეს მოულოდნელი ჩამინება შიშის ზარსა სცემდა ყველას. ასე ეგონათ, ძილში გაიპარებოდა, ვეღარ გამოერკვეოდა და მათ დაბრალდებოდათ ყველაზე დიდი მეფის კაცის სიკვდილი. ფრიქსეს გადაფითრებული მშობლები ხელებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, ფრიქსესაც ანიშნებდნენ, გაუნძრევლად მჯდარიყო, კრინტი არ დაეძრა, თუმცა ფრიქსეს რაღა გაფრთხილება უნდოდა, შიშისაგან ისე შეშდებოდა, ძალი რომ მიგექსიათ, მაინც ვერ მოახერხებდა განძრევას. საბედნიეროდ, ყველაზე დიდი მეფის კაცი ყოველთვის იღვიძებდა, ჯერ გაიღვიძებდა ხოლმე და მერე თვალებს გაახელდა. თითქოს მძინარეც ყველაფერს ხედავდა და ძილშიც ერთობოდა შიშისაგან დამუნჯებული ხალხის ცქერით. ყველაზე დიდი მეფის კაცი ზუსტად იმ სიტყვიდან აგრძელებდა საუბარს, რომელზედაც ძილი მოერეოდა. "კოლხეთი კარგი ქვეყანააო", - ისე იტყოდა, თითქოს ეს წუთია იქიდან მობრუნებულაო. "ყველა ბავშვი კოლხეთში რომ იზადებოდეს, არც ერთი არ დარჩებოდა გულნაკლული. დიახ, დიახ, კოლხეთი ბავშვების ქვეყანაა, იქ ბავშვის სიტყვა კანონია და თქვენ წარმოიდგინეთ, იქაური ბავშვები ჩვენებურ მოხუცებზე ჭკვიანები არიან, სწავლა უყვართ და იმიტომ. ყველაზე დიდ მეფეს გადაწყვეტილი აქვს სწავლა-განათლება ბერძენ ბავშვებსაც იქ მიაღებინოს. რა არის ამასი ცუდი, ათას რამეს გაიგებს, კაცი გახდება, სამშობლოს გამოადგება; თქვენც უზრუნველყოფილნი იქნებით სიკვდილამდე, ღვინო და პური არ მოგაკლდებათ, რადგან ყველაზე დიდი მეფე გულუხვიცაა. გადასაწყვეტი და საყოყმანო არაფერია, თუ შვილი გიყვართ, მეფეს მიეცით, ამასაც ხომ არ უნდა დაახრჩობინოთ თავიო", - ამბობდა ყველაზე დიდი მეფის კაცი და თან ფრიქსეს უღიმოდა.

ფრიქსეს მშობლები ხელეხს შლიდნენ, პირებს აზრდნენ, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდათ, თითქოს ყელში დამადლებული ლუკმა გასჩხერიათო. მაგრამ წავიდოდა თუ არა ყველაზე დიდი მეფის კაცი, მაშინვე ერთმანეთს ცოფიანი ძაღლებით ეცემოდნენ: შენი ბრალია, შენ დამიღუპე შვილებიო. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ იმ ათი წლის განმავლობაში, რომელიც ფრიქსემ მშობლებთან ერთად გაატარა, მათი ჩხუბის მეტი არაფერი უნახავს. ფრიქსემ იცოდა, მის დედამას ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ ცხოვრება არ აძლევდათ ტკბილი სიტყვის თქმის საშუალებას, ყოველდღე ახალ-ახალ უბედურებას ატეხდა თავზე, ხოლო როცა ფრიქსეს უფროსმა დამ, ჰელემ თავი დაიხრჩო, მართლა აუტანელი გახდა ცხოვრება ამ კედლებჩამომპალ ქოხში. მართალია, ფრიქსეს შიშის თავზარს სცემდა ყველაზე დიდი მეფის კაციცა და მისი საუბარიც, მაგრამ გულში მაინც ლოცულობდა, ნეტავ ჩემმა მშობლებმა უარი არ უთხრანო, რადგან დარწმუნებული იყო, ამაზე უარეს ადგილას ვერსად წაიყვანდნენ. მშობლების გაუთავებელი ჩხუბი და წუწუნი თავგზას უბნევდა ფრიქსეს, ეცოდებოდა ისინი, თანაც იმასაც გრძნობდა, მათი ბრალი რომ არ იყო, ერთმანეთი თუ შესძულებოდათ, სილატაკესა და გაუთავებელ უბედურებას მიექსია ისინი ერთმანეთისთვის. "დღეს თუ არა ხვალ, დღეს თუ არა ხვალ", - ამ ფიქრით ათენებდა და აღამებდა ფრიქსე, მაგრამ არ ადგებოდა საშველი იმ ნანატრი ხვალისდელი დღის გათენებას. პირიქით, ყოველ ახალ დღეს ახალი ტანჯვა და უბედურება მოჰქონდა.

ჰელემ რომ თავი დაიხრჩო, ფრიქსე შვიდი წლის იყო, მაგრამ არასოდეს დავიწყნია ის საშინელი ღამე. ახალი ჩამინებული იქნებოდა, ჰელე რომ შეუწვა ლოგინში. ჯერ ვერ გაიგო, რა ხდებოდა, ჰელე რომ იყო, ამასაც მერე მიხვდა, როცა სიბნელეს თვალი შეაჩვია. ჰელე გამმაგებული კოცნიდა სახეზე, ყელზე, მკლავებზე, პერანგს ძალით უჩეჩავდა, მკერდი რომ დაეკოცნა. ფრიქსეს სული ეხუთებოდა, ოფლად იღვრებოდა, რადგან ჰელე ისეთი ცხელი იყო, თითქოს ცეცხლი წაჰკიდებია და ძმასთან საშველად მოვარდნილაო. ფრიქსეს იმ წუთას ეჯავრებოდა ჰელე, მუხლებს ახვედრებდა, მუშტს ყელში აჭერდა და თუ არ ყვიროდა მხოლოდ იმიტომ, მშობლების გაღვიძებისა რომ ერიდებოდა, კი არ ერიდებოდა, ეშინოდა. ახლა ისინი დაიწყებდნენ ჯაჯღანს და დილაამდე არ მისცემდნენ მოსვენებას. "გამანებე თავი, გამანებე თავიო", - ჩურჩულებდა ფრიქსე. ჰელე კი გამმაგებული კოცნიდა და ისიც ჩურჩულით ეუბნებოდა: მშვიდობით, არ დაგავიწყდეს შენი უბედური დაო. ფრიქსეს ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა ჰელე, როდის გაანებებდა თავს, გამწარებული იხოცავდა დის ნაკოცნებს, მაგრამ ჰელე თითქოს ვერაფერს ხედავდა, ვერაფერს გრძნობდა, მაინც კოცნიდა, ზემოდან აწვებოდა გავარვარებული გულმკერდით და ფრიქსეს უცნაურად აკრთობდა და აშინებდა ეს მოუსვენარი, მკვრივი და მხურვალე სხეული, რომელიც ნამდვილად მისი უფროსი და ჰელე იყო, მაგრამ მაინც არ ჰგავდა ჰელეს, ალბათ, იმიტომ, უკვე სიკვდილს რომ ეკუთვნოდა და ხვალისგან ვეღარასოდეს ვეღარ იხილავდა. მეორე დღეს იგრძნო ფრიქსემ, რამხელა უბედურება დასტყდომოდა თავს: ჰელეს მარტო დაეტოვებინა იგი ორ გამწარებულ, ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებულ ადამიანს შორის, რომლებიც ისევე იყვნენ ჰელეს მშობლები, როგორც მისი, მაგრამ ჰელე გამქრალიყო, ჰელე, რომელსაც ერთი გაღიმებით შეეძლო დაეგდებინებინა მამისთვის ცოლის მოსაგერიებლად აღებული ფილაქნის ნატეხი.

ჰელე მდინარეში იპოვეს, მწვანე კაბა ეცვა, თავით იდგა ფსკერზე და წელამდე გამიშვლებული, ოდნავ, სულ ოდნავ არხევდა თეთრსა და აშოლტილ ფეხებს. მდინარის ორივე ნაპირი უცებ

გაივსო ხალხით. გაბმული ზმუილისაგან და სიცხისაგან ფრიქსეს თავი ასტკივდა, რატომღაც არ ეგონა, ჰელე თუ მკვდარი იყო, შეიძლება იმიტომაც, შიშველ ფეხებს ოდნავ რომ ამოდრავებდა. მყვინთავებს გაუჭირდათ ჰელეს ფეხზე მარყუჟის გადაცმა. საოცრად გამჭვირვალე წყალში ყველაფერი ჩანდა, რაც წყალქვეშ ხდებოდა. ხალხმა რამდენჯერმე გამოაგდო ფრიქსე უკან, ფრიქსე კი მაინც წინ მიიწევდა, თავითა და იდაყვებით მიარღვევდა ხალხის ცხელსა და ოფლიან კედელს. "ჩემი დაა, გამატარეთო", - იხვეწებოდა ფრიქსე, მაგრამ არავის არ ესმოდა მისი ხმა. ის კი არა, ვიღაცამ ქეჩოშიც უთავაზა, სად მოძვრები, შე მამამაღლოო. ფრიქსე ტიროდა, ცრემლი და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, მაგრამ მაინც ჯიუტად მიიწევდა წინ, უფრო თხელსა და რბილად გილს დაეძებდა კედელში, იქნებ როგორმე გაერღვია, გაეღწია და ისევ დაენახა ჰელე, უფრო სწორედ, ჰელეს ლამაზი ფეხები, ოდნავ რომ ირხეოდნენ გამჭვირვალე წყალში, თითქოს მყვინთავების გასაბრაზებლად, გასაქეზებლად და მისაზიდად. სანამ ჰელეს ფეხები ირხეოდნენ, ფრიქსეს არ შეეძლო დაეჯერებინა მისი სიკვდილი. თოკიანად გამოიტანდა ხოლმე დინება ნაპირზე ცივი წყლისაგან აძვირებულ ბიჭებს, მაგრამ ისინი ისევ მაღლა აჰყვებოდნენ ნაპირს სირბილით და ისევ წყალში ეშვებოდნენ, სადაც მწვანე კაბიანი გოგო თავით იდგა სილაზე და შიშველ ფეხებს არხევდა. რამდენჯერმე გადააცვს მყვინთავებმა მარყუჟი, მაგრამ ბოლო წუთს ყოველთვის უსხლტებოდათ ქალიშვილის ქათქათა ფეხი; ფრიქსე ნერვიულობდა, გულში ლოცულობდა, თოკი არ მოსდებოდა ფეხს, თითქოს ეს იყო ახლა მთავარი, ეს გადაარჩენდა ჰელეს, ამდენი ხალხი რომ მისეოდა დასაჭერად. არა მარტო ფრიქსე, უკვე ყველანი აღეგზნო და აელეღვებინა ამ უცნაურ სანახაობას და, როცა მოზიდული თოკი უცებ მობოძდებოდა და გველივით დაკლაკნილი გამოსრიალდებოდა ნაპირისკენ, მდინარის ორივე ნაპირს ოხვრა აღმოხდებოდა, როგორც იპოდრომზე შეკრებილ ხალხს, როცა მოულოდნელად წაიფორხილებს ხოლმე მეწინავე ცხენი. ჰელეს კი თითქოს წყალში ერჩია და არ ამღევდა საშუალებას მყვინთავებს, კარგად გადაეცვათ ფეხზე მარყუჟი. ბოლოს მყვინთავებმა მაინც თავისი გაიტანეს, ჰელეს ფეხზე გადაცმული თოკი ნაპირიდან ფრთხილად მოქაჩეს და ჰელეც მთელი ტანით ერთბაშად შეკრთა, თითქოს ეძინა და გამოერკვა, ანდა თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა, მახეში რომ გაბმულიყო. მდინარის ორივე ნაპირს შვების ოხვრა აღმოხდა. ფრიქსემ ზურგს უკან შეგროვილ ხალხს გაკვირვებულმა ამოხედა. სიცხისაგან ყველას სახეები დასწითლებოდათ. ჰელე წყალში ამოტრიალდა, თითქოს გაიბრძოლა, თავი რომ დაეღწია თოკის მარყუჟისგან. ახლა მისი თმა გაიშალა წყლის ზედაპირზე, თითქმის ყველა ღერი ცალ-ცალკე გამოიყო და ათრთოლდა. მალე ჰელეც წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა და გაშეშდა, თითქოს შეგროვილი ხალხისა შერცხვა, ამდენ ხანს რომ აწვალა და ალოდინა. ნაპირზე ასულმა მყვინთავებმა თოკი ისევ მოქაჩეს და ჰელეც ნელა, მორჩილად გაცურდა ნაპირისკენ. ფეხი, რომელზედაც თოკი გამოებათ, მუხლამდე ამოშვირა წყლიდან. თოკს და ჰელეს ამოშვირილ ფეხს წყალი წურწურით ჩამოსდიოდა.

მერე დღე არ გაივლიდა, მამას არ ეთქვა ფრიქსესთვის: მალე გაიზარდე, ჰელესთან უნდა წავიდე, ცოდოა გოგო, მარტოაო. მაგრამ ცოლი მაშინვე პირში ეცემოდა, თითქოს ამის თქმის უფლებაც აღარ ჰქონდა ცოცხალ მამას მკვდარ შვილზე.

- გაჩუმდი, ნუ ამბობ მაინც! - ყვიროდა ცოლი და თან ისიც რაღაცას დაეძებდა დასარტყმელად.

ხან ერთს აეტმასნებოდა აზლუქუნებული ფრიქსე და ხან მეორეს, ერჩია ისევ მასზე ეყარათ ჯავრი შვილის დაკარგვით გაცეცხლებულ მშობლებს, მას მოხვედროდა გამეტებით ნასროლი ქვიჯა, ასტამი თუ ჯამი. ფრიქსეს ორივენი ერთნაირად ეცოდებოდა. ორივენი მისი მშობლები იყვნენ და უბედურებაც საერთო ჰქონდათ. "დღეს თუ არა ხვალ, დღეს თუ არა ხვალ", - მაინც ამ ფიქრით იძინებდა ფრიქსე, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რა უნდა მომხდარიყო ხვალ, რაც გაცოფებულ მშობლებს, ჰელეს დალუპვას და საკუთარ უმწეობას დაავიწყებდა.

ახლა ერთადერთი დღე, რომელსაც მთელი ოჯახი მოუთმენლად ელოდებოდა, მკვდრის დღე იყო. თავისთვის რა ჰქონდათ, მაგრამ უკანასკნელ ლუკმასაც დაზოგავდნენ და იმ დღეს მათ ჩამომპალ ქოხის კართანაც იდგა შეჭამანდით სავეს ქოთანნი. იმ დღეს ხმამაღლა სიტყვას არ ეტყოდნენ ერთმანეთს, დაგვიდნენ და დააწკრიანებდნენ ყველაფერს, თითქოს სასიძო უნდა მოსვლოდათ ქალის სანახავად. თუმცა იმაზე უკეთესი ვინ მოუვიდოდათ, ვისაც ელოდებოდნენ. "დღეს ჩემი გოგო მოვა, ენაცვალოს დედა!" - წარამარა იმახდა დედა და ისე დასტრიალებდა ცეცხლზე შემოდგმულ ქოთანს, თითქოს ერთი გაჩხინკული გოგო კი არა, მთელი ქალაქი უნდა დაეპურებინა. წინა დღეს სამივენი დაიბანდნენ ხოლმე. დედა ტანსაცმელს გარეცხავდა, დაკემსავდა, დაბლანდავდა, დააკერებდა და იმდენს იზამდა, ახალს დაამსგავსებდა, ჰელე რომ არ დაეფრთხო და დაეღონებინა ჩამოკონკილი მშობლებისა და ძმის დანახვას. მან ხომ სწორედ ამის გულისთვის მიატოვა ისინი. იმ ღამეს არავის ეძინა, მოუთმენლად ელოდებოდნენ გათენებას, რადგან დილით გაიგებდნენ მხოლოდ, მოსულიყო თუ არა ჰელე. თუ ქოთანნი ცარიელი დახვდებოდათ, ბედნიერებისაგან აღარ იცოდნენ, რა ექნათ, ერთმანეთს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ, თითქოს აქამდე ერთი გადაბრუნებული სიტყვაც არ დასცდენიათ. "მოსულა ჩვენი გოგო", - იტყოდა ხოლმე მამა და ბედნიერებისგან ასლუქუნებულ ცოლს მხარზე ხელს დაადებდა. დედას ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდიოდა, მაგრამ მაინც ილიმებოდა და მაშინ ორივენი ისეთი ლამაზები და ახლობლები იყვნენ, ფრიქსეს ჟრუანტელი უვლიდა მთელს სხეულში. მერე დედა ქოხიდან გავიდოდა და განგებ გაჩერდებოდა კართან, სანამ რომელიმე, მასავით მკვდრის პატრონი მეზობელი არ შეამჩნევდა და დაუძახებდა: ჩემი იყო, თქვენმა რა ქნაო. გახარებული დედა ამაყად დააპირქვავებდა ხოლმე ცარიელ ქოთანს, მათხოვრისა თუ მაწანწალა ძაღლების ამოსვლეპილს, და თავადაც გასძახებდა: ჩემიც იყო, აბა, რას იზამდა, ენაცვალოს დედაო.

ფრიქსეს მამას მიწის პატარა ნაკვეთი ჰქონდა, მეძვით შემოღობილი. ის იყო მათი იმედიცა და უიმედობაც, ფრიქსეს მამა დილიდან საღამომდე იმ მიწას ჩასცქეროდა, ჩასძახოდა, ზედ აკვდებოდა, მაგრამ ყველაფერი მაინც წყალში ეყრებოდა. უძარღვო, ნაცრისფერი მიწა თესლს ვერ იმაგრებდა, მეათასედსაც არ აბრუნებდა იმისას, რასაც იღებდა. ვერაფერი რომ ვერ მოუხერხა გაბერწებულ მიწას, გაბოროტებულმა, ერთ დღეს ცეცხლი წაუკიდა მეძვის ღობეს, მაგრამ მიწამ არც განდგომა აპატია ამდენი ხნის თაყვანისმცემელს. ცეცხლწაკიდებული მეძვიდან გველი გამოვარდა და სანამ ფრიქსეს მამა შეასწრებდა თვალს, ზედ შეახოხდა, წელზე შემოეხვია, როგორც შემინებული ბავშვი პირველსავე შემხვედრს, და ბლაგვი პირი იქამდე ურტყა გულმუცელში, სანამ ფრიქსეს მამა გონწასული არ დაეცა. მთელი ტანი დაუსივდა, პირზე დუჟი მოადგა, გველის კბილით გაგლეჯილი ხორცი უცებ დაუწყლოლდა. ასეთი მოიყვანეს შინ. თვალეები ელდისაგან ისევ დაჭყეტილი ჰქონდა, მაგრამ საცნაური დაჰკარგვოდა. ამ დღეში რომ

დაინახა ქმარი, ცოლი გამწარდა, ჩემგან უნდა გაქცევა და იმიტომ დააგესვლინა გველს თავიო; კი, მაგრამ ოჯახს რაღას უპირებდაო. სიკვდილი, იცოცხლე, კარგი იყო, დაისვენებდა, მაგრამ მისი გასაკეთებელიც ხომ მარტოხელა ქალს დააწვებოდა კისერზე. ბავშვის პატრონის კალათასაც შია, მას კი ორი ჰყავდა გასაზრდელი, ორჯერ მეტად შიოდა მის ძირგამომპალ კალათას. "არა, შვილოსა, ჯერჯერობით ვერ მოგცემ სიკვდილის ნებასო", - სახეში ჩასძახა ცოლმა და ისე დატრიალდა, ეს დასიებული და აყროლებული გვამი მართლა გამოსტაცა სიკვდილს ხელიდან. ფრიქსეს მამა კი წამოდგა ლოგინიდან, მაგრამ ახლა ცოლ-შვილს გაუჭირდა მისი ცნობა. სიკვდილს მაინც დაენარჩუნებინა რაღაცა, ისე გალეულიყო, სულის შებერვით თუ ვერ წააქცევდი, წააბარბაცებდი მაინც. თუმცა დიდხანს თვითონაც ვერ ჩერდებოდა ჩხირებივით გაწვრილებულ ფეხებზე, ფეხებს ვეღარ ენდობოდა, ისე აუცახცახდებოდა ხოლმე, თუ მაშინვე არ შეაშველებდი ხელს, მართლა წკირივით ჩაუტყდებოდა საკუთარ სიმძიმეს. სამაგიეროდ ენა გაუსივდა, პირში აღარ ეტეოდა და ისეთი ამაზრზენი სანახავი იყო, შვილებიც კი არიდებდნენ თავს. "ამ დღეში იმიტომ ჩავარდი, უსამართლო ლაპარაკი რომ იციო", - ეუბნებოდა დოინჯშემოყრილი ცოლი. მაგრამ უმწეოდ აბლუკუნებულ ქმრის შემყურეს, მასაც დაემდულრებოდა ხოლმე გული და მაშინვე დაუყვავებდა: ნუ გეშინია, ენასაც მალე მოგიჩინო. ასე იყო თუ ისე, საწყალი კაცი საქმისთვის აღარ ვარგოდა, მაგრამ მაინც სჭირდებოდა იგი ცოლს. სხვას რომ თავი დავანებოთ, სიგიჟემდე მისულ სიბრაზესა და ღვარძლს მაინც იყრიდა მასზე. თუმცა არც უქმად გაუჩერებია დიდხანს, საქმე გამოუნახა, მის უვარგისობასაც გამოადინა რაღაცა. ახლა ფრიქსე ყოველ დილას მიაცილებდა ხოლმე მამას ქუჩის კუთხემდე, სკამზე დასვა მდა, წინ გოგრის მოხალული თესლით სავსე ტაშტს დაუდგამდა და საღამომდე იქ ტოვებდა. ფრიქსეს მამა გოგრის თესლსა ჰყიდდა, ხოლო დედა, ჰელე და ფრიქსე დილიდან საღამომდე გოგრის თესლს აშრობდნენ და ხალავდნენ. ყველანი ამ ყვითელი, ლორწოვანი და სლიპინა სითხით იყვნენ დათუთხუნულნი, მისი სუნით გაჟღენთილიყო დაკონკილი ლოგინიცა და ფლასიც; მათი სიღარიბის პურსა და წყალს გოგრის თესლის გემო ჰქონდა. მაგრამ მალე შეიძლება ესეც სანატრელი გახდომოდათ. მაშინ გამოჩნდა პირველად ყველაზე დიდი მეფის კაცი, შავად შეღებილი ფრჩხილებით ნიკაპი მოიფხანა და უთხრა: თქვენი ნაკვეთი დემეტრეს ტამარს გადაეცა, რადგან ღვთაება განრისხებულია, მიწას ცეცხლი რომ წაუკიდეთ და მოუსავლიანობით იმუქრებაო. ყველას ენა ჩაუვარდა მუცელში. იმ კაცმა ახლა ჰელეს შეხედა, გაიღიმა და გააგრძელა: ამ გოგოში იმდენი ფული შეგძლიათ აიღოთ, ღვთაების გულსაც მოიგებთ და მიწასაც დაიბრუნებთო. ამის მერე დიდი დრო არ გასულა და ჰელემ თავი დაიხრჩო. ოჯახთან განშორებითა და გაურკვეველი მომავლით აწრიალებული ჰელე ძმას ლოგინში შეუწვა და ერთად გამოიტირა ყველანი, საკუთარი თავიც, ძმაცა და მშობლებიც. "დიდი ვარ და იმიტომო": - ასე უთხრა იმ ღამეს გიჟური ალერსით სულშეხუთულ ძმას. მერე კი, როცა მდინარეში იპოვეს, ფრიქსეს შეეშინდა, რადგან როდისმე ისიც გაიზრდებოდა, ადრე თუ გვიან, დღეს თუ არა, ხვალ.

ჰელე რომ დამარხეს, ისევ გამოჩნდა ყველაზე დიდი მეფის კაცი, "თქვენმა უბედურებამ დემეტრეს გული მოუღბო და მიწა დაგიბრუნათო", - განუცხადა შვილის სიკვდილით დაზაფრულ მშობლებს, ფრიქსეს კი პეშვში ზეთის ხილი ჩაუყარა.

ამის მერე სამი წელი გავიდა, ამ სამი წლიდან გიშრის ყელსაბამიანი და შავფრჩხილება კაცის მეტი არაფერი დამახსოვრებია ფრიქსეს. მისი მშობლებიც ისე შეეჩვივნენ ამ უცნაურ სტუმარს, ცოტა თუ დაუგვიანდებოდა, მოსვენება ეკარგებოდათ და წარამარა აგზავნიდნენ ფრიქსეს ქუჩაში, გაიხედე, ხომ არ მოდისო. მართლაც უცნაური საუბარი იცოდა იმ კაცმა, შიშის მომგვრელიცა და დამამშვიდებელიც, თითქოს ხმამალა ოცნებობსო. იჯდა და გაუთავებლად ლაპარაკობდა რომელიღაც შორეულ ქვეყანაზე, სადაც ოქროსთმიანი გოგო-ბიჭები იბადებოდნენ, ჯადოსნური ხეები ყვოდნენ და სპილენძის მილებიდან დაუშრეტლად მოთქრიალებდა რძე, ღვინო, სურნელოვანი ზეთი და წყალი. კოლხეთი თურმე არაფრით ჰგავდა სხვა ქვეყნებს, სადაც ადამიანს ათასგვარი უბედურების გადატანა სჭირდებოდა, ბოლოს და ბოლოს, სულეთამდე რომ მიეთრია გამვალტყავებული სხეული. "იქაური ხალხი განათლებულიცაა და კეთილიც", - ამბობდა ყველაზე დიდი მეფის კაცი და როცა შუა ლაპარაკში მოულოდნელად ჩაეძინებოდა ხოლმე, ფრიქსეც უნებურად იმ ზღაპრულსა და შორეულ ქვეყანაზე ფიქრობდა შიშნარევი ნეტარებით, როგორც გაუბედავ ხალხს სჩვევია. იმ კაცს ერთი უცნაური თვისებაც ჰქონდა: ყოველ მოსვლაზე (მოსვლით კი ხშირად მოდიოდა) აუცილებლად იკითხავდა ფრიქსეს ასაკს და როცა ფრიქსეს მამა ან დედა უპასუხებდა: ჯერ რვისაც არ არის, ერთი თვის წინ არ ბრძანდებოდით აქაო, გაიღიმებდა და იტყოდა: თუ ერთი თვის წინ ვიყავი აქ, ესე იგი ერთი თვით გაზრდილა, მალე რვისაც გახდება და ათისაცო. მერე კი აუცილებლად დაამატებდა, ყოჩალია ჩვენი ბიჭიო. მართლაც, უცებ გაირბინა სამმა წელმა, შეიძლება იმიტომაც, ამ ხნის განმავლობაში ოჯახს გაჭირვება რომ აღარ უგრძვნია. ყველაზე დიდი მეფის კაცი ხელცარიელი არასოდეს არ მოვიდოდა, ხოლო როცა დიასახლისი დაირცხვენდა ძღვენის მიღებისას, შინაურივით შეუყვირებდა ხოლმე, უცხო ხომ არა ვარ, ერთმანეთს ხელი უნდა გავუმართოთო. მართლაც, გაუთავებელმა, ოცნებისმაგვარმა საუბრებმა და წვრილ-წვრილმა საჩუქრებმა ახლობელი გახადა ფრიქსეს ოჯახისთვის შავფრჩხილება კაცი. ამ კაცს უკვე სამი წლის წინ ჰქონდა ნათქვამი, როგორც კი ფრიქსე ათისა გახდება, კოლხეთში უნდა გავგზავნოთ სწავლა-განათლების მისაღებადო. სამმა წელმა კი უცებ გაირბინა. ამ ხნის განმავლობაში ფრიქსეს მშობლების ქოხში მარტო კოლხეთზე იყო ლაპარაკი და ყველანი ისე შეეჩვივნენ ამ ამბავს, დათქმული დრო რომ დადგა, შიშისაგან დამბლა დაეცათ, ახლა როგორ ვთქვით უარი, მეფის კაცი სამი წელი დაიმედებული გვყავდაო. ისევ განახლდა ოჯახში ჩხუბი და აყალმაყალი. ისევ ერთმანეთს მიუბრუნდნენ ცხოვრებისაგან კიდევ ერთხელ გაპამპულეებული მშობლები.

- სხვა გზა მაინც არ გვაქვს, ვინ იცის, იქნებ მართლა ბედს ეწიოს და ჩვენსავით არ ჩალპეს ამ დასაქცევ ქოხშიო, - იტყოდა ხოლმე მამა, მაგრამ ესეც უძლური კაცის ოცნება იყო, თავის მოსატყუარი, თავლაფდასხმული არსებობის გამმართლებელი. თვითონაც გრძნობდა, ამის უფლებაც რომ აღარ ჰქონდა, რაკი შვილი გასაყიდად გაემეტებინა.

ამას რომ იტყოდა, შეკრთებოდა ხოლმე და ცოლს გახედავდა. ცოლიც, თითქოს ამას ელოდებოდაო, მაშინვე პირში ეცემოდა: შენ ყველას შეგვიწირავ, გველის შხამმაც ვერ მოგკლა, გველზე მეტი შხამი გაქვს და იმიტომო. მერე შეყვებოდნენ და აღარ დაადგებოდათ საშველი. მამას სიძულვილისაგან ყბა ჩამოეზრდებოდა ხოლმე. დედა ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა, თითქოს შიშობდა, რამე არ გამორჩენოდა და იმდენ ფურთხსა და დორბლს აყოლებდა ყოველ სიტყვას, მიწის იატაკი ტალახდებოდა. ფრიქსე მშობლების შუაში იდგა და თვალი ეჭირა, რამე არ

ესროლათ ერთმანეთისთვის. სანამ მისი მშობლები ასისინებული ასპიტებივით იგესლებოდნენ, შიშისაგან ძვლებიც უკანკალებდა. ასე იყო ყოველდღე, ყველა დღე ერთმანეთს ჰგავდა, ანდა ერთი გაუთავებელი დღე გამოეწირათ მათთვის ღმერთებს და ხვალე არასოდეს არ დადგებოდა. მშობლების დანთხეულ შხამში ყელამდე იდგა ფრიქსე. თვითონაც შხამით იჟლინებოდა, შიგ იხრჩობოდა და ქუჩაში გამოსვლისაც ეშინოდა. ეგონა, ქვას ესროდნენ, ძაღლებს მიუქსევდნენ, არ გაიკარებდნენ ახლოს; და თუ სამი წლის წინათ თავზარი დასცა იმის გაფიქრებამ, რომ როდისმე მართლა შეიძლებოდა დამდგარიყო დღე, როცა მშობლებს მოაშორებდნენ, ახლა, სამი წლის მერე, მოუთმენლობისაგან სული ელეოდა, ეშინოდა, არ გადაეფიქრა შავფრჩხილება კაცს მისი კოლხეთში წაყვანა. "კოლხები კეთილი ხალხი ყოფილა, ბავშვის გამლახავს მკლავს აჭრიან თურმეო", - ამშვიდებდა და ებოდიშებოდა მამა, მაგრამ ფრიქსეს აღარ სჭირდებოდა დამშვიდება, ერთი სული ჰქონდა, როდის გააღწევდა მშობლების გესლითა და სიძულვილით მოწამლული ქობიდან. ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ მშობლებს არ დამსგავსებოდა, არ გაეზიარებინა მათი ბედი. მხოლოდ ჰელეზე ეთანადრებოდა გული. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს როგორც კი მიატოვებდა აქაურობას, ჰელეს საფლავიდან ამოთხრიდნენ. ფრიქსემ უკვე იცოდა ნამდვილი პირობა ყველაზე დიდი მეფისა: კოლხეთში უნდა გადასახლებულიყო სამუდამოდ, იქ უნდა ეცხოვრა და მომკვდარიყო კიდევ, როცა დრო მოუწევდა. ბუდე და საფლავი უნდა გაეჩინა (დიახ, სწორედ ასე უთხრა შავფრჩხილება კაცმა, "ბუდე და საფლავიო", როცა მარტო დაიხელთა ფრიქსე, რათა მშობლებს არ გაეგოთ მათი საუბარი), რაც შეიძლებოდა ოდესღაც დასჭირვებოდა ვიღაცას, ალბათ იმას, ვისი დავალებითაც ყიდულობდნენ ფრიქსეს. ბევრი ვერაფერი გაიგო ფრიქსემ ამ პირობისა, მაგრამ ერთი ცხადი იყო: აღარ მოისმენდა მშობლების ჩხუბს, აღარ დაიძინებდა მშვიერი, აღარ დაწყებოდა გული გაღვიძებულს, ცოცხალი რომ იყო ისევ და, რაც მთავარია, მშობლებსაც გაუმართავდა ხელს, რადგან ყველაზე დიდი მეფე ბევრ ფულს იხდიდა სანაცვლოდ. ამიტომაც, მღელვარებისაგან ხახადახშულმა, მაშინვე დაუქნია თავი შავფრჩხილება კაცს, თანხმობის ნიშნად, როცა მან ერთხელ კიდევ მიუტანა პირი ყურთან და ჩასჩურჩულა: პატარა აღარა ხარ, შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო.

მერე ფრიქსე ხომალდზე აიყვანეს და გზას გაუყენეს. ახალი ტანსაცმელი ჩააცვეს, ოქროს სირმებით გაწყობილი, ხოლო დედის გამოკრული ბოხჩა, რომლითაც ცრემლიანი თვალები ამოიწმინდა, ზღვაში გადაუგდეს, როგორც კი მოშორდა ხომალდი ნაპირს.

მოშორდა თუ არა ხომალდი ნაპირს, ფრიქსე მაშინვე მიხვდა, მის სიხარულს დიდი დღე არ ეწერა. არაფერი აღარ უნდოდა, არც ახალი ტანსაცმელი, არც ნაირნაირი საჭმელ-სასმელი და არც ხომალდით სეირნობა: თავისი კედლებჩამომპალი ქობი ყველაფერს ერჩია, თავს ერჩია ის პირგამეხებული, გახუნებული, ბოლოებშემომენძილი თავსაფრით თავწაკრული ქალი, აყაყანებულ ნავსადგურში რომ იდგა და დაეჭვებული მზერა ხომალდისთვის ჭოკივით მიეხუნა, ჭოკივით კი არ მიეხუნა, ხელივით ჩაეველო, ზღვაში გასვლას უშლიდა, თითქოს გული უგრძობოდა, ატყუებდნენ, სამუდამოდ ართმევდნენ ერთადერთ შვილს და საცაა გაუნათლებოდა გონება, ერთს ისეთს იკვილებდა, შიშისაგან მთელი ნავსადგური დაიცლებოდა, მენიჩბეები ტყაპატყუპით გადახტებოდნენ ხომალდიდან, შავფრჩხილება კაცი ფრიქსეს ხელში აიყვანდა და სირბილით მიჰგვრიდა განრისხებულ დედას, დედა კი სახეში მიახლიდა ოქროებით გაძიმებულ ქისას და ისევ თავის კედლებჩამომპალ ქობში წალალავდა გადარჩენილ შვილსაც და

გველის შხამით დაუძღურებულ ქმარსაც, მის ფეხებთან რომ ჩაცუცქულიყო და ამიტომაც ვერ ხედავდა ხომალდის მოაჯირზე გადმოკიდებული ფრიქსე. მაგრამ არაფერი ამის მაგვარი არ მომხდარა. ნავსადგურში ათასნაირი ხალხი ირეოდა, ყურთასმენა არ იყო, მენიჩბეები უკვე მძიმედ აწვებოდნენ ხოფებს, ხომალდი ტორტმანობდა. ფრიქსე ვერ ხედავდა მამას, მაგრამ დარწმუნებული იყო, მამამისი ტიროდა, ზეზეულად ჩამომხმარი, სიძულვილისაგან ყბაჩამოზრდილი კაცი ცოლის ფეხებთან ჩამჯდარიყო და ტიროდა, რადგან სხვა არაფერი შეეძლო. ფრიქსე დედის მოქუფრულ სახეზე კითხულობდა ამას და თვითონაც მდუღარე ჩამოსდიოდა. ასე ტოვებდა სამშობლოს პირობის თოკით ენადაბმული ბავშვი, ღრმად დარწმუნებული, ეს რომ იყო ერთადერთი გამოსავალი, მხოლოდ ასე შეეძლოთ მის უბედურ მშობლებს ერთი-ორი დღით კიდევ გაეხანგრძლივებინათ სიცოცხლე სამუდამოდ დაკარგული შვილის მოლოდინში, სამუდამოდ, რადგან ჰელე მკვდრის დღეს მაინც ეწვეოდა ხოლმე თავის მშობლების ქობს და წელიწადში ერთხელ მაინც შეჭამდა დედის გაკეთებულ კერძს, მას კი ქოთანს არავინ დაუდგამდა, რადგან ცოცხლად იყო მკვდარი.

"დაიმახსოვრე, შენ ბეოტიელი მეფის შვილი ხარ, დედინაცვალმა მოკვლა დაგიპირა და მფრინავმა ვერძმა გადაგარჩინა. სხვა არაფერი გახსოვს, არც არაფერი იცი, გარდა იმისა, რომ ბეოტიელი მეფის შვილი ხარ, ბეოტიელი მეფის შვილიო", - დილიდან საღამომდე ამას ეჩიჩინებოდნენ ფრიქსეს ხომალდზე, მაგრამ "ბეოტიელი მეფის შვილს" თვალწინ ჩამოკონკილი მშობლები ედგა, ერთმანეთის სიძულვილით რომ გაჰქონდათ თავი და ამითვე აკავებდნენ უფრო დიდსა და დაუნდობელ მტერს: მათ გასათელად ოთხივე მხრიდან ერთდროულად დაძრულ ქვეყანას.

"მფრინავი ვერძი", რომელსაც "ბეოტიელი მეფის შვილი" უნდა გადაერჩინა, ანძაზე გამოებათ, განუწყვეტლივ აცმაცუნებდა პირს და ირგვლივ ცერისხელა კურკლი ეყარა.

ვიღაცამ რომ იყვირა, მიწა უკვე მოჩანს, უფრო ახლოს მისვლა საშიშიაო, ვერძი აუშვეს, ბიჭი შეუსვეს ზურგზე და წყალში დაუპირეს გადაგდება. გათოშილ წყალში მოსალოდნელმა ჭყუმპალაობამ და საერთოდ წყლისადმი განუსაზღვრელმა შიშმა, რაც მთელ მის მოდგმას ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი, ვერძი ისე დააფრთხო, ყველანი მიჰყარ-მოჰყარა, მიღეწ-მოღეწა იქაურობა, ერთმანეთზე დაწყობილი კასრები დააგორა და კასრის ქვეშ მოყოლილი კაცის ბღავილმა უარესად დაუბნელა გონება. ახლა ბოლომდე უნდა ებრძოლა, რადგან არავინ აღარ აპატიებდა ამგვარ გაცხარებას. ხომალდი ტორტმანობდა, მეზღვაურები გემბანზე აგორებულ კასრებს დასდევდნენ, ვერძი კი თავის ტვირთიანად წინ და უკან დარბოდა და უკვე თვითონაც ნანობდა, ასე რომ გაემწარებინა ამდენი ხალხი. კარგის მეტი არაფერი ახსოვდა ვერძს ამ ხალხისაგან, არც საჭმელი დაუკლიათ და არც საქებარი სიტყვები, შენისთანა ლამაზი და ყოჩაღი ვერძი მეორე არ მოიძებნება ქვეყანაზეო, მთელი გზა ამას ეჩიჩინებოდნენ და ვერძიც გაიბღინებოდა ხოლმე, სიამოვნებდა ადამიანის შექება. შიშისგან თვალეზადმოკარკლული ფრიქსე რქებში ჩაფრენოდა ვერძს და უთავბოლო ჭენებისაგან გულს აზიდებდა. "აქამდე წყალსაც შევეჩვეოდი და ნაპირზედაც გავიდოდიო", სინანულით გაიფიქრა ვერძმა და სწორედ მაშინ იყვირა ვიღაცამ: მუგუზხალი ატაკეთ მაგ სამგლესო. თითქმის მაშინვე შეტრუსული ბალნისა და დამწვარი ქონის სუნი დატრიალდა ჰაერში. ტკივილმა ფრთები გამოასხა ვერძს, ჩლიქების



ბაკაბუკით გემზანი გაირბინა, უკანა ფეხები ტყუპად დაჰკრა ხომალდის კიდეს და ტვირთიანად გაფრინდა, მაგრამ ნაპირამდე მაინც ვერ მიაღწია და წყალში მოადინა ტყაპანი.

ფრიქსემ ჰაერშივე დაჰკარგა გონება და მხოლოდ მიწაზე გამოფხიზლდა, უცხო ხალხის ფეხებთან გამოტოლი.

ათი წლისა იყო ფრიქსე, მეორედ რომ დაიბადა. ჩვილივით დამფრთხალი და გაცოცხლებული ათვალეირებდა უცხო გარემოსა და სახეებს, გაღიმებულნი მისკენ რომ იხრებოდნენ, რაღაცას ეუბნებოდნენ, მაგრამ ფრიქსეს ჯერ არ ესმოდა მათი ენა, ჯერ კიდეც არ იყო მათი; აცახცახებულ ფეხებზედაც მამასავით გაუბედავად იდგა, მაგრამ თუ ცხოვრება უნდოდა, თავიდან უნდა ესწავლა სიარულიცა და ლაპარაკიც. რაც აქამდე იცოდა, აღარაფერში აღარ გამოადგებოდა, უნდა დაევიწყა, სამუდამოდ, ძირფესვიანად, რადგან აქამდე მხოლოდ იბადებოდა, ნამდვილი ფრიქსე ათი წელი იბადებოდა, ათი წელი საშოს წყვდიადში ეძინა და შემზარავ სიზმრებს ხედავდა. ქვეყანას, სადაც ნამდვილი ფრიქსე იშვა, არაფერი ჰქონდა საერთო იმ სიზმრებთან, ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ რომ ესიზმრებოდა, ათი წლის განმავლობაში სისხლს რომ სწოვდნენ გოლიათი წურბელებივით, შიშს რომ აჩვევდნენ, შიშსა და მორჩილებას, მაგრამ როგორც არ უნდა ცდილიყო ფრიქსე მათ დავიწყებას, ისინი მაინც არსებობდნენ, ისინი იმ ქვის მეორე მხარეზე ეხატნენ, რომელზედაც ფრიქსე იკიდებდა ახლა ფეხს და საკმარისი იყო ქვა ფეხქვეშ ამობრუნებოდა, მაშინვე მშიერსა და გათოშილ წარსულს, არარაობას, არარსებობას დაუბრუნდებოდა. ყველაფერი ფრიქსეზე იყო დამოკიდებული, როგორ მოიქცეოდა, რას აირჩევდა: სიზმარსა თუ სინამდვილეს, მშობლიურ სილატაკეს თუ უცხო ფუფუნებას. ფრიქსემაც აირჩია; როგორც კი სასახლეში მიიყვანეს, თავს ძალა დაატანა, გაიქცა და ტახტზე მჯდომ კაცს ხელზე აკოცა. უნებურად ფრჩხილებზეც დახედა, მაგრამ ტახტზე მჯდომარეს ჩვეულებრივი ფრჩხილები ჰქონდა, შეუღებავი. ფრიქსეს რატომღაც გაუკვირდა, თითქოს რადგან შავფრჩხილება კაცმა გამოგზავნა, აქაც ყველას შავი ფრჩხილები უნდა ჰქონოდა. ახლა ფრიქსეს მთელი სიცოცხლე უნდა ეთვალთმაქცა, მთელი სიცოცხლე უნდა ეზიდა ტყუილი, დაბადებისთანავე რომ ათქმევინა ბედმა. რა უნდოდა, რატომ გაემეტებინა ბედს ასე, ბაბუაწვერასავით რომ ააფრინა ცაში და ქვემოდან სულს უბერავდა, არ აძლევდა მიწაზე დაშვების საშუალებას?! როდემდე უნდა ყოფილიყო ცაში გამოკიდული, ყველას დასანახად?! სანამ ბუსუსები არ გასცვივდებოდა?! მაგრამ როცა ტიტველი ღეროლა დარჩებოდა მისგან, კი არ დაეშვებოდა, არამედ დაენარცხებოდა მიწაზე. ფრიქსე ამას გრძნობდა და მტკივნეული დაცემის მოლოდინში ათენ-ალამებდა, აღსასრულის ეშინოდა, მაგრამ ერთხელ ნათქვამი ტყუილი უკან მოუხედავად მიერეკებოდა სიყალბის, თვალთმაქცობის, მორჩილებისა და დაფარული სიძულვილის გზაზე.

ფრიქსემ პირველსავე დღეს იგრძნო, რა შორს დარჩენილიყო მშობლიური ქოხი, ჩამოკონკილი დედ-მამაც და ჰელეს საფლავიც. ეს ყველაფერი იმდენად შორს იყო ახლა მისგან, ხანდახან თვითონაც ფიქრობდა, მართლა ხომ არ დამესიზმრაო, მაგრამ მაშინვე ისე ცხადად ეცემოდა ხოლმე იმ ქოხში გამეფებული შმორის სუნი, ისე ცხადად დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ დედის მოქუფრული სახე, ქუჩის კუთხეში პატარა სკამზე ჩამომჯდარი მამა, წინ რომ გოგრის მოხალული თესლით სავსე ტაშტი დაედგა, და გამჭვირვალე წყალში ჰელეს ოდნავ აქანავებული ფეხები, სხვას რომ ვერაფერს გააწყობდა ყელში მობჯენილ ცრემლთან, განჯინაში ძვრებოდა და

იქ, მარადიულ ნესტსა და სიბნელეში, გულსაკლავად ტიროდა თავის სიობლესა და სიმარტოვეს. არა, არ შეეძლო ფრიქსეს ყველაფრის დავიწყება, პირიქით, რაც დრო გადიოდა, მით უფრო რწმუნდებოდა, არც ძალა ეყოფოდა და არც სურვილი იმ ათი წლის ამოსაშლელად, ამოსაფხეკად თუ ამოსაპირკვად, რომლის უარყოფასაც ბედი ავადლებულვდა. კი ბატონო, ყოფილიყო ისე, როგორც ბედს უნდოდა, ის არ გადავიდოდა პირობას, არავის გაუმხელდა სიმართლეს, მაგრამ ასევე არ ეკითხებოდა არავის, რას ფიქრობდა იგი გულში, რაზე ოცნებობდა, რა ახსოვდა და ვის ესაუბრებოდა ღამლამობით ეკალბარდად ქცეულ საწოლში. მხოლოდ მაშინ იყო ბედნიერი ფრიქსე, როცა მარტო რჩებოდა, როცა სასახლე ჩაწყნარდებოდა და ძიძა-გადიები მთქნარებ-მთქნარებით უკანასკნელად დახედავდნენ ხოლმე საწოლებში გატრუნულ ბავშვებს. ფრიქსეს მაშინ შეეძლო, რამდენიც უნდოდა იმდენი ეხეტიალა თავის საკუთარ ქვეყანაში, რომელსაც მამის უნაყოფო მიწის ნაკვეთივით ძემვის ღობე ჰქონდა შემოვლებული, ძემვისა კი არა, ცეცხლისა, ცას რომ სწვდებოდა და გუგუნებდა მტრების გულის გასახეთქად. როცა არ უნდა მისულიყო ფრიქსე, ცეცხლის კედელი მაშინვე იპობოდა და სიტყვის უთქმელად ატარებდა, რადგან ამ ქვეყნის მეფე-დედოფალი მისი მშობლები იყვნენ: "უი, ჩვენი ბიჭი მოსულაო", - შემოკრავდა ტაშს დედოფალი და ტახტის მოოქროვილ საფეხურებზე ჩამორბოდა. უკან მეფე მოყვებოდა, გვირგვინოსანი, ხელში სამთავიანი გველი ეჭირა და ილიმებოდა, მეფურად. მერე ჰელეც მოირბენდა და წინ შეჭამანდით სავსე ქოთანს დაუდგამდა. სველი კაბა ტანზე შემოტმასნოდა და სანამ ფრიქსე მადიანად ილუკმებოდა, მოსვენებას არ აძლევდა, ჩქარა ჭამე, კარგი საბანაო ადგილი ვიცო. მშობლებიც ილიმებოდნან, უხაროდან, ერთად რომ ხედავდნენ თავიანთ შვილებს, მაგრამ დედა განგებ შეყრიდა ხოლმე წარბებს და ჰელეს გაუწყებოდა: აცალე, გოგო, ხომ ხედავ მშვიერიანო. ფრიქსე კი ილუკმებოდა, ილუკმებოდა და გული სიხარულით ებერებოდა, მისთვისაც რომ მოემზადებინა დედას შეჭამანდი. მერე დედა ცარიელ ქოთანს დააპირქვაკვებდა და შავფრჩხილებიან მსახურებს გასძახებდა: მოვიდა ჩემი ბიჭიო.

ასე იყო ყოველდამე, ასე გადიოდა დრო, და ის ქვეყანაც, ბავშვის ოცნებას რომ გამოეგონებინა და გაემშვენიერებინა, ფრიქსესთან ერთად თანდათან იზრდებოდა. ახლა მასაც გულწრფელად სჯეროდა, რომ ის პატარა, ძემვით შემოღობილი, უნაყოფო მიწის ნაკვეთი კი არა, მართლა მთელი სამეფო იყო, მამამისის სამეფო, და მერეც, როცა თავის შვილებს უყვებოდა ამ სამეფოზე, ეჭვიც არ ეპარებოდა, ყველაფერს სიმართლეს ამბობდა. ერთი რამე სტანჯავდა მხოლოდ, შვილებთანაც მალულად უხდებოდა მამისეულ ქვეყანაზე ლაპარაკი, თითქოს დიდ ბოროტებას სჩადიოდა.

მართალია, ფრიქსეს ყველანი კარგად ექცეოდნენ, მაგრამ ყოველთვის თვალშისაცემი, გადამეტებული და ამიტომაც გამაღიზიანებელი იყო მათი ყურადღება, მზრუნველობა და სიკეთე. რამდენჯერ გაუგონებიათ ფრიქსესთვის: ეგ უცხოა და უნდა დაუთმოო. ო, რა მწარედ ხვდებოდა გულში ამგვარი გამოქომაგება; იმიტომ კი არ ექომაგებოდნენ, თავისიანად რომ თვლიდნენ, არამედ, უცხო რომ იყო. ასეთივე უცხო იქნებოდა ყოველთვის, რათა მის ქომაგებს საშუალება ჰქონოდათ, კიდევ ბევრჯერ გამოეჩინათ და დაემადლებინათ თავიანთი სიკეთე და ხელგაშლილობა. ის ყოველთვის უცხო იქნებოდა, რადგან მათთვის არარსებული წარსული ჰქონდა. ფრიქსე უცხო იყო, შეკედლებული, დავალებული და იძულებულიც, ყველაფერი მოეთმინა, მოფერებაც კი. ღამლამობით მწარედ, ობლურად ტიროდა, მას ხომ მართლა არავინ ჰყავდა ცეცხლის გალავანს აქეთ, გულწრფელად შეეჩვილა თავისი სატკივარი. დაუმსახურებელი

მეფის შვილობა და ასევე დაუმსახურებელი პატივი ბორკილებად დასდებოდა სულზე, მაგრამ ამასაც ვერავის გაუმხელდა. ფრიქსეც ითმენდა, რადგან სხვა გზა აღარ ჰქონდა, სხვანაირად აღარ შეეძლო ცხოვრება და თუმცა დილამდე ელაპარაკებოდა კედელს, ფიცს უდებდა, აქ მეტის გამძვინვარებელი არა ვარ, ხვალვე გავიპარებო, დილით გაღიმებული გამოდიოდა დარბაზში, მოწიწებით ესალმებოდა ყველას და სიხარულით იბადრებოდა, როცა რომელიმე უფროსთაგანი იტყოდა: აი, შეხედეთ, ფრიქსეს უკვე პირიც დაუბანია, ფრიქსე ყველას გჯობიათო. ხოლო როცა ქარისა აყვირდებოდა: ნუ გამიჭირეთ თქვენი ფრიქსეთი საქმეო, ფრიქსე ფრთხილად, გული ამოუვარდებოდა ხოლმე, რადგან ეშინოდა, სხვებმაც არ ამითვალწუნონ ქარისასავითო. ფრიქსეს ქარისასი ეშინოდა და ეჯავრებოდა კიდევ, განსაკუთრებით იმ დღის მერე, როცა ქარისამ ხელი ჰკრა და ცხვირი ნიჩბის ტარზე მიარტყმევინა. მაგრამ მაინც არ უნდოდა, ქარისას აეთვალწუნებინა იგი. რას არ აკეთებდა მისი გულის მოსაგებად; კალიებს უჭერდა, ყველაზე ფართოფურცლიან ყვავილებს უკრეფდა, თუთას უბერტყავდა, არავის ანებებდა კალათას, რომელშიაც ქარისას საუზმე ეწყო, როცა სასეირნოდ მიდიოდნენ. ასე კი იმიტომ იქცეოდა, თავისკენ რომ გადმოებრებინა როგორმე, ქარისასაც შეემჩნია მისი "ერთგულება" და არასოდეს აღარ ეთქვა სხვების გასაგონად: ნუ გამიჭირეთ საქმე თქვენი ფრიქსეთიო. ფრიქსეს ეშინოდა ქარისასი და ეს შიში აიძულებდა, განუწყვეტლივ ყოფილიყო მის სიახლოვეს.

სინამდვილეში, მთელი სიცოცხლე გარბოდა ქარისასაგან, მაშინაც კი, როცა ცოლად შეირთო და ზედიზედ ოთხი შვილი გაუჩინა. რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო ამაზრზენი ხდებოდა დამალული ტყუილი, მით უფრო იზრდებოდა მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმეც. ქარისასიც იმიტომ ეშინოდა. იმიტომ ცდილობდა ყოველთვის მის სიახლოვეს ყოფილიყო, რადგან მისი ვარაუდით, ქარისა თავიდანვე დააეჭვა მისმა მეფურმა წარმოშობამ და იმიტომაც ამბობდა ხოლმე, ნუ გამიჭირეთ საქმე თქვენი ფრიქსეთიო. განა ფრიქსე მართლა მეფის შვილი რომ ყოფილიყო, ის ვერ გაბედავდა ქარისასავით პირდაუბანელად გამოსვლას დარბაზში? განა ბალიშის ქვეშ შეინახავდა ტანსაცმელს? ფრიქსე ხომ ბალიშქვეშ ინახავდა სათუთად დაკეცილ ტანსაცმელს, სანამ ქარისამ არ შეამჩნია. სიკვდილამდე არ დავიწყებია ქარისას დამცინავი ხმა, ასკინკილით რომ უვლიდა გარშემო ყაყაჩოსავით სახეაბრიალებულ ფრიქსეს და კაჭკაჭივით დასძახოდა: გლეხაჭუა, გლეხაჭუაო. მარტო ქარისა ამჩნევდა მის არამეფურ ჩვევებს, მაგრამ რატომღაც ზოგავდა, საქვეყნოდ არ ამხელდა, ალბათ, იმიტომ, მთელი სიცოცხლე ყურმოჭრილ მონად რომ გაეხადა, ებატონა მასზე. არც ის იყო შემთხვევითი, ქარისა მაინცდამაინც მას რომ მიაჩერდებოდა ეშმაკურად მოღიმარი თვალებით, როცა სააგარაკოდ მიმავალნი, ჩარდახიანი ნავით სოფლებს აუყვებოდნენ და ფლატეებზე გადმომდგარი სოფლელი ბავშვები ხელების ქნევით მისძახოდნენ: მეფის შვილებო, ჰაუუ, მეფის შვილებოო. ძნელი სათქმელია, რა უნდოდათ სოფლელ ბავშვებს, ნავში მსხდომთა გაბრაზება, თუ უბრალოდ შურდათ, გული სწყდებოდათ, თვითონაც რომ არ მისრიალებდნენ ამ ლამაზი და სწრაფი ნავით. ფრიქსე კი ოფლში იწურებოდა, სახე უხურდა და ცდილობდა ვინმეს მოჰფარებოდა, თითქოს თუ ფლატეზე გადმომდგარი ბავშვები შეამჩნევდნენ, მაშინვე იცნობდნენ და ახლა იმაზე აყვირდებოდნენ, ეგ არ არის მეფის შვილი, ეგეც ჩვენთან ერთად აქ უნდა იდგეს ფლატეზეო. ამ შიშმა, ტყუილის გამომჟღავნების შიშმა მიიყვანა იგი აიეტთან, მუხლებაკანკალებული, და ქარისას ხელი ათხოვინა. უფრო მიუახლოვდა, მიეტმასნა იმას, რისიც ეშინოდა, რასაც გაურბოდა, რადგან ეგონა, ასე უფრო შეუმჩნეველი დარჩებოდა ისიცა და მისი ტყუილიც, გარშემო რომ შემოხვეოდა, როგორც

ჩაძინებული გველი კურდღელს, რომელსაც გამოღვიძებისთანავე გადასანსლავდა. კურდღელი კი დაუცდიდა, ვერსად წავიდოდა, რადგან უკვე მოენუსხა გველს.

მერე შვილები გაჩნდნენ და დამალული ტყუილი უარესად გაიზარდა, გაოთხმაგდა, რადგან მისი ვაჟიშვილებიც სინამდვილეში იმ ტყუილის ნაყოფნი იყვნენ. ფრიქსემ მაშინ იგრძნო, რამხელა ცოდვა ჩაედინა: ახლა მის ოთხ ნაშიერს უნდა ეტყუებინა თავი მთელი სიცოცხლის მანძილზე. უფრო მეტიც, ვერასოდეს ვერ უნდა გაეგოთ, სამადლოდ რომ ჭამდნენ პურს, უცხოები რომ იყვნენ, შემოპარულნი, კედლებჩამომპალ ქოხიდან გამოგვილნი ბედისწერის ცოცხით.

ფრიქსეს აღარ შეეძლო ასე ცხოვრება. ანდა რისი მაქნისი იყო, რას აკეთებდა, არაფერს არ აკეთებდა და არც არავის აინტერესებდა იგი. თვითონ კი არა, მისი ბუდე და სამარე აინტერესებდა ყველას, მისი ბუდე და სამარე. აკი ასეც უთხრეს, შენგან არაფერი არ გვინდა, ბუდისა და სამარის მეტიო. ბუდე უკვე შექმნა, კი არ შექმნა, შავფრჩხილებიანმა ხელმა გუგულის კვერცხივით ჩადო სხვის ბუდეში, რათა გამოჩვევისთანავე სამარეზე ეფიქრა, რომელსაც როდისმე პატრონიც გამოუჩნდებოდა და ნარ-ეკალს მოჰგლეჯდა. არა, ის ნარ-ეკალი ჯერ სულზე ჰქონდა მოდებული ფრიქსეს და თვითონვე უნდა მოეგლიჯა. ანდა როდემდე უნდა ყოფილიყო ასე ცოცხლად დამარხული? რისი გულისთვის? მაგრამ... მაგრამ არც ისე ადვილი იყო ოცდახუთწლიანი დუმილის დარღვევა, ოცდახუთწლიანი მორჩილების დავიწყება, ოცდახუთწლიანი ვალიდან ამოსვლა. მაინც გადაწყვიტა შური ეძია სინამდვილეზე, ამდენი ხანი ცხვარივით თავჩალუნულს რომ აბალახებდა სხვის სამოვარზე, ამდენი ხანი ტყუილს რომ ალაპარაკებდა და დუქნის ბიჭივით ათვალთმაქცებდა. როგორმე შვილებისთვისაც უნდა შეეზიზღებინა სინამდვილე, როგორმე უკანვე უნდა გამოესყიდა თავიცა და ისინიც და მათთან ერთად დაბრუნებულიყო "ზღაპრულ ქვეყანაში", გოგრის თესლის სუნიით რომ ყარდა, ობი რომ მოსდებოდა, სიძულვილის შხამით რომ გაჟღენთილიყო, მაგრამ მართლა მათი იყო, მათი საკუთრება. ამიტომ თხრიდა სამი თვე მიწას მთებიდან ქალაქამდე, ამიტომ გამოიყვანა წყარო, რადგან სხვა არაფერი გააჩნდა თავისა და შვილების გამოსასყიდი. ბედნიერი იდგა თხრილში, რადგან შვილები გვერდით ჰყავდა, მათი ქმენა ესმოდა და დარწმუნებული იყო, არასოდეს არ მიატოვებდნენ ისინი. მაგრამ არ დასცალდა, უფრო ადრე მოკვდა, ვიდრე ფიქრობდა, თუმცა სიკვდილზე სრულებითაც არ ფიქრობდა მაშინ, სიკვდილი ბოლო მუხლი იყო პირობისა და ამ მუხლის შესრულებას არ აპირებდა, სწორედ ამ მუხლის წინააღმდეგ აჯანყებულიყო ოცდახუთი წლის მერე მთელი მისი არსება, მაგრამ, ეტყობა, დაუგვიანდა ამბოხი, ანდა უბრალოდ არ ეწერა, უპირო კაცის სახელით წასვლა ამ ქვეყნიდან. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც თავიდან გაურიგდნენ ერთმანეთს ისა და ვილაცა, რომელსაც აქ, ამ შორეულ ქვეყანაში მხოლოდ და მხოლოდ მისი "ბუდე და სამარე" სჭირდებოდა. უნებლიეთ ფრიქსემ პირობა პირნათლად შეასრულა, მაგრამ მაინც ბედნიერი მოკვდა, რადგან, სიკვდილის წინ გაიფიქრა, რომ მის "ბუდე-სამარეში" აღებული ფულით ჰელეს კარგა ხანს არ მოაკლდებოდა დედის ხელით დამზადებული შეჭამანდი.

აი, ასეთი მწარე იყო სიმათლე, რომლის გემოც ოცდახუთი წლის მერე გაუჩნდა აიეტს პირში. მედეა რომ შემოვიდა, აიეტი ტახტზე იჯდა და ფრიქსეზე ფიქრობდა. ის უკვე მიხვედრილიყო, ფრიქსე მტრის ბანაკიდან დაძრული პირველი ტალღა რომ იყო, ნაპირის მოსასინჯი, აბრეშუმისით ნაზი და უხმაურო, ასევე უხმაუროდ რომ ჩაიწრიტა სილაში და თეთრი, ტყემლის

ყვავილივით თეთრი ქაფი შეატოვა ნაპირს. ტალღის ქაფის სუნი ჰქონდა ფრიქსეს თმასაც და ესეც ახლა, ოცდახუთი წლის მერე გაახსენდა აიეტს. აიეტს ბავშვობიდანვე უყვარდა ეს სუნი, ზღვის პირას პირქვე დაწვებოდა ხოლმე, ცხვირ-პირს სველ სილაში ჩაჰყოფდა, ნაპირზე ამოვარდნილ ტალღას ზედ რომ გადაეგლო და როცა ტალღა გადაივლიდა, აიეტს ესმოდა, როგორ შიშინებდა მის შიშველ ზურგზე დარჩენილი ქაფი. ზღვა იზიდავდა, ისრუტავდა აიეტის გარუჯულ სხეულს, ქვიშას ჩხრიალით აცლიდა, მაგრამ აიეტი მაინც ახერხებდა თავის შემაგრებას ამოდრავებულ ქვიშაზე. ასე ეთამაშებოდა იგი ზღვას, რომელსაც მისი წაყვანა უნდოდა, მაგრამ ბიჭის ძარღვიანი და მოქნილი სხეული ყოველთვის პირში ჩალაგამოვლებულს სტოვებდა ამოდენა სტიქიას. ეს პატარა ბიჭი უკვე ისე კარგად იცნობდა ზღვას, სილაში ცხვირჩაყოფილს, მარტო ხმით შეეძლო გამოეცნო ტალღის სიძლიერე, შეეძლო გამოეცნო, სად დაეჯახებოდა უკან დაბრუნებული წყალი და ამიტომაც ყოველთვის ისე დროულად და მოხერხებულად გაარიდებდა ხოლმე სხეულს, გაწბილებულ ტალღას ქვიშისა და ხმელი ნაფოტების მეტი ვერაფერი მიჰქონდა. აიეტმა ბავშვობიდანვე იცოდა ისიც, რომ ტალღას ტალღა უნდა მოჰყოლოდა; ისიც იცოდა, მომდევნო ტალღა წინამორბედზე ძლიერი იქნებოდა. ტალღები კი ისევე და ისევე ფრიქსეზე ფიქრმა გაახსენა. ფრიქსე პირველი ტალღა იყო, მისი ვაჟები კი - მეორე, მეორეს მესამე მოჰყვა მოლიმარი უცხოელის სახით, ხოლო მესამეს, რა თქმა უნდა, მეოთხეც უნდა მოჰყოლოდა, რადგან ასე მოითხოვდა ბუნებისგან დადგენილი წესი და რიგი. სწორედ ამ მეოთხე ტალღის ამოცნობას ცდილობდა ახლა აიეტი, მეოთხე უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, უფრო თამამიცა და ხმაურიანიც. აიეტი ისე აწრიალდა, თითქოს უზარმაზარი, ყალყზე შემდგარი, თავზე მღვრიე ქაფმომბული ტალღა მართლა ეპარებოდა სილაში პირქვე ჩამხობილ ბიჭს.

მედეას ხელში ბლის კუნწულა ეჭირა. აიეტმა გაიფიქრა: რა დაემართათ ჩემს გოგოებს, მოსაკითხით რომ მოდიანო.

- ბალი მიირთვი, მამაჩემო, - შეჰღიმილა მედეამ.

- ბალი რომ მივირთვა, მერე რა უნდა მითხრა? - ჰკითხა აიეტმა და მართლაც მოუნდა ბალი, რადგან პირში ცუდი გემო ჰქონდა.

"კუნწულა მომეწონა და შენთვის მოვტეხეო", - უთხრა მედეამ. აიეტმა კუნწულას მარცვალი შეაწყვიტა და პირში ჩაიდო, თან გამომცდელად შესცქეროდა მოლიმარ ქალიშვილს, ეს მარტო ამ საქმისთვის არ იქნება მოსულიო.

მედეამ გაუძლო მამის დაჟინებულ მზერას და სანამ აიეტს ჩაეძინებოდა, გულუბრყვილო ღიმილი არ მოშორებია სახიდან. აიეტს კი ისე ჩაეძინა, კურკის გამოღებაც ვერ მოასწრო.

"როგორ დაბერდა მამაჩემო", - გაიფიქრა მედეამ და გული ჩაწყდა.

აიეტს კი ეძინა, მედეას დამზადებულ წამალს ყინწი მოეწყვიტა მისთვის და ჭაღარა, გაჩეჩილი თავი მკერდზე ჩამოვარდნოდა. მძინარე უფრო დიდი და შემზარავი ჩანდა.

მედეამ განჯინის გასაღები მაშინვე იპოვა, რადგან იცოდა, აიეტს კეფაზე ჰქონდა თმაში ჩაწნული. ახლა ტახტი უნდა გამოეჩოჩებინა, რადგან ტახტი ზუსტად იმ ფარდაგჩამოფარებულ განჯინაზე მიედგათ, რომელშიც ვერძის ტყავი ეკიდა. მედეა ტახტს მიაწვა, მაგრამ ძვრა ვერ უყო.

"მომეხმარეო" - გამწარებულმა გასძახა უცხოელს, მარმარილოს სვეტს რომ ამოჰფარებოდა. უცხოელმა მოირბინა და ამ სიმძიმე, ლომისფეხებიანი ტახტი, არანაკლებ მძიმე მეფიანად ადვილად გააჩოჩა, რადგან "ამირანის მალამოს" უკვე გაეჟღინთა მისი სხეული. ტახტს რომ მიაჩოჩებდა, აიეტის თავს ისე აკანტურებდა, თითქოს ცხენზე ჩამოსძინებიაო. აიეტს ეძინა, მაგრამ ყველაფერი ესმოდა და ხედავდა კიდეც, რადგან ეს ხელოვნური ძილი იყო და მისი გონება მთლიანად მაინც ვერ გამოეთიშა. აიეტმა ისიც იგრძნო, როგორ მოუხილა შვილმა თავი, თითქოს მკბენარი დასევიო; ისიც იგრძნო, როგორ გამოაჩოჩეს ტახტიანად შუა დარბაზში, როგორ გახსნეს საიდუმლო განჯინის კარი და რა ფაციფუცით გაახვიეს ფარდაგში ვერძის ტყავი, უკანასკნელად რომ გაიელვა და გააჩახჩახა აიეტის დარბაზი. "ჩქარა, ჩქარაო", - წარამარა იძახოდა უცხოელი და აიეტს უნდოდა ეთქვა: აი, შე ქალაჩუნა, შენა, ხმალი კი არა, თითისტარი უნდა გეჭიროს ხელშიო; მაგრამ არც ხმა ემორჩილებოდა და არც ხელ-ფეხი. ამქვეყნისა აღარ იყო. ერთი აიმედებდა მხოლოდ, რაკი ქალის კაბაში ხედავდა უცხოელს, ფიქრობდა, იქნებ მართლა მესიზმრება ყველაფერი, აბა, ვაჟკაცს კაბა რამ ჩააცვაო.

როგორც კი ძილის წამალმა ძალა დაჰკარგა, "მედეაო!" - იბღავლა საზარლად და ტახტიდან წამოვარდა, მაგრამ მედეა უკვე შორს იყო. გვიანლა იყო თავში ცემა და თვალების ბრიალი, შეცდომა დიდი ხნის წინათ ჩაედინა, ახლა იმ შეცდომის მოწეული ნაყოფი მოწყვიტა მხოლოდ, მწარე და ლორწოვანი. მისი ნდობა და გულკეთილობა უცხო თესლის ნაშიერებმა, მისი პურით გამოკვებილებმა და გაზრდილმა შვილიშვილებმა ბოროტად გადაუხადეს. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, როგორც კი საშუალება მიეცათ, მაშინვე თავიანთი თანამემამულის მხარე დაიჭირეს, თუმცა ის თანამემამულე იქამდე თვალითაც არ ჰყავდათ ნანახი. მისმა სიუცხოვემ მოხიბლათ და სისხლმა უგრძნოთ, თვითონაც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ისეთები, სხვანაირად რომ წარმართულიყო მათი ბედი. ამ უცნაურმა აღმოჩენამ ერთ წამში დაავიწყათ ფრიქსეს ვაჟებს ის ზრუნვა და ამაგი, რამაც ხელი შეუშალათ გამხდარიყვნენ "ისეთები" და დაუფიქრებლად ჩადგნენ ავაზაკთა სამსახურში, თითქოს მხოლოდ ამით დაამტკიცებდნენ თავიანთ ბერძნულ წარმოშობას.

ხიზანის ბუნებაც ხომ ასეთია. რა თქმა უნდა, მადლობელია, პური რომ გაუყავი, ჭერქვეშ რომ შეიფარე, ცეცხლთან ადგილი რომ გამოუნახე, მაგრამ, ამავე დროს გული შურით ევსება, რადგან მას არც საკუთარი პური, არც საკუთარი ჭერი და არც საკუთარი ცეცხლი გააჩნია. მართალია, შენ (მისი შემფარებელი) ამაში სრულებითაც არა ხარ დამნაშავე, მაგრამ მისი ფარული სიძულვილი უმთავრესად შენსკენაა მომართული, რადგან შენ გაქვს ის, რაც შეიძლება მასაც ჰქონოდა და თუკი ასეა, მაშინ ბუნებრივად იბადება მის აფორიაქებულ გონებაში ამგვარი კითხვაც: რატომ გაქვს შენ და არა მას? ისიც აღიზიანებს, ვალდებული რომაა მადლიერი იყოს შენი. მადლიერების ეს გრძნობა დამაკნინებელია, ის თავისთავად, ყოველგვარი განზრახვის გარეშე, მაღლა სწევს, უფრო გამოსაჩენს ხდის შენს უპირატესობას. რაც უფრო ხელგაშლილი და ღმობიერი ხარ ხიზანის მიმართ, მით უფრო სისხლჭარბი და დაუოკებელია მისი ღვარძლი. შენი ხელგაშლილობა თრგუნავს მას და უფრო ზრდის იმ ვალის სიდიდესა და სიმძიმეს, რომლის განაღდებასაც შენ არ ელოდები, მაგრამ "ვალი" თავის თავში ანაზღაურების აუცილებლობასაც გულისხმობს. ამგვარი "ვალი" კი უმთავრესად ისე ნაზღაურდება, როგორც ფრიქსეს ვაჟებმა აანაზღაურეს: ბოროტებით, ღალატითა და სისხლით, რათა თქვენ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენ,

კეთილსა და შემბრალებელს, დაგიმტკიცონ, რომ ისინიც რაღაცას წარმოადგენენ, მთლად სამოწყალოდ არ გახდომიათ საქმე. პირიქით, ისე გაგიხდიან საქმეს, თავად დაგჭირდეს მოწყალების თხოვნა; და თუ მართლა ასე მოხდა, მაშინ თვითონ იციან, მაშინ გაჩვენებენ, როგორ უნდა მოწყალების გაღება. მათ უკვე უსწავლიათ შენგან და საკუთარ კისერზედაც გამოუცდიათ, თუ რა ბოროტების მოტანა შეუძლია უთავბოლო, უანგარიშო სიკეთესა და ხელგაშლილობას. ისინი ხომ ზურგს უკან ყოველთვის დაგცინოდნენ, როცა პურს თანაბრად ჭრიდი მათთვისაც და საკუთარი შვილებისთვისაც; როცა შვილებს მეტი სიმკაცრით სჯიდი, თუკი უნებურად რამეს აწყენინებდნენ უცხო თესლის ნაშიერებს, მარადიულ ლტოლვილებს და ამით, რა თქმა უნდა, სიკეთის ნაცვლად ბოროტებას სჩადიოდი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ოჯახში შემოშვებული უცხო კაცი, ვინც არ უნდა იყოს იგი, შენს მზეს მაინც არასოდეს დაიფიცავს, რადგან შენს მზეს თავისი გოგრის თესლი ურჩევნია და ვიდრე შენთან მოვიდოდა, თავისი მზე ჰქონდა და ახლა ის მზე, რომელიც სადღაც ისევ არსებობს, სიშორისა და მიულწევლობის გამო, ასმაგად საყვარელი და სანატრელი გახდომია. შენი მზე იმ მზეს ვერასოდეს ვერ შეცვლის. გახსენებით კი გაახსენებს და უარესად დაასევდიანებს, გააბოროტებს. ის შენს მზეს უყურებს და თავისი მზე უდგას თვალწინ, შენს პურს ჭამს და თავისი პური ენატრება, შენს წყალს სვამს და თავისი წყაროს ჩუხჩუხი ესმის, რადგან ასეთია ადამიანის ბუნება, ადამიანისა არა, ხიზნისა. მეორეც ერთი... მეორეც ერთი, შენმა გაუთავებელმა ქადაგებამ კაცთმოყვარეობაზე, შენს საკუთარ შვილებს, რომლებიც იძულებულნი იყვნენ ესმინათ ეს ქადაგება, მრავალი არასწორი წარმოდგენა შეუქმნათ არა მარტო კაცთმოყვარეობაზე, არამედ საერთოდ ცხოვრებაზე. მათაც დაიჯერეს, რომ ყველგან, სადაც არ უნდა მოხვედრილიყვნენ ისინი, ისევე ხელგაშლილად და სიხარულით, ისევე უანგაროდ და დაუეჭვებლად მიიღებდნენ, როგორც შენ ფრიქსე მიიღე. ეს რომ ასე არ იყო, ყველაზე მწარედ ისევ შენმა ნაშიერმა იწვნია, შენმა უმცროსმა ქალიშვილმა. თუმცა თხუთმეტი წლის არც ერთ გოგოს არ შეუძლია თავიდანვე ეჭვის თვალით შეხედოს გრძნობას, რომლის განსაცდელადაც გაჩენილა და რომელსაც მთელი სიცოცხლე უნდა ემსახუროს, როგორც მეომარი დროშას. მედღე ასეც მოიქცა და ახლა მთელი სიცოცხლის მანძილზე, სიყვარულის სარეცელზე ცხედარივით გამოტოილს, პირმოკუმულს უნდა ეყვირა: იმიტომ, რომ მიყვარდა, მიყვარდა და მიყვარდაო. პირმოკუმულს, რადგან ხმამაღლა ვერც გაბედავდა ეთქვა თავისი ერთადერთი და მარადიული ღვთაების, ყველაფრის ამშენებლისა და ყველაფრის დამაქცევარის სახელი.

ახლა აიეტმაც იცოდა, შეცდომა რომ ჩაედინა, რადგან სწორედ ფრიქსეს ნაშიერებს გადაებირებინათ მის წინააღმდეგ დედაცა და დეიდაც, მისი ღვიძლი ქალიშვილები, და გუშინდელი ბიჭივით გაეცურებინათ კაცი, რომელიც საზარელი ხმითა და ღონით ომის ღმერთს ედრებოდა. მაგრამ აიეტის არსება მაინც წინააღმდეგი იყო, მიელო ეს შეცდომა, შეცდომა დაერქმია იმისთვის, რასაც ადამიანის მოვალეობად თვლიდა, სიკეთედ აღქმული ბოროტებად დაენახა. არა, აიეტს არ უნდოდა ასეთი ცოდნა, მაინც ვერაფერს ვერ ისწავლიდა მისგან, რადგან ახლაც, მოტყუებულსა და გაწბილებულს, ვინმე უპოვარი და უსახლკარო რომ მოსდგომოდა კარზე, დაუფიქრებლად მიიღებდა და სანამ რამეს გამოჰკითხავდა, ჯერ დააპურებდა. ასეთი იყო მისი ბუნება და ველარაფერი ველარ შეუცვლიდა, ანდა რალა დროს გადასხვაფერება იყო ამ სიბერეში. ამიტომაც დადიოდა სასახლის ეზოში ხელებგაშლილი, გაკვირვებული და სულელურად მოდიმარი. ვერ იჯერებდა, არ უნდოდა დაჯერება. რაც წამლით ჩაძინებულს ცხადად ენახა, გამოღვიძებულს სიზმრად ეჩვენებოდა.

მედეა კი უკვე შორს იყო. მის საწოლზე შეჭრილი კულუღი იპოვეს მხოლოდ. ალბათ დედისთვის დაეტოვებინა უკვალოდ გამქრალი სიქალწულის მოსაგონებლად.

მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. ნავსადგურიდან ზედიზედ გადიოდნენ მეომრებით გამეძგილი ხომალდები, ხოლო მეწინავე ხომალდის ქიშხე აიეტის ვაჟიშვილი, აფრასიონი იდგა; ის ამავე ხომალდით მობრუნდებოდა უკან, უფრო სწორედ ამ ხომალდით მოიტანდნენ მის გვამსაც, სხვა გემებთან ერთად. ეს აფრასიონმა უკვე იცოდა, იცოდა და მაინც მიდიოდა, რადგან ასე სურდა ბედისწერას.

აიეტს კი ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ მისი სწრაფი ხომალდები ნამდვილად დაეწეოდნენ ავაზაკებს და უკვე იმაზე ფიქრობდა, ვინ როგორ დაესაჯა. თუმცა გულის სიღრმეში რომ იხედებოდა, აღარავინ აინტერესებდა მედეას გარდა. მედეას გვერდით ყველანი პატარები და უფერულები ჩანდნენ. ასე თუ ისე, ყველას რაღაც გამართლება ჰქონდა, მედეას კი არა, მედეას უმიზეზოდ ეღალატნა მამისთვის და ყველაზე მეტად ეს აკვირვებდა აიეტს. იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის მედეას ღალატი, არც კი ცდილობდა რაიმე ახსნა-განმარტება მოეძებნა ამ ღალატისთვის. აიეტს სისხლი სტკიოდა და ამიტომაც იყო, სასახლის ეზოში აწყვეტილი გრიგალივით რომ დაძრწოდა და ბლაოდა: მედეა, მედეა მომიყვანეთო!

ქარისა, რომელიც ყველაზე მეტად გრძნობდა თავს დამნაშავედ, აღარავის ახსოვდა, არც არავინ ადანაშაულებდა და როცა თვითონაც დაწმუნდა, ძალდაც არავინ მაგდებსო, იგრძნო, როგორ ეზიზღებოდა ყველანი, ვის წინაშეც აქამდე თვალთმაქცობდა, ეშინოდა, ქმარ-შვილის განდგომა არ შემატყონ, თავი არ მომეჭრასო. ის კი თურმე არავის აინტერესებდა, არავის, არავის. "მედეა" - ბლაოდა მამამისი. "მედეაო" - ჩურჩულებდა სასახლის ყველა კუთხე-კუნჭული. მას კი დანაშაულის ჩადენაც არ შეეძლო თურმე, რადგან არაფერი არ იყო, ყვავილის მისამაგრებელი ადგილი და მეტი არაფერი, მოძრავი და მოლაპარაკე თოჯინა, ბავშვების სათამაშო, გასართობი. არა, თოჯინაც არ იყო, უბრალოდ არ არსებობდა, მხრებაწურული, საჭმელშეზიზღებულ ბავშვივით ამრეზილი, სანთელივით ერთ ღამეში გალუული და ჩამოღვეთილი, ამოდ დაბორილობდა სასახლის ტალანებში და მტკივნეულად, მარილდაყრილ იარასავით გრძნობდა, როგორი შეუმჩნეველი გამხდარიყო. დაწიოკებული, აღმა-დაღმა უთავბოლოდ მორბენალი მსახურები ზედ აწყდებოდნენ, ხელსა კრავდნენ, გზიდან იშორებდნენ. ან ისინი დაებრძავებინა უბედურებას, ანდა მართლა ვერავინ ვეღარ ამჩნევდა ქარისას, ვერავინ ვეღარ ცნობდა. ან ვის რად უნდოდა ქალი, რომლის ქმრობასაც სიკვდილი არჩიეს, ხოლო შვილებმა მეძავივით მოატყუეს: დასატყუარი დატყუეს და ფაცხაფუცხით გაიძურწნენ მისი სენაკიდან. "იქნებ მართლა აღარა ვარო", - ფიქრობდა ქარისა, მაგრამ გრძნობდა, გრძნობდა კი არა, ეშინოდა, ცოცხალი რომ იყო, რადგან მთელი მისი არსება განურჩეველ, განუსაზღვრელ, გაუნელებელ სიძულვილს გაეჟღინთა; ასე მძაფრად არასოდეს უგრძვნია სიცოცხლე, რადგან აღარ უნდოდა იგი, ყელში ამოსვლოდა, სუნი აეშვა, ამაზრზენი სუნი მძორისა, სიდამპლისა, სიბეჩავისა. ყველა და ყველაფერი ეზიზღებოდა, არა, ყველაზე ძალიან მაინც მედეა ეზიზღებოდა ახლა, რადგან მედეამ აჯობა, რადგან მედეა აღმოჩნდა ის, რასაც თვითონ მთელი სიცოცხლე თამაშობდა, რაზედაც ოცნებობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან არაფრის დათმობა არ შეეძლო და რაც თვითონ არ შეეძლო, სხვებისგან მოითხოვდა. ამიტომაც გაეპარნენ ყველანი. მედეა კი მოიტაცეს. კი არ გაეპარნენ, თან წაიყვანეს. მერე ვინ? ნამდვილმა მამაკაცმა, რომელსაც თვალეში ნადირის შუქი



უდგას და ფრიქსესავით უკან არ რჩება ფეხები, რადგან იცის, რა უნდა, რატომ უნდა, როდემდე უნდა. ქარისას ხომ ნამდვილი მამაკაციც არ განუცდია, არ ღირსებია, რადგან სულსწრაფი იყო და სულელი. განა საკუთარმა სისულელემ არ შეუწვინა ლოგინში მედუზა, თევზი, გომბეშო. საკუთარმა სისულელემ, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარმა სისულელემ. მაგრამ გომბეშომაც რომ იუკადრისა მისი სარეცელი, გომბეშოც რომ გადაუხტა ლოგინიდან?! "ოოოხ, ქვა ქვაზე ნუ ყოფილა, წყალს წაუღია ყველაფერიო", - იწყევლებოდა ქარისა და სადღაც, მისი სულის წყვდიადიდან დაძრული სიცივე ძვალ-რბილში უჯდებოდა, აცახცახებდა, ალურჯებდა, თითქოს მოტაცებულ დას მისი საბანიც დაეთრია და მთელი ქვეყნის თვალწინ გაეშიშვლებინა მიტოვებული, დამცირებული და დამარცხებული ქარისა.

ორი კვირის თავზე ჰორიზონტზე ხომალდი გამოჩნდა. ისე ნელა მოდიოდა, თითქოს ეზარებოდა და ვიღაცის უჩინარი ხელი ძალით მოათრევდა.

ქალაქი გაისუსა. ყველანი ცქერად იქცნენ. ქონგურზე გასული აიეტიც ზღვას გასცქეროდა, ზღვას კი არა, იმ ერთადერთ შავ წერტილს, თანდათან საავდრო ღრუბელივით რომ იზრდებოდა და ქალაქისაკენ მოიზლაზნებოდა. დაძაბულობისაგან ქვედა ტუჩი კბილებში მოექცია, ფართო, ნაფოტა კბილები სისხლისგან დასწითლებოდა. ხომალდი კი ნელა, ძალისძალათი უახლოვდებოდა ნაპირს.

"აფრასიონის ხომალდიაო" - იცნო ვიღაცამ და აიეტს სუნთქვა შეუგუბდა. მალე ანძაზე აცოცებული კაციც გაარჩიეს. კაცი უშნოდ იკლაკნებოდა, თითქოს ანძის წვერზე კუდიით ურჩხული მიუბამთო, ხელებს თავში იცემდა და რაღაცას ყვიროდა. ბოლოს ხმამაც მოაღწია: იგლოვეთ, ვანელებო, იგლოვეთო, - ყვიროდა ანძის წვერზე გასული კაცი.

ხომალდი მდევართა გვამებით იყო დატვირთული. გვამები ერთმანეთზე ეყარა და სისხლისაგან ჩამოშავებულ ხომალდის კიდეზე ზოგს გაშეშებული, ამაზრზენად დაკრუნჩხული ხელი გადმოეგდო, ზოგს - ფეხი და ზოგს კბილებდაკრეჭილი, თვალეგამტერებული თავი. ნაპირზე პირველად აფრასიონის გვამი გადმოიტანეს. მერე კი იხუვლა ხალხმა და ხომალდზე ავარდა, გეგონებოდათ, ქათმები ნაგავში ფეტვის მარცვალს დაემებნო. ისინი კი თავიანთ მკვდრებს დაემებდნენ და ისეთი სახეები ედოთ, თითქოს თუ ვერ იპოვიდნენ, წუხილისაგან გულები დაუსკდებოდათ.

აფრასიონს ფერდში ჰქონდა ჭრილობა, უშნო და ამაზრზენი, თითქოს გომბეშოსთვის პირი ძალით გაუღებინებიათო. ჭრილობას სისხლი შეხმობოდა. აიეტმა შვილის გვამთან ჩაიმუხლა და დიდხანს უყურა გაცრეცილ სახეში, თითქოს გვამს რამის თქმა შეეძლო. აფრასიონს რაღაცნაირი, თავზარდამცემი უზრუნველობით დამშვიდებოდა სახე და ასეთივე უზრუნველობით გაშოტილიყო მამის ფეხებთან, ყველაფრისგან თავდაღწეული და ყველაფრის მიმართ თანახმად გულგრილი.

აიეტმა ფრთხილად ჩაუყო ხელი აფრასიონს ჭრილობაში, შავი, შედედებული სისხლი ამოიღო და სახე მოითხუპნა.

- ღალატით, ხალხნო, ღალატით! - ყვიროდა ანძაზე გასული კაცი. - მილში დაგვხოცეს, ხალხნო, მილშიო!

ხომალდი რომ დაიცალა, ის ისევ ანძაზე დარჩა და ჩამოსვლას არც აპირებდა, თითქოს ამოდენა ხალხი თვითონ დაეხოცა და ახლა შურისძიების ემინოდა. უაზროდ ატრიალებდა ფოსოებიდან სანახევროდ გადმოყრილ თვალებს. ორი დღე და ორი ღამე იჯდა კიდეც გიჟი ანძის წვერზე და ორი დღე და ორი ღამე გადაბმულად, მოთქმით უყვებოდა ქალაქს იმ მწუხარე და შემზარავ ამბავს, რომლის მოწმეც თვითონ გამხდარიყო და რომელსაც გაეგიჟებინა კიდეც.

- დამ გაიტყუა აფრასიონი, ხალხო, საკუთარმა! უცხოელმა კი ფერდში მახვილი ატაკა! - მოთქვამდა გიჟი.

ორი დღისა და ორი ღამის მერე მოთმინებიდან გამოსულმა ვანელებმა ანძა ცულებით ძირში გადაჭრეს. ანძის წვერი ნაპირს დაენარცხა და ზედ მიბმული კაცი გაჭყლიტა.

დიდი დრო აღარ გასულა ამის შემდეგ, ისევ გამოჩნდა ხომალდი. ეს მეწინავე ხომალდი იყო. მალე მთელი დასალიერი გადაშავდა კრეტული, კუპრისფერი ხომალდებით. მეოთხე ტალღა მოისწრაფოდა კოლხეთის ნაპირებისკენ. ყველაზე დიდი მეფე დიდხანს ზრდიდა ამ ტალღას, დიდხანს ელოდებოდა ამ დღეს. და აი, ისიც გათენდა! ამ დღეს უნდა დაემთავრებინა, წერტილი უნდა დაესვა დიდი ხნის წინათ დაწყებული საქმისთვის. ყველაფერი მზად იყო საამისოდ. დაყოვნებას აზრი აღარ ჰქონდა. იასონის კოლხეთში გაგზავნის შემდეგ, კნოსის ნავსადგურში ფეხმოუცვლელად იდგა ხალხი. გარეცხილი, კუპრისფერი ხომალდები ნელა ირწეოდნენ დაოკებულ, ძალაგამოცლილ ტალღებზე, გრძელსა და წვეტიან ცხვირებს შუბებივით უღერებდნენ სივრცეს, მტრისაგან რომ აშორებდათ. ხალხსაც იმის გაგება აინტერესებდა, საით უმიზნებდნენ უფრო ზუსტად ამ მოჩუბარი ხომალდების წამახული ცხვირები. სხვა მხრივ ყველაფერი ნათელი იყო. კრეტელები მიჩვეულნი იყვნენ თავიანთი უძლეველი ფლოტის ასეთ უეცარ აფუსფუსებას, მისი გაცილებაც უხაროდათ და დახვედრაც, რადგან ხელცარიელი არასოდეს მობრუნებულა უკან. კვირაობით იცლებოდა ხოლმე ნადავლით მუცელგამოტენილი ხომალდები: მოედინებოდა აზმუვლებული პირუტყვი: ჭრელი, მტვრიანი, ტალახშემხმარი, კუდზე და ღაბაზე კიდეც რომ შერჩენოდა მშობლიური მინდვრების ბირკა; მოგორავდა ღვინისა და ზეთის კასრები; მოჩოჩავდა სკივრი და ბოლჩა; მოსლუკუნებდნენ ტირილისგან ფერგაცრეცილი, წიწილებივით აბუზული გოგო-ბიჭები, მოირხეოდნენ უძინარი, თმააბურღული ქალები, ჩამოხეული კაბები რომ ეცვათ, თითქოს საგანგებოდ, რათა უფრო თვალშისაცემი გამხდარიყო მათი უცხო ფერ-ხორცი. "დიდება მინოსს!" - ყვიროდნენ ნაალაფარის ხილვით აღზნებული დამხვდურები და ნაომარ, გამარჯვებულ, გაბღენძილ ჯარისკაცებს, მძიმედ შეჯავშნულნი, უზარმაზარ ხოჭოებივით რომ მოხობავდნენ კნოსის ვიწრო ქუჩებში, ყვავილებს ესროდნენ, ყველაფერს ესროდნენ, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. ჯარისკაცებს ჭრილობების, ოფლისა და დამარცხებული ქვეყნების სუნი ასდიოდათ.

კნოსელები არც ახლა შემცდარან, ახლაც საომრად ამზადებდნენ ხომალდებს, მაგრამ ვისთან, ვისთვის დაედგა მინოსს თვალი, არავინ იცოდა. ეს კი უარესად უშლიდათ საღერღელს, უარესად უღვივებდათ ცნობისმოყვარეობას. "გამაგებინე, თუ კაცი ხარ, სადაური ღვინით გვიპირებს

მინოსი დათრობას, ანდა სადაური ქალის საყიდლად ვაგროვებ ფულსო", - ლაზღანდარობდნენ ისინი, გამარჯვებით განებივრებულნი, დარწმუნებულნი, რომ ყოველთვის ასე იქნებოდა.

მინოსმა ეს უკვე ოცდახუთი წლის წინათ იცოდა, საით წავიდოდნენ დღეს, სწორედ დღეს, მისი შავი ხომალდები. მართალია, ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ჩაიფიქრა, მაგრამ ახლა დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ოცდახუთი წლის მოთმინებას ერთი წამის დაყოვნება წყალში გადაუყრიდა. ოცდახუთი წლის განმავლობაში ნაქსოვ ბადეს გაუგლეჯდა და ყველაფერი თავიდან გახდებოდა გასაკეთებელი. მინოსი დღევანდელ დღეს კოლხეთიდან იასონის სიკვდილის ცნობას ელოდებოდა, სასიხარულო ცნობას, რადგან ასე ჰქონდა ჩაფიქრებული, დარწმუნებულიც იყო, აიეტი ოთხად გაგლეჯდა თავქარიან ყმაწვილს, უტიფრად რომ მიადგებოდა და ეტყოდა: ვერძის ტყავის წასაღებად ჩამოვბრძანდიო. ხე, ხე... მათი საუბრის წარმოდგენაზე ყოველთვის გულიანად ეცინებოდა მინოსს, იმდენად სულელურ აზრებდად ეჩვენებოდა იგი. ბოლო-ბოლო მართლაც აზრებდა გამოვიდა, ათი წლის ბიჭმა უკეთ გაიგო, რასაც მოითხოვდნენ მისგან, ვიდრე ტახტის მამიებელმა ოყლაყმა. ფრიქსემ დავალება პირწმინდად შეასრულა, ბუდეც გაიჩინა და სამარეც, ბუდე საბერძნეთის ერთგული ბარტყებით იყო გაძეპგილი, სამარეში კი ბერძენი მეფის, დიას, ბერძენი მეფის ნემტი ესვენა და ვერავინ დაუშლიდა მგლოვიარე საბერძნეთს, ჩამომჯდარიყო ამ სამარესთან. იასონმა კი წაიფორხილა, ყველაფერი აურია, რადგან გმირობას მეფობა არჩია. იასონის სისხლიანი ტუნისკის ნაცვლად, რომლის დაკიდებასაც აპირებდა მინოსი მეწინავე ხომალდის ცხვირზე, თავად იასონი გამოეცხადა, თანაც ვერძის ტყავს აიეტის ქალიშვილიც მოაყოლა. ვის რაში უნდოდა ან ერთი, ან მეორე, ან მესამე. საბრალო ბავშვები! სიყვარულის ქალღმერთმა გამოსტაცა ისინი აიეტს სისხლიანი კლანჭებიდან. მართლაც ასე თქვა მინოსმა: "საბრალო ბავშვებიო" - როცა მოახსენეს, კოლხეთიდან იასონი დაბრუნდა აიეტის ქალიშვილთან ერთად. მაშინვე მიხვდა, რატომ არ მოხდა ყველაფერი ისე, როგორც მას ჰქონდა ჩაფიქრებული. მან ერთი შეცდომა დაუშვა, ყოვლად გაუთვალისწინებელი და ყოვლად მიუტყვებელი ისეთი მეფისთვის, როგორც თვითონ იყო. მას მედეა გამორჩა მხედველობიდან. მედეა! მინოსმა იცოდა, საკუთარი ტყავის გადასარჩენად ყველაფერს რომ იკისრებდა იასონი, ყველა ყუნწში გაძვრებოდა, ყველა კუთხეს დასუნავდა მგელივით, მაგრამ არ იცოდა, დაავიწყდა, გამორჩა, შესაძლებელი რომ იყო ერთ-ერთ კუთხეში მედეა დახვედროდა, თოჯინა და მხსნელი. ერთი სულელი გოგო ყოველთვის გაერევა საქმეში და თავდაყირა შეატრიალებს, რაც ბრძენს ოცდახუთი წლის განმავლობაში უფიქრია, აუწონია, გაუზომავს, აურწყია, გამოუთვლია, გამოუანგარიშებია. მედეა ხომ იმიტომ არსებობს, ბრძენისაგან განწირული გადაარჩინოს, რადაც არ უნდა დაუჯდეს. ასედაც მოხდა. იასონისგან გმირი არ გამოვიდა. მინოსს კი გმირი სჭირდებოდა, არა, გმირის სისხლი, რომელიც სულელი გოგოს წყალობით არ დაიღვარა და ამიტომაც აღარც ფასი ჰქონდა. მინოსმა გარკვევით უთხრა იასონს, რასაც მოითხოვდა მისგან. სხვაც ბევრი უთხრა, მაგრამ იასონი თუ მართლა ჰკვიანი და საზრიანი ყმაწვილი იყო, როგორადაც თავი მოჰქონდა, მხოლოდ იმ ერთი სიტყვისთვის უნდა დაეგდო ყური და ისე მოქცეულიყო, როგორც ის სიტყვა ავალდებულებდა, ის პატარა, ორმარცვლიანი, მაგრამ მრავლისმთქმელი სიტყვა. როცა იასონი პირველად დაიბარა მინოსმა, კარგა ხანს არ მიაქცია ყურადღება, ვითომც ვერც ამჩნევდა, სხვებს ელაპარაკებოდა განგებ, გულისყური კი მისკენ ჰქონდა, სწავლობდა, ამოწმებდა, შეიძლებოდა თუ არა ეთქვა მისთვის ეს პატარა, ორმარცვლიანი სიტყვა. ყოველ შემთხვევაში, გარეგნობა იასონს ნამდვილად გმირისა

ჰქონდა. ლამაზიც იყო, ახალგაზრდაც. მისი დაღუპვა ბევრ გულს შესძრავდა. მინოსი მოულოდნელად მოუბრუნდა იასონს და ჰკითხა: "შენ ვინ ხარო? "მე იოლკოსის ყოფილი მეფის შვილი და ახლანდელის ძმისშვილი გახლავარო", - დაუფიქრებლად უპასუხა იასონმა.

- არა, - თითქმის იყვირა მინოსმა, - შენ გმირი ხარ!

გმირმა კი ქალი მოიტაცა და ერთი გაქუცული ტყავის გულისთვის აიეტი მტრად გადაჰკიდა. იასონიც მედეასავით სულელი ყოფილა, ვერც ერთმა ვერ გაიგეს, რა ევალეზობდათ, მაგრამ ახლა ხელს ხომ ვეღარ ჰკრავდა ამ საბრალო ბავშვებს. ძნელია, მართლაც ძნელია ყველას მამიდობა. მართალია, მინოსი მეწინავე ხომალდზე იასონის სისხლიან ტუნიკს ვეღარ დაჰკიდებდა, მაგრამ საჩხუბარი მიზეზი მაინც ხელთა ჰქონდა: მის წარგზავნილ კაცს მდევარი დაადევნეს; ცხვრის ტყავი დაუკავეს და იძულებული გახადეს, მოეპარა იგი, ცხვრის გაქუცული ტყავი, ყველა მწყემსს, ყველა ოხერსა და ავაზაკს რომ აცვია; ქალი დაუკავეს და იძულებული გახადეს, მოეტაცა იგი, როცა ბერძენი მეფის სიძობას ყველა ქვეყანა ნატრობდა. კიდევ კარგი, იმ საბრალო ბავშვებს ქომაგი ჰყავდათ. ყველაზე დიდი მეფე ყველაზე დაჩაგრულთა ქომაგიცაა. ახლა იასონთან ანგარიშსწორებას აზრი არ ჰქონდა, არცა ღირდა. იასონმა, იასონმა კი არა, იასონმედეამ, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, გააკეთა ის, რაც ევალეზობდა. ამდენად, არა, როგორც მოსთხოვეს, მაგრამ ისე, როგორც შეეძლო. ასე მაინც დამნაშავეა, მაგრამ მისი დანაშაულის მიტევება შეიძლება. რაც მთავარია, ნადირი ბუნაგიდან გამოვიდა, გამოჩნდა და დასუსტდა კიდევ, რადგან ერთი ლეკვი ცოცხლად მოსტაცეს, მეორე კი მკვდარი მიუგდეს. ო, იასონ! ო, იასონმედეა! რას არ ჩაადენინებს კაცს სიყვარულის ქალღმერთი. ომისათვის მიზეზი კი არსებობდა, მაგრამ სინატიფე აკლდა, მინოსისებური სინატიფე: მიზეზი მაშინ არის ნატიფი, როცა შენიანის სისხლითაა შეღებილი და არა მოწინააღმდეგისა, რომლის სისხლიც სწორედ ამიტომ უნდა დაიღვაროს. რაც მთავარია, უკვე ყველაფერი გაირკვა, ამ საქმის ყველა მონაწილემ იცოდა, ვის რა წვლილი მიუძღოდა, ვინ რას გამორჩებოდა.

იასონმა ჯერ კიდევ დაუშრეტელი მდინარის ჭანჭრობებში, თორმეტნიჩბიან ხომალდზე, კოლხურ ბურუსში გახვეულმა იგრძნო, ჯაგებში შეყუჟული ნადირის გამოსატყუებლად გადმოსროლილი ქვა რომ იყო, მიწის გორიხი, განწირული, გამეტებული. მისი სიცოცხლე ყველას ფეხზე ეკიდა, ერთს თუ გადაურჩებოდა, მეორე დაგლეჯდა, რადგან ორივეს სისხლის დანახვა სჭირდებოდა, ერთმანეთს რომ დარეოდნენ. იასონს კი გადარჩენა უნდოდა მხოლოდ, მაშინაც და ახლაც, მეტი არაფერი, საკუთარი ტყავის გადარჩენა. მაგრამ ამასაც სისხლი დასჭირდა. იმ ქალის ძმის სისხლი, რომელმაც სიცოცხლე შეუნარჩუნა, არა, აჩუქა, ხელახლა გააჩინა. მერე რა, განა ასე არ ჯობდა იასონისთვის და იმ ქალისთვისაც, თუკი მართლა უყვარდა იასონი? ასე ჯობდა, ყველასათვის ასე ჯობდა, თანაც მალე იმდენი სისხლი დაიღვრებოდა, მედეას ძმის სისხლი შიგ წვეთივით ჩაიკარგებოდა, ყველანი თანაბრად მართლები, ანდა თანაბრად ცოდვილნი აღმოჩნდებოდნენ ღმერთების წინაშე. მოსახდენი უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდევ. ვანიდან უკვე მოჩანდა მინოსის შავი ფლოტი, რომელსაც ოყაჯადო მოუძღოდა.

ეს უფროსი ოყაჯადოს, აიეტის ბიძაშვილის ვაჟი გახლდათ, უკანასკნელი იმედი, შურისძიების ბურჯი ბატკნით გალახული მამისა, რომელიც სადღაც, ქვეყნის მეორე ბოლოში იმედსა და უიმედობაში სამუდამოდ ჩაფერფლილიყო, მაგრამ საკუთარი ფერფლიდან, თითქმის უკვე

გაციებული ფერფლიდან, მაინც ამოვდო ერთი ნაპერწკალი, რომელსაც მისი ამოუყრელი ჯავრის, მოურეველი სიბერისა და გაუთავებელი მოლოდინის ღამე უნდა გაენათებინა. ცოლი რომ ფეხმძიმედ შეიქნა, ისევ მიეცა იმედი დიდ ოყაჯადოს, მთლად არ გაეწირათ ღმერთებს, გაუზარავ ჭურჭელს უდგამდნენ გვერდით, რათა ახლა იმაში გადაეღვარა თავისი გაწყალებული ოცნება, ღვარძლი და ჟინი. ცოლმა რომ მოილოგინა და უთხრა: ვაჟი მომილოცავს, რა დავარქვათო, იფიქრა, ბევრი იფიქრა და თქვა, ამ ქვეყანაზე ერთი ოყაჯადო ყოველთვის უნდა იყოსო. მაინც ვერ მოეწრო სანატრელ დღეს. მისი ვაჟიშვილი ჯერ ჩიკორს ატრიალებდა, გუდანაბადი რომ აიკრა და სულეთის გზას დაადგა. ასე ჯობდა, დამშვიდებულმა და დაიმედებულმა მოუხუჭა თვალი ამქვეყნიურ სიაკვარგეს, სიმკაცრესა და ვერაგობას.

ოყაჯადო რომ წამოიზარდა, მამის სათქმელი ყველას მამობილმა, ყველაზე დიდმა მეფემ უთხრა: ტახტის მემკვიდრე ხარ, მაგრამ შენი ტახტი აქედან ძალიან შორსააო. მერე სახეში ჩააცქერდა და იქამდე უყურა, სანამ მისმა ნათქვამმა ოყაჯადოს ბრტყელსა და უძრავ სახეზე პირუტყვული, დაუოკებელი სიხარულის პირველი ნიშნები არ გააჩინა, როგორც თანდათან მზარდი, ერთმანეთის მშთანთქავი წრეები წყალში ჩაგდებულმა ქვამ. მერე კი ჰკითხა: მეფობა თუ გინდაო. რა უნდა ეთქვა ოყაჯადოს თანხმობის მეტი, თუმცა მღელვარებისგან თანხმობის თქმაც ვერ მოახერხა. მინოსი თვითონ მიხვდა, ოყაჯადო თანახმა რომ იყო. ოყაჯადოს მერე თვალით არ უნახავს ყველაზე დიდი მეფე, მაგრამ ერთხელ ნახვაც საკმარისი აღმოჩნდა, სამუდამოდ რომ გაჟღენთილიყო მისი სიდიადით, მარადიული, ხელშეუხებელი, სხვა ყველაფრის დამჩრდილავი მეფურობით, რასაც მთელი მისი არსება ასხივებდა. ამ არაადამიანურ სიდიადესთან საუბრის შემდეგ (მართალია, ოყაჯადოს სიტყვა არ დაუძრავს მინოსთან შეხვედრისას, მაგრამ რატომღაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, რომ ასე გულითადად, ასე საქმიანად და სასიამოვნოდ სხვასთან არავისთან ესაუბრა), ცოტა გაიბღინმა კიდეც, ღირსი ვარ და მაფასებენო. ოყაჯადო იმავე დღეს შეუდგა მეფობის, ამ მართლაც რთული, მაგრამ სარგებლიანი ხელობის შესწავლას. მას უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რადაც უნდა დაჯდომოდა, ტახტზე ამძვრალიყო, ვისიც არ უნდა ყოფილიყო იგი, სადაც არ უნდა მდგარიყო, გინდაც ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით. სიტყვა "ვანი", მომავალი მეფობის გარდა, სხვას არაფერს ეუბნებოდა. ათი სიცოცხლე რომ ეცხოვრა, ერთხელაც არ მოენატრებოდა, თუმცა, მინოსამდე, მიხრწნილი მამისაგანაც ბევრჯერ გაეგო მისი არსებობის შესახებ, "ჩვენ ვანელები ვართ, შვილოო", - ეტყოდა ხოლმე მამა და ხავსმოდებულ წვერზე აცახცახებულ თითებს ისე ჩამოისვამდა, თითქოს წვერზე შემხმარ მოლოდინის წლებს ითვლიდა. "ვიცი, მამიო" - ეძახდა ოყაჯადო და გაქცევაზე ეჭირა თვალი, რათა ჩიკორი ეზრიალებინა, ანდა წყაროდან მომავალ გოგოს ჩასაფრებოდა და მარჯვედ ნასროლი ქვით კოკა მხარზე დაემსხვრია. მაშინ ბავშვი იყო ოყაჯადო და არც გაემტყუნებოდა, გულს რომ ვერ უდებდა პაპისხელა მამასთან საუბარს, მაგრამ როცა მინოსმა ჩახედა სახეში და სისხლი სამუდამოდ გაუყინა, სამუდამოდ გააბრუა და გამოალენჩა, როგორც გველმა ბელურა, ოყაჯადოს ვანის გარდა არაფრის გაგონება აღარ უნდოდა. ვანში მეფობა ელოდა, მასაც შეეძლებოდა დიდ მეფესავით გარინდებული მჯდარიყო, სიტყვა არ დაეძრა, კენჭი არ გადაებრუნებინა საათობით, კვირაობით, თვეობით, უსასრულოდ. ერთს დარდობდა მხოლოდ, ვანში რომ წავალ და მეფედ დავჯდები, ნეტავ რას ვიზამ, აქაურობა რომ მომენატრებაო. მაგრამ მისი დარდიც ფუყე იყო, თავშესაქცევი - მეფობის მოლოდინში გაწეული

დროს უცებ გამოუხტებოდა და ფეხს ააჩქარებინებდა, როგორც შინისკენ მიმავალ, მთელი დღის ნაბალახარით გაზანტებულ ნახირს გოშია.

დიდი მეფე კი დუმდა, აყოვნებდა, თითქოს დავიწყებოდა თავისი დანაპირები. ოყაჯადომ დედისაგან იცოდა, დავიწყებაც მეფეთა თვისება რომ იყო, და გაურკვეველი მოლოდინით დამფრთხალი და დასევდიანებული, დატყვევებული მელიის ლეკვივით, წინ და უკან დაწრიალებდა ოთახში, ხოლო როცა დედა შეუძახებდა, დაეტიე ერთ ადგილას, შე არ გასაჩენო, ახლა დედას მიაშტერდებოდა პასუხისა თუ ნუგემის მოლოდინში. შვილის ბრტყელი და უძრავი სახის დანახვაზე ცუცას (ასე ერქვა ოყაჯადოს დედას) ქირქილი აუტყდებოდა ხოლმე, ერთ ხელს პირზე მიიფარებდა, მეორეს, გამოსაფხიზლებლად, ოყაჯადოს ამოჰკრავდა ნიკაპქვეშ და ქირქილებდა. ოყაჯადოს წამალიც ეს იყო, დედის ქირქილი. სანამ ცუცა არ მოილუმებოდა, იქამდე მასაც არაფერი ჰქონდა საგანგაშო. ცუცაზე კარგად არავინ იცოდა, რა ხდებოდა დიდი მეფის სასახლეში, ისიც იცოდა, რაც ახლო მომავალში უნდა მომხდარიყო. "მე გაგაჩინე და მევე დაგვამ ტახტზე, რომელზედაც მამაშენს უკანალი მოუცურდაო", - ეუბნებოდა ხოლმე ცუცა ოყაჯადოს და მასაც სჯეროდა. ასე სჯერათ ყველა სანუგემო სიტყვისა სიკვდილმისჯილ ტუსალებს. ოყაჯადოს დედა უყვარდა და გულის სიღრმეში ცოტა ეშინოდა კიდეც მისი, რადგან ცემა იცოდა. ცუცას აზრით ჯოხი ყველა მასწავლებელს ჯობდა და თვითონაც ყოველთვის სცემდა ოყაჯადოს, ბავშვობაშიც, როცა ბავშვობით დააშავებდა რამეს და მერეც, როცა წამოიზარდა და დედის უკითხავად, დედასთან შეუთანხმებლად დგამდა დაუფიქრებელ ნაბიჯს. როცა გალახული ოყაჯადო ჩაუფიქრდებოდა ხოლმე თავის საქციელს, დედამისი ყოველთვის მართალი გამოდიოდა, თუმცა დიდი ფიქრის თავი არც ბავშვობაში ჰქონია და არც დიდობაში. მაგრამ იმდენი ჭკუა კი ჰქონდა, დედის სიმართლე შეემჩნია და ელიარებინა კიდეც. ასე თანდათანობით, რაღა თქმა უნდა, წკეპლისა და სილაქის დახმარებითაც, განიმსჭვალა მთელი მისი არსება დედისადმი განუსაზღვრელი რიდითა და მოკრძალებით, რაც მთავარია, ნდობით, თუმცა, მეფობაზე ფიქრმა, ყველაზე დიდი მეფის თავზარდამცემმა დუმილმა და გაუთავებელმა მოლოდინმა, მაინც გადაადგმევინა კიდეც ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯი. არც ახლა ჰკითხა დედას და ახლაც მწარედ ინანა, თუმცა სარგებელიც ბევრი ნახა: დედა დაიამხანაგა, თანამზრახველად გაიხადა და მერე არც არასდროს დარღვეულა ცოდვითა და მკვლევლობით განმტკიცებული მათი კავშირი.

თავის პატარა ჭკუით რაკი ვერაფერი მოუხერხა გაურკვეველობის ღრუბელს, ფუტკრის გუნდით რომ დაბზუოდა თავზე, ერთ მშვენიერ დღეს ადგა და კნოსის სახელგანთქმულ მისანს ეწვია, ძღვნად ერთი ტომარა ხორბალი და ერთიც შავთეთრა ბატკანი მიართვა. მისანი გულწრფელად ჩაფიქრდა, არაფრის ამოკითხვა არ შეიძლებოდა ოყაჯადოს ბრტყელსა და უძრავ სახეზე, თითქოს სახე კი არა, გამომწვარი თიხის ნიღაბი აუფარებიაო. მისანმა მდულარეში გველის კბილი და ჭოტის თვალი ჩააგდო, ოყაჯადოს მორთმეული შავთეთრა ბატკნის ბეწვი და ერთი პემვი ხორბალი ჩაჰყარა და იქამდე ურია ქვაბს დაგრეხილი ჯოხით, სანამ ნახარში ფსკერამდე არ დაიყვანა, თან რაღაცას ბუტბუტებდა. ოყაჯადო მოთმინებით იცდიდა, დედაზე ფიქრობდა, ერთი დაანახა ჩემი თავიო. ბოლოს მისნის ხმამ გამოაფხიზლა. "ქვაბი აიღე და ნახარში პირში ჩამასხიო!.." - ეუბნებოდა მისანი.

- ცხელია, - შეწუხდა ოყაჯადო.

- ასე უნდა, - უპასუხა მისანმა, პირი გააღო და თავი უკან გადასწია. ოყაჯადო ისე მოიქცა, როგორც მისანმა დაარიგა. მერე ისევ თავის სკამზე ჩამოჯდა და არაფის მთქმელი, გაგეშებული თვალებით გეიზერით აბუყბუყებულ მისანს მიაჩერდა. მისანს ღია პირიდან ოხშივარი და მყრალი სუნის ამოსდიოდა. ითმინა ოყაჯადომ, ბევრი ითმინა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჰკითხა: ჰა, მეტყვი, ქალო, გასახარსაო. მისანმა პირში გაციებული მყრალი ნახარში გადმოაპურჭყა და თქვა, ამ პურს ადამიანის სისხლი ურევია, ეს ბატკანი ძაღლის რძითაა გაზრდილი, შენ კი მეფის შვილი არ უნდა იყო.

ოყაჯადოს უცებ ისე აეწვა ლოყა, თითქოს დედას სილაქი შემოეკრა. "ახია, რა მინდოდა, რას მოვეთრეოდი დედაჩემის უკითხავად", - ერთი მწარედ გაიფიქრა და დამძარბული გამოტრიალდა. ოყაჯადოს თითქოს უნდა დაეჯერებინა ამ გამურული ბებრუცუნასთვის, პირში ადუღებულ წყალს რომ იჩერებდა, გველის კბილსა და ჭოტის თვალს ყლაპავდა და მაინც არაფერი მოსდიოდა, მაგრამ გამოვიდა თუ არა მისნის აქოთებული ქოხიდან, მაშინვე მათხოვარივით აედევნა ეჭვი, მათხოვარივით დაეღრიჯა: შემამოწმე, ჩემი მაღლი მოიკიდე და არც შენ დაგიშავდება ამით რამეო. სად უნდა შეემოწმებინა ოყაჯადოს, სად მოეძებნა მაინცდამაინც იმ ხორბლის მომყვანი გუთნის დედა, ანდა ის დამთხვეული ძაღლი, თავისი ლეკვების ნაცვლად ბატკნებს რომ აწოვებდა ძუძუს. ერთადერთი, რაც ოყაჯადოს შეეძლო და რაც ყველაზე მეტად სცემდა თავზარს, რადგან ადამიანის სისხლგარეული პურიცა და ძაღლის რძით გაზრდილი ბატკანიც ფეხებზე ეკიდა, თავისი მეფური თუ არამეფური წარმოშობის დადგენა იყო. ამ საიდუმლოს ერთადერთი გასაღები ჰქონდა და ის ერთადერთი გასაღები დედამისს ჰქონდა მიბარებული, უფრო სწორად, საიდუმლოცა და საიდუმლოს გასაღებიც პირადად მას ეკუთვნოდა და, ვინ იცის, დროის ყუთში ჩადებული, როდის გადაეყლაპა ყუთიანად, ღრმად დარწმუნებულს, არასოდეს რომ აღარ დაჭირდებოდა იგი. ოყაჯადოს თუ სიმართლის გაგება უნდოდა, შიში უნდა დაეძლია, მორიდება ცოტა ხნით გვერდზე გადაედო და დედამისი, ყველაზე დიდი მეფის სასახლეში მიღებული ქალი, კოლხეთის ტახტის ღირსეული დედოფალი, მამამისის თანამეცხედრე, როგორმე აეძულებინა, უკანვე ამოენთხია ოდესღაც, ოყაჯადოზე ადრე გაჩენილი საიდუმლო მისი ჩასახვისა. როგორი გასაბედი იყო დედისთვის, თანაც ცუცასთანა დედისთვის, ამგვარი სათხოვარი? მაგრამ ეჭვმა აღარ მოასვენა ოყაჯადო, კალთა ჩამოახია, სახლამდე მოსდია და დაემუქრა კიდეც, ქვეყანას შეგიყრი, თუ მოწყალეობას არ გაიღებო. მაშინ კი დაფრთხა ოყაჯადო, ამ ოხერმა მართლა არ მომჭრას თავიო; ერთი პირობა ისიც გაიფიქრა, ალბათ ყველაზე დიდმა მეფემაც შეიტყო უკვე ეს ამბავი და იმიტომ აღარ მეძახისო. ამდენს კი ვეღარ გაუძლო, მაშინვე დედასთან მიძუნძულდა და ისე სხაპასხუპით მიაყარა, დედი, წუხელის სიზმარში მასწავლეს, თუ ძუძუს მომაწოვებ, სიბერემდის ვიცოცხლებო, თითქოს ვიღაცის დანაბარებს გადასცემდა. ცუცამ გამომცდელად შეხედა, მაგრამ ვერც მან ამოიკითხა რამე შვილის ბრტყელსა და უძრავ სახეზე, ეგ იყო, რომ ოფლით დასცვაროდა დამუწუკებული შუბლი. "დაკაცებულაო" - გაიფიქრა და შვილის სიბრიყვემ გული აუჩუყა, დედობა გაახსენა. ოყაჯადოს ერთი სული ჰქონდა, როდის შეიხსნიდა დედა გულსპირს, ადგილზე ცქმუტავდა და ხელებს იფშენებდა.

მერე არაფერი ახსოვს ოყაჯადოს, თეთრი, თავგაბრტყელებული ძუძუ რომ დაინახა, თვალები დაუბნელდა, ისე დააჭირა კბილები ძუძუსთავს, თვითონაც ვერ გაერჩია, რას ამბობდა. მაგრამ

ცუცამ გაიგო, გაიგო და გამწარდა კიდეც, რას იფიქრებდა, სიბერეში თუ გაუხსენებდნენ ცოდვას, თანაც ვინ? ვისთვისაც ეს ცოდვა ჩაედინა, ამ ცოდვის ნაყოფი, ცხენების ხვიხვისა, თივისა და ხმელი ნეხვის სუნში ჩასახული არსება, საჯინბოს ფიცრის იატაკივით ბრტყელი და უძრავი სახით რომ მოვლენოდა ქვეყანას. ცუცამ ძალით გამოგლიჯა გასისხლიანებული ძუძუ საკუთარი სითამამითა და გაგონილით უარესად აღზნებულ ოყაჯადოს, რომელსაც დორბლი და დედის სისხლი ერთად ჩამოსდიოდა ნიკაპზე და არც კი ცდილობდა, მოერიდებინა სახე გამწარებული დედის ფრჩხილებისთვის. ცუცა ისე გაშმაგებული ჰპორჰყნიდა შვილის სახეს, თითქოს მთის სველ ფერდობზე დაცურებული, თავის შეკავებას ცდილობსო. მკლავები რომ დააწყდა, ერთხელ კიდეც მიახალა: მეჯინბის შვილი ხარ, შენი ადგილი ფუნაშიაო, და ოთახიდან გავარდა.

ოყაჯადო კი, კიდეც დიდხანს იდგა ასე გაშტერებული, ჩამობლორტნილი, დედისა და საკუთარი სისხლით სახეგადარეცხილი. არც ერთი ნაკვთი არ შერხევია. თვალები კი თანდათან აუბრტყვიალდა და ტუჩის კუთხეებში ჩასახული ღიმილი მალე მთელ სახეზე გაეფოთლა, თითქოს საჯინბოს ახლახან მორეცხილ იატაკს ჭერში დარჩენილი ნასვრეტებიდან მზემ ჩამოხედაო. ოყაჯადოს ხარხარი აუვარდა. იატაკზე დაგორდა და ფეხები ააპარტყუნა, თითქოს ვიღაცას იგერიებდა, ახლოს არ იკარებდა, მართოს რომ ეხარხარა, მართოს განეცადა იატაკზე კოტრილის სიამტკბილობა. ოყაჯადო თავისი ბედის მადლობელი იყო, მეჯინბის შვილისთვის მეფობა დაეკისრებინა, და ახლა ვანში კი არა, ვანზე შორსაც წავიდოდა, უსიკვდილოდ აღარ დათმობდა, რაც უკვე ხელის გაუნძრევლად მოეპოვებინა, ბედისა თუ ცუცას შორსმჭვრეტელობის წყალობით. "დიდი ქალია დედაჩემიო", - აღტაცებით ფიქრობდა ოყაჯადო.

მეორე დღეს მეჯინბე თავგაჩეხილი იპოვეს თავლაში. მკვდარი კაცის სიახლოვით დამფრთხალი ცხენები ერთ კუთხეში მიყუჟულიყვნენ და თავაწეულები, კბილებდაკრეჭილები ხვიხვინებდნენ. მართო ცუცამ იცოდა, სად ეძებნათ დამნაშავე, მაგრამ ერთი ღამის ნაქურდალ სიყვარულს, რომელიც უკვე წარსულს ჩაბარებოდა, მაინც კაცისმკვლეელი შვილი ამჯობინა, რადგან ის შვილი მომავლისთვის სჭირდებოდა.

მართალია, ოყაჯადოს ზურგს უკან ყველაზე დიდი მეფე ედგა, გამარჯვებაც წინასწარ ჰქონდა განაღდებული, რადგან აიეტს ახლა მინოსის ჯარი კი არა, ზავშიც მოერეოდა, მაგრამ მაინც ვერ გაბედა ვანის ნავსადგურში შესვლა, ისევ ავაზაკების გაკვალული გზა აირჩია და თავისი ფლოტი დაუშრეტელ მდინარეში შეიყვანა. ჯარი მაშინვე ნაპირზე გადმოსხა და სწორედ აქ, ვანსა და დაუშრეტელ მდინარეს შორის დაელოდა აიეტის უკანასკნელ გაბრძოლებას. აიეტი დამარცხდა. რომ დამარცხდებოდა, თვითონაც იცოდა, მაგრამ უბრძოლველად არ უნდოდა ვანის დატოვება. ახალმა ღალატმა კიდეც უფრო გააცეცხლა და დააბეჩავა იგი. მხედართმთავრების უმრავლესობა, რომლებიც ჯერ კიდეც გუშინ აიეტის მზეს ფიცულობდნენ, ყველასათვის მოულოდნელად ოყაჯადოს ბანაკში აღმოჩნდნენ. ამდენი ხნის ნათემნმა ჯავრმა და უბედურებამ ერთბაშად დარია ხელი აიეტს და მისი პირადი მცველები იძულებული გახდნენ, თოკებით გაეკოჭათ ეს ლომივით მძვინვარე კაცი და ასე გაკოჭილი გაეტაცათ მისივე ქალაქიდან, სადაც დღეის იქით ფეხი აღარ დაედგმებოდა და სადაც ბედმა თუ უბედობამ ამდენი ძირმწარე ბალახი აღეჭვინა და ამდენი სისხლნარევი მიწა აჭამა. ბალღივით უმწეო, ბალღივით აღნავლებული აიეტი სამუდამოდ განარიდეს მშობლიურ ქალაქს. ვინც უკანასკნელად მისი ქვითინი გაიგონა, სიკვდილამდე აღარ დავიწყნია; ვინ იფიქრებდა, თუ იმ გოლიათ და მრისხანე კაცს ტირილი შეეძლო. იმანაც



გაკვირვა ყველანი, რომ აიეტი თავის დამარცხებას, ვერაგულად მოკლულ ვაჟიშვილს, გაპარტახებულ სახლ-კარს კი არ დასტიროდა, არამედ თავის უმცროს ქალიშვილს, რომელსაც ყველა მის უბედურებაში მიუძღვოდა წვლილი. "შენ რა გეშველება უჩემოდ, ჩემო უბედურო შვილო", - დედაკაცივით ქვითინებდა აიეტი.

დაუშრეტელ მდინარესთან ბრძოლა ისევ გრძელდებოდა, მტრედის ფეხებივით გაეწითლებინა სისხლს ტირიფებისა და ძეწნების ქათქათა ძირები. თუმცა აიეტი აქ აღარ იყო, მაგრამ მისი ერთგული მეომრები ფეხს არ იცვლიდნენ და უკანასკნელ კაცამდე ჩაიხოცნენ კიდევაც.

ოყაჯადო რომ ვანში შევიდა, ვანელებმა თუ მის მიერვე წინასწარ გაგზავნილმა ხალხმა (ეს ბოლომდე გაურკვეველი დარჩა), ქალაქის გალავნიდან აიეტის სასახლეზე ქუჩები ფარდაგებით მოჰფინეს და ზემოდან ჭრელაჭრულა ყვავილები მოაბნიეს. ქალაქი გასუსული ელოდებოდა გამარჯვებულს, თითქოს ერთბაშად დაჰკარგვოდა უნარი წინააღმდეგობისაც და აღტაცებისაც. თუმცა ერთმა ვანელმა თავისივე სახლის ბანიდან გადმოაფსა მოფარდაგებულ ქუჩას და როცა ოყაჯადოს ჯარისკაცმა ყელში შუბი ატაკა, სისხლთან ერთად ამოანთხია: გაუმარჯოს აიეტსო.

დაუშრეტელ მდინარეზე ტევა აღარ იყო. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ხომალდები, რომელთაც, ჯარის გარდა, აიეტის მიერ განდევნილთა ოჯახებიც მოჰყავდა. შურისძიება ამოდიოდა ჭიდან. სამშობლოში დაბრუნებულნი აღარ უცდიდნენ ხომალდის დაყენებას, პირდაპირ წყალში ხტებოდნენ და ნაპირისკენ მიცურავდნენ, მერე წელამდე წყალში მიბორძიკობდნენ, მერე მიხობავდნენ და ასე ხოხვით ადიოდნენ სანატრელ ნაპირზე, გაშმაგებულნი კოცნიდნენ და ჭამდნენ შლამსა და ტალახს.

ნათქვამია, ცხენს პატარა კოლოც მოერევა, თუ დიდი მგელი მიეშველებაო. ასედაც მოხდა. დაუშრეტელი მდინარის ნაპირები შურისმაძიებლებით გაივსო. ბევრი მათგანი შორს, ღვინისფერი ზღვის ოთხმოცდაათქალაქიან კუნძულზე დაბადებულიყო, მაგრამ მშობლებს ბავშვობიდანვე ისე ჩაენერგათ დაკარგული მიწის სიყვარული, ახლა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამ სიყვარულის გამომჟღავნებაში.

დედები მღვრიე ზვირთებში ძუძუთა ბავშვებს თავებს აყოფინებდნენ, ჭუჭყიანი ჩვრებივით ავლებდნენ და გულიანად იცინოდნენ, როცა აღნავლებულ ჩვილებს ნესტოებიდან და ყურებიდან სილიანი წყალი თქრიალით ჩამოსდიოდათ. "განიბანეთ, განიბანეთო!" - ყვიროდნენ აღზნებული დედები და ნაპირზე გამოსულებს ხამისფერი, სველი კაბები ისე შემოტმასნოდათ, ისე მძიმედ მოაბიჯებდნენ, თითქოს ეს წუთია, თავისთავად გამოძერწილან თიხისგანო. ხალხი სიმღერით გროვდებოდა ძეწნებისა და ტირიფების ქვეშ, თუმცა კი არ მღეროდნენ, ყვიროდნენ, საკუთარი ხმა რომ გაეგოთ როგორმე. სახეზე ყველას ცრემლი ჩამოსდიოდა, მაგრამ ვერც კი გრძნობდნენ, ვერ გაერჩიათ - ცრემლი იყო თუ მდინარის წყალი, საიდანაც ეს წუთია ამოსულიყვნენ. თანდათან ნაპირი ისე გაივსო, ფეხის მოსაკიდი ადგილიც არ დარჩა. ბევრნი ისევ წელამდე წყალში იდგნენ და იქიდან აწვდიდნენ ხმას სამშობლოში დაბრუნების სიმღერასა თუ ღრიანცელს. ამოდენა უსახლკარო ხალხი ერთ შენივთულ, ატორტმანებულ, აღნავლებულ, ამღერებულ და აყაყანებულ მასად ქცეულიყო და ერთი ჭერი ედგა თავზე: სიხარული! ბოლომდე გაურკვეველი, თავმოუყრელი, სტიქიური, მაგრამ მაინც

სიხარული. ვერ გაიგებდით, სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა, რადგან ადგილიდან ვერ იძვროდა, ადგილზე იტკეპნებოდა, ფეხს ინაცვლებდა, სანამ ამ უზარმაზარ ჭრელ მასასა და სანატრელ ქალაქს შორის ძმათა ხელჩართული ბრძოლა გრძელდებოდა, დაუნდობელი, სისხლიანი, გაუთავებელი.

წყალუხვი მდინარის ნაპირები სანახავად ერთდროულად გულის ამაჩუყებელიც და ამაზრზენიც იყო. თვითონ მდინარე კი, ნაპირიდან ნაპირამდე, ჭრელაჭრულა ძონძებს, თივით გატენილ თოჯინებს, ლერწმით თავდაცობილ დოქებს, თავსაფრებსა თუ ნიჩბის ნამტვრევებს, რაც ხალხს ნაპირზე გადასვლისას დაჰკარგვოდა თუ მოეშორებინა, ერთიანად დაეფარა. მდინარის წყალი ამ უსარგებლო ძღვენს ატრიალებდა, აქუჩებდა, როგორც გამოცდილი ნაგაზი ფარას და მერე გაშლილი ზღვისკენ მიაქროლებდა.

მეორე ნაწილი

უხეირო

უხეირო საკაცეზე იწვა. სპილენძისფერი, დაკუნთული მარჯვენა საკაციდან ჩამოვარდნოდა და ისე ქანაობდა, თითქოს სისხლიანსა და ბობოქარ ცხოვრებას სამუდამოდ ემშვიდობებოდა. ასე ფიქრობდნენ მეომრებიც, სიცხითა და ამსიმძიმე კაცის თრევით გუნება რომ მოშხამვოდათ. რაც უფრო ახლოვდებოდა ვანი, მით უფრო მძიმდებოდა ტვირთი, მით უფრო უაზრო ეჩვენებოდათ თავიანთი ჭაპანწყვეტა. უხეირო ამქვეყნისა აღარ იყო. ან რა შეიცვლებოდა, გინდაც მიეღწია ვანამდე და სიკვდილის წინ თვალი შეევლო ქალაქისთვის, აგერ ბარე ოცდაათი წელი გულში ნატვრად რომ დაატარებდა. ისიც საკითხავია, იცნობდა თუ არა.

უხეირო ნამდვილი მეომარი იყო, იარაღით არჩენდა ოჯახს და ახლა აღარც კი ახსოვდა, როდის მოხდა, თივით გატენილ ტიკინაზე ხელმიჩვეულმა, ნამდვილ ადამიანს რომ ამგერა შუბი და პირველად ჩახედა მომაკვდავს თვალეში; მომაკვდავს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ საცოდავად დამანჭული პირიდან სიტყვის ნაცვლად სისხლი ამოსდიოდა. იმის მერე უხეიროს ხელიდან აღარ გაუგდია შუბი. ის კი არა, ქალთან რომ წვებოდა, შუბსაც იქვე, საწოლის გვერდით დებდა, ადვილად რომ მიწვდენოდა. ბევრი კაცი მოეკლა უხეიროს, თვითონაც ბევრჯერ გადარჩენოდა სიკვდილს, მაგრამ ამ საქმეზე ხელი მაინც არ აუღია, რადგან სხვა არაფერი იცოდა. "იქამდე ხარ კაცი, სანამ მეორე კაცის მოკვლა შეგიძლიაო", - ამბობდა ხოლმე იგი.

უბედურება ისე მოულოდნელად გამოტყვრა, ყველას გული დასწყვიტა. მით უფრო, რომ ბრძოლა უკვე დამთავრებული იყო.

უხეიროს ბრძოლის ველზე არჩეული შუბები ფიჩხის გუდურასავით ამოვლიავენინა და გვამებზე მოაბოტებდა. პატრონმკვდარმა, გაგიჟებულმა ცხენებმა, ჩაწყნარებულ ბრძოლის ველზე საომარ ეტლს უთავბოლოდ რომ დააქროლებდნენ, არხეინად მომავალ უხეიროს ხელნის თავი კეფაში წაჰკრეს და წაქცეულს ფეხებზე ეტლი გადაატარეს. მოულოდნელი დარტყმისაგან დარეტიანებულმა და გაოცებულმა უხეირომ გაიფიქრა, საქვეყნოდ მომეჭრა თავიო. მერე წამოდგომა სცადა, მაგრამ წელქვევით მოწყვეტილი სხეული ვედარ დაიმორჩილა. მწარედ გაეღიმა, ეგეც შენი ვანიო, და ხელისგულეზე დაყრდნობილმა უაზროდ მიმოიხედა ირგვლივ. სადღაც ცხენი ჭიხვინებდა, დანახვით კი ვერაფერი დაინახა. "შუბები რა მექნაო", - ახლა ეს გაიფიქრა უხეირომ და ხელები, მის უზარმაზარ სხეულს სვეტებივით რომ იმაგრებდნენ, უცებ ისე აუმაგმაგდა, იძულებული გახდა დაწოლილიყო. უხეირომ თვალი დახუჭა, ხოლო როცა ისევ გაახილა, საკაცეზე იწვა, მის ქალიშვილს, ათი წლის პოპინას, მხარზე მამისეული შუბი გაედო და საკაცეს მოჰყვებოდა. შუბი ბავშვს აწვალებდა, გეგონებოდათ, მასში ჩასახლებულ სულს გაუღვიძია და გართობა მოსდომებიაო. ბავშვის სუსტსა და გამოუცდელ ხელებში თავს ლაღად გრძნობდა. პატრონს ამდენს ვერ გაუბედავდა. უხეირომ იცოდა, სად ჩაევლო და როგორ ჩაევლო ხელი. ამ ხელის დაუდევარი, მტკივნეული და ამავე დროს სასიამოვნო ჟრუნტელის მომგვრელი შეხება შუბს საბრძოლველად ადაგზნებდა ხოლმე. ახლა კი პამპულობის გუნებაზე დამდგარიყო. მის ახალ მტერთველს უნდა სცოდნოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. როცა ამ ბავშვმა პირველად დაუპირა აღება, ნაცნობი ტკივილის მოლოდინში უნებურად დაიძაბა, გაიღურსა, მოემზადა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ბავშვმა ერთი ბოლო აუწია, მხარი შეუყენა და ძლივსძლივობით ააწყვიტა მიწას მისი საამაყო ბუნკი. "მოკლედ, შეშასავით გამიღო მხარზეო", - გაიფიქრა შუბმა. ჯერ გაბრაზდა, მერე კი პამპულობის ხუმტურმა წამოუარა. ერთი-ორი წუთით გაიღურსებოდა ხოლმე ბავშვის მხარზე, ვითომ ბედს შევეჩვიეო, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ფიქრებში გაბლანდული ბავშვი მის არსებობას ივიწყებდა, უეცრად წინ გასხლტებოდა, დაყირავდებოდა, ბუნკის წვერით მიწას წაჩიჩქნიდა და ფიქრებიდან გამორკვეულ ბავშვსაც თან წაიფორხილებდა. "ხომ ხედავ, ვერ მორევიხარო", - დაუძახებდა ბავშვს ვიღაცა. შუბი კი კისკისებდა, სიცილისაგან მთელი სხეული უთრთოდა და უბზინავდა. ბავშვი ჯიუტობდა, თითქოს შუბის ვერაგობასაც ხვდებოდა და დაბეჭილ მხარზე უდარდელად აქანავებულ შუბს ორივე ხელს ისე უჭერდა, ძარღვები დაწყვეტაზე ჰქონდა.

"მამაჩემი მოკვდა", - ფიქრობდა ბავშვი. "ეგ შუბი ხელში აღარ აიღებაო", - ფიქრობდა უხეირო და ვერაფრით ვერ გაეგო, რა მოჰქონდა მის მეუღლეს ასეთი მძიმე, პოპინას რომ მოჰყვებოდა უკან. როდის-როდის მიხვდა და გაეღიმა: მის მეუღლეს არაფერიც არ მოჰქონდა, ფეხმძიმედ იყო.

შევიდოდნენ თუ არა ვანის კარიბჭეში, მარებს მშობიარობა დაეწყებოდა, თვითონ მშობიარობას გადაჰყვებოდა, თავის სანაცვლოდ კი, სამუდამოდ დაკუტებულ მეუღლეს ვაჟს აჩუქებდა. ასე რომ, უხეიროს ოჯახის წევრთა რიცხვი არ შეიცვლებოდა. ახალ სახლში, რომელსაც უხეიროს დაუცლიდნენ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის, ისევ იმდენივე შევიდოდნენ: უხეირო და მისი ორი შვილი, ათი წლის პოპინა და ჯერ კიდევ დაუბანელი, ჭიპშეუჭრელი ფარნაოზი.

უხეირომ გონება რომ დაჰკარგა, ყველაზე ადრე მასთან ერთგულმა მსახურებმა შუბუმ და ქალუკამ მოირბინეს. შუბუ მაშინვე მუხლებზე დავარდა და ყური გულზე დაადო. ცოცხალიაო! - ამოსძახა უკვე შეგროვილ ხალხს და ახლა მთელს ტანზე მოუფათურა ხელი, "არაფერი, არაფერი,

კაცო" - ბუტბუტებდა შუბუ. საქმე კი ცუდად იყო. ეტლის ბორბლებს უხეიროსთვის ორივე ბარძაყის ძვალი დაემსხვრია, კუნთები დაეგლიჯა, ჭრილობებიდან სისხლი თქრიალით იღვრებოდა. იმდენ ადგილას გადამსკდარიყო ხორცი, შეხვევას აზრი არ ჰქონდა. "მიწა დავაყაროთ", - თქვა ვიღაცამ.

როცა უხეიროს ფეხმძიმე ცოლი და ათი წლის ქალიშვილიც მოვიდნენ, უხეირო წელქვევით უკვე დაემარხათ. სისხლმა მიწაში გამოჟონა. მიწის ფხვიერი ზვინი თანდათან დამძიმდა, დადაბლდა და შეიკუმშა. მეორედ რომ გამოუცვალეს მიწა, სისხლის დენამ იკლო, ხოლო მესამედაც რომ გამოუცვალეს, სულმთლად შეწყდა. სამაგიეროდ უხეიროც გადასხვაფერდა: დაილია, დაიჭმუნა, გაშავდა. "იქნებ აჯობებსო..." - ისევ დაიწყო ვიღაცამ, მაგრამ შუბუმ მაშინვე გააწყვეტინა:

- უხეირომ ვანი უნდა ნახოს! - იყვირა შუბუმ.

გამოჩნდა თუ არა ვანის ჭიშკარი, მარეხს მუცელი ასტკივდა. ქალუკამ ტკივილებისაგან სახედაღრეჯილი მარეხი გზიდან გადაიყვანა და ქვაზე დასვა. "თქვენ წადითო", - დაუძახა დანარჩენებს. მაგრამ მეომრებმა საკაცე მიწაზე დაასვენეს და ნელა, ალბათ დრო რომ მოეგოთ და სახსრებისთვის ცოტა შვება მიეცათ, ქალებისაკენ გაემართნენ.

მარეხი ქვაზე იჯდა, გვერდით ქალიშვილი ამოსდგომოდა, ქალუკას თავზე დაედო ხელი. წელში მოკაკვულ მარეხს მუხლები მიეტყუპებინა, შუბლზე ოფლის მსხვილი და მზინავი წვეთები დასეოდა.

- დაიკარგეთ აქედან! - შეუღრინა მეომრებს ქალუკამ.

ქალუკას იმედი ჰქონდა, მარეხს შეტევა გადაუვლიდა და როგორმე შინამდე მიაღწევდნენ. მაგრამ მარეხი უარესად მოიკუნტა და ქვიდან ჩამოცურდა. თვალეში შიში და სასოწარკვეთა ჩასდგომოდა, ვერავის ვეღარ სცნობდა. ისე საცოდავად ილიმებოდა, თითქოს ცემას უპირებდნენ, გალურჯებული ტურები დაუწვრილდა, დაეჭიმა, გულაღმა გადაწვა და ხელები სახეზე აიფარა, თითქოს ისეთ სამარცხვინო საქმეს სჩადიოდა, უფლება აღარ ჰქონდა ქვეყნისთვის შეეხედა. "გოგო წაიყვანეთო", - დაუძახა გატრიალებულ მეომრებს ქალუკამ და პოპინას ხელი უბიძგა. მეომრებმა გზაზე დადებული საკაცე ისევ მხარზე გაიდეს და თითქმის სირბილით გასწიეს ვანისკენ.

უხეიროს არაფერი გაუგია. თვალი რომ გაახილა, უკვე შინ იყო, ტახტზე იწვა, ზეთის ჭრაქში ალი პარპალებდა, მაგრამ უხეირო მაინც ვერაფერს არჩევდა, უზარმაზარი, დამრგვალებული ჩრდილების გარდა, ოთახში რომ დაბორიალობდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ, ერთიანდებოდნენ და ისევ ითიშებოდნენ, ნელა და წვალებით, თითქოს წებო ჰქონდათ წასმული. სახლი უცნაური ხმებით იყო სავსე. თითქოს ჩრდილებიც ამ ხმებს დასდევდნენ დასაჭერად თუ გასადევნად. მდინარის ჩხრიალი, ტურების მოთქმა და ცხენების ხვიხვინი არეულიყო ერთმანეთში. სწორედ ამ ხმებმა დაუბრუნეს გონება უხეიროს, ჯერ იფიქრა ბანაკში ვარო, მაგრამ თითქოს მაშინვე, სადღაც, ძალიან ახლოს ჩვილი ატირდა. ამ ხმამ გაახალისა, მარეხი გათავისუფლებულაო, გაიფიქრა და წამოდგომა მოუნდა, სცადა კიდეც, მაგრამ ვიღაცის

უჩინარმა ხელმა შეაჩერა, უჩინარი ხელი წამოწევას უშლიდა, ისევ საწოლზე აბრუნებდა, სანამ ამ ხელის პატრონი, ისიც უჩინარი, ყალბი და არაბუნებრივი ხმით ეუბნებოდა: იწექი, უხეირო, იწექი, მარეხს აღარაფერი ეშველებო.

უხეირომ მაშინვე დაუჯერა ხელსაც და ხმასაც, დაუჯერა და ყველაფერსაც მიხვდა: ეს ახალი ცნობა იოლად და სწრაფად აითვისა მისმა არსებამ, რადგან ყოველგვარი შეზავებისა და შეპარების გარეშე მთელი ჯამფილა წამალი ერთბაშად გადააყლაპეს და ისიც ერთბაშად მორჩა და განიკურნა გაურკვეველობისაგან, იმედისაგან, ძრწოლვისაგან, ფუჭი ოცნებისაგან. მარეხი მოკვდა! ოთახში საგნები და სხეულები გამოიკვეთა. უხეირომ ყველანი იცნო. მართლაც, მარეხის გარდა, ყველანი აქ იყვნენ, მარეხი კი, რა თქმა უნდა, აქ ვერ იქნებოდა, რადგან მომკვდარიყო. უხეიროს არ აინტერესებდა ის წვრილმანები, რომლებიც მას გამორჩენოდა გონწასულობის გამო. განა სულ ერთი არ იყო? მისი გამოთიშვით ისარგებლა სიკვდილმა და მარეხი მოიტაცა. ფეხზე რომ ყოფილიყო, ასე არ მოხდებოდა, ასე რომ, მისი ბრალიცაა მარეხის სიკვდილი. "რა უცნაურია, - ფიქრობდა უხეირო, - მარეხი აღარ არის, არასოდეს აღარ იქნება. სანამ გონწასული ვეგდე, სიკვდილი გადაიბირა და ჩემს მაგივრად წააყვანინა თავი. გონება კი დამიბრუნდა, მაგრამ მარეხი სამუდამოდ დავკარგე. განა არ ჯობდა... ეი, სიკვდილო, მე რიდასთვის დამტოვე, ჰა? სიკვდილის რა ბრალია, კაცმა გონება არ უნდა დაკარგოს, უნდა გაძლოს, მოითმინოს, აჯობოს, ან თუ დაკარგავს, აღარ უნდა დაიბრუნოს უკან. ქალმა ერთხელაც რომ გაათიოს სხვაგან ღამე, სანდო აღარაა. გონებაც ასეა. მარეხი კი აღარ არის, აღარ შეხტება ძილში, აღარ გამიღიმებს, აღარასოდეს აღარ მეტყვის, როგორც იცოდა ხოლმე, რაღა გვიჭირს, თქვენს ხილვას რომ ველირსეთო. მარეხი წავიდა, სანაცვლოდ კი ეს აჩხავლებული ძონძები დატოვა, ქალუკას რომ სათუთად მიუხუტებია გულზე და ისე მიყურებს, თითქოს ელოდება, როდის დავუმახებ და ვეტყვი: მოდი, ქალუკა, მაჩვენე ჩემი შვილი, მადლობა ღმერთს, ეგ მაინც შეგვინარჩუნაო".

- ეგ ბავშვი არ იცოცხლებს! - იყვირა უცებ უხეირომ.

ცოტა ხნის მერე კი ჩვეულებრივი ხმით გააგრძელა, თითქოს საოჯახო დავალებას აძლევდა მსახურებს: დროზე მოკალით, დედამისს რომ მიეწიოსო.

ქალუკას სახე შეეცვალა, შემკრთალმა თვალი მოავლო ოთახში შეკრებილთ: ამხელა ტვირთს მარტო მე ნუ ამკიდებთ, მომეხმარეთო. მაგრამ ვერავინ გაბედა, სიტყვა შეებრუნებინა უხეიროსთვის.

უცნაურად იწყებდა ახალშობილი ცხოვრებას: დედამ მაშინვე მიატოვა, ზედაც არ დაუხედავს; მამამ კი სიკვდილის განაჩენი გამოუტანა დედის მკვლელობისთვის. დედამისი მეორე ოთახში იატაკზე ესვენა, ზემოდან თეთრი, აფრისხელა ტილო გადაეფარებინათ. ცხედრის ფეხებთან პოპინა ჩაცუცქულიყო და მუხლებში თავჩარგული მშიერი ლეკვივით საწყალობლად სლუკუნებდა.

მარეხის დასაფლავებამ უხმაუროდ და უფერულად ჩაიარა.

დაკრძალვის დღეს მარეხი შუა ოთახში ტახტზე დაასვენეს და აფრისხელა ტილო გადახადეს. გაცრეცილ სახეზე სამუდამოდ შეჰყინვოდა შვებისა და სინანულის ღიმილი. მეზობელ

ოთახიდან უხეირო ყვიროდა: ბავშვმა აკოცოს, დაამახსოვრდებაო. ქალებსაც წარამარა მიჰყავდათ პოპინა დედის ცხედართან. დედა მკვდარიც ლამაზი იყო, მაგრამ სიკვდილს მაინც შეეცვალა. პოპინას ეგონა, ეს უძრავი და ლამაზი ქალი დედამისი კი არა, დედამისის მსგავსი ტიკინა იყო, მის მოსატყუებლად დაესვენებინათ აქ, ნამდვილი დედა კი, სიკვდილს წაეყვანა. პოპინას არც უკვირდა, არც ეშინოდა. განა დედისგანვე არ იცოდა, სიკვდილს ის რომ მიჰყავდა, ვინც მოეწონებოდა და ვისაც ამის ღირსად ჩათვლიდა? ცოტა ეამაყებოდა კიდეც, სიკვდილმა ამჯერად დედამისი რომ აირჩია, მაგრამ ვერ გაეგო, რა საჭირო იყო ამ ლამაზი ტიკინის, ასე ძალიან რომ ჰგავდა დედამისს, აქ დასვენება. მიცვალებულის გათოშილი კანის უსიამო შეხება გულს ურევდა. "მაშინებენო", - ფიქრობდა იგი, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, ვის რაში სჭირდებოდა მისი შეშინება. როცა უხეირომ ერთხელ კიდეც იყვირა, ბავშვმა აკოცოსო და როცა ქალებმა ერთხელ კიდეც მიიყვანეს ცხედართან, თავი ვეღარ შეიკავა და გული აერია. გულისრევამ თავბრუ დაახვია და თვალი დაუბნელა. არც გაუგია, როგორ მოხანეს სახე. გულისპირი დასველებოდა. ცხედრისკენ გახედვაც აღარ უნდოდა და ცდილობდა, სხვა რამეზე ეფიქრა, თუნდაც პეპელაზე, ნემსით რომ მიემაგრებინა კედელზე ვიღაცას, ვისაც მასზე ადრე ეცხოვრა ამ სახლში, ვისთვისაც, ალბათ, ყველაფერი ნაცნობი და ახლობელი იყო ირგვლივ, მაგრამ მაინც მიეტოვებინა აქაურობა, გაესწრო სიკვდილისთვის, ვერაგი ძალღვივით რომ ასდევნებოდა უხეიროს ოჯახს. სიკვდილს უარესად გაუეცხოებინა ყველაფერი. პოპინამ იცოდა, მშობლებთან ერთად სამშობლოში ბრუნდებოდა, უხაროდა კიდეც, მაგრამ მოლოდინმა არ გაუმართლა, სახლში, რომლისკენაც გამოზამთრებული მერცხალივით მოისწრაფოდა, ორი საკაცე შემოუძღვა, ერთზე ეტლით გადათელილი მამა ესვენა, მეორეზე - დედის ცხედარი, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს შინ კი არა, სიკვდილის სამეფოში შემოედგა ფეხი, საამისოდ კი პატარა იყო. ამას თვითონაც გრძნობდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ გასჩენია აქედან გაქცევის სურვილი. ან სად უნდა გაქცეულიყო? ყველანი აქა ჰყავდა, დედაც აქ დაბრუნდებოდა, როცა ძალიან მოენატრებოდა შვილები. ფარნაოზი ხომ ცოცხალი იყო. მართალია, მამამისმა ბრძანა, ახლავე მოკალითო; მაგრამ პოპინამ იცოდა, ფარნაოზი ქალუკამ გადამალა სადღაც. ქალუკამ ისიც თქვა: რომ მოვკლა, დედამისს როგორღა შევხედო სახეშიო. მაშინ გაუჩნდა იმედიც, უცებ დაიჯერა, დედა მართლა დაბრუნდებოდა. უნდა მოეთმინა, უნდა მოეცადა და, რაც მთავარია, ფხიზლად ყოფილიყო, დედის მოსვლა რომ არ გამოპარვოდა.

ამის მერე თითქმის ყოველდღამე ესიზმრებოდა მიცვალებული დედა, დედა კი არა, დედის მსგავსი ტიკინა, რომელსაც პეპელა დაჰფარფატებდა თავზე. დამინებისა ეშინოდა. დარწმუნებული იყო, სიზმარი საიდანღაც უთვალთვალებდა, როდის მოერეოდა ძილი. სიზმარში ყველაფერი ისე ზუსტად და ისე თანმიმდევრულად მეორდებოდა, სიზმარი აღარც ეთქმოდა. მამა ყვიროდა, ქალები ვიშვიშებდნენ, ეფერებოდნენ, ნუ გეშინია, დედაშენიაო და ძალით მიჰყავდათ ტახტისაკენ. ტახტის ზემოთ პეპელა ფარფატებდა და შავი, მზინავი მტკერი სცვიოდა. "ეს პეპელა დედაჩემის სულიაო", - ფიქრობდა პოპინა სიზმარში. გამოღვიძებული კი მაშინვე იმ კედელს მიაშურებდა, რომელზედაც პეპელა მიენემსა ვიღაცას. პეპელა რომ ადგილზე დახვდებოდა, რატომღაც მშვიდდებოდა და ცივ ფილაქანზე დგომით ამიგმიებული ისევ საწოლისკენ გარბოდა.

ასე მეორდებოდა ყოველ ღამე. გარდაცვლილ დედაზე ფიქრი მოსვენებას უკარგავდა პატარა გოგოს, უდებობა აფრთხობდა, გრძნობდა, როგორ სჭირდებოდა უფროსი ქალი, რომლისთვისაც

უნდა მიეზიდა, რომლისგანაც უნდა ესწავლა ის, რისი ცოდნაც აუცილებლად დასჭირდებოდა. მან ხომ არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რომ ქალი იყო. ამის თქმა მოასწრო მხოლოდ დედამ. "შენ ქალი ხარ, დაიმახსოვრეო", - ეუბნებოდა დედა, მაგრამ პოპინა არ ჩქარობდა გაეგო ამ სიტყვების აზრი, ან რა ეჩქარებოდა, დედა გვერდით ჰყავდა, შეეძლო უსასრულოდ ეცქირა მისთვის და ბედნიერებისგან თავბრუ ეხვეოდა, როცა წარმოიდგენდა, თვითონაც ასეთი ლამაზი ქალი გახდებოდა, თვითონაც ასე გაღიმებული ჩაიხედავდა სარკეში. ახლა დედის სიტყვები ქვებზე დუმდნენ, თითქოს თვითონაც მომკვდარიყვნენ. პოპინა უკვე მთელი არსებით გრძნობდა, ყოველთვის ასეთი უმწეო და უვიცი რომ დარჩებოდა, თუკი ვერ ჩაწვდებოდა ამ შეუღწეველსა და დამთრგუნავ დუმილს. "მე ქალი ვარ, ქალი ვარ, ქალი..." - იმეორებდა ძილის წინ პირაღმა გამოტოლი და თვალეზიდაჭყეტილი. მაგრამ როცა თანდათან გამოიკვეთა გრძნობა, რომელსაც ეს სიტყვები ბადებდა, პოპინა აიწურა, ეს შიშის გრძნობა იყო. "მე ქალი ვარ, ამიტომაც უნდა მეშინოდეს, უნდა მეშინოდეს ყველაფრისა, რადგან ქალი ვარ. ამის თქმა უნდოდა, ალბათ, დედასაც, მაგრამ ვერ მეუბნებოდა. ანდა მე არ მესმოდა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი ქალიო", - ფიქრობდა პოპინა. ეს ისეთი ფიქრი იყო, ადვილად ვერ შეეშვებოდა და ისიც უსასრულოდ იმეორებდა ერთსა და იმავეს: რისი უნდა ეშინოდეს ქალს? ყველაფრისა. მაინც? მამისაც უნდა ეშინოდეს? მამისაც. ძმისაც? ძმისაც. რატომ? იმიტომ, რომ ქალია. "ღმერთო, ამაღამ მაინც თუ დამესიზმრება დედა, - ბუტბუტებდა ძილგამკრთალი პოპინა. - ანდა ნამდვილი დედა დამესიზმროს, სიკვდილმა რომ წაიყვანაო."

მაგრამ ნამდვილი დედის სახეზე დედა-ტიკინას გაყინულმა სახემ სამუდამოდ განდევნა. მას ასეთი უნდა ხსომებოდა იგი და მართლაც, როგორც არ უნდა დაეძაბა გონება, ვერაფრით ვერ ახერხებდა იმ დედის სახის წარმოდგენას, სიკვდილმა რომ წაიყვანა. ვისთვის ეკითხა, როგორი იყო დედამისი? ვერავის ვერ ჰკითხავდა. ან ვინ ეტყოდა...

მისი ძმა ყველაზე მიყრუებულ ოთახში გადაემალა ქალუკას, რათა მამის უცაბედ განრისხებას არ შესწირვოდა. უხეიროს ბავშვი აღარ მოუკითხავს. ქალუკამ კი ბავშვის მაგივრად ძონძებში გახვეული ქვა ჩააგდო ჭაში. ჭამ ძღვენი მიიღო და ერთი ამოიბოყინა, სახლში საიდუმლო გაჩნდა. ყველაფერი იყო მოსალოდნელი განრისხებული უხეიროსაგან. მაგრამ საიდუმლო ყველამ ისევე გადაყლაპა, როგორც ჭამ ძონძებში გახვეული ლოდი. ქალუკამ, უპირველეს ყოვლისა, თავის შვილს, ფილამონეს უთხრა, ჩემი ხელით დაგკლავ, თუ სადმე წამოგიყრან ტალებიაო. ფილამონეს უხეიროსთან ვინ შეუშვებდა, ბავშვი იყო, კოკურა, მაგრამ ქალუკა კოკების გასაგონად ამბობდა ამას.

საიდუმლომ ყველანი დაახლოვა, ამავე დროს, დააფრთხო, დაძაბა და გააეშმაკა. ბავშვის საწოლთან მორიგეობით ათევდნენ ღამეს. როგორც კი წამოიტირებდა, მაშინვე რძეში ამოვლებულ კანაფის ფოჩს ჩაჩრიდნენ პირში. დღისით უფრო იოლი იყო ბავშვის ჩაჩუმება, ყველანი განგებ ატებდნენ ხოლმე ხმაურს, ქალუკა ქვაბებს ჯოხსა სცემდა და ისეთი ჟღერიალი იდგა სახლში, ბავშვის ტირილი კი არა, ქუხილიც აღარ ისმოდა. უხეიროს არასოდეს არ უკითხავს ამ ხმაურის მიზეზი. დიდი ხანია მიხვედრილიყო შინაურების ეშმაკობას და განგებ იყრუებდა ყურს, რადგან პირველ რისხვას გადაეველო და ახლა უხაროდა კიდევ, მისი ბრძანება რომ დაერღვიათ. დუმილი და ყურის მოყრუება ერთადერთი საშუალება იყო, შვილის სიცოცხლეს რომ შეუნარჩუნებდა. ამიტომაც დაყრუვდა. სახლში კი ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა.

ყველანი ძველებურად დამაბულნი იყვნენ, ერთმანეთს პირზე აფარებდნენ ხელს. ამ ამბავს ყველაზე მეტად პოპინა განიცდიდა, ვერ გაეგო, რატომ არ უნდა ყვარებოდა მამამისს ფარნაოზი, ვერ შეჩვეოდა ბავშვისათვის ამ მართლაც თავზარდამცემ აზრს და პატარა გული შიშითა და სევდით ეწურებოდა. "თუ ფარნაოზი არ უყვარს, არც მე ვყვარებივარო", - ფიქრობდა პოპინა. ეს ფიქრი თანდათან ისე გაიბერა, ისე გასივდა და ისე გაიდგა ფესვი პოპინას სულსა და გონებაში, გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, შეემოწმებინა თავისი ეჭვი. ის უკვე იმ ასაკში იყო, ეგონა, რასაც ფიქრობდა და ამჩნევდა, მანამდე არავის ეფიქრა და შეემჩნია. ამიტომ ბუნებრივად ებადებოდა სურვილი, ვინმესთვის, ვინმესთვის კი არა, ყველაზე ახლობელი ადამიანისთვის გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი. მაგრამ სად ეპოვნა ასეთი ახლობელი ადამიანი, ერთი მკვდარი იყო და დაბრუნებას არ აპირებდა; მეორე თავის ოთახში იწვა გამოტოლი, მუხლებზე აფრისხელა ტილო გადაეფარებინა, რომელშიაც ადრე მარეხის ცხედარი იყო გახვეული, და იმ ტილოზე ფერადი ძაფებით ყვავილებს ქარგავდა; მესამეს კი პირში თხის რძეში ამოვლებული კანაფის ფოჩი ჰქონდა ჩაჩრილი და წამოტირებაც კი არ შეეძლო. ისევ და ისევ საკუთარი თავი და დარჩენოდა. საკუთარ თავთან პოპინას ყოველთვის შეეძლო საუბარი, რასაც უნდოდა იმას ეტყოდა, თვითონაც მოუსმენდა, არც შიშით ჰქონდათ ერთმანეთისა და არც მორიდება, დროც ბევრი ჰქონდათ, რადგან თითქმის სულ ერთად იყვნენ, ხოლო როცა ერთად იყვნენ, სხვა ყველაფერი ავიწყდებოდათ. ამიტომაც დასჩემდა პოპინას საკუთარ თავთან ხმამაღლა ლაპარაკი. თავდაპირველად სხვებისთვის უჩუმარ ხმაზე დაწყებული საუბარი თანდათან ისე იპყრობდა და ისე იტაცებდა, მართლა ვეღარ ამჩნევდა, მარტო იყო თუ არა. პირველ ხანებში ყველანი ტყუვდებოდნენ, ეგონათ, ჩვენ გველაპარაკებაო და ჩაკეითხებოდნენ ხოლმე. "თქვენთვის არ მითქვამსო", - პასუხობდა პოპინა და ჩუმდებოდა, სანამ ბრაზი გადაუვლიდა, სანამ ისევ გამოიწვევდა საკუთარ თავს სასაუბროდ. ერთხელ ფილამონესაც გაუხეთქა გული. ეს მაშინ მოხდა, როცა პოპინამ ითავა მამის მომარაგება ფერადი ძაფებით. პოპინა მდულარე საღებავით სავსე ქვაბს ურევდა. ფილამონეც იქვე ჩაცუცქულიყო და ცეცხლს სულს უბერავდა.

- სულელი ფილამონე, - თქვა უცებ პოპინამ.

ფილამონემ პირდაღებულმა ამოხედა პოპინას, მაგრამ პოპინა ქვაბში ჯოხს ურევდა და თავისუფალი ხელით ჩამოშლილ თმას აკავებდა, შესაღები ძაფით ქვაბში რომ უვარდებოდა.

დრო გადიოდა. ბავშვები იზრდებოდნენ. უხეირო კი ქარგავდა. საწოლზე წამომჯდარი, ზურგით კედელს მიჰყუდებოდა, ფეხებზე აფრისხელა ტილო გადაეფარებინა და ზედ ფერადი ძაფებით თავისი მშფოთვარე ცხოვრების ამბავი გამოჰყავდა. ქარგვა იმ დღიდან დაიწყო, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, ვერასოდეს ვეღარ წამოდგებოდა, მიწაზე ფეხს ვეღარ დააბიჯებდა, რადგან საომარი ეტლის ბორბლებით დამსხვრეულ ძვლებს ვერც ერთმა მკურნალმა ვერ მოუყარა თავი, ვერ შეაკოწიწა, რათა ისევ შეძლებოდათ უხეიროს უზარმაზარი სხეულის ზიდვა. როგორი ძნელიც არ უნდა ყოფილიყო, უხეირო ბედს უნდა შეჰკუებოდა. ისიც შეეგუა. მეომრის წლობით ნაწრთობი ნებისყოფა ავადმყოფობაში გამოადგა. მისთვის ცხოვრება დამთავრდა, მაგრამ ახლა სიკვდილისთვის უნდა დაეცადა. ეს კი არც ისე იოლი საქმე იყო. როდის მოიცლიდა სიკვდილი მისთვის, ოთხ კედელში გამოკეტილი საპყრისთვის, როცა ქვეყნად ამდენი ჯანღონით სავსე ვაჟკაცი და მეომარი დადიოდა. სიკვდილსაც დრო სჭირდებოდა. დრო კი როგორმე უნდა გაეყვანა უხეიროს, უსაქმობისგან აწრიალებული ხელები ყელში რომ არ წაეჭირა. ქარგვამ გულზე



დაგროვილი ბოდმა და ნაღველი ცოტათი გადაჰყარა, გაუბიბრუა; სამაგიეროდ ფიქრს მიაჩვია, თვალი გულში ჩაუბრუნა და სინანულის ბრწყალი ისე მწარედ გაჰკრა, მუშაობით გართულს, უცებ ხელი გაუშემდებოდა ხოლმე, თვალეზს ჭერს მიაპყრობდა და კარგა ხანს იყო ასე გამტერებული, სანამ მკაცრად მოკუმულ ტუჩებზე გესლიანი ღიმილი წელმოწყვეტილი გველივით არ გადაახოხდებოდა. ეგ იყო და ეგ. მერე სახეზე ხელს ჩამოისვამდა, თითქოს გესლიან ღიმილს მოიხოცავდა და ისევ საქარგავს მიუბრუნდებოდა.

რაც დრო გადიოდა, რაც უფრო იზრდებოდა სტრიქონთა რაოდენობა ტილოს ხორკლიან ზედაპირზე, მით უფრო ნათელი ხდებოდა უხეიროსთვის განვლილი ცხოვრების უაზრობა. ყოველი დღე ერთნაირად იწყებოდა, ერთნაირი თავგადასავლებით იტვირთებოდა და ერთნაირად მთავრდებოდა. ხალხიც თითქოს ყოველთვის ერთი და იგივე იყო, ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ, რადგან ერთნაირად კვდებოდნენ: უკანასკნელი, უთქმელი სიტყვა ყველას სისხლად და დორბლად ამოსდიოდა პირიდან, ზუსტად იმ პირველი ადამიანივით, თივით გატენილ ტიკინაზე ხელგაწაფულმა უხეირომ შუბი რომ აძგერა. მასაც რაღაცის თქმა უნდოდა, თვალეზს საცოდავად აცეცებდა, მაგრამ მობოშებულ პირიდან სიტყვის ნაცვლად შავი სისხლი ამოსდიოდა. იმის მერე უხეირომ იმდენი კაცი განგმირა თავისი უტყუარი შუბით, სხვას ანგარიში აერეოდა. უხეიროს კი ყველანი ახსოვდა, მიუხედავად მათი საოცარი მსგავსებისა. ესეც მერე შეამჩნია, როცა დამსხვრეულ ფეხებზე აფრისხელა ტილო გადაიფარა და სამუდამოდ შეეგუა ბედს. ქარგვაც ამიტომ დაიწყო, გვამებით გავსებულმა მახსოვრობამ შეაწუხა. ახლა სიკვდილამდე როგორმე უნდა მოესწრო ამ გვამების გამოზიდვა და მოვლა-პატრონობა. რაკი მოკვლა აღარ შეეძლო, ადრე მოკლულები უნდა გაეპატრონებინა, დაემარხა, დაეხინავებინა. საამისოდ ვარგოდა მხოლოდ. ისიც დროს არ კარგავდა, დილამდე ვერავინ შეუბერავდა სულს ზეთის ჭრაქში აპარპალებულ ალს, ამოდ რომ იხვეწებოდა: ჩამაქრეთ, დავიქანცო. უხეირო თავს არ იზოგავდა, სანამ თვალეზი არ აუცრემლიანდებოდა, სანამ ზურგი არ დაუწყებდა ტეხვას, გამმაგებული თხრიდა საფლავს აფრისხელა ტილოზე, რათა კიდევ ერთი მისგან მოკლული კაცი მიეხარებინა მიწისთვის, გათავისუფლებულიყო მისგან. ფერადი ძაფებით მოქარგული სასაფლაო თანდათან იზრდებოდა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამე იყო დასამარხი. "რამდენი მიცოცხლიაო", - თვითონვე გაუკვირდებოდა ხოლმე. მართლაც, ყველა შემთხვევა თუ ამბავი თითქმის უმნიშვნელო, იმდენ მოგონებას მოიყოლებდა თან, უხეირო ღარიბი დიასახლისივით აწრიალდებოდა ხოლმე, აღარ იცოდა, სად დაეხინავებინა ამდენი მოულოდნელი სტუმარი. უძლურობამ უხეირო დააბრძენა კიდევ. წინა დღის ამოქარგულ წარწერებს რომ ამოიკითხავდა, თვითონვე უკვირდა. "დავეცი და დავინახეო", - შავი ძაფით ამოქარგა ერთ ადგილას უხეიროს და მართალიც იყო. წაქცეულს შეეძლო დაენახა ის, რაზედაც ფეხზე მდგარი დაუდევრად მიაბიჯებდა. მაშინ თვითონ ვერ ხედავდა, ვერაფერს ვერ ხედავდა, გარდა იმ ადგილისა, სადაც შუბი უნდა ეძგერებინა. ვერ ხედავდა, რადგან სხვები ხედავდნენ მას და გაურბოდნენ, ანდა ეგონათ, გაექცოდნენ, აიცდენდნენ მის უტყუარ შუბს. ასე გასულიყო დრო, შუბის წვერზე წამოდებული ქსოვილივით ჩამორღვეულიყო და გაეშიშვლებინა ქვეყანა, საკუთარ ქორწილში დაქვრივებულ ქალივით სახტად დაეტოვებინა, თვითონ კი მომკვდარიყო. იქნებ ყოველივე დამესიზმრაო, - ფიქრობდა ზოგჯერ უხეირო, იქნებ ნამდვილად არც კი არსებობდა ის დრო, რომლის ფერფლსაც ის ახლა აფრისხელა ტილოზე აგროვებდა, მაგრამ როგორც კი თავის ლაპლაპა შუბს თვალს შეავლებდა, იმწამსვე ყველაფერს ცხადად დაინახავდა ხოლმე. შუბი კი

მართლაც განსაკუთრებული ჰქონდა, ტანმძიმე და თავმსუბუქი, როგორც თვითონ იყო. შუბს წარწერაც ამშვენებდა. უხეიროს წატრაბახებაც უყვარდა: მთელ ქვეყანაზე ორად ორი შუბია ასეთი წარწერიანი და ერთი მე მეკუთვინისო. "ჩემმა პატრონმა მძლია, მაგრამ მის ხელში უძლეველი გავხდიო", - ეწერა უხეიროს შუბზე. მიწაზე რომ დააბჯენდა, ოქროსფერი ბუნიკი მთელი მტკაველით ასცდებოდა ხოლმე მის აქოჩრილ თავს, უხეირო კი მაღალი კაცი გახლდათ. "სიმაღლის მეტი არაფერი გაქვს მეფურიო", - ეტყოდა ხოლმე მეუღლე, გაუღიმარი მარეხი. უხეირომ კარგად იცოდა, საითაც უმიზნებდა მისი ცოლი, მაგრამ სრულებითაც არ ბრაზდებოდა, რადგან დარწმუნებული იყო, მარეხს უყვარდა და ეამაყებოდა კიდევ მისი ცოლობა. ასე მარეხის უფროსი დები ფიქრობდნენ, რადგან, ცოტა არ იყოს, შურდათ კიდევ, ნაბოლარა დას თავდავიწყებით რომ შეჰყვარებოდა ქმარი, "ერთი ჩვეულებრივი მეომარი", რომელსაც ათასში ერთხელ თუ გამოუშვებდნენ ბანაკიდან, რათა ოჯახისთვის დაეხედა, სისხლსა და მტვერში ამოგანგლული, გრიგალივით შევარდნოდა, ყველაფერი თავდაყირა დაეყენებინა და მთელი სახლი აეკლო ხარხართა და ღრიანცელით. შეიძლება, ესეც შურდათ მარეხის დებს, რადგან მათი ქმრები ერთიანად ჩამოეხმო, გამოეწურა გაუთავებელ მოლოდინსა და ერთსა და იმავე საფიქრალს. მარეხი ყოველთვის თავჩალუნული უსმენდა დებს, სანამ ისინი მის ფეთიან ქმარზე საუბრობდნენ, მაგრამ ყველაფერს იმახსოვრებდა, თვითონაც რომ გამოეყენებინა დების მოსწრებული თქმები, თავის დასაცავად თუ გადასარჩენად, როცა პირისპირ აღმოჩნდებოდა უხეიროსთან, როცა თავბრუს დაახვევდა და თავფეხიანად ჩაითრევდა ეს მართლაც ფეთიანი, სიყვარულით ადიდებული მდინარე.

მარეხის მამა უფროსი ოყაჯადოს ვეზირი იყო. როცა აიეტმა ოყაჯადო ტახტიდან ჩამოაგდო, არ მიატოვა ნამეფარი, ბოლომდე დაუმტკიცა ერთგულება და თავის მრავალრიცხოვან ქალიშვილებთან ერთად ისიც გადაიხვეწა სამშობლოდან. ჰკვიანი კაცი იყო, მაგრამ არ ეგონა, ასე თუ გამწვავდებოდა ბიძაშვილების ჩხუბი; ყველაზე დიდმა მეფემ თავი რომ გამოიღო, ზარზეიმით რომ მიიღო ლტოლვილები, მაშინვე გულმა რეჩხი უყო, მიხვდა, იოლად ვეღარ დააღწევდნენ თავს მინოსის მასპინძლობას. "გავებით მახეშიო", - უნდოდა ეთქვა თავისი მეფისთვის, მაგრამ ოყაჯადო ისე გაბადრულიყო, ისე შეეფერებინა ყურადღება და პატივი, ვეზირს შეეცოდა და ენას კბილი დააჭირა. სამაგიეროდ მოვალეობიდანაც გათავისუფლდა. თვითონვე გაითავისუფლა თავი; მისი ვეზირობა არავის აღარ სჭირდებოდა, აღარც თვითონ ეცალა მეფეებისთვის. ახლა უსამშობლოდ დატოვებული შვილებისთვის უნდა მიეხედა. ჯერ რა უჭირდათ, ჯერ მოსწონდათ კიდევ, ლტოლვილები რომ იყვნენ, ყველას რომ აინტერესებდა მათი ასავალ-დასავალი, თანაგრძნობას რომ უცხადებდნენ ყველანი, მაგრამ სხვამ თუ არა, მან ხომ იცოდა, თანაგრძნობა ათვალწუნების წინამორბედი რომ იყო, დღეისათვის უჩვეულო ხვალ ჩვეულებრივი და მომაბეზრებელი გახდებოდა. ვეზირად იმიტომ დაენიშნათ, ჰკუა რომ უჭირდა, ხოლო აწიოკებულ ოჯახზე ფიქრმა უარესად დააჰკვიანა. ამიტომაც, სიგელ-გუჯრების წერას უკლო და დაკარგული ტახტის მემკვიდრეებთან სიარულს მოუხშირა. შორს წასვლა არ დასჭირვებია, კნოსის სასახლეში ქვა რომ გადაგეგდო, ტახტის მამიებელს მოხვდებოდა, ნამეფარს, თვითმარქვიას, ვითომ მეფეს, ძალად მეფეს, ანდა ყველას ერთდროულად. მალე, ნაბოლარას გარდა, ყველანი გაათხოვა. იმანაც შეუწყო ხელი, გაციება რომ არ აცალა გამოსაკვერ რკინას, დროულად დაფაცურდა: კოლხეთში მომხდარი ამბები ყველას პირზე ეკერა, ზღაპრად ყვებოდნენ ამ შორეული ქვეყნის სიმდიდრესა და სიდიადეს, ხოლო იქაური, თანაც

დიდგვაროვანი ქალის შერთვა სატრახახოდ მიაჩნდათ. "ამდენ მეფე-დედოფალს ერთი ვეზირი როგორ გაგწვდებითო", - ეხუმრებოდა სიმე-ქალიშვილებს. "ერთი მეფეც გვაკლიაო", - კისკისებდნენ გათხოვილი დები და ნაბოლარა მარეხიც თავის უფლისწულზე ოცნებობდა. ჩამოჯდებოდა სარკმელთან და გზას გასცქეროდა. მამას განსაკუთრებულად უყვარდა ნაბოლარა ქალიშვილი და განსაკუთრებულად უპირებდა გათხოვებას. რაკი უფროსები დაებინავებინა, შეეძლო უფრო მშვიდად ეფიქრა მარეხის ბედზე, არ აჩქარებულყო, არ დახარბებულყო და უკეთესთა შორის უკეთესი გამოეძებნა. მაგრამ მარეხმა არ გაუმართლა, თუმცა განსაკუთრებულად კი გათხოვდა, უბრალო მეომარს გაჰყვა ცოლად. პირველ ხანებში არც ვეზირს მოეწონა უმცროსი ქალიშვილის არჩევანი, მაგრამ როცა ათასჯერ აწონ-დაწონა, ჩაუღრმავდა და ჩაუკვირდა, დარწმუნდა, მარეხი უფრო საიმედო კაცის ხელში იყო, ვიდრე მისი უფროსი დები. სხვა რომ არაფერი, მარეხი და მისი ქმარი ერთი მიწაწყლისანი იყვნენ და უფრო ადვილად გაუგებდნენ და შეეწყობოდნენ ერთმანეთს. ერთ ბედქვემ იყვნენ, ორივეს ერთი ქვეყნისკენ ეჭირათ თვალი.

უხეიროს ქუჩაში შეუყვარდა მარეხი, შემთხვევით მოჰკრა თვალი და იმ დღის მერე მოსვენება დაეკარგა. ბანაკში რომ დაბრუნდა, მეგობრებმა ველარ იცნეს. შეშინებულს ჰგავდა, თვალებს უაზროდ ატრიალებდა, თითქოს არ სჯეროდა, მართლა რომ დაეღწია განსაცდელისგან თავი. ქალის მეტი რა ენახა უხეიროს, ომი და ქალი მის შეგნებაში განუყრელად დაკავშირებოდა ერთმანეთს. უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ყოველი ბრძოლისა თუ უბრალო შეტაკების შემდეგ მათი ბანაკი ქალებით ივსებოდა. საიდან ჩნდებოდნენ ან სად იმალებოდნენ იქამდე ის ქალები, უხეიროს ვერ გაეგო და მაინცდამაინც არც აინტერესებდა. ისინი მაშინ მოდიოდნენ, როცა უნდა მოსულიყვნენ, როცა მათთვის ეცალა. ბევრჯერ, ნამთვრალევს ქალის გვერდით გაღვიძებია ლოგინში და ისიც ვერ გაუხსენებია, თავიდანვე ერთად დაწოლილიყვნენ, თუ მერე შემოეწვინათ მისთვის ქალი გალაზღანდარებულ მეგობრებს. მოკლედ, ქალებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, მარტო ის იცოდა, რასაც სწავლა არ სჭირდებოდა. მარეხი კი სხვა იყო, მარეხი არც ერთ ქალს არ ახსენებდა, არც ჩვეულებრივ სურვილს უღვიძებდა, თუმცა იმ დღის მერე, ქუჩაში რომ მოჰკრა თვალი, ყველაფერი არაჩვეულებრივად ეჩვენებოდა.

უხეირომ მოუხშირა იმ ქუჩაზე სიარულს და მალე დაადგინა, რომ ამ ქუჩის ბოლოს, ალისფრად შეღებილ სახლში მარეხი ცხოვრობდა, ხოლო ქუჩის თავში ტამარი იდგა, სადაც მარეხი სალოცავად დადიოდა. ასე რომ, ძნელი სადევნელი არ იყო. ამ პატარა გოგომ ჯერჯერობით მხოლოდ სახლიდან ტამრამდე და ტამრიდან სახლამდე იცოდა სიარული.

სხვა რომ ვერაფერი გაუბედა და ვერც მოიფიქრა უხეირომ, ერთ მშვენიერ დღეს, ახლად წამოჩიტულ მარეხს, ტამარში მარტო რომ ლოცულობდა, ვაშლი შეუგორა. მარეხმა ვაშლი მაშინვე შეამჩნია და აიღო კიდეც. ვაშლზე კი დანის წვერით წარწერა იყო ამოჩორკნილი. ვინაიდან წარწერა ძნელად იკითხებოდა, მარეხმა ძალაუნებურად ხმამაღლა და მარცვალ-მარცვალ ამოიკითხა იგი: ვფი-ცავ-არ-ავ-ის-წავ-ყვე-უბ-ე-ირ-ოს-გარ-და-ო... მარეხმა ტუჩი აიბზუკა, პატარა მხრები აიწურა, ამ აბდაუბდისა ვერაფერი გავიგეო, მერე უცებ შეჰკვივლა, ვაშლი ორივე ხელით მკერდზე მიიხუტა, თითქოს ვიღაცას დაუმალო, და შეშინებულმა ტამარი მოათვალიერა. მაგრამ უკვე გვიანდა იყო. ეს "აბდაუბდა" ღმერთის გასაგონად წარმოთქმულ ფიცსა ჰგავდა. არაფრით აღარ შეიძლებოდა ამ ფიცის უკან დაბრუნება, მასთან ერთად ტამრის თაღებმაც რომ დამარცვლეს

და გაიმეორეს. ახლა კი დუმდნენ, მრავლისმცოდნე და მრავლისმეტყველი დუმილით. ღვთაების ქანდაკებაც ისე დასცქეროდა, თითქოს გადაწყვეტილებას უწონებდა და ამ საქმეში ხელშემწეობასაც ჰპირდებოდა. მარეხი ტაძრიდან წელმოწყვეტილი გამოვიდა. სადღა იყო ის ჩიტური სიმკვირცხლე, ხალისი და ჟღურტული. სინორჩისგან აბრიალებული სახე გასცრეცოდა, ზამბარასავით მოქნილი სხეული მოშვებოდა, თითქოს გაჩენის დღიდან ამ ტაძარში ჰყავდათ გამოკეტილი და მხოლოდ ახლა ღირსებოდა დღის სინათლეზე გამოსვლა. ქუჩაც გამოცვლილი დაუხვდა, ადრე ბროწეულის ყვავილით გადაწითლებული, თითქოს უცებ ჩამომჰკნარიყო. ვაშლი კი ისევ ისე ჰქონდა ორივე ხელით მკერდზე მიხუტებული.

ის დღე იყო და ის დღე, მარეხი ლოგინად ჩავარდა. ტახტის ჩრდილში გათეთრებული ვეზირი სიმწრისგან ხელებს იმტვრევდა, ვერაფერი გაუგო შვილის სატკივარს, სანამ მისმა უფროსმა ქალიშვილებმა ლოგინად ჩავარდნილ მარეხს ბალიშის ქვეშ ვაშლი არ უპოვეს და თავადაც არ ამოიკითხეს დანის წვერით ამოჩორკნილი წარწერა. მამა დაღონდა. დებს კი სიცილადაც არ ეყოთ მარეხის არჩევანი. "ჩვენზე უმცროსიც არის და სულელიცო", - ეუბნებოდნენ საგონებელში ჩავარდნილ მამას. მარეხი ხმას არ იღებდა, იწვა გულადმა და ჭერს შესცქეროდა. თითქოს ჭერზე რაღაც საიდუმლო ნიშნის გამოჩენას უცდიდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ მამამისმა ხელი ჩაიქნია, სულ არ დამელუპოს შვილიო და უხეიროს კაცი გაუგზავნა, საქმე მაქვს, მეწვიეო. ვეზირმა თუ ნავეზირალმა, თვალეზირალეზირალი, ფერდაკარგული და დაბნეული უხეირო რომ დაინახა, გაიფიქრა: ამათ საქმე გათავებული ჰქონიათო. მარეხის მამას ყველაზე უფრო ის აწუხებდა, მე თვითონ როგორ შევთავაზო ჩემი ქალიშვილი კარავში გაზრდილ აყლაყუდასო. ახლა კი, უხეიროს შემკრთალი და დაბნეული სახე რომ დაინახა, ესამოვნა: ვახვეწნინებ მაინცო. უხეირო კი თავგაქინდრული იდგა. თითებს აწვალებდა და არაფრის თხოვნას არ აპირებდა, თითქოს ერთი სული ჰქონდა, როდის გაუშვებდნენ აქედან. "ორივე ერთნაირად გაუშტერებია სიყვარულის ღვთაებასო!" - გაიფიქრა მარეხის მამამ; ხმამაღლა კი უთხრა: ჩვენებური ხარ, კარგი ვაჟკაციც ჩანხარ და რაც გინდა მთხოვეო. უხეირო შეკრთა, თვალეზირალი დააჰყიჭა და კარგა ხანს უყურა სანატრელ სასიამაღროს თვალეზირალში. მერე ერთი ჩაახველა, მღელვარებისაგან ამოხორცილი ყელი ჩაიწმინდა, ბეჭებში გაიშალა და უთხრა: შენს სიძეებს დამაჭიდეო.

ეს ამბავი უკვე ამოექარგა უხეიროს აფრისხელა ტილოზე და როცა ერთხელ კიდევ გადაიკითხავდა ხოლმე, თვითონვე ეღიმებოდა ამ სულელურ თხოვნაზე. საბედნიეროდ, მარეხის მამამ ყური არ ათხოვა უხეიროს სათხოვარს და ისეთი რამე თქვა, აყლაყუდა მეომარს, ბედნიერებისა და მოულოდნელობისაგან, თავზარი დაეცა.

"მე ყველაფერი ვიცი, - თქვა მარეხის მამამ, - ასე გაგრძელება კი აღარ შეიძლება. შენც ბავშვი აღარა ხარ, აქამდეც უნდა მოსულიყავი და ამ საქმისთვის აქამდე უნდა მოგება თავი. ჩვენ რა, ხალხს კი არა ვჭამთო".

ქორწილში უხეირო გაბღენძილი იჯდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ვერცხლისა და ოქროს თასებს მუჭში ჰმუჭნიდა და ხარხარებდა, ისე გულიანად ხარხარებდა, მალე მთელი სუფრა აიყოლია. სირცხვილისაგან ალექილი მარეხი კი სახეს ხელებში მალავდა. ეს

ჩვეულება ქორწილის დღეს დასჩემდა და სიკვდილამდე გაჰყვა კიდეც. საკმარისი იყო, ვინმეს უხეირო ეხსენებინა, მარეხი მაშინვე სახეზე აიფარებდა ხელებს. რატომ იქცეოდა ასე, ძნელი ასახსნელია. მარეხს თავისი უცნაური ქმარი მთელი სულითა და გულით უყვარდა. ერთხელ, როცა უხეირო მორიგ ლაშქრობაში ბრძანდებოდა, ხოლო მარეხი მოსალოგინებელი გახლდათ, თავს გამოუტყდა, უხეირო იქამდეც მიყვარდა, სანამ ტაძარში ვაშლს შემომიგორებდაო.

სიყვარულმა შიშიც მოიყოლა. როგორც კი მარტო დარჩებოდა, როგორც კი თვალებს დახუჭავდა მარეხი, მაშინვე მკვდარი უხეირო დაუდგებოდა თვალწინ. სიმწრის ოფლი დაასხამდა და ცდილობდა, სხვა რამეზე ეფიქრა, თუმცა რაზედაც არ უნდა ეფიქრა, იქაც ამოუტივტივდებოდა ხოლმე უხეიროს გაქვავებული სახე. "მომიკლავენ, მომიკლავენო", - მთელი ღამე შფოთავდა მარეხი. დღისით კი დაფშვნილი კირქვითა და ტყავის ნაკუწით უხეიროს შუბებს აპრიალებდა. შუბების გაპრიალებას რომ მორჩებოდა, ახლა წერილებს გადაფერთხავდა მტვერს და აუცილებლად ყველას წაიკითხავდა, თავიდან ბოლომდე. ყოველთვის მოულოდნელად გამოჩნდებოდა ხოლმე უხეიროს გამოგზავნილი მონა, უხარმაზარ ლოდს ხვნეშითა და ვაივაგლახით შემოათრევდა და ფეხებთან დაუდებდა, რადგან ასე ჰქონდა ნაბრძანები: ფეხებთან დაუდეთ. ქვაზე აცაბაცა ასოებით ამოკაწრული წარწერა მარეხს ქმრის ამბავს ატყობინებდა. "ამხელა ქვის თრევას, დაეზარებინა ეს ორი სიტყვაო", - ეუბნებოდა მარეხი ოფლადგაღვრილ მონას, ცხვრის შემწვარ ბარკალს ნადირივით რომ გლეჯდა და მოურიდებლად აბოყინებდა. ამას სიხარულის დასაფარავად ამბობდა, გული კი ნეტარებით ებერებოდა, ქმარი ამსიმძიმე წერილებს რომ უგზავნიდა. ქვაზე ამდენი ასოს ამოკაწრას დიდი დრო სჭირდებოდა, მაშასადამე, უხეიროს ამ ხნის განმავლობაში სხვა არაფერზე არ შეეძლო ეფიქრა. ეს ქვის წერილები უმსუბუქებდნენ ლაშქრად წასული ქმრის მოლოდინს. ხოლო როცა სამშობლოში დაბრუნების დღეც გათენდა, მარეხმა უპირველეს ყოვლისა წერილები ჩაალაგებინა სკივრებში, ჯერ სკივრები დააბინავებინა და მხოლოდ მერე ავიდა თვითონაც სამშობლოსკენ მიმავალ ხომალდზე.

როცა მარეხს უხეირო პირველად მოუყვანეს დაჭრილი, გული ფეხებში გაეპარა; მხოლოდ დიდი ხნის მერე მიხვდა, ყველაზე ბედნიერი დღეები ჭრილობისგან სახეაპრიალებული ქმრის საწოლთან რომ გაეტარებინა. მაშინ მარეხი მარტო ცოლი აღარ იყო უხეიროსი, დედაც იყო, გადიაცა და მსახურიც. უხაროდა, ამოდენა ვაჟკაცს ხელით რომ აჭმევდა, საჭმელში წამალსაც რომ აპარებდა, ის კი ვერაფერს ხვდებოდა. მერე კი უცნაურ ამბებს უყვებოდა, ოღონდ უხეირო წყნარად წოლილიყო და დაუდევარი მოძრაობებისგან ისევ არ გახსნოდა ძლივს პირმოკრული ჭრილობა.

უხეიროს ცოლის მონაყოლი ამბებიც გადაეტანა აფრისხელა ტილოზე, იმიტომ კი არა, სხვებისთვისაც რომ ეჩვენებინა, არამედ იმიტომ, მარეხი ახლაც და ყოველთვის ახლოს ჰყოლოდა. მარეხის მონაყოლი მისთვის იგივე მარეხი იყო. ამოქარგულ სტრიქონს ისე სათუთად გადაუსვამდა ხოლმე ხელს, თითქოს მის მხარზე გატრუნული მარეხის პატარა თავს ეფერებო.

ცოდვა გამხელილი სჯობს და უხეიროს გულის სიღრმეში ეამაყებოდა, ასეთი დიდგვაროვანი ცოლი რომ ჰყავდა. თუმცა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ქალაქის ბაზარშიც რომ ეპოვნა, მაინც ასე ეყვარებოდა. ისეთ უცნაურ ამბებს ყვებოდა მარეხი, "ზღაპარ იყო და ზღაპარ იყო" - გაიძახოდა უხეირო. მაგრამ მარეხი მოხუცი გადიის მოთმინებით აგრძელებდა თხრობას, ოღონდ

ქმარი ჩაემძინებინა როგორმე. უხეირო კი მართლაც ბავშვივით ჭირვეულობდა, სიტყვას აწყვეტინებდა, უკან აბრუნებდა, ათასჯერ ამეორებინებდა ერთსა და იმავეს. ბევრი, ძალიან ბევრი რამე ეეჭვებოდა უხეიროს ცოლის ნაამბობში, ერთს კი სიამოვნებით იჯერებდა, თუმცა, სხვებზე მეტად არც ეს ამბავი ჰგავდა სიმართლეს, მაგრამ უხეიროს მოსწონდა, შეიძლება იმიტომაც, ძნელი დასაჯერებელი რომ იყო. ვინ იცის, მერამდენედ აყოლინებდა უკვე მთქნარებაატეხილ მარებს იმ ფრთოსან ტყუპებზე, რომლებიც ვითომ მარების პეპერის პეპერას გასჩენოდა. თვითონ ხელებს თავქვეშ ამოიწყო და, იღიმებოდა და რასაც იმ წუთას ხედავდა, თავისი უცნაურობითა და სიმშვენიერით ყოველგვარ სიმართლეს აღემატებოდა. უხეირო ფრთოსან ტყუპებს ხედავდა. ეს სანახაობა ასევედიანებდა და ესეც მოსწონდა. რატომღაც თავისი ბავშვობა და მშობლიური ქალაქი ახსენდებოდა, რომლის თავზეც ერთი გადაქროლება სიცოცხლეს ერჩია. ის ახლა რომელიღაც ზღაპრულ, არარსებულ ქვეყანას დამსგავსებოდა, დაუდევრობისა თუ სიბრიყვის წყალობით დაკარგულსა და დავიწყებულს. შორეულ მოგონებებში გადაფრენილ უხეიროს ერთი წუთით მართლა სჯეროდა, რომ "იმ ქვეყანაში" ყველანი ფრთებით იბადებოდნენ, ყველანი, უხეიროს ჩათვლით. ის კი ვერ გაეგო, რატომ მიატოვა თუ მიატოვებინეს "ის ქვეყანა", რომლის წამიერი წარმოდგენაც კი ამხელა სევდითა და სიხარულით ავსებდა; ან როდის შეაჭრეს ფრთები, ოდესღაც, დიდი ხნით წინათ მასაც რომ ნამდვილად ჰქონდა. ახლა ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა, იმდენად იყო დარწმუნებული, ერთხელ ცოლს მოყოლა შეაწყვეტინა და უთხრა: აბა, ზურგზე მომისვი ხელიო. ცოლმა იფიქრა, ალბათ, წოლისაგან თუ დაუბუყდა ზურგიო და ხელი ნაზად ჩამოუსვა.

- არაფერიაო? - ჰკითხა უხეირომ.

ფრთოსანი ტყუპები კი შემთხვევით შემოფრენილი მერცხლებივით დასრიალებდნენ ჰაერში, ჟღურტულებდნენ, თამაშობდნენ და მათი მსუბუქი ფრთებით ათროლოებული ჰაერი უხეიროს სახეზე უღიტინებდა.

ბევრი კაცი ჰყავდა უხეიროს მოკლული, მაგრამ ადრე, სანამ ფეხზე იდგა, სინდისის ქენჯნა არასოდეს უგრძენია, არ შეწუხებულა, რადგან ამას თავის ხელობად თვლიდა, მამაკაცის ხელობად, რომელსაც პირნათლად უნდოდა შესრულება. ამას დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდებოდა, ყველაფერი ისედაც ნათელი იყო: რომ არ მოეკლა, მოკლავდნენ. მაგრამ მოურჩენელმა ავადმყოფობამ უხეიროს გონებაში ბევრი რამე შეცვალა და გადააადგილა. ახლა მას დროც მეტი ჰქონდა საფიქრელად. ფიქრი კი, ფრთხილი ქალივით, მარტო არასოდეს მოდიოდა, სევდასა და სინანულს მოიყოლებდა ხოლმე. სევდა და სინანული კი ხანგრძლივი წოლისა და ხანგრძლივი ტკივილებისაგან გამძაფრებულ გრძნობებს უარესად უმძაფრებდნენ და უფაქიზებდნენ. ამიტომ მისთვის გონებისმიერი სინამდვილე კი არ იყო მთავარი, არამედ გრძნობებისმიერი, ბნელი სინამდვილე. ამ სიბნელეში თავჩარგულს, ტირილიც ბუნებრივად ეჩვენებოდა და საიდანღაც, მისი არსების ყველაზე მიუვალი და ხელშეუხებელი კუნჭულიდან გამომტყვრალი ცრემლით მისგან დახოცილ ხალხს ყველას ერთად ტიროდა, რადგან ყველას ერთნაირი სიკვდილი აერთიანებდა და ყველა ერთნაირად ეცოდებოდა. ხოლო მათი განმასხვავებელი ნიშანი იმდენად უმნიშვნელო იყო, ხელი არ ჩაეველებოდა; ზოგი უფრო ადრე, ხოლო ზოგი უფრო გვიან განეგმირა უხეიროს უტყუარ შუბს. უხეირო ახლაც მათ სამყაროში ცხოვრობდა, არც აპირებდა იქიდან გამობრუნებას, რადგან გამოსაბრუნებელი გზა სამუდამოდ

დავიწყებოდა. ერთადერთი, რაც უხეიროს ყოველდღიურ სინამდვილესთან აბრუნებდა, ფერადი ძაფები იყო. როგორც კი ძაფი შემოაკლდებოდა, ისეთ ჭექა-ქუხილს ასტეხდა, მათი სახლის წინ შემთხვევით ჩავლილი მგზავრი ცას ახედავდა ხოლმე. შინაურები კი ფაცაფუცით დარბოდნენ და ვაი მათი ბრალი, თუ დროზე არ გააჩენდნენ ძაფს. საწოლზე წამომჯდარ, თვალეზადმოკარკლულ უხეიროს თავზევით შემართულ ხელში თავისი უტყუარი შუბი ეჭირა. რამდენჯერმე რომ განმეორდა ამგვარი აყალმაყალი, მამის ძაფებით მომარაგება პოპინამ დაივალა. ბავშვურმა ალლომ უკარნახა, მხოლოდ ამ ფერადი ძაფის მეშვეობით შეძლებდა მამის სამყაროში შეღწევა. ეს კი მისი ოცნება იყო. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ კაცი, რომლის შიშითაც სახლში ყველანი თითის წვერებზე დადიოდნან, თუმცა მთელი დღეები, გასათხოვარი ქალივით, ქარგვის მეტს არაფერს აკეთებდა, მამამისი იყო. მისი ბავშვური ბუნება კი მშობლის სუნსა და სითბოს მოითხოვდა, ნატრობდა, ეძებდა, ელოლიავებოდა. რამდენჯერ უტირია დედამკვდარ პოპინას თავზე საბანწაფარებულს, რამდენჯერ დათუთქვია გული, რამდენჯერ უნატრია, ნეტავ მეც მკვდარი ვიყო და რამდენჯერ შესცოდებია თავი, მკვდრად რომ წარმოუდგენია. დედის სიკვდილის შემდეგ პოპინას ერთი შიში დასჩემდა: ეჩვენებოდა, არასწორად იზრდებოდა, ვითომ ხელები უფრო მოკლე ჰქონდა, ვიდრე უნდა ჰქონოდა. მკერდი კი უფრო ბრტყელი, ვიდრე მის ტოლ გოგოებს, უკვე ყველაფრით ქალებს რომ დამსგავსებოდნენ. "ასე იმიტომ ხდება, დედა რომ არა მყავსო", - ფიქრობდა პოპინა და მის მზარდ, ჩამოუყალიბებელ არსებაში მომხდარი ყოველგვარი ცვლილება, ბუნებრივი, კანონზომიერი და აუცილებელი, შიშის ზარსა სცემდა. პოპინას მშობლის ხელი ენატრებოდა, თუნდაც ამ ხელს ტკივილი მიეყენებინა მისთვის, თმა დაეგლიჯა, ხორცი დაებეჭა, ოღონდ დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ის ხელი მართლა არსებობდა და მართლა მის მშობელს ეკუთვნოდა.

ცოლის სიკვდილმა უხეირო უარესად დააშორა ოჯახს, რადგან მთელი მისი ბუნება წინააღმდეგი იყო შეჭვებოდა მარეხის დაკარგვას. საკუთარ უძლურებასაც მარეხის სიკვდილს უკავშირებდა, თითქოს მარეხი ის ზღაპრული ჩიტი იყო, მისი მთავარი ძალა რომ ჰქონდა მიბარებული.

უხეიროს იმდენი ჰქონდა ნაშოვნი, მისი ავადმყოფობა ოჯახს კიდევ კარგა ხანს არ დაეტყობოდა, მაგრამ ცოლის სიკვდილმა და მისმა განდგომამ ოჯახი თანდათან რაღაც განსაკუთრებულ სახლს დაამსგავსა, სადაც ობლებსა და უპატრონო ხეიბრებს იფარებდნენ და არც მზრუნველობას აკლებდნენ, რათა ბავშვებს ობლობა, ხოლო ხეიბრებს უპატრონობა არ ეგრძნოთ.

ბავშვები თანდათან იზრდებოდნენ, ჭკუაში ვარდებოდნენ და უკვე თვითონაც გრძნობდნენ, არასწორად რომ წარმართულიყო მათი ცხოვრება, სამუდამოდ დაჰკარგვოდათ შინაგანი სიმყუდროვე, რასაც სხვათა მზრუნველობა კი არა, მშობლის დატატანება ბადებს მხოლოდ. რამდენჯერ მდგარა პოპინა მამის ოთახის კართან ატუზული, იქნებ მოიხედოს, დამინახოს და დამიძახოსო. მის დაჟინებულ მზერას თავდავიწყების ის სქელი ზღუდეებიც დაურღვევია, საიმედოდ რომ იცავდა უხეიროს გარე სამყაროსგან, მაგრამ უხეირო ერთს გამოხედავდა, დააკვირდებოდა, უაზრო და უმნიშვნელო ღიმილი გადაურბენდა სახეზე და ისევ თავის საქმეს მიუბრუნდებოდა ხოლმე. მის დამსხვრეულ ფეხებზე გადაფარებული აფრისხელია ტილო კი დღითიდღე ჭრელდებოდა, ლამაზდებოდა და ბავშვის ცნობისმოყვარეობას ისე აღიზიანებდა, როგორც მშიერ კატას ლემის სუნი. მას შეეძლო უსასრულოდ ეცქირა, თუნდაც ასე შორიდან, ამ ჯადოსნური ტილოსთვის, სანთლების შუქზე ყვავილებით გადაპენტილი მინდორივით რომ

ბიზინებდა. შეიძლება, ამიტომაც ითავა პოპინამ მამის მომარაგება ძაფებით. არავინ არ დაიხმარა, რადგან ძალიან უნდოდა, იმ ძაფს, რომლითაც მამამისი ქარგავდა, იქამდე მხოლოდ და მხოლოდ მის ხელში გაევილო - იქნებ მამამდე მართლა მიჰყოლოდა, რასაც ჩაუთქვამდა. გარეცხილს, შეღებილსა და გორგლებად დახარისხებულ ძაფს პოპინა პირთან მიიტანდა ხოლმე და თავის ნატვრასა და სურვილს ეჩურჩულებოდა: მამას უთხარი, ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარს. ერთ პატარა ბიჭს შუბლზე მუშტისხელა კოპი აქვს. თვითონ მიხვდება, ვისაც. კიდევ უთხარი, რომ... და ასე უსასრულოდ ეჩურჩულებოდა პოპინა ძაფის გაბურძმვულ გორგალს, სანამ არ ჩაეძინებოდა.

პოპინამ პატარა ფიცრულში სამღებრო მოაწყო. ფიცრული ფილამონეს გააწმენდინა. იქიდან გამოზიდული ფეხმორყეული სკამები, სალტეებმორღვეული, ფიცარ-ფიცარ დაშლილი კასრები, ძირგამომძვრალი თუ ყურაგლეჯილი კალათები ერთად დაახვავებინა და დააწვევინა. გაწმენდილ, გასუფთავებულ ფიცრულში კერა გამართა, კედლის გასწვრივ დაკრიალებული ქვაბები დააწყო, თაროებზე კი ათასნაირი მცენარის ფესვი, ბოლქვი, ღერო თუ ფოთოლი დაახვავა, ყოველთვის რომ ხელთა ჰქონოდა. პოპინა თვითონვე აზავებდა და ადუღებდა საღებავს. მალე ისე დაოსტატდა, გინდაც ათჯერ გაგველოთ წყალში მისი შეღებილი ძაფი, ფერს არ შეიცვლიდა. თვითონ ღებავდა ძაფს, თვითონვე აფენდა გასაშრობად თხილის ლასტებზე და თვითონვე დარაჯობდა გრძელი სახრით კისერმოქცეულ ქათმებისგან, გოცებულნი რომ შეჰყურებდნენ უცნაურად აჭრელებულ ხალიჩას და ჩაკაკანებით გამოხატავდნენ თავიანთ გაკვირვებას, ანდა ამ ხალიჩის გადაქექვის სურვილს.

გამშრალ ძაფს პოპინა პატარა ნაფოტებზე ახვევდა და მსუქან, ზღარბებივით გაბურძმვულ გორგლებს კალათაში აწყობდა. ფერადი ძაფებით სავსე კალათას მიწდვრის ყვავილების ისეთი მძაფრი სუნით ასდიოდა, გაბრიყვებული ფუტკრები ბზუილით ეხვეოდნენ. პოპინას შრომასა და მონდომებას უშედეგოდ არ ჩაუვლია, მამის სიახლოვეთა და სიამაყის გრძნობით დამფრთხალმა, უცნაური ყვავილებივით მფშვინავი და მბზინავი გორგლებით პირმოხმული კალათა პირველად რომ შეიტანა მამასთან, უხეირომ ბარის პირივით ბარაქიანი ხელი თავზე დაადო და უთხრა: შენც დედასავით კეთილი გული გქონიაო. მერე კი, ვერაფერი რომ ვერ მოუხერხა უეცრად გამომტყვრალ მღელვარებას, უკეთესი ვერაფერი რომ ვერ მოიგონა, აფრისხელა ტილოს ხელი გადაუსვა და უთხრა: თუ გინდა დაათვალიერეო. პოპინასაც ეს უნდოდა მხოლოდ. დახედა თუ არა აფრისხელა ტილოს, თვალები აუჭრელდა. აფრისხელა ტილო მართლაც გაზაფხულის მინდორივით ხასხასებდა და დამათრობელ, თაფლისა და ცეცხლის სურნელს აფრქვევდა. პოპინამ გარკვევით გაიგონა ფუტკრის ზუზუნიცა და ნაკადულის ჩხრიალიც. მალე თვალიც შეასწრო მზის სხივებზე აბრჭყვიალებულ ნაკადულს: ყვავილებში მისრიალებდა, გველივით მოქნილი და სწრაფი.

- ლამაზია, - თქვა პოპინამ.

უხეირო ამ სიტყვამ შეაკრთო. არ ელოდა. ჯერ შვილს შეხედა, ხომ არ მომეყურაო, მერე კი თვითონაც ტილოს დაამტერდა, თითქოს სურდა, რაიმე კავშირი აღმოეჩინა ამ ტილოსა და შვილის ნათქვამს შორის. მაგრამ, ეტყობა, ვერ მოახერხა და ახლა უკვე ჩვეულებრივი,



იმქვეყნიური ხმით ამოდერდა: ბავშვი ხარ და იმიტომო. გუნებაში კი გააგრძელა: "შენ რას გაიგებ, რა საშინელებები ხდება ამ "ლამაზ" ტილოზეო".

ასე დაიწყო პოპინასა და უხეიროს მეგობრობა, ასე შეაღწევინა პატარა პოპინას ფერადი ძაფის გორგალმა მამის იდუმალსა და ზღაპრულ სამყაროში. პოპინამ მამის ოთახში ყოფნის უფლება მოიპოვა. სახლიც ჩაწყნარდა, რადგან უხეიროს ტახტის თავთან ყოველთვის იდგა ფერადი ძაფის გორგლებით თავმობმული კალათა. პოპინაც იქვე იჯდა დაბალ სამფეხა სკამზე. უხეიროს ყაისნადისგან საჩვენებელ თითზე ბებერა გასჩენოდა, მაინც სწრაფად ქარგავდა და პოპინა ხედავდა, როგორ ჭრელდებოდა, როგორ ივსებოდა ახალ-ახალი ყვავილებით ტილოს ხორკლიანი ზედაპირი. მამა-შვილს ერთმანეთის არ ესმოდათ. ერთისთვის ყველაფერი უცხო და მომხიბვლელი იყო, მეორისთვის ნაცნობი და ამაზრზენი. უხეირო დროს მარხავდა, მეგობრის გვამს, პოპინა კი მხოლოდ ყვავილებს ხედავდა, გახრწნილ გვამს რომ ამოეყარა. იჯდა და უყურებდა, ხოლო როცა თვალეები საბოლოოდ აუჭრელდებოდა, თვითონაც ვერ იგებდა, როდის გადიოდა ამ ჭრელ მინდორზე. სხვა ყველაფერი, კედლებიცა და აპარპალეული ჭრაქიც, ტახტიცა და მამაც, სადღაც ქრებოდა. ირგვლივ, სადამდეც თვალი მიუწვდებოდა, აყვავებული მინდორი ბიბინებდა. თვითონ ამ მინდვრის შუაგულში იდგა და აღარ იცოდა საით წასულიყო, იმდენად ჰგავდა ერთმანეთს მინდვრის ოთხივე მხარე. ცვრით გალუმპული კაბა თეძოებზე ეწებებოდა. მის ფეხის ხმაზე მაღალი ბალახიდან სვავები ზღაზვნით დგებოდნენ, ტიტველ კისრებს მისკენ აბრუნებდნენ და ისევ იქ ეშვებოდნენ, საიდანაც ეს წუთია აფრენილიყვნენ. ყვავილის წვენიტ გაბერილი ფუტკრები, დაეჭვებულნი ეხვეოდნენ თავზე მათ სამეფოში შემოხეტებულ უცხო ცხოველს. ნაკადულსაც დაენახა იგი და ისე გარბოდა, ისე მიშხუოდა, ყვავილები ერთმანეთს აწყდებოდნენ და ჭრელი, კოპწია გვირგვინები აქაფებულ წყალში უცვიოდათ. პოპინა ნაკადულის მხოლოდ კუდს ხედავდა, მზის აკისკისებულ სხივს ხიწვივით მიაპრიალებდა. ბალახის ღერზე მწვანე კალია დასკუპებულიყო და ისიც პოპინას ზვერავედა, დიდი, გადმოკარკლული თვალეებით. გამოხრულ, გამოთეთრებულ ძვალს წითელი ჭიანჭველები შესეოდნენ. პოპინა გრძნობდა, ამ მინდორზე უცხო იყო, უცხო კი არა, ზედმეტი. აქ ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული და რომელიმე მათგანის, რომელიმე ნაწილის, გინდაც სულ უმნიშვნელოს, შეცვლა ან გადაადგილება ყველაფერს არევიდარევიდა. პოპინა კი მზად იყო, თვითონვე აერია და დაერღვია ეს დაკანონებული სიმშვიდე და წესრიგი, რაც ამ მინდორზე სუფევდა, თუკი მასაც არ დაუთმობდნენ ადგილს, თუკი მასაც არ ჩათვლიდნენ თავისიანად. პოპინა მეგობრებისგან ათვალწუნებული ბავშვის სიჯიუტით ცდილობდა, თავისი გაეტანა. იმას კი ვერ მიმხვდარიყო, რა შორს გაეტყუებინა ცდუნებას, მართლაც რა უცხო და უმწეო იყო აქ, სადაც ყველაფერი მკვდარ დროს ეკუთვნოდა. ის ბავშვის გონებით წარმოდგენილ მინდორზე კი არა, მამის მოგონებებში დახეტილობდა, მამის წარსულში, და ველარაფერს ველარ შეცვლიდა, რადგან ყველაფერი იქამდე მომხდარიყო, დაკანონებულიყო და დამარხულიყო კიდევ, სანამ პოპინა გაჩნდებოდა. თვითონაც იმ მკვდარი დროის ნაყოფი იყო და ერთადერთი, რაც შეეძლო, დროზე უნდა მოსწყვეტოდა ამ ხენეშსა და ეკლიან ხეს.

პოპინა ყვავილებს ფესვიანად გლეჯდა. სიმსუქნისგან გაზანტებულ ფუტკრებს მუსრს ავლებდა, ნაკადულს მისდევდა, კუდზე ფეხს აბიჯებდა და ბრაზიანად იცინოდა, როცა მისი ფეხიდან გადასული ტკივილი ნაკადულის აქაფებულ სხეულს კუდიდან კისრამდე გრეხდა და

აცხვებდა; მწვანე, თვალგადმოყრილ კალიებს ფრთებს აწყვეტდა და ისევ ბრაზიანად იცინოდა, როცა უფროსი კალიები საცოდავად დაჩოჩავდნენ გადათელილ ბალახში. ერთადერთი, რასაც შეეძლო პოპინას რისხვის შენელება და ამ მიზნებიდან უკანვე გატყუება, ასაკი იყო, ამ ჯადოსნურ მინდორზე კი დრო არ არსებობდა. მაგრამ პოპინას თავისი საკუთარი დრო ჰქონდა, რომელიც ამ მინდორზე გადმოსვლისას, დაბალ, სამფეხა სკამზე დაეტოვებინა. პოპინას კი დაეტოვებინა, დავიწყნოდა, მაგრამ ის მაინც აკეთებდა თავის საქმეს: იზრდებოდა, ემატებოდა პოპინას და როცა პოპინამ ისევ ოთახის გრილ ფილაქანზე ჩამოდგა ფეხი, ბავშვი აღარ იყო. ხოლო მის დაბალსა და სამფეხა სკამზე მისი უმცროსი ძმა, ფარნაოზი მოკალათებულყო.

- რას დაყურსულხარ ამ სიბნელეში! წადი, ითამაშე! - დაუყვირა პოპინამ ძმას და ოთახიდან გავიდა, რათა აღარასოდეს აღარ გაეხსენებინა გაწბილებული და თვალსა და ხელს შუა უაზროდ გაპარული ბავშვობა.

ამის მერე პოპინა მამასთან იშვიათად შედიოდა, მხოლოდ მაშინ, როცა უხეიროს ძაფი გაუთავდებოდა, ანდა დაწყლულებული ჭრილობა პირს გაიხსნიდა და საფენი იყო გამოსაცვლელი. ჭრილობიდან ბალღამსა და სისხლს ძვლის წვრილი, გამახული ნამსხვრევები გამოჰქონდა. პოპინა ამ საქმეშიც გაიწაფა, მისი დადებული საფენი უხეიროს შვებითა და ნეტარებით ავსებდა. თუმცა ეს ის შვება და ნეტარება იყო, რომლის განცდაც მხოლოდ და მხოლოდ ტკივილდამაცხრალ ავადმყოფს შეუძლია. ხანდახან, როცა წყლული გამიზებდებოდა, დასივდებოდა, გამკვრივდებოდა და მთელ კანს მტკივნეულად დაჭიმავდა, შეწუხებული, სიცხისაგან აფორიაქებული უხეირო ისეთი მავედრებელი თვალებით უყურებდა მის ფეხებთან მოფუსფუსე ქალიშვილს, თითქოს რაღაც არაადამიანური დანაშაულის შეწყალებას სთხოვდა. პოპინას გული გადაუქანდებოდა ხოლმე და მაშინ გრძნობდა, რა საცოდავი და უმწეო იყო მამამისი, რა მარტივი და უბრალო. ტკივილი ჯიუტად, დაუზოგავად ამსხვრევდა და ანადგურებდა განდგომილი კაცის მკაცრსა და მოღუშულ ნიღაბს და მის ნაცვლად ჩვეულებრივი მოკვდავის სახეს აჩენდა, ავადმყოფობისგან შემკრთალსა და გაძარცულს. პოპინას ეს სახე არ უყვარდა, რადგან სიბრალულს იწვევდა და თანაგრძნობას მოითხოვდა. ასეთი ხომ თვითონაც იყო. მას უკვე დიდი ხნის წინათ დაეკარგა წინააღმდეგობის უნარიცა და სურვილიც, რაც მამის აფრისხელა ტილოზე ხეტიალისას გასჩენოდა. საკუთარი უმწეობის შეგრძნებამ ბუნებაზე სწრაფად და საფუძვლიანად შეცვალა მისი არსება და არა მარტო შეცვალა, არამედ აზრითაც დატვირთა, ადგილი მიუჩინა. პოპინამ ეს გრძნობა ისე მოიმარჯვა, როგორც შეშინებული მგზავრი მოიმარჯვებს ხოლმე ჯოხს ძაღლებით სავსე ორღობეში. პოპინასაც მხოლოდ და მხოლოდ ეს ევალებოდა: მიუხედავად შიშისა, მაინც უნდა გაეგლო ძაღლებით სავსე ორღობე, რადგან ამ ორღობის იქით იყო სწორედ ის, რისი გულისთვისაც საერთოდ გამოსულიყო შინიდან: სამუდამო სასუფეველი. პოპინას წარმოდგენაში ცხოვრებაც მამის ნიღაბით მკაცრი და მოღუშული იყო. როცა ამაში დარწმუნდა, თუ ძალით დაირწმუნა თავი, დამშვიდდა კიდევ, რადგან ამგვარ ცხოვრებაში უფრო იოლად თავსდებოდა მისი გულის ნაადრევი ტკივილიცა და სევდაც. პოპინას არსება ცხოვრების სიმკაცრემ და სიუხემემ გააოგნა, დაიმორჩილა, მაგრამ სულ უმნიშვნელო, ადამიანური სისუსტის, ლმობიერებისა თუ თანაგრძნობის შემჩნევაც კი თავგზას უბნევდა. ამიტომ არ უყვარდა პოპინას მამის შეუნიღბავი სახე, გაცრეცილი და შემკრთალი,

სიმარტოვის საშინელებისა და აუტანლობის მაღიარებელი. პოპინა მამის ამგვარ სახეცვლილებას ღალატით განიცდიდა, თითქოს ბრძოლის ველზე მარტო ტოვებდნენ.

"შენც მარტო ხარ და შენცა გტკივა", - ფიქრობდა აფორიაქებული პოპინა და ცდილობდა, თვალი აერიდებინა მამისთვის, თითქოს რცხვენოდა, მის საიდუმლოს რომ ჩასწვდენოდა. განა მართლა პირწავარდნილი ოინბაზობა არ იყო აცაბაცა ასოებით გადაჭრელებული ტილო? განა ძაფი გაუძლებდა სიმარტოვისა და ტკივილის სიმძიმეს? მამამისი ხომ თავშესაფარს იქსოვდა, ცხოვრებას რომ დამალვოდა? თუ ასე არ იყო, რატომ მაშინ არ ქარგავდა, როცა ფეხზე იდგა, როცა არ ტკიოდა, როცა მარტო არ იყო და როცა მძივისა და საყურის ნაცვლად უზარმაზარ ლოდებს უგზავნიდა ცოლს. იმიტომ, რომ მაშინ ისიც იმ ლოდივით მაგარი და ტლანქი იყო, იმ ლოდივით მძიმე და შემშუსვრელი. ახლა კი, საკუთარი უმწეობისა თუ არარაობის შეგრძნებას ისე გაექალაჩუნებინა, ყველა სტრიქონის თავსა და ბოლოში ჩიტი და ყვავილი გამოჰყავდა. ვის რაში სჭირდებოდა მისი ჩიტი და ყვავილი, ვის აუჩუყებდა გულს? თავს იტყუებდა მხოლოდ, რადგან სიმართლისა ეშინოდა. შიში კი ტკივილმა ჩაუნერგა, ტკივილმა და სიმარტოვემ. მარტო პოპინა რატომ უნდა გადასდგომოდა წინ ცხოვრების აზმუვლებულ ნახირს და რატომ უნდა დაეცვა ეს ქვის ხუხულა, მათი სახლი რომ ერქვა, მათი ოჯახი, მათი საერთო თავშესაფარი? არა, ან მხარში უნდა ამოსდგომოდნენ, ანდა მისთვისაც მიეცათ ნება, გვერდზე გამდგარიყო და შორიდან ესმინა, როგორ იმსხვრეოდა ფილაქანი ჩლიქების ქვეშ, როგორ ირყეოდა და იბრიცებოდა სვეტი, როგორ ტიტვლდებოდა და მახინჯდებოდა საქონლის თემოებით გახეხილი კედელი.

\* \* \*

ცუცამ ტახტამდე მიაცილა შვილი. ოყაჯადოს მღელვარებისაგან სახე უხურდა, ნელა, გაუბედავად დაეშვა ტახტზე, თითქოს გაეხუმრებოდნენ და გამოაცლიდნენ. "რა სხვანაირი ხარო", - ეუბნებოდა ცუცა. გულხელი დაეკრიფა, თავი გვერდზე გადაეგდო და აღტაცებული შესცქეროდა ტახტზე დაბრძანებულ შვილს. ოყაჯადოს რცხვენოდა, თვალთ ანიშნებდა კარისკაცებზე, უთავბოლოდ რომ დაფუსფუსებდნენ სატახტო დარბაზში, მაგრამ ცუცა ვერავის ვეღარ ამჩნევდა, მღელვარებისაგან მასაც შეფაკვლოდა ლოყები. ან რა გასაკვირია? ყველაფერი ბედნიერად დამთავრდა, ოცნება აუსრულდა, ნანატრი დღე გაუთენდა. არა! ძალით გაათენა, ძალით გამოგლიჯა ცხოვრებას ხელიდან. ეკუთვნოდა და იმიტომ. გადაყვა, შეეწირა, ტვინი დაანთხია, სისხლიც, ყველაფერი შეაღია, რაც კი გააჩნდა. ამიტომაც გაუმართლა. მისი ოცნება უკვე ტახტზე იჯდა. მართალია, მის ოცნებას საჯინიბოს იატაკივით გაბრტყელებოდა სახე, ოფლიან შუბლზეც წითელთავა მუწუკები დახვეოდა და დაბნეულად ილიმებოდა, მაგრამ მაინც მეფე ერქვა. ეს მეფე კი მისი გონების ნაყოფი იყო და არა ვნებისა. შუბლიდან გამოიტეხა, რაკი დახავსებულმა მეუღლემ დახმარებაზე უარი უთხრა და, დარცხვენილმა, მამაშვილურად გაუღიმა. იმ დღის მერე მოსვენება დაეკარგა ცუცას, რადგან იმ დღესვე დარწმუნდა, სიბერისგან გასპეტაკებული მისი მეუღლე ისევე იხილავდა ტახტს, როგორც საკუთარ ყურებს, ცუცა კი უტახტოდ ვერ იცოცხლებდა, ვერ გაძლებდა, უტახტობა ჩამოახმობდა, როგორც უპასუხოდ დარჩენილი სიყვარული. ცუცას მთელი სიცოცხლე სასახლეებში ჰქონდა გატარებული და ერთი დღე რომ არ ჩაესუნთქა იქაური ჰაერი, მოკვდებოდა. ტახტის ცივი და მედიდური ელვარება მთელ მის არსებას მომთენთავ სიმშვიდესა და ბურანში ხვევდა, როგორც კატას ცეცხლი, მაგრამ ერთი წუთითაც არ უკარგავდა სიფხიზლის გრძნობას. ცუცამ სასახლის ყველა ხვრელი ზეპირად

იცოდა, შეეძლო ყველა ხვრელისთვის ერთდროულად ეთვალთვალა და პირველს შეემჩნია, რომელ სოროდან გამოცოცდებოდა თავი, ან რომელ სოროში უნდა შევარდნილიყო თვითონ, თვალში რომ არ მოხვედროდა ცუდ ფეხზე წამომდგარ მბრძანებელს. ცუცასთვის სულერთი იყო, ვინ იჯდა ტახტზე, სად იდგა ის ტახტი, ოღონდ თვითონაც მოხვედრილიყო იმ თვალისმომჭრელ სინათლეში, ტახტი რომ აფრქვევდა. ამ სინათლის ბაცილებსაც იცნობდა ცუცა, ხუთი თითივით იცოდა, რომელი რომელს სპობდა, ანდა ანაყოფიერებდა. ისიც იცოდა, ამ სინათლის იქით სხვა ცხოვრება იწყებოდა, ცხოვრება კი არა, ხაფანგი, სადაც ყველას შეეძლო მოხვედრა, ვისაც ნებისყოფა უმტყუნებდა, გაბრიყვდებოდა და ერთი წუთით შეუშვებდა ხელს ტახტის მკვრივსა და მძიმე ქვაკუთხედს. მას თუ არა, აბა ვის უნდა სცოდნოდა ეს? ბევრ მოსალოდნელ საფრთხეს გაუსინჯა გემო ცუცამ უნდელი ქმრის ხელში. მას არ ჰქონდა უფლება, ქარაფშუტა ქალად დარჩენილიყო იმ დედოფლების მსგავსად, ნამდვილი, სიკვდილამდე ხელშეუხებელი მეფეები რომ ეჯდათ გვერდით. ცუცა სხვა იყო. ცუცას თავზე განუწყვეტილვ იგრაგნებოდა საფრთხის ღრუბელი. ათასი რამე უნდა ჩაეყლაპა, ათასნაირი დამცირება უნდა აეტანა, ათასნაირად უნდა გაეღიმა და წაეცეკვა კიდევაც, რათა დედოფლის სახელი მაინც შეენარჩუნებინა. სახელილა იყო, სასახლეში ტრიალის ნებას რომ უტოვებდა ხიზანი მეფის ცოლს, უტახტოსა და უმემკვიდროს. ცუცამ დროზე აუღო ალლო მოსალოდნელ საფრთხეს: ქმარი ხელში ადნებოდა, ხოლო ქმრის სიკვდილის შემდეგ, ვის რაში გამოადგებოდა უშვილოდ გადაგებული მეფის ქვრივი. ხაფანგმა ისე ახლოს გაიღრჭიალა, ცუცას შიშისაგან თავზარი დაეცა. ერთი დღის დაგვიანებაც, შეიძლება, საბედისწერო გამხდარიყო. "თავს უშველეო", - ვიღაცამ ყურში ჩაჰყვირა შიშისაგან გაოგნებულ ცუცას და ისიც დატრიალდა.

საბედნიეროდ, უკვე ყველაფერი ზურგსუკან დარჩა. წარსულს ჩაბარდა უძილო ღამეები, როცა ცუცას გონება ჩახურებულ თონესავით გუგუნებდა; როცა ცოდვის სიბნელეში გაშოტილი, სულის კანკალით ითვლიდა ნაყოფის ბიძგებს, რათა ერთხელ კიდეც, საბოლოოდ, სამუდამოდ დარწმუნებულიყო, მართლა რომ ელო მუცლად, მართლა მოდიოდა, მოარღვევდა სიბნელისა და არარაობის ქვესკნელს მისი ნაყოფი, მისი ოცნება, მისი მომავალი. ვისაც საკუთარ კისერზე არ გამოეცადა, ვერც გაიგებდა, რა გადაეტანა ცუცას, სანამ ასე გულხელდაკრეფილი დადგებოდა, თავს გვერდზე გადაიგდებდა და აღტაცებული მიაშტერდებოდა შვილის დამუწუკებულ სახეს. "უპირველეს ყოვლისა, ცოლი უნდა შევრთოო", - ფიქრობდა ცუცა.

კიდეც ერთ კაცს გაუხარდა გულით ოყაჯადოს გამეფება. გაუხარდა კი არა, ცას ეწია, "გაიმარჯვა სამართალმაო", მიაყვირა ჭერს და მუშტი მკერდში ჩაითხლიშა. ის კაცი აიეტის მეჯინიბე გახლდათ. გაროზგვის მერე მეჯინიბეს მოსვენება დაეკარგა, დარდმა გააშტერა, ვერც თავს აპატიო და ვერც აიეტს, თუმცა სხვების გასაგონად ერთი ძვირიც არ დასცდენია მეფეზე. პირიქით, სულ იმას იძახოდა, გაროზგვამ ჭკუა მომიმატა, წამალივით შემერგოო. ამას რომ იტყოდა, გაიცინებდა, ნაფოტა კბილებს დაკრეჭდა და დაამატებდა: ახლა მე და ჩემს ცხენებს უკეთესად გვესმის ერთმანეთისო. გული კი გახეთქვაზე ჰქონდა, გასიებოდა, ღამეები არ ეძინა და ოხვრითა და კრუსუნით ცოლ-შვილსაც უკარგავდა მოსვენებას. დამალული წყენა და ჯავრი დღითი დღე აუტანელი ხდებოდა. თავლაში შეიკეტებოდა ხოლმე, შვრიით სავსე თოფრაში ცხენივით ჩაჰყოფდა თავს და ზღუქუნებდა. რაც უფრო იზიზღებდა აიეტს, მით უფრო ეშინოდა მისი. ცხენები გაკვირვებული უყურებდნენ, ფრუტუნებდნენ, ფლოქვებს აბაკუნებდნენ ფიცრის

იატაკზე, კაცის ზღუქუნნი აშინებდათ; მეჯინიბეს კი სხვა არაფერი შეეძლო, სად წასულიყო, ვისთვის შეეჩვილა. თავლასაც ისე შეჩვეოდა, აზრადაც არ მოუვიდოდა აქაურობის მიტოვება. ის კი არა, იმასაც ვერ შეჰგუებოდა, ღამდამობით აქ რომ აღარ ეძინა. სანამ ცოლს შეირთავდა, ლოგინიც თავლაში ედგა, ძილშიც ცხენების ხვიხვინი ესმოდა. მერე ცოლი აუჩემდა, ან მშობლებთან დამაბრუნე, ან ადამიანურად მაცხოვრეო. იმდენი ქნა, მაინც თავისი გაიტანა, მეჯინიბემ ვერ გაუძლო დედაკაცის ცდუნებას და ამოიღლიავა თივისა და ფუნის სუნით გაჟღენთილი ლოგინი. "ეს არის შენი თავლაო", - უთხრა ცოლმა და მეჯინიბეს მოეწონა ცოლის ხუმრობა, გული გაუთბო და ღიმილისგან პირი ყურებამდე გაეხა. მეჯინიბე მალე მიეჩვია ორ თავლაში ცხოვრებას, ერთში ცხენები ეგულეობდა, მეორეში თვითონ შედიოდა ცხენივით, კბილებდაკრეჭილი და ახვიხვინებული. "ჭრაქი მაინც აანთე, ასე მგონია ცხენსა ვკოცნიო", - ეხუმრებოდა ცოლი.

"გაიმარჯვა სამართალმაო!" - შესძახა გახარებულმა მეჯინიბემ, როცა აიეტის დამარცხების ამბავი გაიგო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ოყაჯადო მისი გულისთვის ჩამოსულიყო კრეტიდან, მისი ჯავრის ამოსაყრელად. რა თქმა უნდა, ცოტა მეტი მოსდიოდა, მაგრამ ერთ რამეში ექვიც არ ეპარებოდა: ოყაჯადოს აუცილებლად გაგებული ექნებოდა მისი ამბავი, აიეტმა ოთხ პალოზე გასაშრობი ტყავივით რომ გასჭიმა და მთელი სასახლის სამასხარაო გახადა. ყველა მეფეს სჭირდება სასახლეში ერთგული კაცი. ოყაჯადოც მიიხედ-მოიხედავდა ალბათ, და პირველ რიგში მეჯინიბეს შეამჩნევდა, არც შეცდებოდა. არც ისე იყო საქმე, როგორც ვიღაც-ვიღაცებს ეგონათ, მეჯინიბესაც შეეძლო მადლობის გადახდა, არც ის დახვდებოდა ხელცარიელი მხსნელსა და ქომაგს. მეჯინიბე თავის ერთგულებას დაახვედრებდა ოყაჯადოს, თავს დაუკრავდა და ეტყოდა: ა, ბატონო, ჩემი ერთგულება, მეტი ვერაფერი მოგართვა თქვენი საკადრისი საწყაღმა მეჯინიბემო. ოყაჯადოც მაშინვე მიხვდებოდა, როგორი საწყალი იყო მეჯინიბე, მისი მეჯინიბე, რომელმაც კაკალ-კაკალ იცოდა აიეტის სახლის ამბები, წინასწარ იცოდა, ვინ რას იტყოდა, ანდა გაიფიქრებდა ახალ მეფეზე. "ეგრეა შვილოსა, ეგრე, ჯავრს ამოყრა უნდა, ვალს კი დაბრუნებო", - გეგმებს აწყობდა გუნებაში მეჯინიბე. დარწმუნებული იყო, ახალი მეფე ძველ ადგილს შეუნარჩუნებდა. ან სად იპოვიდა უკეთეს მეჯინიბეს. ან უფრო მეტად ვინ დაუფასებდა ამგს, ვიდრე აიეტისგან დაჩაგრული კაცი. მეჯინიბედ დატოვებდა კი არა, შეიძლება... არა, არა და არა, მეჯინიბე ყველაფერზე უარს იტყოდა, ფეხებში ჩაუვარდებოდა, გადაათქმევინებდა, დაარწმუნებდა, თავლაში მირჩევნია, იქ არის ჩემი ადგილი, იქიდან უკეთესად მოგემსახურებიო.

ასეთ ფიქრებში იყო მეჯინიბე, როცა დაუძახეს: ჩქარა, ვირო, მეფესთანო!

"მედირსაო", - გაიფიქრა მეჯინიბემ და სატახტო დარბაზში სახეგაბრწყინებული შევიდა. დარბაზში კი ისეთი არეულობა დახვდა, დაიბნა, თავი დაუცარიელდა, მისასალმებელი სიტყვა, გზადაგზა რომ იმეორებდა, ენის წვერზე შეეყინა და ზედ ბოქლომივით ჩამოეკიდა. გადი-გამოდოდნენ კარისკაცები, დარბაზი ფუტკრის სკასავით ბზუოდა და მეჯინიბეს მოეჩვენა, ბზუილი იმ თავახდილი სკივრებიდან ამოდოდა, უთავბოლოდ რომ დაეყარათ ირგვლივ. აფუსფუსებულმა კარისკაცებმა ერთი ორჯერ მხარიც გაჰკრეს უშნოდ გახირულ მეჯინიბეს. მეჯინიბე სკივრს გადააწყდა. სკივრიდან ვერცხლის თასი გადმოხტა და ჟღრიალ-ჟღრიალით დაბზრიალდა იატაკზე. ტახტზე მჯდომი კაცი შეწუხდა, შუბლი შეიჭმუნხა და სწორედ მაშინ დაინახა იგი მეჯინიბემ. "დავიღუპეო", - გაიფიქრა რატომღაც და დაბზრიალებული თასის

ასაღებად დაიხარა. უცებ გაიოფლა. გული ხმამაღლა უცემდა. ტახტისკენ გახედვას სიკვდილი ერჩია. ახლა თასი ორივე ხელით მკერდზე მიეხუტებინა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, კარისკაცისთვის მიეცა, თუ თავისი ხელით ჩაედო სკივრში. მაგრამ რომელ სკივრში ჩაედო, როცა ყველა ერთმანეთს ჰგავდა. "ნეტავი არ შემეხედაო", - ისევ გაიფიქრა მეჯინიბემ და უცებ მთელი დარბაზი გაშეშდა, ჩაჩუმდა, გაილურსა. მეჯინიბემ იგრძნო, რომ დაუძახეს, კი არ გაიგო, ტანმა უგრძნო და მწარედ გაიღიმა. ვიღაც ქალმა თასი ჩამოართვა.

- რა ხნისა ხარო, - ჰკითხა ტახტზე მჯდომარემ. შეკითხვამ ცოტა გამოაფხიზლა. "კარგად რომ იყოს ჩემი საქმე, ასაკს კი არა, სახელს მკითხავდაო", - ფიქრობდა იგი. გაოფლილი ხერხემალი ექავებოდა და ვერ გადაეწყვიტა, დაეკლო თუ მოემატებინა ასაკი. დრო კი ისეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით გადიოდა, კიდეც რომ დაეყოვნებინა პასუხი, ნამდვილად კინწისკვრით გამოაგდებდნენ და მერე საჯინიბოსაც სამუდამოდ უნდა დამშვიდობებოდა.

- ორმოცისაც არა ვარ ჯერ, - გაიკრიჭა მეჯინიბე.

მაინც დაკლება ამჯობინა, რადგან ახალი მეფე ძველ მეფეზე გაცილებით ახალგაზრდა ჩანდა.

- ქალები თუ გიყვარს? - არ აცალა სულის მოთქმა ტახტზე მჯდომარემ.

"თქვენი ჭირი მე და თქვენი ჭირი მე, ღმერთებო! - უარესად დაფრთხა მეჯინიბე. - რა უნდა ამ ოხერს, რანაირ შეკითხვებს მამლევს, ნეტავ რა უდევს გუნებაშიო". უცებ გადაწყვიტა, გულახდილად ეთქვა: მე ხომ საჯიშე ულაცი არა ვარ, ერთი საწყალი მეჯინიბე გახლავარ, თუ არ გინდევარ, თვალითაც არ დაგენახვებო, მაგრამ მაშინვე ენას კბილი დააჭირა, ისევ ეშმაკობა არჩია. სხვა რა გზა ჰქონდა, საცდელი უნდა ეცადნა. შექებული კაცივით მორცხვად გაიღიმა, დონიჯი შემოირტყა, მხრები აათამაშა, ქალამნის ჭვინტით იატაკზე ნახევარწრე შემოხაზა და თქვა: მაგ საქმეშიც ნაღდი ვარო.

- რა ვუყოთ ამ კაცსო? - გასძახა ოყაჯადომ დედას. ცუცამ პირზე ხელი მიიფარა და ჩაიქირქილა. მეჯინიბემ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ქალი, რომელმაც წედან თასი ჩამოართვა, დედაბერი იყო. გაუკვირდა, რა დრო გასულაო. არა, რა უცებ გასულა დროო. შვებით ამოისუნთქა, იმის შეგრძნებამ, რომ მისი ბედი უკვე გადაეწყვიტათ, ერთბაშად დაამშვიდა. ყველაფერზე თანახმა იყო, ყველაფრისგან თავისუფალი, ყველაფრის მორჩილი. მორჩილებამ მოჰგვარა შვებაცა და სიმშვიდეც. უკვე თამამად შესცქეროდა ახალ მბრძანებელს; აღარ არიდებდა თვალს, რადგან პირნათელი იყო; მორჩილებამ დანაშაულის გრძნობაც გაუქრო, აქამდე რომ აწუხებდა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რა დაეშავებინა. არაფერზე აღარ ფიქრობდა, იდგა და იცდიდა, რას ეტყოდნენ, რას დაავალებდნენ. ამასაც მალე გაიგებდა, ძალიან მალე, როგორც კი მორჩებოდა ქირქილს ეს უკბილო დედაბერი.

- დაიკიდოს! - ბრძანა ოყაჯადომ.

მეჯინიბე არც შერხეულა, აინუნშიაც არ ჩაუგდია მეფის ბრძანება. თითქოს მას არ ეხებოდა. როგორც კედელმა ქვა, ისე აისხლიტა მისმა სმენამ, მთელმა მისმა არსებამ, ეს მართლაც ქვასავით ნასროლი სიტყვა. რატომღაც ის დღე გაახსენდა, დიდი ხნის წინანდელი, მან და მამამისმა ღორი რომ წაიყვანეს დასაკოდად. მაშინ პატარა ბიჭი იყო, ღორის ჭკუაზე დადიოდა. "დალამდა,

გამოდენე, ეგ ოხერიო", - ემახდა მამა. მეჯინიბემ დაინახა კიდეც, როგორ მიცუხცუხებდა გუბე-გუბე ჯაგარგაფშეკილი ღორი.

- ტუხუნია! - ხმამალა დაუმახა მეჯინიბემ.

მალე მთელმა ქალაქმა შეიტყო მეჯინიბის დასაჭურისების ამბავი. ეს მართლაც და უცნაური ამბავი იყო ვანელებისთვის, ბევრმა არც კი იცოდა, რას ნიშნავდა დასაჭურისება. ახლა როგორ იქნებაო, თუ იცოცხლებსო, როგორ უნდა შეატყოო და მრავალ ამგვარ შეკითხვას გაიგონებდით მაშინ ვანის ქუჩებში. უფრო მცოდნენი და მიხვედრილები პასუხობდნენ: კარგად იქნება, იცოცხლებს კიდეცაც, მაგრამ... "აბა, მე პირადად დამიფურთხებია მაგისტანა სიცოცხლისთვისო", - რატომღაც ბრაზდებოდნენ ვანელები. მეჯინიბეს მაინცდამაინც არ განუცდია ეს ამბავი. კაცობა კი დაკარგა, მაგრამ თავი შეინარჩუნა, თავიცა და სამსახურიც. ოყაჯადო სრულებითაც არ უპირებდა თავლიდან გამოგდებას. თვითონვე უთხრა, ასე ჯობს, ახლა მთელი გულისყური ცხენებისკენ გექნებაო. მაგრამ ცხენები სხვანაირად ფიქრობდნენ, საიდანაც არ ელოდა, სწორედ იქიდან გამოუხტა მგელი. გამოჯანმრთელების შემდეგ, პირველად რომ შევიდა თავლაში, ცხენებმა ველარ იცნეს თავიანთი პატრონი, დიდი, ნაფოტა კბილები დაუკრიჭეს, კუდები ცხვირწინ აუქნიეს და დროზე რომ არ გამბტარიყო უკან, წიხლსაც მიაყოლებდნენ. ცხენებს მეჯინიბის შეცვლილი ხმა აფრთხობდა. მეჯინიბე კი ამას ვერ ხვდებოდა. დიდ საგონებელში იყო ჩავარდნილი, თავლაში ისევ ის ცხენები ება, ყველას სახელითა სცნობდა, ემახდა კიდეც, მაგრამ ცხენები უარესად გიჟდებოდნენ, თავებს მალა სწევდნენ, კბილებდაკრეჭილნი ხვიხვინებდნენ და ჩამოქნილსა და ათროლოებულ ფეხებს ფუნაში აბაკუნებდნენ. ახლოს არ მიიკარეს, ისიც ვერ მოახერხა, ფუნა გამოეხვეტა. იდგა და ქეჩოს იფხანდა. მეორე დღესაც იგივე გამეორდა. მალე მთელი სასახლის სალაპარაკო გახდა ცხენების აჯანყება. საკმარისი იყო, თვალი მოეკრათ მეჯინიბისთვის, იქაურობა მიენგრ-მოენგრიათ; გაცოფებული, ყალყზე შემდგარი ცხენები ერთმანეთს კბენდნენ, კედელს უხატქუნებდნენ თავებს და საზარლად ატრიალებდნენ სიბრაზისგან გადათეთრებულ თვალებს. მეჯინიბე თავლაში შესვლას ველარ ბედავდა, გარედან ემახდა, ეფერებოდა და ევედრებოდა გაგიჟებულ ცხენებს, მაგრამ თავლა უარესად ზანზარებდა, ჭიხვინებდა, თქარათქური გაუდიოდა. მაშინ მეჯინიბე თვითონაც კედელს უხატქუნებდა თავს, სანამ შუბლზე კანი არ გადაასკდებოდა და სასერიოდ შეკრებილი ხალხი ძალით არ მოაშორებდა იქაურობას. ბოლო-ბოლო მეჯინიბე მიხვდა, ამაოდ რომ გაელო ამოდენა მსხვერპლი: ცხენებს ის აღარ უნდოდათ. ეს კი დიდი უსამართლობა იყო, უსინდისობა, აბუჩად აგდება, მიწასთან გასწორება, მძარცველობა, მკვლელობა. ერთადერთი, რასაც მართლა თავის საკუთრებად თვლიდა, ხელობა იყო, ახლა კი ამასაც კარგავდა. ხელობა კი კაცობაზე უფრო სჭირდებოდა. ხელობა მარტო პური კი არ იყო მისთვის, არამედ ჰაერიც, ამით სუნთქავდა, ამით ედგა სული, ამით იყო კაციც. მთელი სიცოცხლე თავლაში, ცხენების სუნსა და სითბოში გაეტარებინა, თვითონაც ამ სუნითა და სითბოთი იყო გაჟღენთილი და გამუდმებით ცხენებთან ცხოვრებას ისიც ცხენისთვის დაემსგავსებინა: პურს ზეზეურად ჭამდა, კი არ იცინოდა, ხვიხვინებდა, თავს მალა ასწევდა, კბილებს დაკრეჭავდა, ნესტოებს დაბერავდა და ხვიხვინებდა. "გათავდა ჩემი ქეიფიო", - ფიქრობდა მეჯინიბე, ძვლები ემტვრეოდა, გული ემდულრებოდა დედამკვდარ ბალღივით, უნდოდა, ყველას შესცოდებოდა, თანაც რცხვენოდა, ამ დღეში რომ ჩავარდნილიყო. თავლა კი ზანზარებდა, ჭიხვინებდა, ფეხებს უბაკუნებდა. სხვა გზა არ იყო, კიდეც ერთხელ უნდა

შეჰყუებოდა ბედს. მეჯინიბემ კისერზე თოფრა გადაიცვა და, თავის სიცოცხლეში პირველად, სამუდამოდ გადმოაბიჯა გალავნის ზღურბლს.

ვანის ქუჩებში მეფის მეჯინიბის გამოჩენამ დიდი ჟრიამული გამოიწვია. როგორც კი ხმა გავარდებოდა, მეჯინიბე ჩვენს ქუჩაზე მოდისო, მისი უმწეობით გათამამებული და ენამწარე ქალები ბანებს მიაწყდებოდნენ, თოფრაგადაცმულ მეჯინიბეს, თავგაქინდრული რომ მოჰყვებოდა ქუჩას, ვითომ ეკვლუცებოდნენ და ეძახდნენ: ამოდი, ბიჭო, ჩემი ქმარი შინ არ არისო. მერე თვითონვე იხოცებოდნენ თავიანთ ხუმრობაზე და იყო ერთი ტკრციალი და კისკისი. ბავშვები გუნდ-გუნდად დასდევდნენ უკან და ბავშვური დაუნდობლობით დასცინოდნენ. "დაკოდილო, დაკოდილოო", - მისძახოდნენ უფროსებისაგან გაგებულ სიტყვას და ქვასაც ესროდნენ, უნდოდათ, როგორმე გაეხელებინათ ეს უწყინარი კაცი, კისერზე თოფრაგადაცმული, თავის კანტურით მიმავალი, უჩინარ ხელნაში შებმულ ცხენივით. ათასში ერთხელ, მართლა გამწარებული და მოთმინებიდან გამოსული მეჯინიბე უცებ შემოუტრიალდებოდა ხოლმე ბავშვებს და, როცა შეშინებული ბავშვები ჯოჯოებივით გაუჩინარდებოდნენ კედლის ბზარებში, თავს მაღლა ასწევდა, კბილებს დაკრეჭდა, ადგილზე ფეხების ბაკუნით დატრიალდებოდა და დაიჭიხვინებდა.

კაცები პირველ ხანებში უწყებოდნენ ბავშვებს, გაანებეთ თავი, თავის უბედურებაც ეყოფაო, მაგრამ ამას რომ ამბობდნენ, თვითონვე ელიმებოდათ. ბავშვებსაც მეტი რა უნდოდათ, იდგა ერთი გნისი, სტვენა და ხარხარი.

ამ გაუთავებელ დაცინვას ისევ მეჯინიბემ მოულო ბოლო. ყოფილმა მეჯინიბემ პირველად ხელი რომ გაიშვირა და პური ითხოვა, ვანელები სახტად დარჩნენ. ეს უფრო დიდი საოცრება აღმოჩნდა მათთვის, ვიდრე კაცის დაკოდვა. ასეთი რამე არც ენახათ და არც გაეგონათ: კაცი პურს თხოულობდა. "ეს რა უქნია ოყაჯადოს ამ უბედურისთვისო", - შეწუხდნენ ვანელები და ყველანი ცდილობდნენ, მაინცდამაინც მისგან აელო პური მეჯინიბეს, ის კი, ნაწყალობევ პურს თოფრაში ალაგებდა და ამ უცნაური სანახაობით ალელვებულ ვანელებს ამშვიდებდა, მოითმინეთ, ყველასგან ავიღებ, ხვალაც ამ თვისააო. ახლა ვანელებს წინასწარ ჰქონდათ მომზადებული მეჯინიბისათვის მისაცემი პური და, თუ ოდნავ მაინც დაუგვიანდებოდა მათ ქუჩაზე ამოვლა, დელავდნენ და წარამარა აგზავნიდნენ ბავშვებს, გაიხედეთ, ხომ არ მოდისო. მეჯინიბეც თანდათან შეეჩვია ახალ ცხოვრებას, მართალია, ასარჩევად არ ჰქონდა საქმე, რასაც მისცემდნენ, ყველაფერზე მაღლობელი იყო, მაგრამ შიმშილით არ მოშიებია. არც ბავშვების ცელქობა აწუხებდა მაინცდამაინც, რადგან ისიც ვანელი იყო და ბავშვები განსაკუთრებულად უყვარდა. "ბავშვის გული სუფთააო", - ფიქრობდა თავისთვის და თქვენ წარმოიდგინეთ, სიამოვნებდა კიდეც, ერთბაშად ამდენი ბავშვის თავშესაქცევი რომ გამხდარიყო. არც ქალების დაცინვა განუცდია, პირიქით, გული სიამაყით ებერებოდა, ამდენი ატკრციალებული ქალი ერთდროულად რომ ეპატიჟებოდა, სიყმაწვილის დროინდელი ოცნება მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ასრულებოდა და გულის მოსაფხანად ესევ ყოფნიდა. მოკლედ, ყველაფერი კარგად იყო, ისევ ცხენებს რომ არ გაეჭირებინათ საქმე. საკმარისი იყო, გაეგოთ მისი ფეხის ხმა, ანდა მისი სუნი სცემოდათ, იქამდე მშვიდად მდგარი ცხენები ჯერ ადგილზე აცქმუტდებოდნენ, მერე თითქოს ცოფმა წამოუარათო, ყალყზე შედგებოდნენ, აღვირებს დაგლეჯდნენ და გაგიჟებული ბრმებივით გაჭენდებოდნენ ვანის ქუჩებში. რამდენჯერმე რომ განმეორდა ამგვარი



რამ და ვანელები დაწყდნენ ცხენების დევნითა და დამშვიდებით, მეჯინიბეს განუცხადეს: რამე მოიფიქრე, ასე აღარ შეგვიძლიაო. ამის მერე მეჯინიბე სატკაცუნებლით დადიოდა. სატკაცუნებელს თავზეთ იქნევდა და ასე აგებინებდა ქალაქს: მოვდივარ, მოემზადეთო. როგორც კი სატკაცუნებლის ხმას გაიგონებდნენ, ვანელები თავიანთ ცხენებს მისცვივებოდნენ, სადავეებს დაუჭერდნენ, თვალეზე ტომრებს ჩამოაფარებდნენ და თან ცალი ხელით კისერს ფხანდნენ. ცხენები ძველებურად აღარ გიჟდებოდნენ, თუმცა მაინც შფოთავდნენ, ცმუტავდნენ და ფრუტუნებდნენ.

ასე გაჩნდა ვანში პირველი მათხოვარი. ვანელები ამასაც მალე შეეჩვივნენ, თანდათანობით მობეზრდათ და დაივიწყეს კიდეც. ახლა თამაშით გართული რომელიმე ბავშვი ისე, ყასიდად, ძველი ჩვეულების ძალით თუ გასძახებდა "დაკოდილოო" ქუჩაში თავის კანტურით მიმავალ მეჯინიბეს და ისევ გააგრძელებდა ტოლებთან თამაშს. ამდენმა წანწალმა და ცისქვეშ გდებამ სულმთლად გამოდევნა მეჯინიბის სხეულიდან ცხენის სუნი და სითბო, რაც წლების მანძილზე ჯიშინ ულაცებსა და ფაშატებთან ტრიალისას შეეწოვა მეფის თავლაში. ცხენები ახლა ყურადღებასაც აღარ აქცევდნენ და შეეძლო, თავისუფლად მიახლოვებოდა, ცხვირი მიეჭყლიტა ფერდზე და რამდენიც უნდოდა იმდენი ეყნოსა მისთვის ესოდენ საყვარელი სურნელი.

იმ დღეს, როცა მეჯინიბეს კოდავდნენ და მისი ბლავილი სატახტო დარბაზშიც ისმოდა, ცუცამ ჩაიქირქილა და თქვა: ახლა ცოლი შევირთოთო. ოყაჯადო შერთა, დედის ნათქვამმა ახლაც მოულოდნელად გაუნათა გონება და დაანახვა ის, რის დანახვასაც აქამდე ამაოდ ცდილობდა. ოყაჯადომ აქამდე არ იცოდა, რა აწუხებდა, რა ასევდიანებდა ასე, მაგრამ რაკი ვერ ამოეხსნა, ცდილობდა შეჩვეოდა. ეს გამარინდებელი, სულის შემხუთავი გრძნობა ჯერ კიდევ კრეტაზე გასჩენოდა, მაგრამ მაშინ უფრო იოლად შეძლო მისი ამოხსნა, ისიც ტახტის სევდა-წუხილად ჩათვალა და დარწმუნებული იყო, როგორც კი გავმეფდები, გუნებაც გამიხალისდებაო. მაგრამ ასე არ მოხდა, ეს გრძნობა ტახტზეც აჰყვა. მაშინ კი დაფრთხა ოყაჯადო: რა მაწუხებს, რაღა მინდა, რა ამბავია ჩემს თავს. ნეტავიო. გამხელით კი როგორ გაამხელდა, როგორ ეტყოდა ცუცას, მეფობა არ მყოფნის, კიდევ რაღაც მაკლიაო. ამიტომ, იძულებული იყო, მარტო გამკლავებოდა ახალ სატანჯველს, მოეთმინა, შეჰგუებოდა, შეესისხლხორცებინა. მოთმინებით კი ითმენდა, მაგრამ ახლა ცნობის წადილი ჰკლავდა, ის მაინც ვიცოდე, რა ჰქვია, რამ გამიჩინა ეს სატანჯველიო. გაუნძრევლად იჯდა და ფიქრობდა, მალ-მალე ცხვირზე ჩამოისვამდა ხელს, რადგან დედისაგან ჰქონდა გაგებული, სპილოსთვის ხორთუმი ცნობისმოყვარეობას რომ დაეგრძელებინა. ახლა კი თვითონ ცუცამ ამოუხსნა ამოცანა. ოყაჯადოს სატანჯველს სახელი დაერქვა. უცოლობა იყო მისი სატკივარი, რაც დედის გულმა უსიტყვოდ გაიგო და მასაც გააგებინა. სატკივარი კი გაიგო, მაგრამ ოყაჯადომ ისიც იგრძნო, ამ სატკივრის მოთმენა ახლა უფრო გაუჭირდებოდა. ან რატომ უნდა მოეთმინა, როცა წამალი არსებობდა და დედამისზე უკეთესად არავის შეეძლო იმ წამლის შოვნა. მთავარია, ცუცას შესცოდებოდა შვილი. ოყაჯადოს იმ წუთას მართლა მოუნდა, დედამისს შესცოდებოდა, სიბრალულითა და თანაგრძნობით შეეხედა მისთვის, შეწუხებულიყო, რაღაც ეთქვა გულისამაჩუყებელი, თუმცა ყველაფერი ისედაც გულისამაჩუყებელი იქნებოდა, რასაც ცუცა ეტყოდა, მის ყველა სიტყვაზე ცრემლი მოადგებოდა და არც დამალავდა, რათა უარესად შესცოდებოდა დედას. დედა ჩააცივდებოდა, გინდა თუ არა მითხარი, რა მოგივიდა, რატომ ამოისვი თვალში ხელიო, მაგრამ ის მაინც არ ეტყოდა სიმართლეს, თავს ისე დაიჭერდა, თითქოს

თვითონვე რცხვენოდა ამ უეცარი სისუსტისა, იქით დაამშვიდებდა დედას, რა უნდა მომსვლოდა, ალბათ მტვერი ჩამივარდა თვალშიო, მაგრამ ცუცას რას გამოაპარებდა, ცუცა ყველაფერს მიხვდებოდა და დაეხმარებოდა კიდეც. "უიმე, - როგორც ყოველთვის, ახლაც ასე იტყოდა ცუცა, - უიმე, მე ავატირე, ჩემი გულისთვის ტირისო". რაც უნდოდა, ის ეთქვა, ოღონდ კეთილი ენება და მოერჩინა ავადმყოფი შვილი. ოყაჯადო უცოლოდ ვეღარ გაძლებდა.

- ოღონდ მერე მე არ დამაბრალოო, - თქვა ცუცამ.

ოყაჯადოს კი აღარაფერი გაეგებოდა, თვალეზზე ლიბრი გადაჰკვროდა, ათასში ერთხელ დედის ქირქილი თუ შეაღწევდა მის გამოთიშულ გონებაში. ნათქვამია, პატარა კაცმა დიდი სიზმარი ნახაო და მართლაც, რაც მერე მოხდა, ყველაფერი ერთ უცნაურსა და გაუთავებელ სიზმარს ჰგავდა.

როცა ისევ გამოიხედა თვალში, უკვე ცოლიანი იყო, მის ცოლს კამა ერქვა. პირველი გრძნობა, რაც ოყაჯადოს თავის ცოლისადმი გაუჩნდა, შიში იყო. შიშს ქალის სილამაზე ბადებდა. ნაზი და ნებიერი კამა თავისი სილამაზით თავზარს სცემდა მნახველს. ისეთ უცნაურ შუქს ასხივებდა, ყველაფერს სუსხიან ბურუსში ხვევდა. მისი შუქი ყველაზე ღრმა სარდაფებშიც აღწევდა და იქაურობას სამარისებური სიცივით ავსებდა. ეს უჩვეულო სინათლე ერთიანად აოგნებდა სულიერსაც და უსულოსაც. ხალხი ცდილობდა, რაც შეიძლება შორს გასცლოდა, გაქცეოდა სინათლის ბრწყყალებს, ძილშიაც რომ უკარგავდა მოსვენებას. როცა გაიგონებდნენ, დედოფალი მოჰყავთო, ფანჯრებზე ფარდაგებს აფარებდნენ, ნასვრეტებსა და ჭურჭრუტანებს ცვილით გლესავდნენ, მაგრამ კამას შემამფოთებელი სინათლე ყველაფერში ატანდა და ყველაფერს სუსხის ეკალს აყრიდა, რასაც კი შეეხებოდა. საბედნიეროდ, ეს სუსხი და აოგნება დიდხანს არ გრძელდებოდა, თან მიყვებოდა ჩავლილ დედოფალს. სინათლისგან დაბრმავებული თვალიც მაშინვე იბრუნებდა მხედველობის უნარს, ხოლო მოახლოებული და გარდაუვალი აღსასრულის შეგრძნება შხუილით იღვრებოდა ყურებიდან და ნესტოებიდან, როგორც გამსკდარ კასრიდან წყალი. კამამ ვანელებს, რატომღაც დარიაჩანგი გაახსენათ. გადმოცემით იცოდნენ, დარიაჩანგსაც თავისი სინათლე რომ ჰქონდა, პირიდან ია და ვარდი სცვიოდა და მის ნავალზე ისეთი ბალახი ბიბინებდა, საქონელი გაცურდებოდა. დარიაჩანგის სხივებზე, როგორც ვენახის ტოტებზე, ბავშვები ეკიდებოდნენ და კონწიალობდნენ. კამას სინათლე კი სხვა იყო, ეს სინათლე აბნელებდა. ამ წამიერ სიბნელეში ხეები გახმობას ასწრებდნენ, ბალახი ჭკნებოდა, მონძივით ეფინა მიწაზე, ჩიტები გულგახეთქილნი ცვიოდნენ ძირს, ბაკებში დამწყვდეული საქონელი ზმუოდა და ერთმანეთს რქებზე ეხვეოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მალევე მთავრდებოდა. საკმარისი იყო, ჩაევილო ტახტრევანს და გარემოც პირვანდელ სახეს იბრუნებდა, ოღონდ ხალხს უფრო დიდხანს რჩებოდა გულის ფრიალი და გადატანილი ზაფრის ყინული.

- მცივა, ოყაჯადო, მცივა! - ჩასძახოდა კამა ყინულისფერ სარკეს.

ეს უზარმაზარი სარკე მზითვში მოჰყოლოდა და ახლა მთავარ დარბაზში იდგა. სარკე თითქოს უარესად ამძაფრებდა სიცივეს და ოყაჯადომ აღარ იცოდა, როგორ ეშველა ცოლისთვის. დაქორწინების შემდეგ თვითონაც განუწყვეტლივ ზრინავდა ტანში, მაგრამ ვერც ცეცხლის

ანთება გაეხდათ. კამა ცეცხლს ვერ იტანდა, სიკვდილივით ეშინოდა ცეცხლისა და მართლაც, გინდაც შორიდან მოეკრა თვალი, მაშინვე უზარმაზარ ლოლუასავით იწყებდა დნობას.

სასახლეში ყველა მობუზული დადიოდა, იატაკზე ჭირხლი ეყარა, სუსხი კედელშიც ატანდა და სასახლე გარედანაც შეჭირხლულიყო. კამა მთელი დღეები სარკის წინ იჯდა და ჩიოდა, როდის შემიშვებს სარკე, აღარ შემიძლია, გავითოშეო. კამას იმ მეორე კამასი შურდა, უკვე სარკეში რომ ცხოვრობდა და ახლა იქიდან ესაუბრებოდა გარეთ დარჩენილ ორეულს, რომელსაც უსასრულოდ შეეძლო ესმინა, ისეთ საოცარ ამბებს უყვებოდა სარკის ბინადარი კამა. "დამიჯერე, აქა სჯობს, აქ არც სიცივეა და არც სითბო", - ეუბნებოდა სარკის ბინადარი გარეთ დარჩენილს. ისიც ფეხმოუცვლელად იჯდა სარკის წინ და ელოდებოდა, როდის გაიხსნებოდა სარკის ზედაპირი და სანატრელი ქვეყანა მასაც შეიფარებდა. კამას ეშინოდა, არ გამორჩენოდა ის საბედისწერო წუთი და სამუდამოდ არ დარჩენილიყო გარეთ. მერე, როცა კამა უკვალოდ გაქრა, ოყაჯადომაც დაიჯერა, მისმა მეუღლემ მართლა რომ მოახერხა სარკეში შეღწევა. მაგრამ გული არ დაწყვეტია, რა ჰქონდა გულის დასაწყვეტი? კამამ სამუდამოდ გაუთოშა სისხლი, ქალის სახსენებელი შეაჯავრა, ერთი საათით თუ შევიდოდა მასთან, მერე მთელი კვირა აცემინებდა, ცინგლი ჩამოსდიოდა. კამა კი მთელი თვე ლოგინიდან ველარ დგებოდა, ისე ადნობდა და ასუსტებდა ქმართან განმარტობა. რაკი თვითონ აღარ შეეძლო სარკესთან მისვლა, საწოლთან მოატანინებდა ხოლმე ჩარჩოში ჩასმულ ყინულის ლოდს და სევდიანი, შურიანი და აღტაცებული თვალებით შესცქეროდა, შესციცინებდა სარკის ბინადარ კამას.

ოყაჯადოს დედა მოენატრა, რაც ცოლი შეერთო, დედა არ ენახა, არც გახსენებია. სად გაქრაო? - ჯერ გაუკვირდა, მერე კი შეეშინდა, ხომ არ მიმატოვაო, და მაშინვე დედის საძებნელად გასწია. ცუცა თავის ოთახში შეკეტილიყო, გაუხდელი ჩაწოლილიყო ლოგინში, თავზე შალი მოეხვია და ზემოდან მთელი წალო ქვეშაგები დაეყარა. მოუსვენარი, დანაკვერცხლებული თვალებილა უჩანდა, თითქოს მელია იყურება სოროდანო. "მეფეს ვახლავარო" - დაუძახა შვილს, გალეული, მარღვებით გადაღურჯებული ხელი ძლივძლივობით ამოაძვრინა საბნებიდან და ტუჩზე აწეპებული ბეწვი მოიშორა.

- ცოლი ნეტავ სხვისიც არ გამეგო, - ამოიოხრა ოყაჯადომ.

- არ გაბედო! - უყვირა ცუცამ.

ცუცამ იცოდა, ეს დღე რომ დაადგებოდა. მართალია, ყველაზე მეტად ქალის ეშინოდა, მაგრამ თვითონაც ქალი იყო და არასოდეს მოუტყუებია გუმანს. მას შემდეგ, რაც ოყაჯადო ტახტზე დასვა, თითქოს აღარაფერს არ უნდა შეემფოთებინა, მაგრამ კიდევ არსებობდა ერთი ჯგბირი, ერთი ვერაგი მტერი, რომელიც აუცილებლად გამოჩნდებოდა და ეცდებოდა კიდევ ცუცას შეკოწიწებული ციხე-სიმაგრის დანგრევას. ამიტომაც არ ამორებდა თვალს შვილის ბრტყელსა და უძრავ სახეს, და, როცა ოყაჯადოს შუბლი მუწუკებმა გაავსეს, ცუცაც მიხვდა, მტერი კარზე მოსდგომოდა. მტერი ძლიერი იყო, შეეძლო ხელის ერთი დაკვრით მართლა წყალში გადაეყარა ამდენი ხნის ნაამაგარი. ოყაჯადოც დაბნეული აცეცებდა თვალებს, ჯერ ვერ ხვდებოდა მტრის ვერაგობას, მაგრამ უკვე აელოკა მისი მოშხამული მახვილი და ხანდახან ისე წამოენთებოდა სახე,

მთელ კოკა წყალს დაიცლიდა თავზე. მაგრამ ყინულივით ცივი წყალი შიშინით აშრებოდა, ცეცხლს კი ვერ უქრობდა. მერე გაქცევის ხუმტური წამოუვლიდა, მართლა რომ არ გაქცეულიყო, კარს გადაკეტავდა ხოლმე და ოთახში დაძუნძულებდა. მარტო ცუცამ იცოდა მისი წამალი, ისიც იცოდა, ცოტა ხნით უნდა გაეშვა, რათა სამუდამოდ არ დაეკარგა, მაგრამ ოყაჯადო არ იყო თავის ნებაზე გასაშვები კაცი, თანაც ახლა, ამ დღეში მყოფს პირველივე ქალი ლეჩაქის ყურზე გამოიბამდა, ერთ სიტყვას უჩურჩულებდა და სამუდამოდ დაავიწყებდა დედასაც და ტახტსაც. ცუცას კი ოყაჯადო თავისთვის უნდოდა, საქმისთვის გაეჩინა და არა კალთაში საბუქნაოდ. ოყაჯადო უფრო მეტს ნიშნავდა ცუცასთვის, ვიდრე ნებისმიერი შვილი ნებისმიერი დედისთვის. ოყაჯადო იგივე ცუცა იყო, დანამატი, აუცილებელი დანამატი, ურომლისოდაც არც ცუცა იქნებოდა ასეთი, ვერასოდეს ვერ მიაღწევდა იმას, რისთვისაც მიეღწია. ცუცას მხოლოდ და მხოლოდ ოყაჯადო სჭირდებოდა. წინ სიბნელე იყო, გაურკვეველი მომავლის სიბნელე და ცუცამაც თამამად შეაბიჯა ამ სიბნელეში, რადგან შიში და ყოყმანი დალუპვას ნიშნავდა მისთვის. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვინ დახვდებოდა იქ, მეჯინიბე თუ მეფე, მთავარი იყო, უშედეგოდ არ ჩაევილო სიბნელესთან შეუღლებას, ნაყოფი გამოეღო, არ გაეწბილებინა მომავლისთვის მებრძოლი ქალი. ოყაჯადო სიბნელის ნაყოფი იყო და არა ჩვეულებრივი ლეკვი, იქამდე რომ ახსოვს დედას, სანამ ლიბრი მოსცილდება, სანამ სინათლეს დაინახავს. სინათლემ გატყუება იცის, ცუცას კი ოყაჯადო სამუდამოდ სჭირდებოდა, რადგან მათი ერთიანობა, მათი განუყოფლობა ბადებდა ტახტს, გვირგვინს, უშიშარსა და უზრუნველ ცხოვრებას. ცალ-ცალკე არც ერთს არ ჰქონდათ ფასი. ამიტომ ოყაჯადოს დედის მეტი არაფერი არ უნდა დაენახა. დედის დანახვა კი ბრძანსაც შეუძლია. ცუცას უნარი შესწევდა და ვერც ვერავინ დაუშლიდა, ისეთი შვილი გაეზარდა, როგორსაც მათი საერთო საქმე მოითხოვდა. შეძლო კიდეც, მიაღწია, რადგან უნდა მიეღწია, რადგან სხვა გზა არ არსებობდა. მაგრამ ოყაჯადო სიმწიფეში რომ შევიდა, ცუცამ საფრთხე იგრძნო, სამუდამოდ შემომტკიცებულ მიწაზე გრიგალი იღვიძებდა, ვნების გრიგალი, რომელიც არაფერს არ დაგიდევდათ, ერთნაირად მიაწყდებოდა ხუბულასაც და სასახლესაც. ცუცამ იცოდა ამ გრიგალის ძალა, მაგრამ მაინც როგორმე უნდა მოეგლო, დროზე უნდა ჩაექრო, ჩაეწყნარებინა და, თუკი შეძლებდა, სამუდამოდ ამოეფხვრა კიდეც. მეორე ქალს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ვერ გადააყოლებდა ძლივს აწყობილ ცხოვრებას. ვის რა უფლება ჰქონდა, მზამზარეულზე გამოჩენილიყო და უბრძოლველად მიეთვისებინა ის, რაც ცუცას წლების მანძილზე საკუთარი ნისკარტით შეეკოწიწებინა ოცნების ლერწმითა და ცოდვის ტალახით. ცუცამ იცოდა, ვნების გრიგალს ვერაფერს მოუხერხებდა, ვერ მისწვდებოდა, მაგრამ შვილი ხომ ხელთა ჰყავდა. ერთხელაც დაბზრივდა ცუცა და იქამდე იბზრივდა, სანამ კამა არ დაინახა, დაინახა და დამშვიდდა. უფრო ლამაზ ქალს ვერავინ გამოინახავდა სარძლოდ, ვერც ერთი საცოლე ვაჟი ვერ დაიწუნებდა ცუცას არჩევანს. მაგრამ ცუცამ ისიც დაინახა, რასაც ვერავინ დაინახავდა, მით უფრო გამოუცდელი ოყლაყი, მშვიდად რომ ვერ შეუხედავს კაბაგადაცმულ სარისთვისაც. კამას სილამაზე სიცივის, სიმარტოვისა და სიბერწის სილამაზე იყო. ცუცა სიხარულით დაფრინავდა, კამას არაფერში არ სჭირდებოდა მისი ვაჟიშვილი, ხოლო მისი ვაჟიშვილისთვის ეს ისეთი გაკვეთილი იქნებოდა, სიკვდილამდე დაამახსოვრებდა თავს. ცუცაც ცოტას წაეხმარებოდა და დაარწმუნებდა, რომ ყველა კაბა ერთსა და იმავე საიდუმლოს მალავდა. კამამ დიდი იმედი ჩაუნერგა ცუცას, ამიტომაც უთხრა, ჩემო მშვენიერო, ჩემო ლამაზო რძალო, შენი დიდი იმედი მაქვსო. ხოლო როცა შვილის დაბნეული სახე დაინახა, ისევ ხუმრობის

გუნებაზე დადგა და ნიკაპქვეშ ხელი ამოჰკრა, როგორც იცოდა ხოლმე. ოყაჯადო გაწითლდა, დედას თვალი აარიდა და ძლივს ამოილულლულა: მე უნდა წავაქციო, თუ თვითონ წაიქცევას? ცუცას ერთი წუთით შეეცოდა შვილი, იცოდა, სადაც უშვებდა, იცოდა, როგორი დაუბრუნდებოდა იქიდან, მაგრამ ახლა დედაშვილობიას დრო არ იყო. შვილს გასამხნევებლად წაუთაქა, მაგას თქვენც გაარკვევთო, დაუბარა და თავის ოთახში შეიკეტა, რადგან უკვე გასჯდომოდა ტანში სიცივე, რომელსაც მისი ვაჟიშვილიც მალე იგრძნობდა.

- მცია! - ისევ ამოიოხრა ოყაჯადომ.

- ჩუმად, - ისევ შეუწყრა ცუცაც, - მეც მცია, მაგრამ თქვენი გულისთვის ვითმენ.

"გინდოდა და აგისრულდა, - გააგრძელა ცოტა ხნის მერე თვითონვე, რაკი დარწმუნდა, ოყაჯადოს აღარაფერი ჰქონდა სათქმელი, - გინდოდა და აგისრულდა. ცოლი ეგ არის. მადლობა ღმერთს, მე ვერაფერს დამაბრალებო".

ოყაჯადო დაღვრემილი გამობრუნდა. როგორც ყოველთვის, დედამისი ახლაც მართალი იყო. ოყაჯადოსაც დედასთან უნდოდა ყოფნა, აქ ერჩია, ფეხი უკან რჩებოდა, მაგრამ უნდა წასულიყო, მეფე იყო და ტახტი უცდიდა. შესაძლებელი რომ ყოფილიყო ტახტის აქ შემოტანა, თავსაც აღარ გამოყოფდა დედის ოთახიდან, მაგრამ, კამას სარკესავით, ტახტსაც ხომ არ დაუწყებდნენ აქეთ-იქით ჩოჩიალს? არც ცუცა მისცემდა ამის ნებას. არ შეიძლებოდა და იმიტომ. ტახტის გაქანებაც არ შეიძლებოდა, ერთ ადგილას უნდა მდგარიყო, სამეზარი რომ არ გახდომოდა, ადვილად რომ მიეგნო და ყოველთვის ასე დინჯად, ყოველთვის ასე მძიმედ წასულიყო მისკენ. "მწელი ყოფილა მეფობაო", - ფიქრობდა ოყაჯადო.

- ჯერ სადა ხარ, კიდევ ბევრჯერ მოგენატრება დედა, - მიამახა ცუცამ.

ახალ კალაპოტში გადაგდებული ცხოვრება თანდათან მშვიდდებოდა, ნაპირებს ეჩვეოდა და თავქვე მიქროდა. ღვინის ვაჭარი ბახა ისევ ღვინის ვაჭარ ბახად დარჩენილიყო, მაგრამ ახალი საგონებელი გასჩენოდა: მისი ღვინო ხალხს კი აღარ ათრობდა, აყეყებდა. დარწმუნებული იყო, იმანო რაღაცას ეშმაკობდა, ღვინოს აფუჭებდა, მაგრამ ჯერ ხმას არ იღებდა, იმედი ჰქონდა, საქმეზე წაასწრებდა და პასუხსაც მაშინ მოსთხოვდა. ხალხსაც ვედარ სცნობდა ღვინის ვაჭარი ბახა, მის ორმოცსაფეხურიან სარდაფში სხვა ხალხი ირეოდა, ღვინოსაც სხვანაირად სვამდა, ზეზეულად, ფაცაფუცით და ყინწიც მალე სწყდებოდა. "ვინ არიან, სად იყვნენ აქამდეო", - უკვირდა ღვინის ვაჭარ ბახას, მაგრამ თავად ჯერ ისევ ძველებურად მედიდური იჯდა თავის საყვარელ სკამზე, მრგვალთავიანი ჯოხი მუხლებს შორის ჩაედგა და ზედ ხელები დაებჯინა.

მეთევზე ბედიაც ისევ ჩუმ-ჩუმად ზომავდა მანძილს ნავების სადგომიდან ზღვამდე და ისევ ჩუმ-ჩუმად აგრძელებდა თოკს, უკვე საკმაოდ დამძიმებული, უღელივით რომ უხეხავდა კისერს.

ბოჩია ისევ აკვანს თლიდა, ოქროსფერი, შრიალა და სურნელოვანი ბურბუშელა მუხლებამდე შემოსდგომოდა და მამობილის შემოჩვეული კოდალები ახლა მას ასხდებოდნენ. ისიც მართლა ხესავით გაირინდებოდა ხოლმე, სანამ ეს ჭრელი და მოუსვენარი ჩიტი გამეტებით უკაკუნებდა

ნისკარტს. ფოთოლას მოხვეტილი და მობოჭილი ბურბუშელა ეზოში გაჰქონდა დასაწვავად, მაგრამ, შემობრუნებულს, იმდენივე ხვდებოდა.

შავთვალემა მალალოს სასტუმრო დუღდა და გადმოდუღდა. ოყაჯადოს გაკვალულ გზაზე იმდენი წამსვლელ-მომსვლელი იდგა, ისა და მისი ექვსი ქალიშვილი ძლივსდა აუდიოდნენ სტუმრების მიღებასა და გასტუმრებას. ასე რომ, ერთი შეხედვით თითქოს არაფერი არ შეცვლილა ვანში, უბრალოდ, ერთი საოცრება კიდევ შეჰმატებოდა ქალაქს: ოყაჯადოს სასახლეს პაპანაქება სიციხეშიც ლოლუები ეკიდა.

ერთი შეხედვით ჩანდა ასე, თორემ დროს, რაღა თქმა უნდა, ბევრი რამე შეეცვალა. დრო თავისას აკეთებდა. დროს თავისი საქმე ჰქონდა. ვერც ვერაფერს ამჩნევდა, არც არავის ეპუებოდა. არც თვალი ჰქონდა, არც გული. მიდიოდა, მიიზღაზნებოდა, უგრძობელი და ღონიერი. შავთვალემა მალალოც დიდხანს ეომა, ეფერა და ეთვალთმაქცა, მაგრამ ვერაფერს გახდა. თუმცა არა, რწმენა განიმტკიცა, ბრძოლისა და შეურიგებლობის რწმენა. მართალია, სიბერემ იმდენჯერ შეაშინა და იმდენი უძახა "ჭიტა-ჭიტაო", ყოველგვარი იმედი გადაუწურა, მაგრამ ფარ-ხმალი მაინც ვერ დააყრევინა. პატრონივით გადაბერებული თუთიყუშიც ახლა უფრო ხშირ-ხშირად ჩხაოდა, მასპინძლო, მასპინძლოო, თითქოს ისიც გრძნობდა დროის დინებას და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტჯერ ეთქვა ეს ერთადერთი სიტყვა, ადამიანებთან შეხიზნულს რომ ესწავლა. არა, თუთიყუშიც შავთვალემა მალალოს აფრთხილებდა, ჯიუტად უმეორებდა ერთსა და იმავეს, რადგან შავთვალემა მალალოსაც მხოლოდ ამ სიტყვის მნიშვნელობა ესმოდა ბოლომდე, ძირფესვიანად. თავიდანვე მოხიბლა ამ სიტყვამ, აიყოლია, დაარწმუნა, შენთვისა ვარ მოგონილი, შენზე უკეთ ვერავინ გამამართლებსო, და შავთვალემა მალალომაც მთელი გულით შეიყვარა იგი. შეიფერა კიდევ, შეიშნოვა. სტუმრები იცვლებოდნენ, ის კი უცვლელი რჩებოდა. ასედაც იქნებოდა სულ, დრო რომ არ გადამტერებოდა, კრიჭაში რომ არ ჩასდგომოდა. ახლა მასპინძელს სტუმრებისთვის მათი წონა ოქროც რომ მიეცა, მაინც არავინ დაიჯერებდა, ეს ფეხებდასიებული ჯოჯო, მუმტისხელა, დაკვანძული მარღვეები წურბელებივით რომ დასეოდნენ წვივებზე, ოდესღაც ტანკენარი, კოცონივით მობრიალე და სალამურივით ხმაწკრიალა ქალი გახლდათ. დღითიდღე სტუმრები უფრო თავაზიანნი და მორიდებულნი ხდებოდნენ და შავთვალემა მალალოც გრძნობდა, როგორ შორდებოდნენ ერთმანეთს ისა და მისი სტუმრები. მაგრამ ასე ადვილად მაინც ვერ შეელოდა სიცოცხლეს, სანამ პირში სული ედგა, ზურგს ვერ შეაქცევდა, კარს ვერ გამოუქეტავდა და, თუ უსასრულოდ ვერა, კიდევ დიდხანს უმასპინძლებდა, მიიღებდა და გაისტუმრებდა; კიდევ ბევრჯერ გახდიდა და ჩააცმევდა, როგორც სულელი გოგო საყვარელ თოჯინას. ამდენი ხანი ტყუილად როდი აჩხავლებდა ამ თუთიყუმს, წყალგადასხმულ მუგუზალივით რომ პრიალებდა; ტყუილად როდი ეუბნებოდა ყველა ძალსა და მამაძალს: მიგულე შენს მასპინძლად, კიდევ მობრძანდიო. ყველას, ყველას უნდა სცოდნოდა, ჯერ კიდევ ის იყო მასპინძელი. ჯერ ის იყო და მერე მისი ქალიშვილები, ჯერ მასთან ჰქონდა საქმე ქვეყანას.

მართლაც იმდენი ჰქნა შავთვალემა მალალომ, ერთხელ კიდევ გააწბილა კარს მომდგარი სიბერე. მოხდა ის, რასაც უკვე არავინ აღარ ელოდა. შავთვალემა მალალომ ბავშვი გააჩინა, მეშვიდე ქალიშვილი. გოგოს ინო დაარქვეს. სასტუმროში ჩვილის სუნი დატრიალდა და იქაურობაც ჩვეულებრივ სახლს დაამგვანა. ექვსი ერთნაირად თმადავარცხნილი, ერთნაირ კაბაში გამოწყობილი და უკვე საკმაოდ შელახული ქალიშვილი თავზე ევლებოდა მოლოგინებულ

დედას. ბავშვის გაჩენამ ისინიც გაახალისა, ალაფროთოვანა და დაასევდიანა კიდეც. დედამ აჯობათ, დედამ სიბერეშიც შეძლო ის, რისი უნარიც მათ ახალგაზრდობაშივე დაეკარგათ. შავთვალემა მაღალო მათზე მეტი იყო, ყოველთვის მეტი იქნებოდა, ერთით მეტი. თუკი ისინი ახლა შვიდნი გამხდარიყვნენ, შავთვალემა მაღალო უკვე რვა იყო. დედის მოულოდნელმა, ყველასათვის მოულოდნელმა მოლოგინებამ ქალიშვილებს ისევ აღუდგინა მისი უპირატესობისა და ყოვლისშემძლეობის რწმენა. მართალია, საერთო ჭერსა და საქმეს ისე დაეახლოვებინა ისინი დედასთან, მეშვიდე დასავით ექცეოდნენ, იმასაც ეუბნებოდნენ, ყველანი ერთნაირები ვართო, მაგრამ ახლა თვითონაც გრძნობდნენ, რამდენად მაღლა იდგა შავთვალემა მაღალო, მეშვიდე და კი არა, შვიდივეს შემქმნელი. ეს პატარა, ნაცრისფერთვალემა არსებაც მალე დაემსგავსებოდა უფროს დებს, ჯერ კი არხეინად ღულუნებდა, რადგან გვერდით ყველაზე თბილი, ყველაზე გემრიელი და ყველაზე ძლიერი ქომაგი ეწვა.

ინომ მალე შეამჩნია ერთნაირად თმადავარცხნილი, ერთნაირ კაბებში გამოწყობილი უფროსი დების საოცარი მსგავსება. ბევრი დრო დასჭირდა, სანამ ერთმანეთისაგან განასხვავებდა, რადგან ექვსივენი ერთნაირად იხრებოდნენ მისკენ, ერთნაირად იჩლიქავდნენ ენას და ერთნაირად იცინოდნენ, როცა ინო მათ ყელ-კისერზე აკონწიალებულ მძივებს წაეტანებოდა. ინო ბედნიერი იყო, იმდენად ბედნიერი, ვეღარც არჩევდა, როდის თენდებოდა და როდის ღამდებოდა. ერთნაირად ვარდისფერი, მშვიდი და კეთილი იყო დღეცა და ღამეც. სანამ სიარულს ისწავლიდა, დედას ატატებული მიჰყავდა იგი თუთიყუშის გალიასთან და ინოც გულიანად კისკისებდა, როცა ეს გაფხორილი, ყვითელთვალა და შავნისკარტა ფრინველი ბორბალივით დატრიალდებოდა ხოლმე ხარიხაზე. გალია ქანაობდა, ქანაობდა და თავბრუდახვეული ინო შეუმჩნევლად იხრდებოდა. სადამოობით ექვსივე და ერთად ბანდა, ვარცხნიდა და რთავდა ინოს, სტუმრებთან რომ გაეყვანათ. "აბა შენ იცი, ყველას მიესალმე, საჩუქარზე ნუ გაიპრანჭები, ნუ ათქმევინებ, ეს რა უწესო გოგო ჰყოლიათო", - ჭკუას არიგებდნენ დები, სანამ ის პეპელასავით ფარფატებდა და ერთი სული ჰქონდა, როდის ეჩვენებოდა სტუმრებს ახალ კაბაში გამოპრანჭული. დილით დიდი ოთახიდან დედა-დების უზრუნველი საუბარი და სიცილ-კისკისი ისმოდა, ამ ხმის გაგონებაზე ინო ყოველთვის ნეტარებით გაიზმორებოდა ხოლმე და მაშინვე რძის თბილი და ნოყიერი სუნი დატრიალდებოდა მთელს სახლში. თმაგაჩილი, ფეხშიშველი, გამოძინებული და მოშიებული ინოც გაფარფატდებოდა დიდ ოთახში და, სანამ მის შემოსვლას შეამჩნევდნენ, აღტაცებული შესცქეროდა დედასა და დებს. ყველანი კობტად თმადავარცხნილნი და პირდაბანილნი, საოცრად ღამაზეები და ახლობლები იყვნენ. ისიც უცნაური თრთოლვით ჩამოუვლიდა ხოლმე ყველას და თითის წვერებზე აწეული კოცნიდა მათ სურნელოვან ლოყებსა და შუბლებს. "მაცალე, ძლივს დავივარცხნე თმაო", - ყასიდად წიოკობდნენ დები. ინო კი ბედნიერი იყო.

ოყაჯადოს სასახლეს ისევ ლოლუები ეკიდა. შუადღის მზე რომ დააჭერდა, ბავშვები პირის გასაგრელებლად ჭიგოებით ყრიდნენ ლოლუებს და თავკუდმოგლეჯილნი გარბოდნენ, ვიდრე მცველები დაუტატანებდნენ გალავნიდან, თუმცა ნაბადში გახვეული მცველები თვითონაც მალულად ამტვრევდნენ ამ ლოლუებს და ქუჩაში ისროდნენ. ახლა დღე არ გაივლიდა, ოყაჯადოს დედისთვის არ დაეხედა. კამა სარკის წინ დნებოდა, ქმარი აღარც ახსოვდა. ათასში ერთხელ ისევ

სარკეში თუ მოჰკრავდა თვალს, როგორ ჩაივლიდა მის ზურგს უკან მოღუშული, გულხელდაკრეფილი ოყაჯადო.

ერთ დღეს ოყაჯადო დედასთან რომ შევიდა, საწოლზე წამომჯდარმა ცუცამ ისეთი აწრიალებული მზერა შეაგება, გული გადაუქანდა, რაღაც უბედურება მომხდარაო.

- რა მოხდა, დედაჩემო?! - შეჰყვირა ოყაჯადომ.

- მეტი რაღა უნდა მოხდეს... - კი არ უპასუხა, თავისთვის წაიმღერა ცუცამ და ირგვლივ უმწეოდ მიმოიხედა.

მერე ისევ შვილს გაუსწორა თვალი და იქამდე უყურა ბრტყელსა და უძრავ სახეში, სანამ ღიმილი არ მოერია. ოყაჯადო ცოტა დამშვიდდა. "შე მართლა უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილოო", - ჩაიქირქილა ცუცამ თავისებურად, მაგრამ ხველა აუვარდა და სანამ ოყაჯადომ წყალი არ მოურბენინა, სული ვერ მოითქვა.

- ფეხები წამერთვა, - თქვა ცუცამ და ცოტა ხნის მერე ისევ გაიმეორა: ფეხები წამერთვაო!

ოყაჯადომ ვერაფერი გაიგო, მაგრამ მაინც შვება იგრძნო, რადგან შიშს ისე დაერია ხელი, ეგონა, როგორც კი გააღებს დედაჩემი პირს, საზარელი ურჩხული ამოუფრინდებაო.

- ეგ არაფერი, - უთხრა ოყაჯადომ.

ამის მერე ოყაჯადოს ბალღვით ატატებული დაჰყავდა ცუცა. ეზოშიაც ასეირნებდა და ისეთი სიფრთხილით დაატარებდა, თითქოს ადუღებული წყლით პირამდე გაპიპინებული ტაშტი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდა და ეშინოდა, ფეხები არ დაემდურა.

- სხვას არ ანდო ჩემი თავი, იცოდე, - ეჩურჩულებოდა ცუცა, - ვისაც შენი დალუპვა უნდა, ჯერ მე მომიღებს ბოლოს.

მათი ასეთი დედაშვილობა მალე მთელი სასახლის სალაპარაკო გახდა. ქალებს ხომ მეტი აღარ უნდოდათ, ცუცას ცოდვით იწვოდნენ და მისი ბედნიერებაც შურდათ. მეფეს კი არა, მენახირესაც აღარ ახსოვს მშობელიო, ამბობდნენ ქალები, მოსეირნე დედა-შვილს რომ დაინახავდნენ და აწყლიანებულ უპეებს თავსაფრის ბოლოებით იმშრალელებდნენ. "შვილი გავზარდე, შენ უნდა სთქვა, ქალოო", - ხოტბას ასხამდნენ გუნებაში ოყაჯადოს მკლავებში მოკალათებულ ცუცას, რომელსაც მეტი სიფრთხილისთვის ორივე ხელი შვილის კისერზე შემოეხვია. ცუცა მართლა იყო ხელით სატარებელი დედა. ფეხები კი წართმეოდა, მაგრამ გონება ძველებურად საღი შერჩენოდა, ეს გონება დაატარებდა ორივეს, დედასაც და შვილსაც, და ეს ამბავი ორივემ კარგად იცოდა. ოყაჯადოს ღონიერი ფეხები ჰქონდა, მაგრამ ორ ნაბიჯზეც არ გაიშვებოდა. ბუნებას რაღაც შეშლოდა, რაღაც გამორჩენოდა, თავიდანვე ერთ არსებად რომ არ შეექმნა ისინი. ორი თავი და ორი წყვილი ფეხი მართლაც ზედმეტი იყო მათთვის. ცუცას თავს სწორედ ოყაჯადოს ფეხები სჭირდებოდა, ოყაჯადოს ფეხებს კი ცუცას თავი. აკი ასეც მომხდარიყო ბოლოს. ბუნებას მაინც გამოესწორებინა თავისი უნებლიე შეცდომა. ოყაჯადო ახლა უფრო თამამად დააბიჯებდა, ახლა



უფრო სწრაფად და იოლად წყვეტდა სამეფო საქმეებსაც, უფრო სწორედ, უფრო სწრაფად და იოლად იგებდა, რა გადაწყვეტილება მიეღო ცუცას ამა თუ იმ საქმეზე.

ერთ საღამოს, სასახლის ეზოში სეირნობისას, ცუცამ ტურქებზე ხელი ჩამოისვა და თქვა: ზღაპარი უნდა მოვყვეო.

ოყაჯადო გამოცოცხლდა, ბავშვივით აღელდა და დედა უფრო მაგრად მიიხუტა. ზღაპრები ძალიან უყვარდა, ისიც იცოდა, დედამისი ტყუილუბრალოდ, გასართობად არ მოუყვებოდა ზღაპარს, რადგან გაუმხელდა, მიახვედრებდა, მიანიშნებდა მაინც. ასე ექცეოდა თავიდანვე, როცა ოყაჯადო თვითონ იყო ხელით სატარებელი, და თუკი რამე იცოდა ამ ქვეყნისა, ისიც დედის ზღაპრებიდან ესწავლა.

- ერთ კაცს ალმასის ჩლიქებიანი და ოქროს რქიანი კამეჩების მოყვანა დაავალა მეფემ, - დაიწყო ცუცამ, - ის კამეჩები კი ზღვაში ცხოვრობდნენ.

- ზღვაში?! - გაუკვირდა ოყაჯადოს.

ცუცა გაბრაზდა: ალმასის ჩლიქები და ოქროს რქები არ გაგიკვირდა, კამეჩი რომ ზღვაში ცხოვრობდეს, ვითომ რა დიდი ამბავიაო... მართლა სულელი ყოფილხარ, თუ გგონია, შენი გაცემა მინდა და თავს იმიტომ ვიღლიო.

ოყაჯადო გაჩუმდა, ან რა უნდა ეთქვა, დედა მართალი იყო. "მართლაც, რა დიდი ამბავია, კამეჩი რომ ზღვაში ცხოვრობდესო?" - ფიქრობდა თავისთვის, სანამ ცუცას სიბრაზე გადაუვლიდა და მოყოლას გააგრძელებდა.

- არაფერსაც არ უნდა გიყვებოდე! - თქვა ცუცამ.

მერე ჩაეკითხა, სად შევჩერდით, მაგრამ პასუხისთვის აღარ დაუცდია:

- კამეჩები ზღვაში ცხოვრობდნენ და მიწაზე მარტო წყლის დასალევად ამოდოდნენ. ახლა იმასაც იტყვი, თუკი ზღვაში ცხოვრობდნენ, ბარემ ზღვის წყალი ესვათო, მაგრამ თუ აქამდე არ იცოდი, ახლა იცოდე, რომ ზღვის წყალი არ ისმევა, მწარეა და მლაშე.

- ეგრეა. - თქვა ოყაჯადომ.

ცუცამ კი გააგრძელა: - ვერაფერი რომ ვერ გააწყო იმ კაცმა, მარჩიელთან მივიდა, შენ რომ მიხვედი ერთხელ, ისე მივიდა ის კაცი მარჩიელთან და უთხრა: თუ რამე შეგიძლია, გზაზე დამაყენეო. მარჩიელი აბა რიღას მარჩიელი იქნებოდა, ხელს თუ არ გაუმართავდა სათხოვნელად მისულ კაცს. ასე არ არის? შენც ხომ გაგიმართა ხელი მარჩიელმა? არც იმ კაცისთვის დაუწყვეტია გული. ხარის ტყავისა და ერთი ფუთი ლურსმნის შოვნა თუ შეგიძლიაო, ჰკითხა მარჩიელმა კაცს. შემძლიაო, უპასუხა კაცმა. მაშინ, - უთხრა მარჩიელმა, - წაიღე ერთი ხარის ტყავი და ერთი ფუთი ლურსმანი, ერთი ხარის ტყავი და ერთი ფუთი ლურსმანი, ერთი ხარის ტყავი და ერთი ფუთი ლურსმანი, ტყავი გადააფარე იმ წყაროს, ტყავი გადააფარე იმ წყაროს, ტყავი გადააფარე იმ წყაროს, ლურსმნებით კი მიწაზე დააჭედე, ლურსმნებით კი მიწაზე დააჭედე, ლურსმნებით კი მიწაზე დააჭედეო.

ოყაჯადოს სახე გაეზადრა, რადგან მიხვდა, რატომაც უმეორებდა დედამისი ერთსა და იმავეს. სწორედ ამ ადგილებისათვის უნდა მიექცია ყურადღება და დაემახსოვრებინა კიდეც. ესეც ძველი ხერხი იყო, მრავალჯერ ნაცადი. ოყაჯადოს ერთი სული ჰქონდა, ეთქვა დედისათვის: მივხვდიო, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან ცუცამ ზღაპარი გააგრძელა:

- როცა კამეჩები ზღვიდან ამოვლენ, წყალი აღარ დახვდებათ, წყალი აღარ დახვდებათ, წყალი აღარ დახვდებათ. შეგეხვეწებიან, ოღონდ წყალი დაგვალევიან, ოღონდ წყალი დაგვალევიან, ოღონდ წყალი დაგვალევიან და შენი ყმები გავხდებითო, შენი ყმები გავხდებითო, შენი ყმები გავხდებითო - დაამთავრა ცუცამ და ისე უცებ გაჩუმდა, თითქოს შვილის მკლავზე ჩამოეძინაო.

- გავხდებითო, ვხდებითო, ებითო, თო - დააქუცმაცა ბოლო სიტყვა ოყაჯადომ, თითქოს ძაღლის თავი ამ სიტყვაში იყო დამარხული.

- მიხვდი რამეს? - ჰკითხა ცუცამ.

ოყაჯადომ წაუყრუა, ვითომ ფიქრობდა და ვერ გაეგო დედის შეკითხვა. ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ გაიმეორა: გავხდებითო, ვხდებითო, ებითო, თო.

- ვერაფერსაც ვერ მიხვდი, - თქვა ცუცამ და გაფარჩხული თითები ყბაში წაჰკრა შვილს.

ამ საუბრიდან ერთი კვირის თავზე ბერძნის წყაროს მცველები დაუყენეს, წყაროს წინ თიხის უზარმაზარი გომბეშო დადგეს, წყალს კი ფასი დაადეს. წყლისთვის მოსულს ჯერ გომბეშოს დაბჩენილ პირში უნდა ჩაეგდო ფული და მერე შეეყუდებინა კოკურა ღარისთვის. ვეღარც ბავშვები იჭყუმპალავებდნენ წყაროს ნავში, რომელსაც სამუდამოდ შერჩენოდა ზედ ფრიქსესა და მისი ოთხი ვაჟის ხელისგულის ანაბეჭდები.

- ზღვა რომ დავივიწყეთ, ამიტომაც ხდება მიწაზე ამისთანა ამბებიო, - ეტყოდა ხოლმე ბედია ცოლს.

ბედიას მოსვენება დაჰკარგვოდა, ამხელა ზღვა თვალსა და ხელს შუა ეპარებოდა, ქალაქში კი გიჟად თვლიდნენ, არავის არ სჯეროდა მისი. ხათრით უსმენდნენ, თავებს აკანტურებდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ, პირში არ შეეცინათ ამ ხნის კაცისთვის. ბედია მართლა გიჟს დამგვანებოდა. გასაპარად გამზადებული ზღვის ვერაგობაზე ფიქრით თვალეები ამოთეთრებოდა, კისერზე გადაცმული თოკის გორგალი უკვე მხრებზეც ჩამოსჩაჩვოდა. დუქნების წინ შეკრებილი უსაქმურები ძლივს უძლებდნენ ცდუნებას, ფეხი რომ არ დაებიჯებინათ თოკის ჭრელი ბოლოებისთვის, ბედია რომ მიათრევდა, ბედია კი ვერაფერს ვეღარ ამჩნევდა, რადგან ზღვის ვერაგობაზე ფიქრობდა და იმ საერთო უბედურებაზე, რომელიც ამ ვერაგობას უნდა მოჰყოლოდა.

ქმრის მღელვარება ბედიას ცოლსაც გადასდებოდა. შესაღამოვდებოდა თუ არა, მოიგდებდა მხრებზე შალს და იდგა მარტო აღრიალებულ ზღვის ნაპირას, უკვე კარგა მანძილზე რომ დაშორებოდა მათ პატარა ქოხს. იდგა, უყურებდა, და ბედიას ვერ გაეგო, მოსთქვამდა თუ მღეროდა მისი მეუღლე, რადგან ზღვის ღრიალსა და ქარის გუგუნში ქალის ხმის საბრალო ნაგლეჯებილა აღწევდა ქოხამდე. "ამ უბედურს რაღას ვერჩოდო", - წუხდა ქოხის ზღურბლზე

გადმომდგარი ბედია და ცოლს ეძახდა: კარგი, გეყოფა, წინასწარ ნუ გამოიტირე ეგ ოხერი ზღვაო. არადა, დღითიდღე რწმუნდებოდა, ზღვა რომ მართლა მიდიოდა. ამ რწმენას ცოლის გაბმული ზუზუნიც უღვივებდა. ბედია ლანდად ხედავდა ცოლს, ზღვის ქარში გაზნიქილსა და გადაქანებულს; თითქოს ქარი ხელსა ჰკრავდა, იშორებდა აბეზარ მოწმეს; თითქოს ზღვასაც ერიდებოდა ამ უცნაური არსებისა, ასე თვალმოუშორებლად რომ ჩაჰყურებდა სულში და ამიტომაც ითრევდა ფეხს, სახეს არიდებდა, რადგან გრძნობდა, ამ ქალის წუხილი და უბედურება უფრო დიდი იყო, ვიდრე თვითონ. ზღვას ეშინოდა კიდევ ამ ქალისა, უყვიროდა, თავფეხიანად წუწავდა, ქვიშას აყრიდა სახეში, გამეცალე, მე ვიცი ჩემი საქმისაო, მაგრამ ქალი უძრავად იდგა, ფეხს არ იცვლიდა და თავისთვის ზუზუნებდა. ეს ხმა ზღვას უარესად აღელვებდა, ანამუსებდა, აუძლურებდა და, თავადაც გამწარებული, გულმკერდს იხევდა სანაპიროს დაკბილულ ლოდებზე. "გეყოფა, ქალო, გაცივდები!" - ყვიროდა ბედია და რიყის ქვასავით მკვრივსა და პატარა მჯიღს მკერდში იცემდა. მერე თვითონაც აქანავდებოდა ხოლმე ადგილზე, თითქოს ფერხულში ჩაებაო, და ცოლის ზუზუნს ხმას აყოლებდა. ახლა ქავილი წამოუვლიდა. ორივე ხელს შეიყოფდა გაბურძნული თოკის ქვეშ და იქამდე იბლოტნიდა კანს, სანამ ფრჩხილის ძირებში სისხლი არ ჩაუდგებოდა, ჭუჭყივით. თან გამწარებული ყვიროდა: გეყოფა, ქალო, აღარ შემიძლია მეტიო. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამე უნდა განეცადა და მოეთმინა ბედიასაც და ვანელესაც, რადგან ის პირველი შეცდომა, რომელიც მათდაუნებურად ჩაედინათ და რომლისთვისაც თავის დროზე არავის მიუქცევია ყურადღება, დღითი დღე იზრდებოდა.

\* \* \*

მეთევზეებს ზღვიდან ბადე გამოჰქონდათ, ორ რიგად დაწყობილიყვნენ და ბადის ბოლოებს მაჯის სიმსხო თოკებით ექაჩებოდნენ. წყლიდან ამოსული თოკი მეწინავის შიშველ ფეხებთან გველივით იგრაგნებოდა. ჰეი და ჰეი! ჰეი და ჰეი! - ამხნეებდნენ ერთმანეთს. მათი საქმიანობა რომელიღაც ცეკვას უფრო ჰგავდა, ვიდრე მძიმე შრომას. ყველანი ერთნაირად გაზნექილიყვნენ წელში, ერთნაირად ამოდრავდნენ ხელებსაც. ბადე ნელა უახლოვდებოდა ნაპირს, ნაპირსა და უჩინარ ბადეს შორის წყალი ქოთქოთებდა; ბადეს ნაპირისკენ ორი ნავი მოუძლოდა, მენავებში გრძელი ჭოკებით ერეკებოდნენ თევზს. მალე წყლიდან მორკალულმა ბადემაც ამოყო თავი, სილაზე ამოცოცდა და ფენა-ფენა დაიკეცა. თანდათან მცირდებოდა მანძილი ბადის წელსა და ნაპირს შორის. უცებ აქოთქოთებული წყლიდან ვერცხლისფერი, მოძრავი მასა ამოიზიდა, ახლად დაბადებულ კუნძულივით, ჯერ კიდევ რომ არყევდა მიწისქვეშა ბიძგები. ეს თევზი იყო. მეთევზეებმა ყიჟინა დასცეს. სანახევროდ ამოთრეულ ბადეს წყალი წურწურით ჩამოსდიოდა, ხავსის მწვანე, ხასხასა ნაფლეთები ზღვის შედედებული სისხლივით ეკიდა. მეთევზეები წელამდე წყალში შეცვივდნენ და თევზს ნაპირზე დაუწყეს ამოყრა. თევზს თოლიებიც მიესივნენ, გაშმაგებით ჩხაოდნენ, ფრთებს ატყლაშუნებდნენ და ცდილობდნენ, როგორმე მიეღწიათ თევზამდე. თევზი ადუღებულ ვერცხლივით იბუმტებოდა და ლაპლაპებდა. მეთევზეებმაც ასტეხეს ერთი ვაიუშველებელი, ნიჩბებიც მოიმარჯვეს და, როგორც იქნა, მოიშორეს აჩხავლებული, აყივლებული, ახარხარებული ყაჩაღები. მაგრამ ცოტა ხნის მერე, ერთი თოლია, სხვებზე მშვიერი თუ თამამი, უკანვე მობრუნდა. ჯერ მოშორებით დაჯდა სილის ბორცვზე და აფუსფუსებულ მეთევზეებს გახედა. მეთევზეები თოლიას ვერ ამჩნევდნენ. არც ეცალათ მისთვის. სამაგიეროდ ფარნაოზი ხედავდა. ფარნაოზი თითქმის იქვე იჯდა, იმ სილის ბორცვთან,

რომელზედაც თოლია დასკუპებულიყო. ფარნაოზმა უნებურად კენჭი აიღო, მაგრამ არ უსვრია. რაღაცნაირად ააღელვა, ააფორიაქა ჩიტის სიახლოვემ. დამაბული იჯდა. თოლიას ან ვერ შეემჩნია იგი, ანდა არ ეშინოდა. ასე ახლოს არასოდეს არ ენახა ფარნაოზს თოლია, არც მიწაზე დამჯდარი ენახა. უკვირდა კიდევ, სულ ცაში როგორ არიანო. ჩიტი ორ ნაბიჯზე იჯდა და გრძელი ნისკარტით ილლიას იფხანდა. უცებ ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა, ჯიქურ შევარდა მეთევზეთა წრეში, თევზს პირი დასტაცა და ის იყო ნადავლიანად უნდა აფრენილიყო, ვილაცამ შეამჩნია და ნიჩაბი მოუქნია. თოლიას თევზი დაუვარდა, თვითონ კი უვნებლად აფრინდა, რამდენჯერმე დატრიალდა ნიჩაბმომარჯვებულ მეთევზის თავზე, რამდენჯერმე ჩამოსჩხავლა და ისევ სილის ბორცვზე დაჯდა. ფარნაოზს გული გაუთბა, თოლია ენდობოდა. მეთევზე და თოლია ერთმანეთს მიაჩერდნენ. მეთევზე ოდნავ წინ გადმოხრილიყო, ნიჩაბი ორივე ხელით შეემართა და ქანდაკივით უძრავად იდგა. ცოტა ხნის მერე თოლია მეთევზისკენ გადასკუპდა, თითქოს ამოწმებდა, მართლა ქანდაკება ხომ არ არისო. მეთევზეს სულმა წასძლია და ნიჩაბი შორიდანვე მოუქნია. თოლია აფრინდა, ალბათ, უნებურად, რადგან მალევე დაეშვა მეთევზის წინ. თოლიას სიჯიუტემ ფარნაოზი გააოცა და გაართო, მეთევზეც ჯიუტი ჩანდა. დამაბულობისგან ოფლი გადაასკდა სახეზე. თოლია მოულოდნელად წამოფრინდა და ისეთი ძალით ეცა სახეში, ამოდენა კაცი უკან-უკან წაბარბაცდა და სილაში ჩაჯდა. თოლიამ დაიჩხავლა, ცოტა ხანს კიდევ იწრიალა ახარხარებული მეთევზეების თავზე, დამაშრული, უზარმაზარი ხელებით მზეს რომ იჩრდილავდნენ, რათა უკეთესად დაენახათ მოჩხუბარი თოლია, და მერე სივრცეში გაუჩინარდა. ფარნაოზმა შვებით ამოისუნთქა, ისიც გაოფლილიყო, სილაზე დაბჯენილი ხელები უმაგამაგებდა. ხელისგულეებზე კენჭებისგან წითელი, თეთრგულა ლაქები გასჩენოდა. უცებ სიცილი შემოესმა. მიიხედა და ინო დაინახა, ეჭვიც არ შეჰპარვია, ეს პატარა, გაჩხინკული და ჭორფლიანი გოგო, მართლაც ბეკეკას რომ ჰგავდა, ინო იყო. ფარნაოზს რატომღაც დაამახსოვრდა რომელიღაც მეზობელი ქალის ნათქვამი: მეშვიდე ჯერ პატარაა, ბეკეკააო.

სანამ ფარნაოზი ინოს შეხვდებოდა, იქამდე ჰქონდა გაგებული, რომ მათ ქალაქში ერთი ბოროტი ქალი ცხოვრობდა, ქალი კი არა, ალქაჯი, რომელიც კაცებს ასულელებდა, მერე აძინებდა და სისხლსა სწოვდა. სახელად შავთვალემა მალალო ერქვა, მთელი დღე მღეროდა, რადგან სწორედ მისი სიმღერა აჩერჩეტებდა კაცებს, თვალი უბრმავდებოდათ და ყველაფერი ავიწყდებოდათ. ის კი მარტო იმაზე ფიქრობდა, რა ჩაეცვა და რა დაეხურა. შვილებიც თავის ყაიდაზე გაეზარდა, მთელი დღე ლოგინში გორავდნენ, რადგან ყველაფერი მზამზარეულად მოსდიოდათ. რაც ქალაქში კაცები იყვნენ, ყველანი იმათ ემსახურებოდნენ, საკუთარ ცოლ-შვილს აკლებდნენ და მათთვის მიჰქონდათ, რადგან ის ალქაჯი ისეთი ბოროტი იყო, კაცებს ღვინოში ლენცოფას აპარებდა, საჭმელში კი ვირის ტვინს. ეს ყველაფერი ფარნაოზმა ქალებისაგან იცოდა. ხან ვინ მოვიდოდა და ხან ვინ, სასესხებლად თუ ჩასასესხებლად, ანდა ისე, სალაპარაკოდ, და არავინ წავიდოდა, ერთხელ მაინც არ ეხსენებინა ალქაჯი და მისი ქალიშვილები. ფარნაოზს სრულებითაც არ აინტერესებდა ქალების ლაპარაკი, მაგრამ უნებურად ისიც ისმენდა, რადგან იქვე ტრიალებდა. არც ბევრი რამე გაეგებოდა მათი ნალაპარაკებისა, მაგრამ, როგორც კი ინოს ახსენებდნენ, სმენად იქცეოდა ხოლმე, შეიძლება იმიტომაც, ინო ყველაზე პატარა რომ იყო, ყველაზე პატარა ალქაჯი. აქლაჯი კი არა, ბეკეკა, თეთრი ბეკეკა. ალქაჯი მერე უნდა გამხდარიყო, როცა გაიზრდებოდა და როგორც ქალები ამბობდნენ, ისიც თავის დედა-დეებს დაემსგავსებოდა. ამას კი ისეთი ხმით ამბობდნენ, ისეთი სახეები დაედებოდათ ხოლმე, ფარნაოზი წუხდა, თითქოს

თვითონაც ელოდებოდა საფრთხე, მაგრამ მაშინ ბავშვი იყო და დიდხანს არც წუხილი უჩერდებოდა, თანაც ცუგა ჰყავდა, ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე ცელქი ძაღლი მთელს ქალაქში. სხვა არავინ სჭირდებოდა. ინოც თუ ახსენდებოდა ხანდახან, ისიც იმიტომ, არასოდეს რომ არ ენახა, არ იცოდა როგორი იყო და ბავშვური ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა. აინტერესებდა, მართლა ისეთი თუ იყო, როგორაც წარმოედგინა. ესეც შეუგნებელი ინტერესი იყო, შემოჩერებული, ნაძალადევი, გაღვიძებული კი არა, გაღიზიანებული. ამ ინტერესს უფროსი ქალების ლაპარაკი ბადებდა და არა თვითონ ინო. ინო ერთი ბეკეკა იყო და მეტი არაფერი. ფარნაოზს სხვანაირად ვერც კი წარმოედგინა. როგორც ინოს ახსენებდნენ, თეთრი ბეკეკა დაუდგებოდა თვალწინ. მისი ცნობისმოყვარეობა სხვას ელტვოდა, უფრო შორს მიიწევდა, ბეკეკას იქით, სადაც ისინი იყვნენ, ბეკეკას პატრონები. მაგრამ ისინი იმდენად შორს იყვნენ, ბავშვის ცნობისმოყვარეობა ვერ მისწვდებოდა. ეს აბრაზებდა სწორედ ფარნაოზს. მისი სიბრაზე კი ბეკეკაზე ვრცელდებოდა. "თუ სადმე შემხვდა, ცუგა უნდა მივუქსიოო", - იმუქრებოდა გულში, როცა ქალები ჩურჩულზე გადადიოდნენ, ანდა უცებ გაჩუმდებოდნენ ხოლმე, თითქოს მხოლოდ ახლა შეემჩნიათ ფარნაოზი. ასე რომ, ინომ უფრო ადრე მოიკიდა ფეხი ფარნაოზის ფიქრებსა და წარმოდგენებში, ვიდრე ერთმანეთს შეხვდებოდნენ. უნებურად, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად გროვდებოდა იგი მეორე ბავშვის სულსა და შეგნებაში, როგორც ღამით მოსული თოვლი. ერთ დღეს კი ფარნაოზი გაიღვიძებდა და დაინახავდა, როგორ გადაეთეთრებინა თოვლს ყველაფერი, ყველაფერი თვალის საწიერამდე. მაგრამ ჯერჯერობით ცუგა ჰყავდა გვერდით. ცუგა დასდევდა ყეფით ერთმანეთში უთავბოლოდ არეულ დღეებსა და ღამეებს; აკაკანებულ ქათმებსა და ფილაქანზე მოცახცახე ჩრდილებს; ცუგას გამოჰქონდა ზღვიდან ფარნაოზის გადაგდებული ჯოხი; ცუგა სვლევდა წვიმის წყალს, ქალუკას რომ მოეგროვებინა კასრში; ცუგას ბრალდებოდა დაკარგული კოვზი თუ ფლოსტები, გატეხილი ჭურჭელი თუ დაგლეჯილი ფარდაგი; ცუგასთვის გროვდებოდა სპილენძის ტაშტში სადილის მონარჩენი. ყველაფერზე ხალისიანი, ხმაურიანი და ლალი ცუგას ცელქობა იყო, ყველაფერზე სევდიანი - დასჯილი ცუგას თვალები; თეთრი ბეკეკა ათასში ერთხელ, ისიც შემთხვევით, გადაირბენდა ცუგას დაწიოკებულ ეზოზე და კარგა ხნით მიეფარებოდა თვალს. ვინ იცის, რამდენი ხნის დავიწყებული ეყოლებოდა ფარნაოზს ინო, თავის დროზე რომ გაეხედა და ეკითხა ქალებისთვის, რა ჰქონდა შესაცოდი ინოს, ან რატომ უნდა ყოფილიყო უბედური, თუ ისიც თავისი დედისა და დების მსგავსად მთელი დღე ლოგინში იკოტრიალებდა და ყველაფერი ექნებოდა, რასაც ინატრებდა. ქალუკამაც ხომ თქვა იმ დღეს: მაგისტანა ქალები გუნებას ეკითხებიანო, ყოველდღე ყურძენს მიირთმევენო. მაგრამ ფარნაოზმა ვერც ქალუკას ჰკითხა, რატომ იყო უბედურება მთელი დღე ლოგინში კოტრიალი და ყურძენის ჭამა. რატომღაც მოერიდა, კი არ მოერიდა, შეეშინდა, შემთხვევით დანახული, უფროსების დაუდევრობით გაშიშვლებული საიდუმლოსი, მაგრამ მისმა თვალისმომჭრელმა სიშიშვლემ მიიზიდა, გააბრუა, დააფრთხო და დაამუნჯა კიდეც, რადგან გრძნობდა, მთავარი ამ საიდუმლოში შედევდა იყო და არა მის გარშემო ტრიალი. მაგრამ საამისოდ ჯერ არ იყო მზად. გინდაც შეეშვათ, მაინც ვერაფერს დაინახავდა, საგანძურში შესულ ბრმასავით. მისი გონება შეგნებულად რადაცის მოსამებნად ანთებული ჭრაქი კი არ იყო, არამედ უცაბედად, მეხისაგან გაჩენილი ხანძარი. ფარნაოზი საიდუმლოზე ფიქრს მიეჩვია და გულუბრყვილობა დაჰკარგა. ახლა უკვე განგებ ტრიალებდა ქალების სიახლოვეს, მათი ნალაპარაკევი რომ მოესმინა; ცდილობდა, არ შეემჩნიათ, არ მიექციათ მისთვის ყურადღება, რადგან გრძნობდა, დანაშაულს

სჩადიოდა, ასე რომ იქცეოდა. ქალები, აშკარად, მის გასაგონად არ ლაპარაკობდნენ, უბრალოდ ყურადღებას არ აქცევდნენ, ანგარიშს არ უწევდნენ, რადგან მათთვის ჯერ ისევ პატარა იყო. ფარნაოზს რომ გაეხედა და ეკითხა, გამაგებინეთ, რატომაა უბედური ის ვიღაც პატარა გოგო, შეიძლება მისი შეკითხვა მართლაც ბავშვურ ცნობისმოყვარეობად და გულუბრყვილობად ჩაეთვალოს, სიმართლე ეთქვათ, ან მიეკიბ-მოეკიბათ რამე და თავიდან მოეშორებინათ ეს აბეზარი ბავშვი, იქ რომ ეტენებოდა, სადაც არაფერი ესაქმებოდა. მაგრამ ფარნაოზი აღარ იკითხავდა ამას, რადგან სწორედ შეკითხვის ეშინოდა, ეგონა, ქალები დასცინებდნენ, ანდა გაუწყობდნენ, გააწითლებდნენ და გამოაბრძანებდნენ გარეთ. საბედნიეროდ, ცუგა ჰყავდა გვერდით, ერთს დაუსტვენდა და აღარც ქალები ახსოვდა და აღარც გოგო, ბეკვად რომ ექცია ჯადოქარ დედას. ერთ დღეს კი ისეთი უბედურება შეემთხვა, ინო კი არა, თავიც დაავიწყდა: ცუგა ფეხსადგილის ორმოში ჩავარდა. შეშინებული ლეკვის წკმუტუნმა მთელი ქვეყანა ააფორიაქა. ფარნაოზს სიკვდილამდე არ დავიწყებია ეს საცოდავი, სისხლის გამყინავი ხმა. სამი დღე ტიროდა ლეკვი, სამი დღის განმავლობაში ვერაფრით ვერ მოახერხეს მისი ამოყვანა, ორმოში ჩანათებულმა ჩირადდანმა სველი, თეთრი მატლებით მოფენილი კედლების მეტი ვერაფერი გამოაჩინა. "მოკალით, ცოდოაო", - ამბობდა ქალუკა. ფილამონემ ჭოკს თოკის ნაგლეჯებით დანა მიაბა და ალაღბედზე რამდენჯერმე ჩაჰკრა წყვილადს, მაგრამ, ეტყობა, ლეკვი ასეთი სიკვდილისთვის არ იყო გაჩენილი. ფილამონემ გაბინძურებული ჭოკი ხუბულას გარედან ააყუდა. ლეკვი კი ტიროდა, ტიროდა, ტიროდა, სანამ მხსნელამდეც არ მიაღწია მისმა საცოდავმა წკავწკავმა. "რომ იცოდეთ, როგორ მჭირდებოდა ძაღლიო", - თქვა მხსნელმა. ის მესამე დღეს გამოჩნდა მხოლოდ, ჭიშკართან შეჩერდა და წყალი ითხოვა. ქალუკამ წყალი დოქით გაუტანა. მგზავრს ტანსაცმელი შემოჰფლეთოდა, ქალამნები დასკდომოდა, ცხვირზე დიდი, წითელი მეჭეჭი ფუტკრის ნაკბენით აჩნდა. კისერზე ტყავის თასმით მუშტისხელა ქვა ეკიდა. მკერდზე ჩამოღვრილმა წყალმა ქვა უცებ გააშავა. დიდხანს სვამდა. დოქი რომ მოიშორა, სველი ცხვირ-პირი ხელის ზურგით მოიხოცა და ისევ გაიმეორა: რომ იცოდეთ, როგორ მჭირდებოდა ძაღლიო. მერე ეზოში შემოვიდა და პირდაპირ ფეხსადგილისკენ წავიდა. ქალუკაც უკან მიჰყვებოდა და დოქში ჩარჩენილ წყალს გზადაგზა ღვრიდა.

ხელმეორედ დაბადებული ცუგა მხსნელს ფეხებზე ეგლისებოდა, ის კი წიხლით იშორებდა. გვერდზე გამდგარიყო და ლელვის ფოთლებით იწმენდა ძონძებს. ორმოს შავი პირიდან ამოგდებულ ცუგას ფარნაოზმა დამახებაც ვერ გაუხედა. იგრძნო, როგორ გამქრალიყო სიახლოვის, განუყრელობის გრძნობა, რაც ამ სამი დღის წინათ მარადიული ეგონა. რაკი თვითონ ვერ ეშველა მეგობრისთვის, თითქოს იმის უფლებაც არ ჰქონდა, თავი გაეხსენებინა, პატიება ეთხოვა. ცუგამაც ერთი კი გამოხედა და მაშინვე ორმოს მიუბრუნდა, საიდანაც მისი მხსნელი ამოჰყავდათ შუბუსა და ფილამონეს. სანამ მისი მხსნელი მიწაზე ფეხს დაადგამდა, რამდენჯერმე მოასწრო კიდეც მისთვის სახის ალოკვა. მხსნელი იღიმებოდა და ვითომ ქვას ეძებდა. ცუგა კი არ გარბოდა, მის წინ გაწოლილიყო და კუდს მიწაზე აბათქუწებდა. ჭიშკარში რომ გადიოდა, მხსნელმა ერთხელ კიდეც თქვა: რომ იცოდეთ, როგორ მჭირდებოდა ძაღლიო, და წავიდა, უკან აღარც მოუხედავს, დარწმუნებული იყო, ცუგა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა.

ფარნაოზს ამის შემდეგ უფრო ხშირად ახსენდებოდა ინო, უფრო სწორედ, ცუგაზე რომ ფიქრობდა, რატომღაც ინოც გაახსენდებოდა ხოლმე. მისი შემკრთალი ბუნება ამხანაგს ეძებდა

და დანახა თუ არა, მაშინვე იცნო ფარნაოზმა იგი. ინოს წითელი კაბა ეცვა და პატარა აპრეხილ კიკინებშიც წითელი ჭინჭები ჩაეწნა. "როგორი უშნო ყოფილაო", - გაიფიქრა ფარნაოზმა.

ორი წელი გაგრძელდა მათი მეგობრობა, სულ ორი წელი, იქამდე, სანამ სხვათა ცოდვამ დარიაჩანგის ბალიდან არ გამოდევნა ისინი და მოჩვენებითი მარადისობა ჩვეულებრივ დღეებად და ღამეებად არ დაუქუცმაცათ. მხოლოდ მაშინ გაახსენდათ, მარტონი რომ არ იყვნენ; თურმე, დარიაჩანგის ბალი პატარა, თითქმის უმნიშვნელო ნაწილი ყოფილა ქვეყნისა და არა მთელი ქვეყანა; თუმცა იმ ორი წლის განმავლობაში სხვა არაფერი არ არსებობდა მათთვის. მათაც ვაშლის სურნელი ასდიოდათ, ვაშლის ყვავილი ეყარათ თმაზე, თითქოს ამ ბაღში გაჩენილიყვნენ, ერთდროულად, ერთმანეთის თვალწინ. თავისუფლების შეგრძნება თავბრუს ახვევდათ, ათამამებდათ და ქვეყნის ბატონ-პატრონებად წარმოედგინათ თავი. თავისუფლები კი ნამდვილად იყვნენ, რადგან ერთმანეთში მსგავსებას ეძებდნენ და არა განსხვავებას. დარიაჩანგის ბალი მართლა მთელი ქვეყანა რომ ყოფილიყო, ისინიც ბოლომდე ბედნიერნი იქნებოდნენ, ამ ბალივით არასოდეს არ დაბერდებოდნენ და ჯანსაღი, ოქროსთმიანი გოგო-ბიჭებით გაავსებდნენ აქაურობას. მაგრამ ისინი არც პირველი ადამიანები იყვნენ და არც ერთმანეთისთვის გაჩენილნი, მათ კი არ უნდა დაეწყოთ ცხოვრება, არამედ სხვების დაწყებული უნდა გაეგრძელებინათ, ანდა დაემთავრებინათ. ცხოვრებას თავისთვის სჭირდებოდა ისინი. ეს ორი ნაფოტიც იმ ცეცხლისთვის უნდა შეეკეთებინა, რომელზედაც გათოშილ ხელებს ითბობდა. მათი განმარტობაც მოჩვენებითი იყო, ერთი წამითაც არ მოუშორებია ცხოვრებას თვალი ამ ორი ბედნიერი ბავშვისათვის, ციყვებივით რომ დაძვრებოდნენ ხეებზე, ყიჟინით რომ ეგებებოდნენ ზღვის აქოჩრილ ტალღებს, მზეზე იხრუკებოდნენ და სილაზე ერთმანეთის სახელებს წერდნენ, შლიდნენ და ისევ წერდნენ. ინო ხან თუთიყუშივით ჩხაოდა, ხან ოთხზე დადგებოდა და იმახდა, შემხედე, შემხედე, ცუგა ვარო. ფარნაოზს მაშინვე კუდაპრეხილი, ნახტომისათვის გამზადებული ცუგა დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ. ხან ორივენი გაუნძრევლად იწვნენ ერთმანეთის გვერდით და ცას უყურებდნენ. გეგონებოდათ, ორი, ჯერ კიდევ ნედლი ნაფოტი ვიღაცას გასაშრობად მზის გულზე დაუდიაო. ცაზე კი ერთ კალაპოტში მიედინებოდა ორი სიცოცხლე, ვაშლის ყვავილებით გადაპნტილი ნაკადულივით მიწკრიალებდა ღრუბლებს შორის და უსასრულობას უერთდებოდა. ესეც მოჩვენება იყო, ოცნების ჯადოქრობა, ტკბილი ტყუილი, სინამდვილის მეორე მხარე, რადგან ცაზე ორი ნაკადულის, ორი სხვადასხვა ბედის მხოლოდ ანარეკლი შერწყმოდა ერთმანეთს. მიწაზე კი ორივეს საკუთარი კალაპოტი ჰქონდა, საკუთარი და სხვადასხვა, მათ გაჩენამდე გაკვალული, დადგენილი და დაკანონებული. უნდოდათ თუ არა, თვითონაც იმ შლამით უნდა ამღვრეულიყვნენ, წლობის მანძილზე რომ ჩაღექილიყო კალაპოტებში.

პირველ ხანებში ისინი ალაღბედზე ხვდებოდნენ ერთმანეთს. შეხვედრით კი ყოველთვის აქ ხვდებოდნენ, ზღვის პირას, დარიაჩანგის ბალის წინ. ინო ხან მთელ დღეს არ გამოჩნდებოდა ხოლმე. წვიმიან ამინდში ორივენი შინ ისხდნენ და არც ერთს არ მოსდიოდა აზრად, წვიმაშიც რომ შეიძლებოდა შეხვედრა. ასეთ ამინდში საბანაოდ და გალუმპულ ხეებზე საბლორტილოდ არავინ გაუშვებდათ, მაგრამ შეიძლებოდა რამის მოგონება, სულ სხვა მიზეზით გამოსვლა შინიდან, ვითომ ერთი წუთით, გადაუდებელ საქმეზე. დარიაჩანგის ბაღამდე მირბენას რა უნდოდა, თუკი ინო დახვდებოდა იქ, ხის ქვეშ შეფარებული, თავფეხიანად გალუმპული და

ამიგძიგებული, ცრემლებივით რომ ჩამოსდიოდა სახეზე წვიმის მსხვილი წვეთები. ასე მერე იქცეოდნენ, როცა უკვე პაემანს უნიშნავდნენ ერთმანეთს და ფიცსაც დებდნენ, აუცილებლად, უსიკვდილოდ მოსულიყვნენ, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, როგორც არ უნდა გაკერპებულიყვნენ უფროსები. სველი ხეების ძირას დგომასაც თავისი მომხიბვლელობა ჰქონდა. ფოთლებზე ჩამოსრიალებულ, ჩამოგრძელებულ წვეთებს პირით იჭერდნენ, როგორ ვიწუწუბითო, უხაროდათ თავიანთი სითამამე და ყველაფერზე იცინოდნენ. ყოველდღე ერთსა და იმავე ამბებს ყვებოდნენ, ერთსა და იმავე შეკითხვებს აძლევდნენ ერთმანეთს, მაგრამ არ ბეზრდებოდათ, რადგან ერთი და იგივე ამბავი ყოველდღე ახლებურად ჟღერდა. ერთი და იგივე შეკითხვა დღითიდღე უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ღრმა და მომთხონიც ხდებოდა. ყველაფერი უნდოდათ სცოდნოდათ, მისხალ-მისხალ აყვლინებდნენ ერთმანეთს, რაც გაცნობამდე გადახდენოდათ თავს. მოსაყოლი კი არაფერი ჰქონდათ: ერთის მთელი თავგადასავალი მოლაპარაკე თუთიყუშთან იყო დაკავშირებული, მეორისა კი ფეხსადგილის ორმოში ჩავარდნილ ძაღლთან. ბევრ რამეს აზვიადებდნენ, ისეთ წარმოუდგენელ თვისებებს მიაწერდნენ ხოლმე თუთიყუშსა და ძაღლს, სხვისგან რომ მოესმინათ, თვითონაც არ დაიჯერებდნენ, ერთმანეთისაგან კი სჯეროდათ. თავს კი არ ისულელებდნენ, უბრალოდ, მოთხოვნილება ჰქონდათ დაჯერებისა. უნდობლობისათვის ჯერ ძალიან პატარები იყვნენ.

- თუ ძალიან დარდობ, გადამკარი წკეპლა და მეც ძაღლად ვიქცევო, - უთხრა ერთხელ ინომ ფარნაოზს.

ფარნაოზს უკვე შეჰყვარებოდა ცხოვრება, ყველაფერი ეხალისებოდა, უკვალოდ გამქრალიყო გაჩენის დღიდანვე ატორღიალებული საკუთარი არსებობის შიშიც. რაც თავი ახსოვდა, ყველა პირზე აფარებდა ხელს, ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ და იმ კაცით აშინებდნენ, ვისკენაც მთელი მისი არსება შეუცნობლად და ბრმად მიილტვოდა. ინოსთან დამეგობრების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. აღარც აფრისხელა ტილო იზიდავდა ძველებურად. ახლა უფრო მამის შიშით იჯდა ხოლმე გაუნძრევლად სამფეხა სკამზე და ერთი სული ჰქონდა, როდის გამოიძურწებოდა ამ ნახევრად ბნელი ოთახიდან გაჩახჩახებულ მზეში, ინო რომ დაენახა. დარიაჩანგის ბალიდან ნიავს ყვავილი გამოჰქონდა, ნაპირიცა და ზღვაც თეთრად იყო გადაპენტილი. როცა შინ დაბრუნების დრო მოაწევდა, უხალისოდ იცვამდნენ, ფეხით აქუჩებდნენ აქეთ-იქით გაფანტულ ტანსაცმელს და დიდხანს არჩევდნენ, რომელი რომლისა იყო. ინო უკუღმა იცვამდა კაბას, ისევ რომ გაეხადა, გადმოებრუნებინა და თავიდან ჩაეცვა. ყველაფერი სასაცილოდ ეჩვენებოდათ და ისინიც იცინოდნენ; ყველაფერი საინტერესო ხდებოდა და ისინიც დიდი გულისყურით სინჯავდნენ და უკირკიტებდნენ გამორიყულ ჯოხსა და ნიჟარას, ჭრელ კენჭსა თუ კუპრის წვეთივით დამრგვალებულ ხარაბუხას, ყველაფერს, რასაც მათი ფეხი და თვალი წამოედებოდა შინისკენ მიმავალ გზაზე. შინაც ერთმანეთზე ფიქრობდნენ, მაგრამ ჯერ ეს სასიამოვნო ფიქრი იყო, სასიამოვნო მოლოდინი, დასვენებისა და ტკბილი ძილის უფლებას რომ უტოვებდათ.

ინოს ნათქვამმა, თუ ძალიან დარდობ, წკეპლა გადამკარი და მეც ძაღლად ვიქცევო, ფარნაოზი დააფრთხო, დააბნია და მოსალოდნელი, გარდაუვალი ცვლილებების საშიშროება გაახსენა. ფარნაოზს მოსვენება დაეკარგა. ისევ შებრუნდა გაურკვევლობის, შიშნარევი მღელვარებისა და დაუძლეველი უმწეობის ნიჟარაში. საწოლში აწრიალებული, ძილგამკრთალი ფარნაოზი



გრძნობდა, ინოს ნათქვამს სხვა უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, სხვას ამბობდა, მაგრამ ფარნაოზს ჯერ არ გახსნოდა სმენა იმ სხვის გასაგებად. იმასაც გრძნობდა, ადრე თუ გვიან სმენა გაეხსნებოდა, ადრე თუ გვიან, მაგრამ მას ახლავე უნდოდა ყველაფრის გაგება; ფრჩხილებით, ჩხირით გამოიჩინებდა სმენის დახშულ კარიბჭეს, კარიბჭეს კი არა, თავის თავშესაფარივით პატარა ხვრელს, საიდანაც მის არსებაში თავზარდამცემი, ყველაფრის დამაქცევარი საშინელება შემოიჭრებოდა. ეს რომ ასე მოხდებოდა, ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ მაინც უნდოდა გაეგო, რა ერქვა ამ საშინელებას, როგორ გამოიყურებოდა, რატომ არსებობდა საერთოდ და, თუ არსებობდა, რაღა მაინცდამაინც ის ამოერჩია. ღამეები გაგრძელდა, გაიწელა. ოთახი ჩვენებებით გაივსო. ფარნაოზს ინო უყვარდა. უყვარდა და არ იცოდა, ვერ მიმხვდარიყო. "ღედა რომ მოგკალი, იმიტომ ვიტანჯებიო", - ფიქრობდა ფარნაოზი. ტანჯვით კი ნამდვილად იტანჯებოდა, დიდი კაცივით. ტანჯვა ზრდიდა, უხეშად და ნაადრევად. "არ მინდა, ნუ გამაჩენო", - ევედრებოდა სიზმარში ღედას. ღედა კი ინოსავით იღიმებოდა, თვალები ეჭუტებოდა და პატარა ფოსოები უჩნდებოდა ლოყებზე. "არა, არა, არა!" - ყვირილით იღვიძებდა, იბადებოდა ფარნაოზი, მაგრამ სიზმრისაგან გამორკვეულს აღარ ახსოვდა, ვის მიმართავდა, რაზე ამბობდა უარს. ოფლი უცებ აშრებოდა, გრძნობდა, როგორ ეთოშებოდა ხელ-ფეხი, მაგრამ ბალიშზე თავის დადებისაც ეშინოდა, თითქოს იმ ბალიშიდან გამოდიოდნენ ჩვენებები. იჯდა და კბილს კბილზე აცემინებდა. ერთი სული ჰქონდა, როდის გათენდებოდა, როდის ნახავდა ინოს და ყველაფერს მოუყვებოდა. მაგრამ გამოადგამდა თუ არა შინიდან ფეხს, ღამეული შიში და ჩვენებები უკვალოდ ქრებოდა, დღის სინათლეზე ეკარგებოდა, და დამაჯერებლობის უნარი. მართლაც ძნელი დასაჯერებელი იყო, რასაც ღამით ხედავდა, ისმენდა, გრძნობდა და განიცდიდა. რაზეც არ უნდა ეფიქრა, რაც არ უნდა მოსჩვენებოდა, ჯერჯერობით ყველაფრიდან ერთი და იგივე დასკვნა გამოჰქონდა მის გონებას: ინოს საფრთხე ელოდა, ინოს კი არა, თვითონ, რადგან, ადვილი შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს, ინოც ცუგასავით დაეკარგა. ფარნაოზს წარმოდგენილიც ჰქონდა ყველაფერი, როგორ მოდიოდა ვიღაც, ცუგას მხსნელივით ჩამოძენილი და დამეჭეჭებული, როგორ ამბობდა: მე უფრო მჭირდება ინო და როგორ მიყავდა, არა, თვითონ როგორ მისდევდა ინო იმ უცხო კაცს. ფარნაოზი კი ხმას ვერ იღებდა, რადგან იმ კაცისა ეშინოდა. კი არ ეშინოდა, ერიდებოდა, რცხვენოდა და ეცოდებოდა კიდეც. უნებურად თვალს არიდებდა, რადგან იმ კაცს წითლად აპრიალებული უბეები ჰქონდა და პირის კიდეებში ყვითელი, დასვრეტილი ქაფი ჩასდგომოდა. დღისით ჩვენებები ქრებოდა, მაგრამ საფრთხის გრძნობა დღისითაც შეიფრთხილებდა ხოლმე, როგორც უბეში ჩასმული ბახალა. ფარნაოზს არასოდეს გაუმხელია ინოსათვის თავისი შიში, თავისი სატანჯველი. გული უგრძნობდა, ის მხოლოდ მისი შიში და სატანჯველი იყო, მისი კარავი, რომელშიც ღამით უნდა დაეძინა, დღისით კი აეკეცა და ზურგით ეთრია. ერთი ცხადა: არ შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო სულ, უსასრულოდ. რაღაც მოხდებოდა, მოხდებოდა კი არა, უკვე ხდებოდა და რაც ხდებოდა, უნდა დამთავრებულიყო, ავად თუ კარგად. ინო დღითი დღე იზრდებოდა, ნათლებოდა და იბორკებოდა. ძველებურად ისევ შიშვლები ბანაობდნენ, მაგრამ ინო ახლა უფრო ნელა იხდიდა და უფრო სწრაფად იცვამდა. უცებ ჩაფიქრდებოდა ხოლმე და ფიქრებიდან გამორკვეული რაღაცნაირად დაბნეული უღიმოდა ფარნაოზს. სიარულიც გამოეცვალა, თითქოს ტანი აწუხებდა, ეხამუშებოდა, როგორც ახალი, პირველად ჩაცმული კაბა. ფარნაოზის თვალწინ სასწაული ხდებოდა, მარადიული სასწაული: კიკინებაპრეხილ გოგოს სხეულში ქალი იღვიძებდა, ქვეყნის მასპინძელი, სიკვდილის

დამთრგუნავი სტიქია. ფარნაოზი გაოცებული შესცქეროდა, გული ბაგაბუგით უცემდა, ძალიან უნდოდა, დაჭრილი წოლილიყო აქ, ვაშლის ყვავილით გადაპენტილ სილაზე, რათა ინოს მისი სისხლი დაენახა. არა, უბრძოლველად არავინ დაანებებდა ინოს, აქამდისაც იმიტომ ეთხოვებინათ, სხვების თვალში არაფერს რომ არ ნიშნავდა ეს დრო, არ ითვლებოდა, ყვავილის სუნი ასდიოდა და არა სისხლისა. მთავარი მერე დაიწყებოდა, როცა ორივეს დაკარგული თხებივით გამოლაღავდნენ დარიაჩანგის ბალიდან; როცა სხვებიც დაინახავდნენ ინოს.

განა თვითონ იცოდა, ვისზე ბრაზდებოდა, ვინ უპირებდა ინოს წართმევას? ინო მასთან იყო, მის გვერდით იხრუკებოდა მზეზე, მასთან ერთად ყურყუმლაობდა ზღვაში, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მისკენ გამორბოდა, ის კი ვიღაცაზე ბრაზობდა, ათას რამეს სწამებდა, ათას რამეში ამხელდა ვიღაცას, რომელიც სინამდვილეში, ალბათ, არც კი არსებობდა. ფარნაოზს იმ დათვივით მოსდიოდა, ტყეს რომ გაბუტვოდა, ტყემ კი ამ ამბისა არაფერი იცოდა. ფარნაოზი დაშინებული ძალღვივით ბუჩქებს უყეფდა, რძით დათუთქულივით დოს უბერავდა, რადგან თავგზას უზნევდა ერთდროული შემოტევა ასაკისა, სიყვარულისა და ავი წინათგრძნობისა. ახლა უთენია გამორბოდა შინიდან, მთელი ღამის უძინარს ისეთი სახე ედო, იმასაც ვერ ეკითხებოდნენ, სად მიდიხარო. პოპინას კი სხვა შიში კლავდა, დარწმუნებული იყო, ფარნაოზმა ყველაფერი იცოდა, ყველაფერს ხვდებოდა და ამიტომაც გაურბოდა, გული აღარ უჩერდებოდა შინ, არ შეეძლო შერიგებოდა დის შერცხვენას, მაგრამ პატარა იყო და ჯერ ვერც დის შემრცხვენელს მოსთხოვდა პასუხს და ვერც დას დაითრევდა თმით. ასე ფიქრობდა პოპინა და მადლობელი იყო უმცროსი ძმისა, აქამდე რომ ზოგავდა, თვალს არიდებდა, არაფერს ეკითხებოდა და გულში იკლავდა ჯავრს. ვეღარც პოპინას გაესწორებინა ძმისთვის თვალი, რცხვენოდა და შეიძლება ყველაზე უფრო სწორედ უმცროსი ძმისა რცხვენოდა, გაზრდა რომ არ აცალა და აიძულა უსიტყვოდ ჩაეყლაპა შეურაცხყოფა. საკუთარი უბედურებით გაოგნებული, გაწბილებული, სახტად დარჩენილი პოპინა უაზროდ დაბორიალობდა ოთახებში, საქმეს გულს ვეღარ უდებდა და სიკვდილივით ელოდებოდა იმ დღეს, როცა უნდა გაემხილა ის, რის დამალვასაც უკვე აზრი აღარ ჰქონდა.

პოპინა ცდებოდა. ფარნაოზს არაფერი გაეგებოდა უფროსი დის უბედურებისა. ის თავის სატანჯველს გაურბოდა ყოველდღივად, თავის სატანჯველისკენ გარბოდა, რადგან სხვა გზა არც იმას ჰქონდა. მერე იწვა ჯერ კიდევ სველ სილაზე და ელოდებოდა. დამცხრალი, დამშვიდებული ზღვა სულ ოდნავ, ძლივს გასაგონად ეტყლაშუნებოდა ნაპირს. სამაგიეროდ დარიაჩანგის ბალი გუგუნებდა, ყოველ ამოსუნთქვაზე ვულკანივით ამოაფრქვევდა ხოლმე ფოთოლსა და ყვავილს, მწიფე ნაყოფის სურნელსა და ჩიტების ჟრიამულს. ფარნაოზი კი პირქვე იწვა და ელოდებოდა. ახლა მისი მღელვარება უფრო მარტივი იყო, ცულის პირივით ბასრი. ხომ შეიძლებოდა, არ მოსულიყო, ავად გამხდარიყო, ან აღარ გამოეშვათ ინო შინიდან?! მძიმე იყო მოლოდინი, მაგრამ მაინც ვერ შეეღებოდა, რადგან გუმანითა გრძნობდა, სწორედ ეს მოლოდინი უნდა ყოფილიყო მისი ერთადერთი იარაღი, როცა ბრძოლა დაიწყებოდა. სხვა არაფერი არ გააჩნდა. იწვა და იცდიდა. ინო უნდა მოსულიყო. რა უნდა მომხდარიყო ისეთი, ინოს რომ დავიწყებოდა იგი: უსამართლობის, შეცდომის, გაუგებრობის მეტი ვერაფერი შეაჩერებდა იმას, ვისაც ასე უცდიდნენ, სილის სიჯიუტით, სილის მოთმინებითა და ერთფეროვნებით. ერთს უნდა დაეცადა, მეორე კი უნდა მოსულიყო. სხვანაირად არ შეიძლებოდა. მართლა დიდი უსამართლობა

იქნებოდა კაცისაც და ბუნებისაც, სხვანაირად რომ მომხდარიყო. და ისიც მოდიოდა. ქვეყნის მასპინძელი, სიკვდილის დამთრგუნველი, მოლოდინის პასუხი და გამმართლებელი. სანდლები ხელში ეჭირა და კოჭამდე წყალში მოშლაპუნობდა. წყალში უფრო ადვილი იყო სიარული, სილა ფეხებს აღარ ტკენდა. ფართე, ღრმა ნაფეხურებში წყალი ქოთქოთებდა, ერთი ამბით შლიდა ნაფეხურებს, თითქოს არავის არ უნდა სცოდნოდა მისი ასავალ-დასავალი, თითქოს არსაიდან არ მოსულიყო და ახლა, ამ წუთას გაეჩინა ზღვისა და მიწის შეუღლებას, არა, მომლოდინე ბავშვის გონებას. "წყალი თბილია!" - შორიდანვე ემახდა ინო პირქვე გამოტილ ფარნაოზს, რომელიც არც აპირებდა წამოდგომას, რადგან ინო უკვე აქ იყო, მასთან იყო და საკმარისია, თავი წამოეწია, მაშინვე დაინახავდა. ინო კი მოდიოდა, მოდიოდა, მოდიოდა და, დილის მზის სხივებში გახვეული, თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა, როგორც ტაძრიდან გამოტანილი კერპი.

მერე ფარნაოზს ახალი შიში დასჩემდა. დარიაჩანგის ბალისკენ მიმავალი, აქეთ-იქით იყურებოდა, თავს არიდებდა გამვლელებს, ცდილობდა შეუმჩნეველი ყოფილიყო, თითქოს მთელი ქალაქი მას უთვალთვალეზდა, ყველას აინტერესებდა, სად მიდიოდა იგი. მაგრამ აღარც დარიაჩანგის ბალი ეგულებოდა საიმედო თავშესაფრად, ხვერდოვანი ჩრდილებით ველარ მალავდა მათ სიშიშვლეს. პირიქით, თითქოს უკეთესად აჩენდა, როგორც ღამე - კოცონს. და აი, ერთ მშვენიერ დღეს მათ გულუბრყვილო ქვეყანაშიც შემოაღწია ნამდვილმა ცხოვრებამ: ხმაურიანმა, ცოდვიანმა, ტლანქმა და დაუნდობელმა. მოვიდა ნაფოტების წასაღებად, რადგან მისი აზრით, ისინი უკვე საკმაოდ გამომშრალიყვნენ მზეზე და უკვე შეიძლებოდა მათი ცეცხლში შეკეთება. ცეცხლს მოშიებოდა, მეტის მოთმენა კი არ შეეძლო, რადგან ის იყო ერთადერთი გამნათებელი ძველი და გაცვეთილი გზისა, რომელზედაც დაუსრულებლად მიედინებოდა ადამიანის მარად ლტოლვილი მოდგმა.

ინო და ფარნაოზი დარიაჩანგის ბაღში შეჭფარებოდნენ სიცხეს. თმა ჯერ ისევ სველი ჰქონდათ. ორ ნაბიჯზე იასამნის ბუჩქი ყვაოდა. ბუჩქს ფუტკარი უტრიალებდა, თითქოს ვერ მიეგნო, ვერ ეპოვა ბუჩქში შესაღწევი ხვრელი. უცებ შუბუ დაინახეს. "ფარნაოზო!" - იმახდა შუბუ. ბალის კიდესთან იდგა, ხელში ორკაპა, კოჟრიანი ჯოხი ეჭირა და მკერდზე დაფენილ წვერს ზღვის ნიავი უმრუდებდა. ორივენი, ინოცა და ფარნაოზიც, ისე დაფრთხნენ, თითქოს დიდი დანაშაული ჩაედინათ და სანამ კვალის მოსპობას მოასწრებდნენ, თავზე წამოსდგომოდათ მსაჯული. ფაცაფუცით გადაიცვეს ტანსაცმელი და ბალიდან თავჩალუნულნი გამოვიდნენ.

- სადა ხარ, კაცო, პოპინას ბიჭი გაუჩნდა, - დაიქუხა შუბუმ.

არც გაუგია, როგორ მიიღბინა სახლამდე, როგორ შევარდა პოპინას ოთახში, როგორ აკოცა ხორცის დაჭმუჭნულსა და წითელ ნაჭერს, ქალუკას ხელებში რომ იკლაკნებოდა და ჩხაოდა.

პოპინას ფილამონესაგან გაუჩნდა ბავშვი. პოპინა და ფილამონე თითქმის ტოლები იყვნენ. ჯერ ქალუკამ იმშობიარა და მერე მარეხმა. მოსალოდნელი განსაცდელით აფორიაქებული მარეხი ქალუკას საწოლს აღარ სცილდებოდა, თავითთ ეჯდა და ერთსა და იმასვე ეკითხებოდა: რას ვიგრძნობ, როგორ ვიქნები, გავუძლებ თუ არაო. გაძლებით კი გაუძლო, მაგრამ მთელი თვე სიცხე არ გამონელებია, ბურანიდან ვერ გამოერკვა, გატრუნული იწვა, ილიმებოდა, რძის სუნი ასდიოდა და მოლელილ მკერდზე ოფლის მღვრიე წვეთები ცუდად დაფშვნილ მარილივით ეყარა. ასე რომ, პირველ ხანებში ფილამონესა და პოპინას ქალუკა ერთად აჭმევდა ძუძუს. თვალი რომ აეხილათ,

ერთმანეთი დაინახეს. არც მერე შეცვლილა რამე. დრო გადიოდა და ისინიც ერთმანეთის თვალში იზრდებოდნენ. მოსახდელსაც ერთად იხდიდნენ: წითელმა ბატონებმა რომ ჩამოიარეს, ორივენი ერთ ოთახში დააწვინეს. ქალუკამ მათი ოთახი ჭრელაჭრულა ჭინჭებით მორთო, ჩონგური ტიტლიკანა ბალღით ჩაიგორა კალთაში და სამი კვირის მანძილზე გადაბმულად, გაუჩერებლად მდებოდა. წითელა ბატონები ხველა ბატონებმა შეცვალეს და ბავშვებმა ისევ ერთ ოთახში ამოჰყვეს თავი. ახლაც ხოტბითა და ტკბილეულით შეეგება ქალუკა ავადმყოფობას, მაგრამ ამჯერად ჩონგური აღარ გახსენებია. სამაგიეროდ, მთელი სამი კვირის მანძილზე ისინი არ გაჩუმებულან, სამი კვირა ყვინჩილებით ყიოდნენ, გაბმულად და ხრინწიანად. ერთად ყოფნას ისევე მიეჩვივნენ, როგორც სიარულს, ჭამასა თუ ძილს. ყოველ დილა ერთსა და იმავე სახეებსა და საგნებს ხედავდნენ, ერთ თონეში გამომცხვარ პურსა ჭამდნენ და ერთმანეთის ნავალზე დადიოდნენ. ცოტა ჭკუაში რომ ჩავარდნენ, გაუკვირდათ კიდეც, თურმე ერთი ქალბატონის შვილი ყოფილა, მეორე კი - მხევლისა.

მერე კი, პოპინა შევიდა მამასთან და უთხრა: ორსულად ვარო.

უხეიროს წყლული გამორწყვოდა და პოპინა ახალ საფენს ადებდა. უხეიროს დალეული, მოშავო-მოყავისფრო ქერცლით დაფარული ფეხი ოდნავ შეკრთა, შეთრთოლდა, შეიძლება ტკივილისგანაც.

- ორსულად ვარ! - გაიმეორა პოპინამ, ბალღამიანი ჩვარი მუჭში მოჭმუჭნა და მამას ჯიუტად მიაჩერდა.

ასეთი ხმით იმათ ელაპარაკებიან ქალები, ვისიც ემინიათ, ნერვიული, მბრძანებლური, გამაღიზიანებელი და ამავე დროს საოცრად უმწეო ხმით. სინამდვილეში ისინი მფარველობასა და შეწყალებას თხოულობენ, მაგრამ არც ის უნდათ, მთლად ბეჩავნი და საცოდავნი ჩანდნენ შემწყალებლის თვალში.

უხეირომ მხოლოდ ერთი წამით შეხედა სახეში ქალიშვილს. არც გაოცებულა და არც აღელვებულა. ადვილი შესაძლებელია, კარგად ვერც ჩაწვდა ნათქვამის აზრს, ვერ აღიქვა მთელი სიმძაფრითა და სიცხოველით, რადგან ეს დღე აფრისხელა ტილოზე ჯერ არ დამდგარიყო, ჯერ საერთოდ არ არსებობდა უხეიროს წელთაღრიცხვით და ამიტომაც არც ზემოქმედების უნარი ჰქონდა. უხეიროსთვისაც ორი დრო არსებობდა: მიმდინარე და აღდგენილი. ოღონდ, აღდგენილი დრო უხეიროს მიმდინარე დროის დასათრგუნავად სჭირდებოდა. ის დრო მისი საკუთრება იყო, ერთხელ უკვე გადატანილიცა და მონელებულიც, და ამიტომაც ხელმეორედ უფრო ადვილად გადასატანი და მოსანელებელი. აქ მისთვის ყველაფერი ნაცნობი და ახლობელი იყო, ყველასა და ყველაფერს სახელით სცნობდა. ამიტომ თავსაც უფრო ხალვათად და მშვიდად გრძნობდა. მიმდინარე, ყველასათვის საერთოდ და სავალდებულო დროის უარყოფა არც უფიქრია, მაგრამ სხვებისთვის კი არ მისდევდა მას, არამედ გზაზე ხვდებოდა და აპობდა, როგორც ლოდი მდინარის ნაკადს, რათა უკანვე, მის ბნელსა და შორეულ წიაღში შეეღწია. "დრო კი მაინც გადის, - გაიფიქრა უხეირომ, - არაფერს არ ეპუება. ორცხვირა რომ მოვკალი, სწორედ იმ ღამეს მითხრა მარეხმა, ორსულად ვარო, ახლა კი მისი ქალიშვილია ორსულად".

- ქალი უნდა დაორსულდეს, - თქვა უხეირომ და სტრიქონის ბოლოს ამოქარგულ ყვავილს ხელი გადაუსვა.

ხელის სიმძიმის ქვეშ ყვავილი გათბა და გაიბურძენა.

- ვისგან! - იყვირა პოპინამ. - არ გაინტერესებს, ვინ დააორსულა შენი ქალიშვილი?!

პოპინას უნდოდა რაღაც მომხდარიყო, ჭერი გამსკდარიყო, მიწას დაეღო პირი და ისიცა და ყველანი თან ჩაეტანა. ანდა მამამისს მაინც ეყვირა, რამე დაემტვრია, შუბი მოეღერებინა, როგორც იქცეოდა ხოლმე, როცა ფერადი ძაფი შემოაკლდებოდა. პოპინამაც იცოდა, ქალები რომ ორსულდებოდნენ, მაგრამ არ შეეძლო შეგუებოდა იმ აზრს, რომ მისი დაორსულებაც ყოვლად ჩვეულებრივი, უმნიშვნელო და უმტკივნეულო შემთხვევა იქნებოდა და მეტი არაფერი. არავის შეაშფოთებდა, არავის გააბრაზებდა, ანდა გააკვირვებდა მაინც. თვითონ იმდენად ამაზრზენად და არაჩვეულებრივად ეჩვენებოდა, რაც თავს გადახდომოდა, ეგონა, როგორც კი ჩემი პირიდან ამოვა ეს ამბავი, ქვეყანა დაიქცევაო, მამაჩემი მოკვდება, მე კი ძაღლებს მომიქსევენ ანდა ჩამქოლავენო. სინამდვილეში კი არაფერიც არ მომხდარა. ქალუკამ, ეს ამბავი რომ გაიგო, მუცელზე აკოცა, ღმერთს შეეყარებიხარო; მამამ კი ზედაც არ შეხედა, თითქოს დაგვიანებული და ამიტომაც ყოვლად უსარგებლო ცნობა მოეტანა მისთვის.

- შენმა მონამ დააორსულა შენი ქალიშვილი, - გაცეცხლდა პოპინა, - ფილამონემ! ფიცრულში მიიმწყვდია, შენი ფერადი ძაფები პირში ჩაჩარა და კაბა სახეზე წააფარა. მეორე დღეს კი, შენმა ქალიშვილმა უგონოდ მთვრალი ფილამონე თავის საწოლში ჩაიწვინა, თვითონვე დაპატიჟა. იმიტომ რომ, მიწაზე გდებას ისევ საწოლი ერჩია. იმიტომ რომ, - ხმას აუწია პოპინამ, - იმიტომ რომ, კიდევ არ ჩაეჩარათ პირში ეს წყეული ძაფი, კიდევ არ წაეფარებინათ სახეზე კაბა!..

პოპინა უცებ გაჩუმდა, ცოტა ხნის მერე კი, უკვე ჩვეულებრივი, დამშვიდებული ხმით გააგრძელა: ქალს მხოლოდ ასე შეუძლია თავის დაცვა, როცა სხვა არავინა ჰყავს ქომაგიო.

"ფილამონე, ფილამონე..." - ფიქრობდა უხეირო და მარეხი ახსენდებოდა, პირველი ფეხმძიმობით დამფრთხალი და აწრიალებული, მთელი ღამეები ერთსა და იმავეს რომ ტიტინებდა, ნეტა ქალუკამდე მე მოვრჩენილიყავი, ახლა ხომ თავისუფალი ვიქნებოდიო.

ამის მერე დიდ დროს არ გაუვლია და პოპინა ცუდად გახდა, აბაზანაში წამოუარა შეტევამ, ცივმა ოფლმა დაასხა და აამიგმიგა. გასაპნული პოპინა ქალუკამ აბაზანიდან ჩვილივით ამოიყვანა და ტახტზე დასვა. პოპინა რომ გონს მოეგო, ქალუკა მის წინ დაჩოქილიყო და ფეხებს უმშრალებდა. პოპინამ საწყალობლად გაუღიმა, რადგან უცებ ისევ მწარედ იგრძნო უდელობა და სხვანაირად ვერ მოახერხა ნუგეშისა და დახმარების თხოვნა. ქალუკამ მკვრივსა და მზინავ მუცელზე აკოცა, აქა-იქ კიდევ რომ შერჩენოდა წყლის მსუქანი წვეთები, როგორც გარეცხილსა და პირქვე დამხოზილ ჯამფილას.

უხეირო საწოლში წამოჯდა, თავს ზევით შუბი შემართა და დაიყვირა: ფილამონე შემოვიდესო. ფილამონე კი კარგა ხნის გაქცეული იყო უკვე. კაციშვილმა არ იცოდა მისი ასავალ-დასავალი; უხეიროსაც ასე მოახსენეს, არც სიტყვა დაუტოვებია და არც კვალიო. განრისხებულმა უხეირომ შუბი კედელს სტყორცნა, სამუდამოდ მოიშორა, თითქოს ამ დღისთვის ინახავდა მხოლოდ და ამ

დღის მერე აღარასოდეს დასჭირდებოდა. მოიშორა, განთავისუფლდა. ასევე განთავისუფლებულმა შუბმაც ურჩხულივით იწვილა, კედელი გააპო და იმანაც სამუდამოდ შეჰყო თავი ნაპრალში. გარეთ დარჩენილი სხეული კიდევ კარგა ხანს უთრთოდა და უზუზუნებდა.

მერე, როცა მთელი სახლი პოპინას პირმშოს ჩვრებითა და არტახებით გაივსო და თავისუფალი ადგილიც აღარ დარჩა, გარეცხილ ჩვრებსა და არტახებს ამ შუბის ტარზეც გადაჰკიდებდნენ ხოლმე გასაშრობად. უხეირო ყურადღებასაც არ აქცევდა, რადგან იმ შუბს თავისად აღარ თვლიდა, აღარც უყვარდა, აღარც სჭირდებოდა.

სახლში დუმილი შემოიძურწა. ყველა დამნაშავედ და, ამავე დროს, დანაშაულის მსხვერპლადაც თვლიდა თავს. ბავშვი უმამოდ დაიბადა, სინამდვილეში კი ამ ბავშვის მამა ისეთივე ახლობელი იყო ამ ოჯახისთვის, როგორც თითოეული მათგანი. ეგონათ, ფილამონეს შვილის ტირილი მაინც დააბრუნებდა, გამბედაობას მოიკრებდა, პატიებას ითხოვდა და ყველანი ისევ ერთად იქნებოდნენ, მაგრამ ეტყობა, ფილამონე საერთოდ აღარ აპირებდა მობრუნებას, უხეიროს შიში ისე გასჯდომოდა ძვალსა და რბილში, უკან მოუხედავად გარბოდა.

პოპინა კი მშობიარობამ ისე დაღალა და დაასუსტა, არაფრის თავი აღარ ჰქონდა, არც უნდოდა. არაფერი არ უნდოდა. ეგონა, ამის მერე სულ ასე იწვებოდა, საკუთარი რძისა და ჩვილის სუნით გაჟღენთილი, სისუსტისაგან თავბრუდახვეული და უცნაურად, დაუჯერებლად ბედნიერი და ამაყი, რაც მერე, ძალიან მალე ჩვეულებრივ უბედურებასა და დამცირებაში გადაეზრდებოდა. ის მიტოვებული ქალი იყო, უარყოფილი, ხოლო მისი პირმშო დაჟინებით აიძულებდა, კეთილი ენება და შეგუებოდა, კეთილი ენება და თვალეში შეეხედა სიმართლისათვის, რადგან უკვე მარტო აღარ იყო, მარტო თავის თავს არ ეკუთვნოდა: ძუძუზე მისივე ჩამონაჭერი, მისივე განაყოფი, მაგრამ ამავე დროს ახალი, სრულიად დამოუკიდებელი სიცოცხლე ეკიდა, სიცოცხლესავით მომთხოვნი, ხმაურიანი და ღორმუცელა.

ფილამონეს უკვალოდ გაქრობა ჯერ კიდევ სალაპარაკოდ ჰქონდა ხალხს, როცა შავთვალეზა მალალოს ნაბოლარა ქალიშვილისა და უხეიროს ვაჟის გაქცევაც შეიტყვეს. "სად გარბიან, ჩვენზე ადრე რამე ხომ არ შეიტყო ამ ხალხმაო", - ჩვეულებრივად ოხუნჯობდნენ ვანელები.

ხმა კი უცებ დაირხა, მაგრამ გაპარვა კარგა ხანს მზადდებოდა. გაპარვაზე ფიქრი იმ დღის მერე დაიწყეს, როცა შუბუ გამოეცხადათ და აუწყათ, პოპინას ვაჟი შეეძინაო. ფარნაოზი იმ დღის მერე გარბოდა, რადგან რასაც აკეთებდა, ყველაფერი გაქცევისთვის იყო გამიზნული. თანდათან ორივენი შეეჩვივნენ ამ აზრს და ისევე ბუნებრივად ეჩვენებოდა, როგორც დარიაჩანგის ბაღში გამოხეთქილი კვირტი. ინო ყველაფრისთვის მზად იყო, უხაროდა კიდევ და სულ იმას გაიძახოდა, ისეთ ადგილას წავიდეთ, შუბუსაც რომ გაუჭირდეს ჩვენი მოგნებაო. ფარნაოზი პურს აგროვებდა, სხვენზე აჰქონდა და ჯვალოს ტომარაში აწყობდა. ამხელა გზაზე უპუროდ წასვლა სისულელე იქნებოდა, ვინ იცის, როდის მიაღწევდნენ ავაზაკამდე. მთაში კი საჭმლის შოვნა გაუჭირდებოდათ, დიდი-დიდი, მწყემსებს თუ გადაეყრებოდნენ, მაგრამ იმათაც უნდა დამალვოდნენ, რადგან არც ისინი იყვნენ სანდონი, თავის ნებაზე აღარ გაუშვებდნენ და ფარასთან ერთად ჩამოლაღავდნენ უკანვე. გეგმა უბრალო იყო და სწორედ უბრალოებით

ხიბლავდა ორივეს. ისინი მთაში წავიდოდნენ იმ ავაზაკთან, რომელზედაც აგერ უკვე მთელი წელი ლაპარაკობდა ქალაქი. ავაზაკს ძღვნად ღორის ბარკალს მიაერთმევდნენ (ღორის ბარკალი ფარნაოზს უკვე შეგულებული ჰქონდა, მაგრამ ბოლო წუთს უნდა ჩამოესხნა, რათა მისი გაქრობა რაც შეიძლება გვიან შეემჩნია ქალუკას), ავაზაკი მაღლობელი დარჩებოდა, შინაური ღორის ხორცი, ალბათ, მონატრებული ექნებოდა. ავაზაკი ორივეს შეიფარებდა, ინო შინ დატრიალდებოდა, სადილს მოამზადებდა, დარეცხავდა და დაგვიდა, ფარნაოზი კი იმ ავაზაკს ნადირობაშიც მოეხმარებოდა და ავაზაკურ საქმეებშიც. მეტი რაღა უნდა სდომებოდა იმასაც. თუ მაინცდამაინც მარტო ცხოვრებას აიჩემებდა, მაშინ ისინი საკუთარ ქოხს აიშენებდნენ... ავაზაკის ქოხის გვერდით, ხმა რომ ადვილად მიეწვდინათ ერთმანეთისათვის. ასე მსჯელობდნენ. თვითონვე ჭრიდნენ და თვითონვე კერავდნენ. იმას კი ვერ ამჩნევდნენ, მათი გეგმა, ყველასაგან გადაკარგვასა და განმარტობას რომ გულისხმობდა, ისევე ტრიალებდა ვიღაც ავაზაკის გარშემო, როგორც პალსო გარშემო დაბმული სახედარი. მათი ოცნების შუაგულში ავაზაკი იდგა, თვითონვე ჩაეყენებინათ, რადგან მიუვალსა და მიყრუებულ მთებში, სადაც ისინი აპირებდნენ წასვლას, მხოლოდ და მხოლოდ, იმ ავაზაკის იმედზე თუ იქნებოდნენ, რომელზედაც ათას საშინელებას ყვებოდა მთელი ქალაქი, ნახვით კი, ჯერ არავის ენახა.

ბოლოს დათქმული დღეც დადგა, დღე კი არა, ღამე. მამალს ჯერ კიდევ არ ეყივლა, ფარნაოზი საწოლიდან ლანდივით რომ გამოცურდა, კარი ფრთხილად გამოიხურა და ეზოში გამოვიდა. ჯვალოს ტომარა, პოპინას სამღებროში რომ დაემალა გუშინვე, მხარზე მოიგდო, ტომრიანად ერთი შემოზრიალდა, მშვიდობით ჩემო სახლოო, ამოილულლულა მღელვარებისაგან ყბამოქცეულმა და დარიაჩანგის ბალისკენ მოკურცხლა. იქ ინო ელოდებოდა.

კარგა გათენებული არც იყო, ხრიოკ, ჯუჯა ბუჩქნარით მოფენილ ფერდობს თხებივით რომ მიაჩხრიალებდნენ. ხოლო როცა მზემ პირველი სხივები დააბჯინა ქვეყანას, მღვიმეს წააწყდნენ. მღვიმის შესასვლელს ისე მოხერხებულად ფარავდა ჯაგნარი, წინასწარაც რომ გცოდნოდა მისი არსებობა, მოძებნა მაინც გაგიჭირდებოდა. მღვიმესა და ჯაგნარს შორის ერთი ხელის დადება მოლი ლივლივებდა, თითქოს პოპინას საღებავი დაღვრიათ. ისე ჩქარა ევლოთ, ორივეს ხვითქი გადასდიოდა. ფარნაოზს კი ტომრის თრევისგან მხარიც სტკიოდა. დაშაშხული ღორის ბარკალი მარილის ლოდვიით დამძიმებულიყო. გადაწყვიტეს, აქ დაესვენათ. ფარნაოზმა ტომარა დააგდო და გულაღმა გაიშოტა. ინომაც მაშინვე მიზამა მეგობარს და ისიც დაეტია იმ ერთი ხელის დადება მოლზე. სული რომ ჩაიბრუნეს, მღვიმემ დააინტერესათ. "შევიხედოთ მაინცო" - თქვა ფარნაოზმა და ხვრელში შეჰყო თავი, მაგრამ გულგახეთქილი უკანვე გადმოვარდა. მღვიმის სული ფართხაფურთხით გამოიჭრა გარეთ. ვერც ერთმა ვერ შეასწრო თვალი, მხოლოდ ფრთების შხუილი გაიგეს და შავმა და ალისფერმა ხაზებმა გაიელვეს ჰაერში. ეტყობა, მღვიმე რომელიღაც ფრინველის თავშესაფარი იყო, მაგრამ ახლა, არანაკლებ გულგახეთქილს, უნდა მიეტოვებინა იგი და მასზე დიდი ცხოველებისთვის დაეთმო. ფარნაოზმა სრულიად სერიოზულად განაცხადა: მღვიმის სული გამოფრინდაო.

მღვიმე შიგნიდან საკმაოდ მოზრდილი და ჭერმაღალი აღმოჩნდა. ფარნაოზი თითის წვერებზე აიწია, ხელიც ასწია, მაგრამ ჭერს მაინც ვერ მისწვდა. ინოსაც მოეწონა მღვიმე.

- აქ მეც სიამოვნებით ვიცხოვრებდიო - თქვა ინომ.

ბევრი აღარ უფიქრიათ, მაშინვე მღვიმის გამოსუფთავებას შეუდგნენ, თითქოს წინასწარვე დათქმული ჰქონდათ, აქ დაედოთ ბინა. ავაზაკი არც კი გახსენებიათ. ჯერ ქვა-ლორღი გამოზიდეს, იატაკი, ასე თუ ისე, მოასწორეს, მერე ჯაგის ტოტები დაამტვრიეს და გამოგავეს, მაგრამ მღვიმეში ისეთი მტვერი დადგა, ხველებხველებით გამოცვივდნენ გარეთ, ისევ მდელიოზე დაეყარნენ და დიდხანს უყურებდნენ, როგორ გამოდიოდა მღვიმის ხვრელიდან წითელი მტვერი, ზანტად, ბოლქვა-ბოლქვა, რომელიღაც ზღაპრულ ურჩხულივით, თითქოს ისიც უბრძოლველად უთმობდა მომხდურებს თავის ბუნაგს, სადაც, ვინ იცის, რამდენი საუკუნე ეცხოვრა მშვიდად და უდრტვინველად. მღვიმე უკვე მათი საკუთრება იყო, მათი პირველი განზრახვისა და სითამამის თავშესაფარი.

დღემ ისე გაირბინა, ვერც კი გაიგეს. ფარნაოზმა ჯვალოს ტომრიდან პური ამოიღო, შუაზე გატეხა და ორივემ დიდხანს ლოღნა თავისი წილი ხმელი პური.

გაქცევამდე მაინც სხვანაირად ჩანდა ყველაფერი. გაქცევამდე არც შიმშილი არსებობდა, არც წყურვილი და არც ხიფათებით სავსე ღამე, რომელიც საცაა ჩამოწვებოდა დედამიწაზე და ყველაფერთან ერთად, ამ პატარა გამოქვაბულსაც გადაუძახებდა თავის უძირო სტომაქში. სადღაც ტურები ახარხარდნენ. განგებ დაგორებული თუ თავისით მომწყდარი ქვა დიდხანს, ძალიან დიდხანს მოხტუნავდა ფერდობზე, სანამ ხევში ჩაინთქმებოდა. გაქცევამდე მართლაც ყველაფერი სხვანაირად ჩანდა, ახლა კი ისხდნენ პატარა გამოქვაბულში და ღამე ახლოვდებოდა, არა, უკვე მოსულიყო, უკვე ღამის ბინადრები იყვნენ. დუმილი დაიძაბა, გაურკვეველი, საიდუმლო ხმებით გაივსო. ცაზე ვარსკვლავები აჩახჩახდნენ. მღვიმეში უფრო ჩამობნელდა, ჩამოცხა კიდეც. ისინი კი ტყუპებივით მიხუტებოდნენ ერთმანეთს მღვიმის ჩახუთულ სიბნელეში, თითქოს ისევ იქ შებრუნებულიყვნენ, საიდანაც ერთხელ უკვე მოვლენოდნენ ქვეყანას, რაკი სხვა გზა ვერ გამოენახათ განსაცდელისაგან თავის დასაღწევად.

- აი, ის ვარსკვლავი შენთვის მიჩუქნია! - უთხრა ფარნაოზმა ინოს და დიდი, ლურჯი ვარსკვლავი დაანახა.

ინომ თვალი ვეღარ მოაშორა ვარსკვლავს, იქამდე უყურა, სანამ თვალეზი არ აებლანდა. მერე გაიღიმა და საჩუქარი გულში ჩაიდო. შორიდან ვარსკვლავი ციმციმა ლურჯი სინათლე იყო მხოლოდ, მაგრამ უცებ გამკვრივდა და სიმძიმეც შეიძინა, როგორც კი გულში ჩაიდო იგი ინომ. რას იფიქრებდა, თუ სინათლე ასეთი მძიმე იქნებოდა, თუ ეს ციმციმა ნაპერწკალი გულში ძლივს ჩაეტეოდა და წვეტიანი ქიმებით გულის კედლებს ჩაუკაწრავდა. ვარსკვლავმა გულში მბრუნავი ვარდისფერი ჰაერის მთელი მარაგი გამოდევნა და ინოს სუნთქვა შეეკრა. სტკიოდა, მაგრამ ტკივილი სიამოვნებდა, ამშვიდებდა; ტირილი უნდოდა და ელიმებოდა; ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ ენას კბილს აჭერდა, თუმცა არ იცოდა, რას იტყოდა.

გამოქვაბულში ბნელოდა. პატარა, დედის მომლოდინე ლეკვებივით გამოეყოთ თავები ხვრელიდან და ვარსკვლავებს უყურებდნენ. ვარსკვლავების სიმრავლე გულს უკეთებდათ, თითქოს მარტონი აღარ იყვნენ, ისინიც იმ ვარსკვლავებში ერივნენ. ვარსკვლავები კი მართლა ცოცხლებივით ფეთქავდნენ, ციმციმებდნენ. ხანდახან გადაიკისკისებდნენ კიდეც და ისე



ეკიდნენ ცაზე, როგორც ვაშლები დარიაჩანგის ბაღში. გეგონებოდა, ხელს გავიშვერ და მივწვდებო.

ერთი კვირის მერე აზმუვლებულმა, მტვრისა და ბუზანკლის შარავანდედით თავმოხმულმა ნახირმა ჩამოიარა ქალაქში. ქვაფენილზე ჩლიქების ფხაჭუნმა და ზინზილაკების ჟღარუნმა ყურთასმენა წაიღო. ქუჩა-შუკები ფუნისა და მინდვრების სუნით გაიჟლინთა. სანამ ნახირი მთლიანად არ დაიწრიტა, ხალხი შინიდან ვერ გამოდიოდა, თითქოს მთელი ქალაქი ტალახისფერ ნიაღვარს დაეფარა. სწორედ ამ ნახირის მწყემსებმა თქვეს: გამოქვაბულში ბავშვებს მოვკარით თვალიო. მერე აღარც მათი დაჭერა გასჭირვებიათ. ისე მოულოდნელად დაადგნენ თავზე, გამოქვაბულიდან გამოხტომაც ვეღარ მოასწრეს. თუმცა არც უცდიათ, ხმელა პურს ორივენი ისე დაეოსებინა, თავები ძლივს წამოიწიეს. დედა-მკვდარი ლეკვებივით მიყრილიყვნენ კუთხეში.

ის ერთი კვირა პოპინა თავს იკლავდა: ჩემი ბრალია, მე დავღუპე, ჩემი საბრალი ძმა სირცხვილს გაექცაო.

ინო და ფარნაოზი ქალაქზე რომ ჩამოატარეს, "ავაზაკები მოჰყავთო" - იყვირა ვიღაცამ და მთელი ხალხი სიცილ-ხარხარით გამოეფინა გარეთ. ვანელებს სრულებითაც არ უნდოდათ ამ პატარა გოგო-ბიჭის განაწყენება, რა იცოდნენ, ან საიდან უნდა სცოდნოდათ, რა ცეცხლი ტრიალებდა მათ პატარა გულელებში. ისე, ერთი შეხედვით, მართლა სასაცილო იყო თითისხელა "ავაზაკების" ხილვა, ცოტა ნაადრევად რომ მოჰკიდებოდნენ "ოჯახს". "ნიადაგი მზად ყოფილა, ახლა საქმე ბარზეაო", - ოხუნჯობდნენ ვანელები. ფარნაოზი თავჩაღუნული მოდიოდა, არაფერზე არ ფიქრობდა. არც ინო ახსოვდა. ერთხელაც არ მოუხედავს, ისიც მოჰყავთ თუ არაო. ეგ იყო, რომ თავი უსაშველოდ გაზრდოდა და უბზუოდა, უბზუოდა და უბზუოდა. დამარცხებას დაებრძენებინა. ცდილობდა, არ წაებორძიკა, არ წაქცეულიყო, არ გაბრაზებულიყო და ბოლომდე ჩათავებინა ქუჩა, რათა ყველას შეძლებოდა დამტკბარიყო მისი ცქერით. დამარცხებაც ეს იყო, ამას ნიშნავდა: თავჩაღუნულს უნდა ჩაეველო ახარხარებული ხალხის წინ.

ინო დედა-დებმა ცხრაკლიტულში დაამწყვდიეს, ზედ გადაეფოფრნენ და გარეთ ცხვირსაც აღარ აყოფინებდნენ. ფარნაოზს კი სიხარულით შეეგებნენ შინ, ისე ეხვეოდნენ და კოცნიდნენ, თითქოს მთელი წლის უნახავი ჰყოლოდათ. მაგრამ ამ გულწრფელ სიხარულშიც იგრძნობოდა თავშეკავება და სიფრთხილე. ერთი რომ თავის სიხარულსა და ბედნიერებას გამოთქვამდა, მეორე აჩუმებდა: ცოტა ჩუმად თქვიო. უხეიროსი ეშინოდათ, არ იცოდნენ, როგორ მიიღებდა იგი შინიდან გაქცეულ შვილს და, საერთოდ, როგორ დამთავრდებოდა ეს ამბავი მათი ოჯახისთვის. პოპინამ რომ მოღუშული და კრიჭაშეკრული ფარნაოზი დაინახა, უარესად დაფრთხა, მაშინვე დაიჯერა, ფარნაოზს ეზიზღებოდა და მართლა მისი მიზეზით გაქცეულიყო შინიდან. ბავშვობის დროინდელმა შიშმა გაუხსენა, წარამარა რომ ჩასძახოდა გულაღმა გაშოტილს: ძმისაც უნდა გეშინოდეს, რადგან ქალი ხარო. მაგრამ პოპინას მაინც არ შეეძლო არ მისიყვარულეობდა ძმას, ამ ერთ კვირაში მთელი წლის კი არა, მთელი სიცოცხლისათვის საკმარისი ელდითა და ეჭვით, წუხილითა და სინანულით რომ დაეტვირთა. პოპინა ეფერებოდა, ელოლიავებოდა ფარნაოზს და თვითონაც გრძნობდა, ეს რომ ძველებური, უფროსი დის ალერსი აღარ იყო. ეს უფრო დამნაშავეს ლაქუცს ჰგავდა შემწყნარებლის მიმართ, უფროსისა და ძლიერის გაღმერთებას უმცროსისა და

სუსტისაგან. ფარნაოზიც ამჩნევდა დის უეცარ ფერისცვლებას და ერთი სული ჰქონდა, როდის მოიშორებდა, როდის გათავისუფლდებოდა ამ უსიამო ხვევნა-კოცნისაგან, უარესად რომ აღიზიანებდა და ასევდიანებდა. ფარნაოზს პოპინა შეეცოდა, თუმცა არ იცოდა, რა სჭირდა უფროს დას მისი შესაცოდი. მაგრამ იმის ნაცვლად, თვითონაც მიჰფერებოდა, უხეშად მოიშორა და უთხრა: შენს შვილს მიხედე, მე არავის მოფერება არ მჭირდება.

პოპინა დატუქსული ძაღლივით მოიბუზა, გაშტერებულ სახეზე ღიმილი შეეყინა და ამ შეყინულმა ღიმილმა მისი სახე საცოდავად დაამახინჯა, ამიტომ ფარნაოზს გაუხარდა კიდეც, როცა ქალუკამ უთხრა: მამა გემახისო.

ამ წუთს მთელი სახლი გულისფანცქალით ელოდებოდა. ყველანი უმწიფონი იყვნენ, ვერავინ გაბედავდა მამა-შვილის შუა ჩადგომას. "იმ ფეთიანმა ბავშვს რამე არ აუტეხოსო", - ფიქრობდნენ გულში. ფარნაოზსაც მამასთან შესვლას სიკვდილი ერჩია, მაგრამ ახლა, დასთან უნებური უსიამოვნების შემდეგ, მამასთან კი არა, მშვიერი ლომის გალიაში შევიდოდა, ოღონდ პოპინას დამფრთხალი და დაბეჩავებული სახე აღარ დაენახა. ქალუკას ნათქვამმა პოპინაც უცებ გამოარკვია და კარში გასულ ძმას მიადახა: ნუ გეშინია, ოღონდ ახლოს არ მიხვიდეო.

უხეირო ქარგავდა, თავი კარგა ხანს არ აუღია, თითქოს ვერ გაიგო ფარნაოზის შემოსვლა. მამის ოთახში გამეფებულმა სიმშვიდემ და სისუფთავემ ფარნაოზს რატომღაც გული აუჩუყა, მკვდარი დედა გაახსენდა და მართლაც იყო რაღაც დედობრივი ხანგრძლივი წოლისაგან ავადმყოფურად განაზებულ და გაფერმკრთალებულ კაცში, ქალური სიმარჯვით რომ ხმარობდა ყაისნაღს. ეს უცნაური გრძნობა უშნოდ დამრგვალებულ ქვასავით გაეხირა ყელში ფარნაოზს და აქ, მამის წყნარსა და დაბინდულ ოთახში, პირველად იგრძნო, დამნაშავე რომ იყო, თუნდაც ამ კაცის წინაშე, მაგრამ დანაშაულის შეგრძნება ერთდროულად პატიების თხოვნასაც ურჩევდა და წინააღმდეგობის გაწევასაც ავალებდა. ფარნაოზს კი აღარც ფიქრის თავი ჰქონდა და აღარც არჩევანისა. კოჭებში დაწყებულმა ცახცახმა მალე წელამდე ამოაღწია და ფარნაოზმა მთელი ძალით იჩქმითა ბარძაყზე, ცახცახი რომ შეეჩერებინა.

უხეირომ თავი აიღო და გაკვირვებულმა გამოხედა, თითქოს ახლა შეემჩნია პირველად. ეტყობოდა, მასაც უჭირდა ლაპარაკი, რადგან ხელით ანიშნა, ჩამოჯექიო. ფარნაოზი სკამთან მივიდა და დაჯდა, რამაც ძალიან გააოცა, რადგან თავისი აცახცახებული ფეხების იმედი აღარ ჰქონდა. უხეირო კიდეც დიდხანს იყო ასე უბრად, სანამ სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაც არ გამოესახა. ამ ღიმილმა ფარნაოზს უარესად გაუმძაფრა დანაშაულის შეგრძნება. უხეირომ ტლანქად ჩამოისვა სახეზე ხელი, თითქოს შვილის თვალებში საკუთარი ღიმილი დაინახა და არ მოეწონა.

- ახლა რას აპირებ? - ჰკითხა შვილს.

ფარნაოზმა კარგად ვერ გაიგო, რას ეკითხებოდა მამა, რადგან სწორედ ამ დროს წამოუარა კრუნჩხვამ და ხელის თითები დაუგრინა. დაბუჟებული თითები თავისით, უმტკივნეულოდ, მაგრამ ჯიუტად მიიწევდნენ ერთმანეთისაკენ და ათასნაირად იბრიცებოდნენ, როგორც ცეცხლზე გაჩერებული წკირები.

- უკვე დროა, რამე ხელობა ისწავლო - გააგრძელა შვილის დუმილით გაკვირვებულმა და ოდნავ გამწყრალმა უხეირომ.

- მაპატიე, - ძლივსძლივობით ამოილულულა ფარნაოზმა, მეტი ვერაფერი მოახერხა.

უხეიროს სახე მოელუშა და ისევ საქარგავს მიუბრუნდა.

ფარნაოზი მამის ოთახიდან რომ გამოდიოდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა იწო.

\* \* \*

ზღვიდან მობერილ ქარებს ქალაქში უკვე დამპალი წყლის მქისე სუნი მოჰქონდათ. ნაპირი მორღვეულიყო, გადასხვაფერებულიყო, უცხო იერი დაჰკრავდა. ზღვა ხან ყალყზე შემდგარი, კუდით დათრეულ ურჩხულივით ღრიალებდა, იფურთხებოდა, ხან კი წყნარად, ფშვინვითა და ოხვრით მიიპარებოდა. გამწარებული ბედია ტანზე დახვეულ თოკს მოიხსნიდა ხოლმე, კი არ მოხსნიდა, როგორღაც გამოძვრებოდა თოკის გაბურძმნული გორგალიდან და იქამდე სცემდა, ტკეპნიდა და ჩეჩქავდა ფეხებით, სანამ დაღლილობისაგან თავბრუ არ დაეხვეოდა. თოკის ცემით გულს რომ მოიოხებდა, გაფურთხავდა, გასწორებდა და ისევ გადაიცვამდა, ისევ შეძვრებოდა შიგ, როგორც ლოკოკინა ნიჟარაში.

ზღვის ბალახი კვამლივით გაჰკვროდა მიტოვებულ მიწას, თუმცა აღარც მიწა ეთქმოდა და აღარც წყალი: ობმოკიდებული, აშმორებული და დაბუშტული გუბეები მთელ სიგრძეზე მოურჩენელ წყლულებივით დასეოდა. გეგონებოდათ, ვიღაც გულქვა მტერს ხრწნაგამჯდარი გვამი საფლავიდან ამოუთხრია და უპატრონოდ, თოლიების საძიმგნელად დაუგდიაო.

ქალები ზღვის ბალახს გლეჯდნენ, ტომრებით ეზიდებოდნენ და გასაშრობად სახლების წინ პირდაპირ ქუჩებში ჰფენდნენ. ბალახი მზეზე ოქროსფრად ბზინავდა და სასიამოვნოდ რბილდებოდა. ქალები ირწმუნებოდნენ: ამ ბალახით გატენილ ლეიბზე ბავშვებს უკეთესად სძინავთ და უკეთეს სიზმრებსაც ხედავენო.

ერთი საღეიბე ბალახი ქალუკამაც მოაგროვა, მზეზე გააღუნდულა და ზედ თავისი შვილიშვილი დააგორა. ბავშვს ყველანი კუსას ეძახდნენ, რადგან ერთხელ შუბუმ რომ დახედა, თქვა: შეხედეთ ამ მამამაღლს, როგორ კუსავს თვალებსო. ეს სახელი ბოლომდე შერჩა კიდეც.

კუსა ჯანსაღი ბავშვი იყო და სხვები წლობით რომ იზრდებოდნენ, ის თვეობით იზრდებოდა. ერთდროულად აიდა ფეხი და ენაც. იზრდებოდა და დღითიდღე მამამისს, ფილამონეს ემსგავსებოდა, მაგრამ პოპინასთან ამის თქმას რატომღაც ყველანი ერიდებოდნენ, სანამ თვითონ პოპინამ არა თქვა: ეს არგასაჩენი, პირწავარდნილი ფილამონეაო. პოპინას ამგვარი განცხადება ოჯახის დანარჩენმა წევრებმა ფილამონეს შეწყნარებად ჩათვალეს და გაუხარდათ. ფილამონეც ხომ მათი ახლობელი იყო. ვინმე რომ იტყოდა: ნეტავი სად არის ახლაო, პოპინა მაშინვე უპასუხებდა: სადაც არ უნდა იყოს, ყველგან სულელად დარჩებაო.

ქალუკა იმის მადლობელიც იყო, მის შვილს რომ ახსენებდნენ, ავად თუ კარგად, მაგრამ როგორც კი ფილამონეზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მაშინვე რამე საქმეს გაიჩენდა, საუბარში არ

ჩაერეოდა, თუმცა მთელი გულსყური მოსაუბრეებისკენ ჰქონდა. თვითონ სხვების გასაგონად ერთხელაც არ უხსენებია შვილის სახელი. გულში კი ვერავინ ჩახედავდა. არც ჩაახედებდა. დედა-შვილის ამბავი, მარტო დედა-შვილის ამბავი იყო და მესამისთვის, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, ადგილი აღარ რჩებოდა. ქალუკას არც ის სწყინდა, პოპინა ფილამონეს სულელს რომ ეძახდა, რადგან იცოდა, პოპინას საამისო მიზეზი ჰქონდა. ქალუკას პოპინაც შვილივით ჰყავდა გაზრდილი, შვილში არ გამოერჩეოდა და ამიტომაც იყო სწორედ, მშობლის უტყუარმა ალღომ თავიდანვე რომ გააფრთხილა, კი არ გააფრთხილა, დაარწმუნა, პოპინას ფილამონე უყვარსო. ქალუკა ამას შვილის დაკარგვაზე დიდ უბედურებად თვლიდა. ფილამონეს დაკარგვა მისივე სიმხდალისა და უმეცრების ბრალი იყო, ხოლო ამ სიმხდალესა და უმეცრებას, სრულიად დაუმსახურებლად და უსამართლოდ, მეორე ადამიანიც ეწირებოდა. "ჩემს შვილს ჩემს მერე ყველაზე კარგად პოპინა იცნობსო", - ფიქრობდა ხოლმე ქალუკა. ქალებს კი ერთმანეთში ამ საკითხზე არასოდეს ულაპარაკიათ. უთქმელადაც უგებდნენ ერთმანეთს. როცა ქალუკამ გულშეწუხებული პოპინა აბაზანიდან ამოიყვანა და როცა ტუჩებგადაღურჯებულმა პოპინამ საწყალობლად გაუღიმა, მაშინვე გადაწყვიტა, არასოდეს აღარ მიეტოვებინა იგი, მისი ფეხის მტვერი ეკოცნა, იქნებ ოდნავ მაინც გამოესყიდა მხდალი და უმეცარი შვილის დანაშაული. ამიტომაც არ გაჰკიდებია ქალუკა ფილამონეს. მას უკვე აღარ ჰქონდა უფლება, მიეტოვებინა ეს საბრალო ქალი, ძაღლის თვალებით რომ ემუდარებოდა შველასა და შემწეობას, სიყვარულით გათელილი და დაკნინებული. გარდა ამისა, სანამ ის პოპინას გვერდით იქნებოდა, პოპინასაც არ გაუქრებოდა ფილამონეს დაბრუნების იმედი. თუმცა თვითონ დარწმუნებული იყო, ფილამონე არასოდეს აღარ დაბრუნდებოდა. შიში, რომელსაც სიყვარულის გადაძლევა შეეძლო, შინისკენ მიმავალ გზასაც ადვილად დაავიწყებდა. ფილამონე შიშის წილი იყო, შიშის ბინადარი და ქალუკა გულის სიღრმეში ამასაც თვითონ იბრალებდა, რადგან თვითონ გაეჩინა, ასეთად გაეჩინა და ახლა კეთილი უნდა ენება, თავი ჩაელუნა და სასჯელიც უსიტყვოდ და უწუწუნოდ აეტანა. იტანდა კიდევ.

ორი ერთნაირად გულმოკლული და ერთნაირად უთქმელი ქალის მთელი სითბო და სინაზე, იმედიცა და სიყვარულიც კუსას დაეფრქვა თავზე. ალღოიანი და მოუსვენარი კუსა გაჩენის დღიდანვე ორი უერთგულესი და მუდმივი მონის პატრონი გახდა. კუსამაც შეიშნოვა და ხალისიანად შეუყვია ცხოვრების აღმართს, ხალისით იზრდებოდა და ხალისით ებლანდებოდა ყველას ფეხებში. ეს სიხალისე ბოლომდე გაჰყვა, თუმცა ბევრი მისი ოცნება ოცნებადვე დარჩა და არც შესაშური ჰქონდა რამე, ერთი თვისების გარდა: კუსას ყველა განვლილი დღე უმტკივნეულოდ ავიწყდებოდა და ყველა მომავალი დღიდან უკეთესს და უკეთესს მოელოდა. თორმეტი წლის ძლივს იქნებოდა, უეცარი გამდიდრების სურვილით შეპყრობილი, ღვინის ვაჭარ ბახას რომ მიადგა და უთხრა: ქალიშვილი მომათხოვეო. ღვინის ვაჭარი ბახა თავის საყვარელ სკამზე იჯდა, მუხლებს შორის თავისი საყვარელი ჯოხი ჩაედგა, ჯოხის მომრგვალებულ თავზე ხელები კრამიტებივით დაეწყო და იმ კრამიტებზე ნიკაპი დაებჯინა. დიდხანს ათვალიერა სახელაწილი ლაწირაკი, სიმეობას რომ სთავაზობდა, მერე კი ჰკითხა: ქალიშვილი სამი მყავს, შენ რომელსა მთხოვო?

- ჩემთვის სულერთიაო, - არ დაუგვიანა პასუხი კუსამ.

ღვინის ვაჭარი ბახა ისევ კარგა ხნით გაჩუმდა. "რა სხვანაირი ხალხი წამოვიდაო", - გაიფიქრა შიშნარევი სინანულით და როცა სახელეწილი ლაწირაკი ადგილზე ცქმუტვას მოჰყვა, ისევ ჰკითხა: სხვა რა შეგიძლიათ. "ჯერ არაფერი, - უპასუხა კუსამ მაშინვე, - ჯერ არაფერი შემიძლია, მაგრამ ყასბობა მინდა შევისწავლო".

ისევ გაჩუმდა ღვინის ვაჭარი ბახა, ისევ დიდი ხნით, მაგრამ კუსაც მოთმინებით უცდიდა საბოლოო სიტყვას. გულში კი ყასბობაზე ფიქრობდა, თავს იქებდა, ეს რა კარგი მომავლიაო, და თანდათან ჰკუთავებდა უჯდებოდა. როდის-როდის ღვინის ვაჭარმა ბახამაც გამოწირა: ყასბობას რომ ისწავლი, მერე მობრძანდით.

- კეთილი და პატიოსანი - უპასუხა კუსამ.

გულში კი სამჯერ ზედიზედ კიდევ გაიმეორა: კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი.

კუსამ ვანში სახელგანთქმულ ყასაბს ბებია მიუგზავნა. ფუშიანმა (ასე ეძახდნენ ყასაბს) ქალუკა არ გააწბილა, მაგრამ მთელი წელი ისე გავიდა და მეორეც ისე მიჰყვა უკან, კუსას დანა და ცული ხელში არ აუღია.

- ბიჭო, - ეუბნებოდა ფუშიანი - ყასბობა შენ რა გგონია...

ფუშიანი მართლაც ისე ოსტატურად ჭრიდა და ახარისხებდა ხორცს, მისი ცქერა ერთ რამედ ღირდა. შეგირდიც გაფაციცებით შესცქეროდა და ვერც კი გრძნობდა, ძვლისა და ხორცის წვრილი ნაკუწები სახეში როგორ ეფრქვეოდა. კუსა ხანდახან გულისპირს განგებ მოითხვრიდა ხოლმე სისხლით, რათა შინ დაბრუნებულს მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა ქალებზე. "ამასაც, პაპამისივით, სისხლი ეყვარებაო" - ამბობდა შუბუ.

სიზმარს რომ არ შეეშალა ხელი, კუსასგან მართლაც სანაქებო ყასაბი დადგებოდა. მაგრამ სიზმარმა ისედაც მხდალი კუსა ისე დააფრთხო, საყასბოსკენ გახედვაც აღარ უნდოდა.

იმ ხანებში, როცა კუსა ყასბობას სწავლობდა, მთელი ქალაქი ხეიბრებით იყო სავსე. ქუჩაში ისე ვერ გაივლიდი, ფეხი რომ არ წამოგედო ძონძებისათვის, საიდანაც მაშინვე შემოგაჰყეტდა გაჩქევილი შუბლი, გამოთხრილი თვალი თუ იდაყვამდე დამოკლებული მკლავი, რომელიდაც ტიტველი ცხოველის თავკისერივით ასავსავებული ჰაერში. ისინი ომის ხეიბრები იყვნენ. სადღაც, ცხრა ზღვის იქით ატეხილ ომში ვანიც მონაწილეობდა. "ჯარიო" - შემოთვალა ყველაზე დიდმა მეფემ და არც ოყაჯადომ დაუგვიანა. ვალს გადახდა უნდოდა. ზედიზედ გადიოდნენ ვანის აშმორებული ნავსადგურიდან კოლხი მეომრებით გაძიმებული ხომალდები. იმავე ხომალდებს ხეიბრები მოჰყავდათ უკან, ხეიბრები და ომის ამბები. სამშვიდობოს გამოსული, დამახინჯებული, მაგრამ სიკვდილს გადარჩენილი ბიჭები იდაყვამდე დამოკლებული მკლავებით იჩორებდნენ ნაწყალობევი ღვინით სავსე ჯამებს და ყვებოდნენ, ყვებოდნენ, ყვებოდნენ გაუთავებლად. შეიძლება, სიამოვნებდათ, ეამაყებოდით კიდევ, მათი მონაყოლი ასე რომ აშინებდა ხალხს. სანამ ხეიბრებს მსმენელი ჰყავდათ, თავს გარიყულად, გამორჩეულად აღარ გრძნობდნენ, რადგან ყველანი, ისინიცა და მსმენელებიც, ერთნაირები იყვნენ. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვის რა ამახინჯებდა: მახვილი თუ შიში.

დიდხანს გაგრძელდა ასე, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ყველას ერთად არ მოუსვენს ხელი. ხეიბრები გაქრნენ, მაგრამ მათი ნაამბობი დარჩა.

კუსას სიზმარიც ამ ხეიბრების მონაყოლს გაეჩინა. სიზმარში კუსა ვითომ უკვე გამხდარიყო ყასაბი, ბოლო-ბოლო მაინც ასრულებოდა ოცნება და მიეღწია ცულის პირებით დასერილ კუნძამდე, მაგრამ ამ კუნძიდან ადამიანის თავ-ფეხი ცვიოდა კალათებში.

გამოეღვიძა თუ არა, ცხედარივით გადაფითრებული კუსა ფუშთან გაიქცა და გამოუცხადა: დღეიდან აღარ მოვალ, ამ საქმიდან ხელი ამიღიაო.

- ბიჭო, თუ იცი, რა ახლოსა ხარ მიზანთან... - გულწრფელად შეწუხდა ყასაბი. მისი აზრით, კუსას სულ ცოტადა აკლდა ყასბობამდე, სულ ცოტაც და კუსა ღირსეული გამგრძელებელი იქნებოდა ამ ხელობისა, მაგრამ კუსას ისე მორეოდა შიში, იქ გაჩერებაც აღარ შეეძლო, ცულის პირებით დასერილი და ქონით გადაგლესილი კუნძის დანახვაზე გული მისდიოდა. ცოტა ხნით განუდგა ცხოვრებას, შიშით იყო ავად და სიმყუდროვე სჭირდებოდა, ჩათბუნება, ოფლის მოდენა, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც რომ გამოსვლოდა ტანიდან ეს წყეული სენი. ახლა მთელი დღეები ფარნაოზის სახელოსნოში იჯდა, ჩაქუჩისა და სატეხის ხმა ამშვიდებდა, თენთავდა და ოცნებაში ხვევდა. კუსას არც ადრე მოსწონდა ბიძის საქმიანობა და არც ახლა თვლიდა კაცის საქმედ, მაგრამ აქ, ამ ფარალალა ფიცრულში თავს უფრო მშვიდად გრძნობდა, შიშიც იოლად ავიწყდებოდა, რადგან ბიძამის ფართო ბეჭები ჰქონდა და ხელში ჩაქუჩი ეჭირა.

ფარნაოზს თავისი "სახელოსნო" პოპინას სამღებროსთვის მიეშენებინა, მამის სატრფიალო "ბარათები" კედლის გასწვრივ ჩაემწკრივებინა და ამ ქვებიდან ძაღლის თავებს აქანდაკებდა. დამარცხების შემდეგ შეაკოწიწა ფარნაოზმა ეს სახელოსნო და იმის მერე ჩაქუჩი და სატეხი აღარ გაუგდია ხელიდან, თითქოს ეს მიესაჯათ მისთვის, დამარცხებულისთვის, თავაუღებლად უნდა მჯდარიყო და ქვები ექუცმაცებინა. ფარნაოზიც პირნათლად იხდიდა სასჯელს. უხეიროს ტლანქი ხელით ამოკაწრული, თავბრუდამხვევი ვნებისა და სიყვარულის მღაღადებელი წარწერები სატეხის ქვეშ თანდათან იფშვხნებოდნენ, იშლებოდნენ და ქრებოდნენ. ქვაზე ასხლეტილი სატეხი ნაპერწკლებს ყრიდა და ფარნაოზის წარბებს, უპეებსა და მხრებს ქვის რუხი მტვერი ედებოდა. ფარნაოზს უკვე ძაღლის რამდენიმე თავი გამოექანდაკებინა, ყველა ცუგას ჰგავდა. კუსაც რომ მოსწრებოდა ცუგას, არც მას გაუჭირდებოდა ამ მსგავსების შემჩნევა. ფარნაოზი ახლაც ცუგას თავს აქანდაკებდა, ასე ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ბევრი რომ აღარაფერი აკლდა დამთავრებას და მხოლოდ ერთი წამით შეაჩერა ჩაქუჩი, რათა ხელის ზურგით თვალში ჩავარდნილი ქვის ნამცეცი ამოეწმინდა, სახტად დარჩა, გოცებისაგან თვითონაც პირი დააღო: ინო შემოსცქეროდა. ფარნაოზი აღელდა, დაბნეულმა გამოხედა კუსას, მერე დაიხარა და ქანდაკების თვალებსა და პირის ჭრილში ჩარჩენილ მტვერს სული შეუბერა.

- ეგ გოგო მგონი მეცნობა, - თქვა კუსამ.

ფარნაოზი ახლა ამან ააღელვა, კუსასი შეეშინდა, საკუთარი დისშვილისაც, უნებურ მოწმედ რომ დახვედროდა ფარნაოზის სახელოსნოში ძალულად შემოპარულ ინოს. ინო ქვიდან გამოწურულიყო, ქვა გამოერღვია, მაინც მოეღწია ფარნაოზამდე. ის კი მოწმეს ახვედრებდა. არა, არავის არ უნდა სცოდნოდა, კიდევ რომ არსებობდა ერთი ქვეყანა, სადაც ისა და ინო ერთმანეთს

ძველებურად ხვდებოდნენ. იმ ქვეყანას საკუთარი დრო არ გააჩნდა და უთავბოლოდ ურევდა ერთმანეთში უკვე გარდასულ დღეებსა და შემთხვევებს. სამაგიეროდ, ყველა დღესა და შემთხვევას პირველყოფილ სიცხადესა და სიცხოველეს უბრუნებდა. იმ ქვეყანას ფიქრი ერქვა, ყველა ზღაპრულ ქვეყანაზე უხილავი და მიუდგომელი იყო, მაგრამ ფარნაოზს მაინც შეეშინდა, თითქოს მართლა შეეძლო ვინმეს ფიქრის აკრძალვა, აკრძალვა კი არა, წართმევა. ამიტომაც იყო, დაბნეულმა რომ ამოილულულა: საიდან უნდა იცნობდე, როცა არ არსებობს, ჩემი მოგონილიაო.

აღარც კუსა ჩასციებია. კუსა აქ თავშესაქცევად, სამკურნალოდ შემოდის და სხვა არაფერი აინტერესებდა. თუმცა, მთლად ასე არ იყო, რაღაც-რაღაცები კუსასაც აინტერესებდა ამ სახელოსნოში. მაგალითად, ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რა სარგებლობის მოტანა შეეძლოთ ქვიდან გამოკვეთილ თავებს. "მერე რა უნდა ვუყოთ ამდენ თავსო" - არ ასვენებდა კუსა ბიძამისს, მაგრამ ფარნაოზი მხრებს იჩეჩავდა, თვითონაც არ იცოდა და იმიტომ. მთლად ტყუილუბრალოდ რომ არ დაეკარგა დრო, კუსა ფიქრებს მიეცა: შეიძლებოდა თუ არა, მართლა გამომდნარიყო რამე ამ თავშესაქცევი საქმიდან. იმდენი იფიქრა, იმდენი იფიქრა, ბოლოს მოიფიქრა კიდეც.

- მაგ ძაღლის თავს ჯადო აქვს. ქურდებს აფრთხობს, - თქვა კუსამ.

ფარნაოზმა გაკვირვებულმა მოხედა. კუსამ გაიღიმა და ისევ გაიმეორა, უბრალო კი არ არის, სადაც ეგ იქნება, იმ სახლს ქურდი ვერ მიეკარებაო.

ახლა ფარნაოზმაც გაიღიმა. "რა იყო, რა გაცინებს, - უცებ გაცხარდა კუსა, - ვანის ბაზარში რაღას არ ყიდიან. შენც გაიტანე, იქნებ ვინმე გაბრიყვდესო".

ფარნაოზი ძაღლის თავს გაყიდდა, ფულს ჩაითვლიდა, მერე იმ ფულს შავთვალეზა მალალოს ჩაუთვლიდა, შავთვალეზა მალალო ინოს გამოუყვანდა, ხოლო ავაზაკი ტაშფანდურით შეეგებებოდა ინოსა და ფარნაოზს, სადა ხართ აქამდეო.

ფარნაოზს მწარედ გაეღიმა. პირიც გაუმწარდა, მაგრამ იმედის თესლი ჯიუტი აღმოჩნდა, კლდეშიც გადგა ბორჯგი, მალე ტანიც აიყარა და დიდი, ვარდისფერი ყვავილი გაიკეთა. საითაც არ უნდა გაეხედა ფარნაოზს, ეს ყვავილი ეჩხირებოდა თვალში. ისეთი დიდი იყო ცდუნება, ისეთი მომხიბვლელი, ფარნაოზმაც ვეღარ გაუძლო ბოლომდე, ძაღლის თავი ტილოში გაახვია, ილღიაში ამოიღო და ვანის ბაზარს მიაშურა. "ამ ძაღლის თავს ჯადო აქვს, ქურდებს აფრთხობსო", - გზადაგზა იმეორებდა ფარნაოზი, რადგან თვითონვე გრძნობდა, თუკი ვინმე გაბრიყვდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ ამ სიტყვებში გადაუხდოდა ფულს. მოხსნა თუ არა ტილო, მაშინვე ჰკითხა ვიღაცამ: რას აფასებ, ბიჭო, ქვასო. ფარნაოზს მაინც დასწყდა გული, მაგრამ ახლა ბუტიაობის დრო არ იყო. "ქვა კი არა, ძაღლის თავია, ვინც იყიდის, იმის სახლს ქურდი ვეღარ გაეკარებაო", - უპასუხა ფარნაოზმა. რადგან ვანში ქურდობა ახალი ხილი იყო, ამიტომ ყველას ძალიან ეშინოდა. აქამდე, კარი თუ იკეტებოდა, ისიც არ იცოდნენ.

ძაღლის თავი მართლა გაიყიდა. ჩაუდეს თუ არა ფარნაოზს ხელში ფული, მაშინვე ცეცხლის სუნი ეცა, მიიხედ-მოიხედა კიდეც, ამ შუა ბაზარში ცეცხლი ვის უნთიაო, მაგრამ ვერაფერი დაინახა, შავთვალეზა მალალოს სახლამდე ეს სუნი არ მოშორებია, თითქოს ამ სუნს მიჰყავდა, რადგან, თვითონ არც კი გაუგია, როგორ მივიდა სანატრელ სახლამდე, დაუკითხავად როგორ შეაღო

მძიმე კარი და როგორ აღმოჩნდა გრილსა და დაბინდულ ოთახში. "მასპინძელო" - დაიძახა, არა, დაიჩხავლა ვიღაცამ და მხოლოდ მერე დაინახა ფარნაოზმა შავთვალემა მალალო. შავთვალემა მალალოს შიშველი მკლავი მაგიდაზე ჩამოედო, სანახევროდ გაშლილ თითებში ყურძნის შეუქმელი მარცვალი შერჩენოდა და ეძინა. ფარნაოზმა ყურძნის მტევნებით თავმობმული თასიც დაინახა, თასი იქვე იდგა, შიშველი მკლავის გვერდით. "მასპინძელო" - ისევ დაიჩხავლა ვიღაცამ და შავთვალემა მალალომ თვალემა უცებ დააჭყიტა, თითქოს აქამდე განგებ ჰქონდა დახუჭული. ფარნაოზს რომ შეხედა, აიმრიხა. ყურძნის მარცვალი, რომელიც, ვინ იცის, რამდენ ხანს ეჭირა ასე, პირში ჩაიდო და წინა კბილებით გახეთქა. ფარნაოზი ისე შეკრთა, თითქოს სახეში შეეწუწა გამსკდარი მარცვლის წვენი. მერე გამბედაობა მოიკრიბა და ფული რატომღაც მაგიდაზე კი არა, იატაკზე დადო, შავთვალემა მალალოს ფეხებთან. შავთვალემა მალალომ ფულს ფეხის ცერა თითი წაჰკრა, თითქოს გადათვალა, და შიშველ მკლავზე დაიმთქნარა, ბუთხუზა და გრძელკუდიანი ცხოველივით რომ დაესვენებინა მაგიდაზე.

- ფული მოგიტანე, - თქვა ფარნაოზმა, რაკი დარწმუნდა, შავთვალემა მალალო მასთან გამოლაპარაკებას არ აპირებდა.

- ეგრეა, ვალს დაბრუნება უნდა, - მთქნარებას ამოაყოლა შავთვალემა მალალომ.

ფარნაოზს გულში ათასჯერ ჰქონდა გადამეორებული, რაც აქ უნდა ეთქვა, რასაც, მისი წარმოდგენით, შავთვალემა მალალოც უნდა აელეღებინა, გაეხარებინა: ეს რა კარგი დღე გამითენდა, ჩემს ნაბოლარას რა ერთგული პატრონი გამოსჩენიაო. სინამდვილეში კი სხვანაირად ხდებოდა. ფარნაოზი დამუნჯებულიყო, გამოშტერებულიყო და ყველაფერი დავიწყნოდა, შავთვალემა მალალო კი ამთქნარებდა და წინა კბილებით ყურძნის მარცვალს ხეთქავდა: "ფული ხომ მოგიტანე... ფული ხომ მოგიტანეო", - უაზროდ იმეორებდა გუნებაში ფარნაოზი, ხოლო როცა შავთვალემა მალალომ სიმღერის ნაცვლად ჩვეულებრივად დაილაპარაკა, გაცემისაგან პირი დაალო.

- ჩემი გოგოები არ თხოვდებიან, - თქვა შავთვალემა მალალომ და უცებ წამოდგა, კი არ წამოდგა, ახრჩოლებულ ნეშოს ბოლივით წამოიზღაზნა, იატაკზე დაყრილ ფულს გადმოაბიჯა და კარისკენ წაბაჯბაჯდა. ფარნაოზმა უნებურად იქით გაიხედა, საიდანაც შემოვიდა. არა, ეს სხვა კარი იყო, რომელიც ფარნაოზს აქამდე ვერ შეემჩნია, რადგან ფარდა მალავდა. ფარდაზე ქალთევზა ამოექარგათ და როცა შავთვალემა მალალომ ფარდა გადასწია, უცებ გაქრა, თითქოს მართლა წყალში ჩაყვინთაო. შავთვალემა მალალო კარს ფერდით მიაწვა, უხმაუროდ შეალო ოდნავ, ღრიჭოში ფეხი ჩადგა და ფარნაოზს ანიშნა, მოდიო. ფარნაოზი ბრმად დაემორჩილა ბრძანებას, ასევე ბრმად მივიდა კარამდე და ღრიჭოში შეიხედა, თუმცა არავის უთქვამს, შეიხედეო. მიხვდა, ამისთვის ეძახდნენ. მაშინვე ლოყაზე შავთვალემა მალალოს უზარმაზარი მკერდი მიეხედა და ისე შეკრთა, თითქოს ქალთევზა გაელამუნაო. ფარნაოზმა ჯერ ყურძნით სავსე თასი დაინახა, ზუსტად ისეთივე, მაგიდაზე რომ ედგა შავთვალემა მალალოს, მერე ქალი და კაცი. ისინი მაგიდასთან ისხდნენ და ყურძნის შეექცეოდნენ. ქალმა უცხო თვალი იგრძნო, გამოიხედა და შემინებულებით მკერდზე ხელები აიფარა. მართალია, ფარნაოზს ხმა არ გაუგონია, მაგრამ იმ ქალს ისეთი სახე ედო, თითქოს შეჰკვივლა კიდეც. კაცმაც კარისკენ გამოიხედა. "ნეტავ ვინ არის ეს კაციო", - დაინტერესდა ფარნაოზი, თითქოს მხოლოდ ამის



გასარკვევად იყო მოსული. შავთვალემა მალალო იცინოდა, ამას ლოყით გრძნობდა ფარნაოზი, ათახთახებულ მკერდზე მიბჯენილი ლოყით, და სული ეხუთებოდა, თითქოს ქალთევზას ისიც წყალქვეშ ჩათორია და უჰაუროდ მეტს ველარ გაძლებდა.

- რატომ? - ამოიხრიალა ფარნაოზმა ისე, რომ თვითონაც არ იცოდა, რას კითხულობდა, ინოს მიმართავდა თუ შავთვალემა მალალოს, თუ არც ერთსა და არც მეორეს.

როგორც კი გამოვიდა იმ სახლიდან, მაშინვე ცეცხლი დაინახა. ბავშვებს ხმელი ფოთლები მოეგროვებინათ და წვავდნენ. "აი თურმე საიდან მცემდა ცეცხლის სუნიო", - სულელურად, სამშვიდობოზე გამოსული კაცივით გაუხარდა ფარნაოზს.

ინო იმავე დღეს დაასაფლავა. სასაფლაოზე ღამე მივიდა, სამარე გათხარა, შინ მამის სატრფიალო ბარათიდან გამოკვეთილი ინოს თავი ჩააგდო და მიწით ამოავსო. საფლავს კუზი რომ გაუჩნდა, ზედ გადაემხო. დაქანცულიყო და მკლავები ტკიოდა. ღამე ძილ-ღვიძილში გაეპარა, ჩათვლემდა თუ არა, ქალთევზა ესიზმრებოდა. წყლიდან მხოლოდ თავი და შიშველი მკლავები ამოეყო, ქერცლიანი კუდი კი წყალში ამაზრზენად ერხეოდა. "მოდი, ბიჭო, რა გაჩვენოო", - ეძახდა ქალთევზა და შეშინებული ფარნაოზიც მაშინვე დააჭყეტდა ხოლმე თვალს. როცა საბოლოოდ გამოფხიზლდა, ქვეყანა ადგილზე დაუხვდა, არაფერი არ შეცვლილიყო. მამლები ყიოდნენ, ჩიტები ჟივჯივებდნენ, სადღაც სახედარი ყროყინებდა, ვიღაცას უკვე ჩაეხურებინა თონე და ცხელი პურის სუნი აქამდეც აღწევდა, სასაფლაომდეც, სადაც არავის აღარ სჭირდებოდა იგი. ფარნაოზს კი მოშივდა, პურის სურნელმა გული აუყინცლა და სახლი მოანატრა. ერთი სული ჰქონდა, როდის მიაღწევდა შინამდე.

ამის მერე ფარნაოზი თითქმის ყოველღამე მოდიოდა ინოს საფლავზე. ეშინოდა, მაგრამ მაინც მოდიოდა, რადგან მკვდარს მიხედვა უნდოდა, ინო კი მისი მკვდარი იყო, არა, მკვდარი ინო იყო მისი. მაშინვე საფლავს გადაემხობოდა ხოლმე და ლაპარაკობდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა, უაზროდ და უსასრულოდ, ქალთევზაზე რომ არ ეფიქრა, ინოსაც რომ არ შეშინებოდა სიბნელეში, მიწის ქვეშ. "გამარჯობა, გამარჯობა, ინო!" - ჩურჩულებდა, ყვიროდა ინოს საფლავზე პირქვე დამხობილი ფარნაოზი და საკუთარი ამონასუნთქით გამთბარი მიწის ხორკლიანი ზედაპირის შეხება შიშნარევი, მაგრამ მაინც სასიამოვნო ჟრუანტელით ავსებდა, როგორც მისი ვნებისა და ტკივილის მოზიარე, დამყოლი და სამუდამოდ დანებებული არსება. გარემო კი მართლა შიშის მომგვრელი იყო. აკლდამების თაღებში ღამურები წიოდნენ, მათი მუქი ლანდები სულელებით დაბორიალობდნენ, თითქოს ისინიც საფლავზე გადამხობილ ბიჭს დაეძებდნენ, თმა რომ დაეწიწკნათ, თვალები დაეთხარათ და გაეძეებინათ თავიანთი სამფლობელოდან, რადგან ის ბიჭი ახალ მკვდართან გამოლაპარაკების საშუალებას არ აძლევდათ, ახლოს არ უშვებდათ, საფლავს კრუხივით გადაფოფროდა და მღეროდა. ფარნაოზი მართლა მღეროდა, შიში რომ დაეფრთხო, შიშს რომ მორეოდა და თავქუდმოგლეჯილი არ გაქცეულიყო აქედან.

დაბნეულ ფეტვის მარცვალსააა

ვინ მოჰკრეფს წიწილის მეტი...

მდეროდა ცრემლისგან დაგლეჯილი ხმით საფლავის ბორცვზე გადამხობილი ფარნაოზი და დარწმუნებული იყო, ინო უსმენდა.

ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც უნდა მომხდარიყო: მამამისს ფეხები უნდა მოემტვრია, ცუგა ფეხსადგილის ორმოში უნდა ჩავარდნილიყო, ინოს ვიღაც უცხო კაცთან ერთად ყურძენი უნდა ეჭამა და ფარნაოზის დანახვაზე შეეკვივლა; ფარნაოზის დანახვას ისევე უნდა შეეშინებინა, როგორც ლურჯ აქლემზე ამხედრებულ სიკვდილს. განა მართლა ასე არ იყო? ფარნაოზს ყველაფერი ხელში უკვდებოდა, რადგან გაჩენამდე, თუ გაჩენისთანავე ჩაედინა ყველაზე დიდი მკვლელობა: დედა მოეკლა, სიცოცხლე. "არაფერი არ მახსოვს, არაფერი", - ეუბნებოდა ხოლმე ფარნაოზი უხილავ მსაჯულს, მაგრამ რა აზრი ჰქონდა, ახსოვდა თუ არა, როგორ მოეკლა დედა. რა შეიცვლებოდა ამით? დანაშაული ჩაედინა და მის დასამტკიცებლად უფრო მეტი საბუთი არსებობდა, ვიდრე უარსაყოფად. ყველაზე დიდი საბუთი კი აქვე, სასაფლაოზე ესვენა, დედამისის ცხედარი, ნაშთი. ფარნაოზი თავიდანვე აუჯანყდა ამ საშინელ ბრალდებას, მისმა არსებამ ვერ მიიღო, ვერ დაიჯერა, მაგრამ შეძრწუნდა, ტანმა შეაწუხა, ტანს ახსოვდა რაღაცა, რაც უგონობის ჟამს მომხდარიყო. ის იმ კაცს ჰგავდა, წინადლის ნალოთარს, გაღვიძებისა რომ ეშინია, არაფერი არ ახსოვს, მაგრამ ტანი ცუდს უგრძნობს. ფარნაოზსაც დიდხანს არ უნდოდა გაღვიძება, დიდხანს ებრძოდა, იგერიებდა სიფხიზლეს, დიდხანს იფარებდა თავზე ბალიშს, გაღვიძებული, განათებული ქვეყნის ხმები რომ არ გაეგო, სიმართლით სავსე ხმები. მას ისევე ქალუკას ტყუილი ერჩია. ხომ შეიძლებოდა, მართლა უდედოდ გაჩენილიყო, მართლა წვიმას ჩამოყოლოდა ციდან? ფარნაოზს თავიდანვე უგრძნო ბავშვურმა ალლომ, რომ ერთადერთი ხსნა, თუკი საერთოდ არსებობდა იგი, ამ ლამაზ ტყუილში იმალებოდა. ისიც ორივე ხელით ჩააფრინდა ტყუილს. დედამისი არ არსებობდა, ამიტომ ვერც მოკვდებოდა, ფარნაოზი ვერ მოკლავდა დედას, რადგან დედა არ ჰყავდა. საუბედუროდ, მარტო ფარნაოზი ფიქრობდა ასე, დანარჩენი, რაც კი მის გარშემო არსებობდა, სულიერიც და უსულოც, საწინააღმდეგოს ადასტურებდა, თუნდაც ჭინჭილა, რომლიდანაც დედას უყვარდა თურმე წყლის დაღევა; სკამიც, რომელზედაც ჯდებოდა ხოლმე; აფრისხელა ტილოც, რომელშიაც მისი ცხედარი ყოფილა გახვეული და რომელზედაც ახლა მამამისი ქარგავდა; მამამისიც, ყველაზე მეტად მამამისი, განა "სატრფიალო ბარათები" მხოლოდ და მხოლოდ იმას არ ადასტურებდა, ოდესღაც მართლა რომ არსებობდა დედა, სუნთქავდა, დადიოდა, იღიმებოდა და ისე უყვარდა კაცს, ამ სიმძიმე ბარათებს უგზავნიდა. ერთხელ კი პოპინამ ისიც უთხრა, დედის თვალები გაქვსო. ფარნაოზს თავზარი დაეცა, არა მარტო მოეკლა დედა, არამედ გაემარცვა კიდევ. წყალს თვალდახუჭული სვამდა, უნებურად საკუთარი თვალები რომ არ დაენახა ჭიქაში, ჭინჭილა დაამტვრია, სკამი მოიპარა და დაწვა, მამის სატრფიალო ბარათებიდან ძაღლის თავები გამოჩორკნა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ ეგონა, ეს იყო ერთადერთი გზა, ამბოხი, შეურიგებლობა, უარყოფა ყველაფრისა, რაც დედამისის არსებობას ადასტურებდა. ფარნაოზი მაშინ ბავშვი იყო და ბავშვურად, უშედეგოდ ებრძოდა სინამდვილეს. სინამდვილეში, ის ამ ქვეყნად სასჯელის მოსახდელად გადმოესახლებინათ, რადგან მხოლოდ აქ შეიძლებოდა სასჯელის მოხდა, დანაშაულის გამოსყიდვა, დღითი დღე, წვეთწვეთობით, უსასრულოდ. ეს ქვეყანა სასჯელის მოსახდელი ადგილი იყო და სხვა ქვეყანა არ არსებობდა მისთვის. თუ არსებობდა, უნდა დაევიწყებინა, როგორც ის ქვეყანა, საიდანაც გადმოასახლეს აქ,

სადაც, ალბათ, ბედნიერიც იქნებოდა, რადგან დანაშაული ჯერ არ ჰქონდა ჩადენილი. ყველაფერი, რაც აქ გადახდომოდა და კიდევ გადახდებოდა თავს, სასჯელში შედიოდა. მას არაფერი არ ეკუთვნოდა აქ, გარდა იმისა, რაც უკვე მომკვდარიყო, ან სამუდამოდ დაკარგულიყო. ისიც ფიქრის ძონძში უნდა გამოეკრა და ყველასაგან დაემალა, როგორც მათხოვარს ერთადერთი ოქრო, რომლის იმედითაც უდგას სული, თუმცა ვერ მოუხმარია, რადგან გამოჩენისა ემინია, წაართმევენ: შენ ეს ოქრო ვინ მოგაშავაო. უნდა გაჩუმებულიყო, გვერდზე გამდგარიყო, თავი ჩაელუნა, რათა ისიც არ დაეკარგა, რაც ჰქონდა, რაც მართლა მას ეკუთვნოდა. სასჯელის მოხდის მეტი არაფერი ევალეზებოდა, არც არაფერს სთხოვდნენ სხვას, მაგრამ სასჯელი კი არა, დანაშაულთან შეგუება იყო ძნელი. სასჯელმა დაამშვიდა კიდევ, გაართო, საქმე გაუჩინა, მაგრამ დანაშაულის არსებობაშიც სამუდამოდ დაარწმუნა. ახლა თანაგრძნობა უნდოდა ფარნაოზს, მეტი არაფერი, მეორე კაცი, მის ბედქვეშ მყოფი, მისი ბედის მოზიარე. ეს კი ბევრს ნიშნავდა, წარმოუდგენლად ბევრს, რადგან ყველას თავისი ბედი ჰქონდა, თავისი გზა, თავისი სასჯელი. ყველა თანაგრძნობას მოითხოვდა. მამამისს ფეხები ჰქონდა მომტვრეული; ცუგას მთელი სიცოცხლის მანძილზე მხსნელის გაბინძურებული ფეხები უნდა ელოკა; ინოს უცხო კაცთან ერთად ყურძენი უნდა ეჭამა, მას კი ქვა უნდა ემტვრია სატეხითა და ჩაქუჩით. არა, მოთმინებით, მორჩილებითა და იმედით, იმედით, იმ იმედით, მართლა რომ შეძლებდა დანაშაულის გამოსყიდვას. მართლა აპატიებდა დედა! ფარნაოზმა უკვე იცოდა, დედა რომ არსებობდა ოდესღაც, ლამაზი და ბედნიერი; ისიც იცოდა, მისი საბრალო ნაშთი სადღაც აქვე, ამავე სასაფლაოზე იყო დამარხული, მიწაში, ღრმად, რაც შეიძლება მეტ სინესტესა და სიბნელეში, მაგრამ დღითი დღე უფრო ახლობელი, ძვირფასი და აუცილებელი ხდებოდა მისთვის დედა, რომელიც არასოდეს ენახა, ანდა დავიწყებოდა, გაჩენისთანავე, როგორც კი მოსწყვეტოდა მის ვარდისფერ წიაღს. დედა გაღვიძებისთანავე დავიწყებულ სიზმარს ჰგავდა, უკვალოდ გამქრალს. თუმცა მთლად უკვალოდ არა, გულისამაჩუყებელი, სევდანარევი ბედნიერების შეგრძნება დაეტოვებინა, თვითონ კი დაკარგულიყო, მსუბუქი და ჰაეროვანი. მაგრამ სადღაც აქვე, კიდევ იყო პატარა მიწა, მიწის ნაგლეჯი, რომელსაც მისი სახელი ერქვა, მისი ხორციტა და სისხლით გაჟღენთილი, მისი ძვლებით გამკვრივებულიყო და მისი სურნელი ასდიოდა. ფარნაოზმა ზუსტად არ იცოდა, სად იყო ეს მიწა, მიწის ეს პატარა ნაგლეჯი. არც არავისთვის უკითხავს, რადგან ეშინოდა, ერიდებოდა, ეგონა, დედის ნაშთს შეაშფოთებდა, შეაწუხებდა მისი დანახვა. ან თვითონ რა პირით უნდა მისულიყო, რა ეთქვა, როგორ ეთხოვნა თანაგრძნობა მკვლელს მსხვერპლისათვის, რაც არ უნდა უნებური, შეუგნებელი, ბრმა და უმეცარი მკვლელი ყოფილიყო?! ფარნაოზი ისე გაიზარდა, არასოდეს არ გასტირებია დედას. ახლა ხელ-ფეხის გაფარჩხვა და გადაფიჩინება აღარ შეჰფეროდა, ქვეყნის სასაცილო გახდებოდა, მაგრამ მისი ბუნება, მეორე, სხვებისთვის უხილავი ფარნაოზი, ახლაც ცრემლებით ჩამოთხუპნული ბალღივით იდგა და მწარედ, გულსაკლავად, ბალღურად შესტიროდა კარს, სამუდამოდ რომ გაეხურა დედას. ფარნაოზმა, შეიძლება, ინოს საფლავიც იმიტომ მოიგონა, დედასთან ახლოს ყოფილიყო, დედასაც დაენახა, როგორ იტანჯებოდა მისი შვილი, მისი მკვლელი; არ ჰგონებოდა, არ ეფიქრა, არ დაეჯერებინა, რაც მთავარია, არ დაეჯერებინა, შესაძლებელი რომ იყო მისი დავიწყება. არა, დედის დავიწყება არ შეიძლებოდა. მით უფრო მკვდრისა. ინოს დამარხვაც მკვდარმა დედამ შთააგონა ფარნაოზს. თითქოს რაც კი ძვირფასი გააჩნდა, დედასავით მიწისთვის უნდა მიეზარებინა. ფარნაოზი ბავშვი აღარ იყო, ქალუკას ტყუილში ვეღარ ჩაეტეოდა.

სხვა რამე უნდა მოეფიქრებინა, საქმისთვის უნდა მოეკიდა ხელი, როგორც მამამ ურჩია, ნაავაზაკარსა და პირველი დამარცხებით დაკრუნჩხულს. თუმცა, საქმეს უკვე მოკიდებოდა, ქვისმთლელად მუშაობდა და დილიდან საღამომდე ნაცრისფერ ქვას დასცქეროდა. ამ საქმეში უხდიდნენ ფულს, რათა მასაც ყოველ საღამოს ამოეღლიავებინა საკუთარი ოფლით ნაშოვნი პური. მაგრამ ქვა ეშმაკიც იყო, პურს კი აჭმევდა, მაგრამ თავის საქმესაც აკეთებდა: ფარნაოზს ერთ ადგილზე აბამდა, მის ფიქრსა და სურვილებს იწოვდა და აქვავებდა. ამ აღმოჩენამ ფარნაოზი ცოტათი გამოაფხიზლა და როცა ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, დიდი დრო გასულიყო, საკუთარი ქალაქის ცნობაც გაუჭირდა, მისივე მოპირკეთებული ტაძრებისა და მისივე მოკირწყლული ქუჩებისა. ქალაქს ისევ ვანი ერქვა, მაგრამ ფარნაოზი უცხოსავით დაბორილობდა ქუჩებში. ბევრი რამ შეცვლილიყო, ბევრი რამ მომხდარიყო მის გარშემო; იმდენ ხანს უკაკუნა ფარნაოზმა ქვას ჩაქუჩი, სანამ თვალი არ აეხილა უიმისოდ მომხდარ ცვლილებათა სახილველად. კუსას ორსართულიანი სახლი აემუნებინა და ბავშვობის ოცნებაც აესრულებინა: ღვინის ვაჭარ ბახას ქალიშვილი შეერთო ცოლად, მასზე ბევრად უფროსიცა და მაღალიც. "რამე თუ გამიჭირდა, ჩემი ქალის კისერზე ჩამოვიხრჩობ თავსო", - ხუმრობდა კუსა.

ღვინის ვაჭარმა ბახამ ისევ რომ დაინახა კუსა, მაშინვე ჰკითხა: რომელი გინდაო.

"რომელსაც მეტი მზითვი აქვსო" - მაშინვე უპასუხა კუსამაც.

- უფროსს - უთხრა ღვინის ვაჭარმა ბახამ.

- შენი სამივე ქალიშვილი ჩემზე უფროსია - არც ახლა დაიბნა კუსა.

- მე ყველაზე უფროსზე მოგახსენებ - თქვა ღვინის ვაჭარმა ბახამ.

- კეთილი და პატიოსანი - უპასუხა კუსამ და გუნებაშიც სამჯერ ზედიზედ გაიმეორა: კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანიო.

კუსამ ქორწილი ახალ სახლში გადაიხადა. ისეთი სუფრა გაშალა, მეფის მოხელეს რომ ეკადრებოდა, ის ხომ მეფის სამსახურში იდგა, მეფის კაცად ითვლებოდა, ყოველ დილით სასახლეში შედიოდა და ყოველ საღამოს სასახლიდან გამოდიოდა. მარტო ესეც ეყოფოდათ მტრებს თვალის დასაბრმაველად. მტერს კი უბნელებდა თვალს, მაგრამ რომ გეკითხათ, თვითონაც ვერ გიპასუხებდათ, რაში უხდიდნენ ფულს, რა ერქვა მის სამსახურს. ის კი უთხრეს: რაკი მეფის სამსახურში დგახარ, ყველაფრისთვის საჭირო ხარო, მაგრამ მაინც ძნელი ასახსნელი იყო, რა იგულისხმებოდა ამ "ყველაფერში". ამიტომაც, პირველივე ხელფასით ტყავის ტომარა და ყველანაირი ხელსაწყო იყიდა, ვინძლო უცებ დამჭირდეს, ხელთა მქონდესო. დანა, ხელეჩო, წალდი, ხერხი, ბურღი და შალაშინი ერთად ჩაჰყარა ტომარაში და ხალისით შეუდგა ბოლომდე გაურკვეველი, განუსაზღვრელი და ამიტომაც უფრო მომხიბვლელი მოვალეობის აღსრულებას. თუმცა, სამსახურმა ასეთივე გაურკვეველი შიშიც გაუჩინა კუსას. შიში უმთავრესად ძილის წინ გამოუცოცდებოდა ხოლმე გათამამებულ ვირთხასავით და წითელსა და უძრავ თვალებს იქამდე არ მოაშორებდა, სანამ არ ააფორიაქებდა, სანამ გიჟივით არ წამოაგდებდა საწოლიდან.

რას არ ფიქრობდა მაშინ კუსა, რა არ ელანდებოდა, ვითომ მთელი სასახლე ხელებში შეჰყურებდა, ის კი ვერ მიმხვდარიყო, რა იყო გასაკეთებელი, რას თხოულობდნენ მისგან; არ იცოდა, როგორ

მოქცეულიყო, რომელი ხელსაწყო ამოელო პირველად. "აცალეთ, აცალეთ, თვითონ მოიფიქროსო" - ვითომ ოყაჯადოს ხმაც ესმოდა და ეს ხმა უარესად აბნევდა, ოფლში იწურებოდა, საცოდავად აცეცებდა თვალებს, თუმცა დარწმუნებული იყო, არავინ მიემშველებოდა, არავინ უკარნახებდა, რადგან ყველას შურდა მისი წარმატება და ერთი სული ჰქონდათ, როდის წაართმევდნენ ადგილს. "ცოტაც მადროვეთ, ახლავე მოვიფიქრებო", - უნდოდა ეთქვა, ეთქვა კი არა, ებღვლა, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდა, ყელიც დახშობოდა, წითელთვალემა ვირთხა ჩაფრენოდა ყელში. ამგვარ ტანჯვა-წვალემაში დაანთდებოდა ხოლმე, მაგრამ დღის სინათლე ყველაფერს ერთბაშად ავიწყებდა. მხარზე გადაგდებული ტომრის სიმძიმე ხალისსა და რწმენას უბრუნებდა და გულში სიამაყისგან კროჭინობდა, მისი ტომრის ჟღერით გამოღვიძებული ქალაქი შეშინებული რომ აყოლებდა თვალს შუა ქუჩაში თავისუფლად, თამამად, მბრძანებლურად მიმავალ მეფის მოხელეს. ასე ჟღერიალ-ჟღერიალით შედიოდა სასახლეში, მცველებს ზედაც არ უყურებდა. კაციშვილმა არ იცოდა, რა ეწყო ტომარაში, ტომრის ხმას კი ყველა ცნობდა, მთელი ქალაქი, რადგან ქალაქს დღეში ორჯერ უნდა მოესმინა ეს ხმა. დილა-საღამოს, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, ცა რომ ჩამოსულიყო ფეხად. მთელი დღე უსაქმოდ დაბორიალობდა კუსა სასახლეში, ხან სად შეეხეტებოდა და ხან სად. სახაბაზოში პურს წაიცეცქნიდა, მარანში ღვინოს მოწრუპავდა, საქალებოში ერთ-ორ ბილწ სიტყვას შეაგდებდა და ამასობაში საღამოც მოაწევდა. "კეთილი და პატიოსანიო" - სამჯერ ზედიზედ გაიმეორებდა გუნებაში, როცა გამოუცხადებდნენ: დღეს საჭირო აღარ ხარო, ტყავის ტომარას ზურგზე მოიგდებდა და შინისკენ გამოსწევდა. შინისკენ კი არა, დილეგისკენ, ორ დედაკაცს რომ ამოეთხარა თავიანთი ცოდვის დასამალავად, დასამარხად. მაგრამ კუსა იმის ჩიტი არ იყო, თავი ცოცხლად დაემარხვინებინა ვინმესთვის. ის უკვე ყველაფერს მიხვედრილიყო და თუ ისევ, თანაც საკუთარი ფეხით, ბრუნდებოდა ხოლმე იმ ცოდვის დილეგში, ისიც იმიტომ, ჯერჯერობით სხვაგან წასასვლელი რომ არ ჰქონდა. როცა სახლი აიშენა, მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა შვებით, მხოლოდ მაშინ გაიმართა წელში საბოლოოდ და დარწმუნდა კიდევ, უკვე შეეძლო დაუფარავად გამოემშვლავებინა ის ზიზღი, დედისა და ბებუის მიმართ რომ გასჩენოდა. დედაცა და ბებუაც, ერთიცა და მეორეც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ნაბიჭვრობას ახსენებდა კუსას. ეს კი ერთადერთი საფუძვლიანი წუხილი იყო, მოსვენებას რომ უკარგავდა, საქმეშიც რომ უბორკავდა ხელ-ფეხს, რადგან გრძნობდა, უფრო მეტს შეძლებდა, უფრო თამამად მოიხვეჭდა მოსახვეჭს, ამ ორ დედაკაცს მეტი სიდინჯე რომ გამოეჩინა თავის დროზე. მარტო სამ ადამიანს, თვითონ და იმ ორ დედაკაცს რომ სცოდნოდა ეს ამბავი, კიდევ მოევლებოდა საქმეს, მაგრამ უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა მისი ნაბიჭვრობა, უკვე კი არა, მასზე ადრე, მის გაჩენამდე და ეს აცოფებდა სწორედ, უფრო ადრე რომ იცოდნენ სხვებმა, რაც მარტო მას ეხებოდა. ამ მართლაც გამოუსწორებელი უსამართლობის სათავე კი ის ორი დედაკაცი იყო, მისი საკუთარი დედა და ბებუა, რადგან ერთმა გააჩინა, მეორემ კი დაიწვინა კაცი, რომლის მემშვეობითაც კუსა მოევლინა შურიანსა და დამცინავ ქვეყანას, დაუფიქრებლობის, სიბეცის, სულსწრაფობის ნაყოფი.

სახლი რომ აიშენა, ცოტა დამშვიდდა, თითქოს მართლა დილეგიდან ამოვიდა და სამარადისო თავისუფლება მოიპოვა. მართლაც ასეთი გრძნობა ჰქონდა, როცა პირველად შეიკეტა ჯერ კიდევ ნესტიანსა და მოუწყობენ სახლში და ჭუჭყიან იატაკზე გულაღმა გაიშოტა, როგორც მენახირე მინდორში.

- ახლა მე ჩემი საკუთარი სახლი მაქვს, - ცრემლნარევი მღელვარებით, თითქმის ჩურჩულით უთხრა კუსამ ჭერს, თითქოს მენახირემ ვარსკვლავებს თავისი დაფარული სიყვარული გაუმხილაო.

სანამ ცოლს შეირთავდა, კუსა აბაზანაში წვებოდა. ასე კი ორი მოსაზრების გამო იქცეოდა. ჯერ ერთი, ეთანაღრებოდა საგულდაგულოდ, ლამაზად გაწყობილი, გემბანისხელა საწოლის ყოველდღე აშლა და აწეწვა. ეს საწოლიც მისი ნაყიდი იყო და განსაკუთრებულად უყვარდა, უფრთხილდებოდა კიდეც, თითქოს ზედ რომ დაწოლილიყო, რამეს ატკენდა, დაამახინჯებდა. შინისკენ იმიტომაც მიუხაროდა, საწოლისთვის დაეხედა, მისი სიდიადითა და სიმტკიცით მოხიბლულიყო, მისი სისუფთავით, რათა უარესად გამმაფრებოდა, გამწელებოდა მოსალოდნელი სიამტკბილობის, მოსალოდნელი მგზავრობის მოლოდინი. საწოლიც მოთმინებით ელოდა თავის პირველ მგზავრებს, როგორც ნავსადგურში დაყენებული ხომალდი.

მეორეც ერთი, გრანიტის ცივ აბაზანაში ცოტა ეძინა და ბევრს ფიქრობდა. საფიქრალი კი მართლაც ბევრი ჰქონდა, ხელთან ერთად თავიც უნდა გაენძრია, ცხოვრებას რომ არ ჩამორჩენოდა. კუსას თავის შემთხვევით მამაზედაც უყვარდა ფიქრი და ამ ფიქრში ყოველთვის ერთსა და იმავეს ხედავდა: ფილამონეს დაძენძილი ნაჭერი შემოეხვია თემოებზე და ტრიალ მინდორში გარბოდა, ოფლიან ზურგზე მიწა და ხრეში ასწეპებოდა, თითქოს გულადმა მძინარე ეს წუთია წამოუგდიათო. "სად გარბიხარ, სად?! ნახე მაინც, როგორ ცხოვრობს შენი შვილი" - მისძახოდა კუსა გაქცეულ მამას და ნეტარებით ეღიმებოდა, ფილამონე დაფეთებული რომ გარბოდა ტრიალ მინდორში, უგზო-უკვალოდ, უკანმოუხედავად. ბევრჯერ სცადა კუსამ თავისი შემთხვევითი მამის წარმოდგენა, მაგრამ ყოველთვის გაქცეული კაცის ოფლიან ზურგს ხედავდა მხოლოდ. კუსას კი უნდოდა, ნატვრად ჰქონდა, ერთხელ მაინც შემოტრიალებულიყო ის გაქცეული კაცი, სახე ეჩვენებინა, რადგან სწორედ სახეში უპირებდა ჩაფურთხებას.

კუსა საქმის კაცი იყო, სად ეცალა ვიღაც დამთხვეულის სადევნებლად. დრო გადიოდა, ქვეყანა დულდა და გადმოდულდა, საქმეს კი მოცდა არ უყვარდა. არც კუსა აცდევინებდა, ჯერ მოსინჯავდა და თუ ჭკუაშიც დაუჯდებოდა, მთელი გულითა და სულით მოეკიდებოდა ხოლმე. მისი ქორწინებაც ერთ-ერთი ამგვარი საქმეთაგანი იყო, დიდი ხნის წინათ დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი, რადგან მისმა სიმამრმა აღთქმული ფულის განაღდება თავის სიკვდილამდე გადაუდო, ასე უფრო შეგენახებათო. კუსას სასაცილოდ არ ეყო სიმამრის "სიფრთხილე", მაგრამ მაინცდამაინც აღარც თვითონ გაჯიქებულა, მთავარი გაკეთებული ჰქონდა, ორმეტრიანი თამასუქი ხელში ეჭირა და, მართლაც, რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, სად იდებოდა ფული კიდეც ერთ-ორ წელიწადს. დღეს თუ ხვალ ღვინის ვაჭარი ბახაც უნდა გამგზავრებულიყო იმ ქვეყანაში, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებოდნენ. ისიც ადამიანი იყო და ბევრიც რომ სდომებოდა, მაინც ვერ გამოეკერებოდა ცას. სამაგიეროდ საქორწილო ღვინო გამოუგზავნა სიმამრმა და ამანაც გამოუკეთა გუნება, თუმცა მაინც უბღვერდა თავის აყლაყულა მეუღლეს, არ გეგონოთ, ყველაფერს მოვითმენო. ქორწილმა მხიარულად ჩაიარა, უჩვეულო, ასაკითაც და გარეგნობითაც ერთმანეთისთვის ყოვლად შეუფერებელმა წყვილმა ხალხი ქეიფის გუნებაზე დააყენა. მართლაც, პატარძალი დედად უფრო შეჰფეროდა სიმეს, ვიდრე ცოლად. ერთიცა და მეორეც ასაკის დამალვას ცდილობდა, ერთი იკლებდა, მეორე იმატებდა და ამიტომაც ორივენი სასაცილონი იყვნენ. კუსა აღგზნებული აძალებდა ყველას სიმამრის ნაჩუქარ ღვინოს და

არც თვითონ იკლებდა, მაგრამ მეტი მოუვიდა, ქორწინების პირველი ღამე, მეუღლის მკლავებზე გადაკიდულმა, სიმამრის ლანძღვა-გინებაში გაატარა: ფულს ვინ ჩივის, მგონი, მომწამლა იმ დამპალმა წუწურაქმაო. მაგრამ კუსამ მეუღლეს მაინც მისცა ნება, გემბანივით ფართო და მომლოდინე საწოლი აეწეწა. საწოლშიც ფულზე ლაპარაკობდნენ. კუსა მთელი ღამე შფოთავდა, შუბლზე გადაფენილ სველ ტილოს წარამარა იმორებდა და მწვანედ იფურთხებოდა. პატუ (ასე ერქვა კუსას ცოლს) უფრო არხეინად იყო, მამაჩემის ტყუილი ვის გაუგიაო, ამშვიდებდა ქმარს და მხოლოდ იმას ნანობდა, ამდენი ხნის ნანატრ ღამეს ცოლობის ნაცვლად დედობას რომ უწევდა კუჭამობრუნებულ მეუღლეს.

დილით კუსას თვალის გახელის ეშინოდა, ვაითუ პატუმ წუხანდელი ჩემი ლანძღვა-გინება ვერ აიტანა და აღარ დამხვდეს ლოგინშიო. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა, თორემ კუსა, ალბათ, გულზე გასკდებოდა, აქამდე მოყვანილი საქმე ასე სულელურად რომ ჩაეფუშა თვითონვე. პატუ თამასუქი იყო, თამასუქს კი გაფრთხილება უნდოდა, მოვლა-პატრონობა, ყურადღება, ფერება და ლაქუცი, სანამ... სანამ თავს არ გაინაღებდა. ამიტომაც ითმენდა, ამიტომაც წვებოდა კუსა ყოველღამე ღვინის ვაჭარ ბახას აყლაყუდა ქალიშვილთან, რომლისთვისაც ამ ოხერ ბუნებას სილამაზესთან ერთად ჭკუაც დაეზოგა, თითქოს მდიდარი მამის შვილს არც ერთი სჭირდებოდა და არც მეორე. ჯერჯერობით სხვაც ბევრი რამე უნდა მოეთმინა კუსას. მისმა მეუღლემ დედა მოიყოლა მზითვად. სანამ კარგად შეგეჩვეოდე, მეშინია, უდებოდ არ მოვიწყინოო. მაგრამ პატუს საკმაოდ გაუგრძელდა კუსასთან "შეჩვევა". დედამისს კი ძალიან მოეწონა სიძის სახლი და ქალიშვილზე იოლად შეეჩვია უცხო გარემოს; კუსა ილიმებოდა და ცდილობდა, ცუდი არაფერი ეგრძნობინებინა სიდედრისთვის, რადგან ჯერ, სანამ ფული მისგან შორს იყო, ისიც საფერებელი ჰყავდა.

რახილო შემთხვევას არ უშვებდა, ჭკუა არ დაერიგებინა ახალგაზრდებისათვის, დაღამებას კი ისე განიცდიდა, თითქოს პატუ პირველი ქალი იყო, მამაკაცთან რომ წვებოდა - ყველაფრის ნებას ნუ მისცემ, თორემ მერე თავზე გაუვა, კაცი თავიდანვე უნდა მიაჩვიო წესრიგსო, - ეუბნებოდა რახილო პატუს. მაგრამ მის ქალიშვილს არც ესმოდა და არც აინტერესებდა დედის ლაპარაკი, კუსასთან მიუხაროდა და ღამის პერანგის ამარა ღიღინ-ღიღინით ტრიალებდა სარკის წინ. რახილო კი თავისას განაგრძობდა, რადგან თავს ვალდებულად თვლიდა, მისხალ-მისხალ გადაეცა ჯერ კიდევ გამოუცდელი შვილისთვის მთელი თავისი ცოდნა-გამოცდილება.

- მამაშენს ჩემს იქით არც კი გაუხედავს, იმიტომ რომ... იმიტომ რომ... რა გამღერებს, გოგო, რაღადროს შენი სიმღერაა! - შეჰყვირებდა ხოლმე შვილის უყურადღებობით მოთმინებიდან გამოსული რახილო.

პატუ კი მღეროდა, მღეროდა, გაუთავებლად მღეროდა ერთსა და იმავეს, მაგრამ არც იმას გაემტყუნებოდა: ემღერებოდა და რა ექნა?

მე და შენის სიყვარულსა

რა გაჰყრის სიკვდილის მეტიი...

მდეროდა პატუ სარკის წინ და გემბანისხელა საწოლში უკვე კარგა ხნის ჩაფუთვნილსა და სანახევროდ ჩათვლემილ კუსას ყველაფერი ესმოდა: სიდედრის ბუზღუნიცა და ცოლის სიმღერაც. "ერთისაც და მეორისაცო" - იგინებოდა გუნებაში და ნატრობდა, ისე დამინებოდა, მართლა რომ ველარ შეძლებოდა პატუს მისი გაღვიძება. პატუს სრულებითაც არ აინტერესებდა, რას ფიქრობდა მისი მეუღლე, უყვარდა თუ არ უყვარდა, სიამოვნებდა თუ არ სიამოვნებდა მასთან ყოფნა. მთავარი თვითონ იყო, უფრო სწორად, მთავარი ის იყო, რასაც თვითონ განიცდიდა და ფიქრობდა. პატუ გემბანისხელა საწოლში განცდილ სიამტკბილობას ჯილდოსავით იღებდა, პირად დამსახურებად თვლიდა, თუნდაც იმისათვის, ამდენი რომ მოეთმინა, ამდენი ხანი ქალწულად რომ შეენახა თავი. პატუ ახლა მოსავალს იძვიდა, დღესასწაული ჰქონდა და ყველანი ვალდებულნი იყვნენ, მხარი აებათ მისთვის. "პირველო და სულზე ტკბილო", - უთქვამს ოდესღაც ღვინის ვაჭარ ბახას პატუსთვის, როცა იგი, კოხტად თმადავარცხნილი და ახალ კაბაში გამოწყობილი, დედას მამასთან ხელზე საკოცნელად შეუგზავნია. ამის მერე ერთი წუთითაც აღარ დაეჭვებულა პატუ, ყველასათვის "პირველი და სულზე უტკბილესი" რომ იყო. ბავშვის გონებამ სამარადისოდ აღიბეჭდა მამისაგან, მისთვის პირველი მამაკაცისაგან თქმული ქათინაური, აღიბეჭდა და დაიჯერა კიდევ. მერე დედაც მიეხმარა ამგვარი რწმენის განმტკიცებაში: როცა ისა და დედამისი ერთად იბანდნენ ხოლმე, რახილო ყოველთვის აღტაცებული შესცქეროდა და ეუბნებოდა: შენ ჩემზე ბედნიერი იქნები, რადგან ჩემზე ბევრად მეტი ხალი გაქვსო. პატუ დარწმუნებული იყო, კუსაც იმიტომ აშიშვლებდა თავფეხიანად, მისი ხალები რომ დაეთვალა. ხანდახან ისეთ დროს ეტყოდა ხოლმე, აი, აქაც მაქვს ხალიო, კუსას ყოველგვარი ხალისი ეკარგებოდა. საწოლზე წამომჯდარი, თავზე ხელებდაწყობილი პატუ კი ტანს აქეთ-იქით ატრიალებდა, რათა მის მეუღლეს უკეთესად დაეთვალიერებინა და დაეთვალა მისი ხალები.

მე და შენის სიყვარულსა

რა გაჰყრის სიკვდილის მეტიი...

ღიღინებდა, ღიღინებდა, უსასრულოდ ღიღინებდა პატუ. ყოველ დილით ამ სიტყვებით დგებოდა საწოლიდან, როცა კუსა უკვე კარგა ხნის წასული იყო, და ამ სიტყვებით წვებოდა ყოველდამე, როცა კუსას უკვე ეძინა, ანდა თავს იმძინარებდა. მაგრამ გემბანისხელა საწოლზე აფოფხებული პატუ, უპირველეს ყოვლისა, ქმარს აღვიძებდა, საამისოდ კი მრავალი საშუალება გააჩნდა: თუ შეხიცილება არ გასჭრიდა, ნაწნავის ბოლოს შეუყოფდა ნესტოში და კუსაც ბოლო-ბოლო იძულებული ხდებოდა, გაეხილა თვალი. საბოლოოდ კი მაშინ ფხიზლდებოდა, როცა პატუს ჩაეძინებოდა. რანაირ მოულოდნელ სიკვდილს არ იგონებდა კუსას გონება ღვინის ვაჭარ ბახასთვის, რანაირ წყევლასა და შელოცვას, მაგრამ არც წყევლა ჰქრიდა და არც შელოცვა. და ერთ ასეთ ღამეს კუსამ შემადრწუნებლად იგრძნო, როგორი აუტანელი იყო ამ ქერქეტა ქალის გვერდით წოლა, რა ძნელი გასაძლებელი იქნებოდა თუნდაც კიდევ ერთი ღამე.



\* \* \*

მეორე დღესვე კუსა შავთვალემა მალალოს ესტუმრა. მისი სტუმრობა არავის გაკვირვებია, აქაც სცნობდნენ კუსას. ტომრის ჟღერიალს რომ გაიგონებდა, შავთვალემა მალალო გოგოებს გასძახებდა: რომელი ხართ თავისუფალი, კუსა მოდის, ყურძენი გაუტანეთო.

ასე კი იმიტომ ამბობდა, უკვე კარგად რომ იცნობდა კუსას. გინდაც მოგეკლათ, მეფის მოხელე შავთვალემა მალალოს კარის ზღურბლს არ გადააბიჯებდა. შავთვალემა მალალომ პირველად რომ შეიპატიჟა შინ, "არა გენაცვალეო" - ისეთი ხმით უპასუხა კუსამ, ვითომ როგორ გამიბედე, რა შემატყვე სამაგისოო. მერე აღარც მასპინძლები ეპატიჟებოდნენ მაინცდამაინც, კართან კი ყურძენით ეგებებოდნენ და თვითონაც იქცევდნენ თავს, სანამ ცალი ხელით დაჭერილ მტევანს სიმინდის ტაროსავით მიძვნიდა და ლაზღანდარობდა. მაგრამ ამჯერად კუსამ ჩვეულებას უღალატა. შემოგებებულ შავთვალემა მალალოს, მისი წილი ყურძენი თეფშით რომ ეჭირა, მორცხვად გაუღიმა და პირდაპირ სახლში შეაბიჯა. შავთვალემა მალალოც ღიმილით შეჰყვია სტუმარს, რადგან მაშინვე მიხვდა, რა ბუზანკალიც შეჰდომოდა თავპატიჟა მოხელეს.

- აბა, ყველა რომ დაკავებულია!.. - გულწრფელად შეწუხდა შავთვალემა მალალო და ყურძენიანი თეფში ისევ მიაწოდა.

კუსამ მტევანი აიღო და ენით გაისწორა პეშვზე.

- შვიდივე? - იკითხა მერე.

შავთვალემა მალალომ ცარიელი თეფში მკერდზე მიიკრა და გულიანად გადაიკისკისა, სულ გამოვშტერდი ამ სიბერეში, სწორედ მეშვიდეა თავისუფალიო.

კუსამ ცხვირი აიბზუა. სრულებითაც არ ეპიტნავებოდა შავთვალემა მალალოს გაჩხინკული ნაბოლარა. მას უფროსი, ფაშფაშა დები ერჩია. აქეთ რომ მოდიოდა, იმ ექვსეულზე ფიქრობდა, ექვსივეზე ერთდროულად, რადგან ვერც ერთს ვერ გამოაცალკავებდა, ისე ჰგავდნენ ერთმანეთს. ფიქრითაც უფრო იმიტომ ფიქრობდა, თავისი საქციელი რომ გაემართლებინა: რა უჭირთ, ერთი ფაშფაშა გოგოები არიანო. ინო კი ეცოდებოდა, კი არ ეცოდებოდა, შეწუხდებოდა ხოლმე, ამ გალეული გოგოს დანახვა რაღაცნაირად აბრაზებდა კიდევ, როგორც ყაირათიან გლეხს ფერდებჩაცვენილი საქონელი, ვისიც არ უნდა ყოფილიყო იგი. "არაფერს აჰმევთო", - მართლაც გაბრაზებულივით ეტყოდა ხოლმე კუსა შავთვალემა მალალოს და თავს ისე გადააქნევდა, თითქოს ცოდვით გული ეწვოდა.

"მასპინძელო!" - ჩასძახა კუსამ ლერწმის გალიას. თუთიყუშმა ხარიხაზე გადაინაცვლა და ყვითელი თვალი ბრაზიანად დააბრიალა.

- აკი ლაპარაკობსო? - მიუბრუნდა კუსა შავთვალემა მალალოს.

- სძინავს, - უპასუხა შავთვალემა მალალომ და თვითონაც დაამთქნარა.

მთავარი აქ მოსვლა და სურვილის გამჟღავნება იყო, ყველაზე მეტად ეს ეჩოთირებოდა კუსას, მაგრამ ერთიცა და მეორეც გაცილებით იოლი აღსასრულებელი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა.

სტუმარმაც და მასპინძელმაც ერთმანეთს ღიმილ-ღიმილით გააგებინეს ყველაფერი. ახლა ასე წასვლას აზრი აღარ ჰქონდა, ის უნდა მიეღო, რასაც სთავაზობდნენ. ფაშფაშა ექვსეული, შეიძლება, საერთოდ არ გათავისუფლებულიყო დღეს. აქ ხომ არ დააღამებდა სულელი ქალების ლოდინში. ვითომ ინოს რა უჭირდა? "თავს მაინც შევიქცევო", - საბოლოოდ გადაწყვიტა კუსამ და სანახევროდ შექმული მტევანი მაგიდაზე დადო. გაწებილი ხელი მკერდზე ჩამოისვა. სტუმარ-მასპინძელი ისევ ღიმილ-ღიმილით, სიტყვის უთქმელად გაემართნენ სხვადასხვა მხარეს. შავთვალემა მალალომ თავის სავარძელს მიაშურა, კუსამ კი, კისერმოქცეულმა შეაღო ინოს ოთახის კარი.

ტყუილად იპრანჭებოდა კუსა. ისიც ტყუილად ეგონა, მთავარი აქ შემოსვლა რომ იყო. უცებ ისე აღელდა, ისე აუჩქარდა გული, თვითონვე გაუკვირდა და რაღაცნაირად დაფრთხა კიდეც, თითქოს ადვილად ხელმისაწვდომი ქალის ოთახში კი არა, სადაც ყველაფერი მისი სურვილისამებრ უნდა მომხდარიყო, არამედ რომელიღაც მტაცებელი ცხოველის გალიაში შემოხეტებულიყო, დაუფიქრებლად, უიარაღოდ, და ახლა მისი ყოველი გაუთვალისწინებელი მოძრაობა, შეიძლება, საბედისწეროც გამხდარიყო. აქ შემოსვლამდე კი ყველაფერი სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი. ეჭვიც არ ეპარებოდა, ინო ტომრის მოხსნასაც არ დააცლიდა, მიხურავდა თუ არა კარს, კისერზე ჩამოეკიდებოდა. არაფერიც, ინო არც განძრეულა, ტახტზე იჯდა, წინ გადმოხრილი, დამაბული, თითქოს ელოდებოდა, როდის მოშორდებოდა კუსა კარს, ოთახიდან რომ გავარდნილიყო. ინო მართლა ჰგავდა ნადირს, ყვრიმალის ძვლებზე გადატკეცილი კანი ავად უელავდა, პირი ოდნავ გაეღო და ბასრი, წვეტიანი კბილები გამოეჩინა. ჰაერი ისე ჩაესუნთქა, სიფრიფანა ნესტოები ერთმანეთზე მისწებებოდა და დანაკვეთილებული თვალეებით სახეში შესცქეროდა კუსას, არა, სახეში კი არა, ყელში.

- გამარჯობა, ჩიტუნია! - თქვა ნირწამხდარმა კუსამ, უფრო ინოს დასამშვიდებლად, თითქოს დროულად თუ არ დაუყვავებდა, ინო მართლა ყელში ეცემოდა.

კუსა ასეთ შეხვედრას არ ელოდა. რამდენჯერ გამოუტანია ინოს მისთვის ყურმენი. ეჩვენებოდა თუ მართლა ასე იყო, ინოს თითქოს უხაროდა კიდეც მისი დანახვა; იდგა ხოლმე გულხელდაკრეფილი ინო და ღიმილით შემოსცქეროდა, სანამ ხელისგულზე დადებულ მტევანს კუსა მოუხერხებლად მიძგნიდა და მის დედა-დებს ელაზღანდარებოდა. ხოლო როცა კუსა იტყოდა: კარგია თქვენთან ყოფნა, მაგრამ საქმე უკეთესიაო, - ინო საცოდავად დაიღრიჯებოდა, თითქოს გული წყდებოდა, თითქოს არ უნდოდა, კუსა რომ წასულიყო. კუსა ამასაც ამჩნევდა და სიამოვნებდა კიდეც, თუმცა ინო არ მოსწონდა, სამაგიეროდ ინოს თანდასწრებით უკეთესად ხუმრობდა ხოლმე, უფრო მოსწრებულად, როგორც მაყურებლის მხარდაჭერით წახალისებული მსახიობი. ინო მართლაც მაყურებლის როლში გამოდიოდა ყოველთვის. იდგა და იღიმებოდა, არ ერეოდა კუსასა და დედა-დების ლაზღანდარობაში.

- გარეთა გაქვს დიდი გული. თუ მართლა ასეთი ვაჟკაცი ხარ, შინ შემოდი - ეუბნებოდნენ კუსას ინოს ფაშფაშა დები და ერთნაირად, ერთ ხმაზე იცინოდნენ.

- ხე, ხე, - იცინოდა კუსაც, - შინ შემოდი... კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა.

კუსა ამას კი ამბობდა, მაგრამ გულში გრძნობდა, ფაშფაშა დები მართლები იყვნენ, კუსა გარეთ იყო თამამი, ბევრ ქალთან უფრო ადვილი იყო ლაპარაკი, ვიდრე ერთთან დაწოლა. ერთის ემინოდა. ერთთან შეიძლება ვეღარ მორეოდა სურვილს, ფერი წასვლოდა, ან ხმა ჩაწყვეტოდა. მოკლედ, ისე ვერ მოქცეულიყო, როგორც ამ გამოცდილ ქალებთან იყო საჭირო. ის ერთი, რა თქმა უნდა, ყველას მოსდებდა კუსას შერცხვენას და მერე აღარ შეეძლებოდა ასე თამამად დგომა ამ სახლის წინ, საიდანაც მის ფეხის ხმაზე რვა ქალი გამორბოდა, მის სიძლიერესა და უპირატესობაში დარწმუნებული. მთავარი იყო, არ აპყლოდა კუსა ცდუნებას, არ დაეკარგა უპირატესობა, რომელიც თავშეკავებით მოეპოვებინა. მაგრამ ბოლოს მაინც შეცდა, პატუმ შეაცდინა. აყლაყუდა პატუმ, ყველაფერს რომ ამადლიდა, ასაკსაც, სიქალწულებსაც, ხალსაც კი. პატუ ჯერჯერობით ერთადერთი ქალი იყო კუსასთვის, მაგრამ კუსამ მაინც იცოდა, მაინც გრძნობდა, განსაკუთრებული არაფერი ჰქონდა მის მეუღლეს, გარდა ასაკისა და სიმაღლისა. მართალია, პატუ ხშირად ეუბნებოდა, ჩემს მზეს უნდა იფიცებდე, რადგან შენზე უფროსიცა ვარ და მაღალიცო, მაგრამ კუსა არც ისეთი სულელი იყო, ბედნიერებისგან თავბრუ დასხმოდა და მართლა ღვთის წყალობად ჩაეთვალა ორი თავით მაღალი დედაბერი. კუსა პატუს "ღირსებებს" მამამისის ფულების ხათრით ითმენდა მხოლოდ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოითმინა. ახლა პატუსთან ანგარიშსწორების დრო არ იყო. თვითონაც ნანობდა, მაგრამ სინანული რაღას უშველიდა. რამე უნდა მოეფიქრებინა, მთლად რომ არ გამასხარავებულიყო ამ უშნო ქალის წინაშე. უბედურება ის იყო, რომ ეს უშნო ქალი თავგზას უბნევდა კუსას. მსგავსიც არაფერი განეცადა, პირი უშრებოდა, ფეხი ისე უცახცახებდა, თითქოს მიწა იძროდა, ყანყრატო ექავებოდა, უნდოდა ისეთ რამეს დაჰპირებოდა, თვითონვე პირი დაელო გაოცებისაგან. იმ წუთას მართლა ყველაფერი ემეტებოდა ამ ქალისთვის, ოღონდ ახლოს მიეშვა, ხელი მოეკიდებინა, მუხლამდე მაინც აეწია კაბა, მკლავი მაინც გაეშიშვლებინა. კიდევ ერთი წუთი რომ გაგრძელებულიყო ასე, კუსა დაიღუპებოდა, ტომრიანად დაეცემოდა მუხლებზე, მართლა დაჰპირდებოდა ოქროს ქოშებს, ფარჩის კაბას, სამაჯურსა და საყურეს. "დაბნეულ ფეტვის მარცვლისაააა", - ამოიხრიალა კუსამ და საკუთარი ხმის გაგონებაზე თავზარი დაეცა. ინოც შეკრთა. ერთი წამით შეუთრთოლდა გაქვავებული სახე, მაგრამ ეს ერთი წამიც საკმარისი აღმოჩნდა, კუსას თვალი რომ ახილვოდა, გონება გახსნოდა და დაუოკებელი, დამაკნინებელი ლტოლვა ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომი ქალისადმი რისხვითა და სიძულვილით შესცვლოდა. "ხე, ხე" - ჩაიცინა კუსამ. წელანდელი მღელვარების ნატამალიც აღარ შერჩენოდა. ის უკვე ჩვეულებრივი კუსა იყო, ალღოიანი, საზრიანი, საქმიანი. კუსამ ერთ წამში ყველაფერი წარმოიდგინა და ახლა უკვე წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას, გამარჯვებას, რომელიც გაცილებით მეტს ნიშნავდა მისთვის, ვიდრე ერთი გაჩხინკული გოგოს გაშიშვლება და დამორჩილება. "როგორც ირკვევა, ინოც ჩემზე უფროსი ყოფილაო", - ფიქრობდა კუსა და იღიმებოდა, მშვიდად, არხეინად. ქალი, რომელმაც წელან ლამის დააჩოქა, ლამის კაბა და ქოშები გამოსტყუა, მისთვის ახლა იგივე იყო, რაც გამაძლარი ობობასთვის მკვდარი ბუზი, საიმედოდ გაბლანდული ქსელში და შესაჭმელად ხვალისათვის გადადებული. კუსა დიდი ხანია იცნობდა ინოს, მაგრამ რატომღაც არასოდეს მოსვლია აზრად, რომ ინო და ის გოგო, რომელიც ფარნაოზმა მამამისის სატრფიალო ბარათიდან გამოკვეთა, ერთი და იგივე იყო. კუსამ ერთი კი თქვა: ეს გოგო მგონი მეცნობაო, მაგრამ ბიძამისმა რომ გაუბიაბრუა, საიდან უნდა გეცნობოდეს, როცა ჩემი მოგონილიაო, თვითონაც აღარ ჩასციებია, ან რაში აინტერესებდა. ის მაშინ სხვაზე ფიქრობდა, სხვა აინტერესებდა. იმდენი

უკირკიტა ამ საქმეს, სანამ მართლა არ გამოადინა წყალი. აკი ერთი ძაღლის თავი გააყიდინა კიდეც ფარნაოზს. თვითონვე უთხრა ფარნაოზმა: გავყიდე და ძველი ვალი გადავიხადეო. რა ვალი ჰქონდა ბიძამისს, არც ის აინტერესებდა კუსას, გული კი დასწყდა, მის წამოწყებულ საქმეში წილი რომ არ დაუდეს. მერე გოგოს თავიც გაქრა სახელოსნოდან, მაგრამ კუსა მაშინაც გაჩუმდა, თუმცა ეჭვი ჰქონდა, რომ ის თავიც გაყიდა ბიძამისმა. კუსა კი გაჩუმდა, ნამუსზე აგდებდა ფარნაოზს, მაგრამ გულში უკვირდა, სწყინდა და ბრაზობდა კიდეც, მადლობასაც რომ არ ეუბნებოდნენ. წილში გაყვანას ვილა ჩიოდა, უსამართლობა ხეთქავდა გულზე. უსამართლობას წონასწორობიდან გამოყავდა კუსა, ხოლო ფარნაოზი ამ უსამართლობის განსახიერებად იქცა მისთვის. მას მერე, რაც თვალი აეხილა, მიიხედ-მოიხედა და ქვეყანა უკეთესად დაინახა, ბიძამისს "ალალი ლუკმა" და "პატიოსნება" ეკერა პირზე, თანაც ერთიცა და მეორეც ისე ესმოდა, როგორც თვითონ უნდოდა, როგორც ხელს აძლევდა. დისშვილისა არაფერი მოსწონდა, თუმცა იმავე დისშვილის წყალობით ნაშოვნ ფულს უსინდისოდ იჯიბავდა, უდრტვინველად. იჯიბავდა კი არა, იქით აყვედრიდა, შენ შემაცდინე, შენ გამიყვანე ბაზარშიო. კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, დედაბერს აუპატიურებდნენ და თან პირში აფურთხებდნენო, ასე იყო მისი საქმეც, მაგრამ კუსას უკვე იმდენი უსამართლობა შეხვედროდა პატიოსანი ბიძისაგან, ქვის თავების ამბავი აღარც კი ახსოვდა. სამსახური რომ დაიწყო, იმის ნაცვლად, წაეხალისებინა ახალგაზრდა კაცი, ხელი შეეწყო, მხარში ამოსდგომოდა, უსაყვედურა: "გათავდა, ახლა თავშიც რომ ჩაგარტყან, გაბრაზების უფლება არა გაქვს, რადგან ნაწყალობევე პურსა ჭამო". - უთხრა მაშინ ფარნაოზმა. ასე კი იმიტომ უთხრა, დისშვილის რომ შეშურდა. აბა, სად ქვების კოდვა, სად მეფის სამსახური. ფარნაოზს კი ქვების კოდვის მეტი არაფერი შეეძლო, ხოლო რაც თვითონ არ შეეძლო, სხვებისთვისაც შურდა. შურდა, დიახ, შურდა, უსამართლო იყო, უსამართლო და იმიტომ, ასევე შეშურდა კუსას სახლიც. ჯერ იყო და ძლივს იკადრა, ძლივს მობრძანდა სანახავად, შურისგან მილოცვაც დაავიწყდა და მოიღუშა, როგორც იცის ხოლმე. ვერც კუსამ დამალა მაშინ ღვარძლი და ყველას გასაგონად მიახალა: რა იყო, ბიძაჩემო, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, ცეცხლისგან გავიყარეთ, ნათესაობისგან კი არაო. ის კი უარესად იღუშებოდა და თავისას გაიძახოდა, მტერს რატომ იმატებო, რა გვჭირდა გასაყოფიო, ჩვენი სიღარიბის ლუკმა ბოლომდე უნდა გაგვეყო, როგორც გავვიყვიაო, ტკბილი იყო თუ მწარე, ვერავინ დაგვამადლებდაო. ვერავინ! როგორ არა, თუ არ გჯერათ, პოპინასა და ქალუკას ჰკითხეთ, ისინი დაუკრავენ კვერს. კუსა კი მაგის ჩიტი არ გახლავთ, უკეთესად იხედება. ვერავინ კი არა, პირველი თვითონ იმადლებოდა, ლუკმას პირში უთვლიდა. მერე რა, რომ არ ამბობდა. დანახვა თუ შეგიძლია, თქმა არცაა აუცილებელი. ისეთი ამბით შემოვიდოდა ხოლმე, ისეთი ამბით შემოიტანდა ოფლის სუნით აყროლებულ პურს, ვითომ მართლა ქვეყნის ამშენებელი მყავდა. ერთი წუთით რომ დაეგვიანებინათ ქალებს სუფთა პერანგის მორბენინება, ერთი წუთით რომ დაჰგვიანებოდათ ფეხსაბანი წყლის შემოტანა, მამასავით, ისეთ ჭექა-ქუხილს ასტეხდა, თითქოს ქვეყანა დაიქცეოდა, ერთი საწყალი ქვისმთლელი ოფლიან პერანგში თუ დარჩებოდა და ფეხდაუბანელი მიეგდებოდა ტახტზე. არა, პატივი უყვარდა და იშნოვებდა კიდეც, ღმერთივით მოღუშული იჯდა ხოლმე სამფეხა სკამზე, სანამ ტაშტითა და თუნგებით გარბი-გამორბოდნენ პოპინა და ქალუკა. დიდი ამბავი, მისი მოტანილი პური ძაღლსაც არ ეჭმეოდა, ისე იყო დამბალი და გაჟღენთილი კაცის ოფლით, ის კი გაბღენძილი იჯდა და უსიტყვოდ მოითხოვდა პატივისცემას, ყურადღებას, მადლობას. კუსასგანაც, რა თქმა უნდა, კუსასგანაც, რადგან კუსასაც მოუტეხავდნენ ხოლმე ოფლიან პურს,

ქვის მტვერი რომ ჩაკვდომოდა და კბილებში კნაწაკნაწი გაჰქონდა. კუსას ეს პური კი არ ზრდიდა, აჩიავებდა, აუძლურებდა, რადგან სიძულვილით ჭამდა, ღვარძლით, ძალის-ძალათი; რადგან, სანამ ჭამდა, ბიძა გაღიმებული შემოსცქეროდა, მადლობის მოლოდინში. კუსა ხომ უპატრონო იყო, შემთხვევით გაჩენილი, გაუთვალისწინებელი, და აი, მშვენიერი მიზეზი ჰქონდა, მადლობა ეთქვა, ხელები დაეკოცნა ასევე შემთხვევითი, გაუთვალისწინებელი, მაგრამ მისდა საბედნიეროდ, კეთილშობილი, პატიოსანი და გულუხვი მფარველისათვის, მზამზარეულად რომ დაეხვედრებინათ მისთვის ღმერთებს, მთლად არ გაეწირათ. მართლაც, რა დაშავდებოდა, კუსას მადლობა რომ ეთქვა. რა მოხდა, ფარნაოზი უცხო ხომ არ იყო, ბიძა იყო, დედის ძმა. ევალეზოდა კიდეც, მფარველობა გაეწია დისშვილისთვის. მაგრამ მართლა ასე იყო? მართლა არაფერი მოხდებოდა? მოხდებოდა, როგორ არ მოხდებოდა. ჯერ ერთი, მადლობის თქმა ბედთან შეგუებას ნიშნავდა, შემთხვევითობისა და გაუთვალისწინებლობის აღიარებას, მეორეც ერთი... მეორეც ერთი და მესამეც ერთი და მესამეც ერთი, კუსა არასოდეს შეეგუებოდა ამას. ის არავისზე ნაკლებად არ თვლიდა თავს და არც არავისზე ნაკლები ეკუთვნოდა რამე ამ ქვეყანაზე. აკი დაამტკიცა კიდეც. უპირველეს ყოვლისა კი თავისიანებს დაუმტკიცა, სულელ ქალებსა და ქვისკოღია ფარნაოზს. მართალია, ფარნაოზს არც სამსახური მოსწონდა მისი და არც სახლი, მაგრამ ათი სიცოცხლე რომ ეცოცხლა, ვერც ერთს ეღირსებოდა და ვერც მეორეს, თავისი უმაქნისობის და, რაც მთავარია, თავისი პატიოსნების წყალობით. რა თავში იხლიდა კუსა ასეთ პატიოსნებას, არც ტანსაცმლად გამოადგებოდა და არც საქმლად. ამგვარ პატიოსნებას ბოროტების მოტანა შეეძლო მხოლოდ, გაღიზიანება, ტკბილი ლუკმის ჩამწარება და უაზრო, უსაფუძვლო მტკიცება იმისა, რის საწინააღმდეგოსაც თვითონ ცხოვრება ადასტურებდა. კუსა უკვე კაცი იყო, მთელი ქალაქი იცნობდა, იცნობდა კი არა, შიშით ელეთ-მელეთი მოსდიოდათ მის დანახვაზე; ვინ გაუბედავდა ლუკმის დამადლებას? ვერავინ! ახლა მართლა ვერავინ. ვერც ბიძამისი, პატიოსნებაზე რომ დებდა თავს, ხალხში რომ არ ერეოდა, მთელი დღე ქვას უკაკუნებდა და სახედრის საოფლესავით ბოლავდა. "ვერ მოგართვი, ბიძაჩემო, ვერა!" - გულზე სკდებოდა კუსა, რადგან მიუხედავად ყველაფრისა, სადღაც, სულის ჩაუღწეველ სიღრმეში მაინც შემფოთებით გრძნობდა, ბიძამისი სხვა იყო, სხვანაირი, რაღაცით ყველასგან გამორჩეული და სწორედ იმ რაღაცით აცოფებდა კუსასაც.

ფარნაოზმა ცოლიც დაუწუნა, თვითონ არ ჰყავდა და იმიტომ. ასე იფიქრა პირველად კუსამ, როცა ფარნაოზი ჩვეულებისამებრ მოილუშა და მოჰყვა ქადაგებას: ჯერ ახალგაზრდა ხარო, ფულის გულისთვის ან თავს რატომ ილუპავ, ან იმ დედისხელა ქალს რატომ აჰამპულეზო. მაგრამ კუსას ფეხებზე ეკიდა ბიძის ქადაგება, პირიქით, უარესად განუმტკიცდა რწმენა, რომ მისი არჩევანი და გადაწყვეტილება სწორი იყო. აბა, მეძავი შეერთო, მეძავის თავი ეჩორკნა ქვებისაგან? ეს უფრო პატიოსნება იქნებოდა, ვიდრე დარბაისელი ქალის შერთვა? კი ბატონო, თუ ესაა პატიოსნება, კუსა თვალს დახუჭავს, გვერდზე გადგება, არაფერში ჩაერევა და შეირთოს ფარნაოზმა ინო. არა, გვერდზე გადგება კი არა, თავს არ დაზოგავს, არ მოისვენებს, პურს არ შეჭამს, სანამ ამ საქმეს თავს არ მოაბამს. ახლავე მოსინჯავს. ახლავე გაარკვევს, რა აზრისაა ინო ბიძამისზე და მერე საქმესაც შეუდგება. სამუდამოდ ამოვა ბიძამისის ვალებიდან, სიკეთეს სიკეთით გადაუხდის, ხე, ხე, რითია ცუდი წყვილი, ქვისმთლელი და მეძავი, სახელგანთქმული მეომრის ვაჟი და სახელგანთქმული მეძავის ქალიშვილი, რომელიც მალე დედასავით გაითქვამს სახელს, ცოტა

თუ გასუქდება, ანდა კაბაში ზოგიერთ ადგილას ჭინჭებს მაინც ჩაიტენის. მერე კი დავსხდეთ და ვილაპარაკოთ პატიოსნებაზე.

ასე, ანდა დაახლოებით ასე ფიქრობდა ინოს ოთახში სვეტივით აღმართული კუსა და გულში კროჭინობდა, სიამოვნებისაგან თვალეები უბრწყინავდა. არც ერთ დედაკაცს არ შეეძლო მსგავსი სიამოვნების მინიჭება მისთვის. ინოსაც შეემჩნია კუსას უეცარი გარდაქმნა და ახლა გაკვირვებული შემოსცქეროდა, ვერ გაეგო, რატომ უღიმოდა ასე, დასცინოდა თუ აყვედრიდა, ექადნებოდა თუ ლაპარაკის ღირსადაც აღარ თვლიდა. ინო წუხდა, მოუსვენრად წრიალებდა ტახტზე და თვალებით ევედრებოდა, ეთქვა რამე, ოღონდ ხმა ამოელო და თუნდაც გაელანძმა, გაეთათხა, დაემცირებინა, რადგან, ინოს აზრით, კუსას საამისო უფლება ჰქონდა. ის ხომ ფარნაოზის დისშვილი იყო; ან როგორ იფიქრა, კუსა მასთან დასაწოლად რომ შემოვიდოდა აქ, ერთი წუთით როგორ დაუშვა, კუსა რომ ამას იკადრებდა. არა, კუსა ბიძამისის შურის საძიებლად იყო მოსული და თუ მაინც ზოგავდა, მაინც არაფერს ეუბნებოდა, იმიტომ, რომ ეცოდებოდა, ანდა მღელვარებისაგან ვეღარ მოენახა ის სიტყვა, რომელსაც ინო იმსახურებდა და რომელიც ინოს ბაღლინჯოსავით მიაჭყლეტდა ტახტზე. "თქვი, ღირსი ვარო" - უნდოდა ეყვირა ინოს, მაგრამ მონუსხულივით ისევ ისე იჯდა და თვალს არ აშორებდა მხარზე ტომარაგადაკიდებულ მსაჯულს. კუსა კი სხვას ფიქრობდა, სხვაგან ფრენდა მისი მოზეიმე გონება. "დაკარგე კაბა და ქოშები, ჩიტუნია, - კროჭინობდა გუნებაში, - ასეა, კუსა სხვა კაკალია, მაგრამ არა უშავს, სამაგიეროდ ისეთ ქმარს შეგრთავ, თავზე საყრელად გექნება, რაც არასდროს გღირსებია: პატიოსნება და ოფლით აყროლებული პურიო".

- ფარნაოზმა მოგიკითხა, - თქვა კუსამ ხმამაღლა.

კუსა ერთადერთი კაცი იყო, რომლისგანაც ინოს ფარნაოზის ამბის გაგება შეეძლო. მისი ყოველი გამოჩენა აფრთხობდა და ახარებდა კიდეც, რადგან მისი ფარული რწმენით, კუსა ტყუილად არ მოდიოდა, რაღაცას აუწყებდა, მაგრამ ვერ გაერკვია, ავსა თუ კარგს. უფრო ავის მოლოდინი ჰქონდა და, თუმცა, გაურკვეველობა უარესად უწეწავდა სულს, მაინც მადლიერი იყო კუსასი, ამდენ ხანს რომ იკავებდა თავს, ამდენ ხანს რომ ზოგავდა, რადგან ადგილზე მოკვდებოდა, ფარნაოზის ცუდი ამბავი რომ გაეგო. კუსა კი მოდიოდა და მიდიოდა, წელიწადის დროსავით, წელიწადის მეხუთე დროსავით, და სანამ მისი სტუმრობა გრძელდებოდა, ყველაფერი იყინებოდა ირგვლივ. არა, ყველაფერი ქრებოდა, მხარზე ტომარაგადაკიდებული კუსას გარდა, რომელსაც თავისუფალ ხელისგულზე ინოს გული ედო და დაუნდობლად, უშნოდ ძიძგნიდა, როგორც ყურძნის მტევანს.

კუსას ნათქვამმა ინოს თავზარი დასცა, არც გაკვირვებია, არც გახარებია, უბრალოდ გააოგნა, ვერც კი მოასწრო კარგად ჩასწვდომოდა ნათქვამის აზრს, ვერც კუსა და ფარნაოზი დაუკავშირა უცებ ერთმანეთს, ყრუ, ტლანქი დარტყმა იგრძნო კეფაში და მისმა მომლოდინე არსებამ ტკივილი ნეტარებად აღიქვა. ინოს ისევ გაუქვავდა სახე, ჭერს მიაშტერდა, თითქოს გახსენებას ცდილობდა, იცნობდა თუ არა ვინმე ფარნაოზს, მაგრამ მალევე გამოერკვა, ტახტიდან წამოხტა და ისე მოულოდნელად გავიდა ოთახიდან, კუსას ღიმილი სახეზე შეეყინა.

კუსას არაფერი აღარ ესაქმებოდა ამ ოთახში, რაც გაიგო, ჯერჯერობით ესეც კმაროდა, მაგრამ მაინც გაბრაზდა, ინომ ასე უბოდიშოდ რომ მიატოვა. - "რა უფლების ძალითო?" - ღვარძლიანად გაიფიქრა კუსამ, მაგრამ ახლა აყალმაყალისთვის არ ეცალა, უცაბედად წამოწყებულ საქმეს მიხედვა სჭირდებოდა. საქმეში ეს გაბრაზებაც გამოადგებოდა, უკეთესად აწონ-დაწონიდა ყველაფერს, საფიქრალი კი ბევრი ჰქონდა, ბევრი რამე იყო გასარკვევი, ძაფის უბრალო ნაკუწამდე, ფსკერამდე. მან ჯერ ერთი რამე იცოდა მხოლოდ: ინო და ფარნაოზი ერთმანეთს იცნობდნენ. ინო იყო სწორედ ის გოგო, ფარნაოზმა რომ გამოაქანდაკა, მერე კუსას უზუმრად გაყიდა, ფული კი მთლიანად ჩაიჯიბა, თუმცა სამართლიანობა თუ არსებობდა, თუ ყველაფერი ბიძამისის არშინით არ იზომებოდა, მაშინ კუსასაც ეკუთვნოდა წილი იმ ფულიდან. მაგრამ ჯერ ამის დრო არ იყო, არც კუსა დაწვრილმანდებოდა ასე. სხვანაირად დაამტკიცებდა თავის სიმართლეს. ახლა ის იყო დასადგენი: უყვარდა თუ სძულდა ინოს ფარნაოზი. ამის დადგენასაც დრო უნდოდა, სიფრთხილე, ჭკუა, ემშაკობა, რადგან ქალთან ჰქონდა საქმე, ხოლო ქალის სიყვარულიცა და სიძულვილიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს. საყვარელი და საძულველი სახელის ხსენებას ერთნაირად შეეძლო წამოეგდო ქალი ისევე, როგორც ინო წამოაგდო წელან. ერთს კი გრძნობდა, მტკიცუნეულად გრძნობდა, მუწუკივით, ხორცში ჩამკვდარ ხიწვივით: უყვარდა თუ სძულდა ინოს ფარნაოზი, მაინც მასზე მაღლა იდგა კაცი, რომლის დამცირებაცა და დამხოვაც გაუნელებელ ოცნებად გადაქცეოდა. კუსა ინოსთვისაც არაფერი არ იყო, მუშტარიც კი. ხოლო ფარნაოზის ხსენებამ გიჟივით წამოაგდო, ყველაფერი დაავიწყა, მოვალეობაც, თითქოს კუსას მკვდარი გომბეშო დაენახებინა მისთვის. "კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანიო", - მოჟღერიალებდა კუსა ქუჩაში და ერთი სული ჰქონდა, როდის იხილავდა ფარნაოზს. საინტერესოა, ახლა რაღას იტყოდა ბიძამისი, ახლაც ხომ ვერ მოუკიბავდა: საიდან უნდა იცნობდე ამ გოგოს, როცა ჩემი მოგონილიაო. ნეტავ ასე ეთქვა, კუსასაც ეს უნდოდა, მაშინვე მიუმღერებდა: ტყუი, ტყუი, ბიძუნიაო. მერე კი... მერე კი საქმე აჩვენებდა, როგორ მოქცეულიყო და რა ეთქვა.

კუსამ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, უკვე დიდი წვლილი რომ მიუძღოდა ინოსა და ფარნაოზის ცხოვრებაში, იმის შეკოწიწებას რომ აპირებდა, რაც თვითონვე დაემსხვრია. კუსას ჩხავილმა გამოდენა ინო და ფარნაოზი დარიაჩანგის ბაღიდან და ჭეშმარიტად იმ დღეს გაითიშნენ, როცა შუბუმ კუსას დაბადება აუწყათ. რაც მერე მოხდა, საბრალო და სასაცილო გაბრძოლება იყო მხოლოდ. ეს არც ინომ და ფარნაოზმა იცოდნენ. არავინ იცოდა, ბედისწერის გარდა, კუსა ბედისწერასავით გარდაუვალი იყო.

ფარნაოზი კი სასჯელს იხდიდა: ქვებს კოდავდა. დაჰკრავდა თუ არა ჩაქუჩს ქვის ხორკლიან ზედაპირს, აყაყანებული ქალაქი სადღაც ქრებოდა. რჩებოდა მხოლოდ ქვა, ნაცრისფერი, უკაცური კუნძული და თვითონ. თვითონაც ქვის ფერი მიეღო, ქვის მტვერი ედგა თავზე და ჩაქუჩის ხმით იგერიებდა ფიქრებს, ქვის პატარა კუნძულიდან ჩამოთრევას რომ უპირებდნენ, ცხოვრების ზღვაში ჩაყურყურმაღავებას. ცხოვრებას არც ამ პატარა კუნძულის დათმობა უნდოდა, ოთხივე მხრიდან შემოსდგომოდა და უტყლამუნებდა ტალახისფერ ტალღებს. "გამანებე თავი. ხომ ხედავ, მარტო ვარ, - ამბობდა თავისთვის ფარნაოზი, - თუ ჩხუბი გინდა, ერთი კაცი მომეცი, მხოლოდ ერთი კაცი და მერე ვილაპარაკოთ". ფარნაოზს ცხოვრების კი არ ეშინოდა, არამედ დამარცხების რცხვენოდა. მას უკვე ეწვინა მისი გემო და ერთხელ თუ შეძლო, დარწმუნებული არ

იყო, მეორეჯერაც რომ შეძლებდა მტკიცედ, აუღელვებლად ჩაეველო ახარხარებული ხალხის წინ. დამარცხებაზე ფიქრს წონასწორობიდან გამოჰყავდა. ისეთი გაშმაგებით დაუშენდა ხოლმე ჩაქუჩს ქვის ხორკლიან ზედაპირს, თითქოს ამ ერთადერთი თავშესაფრის დაქუცმაცებას ცდილობსო. მაგრამ ქვა მაგარი იყო, ხოლო კაცის სიმართლევით უფრო აქვავებდა, აპირქუშებდა. ფარნაოზმა უკვე იცოდა, რაც მომხდარიყო; ისიც იცოდა, მისი დანაშაული სხვათა დანაშაულის გამონაყარი იყო, გაგრძელება, თვითონ კი - დანაშაულებათა უკვე ღრმად ფესვგადგმული, ტანდამსხვილებული და დატოტვილი ხის ნაწილი, სულაც კენწერო, და პირველად მას დაეძგერებოდა ხოლმე ქარიცა და წვიმაც. ფარნაოზი ცას შესცქეროდა. როგორც არ უნდა გადაეხნიქა ქარს, როგორც არ უნდა დასწოლოდა კისერზე წვიმა, იმდენს მაინც ახერხებდა, ცისტვის თვალი არ მოეშორებინა. ძირს ჩამოხედვისა კი ეშინოდა, ეშინოდა - დაენახა ტოტი, რომელსაც აგრძელებდა, ამთავრებდა, რადგან ის ტოტი მამამისი იყო, უხეირო, ოდესღაც სახელგანთქმული მეომარი, მტრის რისხვა და პატრონის იმედი. ის ახლა გამოტოტილი იწვა და ქარგავდა, ასე იგერიებდა მტრად გადაკიდებულ სიმართლეს. უხეირო სიმართლეს ებრძოდა, რადგან სიმართლე მეგობრის გვამის წართმევას უპირებდა; უხეირო კი თავცოცხალი ვერ დაუთმოდა, ვერ შეელოდა, რადგან ეს გვამი ადასტურებდა მხოლოდ, ოდესღაც ისიც ნამდვილად რომ არსებობდა, ცხოვრობდა, დადიოდა, კაცი ერქვა. ამიტომაც დამალა უხეირომ იგი აფრისხელა ტილოს ქვეშ, ამიტომაც გაიმკაცრა სახე, ამიტომაც განუდგა ცხოვრებას. არავის არ ჰქონდა უფლება, გადაექექა მონძები, ძვირფასი გვამისთვის წაფარებული; ის იმის მაღლიერიც იყო, გვამი რომ შერჩა, ღამით მაინც რომ შეეძლო, ჩაეყმუვლა იმ გვამისთვის თავისი დარდი და უმწეობა. ფარნაოზი დარწმუნებული იყო, მამამისიც ხვდებოდა უკვე, როგორ გაეპამპულეებინა ბედისწერას, სახელოვანი მეომარი ტუტუც ბავშვად გაეხადა, რომელსაც ერთმა ძიამ მეორე ძიას ვენახი დააგლეჯინა, გასამრჯელოდ კი პანდური ამოარტყა, თანაც ისე ამოარტყა, წელში ველარ გამართულიყო, რადგან იმ ძიას ის ტუტუცი ბავშვი ხუთი წუთით სჭირდებოდა, როგორც საღერღელაშლილ ჯარისკაცს მეძავი, იძულებული რომაა, ერთი-ორი ტკბილი სიტყვაც უთხრას, სანამ დასანახად შესძულდება. როცა ფარნაოზი ასე ფიქრობდა, სიბრაზე წაეკიდებოდა ხოლმე გულზე, უნდოდა ჩაქუჩი გადაეგდო, მთელი სიმაღლით წამომდგარიყო ქვის კუნძულზე და დაეყვირა: შენ მამაჩემის გაბითურებაც გეყოფაო, მაგრამ მამის შეწუხებული სახე რომ წარმოუდგებოდა, პირზე მომდგარ სათქმელს ძალით ყლაპავდა, როგორც, დიასახლისის ხათრით, მორიდებული სტუმარი ყლაპავს უგემური კერძის დაუღეჭავ ლუკმას. "ერთი კაცი მომეცი, ერთი კაცი მომეციო", - უაზროდ და უთავბოლოდ იმეორებდა თავისთვის ქვასთან დაბრუნებული ფარნაოზი. ფარნაოზი მართლა ოცნებობდა მეორე კაცზე, რომლის არც დაბეზლების შიში ექნებოდა და არც დაცინვისა. ეს მეორე კაცი ჯერჯერობით მარტო ოცნებაში არსებობდა. ოცნება კი სინამდვილისაგან ისევე განსხვავდებოდა, როგორც სალამური ლერწმისაგან. ლერწამს მოჭრა უნდოდა, გამოთლა, გამოწვა, ნასვრეტების ამოღრუტვნა და კიდევ საკითხავი იყო, დაუკრავდა თუ არა. კუსამ არ გაუმართლა. ის მღვრიე წყალში თავისი თევზის დაჭერას ცდილობდა და სხვა ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. ამიტომაც ის უცხოზეც საშიში იყო. არც მამასთან საუბრებს მოსდევდა რამე შედეგი. უხეირო ფარნაოზის გულისტკივილს ბრალდებად იღებდა, თავს იმართლებდა, ახლოს არ უშვებდა და წვერგაჩეჩილი, თვალეზგადმოკარკლული იგერიებდა შვილს, როგორც სიმართლის, მისი ყველაზე დიდი მტრის, მოციქულს.



- ასე იმიტომ ლაპარაკობ, შუბი რომ არ გჭერია ხელში! - ყვიროდა წვერგაჩეჩილი და თვალეზგადმოკარკლული უხეირო.

- მამაჩემო! - ყვიროდა ფარნაოზიც, როგორმე რომ დაეჩრდილა მამის ხმა. - მამაჩემო! ასე იმიტომ ლაპარაკობ, არაფერი რომ აღარ შეგიძლია.

ფარნაოზს ეჭვი არ ეპარებოდა, მამამისი ფეხზე რომ ყოფილიყო, პირველი ის აიღებდა იარაღს და მასაც ასწავლიდა, როგორ მოეხმარა იგი. მან ხომ მართლა არ იცოდა იარაღის ხმარება, არავის უსწავლებია, არცა სჭერია ხელში. უხეიროს შუბები მისთვის შორეული წარსულის დაშლილი ღობის სარები იყო, სევდისა და ყოვლად გაურკვეველი სიამაყის აღმძვრელი, მთელი ბავშვობა, როგორც აკრძალულ ხილს, შორიდან რომ შესცქეროდა, რადგან უხეიროს შიშით ვერავინ მიაკარებდა იმათ თითს, პოპინას გარდა. მარეხის სიკვდილის მერე, მხოლოდ პოპინას ჰქონდა უფლება, გაეხეხა და გაეპრიალებინა მამისეული შუბები. ფარნაოზმა იმდენ ხანს უყურა ამ შუბებს, სანამ მათი მნიშვნელობა არ დაავიწყდა. დაავიწყდა, რადგან მამამისსაც ასე უნდოდა; რადგან მამამისმა ყველაზე კარგად იცოდა, რა ცოდვა-ტირილის დატრიალება შეეძლოთ ამ გალურსულსა და გაპრიალებულ ჯოხებს, როგორც კი ვინმე აიღებდა ხელში.

- შენ ხომ გეშინია შენივე შუბებისა?! - ყვიროდა ფარნაოზი.

და უხეიროს მართლა ეშინოდა ამ პირბასრი, ამაყად მოპრიალე და დროებით, მხოლოდ დროებით გაქვავებული გველებისა. ეშინოდა იმიტომ, რომ დაშორდა, შორიდან დაინახა ისინი. სანამ ხელში ეჭირა, ვერ ამჩნევდა, მათი გაუმადლარი პირები ყოველთვის სხვისკენ იყვნენ მიმართული, მაგრამ, როგორც კი დაშორდნენ ერთმანეთს, მაშინვე გაიგო, თუ რანი იყვნენ ისინი, რისთვის იყვნენ მოგონილნი და გაჭედნი. შეეშინდა და დადუმდა. ხოლო მისი დუმილი სხვებსაც შიშს უნერგავდა; ფარნაოზსაც, უპირველეს ყოვლისა ფარნაოზს, რადგან მან ამ შუბების ხმარებაც არ იცოდა; ხელში რომ აეღო, შეიძლება თავი დაეშავებინა, თვალი გამოეთხარა, ანდა ყანყრატოთი დაგებოდა ზედ. უხეირო რომ ფეხზე ყოფილიყო, მაშინ სხვა იქნებოდა, მაშინ ფარნაოზიც მეომარი იქნებოდა, შუბებსაც თავიდანვე შეეჩვეოდა, სხვა თუ არაფერი, ყოველდღე მაინც ჩამოართმევდა შინ მობრუნებულ მამას.

- შენი ბრალია, მე თუ იარაღის ხმარება არ ვიცი! - ამბობდა ფარნაოზი, ახლა უკვე მშვიდად, თუმცა ჯერ ისევ ბრაზობდა.

ფარნაოზი მართალი იყო და ამიტომაც ბრაზობდა. ხანდახან იმასაც ფიქრობდა, მამამისი განგებ რომ მოიქცა ასე, რათა მას, ფარნაოზს, უხეიროს სისხლსა და ხორცს, არ ჰქონდა მამის შეცდომის გამოსწორების საშუალება.

- განა ასე ჯობია? განა შენ კი გინდოდა, შენი შვილები... თქვი, აღიარე, რომ შეცდი! - ევედრებოდა სახელგანთქმულ მამას ფარნაოზი.

მამა-შვილის გაუთავებელი კამათი ვერხვის ფოთოლივით ათრთოლებდა პოპინას. სიტყვები კი ესმოდა, მაგრამ აზრი ვერ გამოჰქონდა სიტყვებიდან. ყველაზე უფრო იმისი ეშინოდა, კუსა არ შემოსწრებოდათ. გუმანით გრძნობდა, მისი მამა და ძმა მისი შვილის საწინააღმდეგო საქმეზე მსჯელობდნენ, არა, კი არ მსჯელობდნენ, უთავბოლოდ ყვიროდნენ და ეს ყვირილი უჩენდა

სწორედ პოპინას ამგვარ გრძნობას. ეს ყვირილი კუსას არ უნდა გაეგო, კუსას ყურამდე არ უნდა მიეღწია, თორემ... პოპინამ ამდენი აღარ იცოდა და კარს უკან ატუზული ხელებს იმტვრევდა. თან ქურისკენ ჰქონდა ყური. ის უკვე შეგუებოდა თავის ბედსა და მოვალეობას, სურვილი და ოცნება დიდი ხნის წინათ გამოეგავა გულიდან და ახლა ერთი სანატრელია ჰქონდა: არაფერი მომხდარიყო, სულ ასე ყოფილიყვნენ, როგორც იყვნენ. მას სამი მამაკაცის მოვლა-პატრონობა ევალეობდა და სამივე მამაკაცი მისთვის თანაბრად ახლობელი და ძვირფასი იყო, იმდენად ძვირფასი, ყოველ დილა-საღამოს ღმერთებს მადლობას სწირავდა, მაინცდამაინც ამ სამი მამაკაცის მოვლა-პატრონობა რომ დაევალებინათ მისთვის. პოპინას ფიქრი და საზრუნავი სახლის კედლებს არ სცილდებოდა და წელებზე ფეხს იდგამდა, რათა ამ სახლში ყველას ერთმანეთი ჰყვარებოდა, ყველა მშვიდი და ღმობიერი ყოფილიყო დანარჩენების მიმართ, რადგან, მისი აზრით, მხოლოდ სიმშვიდე, ღმობიერება და ბედთან შეგუება დაიფარავდათ უფრო დიდი უბედურებისაგან, რომელიც უნდა მომხდარიყო, აუცილებლად უნდა მომხდარიყო, და მოხდებოდა კიდეც, თუკი დროულად არ მოეგებოდნენ გონს, არ გაანებდნენ თავს ამ გაუთავებელ ჩხუბსა და ყვირილს. პოპინა ამას გუმანით გრძნობდა, ქალის უტყუარი გუმანით, და მაშინვე ასტეხდა ხოლმე განგაშს, როგორც კი მამა-შვილი ხმას აუწევდნენ. მაგრამ ვინ აქცევდა ყურადღებას მის შიშსა და წინათგრძნობას. ანდა (ასე კი ხშირად ფიქრობდა ხოლმე) კაცები იმისთვის იყვნენ გაჩენილნი, უბედურებას რომ გადაჰყოფდნენ, უბედურება რომ დაეტეხათ სხვებისთვისაც. ეს შიში პოპინას სიყმაწვილიდან დასჩემდა, იმ დღის მერე, როცა ფილამონემ სამღებროში მიიმწყვდია და გააუპატიურა. პოპინამ ვერც მაშინ გაიგო და ახლაც არ ესმოდა, რატომ მოექცა ფილამონე ასე. ამ მართლაც უცნაურ საქციელს არავითარი ახსნა არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ფილამონეც კაცი იყო და უბედურება მოჰქონდა. პოპინას ყველაფერზე მეტად უბედურებისა ეშინოდა და ამიტომაც გაუჩნდა ყველაფრისადმი მორჩილების გრძნობა. ეს გრძნობა ასულდგმულებდა და აბედვინებდა კიდეც, ყოველ დილით ფეხი გადმოედგა საწოლიდან. მან უკვე იცოდა, პატარა, უმნიშვნელო არსება იყო, ცხოვრების დანამატი, რომელსაც არ შეიძლებოდა საკუთარი ფიქრი და ოცნება ჰქონოდა, რადგან სხვათა ფიქრსა და ოცნებას უნდა შესწირვოდა. ყველას შეეძლო გაეთელა იგი, ფიქრი თუ გაიტყუებდა, ოცნებას თუ აჰყვებოდა, რამეს თუ ინატრებდა, თუნდა სხვათა უჩუმრად, თავისთვის, გულის სიღრმეში. გათელვა კი მტკივნეულიც იყო და ამაზრზენიც, მან ეს უკვე კარგად იცოდა და ცდილობდა, არაფერზე არ ეფიქრა, არაფერზე არ ეოცნება, არაფერი არ ენატრა, გარდა ამ სამი მამაკაცის სიმშვიდისა, ჯანმრთელობისა და ბედნიერებისა. პოპინას მამაკაცებში ჩაბუდებული ძალის ეშინოდა, რომელიც სხვათა მორჩილებას მოითხოვდა და არა სიყვარულს. სიყვარული აბრაზებდათ, აღიზიანებდათ და თავგზას უბნევდათ. მართალია, სამივე მამაკაცი მისი ახლობელი, მისი სისხლი და ხორცი იყო, მაგრამ პოპინას მაინც ეშინოდა მათი და ალბათ, არც გაუკვირდებოდა, რომელიმე მათგანი ისევე მოქცეოდა, როგორც ფილამონე მოექცა ერთხელ. საბედნიეროდ, ამის მსგავსი არაფერი მომხდარა ჯერჯერობით, მაგრამ ეს სრულებითაც არ კმაროდა პოპინას რწმენის შესაცვლელად.

ტომრის ჟღერიალს რომ გაიგებდა, პოპინა მაშინვე უხეიროს ოთახში შევარდებოდა, კუსა მოდისო, მიაძახებდა ყვირილისაგან სახელაუწილ მამასა და ძმას და უკანვე გამოვრბოდა, რათა ახლა შვილს მიჰგებებოდა.

კუსა ყოველთვის გაღიმებული შემოდოდა, მიიხედ-მოიხედავდა, თითქოს სხვაც უნდა დახვედროდა ვინმე. ის სხვა მამა-შვილის საუბარი იყო, მოულოდნელად შეწყვეტილი, დაფეთებული რომ დაეძებდა ოთახიდან გასასვლელს და უარესად ხმაურობდა. გაღიმებული კუსა დედას გამოხედავდა. კართან ატუზული და გულხელდაკრეფილი პოპინა თავს უაზროდ აიქნევდა ხოლმე, თითქოს თვალზე ჩამოშლილი თმის გადაგდებას ცდილობდა. კუსა კი იღიმებოდა, იღიმებოდა, იღიმებოდა და სიამოვნებისგან კაკანებდა, მისი მოულოდნელი სტუმრობით დაბნეული მამა-შვილი ერთმანეთს რომ შეჰყურებდა. "კარგია, ასე უნდაო", - ზეიმობდა კუსა გუნებაში. ყველას და მათ შორის მის პაპა-ბიძას ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩაენერგა გონებაში, რომ ის ფილამონეს ნაბიჭვარი კი არა, მეფის მოხელე იყო და უფრო მეტი მოეკითხებოდა, ვიდრე სხვებს ეგონათ.

კუსა ახლაც გაღიმებული შემოვიდა, გადატანილი მღელვარების ნასახიც არ შერჩენოდა.

- რა პირკატა გეცემათ ხოლმე? გამარჯობათ! - თქვა კუსამ და ტომარა ფეხებთან დაიდო.

უხეირო საქარგავს მიუბრუნდა, კუსა ფარნაოზს შეატოვა. ფარნაოზმაც სხვა ვერაფერი მოიგონა, დისშვილი მოიკითხა.

- მააადლობთ! - გააგრძელა კუსამ.

ცოტა ხნის მერე კი დაუმატა, არც ისე ცუდად ვარ, როგორც თქვენ გინდათ და არც ისე კარგად, როგორც მე ვინატრებდიო.

- შენი ცუდი აქ არავის გაუხარდება, - რატომღაც მკაცრად, უხეშად უპასუხა ფარნაოზმა და ოთახიდან გავიდა.

კუსამ უხეიროს შეხედა. უხეირო ქარგავდა, სახე დამშვიდებოდა, რადგან უკვე შეეღწია თავის ქვეყანაში და ამ ქვეყნისა აღარაფერი ესმოდა. კუსამ მხრები აიჩეჩა და ტომარას დასწვდა.

კუსა ფარნაოზს ქუჩაში დაეწია, გვერდში ამოუდგა და თითქოს დიდი ხნის დაწყებულ საუბარს აგრძელებდა, უთხრა: ტყუილად მებუტები, იქ თუ დავდივარ, ისევ შენი გულისთვის. ვინ იცის, რას არ ეუბნებიან პატუს, მაგრამ რა ვუყო, ილაპარაკონ. მე რაც მევალება, იმას ვაკეთებო.

ფარნაოზმა გაკვირვებულმა შეხედა, მაგრამ მაინც არ გაჩერებულა, პირიქით, უფრო აუჩქარა ფეხს, თითქოს საფრთხე იგრძნო და ცდილობდა, დროულად გასცლოდა აქაურობას. ფარნაოზმა მართლა იგრძნო რაღაც საფრთხის მაგვარი, არასასიამოვნო, შემაწუხებელი, და უნებურად დაიძაბა. მღელვარება გულსაც გადაედო და ბუდიდან ამოხტომას ცდილობდა, თითქოს გველი დაენახა, მისკენ გამოცოცებული. კუსა ისევ წამოეწია და მხარზე ხელი დაადო. ფარნაოზი გაჩერდა. კუსამ გაუღიმა, პირი ყურთან, რაც შეეძლო, ახლოს მიუტანა, შეთქმულივით მიიხედ-მოიხედა და სხაპასხუპით ჩასჩურჩულა: მე ყველაფერი ვიცი, ახლაც იქიდან მოვდივარო.

- საიდან? - ვეღარ მოითმინა ფარნაოზმა, თუმცა უკვე იცოდა, რასაც უპასუხებდა კუსა.

- ხე, ხე, საიდან! - გაიმეორა კუსამაც.

- ახლა არ მცალია, სხვა დროს ვილაპარაკოთ, - უცებ აჩქარდა ფარნაოზი და თვითონაც მოათვალიერა ქუჩა, თითქოს მათი ერთად გამოჩენა აკრძალული იყო, სახიფათო, ყოვლად წარმოუდგენელი.

ფარნაოზმა წასვლა დააპირა, მაგრამ კუსამ ისევ მხარზე დაადო ხელი, - რა ცალები გკიდიაო, - თითქმის უყვირა, მაგრამ მაშინვე დაუწია ხმას და ჩურჩულით გააგრძელა: - რა ცალები გკიდია, როდემდე უნდა იყო ასეო.

"ეგ რაღა შენი საქმეა", - გაიფიქრა ფარნაოზმა, თქმით კი არაფერი უთქვამს, გაკვირვებული შესცქეროდა დისშვილს, როგორც ბავშვი ჯადოქარს, რომელსაც ციცრის კვერცხი პირში ჩაედო და ყურიდან გამოედო.

- თუმცა შენ რა გენადვლება, გოგომ იკითხოს! - თქვა კუსამ.

ფარნაოზმა იგრძნო, როგორ წითლდებოდა, თითქოს კუსას რაღაც უხამსობა ეთქვა, თითქოს მისი დამალული სენი აღმოეჩინა და ახლა საქვეყნოდ აპირებდა მოყოლას. ფარნაოზს კი უფლებაც აღარ ჰქონდა გაეჩუმებინა, პირზე აეფარებინა ხელი, რადგან თავის დროზე არ გაუფრთხილებია, ესა და ეს მჭირს, ოღონდ ნუ გამთქვამ, ხომ იცი ხალხის ამბავი, ათასნაირ კუდს გამოაბამენო. ფარნაოზი არ ენდო კუსას, კუსამ კი მაინც გაიგო მისი საიდუმლო და ახლა, ალბათ, აღარ დაზოგავდა, თუნდაც უნდობლობისათვის, თუნდაც იმიტომ, გარეთ რომ შეიტყო ის, რისი გაგებაც საკუთარ სახლშიც შეეძლო, სხვებზე ადრე. ფარნაოზს კუსასი რცხვენოდა, იმისიც რცხვენოდა, ასე რომ იდგა: დაბნეული, უმწეო, ენაგადაყლაპული. აქამდე ერთი წუთითაც არ უფიქრია, სხვასაც თუ ეხებოდა მისი და ინოს ამბავი, მათი სიყვარულის გვამი ისე საგულდაგულოდ ეგონა დამარხული, ექვიც არ გასჩენია, როდისმე ვინმე თუ მიაკვლევდა. კუსას კი მიეკვლია, ცუდად იყო დამარხული და იმიტომ, ნაუცბათევად, ფაცაფუცით. ფარნაოზი იმ დამნაშავეს ჰგავდა, რომელსაც მსაჯულისა უფრო რცხვენოდა, ვიდრე ჩადენილი დანაშაულისა, რადგან დანაშაული დაუფიქრებლად, ბრმად ჩაედინა, გაშმაგებულს, და მხოლოდ ახლა, სამართლიანი და კეთილი მსაჯულის წყალობით გაეგო, რა შედეგი მოჰყოლოდა მის დაუფიქრებლობას, სიბრმავესა და გაშმაგებას. კუსას ნალაპარაკევიდან ისე გამოდიოდა, თითქოს ფარნაოზს ინო მოეტყუებინა, ელალატნა, გაებრიყვებინა, "იქ" დაეტოვებინა, საიდანაც აუცილებლად უნდა გამოეხსნა, საიდანაც მხოლოდ მას შეეძლო მისი გამოხსნა, მაგრამ რატომღაც საამისოდ ფარნაოზი თითქაც არ ანძრევდა, როცა ინოს თვალი გზისკენ რჩებოდა, კიდევ სჯეროდა, კიდევ არ კარგავდა იმედს და, თუმცა ფარნაოზის ნაცვლად, ერთადერთი მხსნელისა და პატრონის ნაცვლად, მისი დისშვილი გამოეცხადებოდა ხოლმე, ისიც ათასში ერთხელ, იმასაც დიდ ბედნიერებად თვლიდა, ღვთის წყალობად, და მზად იყო, კიდევ აეტანა ტანჯვა და დამცირება, თავზე საყრელად რომ ჰქონდა იქ, გულხარბი დედა-დების ხელში. კუსას ერთი თბილი სიტყვა მხნეობას უბრუნებდა საწყალ გოგოს და მართლა იჯერებდა, ფარნაოზი კიდევ რომ აპირებდა მის გამოსყიდვასა თუ მოტაცებას. კუსა კი იმიტომ ატყუებდა ასე უსინდისოდ, ბიძამისის მაგივრად რომ რცხვენოდა, პატიოსანი ბიძის მაგივრად, რომელიც სხვებს არიგებდა იქით ჭკუას, სხვებივით არ ვარდებოდა წუმპეში, რადგან სხვებისგან განსხვავებით მარტო გაძლომაზე არ ფიქრობდა, სხვებზე მეტი ესმოდა და სხვებზე მეტიც მოეთხოვებოდა. რასაკვირველია, გოგოს მოტყუებას დიდი ამბავი არ უნდოდა, მაგრამ კუსას ფარნაოზისგან

უკვირდა, ფარნაოზისგან არ ელოდა და ამიტომაც, იძულებული ხდებოდა, ათასნაირად ეთვალთმაქცა, ათასნაირად დაეყვავებინა საწყალი გოგოსთვის, რათა მასაც არ შესცვლოდა აზრი ფარნაოზზე. ფარნაოზს არ უნდა გაჰკვირვებოდა და არც უნდა სწყენოდა დისშვილის საყვედური, რადგან კუსას მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობა ალაპარაკებდა ასე, მაგრამ კუსა, რა თქმა უნდა, ბოლომდე მაინც ბიძის მხარს დაიჭერდა, თუკი ბიძა არ ითაკილებდა მის დახმარებას. კუსა სხვებს ეხმარებოდა, სხვებს უმართავდა ხელს და რა გასაკვირი იყო, ბიძასაც გამოსდგომოდა. ბიძას უფლებაც ჰქონდა ებრძანებინა მისთვის, სხვა თუ არაფერი, მისი წყალობით გაიზარდა კუსა, მისი ოფლიანი პურითა და გამონაცვალი პერანგით. მართალია, ბიძამისს ბევრი რამ არ მოსწონდა კუსასი, მაგრამ უმადურობას ვერ დასწამებდა. არც მიუხვედრელი იყო კუსა, ყველაფრის გაგებაც შეეძლო და დაფასებაც. მამამ არ იკადრა, ბიძა კი გადაჰყვა, ფეხზე დააყენა, კაცი გამოიყვანა. ახლა ბიძამისს უფლება ჰქონდა, მკლავები დაეკაპიწებინა და მოემკა მოსავალი. მისი ერთი სიტყვაც კმაროდა, კუსა ცეცხლში ჩამდგარიყო, შავთვალემა მალალოს კი არა, ურჩხულს მოსტაცებდა ინოს, თუკი ფარნაოზი დაავალეზდა, დიახ, დაავალეზდა, რადგან ამ საქმეში თვითონ არც უნდა გარეულიყო, სახელს უნდა გაფრთხილებოდა, კუსას კი, ფეხებზე ეკიდა, რას იტყოდნენ მასზე, მთავარია, ბიძის გული გაეხარებინა, დაებრუნებინა მისთვის ის, რაც ეკუთვნოდა, რაც მისი იყო, მაგრამ ბუნების უსამართლობისა და საკუთარი პატიოსნების, მორიდებულობისა თუ მოუხერხებლობის გამო დაეკარგა. "შენ ოღონდ მითხარი, ბიძაჩემო, ხე, ხე, ქალის მოტაცებას რა უნდაო", - ამბობდა კუსა და ფარნაოზს უარესად რცხვენოდა, ესიკვდილებოდა ამ საკითხზე კუსასთან ლაპარაკი, რომელიც უკვე თანამზრახველივით ამოსდგომოდა გვერდით, თუმცა ფარნაოზი ვერაფერს ვეღარ ხედავდა, თავში ავარდნილ სისხლს დაებრმავებინა და მართლა ბრმასავით უმწეო გაეხადა. კუსას ხმა ტლანქი მეგზურივით ეჯაჯგურებოდა, მაგრამ უმისოდაც აღარ შეეძლო, ქუჩაზეც ვერ გადავიდოდა, ან ორმოში ჩაუვარდებოდა ფეხი, ანდა ეტლი გაიტანდა.

- ინო მოკვდა. ინო ჩემთვის აღარ არსებობს! - როგორც იქნა ამოილულლულა, თითქოს მტერს შეევედრა, ნულარ დამკრავ, დამზოგე, ისედაც ბრმა ვარო.

წამიერი სიბრმავე ფარნაოზს საუკუნედ ეჩვენებოდა, რადგან მაინც აწუხებდა კუსას მოლიმარი სახე, თითქოს ამ სახით ჰქონდა თვალეზი ახვეული და, თუ ვეღარც მას ხედავდა, სამაგიეროდ გამუდმებით გრძნობდა, როგორც ჩამოჩაჩულსა და გაბინძურებულ სახვევს.

"ინოს ვუყვარვარ, ინო მელოდება, ინოს ჩემი იმედი აქვს, - ფიქრობდა ფარნაოზი, - არა, არ შეიძლება, ინო ხომ მკვდარია. რამდენი ხანია არ გავსულვარ სასაფლაოზე, ალბათ, ბალახმა გადაჭამა იქაურობა. ბალახიც ვერ მოვუგლიჯე, იმიტომ რომ... იმიტომ რომ, ასეთი ვარ, უნდელი და მშიშარა, სიყვარულისაც შემრცხვა, დაცინვისა შემემშინდა, ხალხი რას იტყვის-მეთქი. კუსას კი არ შეემინდებოდა, უკან არ დაიხევდა; აკი თვითონვე ამბობს, ფეხებზე მკიდია, რას იტყვიან ჩემზეო. ვილაცასთან ხომ უნდა იყო მართალი? ვილაცასთან უნდა იყო სწორედ მართალი. რადგან სხვებმაც დაინახონ შენი სიმართლე. მე კი ერთს ბევრი ვამჯობინე, მხდალი ვარ და იმიტომ; პატიოსანი მხდალი, არავის რომ არ სჭირდება, რადგან უკვე იციან, რისი მაქნისიცაა. ამიტომაც მისცეს ნება, გვერდზე გამდგარიყო, ამიტომაც დაავიწყდათ მისი არსებობა, არაფერს აღარ ელოდებიან მისგან, რადგან თავიდანვე დარწმუნდნენ, გამოუსადეგარი, მაგრამ უწყინარი ცხოველი რომ იყო. აკი მართლაც პირველსავე შეყვირებაზე გააგდებინეს პური, საერთო

ხარიხიდან რომ ჩამოიღო უკითხავად, რადგან ჯერ არ იცოდა იმ პურის მნიშვნელობა, არ იცოდა, ყველას რომ ეკუთვნოდა ის და მარტო მაინც ვერ მოერეოდა. ამას რომ მიმხვდარიყო, ერთი შეყვირება აღმოჩნდა საკმარისი, ერთი დაცაცხანება. ისიც მაშინვე გვერდზე გადაგა, თავი მოიკვდარუნა და იმ ფინჩხაზეც უარი თქვა, ალბათ მასაც რომ შეახვედრებდნენ. არა, უარი კი არა თქვა, თავისი წილი ფინჩხა გვერდზე გაათრია და მიწაში დამარხა, როგორც წუწკმა მელამ მონარჩენი საჭმელი".

"ის თავი რა იქნა, ბიძაჩემო, აი მამაშენის ქვიდან რომ გამოჩორკნე?" - ჩაესმა უცებ კუსას ხმა და ისე გულწრფელად უპასუხა: ის თავიც სასაფლაოზე მარხიაო, - თითქოს ფიქრს აგრძელებდა. მაგრამ კუსას ხმამ მაინც გამოარკვია და თუმცა მხედველობა ჯერ კიდევ არ დაბრუნებოდა, აღარ დაუცდია, ბრმასავით თავაღერილი გაუყვა ქუჩას. "შენ ოღონდ მითხარი, ბიძაჩემო, ხე, ხე, ქალის მოტაცებას რა უნდა..." - მისძახოდა კუსა და ისიც უნებურად ფეხს უჩქარებდა.

ერთი კვირის თავზე შავთვალემა მალალოს სასტუმროს დაკოდილი მეჯინიბე მოადგა. ამ ამბავმა სასტუმროში დიდი ჟრიამული გამოიწვია. ხალვათად ჩაცმული გოგონები მთავარ ოთახში გამოეფინენ. მართლაც, რა უნდა ყოფილიყო ამ ქალებისთვის უფრო საოცარი, საინტერესო და თავშესაქცევი, ვიდრე სტუმარი, რომელიც ყველაფრით კაცს ჰგავდა, მაგრამ მაინც არ იყო კაცი. დაკოდილი მეჯინიბის სტუმრობა უფრო წარმოუდგენელი იყო მათთვის, ვიდრე... ვიდრე ოყაჯადოს მობრძანება. მართალია, მისი ამბავი უკვე გაგებული ჰქონდათ და შეჩვეოდნენ კიდევაც, როგორც მოლაპარაკე თუთიყუშს, მაგრამ საკვირველი სხვა იყო. თუთიყუშმა თავისი ადგილი იცოდა, გალიაში იჯდა, მეჯინიბე კი სწორედ იქ მისულიყო, სადაც არაფერი ესაქმებოდა. ყველას ისეთი სახეები ედოთ, თითქოს პატარა გოგონები იყვნენ და ვიღაცას უზარმაზარი თოჯინა მოერთმია მათთვის, თანაც უბრალო კი არა, მოლაპარაკე და მოსიარულე თოჯინა, რომელიც ისე ჰგავდა ცოცხალს, დიდი თავშეკავება იყო საჭირო, ხელი რომ არ მოგეკიდა, არ შეკითხვოდი რამეს, აბა მეც მიპასუხებს თუ არაო. მოკლედ, შავთვალემა მალალოს სასტუმროში დიდი ჟრიამული იდგა. მეჯინიბეს ტილოშემოხვეული მძიმე საგანი ეჭირა. საგანი აშკარად მძიმე იყო, რადგან ხშირ-ხშირად აშველებდა მუხლს და კისრის მარღვებიც დასჭიმვოდა. მეჯინიბემ თავი მაღლა ასწია, ყვითელი, ნაფოტა კბილები დაკრიჭა, დაბერილი ნესტოებით ჰაერი ხრიალით შეისრუტა, გაბმულად დაიჭიხინა და ფეხების ბაკუნით ადგილზე დატრიალდა; მერე, ქალების ტკრციალი ცოტათი რომ ჩაწყნარდა, იკითხა: ინო რომელიაო, და როცა დებმა მკვდარივით გადაფითრებული ინო წინ წამოაგდეს და მიამახეს: ბედი გქონია, შენ აგირჩიაო, ტილოშემოხვეული საგანი ორივე ხელით წინ გაიშვირა და უთხრა: ფარნაოზმა მოგართვაო. დებმა ამაზედაც გადაიკისკისეს, რადგან ისე განწყობილიყვნენ საცულლუტოდ, რაც არ უნდა ეთქვა და გაეკეთებინა მეჯინიბეს, ყველაფერი სასაცილოდ ეჩვენებოდათ. ინო კი ნადირივით ეცა მეჯინიბეს ხელებში, მტაცებელი ნადირის მოულოდნელობითა და დაუნდობლობით, თითქოს ტილოშემოხვეული საგანი კი არ მოერთმიათ მისთვის, არამედ წართმევას უპირებდნენ. ვერც კი გაიგო, როდის აღმოჩნდა თავის ოთახში. ტახტზე იჯდა და მძიმე, ტილოშემოხვეული საგანი ჯერ ისევ მუხლებზე ედო, მუხლები უცახცახებდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. დიდი ოთახიდან კი ისევ ისმოდა მეჯინიბის ჭიხინი და დების ტკრციალი. "ახლა გამიშვითო", - ამოიხვიხვინებდა ხოლმე მეჯინიბე, მაგრამ უცებ ისეთი წიოკობა ატყდებოდა, აშკარა იყო, ქალები ძალით აკავებდნენ, კალთებზე ებლაუჭებოდნენ და

ისიც იძულებული ხდებოდა, ერთხელ კიდევ დაეკრიჭა კბილები, ერთხელ კიდევ დაეჭიხვინა და ფეხების ბაკაბუკით დატრიალებულიყო ადგილზე. როდის-როდის გაბედა ინომ და მუხლებზე დასვენებულ საგანს ტილო ფრთხილად მოაშორა. მრგვალი ნაცრისფერი ქვა შერჩა ხელში, მაგრამ არ გაჰკვირვებია, თითქოს ელოდებოდა კიდევ, თითქოს უბოროტოდ გახუმრებოდნენ და თვითონაც დაბნეულად მომღიმარმა გახედა კარს, რადგან სწორედ იმ დროს მისმა ექვსმა დამ ერთდროულად გადაიკისკისა. მერე ქვა ტახტზე გადადო და წამოდგა. ტილო, რომელშიც ქვა გაეხვიათ, ისევ ხელში ეჭირა. არაფერზე არ ფიქრობდა, ამ ოთახიდან უნდოდა გასვლა, მაგრამ რატომღაც ერიდებოდა, ვერ გაებედა, თავისიანებისა რცხვენოდა, არკი იცოდა რატომ. დამუშტული ხელები ათრთოლებულ ტუჩებთან მიეტანა და ოთახში წინ და უკან დადიოდა. უცებ შეჩერდა და ტახტზე დაგორებულ ლოდს გამოხედა, მერე ფრთხილად, თითის წვერებზე, ტახტისკენ წამოვიდა, თითქოს ტახტზე ბავშვს ეძინა და შიშობდა, არ გაეღვიძებინა. დიდხანს დასცქეროდა ნაცრისფერ ლოდს. დიდ ოთახში მეჯინიბე ჭიხვინებდა, მაგრამ ინოს უკვე არაფერი ესმოდა, საკუთარი გულის ბაგაბუგის მეტი. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც უთვალთვალეზდა, ჯიუტად, თვალმოუშორებლად. ის კი მონუსხულივით იდგა ტახტის წინ და ლოდს დასცქეროდა. იმის თავიც აღარ ჰქონდა, ოთახი მოეთვალეზებინა, გაექარწყლებინა ეს უსიამო შეგრძნება. შეიძლება, ეშინოდა კიდევ მოხედვისა, რადგან თანდათან უარესად რწმუნდებოდა, მარტო რომ არ იყო ოთახში. "რა მემართებო", - სცადა გამოფხიზლება ამ უეცარი გაოგნებიდან, მაგრამ არ გამოუვიდა, არ უნდოდა და იმიტომ, ეზარებოდა, როგორც დილის ძილიდან გამორკვევა, თუმცა რომელიღაც ძარღვი თუ უჯრედი განუწყვეტლივ განგაშობდა და მის დანარჩენ არსებას დაუზოგავად, მტკივნეულად მოათრევდა გაოგნების ბურანიდან, როგორც პატარა და ბასრი ანკესი უზარმაზარ თევზს. ინომ შეჰკვივლა, მოკლედ, დაგუბულად. ნაცრისფერი ლოდი ლამის ცოცხალი თვალეზით შემოსცქეროდა ტახტიდან. ახლა სახის სხვა ნაკვეთების შემჩნევაც აღარ გასჭირვებია: მის წინ ქვისგან გამოთლილი თავი იდო, გოგოს თავი, კიკინებაპრეხილი. "ეს ხომ მე ვარო", - გაიფიქრა და უნებურად სახეზე ხელი ჩამოუსვა ორეულს, თითქოს აღარ სჯეროდა, ქვისა რომ იყო. და უცებ, სადღაც სულის წიაღიდან დამრულმა ღიმილმა, სევდიანმა და უღიმღამომ, ერთი წამით, მაგრამ მაინც გამოუცოცხლა სახე, თითქოს ნიაღვარმა ვარდის ფურცელი ჩაატარაო. ახლა მართლა ორნი იყვნენ ოთახში: თვითონ და ფარნაოზის ხელით ქვისგან გამოთლილი მისი თავი, ძველი ინო და ახალი ინო, ბედნიერი ინო და უბედური ინო, მარტო ფარნაოზის ინო და მთელი ქალაქის ინო. ისინი ჯიუტად შესცქეროდნენ ერთმანეთს სახეში, თითქოს ვინც პირველად დაილაპარაკებდა, წაგებულაც ის იქნებოდა. ინოს თმის ბოლო პირში ჩაეტენა, ყელში მოწოლილი ქვითინის ხმა რომ ჩაეხშო. ამ უეცარ შეხვედრას მისი ბუნება მართლა გაეორებინა, ერთდროულად ბედნიერიც იყო და უბედურიც, პატარა, კიკინებაპრეხილი გოგოც და უკვე მრავალი მამაკაცის ხელში გამოვლილი ქალიც. ინო მუხლებზე დაეცა და ქვის გათოშილ თავს ისე მხურვალედ დაუწყო კოცნა, თითქოს მკვდარი და გასცოცხლებოდა. ანდა ხელში უკვდებოდა და, სხვა რომ ვერაფერი ელონა, ცდილობდა, კოცნით გამოებრუნებინა. თან ტიროდა, მდუღარე ჩამოსდიოდა. ცრემლმა ქვას მოშავო-მონაცრისფრო ლაქები გაუჩინა, მკვრივსა და ხორკლიან ყვრიმალეზზე მასაც ჩამოსდიოდა ცრემლი, ინოს ცრემლი, თითქოს ისიც ტიროდა. ტირილითა და ხვევნა-კოცნით ინომ გული რომ იჯერა, ტილო ბაგირივით დაგრაგნა და ქვის თავს გამეტებით გადაჰკრა, ისე მაგრად მოიქნია ხელი, შიშისაგან თვითონვე დახუჭა თვალეზი, თითქოს ქვა მის დარტყმას ვერ

გაუძლებდა, დაიჭექებდა, გასკდებოდა, დაიმსხვრეოდა და მისი ნამტვრევები ინოსაც ქვეშ მოიყოლებდა. მაგრამ ქვას არაფერი დასტყობია. ინო კი იქამდე სცემდა, სანამ მხარი არ ასტკივდა და თითები არ დაუბუჟდა. მერე გალახული თავიცა და დაფლეთილი ტილოც ტახტის ქვეშ შეაგდო და ოთახიდან ისეთი სახით გამოვიდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

\* \* \*

ნავსადგურში ძველებურად შემოდინდნენ ხომალდები, თუმცა წყალი აღარ ჩანდა, ხომალდებიდან გადმოყრილი სიბინძურე, ლორწოვანი ხავსის ნაფლეთები და ყვითელი დუმფარა ჭაჭასავით მოეგდო თავზე; მხოლოდ ნანიჩბარში ერთი წამით გაიელვებდა ხოლმე დაბზრიალებული წყალი, რათა დაედასტურებინა, ჯერ კიდევ რომ ედგა სული ჭუჭყის სქელი საფარველის ქვეშ. მეთევზეები ახლა მთელი კვირის სავალზე შორდებოდნენ ნაპირს, თევზის დევნაში ათენ-ალამებდნენ, მაგრამ მაინც ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ შინ. ნავის ფსკერს ორიოდე წვრილი თევზი თუ უბათქუნებდა კუდს, უარესად რომ გაებოროტებინა ხელმოცარული მეთევზეები. იმათაც ისლა დარჩენოდათ, ყველაფერი ბედიასთვის, თავიანთი ყოფილი მეთაურისთვის დაებრალებინათ; იქამდე არ მოისვენა, სანამ ზღვა მართლა არ გადარიო, - ბუზღუნებდნენ ისინი და უხალისოდ, უნდილად მოაცურებდნენ ცარიელ ნავებს. მედუზებით გაგლესილი ბადეც ბებერ კატასავით გამოუსადეგარი გამხდარიყო. ტყუილუბრალოდ დაათრევდნენ, მაგრამ მაინც ვერ გაეწირათ, ვერ შელეოდნენ ძველსა და ერთგულ მეგობარს. ქალაქი კი უცნაური სიკვდილის მოლოდინში იყო: დედოფალი კამა დნებოდა. სასახლის ეზოში კარვები გაეშალათ, როგორც ოდესღაც, ფრიქსეს ავადმყოფობისას, მაგრამ ვერც ახლა გაეწყოთ რამე მისნებსა და მკურნალებს; არც ასეთი სნეული ენახათ, არც ასეთი სენი. დედოფალი სითბოში შეტანილ ლოლუსავით დნებოდა; მართალია, თოვლში იწვა, ზემოდანაც თოვლი ეყარა, მაგრამ მაინც დნებოდა, ილეოდა, თვალსა და ხელს შუა იკარგებოდა. თოვლს მთიდან ეზიდებოდნენ სახედრებით. გადალურჯებული თოვლით პირმოხმულ გოდრებს წყალი წურწურით გასდიოდა, მაგრამ, როგორც სასახლიდან გამოსული ხმები ირწმუნებოდნენ, გლოვა დღედღეზე უნდა გამოცხადებულიყო. სიგამხდრისაგან კამას თვალები გაზრდოდა, ისე გაზრდოდა, ისმოდა კიდევ, როგორ იღვრებოდა სუსხიანი და დამაბრმავებელი სინათლე ამ თვალებიდან. სარკის შეჭირხლულ ზედაპირს მსახურები ყოველ წუთას წმენდდნენ, რამეთუ დედოფალს ჯერ კიდევ არ დაეკარგა იმედი, არ იჯერებდა, გარეთ რომ დატოვებდა, კარს რომ არ გაუღებდა სარკე. თოვლის ლეიბი ეგო, თოვლის საბანი ეხურა, თოვლის ბალიშზე მისვენებულიყო და სარკეს შესცქეროდა ჯიუტად. სარკეშიც მოეთოვა და გალურსულ თოვლზე დედოფლის თვალები ორ უზარმაზარ, მოელვარე ვარსკვლავით ესვენა. სხვა არაფერი ჩანდა, უძირო, უსასრულო სითეთრისა და შემაწუხებელი სიცარიელის გარდა. სარკის ბინადარი კამაც უკვალოდ გამქრალიყო სადღაც. დედოფალი კი დნებოდა, უცებ ივსებოდა ტახტის ქვეშ შედგმული ტაშტი. მთიდან ჩამოზიდულ თოვლს სასახლე გრილოებისა და ხმელი წიწვის სუნით გაეჟღინთა, მაგრამ დედოფლის გაქრობამდე ქალაქი სხვა საოცრებათა მოწმე უნდა გამხდარიყო. სიკვდილმა, ყველასათვის მოულოდნელად, ჯერ ღვინის ვაჭარ ბახას ჩააკითხა ორმოცსაფეხურიან სარდაფში, მთვრალების ჟრიამულსა და აყალმაყალში ისე მოხერხებულად ჩაიპარა და ამოიპარა, კაციშვილს არ გაუგია, ახლობლებმაც სამი დღის მერე შეიტყვეს მხოლოდ.



ღვინის ვაჭარ ბახას სიკვდილს დარიაჩანგის ბაღის გაქრობა მოჰყვა და ქალაქს კარგა ხნით გადაავიწყდა სასახლეცა და მისი ბინადრებიც.

სამი დღე და სამი ღამე კიდევ იჯდა მკვდარი ბახა თავის საყვარელ სკამზე, მუხლებს შორის განუყრელი ჯოხი ჩაედგა, ჯოხის მრგვალ თავზე ხელები კრამიტებივით შემოეწყო და ზედ ნიკაპი დაეხინა, თითქოს განვლილ ცხოვრებას გაჰყურებდა. ცხოვრება კი გრძელი იყო, მოზეიმე, ხმაურიანი, დაუქანცველი, ერთნაირად თავბრუდამხვევი თავისი სიტკბო-სიმწარით, განუმეორებლობითა და სიდიადით. ბახაც ზეიმისთვის იყო გაჩენილი, სიყვარულისთვის, დროსტარებისთვის. ასეც ცხოვრობდა, სანამ სიბერე და უძლურობა ორმოცსაფეხურიან სარდაფში ჩალაღვდა. ცხოვრება კი იმ დღეს დაიწყო, როცა პირველი ღრეობის შემდეგ ვენახში გაეღვიძა, უცნობი, მაგრამ სასურველი ქალის გვერდით. თავზე ალისფერი, თითქოს ღვინისგან სახეაღწევი ვარსკვლავები დასცქეროდნენ. ნიავს კუდით აეთრია ჩანავლებული კოცონის სუნნი და ღობე-ყორეს ედებოდა. ჭრიჭინები სულს ვერ ითქვამდნენ; ხმელი, გახურებული ბალახი ბუხრის წინ გატრუნულ კატასავით კრუტუნებდა. მათი ტანსაცმელი ჭიგოებზე ეკიდა და ნიავის ყოველ წამოქროლვაზე ისე ირხეოდა, თითქოს ისღა აგრძელებდა ცეკვას, რაკი პატრონებს არაქათი გამოსცლოდათ. თავით ღვინით სავსე დოქი ედგათ, კერპივით გაფუყული, და მხოლოდ ამ პატარა, ბალახში მთვრალივით გადაქანებულ დოქის სიგრილე ანელებდა ღვინობისთვის ჩახუთულ ღამეს. ატმის ხეზე მიბმული თიკნის პეტელს სიცილით ეხმიანებოდნენ სადღაც, ღამის ჩეროებში მათსავით ჩამალული წყვილები. მერე ერთმანეთს გადაება დღეები და ღამეები, კისკისა და მხიარული, როგორც ფერხულში ჩამდგარი ქალების ქვედაკაბებიდან გამოსხლეტილი სიშიშვლე. სიმთვრალეს სიყვარული მოჰყავდა, სიყვარულს - სიმთვრალე, გაუნელებელი და აღზნებული. ვერც ოჯახმა დაავიწყა ბახას ერთი დღის მეგობრები და ერთი ღამის საყვარლები, თავისით რომ ჩნდებოდნენ და უსასრულოდ ამრავლებდნენ ერთმანეთს, როგორც დღეები და ღამეები. ბახას რახილოც უყვარდა, არც რახილოსთან იზოგავდა თავს, მაგრამ ის მაინც სხვა იყო, ის ცოლი იყო და სხვა ქალებივით ვერ აცეკვებდა კოცონის გარშემო, თუნდაც იმიტომ, ქმრის ფეხისხმას აყოლილ რახილოს, შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს სულ სხვა კაცის მკლავზე გაღვიძებოდა ვაზის ძირში. რახილო ბრაზდებოდა და ვერც ბრაზდებოდა, რადგან ერთი ღამით მობრუნებული ბახა ერთბაშად ავიწყებდა მთელი თავის წუხილსა და მოლოდინს. "დაიმახსოვრე, მე შენი ქმარი ვარ და ეს არც ისე ცოტას უნდა ნიშნავდეს შენთვისო", - ეუბნებოდა ბახა რახილოს, როცა იგი ისევ ამაოდ შეეცდებოდა ხოლმე უცნაური ქმრის შეკავებას. რახილოსთვის მართლაც ყველაფერი უცნაური იყო, რითაც მისი ქმარი ცხოვრობდა, უცნაური და გაუგებარი. მამაც ჰყავდა და ძმებიც, მაგრამ ისე გაიზარდა, მთვრალი კაცი არ უნახავს, თუმცა სადილად უღვინოდ არ დასხდებოდნენ, პირველ რიგში ღვინით სავსე დოქს ჩამოდგამდნენ ხოლმე სუფრაზე, მაგრამ ასევე ხელუხლებელი გაჰქონდათ, თითქოს მხოლოდ სუფრის გასალამაზებლად სჭირდებოდათ; რახილო მდიდარ ოჯახში გაზრდილი ქალი გახლდათ და ფულის ყადრი იცოდა. რამდენჯერ გაუგონებიათ მეგობარ ქალებს: მთელი ქალაქი ბახას საყვარლებითაა დასახლებული, მთელ ქალაქს ეგ აქეიფებსო, მაგრამ რახილოს ის კი არ აწუხებდა, რაც მის მეგობარ ქალებს გაახარებდათ, არამედ ის, რაც მამამისსაც აცოფებდა: საიდან შოულობდა, ან თუ შოულობდა, რატომ ფლანგავდა ასე უაზროდ, ასე სულელურად, სიმწრითა და მოთმინებით მოსახვეჭელ ფულს ერთის სიმე და მეორის ქმარი. რახილო ორ ცეცხლშუა ტრიალებდა, რაც მამამისს არ მოსწონდა, იმას მეგობარი ქალები

უქებდნენ და უწონებდნენ, უწონებდნენ კი არა, შენატროდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ, რომელი ადრე მოირბენდა რახილოსთან და სხაპასხუპით მოუყვებოდა ბახას ახალ თავგადასავალს, "იმ დღეს, თურმე, სახედარზე შემჯდარს, გოგო-ბიჭების ამალით ჩაუვლია ქალაქზე" - თვალგაბრწყინებულნი, პირწყალმომდგარნი უყვებოდნენ ისინი რახილოს და ბოლოს აუცილებლად დაამატებდნენ ხოლმე: კაცი თუ ხარ, ეგეთი უნდა იყო, აბა, ჩემი ქმარი ძილში რომ გაატყაოს ვინმემ, იმასაც ვერ გაიგებსო. რახილოსაც სჯეროდა და იფერებდა კიდეც შესაშური კაცის ცოლობას, ამიტომაც იკავებდა თავს, უფრო სწორედ, თავსაც არ უტყდებოდა, თუ რა ძნელი მოსავლელი და მოსათმენი იყო ბახასნაირი ქმარი, ყველაფერს რომ გარეთ ფლანგავდა და ისღა მოჰყვებოდა ხოლმე შინ, რაც ვიღაც ოხრებს გადაურჩებოდათ. რახილო გულის სიღრმეში, მამისაგან დაფარულად, მაინც ისეთივე აზრისა იყო ქმარზე, როგორისაც მისი მეგობარი ქალები და, შეიძლება ამიტომაც, ვერ ხვდებოდა მათ ვერაგობას. რაც არ უნდა მწარე ყოფილიყო სანახევროდ უქმროდ ცხოვრება, მაინც ასე ერჩია, ოღონდ მისი ბედი ყოველთვის შესაშური უნდა ყოფილიყო სხვა ქალებისთვის. რახილო ამ რწმენით ცხოვრობდა, ხოლო როცა შვილებიც გააჩინა და მათმა ჭყავილმა ამოუვსო მოხეტიალე ქმრისგან დატოვებული სიცარიელე, მერე დროც აღარ რჩებოდა, უფრო ღრმად ჩაჰკვირვებოდა ცხოვრებას. მამა რომ მოუკვდა, უარესად მიეკედლა ქმარს, ქმარს კი არა, ქმრის სახელს, რადგან დამოუკიდებლობისა ეშინოდა, არ იყო მიჩვეული. სამაგიეროდ მამის უკმაყოფილებამ ახლა მის გულში გადმოინაცვლა, უკმაყოფილებამ კი ენა გაუმწარა და გამბედაობა შესძინა, ხოლო გამოცდილებამ დაარწმუნა, მარტო ასე შეძლებდა ოჯახისა და ქმრის სახელის შენარჩუნებას. ბახა შინ თითქოს მისი ბუზღუნისა და მწარე სიტყვის მოსასმენად ბრუნდებოდა, თითქოს ის ექაჩებოდა აქეთ, რასაც გარეთ ვერ პოულობდა. რახილო ამას გრძნობდა და არც მონატრებული კაცის ხილვისას ივიწყებდა მწარე სიტყვას, როგორც ერთადერთ იარაღს, რომლითაც ამ კაცს, ასე თუ ისე, მაინც იმორჩილებდა. "შენისთანა კაცები მამაჩემს ხელს აბანინებდნენო", - არ ზოგავდა რახილო ქარის ამოსაღებად შინ მობრუნებულ მეუღლეს. ბახა კი იღიმებოდა, იზმორებოდა და იღიმებოდა, დაღლილი და კმაყოფილი. "მამაჩემი რომ არ ყოფილიყო, - არ ეშვებოდა რახილო, - შიმშილით ამოვწყდებოდიო, შვილებიანადო". მართალია, მის ქალიშვილებს არაფერი ეტყობოდათ შიმშილობისა, მაგრამ ბახა მაინც მოიღუმებოდა ხოლმე, უცებ გამოეცვლებოდა გუნება, რადგან ერთადერთი, რისი დაყვედრებაც მართლა შეეძლო რახილოს მისთვის, სიმამრის ქონება იყო, თუმცა ბახა სხვანაირად ფიქრობდა, სხვა ყაიდის ხალხს ეკუთვნოდა და მისი აზრით ფულის დამხარჯველი არანაკლებად კეთილ საქმეს აკეთებდა, ვიდრე ფულის დამგროვებელი. ფულის დამგროვებელს ისევე სჭირდებოდა დამხარჯველი, როგორც დათოვლილ სახლს გადამბელავი. ამიტომაც იყო, ცხოვრების სახურავზე გასული, ნიჩბით რომ ფანტავდა სიმამრის ფულებს. ამით ორ კურდღელს იჭერდა: ფულის ჭიასაც ახარებდა და სიმამრის სულსაც ანთავისუფლებდა დაგროვილი ფულის სიმძიმისაგან. "რაც არ უნდა დაუგროვდეს კაცს, ყველაფერი ერთნაირად შემაწუხებელი და მავნებელიაო", - ამბობდა ბახა და ისევე ცხოვრობდა, როგორც აქამდე ეცხოვრა: არაფერს არ ინახავდა. დარწმუნებული იყო, სხვისას არ ითვისებდა, რადგან მისი სიმამრი მის შვილებს ბაბუად ეკუთვნოდათ, შვილიშვილს კი ყველაზე მეტად ჰქონდა უფლება, თუნდაც დაუკითხავად, ამოეღო პური ბაბუის კიდობნიდან. პურისთვისაც ასე ჯობდა, პურსაც ერჩია ბავშვს შეეჭამა იგი, ვიდრე მწვანე ობსა და ვირთხას. ასე ფიქრობდა ბახა, მაგრამ ცოლის სიტყვები მაინც მწარედ გაკენწლავდა ხოლმე გულში, რადგან შვილები თავს ერჩია და ერთი დღე რომ

გასჭირვებოდათ რამე, მტვირთავად დადგებოდა, გაიყიდებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, სამისოდ არ გახდომია საქმე. ცოლისთვის რომ აღარ ესმინა და უარესად არ მოეშხამა გუნება, სამივე გოგოს ერთად დაიხვავებდა ხოლმე მკერდზე გულადმა გაშოტილი და სამივეს თანაბრად უნაწილებდა მთელ თავის ავლადიდებას. "შენ ჩემი სული, შენ ჩემი თვალისჩინი, შენ კი ჩემი ჯანიო", - აპურებდა ბახა მის ფართო მკერდზე მართლაც ბარტყელებით აჟიჯივებულ ბავშვებს და ყველანი კმაყოფილნი იყვნენ, მამაცა და შვილებიც, მხოლოდ რახილო ბუზღუნებდა ძველებურად: ამდენ მუქთახორას ერთი მკვდარი კაცი გვინახავსო, და ისეთი სახე ედო, ისე გაუშმაგდებოდა ხოლმე ხმა, თითქოს შესაძლებელი რომ ყოფილიყო, დაუფიქრებლად შექამდა ბახას სულსაც, თვალისჩინსაც და ჯანსაც. მაგრამ რაც რახილოს არ შეეძლო, ის დრომ შეძლო. ბახას თანდათან ჯანმაც უმტყუნა და თვალისჩინმაც, დღითი დღე უჭირდა, დასწეოდა ცხოვრებას, ძველებურად შლეგსა და დაუდგრომელს. მისი არც დაწევა შეიძლებოდა და არც დაჭერა, ან უნდა აპყოლოდი, ან უნდა ჩამოშორებოდი საერთოდ. ბახა კი ასე იოლად ვერ შეელოდა, ვერ ჩამოშორდებოდა, ვერც დაივიწყებდა. ის კი არა, ერთ დღესაც ვერ გაძლებდა, თვალი რომ არ შეევილო მისი ჯიშინი კანჭებისთვის, მისი ხმა არ მოესმინა, ღვინითა და სიყვარულით გამთბარი ხმა. საგონებელში ჩავარდნილმა ბახამ სხვა რომ ვერაფერი გააწყო, ისევე ეშმაკობას მიმართა, ისეთი რამე მოიგონა, ცხოვრებამაც ვერ გაუძლო ცდუნებას და თავისი ფეხით ეახლა. ბახამ ორმოცსაფეხურიანი სარდაფი გახსნა და ღვინის ვაჭარ ბახად იქცა, მიწისქვეშა ტამარი ააშენა, პატარა თავშესაფარი დიდი ცხოვრებისა, და ღვთაებასავით მოიკალათა შიგ. "გულს გაუფრთხილდით. არც სიხარული დაიგროვოთ, არც მწუხარება. ერთიცა და მეორეც მე მომაბარეთ. ჩემი სარდაფი თქვენი სიხარულისა და მწუხარების სალაროაო", - ასე უთხრა ბახამ პირველ სტუმრებს და იმის მერე ორმოცსაფეხურიან კიბეზე განუწყვეტლივ ადი-ჩამოდიოდა ცხოვრება, გულს იბერტყავდა, მუხლს ასვენებდა და მეტი ხალისით მისწრაფოდა ახალ-ახალ თავგადასავლებთან შესახვედრად. ასე გადიოდა დრო, სანამ ერთ მშვენიერ დღეს უკვე დავაჟკაცებულმა და ჭკუაში ჩავარდნილმა იმანომ ბახას თვალწინ ღვინის კასრში წყალი არ ჩაასხა.

- რას შვრები?! - გაუკვირდა ბახას.

- "რას შვრები?!" - გამოაჯავრა იმანომ. - აბა, ზევით ადი, რა ამბები ხდებია?!

"გათავდა ყველაფერი", - გაიფიქრა ბახამ და თვითონვე გაუკვირდა, ასე მშვიდად რომ აღიარა ის, რასაც ამდენი ხანი გაურბოდა, ებრძოდა, ემალებოდა. "გათავდა ყველაფერი!" - კიდევ ერთხელ თქვა ბახამ გუნებაში, ამჯერად უფრო მტკიცედ, ჯიუტად.

სამი დღე და სამი ღამე იჯდა მკვდარი ბახა თავის საყვარელ სკამზე, თავის საყვარელ ჯოხზე დაყრდნობილი, და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იჯდებოდა ასე, ვიღაც მთვრალს შემთხვევით რომ არ გამოეკრა ფეხი ბახას მრგვალთავიანი ჯოხისთვის. ბოლო დროს იმდენი უცხო ხალხი ირეოდა ორმოცსაფეხურიან სარდაფში, ბევრმა არც იცოდა ღვინის ვაჭარ ბახას ვინაობა, უპატრონო მოხუცი ეგონათ, სამადლოდ რომ ინახავდა იმანო. მართალია, ღვინის ვაჭარი ბახა თავს არ უყადრებდა გალაზღანდარებულ მთვრალებს, მაგრამ გული უკვდებოდა, როცა მათი უაზრო ჟრიამული ესმოდა, ანდა როცა, ვითომ ყველაზე კეთილი, ნაწურებს მოუგროვებდა ჯამში და წინ დაუდგამდა, თან მხარზე ხელს უტყაპუნებდა და ძმაკაცივით, თანატოლივით

დასძახოდა, დალიე, შე ძველოო. ბახას ერთი სული ჰქონდა, შვინდის ჯოხით გაეჩეჩევა თავი ამ ძალად მასპინძლისთვის, მაგრამ ამავე დროს ებრალებოდა კიდევ იგი, როგორც ავადმყოფი, რომელსაც ისე მორეოდა სენი, აღარც იცოდა, რას აკეთებდა. ავადმყოფს კი ნამდვილად ჰგავდა, არაფერი ეცხო დროს გასატარებლად ჩამოსული კაცისა. ფეხზე ძლივს იდგა, ჩამოჩაჩული და მორღვეული, თვალები კი არ უბრწყინავდა, ძლივსღა ებჟუტებოდა, ნავლგადაკრულ ნაღვერდლებივით; კი არ ლაპარაკობდა, ლაყბობდა, უხალისოდ, უნდილად, გამაღიზიანებლად, თითქოს ღვინის ნაცვლად შხამი დაელია და თანდათან ერეოდა, თანდათან ართმევდა ენასაც და გონებასაც. ადრე ბახას, მთვრალი ხალხის დანახვაზე გული გაეხსნებოდა ხოლმე, თვითონაც აქავდებოდა საღვინე, ახლა კი შიშნარევი სიბრალულის გრძნობა ეუფლებოდა და ამაოდ ცდილობდა გაერკვია, რა მომხდარიყო, ხალხი შეცვლილიყო თუ ღვინო, თუ ორივე ერთად. იჯდა და ფიქრობდა, უთავბოლო ბზუილითა და ყაყანიტ თავგასიებული და შეწუხებული. ამ ფიქრში ამოხდა სულიც. ჯოხი რომ გამოაცალეს, ცოცხალივით წამოიმართა, თითქოს უზრდელ სტუმარს ყელში უნდა სცემოდა, ეს როგორღა გამიბედაო, მაგრამ მაშინვე, მოჭრილ ხესავით პირქვე გადმოემხო. მიწაზე დანარცხებისას ისე დაიქუხა, სარდაფის კედლები დაიბზარა, მტვრით აივსო იქაურობა და წყალღვინისგან ისედან გამოლენჩებული ხალხი ხველებ-ხველებითა და ფორთხვა-ფორთხვით ამოცვივდა ორმოცსაფეხურიანი სარდაფიდან. მტვერი ჯერ კიდევ არ გაფანტულიყო, კუსა რომ ჩამორბოდა კიბეზე, უკან ღვინის ვაჭარ ბახას აკვილებული ცოლ-შვილი მოსდევდა. კუსამ მაშინვე სკივრს მიაშურა, გასაღები რომ ვერ იპოვა, ცულით ააგლიჯა საკეტი და გაოცებისაგან პირი დაადო, სკივრი ცარიელი დაუხვდა, თუმცა, არც მთლად ცარიელი, სკივრის ფსკერზე ერთი კრამიტი ესვენა, ყოველმხრივ ჩვეულებრივი, ზუსტად ისეთი, როგორითაც მაშინ სახლებს ხურავდნენ ვანელები, წითელი და ხასხასა, თითქოს ეს წუთია წვიმას გადაურბენიაო ზედ. იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ყველასათვის ეს ამბავი, კუსამ ისიც იფიქრა, იქნებ კრამიტის ყალიბში ჩამოსხმული ოქროაო, კბილით კიდევ ჩამოაფშხვნა, მაგრამ გამომწვარი თიხის გემომ ეს იმედიც უცებ გაუქარწყლა. მერე, კიდევ ერთხელ რომ დააკვირდა ყურადღებით, ის კრამიტი მთლად ჩვეულებრივი არ აღმოჩნდა. კრამიტს წარწერა ჰქონდა. მოკლედ, იქამდე ატრიალა ხელში, ისე გააწვალა კრამიტი, სანამ, მოთმინებიდან გამოსული, თვითონვე არ ალაპარაკდა.

- ჩემო სიძევ, ახლა შენ იცი და შენმა კაცობამო - თქვა კრამიტმა.

ზუსტად ასე ეწერა კრამიტზე. ვისაც არ წააკითხეს, ყველამ იგივე დაადასტურა. გაბოროტებული კუსა მკვდარს მიუბრუნდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ღვინის ვაჭარ ბახას გვამი ისე გაზრდილიყო, სარდაფში აღარ ეტეოდა.

- შეხედეთ, სარდაფიც კი არ ემეტება ჩვენთვის! - იყვირა სიმამრის ამ ახალი ოინბაზობით უარესად გულზე გახეთქილმა კუსამ.

ბახა კი პირქვე იწვა, მშვიდი და უზარმაზარი, გეგონებოდათ, სარდაფში კაცი კი არა, სპილო მომკვდარაო. კუსამ უცებ გაიხსენა ბავშვობაში ფუშინისგან მიღებული გაკვეთილები, მკლავები დაიკაპიწა და ოინბაზი სიმამრის გვამი ნაწილ-ნაწილ ამოზიდა სარდაფიდან, როგორც ძველი და უვარგისი ავეჯი.

ორმოცსაფეხურიანი სარდაფი, თავის კასრებიანად, იმანომ შეისყიდა. იმანოსვე მიჰყიდა კუსამ ორსართულიანი სახლიცა და გემზანისხელა საწოლიც, როცა პატუმ ამჯერადაც მკვდარი ბავშვი გაუჩინა. კუსამ პატუს გამოშუშებაც არ აცალა, ბოხჩა გამოუკრა და რახილოს მიჰგვარა: ჩამიბარებია, შენი ქალიშვილი ქმრისა კი არა, სიკვდილის ამხანაგი ყოფილაო; მერე გალაგანს გარეთ ერთი პატარა ქოხი იყიდა და იქ გადასახლდა; თუმცა ეს ამბები უფრო გვიან მოხდა, როცა ფარნაოზი უკვე წასული იყო კრეტაზე.

ბახას მოულოდნელმა სიკვდილმა ქალაქი გამოაცოცხლა, სალაპარაკო გაუჩინა და სასეიროდ განაწყო. ამაში თვითონ ბახა იყო დამნაშავე, თითქოს მხოლოდ იმიტომ მომკვდარიყო, სიძე რომ გაეპამპულებინა. ბახასა და მისი სიძის ურთიერთობა, რაღა თქმა უნდა, ყველამ იცოდა. კუსასი არ იყოს, მათაც სჯეროდათ, მდიდარი რომ იყო ღვინის ვაჭარი და სადღაც გულის სიღრმეში შურდათ კიდეც კუსასი, ამ სიმდიდრის პატრონი რომ გახდებოდა მალე. ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ და ყველაფერი გულთან მიჰქონდათ, თავს ვალდებულად თვლიდნენ, ყველაფერში ჩარეულიყვნენ, რაც მათ ქალაქში ხდებოდა. კუსას ამბავი კი განსაკუთრებულად აინტერესებდათ. კუსაც მათიანი იყო, მათ თვალწინ გაზრდილიყო, მაგრამ მაინც გამოირჩეოდა ყველასგან. ეს განსხვავება თავიდანვე შეამჩნიეს, თავიდანვე მიიქცია მათი ყურადღება ქოჩორგადაგლესილმა და წვრილკისერა ბავშვმა, ასაკისთვის შეუფერებელ განზრახვას, გარეგნულად დამლეულ შიშსა და მოკრძალებას ყაყაოსავით რომ აებრიალებინა და საქმიანი კაცივით, მტკიცედ, ჯიუტად მიაბიჯებდა ქუჩაში, რათა დროულად გამოენახა ფულიანი საცოლე და დროულად შეესწავლა სარფიანი ხელობა, თითქოს იმ დროის ამოქაჩვას აპირებდა, გაჩენამდე რომ დაჰკარგვოდა. "ყოჩალი ბიჭიაო", - ამბობდნენ ვანელები და მისი გამოჩენა ისევე ართობდათ, როგორც ნიღბოსანი მსახიობების ჩამოვლა. მაგრამ სანამ ისინი ერთობოდნენ, კუსა მუშაობდა. იღვწოდა, იწვრთნებოდა და ძლიერდებოდა თანამოქალაქეთა წამქეზებელ სიცილ-ხარხარში. ერთ მშვენიერ დღეს კი ეს "ყოჩალი" ბიჭი საშიშ კაცად იქცა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, საამისოდ არაფერი გაუკეთებია თვითონ, უბრალოდ, რომ ერთხელაც არ უღალატნია განზრახვისთვის, მასთან ერთად ჩასახული განზრახვისთვის, რომელსაც ადრე, სანამ ბავშვი იყო, ყოჩალობაში უთვლიდნენ, რადგან დაუჯერებლად მიაჩნდათ, მართლა რომ შეძლებდა მის აღსრულებას. კუსამ კი შეძლო, უფრო მეტი შეძლო, ვიდრე რომელიმე მისმა თანამოქალაქემ, რადგან არც აზიზობის დრო ჰქონდა და არც ადათ-წესების დასასწავლად ეცალა. კუსა საშიშ კაცად ითვლებოდა, მაგრამ ვერავინ იტყოდა, რატომ უნდა შინებოდა პირადად მას კუსასი. ასეთი წარმოდგენა თავისთავად დაბადებულიყო, დროთა განმავლობაში, და საფუძვლად, ალბათ, ის უსიამო შეგრძნება ედო, დილა-საღამოს რომ უღვიძებდათ კუსას ზურგზე აბუქნავებული ტყავის ტომრის ჟღრიალი. ამიტომაც იყო, კუსას გამოჩენისას უხერხული, თითქოს დანაშაულის მაღიარებელი დუმილი რომ ჩამოვარდებოდა ხოლმე, როგორც ცულლუტი ბავშვებით გავსებულ ოთახში, სადაც ბრაზიანი გადია შემოიხედავს მოულოდნელად. ბახას სიკვდილმა და კუსას გაბითურებამ რაღაცნაირი, საკუთარი სინდისისგანვე აკრძალული სიხარული გაუჩინა ვანელებს, თითქოს ვიღაცას მათი ჯავრიც ამოეყარა, მაგრამ ანგარიშწორებისას მთლად სამართლიანად ვერ მოქცეულიყო. კუსა დაჩაგრული კაცის როლში გამოდიოდა, თუმცა მისი უბედურება ღიმილს უფრო იწვევდა, ვიდრე თანაგრძნობას. ხოლო კუსას გაცურება თავისთავად იმდენად ბევრს ნიშნავდა, ისეთი წარმოუდგენელი რამ გახლდათ, ჩვეულებრივი ოხუნჯობის ფარგლებს სცილდებოდა. ბახა კი მომკვდარიყო, მაგრამ კუსა, თანაც გამწარებული, არც მკვდარს

მოერიდებოდა. ასე რომ, ქალაქი დიდი ამბების მოლოდინში ათენ-ალამებდა. ყველას პირზე ეკერა სიმამრის ოინზაზობისა და სიძის გაბითურების ამბავი. მაგრამ ამჯერად უნდა გაწბილებულიყვნენ და ბევრ რამეზე აზრიც უნდა შეეცვალათ. მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა. კუსას თავდაჭერილობამ და სულგრძელობამ ყველას პირი მოუკუპრა, ყველანი დაანამუსა და ღრმად ჩააფიქრა. იმის ნაცვლად, უპირო და ოინზაზი სიმამრის გვამისთვის ძაღლები მიექსია, ხოლო მისი ცოლ-შვილი ქუჩაში გამოეყარა, კუსამ ღვინის ვაჭარი ბახა მოოქროვილ სარკოფაგში ჩაასვენა, ცოლსა და ცოლისდებს საკუთარი ხელით შეაჭრა ნაწნავები და მთელ ქალაქში მოპატიჟები დაგზავნა. "საწყალ ბახას ათი ვაჟიშვილი რომ ჰყოლოდა, ისინიც ვერ მოუვლიდნენ ასეო" - ამბობდნენ გაცეხული ვანელები, შვერდომილი ტყვეებით გულხელდაკრეფილნი, ჯგუფ-ჯგუფად რომ იდგნენ მიცვალებულის ეზოში და თითქოს შესაფერ დროს უცდიდნენ, რათა შემწყნარებლისთვის ერთხელ კიდევ ეთქვათ მადლობა და მხოლოდ ამის მერე მიეღოთ ნაჩუქარი თავისუფლება. კუსა კი მართლა ჰგავდა გამარჯვებულ სარდალს, ოდნავ რომ დაუმწუხრებია ღირსეული მოწინააღმდეგის დამარცხებას და ეს უფრო თვალსაჩინოს ხდის მის სიძლიერესა და კეთილშობილებას.

ფუშიანს მთელი ნახირი დაეხოცა, საქონლის თავ-ფეხი ზვინებად იდგა, თვითონ კი სისხლიან ტახტზე წახრილიყო და ხორცსა კეპავდა, თან კუსასკენ იხედებოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის შეამჩნევდა ნამოწაფარი. მართალია, კუსა მის ხელობას არ გაჰყოლია, მაგრამ გულის სიღრმეში თავის დამსახურებად თვლიდა კუსას წარმატებას, თუნდაც იმიტომ, პატარა ბიჭი რომ ახსოვდა, წვრილკისერა და ქოჩორგადაგლესილი. ქარიანი დღე იყო, კვამლისაგან ყველას თვალები ჩასწითლებოდა. ნავლი დაკუწულ აბლაბუდასავით დაფრინავდა ჰაერში. კუსა და ფარნაოზი შუა ეზოში იდგნენ. სახლიდან ღვინის ვაჭარ ბახას ცოლ-შვილის წივილ-კივილი ისმოდა.

- თავიანთ თავსა სტირიანო - თქვა კუსამ და გაიღიმა.

მერე დაიხარა, ქვა აიღო და ძაღლს ესროლა. ძაღლი წკავწკავით წამოვარდა, მაგრამ შორს არ წასულა, თითქმის იქვე ჩაცუცქდა და ისევ ფუშიანს მიაჩერდა სისხლიან ხელებში. ფუშიანმა ხმამაღლა გაიცინა, მაგრამ კუსას არც ახლა შეუხედავს მისთვის.

- ვისია ეს ოხერი, - დაიწყო ფუშიანმა, იფიქრა, ახლა მაინც გამოველაპარაკები ჩემს ნამოწაფარსო, მაგრამ კუსა ისე აიძრიზა, შეშინებულმა ფუშიანმა ლამის თითებში ჩაირტყა ცული. - მოგხვდა თუ არა! - ახლა ძაღლს გასძახა ფუშიანმა, მაგრამ ხმამ უმტყუნა, ცული იღლიაში ამოიდო, ტახტის კიდეზე შემოდგმულ ხელადას მისწვდა და მოიყუდა. ხელადასაც სისხლი მიშხეფებოდა.

- არ მიყვარს ეგ კაცი. სანამლეოზე ცოცხალ ქათამსა ჭამს. ნაწლავებიანად. ფუი! - გადააფურთხა კუსამ ფუშიანისკენ, ტუჩები ხელის ზურგით მოიწმინდა და გააგრძელა: - სანამ თავსა ჭამს, აფართხალებული ტანი მუხლებით უჭირავს. რა გაასწორებს ამ ქვეყანას, ბიძაჩემო, ჰა?

ფარნაოზს არაფერი გაუგია, რადგან სწორედ ამ დროს ეზოში შავთვალემა მალალო შემოვიდა თავის შვიდივე ქალიშვილთან ერთად. შავთვალემა მალალომ ზუზუნით გადაჭრა ეზო, თან უზარმაზარ მკერდზე გველებივით გალურსულსა და აბრჭყვიალებულ მძივებს ისწორებდა. ყველაზე ბოლოს იწო მოდიოდა. უკვე კუსასაც დაენახა ისინი და ფარნაოზს გაღიმებული შესცქეროდა. "მერე რა მოხდა, სამძიმარზე მოსვლას ხომ ვერ დაუშლიდაო", - ფიქრობდა

ფარნაოზი, მაგრამ გრძნობდა, როგორ წითლდებოდა, როგორ ეფაკლებოდა სახე. ერთი შეხედვით თითქოს მართლა არაფერი იყო უცნაური, ყველას ჰქონდა სამძიმარზე მოსვლის უფლება, მაგრამ, რატომღაც, ერთი წუთითაც არ უფიქრია, შესაძლებელი თუ იყო ისინიც მოსულიყვნენ აქ. რაც არ უნდა ეთვალთმაქცა ფარნაოზს, როგორც არ უნდა მოეტყუებინა თავი, ისინი მაინც არსებობდნენ, ხალხში ერივნენ და ისევე ცხოვრობდნენ, როგორც სხვები, დღეობაზეც დადიოდნენ და სატირალშიც; არაფერი არ იყო ამაში გასაკვირი, ან ისინი რატომ ამოიკვეთავდნენ ფეხს, ან ქალაქი რატომ უნდა გაჰბუტვოდა მათ ერთი სულელი ბიჭის გამოპანღურების გულისთვის. რასაც ფარნაოზის გულში ღია, მოურჩენელი ჭირილობა გაეჩინა, ის ქალაქისთვის ერთი დღის თავშესაქცევი ამბავი იყო, ბავშვების ცულლუტობა და მეტი არაფერი, და მართლაც, ფარნაოზის გულის დანახვა შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ალბათ, ყველანი გაოცებისაგან პირს დააღებდნენ, შეწუხდებოდნენ კიდეც, მაგრამ სულელად ჩათვლიდნენ; ის ცინგლიანი გოგო, რომელსაც ფარნაოზის გულზე თავისი ნაკბილარები დაეტოვებინა, როგორც თავგს ნაზუქზე, უკვე ძალიან დიდი ხნის წინათ გამქრალიყო, კი არ გამქრალიყო, გარდაქმნილიყო, საბოლოო სახე მიეღო, რადგან ასეთი სჭირდებოდა ქვეყანას, ჩამოყალიბებული და დასრულებული. ინოს სიკვდილი და დამარხვა შეურაცხყოფილი, გულმოკლული ბავშვის ოცნება იყო მხოლოდ, თავგანწირული, უკანასკნელი გაბრძოლება ბუნებისა და ცხოვრების წინააღმდეგ, რათა ის მაინც შეენარჩუნებინა, რაც სხვებისთვის არ არსებობდა, ანდა თუ არსებობდა, არავის სჭირდებოდა. რაც არ უნდა ძნელი შესაღვეი ყოფილიყო ეს ოცნება, დრო მაინც თავისას აკეთებდა, ყველაფერს თავის სახელს არქმევდა, აშიშვლებდა, ამჟღავნებდა, ანდა სამუდამოდ ჩქმალავდა. ფარნაოზმაც, რა თქმა უნდა, იცოდა, ნამდვილი ინო ცოცხალი რომ იყო და სწორედ ის ცოცხალი ინო იყო ყველაზე დიდი მტერი ბავშვობიდან გადმოყოლილი ოცნებისა, ცოცხალ ინოს მართლა შეეძლო კიკინებაპრეხილი გოგოს მოკვლა, განადგურება, ამოძირკვა, თუმცა ინოსთან შეხვედრას, ინოს დანახვას უფრო ძნელად წარმოიდგენდა ფარნაოზი, ვიდრე... მკვდრის გაცოცხლებას. მაინც განუწყვეტლივ ჰქონდა ამის მოლოდინი. იმ დღის მერე, როცა პირველად და უკანასკნელად გამოვიდა შავთვალემა მალალოს სახლიდან, შეგნებულად არიდებდა თავს მეორე, ცოცხალ ინოზე ფიქრს, ქვასთან კირკიტიც თავიდანვე მხოლოდ და მხოლოდ ამ ფიქრის დასაფრთხობად მოიგონა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არაფერი არ სდომებია ისე მტანჯველად, ისე აუტანლად და ისე ბავშვურად, როგორც იმ მეორე, ცოცხალი ინოს დანახვა, დაკარგული ინოს დანახვა, რომელიც ადვილი შესაძლებელია, ვეღარც კი ეცნო. მკვდარ ინოზე დრო არ მოქმედებდა. ის ისევ პატარა, ჭორფლიანი და კიკინებში წითელჭინჭებჩაწნული გოგო იყო და სწორედ ეს სხვაობა იზიდავდა ფარნაოზს, სხვაობა მკვდარსა და ცოცხალ ინოს შორის, თავისკენ ექაჩებოდა, აფორიაქებდა, აინტერესებდა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, გარდაქმნილ ინოსთან შეხვედრის იმედიც სავერაგოდ მოეგზავნათ მასთან. ბედისგან ნამდვილად ვერაგობა იქნებოდა, მართლა რომ შეეხვედრებინა ფარნაოზი ცოცხალ ინოსთან. ცოცხალი ინო იმ ჭორფლიანი და კიკინებაპრეხილი გოგოს სახესაც სამუდამოდ წაართმევდა ფარნაოზს, დაკარგულ ბეკეკასავით, ეკალბარდში გახლართულ ბეკეკასავით გამოდენიდა ფარნაოზის გონებიდან და წინ გაიგდებდა, უფრო სწორედ უკან, გარდასულ დღეთა, ჩვენებათა და გრძნობათა აშმორებულ ფარეხში გამოკეტავდა სამუდამოდ, რადგან იქ ჰქონდა მხოლოდ ადგილი. მაგრამ ცდუნებაც დიდი იყო, ძნელად მოსარევი, დაუოკებელი. ხომ შეიძლება, ხსოვნაში სამუდამოდ ჩაკირული გოგოს სახეზეც მხოლოდ და მხოლოდ უძლური და უდღეური ოცნების ნაყოფი ყოფილიყო?! ეს კი ყველა

უბედურებაზე დიდი უბედურება იქნებოდა, რადგან მაშინ ფარნაოზის არსებობაც ეჭვის ქვეშ დგებოდა, უფრო მეტიც, საერთოდ ეკარგებოდა აზრი და მნიშვნელობა მის არსებობას, თუკი ტკივილიც, რომელსაც დაფარული, ბოლომდე გაურკვეველი სიამაყით საკუთარ დამლად, ხელშეუხებელ უფლებად და დროშად თვლიდა, მოგონილი, თითიდან გამოწოვილი აღმოჩნდებოდა ბოლოს. ინოსთან შეხვედრა კარგს არაფერს ჰპირდებოდა ფარნაოზს, მაგრამ მთელი მისი არსება, დამფრთხალი და აგზნებული, ამ შეხვედრას ესწრაფოდა და აღარც იმის თავი და სურვილი ჰქონდა, სუფუძვლიანად გაერკვია, რა ექაჩებოდა ასე: გაწბილების სურვილი, იმედის ვერაგობა თუ მიმზიდველი ძალა უბედურებისა. კუსას იმდღევანდელმა გულახდილობამ კი საბოლოოდ დაარწმუნა ამ შეხვედრის გარდუვალობაში. ინო ნამდვილად არსებობდა, არა მარტო არსებობდა, ფარნაოზი ახსოვდა და თურმე კიდევ ჰქონდა მისი იმედი. მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო: ინოს არსებობის დადასტურება კი არა მეორე კაცის მიერ, არამედ, თვითონ ის მეორე კაცი. კუსას იმდღევანდელმა საქციელმა, თავისი მოულოდნელობითა და სიდიადით, რაღაცნაირად დათრგუნა და აღაფრთოვანა კიდევ ფარნაოზი, თითქოს ხანგრძლივი და დამაბული ძებნის შემდეგ სრულიად შემთხვევით აღმოეჩინა საგანი, რომელიც თურმე ცხვირწინ ედო, კი არ დაკარგულიყო, თვითონ ვერ ამჩნევდა, რადგან თვითონ იყო დაბნეული, უყურადღებო და, რაც მთავარია, თავიდანვე შესჩვეოდა ამ საგნის დაკარგვას, თუმცა მაინც ეძებდა, უფრო სწორედ, უნებურად, ჩვეულების გამო აგრძელებდა ძებნას, რადგან გამაღიზიანებლად გრძნობდა, როგორ გადაჩვეოდა, ამ ხნის განმავლობაში როგორ დავიწყებოდა ამ საგნის მნიშვნელობა და დანიშნულება. საგანი, რომელსაც ფარნაოზი დაკარგულად თვლიდა, კუსა აღმოჩნდა, მისი საკუთარი დისშვილი, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. კუსა აღმოჩნდა, ან შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ის მეორე კაცი, ურომლისობაც ასე აწამებდა ფარნაოზს. მართალია, კუსამ ბევრი მწარე სიმართლე უთხრა, სულის ყველაზე დამალულსა და მგრძობიარე ადგილსაც შეეხო მტკივნეულად, მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო: კუსა თანაგრძნობას უცხადებდა, დახმარებას სთავაზობდა, ეს კი თავისთავად უკვე ბევრს ნიშნავდა, იმდენად ბევრს, ფარნაოზს თავზარიც კი დაეცა, თვალთ დაუბნელდა, გაუჭირდა ერთბაშად აღექვა ყველაფერი, რაც კუსასგან გაიგო, ხოლო როცა აღიქვა, კმაყოფილება კი არ იგრძნო, კი არ დამშვიდდა, რაც უფრო ბუნებრივი იქნებოდა, არამედ შეწუხდა, დაიბნა და დაიმორცხვა კიდევ, თითქოს დაუმსახურებელ ჯილდოს აჩეჩებდნენ, დაჯილდოების ღირსად თვლიდნენ, თუმცა მას საამისოდ არაფერი გაეკეთებინა. დამჯილდოებელს, დამთრგუნველად გულუხვს, შეგნებულად თუ უნებურად, ისეთი რამ შეერჩია ჯილდოდ, ფარნაოზსაც გაუჭირდებოდა უარის თქმა. ეკუთვნოდა თუ არ ეკუთვნოდა, სწორედ ის სჭირდებოდა, ჰაერივით, ჰაერზე მეტად და ახლა მხოლოდ მას უნდა გადაეწყვიტა, მიეღო თუ უარი ეთქვა ჯილდოზე, რომელიც არ დაემსახურებინა, მაგრამ სჭირდებოდა. უარიცა და თანხმობაც ერთნაირად ძნელი სათქმელი იყო, ორივე თანაბრად მომხიბვლელი და ამავე დროს თანაბრად ამაზრზენიც ჩანდა; ორივეს ცდუნების სუნი ასდიოდა. საბედნიეროდ, იმის მერე კუსა აღარ გამოჩენილა, თითქოს მასაც ეგრძნო ბიძის გასაჭირი და მოსაფიქრებლად დროს აძლევდა. ფარნაოზი ვერც წარმოიდგენდა, ვინმესთან და განსაკუთრებით თავის საკუთარ დისშვილთან თუ მოუხდებოდა როდისმე ინოზე ლაპარაკი, მაგრამ როცა მარტო დარჩა, ტახტზე მიწვა და ფაცაფუცით აღადგინა დილანდელი საუბარი, გული გაუთბა, გაებერა, რულისმომგვრელი, დამამშვიდებელი სევდა დაეუფლა და როდის-როდის იგრძნო, ტიროდა. ამ უნებურ სისუსტეზე თვითონვე გაეღიმა, ტკბილად,



ბავშვურად, და იმ წუთას მართლაც ჰგავდა ბავშვს, რომელიც ერთი წუთის წინ მარტო ეჩხუბებოდა უბნის ბიჭების მთელ ხროვას, საკუთარი სიპატარავითა და უმწიობით აღზნებული და გაკერპებული, ჯიუტად, ბრაზიანად მიიწევდა უკვე ნირწამხდარი ბიჭებისკენ, მაგრამ მოულოდნელად გამოჩენილ ქომავს, გაუთვალისწინებელ თანაგრძნობას ისე გაეხედნიერებინა, აღარც თავი ჰქონდა და აღარც სურვილი, წინააღმდეგობა გაეწია ცრემლისთვის, თავისით, ლაპაღუპით რომ ჩამოსდიოდა დასისხლიანებულ ღაწვებზე. ის ბედნიერებისგან ტიროდა, ხოლო რადგან ბედნიერი იყო, აღარც ტირილის რცხვენოდა. რა თქმა უნდა, შემამოფოთებელიც ბევრი იყო კუსას ნათქვამში, მაგრამ მარტო იმის შეგრძნება, რომ მისი სატკივარი სხვასაც აწუხებდა, სხვასაც აფიქრებდა, აინტერესებდა, იმდენად სასიამოვნო აღმოჩნდა, იმდენად იშვიათი და აუცილებელი, ფარნაოზი დიდხანს არიდებდა თავს სინამდვილის მეორე მხარეს, ერთიანად რომ გაემურა და გაეფიცებინა საგანგაშო კოცონის ბოლსა და ალმურს. ათასში ერთხელ, ისიც ერთი წამით, ჯოჯოსავით გადაახობდებოდა ხოლმე გულზე იმის გაფიქრება, ვაითუ, კუსა მართლა მივიდეს შავთვალეზა მალალოსთან და სიკეთის ნაცვლად დათვური სამსახური გამიწიოსო. ფარნაოზი ინოს არ შეირთავდა, ამისმაგვარ აზრს ფიქრშიაც ვერ გაივლებდა, რადგან ინოზე უცხო ქალი არც არსებობდა და ალბათ არც იარსებებდა მისთვის, ხოლო ის, კიკინებაპრეხილი გოგო მართლა დიდი ხნის მკვდარი იყო და მისი ჭრელაჭრულა ძონძების საქვეყნოდ გამოფრიალებას ფარნაოზი არავის აპატიებდა, კუსასაც კი, თუმცა, ახლა კუსას დაეპყრო მთელი მისი არსება, როგორც პირველ სიყვარულს სულელი და გამოუცდელი გოგო, სული რომ მისდის, როდის გაიპარება შინიდან და თავგანწირულად, ბრმად, მთელი არსებით მიენდობა მომლოდინე გულისსწორს, რომელიც სულ ერთხელ უნახავს, წესიერად არც დალაპარაკებია, მაგრამ მასზე ახლობელი და ძვირფასი არავინ ეგულება ქვეყანაზე; თან იმასაც გრძნობს, მისი ასეთი ნაბიჯი მშობლებს დააღონებს, პატიოსან სახელს შეუბღალავს და შეარცხვენს, მაგრამ არჩევანი მაინც აუცილებელია, რადგან ორივენი, გულისსწორიცა და მშობლებიც, მასზე ძლიერები არიან. ერთი დამლუპველი სითამამით იზიდავს, მეორე კი დაკანონებული, შეჩვეული, ერთფეროვანი, მაგრამ საიმედო სიმშვიდით.

ფარნაოზს მოსვენება დაეკარგა, ვეღარც საქმეს უდებდა გულს და სუფრასთანაც კრიჭამეკრული იჯდა, ყველაფერი აღიზიანებდა, უბრალო რამეზეც ისეთ ამბავს ასტეხდა, შემინებული ქალები კუთხეში მიიბუზებოდნენ ხოლმე, სიტყვის შებრუნებას კი ვერავინ უბედავდა. საკმარისი იყო, პოპინას ან ქალუკას კუსა ეხსენებინა, ფარნაოზი მაშინვე პირში ეცემოდა, თითქოს ისინი კუსას მტრები იყვნენ და ფარნაოზის თანდასწრებით აპირებდნენ მის განქიქებას. "ჩვენა ვართ ცუდები, ჩვენ. კაცი შინიდან გავაგდეთ და კიდევ იქით ვსაყვედურობთო", - ყვიროდა ფარნაოზი და იმ წუთას ისე ემსგავსებოდა მამამისს, პოპინა უნებურად უხეიროს ოთახის გამოკეტილ კარს გახედავდა ხოლმე. ღამით კი, თვალდაჭკვეტილი, გულაღმა იწვა ტახტზე, მადლიერების გრძნობით გულაჩუყებული, და ოცნებობდა, ისეთი რამე შემთხვეოდა კუსას, მარტო მას შეძლებოდა დახმარება. ერთადერთი, რაც ამ სიამტკბილობას უშხამავდა, ისევ და ისევ ინო იყო, ცოცხალი ინო, კუსას ნაცნობი ინო, მისი იმედით რომ უწვებოდა თურმე მთელ ქალაქს და მისი უყურადღებობით რომ ამართლებდა თავის მეძაობას. "კუსას რა ბრალია, - ფიქრობდა ფარნაოზი, - ალბათ ასე ეუბნებიან და იმასაც სჯერაო". ლოგინში აწრიალებული ფარნაოზი ყოველღამე ერთსა და იმავე გადაწყვეტილებას იღებდა, უთენია დახვედროდა სასახლისკენ მიმავალ კუსას და ყველაფერი გულწრფელად მოეყოლა, აეხსნა, საქმეში გაერკვია დროულად, რათა უნებურად

მართლა არ ჩაედინა ის, რისი გამოსწორებაც მერე აღარაფერს შეემძლებოდა. მაგრამ დღის სითბო და სინათლე მის თითქოსდა მტკიცე გადაწყვეტილებასაც ჭირხლივით უცებ ადნობდა, მაშინვე რწმუნდებოდა, ასე უბრალოდ ველარ მივიდოდა კუსასთან, შეიძლება იმიტომაც, მისი სიახლოვე, მის გვერდით ყოფნა გაუნელებელ მოთხოვნილებად რომ გადაქცეოდა უკვე. ფარნაოზი დავალებულად თვლიდა თავს კუსასგან და ჯერ თვითონაც რამე უნდა გაეკეთებინა, რამეთი უნდა დაემტკიცებინა ერთგულება, მისასვლელი პირი რომ ჰქონოდა. ცოდვა გამხელილი ჯობია და ბახას სიკვდილმა სხვანაირად გაახარა ფარნაოზი, რადგან საშუალება ეძლეოდა, უბედურების ჟამს გვერდში ამოსდგომოდა დისშვილს. მართლაც ის დღეები ერთი წუთით არ მოშორებია კუსას, ერთი წუთით არ ჩაუმუხლია, პატარა ბიჭივით დარბოდა ყოველ წვრილმან საქმეზე, თითქოს სხვები ვერ გააკეთებდნენ, ანდა ისე ვერ გააკეთებდნენ, კუსას მოსწონებოდა, კუსა კმაყოფილი ყოფილიყო. გაოფლილსა და მტკვერში ამოგანგლულ ფარნაოზს კუსა თავს გადაუქნევდა ხოლმე, მერე, ღიმილისგან პირგახეული, გვერდზე გაიყვანდა და ეუბნებოდა: კაცო, სირცხვილია, გაჩერდი... შენ სულ სხვა რამისთვის მჭირდებიო, ამას კი ისეთი ხმითა და სახით ამბობდა, ფარნაოზს ტანი ებურძგნებოდა და ბავშვობიდან აკვიატებული შიში, მოსალოდნელი მარცხისა და გაწბილებისა, გველივით წამოუყოფდა ხოლმე თავს, სადღაც სულის ყველაზე ბნელსა და მიყრუებულ კუთხეში. ფარნაოზი ამასაც თავის თავს აბრალებდა, თვითონ მე ვარ ასეთი, ყველაფერი შებრუნებით მესმისო, ბრაზობდა წამიერი უნდობლობით აფორიაქებული და უნებურად თვალს არიდებდა დისშვილის მოღიმარ სახეს, მინის ჭურჭელივით სუფთასა და პრიალას, მოვარდისფრო სითხეს ოდნავ რომ შეუფერავს შიგნიდან.

როცა ეზოში შავთვალემა მალალო და მისი ქალიშვილები შემოვიდნენ, ფარნაოზი სახტად დარჩა, ტანმა უგრძნო, რაღაც უნდა მომხდარიყო, ახალი და იდუმალი, ყველაფერს რომ შეარყევდა და შეცვლიდა თავისი სიახლითა და იდუმალებით. ფარნაოზს გაქცევა მოუნდა, როგორც მაშინ, დიდი ხნის წინათ, როცა დარიაჩანგის ბაღში შუბუმ კუსას დაბადება აუწყა. ფარნაოზი მართლა გაიქცეოდა, კუსასი რომ არ შერცხვენოდა. რატომღაც ახლა, შუა ეზოში გარინდულს, ყველაზე ძალიან კუსასი რცხვენოდა, ერჩივნა მიწა გახეთქოდა, მეხი დასცემოდა, ადგილზე მომკვდარიყო, ოღონდ კუსას არ დაენახა ისინი, ასე თამამად, ასე გამომწვევად რომ მოაბიჯებდნენ ეზოში, თითქოს ამოდენა ხალხი ბახას საპატივცემულოდ კი არა, მათ სანახავად შეკრებილიყო აქ. ფარნაოზმა ისიც დაინახა, როგორ გამოცოცხლდა, აჩოქქოლდა და აჩურჩულდა სამძიმარზე მოსული ხალხი, აქამდე გულხელდაკრეფილი და თავჩაქინდრული რომ იდგა. მოეჩვენა, თითქოს ყველანი მისკენ იხედებოდნენ, თითქოს ფარნაოზს მოეყვანა ისინი და თვითონ ფარნაოზსაც ასეთი გრძნობა ჰქონდა, რადგან გულის სიღრმეში თავისიანებად თვლიდა იმათ, თავისი ფიქრის ბინადრებად, მისივე უყურადღებობის გამო უდროო დროს გამოხეტებულებს სააშკარაოზე.

- მობრძანდნენ თუ არა?! - ჩაესმა ფარნაოზს კუსას ხმა. - კაცი არ ვიყო, ამ სულძაღლის ქელები ქორწილად თუ არ ვაქციო - ამბობდა კუსა და თან ფარნაოზს შესცქეროდა სახეში.

"ახლა რაღაც მოხდება, უნდა მოხდეს", - გაიფიქრა ფარნაოზმა და ცოტა ხნის მერე ლოცვასავით გააგრძელა: მოხდეს, რაც მოსახდენია, ოღონდ მალე, ახლავეო.

- რატომაც არა?! მაღლობა თქვან, თუკი დავინათესავებთ! - ხმას აუწია კუსამ.

არა, კუსა ჩვეულებრივად ლაპარაკობდა, მარტო ფარნაოზის გასაგონად, ფარნაოზს კი მისი ლაპარაკი ყვირილად ესმოდა და ყურები უბჟუოდა, ისიც ვერ მოეხერხებინა, დისშვილი გაეჩუმებინა. თავჩაქინდრული იდგა, რადგან დარწმუნებული იყო, ყველანი მათ უყურებდნენ. "ახლა ამის დრო არ არის, ახლა ამის დრო არ არისო" - თავისთვის იმეორებდა ფარნაოზი, კუსა კი თავისას აგრძელებდა: ჩვენი ოჯახი სხვაა, ჩემი სიმამრი კი მეტის ღირსი მართლა არ იყო, ცოლ-შვილს კი არა, ლოთებსა და მეძავეებს მოუკვდა და აი, ეახლნენ კიდევაცო. თუ გგონია, რომ ამოდენა ხარჯი იმ წუწურაქისთვის გავწიე, ძალიან შემცდარხარ, შენი ნანატრი დღე უნდა გავათენო, ბიძაჩემო... და ვინ იცის, კიდევ რას არ ამბობდა კუსა. ფარნაოზი რამდენჯერმე მოკვდა და გაცოცხლდა, რამდენჯერმე განიცადა სიკვდილის ნეტარებაცა და გაცოცხლების სიმწარეც, ხოლო როცა საბოლოოდ გამოერკვა, გაუკვირდა, კიდევ არ გამოუსვენებიათ?

- ფარნაოზ! - დაუძახა კუსამ.

- ჩემი ბრალია... - თქვა ფარნაოზმა.

- ხომ არ გაწვიმდება ჰა, რას იტყვი, ბიძაჩემო? - თქვა კუსამ.

ფარნაოზმა უნებურად ცას ახედა... მოწმენდილ ცაზე თეთრი, გამჭვირვალე ღრუბლები ერთმანეთს გაურბოდნენ.

- მაგ დამპალმაც პატიოსნებაზე დამიწყო ლაპარაკი, - თქვა კუსამ, - ქალთან შენ დადიოდი, ახლა ბიძას როგორღა უნდა მიათხოვო. გესმის? საქმეში გამიყვანა. ნუ გეშინია, მეც კარგები ვუთხარი.

- ჩემი ბრალია, - გაიმეორა ფარნაოზმა.

- შენი ბრალია, რაღა თქმა უნდა, შენი ბრალია. როცა ამ ხნის კაცს ცოლი არა ჰყავს, აღარც ხალხს გაემტყუნება, რაღაც-რაღაცებზე დაეჭვდეს. ხე, ხე, - ჩაიცინა კუსამ, მერე ყასაბს გასძახა, როგორ მიდის საქმე, ფუშიანო, მაგრამ პასუხს არ დაელოდა და ისევ ფარნაოზს მიუბრუნდა: - შენს სასიდედროსაც ვერე მოვახსენე, ქალო-მეთქი, მე ცოლიც მყავს და დღე-დღეზე შვილსაც ველოდები-მეთქი, ჯერ ბიძა დამაბინავებინე, ეგებ კიდევ ეშველოს რამე და მთლად უძიროდ არ გადაეგოს ეს პატიოსანი ოჯახი-მეთქი. იცი რა მითხრა?

სწორედ ამ დროს ქუჩაზე დაკოდილმა მეჯინებმა ჩაირბინა, ისეთი სახე ედო, გეგონებოდათ, ცოფიანი ძაღლი გამოჰკიდებიაო. უცებ მოტეხილიყო, ოფლის ოხშივარი ასდიოდა, თითქოს გაცელქებულ ბავშვებს კისერზე გადაცმულ თოფრაში მუგუზალი ჩაუგდიათო. ამოდენა ხალხი რომ დაინახა, გაჩერება სცადა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და რაღაცნაირად საცოდავად წაიფორხილა ჰაერში, ფრთებშეჭრილი ქათამივით; მღელვარებისგან სულს ვეღარ ითქვამდა, თავს გიჟივით ატრიალებდა და დაკრეჭილი, ნაფოტა კბილებით ჰაერს კბენდა. აშკარად რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ყელიდან ხმის ნაცვლად უსიამო ხივილი ამოსდიოდა, მომაკვდავივით. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბახას ტირილში შეკრებილი ხალხიცა და შუა ქუჩაში საფრთხობელასავით გაფარჩხული მეჯინებც ერთმანეთს შესცქეროდნენ. მაგრამ ეს დუმილი და გარინდება დიდხანს არ გაგრძელებულა. უცებ ყველაფერი აქოთქოთდა, აწიოკდა და თითქოს მთელმა ქალაქმა ერთდროულად ამოიღრიალა: დარიაჩანგის ბაღი გამქრალაო. ხალხმა იხუვლა,

თითქოს დაგუბებულმა წყალმა ჯებირი გაანგრიაო, ყველაფერი ფეხქვეშ ამოიღო და დარიაჩანგის ბალისკენ გაქანდა.

"დავილუპე", - გაიფიქრა კუსამ და მხოლოდ მაშინ შეამჩნია, ფარნაოზი გვერდით აღარ ედგა. "დავილუპეო!" - ახლა უკვე ხმამაღლა იყვირა და აზმუვლებულ ხალხს მდულარეგადასხმულივით გამოენტო. შიშმა ფრთები შეასხა, მგლის მუხლი გამოაბა და მალე თვალიც შეასწრო ბიძამისის ზურგს. "დამთხვეულო! ფილამონე!" - დაუძახა კუსამ, მაგრამ მისი ხმა უკვალოდ ჩაიკარგა ხალხის ზმუილში. გასცდა თუ არა ქალაქს ხალხის ნიაღვარი, წინ ოყაჯადოს ჯარისკაცები შემოეყარა. ჯარისკაცებს ვაშლით სახვე კალათები მოჰქონდათ, თავზე ნაყოფით დახუნძლული ტოტები გვირგვინებად დაედგათ. აქანავებული, მუშტისხელა ნაყოფი გაოფლილ საფეთქლებზე სცემდათ. მოდიოდნენ და მოიმდეროდნენ. უპატრონო ჯოგით აზმუვლებული და თვალეგადათეთრებული ხალხის დანახვაზე ოყაჯადოს ჯარისკაცებიც დაფრთხნენ, კალათები დაჰყარეს და გზა უტიეს. ვინც კალათას ვერ შეელია ან ვერ მოასწრო დროულად გამბტარიყო გვერდზე, ხალხმა ქვეშ მოიყოლა, გადატკეპნა და გზა გააგრძელა. "რისი გულისთვის, ხალხო!" - ღრიალებდა ნეკნებჩალეწილი ჯარისკაცი და ზურგზე დავარდნილ ხოჭოსავით საცოდავად ასავსავებდა ხელ-ფეხს. ფარნაოზს სილაში ფეხი ეფლობოდა, ბორძიკობდა, მაგრამ მაინც ყველაზე წინ გარბოდა, ასედაც უნდა ყოფილიყო, ყველაზე ადრე ფარნაოზს უნდა მიერბინა, როგორც დედას ცეცხლწაკიდებულ სახლთან, რომელშიაც მისი შვილები გამომწყვდეულიყვნენ. დარიაჩანგის ბალი ფარნაოზის სახლი იყო, ფარნაოზის ბავშვობა, სიყვარული, ოცნება, სიზმარი... ყველაფერი! თუმცა ამწუთას თვითონ ასე არ ფიქრობდა, საერთოდ არ ფიქრობდა, ბრმად, სტიქიურად მიშხუოდა ჰაერში, საგანგაშო ზარის ბერასავით უხორცო და დამთრგუნავი.

კუსას შიში მიარბენინებდა, ბოლომდე ვერც ის გარკვეულიყო, რა ხდებოდა, მაგრამ უტყუარი ალლოთი გრძნობდა, ეს ამბავი ასე არ დამთავრდებოდა, სასახლის ყურამდეც მიაღწევდა, თუ უკვე არ მიეღწია და მერე გვიანდა იქნებოდა თავის მართლება. პირველ რიგში კი მას მოსთხოვდნენ პასუხს და მართლებიც იქნებოდნენ. ჩვენში რომ ვთქვათ, განა კუსა არ იყო დამნაშავე, ამდენ დამთხვეულს რომ მოუყარა თავი, მაინცდამაინც დღეს, მაინცდამაინც იმ აქოთებული გვამის გასაპატიოსნებლად, მთელი ქვეყნის ლოთი და მეძავი ბუზივით რომ ეხვეოდა და მისი სიძამრი ერქვა. ანდა მაინცდამაინც დღეს რომ გადაწყვიტა ჯავრის ამოყრა ქვისკოლია ცვედანზე, ხაფანგიდან თავდაღწეულ ტურასავით ყველაზე წინ რომ გარბოდა და მაინცდამაინც მისი ალალი ბიძა იყო? არა, რამე უნდა მოეფიქრებინა, რამე უნდა ელონა, სასახლის დასანახად მაინც, თორემ მერე... ფიქრის დროც აღარ იყო, უნდა ემოქმედა სწრაფად და საზრიანად, ყოველი წუთი მამასისხლად ფასობდა, ყოველ წუთს შეეძლო გადაეწონა მთელი მისი მომავალი ცხოვრება. სირბილისგან გულამოვარდნილმა კუსამ თოკს შეასწრო თვალი და წყალწაღებულებით წაეტანა. თოკი დაჰყვა. მოსალოდნელ საფრთხეს ისე აღეგზნო კუსა, იმ თოკის პატრონი ვერც კი დაინახა. მან მხოლოდ თოკის აქანავებულ ბოლოს მოჰკრა თვალი და გონება გაუნათდა: ყველაზე ძალიან ახლა სწორედ თოკი სჭირდებოდა, გაქცეული ბიძის დასაბმელად. სულერთი იყო, შეძლებდა თუ არა ამას, მთავარი იყო, სხვებს დაენახა, როგორ ცდილობდა ბიძის დაბმას. ეს კი იქამდე უნდა მომხდარიყო, სანამ თავისით გაჩერდებოდა ფარნაოზი, სანამ დარიაჩანგის ბალამდე მიაღწევდა. მთელი ძალით მოქაჩულმა თოკმა ბედია ადგილზე ციბრუტივით დააბზრიალა, წააქცია და კარგა მანძილზე გაითრია, სანამ მთლად არ

შემოეხსნა. სილაში პირქვე წამხობილი ბედია ნიჟარიდან გამომდგრალ ლოკოკინას ჰგავდა, ერთდროულად უმწეოც იყო და ამაზრზენიც. წლობით შემოუხსნელ თოკის გორგალს მისი სხეული ერთიანად დაეწყლულებინა, ლაქებივით აქა-იქლა შერჩენოდა ცოცხალი, ავადმყოფურად თეთრი კანი, გეგონებოდათ, ნაგვის ბორცვისთვის ვიღაცას წყალში გახსნილი კირი მიუსხიაო. კუსა კი გარბოდა, მობოშებულ თოკს გზადაგზა ბოჭავდა და შიშისაგან გაუფერულებული თვალები ფარნაოზის ზურგისთვის ჭანგებივით ჩაესო. მერე ორივენი სილაში გორავდნენ. კუსა ცდილობდა, თოკი შემოეხვია ფარნაოზისთვის, მაგრამ ვერ ახერხებდა, ფარნაოზი მასზე ღონიერი იყო. კუსას შიში აძლევდა ძალასა და გამბედაობას, ფარნაოზი კი ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა, რატომ ეხვეოდა და რატომ კოცნიდა ასე გაშმაგებით ბალღივით აზლუქუნებული კუსა. კუსა კი მართლა კოცნიდა ფარნაოზს სახეში, კისერში, მხრებზე, სადაც მიწვდებოდა და თანდათან ორივენი იხლართებოდნენ ბედიას დამპალ თოკში. "შენი გულისთვის, სულელო, შენი გულისთვისო", - ლულულულებდა კუსა და ცრემლში აზელილ სილას აფურთხებდა.

უცებ ყველაფერი ისევე მოულოდნელად ჩაწყნარდა, როგორც აბობოქრდა. მოსახდენი მომხდარიყო; გაქცევას აზრი აღარ ჰქონდა. ეს ორივემ ერთდროულად იგრძნო და ახლა სილაში წამომჯდარიყვნენ, მძიმედ სუნთქავდნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ თვალებში. ხელისგულებზე დაყრდნობილი კუსა უკან-უკან გაჩოჩდა, თოკში გაბლანდული ფეხები გაითავისუფლა, მერე ერთბაშად წამოდგა, გატრიალდა და ქალაქისკენ წავიდა. ფარნაოზი დიდხანს უყურებდა მიმავალ კუსას, გადათეთრებულ სილაზე თხუნელას სოროს მსგავს ნაფეხურებს რომ ტოვებდა. "შვილი უნდა მოგიკლა, პოპინა, შვილი... ერთხელ თქვენც მაპატიეთ!" - ფიქრობდა ფარნაოზი და იმ წუთას ღრმად იყო დარწმუნებული, მართლა რომ მოკლავდა კუსას, წამოდგებოდა თუ არა, მის ნაფეხურებს გაჰყვებოდა, გადათეთრებულ სილას თხუნელების სოროებივით რომ აჩნდნენ, და სადაც მიეწეოდა, იქვე გაუჩერქვავდა თავს. ზურგს უკან დარიაჩანგის ბალი იყო, არა, ნაბალარი, და ამაშიც ღრმად იყო ფარნაოზი დარწმუნებული. თუმცა იქითკენ ერთხელაც არ გაუხედავს. ახლაც ესიკვდილებოდა თავის მიბრუნება, რათა კიდევ გაეხანგრძლივებინა იმედის ნატამალი, უნდილად რომ ლიცლიცებდა მის გალახულ სულში. ფარნაოზი მართლა შვილმკვდარ მამასავით იჯდა სილაში, პირქუში და საცოდავი. მან უკვე იცოდა, შვილი მოჰკვდომოდა, მაგრამ თავს არ უტყდებოდა, არ ჩქარობდა მკვდარი შვილის ხილვას, ან რა პირით უნდა ხლებოდა? განა უფლება კი ჰქონდა, ჩაემუხლა მის გათოშილ ცხედართან? არა, რა თქმა უნდა, არა. აი, მომაკვდავისთვის რომ მიესწრო, რამე ელონა, წყალი მაინც შეესხა... მკვდარი იმას ეკუთვნის, ვის ხელშიაც დალევს სულს. ფარნაოზი კი კუსამ გააჩერა, გველივით მონუსხა, შხამიანი კოცნით გააბრუა და საგზალიც მოპარა. მართლაც როგორღა უნდა ევლო ფარნაოზს ასე, აღარაფერი აღარ გააჩნდა. კუსა შორს ვერ წავიდოდა, მისი ყველა ნაფეხური მართლა სოროდ რომ ქცეულიყო, მაინც იპოვიდა, მაგრამ იქნებ კუსასაც ეს უნდოდა? რომელ კარზედაც არ უნდა მიეკაკუნებინა ფარნაოზს, წყლის ნაცვლად შხამს მიაწვდიდნენ, ნაცარს შეაყრიდნენ თვალებში, ძაღლებს მიუქსევდნენ და ბავშვებს დაანახვებდნენ: აგე, იმ კაცმა საკუთარი დისშვილი მოკლაო.

სასწაულის სიდიადემ ხალხი გააოგნა. დარიაჩანგის ბალი მართლა გამქრალიყო. მოტიტვლებულ მიწაზე ფოთოლშემქნარი, დალეწილი ტოტებილა ეყარა, ტოტები და გაჩერქვილი ვაშლი,

თითქოს ეს წუთია ამ ადგილზე ღორების კოლტს გადაუვლიაო. დუმილსა და სიცარიელეს უარესად ამძაფრებდა ზღვა, უფრო სწორედ ზღვის ის ნაწილი, რომელსაც ადრე დარიაჩანგის ბაღი ეფარებოდა. პირველად გამოჩენილი და პირველად დანახული, თვალშისაცემად ტიტველი იყო, ძალით გატიტვლებული და ამიტომაც ამაზრზენი. ხალხი ისე დაიშალა, ბალახი არ გაფაჩუნებულა, ფუტკარს არ გადაუზუზუნია. დარიაჩანგის ბაღი ფუტკრებიანად, პეპლებიანად, ჩიტებიანად გამქრალიყო, უკვალოდ და სამუდამოდ. ყველას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაცას დაეტუქსა, თითქოს პირადად მას დამუქრებოდა ვიღაცა და მხოლოდ და მხოლოდ მის დასაშინებლად, ამოდენა, ამხნის ბაღი, სანთლის ალივით, სულის ერთი შეხებრვით გაექრო.

ამასობაში ბედიამაც მოაღწია. მოჩვენებას ჰგავდა, ტიტველი და თმა-წვერგაჩეჩილი. მობორძიკობდა და ქალივით ტიროდა: ზღვა დამეკარგა, სადმე ხომ არ შეგხვედრიათო. ვიღაცამ დაბურღული თოკი აიღო და კი არ მიაწოდა, მიუგდო, თითქოს გვამს ძონძები წააფარაო.

\* \* \*

სადამოს კუსა მოვიდა. "კუსა მოდისო" - თქვა პოპინამ და მერე დანარჩენებმაც გაიგონეს ტომრის ჟღრიალი. დილანდელი აყალმაყალის შემდეგ პოპინას ერთი წუთით არ განელება უბედურების წინათგრძნობა. მართალია, უბედურება უკვე მომხდარიყო, მაგრამ ის სხვა იყო, საერთო, მთელი ქალაქის საკუთრება და პოპინას მაინცდამაინც არ ეშინოდა მისი, პირიქით, გულის სიღრმეში მხურვალედ ნატრულობდა კიდეც, ყველაფერს ამაზე გადაეცლო, ამით დამთავრებულიყო, ვინმე არ გამოერჩია, ვინმე კი არა, მათი ოჯახი, მათი სახლი, პოპინას ღრმა რწმენით, ყველას თვალში რომ ეჩხირებოდა. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც შუბუს ჩაყრილმა კვიპაროსებმა ტანი აიყარეს და უფრო ადვილი მისაგნები გახადეს იგი. ეს წყვილი კვიპაროსი მართლაც ქალაქის ყველა კუთხიდან ჩანდა და ვანელები ხუმრობით "უხეიროს შუბებს" ეძახდნენ. რამდენჯერ უთქვამს პოპინას, ეს კვიპაროსები უნდა მოვაჭრევიხო, არ ვარგა, სევდის ხეებიაო, მაგრამ მისი ლაპარაკი ყოველთვის ლაპარაკად რჩებოდა; ვინმეს მართლა რომ აეღო ცული კვიპაროსების მოსაჭრელად, პირველი პოპინა ჩაუვარდებოდა ფეხებში, არ დაანებებდა, რადგან პოპინას იმ აშოლტილი და გალურსული ხეებისაც ეშინოდა, მათში ჩასახლებული სულისა სწამდა და დარწმუნებული იყო, ცულის პირველსავე შემოკვრაზე საზარელ ურჩხულებად იქცეოდნენ, ცაში აფრინდებოდნენ და იქიდან დაატეხდნენ რისხვას მათ შემწუხებელსა და შეურაცხმყოფელს. "კარგებო, ლამაზებო, ღმერთებო!" - ეფერებოდა, ებოდიშებოდა პოპინა კვიპაროსებს, ცხელი, ორთქლიანი სისხლით რწყავდა მათ ქერცილიან წვივებს და ლოცვა-ვედრებით უვლიდა ირგვლივ, სანამ თავწაგლეჯილი ქათამი გახვრეტილი ბუმტივით ჩაეჩუტებოდა ხელებში. ხეები დუმდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ მათ ფეხებთან მოფუსფუსე დედაკაცს და მარადიული, განუკურნელი სევდის ძეგლებივით აწოწილიყვნენ ცაში. არასოდეს გახარებია პოპინას ასე ტომრის ჟღრიალის გაგონება, უცებ დამშვიდდა, თითქოს მთელი დღე ამ ხმას ელოდებოდა, ეს მისი შვილის ხმა იყო, მისკენ მომავალი, და მალე, ერთი წუთის შემდეგ ყველანი ერთად იქნებოდნენ. პოპინასაც მხოლოდ ეს უნდოდა, ყველანი ერთად ყოფილიყვნენ. დაე, ნუ ეყვარებოდათ ერთმანეთი, დაე, უბრად მსხდარიყვნენ საათობით, თვეობით, წლობით, ოღონდ ერთად, ერთ ჭერქვეშ, ერთმანეთის სიახლოვეს. პოპინამ იცოდა, შვილს არ უყვარდა, ისიც იცოდა, რატომ არ უნდა ყვარებოდა იგი შვილს და გულის სიღრმეში ყოველთვის ამართლებდა, ყოველთვის მის მხარეზე იყო, რადგან ეცოდებოდა, მშობლებისაგან გულმოკლული, ყველასაგან

გამორჩეული და დასაცინი. ასეთი კუსა პოპინამ მამისა და ძმის თვალებით დაინახა, თვითონ შვილის ავ-კარგის შესამჩნევ თვალზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული და მარტო რომ ყოფილიყო, მამისა და ძმის შიში რომ არ ჰქონოდა, როგორც იმ წყვილი კვიპაროსისა, შეიძლება ბედნიერ დედადაც ჩაეთვალა თავი. მართლაც, რამდენ დედას შურდა მისი, რამდენჯერ გაწყრომიან მეზობელი ქალები, რამ დაგაბეჩავა ასე, შენი შვილის პატრონიო, მაგრამ გახარების ნაცვლად პოპინას ყოველთვის გული ჩაწყვეტია, რადგან მეზობლების შესაშურ შვილს დედისადმი ერთადერთი გრძნობა ჰქონდა, სიძულვილის გრძნობა, და თუ აქამდე საერთოდ არ დაევიწყნა გამჩენი, ამ გრძნობის წყალობით, ამ გრძნობის გამომჟღავნების სურვილით. პოპინას სხვების დახმარება არ დასჭირვებია შვილის სიძულვილის დასანახად. არც უცებ ახელია თვალი. თავიდანვე ამჩნევდა, თვითონვე ეძებდა და პოულობდა კიდევაც ამ სიძულვილს შვილის თვალებში, ხმაში, საქციელში და გულშიც, რადგან გულშიც ისევე შეიძლება სიძულვილის დამალვა, როგორც ჩვარში ნაღვერდლისა. პოპინა ამ სიძულვილის დედაც იყო, მან გააჩინა, მისი მუცლიდან გამოჰყვა იგი კუსას, როგორც სიბრმავე, სიყრუე, სუსტი გონი და კუტი ფეხები, მაგრამ რომელ დედას მოუკლავს შვილი თანდაყოლილი ფიზიკური ნაკლის გამო, რომელს არ გასჩენია დამაბრმავებელი ოცნება სასწაულზე, მაინცდამაინც მისი შვილის განსაკურნავად რომ გამოწირავდა ბუნება ერთ მშვენიერ დღეს, რომელიც უსასრულოდ თენდება და ღამდება, ღამდება და თენდება, მაგრამ მხოლოდ ოცნებაში, იმედსა და სიზმარში. პოპინაც ამ "ერთმა მშვენიერმა დღემ" შეაცდინა, ამ "ერთმა მშვენიერმა დღემ" დააჯერა, მისი შვილიც როდისმე განიკურნებოდა, განიწმინდებოდა განუკურნელი სენისგან და, რაც მთავარია, აპატიებდა, აპატიებდა, აპატიებდა. მაგრამ დრო საწინააღმდეგოს ადასტურებდა: სენი ძლიერდებოდა, იზრდებოდა, თავს ვეღარ მალავდა და ერთი სული ჰქონდა, როდის გადაედებოდა ყველასა და ყველაფერს. "შვილი დავღუპე, ქალუკა, შვილი, მე ბინძურმა დედაკაცმაო" - შესჩიოდა პოპინა ქალუკას, მერე თვალი გაუშტერდებოდა და ისეთი ხმით იტყოდა, შვილისთვისაც ზედმეტი ვარ, რაღას ველოდებო, ქალუკას ხორცი დაეწეწებოდა ხოლმე.

- შვილი არ ჰყავს და იმიტომ. ჯერ არ იცის მშობლის ფასი - განგებ ხმამაღლა შესძახებდა ქალუკა, უფრო საკუთარი მღელვარების დასაფარავად, ვიდრე პოპინას დასამშვიდებლად.

პოპინა ერთ რამეში ცდებოდა: დედის მიმართ კუსას სხვა გრძნობებიც ჰქონდა. სიძულვილი ერთადერთი გრძნობა არ იყო. მაგალითად, კუსა მადლიერიც იყო პოპინასი და რაც დრო გადიოდა, მით უფრო უმტკიცდებოდა ეს გრძნობა, რადგან იმაშიც რწმუნდებოდა, პოპინა ერთადერთი კარიბჭე რომ იყო, საიდანაც მას ამ ქვეყანაში შემოღწევა შეეძლო. ეს ქვეყანა კი უკვე ისე შეჰყვარებოდა, ხანდახან თავზარი დაეცემოდა ხოლმე, რა მეშველებოდა, იმ დამთხვეულ ფილამონეს აღვირი რომ ამოედო თავისი საოხრისათვის და ასე არ მომხდარიყო. კუსას შიშისაგან სუნთქვა ეკვროდა, როცა წარმოიდგენდა, ბრმა ლეკვივით ტომარაში ჩაგდებული, როგორ მიჰყავდა იგი პოპინას მდინარისკენ, ფილამონეს დანატოვარი კვალის მოსასპობად, უარესი ცოდვის ჩასადენად, ვიდრე საკუთარ მონასთან ბლლარძუნია. მართლა უღრმესი მადლობა ღმერთებს, ასე რომ არ მოხდა, თუმცა, პოპინას არ ჰქონდა მისი მოკვლის უფლება, პოპინას მისი გაჩენა ევალეებოდა მხოლოდ. დანარჩენი თვითონ კუსაზე იყო დამოკიდებული, გაართმევდა თუ ვერა თავს სხვების გაფუჭებულ საქმეს, ერთი მხდალი სხეულიდან მეორე მხდალ სხეულში გადასახლებული, ბოლომდე ოთხად მოკაკვული, საკუთარ მუხლებში

თავჩარგული დარჩებოდა, თუ მოახერხებდა დაბადებას, წელში გაშლას, თვალის ახელას. კუსამ უფრო მეტი შეძლო, კუსამ აღმოაჩინა, რომ ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ, ერთნაირები იყვნენ და კანონიერება და უკანონობა ცარიელი სიტყვები იყო მხოლოდ, ვიღაცას ყალბი ფულებივით რომ გადაეყარა ბრბოში და თვითონ სიცილით იგუდებოდა ზედახორის შემყურე. კუსა უპირველეს ყოვლისა პოპინას ემადლიერებოდა, ამის აღმოჩენის საშუალება რომ მისცა. ამ აღმოჩენამ მიზანიც გაუჩინა: ახლა სხვებისთვისაც უნდა დაემტკიცებინა ის, რაც ჯერჯერობით მარტო მან იცოდა. მან კი იცოდა, რომ ყველას ერთნაირად მოჰყვებოდა დედის მუცლიდან ცოდვის ტყირპი, ოღონდ, ზოგს ეს ტყირპი სახეზე ჰქონდა, ზოგს კი დამალულ ადგილას. "კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი" - სამჯერ ზედიზედ იმეორებდა გუნებაში კუსა და მერე მკურნალის სიდინჯით დაამატებდა ხოლმე: მოვითმინოთ, ვნახოთ, კაცის გაშიშვლებას რა უნდაო. კუსას ებრალებოდა კიდევ პოპინა, მაგრამ მარტივი, უსაფუძვლო, წამიერი, ზიზღნარევი სიბრალებოდა. კუსას მკვდარი ჩიტვივით ეცოდებოდა დედა და მაშინ ეცოდებოდა, როცა ხედავდა, ნახვით კი იშვიათად ნახულობდა. უფრო იმიტომ მოდიოდა, თავი გაეხსენებინა თავისიანებისათვის, არ ეფიქრათ, ისიც ფილამონესავით ადვილად მოსამორებელი იქნებოდა, გამქცევი. არა, კუსას ადგილი აქ იყო, აქ ჰქონდა საქმე.

"გამარჯობათ" - იტყოდა შემოსვლისთანავე და სკამზე გაღიმებული დაეშვებოდა. იშვიათი სტუმარივით, ანდა საჩოთირო საქმეზე მოსული კაცივით, ღიმილს არ იმორებდა პირიდან. პირველსავე სკამზე ჩამოჯდებოდა, ტყავის ტომარას ფეხებთან დაიდებდა, მეწვრილმანე ვაჭარივით, და იღიმებოდა. კუსა აქ ისვენებდა, ერთობოდა, სიამოვნებდა, ამდენ ხალხს ერთბაშად რომ შეაკრთობდა ხოლმე მისი მოულოდნელი გამოჩენა. ყველანი თვალეში შესციცინებდნენ, უყვავებდნენ, ებოდიშებოდნენ და დაბნეულობისაგან თვითონაც არ იცოდნენ, რას ამბობდნენ. როცა პოპინა შეეხვეწებოდა: მოშინაურდი, წყალი მაინც შეისხი პირზე, ესეც შენი სახლიაო, - უარის ნიშნად თავს იქნევდა მხოლოდ და იღიმებოდა, მაგრამ ახლა სხვანაირად, შემწყნარებლურად, სულგრძელად, როგორც მდაბიურად გადაცმული მეფე, რომელსაც შემთხვევით, ავდრის გამო შეუფარებია თავი საბრალო დედაბრის ქოხში და უხარია, ბავშვურად უხარია, საცნაური რომ დაჰკარგვიათ, ვერ მიმხვდარან, ვინ სწვევიათ სტუმრად, თორემ, როგორ გაუბედავდნენ დარწყილული ლოგინის გაშლასა და ნათავარი პურის მირთმევას.

"სახლიც მაქვს და კარიც. რა შემატყვეთ სამაგისო" - იღიმებოდა კუსა.

კუსა ახლაც მოულოდნელად მოვიდა. ის იყო, ევახშმათ. პოპინას ერთმანეთზე შეწყობილი თეფშები გაჰქონდა სამზარეულოში, მაგრამ ტომრის ჟღრიალი რომ გაიგო, კარისკენ შემობრუნდა და გაჩერდა. ერთი სული ჰქონდა, როდის დაინახავდა შვილს, უვნებელსა და საღ-სალამათს. დარიაჩანგის ბადის გაქრობასა და ხალხის უეცარ აღტკინებას დიდი ზარალი მოჰყოლოდა. ყველგან ამაზე ლაპარაკობდნენ. იმასაც ამბობდნენ, ოყაჯადო, პირველ რიგში, თავის ხალხს დასჯის, წესრიგი რომ ვერ დაამყარესო.

- გამარჯობათ, - თქვა კუსამ.

მაშინვე სკამზე ჩამოჯდა და ტომარა ფეხებთან დაიდო. ჩვეულებრივად იღიმებოდა, თუმცა ეტყობოდა, გუნებაზე ვერ იყო. ყვრიმალეები სიციხიანივით უწრიატებდა. იჯდა და იღიმებოდა,



ბრაზიანად, ღვარძლიანად, მწარედ, სილანაჭამ კაცივით, ჯერ რომ თვითონაც არ იცის, როგორ მოიქცევა, ჩაყლაპავს, მოუთმენს შეურაცხყოფელს, თუ აქვე ამოიყრის ჯავრს.

- შენ ხომ არაფერი შეგხვდება? - ვეღარ მოითმინა პოპინამ.

- რაზე ამბობ? - ვითომ ვერ გაუგო კუსამ.

პოპინა უცებ აღელდა, თვალებით თავისუფალი სკამი მონახა, თეფშებიანად ჩამოჯდა და მხოლოდ მერე უთხრა, აი, დილანდელზეო.

- ჰოო, - გააგრძელა კუსამ და ფარნაოზს შეხედა. - ბიძაჩემი პირველი გარბოდა.

ახლა პოპინამაც შეხედა ფარნაოზს. ფარნაოზი თავჩაღუნული იჯდა და საკუთარ ხელებს დასცქეროდა. ფარნაოზს მშრომელი კაცის ხელები ჰქონდა, ლოდის ნამტვრევებს უგავდა, მძიმე და წახნაგოვან ნამტვრევებს, გაჭირვების ჟამს იარაღის მაგივრობის გაწევაც რომ შეუძლიათ, ძალას რომ ასხივებენ, თუმცა ეს ძალა კი არ აფრთხობს მნახველს, არამედ რაღაცნაირი სევდანარევი სიმშვიდით ავსებს და აბრუებს, როგორც ცეცხლი, ანდა წვიმა, რადგან საშრომლად არის გამიზნული და არა ვინმეს მოსაკლავად. ფარნაოზი არ ელოდა კუსას გამოცხადებას, დილანდელი შემთხვევის შემდეგ, მისი წარმოდგენით, კუსა უნდა დამალვოდა, გაქცეოდა და გადახვეწილიყო, რაც შეიძლება შორს, რათა ფარნაოზს მართლა არ აღესრულებინა ის საზარელი განზრახვა, კუსასთან ბლლარძუნში რომ გასჩენოდა. თვითონ ვერაფრით ვეღარ მოიშორა მოულოდნელად, მზის ქვეშ, გახურებულ სილაში დაბადებული განზრახვა, მისი სიმბურვალისგან გარუჯულიყო, სილასავით ჩაღეჭვოდა სულში, და მთელი სხეული სტკიოდა, უბჭუოდა, ეწიწკნებოდა, როგორც მიუჩვეველსა და ზღვაზე პირველად გასულ კაცს. მთელი დღე კუსაზე ფიქრობდა, კუსა ედგა თვალწინ, ათასნაირი კუსა: გესლიანად მოდიმარი, ბავშვივით აზლუქუნებული, სიბრაზისგან სახეგადაღესილი და სიკვდილისგან დასახიჩრებული. როცა ხმა გავარდა, ოყაჯადო პირველ რიგში თავის ხალხსა სჯისო, ახლა ამან შეაწუხა, რადგან ყველაზე ნაკლებად ოყაჯადოს ჰქონდა კუსას დასჯის უფლება, ყველაზე ნაკლებად კი არა, საერთოდ არ ჰქონდა, რადგან ოყაჯადო, ალბათ, არც იცნობდა კუსას, მას კი, კუსა უყვარდა და თუ მართლა შეძლებდა და მოკლავდა კუსას, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის გამო. ფარნაოზს სხვა მიზეზებიც ჰქონდა ამ საზარელი ნაბიჯის გადასადგმელად, მაგრამ მას ანგარიშის გასწორება კი არ უნდოდა კუსასთან, როგორც ოყაჯადოს, არამედ მისი გადარჩენა. გადარჩენით კი მხოლოდ სიკვდილი გადაარჩენდა კუსას, მისი შეცვლა და გამოსწორება ისევე შეუძლებელი იყო, როგორც ჰაერისგან ნიჩბის გამოთლა. კუსა ასეთად გაეჩინათ ღმერთებს და სანამ პირში სული ედგმებოდა, სიძულვილის გუთნისდედა იქნებოდა, შიშის მთესველი, ქუჩაშიც, დუქანშიც, მეზობლებშიც, საკუთარ ოჯახშიც კი, რადგან თვითონ იყო მშობარა, გამუდმებით ემინოდა ყველაფრისა, საკუთარი ჩრდილისაც, რადგან არც საკუთარ ჩრდილს ენდობოდა; არ სჯეროდა, მასაც თუ შეიძლებოდა ჰქონოდა ჩრდილი. ფარნაოზი უკვე იცნობდა კუსას, უკვე ყველაფერს მიმხვდარიყო და კუსას ანკესზე ჩამოფლეთილი გული სიბრაღულით ეწურებოდა. სიბრაღულითა და ბრაზით, რადგან თუ დილანდელი აურზაურის გამო მართლა რამე უსიამოვნება შეხვდებოდა კუსას, ის უნებურად ოყაჯადოს მოკავშირე გამოდიოდა. კუსას თუ დასჯიდნენ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, ასეთი ბიძა რომ ჰყავდა. მეფის მოხელის ბიძას მეტი სიღინჯე მართებდა და

არა, მეთულუხჩე ბიჭივით, წინ და უკან სირბილი, ყველაზე ადრე რომ ცდილობს მიიღწიოს წყაროსთან, ყველაზე ადრე აავსოს კოკურა და ყველაზე ადრე მიურბენინოს მუშტარსაც ახალი და ცივი წყალი. თუმცა არა, რა შედარებაა, მეთულუხჩე ბიჭი საქმეს აკეთებს, წყალში აღებული ფულით, შეიძლება, ოჯახსაც ინახავს, ავადმყოფ მშობლებს ეხმარება, უმცროს და-ძმას ზრდის, ანდა თავისთვის შრომობს, მომავალზე ფიქრობს, ერთ მშვენიერ დღეზე, როცა თვითონაც ჩაიცვამს ახალ წაღებსა და პერანგს. ფარნაოზის დილანდელი სირბილი კი უაზრო და უმიზნო ლტოლვა იყო, მზის დაბნელებით დაფეთებული პირუტყვის გაშმაგება და მეტი არაფერი, არაფრის გამო, სისულელის გამო, რადგან მოსახდენი მაინც მოხდებოდა. აკი მოხდა კიდეც, ყველას თავისი ბუზანკალი მიაღწინებდა და იმიტომ. უმრავლესობას სასწაულის სიდიადე, დაუჯერებელი სანახაობა იზიდავდა; ბევრი იმიტომ მირბოდა, სხვები რომ მირბოდნენ; სამაგიეროდ შედეგი ყველასათვის ერთნაირი აღმოჩნდა: დანაშაულის გრძნობა, განუწყვეტელი მოლოდინი სასჯელისა და სიძულვილი იმ წამიერი თავაშვებულობისა, მოუშორებელ ლაქასავით, მუწყვიტით რომ გასჩენოდა მარადიულ მორჩილებას. ახლა ისინიც თავს გაბითურებულად თვლიდნენ, ვიღაცის ფეხის ამყოლებად, და თვითონვე ჩაქოლავდნენ, თვითონვე გაუსწორდებოდნენ იმ ვიღაცას, თუკი ამის საშუალება მიეცემოდათ. ფარნაოზი მზად იყო, ყველაფერი თვითონ დაებრალეხინა. დილით, როცა დარიაჩანგის ბაღისკენ მირბოდა, ეგონა ამოდენა ხალხი მას მოყვებოდა, მის უბედურებას იზიარებდა და უკითხავად, უანგაროდ თავაზობდა დახმარებას. ფარნაოზს სიამაყით გული ებერებოდა, ხალხის თანაგრძნობა ფრთებს ასხამდა და სანამ კუსა თოკს გამოსდებდა, ერთი წამითაც არ დაეჭვებულა, სიგიჟე და სისულელე რომ იყო მისი ლტოლვის საბაბი, პირწავარდნილი თავხედობა რომ იყო მისი დროშა, გაწბილების შუბით დაფლეთილი, ავადმყოფური სიზმრებითა და ჩვენებებით გაბინძურებული. ვინ იცოდა, ან გინდაც სცოდნოდა, ვის რაში აინტერესებდა ორი ტიტლიკანა ბავშვის აჩრდილი, ორი მუმი, გამოურწყველი სევდითა და სინანულით დაბალზამებული, სიჯიუტის, სიბრიყვისა და შეურიგებლობის არტახებში გახვეული. ან ფარნაოზს რაში სჭირდებოდა ისინი? რომელ დღისთვის ინახავდა? რისი იმედით? იქნებ გამორჩენის იმედით? იმ მენავესავით, ხელობად რომ გაუხდია დამხრჩვლებით ვაჭრობა, სილაში რომ მაღავს წყალქვეშა ლოდებზე დასახიჩრებულსა და თევზებისგან სანახევროდ შეჭმულ გვამს, სანამ ჭირისუფლები მოაგნებენ, გამოიცნობენ და შეისყიდინან.

ფარნაოზს რცხვენოდა, საკუთარ ხელებს დასცქეროდა და იცდიდა, რას ეტყოდა კუსა, რის სათქმელად მოსულიყო. ფარნაოზი ყველაფერს ელოდებოდა მისგან, უფრო სწორედ, რაც არ უნდა ეთქვა კუსას, ყველაფერს უდრტვინველად მოისმენდა, კუსა კი ტყუილუბრალოდ არ მოვიდოდა აქ, მას საფრთხე ელოდა და მოსალოდნელი განსაცდელი ყველაფრის უფლებას აძლევდა. კუსას რომ ეთქვა, შენს წასაყვანად მოვედი, რადგან შენ ხარ მთავარი დამნაშავე და მე სრულებითაც არ ვაპირებ შენი გულისთვის ვაგო პასუხიო, ფარნაოზი უსიტყვოდ გაჰყვებოდა. ასევე დაუფიქრებლად გაუწვდიდა ხელს, თუკი კუსა დახმარებას სთხოვდა. ფარნაოზს, მართალია, ხელი არ აუღია თავის განზრახვაზე, მაგრამ ამ წუთას კუსას მიმართ მხოლოდ დანაშაულისა და სიბრალულის გრძნობით იყო გამსჭვალული, საკუთარ ხელებს დასცქეროდა და ელოდებოდა, იცოდა, კუსას მასთან ჰქონდა საქმე და თუ აქამდე პირადად არ მიმართავდა, მხოლოდ იმიტომ, თავადაც რომ სჭირდებოდა დამშვიდება, სათქმელის დალაგება, სიტყვების შერჩევა; ისიც ხომ ადამიანი იყო ბოლოს და ბოლოს.

- პირველი ბიძაჩემი გარბოდა, - გაიმეორა კუსამ.

პოპინამ უხეიროს ოთახისკენ გაიხედა, თითქოს ქუხილის მოახლოება იგრძნო. მერე გაიღიმა, ისე ვზივარ, თითქოს საქმე არ მქონდესო, უთხრა უხეიროს ოთახის გამოკეტილ კარს, მაგრამ არც წამოწეულა სკამიდან, ოღონდ უფრო მაგრად მიიხუტა მუცელზე დასარეცხი, ერთმანეთზე დაწყობილი თეფშები.

- ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება - თქვა ცოტა ხნის მერე, ჩუმად, გაუბედავად.

- შენი ბრალია ყველაფერი! - უცებ იყვირა კუსამ და ბარძაყზე მუშტი დაირტყა.

პოპინამ უნებურად ორივე ხელი სახეზე აიფარა, როგორც დედამისმა იცოდა ხოლმე უხეიროს ხსენებისას. თავის ნებაზე მიშვებული თეფშები იატაკზე ზრიალ-ზრიალით ჩამოშვავდა. ფარნაოზი არც ახლა განძრეულა. ჩაცუცქული პოპინა თეფშის ნამტვრევებს კალთაში იგროვებდა, ზეთის ჭრაქში ალი პარპალებდა. ალს ღამის პეპელა უვლიდა ირგვლივ. ხანდახან ნიავი თუ ოთახში მყოფთა ამონასუნთქი ალს პეპელაზე მიაგდებდა და დაფეთებული პეპელაც გვერდზე გახტებოდა, რათა იმავე წამს უკან მობრუნებულიყო და გაეგრძელებინა თავბრუდამხვევი ცეკვა თავისი ღვთაების წინაშე, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე, ბრმად და ერთგულად. პეპელას არ შეეძლო მოშორებოდა თავის ღვთაებას, ამ პატარა სინათლეს, თითქოს თავბრუდამხვევი ცეკვითა და ტრიალით გამოხმობილს არარაობიდან; ორი დღის სიცოცხლევ მხოლოდ ამისთვის უნდოდა: ღვთაება ეხილა და შესწირვოდა, ლამაზსა და მაცდურს, მომჯადოებელსა და დაუნდობელს. იატაკზე ჩაცუცქული პოპინა თეფშის ნამტვრევებს კალთაში იგროვებდა. ისიც პეპელას ჰგავდა, ისიც თავის ღვთაებას მიეზიდა და ველარ გაეტანა ათრთოლებული ფეხები ამ ოთახიდან, სადაც კარგი არაფერი ელოდებოდა. ქალუკამ მეორე ჭრაქი შემოიტანა, მაგრამ ოთახში მაინც ბნელოდა, სხეულის ცალკეული ნაწილები მოჩანდა მხოლოდ, გატყავებული ხორცივით მოწითალო და მზინავი.

- ნუ ჩხუბობთ, სირცხვილია - თქვა ქალუკამ და ჭრაქი აგურის თაროზე შემოღო.

- გვაცალე, დედაკაცო! სირცხვილი თავის დროზე არ გაგხსენებია! - შეუღრინა კუსამ.

სიბნელე სრულებითაც არ აფერხებდა საუბარს. ფარნაოზი, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში თავიც არ აუწევია, მაინც ყოველთვის ადვილად ხვდებოდა, ვის მიმართავდა კუსა, დედას თუ ბებიას, მაგრამ მან ისიც იცოდა, კუსა მხოლოდ მასთან იყო მოსული, მასთან ჰქონდა საქმე და თუ აქამდე ქალებს ეკინკლავებოდა, ამ კინკლაობით ფარნაოზისკენ იკაფავდა გზას, გზის სისწორესა და სიმტკიცეს ამოწმებდა. ფარნაოზიც მოთმინებით ელოდებოდა.

"რას მებუტებით, ჩემი ბრალია, ბიჭად რომ გავჩნდი? - ამბობდა კუსა, - იცოცხლე, მართლა კარგი იქნებოდა, გოგო ვყოფილიყავი. ერთ კაცს როგორ ვერ შევაცდენდი. სულაც ბიძაჩემი აქ არ იყო? ჩვენ ხომ ასეთი წესი გვაქვს? რაღა უცხო ვეძებოთ, შინაურთან არ ჯობია? შინაური ნამუსს შეგინახავს, უცხო კი სხვაა... ერთი რომ წაიფორხილო? ტყირპი რომ გამოგიჩნდეს? მერე რას შვრები? შენ ის მითხარი, შენი შვილის, ეგრეთ წოდებული მამაჩემის მამის სახელი თუ გახსოვს, ქალუკა, ჰა?!"

ფარნაოზმა შვებით ამოისუნთქა, მოლოდინი დასასრულს უახლოვდებოდა, ამას კუსას ხმაც ადასტურებდა და საქციელიც. კუსა სკამზე აცქმუტდა, თითქოს დაებათ და თავს იშვებდა. მალე ფეხზეც წამოდგა და ამის მერე აღარც დამჯდარა, გული რომ ამოიბერტყა, ტომარა ზურგზე მოიგდო და ჟღერიალ-ჟღერიალით გავიდა ოთახიდან, სადაც სამი ადამიანის გული ცეცხლის ალზე ფრთებშეტრუსულ პეპელასავით ფეთქავდა.

- იცით, რატომ გარბოდა ბიძაჩემი პირველი? - უცებ თქვა კუსამ, ცოტა ხანს შეიცადა, თითქოს მსმენელებს აფრთხილებდა, ყურადღებით იყავით, მთავარი ახლა იწყებაო და ღიმილნარევი ხმით გააგრძელა: - იმიტომ რომ... იმიტომ რომ ფარნაოზს კუსა არ უყვარს. ბიძას დის შვილი არ უყვარს, ფეხებზე ჰკიდია. არა, ფეხებზე კი არ ჰკიდია, ეჯავრება. არ იცოდით? პირველი გაგებაა თქვენთვის? როგორ გეკადრებათ, ასეთ გამოცდილ ქალებს თვალები მაინც სად გქონდათ? აი, კუსა გოგო რომ ყოფილიყო, მაშინ დედა-ბებიის მსგავსად ნაბიჭვარი ეჯდებოდა კალთაში და მარჩენალი ბიძის ფეხის ხმაზე ძალღივიტ წამოხტებოდა ხოლმე, ძალღივიტ აულოკავდა ხელ-ფეხს და გინდაც წიხლი ეთავაზებინა ქვების თრევით წელში გამწყდარ ბიძას, მაინც მოურბენინებდა სუფთა პერანგს, ფეხსაბან წყალს გაუნელებდა და პირში მიაჩერდებოდა თავის ერთადერთ იმედსა და პატრონს, ოფლის სუნით აყროლებული პურის მოლოდინში. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, კუსამ იმედი გაუმტყუნა ბიძას, სხვებისთვის მზრუნველ ბიძას, არ მისცა საშუალება გამოემჟღავნებინა თავისი სიკეთე და კეთილშობილება. ასე არ არის, ბიძაჩემო? თუმცა არა, მთლად ასე არაა. შენი პატიოსნება, სიკეთე და მზრუნველობა ხელმოცარული ჯამბაზის ნიღაბია და მეტი არაფერი, ამ ნიღბის უკან სხვა რამე იმალება, ჯამბაზის უნდილობა, უნდილობა და სილაჩრე. შენ ხომ ქალთან დაწოლისაც გემინია? კუსამ კი ყველაფერში გაჯობა. ამის დანახვაც გაგიჭირდათ, თქვე კარგო ხალხო? კუსას ორსართულიანი სახლი აქვს, საკუთარი, საკუთარი ოფლით აშენებული, რადგან სხვებივით მზამზარეულად არ დახვედრია. კუსა მეფის სამსახურში დგას. ცნობილი კაცია, პატივს სცემენ, ემინიათ, შინ კი ცოლი ელოდება, თანაც ფეხმძიმე. განა ცოტაა? განა ვინმეს გაემტყუნება, შურით რომ გულზე სკდებოდეს, მით უფრო ბიძას, უფროსს, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში ქვაზე კაკუნის მეტი ვერაფერი უსწავლია, მეძავის სამყოფი ფულიც ვერ უშოვია და ავი ძალღივიტ იღრინება, სხვებსაც უშლის ყურძნის ჭამას. კაკ-კუკ, კაკ-კუკ, მიდი, კოდალა, უკაკუნე, ვინც რა იცის, ის უნდა აკეთოს, მაგრამ ქვას რომ მატლი არა ჰყავს, რითი უნდა მოიკლა შიმშილი? თუმცა, აქ არა ვარ? მე რომ არ გყავდე, რითი უნდა მოიკლა შიმშილი, ჰაა? შურით, რა თქმა უნდა, შურით. შური ადვილი საქმეა, სახლის აშენებას კი სხვა რამე სჭირდება, ქალის დაორსულებასაც... რამე-რუმე. შენ თუ არ შეგიძლია, სხვებს მაინც აცალე, დალოცვილო; საქმეში ხარ? აკი უკვე ვთქვი, ავი ძალღივიტ არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს-მეთქი. ყველაფერი, ეკუთვნის თუ არა, თავისთვის უნდა. ყველაფერი. იცის ალბათ, ხვდება რაზედაც ვეუბნები. ბიძაჩემი ჭკვიანი კაცია, ეშმაკიცაა, ქვეშქვეშა. სულ უბრალო არ გეგონოთ, ბრაზიანიცაა, ოოოო, რომ იცოდეთ, როგორი ბრაზიანია. ბრაზიანი და წესიერი. ერთხელ შევედი მეძავთან, ისიც მაგის გულისთვის და არ მაპატია. თვითონ ხომ გაბრაზდა და გაბრაზდა, ხალხიც ამიჯანყა, აქაო და ჩემს მაგივრად ისინი მიბრეგვავენ კუსასო, მე კი გვერდზე გავდგები, ხელსუფთა და პატიოსანიო. ხომ მართალია? ალბათ, ისიც იფიქრა, ჩემს დისშვილს მეფე გამოაპანლურებს და მერე აღარც გული ექნება და აღარც შეძლება სხვის ვენახში ძრომილისო. არც ესაა მართალი? - უცებ ხმას აუწია კუსამ. - ერთი ჰკითხეთ, ვის ირთავს ცოლად, ის ოხერი ბალი რომ არ გამქრალიყო, ახლა კახპა გეჯდებოდათ შინ. ისე კი ახი იქნებოდა. ქალი

ვარო, იმანა თქვას. ყოველდამე მთელს ქალაქს უწვება, დილით კი ქალწულივით დგება. თქვენ კი ერთ ღამეში ამოიყორეთ მუცლები, თითქოს მოსწრებაზე იყო, თითქოს აღარ გედირსებოდათ. არა, არც ახლა ვარ მართალი, იმ კახპას ისევე სჭირდები შენ, როგორც მჭედელს გახვრეტილი საბერველი. ჩემი თუ არ გჯერა, ერთი წადი, ისე შეიარე... ფულს მე მოგცემ. კი მაგრამ, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, შენ რა უფლების ძალით აფარებ ხელს ყველასათვის ღია კარს? შენ ხომ იმან გაგაცოფა, იქიდან მოვდივარო რომ გითხარი? თუ, მაინცდამაინც ჩემთვის არ შეიძლება იმ კარში შეხედვა? რა თქმა უნდა, მე ხომ შენი დისშვილი ვარ, ხალხი რას იტყვის? ფეხებზე მკიდია, რას იტყვის ხალხი. სადაც მინდა, იქ შევალ, ვისი რა საქმეა; მე ცხოვრება მინდა, ცხოვრება კი ყველასია, ვინც მოიხმარს, ვისაც შნო აქვს. პატიოსნება მერე, როცა დავბერდებით, ჯერ კი ჩემი და შენი არ არსებობს. რაც გუშინ შენი იყო, ის, შეიძლება, ხვალ ჩემი გახდეს. გახდება კიდეც. არავის არა აქვს ნება, წინ გადამიდგეს, დამიშალოს, მხოლოდ იმიტომ, დედაჩემმა არასწორად რომ გამაჩინა, სიჩქარეში რაღაც გამორჩა, რაღაც დაავიწყდა. არც შენ არა გაქვს უფლება, პირველ რიგში შენ, რადგან, სხვა თუ არაფერი, დედაჩემი შენი დაა, შენი სისხლი და ხორცი. რა ჩემი საქმეა, რომელმა გამაჩინეთ, ცალ-ცალკე თუ ორივემ ერთად. ჩემთვის ორივენი ერთნი ხართ, ერთნაირები. ასე რომ, მეც თქვენისთანა ვარ, თუმცა ჩვენი ცხოვრება მაინც არ შეიძლება ერთად. ასე არ არის? "ასეაო" - უპასუხა ცოტა ხნის მერე საკუთარ თავს და ტომრის ასაღებად დაიხარა, ოთახიდან ზურგით გავიდა, თვალი არ მოუშორებია ფარნაოზის ხელებისათვის, ამ ხნის განმავლობაში მართლა ქვის ნამტვრევებივით უძრავად რომ ეყარნენ პატრონის მუხლებზე.

სანამ კუსა ლაპარაკობდა, სიბნელიდან ხან მისი წითელი ხელის მტევანი გამოხტებოდა, ხან აცახცახებული ყბა, ცხვირი თუ ყურის ბიბილო, თითქოს მდუღარე წყალი ადამიანის დაკუწულ სხეულს უთავბოლოდ ატრიალებდა. კუსას ლაპარაკმა ყველაზე მეტად პოპინა დააფრთხო. იატაკზე ჩაცუცქული, შიშისაგან უარესად დაპატარავებული, ცდილობდა, ჩოჩვა-ჩოჩვით, რაც შეიძლება შეუმჩნეველად გასცლოდა იქაურობას, დასხლტომოდა სიძულვილის იმ წებოვან გუბებს, მის შვილს რომ ამოენთხია და თანდათან კიდეც უფრო იზრდებოდა, იატაკის ღრმულებს ავსებდა, უხსენებლის ჯოგივით ბზინავდა და მოცოცავდა, თითქოს პოპინას უნდა სწვდენოდა კალთაში. პოპინას გაქცევა უნდოდა, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა, დაკვილება უნდოდა და პირი ვერ გაეღო, თითქოს ყველაფერი სიზმარში ხდებოდა. ფარნაოზიც ისევ უძრავად იჯდა, მოწმესავით, და გული ამაზრზენი სიბრალულით ეწურებოდა. "არა, არ შეიძლება... ასე როგორ უნდა იცხოვროსო" - ფიქრობდა იგი.

კუსამ გული კი იჯერა, კი ამოიბერტყა, მაგრამ ფარნაოზის დუმილმა შეაშინა, ტანმა საფრთხე უგრძნო, უარესი, ვიდრე გადაეტანა, ნამდვილი საფრთხე, მხოლოდ და მხოლოდ მისთვის გაჩენილი, მისკენ მომავალი და არა ბრმა და განუკითხავი, ალაღბედზე მოხეტიალე. კუსა ლაპარაკშივე მიხვდა, მეტი რომ მოუვიდა, ღრმად რომ შეტობა უცნობ მდინარეში, დაუკრეფავში რომ გადავიდა, მაგრამ თავს ვეღარ მოერია, მცველის დუმილმა და გულგრილობამ გააცოფა, გაათავხედა, თუმცა იმ მცველს მძიმე და ბასრი ქვები წინასწარვე მოეგროვებინა კალთაში. "გიტყუებს, გეყოფა, ნულა მიხვალ ახლოსო", - განგაშობდა კუსას მეორე, მარად ფხიზელი გონება, მაგრამ კუსას აღარ შეეძლო გაჩერება, წერას აეტანა, წერა ერეკებოდა წინ.

კუსა ისე აიტანა შიშმა, შინამდე ძლივს მიათრია ფეხები. "დამიგე, ვკვდებიო", - ზღურბლიდანვე მიაძახა ცოლს და თითქმის გაუხდელი შეწვა ლოგინში. პატუს სულელური შეკითხვებისთვის

თავი რომ აერიდებინა, მაშინვე კედლისკენ გადაბრუნდა და ფიქრებს მიეცა. საფიქრალი კი ბევრი ჰქონდა. ამ მოკლე ხანში ბევრი რამე გადახდენოდა თავს, რასაც წონასწორობიდან გამოეყვანა და თანდაყოლილი სიფრთხილის გრძნობაც დაევიწყებინა მისთვის. მართლაც რა საჭირო იყო, ფარნაოზსაც სცოდნოდა, რას ფიქრობდა მასზე კუსა. განა ამით ფარნაოზს რამე დააკლდებოდა? პირიქით, ფარნაოზი ახლა უფრო ძლიერი იყო, მან იცოდა ის, რაც არ უნდა სცოდნოდა: მტრის ვინაობა და განზრახვა. კუსამ საიდუმლო გასცა. უბრალო კი არა, გადამწყვეტი, რომელსაც უნდა წარემართა მომავალი ბრძოლის ბედი. კუსამ კი ეს საიდუმლო თავისი ფეხით მიურბენინა მტერს; ვინ მოიქცეოდა ასე, ბრიყვის მეტი. არავინ. შეიძლება ბრიყვსაც შეეკავებინა თავი. ბრიყვსაც! კუსამ კი ვერ შეიკავა, იმიტომ რომ... არა, რაც არ უნდა გაბრაზებულიყო კუსა, სიბრიყვეს ვერ დასწამებდა თავს; ისევ შიშმა, ისევ წყეულმა შიშმა აურია გზა-კვალი; როცა ერთი ნაბიჯილა აკლდა მსხვერპლამდე, უფრო ძლიერმა მხეცმა თვითონ მას გაუკეთა ნაბული. კაცმა რომ თქვას, არც შიში გაემტყუნებოდა კუსას. ბიჭი იყავი და ნუ შეგეშინდებოდა. კუსა კი არა, სასახლის ეზოში ბალახი დაჰკნა, ნაბადმოსხმული მცველები გაჭადრავენენ, ოყაჯადოს კი ისეთი მცველები ჰყავდა, ყველა მათგანი ხელდახელ მივიდოდა დათვზე. გადაფითრებულ კარისკაცებს ერთმანეთი გამოჰყავდათ დარბაზიდან, როგორც დაჭრილები ბრძოლის ველიდან. "ვერ ვაწყნარებთო", - ისეთი ხმით ამბობდნენ ისინი, ზედმეტი ჩაძიება აღარ იყო საჭირო. ჩურჩულით ნათქვამი ეს ორი სიტყვა სიკვდილის თრთოლვასავით გადაურბენდა ხოლმე მთელ სასახლეს და კიდევ ერთი წუთით რომ დაგვიანებოდათ დამნაშავეს პოვნა, მნელი სათქმელია, რა მოყვებოდა ქეცნიანი ბალის გაქრობას. სასახლის მცველთა უფროსი დაიკარგა, სამრეცხაოში ოთხი ქალი დაიხრჩო, დაიხრჩო თუ თვითონ ჩაჰყვეს თავი მდულარეში, ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, ორი მოახლე საკუთარ ნაწნავზე ჩამოკიდული იპოვეს, სახაბაზოს ცეცხლი გაუჩნდა და ამოდენა შენობა ისე უცებ ჩაიფერფლა, კაციშვილმა ვერ მოასწრო გამოსვლა, არა, ერთმა-ორმა მაინც მოასწრო, მაგრამ ისე იყვნენ დამწვრები, ვერც თვითონ თქვეს და ვერც სხვებმა დაადგინეს მათი ვინაობა. ასე რომ, ჯერ კიდევ არ იცოდნენ, ვინ გადარჩა და ვინ ვერა. არა, შიში არ გაემტყუნებოდა კუსას, ეს დღე მძიმე დღე იყო მისთვის, დიდი გამოცდა. ნებისყოფამ უშველა, მხოლოდ და მხოლოდ ნებისყოფამ. დღეს მისი სული ეკიდა ბეწვზე, მისი საუნჯე, აუნაზღაურებელი, ერთადერთი, რისი მოპოვებაც არაფრით აღარ შეიძლებოდა. ხმა რომ გავარდა, დილანდელი აყალმაყალის გამო ოყაჯადო პირველ რიგში თავის ხალხს დასჯისო, კუსას სული ფეხებში გაეპარა, ისე მოიბუზა, თითქოს მართლა მისთვის უნდა ეტაცნათ ხელი, თითქოს მარტო ის იყო ოყაჯადოს კაცი, იმიტომ რომ, იმიტომ, რომ ბიძამისი პირველი გარბოდა, ყოჩივით, არა, გიჟივით. მარტო კუსას კი არა, ყველას დაენახა იგი. ასეც ამბობდნენ: პირველი უხეიროს ვაჟი გარბოდაო. სასახლეს არაფერი დაემალემა, მაგრამ საიდან უნდა იცოდეს სასახლემ, რომ ის მართლა გიჟი და დამთხვეული, ყველაზე ძალიან კუსას ეზიზღება. ამიტომაც იბუზებოდა, პატარავდებოდა, კედლის ბზარში მიძვრებოდა და ცოტა კიდევ რომ გაგრძელებულიყო დამნაშავეს პოვნა, ვეღარ გაუძლებდა გული, ფეხებში ჩაუვარდებოდა ოყაჯადოს და ეტყოდა (თუკი ხმა ამოუვიდოდა ყელიდან), ხომ დავაბი, მეტი რა მექნა, ერთი კაცი მთელ ქალაქს როგორ მოვერეოდითო. მართლა ჩალით ხომ არ არის ქვეყანა დახურული?! თუკი ის დაინახეს, როგორ გარბოდა კუსას უტვინო ბიძა პირველი, ისიც დაენახათ, როგორ აბამდა კუსა თავის ქვისმტვრეველ ბიძას. საბედნიეროდ, დამნაშავე მალე იპოვეს, იმან იპოვა, იმან. თორემ ხალხმა მერე შემოირტყა თავში ხელი, უიმე, ეგ არ იყო ცხენივით რომ დაიხვიხვინა, დარიაჩანგის ბალი გამქრალაო. კარგი, სხვებს დაავიწყდა,

მაგრამ კუსას როგორ მოუვიდა, როგორ შეიძლებოდა ასეთი რამის დავიწყება. ერთიც ვნახოთ და... არა, იმას არაფერი შეეშლება, მაგრამ ერთიც ვნახოთ და შეშლოდა? მაშინ ხომ შენზედაც ახი იქნებოდა, მაშინ ხომ ღირსი იქნებოდი? ასეთ დროს "ვიცოდი და დამავიწყდა" და "ვიცოდი და დავმალე" ერთი და იგივეა. განა არ იციან, შენც რომ დამნაშავე ხარ?! იციან, როგორ არ იციან, მაგრამ გაპატიეს, რადგან უნებურად დააშავე, რადგან შენზე სულგრძელები არიან. ამიტომ, მთელი სიცოცხლე ამ უნებური დანაშაულის გამოსყიდვას უნდა შესწირო, უნდა დაამტკიცო, პატიების ღირსი რომ იყავი. იცოცხლე, იმ დაკოდილ აყლაყუდას კარგი დღე არ დაადგება, მაგრამ ამით კუსას რა? აღარ დაადგა საშველი მის დამშვიდებას, ვერაფრით ვერ მოიგო შიშის გული, მეფის გომიასავით, ყეფა-ყეფით რომ ასდევნებოდა.

რაც უფრო მეტს ფიქრობდა კედელს მიშტერებული, ციებიანივით ამაგმაგებული კუსა, მით უფრო რწმუნდებოდა, ყველაფერში მისი სიმამრი იყო დამნაშავე, ქალაქის მასხარა და ოინბაზი. მკვდარს როგორ აჰყვა, როგორ გაუყადრა თავი. სწორედ ეს იყო დასაცინი და არა ნაბიჭვრობა. ნაბიჭვრობა ბედისაგან ჰქონდა თავზე მოხვეული და რაც არ უნდა ეფაფხურა, ვეღარ მოიშორებდა, მაგრამ გული ხომ მის ხელში იყო, იმდენი ხომ შეეძლო, საკუთარი გული საითაც უნდოდა, იქით წაეყვანა, თვითონ კი არ აჰყოლოდა, როგორც მოუვიდა, ის ეტარებინა თავის ჭკუაზე. გულს აჰყვა კუსა, გულს! ორი კურდღლის დაჭერა მოინდომა, ერთ დღეს დაუპირა ანგარიშის გასწორება სიმამრსაც და ბიძასაც. ისე, ხელი რომ არ შეშლოდა, ჩანაფიქრი მართლაც კარგი იყო. აბა, მაშინ გენახათ სიცილ-ხარხარი, როცა კუსა პირველ ჭიქას ასწევდა და იტყოდა... არა, ჯერ ფარნაოზს დაეღრიჯებოდა, ბიძა ხარ, პატივი დაგვდე და გვითამადეო, მაგრამ ფარნაოზი რომ გაიპრანჭებოდა, მაშინ კუსა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმებდა და იტყოდა, რამ გამომამტერა, სად გაგონილა, სიმეკაცი თავის ქორწილში თამადადობდესო. ატყდებოდა და რა ატყდებოდა. პატარძალს დაუწყებდნენ ძებნას, მაგრამ შავთვალემა მალალოსა და მისი შვიდი ქალიშვილის გარდა დედაკაცის სული არ იჭაჭანებდა გარშემო, თვალის საწიერზე. მაგრამ ვერ მიაღრთვეს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. აჩქარდა და იმიტომ, უცებ მოინდომა ბიძა-სიმამრის ჯავრის ამოყრა, სინამდვილეში კი ჯავრი მიიმატა. დარდს მოგცემ - დარდს დაგავიწყებო, ასე მოუვიდა კუსასაც, დამნაშავე კი თვითონვე იყო, ეს ხეთქავდა გულზე, საკუთარი სხეული ეზიზღებოდა, ნამშობიარევი ძალივით მომჩვარული და გაოფლიანებული. თითქოს, სიჩქარეში ბრმა ლეკვები დაეყარა და ამაზრზენი უმწეობით გრძნობდა, როგორ ალოდებოდნენ ზედ, როგორ ულოღნიდნენ ძუძუს თავებს სიბრიყვისა და სულსწრაფობის ნაშიერნი. კუსა ისე გაიტაცა ბიძა-სიმამრის გაბითურების სურვილმა, ბევრი უბრალო ჭეშმარიტებაც კი დაივიწყა, დაავიწყდა, ყველაფერს რომ თავისი დრო აქვს, ყველაფერი რომ დროს ელოდება, დრო კი - არაფერს. ტყუილად კი არ უთქვამთ, თავის დროზე დალეული შხამიც კი ტკბილიაო. კუსამ კი დაივიწყა, შამფურს დაუწყო თლა, თუმცა წერო ცაზე მიფრინავდა. ასე ფიქრობდა კუსა და სიბრაზისაგან მართლა უღონდებოდა გული. "ვკვდებიო" - სულთმობრძავივით ამოიქმენდა ხოლმე, მაგრამ საწოლთან მირბენილ პატუს წიხლით იშორებდა, რადგან პატუც ის იყო, რაც მამამისი. იმ დღეს დაჰკარგა კუსამ გონება, როცა ღვინის ვაჭარმა ბახამ ამ ქვეყანას თავი დაუკრა. "ძალი მიგაკვდეს სულშიო", - კი მიაძახა სიმამრს, ამდენი ხნის მოლოდინი წყალში რომ ჩაუყარა და მთელი ქალაქის სამასხარაო გახადა, მაგრამ ბოლოს ლამის თვითონვე მიაკვდა. იმ დღეს დაიწყო ყველაფერი. დღეს კი დაგვირგვინდა. დღეს რომ კუსამ შიში და მღელვარება გადაიტანა, თავგზა დაეზნეოდა კი არა, ისიც საოცარია, სული როგორ შერჩა. მართალია, მეგლს გადაურჩა, მაგრამ

ცოტას მორჩა მგლისფერ ძაღლს თვითონვე ჩაუვარდა ხახაში. კაცი რომ დიდ განსაცდელს გადაურჩება, ტროყიანთ ბიჭივით სულელდება, ლომი ბუზად ეჩვენება, ცა ქუდად აღარ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. თუმცა მაინც კუსაა დამნაშავე. ხომ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. კაცი კუბოშიც რომ გაღიმებული იწვება, იმისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ისე, კაცმა რომ თქვას, რა ჰქონდა სატირელი, ტაშფანდურით იცხოვრა, რაც რამე ჰქონდა, მუცელს მოახმარა, თუმცა არა, ოჯახზედაც იზრუნა, ისეთი სახედარი დაუტოვათ, არაფერს გაუჭირვებდათ. აკი ასეც დაუბარა იმ მართლა ვირსა და ოტროველას: ახლა შენ იცი და შენმა ბიჭობამო. კისერზე კი კრამიტის ნამტვრევი და ორმეტრიანი თამასუქი ჩამოჰკიდა, ნიშანი დაადო, ჩემს არყოფნაში, ემანდ ვინმეს არ შეგეშალოთ, ჩემი ვირიაო. ამიტომაც იღიმებოდა, არხეინად იწვა ვაზის ყლორტებით მორთულ სარკოფაგში და იღიმებოდა. მაგრამ, თუ სამართალი არსებობდა, ახლა კუსასთვის უნდა ეცლიათ, მისი ჯერი იყო და არც აპირებდა ვალში დარჩენას. თუმცა, მკვდრის ღიმილი მოსვენებას უკარგავდა, თავისკენ ეწეოდა, გამოცანასავით კვიმატი და მიმზიდველი. კუსაც, ვინ იცის მერამდენედ, გადაემხობოდა ხოლმე სარკოფაგს და სიმამრის შემუშებულ სახეს ჯიუტად ჩასცქეროდა. "მგონი კიდევ რაღაცას მიპირებს ეს პირქვე დასამარხიო", - ფიქრობდა და უკვე ნანობდა, პირველ გულს რომ დაუჯერა, ნაკუნაკუნა რომ არ დაგლიჯა ორმეტრიანი თამასუქი და ყველას დასანახად სახეში არ მიაყარა ცხედარს. შეიძლება მართლა დააშავა კუსამ, ასე რომ არ მოიქცა, შეიძლება ესეც მორიგი ოინბაზობა იყო მისი ძვირფასი ცოლოურის მხრიდან, მაგრამ კუსამ მაინც დაცდა ამჯობინა, რადგან მის აყლაყუდა მეუღლეს, მის ორმეტრიან თამასუქს, მაინცდამაინც ახლა მოუნდა დაორსულება. დიახ, პატუ ფეხმძიმედ გახლდათ და რახან სხვა არ ანაღდებდა, იქნებ თვითონვე გაენაღდებინა თავი თამასუქს და ახლა მაინც, მესამე გზობაზე მაინც, ეჩუქებინა კუსასთვის ერთი შვილი. ნაბიჭვარი კი არა, ნამდვილი შვილი, კანონიერი. მართალია, სიმამრის ფულებზე ოცნების ბევრი კოშკი აეგო, ფული ყოველთვის სჭირდებოდა, მაგრამ გულის სიღრმეში სიმამრის ფულებს საკუთარი შვილი ერჩია, ამჯერად შვილი უფრო სჭირდებოდა, მხოლოდ შვილი, რადგან მხოლოდ და მხოლოდ მისი ნაშიერი დაამტკიცებდა, ყველაფერზე უფლება რომ ჰქონდა კუსას, ყველაფერზე, რაც მოეხვეჭა და რასაც კიდევ მოიხვეჭდა; შემთხვევითი კი არ იყო ამ ქვეყანაზე, როგორც მისი მტრები ამბობდნენ ალბათ, არამედ აუცილებელი, გარდუვალი, რადგან ყველაფერი შეეძლო, რა თქმა უნდა, გამრავლებაც. რაც პატუ კუსას ცოლი გახდა, უკვე ორჯერ ემშობიარა, მაგრამ ორივეჯერ მკვდარი ბავშვი გაეჩინა. "ასე იმიტომ ხდება, მამაშენი ვალებს რომ არ იხდისო", - ეუბნებოდა გაბოროტებული კუსა, რადგან, ყველაზე მეტად ის აცოფებდა, წყალში რომ ეყრებოდა გემბანისხელა საწოლზე იძულებით გატარებული დრო და უპირველეს ყოვლისა, გაწეული შრომა, რაც არ უნდა არასასიამოვნო და ნამალადევი ყოფილიყო იგი. უსამართლობა, ისევ და ისევ უსამართლობა არეტანებდა კუსას, რადგან, მისი ღრმა რწმენით, გაცილებით მეტი ნაყოფი სწორედ არასასიამოვნო და ნამალადევი შრომას უნდა მოეცა, რათა მუშაკს შეძლებოდა მისი დავიწყება, რათა მუშაკს საერთოდ არ აცრუებოდა გული შრომაზე. სინამდვილეში კი საწინააღმდეგო ხდებოდა: უნაყოფო შრომა დროსაც აბერწებდა, ძვირფასსა და განუმეორებელ დროს. კუსა თითქოს მართლა ხომალდის მგზავრი იყო და ან წყალში უნდა გადამხტარიყო, ან უნდა მოეთმინა, სანამ გამოჩნდებოდა ნანატრი ნაპირი. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ნაპირი კი არ ჩანდა, ბურუსში იმალებოდა, ანდა ხომალდს დაჰკარგვოდა გეზი; და მართლაც, გზააბნეული ხომალდივით მიჭრიალებდა გემბანისხელა საწოლი მოლოდინის, გაურკვეველობისა და იმედის



დამეში. ნაპირი კი მაინც არ ჩანდა, თუმცა აქამდე უკვე ორგზის უნდა გამოჩენილიყო. მის მეუღლეს თითქოს სიკვდილთან დაედო კავშირი, სიკვდილს დაამხანაგებოდა, მაგრამ კუსას ვილა აღუდგენდა უნაყოფოდ დაკარგულ დროს? არავინ, თუკი თვითონვე არ იზრუნებდა. ქვა უნდა გაეხეთქა, ცას უნდა შესწვდომოდა, წელებზე ფეხი უნდა დაედგა და ამიტომაც იყო ალბათ, ცოფიანივით რომ ეძგერებოდა ხოლმე პატუს, როგორც მიწისძვრისგან ჩამოქცეულ სახლს, რომლის ქვეშაც ბავშვი მოყოლილიყო, ბავშვი კი არა, მისი შვილი. ქმრის შიში და მღელვარება თანდათან პატუსაც გადაედო, თანდათან ისიც დარწმუნდა, სამართლიანად რომ საყვედურობდა ქმარი. პატუმ ღიღინს უკლო და დედასთან სიარულს მოუხშირა. რახილოსაც საგონებელში აგდებდა შვილის სიბერწე, ჩემს შვილს რატომ არ უნდა უჩნდებოდეს ბავშვიო, მაგრამ რახილოც უმწეო იყო ბუნების საიდუმლოებათა წინაშე და უნებურად თვალს არიდებდა შვილის შეწუხებულსა და მავედრებელ სახეს. პატუ კი ისეთი იმედიითა და მოკრძალებით შესცქეროდა დედას, როგორც ბერწი დედაკაცები ნაყოფიერების ქალღმერთის კერძს. "როგორც დაგარიგე, ხომ მოიქეცი ისეო?" - ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა რახილო მის ფეხებთან ჩაცუცქეულ პატუს, და როცა ისიც თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევდა, მართლა აღარ იცოდა, რა ელონა, რაღა ერჩია ქალიშვილისთვის, ასეთი სასოებით რომ შემოსცქეროდა, ასე რომ უნდოდა დედობა. კუსა კი დღითიდღე უხემდებოდა, გესლიანი და საშიში ხდებოდა. "თუ მართლა სიკვდილის მეგობარი ხარ, ჯერ მამაშენი წააყვანინეო", - დაჰყვიროდა პერანგმემოხეულ პატუს, როგორც დასაკითხად შემოთრეულ ტუსადს. ხოლო ცოლის სლუკუნს თუ გაიგონებდა, უარესად ცოფდებოდა: წინასწარ გამოგვიტირა ყველანი ამ ოხერმაო.

- იმღერე! რატომ აღარ მღერი?! - ყვიროდა თვალეზგადათეთრებული კუსა.

მერე დატყვევებულ ნადირივით მოჰყვებოდა წრიალს და თვითონ მღეროდა, ბოროტად, ღვარძლიანად, ხრინწიანად, პატუს გამოსაჯავრებლად: მე და შენის სიყვარულსა რა გაჰყრის სიკვდილის მეტიო.

"მამა როგორ დავეწველოო", - ფიქრობდა შიშისგან მობუზული პატუ, მაგრამ ერთ დღეს ისე შეწუხდა, ისე გამწარდა, ისე მობეზრდა ყველაფერი და ისე შეეცოდა თავი, მაინც წამოცდა: მე თუ ამ დღეში ვიქნები, ან მამა რად მიინდა და ან სხვა ვინმეო. იმავე საღამოს ღვინის ვაჭარი ბახა თავის ორმოცსაფეხურიან სარდაფში გარდაიცვალა, მაგრამ კუსას წინასწარ რომ სცოდნოდა, რა მოჰყვებოდა იმ პირქვე დასამარხის სიკვდილს, ძალით აცოცხლებდა, ქვეყანას დაასევდა, სიცოცხლეს მოიკლებდა და იმას მიაშავებდა, ოღონდ ამ დღეში არ ჩავარდნილიყო, ოღონდ ფარნაოზი არ სცნობოდა, საერთოდ არ ჰყოლოდა ბიძა, ქვისტვინა და ქვისხელება და, მართლაც, რაღა მაინცდამაინც ფარნაოზი უნდა ყოფილიყო, მაინცდამაინც დედამისის ძმა, თუ ეს უსამართლო ქვეყანა მაინცდამაინც კუსას არ ედგა კრიჭაში. "ვკვდები, არ მომეკაროო, სიკვდილი მაინც მაცალეთ ჩემს ნებაზეო" - კუთავდა, კვნესოდა, ოხრავდა კუსა, თითქოს მართლა კვდებოდა, არა, უკვე მომკვდარიყო და გემბანისხელა საწოლში, როგორც საგვარეულო სამარხში, თავის მკვრადშობილ შთამომავლობასთან ერთად დაემარხათ. სინამდვილეში კუსა იზადებოდა, ხელმეორედ იზადებოდა, ოღონდ, სულელი და მხდალი დედაკაცის საშოდან კი არა, საკუთარი გონებიდან, გამობრძმედილი, ჭირნახული, ჭკუანასწავლი და დაბრძენებული. დაბადებაც მტკივნეული იყო, იმდენად მტკივნეული, სიკვდილში აერია, ერთი წუთით ლამის დაჰყარა კიდეც ფარ-ხმალი, მაგრამ კედელმა გადაარჩინა, უფრო სწორად, კედლის ბზარში შეეყუჟულმა

ჭრიჭინამ; კუსამ შემთხვევით დაინახა იგი, შემთხვევით დაუკავშირა ერთმანეთს გულისგამაწვრილებელი, ქვეყნის ამკლები ხმა და ეს პატარა მწერი, რტოსშერჩენილ ქლიავივით შავი და დამჭკნარი. ჭრიჭინამაც იგრძნო უცხო თვალი და ნირწამხდარი ჩაჩუმდა. მოულოდნელად ჩამოვარდნილმა დუმილმა კუსას გონება გამოუკეთა, გაოფლილი და სახსრებდალეწილი, ახლა მშვიდად იწვა და ილიმებოდა, თითქოს აღთქმულ ქვეყნამდე მიედწია, რომლისკენაც დღედაღამე მისწრაფოდა რწმენისა და შიშის ამარა. კუსას ბავშვობიდან ემინოდა ჭრიჭინების, ისინი რატომღაც იმქვეყნიურ ხმებად ჰყავდა წარმოდგენილი, რომლებიც ზაფხულობით, ხვატისგან დამსკდარი მიწის ნასვრეტებიდან ამოდიოდნენ და გაუთავებლად, განურჩევლად წყველიდნენ და აგინებდნენ ცოცხლებს, მზედაკრული გვამის სუნით უხილავნი და შემაწუხებელნი. კუსას აქამდე არ ენახა ჭრიჭინა და შეიძლება ამიტომაც გასჩენოდა ამგვარი წარმოდგენა. ახლა იწვა და ილიმებოდა, გამოცანის სიმარტივით შემცბარი და აღფრთოვანებული. "აი, თურმე როგორი ყოფილაო", - ფიქრობდა იგი და უკვე პირველი დასკვნებიც გამოჰქონდა საკუთარი აღმოჩენიდან. "ხე, ხე, - იცინოდა კუსა, - ეგ რომ ჩანდეს, ვინ გააჭაჭანებდა აქამდეო. კაცს იმისი ეშინია და იმას უწევს ანგარიშს, რისი დანახვაც არ შეუძლიაო; დიდ ძროხას ყველა დანით დასდევს უკანო; რაც უფრო პატარა ხარ, უკეთესად დაიმალებიო; ხოლო რაც უკეთესად დაიმალები, ხმაც აგეწევა და ფასიცო".

- ვერ უნდა გიპოვონ, ვერა! - იყვირა უცებ კუსამ და საწოლზე წამოჯდა, მერე საჩვენებელი თითი ბზარში შეყო და ჭრიჭინა გაჰყლიტა, გამომჟღავნებული მსტოვარივით ზედმეტი და უვარგისი.

სანამ ფარნაოზი კრეტაზე წავიდოდა, ბიძა-დისშვილი ერთხელ კიდევ შეხვდნენ სალაპარაკოდ. უთენია წამომდგარ ფარნაოზს კარგა ხანს მოუწია ლოდინი ბერძნის წყაროსთან, სანამ კუსას ტომრის ჟღრიალს გაიგონებდა. ბიძა რომ დაინახა, კუსამ ნაბიჯი შეანელა, მაგრამ არ შეჩერებულა, არც ღიმილი მოშორებია, თუმცა სახე დაეძაბა, თითქოს გზაზე გაწოლილი ქოფაკისთვის გვერდი უნდა აევლო. კუსამ სწორედ წინა დღეს კრეტაზე გასაგზავნი ხელოსნების სიაში ჩააწერინა ფარნაოზი და სრულებითაც არ გაჰკვირვებია ამ დილა-უთენია მისი დანახვა. სასახლეში ნათქვამი სიტყვა ყოველთვის მთქმელზე ადრე ამოდიოდა ქალაქში, მაგრამ კუსამ ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა, რადგან იმ წუთას დარწმუნებული იყო, ორივესთვის, თავისთვისაც და ბიძისთვისაც, სასიკეთო საქმეს აკეთებდა. არც სხვებისთვის უნდა ყოფილიყო მოულოდნელი და გასაკვირი კუსას ამგვარი თავგამოდება. ხელოსანი რომ ყოფილიყო, თვითონაც ჩაეწერებოდა, რადგან, როგორც სასახლეში გაეგო და დაესწავლა, მინოსის სამსახური ყველა მოკვდავის წმიდათაწმიდა ვალი იყო. მინოსს კი, ყველაზე დიდ მეფეს, ყველაზე დიდი სასახლის მშენებლობა წამოეწყო და ხელოსნები სჭირდებოდა. განა ასე არ გამოუცხადეს: მინოსს ხელოსნები შემოუთვლია და აბა, თქვენ იცით, არავის არ უნდა ჩამოვრჩეთო. რომელი ხელოსანი დაიხვედა უკან, თუკი ასეთი ბედნიერი შემთხვევა მიეცემოდა თავისი ერთგულებისა და ოსტატობის გამოსამხეურებლად. "ხე, ხე, სირცხვილი არ არის, ამისთანა ბიძის პატრონს ჩაქურის დაჭერაც არ შემეძლოსო", - ამბობდა კუსა და თვითონაც ელიმებოდა, როცა რომელიმე კარისკაცი ხელს წაკრავდა და მიამახებდა, შენც კარგი მამამალლი ხარო.

გამოჩნდა თუ არა კუსა, მაშინვე მიხვდა ფარნაოზი, ისევ რომ გაბითურებულიყო, ისევ გაბმულიყო მახეში და ისევ საკუთარი სიბრიყვის წყალობით. "ეტყობა, ვერასოდეს ვისწავლი ჰკუსასო", - ფიქრობდა იგი, მაგრამ აღარც გაბრუნება შეეძლო, უბრალოდ თავიც აღარ ჰქონდა,

ერთი დღე კიდევ გაემლო მტანჯველი ფიქრებისათვის, იმ საბედისწერო შემთხვევის მერე, მაძლარი მგლებივით, თავშესაქცევად, ყასიდად რომ მიძგნიდნენ და გულაღმა გამოტილს პირში ჩაჰდმოუნდნენ. არა, ისევ გაბითურება სჯობდა უკან მიბრუნებას. ფარნაოზს საკუთარი განზრახვა სტანჯავდა და ამაშიც თვითონ იყო დამნაშავე, რადგან ბრმად და დაუფიქრებლად თვითონვე გამოეხმო სულის ყველაზე მიყრუებული კუნჭულიდან და ახლა, ტყვეობიდან თავდაღწეული ნადირივით საშიში, არავის მიიკარებდა, გახედვაც აღარ უნდოდა ბნელი და ნესტიანი ბუნაგისკენ, საიდანაც მისი უყაირათო მეთვალყურის წყალობით მაინც დაეღწია თავი. ფარნაოზიც ამაოდ ცდილობდა უნებური შეცდომის გამოსწორებას. განზრახვა ბრმა იყო, ყნოსვით მიიკვლევდა გზას, მაგრამ ბასრი კბილები ჰქონდა და თუკი ერთი წამით მაინც შეეგუებოდა ფარნაოზი მის თავისუფლებას, ერთი წამით მაინც გამოაცლიდა პირიდან გასისხლიანებულ ხელებს, მის სიბრმავესა და სიჯიუტეს ვეღარაფერი აღუდგებოდა წინ. ფარნაოზს აზრი არ შესცვლია, ისევე სჯეროდა, კუსასთვის მადლი რომ იქნებოდა სიკვდილი. კუსას ყველაზე უბედურად თვლიდა, რადგან ბუნებას კუსასთვის გესლის ჯირყვლები გამოეყოლებინა და რამდენჯერაც არ უნდა ამოენთხია, მაინც ვერასოდეს განიწმინდებოდა მთლიანად, თვითონვე იყო გესლის წყარო. სამაგიეროდ, სიცოცხლისუნარიანობითაც გამოირჩეოდა. სითავხედის კეტით მიიკვლევდა გზას, რადგან ტანი უგრძობდა, სითავხედით უფრო ადვილად დააეჭვებდა სხვებს თავიანთ სამართლიანობაში და უფრო ადვილად დაარწმუნებდა, საჭირო რომ იყო თავად, აუცილებელი, როგორც... როგორც თუნდაც გველი, ანდა მორიელი. არა, კუსა ქვის მატლი იყო, ხრწნაგამჯდარი ქვის მატლი და ამიტომაც უფრო ღირსეული პატრონიც უხეიროს უმეცრებით დანგრეული ქვეყნისა, ვიდრე ფარნაოზი, რომელსაც ამ დანგრეული ქვეყნის დანახვის უფლებაც აღარ ჰქონდა, მოვლა-პატრონობას კი არა, დანახვასაც უშლიდნენ, მტკერი რომ გადაეწმინდა, ქვები რომ გადაეწყო გვერდზე და დოქის ყური მაინც ეპოვა, როგორც უტყუარი საბუთი, უტყუარი დადასტურება ამ ნანგრევების ქვეშ ოდესღაც მართლა არსებული ქვეყნისა, რომელსაც მისი სამშობლო უნდა რქმეოდა. საინტერესოა, იცოდა თუ არა ეს ამბავი კუსამ? ალბათ, არ იცოდა, არ შეიძლებოდა სცოდნოდა. განა მატლს შეიძლება ჰქონდეს სამშობლო? მატლი ხომ მაშინ ჩნდება, როცა ყველაფერი დამთავრებულია და იმას უჩნდება, რაც აღარავის სჭირდება. ეს რომ სცოდნოდა, ფარნაოზის აზრით, კუსა თვითონვე მოიკლავდა თავს და ფარნაოზსაც გაათავისუფლებდა ამ ბინძური განზრახვისაგან, რომლის აღსრულებაც ფარნაოზს უკვე თავის მოვალეობად მიაჩნდა, მხოლოდ ამაზელა ფიქრობდა, მკვლელობის ათასგვარ ხერხსა და საშუალებას იგონებდა და იტანჯებოდა, რადგან კუსა მაინც უყვარდა, უფრო სწორად, ეცოდებოდა, არ ემეტებოდა გადასაგდებად და ამიტომაც არც უფლება ჰქონდა გვერდზე გამდგარიყო, თვალი დაეხუჭა, ანდა მშვიდად ეცქირა, როგორ ფუტუტუტებდა იგი სამშობლოს ცხედარზე. მართალია, კუსაც მსხვერპლი იყო, მაგრამ თანაგრძნობას არ იწვევდა, რადგან წინასწარვე, გაჩენამდე შეჰკუებოდა ამგვარ გარემოში ცხოვრებას და, რაც ყველაზე დიდი უბედურებაა, მხოლოდ ამგვარ გარემოში შეეძლო ცხოვრება, ასეთი სენი დაჰყოლოდა და ამ სენის ამოწვა და ამოძირკვა კუსას არსებიდან ყოვლად შეუძლებელი იყო. კუსა ამ სენისთვის გაეჩინა ბუნებას, ამ სენის მატარებლად, გამავრცელებლად, და ეს კუსამ არც კი იცოდა, როგორც ქარმა არ იცის, რომელი მცენარის თესლი გადააქვს ერთი ადგილიდან მეორეზე.

სამაგიეროდ, კუსას არ შეეძლო არ შეემჩნია ის შიში, რომელსაც მისი გამოჩენა ბადებდა, მისი ტომრის ჟღრიალი და სამზარეულოს დანასავით ყოველთვის საგულდაგულოდ გაპრიალებული

ღიმილი; "თუ მართლები არიან, რატომ უნდა ეშინოდეთ ჩემიო" - ფიქრობდა კუსა და გულწრფელად სჯეროდა, მთელი ქვეყანა პირადად მისი მტრებით, მისი მოშურნე და მისი მარცხის მომლოდინე ხალხით დაესახლებინათ. აკი ბიძასაც ასე უთხრა: ჩემი გშურს და იმიტომ გეჯავრებო, მაგრამ სწორედ ფარნაოზის თვალში არაფერი ჰქონდა კუსას შესაშური; რამდენიც არ უნდა მოეხვეჭა, მაინც ყოველთვის დატაკი იქნებოდა, რადგან ისიც არ იცოდა, რამდენი სჭირდებოდა, რა სჭირდებოდა, რისთვის სჭირდებოდა; მონახვეჭი კი არ გააძლიერებდა, როგორც ჭირნახული გლეხს, არამედ დაასუსტებდა, როგორც მახრჩობელა გველს გადაყლაპული კურდღელი. ეს ბუნებასაც გაეთვალისწინებინა და ამიტომაც გამოეყოლებინა გესლის ჯირყვლები: მონელების ჟამს, მშობიარე ქალივით დაუძლურებული, გესლს უნდა დაეცვა იგი.

ამგვარმა ფიქრებმა ფარნაოზს ძილი გაუტეხა, სამარიდან ამოღებულს დაემსგავსა; სანამ პოპინა არ მოუკაკუნებდა კედელზე, უთავბოლოდ დაბორილობდა ოთახში, თითქოს კარ-ფანჯარა ამოექოლათ და გამოსავალს ვეღარ პოულობდა. დილით პოპინას დანახვისა რცხვენოდა და უსაუზმოდ გარბოდა შინიდან, რათა ჩქარა აცოცებულყო თავის უკაცურ კუნძულზე და ჩაქუჩით ემტვრია ქვის ხორკლიანი ზედაპირი - საზარელი განზრახვის ლიბრგადაკრული თვალეხი და ბასრი, გამყინავად ბასრი კბილები. "მაგ ხნის კაცები ბავშვებით არიან, მარტო წოლა უჭირთო" - ეუბნებოდა ქალუკა ძმის მოუსვენრობით აფორიაქებულ პოპინას. პოპინაც ასე ფიქრობდა, გული უგრძნობდა, ქალი იყო გახვეული საქმეში და ადრე თუ გვიან მაინც მოხდებოდა ის, რისიც ყველაზე ძალიან ეშინოდა. პოპინას ფარნაოზის მომავალი ცოლის ეშინოდა. ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ქალღმერთი თუ მეძავი, პოპინა მაინც ფეხებს დაუკოცნიდა, გულითა და სულით შეიყვარებდა, მაგრამ რა ვალდებული იქნებოდა ის, ან რატომ უნდა მოეთმინა ნამუსახდილი და მიგდებული დედაკაცი, რომელსაც საკუთარი ოჯახისთვის შერცხვენის მეტი არაფერი მოეტანა, რომლის მიზეზითაც ამ დასაქცევ სახლში ყველას ერთმანეთი ძულდა. რძალმა კი არა, შვილმა არ ინდომა იგი და სწორედ იყო, რადგან დედას თუ წაიყვანდა, ცოდვიანად უნდა წაეყვანა, პოპინას ცოდვას კი ერთი სახლი უკვე წაებილწა და ესეც კმაროდა. აქაც მამის ხათრით აჩერებდნენ ალბათ. არა, ფარნაოზს არასოდეს არ უგრძნობინებია, არ მსიამოვნებს შენთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაო, მაგრამ ვინაა თავდები, ძალით რომ არ აკავებდა ფარნაოზი პირზე მომდგარ სიტყვას. ავს თუ არ ამბობდა, არც კარგი უთქვამს ფარნაოზს როდისმე დისთვის. მართლა არ ახსოვდა პოპინას ძმის ტკბილი სიტყვა, ხოლო კუსა რომ გაჩნდა, იმ დღის მერე გაღიმებულიც აღარ უნახავს. არ აპატია და იმიტომ, მაგრამ ფარნაოზი მაინც სხვა იყო და ფარნაოზის ცოლი სხვა. ცოლს ბევრი რამე შეეძლო. შეიძლება ფარნაოზიც ამიტომ ითრევდა ფეხს, დას ზოგავდა, და ეცოდებოდა, მაგრამ აღარც უცოლობა შეეძლო და უხმოდ, უთქმელად იტანჯებოდა. ანდა... არა, პოპინას არ უნდოდა დაეჯერებინა კუსას იმდღევანდელი ნათქვამი. რას არ ამბობდნენ კაცები სიბრაზეში, მამა შვილს არ ზოგავდა და შვილი მამას; მეტი რა იცოდა პოპინამ, მეტი რა მოესმინა, რამდენჯერ გადატრიალებია გული, სანამ დარწმუნდებოდა, რომ ეს კაცების თვისება იყო. სამაგიეროდ, დღემდე სჯეროდა, მის დასაშინებლად რომ იქცეოდნენ კაცები ასე, მის დასაკნინებლად იგონებდნენ საზარელ სიტყვებს, თვითონ კი, ერთი წუთის შემდეგ აღარაფერი ახსოვდათ. "ყველას ხელს ვუშლი, ყველას სიცოცხლეს ვუმწარებო" - ზმუოდა პირმოკუმული პოპინა და დატყვევებული ჩიტივით შემკრთალი და გაკვირვებული უსმენდა, როგორ დაძრწოდა ძილგამკრთალი ფარნაოზი კედლის იქით. ფარნაოზმა ერთი პირობა გადაწყვიტა კიდევ, ეთქვა პოპინასთვის თავისი წუხილისა და მოუსვენრობის მიზეზი,

მაგრამ რა სიტყვებითაც არ უნდა გამოეთქვა ეს მიზეზი, ისე დაუჯერებლად და ამავე დროს ისე საზარლად ჟღერდა, უკანასკნელ წამს ენას კბილს დააჭერდა ხოლმე და დას ეხვეწებოდა: თავი გამანებე, არც არაფერი მტკივა, არც ცოლის შერთვას ვფიქრობო. მართლაც, როგორ ეთქვა ამ საბრალო ქალისთვის, მისი შვილის მოკვლას რომ აპირებდა და იმიტომ ვეღარ დატეულიყო თავის საწოლში. პოპინა ერთ რამეში იყო მართალი და თავისი გაუთავებელი შეკითხვებით ფარნაოზიც მიახვედრა, რომ კუსას მკვლელობაზე ფიქრი, თავისი დაუნდობლობითა და ტკივილებით, ძალიან ჰგავდა ინოზე ფიქრს. ფარნაოზის განზრახვას აღსრულება არ ეწერა, მაგრამ ამაზე მეტად მაინც ვერ დაიტანჯებოდა, გინდაც მართლა მოეკლა კუსა. ფარნაოზს გონებაში მკვლელობა უკვე ჩაედინა, ახლა მხოლოდ გვამის გამოტანადა აკლდა სააშკარაოზე, უფრო სწორედ, სასჯელი, რადგან მხოლოდ სასჯელს შეეძლო მისი დამშვიდება. ამიტომაც იყო, დღემდე განუცდელი მღელვარება რომ დაეუფლა, გამოაგნებელი ნეტარება რომ მოჰგვარა ქალაქში დარხეულმა ხმამ ხელოსნების კრეტაზე გამგზავრების შესახებ. ფარნაოზს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს პირადად მისთვის გამოეტანა განაჩენი, სადღაც, ცხრა ზღვის იქით, ვიღაცას, ღმერთივით მკაცრსა და სამართლიანს, ზღვების იქითაც რომ შეეძლო კაცის გულში ჩახედვა, ფიქრის ამოკითხვა და დასჯაც. მაგრამ იყო მეორე საშიშროებაც. ხომ შეიძლებოდა, აქ ვერ მიმხვდარიყვნენ, ვისთვის იყო ეს განაჩენი გამოტანილი, ანდა, სწორედ იმიტომ, რომ მიხვდებოდნენ, მის მაგივრად სხვა გაეგზავნათ, ის კი დაენდოთ, დაემალათ, როგორც უხეიროს შვილი და კუსას ბიძა. ამიტომაც, ბევრი აღარ უყოყმანია და მეორე დილასვე, უთენია წამომდგარი, ბერძნის წყაროსთან დაელოდა კუსას.

- კრეტაზე რა გინდა, ოჯახს ვის ანაბარა ტოვებო? - ხელები გაშალა კუსამ, როცა ბიძის სათხოვანი მოისმინა. გუნებაში კი გაიფიქრა: მთლად წამხდარა ეს უბედურიო.

- ქვეყანა მიდის. წავალ, ბედსა ვცდი. - თქვა ფარნაოზმა.

- კაცო, წუხელ კოლომ მიკბინა, რა შხამი ჰქონდა ამისთანა იმ ოხერს, მუშუს ქვეშ მუშტისხელა ღულუდო გამიჩინაო - თქვა კუსამ და მკერდი მოიქექა.

- დანის პირი უნდა მოგესვა, - უთხრა ფარნაოზმა.

- დანის პირი რა, კრაზანას კი არ უკბენია, შე კაცო - გაიღრიჯა კუსამ. მერე დაამატა: არ დაგზარდები, ბიძაჩემო, მაგრამ ცოტა ძნელი საქმე კია, მსურველი ბევრიაო.

სანამ კუსა თვალს არ მიეფარა, ფარნაოზი ბერძნის წყაროსთან იდგა და გაჰყურებდა.

გამგზავრების დღე რომ დადგა, ფარნაოზი გამოსამშვიდობებლად მამასთან შევიდა. უხეირო ისევ ქარგავდა, თითქოს ამ ხნის განმავლობაში მისთვის არაფერი შეცვლილიყო, მაგრამ ფარნაოზს მაშინვე თვალში ეცა, როგორ მოეტეხა და გაენადგურებინა დროსა და ავადმყოფობას უხეიროს უზარმაზარი სხეული. ახლა საწოლში გალეული, გაჩხინკული მოხუცი იჯდა და ფარნაოზმა მამის წვრილსა და მობოშებულ კისერს რომ დახედა, ცრემლი ყელში მოებჯინა. უხეირომ შვილს გაუღიმა, თუმცა კარგად ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო საქარგავიდან.

- შენს ჩამოსვლამდე დავამთავრებ კიდევ, მერე დავსხდეთ და ერთად წავიკითხოთო - თქვა უხეირომ.

ფარნაოზმა ტახტთან დაიჩოქა და მამის ხელს მისწვდა საკოცნელად. უხეირომ ერთი კი სცადა, ჩვეულებისამებრ მოეღუშა სახე, მაგრამ რატომღაც მასაც ცრემლი მოერია, არც დაუმაღლავს, ყველას დასანახად ამოიწმინდა განუწყვეტელი ქარგვისაგან ჩაწითლებული და გაგალებული თვალები.

- ღვინო მოგვიტანე, პოპინა, - გასძახა უხეირომ ქალიშვილს და ისევ საქარგავს მიუბრუნდა.

ფარნაოზი კიდევ დიდხანს დასცქეროდა მამის გამხდარ თითებს, უზარმაზარი ჭიანჭველებივით რომ დაფუსფუსებდნენ აფრისხელა ტილოზე. პოპინას ღვინის ხელადა ბალღივით მიეხუტებინა და უხმოდ ტიროდა.

ფარნაოზი ისეთი გრძნობით გამოვიდა მამის ოთახიდან, თითქოს ვერასოდეს ვეღარ იხილავდა ამ უცნაურსა და უბედურ კაცს, რომელიც მთელი არსებით, წლების მანძილზე, ჯიუტად, თავგანწირულად ცდილობდა, არ გასტყდომოდა და არ შეგუებოდა თავის უბედურებას.

ასედაც მოხდა: ფარნაოზს უხეირო აღარ უნახავს.

მესამე ნაწილი

ფარნაოზი

ფარნაოზი კაცის შეყვრებამ გამოარკვია. ეს ხმა დიდხანს ესმოდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა, იგერიებდა, უსხლტებოდა, როგორც მდინარის ფსკერზე გაშობილი გვამი მის ამოსათრევად ჩამოშვებულ ჭანგს, მაგრამ ხმაც ჯიუტი იყო, დაუნდობელი, და თუ ჯერჯერობით ვერ ახერხებდა მართლა ჭანგივით წამოსდებოდა გამოთიშულ გონებას, შეღწევით უკვე შეეღწია შიგ. "მკვდარი ვარ და ცუგა დამყმუის თავზეო" - ფიქრობდა გამოფხიზლების გზაზე შემდგარი ფარნაოზი, ხოლო როცა საბოლოოდ გამოფხიზლდა, აღარაფერი აღარ ახსოვდა, არც შემაწუხებელი ხმა და არც სულელური ფიქრი. დაძაბული, სულისშემხუთველი დუმილი გამეფებულიყო ირგვლივ. ბნელში იწვა. მთელი სხეული უბუჟოდა. სახსრები სტკიოდა და სისუსტისგან თავბრუ ესხმოდა, თითქოს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პირველად გამოსულიყო სუფთა ჰაერზე, თუმცა ჰაერში გაზინთული ბუმბული ირეოდა და მქისე სუნი ტრიალებდა, როგორც დაწიოკებულ საქათმეში. კაცმა ისევ შეჰყვირა და ფარნაოზმა შვება იგრძნო, თითქოს ამ ხმის გაგონებას ელოდებოდა მხოლოდ, მოუთმენლად, მთელი არსებით. "არაფერიც არ მომივა. ვიწვები ასე... მამაჩემივითო", - ამის გაფიქრებალა მოასწრო და ისევ დაკარგა გონება, მაგრამ უგრძნობლობის ფსკერამდე ვეღარ ჩააღწია, სადღაც შეჩერდა, შუა გზაში, ტოტებმა შეაკავეს. ასეთი გრძნობა ჰქონდა ზუსტად; თითქოს ტოტებზე იწვა და მათთან ერთად ირხეოდა. არც უკვირდა, არც ეშინოდა. როცა ისევ გაახილა თვალი, ბავშვი დაინახა. ბავშვი იატაკზე იჯდა და გაოცებული შემოსცქეროდა. დიდხანს უყურეს ერთმანეთს, ძალიან დიდხანს, სანამ გაოცებული ბავშვი აბრჭყვიალებულ სინათლეში არ გაითქვიფა. ორი დღის მერე ისევ დაუბრუნდა მხედველობა. ბავშვი ახლაც იატაკზე იჯდა, თითქოს ამ ხნის განმავლობაში არც ის განძრეულიყო, და დიდი, გაოცებული თვალებით შემოსცქეროდა. მერე სახე შეუთრთოლდა,

პირი გაეხსნა და თეთრი, კრიალა კბილები გამოუჩნდა. ბავშვის ღიმილი უნებურად ფარნაოზსაც გადაედო და მშრალი, დახეთქილი ტუჩები აეწვა.

- დედილო, მკვდარმა ისევ გაიღვიძა! - დაიძახა ბავშვმა.

ახლა კარს უყურებდა. აღარ იღიმებოდა, მოუთმენლად მისჩერებოდა კარს. ოთახში ქალი შემოვიდა. სველ ხელებს წინსაფარზე იმშრალეზდა. ქალის დანახვაზე ბავშვმა დაბმული ჩიტვიტით შეიფრთხილა და ამაყად გამოხედა ფარნაოზს. ქალმა გაიღვიძა და ისე საოცრად დაემსგავსა მის ფეხებთან აფრთხილებულ ბავშვს, ფარნაოზს გული აუჩუყდა.

- მადლობა ღმერთს! - თქვა ქალმა.

ფარნაოზმა თვალი დახუჭა, ახლა უკვე ძალით. შეგნებულად, რადგან უცებ ყველაფერი გაახსენდა და შერცხვა: მომღიმარი ქალისაც, მისი გადარჩენისთვის ღმერთს მადლობას რომ სწირავდა; იატაკზე დაყურსული ბავშვისაც, მისი გადარჩენა ღიმილით რომ აუწყა ქვეყანას, და ტახტისაც კი, რომელზედაც იწვა. ფარნაოზს გადარჩენის შერცხვა. ან რა საჭირო იყო იმ კაცის გადარჩენა, რომელიც ათი წლის ამხანაგებს სასიკვდილოდ გაემეტებინათ. უკვე ყველაფერი ახსოვდა, ყველაფერი მაშინვე გაახსენდა, როგორც კი ქალი შემოვიდა ოთახში.

სცემეს, არა, კი არ სცემეს, გველივით ჩაქოლეს. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. განა სამართლიანად არ იქცევა კაცი, როცა მის გზაზე გაწოლილ გველს ბარით უჩეჩქავს თავს? გინდაც იმ გველს ჯერ არავინ დაეგესლოს, გინდაც მხოლოდ მზეზე გასათბობად გამოხოხებულიყოს, მაინც ყველამ უნდა ესროლოს ქვა. ვალდებულნიც არიან, ასე მოიქცნენ, რადგან თუ ჯერჯერობით არავინ დაუგესლავს იმ გველს, ადვილი შესაძლებელია, ხვალ დაგესლოს ვინმე, თუნდაც ბავშვი, იატაკზე რომ დაუსვამთ და უყურადღებოდ მიუტოვებიათ მშობლებს. "მე გველი ვარ, ღმერთო, გველი!" - შიშითა და ზიზღით გაიფიქრა ფარნაოზმა. ამ ათი წლის განმავლობაში თურმე გესლითა და სიძულვილით ავსებდა იგი ამხანაგების გულებს, ხოლო როცა გესლი და სიძულვილი გულებში აღარ ჩაეტიათ, გადმოანთხიეს კიდეც.

ათი წელი გასულიყო. ესეც ახლა იგრძნო ფარნაოზმა, უცხო სახლში, ვიღაცის ტახტზე გამოტილმა. დრო კი გასულიყო, მაგრამ არაფერი შეეცვალა, რადგან თვითონ იყო ფუჭი და უაზრო, სასჯელისთვის განკუთვნილი, სავალდებულო სენივით მოსახდელი. ამ ათი წლის განმავლობაში არავინ დაინტერესებულა მისი ვინაობით. პირველად რომ ჩამოვიდა კრეტაზე, არც მაშინ უკითხავთ სახელი, ზედამხედველებს მისი ხელობა აინტერესებდათ მხოლოდ და როცა ფარნაოზმა უთხრა, ქვისმთლეელი ვარო, ორმოცი ათასმა კაცმა ერთხმად შესძახა: აქეთ მოდი, ჩვენი ყოფილხარო. ის იყო და ის, იმ დღის მერე ფარნაოზი ორმოცი ათას ქვისმთლეელში გაითქვიფა, ორმოცი ათას ფარნაოზად იქცა და ეს ორმოცი ათასი ფარნაოზი ტყუპისცალივით ერთდროულად გარბოდა ფეხსადგილისკენ, ერთდროულად იკლავდა წყურვილს და ერთდროულად წვებოდა დასაძინებლად, რათა უთენია, ზედამხედველების ყვირილზე, ისევ სინანულითა და გინებით მიეტოვებინა გაურანდავი ფიცრის ნარები და მძიმე ჩაქუჩებით აღჭურვილი ისევ ლოდებს მისეოდა, ისევ ლოდებზე ამოეყარა ჯავრი. დილიდან საღამომდე ეჭიდებოდნენ ისინი ქვის სიჯიუტეს, ხლეჩდნენ და აპობდნენ, ამტვრევდნენ და აქუცმაცებდნენ ამ უძრავსა და უგრძობელ ურჩხულებს, საზარელი პირებიდან მტვერს და ნაპერწკლებს რომ

აფრქვევდნენ და ხარხარებდნენ, სანამ მათი სიმტკიცითა და სიკერპით გასავათებულ კაცს მკლავები დააწყდებოდა. სხვებისაგან განსხვავებით ფარნაოზს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ქვასთან, მას ქვა უყვარდა, მესაიდუმლედ გაეხადა, მოგონებებით დაესახლებინა და ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც მისი ნამდვილი ბუნება ჯერ კიდევ ბედავდა სამზეოზე გამოსვლას. ქვა ფარნაოზის მეგობარი იყო, უტყვი და ერთგული მეგობარი, რომელსაც ყოველ დილით გამოყავდა იგი ორმოციათასიანი კაცის აშმორებული ზღვიდან, რათა ერთხელ კიდევ გადაერჩინა დახრჩობას. ფარნაოზიც ანებივრებდა თავის მეგობარს, გაუფრთხილებლად არასოდეს დაჰკრავდა ჩაქუჩს, ჯერ ხელს გადაუსვამდა, მტვერს გადასწმენდდა, გამოაღვიძებდა და მხოლოდ მერე შეაბიჯებდა დაბურულ ტალავარში, თვითონვე რომ ამოეტვიფრა ხორკლიან ზედაპირზე. ამიტომაც იყო, მისი საჭრეთელი თავისუფლად, ვნებიანი თრთოლვითა და ტკრციალით რომ მისრიალებდა ქვის ძარღვებში, როგორც ქალის თმაში სავარცხელი. გახარებული ცუგა მთელ კუნძულს ყეფით იკლებდა, ყველა ხვრელსა და ნაპრაღში ცხვირსა ყოფდა, აცემინებდა და ნაცრისფერ მტვერში ამოგანგლულ ნესტოებს ფარნაოზს წვივზე ახოცავდა. კუნძულზე ვაშლის სუნი იდგა, ვაშლისა და მარადიულ სიგრილეში დარბილებული მიწისა. "კარგი გოგოა ინო, ფარნაოზ, აგე, რა ამბით მორბის" - ეუბნებოდა ფარნაოზს უჩინარი დარიაჩანგი და ფარნაოზიც უნებურად იქითკენ იყურებოდა, საითაც ხმა ახედებდა. ინო ზღვიდან ამოსულიყო და მისკენ მორბოდა. ხელები წინ გაემვირა და ამოტრიალებული პეშვები ერთმანეთისთვის მიეტყუებინა. "მედუზა მოაქვსო", - ფიქრობდა ფარნაოზი და ილიმებოდა: ფარნაოზის წინ მუხლებზე დაცემული ინო ცრემლნარევი ხმით სლუკუნებდა: ნახე, ფარნაოზ, ნახე, რა ვიპოვეო. ინოს ზღვის წყალი თითებს შორის გაჰპარვოდა და სველ ხელისგულზე მკვდარი ფუტკარი მისწებებოდა. "რას მიფრინავდა ასე შორს... საცოდავი..." - ამბობდა ინო და თვითონვე ამატებდა: ალბათ ქარმა წაიღოო. მერე ფარნაოზის გვერდით წვებოდა, სველი და შიშველი, მკვდარი ფუტკრის ხილვით შემკრთალი და დასევდიანებული, მაგრამ მაინც სინათლესავით გაბრწყინებული. მზის სხივი ცხვირზე უღიტინებდა და ლოყებზე პატარა ფოსოები უჩნდებოდა. ფარნაოზს თავბრუ ეხვეოდა, თვალები უჭრელდებოდა და ველარაფერს ხედავდა, სინათლის გარდა. როდის-როდის ქვისმთლელების ხორხოცი ჩაესმებოდა და გამოფხიზლდებოდა, აკრეფდა თავის იარაღს და უხალისოდ ჩამოხობდებოდა ქვის კუნძულიდან. ახლა მხოლოდ ქვისმთლელების გაბოროტებულ თვალებს ხედავდა და მათი დამცინავი, ღვარძლიანი ლაპარაკი ესმოდა. "თუ გინდა, ჩირაღდანს მოგინათებთ და ღამითაც იმუშავო" - ეუბნებოდნენ ქვისმთლელები და დაღლილობისაგან უფრო საშიშნი ჩანდნენ, უფრო დაუნდობლები. ფარნაოზი თავს დამნაშავედ გრძნობდა, ხვდებოდა, ისე არ იქცეოდა, როგორც მათი ძმობის დაუწერელი კანონები ავალდებულებდა; იმასაც ხვდებოდა, ადრე თუ გვიან პასუხს მოსთხოვდნენ, ან ოცნებაზე ააღებინებდნენ ხელს, ანდა... ღმერთმა იცის, რა მოჰყვებოდა ორმოცი ათასი კაცის სიძულვილს. მაგრამ ისევ ორმოცი ათასი კაცის სიძულვილი სჯობდა, ორმოცი ათასი კაცის დაცინვას. როგორ ეთქვა, ასე და ასეა ჩემი საქმე, ზედმეტს იმიტომ ვმუშაობ და თქვენც იმიტომ გაფერხებთ, უფრო დიდხანს რომ ვიფიქრო ერთ ტიტლიკანა გოგოსა და ძაღლის ლეკვზეო. განკითხვის დღე კი ახლოვდებოდა. ფარნაოზი ამასაც გრძნობდა, მაგრამ რა უნდა ელონა, რითი გამოესყიდა ეს უნებლიე დანაშაული, მისი ორმოცი ათასი ძმის სამართლიან გულისწყრომას რომ იწვევდა. "ეს თუ ამდენს ასწრებს, თქვენ რა ღმერთი გიწყობათო" - დასჩხაოდნენ სამუშაოს შესამოწმებლად ჩამოვლილი ზედამხედველები მკლავჩამოყრილ



ქვისმთლელებს და ფარნაოზს გული უკვდებოდა, ენა უქვავდებოდა და თავჩალუნული იდგა ბედისწერის ვერაგობით ერთხელ კიდევ დათრგუნული და გაწბილებული. სადგომში მიბრუნებული, გაურანდავი ფიცრის ნარზე ლოდევით მიგდებული, წვიმებისგან დალაქავებულ ჭერს მიაშტერდებოდა ხოლმე და უსმენდა, როგორ გმინავდა, როგორ შფოთავდა ძილშიც მისი ორმოცი ათასი ძმა. სადგომი ოფლის სუნით ყარდა. მძინარე კაცის უმწეობით თავაშვებული მწერი ათასნაირად ფაჩუნობდა, წიოდა და წრიპინებდა. დღის სინათლის სიმძიმისაგან გათავისუფლებული ქვეყანა ერთიანად მომჩვარულიყო, მორღვეულიყო, მდულარე კუპრივით ბზინავდა და ბუყბუყებდა. ყველანი იმ კუპრში იწვნენ, მაგრამ ფარნაოზი მაინც მარტო იყო, მაინც უცხო და ზედმეტი.

ასე გადიოდა დრო. კრეტა სავსე იყო მასავით გადმოხვეწილი ხალხით და ყველა თავისებურად ცდილობდა შერწყმოდან, შერწყმოდან, შეხამებოდა ახალ გარემოს. ძალით ჩამოეყვანათ, თუ თავისით ჩამოსულიყვნენ, საკუთარი სატკივარი, სანატრელი და საწამებელი ყველას ჩამოჰყოლოდა და სხვისი უბედურების დასანახი თვალი სადღაც, ზღვების იქით დარჩენილი ქვეყნის მტვრითა და ჯანლით ამოვსებოდა. ყველა თავის მკვდარს დასტიროდა, მეზობლისა კი მძინარი ეგონა. ამიტომაც იყო, არავის რომ არ ახედებდა ფარნაოზი გულში. ან რა შეიცვლებოდა ამით, გააჩუმებდნენ და ეტყოდნენ, ეგ რა არის, შენ ჩემი ამბავი იკითხეო.

ფარნაოზს ახლა უფრო ხშირად ახსენდებოდა მამა, უხეირო გზამოჭრილ კურდღელს ჰგავდა, იძულებული რომაა დაელოდოს აღსასრულს, რადგან მის გარშემო ჩაცუცქული და ენაგადმოგდებული ძაღლებიც თავის მხრივ პატრონს ელოდებიან, რათა მას, მათ მარჩენალს, დაუტოვონ კურდღლის მოკვლის სიამოვნება. პატრონი კი ნელა მოდის, ძაღლების სიფხიზლეში დარწმუნებული, სიამოვნებას იხანგრძლივებს, მოლიღინებს, კეტს მოათამაშებს. არა, უხეირო შორიდან ქვების ყორეს ჰგავდა, გაქურდულ კვარცხლბეკს, რომელზედაც, სისხლითა და სიმამაცით მოპოვებული სახელის ნაცვლად, ვერაგი ბედისწერა დასკუპებულიყო და ათასნაირად იჭყანებოდა. ამიტომ იყო, მოსაყოლიც რომ არაფერი ჰქონდა ფარნაოზს ერთი ქეცინი ძაღლისა და გოგოს ამბის მეტი. ის ერთი უბრალო ხელოსანი იყო, კუსას თქმის არ იყოს, ქვის კოდალა და მეტი არაფერი, და რა მნიშვნელობა ჰქონდა, სად იქნებოდა, ვანში თუ კრეტაზე, თუკი არც ერთის აშენება შეეძლო და არც მეორის დანგრევა. საითაც ქვა წაიყვანდა, იქით უნდა წასულიყო, უარესად უნდა გადაკარგულიყო, უფრო უნდა დაშორებოდა მამისეულ სახლს, რათა მოთმინებიდან გამოსულს იმ წმინდა ქვისთვისაც არ შემოეკრა ჩაქუჩი, რომელიც თავის კვარცხლბეკად გაეხადა გაჯამბაზეულ ბედისწერას. ასე ფიქრობდა ფარნაოზი და ერთი პირობა გადაწყვეტილიც ჰქონდა, სხვა ვანელების მსგავსად, სამუდამოდ დარჩენილიყო ამ უცხო მიწაზე, სახლი ჩაედგა, ეზო შემოეღობა, ხეხილი ჩაეყარა, რათა უფრო ძნელი შესაღვეი გაეხადა აქაურობა და, ერთხელ და სამუდამოდ ბედს შეგუებული კაცივით, მასაც ამოხვნეშით ეთქვა: მე თუ არა, ჩემი შვილიშვილი ხომ შეჭამს პაპამისის დარგულ ქლიავსო. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო აუტანელი ხდებოდა სამშობლოზე ფიქრი, ისეთ რამეს ამოუტივტივებდა ხოლმე დაუნდობელი მახსოვრობა, აღარ იცოდა, როგორ ჩაეყლაპა, როგორ მოენელებინა ყელში მობჯენილი ცრემლი. მახსოვრობას, კარგი დიასახლისივით, ყველაფერი გადაენახა, უბრალო, თითქმის უმნიშვნელო წვრილმანიც კი, მაგრამ ყოველ წვრილმანს იმქვეყნიური სურნელება ასდიოდა და, ჩვილის ხელივით, სევდისა და სიბრაღის აღმძვრელი იყო. ფარნაოზმა აღარ

იცოდა, რომელს მისიყვარულებოდა, რომელი ჩაეკრა გულში, სამფეხა ჯორკო, თუ კედელზე ნემსით მიმაგრებული პეპელა; თეთრი, ხორკლიანი ნიჟარა, პოპინას ოთახში რომ იდო და რაღაცას უსასრულოდ ჩურჩულებდა, როგორც კი ყურზე მიიდებდი, თუ წითელხალეა ჯამი, ოდნავ კიდეჩამომტვრეული, თითქოს სიმაგრისა თუ გემოს გასასინჯად ვიღაცას წინა კბილებით მოუციცქნიაო. ფარნაოზი ამ საგნებზეც ისე ფიქრობდა, როგორც ინოსა და ცუგაზე, თითქოს ისინიც მხოლოდ მის გონებაში არსებობდნენ და სხვაგან არსად ჰქონდათ ადგილი. მაგრამ ერთ დღეს მოხდა ის, რამაც საბოლოოდ დაარწმუნა ბედისწერის გარდუვალობაში. ბედისწერას არა მარტო ფარნაოზის ყელზე შებმული თოკის მეორე ბოლო ეჭირა ხელში, არამედ ჯორკოც, პეპელაც, ნიჟარაც და ჯამიც. ბედისწერის თოკი ამ ხნის განმავლობაში კი არ დაგრძელებულიყო, უბრალოდ დაჭიმულიყო და ახლა უფრო მძლავრად ექაჩებოდა უკან, წმინდა ქვებისკენ, კვარცხლბეკისკენ, რათა მის ძირში გამოეხატა ისიც, სამსხვერპლო ბატკანივით.

მინოსის ახალ სასახლეს უკვე ხარაჩოებს ხსნიდნენ და მისი მაღალი, სისხლისფერი სვეტები შემზარავად ლამაზი და დამთრგუნველი ჩანდა ათასნაირი ხუხულისა და ქობნახის გვერდით. მუშებს სადილად ეძახდნენ. მარმარილოს მტვერში დაყრილი ხელსაწყო თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა შუადღის მზეზე. უცებ ერთი მუშა ხარაჩოს მოწყდა და ისეთი ხმით დაენარცხა მიწაზე, ისინიც კი წამოცვივდნენ, ვისაც ნელთბილი შეჭამანდით სავსე ჯამი უკვე მუხლებში ჩაედგა. სხვებთან ერთად ფარნაოზმაც მოირბინა. მომაკვდავი შიშისაგან გადათეთრებულ თვალებს საცოდავად აცეცებდა, თითქოს ხალხში ვიღაცას დაედებდა, ვისი აქ ყოფნაც ყველაზე უფრო სჭირდებოდა ახლა და ეიმედებოდა კიდევ. თვითონაც ვერ გაიგო ფარნაოზმა, რამ მიიყვანა მომაკვდავთან, რატომ აუწია თავი და რატომ მიუტანა ყური პირთან. მომაკვდავი ძლივსძლივსდა ჩიფჩიფებდა, სისხლში ამოთხვროდა ხმა, მაგრამ ფარნაოზმა მაინც გაარჩია, მაინც გაიგო მისი უკანასკნელი სიტყვები. "ამაზე მეტს რას მიზამდა მამაშენიო", - ჩიფჩიფებდა იგი და მხოლოდ მაშინ იცნო ფარნაოზმა ფილამონე, კუსას მამა, მისი ძალად სიძე, საკუთარი ვნების სიფიცხითა და სითამამით სამუდამოდ დამფრთხალი და სამუდამოდ გადახვეწილი კაცი. "ფილამონე, ფილამონეო" - ჩასძახა ფარნაოზმა არარაობას, რადგან ფილამონე უკვე მკვდარი იყო.

ფარნაოზს კიდევ დიდხანს ედო მკვდარი კაცის თავი კალთაში და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, სანამ გაკვირვებულმა მუშებმა ძალით არ მოაშორეს იქაურობას. ფარნაოზი ფილამონესაც სტიროდა და საკუთარ თავსაც, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უკანასკნელი თანამემამულე მოკვდომოდა და პირველად ახლა მიმხვდარიყო, რა ძნელი ასატანი იქნებოდა დაკარგული სამშობლოს მონატრება, თვითონაც ასე ამოხდებოდა სული, ერთ დღესაც ვეღარ გაძლებდა და მოკვდებოდა, როგორც ჩიტი კვდება ხოლმე ჰაერში, ფრენით დაღლილი და გამოფიტული, სანამ ტოტამდე, ანდა სახურავამდე მიაღწევდეს. ფარნაოზმა ისიც იგრძნო, რომ მის მახსოვრობაში დაგროვილი საგნები და სახეები ათი წლით დაძველდნენ, ათი წლით დაბერდნენ და უხმოდ, უსიტყვო საყვედურით გამოხედეს. ღამით კი მამა დაესიზმრა. თავის სიცოცხლეში პირველად ნახა ფეხზე მდგარი მამა. ვითომ უხეირო მასთან შემოვიდა, ხელში ფერადი ძაფი ეჭირა და ეუბნებოდა, ძაფი მიწყდება და ვერაფრით ვეღარ გადამიბიაო. "აღარ არის მამაჩემიო" - ამ ფიქრით გაიღვიძა ფარნაოზმა. ეს სიზმარიც ბედისწერის მოგზავნილს ჰგავდა. თუ უხეირო მართლა წაყვანა სიკვდილს, მაშინ ფარნაოზს ევალებოდა კიდევ, სამშობლოში დაბრუნებულიყო და უკაცო ოჯახისთვის მიეხედა. იმის შეგრძნებამ, რომ ვიღაცას სჭირდებოდა,

ხალისი შემატა, თავისიანებზეც სხვანაირად ფიქრობდა: ვინ იცის, იქნებ ჭერი ჩამოენგრათო, ქალუკა დაბერდებოდა და მთელი საქმე პოპინას დააწვებოდა კისერზეო. კუსაზე კი, არ იცოდა რა ეფიქრა და ამიტომაც ცდილობდა საერთოდ არ ეფიქრა მასზე. ან კუსა რა შუაში იყო, კუსას იმედით რატომ უნდა მიეგდო მამისეული სახლი? კეთილი უნდა ენება და ისე ეცხოვრა, როგორც მოეთხოვებოდა, როგორც შეეფერებოდა და როგორც სხვები ცხოვრობდნენ: დღევანდელის მორჩილებითა და ხვალის იმედით. ახლობელს მხარში ამოსდგომოდა, ავადმყოფისთვის ეზრუნა, სახურავზე კრამიტი გაესწორებინა, წყალი მოეზიდა, შეშა დაეჩეხა და პატიოსნად დაეღია სული, როცა ამის დროც დადგებოდა. ის კი არა, ჩასვლისთანავე ცოლსაც შეირთავდა, თუნდაც იმიტომ, პოპინას მომხმარე რომ ჰყოლოდა. შვილებსაც გააჩენდა, რათა მათთვის გაეკეთებინა ის, რაც ინოსა და ცუგას ვერ გაუკეთა ბავშვობისა და გამოუცდელობის წყალობით. ეს იყო ცხოვრება, ამას ერქვა, მან კი იქამდე ვერ გაიგო, იქამდე ვერ შეამჩნია, სანამ მის მკლავებში ფილამონემ უკანასკნელი სული სისხლს არ ამოაყოლა.

ამის მერე დიდი დრო არ გასულა და მისი მუყაითობით გაბოროტებული ქვისმთლელები სამუშაოდან მობრუნებულს სადგომში დახვდნენ, კარი მიუკეტეს, იატაკზე წამოაქციეს და ფეხებით შესდგნენ ზედ. ორი კვირა უგონოდ ეგდო ფარნაოზი, ორი კვირა სიკვდილი დაბზუოდა თავზე, მაგრამ, ეტყობა, არ ეწერა ასე სიკვდილი. თვალი რომ გაახილა, სახელგანთქმული ათენელი მხატვრის, დედალუსის სახლში იწვა, მაგრამ ესეც მერე გაიგო, როცა ლოგინში წამოჯდომა და ხელში კოვზის დაჭერა შეძლო.

- განა ადამიანს სამშობლო აქვსო? - ეკითხებოდა ხოლმე მის ფეხებთან ჩამომჯდარი დედალუსი, ვითომ ერთი წუთით რომ შემოდოდა ავადმყოფის დასახედად, მაგრამ მერე ისე ერთობოდა ლაპარაკით, წასვლა ავიწყდებოდა. ცოლი კარში იდგა და ემახდა, გეყოფა, ნუ დატანჯე ავადმყოფიო. შვილი იატაკზე იჯდა, ხელისგულზე ბუმბული ედო და დიდი, გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა მამას. ფარნაოზი კი ღიმილით ებოდიშებოდა სამივეს, რადგან სამივენი ეცოდებოდა, თუმცა ვერ გაეგო, ვერ მიმხვდარიყო, რა სჭირდათ მისი შესაცოდი. დედალუსს თმაში ჭადრა გარეოდა უკვე, სახე ერთიანად დანაოჭებოდა, თუმცა არც იმდენი ხნისა იყო, ეს ნაოჭები სიბერის ბრალი ყოფილიყო. სამაგიეროდ, ისეთი ცოცხალი და მოუსვენარი თვალები ჰქონდა, თითქოს ეს წუთია გაახილა და ყველაფერი პირველად დაინახაო. ყმაწვილივით მოუსვენარი, თუ იჯდა, განუწყვეტლივ ცქმუტავდა, სიარულისას კი, იდაყვებში ოდნავ მოხრილი მკლავები განზე ეწეოდა, როგორც მიწაზე გარბენილ ფრინველს - ფრთები. ლაპარაკი რომ არ ყვარებოდა, ალბათ, ერთი წუთითაც არ გაჩერდებოდა, სულ ივლიდა, მაგრამ იმდენი რამე იცოდა, იმდენი რამე აწუხებდა, ყველანი გაეზურებინა ლაპარაკით, ყველანი ერიდებოდნენ, მას კი მსმენელი ისევე სჭირდებოდა, როგორც ნაყოფით დახუნძლულ ხეხილს - ბიჯგი. არც ღამით ჰქონდა მოსვენება, რადგან ძილშიც ეკამათებოდა, ძილშიც ებრძოდა და უყვიროდა ვიღაცას. ფარნაოზიც სწორედ მისმა ყვირილმა გამოაფხიზლა და ორკვირიანი სიკვდილიდან ისევე ამ ქვეყანაზე გამოათრია. ფარნაოზს ბევრი არაფერი გაეგებოდა დედალუსის ნალაპარაკვიდან. ბევრს საერთოდ მის უცნაურობას აწერდა, მაგრამ ყოველთვის გულსყურით უსმენდა, მასაც გადაედებოდა ხოლმე მოსაუბრის მდელვარება და, რაღაც იდუმალის, შეუღწეველისა და დიადის კარიბჭესთან მისულს, დღემდე განუცდელი ნეტარება ეუფლებოდა. ნეტარების ბურანში მყოფს,

მართლა სჯეროდა, ქანდაკება როდისმე რომ გაივლიდა, ანდა ერთ მშვენიერ დღეს, პირს გააღებდა და იტყოდა: გამარჯობათ, როგორ ბრძანდებითო.

- სამშობლო, სამშობლო, - ამბობდა დედალუსი, - ყველა სამშობლოს ეძებს. ჩვენ ხომ ბრმად და გულუბრყვილოდ ვიწყებთ ცხოვრებას და მერე, როცა გონებაში ვვარდებით, როცა საბოლოოდ გვეხილება თვალი, აღარ მოგვწონს იგი, გვეშინია მისი და მხოლოდ მაშინ გვახსენდება სამშობლო, მაგრამ უკან დაბრუნება შეუძლებელია, რადგან აღარ გვახსოვს, სად დაიწყო ჩვენი ცხოვრება, რომელიც საერთო ცხოვრებაში ათქვეფილა და აღარც დასაწყისი აქვს და აღარც დასასრული. ჩვენც თავგზა აგვბნევია უსასრულო ტალანებში ხეტიალით და ჩვენი სურვილისამებრ კი არ ვმოდრობთ, არამედ მოძრაობის აუცილებლობა გვერეკება თავის ნებაზე. ხოლო მოძრაობის აუცილებლობას შიშისა და უმწეობის ნათესლარი იწვევს, რომელსაც იმედი ჰქვია. იმედი თავის მართლებაცაა და მოტყუებაც, ერთიცა და მეორეც დიდი ვერაფერი შვილია და ვერც ვერაფერში გვეხმარება, უბრალოდ ახანგრძლივებს, ჩვენთვისაც მეტ-ნაკლებად ასატანს ხდის თავის მშობლებს: შიშსა და უმწეობას. თუმცა არა, იმედი დაუღეველი საბადოცაა იმ ჯანისა, რომელსაც ტალანებში უთავბოლო ხეტიალისას ვხარჯავთ. რითი მთავრდება ჩვენი ხეტიალი? არაფრითაც არ მთავრდება, არც თავი აქვს და არც ბოლო, მისი თავი იგივე ბოლოა, ხოლო ბოლო - იგივე თავი.

ფარნაოზმა ფეხზე წამოდგომა რომ შეძლო, მათმა საუბრებმა ეზოში გადაინაცვლეს. ეზო ქანდაკებებით იყო სავსე, ლედვისა და ბროწეულის ხეებში ჩადგმული ქანდაკებები მართლა ცოცხლებს ჰგავდნენ. ფარნაოზს უყვარდა მათი ყურება, საათობით იჯდა სისუსტისგან თავებრუნდებულ და ხედავდა, ესმოდა, გრძნობდა, როგორ ფეთქავდა და ფაჩუნობდა მზეზე გამთბარი მარმარილო.

- ჩემი შვილისა არ იყოს, ეგენიც კუტები არიანო - ისეთი ხმით იტყოდა ხოლმე დედალუსი, ფარნაოზს ენა მუცელში უვარდებოდა. ან რა უნდა ეთქვა, რითი ენუგეშებინა ეს უბადლო მოქანდაკე და უბედური მამა, შურიანსა და დამცინავ ღმერთებს კუტი შვილით რომ დაეჯილდოებინათ, ტყუილად გვეჯიბრები, ტყუილად მისდევ ჩვენს ხელობას, რადგან როგორც არ უნდა მოინდომო, შენი ნაშიერი მაინც მიწის მატლია და მაინც მიწაზე უნდა ილოლიალოსო. ამას დედალუსიც ხვდებოდა, გაქვავებული თესლი აწუხებდა, ასევდიანებდა და აბობოქრებდა კიდეც. ერთ წუთას რომ სინანულით იტყოდა, ჩემი ქანდაკებები ლამაზები არიან, მაგრამ წყლის მოწოდებაც არ შეუძლიათო, უცებ ისე განრისხდებოდა, მზად იყო ჩაქუჩით დაემსხვრია, მტვრად ექცია ყველაფერი, თუკი ფეხს არ აიდგამდნენ, თუკი უარესად განუმტკიცებდნენ რწმენას, რომ მისი შვილიც, მისი დიდთვალემა იკაროსიც, სამუდამოდ ასე უნდა ყოფილიყო იატაკზე მიჯაჭვული, წვიმისათვის შედგმული ჯამივით, და ასე წვეთწვეთობით უნდა ავსებულიყო წვიმით, წვიმით კი არა, ცით, ლუკმა-ლუკმა დაქუცმაცებული რომ ჩამოჰქონდა წვიმას გაბზარული ჭერიდან. "არა, მაინც არ მოვისვენებ, მაინც არ გავჩერდები, ფრთებს გამოვიბამ და შვილიანად გავფრინდებიო", - ყვიროდა ხოლმე დედალუსი და ისე დაწრიალებდა ეზოში, თითქოს მართლა უნდა აფრენილიყო, თითქოს მართლა გამობმობდა ფრთები. ფარნაოზს ეცოდებოდა მეგობარი, რომელსაც ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცალა დარჩენოდა იმედად. ამ იმედით ცხოვრობდა, ამ იმედს აღვივებდა და ამტკიცებდა თავისი გაუთავებელი საუბრებით. მაგრამ ფარნაოზს ხანდახან ეჭვიც გაჰკრავდა ხოლმე, შემაწუხებელი ეჭვი, ცოტას

ხომ არ ურევსო, ისე უჭირდა მოსიარულე ქანდაკებისა და მფრინავი კაცის წარმოდგენა.

დედალუსი კი თავისას იმეორებდა: უნდა გავფრინდე, უნდა გავფრინდე, უნდა გავფრინდეო, და ხეებს შორის გამოჰყეტილ ქანდაკებებს ისე აუქნევდა ხოლმე ხელს, თითქოს ისინი სიტყვას შეაწყვეტინებდნენ, ანდა ფეხებში ჩააფრინდებოდნენ და არ დაანებდნენ გაფრენას. ფარნაოზს იკაროსი ედგა თვალწინ, ხელისგულზე დადებულ ბუმბულს სულს რომ უბერავდა და მერე აღტაცებული აჰყურებდა, როგორ დასრიალებდა იგი ჰაერში. უნებურად თვითონაც მაღლა იხედებოდა, ცისკენ, მაგრამ ცა აღარ ჩანდა. მწუხრის დამენძილ ღრუბლებს ერთიანად დაეფარათ. მერე კარგა ხანს დუმდნენ ორივენი, თითქოს, რადგან ცა აღარ ჩანდა, არც ფრენაზე ლაპარაკს ჰქონდა აზრი. მიწაზეც ბნელოდა, ქანდაკებების ნაცვლად, აქა-იქ მონაცრისფრო ლაქებიდა ჩანდა.

- ეხ, ფარნაოზ, ფარნაოზ, როგორ გიშველო, მეგობარო - ბოლოს ისევ დედალუსი დაარღვევდა დუმილს და ეს მათი იმდღევანდელი საუბრის დამთავრებას ნიშნავდა.

ფარნაოზს უსიამოდ გააჟრჟოლებდა ხოლმე ტანში და ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს მისანს თავისებურად, მიკიბულ-მოკიბულად მიენიშნებინა იმ დიდ განსაცდელზე, რომელიც ადრე თუ გვიან თავზე უნდა დასტყდომოდა.

სახლში გამეფებული სიმყუდროვე დედალუსსაც მაშინვე ამშვიდებდა. ჩვეულებრივი მეოჯახე კაცივით ასწორებდა ამოვარდნილ ფილაქანს, ჭრატში იხედებოდა, ზეთი ხომ არ გამოლეულაო და თვალდახუჭული ყნოსავდა ჰაერს, აბა, თუ გამოვიცნობ, დღეს ვახშმად რა მოგვიმზადა ჩემმა ცოლმაო. მისი ცოლი ფანჯარასთან იჯდა და ქსოვდა. კაცებს რომ დაინახავდა, საქსოვს მაშინვე გვერდზე გადადებდა და ღიმილით წამოუდგებოდა, თითქოს აქ, ჩემს სამფლობელოში ნურაფრის დარდი ნუ გექნებათო. მერე ბავშვს გასაძახებდა, მამა მოვიდაო, თუმცა იკაროსს უკვე თავადაც დაენახა მამამისი და გაჩქარებული მოჩოჩავდა მისკენ, რათა ფეხებზე შემოხვეოდა და შავი, ალაპლაპებული თვალებით აეხედა, თითქოს მამამისი ნატვრის ხე იყო და კენწეროზე მისი საოცნებო ნაყოფი ეკიდა. "ჩემი შვილი კუტია, კარებს უკან კუნტიაო" - ამბობდა დედალუსი და ბედნიერებისგან ათრთოლებულ ბავშვს ქეროს ფხანდა, როგორც პატრონი შემოგებებულ ძაღლს. ფარნაოზს ცრემლი ყელში ებჯინებოდა და გუნებაში ერთხელ კიდევ დებდა პირობას, სულ ხელით უნდა ვატარო, ყველაფერი უნდა ვაჩვენო, არაფერზე არ უნდა დაწყვიტო გულიო, თუმცა ისიც ვერ გაებედა, მისულიყო და მასაც გადაესვა თავზე ხელი. არც უფლება ჰქონდა ჩარეულიყო მამა-შვილის ამ უცნაურ გასაუბრებაში. მამა-შვილს სიტყვის უთქმელად ესმოდათ ერთმანეთის და ალაღბედზე, დაუფიქრებლად, გუმანის კარნახით ზუსტად იმ მოძრაობებს აკეთებდნენ, რაც იმ კვერცხის გამოსატეხად იყო საჭირო, საიდანაც მათი წილი, მხოლოდ მათი სამყოფი სიხარული უნდა გამოჩეკილიყო, როგორც ოქროსფერი წიწილა.

"შენამც ქცეულხარ მწყერადაო, ქორ-მიმინოს შესაჭმელადაო" - როდის-როდის ჩაესმებოდა ხოლმე ფარნაოზს დედალუსის ხმა. შვილის გვერდით მოკალათებულიყო იატაკზე და ზღაპარს უყვებოდა. ცოლი კი ისევ ფანჯარასთან იჯდა, გაღიმებული ქსოვდა, ქმარ-შვილისკენ არ იყურებოდა და ამბობდა, ჯერ გეჭამათ რამეო.

ასე ცხოვრობდა ფარნაოზი, სანამ სამშობლოში დაბრუნების ნებართვას მიიღებდა. სადგომში აღარ მიბრუნებულა, ერთდებოდა ორმოცი ათასი ძმისა, ქვის ხარხარით დაყრუებული და ქვის მტვრით დაბრმავებული მრისხანებისა, რომელსაც თავისი მსგავსი სასიკვდილოდ გაემეტებინა, თავისი მეორმოცეათასედი ნაწილი. დაჩეჩქვილი სხეული ჯერ კიდევ აწუხებდა, მაგრამ იმდენი მაინც შეეძლო, დედალუსს მიხმარებოდა რამეში, ფუნჯები გაერეცხა, საღებავი გაეხსნა, ან კიბე მაინც დაეჭირა მისთვის. დედალუსი ახალ სასახლეში მინოსის ქალიშვილის, არიადნეს საცეკვაო დარბაზს ხატავდა.

- როცა ამ ოთახში შემოვდივარ - ეუბნებოდა დედალუსი - პატარა გოგოს მეტს ვერაფერს ვხედავ. შუა ოთახში დგას, თავსზევით ბროწეულის ტოტი უჭირავს და ცეკვავს, ბზრიალებს, ბზრიალებს, სანამ აფრინდებაო.

მართლაც, ყველაფერი ბზრიალებდა, ყველაფერი დაფრინავდა, რაც კი მხატვრის ფუნჯს კედლებზე მიეხატა. ერთ დღეს კი, ის პატარა გოგოც შემოიყვანეს ძიძა-გადიებმა ამ ოთახში. გოგოს სალოკი თითი პირში ჩაედო და გაოცებული, ოდნავ დამფრთხალი ათვალიერებდა კედელზე მიხატულ ათასნაირ თევზსა თუ ვარსკვლავს, აყვავებული ბროწეულის ჭალასა თუ გოგონების ფერხულს, ჩიტებზე მონადირე კატასა თუ მინდვრის ყვავილებს. პატარა გოგოს ისეთი სახე ედო, თითქოს გული წყდებოდა, თვითონაც რომ არ იყო მიხატული კედელზე. ის ყველაზე დიდი მეფის ქალიშვილი გახლდათ, მაგრამ მაინც ეშინოდა ბავშვობიდან გამოსვლა, ძიძა-გადიების თავგამოდებული მეცადინეობის მიუხედავად, მაინც ეწინააღმდეგებოდა მისი არსება ბუნებას და ცამეტი წლის გოგო ექვსი წლისას ჰგავდა, თითქოს გული უგრძობდა, რა უცნაური, რა შემზარავი თავგადასავალი ელოდებოდა ბავშვობის იქით. მაგრამ ორ წელიწადში ერთბაშად უნდა აღედგინა დანაკარგი და დაუფიქრებლად შეეცურა დამლუპველი ვნებისა და ცოდვის ზღვაში. ორი წლის მერე ის უკვე მოტყუებული, მიტოვებული და გაწბილებული ქალი იქნებოდა, რადგან მამასა და უცხო ყმაწვილს შორის ისიც ისეთ არჩევანს გააკეთებდა, როგორი არჩევანიც მისმა სულიერმა დამ, მედეამ გააკეთა ერთხელ. ისიც დიდი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი და ამიტომაც უნდა დაღუპულიყო, ლეგენდად ქცეულიყო, გამონაკლისად, იშვიათობად, თავისი ვნების სითამამითა და თავგანწირვის ბუნებრიობით. ორი წლის მერე ამ დარბაზში შემოვარდებოდა და ასევე გაოცებული, დამფრთხალი, დარცხვენილი მიაშტერდებოდა მოხატულ კედლებს, რადგან ამ კედლებიდან მაცქერალმა ქვეყანამ გააბრიყვა იგი, დაარწმუნა, მასაც რომ შეეძლო გაფრენა. მაინც გაუჭირდებოდა საწინააღმდეგოს დაჯერება და ფეხშიშველი, სისხლიანი პერანგის ამარა, შუა ოთახში დაიწყებდა ტრიალს და იქამდე იტრიალებდა, სანამ გონწასული ფილაქანზე არ დაენარცხებოდა. მასთან ერთად დაბზრიალებული კედლებიც თანდათან დამშვიდდებოდნენ და ისევ ჩადგებოდნენ მარადიული უძრაობის ტყვეობაში.

ბოლოს და ბოლოს, ნანატრი დღეც დადგა და დედალუსმა საკუთარი ხელით გადასცა ფარნაოზს თიხის თხელი ფირფიტა, რომელზედაც გარკვევით ეწერა, რომ ის, ვანელი ხელოსანი, ფარნაოზი, უხეიროს ძე, თავისუფალი იყო და შეეძლო დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში. "ვუტირეთ თუ არა დედაო", - წარამარა გაიძახოდა დედალუსი, მაგრამ ფარნაოზს რომ შეხედა, თვითონაც ფრთები ჩამოყარა, მოიწყინა და კარგა ხნის დუმილის შემდეგ, სამძიმარზე მოსული კაცივით, ჩაიბურღლუნა: ასეა, ძმაო, ყველას თავისი გზა ელოდება და ყველამ მარტომ უნდა გაიაროს იგიო.

ფარნაოზი მოუთმენლად ელოდებოდა ამ დღეს, მაგრამ ახლა გაწბილების მაგვარი გრძნობა დაუფლებოდა. კი ეუბნებოდნენ, საითაც გინდა იქით წაბრძანდი, თავისუფალი ხარო, მაგრამ როგორც არ უნდა ცდილიყო, ვერც თავისუფლების შეგრძნებას ახერხებდა და ვერც წარმოდგენას. ყოველ განვლილ დღეს სამუდამოდ წაელო რაღაც ნაწილი მისი არსებისა და ისე გაედარებებინა, გახრიოკებული გზის მეტი მართლაც აღარაფერი შერჩენოდა. ამ გზაზე კი ფარნაოზს უკვე იმდენჯერ გაეველო, ვეღარც გრძნობდა მის არსებობას. განა ვანში დაბრუნებით რამე შეიცვლებოდა, განა ეს გზაც თან არ უნდა წაელო, პატარა, ნაცრისფერი, მოუკირწყლავი და ერთი და იგივე გზა, რომელზედაც ყოველთვის ერთი და იგივე კაცი მიდიოდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს, ამ გზის გადაადგილებას, თუკი თვითონ ვერ შეიცვლებოდა, ვერ შეძლებდა სხვანაირად ცხოვრებას. ფარნაოზს რომ "სხვანაირად ცხოვრება" შეძლებოდა, მაშინ საერთოდ თავიდან უნდა გაჩენილიყო, სხვა ქალს უნდა ეშობა, სხვა მიწაზე, სულ სხვა ვარსკვლავების ქვეშ და სხვანაირი მამა უნდა დახვედროდა იმ ძნელად შესაღებ კარს იქით, რომელიც არა მარტო მისი ჩასახვის, არამედ მისი მომავალი ცხოვრების საიდუმლოსაც მალავდა. ეს პატარა ფირფიტა, რომელზედაც გარკვევით დაეწერათ, ვანელი ხელოსანი, ფარნაოზი, უხეიროს ძე, დღეიდან თავისუფალიაო, ვერაფერს შეცვლიდა. ეს ფირფიტა კისერზე უნდა ჩამოეკიდა, გამოეკრა ბოხჩაში შინაურებისთვის ნაყიდი საჩუქრები, ის ორიოდ გროშიც, რისი გადანახვაც მოეხერხებინა და ერთხელ კიდევ დასდგომოდა გზას. მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. კნოსის ნავსადგური ჩვეულებისამებრ გაძემგილი იყო ხომალდებით, მაგრამ, თითქოს პირი შეუკრავთო, არც ერთი არ მიდიოდა კოლხეთისკენ. მთელი დღე წელში გაწყდნენ ისა და დედალუსი, რომელ ხომალდს არ ასძახეს, საით მიდიხართ, ერთ კაცს ხომ არ წაიყვანთო, მაგრამ ამოდ. ხომალდის მოაჯირებზე გადმომდგარი მეზღვაურები რატომღაც, ყველანი ერთნაირად ლაზღანდარობის გუნებაზე იყვნენ და უარესად უზნეოდნენ გზა-კვალს ისედაც გამწარებულსა და არაქათგამოცლილ მეგობრებს. ხან საით აგზავნიდნენ და ხან საით, ერთმა ისიც უთხრათ, ვანში რა გინდათ, ბაყაყები ხომ არა ხართო.

ფარნაოზს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, უკან არ დაბრუნებულიყო, ფეხი არ მოეცვალა ნავსადგურიდან. რა მნიშვნელობა ჰქონდა, დღეს აიყვანდნენ ხომალდზე თუ ხვალ, ის უკვე მგზავრი იყო, უსახლკარო, და ახლა მხოლოდ იმაზე უნდა ეფიქრა, როგორ გაეღწია აქედან. დედალუსს უჭირდა მეგობრის მიტოვება, მაგრამ აღარც აქ მოცდას ჰქონდა აზრი. ისინი ხელს უფრო უშლიდნენ ერთმანეთს, ვიდრე ეხმარებოდნენ, რადგან უკვე გათიშულიყვნენ, უკვე სხვადასხვა ქვეყნის ბინადრები იყვნენ და უკვე შეჩვეოდნენ კიდევ უერთმანეთობას. ახლა იძულებით იყვნენ ერთად, რადგან ერთს წასასვლელი ჰქონდა, მეორეს კი არა. ამას თვითონაც გრძნობდნენ და უარესად ღიზიანდებოდნენ, ბრაზობდნენ და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ სახეზე. "ასე როგორ შეიძლება, ჯერ უნდა გაგვეგო და მერე გამოვსულიყავით ნავსადგურშიო", - ბუზღუნებდა დედალუსი. ფარნაოზი კი, დარწმუნებული იყო, მეგობარი უშლიდა ხელს, მეზღვაურებს მისი დაბნეული ლაპარაკი აყენებდა ლაზღანდარობის გუნებაზე და იმიტომ დაატარებდნენ აქეთ-იქით. "თუ ასეა, სულ წავალო", - გაბრაზდა დედალუსი, მაგრამ წასვლამდე მაინც გაუღიმა, მაინც ჩამოადო მხარზე ხელი და ყალბი, არაბუნებრივი ხმით უთხრა: არ გემშვიდობები, რადგან დარწმუნებული ვარ, დღეს საღამოს კიდევ შევხვდებით ერთმანეთსო. მერე გაიცინა და დაამატა: ბოლოს და ბოლოს, გაგიკეთებ ფრთებს და თვალის დახამხამებაში გადაგაფრენ შენს კოლხეთშიო. ფარნაოზსაც უნდოდა რამე ეთქვა გამომშვიდობებისას, მაღლობა

მანც გადაეხადა, მაგრამ კრიჭაშეკრული იდგა და უყურებდა, იდაყვებით როგორ მიიკვლევდა ხალხში გზას სახელგანთქმული ათენელი მხატვარი, კუტი შვილის მამა და გამოუსწორებელი მეოცნებე. იმ დღეს ბევრი ხომალდი გავიდა ნავსადგურიდან, მაგრამ ფარნაოზისთვის არც ერთზე არ აღმოჩნდა ადგილი. თანდათან ხალხიც გაიკრიფა, ნავსადგური ჩაწყნარდა და ბინდში ჩაიკარგა. ატორტმანებული ხომალდებიც უზარმაზარ ჩრდილებად იქცნენ და ერთმანეთს გადაეხნენ. ზღვა გაუბედავად მოეტყლაშუნა ნაპირს. ცარიელ ბაქანზე ძაღლმა გაირბინა, გაჭყლეტილი მსხალი დაეწოლა და გზა გააგრძელა. მერე შორიდან მთვრალეების სიმღერა მოისმა და ფარნაოზი მიხვდა, უკვე შუალამეც გადასულიყო. ზღვიდან ცივმა ქარმა დაუბერა და ბოლის სუნი მოიყოლა, რომელიღაც ხომალდზე მეზღვაურებს ცეცხლი დაენთოთ. ფარნაოზს დაღლილობისაგან თავბრუ ესხმოდა, შიმშილისაგან გულმუცელი უყმუოდა და სიცივისგან კბილს კბილზე აცემინებდა, მაგრამ მანც ვერ გაეხედა ნავსადგურიდან გამოსვლა, ხალხის ემინოდა, რადგან აქაურობისთვის უკვე ძალიან უცხო იყო, იმდენად უცხო, ეგონა, ყველა შეამჩნევდა და ერთ ამბავს ატეხდა, ამას აქ რა უნდაო. ფარნაოზმა ისევ დაინახა ძაღლი, უკანვე მოძუნძულებდა და ისევ გულმოდგინედ ყნოსავდა ფილაქანს, ჩამოვლისას რამე ხომ არ გამომრჩენიაო. ისევ შეჩერდა გაჭყლეტილ მსხალთანაც. მაგრამ არც ამჯერად დაუკარებია პირი. ფარნაოზი მსხალს ვეღარ ხედავდა, მაგრამ ახსოვდა სადაც ეგდო. "ცუგა, ცუგაო", - დაუძახა ფარნაოზმა ძაღლს. ძაღლმა გამოხედა და ასე, კისერმოქცეული, გვერდულად გაიქცა. გათენების მოლოდინში ფარნაოზმა კიდევ დიდხანს იწრიალა, მაგრამ ცას ისე მაგრად მოეკუმა პირი, ციაცს არ ატარებდა. ფარნაოზი კასრებს უკან გადაძვრა, ბოხჩა გულში ჩაიხუტა და მაშინვე მკვდარივით ჩაეძინა. პირველად მთვრალეებმა გააღვიძეს. მთვრალეები ნავსადგურში მოდიოდნენ. ხელში კეტები ეჭირათ და რაც კი რამე შეხვდებოდათ გზაზე, გამეტებით უბრაზუნებდნენ. ნავსადგურის ყველა კუთხე-კუნჭული ათასნაირად გლეჯდა და იმეორებდა ამ საზარელ ხმას. ფარნაოზი უცებ ვერ გამოერკვა ძილიდან, ეჭვიც არ შეჰპარვია, მთვრალეები მის სამებნელად გამოსულიყვნენ ნავსადგურში და თუ მიაგნებდნენ, კეტებით გაჩერქვავდნენ, მსხალივით. გაუნძრევლად იწვა და ისიც ვერ გაეხედა, კასრებს შორის გამოეჭყიტა. მთვრალეებმა რომ ჩაიარეს, ფარნაოზს ისევ ჩაეძინა, ხოლო როცა მეორედ გამოეღვიძა, უკვე კარგად გათენებულიყო და ნავსადგურში ჩვეულებრივი ბზუილი იდგა. ახლა ამან დააფრთხო, შეუმჩნევლად როგორ გამოვძვრე კასრებიდანო, არადა, მთელი დღე აქ ხომ არ დარჩებოდა?! ფეხზე რომ წამოდგა, მთელი თავით ასცდა კასრებს, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია, მან კი მაშინვე დედალუსი დაინახა. დედალუსი წუხანდელი ძაღლივით წინ და უკან დარბოდა და გაფაციცებული ათვალიერებდა ხალხს. ფარნაოზს დაეძებდა, ფარნაოზის გულისთვის გამოსულიყო შინიდან, მისი ავანჩავანის გასაგებად. ეს კი ბევრს ნიშნავდა გზაზე დამდგარი კაცისთვის, ძალიან ბევრს, ყველაფერს რომ თავი გაავანებოთ, მარტო აღარ იყო და აღარც ნავსადგური ჩანდა უცხო და საშიში. ფარნაოზს უნდოდა, მიეყარ-მოეყარა მის გარშემო დახვავებული კასრები, გაერღვია, გაეპო აფუსფუსებული ხალხი და გულში ჩაეხუტებინა, არა, ფეხებში ჩავარდნოდა მეგობარს, რომელიც ხელებით ხატავდა ჰაერში, ასეთი და ასეთი კაცი ხომ არ გინახავთო, მაგრამ არავის არ ესმოდა მისი, ყველა მხრებს იჩეჩავდა და თავის საქმეზე გარბოდა. მარტო ფარნაოზი ცნობდა მისი მოუსვენარი ხელებით ჰაერში გამოსახულ კაცს და აფორიაქებული გული გაურკვეველი, თითქმის ბავშვური სევდითა და სიამაყით ევსებოდა. ფარნაოზმა მანც თავი შეიკავა და როცა დედალუსმა შემთხვევით მისკენ გამოიხედა, ისევ კასრებში ჩაჯდა. სანამ დედალუსმა ნავსადგური არ



მიატოვა, თავი აღარ ამოუყვია. დედალუსმა კიდევ დიდხანს იტრიალა აჟრიამულეზულ ნავსადგურში, ეტყობა, სარწმუნო ვერაფერი გაიგო, მაგრამ არც ფარნაოზი დახვედრია აქ. რას იფიქრებდა, მისი ყურადღებითა და ერთგულებით გულაჩუყებული ფარნაოზი კასრებს უკან თუ იჯდა და ბოხჩას კბენდა ტირილის შესაკავებლად.

ის დღეც უშედეგოდ დამთავრდა. ერთადერთი, რისი გაგებაც ფარნაოზმა შეძლო, ის იყო, რომ ვანის ხომალდები ჯერ კიდევ გზაში იყვნენ და ღმერთმა იცოდა, როდის მოვიდოდნენ, ან მოვიდოდნენ თუ არა საერთოდ, რადგან მეზღვაურებს წინასწარ არაფრის თქმა არ უყვარდათ. "როგორც პოსეიდონს მოეპრიანება, ისე იქნებაო", - უთხრეს ფარნაოზს.

ისევე ჩაკვდა ჟრიამული ნავსადგურში, ისევე გაუკაცრიელდა იქაურობა და ფარნაოზმა ისევე დაინახა გაჩეჩქილი მსხალი. მსხალს ჭიანჭველები დასეოდნენ. ახლა ძაღლსაც უნდა ჩამოეველო და ფარნაოზი მოლოდინად იქცა, მაგრამ იმ დღეს ძაღლი აღარ გამოჩენილა. "მე შევაშინეო" - ფიქრობდა ფარნაოზი. მზე უკვე ჩასულიყო და აღისფერი, მიწისფერი, ბოლისფერი და შავი ღრუბლები ერთმანეთისკენ მიისწრაფოდნენ, თითქოს უმზეო ცაზე მარტო დარჩენისა ეშინოდათ.

ფარნაოზს ხემსი არ ჩაუდია, თუმცა შიმშილს აღარ გრძნობდა. წყალი კი რამდენჯერმე დალია და პირიც რამდენჯერმე დაიბანა, რადგან მთელი დღე აუტანლად ცხელოდა. ეს იყო და ეს, რაც იმ დღიდან დაამახსოვრდა ფარნაოზს. ნავსადგურიდან გამოსვლა ვერც იმ ღამეს გაბედა, თუმცა შეეძლო, ასე თუ ისე, ადამიანურად მოესვენა რომელიმე იაფფასიან სასტუმროში, ნავსადგურის გარშემო სოკოებივით რომ გამრავლებულიყვნენ და სოკოებივით ნესტისა და ობის სუნით ყარდნენ. ფარნაოზს ფული ჰქონდა, კასრებს უკან ფილაქანზე გდებას ისევე ბინძურ სასტუმროში ყოფნა ერჩია, თავის მისადები მაინც ექნებოდა და არც ასე გაითოშებოდა, მაგრამ გაუცხოების გრძნობა აკავებდა, ეს გრძნობა ნავსადგურში გამოსვლისთანავე უარესად გამძაფრდებოდა და, მისი აზრით, სადაც არ უნდა შესულიყო, ყველგან ზედმეტი იქნებოდა, რაიმე გაუგებრობის მიზეზი გახდებოდა, მის ფულს ზედაც არ დახედავდნენ და ეტყოდნენ, შენთვის არც ადგილი გვაქვს და არც საჭმელიო, ანდა, თუ არაფერს ეტყოდნენ, აგრძნობინებდნენ მაინც.

მესამე დღეს შიმშილმა და დაღლილობამ თავისი გაიტანა და ისიც იძულებული გახდა, პირველსავე სასტუმროში შესულიყო. სასტუმროს პატრონმა, ჩია, მელოტმა და ცალ თვალზე ლიბრგადაკრულმა კაცმა, ხელში ფული რომ დაუნახა სტუმარს, ძველი ნაცნობივით შეჰღიმილა და გრძელი, დალაქავებული მაგიდის ბოლოში დასვა. მაგიდა მართლაც გრძელი იყო, ცხენი გაჭენდებოდა ზედ. მაგიდის თავში სამნი ისხდნენ, ხელადით ღვინო ედგათ და კამათელს თამაშობდნენ. ფარნაოზის შემოსვლა არც გაუგიათ და ფარნაოზმა შვებით ამოისუნთქა, პირველმა მღელვარებამ და დამაბულობამ გაუარა, მაგრამ ახლა იმან შეაწუხა, ყველას დასანახად რომ წამოჭიმულიყო თითქმის ცარიელი მაგიდის ბოლოში. სანამ მაგიდასთან იჯდა, ვერ მოიშორა ეს უსიამოვნო შეგრძნება, ავს რომ პირდებოდა, მაგრამ არ აყენებდა საშველს დანაპირების შესრულებას. ამოდენა ოთახში მხოლოდ კამათლების ჩხრიალი ისმოდა. ფარნაოზი ცდილობდა, არ გაეხედა მოთამაშეებისკენ, მაგრამ სიცარიელით დამფრთხალი თვალი უნებურად მაინც იქითკენ გაურბოდა. მერე კრაზანა დაინახა. კრაზანა ოთახიდან გასასვლელს დაეძებდა და ისეთი გამეტებით ენარცხებოდა კედლებს, საკვირველი იყო, სული როგორღა ედგა.

სასტუმროს პატრონმა შემწვარი ხორცი, მოხარშული წაბლი და ღვინო მოუტანა, მაგიდა ხელის ერთ დადებზე მოასუფთავა და ჰკითხა: სადაური ხართო. "კოლხი ვარ, ვანელიო", - განგებ ხმამაღლა უპასუხა ფარნაოზმა და თამამად, თამამად კი არა, უტიფრად გამოხედა მოთამაშეებს, თითქოს სასტუმროს პატრონი იმათ გამოეგზავნათ, ერთი გაგვიგე, სადაურია ეგ კაციო. სამი დღის ნაშიმშილებს, კრიჭა ისე შეჰკვროდა, ხორცის ჩაყლაპვა გაუჭირდა. დიდხანს ღეჭა და აცოდვილა ლუკმა და როგორც იქნა ჩაყლაპა, უფრო სწორედ, ღვინოს ჩაატანინა. წაბლი კი ესიამოვნა, ჯერ კიდევ თბილი იყო და პირში თავისით იფშვებოდა. მოხარშულ წაბლს ღვინოს აყოლებდა და ფიქრობდა: ახლა ის უპატრონო ძალღიგაჩქვილ მსხალს ყნოსავსო. მისი გამოუძინარი სხეული ადვილად ნებდებოდა ღვინის მათრობელა ძალას და სასიამოვნო მოთენთილობითა და მოახლოებული ძილის ბურანით ივსებოდა, როგორც ცხელი აბაზანის შემდეგ. ვერც კი გაიგო, როდის გაივსო და ახმაურდა ოთახი ასე. ცოტა რომ გამოერკვა, მაგიდის გარშემო ახორხოცებული ხალხი მოგროვილიყო, უბრალო განძრევაც კი ჭირდა, თითქოს ამოდენა ხალხი ცხელი და ოფლიანი მხრებით ერთმანეთს მისწებებიაო. ოთახში ბული იდგა. ფარნაოზმა მაგიდის თავს გახედა, მაგრამ ვერ გაარჩია, ისევ მოთამაშეები ისხდნენ იქ თუ სხვები. ჭამდნენ, სვამდნენ და ხორხოცობდნენ, ფარნაოზს ვერც კი ამჩნევდნენ, მაგრამ ფარნაოზი მაინც ზედმეტი იყო, მაინც სხვის ადგილს იკავებდა და, ის რომ არ ყოფილიყო, ალბათ, უფრო ხალვათადაც ისხდებოდნენ. ფარნაოზმა ძლივს მოიწვდინა ბოხჩა, ვიღაცის ფეხს მაგიდის ქვეშ რომ შეეჩოჩებინა, ძლივს ააწყვიტა მხრები თანამეინახეებს, ძლივს მონახა სასტუმროს პატრონი და უკვე მძინარემ ძლივს გააგებინა, მომასვენე სადმეო. სასტუმროს პატრონმა კიბეზე აიყვანა, ბნელი, მტვრისა და ნესტის სუნით დავიწროებული დერეფანი გაატარა და პირველივე კარი მუხლით შეაღო. "დაწევი, სადაც გინდაო" - დაუბარა სასტუმროს პატრონმა და კარი გამოუხურა. ოთახში ერთი საწოლი იდგა, მაგრამ ათი კაცი თავისუფლად დაეტეოდა ზედ. პატარა, თითქმის ჭერთან გაჭრილი სარკმლიდან ჯერ კიდევ შემოდიოდა მკრთალი სინათლე და ამ სინათლეში გაურანდავი ფიცრის საწოლი ნეტარების კუნძულივით ლიცლიცებდა. ფარნაოზმა ბოხჩა საწოლზე ისროლა და თვითონაც უკან მიჰყვა. ბოხჩაზე თავმიდებულს, ცოტა ხანს კიდევ ესმოდა ქვედა სართულიდან ამომავალი ყაყანი.

ფარნაოზი სიჩუმემ გამოაღვიძა, სიჩუმემ და უსიამო შეგრძნებამ, თითქოს სახეზე ვირთხა გადააცოცდაო, პატარა, ხავერდოვანი ფეხებით. მის გვერდით ვიღაც იწვა. "მკვდარიაო" - რატომღაც გაიფიქრა ფარნაოზმა და თავზარდაცემული წამოჯდა. გული ხმამაღლა უცემდა, გამალებით. საწოლზე ქალი იწვა, კი არ იწვა, მართლა მკვდარივით ეგდო, ეგ იყო, რომ ქსუტუნებდა, კბილები დაეკრიჭა და ნახევრად ღია ქუთუთოებიდან თეთრი გუგები მოუჩანდა.

ფარნაოზს კარგად ახსოვდა, ცარიელი რომ იყო საწოლი, მარტო რომ იყო ოთახში, სანამ ჩაეძინებოდა. ეს ქალი მერე შემოსულიყო და მშვიდად, უდრტვინველად მოკალათებულიყო უცხო მამაკაცის გვერდით, რადგან ეს სხვანაირი საწოლი იყო, უსახლკარო მაწანწალებისთვის განკუთვნილი და ამ საწოლზე ქალიცა და კაციც ერთნაირები იყვნენ, ერთი და იგივენი, არა მარტო უპოვარნი, არამედ უსქესონიც.

რიჟრაჟის სუსხმა და უკაცურმა ქუჩებმა ცოტა დაამშვიდა ფარნაოზი. ბოხჩა რომ სასტუმროში დარჩენოდა, ისიც მერე გაახსენდა, მაგრამ იქ ამსვლეელი აღარ იყო, გინდაც ის ბოხჩა ოქროდ ქცეულიყო. "თუ დაანებეს, მადლია იმ უბედურისთვისო" - ფიქრობდა ფარნაოზი, მაგრამ არც

თვითონ ჰქონდა უკეთესად საქმე. ახლა ყველა ხომალდს ვანისკენ რომ ექნა პირი, უფულოდ ვილა წაიყვანდა, ან ასე უცებ სად უნდა ემოვნა ფული? მაგრამ ახლა ფულზე მეტად სხვა რამე აწუხებდა. ტანი რომ არ დაეხანა, გაგიჟდებოდა, ეგონა, ისეთი ბინძური იყო, მის სუნზე ხალხი გამოიხედავდა სახლებიდან.

ფარნაოზმა მალე მონახა ნავსადგურის ახლოს მოფარებული ადგილი. ჯერ მხოლოდ თენდებოდა და კაციშვილი არ ჭაჭანებდა ირგვლივ. ცა ოდნავ აწრიატებულიყო. გრძელი, გაწეწილი ღრუბლები ერთმანეთს ეთიშებოდნენ, იხედნენ, დამბალი ქალღმერთით უხმოდ და უთანასწოროდ. სველი, ცუდად დაფქვილი ფქვილივით ხერხეშა სილა ფეხებზე ეწებებოდა. სანამ გაიხდიდა, ერთი-ორჯერ მაინც მოიხედა უკან, თითქოს ვინმე უთვალთვალებდა. წყალში გაუბედავად შევიდა, მაგრამ წყალი თბილი აღმოჩნდა. "ნუ გეშინია, თბილიაო", - ინოს ხმით ვილაცამ ჩამოსძახა ციდან. მუცლამდე რომ შევიდა, შეჩერდა, დაიხარა და სიპი ქვა ამოიღო წყლიდან. ქვა უცებ დამძიმდა ხელში, თითქოს სიმძიმე ჰაერში ჰქონდა დატოვებული. დიდხანს იხეხა სიპი ქვით ტანი, მერე ქვა ისევ ზღვას დაუბრუნა და თვითონაც შეცურა. სიბნელისგან გაზანტებული და დამდორებული წყალი ხვნეშით იპობოდა. ცურვამ გაახალისა, გუნება გაუხსნა, დაუწმინდა და გაუსუფთავა. ნაპირისკენ რომ მოცურავდა, დარწმუნებული იყო, დღეიდან უკეთ წავიდოდა მისი საქმე. ნაპირზე უფრო ციოდა, ვიდრე წყალში. ორივე ხელით ტანი მაგრად ჩამოიწურა და სწრაფად ჩაიცვა, თიხის ფირფიტაც რომ გადაიცვა კისერზე, მხოლოდ მაშინ შეამჩნია, სანდლები აღარ იყო ადგილზე. ეს ოთხი დღეა სანდლები არსად გაუხდია. წუხელაც სანდლებით ეძინა, აქამდეც სანდლებით მოვიდა, მარტო მოვიდა და აქაც არავინ დახვედრია, სანდლები კი აღარ იყო, გამქრალიყო, გაფრენილიყო. "იქნებ სხვა ადგილას გავიხადეო" - წაეტანა ამ უაზრო იმედს, მაგრამ იმედი ხელში ჩააწყდა და ისიც სივრცეში გადაქანდა, რადგან უცებ თავი წარმოიდგინა, ფეხშიშველი და უფულო, ამხელა გზაზე დამდგარი. მწარედ გაეღიმა, გამობრძმედილ მაწანწალასავით. "მაწანწალა ვარ, აბა, რა ვარო" - გაიფიქრა და ამ ფიქრმა ისე დააფრთხო, ძალღვით მოირბინა იქაურობა, ყველა ქვა დაყნოსა და გადააბრუნა, თუმცა თვითონვე გრძნობდა, აზრი არ ჰქონდა ძებნას. სანდლებს ვეღარ იპოვიდა, რამდენიც არ უნდა ეძებნა. ახლა იმასლა ნატრობდა, ნეტავ ვინმე გამოჩნდებოდეს, შევეკითხო მაინც, სანდლების ასე გაქრობა თუ გაგიგონიაო. გამწარებული მუხლებზე დაეცა და სილას მუშტი დაუშინა. ნესტიანმა სილამ ცომივით დაუჭირა ხელები. გარემო შემზარავად ჩუმი და ცარიელი იყო. არც აქ ჯდომას და სილის ზელვას ჰქონდა აზრი. წამოხტა და ნავსადგურისკენ გაიქცა. ნაპირი ჩხრიალით გაეკიდა უკან. თუ მიესვლებოდა, ნავსადგურში მიესვლებოდა მხოლოდ. ახლა მთელი მისი ცხოვრება ნავსადგურის გაცვეთილ ფილაქანზე მოექუჩებინა ბედისწერას და მხოლოდ იქ გადაწყდებოდა მისი მომავალიც. შევიდა თუ არა ნავსადგურში, ძალღი დაინახა. ძალღი წინა ფეხებზე ჩაცუცქულიყო და თვალეზამოტრიალებული რაღაცას ღრღნიდა. "აი, თურმე ვის წაუღია ჩემი სანდლებიო", - გაუხარდა და ძალღისკენ გაიქცა. ძალღი დაფრთხა და კუდამომუებული გაიძურწა. გარბოდა და თან თვალს არ აშორებდა ფეხშიშველა კაცს, გაღიმებული რომ ათვალეერებდა მისი კბილებით დამენძილ ნაფოტს.

იმ ღამეს გაწვიმდა და კასრებს უკან ჩაყუჟულ ფარნაოზს გაჩეჩქვილი მსხალი დაესიზმრა. მსხალს საკუთარი წვენიტ გარშემო უსწორმასწორო წრე შემოეხანა და ჭიანჭველები დასეოდა. ფარნაოზმა მსხალი აიღო და ჭიანჭველებიანად შეჭამა, მაგრამ შეჭმული ჭიანჭველები,

რატომღაც, ტანზე შეაცოცდნენ და კანი დაუსუსხეს. ფარნაოზი ვერ პოულობდა ამ პატარა და დაუნდობელ მწერებს, იდგა და ქეციანივით იქექებოდა. "მასე მოგიხდებაო", - ეძახდა დედალუსი და კასრიდან კასრზე მიხტოდა. ხელების ნაცვლად ორი დიდი ფრთა გამობმობდა, თითქოს კოლხური ნაბადი მოუხურებიათო. წამოფრინდებოდა, ნავსადგურის თავზე ირაოს შეჰკრავდა და ისევ კასრზე დაეშვებოდა. მეთევზეებს ზღვიდან ბადე გამოჰქონდათ, თან დედალუსისკენ ეჭირათ თვალი, ემანდ თევზი არ წაგვართვასო. "არ გეკადრებოდა, ჩემი ბავშვი ერთხელ მაინც გაგესეირნებინაო" - ეძახდა, არა, დასჩხაოდა თავზე დედალუსი და ფარნაოზს ერჩივნა, მიწა გახეთქვოდა, სირცხვილისაგან სახე უხურდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერც ვერაფერს ვხედავ და არც არაფერი მესმისო. დედალუსმა ერთხელ კიდევ შეჰკრა ირაო ნავსადგურის თავზე და თევზით გაძიძგულ ბადეს მიეტანა. ვიღაცამ ნიჩაბი მოუქნია, მაგრამ დედალუსმა ნიჩაბი აიცდინა, გადაიხარხარა და ლაჟვარდისფერ ღრუბლებში გაუჩინარდა. "მე მაინც წამიყვანე, მე მაინც ნუ მიმატოვებო", - უთხრა ფარნაოზს ქალმა. ქალს კბილები დაეკრიჭა, ნახევრად ღია ქუთუთოებიდან თეთრი გუგები მოუჩანდა.

ფარნაოზს გაეღვიძა, წვიმას გადაეღო. ნავსადგური პატარა და ბრჭყვიალა გუბეებს დაეფარა. თვითონაც გუბეში იწვა, მაგრამ აღარც წამოდგომის თავი ჰქონდა, შეჩვეოდა სიცივესა და სისველეს. მოკუნტული იწვა და სიზმარს იხსენებდა. უკვირდა, რატომ დაესიზმრა მაინცდამაინც ის ქალი, თუკი, როგორც თავიდანვე იფიქრა, იმ ქალის წამიერად ნახული სახე, მხოლოდ და მხოლოდ ნიღაბი არ იყო, რომლის იქითაც სახე იმალებოდა, ნამდვილი სახე. იმ ქალმა ფარნაოზს ინო გაახსენა და ამიტომაც წამოვარდა შეშლილივით. მისი წარმოდგენით, ინოს ამ ქალივით უნდა ეცხოვრა, ყველასაგან დავიწყებული, ყველასაგან განწირული, სულერთი იყო, სად დაიძინებდა, ვისთან! ფარნაოზი მთელი დღე ებრძოდა ამ ფიქრს, მთელი დღე იგერიებდა, მაგრამ სიზმარმა მაინც არ დაინდო და ისევ ამოუტივტივა ძალით მიჩქმალული, ძალით ჩახშობილი ფიქრი. უფრო მეტიც, ინოს დედალუსის კუტი შვილიც დაამატა. ფარნაოზს გული უკვდებოდა იკაროსის წარმოდგენაზე. ბავშვის დიდრონ თვალებში აფარფატებული ბუმბული ირეკლებოდა, როგორც ქედით გათიშულ ტბებზე ლაქაშებიდან აფრენილი წერო. თუმცა ყოველთვის აპირებდა, ერთხელაც არ გაუსეირნებია ფარნაოზს პატარა იკაროსი, ერთხელაც არ გამოუყვანია მარადიული სევდისა და სიმარტოვის ტყვეობიდან, რომლისთვისაც გაჩენის დღიდანვე გაეწირათ იგი ღმერთებს. ნავსადგურშიც ბევრჯერ დააპირა ფარნაოზმა გუნებაში დადებული პირობის ასრულება, მაგრამ მერე ყველაფერი ისე აირია, იკაროსი კი არა, თავიც დაავიწყდა.

ფარნაოზი კნოსის ნავსადგურში კარგა ხანს ჩარჩა. არ იქნა და არ გამოჩნდა კოლხეთისკენ მიმავალი ხომალდი, ანდა ფარნაოზს უმაღლავდნენ და აპამპულებდნენ, რადგან ამ ხნის განმავლობაში ისეთი შესახედავი გამხდარიყო, ხომალდზე აუშვებდნენ კი არა, მის მოწოდებულ დოქსაც არავინ მოიყუდებდა. შიმშილი კი თავისას აკეთებდა, აქეთ-იქით დაათრევდა, ბარგს აზიდვინებდა, ნავებს არეცხვინებდა, ნაგავს აყრევინებდა და აქექვინებდა კიდევ. ერთხელ, ცოტას მორჩა, მტვირთავებმა სცემეს, მაზანდას ნუ გვიგდებო; ერთხელ ვიღაცის ეზოში შემას აპობდა და ცულით ფეხის ცერა თითის ფრჩხილი შუაზე გაიპო. სისხლმა უზარმაზარი გუბე დააყენა, ის კი, შემაზე მიშხეფებულ სისხლსა წმენდდა, პატრონმა არ დაინახოსო. ერთხანს ვიღაცის მიბარებულ ღორს დაატარებდა. ღორს მძიმე, ჟღრიალა ჯაჭვი ება კისერზე და თავს რომ აქნევდა, ფარნაოზს მკლავები სწყდებოდა. ღორს პატარა, წითელი თვალები ჰქონდა და წარამარა

ფეხზე ეტანებოდა საკბენად, ალბათ, ცულით დამახინჯებულ თითზე მიმპალი ძონძი იზიდავდა. ფარნაოზი გვერდზე რომ გახტებოდა, მაშინვე სიცილი იფეთქებდა ხოლმე, თუმცა თვითონ ღორის დინგის მეტს ვერაფერს ხედავდა. მერე ფარნაოზი გაჩეჩვილ მსხალს ეძებდა, მაგრამ იმ ადგილისთვის ვეღარ მიეგნო. "ალბათ, ძაღლმა შეჭამაო", - ბრაზობდა ფარნაოზი. ძაღლის ვერაგობამ ყველაფერი დაავიწყა, დაცინვაცა და შიმშილიც. მარტო ძაღლზე ფიქრობდა, ძაღლი ელანდებოდა და ყოველ ნაბიჯზე უსაფრდებოდა, ცდილობდა ახლოს მოეტყუებინა, მაგრამ ძაღლიც ფრთხილად იქცეოდა. რამდენჯერმე მაინც მიიმწყვდია კუთხეში, მაგრამ ძაღლი უფრო ღონიერი აღმოჩნდა, სლიპინა ტანი ჰქონდა და ბუმტივით უსხლტებოდა დაუძლურებული ხელებიდან. ფარნაოზი კბენდა, ახრჩობდა, ბლოტნიდა და მუხლებით აწვებოდა ნეკნებზე, მაგრამ მაინც ვერ აღწევდა საწადელს. ეგ იყო, რომ პირი ძაღლის ბალნით ევსებოდა. გვერდზე გამდგარი ძაღლი აბურძგნულ ბალანს ენით იწყნარებდა და სევდაჩამდგარი თვალებით უყურებდა აქოშინებულსა და გაწბილებულ ფარნაოზს, თითქოს ეუბნებოდა: რა ვქნა, ადამიანო, არც მე მაღვას კარგი დღე, მაგრამ თავს ვერ შეგაჭმევინებო. ძაღლს აშკარად ეცოდებოდა, სახეს ულომნიდა, ხელებს ულოღნიდა, კბენით კი, ერთხელაც არ უკბენია, თუმცა თავისუფლად შეეძლო, შეეჭამა კიდეც. ფარნაოზს უარესად ასუსტებდა, უარესად აბეჩავებდა ძაღლის სულგრძელობა და მისი ბინძური ბალნით პირამოვსებული, გალახული ბავშვივით მდუღარე ცრემლით ტიროდა. ძაღლიც იქვე ჩაცუცქულიყო და თვალს არ აშორებდა, მიტოვება უჭირდა, უკვე შეჩვეოდა და ისევ მასთან ბლლარძუნე ერჩია მარტო წანწალს.

ფარნაოზი გრძნობდა, როგორ იღუპებოდა. ეს უკვე დასასრული იყო და ვანში დაბრუნებაზე ფიქრიც იმ ოინბაზების მონაჩმახს ჰგავდა, აქეთ-იქით რომ აგზავნიდნენ არარსებულ საქმეზე. მაგრამ იმის ნაცვლად, შეშფოთებულიყო, ეყვირა, შველა ეთხოვა, რაღაც უცნაურ შვებასა და ნეტარებას განიცდიდა, თითქოს საიდუმლოდ, სხვებისაგან დამალულად აკრძალულ ხილს მიირთმევდა, ყველას ატყუებდა და საკუთარი მოხერხებულობა და ეშმაკობა სიხარულის თავბრუს ახვევდა. ერთი სული ჰქონდა, როდის იპოვიდნენ მკვდარს, როდის მიაგნებდნენ სუნზე კასრებს უკან ჩაჭუჭკნულს და დარწმუნდებოდნენ, რომ თვითონ კი არ აპამპულებდნენ ფარნაოზს, არამედ ფარნაოზს გაეპამპულებინა და გაეცურებინა ისინი. ფარნაოზისგან მართლა აღარაფერი დარჩენილიყო, გარდა იმ რამდენიმე ძონძისა, თითქოს ხალხის გასაცინებლად რომ გადაეცვა, და თიხის ფირფიტისა, მის თავისუფლებას რომ ადასტურებდა. ვინ იცის, მართლაც რითი დამთავრდებოდა ეს ამბავი, ერთ დღეს, უკვე საბოლოოდ სასოწარკვეთილსა და უმწიგობისგან აღგზნებულ ფარნაოზს, ღმერთის პირიდან ამოსული ხმა რომ არ გაეგონა:

"ვანელი ხომ არა ხარო?" - ეკითხებოდა ხმა.

- დიახაც ვანელი ვარ, რა გინდაო?! - დაიძაბა ფარნაოზი და მხოლოდ მერე დაინახა კაცის სახე, მეგობრულად მოღიმარი.

- არაფერი, მეც ვანელი ვარ - თქვა კაცმა.

ფარნაოზს გონება გაუნათდა. მიხვდა, კი არ მიხვდა, მთელი არსებით იგრძნო, მის წინ ცით მოვლენილი მხსნელი იდგა და გარდაუვალ დალუპვაზე ფიქრით მოგვრილი სიხარული სისულელე იყო და სხვა არაფერი, რადგან ასე ძლიერად, ასე ხარბად არასოდეს სდომებია

სიცოცხლე. მან ისიც იგრძნო, ბოლო რომ ეღებოდა მის ტანჯვა-წამებას. აღარ მიატოვებდნენ, ხომალდზე აიყვანდნენ, პურს გაუყოფდნენ და თავიანთი დოქიდან დააღვეინებდნენ წყალს, იმიტომ რომ... იმიტომ რომ ვანელი იყო, სამშობლო ჰქონდა, თანამემამულე ჰყავდა, რომელიც ვალდებულად თვლიდა თავს, ეზრუნა მასზე. ავიდა თუ არა ფარნაოზი ხომალდზე, პირველ რიგში მისი თავისუფლების დამადასტურებელი თიხის ფირფიტა ჩამოიწყვიტა და ზღვაში გადააგდო. კისერზე თასმალა შერჩა და თიხის ხმელი ნამცეცები უბეში ჩაუცვივდა.

გზამ კრეტიდან კოლხეთამდე ძილ-ღვიძილში გაიარა. იმასაც ვერ გრძნობდა, როგორ გადააჩოჩებდნენ ხოლმე უფრო მოჩრდილულ ადგილას, როცა შუადღის მზე მთელი ძალით აცხუნებდა. ხომალდი კი მიდიოდა, აქოჩრილ ტალღებზე მიირწეოდა და მზითა და მარილით დალაქავებული მკერდით მიაპობდა ღვინისფერ ზღვას კუნძულიდან კუნძულამდე.

ცოტა რომ მოიკეთა, თვითონაც ნიჩაბს მიუჯდა. ჯიუტად მისჩერებოდა უსასრულო სივრცეს. ხანდახან ზღვიდან თეთრი ნისლით თავმოხმული, ხორცისფერი მიწა ამოიწვერებოდა და ხომალდისკენ დაიძვრებოდა. ჰე-ჰე-ჰეო! - გასძახებდა რომელიმე მეზღვაური გვერდზე ჩავლილ მიწას და ფარნაოზიც მხოლოდ მერე ამჩნევდა გამოკაფულ ტყეებს, წნელით შეღობილ ბაღა-ბაღებსა და ამ ბაღა-ბაღებში მომუშავე ხალხსაც. კოლხეთამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ფარნაოზმა არ იცოდა, რამდენ ხანს ეგდო უგრძნობლად, არც არავის უთქვამს და არც თვითონ უკითხავს. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაც აქამდე გადახდენოდა თავს, სიზმარში გადახდენოდა და ეს წუთია გამოფხიზლებულიყო ამ უსიამო სიზმრიდან. ღონიერი ქარი გულმკერდს უღელავდა, თვალს უცრემლავდა და ისიც ხალისით აწვებოდა ხოფის ტარს, რადგან მხოლოდ ასე შეეძლო მასზე გაწეული ზრუნვისა და ამაგის გადახდა. თვალწინ უსასრულო სივრცე გაშლილიყო, თავზე მარადიული მზე ედგა და ღონიერი ქარი თბილი, ბუსუსიანი ხელებით მის ატაცებას ცდილობდა. ყველაფერი ისე სიამოვნებდა, ისე ალაღებდა და აბედნიერებდა, ხმის ამოდებაც ვერ გაეხებდა, გრძნობდა, ხმას ვერ დაიმორჩილებდა და, გაზაფხულით აფორიაქებული ტყიურივით, ერთ გაბმულ ბგერას ამოუშვებდა. ფარნაოზი ბედნიერი იყო, მაგრამ ამ ბედნიერებას ვერავის გაუზიარებდა, ვერავის მოახვევდა თავზე, რადგან ის სხეულისმიერი ბედნიერება იყო, აღდგენილი სიცოცხლის ზეიმი, რომელიც ერთი არსების ფარგლებს არ სცილდებოდა, არც გადამდები იყო და არც გამრავლების უნარი ჰქონდა. ფარნაოზს კი განუწყვეტლივ ეღიმებოდა და მლაშე ქარით დახეთქილი ტუჩებიც სასიამოვნოდ სტკიოდა. ეს ღიმილიც გვალვამამოვლილი, დაკრუნჩხული, მაგრამ მაინც გადარჩენილი ფესვის გაშლას უფრო ჰგავდა უცაბედად დანესტიანებულ მიწაში, და თვითონ ფარნაოზმა არც კი იცოდა, თუ იღიმებოდა. მენიჩბეები თვალებით ანიშნებდნენ ერთმანეთს მოღიმარი ფარნაოზისკენ და ისე ფრთხილად უსვამდნენ ნიჩბებს, თითქოს ნავის კიდეზე ჩამომჯდარი ჩიტის დაფრთხობისა ემინიათო.

ასე იღიმებოდა ფარნაოზი მაშინაც, როცა მის გვერდით მჯდომმა მენიჩბემ ხელი გაიშვირა და თქვა: აგე, აფრასიონის კუნძულებიო.

ამ ხნის განმავლობაში ხომალდზე არავის დაულაპარაკია ქართულად და ფარნაოზი უნებურად შეკრთა. არა, არ მოჩვენებია, მის გვერდით მჯდომმა მენიჩბემ ნამდვილად ქართულად თქვა: აგე, აფრასიონის კუნძულებიო.

ფარნაოზმა მენიჩბის გაშვერილ ხელს თვალი გააყოლა და შორს ვიწრო, მეწამული ზოლი დაინახა.

- აფრასიონის კუნძულები! - გაიმეორა თვითონაც.

უცებ გული ისე აუჩქროლდა, თითქოს ხალხის წინაშე სიტყვის თქმა ჰქონდა დავალებული. აქედან უკვე მათი ზღვა იწყებოდა, უფრო სწორედ, აქ, ამ კუნძულებზე მთავრდებოდა მათი წინაპრების ბობოქარი გზა. აქამდე უწევდა მათი სისხლის ანარეკლი და მომაკვდინებელი ვნების სიმხურვალე.

- ეს მიწა აფრასიონის სისხლმა გააწითლა ასე, რადგან ღალატით მოკლეს, - თქვა მენიჩბემ, ცხვირი ხმაურით შეიხოცა მკლავზე და გააგრძელა: ვენაცვალე იმის გამჩენს, სხვა რომ არაფერი ჰქონდა, მკვლელს საკუთარი სისხლი შეასხა სახეშიო.

ფარნაოზი მთელი ღამე მამაზე ფიქრობდა. რაც უფრო უახლოვდებოდა სამშობლოს, მით უფრო რწმუნდებოდა, ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრებდა. არადა, სწორედ ახლა სჭირდებოდა იგი. ახლა უნდოდა მასთან საუბარი, რადგან თვითონაც ბევრ რამეს მიხვედრილიყო უკვე. მან უკვე იცოდა, რისი ეშინოდა უხეიროს, რატომ იკუპრავდა პირს და რატომ უკრძალავდა შვილს შუბის აღებას. ერთი შუბი დანაშაულს ვეღარ გამოასწორებდა, ის დიდი იყო, უზარმაზარი, ხოლო დუმილი და შეგუება უარესად ზრდიდა და ავერაგებდა. "მე მზოგავდა, მე მიფრთხილდებოდა მამაჩემიო" - ფიქრობდა ფარნაოზი და უხეიროს ამ გულუბრყვილო სიკეთეზე სიბრალულითა და სიბრაზით გული თანაბრად ეხეოდა. უხეიროს თავისი გაეტანა, შვილი გადაერჩინა, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც უარესი ბოროტება ჩაედინა. მის შვილს მხოლოდ და მხოლოდ უბედურების მოტანა შეეძლო, რადგან ის დამარცხებული, გაპამპულელებული, დასახიჩრებული და დაშინებული მამაკაცის თესლი იყო. მამის დანაშაული უკვე შვილზედაც ვრცელდებოდა. მაგრამ შვილისთვის გაცილებით ძნელი შესაგუებელი და ასატანი იქნებოდა იგი, როგორც შთამომავლობით გადმოცემული ათაშანგი.

ერთ დღეს ქარმა ჭაობის სუნი მოიტანა. "მოსულვართო" - ერთხმად შესძახეს მენიჩბეებმა და ხოფებს მეტი ხალისით დააწვნენ. მერე ფარნაოზმა არწივი დაინახა, იგი ხომალდის ზემოთ, თითქმის ღრუბლების სიმაღლეზე მიფრინავდა და კარგად გათლილი ხოფებივით მიაშხილებდა ფრთებს. ფარნაოზმა არწივს თვალი გააყოლა და შორს, რძისფერ ნისლში, შავი, დაკბილული მთები დაინახა. ეს კავკასიონის მწვერვალები იყო. ახლა კი ნამდვილად მოსულიყვნენ სამშობლოში. მენიჩბეებმა ხოფებს ხელი უშვეს, ერთმანეთს საკოცნელად დაერივნენ და, ბავშვებივით აღტკინებულებმა, გემბანზე ფერხული გამართეს. უმეტვალყუროდ მიტოვებული ხომალდი ადგილზე ტრიალებდა, მთვრალივით ირწეოდა და ერთმანეთზე ახეთქებდა აცეკვებულ მენიჩბეებს. ხომალდის კიდეზე გადაწოლილ ფარნაოზს კისერი მოღრეცოდა, რადგან კავკასიონი ხან წინ აესვეტებოდა, ხან კი ზურგს უკან ემალებოდა.

- კავკასიონი, კავკასიონი, კავკასიონი! - ყვიროდა ფარნაოზი და მღელვარებისა თუ ქარისაგან აცრემლებულ თვალებს წარამარა იხოცავდა, რათა უფრო გარკვევით დაენახა შავი, დაკბილული, ზვიადი და დიდებული მთების ფერხული, უჩინარი თოკით თავისკენ რომ ექაჩებოდა ხომალდს.

ისინიც ამ უჩინარი თოკით იყვნენ მიბმულნი კავკასიონზე და ამის შეგრძნება ახარებდათ სწორედ, მარადიული, ბედისაგან მისჯილი ტყვეობის შეგრძნება, რაც მათთვის იგივე თავისუფლება იყო, რადგან აქ ყველაფერი მშობელივით ახლობელი, ნაცნობი, ბუნებრივი, ჩვეულებრივი, გასაგები და ასატანი იყო.

- კავკასიონი, კავკასიონი! კავკასიონი! - ყვიროდა ხომალდის კიდეზე მთელი ტანით გადაწოლილი ფარნაოზი და ცდილობდა, ხელით მიწვდენოდა ზღვას, რომლის მწვანე, დაბინდული წიაღიდან მედუზების ჯოგი ჩაძირული თანავარსკვლავედივით ანათებდა.

\* \* \*

ხომალდი ნავსადგურში არ შესულა. ვანს გვერდი აუქცია და დაუშრეტელ მდინარეს აუყვა. მენიჩბებმა ფარნაოზს გაკვირვება რომ შეატყვეს, გაეცინათ და უთხრეს, შენ მართლა არაფერი გცოდნია, კრეტელებს ქვევრში ხომ არ ჰყავდით დამწყვდეულიო.

ხომალდები კეთროვანივით ერიდებოდნენ ვანის ნავსადგურს. ეშინოდათ, სამუდამოდ არ ჩარჩენილიყვნენ შიგ. სადაც ადრე შორეული მგზავრობით დაქანცული ხომალდები ირწეოდნენ, ახლა სილის გრძელი ბორცვები გარინდულიყო, ჩაძინებული ურჩხულებივით, გარშემო კი მწვანე, დაბუმტული წყალი შემოსდგომოდათ. პატარა ნავებილა თუ ბედავდნენ ამ ბორცვებს შორის გამძვრენ-გამომძვრენას, რათა მძინარე ურჩხულებისთვის გრძელი ჭოკებით გამოეგლიჯათ პირიდან წინდაუხედავი თუ გამოუცდელი ხომალდის ნარჩენები. სილიდან ამოშვერილ ანძის წვერზე ახლაც სვავი იჯდა და ნისკარტით იქექავდა ილღიებს.

მომძლავრებულ ჭაობს დაუშრეტელი მდინარის ნაპირებიც სახიფათო გაეხადა. ფარნაოზმა წელამდე წყალი გამოტოპა და თავფეხიანად გაწუწული ამოვიდა ნაპირზე. მზეზე გარუჯული და მუცელდაბერილი ბავშვები ყიჟინით შეეგებნენ, დაესივნენ და წმენდა დაუწყეს, მაგრამ ფარნაოზმა ძალით მოიშორა ისინი, რადგან არაფერი ჰქონდა მისაცემი. გაწბილებულმა და გაბრაზებულმა ბავშვებმა ძეწნის სველი რტოები ერთი-ორჯერ, ვითომ უნებურად, წვივებზე მწარედ გადაუჭირეს არაფრისმქონე მგზავრს, რომელმაც ვინ იცის, რამდენი ხნის მოლოდინი წყალში ჩაუყარათ და ისევ ხომალდს მიუბრუნდნენ. მაგრამ ხომალდიდან სხვა აღარავინ გადმოსულა. ის ნელა მიცურავდა დინების საწინააღმდეგოდ და სანამ თვალს მიეფარებოდა, ნაპირზე თავშეყრილი ბავშვები მუშტებს უღერებდნენ, ქვებსა და ტალახს ესროდნენ, უსტვენდნენ და ისეთი პირით აგინებდნენ, ფარნაოზი სიმწრის ოფლში იწურებოდა, ხომალდისაც რცხვენოდა და ბავშვებისაც, თითქოს ისინი მაინცდამაინც მისი გულისთვის გამოსულიყვნენ ამ აშშორებულ ნაპირზე. მას კი ამდენი ბავშვი ერთბაშად გაეწბილებინა. ბავშვებისთვის, რა თქმა უნდა, სულერთი იყო, ვის გადმოსვამდა ხომალდი, ვისი მეგზურები და მტვრითავე იქნებოდნენ გაუვალ ჭაობებში, ოღონდ შინ ხელცარიელნი არ მიბრუნებულებიყვნენ. იდგა ახლა ფარნაოზი, მდინარისკენ ზურგშექცეული, და ისიც ველარ გაებედა, მადლობის ნიშნად ხელი მაინც დაექნია ხომალდისთვის, ხოფების შხუილით რომ მიაპობდა დინებას, თითქოს მასაც ერთი სული ჰქონდა როდის გაეცლებოდა ბავშვების ლანძღვას, რისხვასა და სიძულვილს, ნაპირ-ნაპირ მგლების ხროვასავით ადევნებულს.



ბავშვები მალე დაშოშმინდნენ, ცოტა ხანს კიდევ იბლარძუნეს, უარესად ამოიგანგლენ ტალახში, ისე რომ, ამ ხნის განმავლობაში, ერთხელაც აღარ შეუხედავთ ფარნაოზისთვის, როგორც ყოვლად უვარგისი და გამოუსადეგარი ნივთისთვის, და მერე, ერთ მწკრივად დაწყობილნი, დაადგნენ ქალაქისკენ მიმავალ ბილიკს, რომლის არსებობაც მარტო თვითონ იცოდნენ და ამ ცოდნის წყალობით ათასში ერთხელ პირის ჩასატკბარუნებელ ფულსაც შოულობდნენ. დღეს კი არ გაუმართლდათ, დღეს ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ, მაგრამ ყვირილითა და გინებით ისე მოეოხებინათ გული, ყველას კმაყოფილებისგან თვალები უბრწყინავდა და ჯუჯა მეომრებით ამაყად მიაბიჯებდნენ წყლით დარბილებულ, დამახინჯებულ და გავერაგებულ მიწაზე. ფარნაოზიც უკან მიჰყვა, მაგრამ მალე დარწმუნდა, მარტოს მოუხდებოდა სიარული. საკმარისი იყო, ოდნავ მიახლოებოდა მათ, ნაბოლარა, ყველაზე პატარა, ყველაზე დიდმუცლიანი ბიჭი, რომელსაც თაფლისფერი თმა და ცისფერი თვალები ჰქონდა, მაშინვე დაიხრებოდა, ტალახს მობლოტნიდა, ესროდა და მერე სირბილით ეწეოდა წინ წასულ თანამებრძოლებს. ფარნაოზმა ფეხი აითრია, აღარ უნდოდა, უარესად გაენაწყენებინა ბავშვები, რომლებსაც სამართლიანად გადაეწყვიტათ მისი დასჯა. გზას, ალბათ, როგორმე გაიგნებდა, დრო კი ბევრი ჰქონდა, რადგან ისე ღელავდა, დაღამებამდე მაინც ვერ შევიდოდა ქალაქში. ფარნაოზმა მორისმაგვარი, ხავსმოდებული საგანი დაინახა და ზედ ჩამოჯდა, მაგრამ ამ უცნაურმა საგანმა ფარნაოზის სიმძიმეს ვერ გაუძლო და ჩაიღუნა, კი არ ჩაიღუნა, ჩაიფუშა, სულიერივით ამოიფშვინა კიდევ. ფარნაოზი უკან გადაქანდა, ხელები იდაყვებამდე მიწაში ჩაეფლო და მხოლოდ მაშინ შეამჩნია, ტყავის კუბოზე დამჯდარიყო. ამგვარ კუბოებში მისი წინაპრები მარხავდნენ მიცვალებულებს და ხეებზე ჰკიდებდნენ. ფარნაოზს შიშისაგან გული გადაუბრუნდა და ფართხაფურთხით წამოდგა, თითქოს მისი დაუდევრობით შეწუხებული ნემსტი ხელსა სტაცებდა. იმ ადგილს სირბილით გაეცალა და დამყაყებულ წყალში ალაღბედზე წადგაფუნდა. დაფეთებული ბაყაყები ერთმანეთს თავზე ახტებოდნენ და შაბიამნისფერი ფოთლებით მოფენილ გუბებში უჩინარდებოდნენ.

ვანს რომ მიაღწია, უკვე ბინდდებოდა. ტალახი ქვით ჩამოიწმინდა და დაიცადა, სანამ ქარი ცოტას გააშრობდა. ქალაქში თითქმის არაფერი შეცვლილიყო. ქვაფენილი ისევ აეყარათ, ერთ ქუჩაზე ტალახშემხმარი ხის ჩაქუჩი ეგდო, ეტყობა, ქვისმთლელებს დარჩენოდათ. ქუჩის კუთხეში ბერძენი დედაბერი იჯდა და გოგრის თესლსა ყიდდა. დედაბერმა თვალი გააყოლა.

ფარნაოზი შინისკენ მიდიოდა, უფრო სწორედ, ფეხებს მიჰყავდათ იგი შინისკენ, რადგან თვითონ ერთიანად დაცარიელებულიყო, გაოგნებულიყო, აღარც ღელავდა, აღარც უხაროდა, თითქოს მთელი დღის შრომით დაღლილი ჩვეულებისამებრ ბრუნდებოდა შინ და იქაც არავის გაუკვირდებოდა მისი დანახვა, მაგრამ როგორც კი გამოჩნდა ტყუპი კვიპაროსის გარინდული კენწეროები და ხვლიკისფერი სახურავი, ადგილზე გაქვავდა, მუხლი მოეკვეთა და ისეთი სისუსტე იგრძნო, თითქოს მთელი წლის მწოლიარე ავადმყოფი ძალით წამოეგდოთ ფეხზე. თავბრუ დაესხა და ხელები უმწეოდ აასავსავა ჰაერში. ბედად ქუჩა ცარიელი იყო და არავის დაუნახავს.

ცოტა გონს რომ მოეგო და ასე თუ ისე დამშვიდდა, მიხვდა, შინ ვერ შევიდოდა, ასე იოლად ვერ დაადგებოდა თავზე ათი წლის უნახავ ოჯახს, რომელიც შესაძლებელია, აღარც კი არსებობდა. ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო; რა უფლება ჰქონდა, ასე

თავადებული შესულიყო სახლში, რომლის ავანჩავანისა არაფერი გაეგებოდა. ხომ შეიძლებოდა, სრულიად უცნობ ხალხს გაელო მისთვის კარი და ეთქვა: ვის ეძებ, ვის დაჰკარგვიხარო? გადაწყვიტა, ჯერ თავისიანების ამბავი გაეგო და მერე მისულიყო შინ, თუკი მიესვლებოდა. სახლი მაცდურად ახლოს იყო, კვიპაროსებიც ისე გამომწვევად დუმდნენ, თითქოს ელოდებოდნენ, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა. ფარნაოზი მინც უკან გამობრუნდა, ისევ გაიარა მთელი გზა ქალაქის გაღავნამდე, ისევ ჩაუარა ტალახშემხმარ ხის ჩაქუჩსა და გოგრის თესლით მოვაჭრე ბერძენ დედაბერს, რომელმაც ისევ გააყოლა თვალი, და ქალაქის ყველაზე განაპირა ქობის კარზე დააკაკუნა. ქობიდან დედაბერმა გამოხედა, აცახცახებული ხელით სახე მოიჩრდილა, თითქოს მზეზე გამოვიდაო, მეორეთი ქობის გამოღებულ კარს მიეყრდნო, რათა სიბერისგან დაუძლურებული ტანი შეეკავებინა.

- რა გინდაო? - როდის-როდის ჰკითხა დედაბერმა.

- დედაშვილობას, ამაღამ გამათენებინეო, უთხრა ფარნაოზმა.

დედაბერმა გაიღიმა და უპასუხა: შენ რა იცი, მე რომ ყველას მასპინძელი ვარო.

- ოღონდ გარეთ ნუ დამტოვებ... - რატომღაც აღელდა ფარნაოზი, თითქოს ის დედაბერი უარს ეუბნებოდა.

ნესტისა და მტვრის სუნი დიასახლისის უძლურობასა და სიმარტოვეს გაეთამამებინა და მთელ ქობს მოსდებოდა. თუმცა, ერთი შეხედვით, ქობში სრული წესრიგი და სისუფთავე სუფევდა, მაგრამ ესეც ზერელე, თვალის მოსატყუარი სისუფთავე იყო, ყველა მარტოხელა მოხუცის თანამგზავრი, სევდისა და ზიზღის აღმძვრელი. შედგა თუ არა ფეხი ქობში, ნესტისა და ზინზლის გათავხედებული სუნი მაშინვე ცხვირში ეცა, მაგრამ დედაბრის ხათრით თავი შეიკავა და ფარდაგადაფარებულ ტახტზე გაუბედავად ჩამოჯდა. ტახტმა გაიჭრიალა.

ფარნაოზმა ქობი მოათვალიერა. ბუხარში ერთი მუჭა ნაცარი ეყარა, თითქოს დედაბერს სავარცხელს ჩამოყოლილი თმა შეუყრიაო. ბუხრის თაროზე დიდი, სპილენძის ჩარჩოიანი და მთელ სიგრძეზე ირიზად გაბზარული სარკე აეყუდებინათ. სარკის გვერდით ცარიელი გალია იდო. ლერწმის გაფშევილ ღეროებს აქა-იქ სამუდამოდ შეხმობოდა ამ გალიის ყოფილი ბინადრის სკინტლი და ბუმბული. მერე ფარნაოზმა ქობის კუთხეში, ჭუჭყისფერ ბინდში გარინდული თხა დაინახა და ისე გაუხარდა ამ ცოცხალი არსების დანახვა, თითქოს მის სანახავად გამოეცლო ამოდენა გზა. თხამ გვერდულად გამოხედა, მერე, რაღაცაში დარწმუნებული კაცივით, თავი რამდენჯერმე დაიქნია, კი, ნამდვილად ასეაო, და დაიკვივინა.

- ღვთის რისხვა! - მიაძახა დედაბერმა.

ფარნაოზს გაეღიმა. თხას უკანა ფეხებზე ზეთისხილის ნაყოფის ხელა კურკლი აჰკვროდა.

- ღვთის წყრომა! - გაიმეორა დედაბერმა და მობრეცილი თავსაფარი გაისწორა.

ფარნაოზი იჯდა და ილიმებოდა, უცებ მორეოდა დაღლილობა და რული თვალეზს უხუჭავდა, თავისკენ იტყუებდა. არა, რული კი არა, ქალთევზა. ის გამჭვირვალე წყალში იდგა, წყლიდან

შიშველი, მთვარის შუქით გაბრწყინებული მკლავები ამოეშვირა და ფარნაოზს უღიმოდა. ფარნაოზიც იღიმებოდა, თვითონაც ირხეოდა, თითქოს თვითონაც გრილსა და გამჭვირვალე წყალში იდგა, თითის წვერებით ოდნავ ეხებოდა ფსკერს და წყლის ბიძგებს ქალთევზასკენ მიჰყავდა. ქალთევზა კი ცეცხლად ქცეულიყო, ცეცხლის ალივით ცახცახებდა, ტკრციალებდა და ნელა, შეუმჩნეველად იხევდა უკან. ცეცხლი დედაბერს დაენტო ბუხარში, თვითონ, მკლავებდაკაპიწებული, ვარცლში ცომსა ზელავდა.

"ახლა ვკითხავ ჩვენების ამბავსო", - ფიქრობდა ფარნაოზი და ცდილობდა თვალი აერიდებინა დედაბრის დაკრუნჩხულ თითებზე აკრული ცომისთვის. გრძნობდა, მთელი მისი არსება როგორ მოითხოვდა რაღაცის გახსენებას, იმასაც გრძნობდა, რა ადვილი იყო იმ რაღაცის გახსენება, თუკი თავს ძალას დაატანდა, თვლემას მოერეოდა, მაგრამ არ უნდოდა, ეზარებოდა და, რაც მთავარია, ეშინოდა, არ კი იცოდა, რატომ. ვარცლის ძირს ისეთი ბაგაბუგი გაუდიოდა, თითქოს ეს ქალი მთელ თავის ბრახს ამ ერთ მუჭა ცომზე იყრისო.

- თუ სიკეთის გაკეთებას აპირებ... - დაიწყო ფარნაოზმა. მაგრამ დედაბერმა არ აცალა:

- სიკეთის? სიკვდილი მინდა, ადამიანო! - ისე შეჰყვირა დედაბერმა, ფარნაოზს სიტყვა პირზე მიეყინა.

დედაბერმა ფასკუნჯის კვერცხისხელა ცომის გუნდა გაჩხრეკილ ნაღვერდალში ფრთხილად ჩადო და გააგრძელა:

- სიკეთეს შენგან ველი, შენ უნდა მომკლა, რადგან მარტო შენ შეგიძლია ჩემი მოკვლა.

- დედი... - ისევ დაიწყო ფარნაოზმა, მაგრამ ენა დაემა, არ იცოდა რა ეთქვა. ერთი კი ცხადი იყო, გიჟთან მოხვედრილიყო სტუმრად. ასე იყო თუ ისე, ახლა კეთილი უნდა ენება და ანგარიში გაეწია ამ გიჟი დედაბრისთვის. "რაღა ამ ქოხს მოვადექიო", - ფიქრობდა ფარნაოზი. დედაბერი ცეცხლთან ჩაცუცქულიყო და ცდილობდა, ნაღვერდალში ჩადებული ცომის გუნდა გაებრტყელებინა. სტუმრისკენ აღარც იხედებოდა, თითქოს სტუმარი შემთხვევით ისარგებლებდა, უკანიდან მიეპარებოდა და აქვე, ცეცხლთან ჩაკუნცხულს გაუჩქევავდა თავს. ცოტა ხნის მერე ქოხში ცხელი პურის სუნი დატრიალდა. პურის სუნმა ფარნაოზიც გააშინაურა. თვითონ ამოიღო ნაღვერდალიდან ნაცრიანი კუტი, სული შეუბერა და ბურთივით აათამაშა, ხელები რომ არ დასწვოდა. ორივეს გაეცინა. მერე ისა და დედაბერი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და პურსა ჭამდნენ. დედაბერი პურს წყალში აწობდა, აგრილებდა და უკბილო ღრძილებით დიდხანს ლოლნიდა, აცოდვილებდა, დამბალი და დამენძილი ლუკმა პირიდან აცახცახებული თითებით გამოჰქონდა და პეშვში იგროვებდა. ფარნაოზი თვალს არიდებდა და დაუღეჰავად ყლაპავდა პურს, მალე რომ გაეთავებინა თავისი წილი.

- ადამიანობა მოთმინება ყოფილა, - თქვა დედაბერმა.

ფარნაოზმა შეხედა. დედაბერიც სახეში მისჩერებოდა და თვალები ისე უპრიალებდა, თითქოს მართლა ბედნიერი იყო, ფარნაოზს რომ ხედავდა, მასთან ერთად ნაცრიან პურს რომ შეექცეოდა.

- სულ ასეთი კი არ ვიყავი. ერთი დრო მეცა მქონდა. ერთი-ორი კაცის თვალი ჩემს კაბასაც აუთრევია, ძემვივით... - დედაბერმა ჩაიქირქილა და აცახცახებული ხელი პირზე მიიფარა.

ფარნაოზი უნებურად დააშტერდა, თითქოს დედაბერმა ისეთი რამე უთხრა, აუცილებლად უნდა გახსენებოდა იგი. ასედაც იყო. ფარნაოზი დიდი ხნის მიხვედრილი იყო ამ დედაბრის ვინაობას, მაგრამ ჯიუტობდა, თავს არ უტყდებოდა, თითქოს ამით შეიცვლებოდა რამე.

- ქალიც ვიყავი და სახელიც მერქვა! - ამბობდა დედაბერი.

- ახლა რა გქვია? - ხმის კანკალით ჰკითხა ფარნაოზმა.

დედაბერმაც შეატყო შეკრთომა და თითქოს სტუმრის სმენა დაინდოო, კარგა ხნით გაჩუმდა, მერე ერთი ამოიგმინა და თქვა: ახლა წუთისოფლის სტუმარი მქვიაო. მერე წამოდგა, ბუხრის თაროდან ცარიელი გალია ჩამოიღო, ხელში ააქანავა და სამჯერ ჩასძახა: მასპინძელო, მასპინძელო, მასპინძელო.

დიდხანს ელოდებოდა ამ დღეს შავთვალემა მალალო. დარწმუნებული იყო, აუცილებლად მოესწრებოდა, უნდოდა მოსწრებოდა, რადგან განუკითხავად გაფლანგული ცხოვრება განკითხვის დღესაც იმსახურებდა. სწორედ ეს დღე, ფარნაოზის გამოცხადების დღე უნდა ყოფილიყო განკითხვისა. მას შემდეგ, რაც ქალიშვილებმა შინიდან გამოაგდეს, მოსანანიებლად ბევრი დრო ჰქონდა, მაგრამ უფარნაოზოდ მაინც ვერ დაუკრავდა თავს ამ მაცდურსა და უმადურ ქვეყანას, მაინც რომ დაებერებინა, მაინც რომ დაეუძღურებინა და ყველას მასპინძელი სხვების სამოწყალოდ გაეხადა. ფარნაოზი ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც მისი მოკვლა შეეძლო. ამასაც მერე მიხვდა, როცა მარტო დარჩა და ქოხის ჭუჭრუტანიდან დაუწყო ქვეყანას თვალთვალი. უძღურობამ გონება გაუნათა და ხელახლა აღმოაჩენინა ცოდვა, რომელიც ადრე შეგნებულად ჩაედინა საკუთარი შვილისა და სიყვარულისაგან თვალეზადიღებული უცხო ბიჭის მიმართ; მაშინ შავთვალემა მალალო ფეხზე იდგა, გული ერჩოდა და მართლა ქვეყნის მასპინძელი ეგონა თავი, თუმცა გუშინდელი დღესავით ახსოვდა თავისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული, მოჩვენებასავით რომ გაუქრა, ჩირაღდნის ნაცვლად თუთიყუშიანი გალია რომ შეატოვა ხელში და იქამდე ამებნინა თავი, სანამ საერთოდ არ შეაზიზლა სიყვარული. არადა, თუკი სამართალი არსებობდა, ყველა ქალზე მეტად მას ეკუთვნოდა იგი, რადგან სიყვარულისგან უბედურების გარდა არაფერი მიუღია, არც მოუთხოვია, არც მოითხოვდა, თუკი შეარჩენდნენ, დაანებებდნენ და დააცლიდნენ. არც სიყვარულის ფასი შეიძლებოდა სცოდნოდა ვინმეს მასზე უკეთესად. როცა ის თავის სიყვარულს უყურებდა, ძვლები უღმუოდა, გული შიშით ეფლითებოდა, იმ ძუნწი მასპინძელივით, რომლის სტუმრებიც დაუდევრად, თამამად ატრიალებენ ხელში ფასდაუდებელ სურას. ვერც ერთი ქალი მასზე უკეთესად ვერ მოუვლიდა სიყვარულს, რადგან სიყვარულისგან ავი, გარდაუვალი უბედურების წინათგრძნობის მეტი არაფერი უგრძენია. ეს ავი, გარდაუვალი უბედურების წინათგრძნობა იყო სწორედ სიყვარული და სანამ სიყვარულის დანახვა შეეძლო, სანამ გვერდით ეგულებოდა, ერთი წამითაც არ აჯანყებია ამ გრძნობას, რადგან მის არსებაში იზადებოდა ისიც, განუწყვეტლივ, უსასრულოდ. ის კი, მისი სიყვარული, ოდნავ თავგადახრილი, ღიმილისგან ბაგეგაპობილი, სურვილისგან დამუნჯებული, დამთრგუნავი სიმშვიდითა და უდარდელობით შემოსცქეროდა და მზეზე აბრწყვიალებული დანით ჯოხსა თლიდა.

შავთვალემა მალალო ბრმად, ალაღბედზე მიილტვოდა მისკენ, როგორც ზღვა ნაპირისკენ, რათა ნეტარებით, სიკვდილისნაირი ნეტარებით, ერთხელ კიდევ დასწაფებოდა მის ჯიუტ ქოჩორს, ახალ ჭრილობასავით ხასხასა პირს, კედელივით საიმედო გულმკერდს და დანასაც, ცოცხალივით რომ თრთოდა და სხმარტალებდა მზის სხივებში, როგორც ტიტლიკანა ბიჭი ჩანჩქერში. მერე ეს დიდებული ჩვენება გაქრა, ძალიან მალე გაქრა. თითქოს მოკვდავის თვალები დიდხანს მაინც ვერ გაუძლებდნენ მის სიდიადესა და სიმხურვალეს. არა, კი არ გაქრა, უბრალოდ გაიპარა, შავთვალემა მალალოს გაეპარა, ქორწინების წინა დღეს, საჩუქრად თუთიყუში მოუყვანა, შავნისკარტა და ყვითელთვალემა, უკეთესი ამხანაგი ნუ გინდაო, დაუბარა და წავიდა, დამთრგუნავად მშვიდი და უდარდელი. შავთვალემა მალალომ სიმართლეს ყური მოუყრუა, არ დაიჯერა, რკინის ქალამნები ჩაიცვა, ერთ ხელში რკინის ჯოხი დაიჭირა, მეორეში თუთიყუშიანი გალია და სიყვარულის სამებრად გასწია. მართლაც, ბევრჯერ მოტყუვდა, ბევრჯერ მიაძვავდა ვიღაცას, რადგან ამდენი ძებნისაგან თვალები აჭრელებოდა და საცნაურიც დაჰკარგოდა. ძლივძლივობით ნაპოვნ "სატრფოს" შავთვალემა მალალო თავს ევლებოდა, ფიანდაზად ეფინებოდა, პირიდან ნერწყვს უღებდა, ოღონდ აღარ გაჰპარვოდა, ოღონდ დიდხანს დარჩენილიყო მასთან, უბრალოდ წოლილიყო, მჯდარიყო ოთახში, რადგან თავისი იქ ყოფნით განემტკიცებინა ქალის რწმენა, მართლა ვუყვარვარო. გამოთხოვებისას "სატრფო" ქისაში ფულსაც უღებდა, თანაც ისე, რომ მას არ შეემჩნია, არაფერი სცოდნოდა და მერე გაეგო, როცა ქალი მასთან აღარ იქნებოდა. "სატრფოც" სიამოვნებით იტყუებდა თავს, თვალსაც სიამოვნებით ხუჭავდა, ანდა სწორედ მაშინ შეტრიალდებოდა ხოლმე, მაშინ მოუწოდებოდა სანდლის გასწორება, როცა ქალი ჯიბეში ფულს უკუჭავდა. მისთვის სულერთი იყო, ვინ აუვსებდა ქისას და როდის იგრძნობდა ფულის სიმძიმეს, ქალის თანდასწრებით, თუ მერე, შინისკენ მიმავალი. რა თქმა უნდა, შავთვალემა მალალოს ყველა ასეთი სიყვარული, ადრე თუ გვიან, მარცხით მთავრდებოდა. პირველად ან თვითონ ეხილებოდა თვალი, ან "სატრფოს" უბნელდებოდა გონება და მუქთა ლოგინითა და უმტკივნეულოდ ნაშოვნი ფულით გარყვნილი, თავის სიხარბესა და სულსწრაფობას დაურიდებლად ამჟღავნებდა. "რაც შენ ფული შემოგდის, - იწყებდა გაქსუებული "სატრფო", - რას უშვრები? მე რა, სახედარი ხომ არ გგონივარ? ლამის ქალაქის მასხარა გავხდე". "მერე რა, მერე რა, - დღინებდა სიცრუის ვარდისფერ ღრუბლებში თავშერგული შავთვალემა მალალო, - ვინც რა უნდა ისა სთქვას, ვინც რა უნდა ისა სთქვასო". ის ჯერ ვერ ხვდებოდა, საით უმიზნებდა მისი "სატრფო", ან არ უნდოდა, მიხვედრილიყო, რადგან ვარდისფერ, გრილსა და ხვედრდივით ბუსუსა ღრუბლებში თავს უკეთესად გრძნობდა. მაგრამ, ადრე თუ გვიან, მაინც უნდა გამოეყო იქიდან თავი, რადგან ის ხელოვნური ღრუბელი იყო და ჰაერს არ ატარებდა. "ღორო! ღორო!" - ყვიროდა მიწაზე დაბრუნებული შავთვალემა მალალო, "ღორი" კი უკვე ქუჩაში მიაბიჯებდა და მკერდში მუშტს გამეტებით იცემდა, უსამართლოდ შეურაცხყოფილი კაცივით, ანდა ვენახდასეტყვილი გლეხივით. დიდხანს გაგრძელდა ასე. ბევრჯერ იწვინა შავთვალემა მალალომ გაწბილების სიმწარე, სანამ საბოლოოდ არ აუცრუვდა გული სიყვარულზე, სანამ საბოლოოდ არ გაბოროტდა და დაუძინებელ მტრად არ იქცა ყველასთვის, ვისაც სიყვარულისა კიდევ სჯეროდა. აწრდილებივით ცვლიდნენ ერთმანეთს ერთნაირად უხეში, ერთნაირად სულწასული და ერთნაირად დაბნეული მამაკაცები, დღეებიც ამ მამაკაცებივით ჰგავდნენ ერთმანეთს და შავთვალემა მალალოს სძულდა ყველანი, ხოლო სიძულვილი, ხორკლიანი და ცივი ხელებით, სხეულთან ერთად თანდათან სულსაც უცვლიდა და უმახინჯებდა. ახლა

მისთვის მთავარი შურისძიება იყო. შურისძიება და თავის გადარჩენა, რაკი სამუდამოდ დარწმუნებულიყო ცხოვრების ვერაგობაში. გამომწვევი სიარული, თამამი სიტყვა-პასუხი, მოულოდნელი, აღზნებული სიცილიცა და გაუთავებელი სიმღერაც მხოლოდ იმიტომ სჭირდებოდა, მის გადასათელად დაძრული ქვეყანა რომ შეეკავებინა. მას ეს ქვეყანა ეჯავრებოდა, და ეომებოდა კიდეც, დასცინოდა, აკნინებდა, აწვალებდა და აბინძურებდა, რადგან ქვეყანამაც ასეთად გააცნო თავი. ის სრულებითაც არ აპირებდა მის გაცნობას, მას მხოლოდ თავისი უბედურება უნდოდა, იმავე ქვეყანამ რომ გამოგლიჯა ხელიდან, სანაცვლოდ კი თვითონ ესტუმრა, ტალახიანი ფეხებით შეაბოტა მის ოთახში და, შიშველი მამაკაცივით უზარმაზარი და უმწეო, გვერდით ამოუწვა. შავთვალემა მალალო პირველად დააფრთხო ქვეყნის სიღიადემ, მაგრამ მალე იგრძნო მისი უმწეობაც, და მოვალეობის აღსრულების დროსაც შეეძლო დაეცინა და დაემცირებინა იგი. ქვეყანა დიდი იყო, მაგრამ უფრო დამყოლი, უფრო ადვილად მოსათვინიერებელი, ვიდრე ერთი კაცი, უფრო სწორედ, ვიდრე პირველი კაცი, რომელსაც სისხლიანი ტუჩები ჰქონდა და სადღე ცხენივით ცქმუტავდა ადგილზე. ის უნდა გაქცეულიყო, შეეძლო და იმიტომ; ქვეყანას კი გაქცევა არ შეეძლო, იმდენი ფეხი ჰქონდა, ერთმანეთში ეხლართებოდა, ბორძიკობდა და ყველაფერს ებლაუჭებოდა, თავი რომ შეემაგრებინა როგორმე. მას მომვლელი სჭირდებოდა, წარმმართველი, რადგან ყმაწვილივით ცეტი იყო და მოხუცივით უნდილი. "მასპინძელო, მასპინძელო, მასპინძელო", - ჩხაოდა ლერწმის გალიაში ჩამწყვდეული თუთიყუში, არა, სიყვარული, და შავთვალემა მალალოც იცინოდა და ტიროდა, ტიროდა და იცინოდა, რადგან მისი შემყურე ქვეყანა თვითონ იყო ერთდროულად სატირალიცა და სასაცილოც.

როცა შავთვალემა მალალომ თავისი ნაბოლარა ქალიშვილის სიყვარულის ამბავი შეიტყო, თავხარი დაეცა. მტერი, რომელსაც უკვე განადგურებულად და ერთხელ და სამუდამოდ დამარხულად თვლიდა, ცოცხლდებოდა, ყლორტს იკეთებდა და თანაც ისე გათავხედებულიყო, შინ შემოჰპარვოდა, ისევ მისი სისხლითა და ხორციით იკვებებოდა, რათა ისევ მას დასტყდომოდა თავზე, ერთხელ კიდეც დაექცია და დაეწიოკებინა, თითქოს ერთი ადამიანისთვის არ კმაროდა, რაც უკვე გადაეტანა მისი წყალობით. მტერი ძლიერიც იყო და ვერაგიც. დროულად, ჩანასახშივე უნდა ამოეძირკვა იგი შავთვალემა მალალოს, რადგან ისიც არ დაჰკარგოდა, რაც ამ ძლიერსა და ვერაგ მტერთან ბრძოლაში მოეპოვებინა. შავთვალემა მალალო მართლაც დროულად დატრიალდა და ამჯერადაც გაიმარჯვა, მაგრამ შედეგმა კი არ გაახარა, დაალონა და შეაწუხა, თითქოს მეზობლის მოზარებული ბავშვი შემოკვდომოდა. მაგრამ მაშინ დიდხანს არ აჰყოლია წუხილს, სჯეროდა, სწორედ იქცეოდა, რადგან ინოც მისი ქალიშვილი იყო და სიყვარულისგან უბედურების მეტს ვერც ის მიიღებდა. სინდისმა მერე გააწამა, მერე გაუხდა აუტანელი, როცა უფროსმა ქალიშვილებმა შინიდან გამოაგდეს, მოგვშორდი, სტუმრებს ნუ გვიფრთხოზო. მაშინ კი საბოლოოდ დარწმუნდა, გამოუსწორებელი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი და ამიტომაც სჯიდნენ ღმერთები. ამ ცოდვითა ედგა სული. ცოდვა აძლებინებდა. კი არ აძლებინებდა, სიკვდილის ნებას არ აძლევდა, რადგან სიკვდილი ცოდვისგანაც გაათავისუფლებდა და დაისვენებდა. "თუ მართლა გიყვარვარ და გეცოდები, ქვა ჩამარტყიო", - ეხვეწებოდა ხოლმე ინოს.

დედის გამოძევების შემდეგ აღარც ინო გაჩერებულა დებთან. დედა შეეცოდა, მარტომ როგორ უნდა იცხოვროსო, მაგრამ შავთვალემა მალალომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ცოცხლად რატომ

უნდა დაიმარხო, ანდა შენი მოწოდებული წყალი როგორ უნდა დავლიო. ინოს მაინც არ მიუტოვებია დედა, როგორც კი თავისუფალ დროს იშოვიდა, მაშინვე მისკენ გარბოდა. სანამ შავთვალემა მალალო თმას იგლეჯდა და მოთქვამდა: რატომ ხარ ასეთი კეთილი, რატომ გველივით თავს არ გამიჩიქვავო, ქოხს გამოგვიდა, ლოგინს გაამზეურებდა, სადილს გააკეთებდა, მერე წყალს აადულებდა და ბავშვივით გაჯიქებულ დედას ძალისძალათი ჩასვამდა ხოლმე ტაშტში. დედა მსუბუქი იყო, პატარა და მსუბუქი, და მისი დალეული, ავადმყოფურად თეთრი, ლურჯი მარღვებით დაფარული სხეულის ხილვა ინოს გულსაც უჩუყებდა და ახალისებდა კიდეც. მერე ერთად სადილობდნენ და იმწუთას ორივენი ბედნიერები იყვნენ. "გინდა სარკეს მოგიტანო", - ეუბნებოდა ინო კობტად თმადავარცხნილსა და გაქათქათებულ დედას, შავთვალემა მალალო კი ქოქოლას აყრიდა სარკეს და ორივენი იცინოდნენ, გულიანად, დედაშვილურად. ინო ხელცარიელი არასოდეს მოვიდოდა, ყოველთვის მოჰქონდა საჩუქრად კაბა თუ ხილბანდი, ფლოსტები თუ პერანგი. შავთვალემა მალალო თავს იკლავდა, მართლა წუხდა, შვილი თვითონ რომ იკლებდა და მას უზიდავდა, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც უხაროდა, ბავშვივით შეეფაკლებოდა ხოლმე სახე, როცა ინო საჩუქარს წინ გაუშლიდა. თუმცა შავთვალემა მალალოს უკვე არაფერი აღარ სჭირდებოდა, რაც მაცვია, ამის ღირსიც არა ვარო, ეუბნებოდა შვილს და საჩუქრებს ცალკე სკივრში ალაგებდა. სკივრს მხოლოდ მაშინ ხსნიდა, როცა მარტო იყო, ხელგაუყრელ კაბას ტახტზე გაფენდა, ფეხთით ახალთახალ წაღებს დაუწყობდა, თავით გაუშლელ თავსაფარს დაუდებდა და, დაქირავებული მოტირალივით, საკუთარ თავს დასტიროდა: უბედურო შავთვალემა მალალო, ნახე, შენგან დაღუპულმა შვილმა რეები მოგიტანა, როგორ უყვარხარ, როგორ გაპატია, ადე, დაინახე შენი დასამიწებელი თვალებითო. ხანდახან ინო შემოუსწრებდა ხოლმე მოტირალ დედას და ეხვეწებოდა, ნუ, ნუ, შენი ჭირიმე, სატირალი რა გჭირს, სანამ ცოცხალი ვარ, არაფერს გაგიჭირვებო. ამ სიტყვებზე უარესად ემდულრებოდა გული შავთვალემა მალალოს და შუბლს გამეტებით ურტყამდა ტახტის კიდეს, სანამ კანი არ გადაუსკდებოდა და ბებერ სისხლში არ ამოეგანგლებოდა სახე. ინო ძლივძლივობით ააგლეჯდა ხოლმე მისავათებულ დედას ტახტიდან, სახეს ბანდა, გამსკდარ კანზე აბლაბუდას ადებდა და ათას სისულელეს, ტყუილსა და მართალს უყვებოდა, სანამ იმას გულზე გადაეყრებოდა და დაავიწყდებოდა თავისი სატირალი. შავთვალემა მალალო გატრუნული უსმენდა შვილის ტიტინს, სახეც თანდათან უმშვიდდებოდა, თითქოს შვილის მონაყოლიც აინტერესებდა, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ინო რწმუნდებოდა, დავამშვიდეო, უცებ ჰკითხავდა: რატომ მაპატეო? ამას კი ისეთი ხმით ეკითხებოდა, ინოს ძალა წაერთმეოდა ხოლმე, თვითონაც ვეღარ ერეოდა ტირილს და, დედის კალთაში თავჩარგული, სლუკუნებდა, რა გჭირს საპატეიბელი, დედა ხარ და ამაგს გიხდით. მაგრამ შავთვალემა მალალო ჯიუტად აქნევდა თავს და თავისას გაიძახოდა: რატომ მაპატეო, რატომ თავი ქვით არ გამიჩიქვავეთ შენცა და ფარნაოზმაცო. ინოს ისე სიამოვნებდა ფარნაოზის სახელის გაგონება, დედას აღარ აწყვეტინებდა და სანამ შავთვალემა მალალო მოთქვამდა და ვიშვიშებდა, მის კალთაში თავჩარგულ ინოს მოღუშული, ზღვიდან ახლად ამოსული და სიცივისგან ამაგდაგებული ფარნაოზის წარმოდგენაზე ბედნიერებისგან გული ეწურებოდა. შავთვალემა მალალო ერთადერთი ადამიანი იყო მთელს ქვეყანაზე, ვისთანაც ფარნაოზზე ლაპარაკი შეეძლო. ფარნაოზს თითქმის ყოველი შეხვედრისას იხსენებდნენ და უსასრულოდ უყვებოდნენ ერთმანეთს, რაც კი იცოდნენ ამ მარად მოღუშულსა და გულკეთილ ბიჭზე, ზღაპრის გმირივით რომ დამახსოვრებოდათ ორივეს.

"თვალი რომ გავახილე, ჩემს წინ ფარნაოზი იდგაო", - ვინ იცის მერამდენედ ყვებოდა შავთვალემა მალალო ფარნაოზთან შეხვედრის ამბავს.

- იმ დღეს? - ეკითხებოდა ინო, ვითომ არ იცოდა და არც მოესმინა ეს ამბავი.

- ხო, იმ დღეს - პასუხობდა შავთვალემა მალალო და აგრძელებდა: ისეთი შეშინებული სახე ედო, სიცილი ძლივს შევიკავებო.

- კი არ ეშინოდა, რცხვენოდა - ექომაგებოდა ინო პატარა ბიჭს. გულში კი, თავისთვის, სხვას ამბობდა: არც ეშინოდა და არც რცხვენოდა, ვუყვარდი და მეძებდაო.

ფარნაოზის კრეტაზე წასვლის ამბავი მათაც ჰქონდათ გაგებული, მაგრამ ეჭვიც არ ეპარებოდათ, აუცილებლად დაბრუნდებოდა. ორივენი ელოდებოდნენ, რადგან, მათი აზრით, ფარნაოზი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც უფლება ჰქონდა დასჯისაც და მიტევებისაც. რაც დრო გადიოდა, რაც უფრო უძღურდებოდა შავთვალემა მალალო, მით უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა მისი მოლოდინი. მით უფრო სანატრელი ხდებოდა სიკვდილი, რადგან ისა და ქვეყანა ერთმანეთს ვეღარ უგებდნენ, ერთმანეთს აღარ სჭირდებოდნენ, ის კი არა, ნატამალიც აღარ დარჩენილიყო მათი ხანგრძლივი და მხიარული სტუმარ-მასპინძლობისაგან. სიბერისა და უმწეობის ქოხში შეყუჟულ შავთვალემა მალალოს ახლა ისევ ახსენდებოდა თავისი სიყვარული, ოდნავ თავგადახრილი, ღიმილისგან ბაგეგაპობილი, სურვილისგან დამუნჯებული, დამთრგუნავი სიმშვიდითა და უდარდებლობით რომ შემოსცქეროდა და მზეზე აბრჭყვიალებული დანით ჯოხსა თლიდა. ახსენდებოდა, მაგრამ ავი, გარდაუვალი უბედურების ნაცვლად, ახლა გამაბრუებელ, დამამშვიდებელ ნეტარებასა და ბედნიერებას განიცდიდა, რადგან მის წარმოდგენაში მხოლოდ და მხოლოდ ამ უდარდელად მომღიმარსა და ცხენივით მოუსვენარ კაცსა თუ ღვთაებას შეეძლო მისი გამოყვანა ქვეყნის ცხრაკლიტულიდან, სადაც ოდესღაც თვითონვე დაემწყვდია. ეს კაცი თუ ღვთაება მხოლოდ ამიტომ არსებობდა, მაგრამ შავთვალემა მალალოს კარგად აღარც კი ახსოვდა მისი სახე და როცა მასზე ფიქრობდა, ყოველთვის ფარნაოზი ედგა თვალწინ, ისა და ფარნაოზი ერთ არ-სებად ქცეულიყო მისთვის, მარადიულ არსებად, რომელსაც ყველა ქალი თავისებურად ხედავდა და ერთნაირად აღიქვამდა. შავთვალემა მალალო გვიან მიხვდა ამას, გვიან მიხვდა, სიყვარულის ღვთაება რომ გამოემევეებინა თავის სასტუმროდან; ასე კი იმიტომ მოიქცა, შვილი რომ შეეცოდა. არა, კი არ შეეცოდა, შვილისაც შემურდა, რადგან სწორედ იმ დღეს დარწმუნდა, რა უაზრო იყო მისი მოლოდინი, რა სწრაფად გასულიყო დრო თუთიყუშის გაუთავებელ ჩხავილში. ახლა მხოლოდ ეს ჩხავანა თუთიყუშიდა უდასტურებდა, ოდესღაც მისთვისაც რომ არსებობდა სიყვარული, რომელმაც ამდენი ხნის უშედეგო ძებნის შემდეგ საკუთარი ქალიშვილის თვალებიდან შემოაჭყიტა. შავ-თვალემა მალალოს შემურდა. შურმა გააბოროტა და თავგზა აუბნია, ნაადრევად მოტეხა და დააბერა. ცოდვა კი იზრდებოდა, იზრდებოდა და იზრდებოდა, როგორც ნაპირის-კენ მომავალი ხომალდი. ამ ხომალდს უნდა მოეყვანა მისი გამკითხველი, მისი მიმტე-ვებელიც, რომელიც სიკვდილის ნებას მისცემდა, დაუნანებლად მოისრიალებდა იმქვეყნიურ წყვდიადში, სკინტლშემხმარ გალიასავით ცარიელსა თუ უსარგებლოს. და აი, ასრულდა კიდევ მისი მოლოდინი. გამკითხავი მის წინ იჯდა, მშვიდი და ღმობიერი.



- ეხ, ფარნაოზ, ფარნაოზ!.. - თითქოს წამოიკვნესა შავთვალეზა მალალომ და ფარ-ნაოზს სრულეზიტაც არ გაჰკვირვებია, სახელით რომ მიმართეს ამ უცხო ქოხში, რად-გან უკვე შეჩვეოდა იმ აზრს, ეს კუზიანი, მუშტისხელა, წამწამებგაცვნილი და პირ-მორღვეული დედაბერი ოდესღაც სახელგანთქმული შავთვალეზა მალალო რომ იყო, რომლის სიმღერის მოსასმენადაც ხალხი სხვა ქალაქებიდან ჩამოდიოდა და ამ მშვენი-ერი ქალის ხელით მორთმეულ ყურძნის მტევანში დაუფიქრებლად იხდიდა მთელი წლის მონაგარს. არც ფარნაოზის წარმოდგენაში არსებობდა შავთვალეზა მალალოზე უფრო ლამაზი და უფრო ძლიერი ქალი. ოდესღაც ისიც მდგარა მის წინაშე შიშისა-გან მუხლებაკანკალებული და მღერვარებისაგან კრიჭაშეკრული.

- დედი, დედილო, გამარჯობა! - მაინც აღელდა ფარნაოზი.

- ახლა კი, მომკალი! - თქვა შავთვალეზა მალალომ.

"რას ამბობ?! - გულწრფელად გაიოცა ფარნაოზმა. რა დროს სიკვდილიაო", და ისე მოათვალა ქოხი, თითქოს ამ ათი წლის წინათ აქ დაეტოვებინა უკვდავების წამა-ლი და ახლა იხსენებდა, რომელ ადგილას დავდეთ. ფარნაოზმა ისევ დაინახა თხა. თხას თეთრი, წითელ წრეებში მომწყვდეული თვალეზი ჰქონდა და ისე მოეჭუტა, თით-ქოს ისიც რაღაცას იხსენებდეს.

- ცხოვრება თუ გინდა, მომკალი! - თქვა შავთვალეზა მალალომ. მერე ნაძალადევიად გაიღიმა და დაამატა: სტუმარმა წასვლა უნდა იცოდესო.

შავთვალეზა მალალო სიკვდილისთვის მზად იყო. მისი მოლოდინი დასრულებული-ყო. აქ, ამ პატარა ქოხში, სტუმრის მეტი არავინ და არაფერი აღარ აკავებდა. ეს უკანასკნელი სტუმარიც მალე გაუდგებოდა თავის გზას, ის კი ფეხმორყეულ ტახტზე დარჩებოდა, ქოხის აშმორებულ სიცარიელეს სიბერისგან დაპატარავებულ ზურგს შე-აქცევდა და სამუდამოდ ჩაიხუტებდა სიკვდილს, ყველაზე ძლიერსა და ყველაზე ერთ-გულ მამაკაცს, როგორც კი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე შეხვედრია. მან დაინახა კიდეც სიკვდილი: ქოხის ყველაზე ბნელ კუთხეში მისმა ცივმა, ყინულისფერ-მა, სურვილისგან გადიდებულმა თვალმა გაიელვა, მაგრამ შავთვალეზა მალალოს სრულეზიტაც არ შეშინებია. პირიქით, ქარავნის წინამძღოლივით, რომელსაც მგზავ-რობის თადარიგი წინასწარვე დაუჭერია, უცებ საფუძვლიანი სიმშვიდე დაეუფლა. ქა-რავნის წინამძღოლივით კი არა, გასათხოვარი ქალივით, რომელსაც საქორწილო მორ-თვა-მოკაზმვაში შეუმჩნევლად გაჰპარვია სიქალწულის უკანასკნელი დღე.

- მობრძანებულა ვაჟბატონი! - თქვა შავთვალეზა მალალომ.

ფარნაოზს ეგონა, ჩემზე ამბობსო, და გაკვირვებულმა შეხედა. შავთვალეზა მალალო სადღაც, მის იქით უაზროდ იყურებოდა, თვალეზაში შუქი ჩაქრობოდა და ამ ერთ წამ-ში მართლაც მომაკვდავ დედაბერს დამსგავსებოდა. ფარნაოზს რატომღაც ფილამონე გაახსენდა, აწრიალებული, მავედრებელი თვალეზით რომ ამოსცქეროდა, მოულოდნე-ლად გამომტყვრალი სიკვდილისგან სამუდამოდ, სამარადისოდ დამფრთხალი. "ესეც მე მიკვდებაო", - გაიფიქრა შეძრწუნებულმა. "მე თვითონ, მე თვითონო", - ჩიფჩიფებდა შავთვალეზა მალალო და მორჩილად მიჰყვებოდა ფარნაოზს ტახტისკენ.

- მადლობელი ვარ, ღმერთებო, ჩემს საბრალო ინოს პატრონი რომ მოუვლინეთო! - თქვა შავთვალემა მალალომ და ტახტზე გადაწვა.

ისე დაპატარავებულიყო, გეგონებოდათ, ტახტზე ვიღაცას ჭუჭყიანი სარეცხის ბოხჩა დაუგდიაო. ფარნაოზი გაოცებული დასცქეროდა. "ინოს პატრონი მოუვლინეთო", ისე ამბობდა, თითქოს ფარნაოზი ინოს გულისთვის ჩამოსულიყოს ვანში, მაგრამ ინოს ხსენებამ ისე ააფორიაქა, თითქოს მეზობლებთან ლაპარაკით გართულ დიასახლისს უცებ ცეცხლზე შემოდგმული რძე გაახსენდაო. შავთვალემა მალალო კი წუხდა, კისე-რი უმწეოდ გადაეგდო, თვალეზი ავად ულაპლაპებდა და დაშაშრულ, თითქოს ძალით გადაჭიმულ ტუჩებს კურდღელივით აცმაცუნებდა. მაგრამ მისი ნალაპარაკევისგან ახ-ლა აღარაფერი ესმოდა ფარნაოზს, თუმცა მომაკვდავი აშკარად მას მიმართავდა, რამ-დენჯერმე ჰკითხა კიდევ: თუ მართლა ფარნაოზი ხარ, რატომ არა მკლავო. ამ უბედურ-რი ქალის საცოდაობით გულმოკლული ფარნაოზი გულხელდაკრეფილი დასცქეროდა ზემოდან. ან რა უნდა ექნა? რას უშველიდა? ასე უნდა მდგარიყო და ეცადა. არა, უნ-და წასულიყო, რადგან ახლა წასვლა ევალეზოდა მხოლოდ. თვითონაც გრძნობდა, ზედმეტი იყო ამ ქოხში, სადაც მხოლოდ სიკვდილისთვის და მომაკვდავისთვის დარჩენილიყო ადგილი. მისი აქ ყოფნა კი ხელს უშლიდა მათ შეუღლებას, რასაც მომაკვ-დავისთვის მხოლოდ და მხოლოდ შვების მოტანა შეეძლო. ერთადერთი, რაც ახლა ფარნაოზს აკავებდა, მომაკვდავის წამიერი გამოფხიზლება იყო, მაგრამ ეს წამიერი გა-მოფხიზლება უფრო შემზარავსა და გულის დამთუთქველს ხდიდა აღსასრულს. ფარ-ნაოზი გრძნობდა, მალე ახალი სადარდებელი და ახალი დანაშაული მოემატებოდა. მი-ატოვებდა თუ არ მიატოვებდა იგი ახლა შავთვალემა მალალოს, ორივე შემთხვევაში დამნაშავე იქნებოდა და ეს დანაშაულიც ბედისგან ჰქონდა მისჯილი, ამ დანაშაულის ჩასადენად ამხელა გზა რომ გამოატარა და შინ მისული უკანვე გამოაბრუნა. ახლა ფარნაოზს ის უნდა აერჩია, რაც შავთვალემა მალალოსთვის იქნებოდა უკეთესი. შავ-თვალემა მალალოსთვის კი მისი წასვლა ჯობდა, რადგან მისი სიახლოვე სიცოცხლეს უხანგრძლივებდა, სიცოცხლის გახანგრძლივება კი ტანჯვის გახანგრძლივებას ნიშნავ-და მხოლოდ.

ფარნაოზი ტახტზე დაიხარა, მომაკვდავს ოფლიან შუბლზე აკოცა და უთხრა: იქნებ როგორმე ჩაიძინო, დილით კი მკურნალს მოგიყვანო. ამას რომ ამბობდა, თვითონაც იცოდა, არც მკურნალს მოიყვანდა და აღარც შავთვალემა მალალო დახვდებოდა ცოცხალი, გინდაც გაეხედა ხელმეორედ ამ ქოხში შემოსვლა. ტყუოდა, მომაკვდავს ატყუებდა, და თავი ეჯავრებოდა... ტახტზე დახრილ ფარნაოზს შავთვალემა მალალომ უცებ კავივით გამოსდო კისერზე ხელი და მიხრწნილი, მომაკვდავი დედაბრისთვის წარმოუდგენელი ძალით თავისკენ მიიზიდა. ფარნაოზს კისერი ეტკინა და ესიამოვნა.

- შემომფიცე, ინოს რომ მიხედავ! - ამოჰდმუვლა შავთვალემა მალალომ და ცხელი, სიკვდილისმიერი ოხშივარი სახეში შეასუნთქა.

- გეფიცებო - დაუფიქრებლად უპასუხა ფარნაოზმა, უფრო იმიტომ, მომაკვდავი დაემშვიდებინა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა და აღარ შეესუნთქა ეს ცხელი და წებოვანი ოხშივარი. იმ წუთას ანგარიში არ გაუწევია თავისი ნათქვამისთვის, უბრა-ლოდ, ტანმა უგრძნო, კი არ უგრძნო, უბრძანა, პასუხი არ დაეყოვნებინა და ასედაც მოიქცა. შავთვალემა მალალომ ხელი რომ გაუშვა,

უნებურად შეკრთა, თითქოს სხეულის რომელიღაც ნაწილი, რომლის არსებობასაც აქამდე ვერ გრძნობდა, უცებ ცუ-ლით ჩამოასხიპესო. ფარნაოზი ქოხიდან გამოსული იყო, შავთვალემა მალალოს ხმა რომ მოესმა.

- ინოს უყვარხარო! - ეძახდა მომაკვდავი.

ფარნაოზი აქედან პირდაპირ სასაფლაოზე წავიდა. მისდა გასაოცრად, საფლავი, სა-დაც ქვისგან გამოთლილი ინოს თავი ეგულეობდა, ადვილად იპოვნა, მაგრამ, როგორც ფიქრობდა, უპატრონობისგან ბალახი მოსდებოდა. ხმელი, დანის პირივით ბასრი ბა-ლახი ფარნაოზმა ხელით დაგლიჯა და საფლავი ისევ საფლავს დაამსგავსა. დასერი-ლი ხელისგულები სასიამოვნოდ უბჟუოდა, თავს მსუბუქად და ხალისიანად გრძნობდა. მერე მოსუფთავებულ საფლავს გადაემხო, როგორც ბავშვობაში იქცეოდა ხოლმე, სიცხისაგან გამომშრალსა და დანამცეცებულ მიწას ტუჩებით შეეხო და ჩასძახა: დედა მოგიკვდა, გოგოვ, დედაო.

ასე, საფლავზე გადამხობილს, ჩაეძინა კიდეც.

დილით, როგორც კი შედგა ფეხი მამისეულ სახლში, მაშინვე მიხვდა, უხეირო აღარ იყო. სახლში სიცარიელე სუფევდა, თითქოს მამამისს მისთვის დაეცალა აქაუ-რობა. მართალია, უხეიროს არასოდეს არ გაუვლია საკუთარ სახლში, სულ ერთ ოთახში იყო გამოკეტილი, მაგრამ, სანამ სული ედგა, მთელი სახლი მისი დუმილით იყო დამუხტული, ყველაფერი მისი უცაბედი აზრობების მოლოდინში ისუსებოდა. ახლა კი დამაბული დუმილიცა და მოლოდინიც გამქრალიყო და მისი ადგილი არაფ-რისმთქმელ სიცარიელეს დაეკავებინა. ეს სიცარიელე ფარნაოზს ელოდებოდა, ფარნა-ოზს უნდა ამოევსო იგი, მისი ჯერი დამდგარიყო.

ფარნაოზი უხეიროს ოთახში შევიდა და პირველად ის სამფეხა, დაბალი სკამი დაი-ნახა, რომელზედაც საათობით, თვეობით, წლობით, ხმისამოუღებლად, სუნთქვაშეკრუ-ლი იჯდა ხოლმე და აღტაცებული შეჰყურებდა, როგორ ჭრელდებოდა მამის დამსხვრე-ულ მუხლებზე გადაფარებული აფრისხელა ტილო. ის ტილო ახლა ოთხად დაეკეცათ და ტახტზე დაედოთ, უზარმაზარი წიგნივით. უხეიროს უკანასკნელად ნასროლი შუ-ბიც ისევ ისე იყო კედელში შესობილი, ოღონდ ახლა შუბის ტარზე ჩურჩხელები ეკი-და, თეთრად დათრთვილული. ფარნაოზმა ჩურჩხელა შეწყვიტა და ჩაკბიჩა. "ჩემი გავ-ლებულიაო", - გაუხარდა ქალუკას და მკერდზე მიეხუტა.

- როდის მოკვდა? - იკითხა ფარნაოზმა.

- ვინ? მამა? მეხუთე წელია უკვე, - უპასუხა პოპინამ და გაუღიმა.

პოპინამ აღარ იცოდა, რა ექნა ძმისთვის. ამ მოულოდნელ სიხარულს ისე გამოესუ-ლელებინა, კი არ დადიოდა, დაფრინავდა, დაფოფინობდა და ერთი სული ჰქონდა, რო-დის აჩვენებდა ყველაფერს, რისი ნახვაც, მისი აზრით, ფარნაოზს აუცილებლად უნდა გახარებოდა.

- წამო, ახლა შენი საწოლი ვნახოთ... ეს სკამი ხომ გახსოვს? აგე, შენი გატეხილი კოკურა... -

ჭიკჭიკებდა პოპინა და ვერც კი ამჩნევდა, მისი ძმა უძრავად რომ იდგა და ხმელი ჩურჩხელის

ლუკმას ზოზინით, უნდილად დეჭავდა. უცებ პოპინამ ტაში შემოკ-კრა და თქვა: მართლა, წუხელ შავთვალემა მალალო მომკვდარაო.

- ხომ გახსოვს? - ჰკითხა პოპინამ ფარნაოზს. ფარნაოზმა თავი დაუქნია.

ფარნაოზისთვის ეს უკვე ძველი ამბავი იყო, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ეს სიკვდილი მას ჩამოეტანა და გზაში რომ შეფერხებულიყო, ანდა რამე ხიფათს გადაჰყ-როდა, შავთვალემა მალალო ახლაც ცოცხალი იქნებოდა. ის უნებური მკვლელი იყო შავთვალემა მალალოსი და როცა პოპინამ თქვა "შავთვალემა მალალო მომკვდარაო", მართლა მკვლელივით შეკრთა, რომელსაც არ ეგონა, ასე მალე თუ იპოვნიდნენ მის მიერ დამალულ გვამს. "ხომ შეიძლება, ვინმეს დავენახე წუხელო" - ფიქრობდა ფარნა-ოზი და ახლა უკვე მართლა ეშინოდა, რადგან არ იცოდა, როგორ უნდა ემართლა თავი, თუკი ვინმე ხელს დაადებდა და მკვლელობას დასწამებდა.

- დღეიდან მამაჩემის ტახტზე დავწვები - თქვა ფარნაოზმა, თითქოს უკეთესი, უფრო საიმედო თავშესაფარი აღარ არსებობდა ამ ქვეყანაზე - ლოგინი არ მინდა, ამას დავიხურავ - მოკლედ მოსჭრა ფარნაოზმა და ხელი აფრისხელა ტილოს დაადო.

პოპინას ღიმილი სახეზე შეეყინა, შემცივნებულივით, მხრები აიწურა, მერე თავი ჯიუტად აიქნია, თითქოს აბეზარ კრაზანას იშორებდა, ისევ გაიღიმა, მაგრამ ახლა სხვანაირად, მკრთალად, სევდიანად, და თქვა: კი, ბატონო, როგორც შენ გესიამოვნებ-ბაო.

ფარნაოზმა მხოლოდ ახლა მიაქცია დას ყურადღება. პოპინა მოტეხილიყო, თმაში თეთრი, გრძელი ზოლები გასჩენოდა, სახე დაპატარავებოდა, კისერზე კანი დაშაშვრო-და და მობოშებოდა, თითქოს ეს ათი წელი კი არ ეცხოვრა, გაეძლო, რაღაცისგან გა-დარჩენილიყო. ფარნაოზს გული აუჩყყდა, დას ხელი მოჰკიდა, ძალით მიიზიდა და მუხლზე დაისვა. "როგორ ხარ, დაო, როგორ ცხოვრობო", - ჩასჩურჩულა ყურში და საფეთქელზე აკოცა. ტუჩებით მარღვის ფეთქვა იგრძნო და რატომღაც უარესად შეე-ცოდა და. პოპინამაც იგრძნო, ძმას რომ ეცოდებოდა, თანაგრძნობამ მოადუნა, დაასუს-ტა და თავი ისე ჩამოადო მხარზე, თითქოს ხელში ატატებულ ბალღს უცებ რული მოერიო. ქალუკას მარცხენა ხელის ნახევრად მოდუნული თითები ლოყაზე მიედო, იდაყვი მეორე ხელის პეშვზე დაეხრინა, თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა და ცრემლ-ჩამდგარი თვალეებით შესცქეროდა და-ძმის ალერსს, თითქოს ავადმყოფი აყვავებულ ხეს უყურებდა.

\* \* \*

სადამოს კუსა და ზიარა მოვიდნენ. ზიარა ერთი ობოლი გოგო იყო, მეზობლებს გაეზარდათ სამადლოდ, გამონაცვალთა და ნასუფრალობით. სანამ კუსას გადაეყრებოდა, ხან ერთ მეზობელთან ათენებდა ღამეს, ხან მეორესთან, რადგან რიგრიგობით ყველა იხმარებდა შინაურ საქმეებში. პატარა ქალი იყო, კამეჩის ფუნას ამოეფარებოდა. სადმე რომ გააგზავნიდნენ, აუცილებლად ვინმეს ბავშვს აიყვანდა ხელში, ასე უფრო ნაკლებად მახინჯი გამოეჩნდებო. მეზობლებს ეცოდებოდათ ეს უთქმელი და ხელმარჯვე გოგო და ისე შეჩვეოდნენ, რაღაც სიყვარულის მსგავსი გრძნობაც გასჩენოდათ. ზიარა-საც ყველა უყვარდა, ყველას თავისიანად თვლიდა და, ამიტომაც, ვისთანაც არ უნდა ყოფილიყო, საქმეს ყოველთვის ხალისით

ეკიდებოდა. ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა, ზიარა რომ უკვე ფეხზე ტრიალებდა, საქონელს მიხედავდა, წყალს მოიმარაგებდა, მერე გრძელტარიან ცოცხს აიღებდა და დერეფანსა და წინა ეზოს ღიღინ-ღიღინით გამოგ-ვიდა. "გათენებულაო" ამბობდა ხალხი ზიარას ღიღინის გაგონებაზე.

ზიარამ კუსა პირველად ქუჩაში დაინახა, უფრო ცწორად, ჯერ ტომრის ჟღერით გაიგონა, ამ უცნაურმა ხმამ მოატრიალებინა თავი ქუჩისკენ და სამუდამოდ გააოგნა კიდევ: ქუჩაში კუსა მოდიოდა, თავაწეული, ამაყი და მედიდური. კუსამ ამ უბანში შე-არჩია პატარა, მიყრუებული ქოხი და მაშინვე გადმოზარგდა, როგორც კი თავისი ორ-სართულიანი სახლი იმანოს მიჰყიდა, ხოლო ორმეტრიანი მეუღლე, სიკვდილის ამხა-ნაგი პატუ, დედამისს უკანვე მიჰგვარა. ჯერჯერობით ასე სჯობდა კუსასთვის. ამ ბო-ლო დროს იმდენიანი განსაცდელი გადახდებოდა თავს, თვითონაც უკვირდა, ასე მშრალად როგორ გამოსულიყო ნაპირზე. მართალია, ქალაქს სალაპარაკო გაუჩინა, უმ-ვლო ენა დაუგრძელა, მაგრამ ამაშიც თვითონვე იყო დამნაშავე, ზედმეტი მოუვიდა, გულს აჰყვა და ნაადრევად გამოჰქენდა სააშკარაოზე. ყველაფერი კი სიმამრისა და ბი-ძის წყალობით მოუვიდა, თავისიანებმა უმტრეს, თუმცა ქალაქი ერთის სიკვდილსაც და მეორის გადახვეწასაც მას აბრალებდა. სიმამრი ძროხასავით აჩეხაო, ბიძა გადაკარ-გაო, თვითონ ორსართულიან სახლშია გამოჰქიმულიო, მკვდარ ბავშვებს აჩენსო და ვინ იცის, რას არ უგონებდნენ და რას არ მოუგონებდნენ კიდევ, დროულად თუ არ გაეც-ლებოდა. ქალაქს სალაპარაკო არ დაელოდა, მაგრამ სულ ხომ კუსაზე არ ილაპარაკებდა? რაც მთავარია, სასახლე დუმდა, ძველებურად უღებდა კარს, ძველებურად უხ-დიდა ხელფასსაც, მაგრამ ამ გაუთავებელი ლაყბობით გაბეზრებულს, შეიძლება ვე-ღარ მოეთმინა და ერთ მშვენიერ დღეს ეკითხა: ვინ არის, ბოლოს და ბოლოს, ეს კუ-საო. ეს უნდოდათ მის მტრებსაც, ამის იმედი ჰქონდათ და ვერ მოისვენებდნენ, სანამ კედელზე არ მიაჰყლეთდნენ ჭრიჭინას, ერთი წამით, თავისივე სისულელის, თავისივე სილაჩრის გამო გამოცოცებულს საფრიდან. არა, ახლა გვერდზე გადგომა და თავის მოკატუნება სჯობდა. სახლსაც უნდა შელეოდა და სარდაფსაც, რადგან ერთიცა და მეორეც ყველას თვალში ეჩხირებოდა. ამიტომაც მტრობდნენ. მაგრამ ამ დაცხრილულ ქოხში რომ იხილავდნენ მეფის მოხელეს, მაშინაც აღარ დაიმოკლებდნენ ენებს? მაში-ნაც აღარ იტყოდნენ: აბა, რას ამბობთ, ერთი გაქუცული ფარდაგისა და პირმოტეხილი დოქის მეტი არაფერი გააჩნიაო? არა, მისი მტრები მაინც ვერ მოისვენებდნენ, ასე ად-ვილად არ შეემშვებოდნენ, მაგრამ წყალს კი ჩაუგუბებდათ პირში. დიდი-დიდი, დაეცი-ნათ, სად იყო და სად აღმოჩნდაო, მაგრამ ამასაც გაუძლებდა კუსა, დაცინვა საშიში არ იყო. ყველაფერს მოეველებოდა, ყველაფერი გამოსწორდებოდა, სანამ ტყავის ტომრის ტარების უფლება ექნებოდა, ამის უფლებას კი ვერავინ წაართმევდა, ვერც ოყაჯადო, რადგან უკეთესს ვის გადაულოცავდა, უკეთესად ვინ მოემსახურებოდა? მართალია, ის სასახლეში ერთ-ერთ ჩვეულებრივ მსახურად ითვლებოდა და ოყაჯადომ, ალბათ, არც იცოდა მისი არსებობის შესახებ, მაგრამ ხალხის თვალში ამ სასახლეს წარმოადგენდა, მეფის სუნი ასდიოდა. ხვალ ყველანი სხვანაირად დაიწყებდნენ ჭიკჭიკს, გადასავლე-ლი გადაივლიდა და კუსას ცაზე ისევ გამოზრწყინდებოდა მზე. მკვდარსა და დაკარ-გულს ხალხი ცხელ გულზე თუ გამოექომაგება, ცოცხალს კი ანგარიში უნდა გაუწი-ოს, სიამოვნებს თუ არა. კუსამ ეს იცოდა და ამიტომაც ითმენდა თავგების გამოჰქიმულ ქოხში ცხოვრებას. "კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატი-ოსანიო", - მიჟღერიალებდა ქოხიდან სასახლემდე და უკვე იმის გეგმებს აწყობდა, რო-გორ დაებრუნებინა

უკანვე ორსართულიანი სახლიცა და ორმოცსაფეხურიანი სარდა-ფიც. სასახლეში რომ ეტყოდნენ, შეგიძლია წახვიდე, დღეს აღარ ხარ საჭიროო, პირ-დაპირ ორმოცსაფეხურიანი სარდაფისკენ გასწევდა, ისეთი სახით ჩათავებდა კიბეს, თითქოს ისევ მას ეკუთვნოდა და დასახედად გამოველო. "ჰა, როგორაა საქმე, საფეხუ-რი ხომ არ მომატებიაო", - მიუგდებდა ხოლმე იმანოს და ყველა კასრს სათითაოდ ჩა-მოუვლიდა, ზოგს ხელს ჩამოუსვამდა გამობერილ ფერდებზე, ზოგს მუშტს მიუკაკუ-ნებდა, ზოგს სალტეებს უსინჯავდა, მზრუნველ და ყაირათიან მეპატრონესავით. იმა-ნოც, რატომღაც, თავს ვალდებულად თვლიდა, დაეპატიჟა და თავისი ხელით მიერთმია დაცვარული, ქალის მკლავივით გრილი ხელადა. მერე კი, შუალამისას, ძლივძლივო-ბით ამოიყვანდნენ ხოლმე ორმოცსაფეხურიან კიბეზე მუქთა ღვინით გაღებულ კუსას იმანო და მისი მოსამსახურე ბიჭი, რომელსაც იმანო ბახას ეძახდა, პირს შინისკენ აქ-ნევიანებდნენ, ერთს უბიძგებდნენ, თითქოს წყალში ტივს აცურებდნენ, და კუსაც მი-ცურავდა სიმთვრალის ჭორომებზე ატორტმანებული, ალღოს მინდობილი, როგორც ტივი დინებას. ღობეებზე მომწყდარი ძაღლები უყეფდნენ. "კიდევ გამსკდარა, ყასაბიო", - ბუზღუნებდნენ მისი ღრიანცელით ძილგამკრთალი და დამფრთხალი ვანელები და საწოლებში გვერდს იცვლიდნენ. კუსა კი მიდიოდა, მიბარბაცებდა, მიღრიალებდა მტრების ჯინაზე. "ვენაცვალე ჩვენს მეფესო", - ცას ეძახდა კუსა და ღობეს მომწყდარ ძაღლებს აგინებდა: თქვენი პატრონის მკვდარი და ცოცხალიცო. მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა თავის ქოხს, მით უფრო იზრდებოდა სიმარტოვისა და გარიყულობის გრძნობა. ქოხში არავინ ელოდებოდა, არც მტერი და არც მოყვარე. ერთი ტახტი ედგა, ერთი პირმოტეხილი დოქი ჰქონდა და ერთიც გაქუცული ფარდაგი. ის ფარდაგი ხან ქვეშ ეგო, ხან ზემოდან ეხურა: გააჩნია, როგორი ამინდი იქნებოდა. კუსა ფეხით აღებ-და ქოხის კარს. "მოგიკვდა ამშენებელიო", - მიაწყველიდა და ტახტზე გაუხდელად მი-ეგდებოდა ხოლმე. არ იქნა და არ დაავიწყდა კუსას კარგი ცხოვრების ყადრი. დრო კი ზღაპრულად ჩქარა მიქროდა, მიქროდა კი არა, ქრებოდა, როგორც ქარში გატანილი ჭრაქი და უეცრად ჩამოვარდნილ სიბნელეში კუსას ჯერჯერობით მხოლოდ ფიქრი და ოცნება შეეძლო კარგ ცხოვრებაზე. ეს ფიქრი და ოცნება ანადგურებდა კუსას. იწვა თვალდაჭყეტილი, სიმარტოვის ტახტზე, და ფიქრობდა, ფიქრობდა, მაგრამ ადგილიდან არ იძროდა მისი ფიქრი, არც ხორცი ჰქონდა, არც სილბილე, არც სუნნი და არც გემო. ის კი იმაზე ფიქრობდა, რაზედაც ოდესღაც ერთხელ უკვე ეფიქრა, სინამდვილედაც ექცია, მაგრამ ბოლოს მაინც დაეკარგა. კუსას ახალი საფიქრალიც გასჩენოდა. ეს მე-რე შეამჩნია, უფრო გვიან, როცა ასე თუ ისე შეეჩვია ახალ გარემოში ცხოვრებას. კუ-სა ინოზე ფიქრობდა და სიბრაზისგან იხრჩობოდა, გონება უბნელდებოდა, იმ წამიერი სისუსტისთვის, ამ უშნო და გაჩხინკულ ქალთან რომ გამოეჩინა. კუსა მხოლოდ ინოს წინაშე თვლიდა თავს დამარცხებულად, მართალია, ერთი წუთით, მაგრამ იმ ერთი წუთის განმავლობაში ინო ბატონობდა მასზე. თვითონვე მისცა ამის უფლება, ლამის ფეხები დაუკოცნა, ქოშები და კაბა მიართვა, ის კი არა, უმღერა კიდევ. სიმღერა აცო-ფებდა ყველაზე მეტად, საკუთარი, ხრინწიანი ხმა ყურებში ედგა და მოსვენებას არ აძლევდა. კუსა ინოზე ისე ფიქრობდა, როგორც გაღახული გამლახველზე, მაგრამ ერთ ღამეს გაოფლილს გაეღვიძა, პირმოტეხილი დოქი სულმოუთქმელად დაცალა, მერე მთელი ქალაქი სირბილით გადაჭრა და, აქოშინებული, ინოს მიადგა. სული რომ ჩაიბ-რუნა, ისე უკმეხად მიახალა, ცოლად გამომყევით, თითქოს ვიღაცის დანაბარებს გა-დასცემდა. ინო ჯერ მოიღუშა, მერე სიცილი აუვარდა, როდის-როდის დაიმორჩილა ხმა და თვითონაც მკვახედ და აგდებულად უთხრა:

მთლად გამოსულელებულხარო. კუსა უსიტყვოდ გამობრუნდა, რადგან შინიდან გამოსვლამდეც იცოდა, ასე რომ დამთავრდე-ბოდა მისი ღამეული სტუმრობა.

ინოს უარმა ერთხელ კიდეც დაარწმუნა, აჩქარებას სიკეთე არ მოჰქონდა. ყველა-ფერს თავისი დრო ჰქონდა, რომელიც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დადგებოდა. დაცდა იყო საჭირო და ისიც იცდიდა. ყოველ დილით მოიგდებდა მხარზე ხელსაწყოებით სავსე ტომარას და ჟღერიალ-ჟღერიალით გაუყვებოდა ქუჩას ოყაჯადოს სასახლისა-კენ. ამ ხმის გაგონებაზე ვანელებს სისხლი ეყინებოდათ, ეზოში სათამაშოდ გამოფენილ ბავშვებს უკანვე შელაღვდნენ ხოლმე, კარებს კეტავდნენ და გულისფანცქალით ელოდნენ, როდის ჩაიწრიტებოდა ეს უსიამო ჟღერიალი. ერთადერთი ადამიანი, ვისაც ამ ხმის გაგონება სიხარულით ავსებდა, ზიარა იყო. ზიარას ეს ხმა უყვარდა, რადგან იგი კუსას გამოჩენას აუწყებდა. როგორც კი ტომრის ჟღერიალს გაიგებდა, აფორიაქდე-ბოდა, გული ბაგა-ბუგს დაუწყებდა, თმას გაისწორებდა, კაბას ჩამოიქაჩავდა, ქუჩისკენ, რომელზედაც კუსას უნდა ჩამოევლო, ზურგით დადგებოდა და გრძელტარიანი ცოცხით ისეთ მტვერს დააყენებდა, თავფეხიანად რომ გახვეულიყო შიგ და კუსას ვე-ღარ დაენახა. "ახლა მოვკვდები და ახლაო", - ფიქრობდა ზიარა, სანამ კუსა ქუჩაზე მიდიოდა, ამაყი და თავაწეული, როგორც ფარის წინ მიმავალი ყოჩი. კუსამ არც ზიარას არსებობა იცოდა და არც არაფრად ეპიტნავებოდა ვიღაც თმაგაჩეჩილი და სხვისი ცეცხლით კაბაგამომწვარი გოგო; ზიარას კი ეგონა, კუსა მარტო მას უყურებდა, მის სანახავად გადი-გამოდიოდა ამ ქუჩაზე დილა-საღამოს და გაურკვეველი ბედნიერებითა და შიშით აწრიალებული გოგო, მთელი დღე, მოჟღერიალე ტომრის დაბრუნებამდე, ად-გილს ვეღარ პოულობდა. მისთვის ქვეყანა დაპატარავებულიყო და ორიოდ რკინის ჟღერიალსა და ცოცხის ერთი მოსმა მტვერს პირამდე გაევსო. რაც არ უნდა გვიან დაბ-რუნებულიყო კუსა შინ, ზიარა არაფრით არ დაიძინებდა, იწვა კეთილი მეზობლის დერეფანში და სანატრელ ხმას ელოდებოდა, რომელიც მისი ღამის დადგომას აუწყებ-და და დაძინების ნებას მისცემდა. იქამდე ერთხელაც არ დაამთქნარებდა, არც რული წაეკიდებოდა თვალზე, რაც არ უნდა დაღლილი და რაც არ უნდა გვიანი ყოფილიყო. ტომრის ჟღერიალიდან ჟღერიალამდე ზიარა საქმესაც ასწრებდა და გამოძინებასაც. ეს ხმა იყო მისი მზისა და მთვარის მაგიერი, რადგან კუსა უყვარდა, სიყვარულმა კი ისე გაათამამა, ჩვეულებრივ ამბად ეჩვენებოდა ის, რასაც ადრე ფიქრშიაც ვერ გაივლებდა. "მერე რა, დაიხრება და ისე მაკოცებსო" - ფიქრობდა ზიარა, ეზოს გვიდა თუ მატყლს ჩეჩავდა. სიყვარულმა ფიქრიც შეუცვალა, გადაუსხვაფერა, გაუეშმაკა. ფიქრში, რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა, ქუჩაზე მიმავალ კუსას ესალმებოდა, დილა მშვიდობისაო, ემახდა და ხელსაც უქნევდა; მერე კუსას ქოხში შედიოდა, გვიდა და აკრიალებდა ყვე-ლაფერს; შინ მობრუნებულ კუსას კარში ეგებებოდა, თავს უკრავდა და საღამო მშვი-დობისაო, ეუბნებოდა. კუსაც თავს უკრავდა და კუსაც პასუხობდა საღამზე. მოკლედ, ფიქრში დიდი მეგობრები იყვნენ ის და კუსა. ხოლო ამ ფიქრმა ბოლოს და ბოლოს ისე აამჩატა და გადაიბირა, ერთ მშვენიერ დღეს მართლა შეიპარა კუსას ქოხში. ქოხ-ში მიხედ-მოხედვა არც კი დასჭირვებია, ისეთი სიბინძურე გამეფებულიყო ირგვლივ. გახარებულმა ტაში შემოჰკრა და დაბზრიალდა, თითქოს გოგო-ბიჭებს საცეკვაოდ წრე-ში გამოუგდიათო. მისი აქ მოსვლა არათუ გამართლებული, სავალდებულოც იყო. გა-ნა ასევე არ ასუფთავებდა სხვების ეზო-ბინებსაც? კუსა რომ შინ დახვედროდა, რაღა თქმა უნდა, უკანვე გაბრუნდებოდა. ან რატომ მივიდოდა უცხო კაცთან გასათხოვარი გოგო. მაგრამ ზიარაზე კარგად ვინ იცოდა, როდის დახვდებოდა და როდის არ დახვდე-ბოდა კუსა შინ. მალე იქაურობა ისე კრიალებდა, ერბო აიკრიფებოდა. ამის მერე ზიარ-

რა ყოველდღე მოდიოდა ქოხის დასასუფთავებლად და ისე შეეჩვია თავის ახალ მოვა-ლეობას, შიშის გრძნობა სრულებით გაუქრა. ცოცხი ეჭირა ხელში, თუ ფარდაგს ბერ-ტყავდა, თან ლილინებდა კიდეც. ხოდა, რადგან სისუფთავე უფრო თვალშისაცემია, ვიდრე სიბინძურე, კუსამაც მალე შეამჩნია მის ქოხში მომხდარი ცვლილებები; თუ ფხიზელი იყო, თავს იკავებდა, ზედმეტ აყალმაყალს ერიდებოდა, მთვრალი კი გამოდ-გებოდა კარზე და მეზობლების გასაგონად, ერთ ლანძღვა-გინებას ასტეხდა ხოლმე: ვის რა ესაქმება ჩემს ქოხში, ვინ მოდის და ვინ ალაგებს, მე არავისთვის მითხოვნიაო; თუ მოვატანე, კოჭებს მოვამტვრევ და მერე ნახოს, როგორ უნდა სხვის ბინაში ძრომია-ლი, სხვისი სკივრის ქექვაო.

- ჩვენ ტყუილად გვლანძღავ, - ეუბნებოდნენ მეორე დღეს მეზობლები - თუ მართ-ლა მოდის ვინმე და ის ვინმე თუ მართლა ადამიანის შვილია, დაუდარაჯე და დაიჭი-რეო.

კუსამ მართლაც დაუდარაჯა და ზიარა დაიჭირა. ზიარას უმკლავებო კაბა ეცვა და როცა ცოცხიანი ხელით შუბლზე ჩამოცვენილი თმა გადაიწია, რათა ქოხში შემოსუ-ლი დაენახა, კუსას შავი ილღია ეცა თვალში და კარს ზურგით მიაწვა.

გაწეწილი, სახეაჭრილი, უარესად დამახინჯებული ზიარა ქოხიდან რომ გამოვარდა, კუსას მხოლოდ მაშინ შემოეყარა გულზე, ეს რა ვქენიო. იფურთხა და იხეხა ტუჩები, ზიარას სიქალწულის სუნით გაჟღენთილი და გასიებული. თმაგაწეწილი ზიარას სა-ხის წარმოდგენა გუნებას უშხამავდა, თავზარს სცემდა და რაზეც არ უნდა ეფიქრა, თვალწინ განუწყვეტლივ ზიარას გაჩეჩილი, წითლად დალაქავებული მკერდი და გა-დაბლანტული თვალები ედგა. კუსამ დიდხანს იწრიალა ქოხში, მაგრამ ველარ გაძლო და იმანოს სარდაფისკენ გასწია. ამ წამიერ ვნებას, მართლა ერთი წამით რომ დატრი-ალებულიყო მის სხეულში, როგორც გრიგალი უკედლებო ოთახში, მაინც შეეცვალა, მაინც დაენამუსებინა. ის ახლა ისევე განსხვავდებოდა მხარზე ტომარაგადაგებულ და სამსახურისკენ ყოჩივით მიმავალ კუსასაგან, როგორც ზიარა თუნდაც... ინოსგან.

ზიარა კი ამ დროს მიცვალებულთა ჭალაში, სანახევროდ დაჭაობებულ და დარბი-ლებულ მიწაზე გულაღმა იწვა, საღამოს ნიავით აქნავებულ ტყავის კუბოებს შესცქე-როდა, აქა-იქ კიდეც რომ შერჩენოდნენ ხეებს, და ვერც კი გრძნობდა, მიწასავით, თვი-თონაც როგორ იჟღინთებოდა სინესტითა და სიცივით. ისეთი ბედნიერი და ისეთი უბე-დური იყო ერთდროულად, ეგონა, ამის მერე სულ აქ უნდა წოლილიყო, თვითონაც უნდა დაჭაობებულიყო, ხავსი მოკიდებოდა, დაობებულიყო, აშმორებულიყო და ეცადა, თუმცა თვითონაც არ იცოდა და ვერც ვერასდროს გაიგებდა, რიღასთვის უნდა ეცადა, რადგან მოსახდენი უკვე მომხდარიყო, განსაცდელი განეცადა და რაც განეცადა, იმდე-ნად წარმოუდგენელი და იმდენად ღვთაებრივი იყო, არ ეგონა, კიდეც თუ შეიძლებოდა, ანდა თვითონ თუ შეძლებდა ხელმეორედ განცდას. მერე კუსას ხმა, რომელიც არასო-დეს გაეგონა, ისე ცხადად ჩაესმა, უნებურად თავი წამოსწია. მისი წარმოდგენით, კუ-სას მხოლოდ ასეთი ხმა უნდა ჰქონოდა. ეს ხმა რამდენჯერმე განმეორდა: ვითომ კუსა ეძახდა: ადექი, არ გაცივდეო. კუსა კი ამ დროს მაგიდაზე მუშტს ურტყამდა იმანოს სარდაფში და ყვიროდა: მამაჩემს გაუმარჯოს, ფილამონეს! ნამდვილი მამაკაცის გზა ნაბიჭვრებით უნდა იყოს მოფენილიო. იმანო უღიმოდა და თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა.



ნესტმა და სიცივემ მაინც თავისი გაიტანა და ზიარა ერთიანად ააძიგდო. ახლა იგი მოჩვენებულ ხმას ისე ეჭიდებოდა, როგორც ჭაობში ჩაფლული - ლაფანის ტოტს. ზიარა ქვეცნობიერად შინ დაბრუნების, შინ კი არა, კუსასთან დაბრუნების მიზეზსა და საბაბს ეძებდა. იცოდა, დაბრუნდებოდა, რადგან ახლა კუსა რომ არ ენახა, მართლა მოკვდებოდა და მართლა სამუდამოდ ჩარჩებოდა ამ ჭაობში. "მცემოს რა, - ფიქრობდა ზიარა, - უნდა მცემს და უნდა არაო". მერე ის ფიქრი აიკვიატა, იქნებ კუსა მართლა მეძებს, მე კი მივატოვე და გამოვიქციო; თითქოს, რაც მოხდა, მართლ მისი ბრალი იყო; ვინ იცის, როგორ გააწვალა ჩემმა ძებნამო, მაგრამ გულის სიღრმეში ძალიან, სიცოცხლეზე ძალიან უნდოდა, კუსას მოენახა და წაეყვანა შინ. გინდაც მთელი ქვეყნის დასანახად, წკეპლით გამოედევნა აქედან, დაკარგული ბატივით. იმდენი იფიქრა ზიარამ, იმდენი იფიქრა, სანამ მართლა არ დაიჯერა, კუსა თავქუდმოგლეჯილი რომ დაემებდა. მაშინ კი იკადრა წამოხტომა. ისე მოკურცხლა ქოხისკენ, კაბაც არ ჩამოუბერტყია. გეგონებოდათ, ქარს ვენახიდან საფრთხობელა მოუტაცნია და თავის ნებაზე მიათამაშებსო. ქოხს რომ მიუახლოვდა, ისევე წამოუარა შიშმა, რა პირით ვეჩვენო, ან რა ვუთხრაო, მაგრამ მაინც გაბედა და ჭუჭრუტანაში შეიხედა. ქოხი ცარიელი დაუხვდა, ზიარას გულზე მოეშვა და ქოხში თამამად შეაბიჯა. ახლა უკვე მართლა და-იჯერა, კუსა მის სამებრად იყო წასული. ტახტზე ჩამოჯდა, არა, დასარჩენად კი არა, უბრალოდ, ცოტა სული რომ მოეთქვა, სანამ კუსა მობრუნდებოდა. ამხელა გზა ერთი ამოსუნთქვით გამოერბინა და ფეხები უბჟუოდა. ტახტზე ხელსაწყოების ტომარა ეგდო და ზიარა მიხვდა, რატომ ეტკინა ზურგი ასე მწარედ, როცა კუსამ ტახტზე გადააწვინა. ზიარამ ტომარას ხელი ფრთხილად წაჰკრა, მაგრამ ტომარამ მაინც გაიჟღერია, თით-ქოს ნადირმა ძილში დაიღრინაო. ამ ხმის გაგონებაზე ზიარას გაელიმა და უცებ ძილი მოერია, მისი ღამე დამდგარიყო. ზიარამ ტომარა მალლა ააჩოჩა და ზედ თავი მიადო.

კუსა კი ამ დროს იმანოს უკანასკნელ მუშტრებს გაუთავებელი ლაყბობით თავს აბეზრებდა, ეკინკლავებოდა, ღვინოს აძალებდა და ისინიც ითმენდნენ, რადგან ეშინო-დათ მისი.

- რომელი ხართ ჩემზე სუფთა, ჰა? - კინკლაობდა კუსა და როცა დასამშვიდებლად ეუბნებოდნენ: ყველანი ერთნაირები ვართო, კუსა ხმას უფრო უწევდა, გაჰყვიროდა: მეც მაგას ვამბობ სწორედო.

კუსა უგონოდ იყო მთვრალი, მაგრამ ჭიქას მაინც არ აგდებდა ხელიდან, თუმცა აღარც სმა შეეძლო, ღვინო აღარ ჩასდიოდა, აბოყინებდა, უფრო მეტს ზედ ისხამდა და მაინც ჯიუტად გაიძახოდა: ყველამ უნდა დალიოს მამაჩემი ფილამონეს სადღეგრძელოო. ბოლოს, როგორც იქნა, მაინც მოახერხეს მისი ამოტყუება ორმოცსაფეხურიანი სარდაფიდან, გზაზე დააყენეს და სირბილით გაეცალნენ.

- მიმატოვეთ ხომ? თქვენი დედა კი ვატირე! - მიბლაოდა კუსა ჩამინებულ ქალაქს და ბანცალ-ბანცალით მიიკვლევდა გზას გულისგამაწვრილებლად მოჭრიალე ქოხის-კენ. შინ რომ შევიდა და ტახტზე ჩამინებული ზიარა დაინახა, ისე გაუხარდა, თითქოს დიდი ხნის ოცნება ასრულებოდეს. გამოფხიზლდა კიდევ, ფერხთით ჩამოუჯდა და ამოხნიქილ თეძოზე დაადო ხელი. ზიარა შეიშმუშნა, გაიწვართა და თვალი გაახილა. კუსას გვერდით მეორე ადამიანი იყო, ნამდვილი, ცოცხალი, სურნელოვანი და ცხელი, როგორც ახლად გამომცხვარი პური.

- გამარჯობა, ჩიტუნია! - მიესიყვარულა კუსა ზიარას.

სიმთვრალესა და სიბნელეში არც ერთ ქალს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ზიარა, მაგრამ გაახილა თუ არა კუსამ თვალი და დაბუჟებულ მკლავზე ზიარას სახე დაინახა, ალიონის სუსხით გაცრეცილი, შიშითა და თაყვანისცემით მიჩერებული, ისევ შე-უბრუნა ზიზღმა და სიბრაზემ. "აბა, გამასწარიო", - დასჭექა კუსამ და სანამ ზიარა წამოდგომას მოასწრებდა, ისე გამეტებით უბიძგა, ცარიელი დოქივით მიამსხვრია ქო-ხის კედელს. ზიარამ წელი ძლივს წამოსწია და უჩუმარის პირით გაიმურწა ქოხიდან, მაგრამ შორს არ გასცილებია, ან სად უნდა წასულიყო, როცა მისი მთავარი სული ამ ქოხში ტრიალებდა. სიყვარულს გაეჯიუტებინა და გაეკერპებინა იგი, არც თავის მოვა-ლეობაზე აუღია ხელი, ისევ ალაგებდა, გვიდა, რეცხავდა, საჭმელსაც ამზადებდა და მერე, ტახტზე ჩამომჯდარი, კალთაში ხელებჩაწყობილი, ელოდებოდა კუსას დაბრუნე-ბას. მას არც ცემის ეშინოდა და არც სიკვდილის. კუსას ხელით სიკვდილიც კი ბედ-ნიერება იყო და არც არასოდეს გასჩენია სურვილი ამ ყოველდღიური ცემა-ტყეპისაგან თავის დაღწევისა. მისი აზრით ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც უნდა მომხდარიყო, როგორც კუსას უნდოდა, ხოლო რაც კუსას უნდოდა, ის ზიარასთვის სიცოცხლეზე მეტს ნიშნავდა. მერე რა, რომ კუსა სცემდა? მაშინაც ხომ ეხებოდა იგი ზიარას? მერე რა, რომ თათხავდა და აგინებდა? ეს თათხვა-გინებაც ხომ ზიარას ეკუთვნოდა, ზიარას მიმართავდა კუსა და არა სხვა ვიღაცას. ისინი ერთად იყვნენ და არავითარი მნიშვნე-ლობა არ ჰქონდა, რა ერქვა ამ ერთად ყოფნას. შინ დაბრუნებულს, გაღეშილსა და გაპირუტყვებულ კუსასაც ყოველთვის გულწრფელად უხაროდა ზიარას დანახვა. "გა-მარჯობა ჩიტუნიაო" კარებშივე შესძახებდა და ხელებგამლილი წამოვიდოდა მისკენ, თითქოს ტახტის კიდეზე გაუბედავად ჩამომჯდარი, კალთაში ხელებჩაწყობილი და მი-სი მომლოდინე ქალი სხვა იყო და დილით, მის დაბუჟებულ მკლავზე თავმიდებული კი სხვა. კუსას პირველი უყვარდა, უხაროდა, რადგან სჭირდებოდა, როგორც კატა სჭირდებათ თავგებმომრავლებულ ქოხში, მეორე კი ეზიზღებოდა, რადგან ზედმეტი იყო, როგორც ცხენისთვის მეხუთე ფეხი. ეს ზიარამაც მალე შეიგნო და შეეჩვია კი-დეც, რადგან კუსას ჩამინებიდან კუსას გაღვიძებამდე უბედნიერეს ქალად თვლიდა თავს მთელს ქვეყანაზე; კუსას ქათქათა მკლავზე ედო თავი და მისი ნაღვინარი სუნთ-ქვა და ოხშივარი სცემდა სახეში. "ნეტავ, სულ, სულ გამოუნელებლად მთვრალი იყო-სო" - ოცნებობდა გატრუნული ზიარა და მძინარე კუსას ისე შესცქეროდა, როგორც ბავშვი საწოლის თავთან დაწყობილ ახალ წაღებს, დილით რომ ჩაიცვამს და ტოლ-ამხანაგებში თავმომწონედ გააჭრაჭუნ-გამოაჭრაჭუნებს.

დრო კი გადიოდა და ორივენი ეჩვეოდნენ ასე ცხოვრებას, ერთმანეთსაც. ღამე ჭუკ-ჭუკ-ალერსში იცრიცებოდა, დილით კი, ქოხის კედელზე მინარცხებული ზიარა, მართ-ლაც დამსხვრეული დოქივით, ნაწილ-ნაწილ ჩამოდიოდა მიწაზე, მაგრამ რაღაც ჯა-დოქრობის წყალობით მაშინვე მთელდებოდა, განაბზარიც არ ეტყობოდა და, საღსალა-მათი, ღიღინ-ღიღინით ქოხის დალაგებას იწყებდა. მხარზე ტომარაგადაკიდებული კუსა კი ოყაჯადოს სასახლისკენ მიაბიჯებდა, მთელ ქალაქს მიაჟღერებდა, ამაყი, გამომწ-ვევი და თვალშისაცემი, როგორც ფარის წინ მიმავალი ყორი.

მართალია, ქალებს ვერ მოესწროთ ზიარას ამბის მოყოლა, მაგრამ ფარნაოზი მა-შინვე მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო იგი და დიდი ხნის ნაცნობივით მოიკითხა.

- ერთი ჰკითხე რა გვარის ქალიაო - უთხრა კუსამ და ზიარაზე თვალით ანიშნა.

მაგრამ ზიარას შეკითხვისათვის არ დაუცდია და თქვა: გვარი მაქვს პრასისა, კამის სარტყელი მარტყაო. კუსამ გადაიხარხარა და დაუცაცხანა: ჩუმად, შე სასიკვდილე, მეფემ თუ გაგიგო, გაჩვენებს კამის სარტყელსაო. ზიარას კი ბედნიერებისგან სახე შე-ევაკლა. თითქოს გალამაზდა კიდეც, თავი ჩაღუნა და მოკლე ფეხები ჰაერში ააქანავა.

კუსა თითქმის სულ არ გამოცვლილიყო, ასაკი არ ეტყობოდა, ოღონდ განუწყვეტელი სმისგან სახე შემუპებოდა და კისერი უარესად დაწვრილებოდა. პირველად რომ შემოვიდა, ცივად მიესალმა ყველას, მათ შორის ფარნაოხსაც, თითქოს გუშინ დაშო-რებოდნენ ერთმანეთს. მოღუშული და ოდნავ დაბნეული იჯდა ცალკე, როგორც ლო-თებს სჩვევიათ, სანამ ფხიზლები არიან. ფარნაოხი კი ფიქრობდა, ნაწყენია ჩემზე და მართალიცაა, მე ხომ მაგის მოკვლა მინდოდაო. მაგრამ როგორც კი ღვინო შემოიტა-ნეს, კუსაც გახალისდა, ალაპარაკდა, ყველანი სუფრასთან მიიპატიჟა: ჩვენ თუ არ ვთქვით რამე, ეს ღვინო, დილამდეც რომ ვიჯდეთ, ხმას მაინც არ ამოიღებსო. ზიარა თავჩაღუნული იჯდა კუსას გვერდით და რაც არ უნდა ეთქვა კუსას, ყველაფერზე ილიმებოდა, თითქოს ამაზედაც წინასწარ შეთანხმებულანო.

- გეყოფა, ნუ სვამ ამდენს! - წუხდა პოპინა. - ფარნაოხი ნამგზავრია, სხვა დროს დალიეთ, ეგ ღვინო სად გაიქცევასო.

- არ დამღუპო! - ყვიროდა კუსა. - ძუძუ არ გამომგლიჯო პირიდანო.

- სულ ასეა - უთხრა ქალუკამ ფარნაოხს.

ფარნაოხი კი ილიმებოდა, კუსას თვალებში შესცქეროდა და ბედნიერი იყო, თავის დროზე რომ არ მოკლა ეს წვრილკისერა და სახეშემუპებული კაცი. მართლაც, რა შე-იცვლებოდა, რა გამოსწორდებოდა, განა კუსა ერთი იყო? ფარნაოხს კი ცოდვა გაეზრ-დებოდა, უაზრო და უშედეგო.

- ყველაფერი დროებითია, დროებითი. შენი წონა ფული მაქვს, ასე კი არაა საქმეო, - ამბობდა კუსა.

ფარნაოხს უნდოდა ეთქვა: რა მოხდა მერე, ცოცხალ კაცს რა გაუჭირდება, აგერ მეც დავბრუნდი, მეც გვერდში ამოგიდგებიო, მაგრამ რცხვენოდა, ეგონა, ასე რომ ეთქ-ვა, ქალები იფიქრებდნენ, დათვრა და გული აუჩუყდაო. "მერე ვეტყვი, მოესწრებაო", - ფიქრობდა ფარნაოხი და სწორედ მაშინ ფეხზე რაღაც გაეგლისა და მაგიდის ქვემო-დან ძაღლმა შემოჰყეფა. არ შეშინებია, მაგრამ უნებურად მაინც უკან დაიხია სკამია-ნად და მაგიდის ქვეშ შეიხედა. ზიარა ოთხზე იდგა, უღიმოდა და უყეფდა. კუსა მაგი-დაზე მუშტებს აბრახუნებდა და ხარხარებდა. ქალუკა და პოპინაც ილიმებოდნენ და ფარნაოხი მიხვდა, ეს ჩვეულებრივი გართობა იყო ყველასთვის. გული დაწყდა, არ კი იცოდა რაზე.

- კარგი, გეყოფა, შე სასიკვდილეო, - შესძახა მაგიდის ქვეშ აყეფებულ ზიარას ქა-ლუკამ.

- გაუშვი იყეფოს, იყეფოს! - ყვიროდა კუსა.

- შუბუ მოვიდაო, - თქვა პოპინამ.

ზიარას ყეფამ და შუბუს ხსენებამ ფარნაოზს ბავშვობა გაახსენა. კუსამ შემწვარ თევზს თავი წააწყვიტა და მთლიანად ჩაიდო პირში, მერე პური მოციცქნა და მარილს დააწო. შუბუ უკვე კარებში იდგა, ხელში ორკაპა ჯოხი ეჭირა, მკერდზე თეთრი, თოვ-ლივით ქათქათა წვერი ევინა. ფარნაოზს არც გაუგია, როდის მივიდა შუბუსთან. ის ახლა ამ წვერის შეხებას გრძნობდა, წვერს სველი ფქვილის სუნი ასდიოდა და ფარ-ნაოზი სიხარულისგან ტიროდა. "მაპატიე, შუბუ, მაპატიე, ამ ათ წელიწადში ერთხე-ლაც არ გამხსენებინარო", - ლულულულებდა სპეტაკ სურნელსა და სითეთრეში პირჩარ-გული ფარნაოზი და დარწმუნებული იყო, დღეიდან სულ ასე ერთად იქნებოდნენ, სულ ასე ეყვარებოდათ ერთმანეთი.

მთელი თვე ისე გავიდა, ფარნაოზი შინიდან არ გამოსულა. იწვა გაუნძრევლად მა-მისეულ ტახტზე, ჭერს მიშტერებოდა და იხსენებდა განვლილ ცხოვრებას. პოპინას გული უსკდებოდა, ძლივს დაბრუნებულ ძმას მამის ტახტზე გაშოტილს რომ ხედავდა, ეგონა, უხეირო გაცოცხლებულაო, ისე ჰგავდა ფარნაოზი მამას. "ადექი, გეხვეწები, ნუ წევხარ ასეო" - ეხვეწებოდა პოპინა. მაგრამ ფარნაოზი ისე იყო დაღლილი, ისე ენატ-რებოდა დასვენება, ოჯახის სუნი და სიმყუდროვე, რაც არ უნდა დიდი ხათრი ჰქონო-და დისა, მაინც ესიკვდილებოდა წელის წამოწევა მამის სხეულის სუნითა და სითბო-თი გაჟღენთილი ტახტიდან. ის მამას გრძნობდა და ეს შეგრძნება სასიამოვნო და საი-მედო ბურანში ხვევდა, თითქოს იქ, შორეულსა და იდუმალ სამყაროში დაბრუნებული-ყო, საიდანაც ოდესღაც მოვლენოდა ქვეყანას. მას შეეძლო მშვიდად ეცხოვრა ამ ბუ-რანში, რადგან ვერავინ გამოათრევდა იქიდან უხეიროს უტყუარი შუბისა და გადმო-კარკლული თვალების შიშით. ამ ერთი თვის განმავლობაში ერთხელ წამოდგა მხო-ლოდ, როცა შავთვალემა მაღალს ასაფლავებდნენ და პროცესიამ მათი სახლის წინ ჩაიარა. ქალუკამ რომ დაიძახა, მოასვენებენო, ფარნაოზი კიდევ კარგა ხანს იწვა გაუნ-ძრევლად, ისე უმნელდებოდა ამ სასიამოვნო, დილის ძილივით სასიამოვნო ბურანის დატოვება, თავსაც იტყუებდა: ადრეა, რა მეჩქარება, სანამ ჩვენს სახლამდე მოვლენ, ათჯერ მოვასწრებ ადგომასო; მერე იმის მტკიცებას მოჰყვა, რაღა დროსია, მაინც და-ვაგვიანე, როდის თქვა ქალუკამ, მოასვენებენო, და როცა მართლა შეეჩვია ამ აზრს, უცებ გიჟივით წამოვარდა ტახტიდან, ხომ შეიძლებოდა, ინოსთვის შორიდან მაინც მო-ეკრა თვალი. მაგრამ შავთვალემა მაღალს შვიდივე ქალიშვილს სახეზეც შავი ძამე-ბი ჩამოეფარებინათ, და შვიდივე ისე ჰგავდა ერთმანეთს, შავთვალემა მაღალს რომ გაცოცხლებულიყო, იმასაც გაუჭირდებოდა მათი გამოცნობა. მაგრამ ამ შვიდ შაოსან ქალში ერთ-ერთი ნამდვილად ინო იყო და თუ ფარნაოზი ვერ ხედავდა მას, ინოს შე-ეძლო ფარნაოზის დანახვა. ესეც დიდი ბედნიერება იყო.

ვინ იცის, საერთოდ, როდის გამოვიდოდა ფარნაოზი შინიდან, სიზმარი რომ არ ენახა. სიზმარმა დაღლილობაც გადაავიწყა და ტახტიდანაც წამოაგდო. ფარნაოზს დედ-მამა დაესიზმრა. მართალია, დედა არასოდეს ენახა, მაგრამ ერთი წუთითაც არ დაეჭვებულა, არც სიზმარში და არც მერე, ის ახალგაზრდა და ლამაზი ქალი, უხეი-როსთან ერთად რომ შემოვიდა მასთან, დედამისი იყო. ორივეს, დედასაც და ფარნაოზ-საც ისე ეჭირათ თავი, თითქოს ყოველდღე ნახულობდნენ ერთმანეთს, არც ერთს არ გაჰკვირვებია, არც ერთს არ აღმოხდენია ოხვრა ამ მოულოდნელი შეხვედრისას. უხეი-როს ლომის ტორივით ხელი ამ ლამაზი ქალის სუსტ მხარზე ჩამოედო და შესახედაო-ბით შვილად უფრო შეეფერებოდა იგი, ვიდრე ცოლად. არც ეს იყო გასაკვირი. დედა ხომ გაცილებით ახალგაზრდა მომკვდარიყო და ამიტომაც იქაც სულ ახალგაზრდა იქნებოდა.

- წუხელ სიზმარში ჩვენები მოსულიყვნენ და მსაყვედურობდნენ, რატომ არ მოხ-ვალ, რატომ არ გვნახავო - უთხრა დილით ფარნაოზმა პოპინას.

- ჩვენები?! - ჰკითხა, კი არ ჰკითხა, შეჰკვივლა პოპინამ.

- ხო, დედაც... - თქვა ფარნაოზმა. - უნდა წავიდე.

- სად? - მთლად დაიბნა პოპინა. - სად უნდა წახვიდე?!

- სასაფლაოზე - უპასუხა ფარნაოზმა.

- მადლობა ღმერთს! - შვებით ამოისუნთქა პოპინამ.

სასაფლაოზე ისა და კუსა წავიდნენ. ფარნაოზს თავიდან მარტო უნდოდა წასვლა, აიჩემა, ჩემით უნდა მივაგნო, სად მარხიან ჩემი მშობლებიო. ასე რომ, წინასწარ უკვე გამზადებული პოპინა, იძულებული შეიქნა, გაეხადა საგარეო კაბა და შინ დარჩენი-ლიყო. კუსა ფარნაოზს კარებში შეეჩხრა და როცა გაიგო, სადაც მიდიოდა ბიძამისი, მაშინვე განაცხადა, მეც სწორედ მაგიტომ გამოგიარე, ძლივს დავეთხოვე სამსახურიდა-ნო. კუსა ნასვამი იყო და ფარნაოზს მოერიდა უარის თქმა. გუნება კი გაუფუჭდა. ისე აღარ გამოდიოდა, როგორც ჩაეფიქრებინა. ეს მთვრალი კაცი, რომლის დაბადებამაც განუსაზღვრელი სიხარული მოუტანა ოდესღაც, მერე კი სასიკვდილოდაც გაიმეტა, თითქოს იმიტომ არსებობდა, ყველაფერში ხელი შეეშალა ფარნაოზისთვის. ამ ათი წლის განშორებას არაფერი შეეცვალა, რადგან თვითონაც არ შეცვლილიყვნენ, ფარ-ნაოზი ძველებურად შემკრთალი და დაძაბული მიაბიჯებდა კუსას გვერდით და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ძალით მიჰყავდა იგი კუსას, რადგან ახლა მართლა აღარ უნდოდა სასაფლაოზე წასვლა.

დღევანდელი მათი მსვლელობა ჩვეულებრივი ვალის მოხდა იქნებოდა მიცვალებულების წინაშე და მეტი არაფერი. ფარნაოზი კი გაცილე-ბით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დღევანდელ დღეს. ჯერ ერთი, ის პირველად მიდი-ოდა მკვდარ მშობლებთან შესახვედრად, პირველად უნდა გამოლაპარაკებოდა მკვდრებს. ეს კი, თავისთავად, იმდენად უჩვეულო, იმდენად იდუმალი და წმინდა მოვ-ლენა იყო მისთვის, არავის არ შეეძლო, არც უფლება ჰქონდა, გაეზიარებინა იგი. მეორეც ერთი... მეორეც ერთი, ფარნაოზი საბოლოოდ დღეს უნდა დაბრუნებულიყო სამ-შობლოში. დღეს უნდა დარწმუნებულიყო, მართლა რომ ჰქონდა სამშობლო, მართლა რომ არსებობდა მიწა, რომელშიაც მართლა მისი მშობლების ნეშტი განისვენებდა. თავისთავად თითქოს კუსაც მართალი იყო, ან ვინ დაუშლიდა პაპა-ბებების საფლაოზე გასვლას, მაგრამ რაღა მაინცდამაინც დღეს უნდა გასჩენოდა მასაც ამგვარი სურვილი, თუ შეგნებულად, ფარნაოზის ჯიბრით არ იქცეოდა ასე, თუ მიზნად არ დაესახა, ჩაე-შალა, ჩაეშხამებინა შვილისა და მკვდარი მშობლების პირველი პაემანი, მოწმე და მეთვალყურე ყოფილიყო ყველაფრისა, რათა მის უჩუმრა არაფერი გადაეცათ მკვდარ მშობლებს შვილისათვის. ასე ფიქრობდა ფარნაოზი, ამისი ეშინოდა სწორედ, კი არ ეშინოდა, რცხვენოდა, ამგვარი ფიქრით დაკნინებული რომ მიდიოდად მშობლებთან მემკვიდრეობის მისაღებად. ხოლო კუსას ტომრის ჟღერიალმა ისევ გაახსენა უჩინარი და მარადიული ბორკილები, დედის მუცლიდან გამოყოლილი. მკვდრებს მისი იმედი ჰქონდათ, მას უტოვებდნენ, მას აბარებდნენ იმ პატარა მიწას, რომელიც საკუთარი ძვლებით ამოვესოთ და საკუთარი სისხლით გაესპეტაკებინათ; მათ პატრონი სჭირდე-ბოდათ და მართლებიც იყვნენ, შვილი რომ აერჩიათ, შვილი რომ გამოეხმოთ პატრო-ნობის სათხოვნელად, მაგრამ იმაზე კი აღარ

ეფიქრათ, ვარგოდა თუ არა მათი შვილი საამისოდ. სიკვდილს ბევრი რამე დაევიწყებინა მათთვის, ბევრი რამე გაემარტივებინა და უფრო მომთხოვნიც გაეხადა ისინი, რადგან იქ, მარადიულ ნესტსა და სიბნელეში არავითარი სიძნელე, არავითარი დაბრკოლება და არავითარი ტკივილი აღარ არსებობდა, რადგან აღარაფერი ხდებოდა. იქ არც ამ ტომრის ჟღერიალი ისმოდა, ან თუ ისმოდა, ესეც სამუდამოდ დაკარგული ქვეყნის ხმა იყო, ცოცხლების ხმა, სევდისა და სინანულის და, მხოლოდ და მხოლოდ, საუკეთესო მოგონებათა აღმძვრელი. ფარნაოზს კი ეს ერთფეროვანი ხმა ტანზე ეკალს აყრიდა და შემკრთალი ფიქრობდა: რა უწყვია, ნე-ტავ, ტომარაშიო.

ზაფხული სასაფლაოზე უფრო თვალშისაცემი იყო. სიცხეს კვიპაროსები გაერუჯა. შეეტრუსა და ალისფერი ლაქებით დაესახიჩრებინა მათი მარადიული სიმწვანე. ბალა-ხი ისე გამოფიტულიყო, ფეხის ხმაზე იმსხვრეოდა და მტვრის პატარა ქულებს აჩენდა. მწერი და ქვეწარმავალი მომრავლებულიყო, ბუჩქებში განუწყვეტელი შრიალი და ფა-ჩუნი იდგა. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ფარნაოზს თურმე ინოს საფლავი თა-ვისი მშობლების აკლდამის გვერდით გაეთხარა, თითქმის მეზობლად. ეს კი მართლა უნებურად, შემთხვევით გამოსულიყო ასე. ამაშიც ბედისწერის ხელი ერია. როცა ინოს საფლავს ჩაუარეს, ფარნაოზი დაიხარა და საფლავზე დაგდებული ხმელი ტოტი აიღო. კუსამ გაიცინა და უთხრა: ჯერ მშობლებს მიხედო. კუსამ ესეც იცოდა, ინოს საფლა-ვისთვისაც მიეგნო, მაგრამ ფარნაოზი არც კი დაინტერესებულა, საიდან უნდა სცოდ-ნოდა კუსას ამ საფლავის ადგილსამყოფელი. მისთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო. კუსა პატარა აკლდამასთან იდგა და ფარნაოზი მიხვდა, იქ დაედოთ მის მშობ-ლებს სამუდამო განსასვენებელი, რომლის გზაც ისევ და ისევ კუსამ მოასწავლა, მეგ-ზურობა გაუწია, მეგ-ზურობა კი არა, მასპინძლობა, თითქოს უცხოელ სტუმარს თავის კარმიდამოს ათვალთვლებინებდა. კუსა მართლაც მასპინძელივით იდგა აკლდამის კარ-თან და ღიმილით ეპატიჟებოდა ფარნაოზს. მუმლი აკლდამაშიც ტრიალებდა, მაგრამ აქ უფრო გრილოდა.

- კარგი კაცი იყო პაპაჩემი - თქვა კუსამ და ხვლიკისფერ ლოდზე ჩამოჯდა.

ასეთი ლოდი აკლდამაში ორი იდო, ერთმანეთის გვერდით. ერთს ფარნაოზის დედა ერქვა, მეორეს კი - მამა. ფარნაოზს გააჟრჟოლა, შეცივნებულივით. ეგ იყო და ეგ, მე-ტი არაფერი უგრძვნია. კუსას სანდალი გაეხადა და ლოდზე ბერტყავდა.

- კარგი კაცი იყო პაპაჩემი - ისევ გაიმეორა კუსამ, მერე სანდალი ფეხზე ამოიცვა და გააგრძელა: ერთხელ ქამრით მცემო.

- რომ გცემა, იმიტომ იყო კარგი კაცი? - ჰკითხა ფარნაოზმა.

დიდი, მოშავო-მოყავისფრო კალია ისეთი გამეტებით დაენარცხა საფლავის ლოდს, თითქოს ვიდაცამ ისროლაო. კალიამ ხმელი და გრძელი ფეხები ქვის ხორკლიან ზე-დაპირზე მოაფხაკუნა და გაიმართა. კარგა ხანს იჯდა ასე და თავს ატრიალებდა.

- არა, მარტო მაგეტომ არა. საერთოდ იყო კარგი კაცი. - თქვა კუსამ.

ფარნაოზმა გაიფიქრა, ამ ლოდზე რომ შევდგე, ზღვას დავინახავო. კუსამ გაიცინა. ფარნაოზს არ გაჰკვირვებია და მაინც ჰკითხა: რა გაცინებსო.

- მძინარეს საბანი გადამხადა და ქამრით დალილავებულ ადგილებზე მკოცნიდა. გამიკვირდა, რამ გადარია-მეთქი, მაგრამ მაინც გავისუსე, თავი მოვიმკვდარუნე. იმის მერე სულ თვალებში შემციცივინებდა. მეც თავი ისე მეჭირა, ვითომ ძალიან ნაწყენი ვიყავი. არადა, სრულებით არ მწყენია, არცა მტკენია - კუსამ ისევ გაიცინა, ყალბად, ზერელედ, და გააგრძელა: მამამ თუ არ გცემა, აბა რილას მამააო.

კუსა უსინდისოდ ტყუოდა. სხვამ თუ არა, ფარნაოზმა ხომ იცოდა, უხეირო, რო-გორც არ უნდა ყვარებოდა კუსა, როგორც არ უნდა შეეწუხებინა შვილიშვილის გა-ლახვას, მაინც ვერ ადგებოდა და ვერ დახედავდა მძინარეს. მეორეც ერთი, თავის მამა-დაც გამოიყვანა იგი. კუსა ან სიმთვრალეში ურევდა რაღაცას, ანდა ფარნაოზს იგდებ-და მასხრად, თითქოს ფარნაოზი მართლა უცხო იყო და ისე, გასართობად, ზრდილო-ბისათვის უყვებოდა თავისიანების ამბავს. შეიძლება, ბრალსაც სდებდა, შეფარულად აყვედრიდა მშობლისადმი გულგრილობასა და უპატივცემულობას, რაკი ათი წლით მიეტოვებინა იგი, სწორედ იმ დროს, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა პატრონი და ხელის შემწყობი. ასე იყო თუ ისე, ფარნაოზს ისღა დარჩენოდა, მართლა უცხოსავით მდგარიყო ამ აკლდამაში და მორჩილად ესმინა დისშვილის ლაყობისთვის, რომელსაც აქაც მასზე მეტი უფლება ჰქონდა, თავისუფლად იქცეოდა და ისე უდარდელად და თა-მამად იჯდა საფლავის ლოდზე, როგორც მეფე ტახტზე. მას კი მშობლების გამორჩე-ვაც არ შეეძლო, არ იცოდა, რომელს რომელი ლოდი ედო გულზე.

ფარნაოზი აკლდამიდან გამოვიდა, გარემო ეუცხოვა და უნებურად ცას ახედა. ცაზე ელვამ გადაირბინა, ელვას ქუხილი მოჰყვა და ნაცრისფერი ჩრდილი გადაეფარა ყვე-ლაფერს. უთავბოლოდ მიმოფანტული ქანდაკებებიც თითქოს ეს წუთია გაშემდნენო. ფარნაოზს ერთი წამით დედალუსის ეზო გაახსენდა. ამ გახსენებამაც ელვასავით გა-ირბინა მის გონებაში. აკლდამიდან კუსაც გამოვიდა და ბიძას გვერდში ამოუდგა. ახ-ლა ორივენი ცას უყურებდნენ. შავი, უზარმაზარ თონედან ამომავალი კვამლივით აწ-რიალებული ღრუბლები, ვერაგი მტრის ლეგიონებივით, ჩუმად და შეუმჩნევლად მოგ-როვილიყვნენ ქალაქის თავზე. ელვამ ისევ გადაირბინა, თითქოს ვიღაცამ, ძლიერმა და უხილავმა, სწორედ ის ოქროსფერი ძაფი გამოარღვია, რომლითაც ღრუბლებს პირი ჰქონდათ ამოკერილი. პირგახსნილმა ღრუბლებმაც დაიგრუხუნეს და ნაცრისფერ, დაგ-ვალულ მიწაზე პირველმა მძიმე წვეთებმა გაადინეს ტყაპანი. უცებ ისეთმა წვიმამ და-უშვა, იძულებულნი გახდნენ ისევ აკლდამაში შებრუნებულიყვნენ. წვიმა კი გადაღე-ბას არ აპირებდა. პირიქით, თანდათან მატულობდა და მალე აკლდამის კარს მისი ფოლადისფერი და გაუმჭვირვალე კედელი ისე მოებჯინა, აკლდამაში ჰაერი ჩაიხუდა. კუსა ისევ იმ ლოდზე ჩამოჯდა, რომელზედაც წელან იჯდა და ფარნაოზმა იფიქრა, რომ სწორედ იმ ლოდის ქვეშ იწვა უხეირო.

- არ უნდა ჩვენი გათიშვა ბუნებას - თქვა კუსამ.

ფარნაოზი და კუსა მართლაც არასოდეს არ ყოფილან ასე ახლოს ერთმანეთთან, ასე მარტონი. კუსასი არ იყოს, თითქოს ბუნებაც ხელს უწყობდა მათ განმარტობას, ერთმანეთისკენ უბიძგებდა და, წვიმით ამოქოლილ აკლდამაში შეეყუჟულებს, აიძულებ-და, საბოლოოდ ეცნოთ ერთმანეთი. ერთი მსხვერპლი იყო, მეორე კი - ჯალათი. კუსა ფარნაოზის ჯალათად გაეჩინა ბუნებას და ამიტომაც ვერ შეძლო ფარნაოზმა მისი მოკვლა. ასე რომ მომხდარიყო, მაშინ ცხოვრებისა და

ბუნების კანონზომიერება უნდა დარღვეულიყო, მსხვერპლს უნდა გაეკეთებინა ჯალათის საქმე, ეს კი მართლაც წარ-მოუდგენელი უსამართლობა იქნებოდა. ბევრი რამე, რაც წინასწარ, უკვე დიდი ხნის წინათ აეწონათ, გადაეზომათ და დაედგინათ, ძირფესვიანად უნდა შეცვლილიყო. შეც-ვლას კი დრო დასჭირდებოდა, დროცა და ჯანიც, რაც ერთხელ უკვე გაელო ამ საქმის-თვის ბუნებასა თუ ბედისწერას და ხელმეორედ აღარ გაიღებდა. ან სად უნდა ეშოვნა და გინდაც ეშოვნა, რომელი სულელი და უსაქმური გაირჯებოდა ორჯერ ერთსა და იმავე საქმეზე, რატომ აქცევდა ჯალათს მსხვერპლად და მსხვერპლს ჯალათად, მხო-ლოდ და მხოლოდ იმიტომ, მსხვერპლს რომ ასე ერჩია. ეს მსხვერპლს თვითონვე უნდა ეზრუნა, რამის შეცვლას თუ აპირებდა. მსხვერპლი კი საამისოდ არ იყო მზად. უფრო სწორედ, საამისოდ არ ვარგოდა, მას ჯალათის გაწირვა შეეძლო მხოლოდ, მოსპობა კი არა. ეს მსხვერპლმაც იცოდა, ხოლო ამის ცოდნა უარესად აკნინებდა, აბეჩავებდა და თუ მისი ჯალათი, მხარზე ტომარაგადაკიდული, თამამად დააბიჯებდა ქალაქში, ესეც მისი დამსახურება გახლდათ, მისი სილაჩრის, მისი გაუბედაობისა და მოუხერხებლობის შედეგი. საკმარისია, ცოტა უფრო ძლიერი და ცოტა უფრო გამბედავი ყოფილიყო მსხვერპლი, ეს ჟღერიალი არასოდეს გაისმებოდა ვანის ქუჩებში; საკმარისია, ერთი წა-მით მორეოდა გულჩვილობას, ერთი წუთით ფეხებზე დაეკიდა, რას იტყოდა ქალაქი, ერთი წუთით დაევიწყებინა სინდისი, სამუდამოდ მოიშორებდა გაურკვეველი შიშისა და ჩაუდენელი დანაშაულის შეურაცხმყოფელ გრძნობას; მაგრამ ეს რომ შეძლებოდა, მაშინ აღარც მსხვერპლი იქნებოდა. კუსამ კი ნამდვილად ჯალათი იყო, გაჩენისთანავე, მაშინაც კი, როცა ფარნაოზს ხელში ეჭირა და გული შიშით უსკდებოდა, არ დავარდ-ნოდა, რამე არ ეტკინა მისთვის. კუსამ ყოველთვის მასზე ძლიერი იყო და თუ კუსამ ჯერჯერობით ეს არ იცოდა, არც ამით იცვლებოდა რამე; ადრე თუ გვიან, ისიც აუცი-ლებლად გაიგებდა, გაიგებდა და მაშინვე ამოქმედდებოდა, დრო აღარ დაეკარგა, დაკარ-გული დრო რომ ამოექაჩა და ბევრი აღარ ელოლიავა მსხვერპლისთვის, რომელიც მა-ინც მისი წერა იყო, მაინც ვერსად გაექცეოდა.

- გახსოვს, ჩემი მოკვლა რომ გინდოდა? - ჰკითხა კუსამ და აღარც ფარნაოზს უუარია, თითქოს ელოდებოდა კიდევ ამგვარ შეკითხვას და მაშინვე უპასუხა: მინდო-და, მაგრამ ვერ მოგკალიო. შეგეშინდა და იმიტომო, - არც კუსამ დაუგვიანა პასუხი.

- ხო - აღარ გაუძალიანდა ფარნაოზი.

- აი, მე კი არ შემეშინდებოდა... - გამომწვევად გააგრძელა კუსამ და ტომარას ისე წაჰკრა ფეხი, თითქოს მის ფეხებთან ჩაცუცქულ ძაღლს იშორებდნენ.

ტომარამ მართლაც გალახული ძაღლივით დაიწკავწკავა.

- რა გინდა ჩემგან? - ჰკითხა ფარნაოზმა.

კუსამ არ უპასუხა და აკლდამაში წვიმის ხმა გაისმა. კუსამ თითქოს დაფიქრების საშუალება მისცა, თუ გესმის, რას მეკითხებიო და ფარნაოზმაც იგრძნო ეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. ეს შეკითხვა კუსას სიძლიერისა და უპირატესობის აღიარებას ნიშ-ნავდა. ეს შეკითხვა, ეტყობა, წლების განმავლობაში მზადდებოდა, რათა დღეს, სწო-რედ დღეს, მშობლების აკლდამაში, ფარნაოზისთვის ყველაზე სუსტ ადგილას ამოე-ხეთქა, და ამოხეთქა კიდევ, შლამსა და ქანებში ტანჯვითა და წვალებით გამოვლილ-მა, უეცარი სინათლითა და თავისუფლებით



დაბრმავებულმა, სინათლესა და თავი-სუფლებას შეუჩვეველმა და ამიტომაც უკან დაბრუნების ყოველგვარ უნარსა და საშუალებას მოკლებულმა.

დუმილი დიდხანს გაგრძელდა და ამან უარესად ააფორიაქა ფარნაოზი. ერჩინა, აქ-ვე, თავისი დედ-მამის საფლავზე გამოეჭრა მისთვის ყელი კუსას, ვიდრე ასე თავჩაქინ-დრული მჯდარიყო, შეურაცხყოფილი კაცივით. ერთი წამით ისიც იფიქრა, იქნებ კი-დევე შემეშალა და კიდევ უმიზეზოდ ვატკინე გული კუსასო, მაგრამ კარგად არც კი ჰქონდა თავისი გულუბრყვილო ფიქრი დამთავრებული, კუსამ შემარიგებლად რომ შეჰ-ლიმილა და ისეთი რამე უთხრა, ფარნაოზს მართლა ერჩინა, სამუდამოდ დარჩენილი-ყო ამ აკლდამაში.

- აქედან, თუ გინდა, ინოსთან წავიდეთო - უთხრა კუსამ.

- ტყუი! - იყვირა ფარნაოზმა და ხელი გამეტებით მოუქნია. ძნელი სათქმელია, კუ-სამ დაინახა მისი ხელი და დროულად აიცდინა, თუ უბრალოდ ყურადღებაც არ მიუქცევია მისთვის და სწორედ იმ დროს დაიხარა ტომრის ასაღებად, როცა ფარნაოზმა გარტყმა დაუპირა.

- ხე, ხე, გათქმევინე თუ არა?! - გაიცინა კუსამ. ზღაპრით წამოდგა, ტომარა ზურ-გზე მოიგდო, აკლდამიდან გავიდა და ჟღრიალ-ჟღრიალით დაუყვა ატალახებულ ბი-ლიკს. ტომარა უცებ დასველდა და გაშავდა.

ამოდ იტყუებდა ფარნაოზი ამდენ ხანს თავს, არსებობდა ერთადერთი ინო, რო-მელსაც მთელი ქალაქი იცნობდა, ხოლო კიკინებაპრეხილ გოგოზე ფიქრი და ვითომ მისი საფლავის მოვლა-პატრონობა ბავშვური სისულელე იყო და მეტი არაფერი. ინო ცოცხალი იყო და სანამ ცოცხალი იქნებოდა, ვერც ერთი საფლავი ვერ დაიტევდა, ვერ გაიჩერებდა, და ეს ისეთივე სიმართლე იყო, როგორც მისი მშობლების სიკვდილი, რომლებიც ახლა ამ ლოდების ქვეშ იწვნენ. რა მნიშვნელობა ჰქონდა, რომელი ლოდი რომელს ედო გულზე, როცა ორივე ტოლი იყო, ორივე ერთნაირად ნაცრისფერი და ხორკლიანი. თვალთმაქცობას აზრი აღარ ჰქონდა, სიმართლისთვის თვალეში უნდა შეეხედა და იმდენი ვაჟკაცობა ჰქონოდა, გულში მაინც ეღიარებინა: ქვეყნის კი არა, ერთი გაჩხინკული გოგოს გადარჩენაც არ შემძლებიაო. სიმართლე ჯიუტი იყო, არა-ფერს დაგითმობდა, არც შეგიცოდებდა, არც შენი გულისთვის მოირთვებოდა ზიზილ-პიპილოებით და არც იმას დაგიდევდა, მოგწონდა თუ არა. შენი საქმე იყო, მიიღებდი თუ არა, შეეგუებოდი თუ აუჯანყდებოდი; არშემჩნევის, უგულველყოფის ნებას კი არ მოგცემდა, არ მოგცემდა იმიტომ, რომ არსებობდა და რაკი არსებობდა, ადგილსაც იკა-ვებდა, ხოლო რადგან ადგილს იკავებდა, ჩანდა კიდევ. ჩანდა, როგორ არ ჩანდა. ჩანდა და ეგრე! ფარნაოზს თვალეში სტკიოდა და თავი უბრუნებდა. ბუნებასავით შიშველი, ქარივით თამამი, წვიმასავით მოურიდებელი, ზღვასავით ჟინიანი და დამლუპველად ლამაზი იყო სიმართლის ღვთაება. ფარნაოზსაც მუხლი უნდა მოეყარა მის წინაშე. მისი ფეხის მტვერი ეკოცნა, მიწისთვის თავი ეხეთქა და მისი სადიდებელი ეგალობა. მაგრამ სიყვარულს სად დამალვოდა? ყველასაგან განწირული, მასაც როგორ გაეწირა? როგორ გამოემევებინა სულიდან, როცა იქლა ჰქონდა ერთადერთი თავშესაფარი, ნათ-რევსა და შეგინებულს?

ფარნაოზი აკლდამიდან გამოვარდა და ბილიკზე სირბილით დაეშვა. სველი, გალი-პული ბილიკი ფეხქვეშ უსხლტებოდა, თითქოს ცოცხალი ურჩხულის ზურგზე გარბო-და. წვიმასაც

გაუხარდა, კაცის გაწუწვის საშუალება რომ მიეცა და ხარხარით გამო-ენტო. ფარნაოზი კი გარბოდა, სველ ბილიკზე თავს ძლივს იკავებდა, ერთი-ორჯერ, ცოტას მორჩა, წაიქცა კიდევ. ახლა ორივე ხელი ტალახში ჰქონდა ამოსვრილი იდაყვებამდე და თითებს უნებურად ფარჩხავდა. სველი, წვიმის ქვეშ აქანავებული ბუჩქები და ეკალბარდები ფეხებში ებლანდებოდნენ, ტანსაცმელზე ებლაუჭებოდნენ, თითქოს უკანასკნელი იმედი ეცლებოდათ ხელიდან. ფარნაოზი კი მირბოდა, ვერაფერს ხედავდა, ვერცა გრძნობდა, ოღონდ, ტალახიანი, თითებგაფარჩხული ხელები ისე ეჭირა, თითქოს კედელს უნდა შესკდომოდა, ანდა ქვეყნისთვის უნდოდა ეჩვენებინა: აი, წვიმამ როგორ წამაქცია და დამსვარაო. ფარნაოზი სირბილით მივიდა სახლამდე, ეზოში, პო-პინას სამღებროზე აყუდებულ ბარს ხელი დასტაცა და სირბილითვე გამობრუნდა უკან. ახლა ბარიანად გარბოდა, ტალახიანი ხელებით ბარის ტარი ჩაებლუჯა, თითქოს ვიღაცას მისდევდა მოსაკლავად, ანდა თითქოს წვიმას მის ბოსტანზე ნიაღვარი მიეგდო და იმის გადასარჩენად გარბოდა ასე თავქუდმოგლეჯილი. ისევ ჩაუარა დუქნებისა და სახელოსნოების რიგს და წვიმას თავშეფარებულმა ხალხმა ისევ გულგრილად გააყო-ლა თვალი თავფეხიანად გაწუწულ კაცს, ბარშემართული რომ გარბოდა. მათ თავზე წყალი არ დასდიოდათ და არც გასაქცევად ჰქონდათ საქმე. ვიღაცამ მიაძახა: ქურდი ბაღში, დაჰკა თავშიო, მაგრამ ფარნაოზს არც ეს გაუგონია. ინოს საფლავზე რომ მი-ვიდა, წვიმამაც გადაიღო.

"ეს ჩემი საფლავია, ვის რა ესაქმება!" - გაიფიქრა ფარნაოზმა და ბარი მოიქნია. წვიმას ვერ მოესწრო მიწის გაჟღენთვა, მხოლოდ ზემოდან დაესველებინა. ხოლო ფარ-ნაოზი, ისედაც თავფეხიანად გაწუწული, უცებ გაიოფლა და უეცრად გამობრწყინე-ბულ მზეზე ორთქლი ასდიოდა, ბოლავდა, წყალგადასხმულ კოცონივით. ამოტრიალე-ბულ ბელტებს ბალახის ბუსუსას ფესვებზე ბოლქვა-ბოლქვა ეკიდა მშრალი, ფხვიერი მიწა. ფარნაოზი კი თავაულებლად თხრიდა და თანდათან თვითონაც ჩადიოდა მიწაში. ჯერ მუხლამდე, მერე წელამდე და მალე უკვე მხრებამდე იდგა იგი ხელმეორედ (სი-ნამდვილეში კი უკვე მესამედ) გათხრილ საფლავში. საცაა უნდა გამოჩენილიყო ინოს თავი, ან ბარის პირი მაინც უნდა წამოსდებოდა ქვას. მხრები სტკიოდა, ხელისგულები უბჟუოდა, მაგრამ მაინც არ შეუუსვენია. როგორც ახსოვდა, ასე ღრმა არ უნდა ყოფი-ლიყო საფლავი. თანაც მაშინ, როცა პირველად გათხარა იგი, თვითონაც უფრო დაბა-ლი იყო. მაშინაც მხრებამდე წვდებოდა საფლავი და ახსოვს, როცა ამოძვრა, ჯერ იდაყვებით დაეყრდნო საფლავის კიდეებს. ინოს თავი კი არ ჩანდა. ფარნაოზი გაშმა-გებული თხრიდა, თუმცა ბარს თავისუფლად ვეღარ ხმარობდა, წარამარა უხვდებოდა მიწის კედელზე და მყესებს აწყვეტდა. პირღია ორმოს გარშემო დაზვინული მიწა უკანვე ცვიოდა, თავზე ეყრებოდა, გაოფლილ ბეჭებზე ეწებებოდა. მიწისა და გახრწნი-ლი ფესვების სუნი გულს ურევდა. საფლავი გაექურდათ. ფარნაოზი უკვე დარწმუნე-ბულიყო ამაში, ეჭვი კი ადრეც ჰქონდა, ვიდრე თხრას დაიწყებდა. სინამდვილეში ამი-ტომაც დაიწყო თხრა, რათა საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ... რომ ინოს თავი და-ელწია მისი ტყვეობიდან. ვინ იცის, რა საფასურით, მესაფლავე მოესყიდა და გაპარუ-ლიყო. "კი მაგრამ, რაში დასჭირდა კუსას ამ საფლავის გაქურდვაო" - გვიან გაუკვირ-და ფარნაოზს. ეს კი მართლაც ძნელი ასახსნელი იყო. "ალბათ, გაყიდაო", - ფიქრობ-და იგი, რადგან სხვა ვერაფერი მოეფიქრებინა, თუმცა თვითონვე გრძნობდა, განგებ ფიქრობდა ასე, განგებ აიოლებდა გამოცანას, რომლის ამოხსნაც არ შეეძლო და აღარც უნდოდა, ისე მორეოდა დადლილობა. ცუგას თავის გაყიდვაც ხომ კუსამ ურჩია, კი არ ურჩია, მიახვედრა, შესაძლებელი რომ იყო ცუგას თავის გაყიდვა. ფარნაოზმა ბარი ამოაგდო ორმოდან, თვითონ კი ფსკერზე ჩაჯდა

და დაბუჟული მკლავით სახე მოიხოცა. "ტყუილუმბრალოდ გავისარჯეთ, ძმაო", - თქვა ნირწამხდარმა და ხელისგულ-ლით მიწა მოასწორა. არც აქ ჯდომას ჰქონდა აზრი, მაგრამ ისე დაღლილიყო, ენით აუწერელ ნეტარებას გვრიდა სამარის სიგრილეში ჯდომა. ფარნაოზმა თავი ასწია და ცა დაინახა. "დედალუს, დედალუს!" - დაუძახა ცას და მერე ჩუმად, გუნებაში გააგრძელა: ერთი, თუ ძმა ხარ, მეც მასწავლე, როგორ ამოვფრინდე აქედანო. მართლა გაუჭირდა საფლავიდან ამოსვლა. ფხვიერ ბორცვს ხელი არ ეკიდებოდა. უაზრო სირბი-ლისა და შრომისაგან მთელი სხეული მოსავათებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მაინც ამოვფხდა. იქვე საფლავის კიდეზე ჩამოჯდა და თან ფეხებით მიწას უკანვე ყრიდა. უცებ იასამნის ბუჩქებიდან ჩიტმა დაუსტვინა. ფარნაოზი ისე დაიძაბა, თითქოს წარ-მოუდგენელი იყო აქ, სასაფლაოზე, იასამნის ბუჩქში ჩიტი მჯდარიყო და ესტვინა. ფარნაოზს ჩიტის დანახვა მოუნდა და კისერი დაიგრძელა, მაგრამ ჩიტი ვერ დაინახა, სტვენა კი ესმოდა. ხმელი, გამკვრივებული გორახი აიღო და ბუჩქებს ესროლა. გორახი ბუჩქებში ჩაიფშვნა, ჩიტი გაჩუმდა, მაგრამ ცოტა ხნის მერე ისევ დაუსტვინა. კაცის საქციელმა ჩიტი გააბრაზა თუ გაახალისა, ახლა მთელი ხმითა და გაბმულად, შეუსვენებლად უსტვენდა.

"მწყევლისო" - გაიფიქრა ფარნაოზმა.

წვიმის შემდეგ კი ქვეყანა პირველყოფილი სიმშვენიერით ბრწყინავდა, კისკისებდა და არც დაღლა ეტყობოდა, არც ასაკი, მზად იყო თავიდან გაემეორებინა ყველაფერი, გაეჩინა, შეექმნა, მოეკლა და დაენგრია. ვინ იცის, სწორედ ახლა, ამ ერთ წუთში, ატალახებული მიწისა და მზის მცხუნვარე სხივების შეულღებით, რამდენი, რამდენა-ირი თესლი ღვივდებოდა, გამსკდარი ბოჭკოდან, პარკუჭიდან თუ კვერცხიდან რამდენი ყლორტი, ჭია და მწერი გამოდიოდა სამზეოზე და ყველას ჰქონდა თავისი ადგილი, მკლავის გასაშლელი, საცოცავი, საბრუნავი, რადგან ამდენივე სტოვებდა სამზეოს, კვდებოდა, ილექებოდა, იხრწნებოდა და ისევ თავის ადგილს იკავებდა სიკვდილ-სი-ცოცხლის წრეში, რადგან ახლა სხვა სახით, მარადიული ტრიალისგან შეცვლილი, გადასხვაფერებული მოვლენოდა ქვეყანას მირიადი წლების შემდეგ, როცა ისევ მოვი-დოდა მისი რიგი. ამ მირიადი წლების შემდეგაც მისი მოვალეობა მაინც იგივე იქნე-ბოდა: უნდა ეცოცხლა და მომკვდარიყო, უნდა მომკვდარიყო და ეცოცხლა. და ასე და-უსრულებლივ. რაც არ უნდა პატარა და უმნიშვნელო ყოფილიყო იგი, პატარა და უმ-ნიშვნელო, მისი უკვალოდ გაქრობა, მისი ამოვარდნა სიკვდილ-სიცოცხლის ამ ჯადოს-ნური წრიდან მაინც დაეტყობოდა ქვეყანას, მაინც შეფერხდებოდა რაღაცა, და ეს შე-ფერხება, თუნდაც წამიერი, სრულყოფილების იერს დაუკარგავდა სააქაოსაც და საი-ქიოსაც. ამიტომ, მწერსაც კი არ ჰქონდა უკვალოდ გაქრობის უფლება. მსგავსს მსგავ-სი უნდა დაეტოვებინა და სანამ მსგავსს არ შექმნიდა, არც სიკვდილის ნება ჰქონდა, რადგან სიკვდილი დასვენებაში ეთვლებოდა. იქ, სიკვდილში გადასულს, შეეძლო გულხელდაკრეფილს ეცადა, როდის გამოუნახავდნენ ახალ ფლასსა და ნიღაბს, და დაუძახებდნენ: ადექ, დარეკა შენმა ჟამმაო.

\* \* \*

- ცოლი უნდა შევირთო, - უთხრა ერთ დღეს ფარნაოზმა პოპინას.

პოპინამ ხელები წინსაფარზე შეიმშრალა და სკამზე დაჯდა. დაწითლებულ ხელებზე ორთქლი ისევ ასდიოდა.

- რა თქვი? - თითქმის ჩურჩულით ჰკითხა პოპინამ. ჩურჩული გამოუვიდა, რადგან უცებ ხმა ჩაეხრინწა.

- ცოლი უნდა შევიროთ - გაიმეორა ფარნაოზმა - მოგეხმარება.

- მომეხმარება? - იმავე ხმით ჰკითხა პოპინამ და რამდენჯერმე ჩაახველა, თითქოს ხმელი პურის ნამცეცი გადასცდენოდა სასულეში.

- რა იყო, რატომ გაგიკვირდა? არ შეიძლება? - ჰკითხა ახლა ფარნაოზმა.

მასაც გაუჭირდა ლაპარაკი.

- მე მიკვირს? - ამოისლუკუნა პოპინამ და მხოლოდ მაშინ შეამჩნია ფარნაოზმა, პოპინა ტიროდა.

ქალს, რომელსაც ფარნაოზის ცოლობა ეწერა შუბლზე, თინა ერქვა. თინა და ფარნაოზი ერთმანეთს პატარაობიდან იცნობდნენ, თინა მათ მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა, ქუჩის გადაღმა. სხვა არაფერი არ ჰქონიათ საერთო, ყოველდღე ხვდებოდნენ, მაგრამ ერთმანეთს თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ. თინას, როგორც ყველა ბავშვს, თა-ვის ეზოს სხვისი ეზო ერჩია. საათობით იჯდა ხოლმე შუბუს დარგულ ლედვის ხეზე, ფართე, ხაოიან ფოთლებში ჩამალული, და მთელი ხმით მღეროდა, სანამ ქუჩის გა-დაღმიდან დედა არ დაუმახებდა: ჩამოეთრე, შე სასიკვდილე, ლეღვი ჩვენც ხომ გვიდ-გასო. თინას კი ეს ლეღვი ერჩია, მაგრამ, დედის შიშით, იძულებული იყო, ჩამობრძანებულიყო; სიმღერისგან სახელაწილი და მკლავებდაშაშრული, უხალისოდ გადიოდა ეზოდან. ხან თინა ქალუკას ჩაუცუცქდებოდა ხოლმე წინ, და იქამდე გაუწყალებდა გულს, სანამ ქალუკა ქვასანაყს არ დაუთმობდა. "ჩვენცა გვაქვს ქვიჯა, შე სასიკვდილეო", - ეძახდა ქუჩის გადაღმიდან დედა, მაგრამ თინას ეს ქვიჯა ერჩია, ჯადოქრის ჯამფილასავით გამაბრუებელ სურნელს რომ აფრქვევდა გარშემო და ზუსტად მისი გულივით ხმაურობდა. ქალუკა დანაყილ ქინძსა თუ ნიგოზს ჯამში რომ გადაიღებდა, ქვასანაყს აუცილებლად თინას გაალოკინებდა. "რატომ ჩვენს ბიჭთან არ თამაშობო", - ეკითხებოდა ქალუკა და სანამ უპასუხებდა, თინა ჯერ მხრებს აიწურავდა ხოლმე.

- არ შეიძლება და იმიტომ! - პასუხობდა თინა.

- რატომ, რატომ არ შეიძლება? ცუდი ბიჭია ფარნაოზი? - თავს ირთობდა ქალუკა ბავშვთან საუბრით.

- ყველა ბიჭი ცუდია! - პასუხობდა თინა.

- ოოხ, თინა, თინა... შენ მოიყარე ჩემი ხნისა! - იცინოდა ქალუკა.

თუ მათ საუბარს პოპინა შემოესწრებოდა, ქალუკა თინას თვალს ჩაუკრავდა ხოლმე და პოპინას ეუბნებოდა, გაიგე, ქალო, თინა ჩვენს ბიჭს მიყვება ცოლადო.

- არაფერიც! - ამბობდა თინა.

- მართლა, თინიკო? - ეკითხებოდა პოპინა, ვითომ ესაა დაიჯერა ქალუკას ნათქვა-მიო.

- არაფერიც! - იმეორებად სატირლად გამზადებული თინა.

თინას ორივე უყვარდა, ქალუკაც და პოპინაც, რადგან ისინი ყურადღებას აქცევდნენ, ტოლივით ელაპარაკებოდნენ, ხან ვაშლს ჩაუდებდნენ ხელში ძალათი და ხან თხილს ჩაუყრიდნენ კალთაში. ხოლო დედა რომ დაუტატანებდა, ისინი უღიმოდნენ და ეუბნებოდნენ, კიდევ მოდი ჩვენთანო. დედას კი თინა ყველაფერში ხელს უშლიდა, როგორც თვითონვე ამბობდა, "ფეხებში ებლანდებოდა" და გაუთავებლად ბუზუნებდა: ნუთუ არ გამოჩნდება ვინმე, შენისთანა ოხერი, დროზე რომ მიგაშავო და მეც დავის-ვენოო. "არაფერიც!" - პასუხობდა თინა გუნებაში, რადგან სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდა. დრო კი გადიოდა და იმის ნაცვლად, თინა და ფარნაოზიც დაახლოებულ-ლიყვნენ, უფრო უცხოვდებოდნენ, მალე აღარც კი ესალმებოდნენ ერთმანეთს, თითქოს მართლა უცხოები იყვნენ, ანდა ბავშვობის ნაცნობობა არ ითვლებოდა. თინამაც მოუკლო ქალუკა-პოპინასთან სიარულს, სამეზობლო საქმეზეა თუ გადავიდოდა და ისიც მაშინ, როცა წინასწარვე იცოდა, ფარნაოზი შინ არ იქნებოდა. თანდათან დედამისმაც მოუკლო მის წყევლასა და გინებას. გასათხოვარი ქალის ოჯახი ჩაწყნარდა, გაილურ-სა და ბედთან შესახვედრად მოემზადა. ქალუკასა და პოპინას კი მართლა შეყვარებო-დათ მათ თვალიწინ გაზრდილი თინა და ყოველთვის საყვედურობდნენ, რა იყო, გოგო, რა დაგიშავეთ, სულ რომ აიღე ჩვენზე ხელიო.

- არაფერი, ქალუკა ბებო, არაფერი, დეიდა პოპინა... პირიქით... - თავს ვერ აზამდა თინა და თან ისე შეეფაკლებოდა სახე, თითქოს ეს წუთია, შეუწყვეტია სიმღერა და ლედვის ხიდან ჩამოსრიალებულაო.

ფარნაოზი კრეტაზე რომ წავიდა, თინამ ისევ მოუხშირა მათთან სტუმრობას. დედა-მისს თუ დასჭირდებოდა, ანდა ამხანაგები თუ გამოუვლიდნენ ქალაქში გასავლელად, პირველად უხეიროსთან მოაკითხავდნენ და თინაც აუცილებლად იქ დახვდებოდათ. იჯდა სამი სხვადასხვა ასაკის ქალი დიდ ოთახში და ვერც კი გრძნობდა, უფრო მეტი საერთო რომ ჰქონდათ, ვიდრე გასარჩევი ლობიო, გალებად ასასხმელი ნიორი, ანდა ტყემლისა თუ ბადაგის მოდულება. რაც არ უნდა ეთქვა, რაც არ უნდა გაეკეთებინა თინას, ყველაფერი მოსწონდათ ქალუკასა და პოპინას, მაგრამ ძნელი სათქმელია, ასე-თი სრულყოფილი ბუნება ჰქონდა თინას, თუ ისინი მხოლოდ კარგს ხედავდნენ მასში, რადგან უყვარდათ. თინასაც კარგად გაეცნო ამ ხნის განმავლობაში ეს ორი, ერთნაი-რად უბედური ქალი, თავიანთ უბედურებას მართლა გამირული სიკერპიტა და სიჯიუ-ტით რომ მალავდნენ და ცდილობდნენ, ეს უბედურება ექციათ ბედნიერებად და არა სხვაგან, თავიანთი უბედურების გარეთ ემეზნათ იგი. არც ოჯახური ამბების გამოტანა უყვარდათ გარეთ, ზოგ-ზოგებივით, ჭიმკრებთან ჩამომსხდარნი, გასაშრობი მატყლივით რომ გაიფენენ წინ, ამვლელ-ჩამვლელის დასანახად. თინას კი თავისიანად თვლიდნენ, შეჩვეოდნენ და უყვარდათ. ერთხელ, როცა თინამ კაბა აიწია, გადატყაული მუხლი აჩვენათ და უთხრათ, თქვენს ეზოში დავეციო, ორივე ქალი გულწრფელად მოიხიბლა მისი ჩამოსხმული და ჯიშინი ფეხების ხილვით. თინა თვალსა და ხელს შუა დაქა-ლებულიყო და ქალუკამ უანგარიშოდ, ყოველგვარი შეფარული განზრახვის გარეშე თქვა: გახსოვს, რომ გაბრაზებდი, ფარნაოზს უნდა გაგატანო ცოლადო?

თინამ გაიღიმა და კაბის ქალთა ისე უცებ ჩამოუშვა, თითქოს ოთახში ფარნაოზი შემოსულიყო. პოპინამ კი ამოიოხრა: ნეტავ მართლა ასე მომხდარიყო, მაშინ იქნებ ძმა მაინც არ დამკარგვოდაო. ამ საუბრის შემდეგ ქალები კიდევ უფრო დაახლოვდნენ, ფარნაოზსაც უფრო ხშირად იხსენებდნენ, თითქოს თინას თანდასწრებით სხვა რამეზე არ შეეძლოთ ლაპარაკი და პოპინაც ყოველთვის ამოიოხრებდა ხოლმე, "ნეტავ ასე მომხდარიყო". თინასთვის კი არც ერთს არ უკითხავს, თანახმა იყო თუ არა, ასე რომ მომხდარიყო, თითქოს სამივენი ამ საკითხზე წინასწარვე შეთანხმებულიყვნენ და ახ-ლა ოხვრითა და გაუთავებელი ოცნებით ცდილობდნენ გამოესწორებინათ ოდესღაც ჩაფუშული საქმე. ასე რომ, ვერც ერთმა ვერ შეამჩნია, როდის და როგორ დაიწყო "ნათესაობანას" თამაში. ახლა რამე ოჯახური საკითხი რომ ჰქონდათ გადასაწყვეტი, პოპინა ქალუკას ეტყოდა ხოლმე, მოვიცადოთ, რძალსაც ვკითხოთო. "რძალიც" იფერებდა და ისეთი გულითადობით ეკიდებოდა უხეიროს ოჯახის ამბებს, თითქოს მართ-ლა ფარნაოზის ცოლი იყო და ფარნაოზს დაებარებინოს მისთვის, აბა, შენ იცი და შენმა ქალობამ, ჩემს ჩამოსვლამდე როგორ ამოუდგები ჩვენებს მხარშიო. თინამ, თინამ კი არა, სამივე ქალმა იცოდა, თავისუფლად შეიძლებოდა, ფარნაოზი საერთოდ არ დაბრუნებულიყო, ანდა უკვე დაცოლშვილებული დაბრუნებულიყო, რისი მაგალითე-ბიც ბევრი არსებობდა მაშინ ვანში, მაგრამ მაინც არც ერთი არ იტებდა იხტიბარს და, თავიანთი ქალური რწმენისა და იმედის ქოხში შეეყუჟულნი, ერთმანეთს უადვი-ლებდნენ ცხოვრებასა და მოლოდინს. თინას სიამოვნებდა, "რძალს" რომ ეძახდნენ და ისე შესჩვეოდა ამ არარსებულ რძლობას, თავს ვალდებულად თვლიდა, განუწყვეტლივ ეფიქრა ფარნაოზზე, როგორც ერთგულსა და პატიოსან მეუღლეს, რომელიც ბედმა თუ უბედობამ დიდი ხნით დააშორა ქმარს და ასეთი მკაცრი გამოცდა მოუწყო. თინას ფარნაოზი ესიზმრებოდა კიდევ. სიზმარში ისინი მართლა ცოლ-ქმარივით ექცეოდნენ და ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ფარნაოზი ოჯახის ამბებს ეკითხებოდა, ყველას მო-იკითხავდა ხოლმე და წასვლისას ყოველთვის ეუბნებოდა, მადლობელი ვარ შენი, მეც გადამეხადოს ეს ერთგულება და პატივისცემაო. დილით, სიზმრისაგან აფორიაქებული თინა, ხალვათად, საშინაოდ ჩაცმული, გადაირბენდა ქუჩას და მისი მონაყოლი სიზმა-რი პოპინასა და ქალუკასაც ისე აფორიაქებდა, თითქოს თინას მათთვის მართლაც უტყუარი, მართლაც ფარნაოზის დანაბარები ამბავი მოჰქონდა. მერე ქალები სიზმრის ახსნას იწყებდნენ და კიდევ ერთხელ თანხმდებოდნენ, ყველაფერი ისე იქნებოდა, რო-გორც მათ უნდოდათ, "მეც მიკითხაო?" - მეთაეჯერ ეკითხებოდა ქალუკა და თინაც მე-ათეჯერ პასუხობდა: ხო, ყველანი... მერე მაკოცა და მითხრა, მადლობელი ვარ, გადამე-ხადოსო.

უხეირო რომ მოკვდა, თინამ ჭირისუფალივით გამოიძო თავი, თუმცა სიცოცხლეში არასოდეს ენახა თავისი "მამამთილი". დაკრძალვამდე ფეხი არ ჩაუმუხლია, ჯარასავით ტრიალებდა და სამგზის დასვა და დააპურა მთელი ქალაქი; უხეიროს დაკრძალვაზე კი იმდენი ხალხი მოვიდა, ზემოდან ქლიავი რომ გადმოგეყარათ, ერთიც არ ჩააღწევდა მიწამდე. მოდიოდა და მოდიოდა, ემატებოდა და ემატებოდა, იცნობდა თუ არ იცნობდა უხეიროს, ყველას აინტერესებდა მისი ნახვა, ამდენი ხანი მწოლიარეს რომ გაემლო, თავი რომ არ მოეკლა, არ გაგიჟებულიყო, და ახლა მოდიოდნენ, როგორც რომელიღაც დიდ შეჯიბრში გამარჯვებულ ფალავანთან, რომელთან მისასვლელადაც აუცილებელი არ იყო პირადად ცნობოდათ იგი, რადგან მთავარი თვითონ კი არ იყო, არამედ გამარ-ჯვება, რომელიც მას მოეპოვებინა და რომლითაც ყველასთვის ცნობილი გამხდარიყო.

თინა ყველაფერს ასწრებდა, ჭირისუფლობასაც და საქმესაც. საქმე კი ყოველთვის გამოუღებელია, როცა ოჯახში მიცვალებული ასვენია. სამძიმარზე მოსულ ხალხს თი-ნა პოპინასა და ქალუკასთან ერთად ხვდებოდა და ამაოდ უბღვერდა, ამაოდ ანიშნებდა დედამისი, გამოდი, მანდ რას დგახარ, რა შენი საქმეაო. დედამისმა არ იცოდა, მისი ქა-ლიშვილი ამ ოჯახის რძალი რომ იყო და ისე იქცეოდა, როგორც კარგ რძალს ეკად-რებოდა. ხალხი კი, რომელმაც თინას დედასავით არაფერი იცოდა, ამბობდა: ქალიც ეგ ყოფილა, მეზობლობაც ესაა, ჩვენს დროში შვილიც არ გაგიკეთებს ამასო. უხეი-როს სიკვდილმა ფარნაოზი აუცილებელი გახადა ოჯახისათვის, ოჯახს კაცი სჭირდე-ბოდა... შუბუ მამულს უვლიდა, კუსა კი ათასში ერთხელ თუ შემოიხედავდა, ისიც საჩხუბრად და საჯუჯღუნოდ, რათა უარესად მოეკლა გული დედა-ბებიასათვის. "გა-მაგდეთ, მომიშორეთ, და ახლა ვეღარ გაგიძლიათ უჩემოდაო", - იგესლებოდა კუსა და ქალებმაც აღარ იცოდნენ რა ეპასუხეთ, ორივეს პირკატა ჰქონდა ნაცემი.

პოპინა მკვდარი დადიოდა, მაგრამ რა ექნა, ვისთვის შეეჩვილა თავისი გასაჭირი? მისი ჩივილი ქალუკას შეიძლება საყვედურად მიეღო, რადგან თუ კუსა პოპინას შვი-ლი იყო, კუსას მამა ქალუკას გაეჩინა. ქალუკამ უთქმელადაც იცოდა, რა ცეცხლი ტრიალებდა პოპინას გულში, არც თავის დანაშაულს უარყოფდა, რადგან თავად რომ არ გაეჩინა ფილამონე, ვერც პოპინა გააჩენდა კუსას. ცოდვა დიდი იყო, ძლიერიც, და შეეძლო, თავის ნებაზე ებურთავებინა ეს ორი ფარატინა დედაკაცი, ერთი თოკით გა-დაება ერთმანეთზე, რათა უფრო იოლად და ერთდროულად გასწორებოდა ორივეს. ამიტომ ორივესთვის, ქალუკასთვისაც და პოპინასთვისაც, განსაკუთრებულად ძვირფა-სი იყო მესამე, გარეშე ადამიანი, რომელსაც არც მათ ცოდვაში ედო წილი და არც არაფერი გაეგებოდა ამ ცოდვისა. თინა სწორედ რომ მხსნელად მოვლენოდათ. მესამე ადამიანის სიახლოვე, უფრო სწორედ, ამ მესამე ადამიანის სიწმინდე და გულუბრყვი-ლობა ქვიტკირივით ამაგრებდა მათი მოთმინების კედელს, აქა-იქ უკვე გაბზარულსა და დასაქცევად გამზადებულს. ამ კედლის დაშლა ჯერჯერობით არ შეიძლებოდა, იმი-ტომ კი არა, სული რომ ტკბილია და თავისი ნებით ორივეს გაუჭირდებოდა ამ ქვეყ-ნიდან წასვლა, უფრო იმიტომ, ჯერჯერობით საჭირონი რომ იყვნენ ამ ქვეყანაზე, თუნდაც, ამ სახლში, სადაც მხოლოდ იხოვებოდნენ, ანდა საიდანაც გარბოდნენ, დაბა-დებით კი აღარავინ იზადებოდა. განა უფლება ჰქონდათ, მათაც მიეტოვებინათ აქაუ-რობა, სანამ თუნდაც უმნიშვნელო იმედის ნატამალი მაინც არსებობდა, იქნებ, კიდევ მოედგა სიცოცხლეს ფეხი ამ კედლებს შორის? ისინი ქალები იყვნენ და ამის უფლე-ბა არ ჰქონდათ. თინა კი სწორედ იმედის ის ნატამალი აღმოჩნდა, რომელსაც წყალ-წადლებულებივით ჩაჰკიდებოდნენ და გადარჩენის სურვილს ისე გამოესულელებინა ორივენი, დაეჯერებინათ კიდევ, თინა მართლა მათი რძალი რომ იყო, ფარნაოზიც აუცილებლად რომ დაბრუნდებოდა, რადგან შინ ცოლი ელოდებოდა, და ისევ დატრი-ალდებოდა ჩვილის ჭყვილი და სუნის ამ დასაქცევ სახლში.

- დღეს რა ლამაზი ხარ, ჩემო რძალო! - ეუბნებოდა პოპინა თინას და თინასაც უხაროდა, სწორედ პოპინა რომ ეძახდა რძალს, სწორედ პოპინა რომ თვლიდა ლამა-ზად.

თინას თავისი საქმე, თავისი მიზანი ჰქონდა და ჯიუტად, მოთმინებით მიიწევდა ამ მიზნისაკენ, როგორც ფილაქნის ქვეშ მოხვედრილი ბალახის თესლი, ბოლოს და ბო-ლოს, მაინც რომ გამოხეთქავს ფილაქანს, მაინც რომ გაბზარავს, რათა იმ ბზარებში თავისი მწვანე და ბუსუსა ყლორტები ჩააწვინოს. თინამ ფარნაოზის ცოლობა ჯერ კიდევ მაშინ გადაწყვიტა, როცა კალთაში

ქვიჯაჩადგმული ქალუკა ეხუმრებოდა, თავის შესაქცევად ეუბნებოდა: გინდა თუ არა, ფარნაოზს უნდა მიგათხოვო. ის, რასაც მა-შინ დიდები ხუმრობად თვლიდნენ, მისთვის ხუმრობა არ იყო: უკვე მაშინვე სჯეროდა, ადრე თუ გვიან, ასე მოხდებოდა. ასე უნდოდა და იმიტომ. მერე რა, ფარნაოზი ზედაც რომ არ უყურებდა, არც მასთან თამაშს კადრულობდა და არც მის დაკრეფილ ლელვს მიირთმევდა? თინა ხომ მისთვის კრეფდა?! ფართე, ხაოიან ფოთლებში ჩამალული, ერთს თვითონ რომ ჭამდა, მეორეს კალათაში დებდა, ეს ფარნაოზსაო. სიმღერითაც ფარნაოზისთვის მღეროდა და, რაც შეეძლო, აწვრილებდა ხმას, რათა ფარნაოზისთვის მისი არსებობა გაეხსენებინა, გაეფრთხილებინა, აქ, შენს ლელვზე ვარ დამალუ-ლიო. ფართე, ხაოიანი ფოთლები მთელს ტანზე ღულუდოებს აყრიდა, მაგრამ მაინც ითმენდა, რადგან აქედან უკეთესად უთვალთვალედა მის ყოველ ნაბიჯს. "ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიიცი მეეე", - მთელი ხმით მღეროდა, მთელი ხმით გაჰკიოდა თინა, სა-ნამ ქუჩის გადაღმდიან დედა არ დაუტატანებდა და არ ჩამოაბრძანებდა ძირს, მკლავებ-გადატყაულსა და დასუსხულს. თინამ მართლა ყველაფერი იცოდა, რაც კი ფარნაოზს შეეხებოდა, რისი ცოდნაც აუცილებელი იყო, რათა ფარნაოზს რამე ისეთი სისულელე არ ჩაედინა, სამუდამოდ დაჰკარგოდა თვალთახედვიდან. მთავარია, არ დაჰკარგოდა, სხვას კი ყველაფერს მოეველებოდა. თინა დარწმუნებული იყო თავის თავში და არასო-დეს მტკივნეულად არ განუცდია ფარნაოზის გულგრილობა, სხვას რომ, ალბათ, სამუ-დამოდ აალებინებდა ხელს განზრახვაზე. თინა იბრძოდა, მან იცოდა, ფარნაოზი უნდა მოეპოვებინა, როგორც ლუკმა, ოფლითა და მოთმინებით, როგორც მამა ეუბნებოდა ხოლმე, როცა პირისაკენ წაღებულ ხელს მაჯაში დაუჭერდა და ჰკითხავდა: რასა ჭამო. "შენს ოფლსაო" - დაუფიქრებლად პასუხობდა თინაც მამას ელიმებოდა და ამბობდა: გახსოვდეს, ლუკმა ოფლითა და მოთმინებით მოიპოვებო. "ოფლითა და მოთმინებით, ოფლითა და მოთმინებით" - იმეორებდა თინაც გუნებაში და რატომღაც ლუკმის მა-გივრად ყოველთვის ფარნაოზი ედგა თვალწინ.

- იცი, მამა, ფარნაოზს ძალი ყავს, - ეტიტინებოდა თინა მამას.

- მერე რა მოხდა, ჩვენ არა გყავს ძალი? - უკვირდა მამას.

- ძალი ხომ ადამიანზე ადრე კვდება? - არ ეშვებოდა თინა და მამასაც უცებ ბეზ-რდებოდა ამ სულელ გოგოსთან ლაპარაკი, რადგან არ ესმოდა, ვერ ამოეცნო მისი მთავარი სათქმელი.

თინა კი ცუგაზე ფიქრობდა, მისი წკავწკავი და ფარნაოზის სიცილი რომ ესმოდა, თვითონაც უნებურად ილიმებოდა და ფიქრობდა, როდემდე შეეძლო ასე წკავწკავი ცუ-გას, თუკი არაფერი შეემთხვეოდა და თავისი სიკვდილით მოკვდებოდა, თვალეზაწირ-პლული და ფერდებგადატყაული, როგორც მათი ძალი, ადრე რომ ჰყავდათ, სანამ ახალს მოიყვანდა მამა. ახლის მოყვანა კი იმიტომ დასჭირდა მამამისს, ის ძველი ერთ დილას მკვდარი რომ იპოვეს ეზოში. თინას შეეზიზღა მკვდარი ძალი, რადგან ცხვირზე უკვე მატლი შეჰლოდებოდა. "კარგა ხანს გვემსახურაო", - თქვა მაშინ მამამ. "მაინც რამდენ ხანს გვემსახურაო", - ფიქრობდა ახლა თინა, რადგან ცუგა ჯერ სიკვ-დილს არ აპირებდა. რა დროს სიკვდილი იყო, ახლა იწყებდა სიცოცხლეს, დღითი დღე ლამაზდებოდა, ცელქდებოდა და ხალისდებოდა. ფარნაოზსაც აღარავინ ახსოვდა ცუგას მეტი. თინას ცუგა სძულდა, მაგრამ არავისთან სიტყვა არ დასცდენია ამ სი-ძულვილზე. ყველგან და ყველასთან აქებდა, ასეთია და ასეთია ჩვენი ძალიო და სხვების



თვალში ისიც საქმეში გადიოდა, ისიც ცუგასა და ფარნაოზის ამხანაგად ითვლებოდა. ეტყობა, თინას ნალაპარაკევი ფარნაოზამდეც აღწევდა, რადგან ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, ფარნაოზმა თინა შეამჩნია, გაუჩერდა კიდეც და უთხრა: იცი, გუშინ ცუგა ბაყაყმა შეაშინაო. თინა ძალიან დააინტერესა ამ ამბავმა, ერთიანად გაცისკროვნებულმა მოისმინა თავიდან ბოლომდე, როგორ დასკუპებულა ცუგას წინ მწვანე, თვალეზგადმოკარკლული გომბეშო, რომელსაც გაფუყული ჩიჩახვი ისე უბუყ-ბუყებდა, თითქოს პირში წყალი დაუგუბებიაო; როგორ აკანკალებულა თავფეხიანად ცუგა, სანამ ფარნაოზს არ წაუთაქებია და არ უთქვამს, აი, შე მშიშარა, შენაო. მერე კი, როგორ გამოცოცხლებულა, როგორ შეკუნტრუშებულა და შეუყეფია, ვითომ ეს ვინ მიგდიაო, და ნაღვლის ბუმტივით უბურთავებია გომბეშო. თინა ილიმებოდა, კისკისებ-და და სანამ ფარნაოზი ყვებოდა, თვალი არ მოუშორებია ცუგასთვის, ფეხებში რომ ეგლისებოდა ორივეს, საკუთარ კუდს დასაჭერად რომ დასდევდა და ციბრუტივით ტრი-ალებდა. მერე ცუგა ფეხსადგილის ორმოში ჩავარდა და თინამ პირველი გამარჯვება იზეიმა, თუმცა გარეგნულად არაფერი შეტყობია. სამი დღე არც ის მოშორებია ფეხ-სადგილს, სამი დღე ისიც ყელაწეული იხვეწებოდა, უშველეთ, ცოდოაო. ღამით კი, ლოგინში წამომჩქდარი, დამაბული უსმენდა, კიდეც წკმუტუნებდა თუ არა ცუგა. როცა დათითხნილი ცუგა მხსნელმა ორმოდან ამოაგდო, ერთი პირობა კიდეც შეეშინდა თი-ნას, ვაითუ აღარ წაიყვანოს ასეთი ბინძურიო, მაგრამ როცა ორმოდან მხსნელის არა-ნაკლებ დათითხნილი მკლავებიც გამოჩნდა, თინა დარწმუნდა, ცუგას ბედი გადაწყვეტილი იყო. მან პირველი მეტოქე მოიშორა, პირველი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო წარ-მატებამ უარესად დააჭკვიანა და დაადინჯა. ბრძოლა ჯერ მხოლოდ იწყებოდა და კიდეც მრავალ, უფრო ძნელად მოსაშორებელ მეტოქესთან მოუხდებოდა შეტაკება საბო-ლოო გამარჯვებამდე, როცა თვითონ ფარნაოზიც დარწმუნდებოდა, თინას რომ ეკუთვ-ნოდა. თინას იქით გზა რომ აღარ ჰქონდა. "მოთმინებითა და ოფლითა, მოთმინებითა და ოფლითაო" ... - დიღინებდა თინა გუნებაში.

ბავშვობიდანვე არჩეულ გზაზე ბევრი პატარა და დიდი ომი გადაიხადა თინამ, აშკა-რად თუ დამალულად, და არასოდეს გასტეხია გული, არასოდეს მობეზრებია ფარნაო-ზის თვალთვალი, ღობის უკან ყურყუტი და მუცელ-მუცელ ხობიალი. რამდენჯერ გა-დაუტყავებია მუხლი თუ იდაყვი, რამდენჯერ გადასკდომია კაბა და რამდენჯერ მიტყე-პილა შინ, მაგრამ თინა ყველაფერს უსიტყვოდ ითმენდა, იტანდა, რადგან იბრძოდა და იცოდა კიდეც, რისთვისაც იბრძოდა. ერთხელ, როცა ისა და მისი თანატოლი გოგო-ბიჭები ბერძნის წყაროზე კოკებს ავსებდნენ, ერთმა ცხვირპაჭუა გოგომ ხელები დიდი ქალივით გულზე დაიკრიფა და თქვა: ამ ფარნაოზს თავის თავი დიდი ვინმე ჰგონიაო. ყველამ გაიცინა, მათ შორის თინამაც, მაგრამ მისი სიცილი სხვა იყო, მისი სიცილი ნიღაბი იყო მხოლოდ, რათა სიბრაზე არ დასტყობოდა და უარესად არ გაეცინებინა ყველანი. თინა იცინოდა და გეგმებს აწყობდა, როგორ დაესაჯა ეს ცხვირპაჭუა გოგო, დიდი ქალივით გულხელდაკრეფილი რომ იდგა და ასე თავისუფლად ახსენებდა ფარ-ნაოზს. თინამ კოკა აავსო და შინისკენ გამოსწია, მაგრამ სინამდვილეში შინ კი არ წავიდა, მოსახვევში ჩასაფრდა, ყორეს ამოეფარა და ქვა მოიმარჯვა. როცა ცხვირპაჭუა გოგოც გამოჩნდა, თინამ ქვა ესროლა და კოკა მხარზე დაუმსხვრია. საწყალი გოგო თავფეხიანად გაიწუწა, ხელში კი კოკის ყურილა შერჩა; სლუკუნ-სლუკუნით გაუყვა ქუჩას. თინა ატირებულ გოგოს დაეწია და უთხრა: წელან რა დიდი ქალივით ლაყბობ-დი და ახლა რა თითისტოლა ბალღივით ღნავი, არ გრცხვენიაო. მერე კოკა მხარზე შეითამაშა და სირბილით გასწია შინისკენ.

ფარნაოზისა და ინოს დამეგობრებამ ცოტა დააფრთხო თინა. ინო ცუგაზე ძნელი მოსაშორებელი ჩანდა. თინა პირველად ხედავდა ინოს, თუმცა მთელი ვანის გოგო-ბიჭები იცნობდნენ ერთმანეთს. მერე ვიღაცამ თქვა: მაგ გოგოს ინო ჰქვია, ცუდი ქალის შვილიაო და მეზობელს რაღაც უჩურობდა ყურში. თინა კი აღარ დაინტერესებულა. მან უკვე იცოდა მეტოქის სახელი და ესეც საკმარისი იყო. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ მთელი მათი მეგობრობის მანძილზე თინას ერთი წუთითაც არ მოუშო-რებია თვალი ინოსა და ფარნაოზისათვის. ასე რომ, ისინი არასოდეს არ ყოფილან მარტო, მაგრამ როცა ერთმა ბიჭმა, ისევე ბერძნის წყაროზე, ყველას გასაგონად თქვა: ინო და ფარნაოზი დარიაჩანგის ბაღში ტიტლიკანები დარბიანო, თინას ისე შეეკუმშა გული, თითქოს პირველად ესმოდა ეს ამბავი და საკუთარი თვალითაც არ ჰქონდა ნა-ნახი. უპირველეს ყოვლისა, ამ ბიჭზე გაბრაზდა, რადგან ეს ბიჭი არაფერ შუაში არ იყო და არც უფლება ჰქონდა, თუნდაც შემთხვევით დაენახა ის, რაც მარტო თინას ეხებოდა, რაც მარტო თინას საქმე იყო, უფრო სწორედ, მათი საქმე, მისი, ფარნაოზისა და ინოსი. მაშინ პირველად გამოიჩინა თინამ სისუსტე და წინდაუხედაობა: მართალია, გულში უკვე ფიქრობდა, ერთ-ორ დღეს ვაცლი და მერე რამე შარს მოვდებო, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა და შიშისა და გაოცებისაგან ისედაც დაუშწოვებულ ბიჭს ისე დააბლორტნა სახე, როცა ბავშვების წივილ-კივილზე იმ ბიჭის დედამაც მოიბრინა, შვილი ვერ იცნო და იკითხა: ჩემი ბიჭი სადღააო?

თინა იბრძოდა. ძნელი სათქმელია, უყვარდა თუ არა ფარნაოზი, მაგრამ ცხადია, სწორედ ფარნაოზის მოსაპოვებლად იბრძოდა იგი და გრძნობა, რომელიც მას ამოდრა-ვებდა, თუ სიყვარულს დავარქმევთ, გაცილებით სწრაფად იზრდებოდა, ჭკუაში ვარდებოდა და ეშმაკდებოდა, ვიდრე თვითონ თინა. თინა მაშინაც ყველა თავის ტოლ გოგო-ზე ჭკვიანი იყო და, რაც მთავარია, უკვე იცოდა, რა უნდოდა და, რაც უფრო მთავა-რია, ისიც იცოდა, როგორ მოეპოვებინა ის, რაც უნდოდა: ოფლითა და მოთმინებით, რათა არავის აღარ ჰქონოდა ნება, დაეყვედრებინა, ხელიდან დაეგდებინებინა იგი. ასე რომ, არც ინოსა და ფარნაოზის მეგობრობას ჩაუგდია სასოწარკვეთილებაში. ესეც უნ-და მოეთმინა და საერთოდ, ბევრი რამე უნდა მოეთმინა თინას, რასაც სხვა, განსაკუთ-რებით მისი ასაკის გოგო, უდრტვინველად შეაქცევდა ზურგს, დაივიწყებდა, ახალ გა-სართობს გამონახავდა, საიდანაც სიამოვნებას მიიღებდა მხოლოდ, მით უფრო, რომ მისი ჩამოუყალიბებელი, მარად მზარდი და მარად ცვალებადი ბუნება არ იყო შეჩვეუ-ლი მოთმენას, ანგარიშიანობასა და შორსმჭვრეტელობას. თინას კი ყველაფერზე ძა-ლიან სწორედ მოთმინება ანიჭებდა სიამოვნებას, ყველაფრის მოთმენა შეეძლო, რისი მოთმენაც კი საერთოდ შეუძლია ადამიანს, უგულველყოფისა, დამცირებისა, სიძულვი-ლისა, სიყვარულისა, ღალატისა, სიმარტოვისა, ტკივილისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარი თავისაც კი; ამ მოთმინების შეგრძნება, მისი სიდიადე და უსასრულობა კი არ თრგუნავდა, აქეზებდა და ისე მიაქროლებდა საბოლოო მიზნისაკენ, როგორც ზურ-გისქარი მიაქროლებს ხოლმე ნავსადგურისაკენ ხომალდს, რომელსაც ამ კეთილი ქა-რის გარდა სხვა არავითარი ძალა აღარ შერჩენია ნავსადგურამდე მისაღწევად: ყველა ნიჩაბი გადამტვრევია, ხოლო მენიჩბეებს, შიმშილისა და წყურვილისაგან, გონება დაჰ-კარგვიათ.

როცა ინო და ფარნაოზი შინიდან გაიპარნენ, დედამისმა ისეთი დღე აყარა თინას, თითქოს ის იყო ამ გაპარვის მოთავე და მალე თვითონაც უკან უნდა მიჰყოლოდა ინოსა და ფარნაოზს.

- ამიტომ ვიდგამ წელებზე ფეხს?! - ყვიროდა დედამისი, მამა კი ამშვიდებდა: გაანე-ბე, ქალო, თავი, ჯერ ღლაპია, რა ესმისო.

"არაფერიც!" - უნდოდა ეთქვა თინას მამისთვის და სიხარულისგან მეშვიდე ცაში ფრინავდა, დედამისი "იმათ" მაგივრად მას რომ ეჩხუბებოდა და წყევლიდა, თითქოს დედამისიც გრძნობდა, "ისინი" და თინა განუყოფლები რომ იყვნენ და ყველაფერზე ერთნაირად უნდა ეგოთ პასუხი.

როგორც თინას გული უგრძნობდა, "ისინი" მალე იპოვეს და დააბრუნეს კიდეც. გინდაც არ ეპოვნათ, ადრე თუ გვიან, მაინც უნდა დაბრუნებულიყვნენ, რადგან მთლიანად არ იყვნენ წასულნი, მათი დიდი ნაწილი, მათი აუცილებელი ნაწილი, ურომ-ლისოდაც სუნთქვაც გაუჭირდებოდათ და სიარულიც, ვანში დარჩენოდით, სიჩქარეში დავიწყებოდით, ანდა, ერთმანეთზე სულელებს, ეგონათ, უიმისოდაც გავძლებით. ნუ-რას უკაცრავად. მაშინ ისინი კი არა, თინა გამოვიდოდა სულელი, თინა კი მართლა არ იყო სულელი, რადგან მოთმენა შეეძლო. მოთმენა შეეძლო, მაგრამ იმის ნება მა-ინც მისცა თავს, ჩუმად წასულიყო და მოენახულებინა ის მღვიმე, სადაც ისინი უიმი-სოდ აპირებდნენ ცხოვრებას. მღვიმეში თინამ ტომარა იპოვა. ტომარაში ღორის დამამ-ხული ბარკალი და ათიოდე ხმელი პური ეწყო. თინამ მხოლოდ ერთი ლუკმა პური მოციცქნა და ერთი ლუკმა ხორცი მოაჯიჯგნა ბარკალს, თავისი წილი მიიღო და დანარჩენი ისევე დატოვა, როგორც მათ დაეტოვებინათ, თუ დარჩენოდით. "აი, ვინ არიან ღლაპები, - ფიქრობდა თინა, - მე კი სულ ვივლიდი, ვივლიდი და ვივლიდი, სანამ უგონოდ არ დავეცემოდი მიწაზე".

მთლიანად არა, მაგრამ კიდეც ერთი დიდი მონაკვეთი კი ნამდვილად დამთავრდა თინას მოთმინებისა. თინამ ეს ბრძოლაც მოიგო, მარტომ მოიგო, სხვების დაუხმარებ-ლად და ამიტომაც ათმაგად, არა, ასმაგად და ათასმაგად სასიამოვნო იყო ამ გამარჯ-ვების შეგრძნება. იმ ღამეს ისე მშვიდად და ღრმად ეძინა, ფეხიც არ გაუქანებია. შემ-ფოთებულმა დედამ ორჯერ დახედა, ესეც ხომ არ გაპარულაო.

ჯერ ცუგა, მერე კი ინოც შარშანდელი თოვლივით გაქრა. თითქოს აღარაფერი უშ-ლიდა თინას, ჩაველო ხელი ფარნაოზისათვის და უკვე ყველას გასაგონად ეთქვა, ეს ჩემია, ოფლითა და მოთმინებით მოვიპოვეო, მაგრამ არც მთლად ასე იყო საქმე, კიდეც რაღაცა იდგა თინასა და ფარნაოზს შორის და სანამ ის რაღაცაც არ გაქრებოდა, ფარნაოზი არ ჩაითვლებოდა მოპოვებულად. საუბედუროდ, თინამ არ იცოდა, რა იყო ის "რაღაცა", არ იცოდა, კიდეც რა უნდა მოეთმინა, მაგრამ მთელი არსებით გრძნობდა მის არსებობას, გრძნობდა, ვერ კი ხედავდა, თითქოს უცებ დაჰკარგვოდა ჭკუაცა და მხედველობაც, ანდა, ჯერჯერობით, არც მისი ჭკუა და მხედველობა იყო საკმარისი იმ "რაღაცის" შესამჩნევად, სახელის დასარქმევად, გამოსაკვეთად და... მოსასპობად, ანდა მოსაშორებლად მაინც. ბრძოლა გაჭირდა, უმეტოქო და უსისხლო, ერთფეროვნად გაი-წელა და თინა მიხვდა, ახლა იწყებოდა ნამდვილი მოთმინება, ახლა უნდა გაეძლო, თორემ, შეიძლებოდა, ყველაფერი წყალში ჩაჰყროდა. დრო ახლა უფრო ნელა, მაგრამ მაინც გადიოდა. მისი ყველაფრის გარდამქმნელი, ამაფორიაქებელი ძალა თინასაც ცვლიდა და აფორიაქებდა. ახლა მთვარეც, თითქოს ჯიბრზე, ყოველთვის მის სარკ-მელს ადგებოდა და დიადი გარდაქმნების მოლოდინში მისი ბუნება ძილშიაც შფოთავ-და და ოხრავდა. თინას მთელი არსება მთვარის იდუმალსა და ყოვლისმომცველ ძა-ლას შეეპყრო, გაეჟღინთა და

ამიტომაც იყო, წარამარა რომ იცვლიდა გვერდს საწოლ-ში, თითქოს მთვარის რცხვენოდა და სახეს არიდებდა. მთვარე კი ყველგან იყო და როგორც არ უნდა დაწოლილიყო თინა, საითაც არ უნდა გაეხედა, მისი პატარა, ხე-ლუხლებელი და ქვასავით მკვრივი ძუძუები მთვარის შუქში სველი ფორთოხლებივით ბზინავდა. ირგვლივ გამეფებულ წყვდიადსაც მთვარის შუქი ყვითელი, აფოფრილი ქა-ფივით მოეგდო პირზე. თინა გრძნობდა, იზრდებოდა, ქალდებოდა და შემფოთებული ადევნებდა თვალყურს საკუთარი სხეულის ზრდასა და დაქალებას, თითქოს სახლში, სადაც აქამდე უდარდელად და უშიშრად ცხოვრობდა, ვიღაც, მისთვის უცნობი ადამიანი შემოდოდა, კი არ შემოდოდა, მოიპარებოდა, ქურდივით ფრთხილად და ფეხაკრე-ფით, და სწორედ მისი სიფრთხილე, მისი შემპარავი ნაბიჯი აფრთხობდა და აშინებდა ასე თინას, რადგან გული უგრძნობდა, სასიკეთოდ არ მოდიოდა ის ვიღაცა. სასიკეთოდ მოსული ასე არ შემოიპარებოდა, შორიდანვე დაუძახებდა, გააფრთხილებდა, შე-მოსვლის ნებას სთხოვდა და თინასაც ექნებოდა მოსაფიქრებელი დრო, შემოეშვა თუ არა ეს უცხო ადამიანი სახლში, სადაც აქამდე მარტო ცხოვრობდა და თავს მშვენივრად გრძნობდა. ახლა კი უმწეო იყო, ახლა პირველად გრძნობდა სიმარტოვეს და გან-გაშის ატეხას აზრი არ ჰქონდა. მაინც ვერავინ უშველიდა. ის უნდა შემოპარულიყო, მას კი თვალი დაეხუჭა, შეჰკუეებოდა, ადგილი დაეთმო, კი არ დაეთმო, შერწყმოდა, მასთან ერთად ერთ არსებად, ერთ ახალ არსებად ქცეულიყო, რომელსაც ისევ თინა ერქმეოდა, მაგრამ მთლად ის თინა აღარ იქნებოდა, რაც იქამდე იყო, ბიჭივით, დიახ, ბიჭივით თამამი და უსირცხვილო. ბუნება წერტილს უსვამდა მის "ბიჭობას" და ხვა-ლიდან აღარ შეეძლებოდა, ლეღვის ტოტზე გადამჯდარს, ემღერა მთელი ქალაქის გა-საგონად. თინას არსებაში ქალი იღვიძებდა და არ იცოდა, როგორ დახვედროდა, რო-გორ მოქცეოდა ამ უცხო არსებას, რომელსაც თავისი, თინასაგან განსხვავებული ზნე და ხასიათი ჰქონდა და უძალ თინას შეეცვლიდა, ვიდრე მის ფეხის ხმას აჰყვებოდა, რადგან თინაზე ძლიერი იყო, თინას სისხლით იკვებებოდა და ყოველ წამს უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებდა მის არსებაში.

თინას დაქალება, რაღა თქმა უნდა, სახლშიც შეამჩნიეს და მაშინვე შეუდგნენ მზითვის მომზადებას. ახლა აღარც თავში უპარტყუნებდნენ, აღარც უწყრებოდნენ და აღარც ყველაფერზე ასაქმებდნენ, თითქოს კი არ დაქალებულიყო, არამედ დაავადმყოფებულიყო. თინა თითქოს მართლა ავად იყო, მშობლები თავზე დაჰფოფინებდნენ, როგორც იტყვიან, ცივ ნიავს არ აკარებდნენ, აზიზავებდნენ, წვიმასა და მზეში ფეხ-შიშველა ტანტალით, ხეებზე ძრომიალითა და ზღვაში თუ დაუშრეტელ მდინარეში ყურყუმალობით გაკაჟებულ გოგოს. მშობლების გადამეტებული მზრუნველობა თინას უკვირდა და არც უკვირდა, მოსწონდა და არც მოსწონდა, მაგრამ არ უძალიანდებოდა, როგორც სისუსტის ბურანში მყოფი ავადმყოფი არ უძალიანდება მომვლელს, რომელ-საც, მხოლოდ და მხოლოდ მისი მორჩენა, მისი გამობრუნება უნდა. თინასაც უნდოდა, მალე მორჩენილიყო, რათა ისევ გაეგრძელებინა ბრძოლა, რადაც არ უნდა დასჯდომოდ-და, რადგან გუმანითა გრძნობდა, რაც ხდებოდა, იმიტომ ხდებოდა, მის უძველეს მი-ზანსა და განზრახვას აზრი რომ მისცემოდა, სახელი დარქმეოდა და არა მარტო მისთ-ვის, ყველასათვის ნათელი და გასაგები გამხდარიყო. რაღა თქმა უნდა, ძველებურად ბრძოლის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ახალი გზებიც აუცილებლად გამოჩ-ნდებოდა, თუკი მშვიდად იქნებოდა და ისევ და ისევ მოითმენდა, თუმცა მოთმინება ახლა უფრო ძნელი ასატანი გახდებოდა, რადგან ფეხი კი გაზრდილიყო, მაგრამ წულა ძველი დაეტოვებინათ.

ოჯახში მოლოდინმა დაისადგურა; თინაც, დედაცა და მამაც მოლოდინში იყვნენ, ოღონდ, თინასაგან განსხვავებით, მშობლების მოლოდინი უფრო სულსწრაფი, უფრო ნერვიული და უფრო გაურკვეველი იყო. ისინი ვილაცას ელოდებოდნენ, თითქოს სუ-ლერთი იყო, ვინ იქნებოდა ის ვილაცა, ოღონდ თინას მთხოვნელი ყოფილიყო, ოღონდ გასათხოვარი ქალი შინ დიდხანს არ გაჩერებულყო, მეზობლების სალაპარაკო და "შესაცოდი" არ გამხდარიყო. ყველაზე მეტად ამისი ეშინოდათ თინას მშობლებს, მაგ-რამ სხვა, უფრო ძნელად მოსარევი შიშიც ჰქონდათ. ხომ შეიძლება, ვეღარ მოეთმი-ნა, ვეღარ გაეძლო მათ ქალიშვილს და ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად წამოზრ-დილი მუცლით წამომდგარიყო საწოლიდან?! აბა, მაშინ გენახათ მეზობლების სიხა-რული. მაშინ მართლა მოეჭრებოდათ თავი და სამუდამოდ ჩაეყრებოდათ წყალში წვა-ლებაცა და იმედიც, რასაც თინას ბედნიერად გათხოვებაზე ამყარებდნენ. გაღვივებული ქალობით გაბრუებულსა და გადაქანცულ თინას ღამეები თუ მკვდარივით ეძინა, სამაგიეროდ, მის მშობლებს დაუფრთხა ძილი, გათენებამდე ჩურჩულებდნენ ისინი სა-წოლში, თითქოს საკუთარი ქალიშვილის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდნენ და მართლაც შეთქმულებით ათასჯერ ჭრიდნენ და კერავდნენ, შლიდნენ და აკოწიწებ-დნენ გეგმებს, რომელთა დახმარებითაც დროულად და პატიოსნად გაათხოვებდნენ ერ-თადერთ ქალიშვილს, თავიანთი სიბერის ერთადერთ ნუგეშს, თავიანთი ცხოვრების ერთადერთ ნაყოფსა და დადასტურებას. და განა მართლა სანდო იყო საიდანღაც გა-მომტყვრალი ვნების ხვატში გახვითქული გოგო, ტანზე საბანს რომ არ იჩერებდა, თა-ვისით რომ ეღვლებოდა გულ-მკერდი და ჭრილობასავით, სისხლშეუმშრალ ჭრილობა-სავით ალაპლაპებული ტუჩებით ამ ვნების საგალობელს ბუტბუტებდა, უსიტყვოსა და უაზროს, და ამიტომაც ყველასათვის გასაგებსა და თავზარდამცემს, მკვლელობასავით, არა, თვითმკვლელობასავით.

და აი, ერთ დღეს (მაშინ ფარნაოზი ჯერ კიდევ არ იყო კრეტაზე წასული) მართ-ლაც გამოჩნდა თინას მთხოვნელი. ოჯახს შუბლი გაეხსნა, გული აუფრიალდა, გადა-ტანილი ტანჯვა-წვალება დაავიწყდა და ხაზგასმული ღირსებითა და სიამაყით მიიღო მათთან დანათესავების მსურველნი. თინას მთხოვნელი კი სწორედ ის ბიჭი იყო, ერ-თხელ, ბერძნის წყაროზე ფრჩხილებით მთელი სახე რომ ჩამოაბორტყნა და ისე მოაქ-ცია, დედამისსაც გაუჭირდა საკუთარი შვილის ცნობა. ახლა ისა და დედამისი თინა-ანთას ისხდნენ და არ იცოდნენ, როგორ მოებათ თავი სათქმელისთვის. ქალი ხილა-ბანდის ბოლოს წიწკნიდა და ყველაფერზე იღიმებოდა. ვაჟს სახე წამოჭარხლოდა, ცხელოდა და თვალი სარკმლისაკენ გაურბოდა.

- მიირთვით, პირი გაისველეთ, ეზოს ხილია - ამბობდა თინას დედა.

- მადლობთ, გენა. ნუ წუხდებით - პასუხობდა ვაჟის დედა.

- თინას დაკრეფილია - არ ეშვებოდა თინას დედა, თითქოს ყველაფერს ამ ხილის შექმა-არშექმა გადაწყვეტდა.

ქალმა ერთი ქლიავი აიღო, ხელის გულით გაწმინდა და წინა კბილებით ჩაკბიჩა, კი არ ჩაკბიჩა, კანი გაუკაწრა მხოლოდ და მჟავე წვენი გამოადინა. მერე შვილს იდაყ-ვი გაჰკრა, შენც აიღე, სირცხვილიაო. შვილი სარკმელში იყურებოდა, ისე ხმამაღლა გამოუვიდა უარის თქმა, თვითონვე შეეშინდა საკუთარი ხმისა, გადაწითლებულ შუბ-ლზე ხელი გადაისვა და გაიღიმა.

- აი, ჩვენ... იმ საქმეზე... მოკლედ... - დაიწყო ვაჟის დედამ, მაგრამ თინას დედამაც ზუსტად მაშინ თქვა: წელს მოისხა პირველად.

ორივე დედას გაეცინა და ორივემ ერთდროულად მოუბოდიშა ერთმანეთს.

თინას ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, ასე თუ ისე, ორივე მხარემ თქვა თავისი სათქმელი და კარგადაც გაიგეს ერთმანეთისა. ახლა თინაზელა იყო საქმე. ორივე დედა ერთნაირად მავედრებელი თვალებით შესცქეროდა თინას. ვაჟი ისევ სარკმელში იყუ-რებოდა, თინა კი ისე მშვიდად იჯდა, თითქოს მარტო აქ ჯდომა ევალეზოდა, თითქოს წინასწარ ეთხოვნათ, შენ მხოლოდ დაჯექი, დაგვესწარი და გინდა მოგვისმინე, გინდა არაო. "ვენაცვალე, რცხვენია ჩვენს გოგოსაო" - თქვა ვაჟის დედამ. ვაჟმა ისე ამოიქში-ნა, თითქოს აქამდე სუნთქვას იკავებდა. "აბა, რომ ვერაფერი პატივი გეცითო" - მოი-ბოდიშა თინას დედამ.

ქუჩა კარგად არც კი ჰქონდათ ჩათავებული დედა-შვილს, თინა რომ დაეწიათ. მარ-თალია, ისინიც თინაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ყველაზე ნაკლებად ახლა სწორედ თინას ნახვას მოელოდნენ. ამ ძნელსა და სავალდებულო სტუმრობას ორივენი ისე აელაჟლაჟებინა, თითქოს ოჯახიდან კი არა, აბანოდან ბრუნდებოდნენ.

- თინა, შვილო! - შეჰკვივლა ვაჟის დედამ.

თინა სადღაც, მათ თავებს ზემოთ იყურებოდა სივრცეში, თითქოს, რაც ახლა უნდა ეთქვა, ძლივს დაეზეპირებინა და ეშინოდა, რამეს ან ვინმეს რომ შეეხედო, ყურადღება გამეფანტება და შემეშლებო.

- თუ მართლა ჩემი ქმარი გახდები, სანამ პირში სული მედგმება, სანამ შენი და-ნახვა შემემღობება, სანამ კბილები არ დამცვივა, სანამ ფრჩხილები არ დამაცვდება, შენს ხორცს დავგლეჯო - თქვა თინამ.

შიშისაგან ენაჩავარდნილი და დაბნეული დედა-შვილი ლამის სირბილით გაეცალა იქაურობას.

თითქმის გადაწყვეტილი საქმე ისე უცებ ჩაიფუშა, თინას დედ-მამამ არც იცოდნენ, რა ეფიქრათ, როგორ აეხსნათ გულის გამაწვრილებელი დუმილი და უმოქმედობა მა-თი ქალიშვილის ხელის მთხოვნელებისა. რატომ უნდა დაეწუნებინათ თინა, ან თუ დაიწუნეს, რატომ უნდა დაემალათ, რატომ მაშინვე არ უნდა ეთქვათ, არ მოგვწონს, გადავიფიქრეთო? განა იმედის მოცემა ასე ადვილი საქმეა? ან იქნებ გაეხუმრნენ? რამე ძველი ჯავრი ჰქონდათ და ახლა გაუხსენეს? მაგრამ არავინ რომ არ ჰყავდათ განაწყენებული? "არავინო?" - მეათასჯერ ეკითხებოდნენ ერთმანეთს: კაცი ხელებს შლიდა და მხრებს იჩიჩავდა, ქალი კი გამომცდელად შესცქეროდა თვალეზში. თინას დუმილი უარესად უკლავდათ გულს, დაწუნებული ქალიშვილის საცოდაობით იწვოდნენ. "რა იყო, რა გატირებს, ხომ არ მოგვკვდომიაო" - ხანდახან შეუწყრებოდა თინას მამა ცოლს და თვითონვე არ სჯეროდა, როცა ამბობდა: მაგისთანა ოყლაყი იმდენი მოგვად-გება, იქნება კეტით ვყრიდეთო. თინასთან კი ხმას არ იღებდნენ. სანუგეშო სიტყვის სათქმელად ენა არ უტრიალდებოდათ, რადგან ეგონათ, როგორც კი შვილს ანუგეშებ-დნენ, მაშინვე მართლა სანუგეშოდ გაუხდებოდათ საქმე. მათ გარდა მთელმა ქალაქმა იცოდა ამ ჩაფლავებული დამოყვრების ამბავი. თინასაგან დაშინებულ დედა-შვილს არაფერი დაემალათ, ხოლო მათ

მონაყოლს სხვებიც დაეფრთხო საცოლე ბიჭებმა გუ-ნებაში ხაზი გადაუსვეს თინას, რადგან სრულებითაც არ ეპიტნავენბოდათ მთელი ქა-ლაქის სალაპარაკო და სამასხარაო გამხდარიყვნენ თვითონაც. კარგად რომ ვერ იყო საქმე, ამას თინას მშობლებიც ხვდებოდნენ, კვირას კვირა ემატებოდა და მალე კეტით კი არა, იქნება ყელაწეულნი მდგარიყვნენ ჭიშკართან და გამვლელ-გამომვლელისთვის ეხვეწნათ, შემოდით, ნახეთ მაინც, დაგიბრმავდათ თვალებიო.

თინა კი იბრძოდა, მას არც მშობლების ვიშვიში ესმოდა და არც ვანელების ქილი-კაობა. ერთი პატარა ბრძოლა კიდევ მოეგო, მაგრამ საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორს იყო, იარაღადქცეული მოთმინება განუწყვეტლივ მომარჯვებული უნდა ჰქონოდა, განუწყვეტლივ უნდა ეხეხა და ეპრიალებინა ყოველდღიურად, როგორც დედამი-სი ხეხდა და აპრიალებდა ჭურჭელს, რადგან ერთი დღისთვის კი არ სჭირდებოდა, არამედ სამარადისოდ. თინას, მოთმინების გარდა, მართლა არ ჰქონდა სხვა იარაღი და არც ის იცოდა, კიდევ რამდენ ხანს დასჭირდებოდა იგი, როდის გაამარჯვებინებდა სა-ბოლოოდ, ან როდის მოუღებდა ბოლოს. "გავძლებ, უნდა გავძლოო", - თქვა თინამ, როცა ფარნაოზის კრეტაზე გამგზავრების ამბავი გაიგო. მართალია, მას მოლოდინის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც არ უნდა შეეგუებოდა ფარნაოზის დაკარგვას, ვერც შეეგუებოდა, რადგან ერთადერთი, რაც მართლა არ შეეძლო, შეეგუება იყო სწორედ. ამიტომაც ითმენდა. გრძნობდა, ხვდებოდა, კრეტაზე გამგზავრება უკანასკნელი გაბრძო-ლება იყო ფარნაოზისა, და ეს გაბრძოლებაც მარცხით დამთავრდებოდა, რადგან ნამდ-ვილ პატრონს გაურბოდა და არარსებულ მეგობარს დაეძებდა. პირველს მისი გადარჩე-ნა შეეძლო მხოლოდ, მეორეს კი - დალუპვა. ფარნაოზმა ჯერ არ იცოდა ეს, ამის გა-სარკვევად მიდიოდა და აუცილებლადც გარკვევდა, რადგან როდისმე დადგებოდა დრო, როცა მომვლელი დასჭირდებოდა. განა ტალღებმა იციან, რომელ ნაპირს შეასკ-დებიან, ქვიანსა თუ სილიანს? მაგრამ მაინც ერთი სული აქვთ, როდის მიაღწევენ ნა-პირამდე, რათა დაიმსხვრენ, დაიფუშონ და განადგურდნენ იმ ერთწამიანი შეხების გუ-ლისთვის, რისთვისაც საერთოდ გაჩენილან, სადღაც, ბნელსა და გათოშილ წიაღში. მეგობარი ან ტალღაა, ან კლდოვანი ნაპირი, ან ილუპება, ან ლუპავს. ამაშია სწორედ მისი ძალაცა და სილამაზეც, მარადიული ძალა და წარმავალი სილამაზე, რადგან ყველა ახალ წყვილს, ყველა ახალ კლდოვან ნაპირსა და ტალღას, თავისი, განსაკუთ-რებული, განუმეორებელი სილამაზე მოაქვს. პატრონი კი სხვაა, ის სილიანი ნაპირია, არც თავს დაილუპავს და არც შენ მოგცემს დალუპვის უფლებას. მას გულიცა და გონებაც თავის ადგილზე აქვს და ერთიცა და მეორეც მხოლოდ და მხოლოდ იმ მოვალე-ობას ასრულებს, რისი ასრულებაც ბუნებას დაუვალებია. ბუნებასა და არა ბედისწე-რას. მისი გული გლეხის მუყაითობით ატრიალებს სამიოდე ლიტრა სისხლს და ამ სისხლს მისი გონება ძაღლის სიფხიზლით ყარაულობს, რადგან იცის, მისი ყოველი წვეთი საჭიროა, საგვარეულო განძივით, საუკუნეების მანძილზე მიწაში რომაა ჩაფ-ლული და ვერავინ ამოთხრის, ვერავინ შეეხება, რადგან ამ დამარხულ განძზეა და-ფუძნებული მთელი გვარის სიმდიერე, სახელიც, წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც. ამ გვარისთვის შავი დღე არ არსებობს, სანამ განძი მიწაში დამარხული; ამიტომაც, ადვილი შესაძლებელია, ბევრ რამეს იკლებს, ბევრ რამეს ითმენს, მაგრამ არ ილუპება, რადგან ფეხი სიმდიდრეზე უდგას.

თინასაც ჰქონდა თავისი დამარხული განძი და მასაც ფეხი მაგრად ედგა ზედ. ფარნაოზის კრეტაზე გამგზავრებამ, რა თქმა უნდა, შეაშფოთა, მაგრამ ვერ შეარყია. ფეხი ვერ მოაცვლევინა.

უმეტვალყუროდ ფარნაოზს მართლაც ყველაფერი შეიძლება-და შემთხვევოდა, მაგრამ რაც არ უნდა შემთხვევოდა, მაინც უნდა დაბრუნებულიყო, რადგან პატრონი ჰყავდა. რაც შეიძლება მალე უნდა გაეგო ეს, რადგან ამის ცოდნა გადაარჩენდა მხოლოდ, დააშოშმინებდა, დაარწმუნებდა, ეს რომ იყო ერთადერთი ნაპი-რი, სახლი თუ არა, თავშესაფარი მაინც, სადაც ხელშეუხებლობის უფლებას მოიპო-ვებდა, რადგან გვერდით პატრონი ეყოლებოდა და არა მასავით თავქარიანი მეგობარი, სულელი და ტიტლიკანა გოგო კი არა, ცოლი.

ფარნაოზი უნდა დაბრუნებულიყო. სულერთი იყო, როდის დაბრუნდებოდა. თინა ბოლომდე მოითმენდა, რადგან მისთვის დროს არ ჰქონდა მნიშვნელობა, მისთვის მთა-ვარი მიზანი იყო და ამ მიზნისთვის ყველაფერს დაუფიქრებლად გაწირავდა. რა თქმა უნდა, დროსაც. როცა იცი, რომ გელოდებიან, შეგიძლია არ ჩამოხვიდე, შეგიძლია არ-ჩევანი გააკეთო ჩამოსვლასა და არჩამოსვლას შორის, ეს შენი საქმეა და როგორც არ უნდა დაწყდეს გული მომლოდინეს, მაინც მთლიანად ვერ დაგადანაშაულებს, რადგან ამ დანაშაულის ნახევარი მასზედაც ვრცელდება, რადგან, შეიძლება, სწორედ მისი მი-ზეზით, სწორედ ის რომაა მომლოდინე, ამიტომაც არიდე თავს ჩამოსვლას. მაგრამ სხვაა, როცა არ იცი ვინ გელოდება, ვინ ითმენს უშენობას. არა, ფარნაოზი უნდა ჩა-მოსულიყო, უფლება არ ჰქონდა არჩამოსვლისა, რადგან არ იცოდა, თინა რომ ელოდე-ბოდა.

ფარნაოზის გამგზავრების შემდეგ თინამ ისევ მოუხშირა პოპინა-ქალუკასთან სტუმ-რობას, რათა ფარნაოზის ჩამოსვლამდე შესჩვეოდა მისთვის განკუთვნილ ადგილს, რო-მელსაც სხვა ვერც ერთი ქალი ვერ დაიკავებდა. ეს თინას ადგილი იყო და ამ ოჯახის დანარჩენმა ქალებმა უსიტყვოდ გაიგეს ეს, უფრო სწორედ, თავი დაირწმუნეს, რადგან ასე სჭირდებოდათ: თინა არა მარტო მათ სიმარტოვეს დააფრთხობდა, თუკი საერთოდ შეიძლება სიმარტოვის დაფრთხობა, არამედ იმის რწმენასაც ჩაუნერგავდა, ჯერჯერო-ბით მათთვისაც რომ არ დამთავრებულიყო ყველაფერი. თინა ახალი ქალი იყო, შე-უბღალავი, გაუტეხავი, იმედიანი და ხალისიანი. თანაც, ასეთი ლამაზი და ჯიშინი ფეხები ჰქონდა. გასარჩევი ლობიოსა და გალებად ასასხმელი ნივრის მესამედი თინამ კალთაში ჩაიხვეტა და შუაში ჩაუჯდა პოპინასა და ქალუკას. მან ბავშვობიდანვე იცო-და, რომ აქ, ამ ჭერქვეშ, ამ კედლებს შორის უნდა მოედინა ნამდვილი ოფლი და ამ ოფლის სუნიტ გაეჟღინთა აქაურობა, როგორც დაპყრობილი მიწა - სისხლით. და მართლაც, როცა თინამ ფარნაოზი ისევ დაინახა (ეს კი იმ დღეს მოხდა, შავთვალემა მალალოს რომ ასაფლავებდნენ), უცებ მთელი არსებით იგრძნო, ბრძოლა დამთავრე-ბულიყო. ფარნაოზი ჭიშკართან იდგა, თინა კი თავისი ოთახის სარკმლიდან იყურებო-და, მათ შორის პროცესია მიდიოდა, როგორც მღვრიე და გაზანტებული მდინარე, რომ-ლის ზედაპირიც დაგლეჯილ რტოებსა და ყვავილებს ერთიანად გადაეპენტა. პროცესი-ის თავში ხის მძიმე სარკოფაგი მიირწეოდა, ამ სარკოფაგში ბაბილონიდან გადმოხვე-წილი შვიდი ქალიშვილის დედა და მთელი ქალაქის მასპინძელი განისვენებდა. სარ-კოფაგს შვიდი შაოსანი ქალი მიჰყვებოდა და ამ შვიდ ქალში ერთ-ერთი იყო, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა ახლა ამას თინასთვის, როცა ბრძოლა უკვე დამთავ-რებულიყო და ფარნაოზიც მართლა დამარცხებული მეომარივით ატუზულიყო ჭიშკარ-თან, ფერმკრთალი და დაბნეული, რადგან მისი ბედი უკვე გამარჯვებულს ეპყრა და მას უნდა გადაეწყვიტა: მოეკლა თუ დაერჩინა. თინას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს აქედანვე შეეძლო გადაეწვდინა ხელი და ფარნაოზი წიწილასავით აეყვანა, აეყვანა და ბარემ ყველასთვის



დაენახვებინა, თავისი უსასრულო, განუსაზღვრელი და საზრიანი მოთმინების ნადავლი. მაგრამ თინამ მაინც თავი შეიკავა, მოცდა ამჯობინა, სანამ თვითონ ფარნაოზი დაუძახებდა.

- მე მიკვირს? - ამოისლუკუნა პოპინამ და მხოლოდ მაშინ შეამჩნია ფარნაოზმა, პოპინა რომ ტიროდა.

- არა, პოპინა, არა... - დაუყვავა ფარნაოზმა. - სხვანაირად გამომივიდა, განა საკვირველია, მე რომ ცოლი შევიერთო?

- საკვირველი? - პოპინა ახლა იღიმებოდა და სველი სახე უბრწყინავდა.

- ცრემლი მოიწმინდე! - უთხრა ფარნაოზმა.

\* \* \*

ოჯახში ახალი საფიქრალი და სალაპარაკო გაჩნდა. საფრთხეც. ფარნაოზს ცოლის შერთვა კი გადაეწყვიტა, მაგრამ რაღა მაინცდამაინც მათ არჩეულ ქალს შეერთავდა, ქალის მეტი რა იყო, ალბათ, მასაც ეყოლებოდა ვინმე და, შეიძლება, სულაც იმის გა-მო დაბრუნებულები იყოს შინ. ასევე შეიძლებოდა, ის ქალი აქაურიც არ ყოფილიყო, იქ გაეცნო ფარნაოზს, იქ გადაჰყროდა და ახლა მის ჩამოსვლას უცდიდა მხოლოდ, თვი-თონ კი უფრო ადრე იმიტომ წამოსულიყო, თავისიანები რომ გაეფრთხილებინა, მოუმ-ზადებლები არ დახვედროდნენ უცხო ქალს. რაღას არ ფიქრობდნენ პოპინა და ქალუ-კა, თინაც სადღაც გამქრალიყო და ესეც აფრთხობდათ, ყველაზე ძალიან ეს აფრთხობდათ, რადგან ახლა გრძნობდნენ, როგორ მოეტყუებინათ, როგორ გაესულელებინათ ეს საწყალი გოგო, რომელსაც მთელი ათი წელი მართლა სჯეროდა ამ ორი უმ-წეო და უუფლებო დედაკაცისა. არა, ამ ორი ბოროტი და თავკერძა დედაბრისა, ყვე-ლას რომ ეღრიჯებოდნენ, ყველას რომ მათხოვრებივით აცოდებდნენ თავს და ერთი სული ჰქონდათ, როდის გადაცემევდნენ თავიანთი ცოდვისა და უბედურების ფლასს. თინაც ხომ ამისათვის უნდოდათ. საამისოდ ამზადებდნენ, და თუ მართლა გაუმართლ-დებოდათ განზრახული, თინაც უყოყმანოდ, უდრტვინველად, სიხარულითაც კი, მიიხ-ვეტდა თავისკენ მათი ცოდვისა და უბედურების მესამედს, როგორც გასარჩევ ლობიოს, ანდა გალებად ასასხმელ ნიორს. თინა კი დაეღუპათ, მაგრამ თვითონაც გადასარჩენად ჰქონდათ საქმე. იქნებ ფარნაოზი ამიტომაც ვერ ამბობდა სათქმელს ბოლომდე? მართლაც, განა ადვილი სათქმელი იყო, მე ცოლი მომყავს და თქვენ მიბრძანდით, რადგან ამ სახლს ერთი დიასახლისიც ეყოფაო? იქნებ ამიტომაც უთხრა პოპინას, რატომ გიკვირსო? მართლაც, რატომ უნდა გაკვირვებოდა, რა გასაკვირია, უცხო ქალს არ სდო-მებოდა ქმრის ნათესავებთან ცხოვრება, რაც არ უნდა ახლობლები ყოფილიყვნენ ისი-ნი. ყველა ქალს ქმარიცა და ოჯახიც თავისთვის უნდა და არც გაემტყუნება, როცა მოეპრიანება მაშინ წამოწვება, ხან მოხრაკულს მიართმევს, ხან კი ხმელა პურზე გა-დაატარებს ოჯახს. თუ სტუმრად ეწვევი, მული ხარ, მაგრამ თუ შეეხიზნები - მუმლი.

ასე ბჭობდნენ და მსჯელობდნენ საგონებელში ჩავარდნილი ქალები. ერთი შეხედ-ვით, სრულებითაც არ იყო სიმართლეს მოკლებული მათი მსჯელობა. ხომ შეიძლე-ბოდა ფარნაოზი მართლა ისეთ აშარს გადაჰყროდა, რომელიც პირველ რიგში მისია-ნებს გამოამძევებინებდა შინიდან. სანამ ეგენი მანდ იქნებიან, ჩემს ცოლობას ვერ ეღირსებო. განა ცოტა იყო ამგვარი

მაგალითები? ან იქნებ, როგორც ერთხელ კუსა-მაც თქვა, ისეთი ქალის შერთვას აპირებდა, თვითონვე რცხვენოდა, ვერ გაემხილა და ამიტომაც აჭიანურებდა დაოჯახებას? ასე იყო თუ ისე, ორივე შემთხვევაში პოპინაცა და ქალუკაც ხელისშემშლელნი გამოდიოდნენ მხოლოდ. ეს ფარნაოზის სახლი იყო და, ბოლოს და ბოლოს, ვისაც უნდოდა იმას მოიყვანდა. უნდა გარკვეულიყო ყველაფე-რი და რაც შეიძლება მალე, რადგან ორივემ კარგად იცოდა, ყველაზე მწელი ასატანი ზედმეტი ქალია, მით უფრო, ორი.

პოპინამ სკვირიდან უხეიროს თითქმის უხმარი სანდლები ამოიღო და ფარნაოზთან შევიდა.

- ჩაიცივი, მამასია, - უთხრა და ფეხებთან ჩაუცუცქდა.

- მახვილი? - ჰკითხა ფარნაოზმა.

- რა მახვილი?! - გაუკვირდა პოპინას და ძმას ქვემოდან ამოხედა.

- მამისეული, - თქვა ფარნაოზმა. - არ დაუტოვებია? - ჩაეკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

- არაფერი რომ არ ვიცი - შეწუხდა პოპინა და ოთახი ისე მოათვალიერა, თითქოს სადღაც მართლა უნდა დებულებულიყო მახვილი. ოთახში ერთადერთი იარაღი იყო, ისიც კედელში შესობილი, და ტარზე თეთრად დათრთვილული ჩურჩხელები ეკიდა. უხეი-როს დანარჩენი შუბები უკვე დიდი ხნის წინათ გაეყიდა კუსას ვენახის ჭიგოებად. ერ-თი წლის მკვდარი იყო უხეირო, კუსამ შუბები რომ წაიღო. "მეც ხომ მეკუთვნის რა-ღაცა ამ სახლიდანო" - თქვა და წავიდა.

- რა თქვი? - ისევ ჩაეკითხა ფარნაოზი.

პოპინამ თავი გააქნია.

- ასეც ვიცოდი! - თქვა ფარნაოზმა.

სადღაც შეშას აპობდნენ. ორივემ ნაჯახის ხმას მიუგდო ყური. მერე მამალმა დაი-ყივლა. ჭერზე, ზუსტად მათ თავზე, მორიელი გარინდულიყო. "ახლა მოწყდებაო", - გა-იფიქრა ფარნაოზმა, მაგრამ არც განძრეულა, რადგან ირისი, უცნაური მოთენთილობა დაუფლებოდა, მთელს ტანში გასჯდომოდა სენივით. არც დის დაფრთხობა უნდოდა, დისა კი არა, ამ იდუმალი წუთისა, ნაჯახის ხმას, მამლის ყივილსა და მორიელის გა-რინდულ ჩრდილს რომ გაეცსო, დაემძიმებინა და შეეფერხებინა, არაბუნებრივად, ამა-ფორიაქებლად გაეგრძელებინა, თითქოს უკანასკნელი წუთი იყო და განგებ ითრევდა ფეხს, რათა ვისაც რა ჰქონდა მოსასწრები, მოესწრო: ნაჯახს შეშის დაპობა, მამალს ამოყივლება, მორიელს გესლის ამონთხევა, ხოლო ობოლ და-ძმას თავიანთი სიობლის გამოტირება. ფარნაოზი გრძნობდა, ეს წუთი მისი გულისთვის ითრევდა ფეხს, რათა მასაც მოესწრო ყველაფრის დანახვა, აღქმა და შეთვისება, ყველაფრისა, რაც აქამდე არსებობდა, მაგრამ ან ვერ ამჩნევდა, ან არ უნდოდა შეემჩნია, რადგან არ უნდოდა და-ეჯერებინა, რომ ნამდვილი და მარადიული ცხოვრება სწორედ ასეთი მარტივი ხმებისა და საგნებისგან შედგებოდა, როგორც ნაჯახის ხმა, მამლის ყივილი თუ ჭერზე გა-რინდული მორიელის ჩრდილია. თვითონაც მარტივი არსება იყო და უფლებაც არ ჰქონდა, აჯანყებოდა ამ სიმარტივეს, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, ისეთივე უმნიშვნელო და ამავე დროს ისეთივე

აუცილებელი, როგორც სხვა ყველაფერი. ისიც აუცილებელი იყო, იმდენად აუცილებელი, რამდენადაც სწორედ მისი მეშვეობით მოწმდებოდა მიმდინარე დროის სიზუსტე, ამ წუთას, ამ ერთი წუთის განმავლობაში, მაგ-რამ არც ეს იყო პატარა საქმე, რადგან ეს ერთი წუთი არა მარტო ფარნაოზის, არა-მედ მთელი სამყაროს ერთი წუთი იყო.

პოპინა კი მამაზე ფიქრობდა, უფრო სწორედ, მისი სიკვდილის წინა დღეზე. ეს დღე კი ფარნაოზის უცნაურმა შეკითხვამ გაახსენა, "მამას ჩემთვის მახვილი ხომ არ დაუტოვებიაო". მახვილი არა და, იმ დღეს უხეირომ რაღაცა მართლა დაუტოვა შვი-ლებს, მაგრამ პოპინამ ვერ გაიგო, ვერ მიუხვდა მამას. მერე კი დაავიწყდა, რადგან მა-ინცდამაინც არც თავიდან დაინტერესებულა. იმ დღეს უხეირომ პოპინას დაუძახა. პო-პინამ იფიქრა, ალბათ წყლული გაეხსნა და საფენი ექნება გამოსაცვლელიო. ოთახში რომ შევიდა, იქაურობა ეუცხოვა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რატომაც: უხეირო არ ქარ-გავდა, ხელები აფრისხელა ტილოზე დაეწყო და თავადერილი მიშტერებოდა კედელს. თავი არც მოუბრუნებია, ისე იკითხა, ვინ არისო.

- მე ვარ, მამა - დაიბნა პოპინა. არ ელოდა ამგვარ შეკითხვას.

- იქ ვინ არის-მეთქი, დიდ ოთახში? - უთხრა უხეირომ.

- ხოო - დამშვიდდა პოპინა, - არავინ, თინაა, ჩვენი მეზობელი.

- მაპატიე! - თქვა უხეირომ და პოპინა ისევ შეკრთა, დაიბნა, მამას შეაცქერდა სახე-ში.

უხეიროს რაღაც აწუხებდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ კი ეთქვა, ვერ შე-ლეოდა, როგორც ბავშვი სათამაშოს, იმიტომ კი არა, სხვისთვის რომ არ ემეტება, არა-მედ ვერ ენდობა იმ სხვას, არ სჯერა, რომ მოუვლის, არ დააგდებს, არ გატეხავს, თვი-თონ კი უყვარს ის სათამაშო, მასთან ერთად იძინებს და იღვიძებს, იხუტებს და ათ-ბობს და შეძლო კიდეც, გადაეცა მისთვის თავისი სითბო და სუნი - სული ჩაებერა და გაეცოცხლებინა. ამიტომაც გაუჩნდა შიში და უნდობლობა, რადგან ის მარტო მის-თვის გაცოცხლდა, სხვებისთვის კი მაინც უსულო და უგრძნობელ საგნად დარჩა, სა-თამაშოდ. განა თვითონაც არ წყდება გული, ტოლები რომ წუწურაქას ეძახიან, ცხვირს უბზუებენ, ახლოს აღარ იკარებენ, აღარც ის უნდათ, აღარც მისი სათამაშო, მაგრამ ახლა უფრო სახიფათოა სათამაშოს გათხოვება, რადგან განაწყენებულმა ბავშვ-ვებმა, შეიძლება, ახლა შეგნებულად, თუნდაც შურის საძიებლად, ერთ წუთში გაგლი-ჯონ და დააქუცმაცონ იგი, რათა დაუმტკიცონ, რომ არ ღირდა ამის გულისთვის მე-გობრების განაწყენება.

პოპინა კი ვერაფერს ხვდებოდა, დაბნეული შესცქეროდა სახეში, ხედავდა, მაგრამ ვერაფერს ამჩნევდა, რადგან ეს სახე ბავშვობიდან ნაცნობი იყო მისთვის.

- მაპატიეთ, შენცა და ფარნაოზმაც - გააგრძელა უხეირომ.

- მამა... - დაიწყო პოპინამ, მაგრამ უხეირომ არ აცალა, ან იქნებ არც გაუგონია პოპინას ხმა და ისევ თვითონ გააგრძელა: - ყველაფერი. შენცა და ფარნაოზმაც, ასეც უთხარი, თუ დაბრუნდება. სხვა არაფერი არ დაუბარებიაო, არაფერი.

- გინდა, საფენს გამოგიცვლი? - უთხრა პოპინამ.

- არა, ახლა კარგადა ვარ. წადი! - თქვა უხეირომ.

უცებ პოპინას საკუთარი ხმა შემოესმა: მთელი წვერი ძაფის ნაკუწებით ჰქონდა სავსე. სულ თითო-თითოდ ამოვაცალეთ მე და თინამო, - ყვებოდა იგი.

- რატომ არ დამიცადა, რატომ?! - თქვა ფარნაოზმა.

როგორ უნდა დაეცადა უხეიროს ფარნაოზისთვის, განა მასზე იყო დამოკიდებული, როდის მოკვდებოდა? კიდევ დიდხანს გაძლო. ვანის ბრძოლის შემდეგ, როცა საბედის-წერო შემთხვევამ ამხელა კაცი სამუდამოდ მიაჯაჭვა საწოლს, იგი განუწყვეტლივ კვდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მისი ბობოქარი სიცოცხლე უთვალავი ჭრილობები-დან და წყლულებიდან ჩუმად მიიპარებოდა, როგორც ღვინო გაბზარული ქვევრიდან. სიკვდილამდე ცოტა ადრე ბავშვსაც აღარ გაუჭირდებოდა მისი ატატება, როცა, დაჭრი-ლი, ათმა კაცმა ძლივს შემოიყვანა ვანის გალავანში. შინაურები ვერ ამჩნევდნენ, რადგან ყველაფერი მათ წინ ხდებოდა, ან რას იფიქრებდნენ, როცა ღვინო დასჭირდე-ბოდათ, ქვევრი ცარიელი დახვდებოდათ. ქვევრი საიმედოდ ეგონათ გადაგოზილი, სი-ცოცხლე კი მიიპარებოდა, მითქრიალებდა და უაზროდ და უკვალოდ იკარგებოდა მი-წაში.

- რატომ არ დამიცადა, რატომ?! - გაიმეორა ფარნაოზმა.

პოპინა კი ყვებოდა, სადილი რომ შევუტანე, იატაკზე ეგდო. არა, მამა არ დამინა-ხავს, იატაკზე ტილო ეგდო. სად წავიდა-მეთქი, გამიკვირდა და ტილოს ასაღებად რომ დავიხარე, ფეხი გამოჩნდა, მაშინვე ვიცანი, ან რა ძნელი საცნობი იყო. ტილო, თურმე, ზედ გადაჰფარვოდა.

- მარტოობამ მოკლა! - თქვა ფარნაოზმა.

პოპინა კი ყვებოდა: თინამ გაუხილა წვერი. ძაფის ნაკუწები ისე ჩახლართვოდა, თითქოს ჭია შესევიათ. მთელი დღე უხილავდა თინა წვერს.

- მარტოობამ! - გაიმეორა ფარნაოზმა.

- კარგი გოგოა თინა - თქვა უცებ პოპინამ და გაჩუმდა.

- ხო - უპასუხა, არა, ისევ თავისთვის თქვა ფარნაოზმა.

ამის მერე დიდი დრო აღარ გასულა და თინა, ახლა უკვე სამუდამოდ, შევიდა უხე-იროს ოჯახში. კერასთან ახალი ქალი დატრიალდა, რომელსაც ეს კერა იმდენხანს უყ-ვარდა, იმდენხანს ფიქრობდა და ოცნებობდა მასზე, ახლა, რაკი კანონიერი პატრონი გამხდარიყო მისი, არაფერს აღარ გაუჭირვებდა, არ ჩააქრობდა, და მთელი ქვეყნის და-სანახად იტრიალებდა, ბედნიერებითა და მისი გამონაშუქით სახეაღწილი. პირველსა-ვე ღამეს იგრძნო თინამ, მათი საწოლი, არა თავდავიწყების, არა სიკვდილამდე მისუ-ლი ნეტარების, არამედ ცოლქმრული მოვალეობის აღსასრული ადგილი იქნებოდა მხოლოდ, მაგრამ მისთვის ესეც ბევრს ნიშნავდა, ამაზედაც თანახმა იყო.

- გძინავს? - ჰკითხა თინამ.

- არა - უპასუხა ფარნაოზმა.

- იქნებ ცუდად წევხარ? - ისევ ჰკითხა თინამ.

ფარნაოზმა ძუძუზე დაადო ხელი. თინა გაირინდა. ფარნაოზს კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც უყურებდათ, თითქოს მათი ოდნავ გაფაჩუნებაც მთელ ქალაქს ესმოდა, თითქოს... თითქოს სხვის ლოგინში იწვა, სხვის დავალებას ასრულებდა და უსინდისოდ ტყუოდა - მისი ხელები, მთელი მისი სხეული იმ "სხვის" მოძრაობებს იმეორებდა, თუ ვერ იმეორებდა, ბამავდა მაინც, რათა სიბნელითა და ვნებით თვალებ-დაბრმავებული ქალი ვერ მიმხვდარიყო, "იმის" მაგივრად სხვა რომ შემოეწვინა მისთ-ვის ბედისწერას. თინამ გაკოჭილი ნადირივით გაიბრძოლა. სადღაც ძაღლები ყეფდნენ. დილით, გაახილა თუ არა თვალი ფარნაოზმა, მაშინვე თინას ხმა გაიგონა. ქვაბს მი-ხედე, პოპინაო, - იმახდა თინა. მთელი სახლი სამშვიდობო ფუსფუსითა და სურნელო-ვანი, მადისაღმძვრელი ოხშივრით გავსებულიყო.

წლისთავზე სახლი ახალშობილის ჭყიპინითა და სველი საფენებით გაივსო. ახლა უხეიროს შუბის ტარზე, ჩურჩხელების ნაცვლად, ისევ ჩვრები და ჭინჭები ეკიდა. ჩვილს თვალი არც გახელოდა და უკვე მთელი სახლი არ ყოფნიდა. ყოველდღე იხეო-და საფენებად და არტახებად ძველი კაბები და წინსაფრები, ხილაბანდები და პერან-გები, მაგრამ ეს მართლა თითისხელა, შუბლშეჭმუხვნილი და ბრაზიანი არსება იმავე დღეს სვრიდა ყველაფერს; სამი მკლავებდაკაპიწებული ქალი დილიდან საღამომდე რეცხავდა, წურავდა, აფენდა და აუთოვებდა გამოხუნებული ფოთლებითა და ყვავილე-ბით გადაჩითულ ჭინჭებს. ფარნაოზი შინიდან დამარცხებულივით, წელში მოხრილი გადიოდა, რათა სარეცხის თოკებს არ წამოდებოდა, არ გახლართულიყო მისი შვილის მძაფრი სურნელით გაჟღენთილ ჩვრებში. თვითონაც ეს სურნელი ასდიოდა და არაჩ-ვეულებრივად ამაყი და დარცხვნილი მიაბიჯებდა ქუჩაში.

ბავშვს უხეირო დაარქვეს. თინამ თავიდანვე განაცხადა, რაც გინდათ ის დაარქვით, რა მნიშვნელობა აქვს, რა ერქმევაო. ასე კი, არა მარტო ქმრისა და ქმრის ნათესავების საამებლად მოიქცა, არამედ მართლა სულერთი იყო მისთვის, რა ერქმეოდა ახალ ძა-ლას, ახალ დუღაბს, მის ციხეს რომ ამაგრებდა. ბავშვის გაჩენამ თინას უფლებები და მნიშვნელობა უცებ გაზარდა. პოპინაცა და ქალუკაც ისე შესციცინებდნენ თვალებში, როგორც ღმერთქალს, რომელსაც მათ თვალწინ სასწაული მოეხდინა. მეტი სასწაული რაღა იქნებოდა, ჭერი ამალღებულიყო, კედლებს უკან დაეხიათ, აკვანი აყვავებულიყო და თავზე ჩიტები დაჟივჟივებდნენ. მკერდმოღელილი, უდარდელად მომღიმარი თინა ჩვილს დაუდევრად ათამაშებდა ხორციანსა და ღონიერ ბარდაყებზე, კაბაში რომ ვეღარ ეტეოდნენ და ისე გადაეჭიმათ კალთა, თითქოს გაგლეჯვას უპირებდნენ, როგორც ერ-თმანეთზე გადაბმული, მაგრამ სხვადასხვა მხარეს გარეკილი კამეჩები. თინა მართლა ღმერთქალივით უბრალო, თამამი და კეთილი იყო, უყვარდა და ეცოდებოდა მისი ხილვით გაბედნიერებული ხალხი და შეეძლო, უსასრულოდ მჯდარიყო ასე, თვითონაც გართობილიყო და სხვებიც გაერთო მის კალთაში მობუქნავე ჩვილით, ალივით რომ ტკარცალებდა, თევზივით რომ უსხლტებოდა, მაგრამ ვერსად წაუვიდოდა, რადგან სხვებისათვის უხილავი თოკით საიმედოდ ჰყავდა გულზე გამობმული.

ფარნაოზისთვის თითქოს ყველაფერი დამთავრდა, უფრო სწორედ, ფარნაოზს უფ-ლება აღარ ჰქონდა, ეცხოვრა ძველებურად, უნდოდა თუ არა, უნდა შეშვებოდა მამისა და, აქედან გამომდინარე, საკუთარი დანაშაულის ჩხრეკას და სამუდამოდ აელო ხელი ამ დანაშაულის გამოსწორებაზე, რადგან მარტო აღარ იყო, მასაც შვილი ჰყავდა, უმ-წეო და უენო, და რადგან ჰყავდა, ანგარიშიც უნდა გაეწია მისთვის, ეზრუნა მის ბედ-სა და მომავალზე, განწმენდილიყო ამ ახალი მოვალეობის გრძნობით, როგორც დაფას გადაწმენდენ ხოლმე ჩვრით, რათა ზედ ახალი სიტყვა დაწერონ. სიტყვა, რაც ადრე ეწერა დაფაზე, ყველამ დაისწავლა უკვე, ანდა გადაიწერა მაინც და ამიტომ აუცილებელიც გახდა მისი წაშლა, ასევე აუცილებელი გახდა ახლის დაწერა, თუკი წინ წა-წევას აპირებდა ცოდნის გზაზე დამდგარი გონება. მაგრამ განა წინ გადადგმული ნა-ბიჯი იყო ფარნაოზისთვის დაოჯახება? თვითონ არ გასჩენია ამგვარი გრძნობა. პირი-ქით, რაც იცოდა, ისიც დაივიწყა, რაც ჰქონდა, ისიც დაჰკარგა და სამაგიეროდ ოჯახი დააწვა კისერზე, ხოლო ოჯახმა იმდენი რამე მოსთხოვა, იმდენი დღემდე არარსებული წვრილმანი ამოუტივტივა ცხვირწინ, დროც არ რჩებოდა, საფუძვლიანად დაფიქრებუ-ლიყო მის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე. უთენია წამომდგარი, შინ სადამოს ბრუნდებოდა, დაღლილობისგან მკლავები უცახცახებდა, ძლივს იხდიდა გაოფლილსა და ბეჭებზე მიწებებულ პერანგს, ფეხსაბანი წყლის ორთქლში გახვეული, სკამზევე თვლემდა, თავს ცხენივით აკანტურებდა, მაგრამ დილით დაუფიქრებლად, დაუზარებ-ლად დგებოდა, რათა ისევ დაეგო ქვაფენილი, გამოეცვალა იატაკი, გამოეთალა აბაზა-ნა, და რაც უფრო მეტი საქმე ჰქონდა, მით უფრო მეტი მონდომებით მუშაობდა, რად-გან ახლა სასჯელს კი არ იხდიდა, ოდესღაც, უნებლიეთ ჩადენილი მკვლელობისთვის, არამედ ბავშვსა ზრდიდა, სიცოცხლეს ემსახურებოდა.

შუბუც, ძველებურად, მხარში ედგა ოჯახს. ვენახი და საყანე მინდორი, ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის რომ ეჩუქებინათ უხეიროსათვის, ისევ არსებობდა, მაგრამ ყოველ წელიწადს უფრო და უფრო ნაკლებ მოსავალს იძლეოდა, ეტყობა, ისიც შუბუ-სავით ბერდებოდა, თუმცა ისევ არც თავს უტყდებოდა და არც მას აძლევდა მოსვენე-ბას. შუბუ წელგამართული დადიოდა, ქათქათა წვერიც უკვდავების საბუთივით ეფინა მკერდზე, მაგრამ წლებს მაინც თავისი გაჰქონდათ. ის ახლა ვანშიც იშვიათად ჩამო-დიოდა, თუმცა უხეიროს მამული ორი საათის სავალზე იყო. ვენახში ჩადგმულ ქოხში ცხოვრობდა, ქოხთან ერთი სახედარი ება და ეგ იყო და ეგ, სანამ მოსავლის აღების დრო არ მოაღწევდა და დამხმარე მუშახელს არ იქირავებდა, კაციშვილი არ ჰყავდა ხმის გამცემი, თვითონ კი სახედარსა და ვენახს ისე ელაპარაკებოდა, თითქოს გაუგებ-დნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ესმოდათ კიდევ მისი.

შუბუ ვენახს მიწას უფხვიერებდა, ნაკელს უზიდავდა, სხლავდა, ალამაზებდა და, ბოლოს და ბოლოს, ღამით მის გვერდით წვებოდა კიდევ, რათა საკუთარი სხეულით გაეთბო, როგორც ავადმყოფი და მცივანა მიუღლე. დღეები დღეებს მიჰყვებოდნენ, თვე-ები - თვეებს და ასე თანდათანობით, ფერებ-ფერებით, კიდევ ერთხელ გამოიტანდა ხოლმე ვაზი კვირტს. მალე იმ კვირტიდან პატარა და ღიაწვანე ფოთოლი, მუჭში მოჭმუჭნული ცხვირსახოცივით, გამოყოფდა ყურს. კვირტი ადამიანის ხელის მტევანის მსგავს ლერწად იქცეოდა და მწვანე, პატარა ბურთულები მეჭეჭებივით დაეყრებოდა. ეს ის დრო იყო, როცა გაზაფხულის წვიმები, დიონისეს ამალასავით, სიცილ-ტკრცია-ლითა და ყიჟინით გადაირბენდნენ ქვეყანაზე. ვენახი ჯუჯა ბაყაყებით ივსებოდა. მეჭე-ჭის მსგავსი ბურთულები კი დღითი დღე იზრდებოდნენ და

იბერებოდნენ სალათისფე-რი სითხითა და სინათლით, უფრო სინათლით, რადგან ეს ბურთულები ღამითაც ანა-თებდნენ და ათასნაირ მუმლსა და მწერს იზიდავდნენ. ზაფხულის ბოლოს ბურთულე-ბი ფერს იცვლიდნენ, ახლა ფერიც სინათლისა ჰქონდათ და ისე ეჭიმებოდათ კანი, თითქოს თითის მიდებაზე გასკდებოდნენ, ანდა თითზე თაფლის წვეთებივით აგეწეპებოდნენ. შუბუ მტევანს პეშვს რომ ამოუდებდა, გული მამობრივი სიხარულითა და სი-ამაყით ევსებოდა. შემოდგომაზე ვენახი აწრიალდებოდა, შეწუხდებოდა, მზითა და მი-წის წვენიტ გაძიძგული მტევნები ასტკივდებოდა, როგორც მელოგინე ქალს ძუძუები, შემუპებული და გაფართოებული დვრილებიდან თავისით რომ მოწვეთავს რძე. ვენახს ემშობიარა, ახლა ნაყოფის ამოყვანა იყო საჭირო მისი ლაჯებიდან, მშობიარობის ტკი-ვილებს ერთიანად რომ დაეგრხა. ვენახს სულის მოთქმა სჭირდებოდა, დასვენებას თხოულობდა, თუმცა უკვე გადასულიყო იმ ბუნდოვანსა და მომთენტავ ძილ-ღვიძილ-ში, ნამშობიარეც დედაკაცს რომ ეუფლება. მაშინ შუბუ მუშახელს ქირაობდა. თითო ვაზიდან თითო გოდორი ჩამოდიოდა. სიმსუქნისგან გამსკდარ მარცვალს ფუტკარი ეხ-ვეოდა, თვრებოდა და ბზუოდა სიმთვრალის ერთფეროვან სიმღერას. შუბუც თითქოს ერთბაშად თავისუფლდებოდა განვლილი წლებისაგან, როგორც ვენახი ნაყოფისგან, და ახალგაზრდა მამასავით ამჩატებული ადგილს ვეღარ პოულობდა. მისი შვილები, მისი ტყუპი შვილები გოდრებში ისხდნენ და ყურისწამლებად ჭყიოდნენ, დაბინავებას მოითხოვდნენ, ახალსა და ახალ ყურადღებას.

პატარა უხეიროს დაბადება რომ გაიგო შუბუმ, მართლა გაყმაწვილდა, ვენახს ბებ-რუხანა ცოლივით მიესიყვარულა და გაამხნევა, რა დროს სიბერეა, ქალო, ხომ ხედავ ჯერ კიდევ საჭირონი ვართო.

თინა ბედნიერი იყო, რადგან ყველაფერი ჰქონდა, რისი ნატვრაც ქალს შეეძლო. დღითი დღე უფრო მძაფრი ხდებოდა გამარჯვების შეგრძნება. რა თქმა უნდა, მისთვის სულერთი არ იყო, ეყვარებოდა თუ არა იგი ფარნაოზს, მაგრამ არც ისეთი სულელი და მეოცნებე გახლდათ, ამდენი მოეთხოვა. რაც მთავარია, ფარნაოზს მისი ქმარი ერქვა, მის გვერდით იყო და ყოველთვის მის გვერდით იქნებოდა, ნებით თუ უნებლიეთ. ეს თავისთავად უკვე ბევრს ნიშნავდა, თავისი უსასრულო ბრძოლიდან ამაზე მეტის გამორჩენას არც ადრე აპირებდა. დანარჩენს, რისი გაკეთებაც მას არ შეეძლო, დრო გააკეთებინებდა. დრო და იძულებითი სიახლოვე. თინა კარგად იცნობდა ფარნაოზს, ისევე კარგად, როგორც უბანს, სადაც დაბადებულიყო და გაზრდილიყო; შეეძლო თვალდახუჭულს წარმოედგინა იგი, თმის ძირიდან ფეხის ფრჩხილებამდე, წინასწარ მიხვედრილიყო, რას იტყოდა, ანდა რას გააკეთებდა, და ისიც იცოდა, მისი სული იმ-დენად იყო სავსე მიუღწევლისადმი, უხილავისადმი, არარსებულისადმი სიყვარულითა და ერთგულებით, იქ მისთვის ადგილი აღარ რჩებოდა. "მერე რა? მე ესეც მყოფნისო, - ფიქრობდა საწოლში მოკუნტული თინა, - მე ბედნიერი ვარ და ჩემი ბედნიერება ორი-ვეს გვეყოფავო: ჩემმა ხორცმაც იგივე უნდა იგრძნოს და განიცადოს, რასაც ჩემი სული გრძნობს და განიცდისო; მთავარია, სანამ სული მიდგას, არაფერი გავუჭირვო ჩემს ქმარ-შვილსაო" - ასე ფიქრობდა თინა და მართალი იყო თავის თავთან, უფლებაც ჰქონდა ბედნიერებისა, ისეთი ერთგულება და სიმტკიცე გამოეჩინა ბავშვობის დროინ-დელ ოცნებისა თუ აჩემების მიმართ. თინას, რა თქმა უნდა, აქამდეც შეეძლო გათხო-ვება, ამგვარად ბედნიერი ნებისმიერი ქმრის ხელშიც იქნებოდა, მაგრამ ფარნაოზი მარტო ქმარი არ იყო მისთვის, შემთხვევით თუ შეგნებულად, ფარნაოზი აღმოჩნდა ის საცდელი ქვა,

რომლითაც თინა საკუთარ ნებისყოფას, ღირსებასა და შესაძლებლო-ბებს ამოწმებდა. ფარნაოზი ბალავარი იყო, მარტოს, სხვების დაუხმარებლად, ნაბიჯ-ნაბიჯ, გოჯა-გოჯა რომ მოეთრია საძირკველთან, პირღია ორმოსთან, რომელზედაც თავისი მომავალი ცხოვრების აშენებას აპირებდა. თინას ნაფიქრალი, ძალაუნებურად, თუნდაც სიახლოვის გამო, თავის მსგავსს ბადებდა ფარნაოზის არსებაშიც. ფარნაო-ზიც დაახლოებით ასე ფიქრობდა და ცოლი ეცოდებოდა, ასე ბრმად, ასე ხელაღებით რომ მიილტვოდა ბედნიერებისაკენ, არაფრისგან რომ აკოწიწებდა ბუდეს, როგორც ღა-რიბი გოგო კაბას, რათა არც ის გამოჰკვებოდა საცეკვაოდ თავშეყრილ ტოლ-ამხანა-გებს. ფარნაოზი იმასაც გრძნობდა, აუცილებელი რომ იყო იმ ბედნიერებისთვის, რო-მელსაც ეს ჯიუტი და ყოჩაღი ქალი თავისთვის დაემებდა; სიმძიმესაც გრძნობდა იმ სასახლისა, ბედნიერების მამიებელი ქალის გონებას რომ წამოეჭიმა. ახლა ვალდებუ-ლი იყო, მოეთმინა და ეზიდა იგი, არ გამოცლოდა მის გამაღიზიანებელ სიმძიმეს, რადგან ასე სჭირდებოდა ვიღაცას, ვიღაცას კი არა, მის ცოლს, მისი შვილის დედას, მის თანამეცხედრეს. ბედისწერა ახლაც დასცინოდა ფარნაოზს. ბედნიერება, რომელ-საც იგი მეორე ადამიანს აძლევდა, ყალბი იყო, წარმოდგენილი, მაგრამ ესეც უნდა მოეთმინა, გაჩუმებულიყო, რადგან თოკის ერთი ბოლო ყელზე თუ ჰქონდა შებმული, მეორე - თინას დაეხვია მაჯაზე. ეს თოკი კი უხეირო იყო, მათი შვილი.

ერთხელ, შინ დაბრუნებულმა ფარნაოზმა ეზოში პატარა ბიჭი დაინახა, ბიჭი მო-კირწყლულ ბილიკზე იჯდა, ორივე ხელში ვაშლი ეჭირა და გამეტებით ურტყამდა ფილაქანს. დაბეჭილი ვაშლის წვეწვს ფილაქანი დაელაქა. ფარნაოზს გული გადაუქან-და, თითქოს მისი დავიწყებული წარსულის ხატი დაესვენებინათ შუადღის სიცხით ჩაყურებულ ეზოში, ტოტის გამონაზარდით სუსტი და მყიფე, მაგრამ უფლებამოსი-ლი, პასუხი მოეთხოვა გაწბილებისთვის, დავიწყებისთვის და ხელმეორედ გამოხმობის-თვის. ფარნაოზმა მამობა იგრძნო და სისხლი გაუთბა, ძვლები დაურბილდა და ისე აწრიალდა, თითქოს საფრთხე ელოდა ბიჭს, ფილაქანზე ვაშლს რომ ჟეჟავდა. "რატომ დაუტოვებიათ მარტოო" - გაიფიქრა და ირგვლივ მიმოიხედა. "ა-ა-ა-აღ", - იძახდა ბავშვ-ვი-ღობის ძირას ქათმები მიწას ქექავდნენ. ხეხილის წვრილი ფოთლების ჩრდილი ბადესავით გადაფარებოდა ბავშვსაც და ეზოსაც. ფარნაოზი დაიხარა და ბავშვი ფრთხილად აიყვანა. ბავშვმა ლოყაზე სველი ხელი მოუთათუნა და ფარნაოზს უარე-სად აუჩუყდა გული, ისეთი სუსტი და პატარა იყო ბავშვის ხელი, ისეთი ცოცხალი. ბავშვის სითბომ და სიმსუბუქემ ღონე წაართვა და ფრთხილად, გაუბედავად მიჰყავდა იგი შინისკენ. ის იყო, მუხლით უნდა შეელო კარი, მაგრამ ასევე, მუხლაწეული, ერთ ადგილას გაირინდა, რადგან კარი თავისით გაიღო და სამი ქალი, თინა, პოპინა და ქალუკა, გაღიმებული შემოეგება მამა-შვილს: ოჰ, ჩვენი კაცები დაბრუნებულანო. ფარ-ნაოზი სახტად დარჩა, თვითონაც იღიმებოდა და არ იცოდა, რომელი ქალისთვის მიე-ჩეჩებინა ბავშვი, რომლის ჩამორთმევასაც არც ერთი ქალი არ აპირებდა. მაინცდამა-ინც არც ბავშვს გაუწევია ქალებისკენ, ცალი ხელი მამისთვის კისერზე მოეხვია, მეო-რეში დაბეჭილი ვაშლი ეჭირა და ისე უბღვერდა ქალებს, თითქოს ქომაგი მოეყვანა და ახლა ანგარიშის გასწორებას უპირებდათ. "შეხედეთ, ერთი შეხედეთ, როგორ შეიფერა პატივისცემაო" - იცინოდნენ ქალები, მერე ისინიც განგებ იკრავდნენ კოპებს და დო-ინჯშემოყრილნი ეუბნებოდნენ: რა იყო, რას გვიბღვერ, რამე ხომ არ გვმართებს შე-ნიო. ფარნაოზიც უკვე მიმხვდარიყო ქალების ოინბაზობას და დაბნეული იღიმებოდა. ასე ლომს დაუბამენ ხოლმე მისატყუარზე ცოცხალ თიკანს და



შეშინებული თიკნის პეტელით გულმიცემული, მადააღრული ლომი დინჯი და მეფური ნაბიჯებით შედის ხაფანგში.

ბავშვი დროის ყველაზე უტყუარი საზომია. მისი ყოველდღიური ზრდა შენი ყო-ველდღიური დაბერებისა და დაუძღურების დამადასტურებელია. რაც ბავშვს ემატება, ის შენ გაკლდება და რასაც ბავშვი უახლოვდება, შენ იმას შორდები, თითქოს უხი-ლავი ბორბლის მანებზე ხართ მიბმული ერთმანეთის გვერდით და ის ბორბალი, თქვენთვის შეუმჩნევლად, ბრუნავს. ბავშვისთვის რომ თენდება, შენთვის ღამდება.

"ღმერთო, როგორ გავიდა ცხოვრებაო" - გაიფიქრა ფარნაოზმა.

მართლაც დიდი დრო გასულიყო, გასულიყო, რადგან ეს იყო მისი მთავარი თვისე-ბა, დაუდევრად მიაბიჯებდა თავის გზაზე, მკაცრი და საქმიანი. არც აინტერესებდა, ვის აბიჯებდა, ან რას აბიჯებდა ფეხს, რა უნდა გაესრისა, რა უნდა გაეცამტვერებინა, რისთვის უნდა შეეტოვებინა სამუდამოდ შიშველი ტერფების ანაბეჭდი. მთავარია, ადა-მიანი არ გადაშენებულიყო, რადგან ყოველთვის ჰქონდა დასანგრევი და გასასრესი, რა-საც ადამიანის ხელი და გონება დაუსრულებლად შეუქმნიდა, თუმცა ეგონებოდა, ჩემ-თვის ვქმნიო, ჩემი მთამომავლობისთვისო, რომელსაც მისი ნახელავისა და ნააზრევის ნანგრევთა ხილვა დაარწმუნებდა, სწორედ იქ რომ მისულიყო, სადაც მიესვლებოდა: მამის სახლში.

დრო ისევე მოქმედებდა ადამიანის სულზე, როგორც მთვარე სტიქიაზე. დროის ამგ-ვარი ზემოქმედების უნარი იმდენად ბუნებრივი და ამიტომაც იმდენად შეუმჩნეველი იყო, ადამიანს თვალის მიდევნება უჭირდა და მის გარშემო, ანდა მის არსებაში მომხ-დარი ცვლილება, რასაც უმთავრესად წამიერი გამოფხიზლების ჟამს ამჩნევდა, აუცი-ლებლობად მიაჩნდა, რადგან უკვე მომხდარიყო, თანაც, უიმისოდ.

ასე იყო ვანშიც, რადგან ვანიც ჩვეულებრივი ქალაქი იყო და იქაც ჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობდა.

ერთ დღეს, ვანის ყველაზე მიყრუებულ ქუჩაში მკვდარი ბედია იპოვეს. თოკის გორ-გალი ამ ხნის განმავლობაში ისე გაზრდილიყო, ისე დამძიმებულიყო და ისე დაბლან-დულიყო, ბოლოს და ბოლოს, სიბერისა და ამოუხსნელი საიდუმლოსგან გაწამებული ბედიაც გამოეგუდა თავის ჭრელსა და უხემ მკლავებში. ბედია, მართლაც, ობობის ქსელში გამომხრჩვალნი ბუზივით ეგდო. ობობას მთელი მისი სისხლი გამოეწოვა და აბლაბუდის ნაკუწები შეეტოვებინა ზედ. ბედია ბავშვებმა იპოვეს. არც მისი ცნობა გასჭირვებიათ, თუმცა თოკის დაბლანდული გორგალიდან მარტო კინკრები და ფეხის ქუსლებიდა მოუჩანდა. ბედიას ქალაქში გიჟის სახელი ჰქონდა დავარდნილი და ბავშვების საყვარელ გასართობად ქვეულიყო, ჯერ აიეტისა და მერე ოყაჯადოს მეჯინების მსგავსად.

"ბედია მოდის, ბედია, ზღვას მოათრევს თოკითაო" - ყვიროდნენ ღობე-ყორეზე შე-მომდგარი ბავშვები და ქვების სროლითა და ყიჟინით ეგებებოდნენ ბერიკაცს, თავფე-ხიანად ჩაკარგულს ერთმანეთზე გადაბმულ, სხვადასხვა ფერისა და ზომის ნაკუწებში. მართლაც უცნაური სანახავი იყო ბედია, უკანა ფეხებზე შემდგარ ზღარბსა ჰგავდა. ტანი დამრგვალებოდა, გაბურძენოდა და

უთავბოლოდ, ფენა-ფენა შემოხვეული თოკის ჭრელი რგოლები სიარულისას ისე ერწყოდა, თითქოს ეს წუთია გველების ბუდიდან ამომძვრალა გველებიანადო.

- ხალხნო, ზღვა გვეპარება, ხალხნო... - მოჰყვიროდა ბედია ქუჩებს, ხმაჩახლეჩილი, ოფლში გახვითქული, ჭუჭყისა და თოკის ბალნით შეჭმული, ამაზრზენი და სასაცი-ლო.

ბედია ბავშვებმა იპოვეს, თოკის ბოლოებში ხელი ჩაავლეს და შუა ქალაქში გამო-ათრიეს. ბედიას გვამს ამით არაფერი დაშავებია, ისე სქლად და საიმედოდ იყო გახვე-ული თოკის ხლართებში, გეგონებოდათ, ტურებს მუშია ამოუგდიათ სარკოფაგიდან, გაუჩეჩიათ, მაგრამ სასურველ გვამამდე მაინც ვერ ჩაულწევიათო. თოკებში გახვეული ბედია ქუჩებს მოამტკერებდა და ბავშვების ყვირილზე გამოსული ხალხი ხველითა და ცემინებით გროვდებოდა მის გარშემო. ბედიას სიკვდილმა მაინც გული დასწყვიტა ყველას და შუა ქუჩაში, მისი გვამის გარშემო შეკრებილნი, ერთნაირად, მტკივნეულად გრძნობდნენ, რომ ბედია, თავისი ჭრელი თოკის გორგალით, შეიძლება უმნიშვნელო, მაგრამ განუყოფელი და აუცილებელი ნაწილი იყო მათი ქალაქისა, ურომლისოდაც ქალაქიც დაკარგავდა ზედმიწევნით თავისებურ იერს. ისინი ვედარასოდეს იხილავდნენ ბედიას, უკანა ფეხებზე შემდგარი ზღარბივით რომ მოჰყვებოდა ქუჩას და ზღვის გა-პარვით აშინებდა ხალხს, თუმცა მისი ჩახლეჩილი ხმის გაგონება ყველას ღიმილს ჰგვრიდა და სეირის გუნებაზე აყენებდა. ვანი არც ამით გამოირჩეოდა სხვა ქალაქები-საგან. ყველა ქალაქს ჰყავს თითო გიჟი, რადგან გიჟიც სჭირდება, მით უფრო უწყინა-რი, ქვას თუ არ ისვრის და გიჩერდება, თავი რომ შეიქციო, გაერთო და გამხიარულდე. აბა, სულ საქმეზე ხომ არ იფიქრებ, ნადველს ხომ არ ჩაიქცევ, თვალებს ხომ არ ამო-იღამებ? ათასში ერთხელ გული თუ არ გადააყოლა კაცმა, შეიძლება თვითონაც გა-გიჟდეს, მაგრამ სანამ გიჟის გამოჩენა უხარია, სანამ სასაცილოდ ეჩვენება მისი ყოვე-ლი სიტყვა და ყოველნაირი საქციელი, შეუძლია დამშვიდებული ბრძანდებოდეს.

ვანის გიჟი, რომელსაც მეჯინიბე შეეცვალა, და, ალბათ, თავადაც გამოუჩნდებოდა შემცვლელი, ახლა შუა ქუჩაში ეგდო. ტურების ნათრევ მუშმასავით, და ყველას ეცო-დებოდა, ყველას ის მხიარული წუთები ახსენდებოდა, წლების განმავლობაში, მოუ-ლოდნელი საჩუქრებივით რომ არიგებდა იგი, უპოვარი და გულუხვი. ქალაქი მადლიე-რი იყო ბედიასი, მაგრამ ამ მადლობის გამოთქმა, გამოხატვა ვერ მოეხერხებინა, ვერ მოება თავი, იმდენნაირი გული და ენა ჰქონდა, ერიდებოდა, რამე სისულელე არ წა-მოვროშო და მე თვითონ არ გავხდე დასაცინიო. ბედია კი ერთი იყო, თანაც მკვდარი, ვალმოხდილი და უსარგებლო.

მერე ბედიას ცოლი მოვიდა, ახლა იმან ჩაჰკიდა თოკის ბოლოში ხელი და შინისა-კენ გაათრია.

ბედიას ცოლმა გვამიანად ქოხს გარშემო შემოუარა, მერე კართან შეჩერდა, გვამს მოუბრუნდა და უთხრა: დაემშვიდობე შენს ქოხსაო. როცა დარწმუნდა, ჩემმა ქმარმა დაამთავრა ქოხთან გამოთხოვებაო, ისევ თოკს ჩაჰკიდა ხელი და გვამი ზღვისკენ გაათ-რია. ზღვამდე კი უკვე შორს იყო. გვამი ჯერ ზღვის დანატოვარ რიყეზე მიჯაყჯაყებდა, მერე სილაზე მიჩოჩავდა, მერე ატალახებულ მიწაზე გასრიალდა, ყლორტებგამოხუნე-ბულ წყალმცენარეებზე ფართო კვალი გაავლო და, როგორც იქნა, წყალშიც შეცურ-და, მაგრამ არც ეს იყო ზღვა; ეს ჭაობის წყალი იყო, მკვდარი, ჩახუთული, დამყაყებუ-ლი. ქალი თავჩაღუნული მიდიოდა, სახედარივით, ჯიუტად

მიაბოტებდა წყალში. წყა-ლი ჯერჯერობით კოჭებამდე სწვდებოდა, მაგრამ თანდათან ღრმავდებოდა; კაბა მუხ-ლებამდე დასველებოდა, დაღლილიყო, ხელისგულები გადახეხვოდა და უხურდა; გვა-მიც თითქოს უარესად დამძიმებულიყო. წყალი ვერ ერეოდა, ვერ აეტივტივებინა და მის თავთან შრიალით იპობოდა, მღვრიე და ტალახიანი. ქალი კი მიდიოდა. ახლა წყალი მუხლებამდე სწვდებოდა, კაბა კი წელამდე სველი ჰქონდა. სიარული უჭირდა, ბორძიკობდა, სუნთქვა გახშირებოდა; სადღაც, კეფისა და კისრის შესაყართან გაჩენი-ლი ოფლის წებოვანი ნაკადი ხერხემალს თავკევე დაუყვავა და მთელი ტანი აუქავა. ქა-ლი მიდიოდა და იწყევლებოდა, ბრაზიანად, გულით, ზღვასაც წყევლიდა და გვამსაც, რომელიც, სანახევროდ წყალში ჩადირული, თითქოს წყალქვეშა ფესვებს ეჭიდებოდა და უძალიანდებოდა. გვამი წელს ზევით წყალში იყო ჩადირული, ფეხები კი ამოეშვი-რა. თოკი დაჭიმულიყო, შლამსა და წუმპეში ამოლუმპულიყო და ჩამოგრძელებული, ჩამოღვენილი ტალახი გაზაფხულის მზის სხივებზე გალხობილი ლოლუებივით ეკი-და. "ჩემთვის არც ცოცხალი იყო და არც მკვდარი" - ფიქრობდა ქალი. კაბა უკვე მკერდამდე დასველებოდა და შემოტმასნული ქსოვილი მის გამხდარსა და სიბერისგან დაუშნოვებულ სხეულს აჩენდა. "არც ცოცხალი და არც მკვდარი"... - ჯიუტად, ბრაზ-ნარევი სინანულით იმეორებდა ქალი. უცებ შეჩერდა და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, გაკვირვებულმა გამოხედა გვამს. ახლა მხოლოდ საკუთარი სუნთქვა ესმოდა. მობოშებულ თოკს ტყაპანით დასცვივდა ტალახის ლოლუები, გვამს ნემსიყლაპია დააჯდა, ყვავილივით მსუბუქი და სიფრიფანა. ქალმა სული მოითქვა, მერე შემობრუნდა და ისევ ნაპირისკენ წამოვიდა. გვამმა წყალში ფართე, აფუტფუტებული წრე შემოხაზა და თოკიც ისევ დაიჭიმა. ქალმა თანდათან ფეხს აუჩქარა. კი არ მიდიოდა, მირბოდა, გაშმაგებული მიადგაფუნებდა იქაურობას, საკუთარ მიუხვედრელობას გაეცოფებინა და ცდილობდა მალე მოეთავებინა ტყუილუბრალოდ გამოვლილი გზა, თითქოს მოწაფე არასწორად დაწერილ ფრაზას შლიდა, სანამ დამცინავი ამხანაგები და მკაცრი მას-წავლებელიც შეამჩნევდა. ქალი მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა მიწაზე ამოაღწია. გვა-მი ტალახის უზარმაზარ ბელტად ქვეულიყო და ოდნავლა ჰგავდა ადამიანის სხეულს, როგორც დაწყებული ქანდაკება, მაგრამ ქალს ახლა ამის შემჩნევა არ შეეძლო, ის მთელი ძალით თოკს ექაჩებოდა და გვამიც ნელა, წვალებით ამოდიოდა მიწაზე, რო-გორც თევზით გატენილი ბადე. სანახევროდ ამოთრეული გვამი ქალმა მიატოვა და თვითონ ქოხისკენ გაიქცა. გვამი მარტო დარჩა, გულგრილი და უგრძნობელი. აქა-იქ წყალმცენარის გრძელი, დაკლაკნილი ყლორტები ასწებებოდა. იწვა და ვერ კი გრძნობდა, იწვა და ვერ კი ხედავდა, იწვა და არ ესმოდა, როგორ მოახრიალებდა ნავს მისი მეუღლე. მისთვის ყველაფერი სულერთი იყო, ტალახის უზარმაზარ ბელტად ქვეულიყო და სულერთი იყო, რას გამოძერწავდა მისგან ღმერთი, ანდა გამოძერწავდა თუ არა რამეს საერთოდ.

ქალმა ნავი მოათრია, მერე უკან მოექცა და მთელი ძალით მიაწვა. ნავმა სველი, შლამიანი მიწა ჩახია, ჩაფხრიწა და თავი წყალზე აუტივტივდა, თითქოს უცებ გა-ცოცხლდაო; მიწაზე დარჩენილი ტანი ღრჭიალით გადაებრიცა, გადაუქანდა. ქალმა ცოტა ხანს კიდევ შეაჩერა ხელი ნავის კიჩოზე, თითქოს მართლა ცოცხალ არსებას ამშვიდებდესო, ტალახში წამოკოტრიალების ნებას არ აძლევსო, და მერე ისევ გვამს მი-უბრუნდა, როგორც იქნა ხელები შეუცურა და ასწია. გვამს ბელტა-ბელტა სცვიოდა ტალახი, მსუბუქდებოდა, მაგრამ მაინც ძლივს მიიტანა ნავამდე. გვამი თავით ჩაეშვა ნავში, გაფშეკილი ფეხები ამოშვერილი დარჩა, მაგრამ ქალს ამისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, ნავს მხრით აწვებოდა, წყევლიდა და ევედრებოდა, როგორც გაოჩნე-

ბულ სახედარს; ტალახი სახეზედაც ასწეპებოდა, დამაბულობისგან მთელი სხეული უთრთოდა, ფეხები კოჭებამდე სილაში ეფლობოდა და უცურდა. ნავი ძალისძალათი, ბორძიკითა და ღრჭიალით მიჩოჩავდა. ბოლოს წყალზე ატივტივდა და ქალმაც შვება იგრძნო. ნავის კიდეზე მუცლით გადაწვა და ფეხებით მიწას უბიძგა. ახლა თვითონაც თავფეხიანად ტალახში იყო ამოგანგლული. სველი ქვედატანი ისე აითრია, თითქოს ვარცლიდან სარეცხი ამოიღო; მღვრიე წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. ნავში იდგა და ნიჩბით აწვებოდა დონდლო ფსკერს. ბევრჯერ შეუვარდა ნავი ლერწმებში, სანამ ზღვამდე მიაღწევდა. მაინც მიიწევდა წინ, წყალიც თანდათან ღრმავდებოდა და როცა ნიჩაბი ფსკერს ვეღარ მიაწვდინა, მიხვდა, უკვე ზღვაში გასულიყო. ახლა ნიჩაბს ჩვეუ-ლებრივად უსვამდა. ერთმანეთს დადევნებული ტალღები ნავს ქვეშ უძვრებოდნენ და ქალს სუნთქვა უჩერდებოდა. პირველად იჯდა ნავში მარტო. ზღვისა კი ყოველთვის ეშინოდა. შიში იმ ღამეს დასჩემდა, ქორწინების ღამეს, როცა მთვრალების ხორხოცსა და ღრიანცელში ბედიამ ნავში ჩასვა და ზღვაზე გაიყვანა, მექორწილეები ჩირაღდნე-ბით იდგნენ ნაპირზე და სიმღერით მიაცილებდნენ. ქალი ვერაფერს ხედავდა, ის ზურგით იჯდა ნაპირისკენ და სუნთქვაშეკრული ადი-ჩადიოდა ჰაერში, თითქოს უხი-ლავ საქანელაზე შემოესვათ. მხოლოდ ნიჩბების ტყლაშუნი ესმოდა და ზღვის უცნაუ-რი ამოხვნეშა. ესაა ჩემი ნამდვილი სახლიო, ეჩურჩულებოდა მერე ქმარი. ახლა მის ქმარს ფეხები ამოეშვირა ნავიდან და ტალახში ამოგანგლული თოკის რგოლები ეყარა ზედ, თითქოს ნაწლავები გამოუყრევიანებიათო. "ყოველთვის შენი იყო, ყოველთვის შენ უყვარდი და იმიტომ. მარტო შენ..." - ბუტბუტებდა ქალი. ის ზღვას ელაპარაკებოდა და ზღვაც ათასში ერთხელ, მოულოდნელად ამოიხვნეშებდა ხოლმე, როგორც მაშინ, ქორ-წინების ღამეს. ქალი და ზღვა იმ კაცის სიკვდილს დაეახლოებინა, რომელიც ერთის-თვის ქმარი იყო, მეორისთვის კი საყვარელი. დროს ვნება დაეცხრო და ეჭვიანობის უნარიც წაერთმია მათთვის და ახლა ბებერი ნათესავებივით მშვიდად, აუღელვებლად საუბრობდნენ. "ღვინოსაც ვეღარ სვამდა. ერთ ჭიქას თუ დაღევდა, მთელი ღამე სიცხიანივით შფოთავდა. საქმელიც აღარ უნდოდა, მონატრებით კი მოინატრებდა ხოლმე, გამაკეთებინებდა, მაგრამ ერთ ლუკმას თუ წაილოღნიდა, ისიც დიდი ამბავი იყო. ბოლოს მთლად გამოსულელდა, ბავშვივით გამიხდა სადევნელი და აკი ქუჩაში მომიკვდა კიდევ" ... - ბუტბუტებდა ქალი, თითქოს ნათესავთან მართლა ბავშვი მიეყვა-ნა დასატოვებლად და იმის უზნეობაზე ელაპარაკებო.

აქ უკვე ნამდვილი ზღვა იყო, ღონიერი, ძარღვიანი, უძირო. ნაპირი ძლივსღა ჩანდა, ვიწრო ხორცისფერი ზოლი გაწოლილიყო ქათქათა ღრუბლის ქვეშ. ქალი აღელდა, დაფაცურდა, ატორტმანებულ ნავში წამოიმართა და ხმამაღლა დაიძახა, ნახვამდის ჩე-მო კაცოო! - თითქოს მშველელს უხმობდა, ანდა თითქოს მისი კაცი გაიგებდა. მერე გვამს ნიჩაბი შეუგდო და ტალახის უზარმაზარმა ბელტმა წყალში მოადინა ტყაპანი. გამსუბუქებული ნავი შექანდა, თავი ისე აიქნია, სკამის ფიცარს დროულად რომ არ მობლაუჭებოდა, ქალიც ზღვაში აღმოჩნდებოდა. იმ ადგილას, სადაც გვამი ჩავარდა, ჯერ ქაფისფერი ორმო გაჩნდა, მაგრამ ორმომ მალე შეიკრა პირი და მის ნაცვლად ყა-ვისფერი, წრიული ლაქა ატივტივდა; მალე ის ლაქაც გაიცრცა, გალხვა, და განბანი-ლი, გასუფთავებული გვამი ამოცურდა წყლის ზედაპირზე. თოკის ყველა ნაკუწს პირ-ველყოფილი ფერი დაებრუნებინა, ოღონდ უფრო მობოშებულიყო და ნელა, ზანტად, უსიცოცხლოდ ირხეოდა, როგორც რომელიღაც ზღვის ცხოველის კიდურები.

ქალი გამწარდა, ამას კი აღარ ელოდა, მაშინვე ნიჩაბი მოიმარჯვა და ნავი ატივტი-ვებულ გვამისკენ გააცურა. გვამი კი მართლა ჰგავდა რომელიღაც უცნაურ ცხოველს, ჭრელსა და მრავალფეხას, სადღაც, ზღვის ჯურღმულში თავისი სიკვდილით რომ მომ-კვდარიყო და მხოლოდ მერე ამოცურებულიყო მაღლა, ზედაპირზე, რათა ქვეყნისთვი-საც ეჩვენებინა თავისი ლამაზი ფერები.

ქალმა გვამს ნიჩაბი მკერდზე დააჭირა და ჩაძირა, მაგრამ გვამი გაბერილი ბუშტი-ვით გამოუსხლტა ნიჩაბს და ისევ მაღლა ამოტივტივდა. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ქალმა აღარ იცოდა, რა ექნა, გარშემო წყლის უსასრულო და ერთფეროვანი სივრცე გადაჭიმულიყო მხოლოდ და ამ სივრცის შუაგულში მისი ნავი და ჭრელ თოკებში გახვეული გვამი ტივტივებდა.

- რა გინდა, შე ოხერო, რა?! - იყვირა ქალმა.

მერე ნავში ჩაჯდა, სახე გალუმპულ მუხლებში ჩამალა და აქვითინდა. მზეს მისი ზურგი გაემწრო და გამოეხუნებინა. ის კი ქვითინებდა, მწარედ, გულიანად, ტყეში და-კარგული ბალღივით. ირგვლივ არაფერი არ იყო, არაფერი, ცარიელი, ფოლადისფერი, ერთფეროვანი სივრცის მეტი. ნავი და გვამი ერთ წრეში ტრიალებდნენ, ელამუნებოდ-ნენ, ეტმასნებოდნენ და გაურბოდნენ ერთმანეთს, თითქოს სათამაშოდ, გასართობად გამოსულიყვნენ ზღვაში. მაგრამ ქალს სათამაშოდ არ ეცალა, მას საქმე ჰქონდა და ამ საქმისთვის როგორმე უნდა მოეხებოდა თავი, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, გინდაც გადაჰყოლოდა. "მომეხმარე, ხომ უნდა დავმარხოთ. ცოცხალი თუ გინდოდა, მკვდარზე რატომ ამბობ უარსო" - ჩაჰდმუვლა ქალმა ზღვას. სიბრაზისგან თვალები ამღვრეოდა, უმწეო-ბისგან სახე დაპატარავებოდა და გაქვავებოდა. ზღვა გვამს არ იღებდა, უკან აბრუნებდა-და, უარს ამბობდა მის მოვლა-პატრონობაზე. ეს კი ქალისთვის დიდი უსამართლობა იყო, უსინდისობაც, რადგან, რაც თავი ახსოვდა, ამ გვამის წართმევას უპირებდა იგი, ლამის შინ უვარდებოდა, ყოველდამე ფეხმოუცვლელად, უსირცხვილოდ იდგა მათი ქოხის კარებთან და ემახდა, ეჩურჩულებოდა, ვინ იცის, რას არ პირდებოდა, სანამ ამ გვამს სული ედგა, ღონე ერჩოდა და თავისუფლად შეეძლო ამდგარიყო ერთი ქალის საწოლიდან, რათა მეორეს წაჰყოლოდა. ახლა კი უარზე იყო, უსულო გვამი არ სჭირ-დებოდა და იმიტომ, მაგრამ ახლა ქალი გაჯიუტდებოდა, ახლა ის არ მოიცვლიდა ფეხს, სანამ თავისას არ მიაღწევდა.

ქალი წყალზე გადაიხარა, თოკის ბოლოს მისწვდა, კიჩოზე გამონასკვა და ნავი ნა-პირისკენ გააცურა. თოკი, რომელიც ნავსა და გვამს აერთებდა, ისევ დაიჭიმა, წყლი-დან ამოსხლტა, ვერცხლისფერი შხეფები შეიბერტყა და გაბრწყინდა. დიდმა თევზმა აპრეხილი კუდიტ წყლის ზედაპირი ათიოდე მეტრზე გადახნა, თითქოს გუთანმა მიწა-ზე კვალი გაიტანაო, და ისევ წყალში გაუჩინარდა. ქალს თევზი არ დაუნახავს, თავჩა-ღუნული უსვამდა ნიჩაბს. ქალის შიშველ ფეხებთან ორი მუქა წყალი აღმა-დაღმა დასრიალებდა, როგორც ბრტყელი, უხერხემლო და ცივისსხლიანი არსება. ქალი არც ამას აქცევდა ყურადღებას, სხვა საფიქრალი ჰქონდა და ცას შემფოთებული ახედავდა ხოლმე, რადგან ყველაფერი დაღამებამდე უნდა მოესწრო. საკუთარი თვალთ უნდა ენახა, როგორ ჩაიძირებოდა გვამი, როგორ დაბინავდებოდა, ახლა უკვე სამუდამოდ, იმ სახლის კედლებში, რომლისკენაც მთელი სიცოცხლე მიილტვოდა, და, ალბათ, დიდი ხნის წინათ გადაბარგდებოდა იქ, მიწიერ ცოლს რომ არ გამოეჩინა ასეთი სიჯიუტე, ერთხელ მაინც რომ დაეთმო, ერთხელ მაინც რომ მობეზრებოდა მისი შეკავება.

როგორც კი ნავის ძირი მიწას გაეხახუნა, ქალი გადახტა და მუხლებამდე წყალში გაიქცა. დიდმა დრომ გაიარა, სანამ ნამდვილ მიწას მიაღწევდა, შესაფერ ლოდს შეარ-ჩევდა და ნავამდე მიათრევდა. ისევ ზღვაში რომ გავიდა, მზე უკვე გადახრილიყო, ზღვის ზედაპირი თეთრად აქოჩრილიყო, ერთიანად აფუთფუთებულიყო, მოკლედ, რო-გორც მისი ქმარი იტყოდა ხოლმე, ზღვა გაფუჭებულიყო. ნავი განუწყვეტლივ ირწეო-და. ბრტყელსა და გაფუყულ ლოდს ერთმანეთის გასწვრივ, თვალების მსგავსი, ორი ნავი ნასვრეტი გასჩენოდა. გაქვავებულ მედუზას ჰგავდა, არა, ქვისგან გამოკვეთილ მე-დუზას, და ქალი გრძნობდა, როგორ იპყრობდა, ალენჩებდა და ადუნებდა მისი მომნუს-ხველი მზერა. დღემ ისე გაიარა, ხემსი არ ჩასვლია პირში, წყალი არ დაუღვია, მკლავები დაწყვეტაზე ჰქონდა, მხრების ადგილას ტკივილი ჩაბუდებულიყო, ცხელი და ოფლიანი, და, როგორც კი გაინძრეოდა, მაშინვე გულზე ემგერებოდა ხოლმე. ერთხელ ტკივილისგან გონებაც დაჰკარგა, მაგრამ თვითონ არ გაუგია, რადგან ისევ ტკივილმა გამოაფხიზლა. ერთხელაც არ უფიქრია დაესვენა, ან საერთოდ ჩაექნია ხელი ამ უაზ-რო ჭაპანწყვეტაზე, რადგან თვითონ უაზრობად არ თვლიდა, პირიქით, დარწმუნებული იყო, ამ საქმისთვისღა აცოცხლებდნენ ღმერთები. ეს მისი საქმე იყო და მხოლოდ ის მოაზამდა თავს. რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ზღვისთვის უნდა ჩაებარებინა ქმრის გვამი, გვამი კი არა, მთელი ავლადიდება, რაც მარადიული მორჩილებით და მოახლე-ობით მოეპოვებინა. იქნებ ახლა მაინც გამძღარიყო ზღვის გაუმძღარი გული, დამშვი-დებულიყო და მოეხედა ქვეყნისაკენ, რომელსაც ერთი უბედური ცოლ-ქმრის გულისთ-ვის შემოსწყრომოდა. ქალს ყოველთვის ეშინოდა ზღვისა და თუმცა მთელი სიცოცხ-ლე ეჭვიანობდა მასზე, თითქოს ზღვა კი არა, მეზობლის ქვრივი ყოფილიყო, მაინც არასოდეს დასცდენია გადაბრუნებული სიტყვა. სანამ ახალგაზრდა იყო, მის ქება-დი-დებებში ათენ-ალამებდა, აქოჩრილ ტალღებს გვირგვინებით ურთავდა და დაჩოქილი ევედრებოდა, რათა ზღვას მისი ქმრისთვის არაფერი აეტეხა, უვნებლად დაებრუნებინა შინ, ცოტა ხნით მაინც გამოეშვა, თუმცა ცოლს, თანაც ახალგაზრდას, მეტის მოთხოვნის უფლებაც ჰქონოდა. მის ქმარს ზღვის სუნი ასდიოდა, მისი ქმრის ტუჩებს ზღვის გემო ჰქონდა, მაგრამ ქალი მაინც ჩუმდებოდა, მაინც ვერ ბედავდა ქმრის შეჩე-რებას და თვითონვე აღვიძებდა, ზღვაზე გასვლა რომ არ დაგვიანებოდა იმას. მარტო დარჩენილს კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ქმრის საყვარელს მხევლად დასდგო-მოდა, ფეხებს ბანდა, თმას უვარცხნიდა და სარკესაც უჭერდა, სანამ ის მოირთვებოდა, რათა მის ქმარს უფრო ლამაზი დახვედროდა. ქალი ამასაც უხმოდ იტანდა, რადგან ზღვის ეშინოდა, განუწყვეტლივ ეშინოდა, რადგან, მისი ფიქრით, ზღვას არ უნდა ეპა-ტიებინა მისთვის იმ კაცის ცოლობა, რომელიც თავისთვის სჭირდებოდა. აკი არც აპა-ტია, ქმარი ჯერ გაუგიაჟა, მერე კი ქუჩაში ამოხადა სული, უპატრონო ძაღლივით. მაგ-რამ არც მკვდარი ქმარი ეკუთვნოდა ქალს, ისიც ზღვისთვის უნდა მიერთმია, რათა ზღვას საკუთარი თვალთ ენახა, საბოლოოდ დარწმუნებულიყო, მართლა რომ მომკვ-დარიყო კაცი, მისივე სიყვარულით გაგიჟებული, დაბმას რომ უპირებდა. ასე ფიქრობ-და ქალი და კბილებით ჩაფრენოდა თოკს, რომლითაც გვამი გამოება ნავის კიჩოზე. სველი და დაჭიმული თოკი უარესად განასკულიყო, არ ემორჩილებოდა, პირიდან უსხ-ლტებოდა და ღრძილებს უსისხლიანებდა. დახეთქილი ტუჩები მლაშე წყლისგან ეწვო-და, მაგრამ მაინც მწყურვალავით ეტანებოდა თოკს, წუწნიდა და გლეჯდა. უნიჩბოდ და უმეთვალყუროდ მიტოვებული ნავი ადგილზე ტრიალებდა, გვამსაც ატრიალებდა, მაგრამ გვამი უფრო დიდ წრეს ხაზავდა და უფრო ფართო ზოლს აჩენდა წყლის ზე-დაპირზე. თოკი ჯიუტობდა, არ იხსნებოდა, თითქოს ქალს კი არ გაენასკვა ამ რამდე-

ნიმე საათის წინ, არამედ ნავის გამონაზარდი იყო, მისი განუყოფელი ნაწილი, და მხოლოდ მოკვეთით შეიძლებოდა მისი მოშორება. ქალს კი არაფერი ჰქონდა, ფრჩხილებსა და კბილების მეტი. ფრჩხილებიც უკვე დასცვეთოდა, დალურჯებოდა და დარ-ბილებოდა. ვედარც კბილებით აკლებდა რამეს, მაგრამ მაინც გამწარებული ლოდნიდა თოკს, როგორც ბებერი ძაღლი ძვალს. პირი წარამარა ევსებოდა მლაშე და თბილი სითხით, გულს აზიდებდა და, ნავის კიდეზე თავჩამოდებული, ავადმყოფივით ახველებდა.

როგორც იქნა თოკი გაიხსნა. აშვებული თოკის ბოლო ქალმა მაჯაზე დაიხვია. ხმა-მაღლა სუნთქავდა და თავბრუ ესხმოდა, რადგან ნავი განუწყვეტლივ ბზრიალებდა, ხოლო უარესად დამძიმებული გვამი თავისკენ ეწეოდა, ხელს უტრიალებდა, კუნთებს უჭიმავდა, თითქოს მის გადათრევას ცდილობდა, ანდა თითქოს ერთი სული ჰქონდა, როდის დააღწევდა თავს ამ ჯიუტი ქალის ხელებიდან. ქალმა ცოტა სული მოითქვა და ისევ საქმეს შეუდგა. ახლა ის უკან გადაზნექილიყო. ფეხები ნავის ფერდისთვის მიებჯინა და თოკს ექაჩებოდა. თოკი კლაკვნით ამოდოდა ნავში და ქალის ფეხებთან იგრაგნებოდა. გვამი ნავს მოეხეთქა. ახლა ნავი და გვამი ერთად ტრიალებდნენ, ერთი ღერძის გარშემო. გალუმპული და დასასხლეტად გამზადებული თოკი ქალს ორივე ხე-ლით ეჭირა და მწარედ, ღვარძლიანად იღიმებოდა. ისევ ზედმეტად გარჯილიყო, ისევ გამორჩენოდა რაღაცა. ქვა ნავის ბოლოში იდო, კერპივით გაფუყული, სრულებითაც არ ადარდებდა ქალის გასაჭირი, ეგ იყო, რომ ჯიუტად მისჩერებოდა, წვრილი და შავი ნასვრეტებით, მაგრამ ქალი მაინც ვერ გაუწყრებოდა, ვერ დაწყევლიდა, რადგან ის უკ-ვე წმინდა ქვა იყო მისთვის, სამარის ლოდი. ქალს რამე უნდა მოეფიქრებინა, ასე ჯდომას აზრი არ ჰქონდა, რადგან არც ქვა მოვიდოდა მასთან და აქედან ვერც ის მის-წვდებოდა. ორივენი დაბმულები იყვნენ, ქვა საკუთარი, ქალი კი გვამის სიმძიმით. ქალმა თოკი ლაჯებში ამოიტარა, ოდნავ მიუშვა და კიჩოსკენ გაცოცდა. თოკმა თავი-სუფლება იგრძნო, დაიძაბა, გაღონიერდა, აცახცახდა, ნავის კიდეზე ჩამოსხლტა და ქა-ლი გულადმა გადააქცია. ქალმა საშინელი ტკივილი იგრძნო ლაჯებში. სისხლი ტვინ-ში აუვარდა, ბებერი ძვლები მდულარეგადასხმული ძაღლებივით გაიფანტნენ. თოკი კი უარესად აწვებოდა, თითქოს ძირში უპირებდა ფეხის მოკვეთას. ტკივილმა ქვაც დაა-ვიწყა და გვამიც. ისე უცებ გაუშვა თოკს ხელი, თითქოს შემთხვევით გველს წასტანე-ბოდა. თოკი ხრიალით ჩასრიალდა წყალში. ქალმა მხოლოდ გაძენძილ ბოლოს შეასწ-რო თვალი და მერე ტყაპანი გაიგონა. "მაჯობაო" - გაიფიქრა სულელურად. იწვა და ცას უყურებდა. ტკივილს აღარ გრძნობდა, მხოლოდ ხელისგულები უბჟუოდა, მაგრამ განძრევისა ეშინოდა, ვერც გადატყაულ ლაჯზე დაეხედა, თითქოს ტკივილი ჯერ არ წასულიყო, იქვე, მის ფეხებთან გალურსულიყო და უთვალთვალეზდა. ისიც თავს იმკ-ვდარუნებდა, ტკივილს ატყუებდა. მაგრამ როდემდე იწვებოდა ასე, ხომ უნდა დაბრუნე-ბულიყო შინ?! ნაპირამდე კი დიდი გზა ჰქონდა. თოკი ისეთი ძალით დაუსხლტა ხე-ლიდან, რაც არ უნდა ღრმა ყოფილიყო წყალი, მაინც უკვე კარგა ხნის მიღწეული იქნებოდა ფსკერამდე. ქალი აღარ ელოდა გვამის დანახვას, მაგრამ როგორც კი წა-მოჯდა, მაშინვე ის ეცა თვალში, ჭრელი და დატოტვილი. ნავის მოშორებით ტივტი-ვებდა. თითქოს ნავს უთვალთვალეზდა, კიდევ აპირებს თუ არა თავდასხმასო.

ქალს ახლა აღარც ნავის მიცურება გასჭირვებია გვამთან, არც თოკის ამოღება, თითქოს გვამიც შეჰგუებოდა ბედს, ანდა მობეზრებოდა ეს უაზრო კუკუმალაობა. ეგ იყო, რომ ნავიდან

გადმოხრილ ქალს პატარა, აქოჩრილი ტალღები განუწყვეტლივ ეშ-ხეფებოდნენ სახეში, გვამი კი აღარ გაძალიანებია, მშვიდად იცდიდა, სანამ გულზე ქვას შეაბამდა და თვითონვე ჰკრავდა ხელს, თვითონვე მოიშორებდა. გვამი ნელა იძი-რებოდა და დიდხანს ჩანდა, სანამ ზღვიდან ამომავალ წყვდიადს არ შეერიო. ქალიც დიდხანს ჩასცქეროდა ზღვას, დიდხანს იცდიდა, მაგრამ გვამი აღარ გამოჩენილა. მერე, ალისფერი და თაფლივით დარბილებული მზეც ზღვაში ჩაიცალა. ქალი ნიჩაბს მი-უჯდა და ნაპირისკენ გასწია, თუმცა აღარკი იცოდა, რომელ მხარეს იყო ნაპირი, მაგრამ მაინც მიცურავდა, რადგან ერთი სული ჰქონდა, როდის მიაღწევდა ქობამდე. შე-მადრწუნებელი, თითქოს მარადიული დაღლილობა დაუფლებოდა და სხვას არაფერს გრძნობდა, არც შიმშილსა და არც წყურვილს, არც გადატყაულ ბარძაყს.

\* \* \*

ბედია იმ მცირერიცხოვან ძველ ვანელებს ეკუთვნოდა, "კარგ დროს" რომ მოსწრე-ბოდნენ, მაგრამ როგორც ყველგან, არც ვანში სჯეროდა ვინმეს "კარგი დროის" არსე-ბობა. ეს აქაც ბებრების ახირებად, სიბერის მანუგეშებელ ოცნებად ითვლებოდა. "თუ დავბერდით, ჩვენც ასე ვიტყვივითო" - ამბობდნენ ისინი, თუმცა გულში ცოტა ეშინო-დათ კიდეც, ვაითუ სიბერე ისეთი მტარვალაია, ეს გაძალღებული ცხოვრება ჩვენც სა-ნატრელი გაგვიხდესო. მაინც იხტიბარს არ იტებდნენ და ძველებურად ცხოვრობდნენ. ცხოვრება კი ბრმა იყო, უგულო და უპოვარი, ძირგახვრეტილი გუდით ორ ლეკვს დაა-ტარებდა, ორ ლეკვს, თეთრსა და შავს, ერთს სიცილისა ერქვა, მეორეს კი - ცრემლი-სა. რომელიც ხელში მოხვდებოდა, იმას ამოიყვანდა ხოლმე გუდიდან, თვითონ კი იჯ-და, მზეს ეფიცებოდა, ბებერ ძვლებს ითბობდა და ლიბრგადაკრულ თვალებს აფახუ-ლებდა.

ფარნაოზიც შეჰგუებოდა ბედს, არა მარტო შეჰგუებოდა, სადღაც, სულის სიღრმეში კმაყოფილიც იყო ბედისა. ოჯახი ჰქონდა, შვილი ეზრდებოდა, ღობეზე მამალი უყიო-და, საქმე მოსდევდა და მისი კრამიტიც კრიალებდა მზის ქვეშ. მაგრამ იმავე სულის სიღრმეში ეჭვიც გასჩენოდა, შემოხიზვნოდა, როგორც წვიმიან ღამეში გზააბნეული მგზავრი, რომელსაც სხვისი ოჯახის სითბო ძვალ-რბილში გასჯდომოდა, სხვისი პუ-რით დანაყრებულყო და წასვლას აღარ აპირებდა, ჩემს სახლს აქა სჯობიაო. "კი შე-იფერე, მაგრამ ერთი გეკითხა მაინც, გეკუთვნის თუ არ გეკუთვნისო" - გამოსძახებდა ხოლმე სულის ბნელ კუნჭულში შეყუჟული ეჭვი. სიბნელიდან მხოლოდ მისი ფოლა-დისფერი თვალები აკვესებდნენ, მაგრამ ფარნაოზს მაინც ეშინოდა, ოჯახის სხვა წევ-რებსაც არ შეემჩნიათ იგი, არ დაეწყოთ გამოკითხვა, ვინ არის და რა უნდაო. ფარნა-ოზიც მალავდა რაც შეეძლო, აფუჩეჩებდა, რადგან მარტო აღარ იყო, უფრო სწორედ, მარტო თავის თავს აღარ ეკუთვნოდა. დროს ბევრი რამე შეეცვალა, გაენელებინა მა-ინც, და ნაცარივით წაჰყროდა ყველაფერს, რითაც ფარნაოზი აქამდე სულდგმულობდა. ახლა მამასაც ამართლებდა იგი და როცა პატარა უხეიროს სამი ქალი ძალით ატიტვ-ლებდა, ძალით სვამდა ტაშტში და ძალით აბანავებდა, დიდი უხეიროს ჯიუტი დუმი-ლის ფასიც ესმოდა. სამი მზრუნველი ქალის ხელებში ასხმარტალეული ზავშვის ვარდისფერი სხეულის სურნელება მთელ ქვეყანას რიჟრაჟივით ეფინებოდა, მასაც აბ-რუებდა, გულს უჩუყებდა და ყველაფრის მოთმენას აჩვევდა. ეჭვი კი ხითხითებდა, ხითხითებდა და ეს ხითხითი თავზარდაცემულ ფარნაოზს ბედისწერის ვერაგობას ახ-სენებდა; ისევ წამოყოფდა ხოლმე თავს გარდაუვალი უბედურების წინათგრძნობა, ჩა-ქუჩსა და საჭრეთელს ხელიდან გააგდებინებდა და შინისაკენ აქნევინებდა პირს, თით-ქოს მის იქ არყოფნაში დიდი უბედურება მომხდარიყო და ახლა იმაზედა იყო საქმე - ცოცხლებს მიუსწრებდა



თუ ვერა. მაგრამ გაიგებდა თუ არა პატარა უხეიროს ხმას, ჭიშკრამდე მისული უკანვე გამობრუნდებოდა ხოლმე. "ა-ა-ა-ა", - ღაღანებდა პატარა უხეირო და ფარნაოზიც მზად იყო, ამ უაზრო ხმის გაგონებაზე, ძალღვივით ეყეფა, ძროხასავით ეზმუვლა, ქათამივით ეკაკანა და ლომივით ებრღვინა ოთხზე დამდგარს, ოღონდ არაფერი დაშავებოდა, არაფერი შემთხვევოდა ამ ვარდისფერ არსებას, მისი იმე-დით რომ გამოჩოჩებულყო მზის გულზე, რადგან თვითონ ჯერ ბრმასავით საცოდავი და საპყარივით უმწეო იყო. "დაუფიქრებლად, დაუფიქრებლადო!" - შეუძახებდა ხოლმე ფარნაოზი სულის კუნჭულში შეყუჟულ ეჭვს, კვიმატურ შეკითხვებს რომ აძლევდა და უარესად უფორიაქებდა გონებას. "დავუშვათ, პატარა უხეირო ერთ მშვენიერ დღეს ფეხსადგილის ორმოში..." - იგონებდა ახალ საშინელებას ეჭვი და ფარნაოზიც პირი-დან აგლეჯდა სიტყვას. დაუფიქრებლად, დაუფიქრებლადო, ჩასძახოდა და უნებურად ფეხს უჩქარებდა, რადგან ეჭვმა უთვალავი საშინელება იცოდა, რაც კი პატარა ბავშვს შეიძლებოდა შემთხვევოდა.

იმ დღესაც ეჭვის ღვარძლიანმა ხითხითმა დაუბნელა ფარნაოზს თვალი და ისე მწარედ წამოჰკრა ფეხი ქვას, ხმამაღლა შეჰყვირა, ასკინკლით მიიღრინა კედლამდე და იქვე ჩაჯდა, ტკივილიც დაედევნა, არ მოეშვა, და მიქსეული ქოფაკივით თავზე დაადგა. ფარნაოზი თავფეხიანად გაიოფლა, თითქოს ვიღაცამ ჭურჭლის ნარეცხი, ქონიანი წყალი გადმოსხა ბანიდანო. ცერა თითზე ოდესღაც ცუღით გაპობილ ფრჩხილს ისევ პირი დაელო. ფარნაოზმა ნატკენი თითი მუჭში მოიმწყვდია. ხელის თითებს შორის სისხლმა გამოჟონა. ფარნაოზმა შეიგინა და მხოლოდ ამის მერე დაინახა ქალი, რომე-ლიც ქურჩის გადაღმა ჭიშკართან იდგა, მისკენ იყურებოდა და ილიმებოდა. "სადღაც მი-ნახავსო" - ისე, უანგარიშოდ გაიფიქრა ფარნაოზმა და შერცხვა, რადგან უცებ წარმო-იდგინა, როგორ იჯდა, ბალღივით, ბალღივით კი არა, მაწანწალასავით, კედელთან ჩა-ცუცქული, სიმწრის ოფლით გალუმპული და ტკივილისგან დაღრეჯილი. ქალი კი ილიმებოდა. ფარნაოზმა თავს ძალა დაატანა და თვითონაც გაიღიმა, ღიმილით მოუბო-დიშა ქალს და წამოდგომა სცადა. ქალმა ახლა ხმამაღლა გაიცინა, გადაიკისკისა. ფარნაოზი გაბრაზდა, კი არ გაბრაზდა, გული ჩაწყდა, მისი უმწეობა სასაცილოდ რომ არ ყოფნიდა იმ უცხო ქალს, მაგრამ საკუთარი უმწეობის შეგრძნებამ ისე დააფრთხო და დააბნია, ლაპარაკის უნარი საერთოდ წაერთვა. შებრუნდა და, ფეხმოტეხილი ქათა-მივით, ხტუნვა-ხტუნვით გაუყვა კედელს.

- მოიცადე! - დაუძახა ქალმა.

ფარნაოზმა რომ არ მოიხედა, ქუჩა გადმოიღრინა, გაუსწრო და დოინჯშემოყრილი წინ გადაუდგა. ჭიპამდე ჩაჭრილი კაბა ეცვა. ხორბლისფერი, ოდნავ დანამული კანი კაბის ამონაჭერს ისე ავსებდა, როგორც სარკმელს სინათლე. სანახევროდ სააშკარაოზე გამოცოცებული ძუძუები განუწყვეტლივ ადი-ჩადიოდნენ, თითქოს ერთი წამითაც თუ გაჩერდებოდნენ, ქვეყანა დაიქცეოდა. ფარნაოზმა თვალი აარიდა ქალს, ქალმა კი ისევ გაიცინა და ფარნაოზს ახლა მისი ხმაც ეცნაურა. შეკრთა და დაიძაბა, თითქოს ეს ხმა რაღაცის გახსენებას სთხოვდა, კი არ სთხოვდა, ავალდებულებდა, "არა, არ მახსოვსო" - გუნებაში გაიბრძოლა ფარნაოზმა. ქალმა გაკვირვებულმა შეხედა. ახლა მის თვა-ლებში სიბრაღული და თანაგრძნობა ჩაბუდებულიყო. ფარნაოზსაც აღარ სჯეროდა, ეს ქალი თუ კისკისებდა გულანად, ამ ერთი წუთის წინათ. ქალს ოდნავ ჩამოწეული ქვედა ტუჩი უცახცახებდა და საცაა პირველი ცრემლებიც გამოჩნდებოდნენ უცარი და საიდუმლო სევდისაგან გაცრეცილ სახეზე. ამანაც შეაწუხა ფარნაოზი და ისევ აარიდა თვალი.

ქალმა კი მის წინ ჩაიჩოქა და ჩამოკონწიალებულ ფეხს პეშვები ფრთხილად ამოსდო, თითქოს ჩანჩქერს შეუშვირაო.

- არა! - ახლა უკვე ხმამაღლა იყვირა ფარნაოზმა და როცა ქალმა გაოცებულმა ამოხედა, ყველაფერი გაახსენდა. ფეხი ძალით გამოგლიჯა ქალს და, მიუხედავად ტკივილისა, ისე დაუდევრად დაჰკრა მიწას, მტვერი ავარდა. მტვერში გახვეული ქალის სახე ნაძალადევ ღიმილს გაესაცოდავებინა. ასე მაშინ იღიმება ადამიანი, როცა მისი არ სჯერათ, დამსახურებული ნდობის ნაცვლად უნდობლობას უცხადებენ, ანდა მადლო-ბის ნაცვლად საყვედურობენ.

- თავი დამანებე! - თქვა ფარნაოზმა.

- არც ამის უფლება მაქვს? - ჰკითხა ქალმა.

"დამცინისო" - გაიფიქრა ფარნაოზმა.

- ისე საცოდავად მიხტუნავდი... - არ დაამთავრა სათქმელი ქალმა.

- მერე შენ რა?! - ისევ გაბრაზდა ფარნაოზი.

ხუთი წუთის შემდეგ ფარნაოზი უკვე ქალის ოთახში იჯდა და თითიც უკვე შეხვე-ული ჰქონდა. ქალმა ძმარში გაწურული ძონძით მოუწმინდა ჭრილობა. ძმარმა ხორცი რომ აუწვა და თითები მოუკრუნჩხა, ქალმა ისევ გაიცინა. "რა ყველაფერზე იცინიო" - უთხრა ფარნაოზმა. "მიხდება და იმიტომ" - უპასუხა ქალმა.

შემოვიდა თუ არა, ფარნაოზს მაშინვე საწოლი ეცა თვალში, არაბუნებრივად დიდი, სუფთა და ცარიელი, სარკოფაგს უფრო ჰგავდა, ვიდრე საწოლს. ფარნაოზი სულ ამ საწოლს ხედავდა, თუმცა თავგალუნული იჯდა სკამზე, სანამ ქალი თითს შეუხვევდა. ქალი ისე გაიტაცა საქმიანობამ, ფარნაოზი თითქოს გადაავიწყდა; არსებობდა მხოლოდ ფარნაოზის ნატკენი თითი და თვითონ. თვითონაც იმიტომ არსებობდა, ამ თითის ტკივილი რომ დაეცხრო, ჩვილივით შეეფუთა, ჩვილივით კი არა, თოჯინასავით, და მართლაც შინნაკეთი თოჯინასავით გაფუყულ თითს გულში იხუტებდა, ალუ-ალუს დასძახოდა და ბედნიერი იყო. მერე უხალისოდ წამოდგა, თითქოს მოულოდნელად იმ თოჯინის ნამდვილი პატრონი დაადგა თავზეო, გულ-ხელი დაიკრიფა და ფარნაოზს უთხრა: ახლა შეგიძლია წახვიდეო. ფარნაოზი სანდლის ზონარს იკრავდა და ისევ საწოლი ედგა თვალწინ, ქალის საწოლი, სარკოფაგივით ცივი და დამთრგუნავი.

ქალი ბედნიერი იყო და ვერც მალავდა, ყველაფერი სახეზე ეხატა, როგორც ალის ანარეკლი კოცონთან მდგარს. იმასაც გრძნობდა, მთელი სიცოცხლე ამ წუთის მოლო-დინში რომ გაეტარებინა, რადგან სწამდა მისი არსებობა, მისი გარდაუვალობა და, რაც მთავარია, ერთხელაც არ დაექვევებულა, იყო თუ არა ღირსი ამ წუთისა. მისი აზ-რით, ერთი ბედნიერი წუთის უფლება ყოველ არსებას ჰქონდა, როგორი საშინელიცა და უმნიშვნელოც არ უნდა ყოფილიყო იგი. განა გაუძლებდა ცხოვრებას, თუკი დარწ-მუნებული არ იქნებოდა, რომ არც მას დაივიწყებდნენ, არ გამოტოვებდნენ, არ გამო-არჩევდნენ, როცა იმ "ერთადერთი" წუთების დარიგების დრო დადგებოდა?! ვისზე ნაკ-ლებს აკეთებდა, ანდა ითმენდა, მაინცდამაინც, ის რომ დაეტოვებინათ ხახამშრალი?! არა, ოღონდ ხახამშრალს ნუ დასტოვებენ და რაც უნდოდათ, ის ექნათ, გინდაც

დაეყვებინათ, გინდაც დაეცინათ და გინდაც თმით ეთრიათ, ოღონდ მიეცათ, რაც ეკუთვნოდა, რის გულისთვისაც არსებობდა. დანარჩენი სულერთი იყო, მოუწონებდნენ თუ გაკიცხავდნენ, მხარში ამოუდგებოდნენ თუ აბუჩად აიგდებდნენ. მართლაც, რა აზრი ჰქონდა, შიშველი იქნებოდა, როგორც სინათლე, თავისი სიშიშველით საზეიმო განწყობას რომ ბადებს, თუ ჯამბაზივით ჭრელ-ჭრელა მონძებით მორთული, რაც მხოლოდ და მხოლოდ ხალხის გასართობად და გასაცინებლადაა გამიზნული. მთელი არსებით გრძნობდა, უფლება ჰქონდა ამ ერთი წუთისა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მისი ადამიანობის დასაყრდენი და დადასტურებაც იქნებოდა. გარდა ამისა, მას ჰქონდა ის, ურომლისოდაც ყველა ქალი მალე უფასურდება და მახინჯდება, რა საქმიანობასაც არ უნდა მისდევდეს იგი. მას ვარსკვლავი ჰქონდა, პატარა ბიჭის, მასავით სულელი და გულუბრყვილო ბიჭის ნაჩუქარი. იმ ვარსკვლავის ქიმებით ჩახეული გული განუწყვეტლივ ეწვოდა; ან რას იფიქრებდა, ფოთოლივით მოცახცახე, ფოთლისხელა სინათლე, ასეთი მძიმე, ასეთი დაუღვევლი და დაუხარჯველი თუ აღმოჩნდებოდა. პირველად, ერთი პირობა, შიშვც გაუჩნდა, მართლა არ გალუღიყო, არ გამქრალიყო ეს ფარღალა სინათლე, შიგნიდან რომ ანათებდა და აჩახახახებდა მთელ მის არსებას, მაგრამ მერე, როცა ბავშვობა სიზმარულ მოგონებად იქცა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა, მიხვდა, ვარსკვლავი სულ ასე ექნებოდა გულში ჩაჭედილი, სანამ ის პატარა ბიჭი არ დაბრუნდებოდა და უკანვე არ მოითხოვდა, რაც ბავშვობითა და უმეცრებით გაეჩუქებინა ოდესღაც. როგორ აფორიაქდებოდა, როგორ აწრიალდებოდა, როგორ მოეკვეთებოდა ხოლმე მუხლები, როცა იმ ბიჭის მოსვლას წარმოიდგენდა, იმ მოღუშული ბიჭისა, ხმელი ჩხირით სილაზე ძაღლებს რომ უხატავდა, დარიაჩანგის ბაღში ვაშლს რომ უკრეფდა, ცურვში რომ ეჯიბრებოდა, ტიტველ ტანზე მედუნას რომ აგდებდა, მოდულეებული სახამებელივით თონთლოსა და სლიპინას. "დამიბრუნე ჩემი ვარსკვლავიო" - ეუბნებოდა ბიჭი. "ვარსკვლავი? დაგიბრუნო?" - იბნეოდა და თავის დასამძვრენ გზებს დაემებდა უკვე ასაკოვანი და ცხოვრებისგან გამობრძმედილი ქალი, ათასი კაცის ხელში გამოვლილი, მაგრამ ამ მოღუშული და ციცქნა ბიჭის წინ ისევ გაბავშვებული, ისევ ძველებურად სულელი, გულუბრყვილო და სუფთა. "განა მაგიტომ გაჩუქეო" - აშკარად საყვედურობდა ბიჭი და ხელიც უკვე გამოემშვირა, თითქოს ასე ადვილი იყო ერთხელ და სამუდამოდ გულში ჩაჭედილი, გულის სისხლით ჩადუღაბე-ბული ვარსკვლავის ამოგლეჯა. "ხომ მაჩუქეო" - ბოლო წუთამდე იბრძოდა ქალი ვარსკვლავის შესანარჩუნებლად, მაგრამ ბიჭიც ჯიუტი იყო და უკმეხად პასუხობდა, მაგიტომ არ მიჩუქნიაო. ქალი კი ბედნიერი იყო, უსაზღვროდ, გიჟურად ბედნიერი, მხოლოდ იმიტომ, ბიჭს ისევ რომ ხედავდა, ისევ რომ ესმოდა მისი ხმა: მომთხოვნი და ბრაზიანი, წკეპლასავით მწარე და დაუნდობელი. ბიჭის ხმა ქალს იმ წკეპლას ახსენებდა, რომელიც თავის დროზე ბიჭს არ გადაეკრა მისთვის. ტკივილი აფხიზლებდა, გონებას უხსნიდა, აჭკვიანებდა და აეშმაკებდა კიდეც. "შენი ბრალია, რატომ არ გადამკარი წკეპლაო" - იქით სდებდა ბრალს გახარებული ქალი, ასე მოულოდნელად რომ ეპოვნა თავის გასამართლებელი მიზეზი. "რატომ არ გადამკარი, რატომ?! ახლა არც მე დაგიბრუნებ ვარსკვლავს და ბარი-ბარში ვიქნებითო" - ეუბნებოდა ნირწამხდარ ბიჭს. ბიჭს გაკვირვებისგან სახე ეცვლებოდა, არ ეგონა თუ ეხსომებოდა ქალს ყველა-ფერი, ახლა თუ გაუხსენებდა ოდესღაც ჩადენილ დანაშაულს; მერე გაკვირვებას სასო-წარკვეთილება უცვლიდა და ხელი უკან მიჰქონდა, ზურგს უკან რომ დაემალა. "ბარი-ბარში, ბარი-ბარში, ბარი-ბარშიო", - იძახდა გახარებული ქალი და სახტად დარჩენილი ბიჭის წინ ბზრიალებდა, ბზრიალებდა და ჭრელი, დიღებმეწყვეტილი

ქვედაკაბე-ბივით სათითაოდ სცვიოდა გავლილი წლები. თანდათან თვითონაც ილეოდა, პატარავ-დებოდა, შიშვლდებოდა და ისიც იმ ბიჭისხელა ხდებოდა. განვლილი წლები კი ჩაფუ-შული ქვედაკაბე-ბივით ეყარა ფეხებთან და საკმარისი იყო, გადმოეზიჯებინა, ისა და ბიჭი ისევ ერთად, ხელიხელჩაკიდებულნი გაქცეულიყვნენ ზღვისკენ, დარიაჩანგის ბა-ღისკენ ანდა გამოქვაბულისკენ, მაგრამ სწორედ კაბეებზე გადმოზიჯება იყო ძნელი, შე-უძლებელი, რადგან ისინი თვალშეუწვდენელ ღობედ დახვავებულნი იყვნენ მის გარშემო. ქალი წუხდა, თვალეებს აცეცებდა, მაგრამ არც მის ქალურ გონებას შეეძლო განვლი-ლი წლების გადამლახველი გზის მოგონება. "შენ ბიჭი ხარ, შენ გადმოდიო" - ეძახდა ბიჭს, მაგრამ ბიჭი უკანმოუხედავად, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა დამყაყებულნი ზღვისკენ, დარიაჩანგის დიდი ხნის წინათ გამქრალ ბაღისკენ და ურჩხულივით პირ-დადებულ გამოქვაბულისკენ, რომელსაც მთელი მისი ცხოვრების საგზალი გადაესანს-ლა: ათიოდე ხმელი პური და ღორის დამაშხული ბარკალი. ბიჭი მარტო გარბოდა, უიმისოდ, მაგრამ უვარსკვლავოდაც. ვარსკვლავი ქალს დარჩენოდა. განვლილი წლებიც ისევ გადაეცვა ჭრელი ქვედაკაბე-ბივით და ელოდებოდა, რადგან დარწმუნებული იყო, უვარსკვლავოდ ვერც ბიჭი გაძლებდა და ადრე თუ გვიან ისევ მოაკითხავდა. მო-კითხავდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ვეღარ ეცნო იგი ქალს? ფიქრი სხვაა, ცხოვრება კი - სხვა. ფიქრი იმას ინახავს, რაც ცხოვრებისთვის აღარ არსებობს. ამ ხნის განმავ-ლობაში, ალბათ, ბიჭიც გაიზრდებოდა, შეიცვლებოდა და იმ მამაკაცებს დაემსგავსებო-და, განუწყვეტლივ რომ გადი-გამოდიოდნენ ქალის ოთახში. მაგრამ ქალი მაინც იცდი-და, იმედს არ კარგავდა და აი, გაუმართლდა კიდეც. მან ახლა უშეცდომოდ იცოდა, ვინ იჯდა მის ოთახში. შეცდომა გამორიცხული იყო. მართალია, დროს ფარნაოზისთ-ვისაც გაეკრა ხელი, მაგრამ თვალეებისთვის ვერაფერი დაეკლო, თვალეები ისევ იმ ბი-ჭისა ჰქონდა, ვარსკვლავებს რომ არიგებდა საჩუქრად, ჩიკორსა და ფერად კენჭებს კი არა, ვარსკვლავებს, ნამდვილ ვარსკვლავებს.

ბედნიერების ერთი წუთი, რომელსაც ქალი ამდენი ხანი ელოდებოდა, სინამდვილე-ში იმდენად ხანგრძლივი და აუტანელი აღმოჩნდა, ქალმა აღარ იცოდა, რა ექნა, რო-გორ გაეყვანა, რითი ამოევსო ეს შემზორკავი, სულის შემხუთავი დრო. "რატომ არ მი-დისო" - ფიქრობდა შემფოთებული, რადგან აქამდე აზრადაც არ მოსვლია, ამ კაცისთ-ვისაც მეძავი რომ იყო მხოლოდ და თუ კაცს სურვილი ექნებოდა, სურვილი და ზედ-მეტი ფული, ურომლისობაც ოჯახს არ შეეტყობოდა, უსიტყვოდ უნდა შეესრულებინა მისი სურვილი. სინამდვილე ეს იყო. დანარჩენი კი თავქარიან ოცნებას მოეჩმახა. ქა-ლიც გაესულელებინა და დაერწმუნებინა, გულში ნაჩუქარი ვარსკვლავი გიდევს და კარგად მოუარეო. კი მაგრამ, ამ კაცს რაღას ერჩოდნენ, ამ კაცს რატომღა თვლიდნენ სულელად, რატომ უნდა ხსომებოდა ბავშვობაში გაჩუქებული ვარსკვლავი, ან თუ ახ-სოვდა, რაღაზე მოიკითხავდა, როცა ყველა კაცი მთელ სავარსკვლავეთოს დაუფიქრებ-ლად, უყოყმანოდ აჩუქებს ქალს, რომელთანაც მარტო აღმოჩნდება ოთახში.

ქალს გაეცინა. ფარნაოზმა ისე შეხედა, თითქოს პირველად დაინახა იგი, დოინჯშე-მოყრილი, ღვარძლიანად მოღიმარი.

- თუ გინდა, ჯოხსაც გათხოვებ! - თქვა ქალმა და კუთხისკენ თავი გაიქნია.

ფარნაოზმა უცებ შეამჩნია მრგვალთავიანი ჯოხი: გველივით ასვეტილიყო კუთხეში და კუპრში ამოვლებულივით ბზინავდა. თითქოს ოდნავ ირხეოდა კიდეც. ჯოხი კი არ ირხეოდა ფარნაოზს

დაესხა თავბრუ, მთელი ოთახი აყირავდა და ბურანში მყოფის სიმშვიდითა და ნეტარებით გაიფიქრა, თავზე დავამტვრევ ამ ჯოხსაო. ქალი კი გამომ-წვევად, სხაპასხუპით ლაპარაკობდა, სიტყვებს ყლაპავდა, მაგრამ მიზანს მაინც აღწევდა. ფარნაოხს ფერი ეკარგებოდა, ყბა უცახცახებდა და ზიზღითა და სიძულვილით მახინჯდებოდა, თითქოს ვიღაც, უხილავი, ტალახით უთხუპნიდა სახეს. ქალსაც ეს უნდოდა. მან უცებ გამონახა თავდაცვის საშუალება, რადგან მაშინვე იგრძნო, როგორ განარისხა მისი სტუმარი მრგვალთავიანი ჯოხის დანახვამ. ის ყველა ღონეს იხმარდა, ოღონდ ფარნაოხსაც არ გასჩენოდა ისეთივე სურვილი, როგორც ყველა აქ შემოსულ მამაკაცს უჩნდებოდა. თავს შეაზიზღებდა, ათასნაირ სიბინძურეს მოიგონებდა, რათა მალე წასულიყო იგი აქედან, ისეთივე სუფთა, ნათელი და მიუღწეველი, როგორც შემოვიდა - ჩაიდებდა ამ ჯოხს მუხლებს შორის, ზედ ხელებს დააწყობდა, ხელებზე ნიკაპით დაეყრდნობოდა და მიყურებდა, მათვალაიერებდა - ამბობდა ქალი და თვითონ-ვე იცინოდა, უსიამოდ, ბრაზიანად, ნამძალაღევად, თითქოს სწყინდა, მისი ხუმრობა შე-უმჩნეველი რომ დარჩენილიყო და ამ უსიამოდ, ბრაზიანი და ნამძალაღევი სიცილით ხელსა ჰკრავდა, უკან აბრუნებდა მსმენელის გონებას.

"რა ჩემი საქმეაო" - ფიქრობდა ფარნაოხი, მაგრამ კარგად იცოდა, თავს რომ იტყუებდა, თავს იწყნარებდა, რათა ეს წყეული ჯოხი მართლა არ დაემტვრია თავზე ამ ქა-ლისთვის, ურცხვად რომ უყვებოდა, როგორ ამიშვლებდნენ და ათვალაიერებდნენ შარ-დისა და ზინზლის სუნით აქოთებული ბებრები, რარაკი სხვა აღარაფერი შეეძლოთ. კი ფიქრობდა, რა ჩემი საქმეაო, მაგრამ ასე მძაფრად და მტკივნეულად არასოდეს ეგრ-ძნო აქამდე, რომ სწორედ ეს იყო მისი საქმე, ამ ქალის ბედი, ამ ქალის ავანჩავანი: ეს ქალი ყველა ქალის მაგიერი იყო მისთვის, დედისაც, დისაც, სატრფოსიც და ცო-ლისიც, თვითონ კი ვერც შვილობა, ვერც ძმობა, ვერც მეგობრობა და ვერც ქმრობა გაეწია ამ ერთადერთი ქალისთვის, რადგან უყურადღებო შვილი, გულგრილი ძმა, უგ-ნური მეგობარი და ლაჩარი ქმარი იყო მისი. ამიტომაც არც უფლება ჰქონდა, ჯოხი დაემტვრია თავზე. პირიქით, ფეხებში უნდა ჩავარდნოდა, პატიება ეთხოვნა, ანდა ენა მუცელში ჩაეგდო და გაძურწულიყო აქედან, ჩაფრენილიყო თბილსა და მყუდრო ბუ-დეში, უსინდისოდ რომ შეეკოწიწებინა თავისთვის, და იქ, ბარტყის ჟივჯივსა და ცო-ლის ბუზღუნში, დაევიწყებინა, სამუდამოდ დაევიწყებინა ამ ოთახის არსებობა, სადაც მისი უყურადღებობის, გულგრილობის, უგნურობისა და სილაჩრის მსხვერპლი ესვენა, საფლავიდან გამოპარული, გაცოცხლებული მკვდარივით თავზარდამცემი, მაგრამ, ამა-ვე დროს, საბრალო და უწყინარი, როგორც კაცის ხელში გაზრდილი ნადირი.

- მეორემ კი, იმ ბებრის სიძემ - აგრძელებდა ქალი თავისას, - ეს ჯოხი გირაოში დამიტოვა. შენ არაფერი გაქვს გირაოში დასატოვებელი? - იყვირა უცებ.

"ყველაფერი დამთავრდა, კარგია, რომ დამთავრდა" - გაიფიქრა ფარნაოხმა და წა-მოდგა, მაგრამ ტკივილმა ფეხი მოაგლიჯა და იძულებული გახადა, ორივე ხელით სკამს დაეყრდნობოდა, რომელზედაც აქამდე იჯდა. ქალიც უცებ გაირინდა, თითქოს ორივესთვის ერთდროულად დაეველოს ერთსა და იმავე ტკივილს.

- ახლა კი მართლა შეგიძლია წახვიდე - თქვა ცოტა ხნის მერე ქალმა, - კარგია, რომ ასე დამთავრდა ყველაფერი. უფრო ფრთხილად ივლი ჩვენი ქალაქის ქუჩებში... - ქალს ხმაც დამშვიდებოდა და სახეც, გაღიმებისას ლოყებზე ისევ უჩნდებოდა პატარა ფოსოები.

- მადლობელი ვარ, უჯოხოდაც წავალ - თქვა ფარნაოზმა და კარისკენ შეტრიალდა. მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა ის, რასაც არც ერთი არ ელოდებოდა, რამაც ორივეს ერთბაშად დაუკარგა თვალთმაქცობის უნარიცა და სურვილიც. ქუჩაში კუსას ტომრის ჟღერალი გაისმა. ოთახი ჩაიხუთა და ორივემ საკუთარი გულის ბაგაბუგი გა-იგონა. ერთდროულად შეხედეს ერთმანეთს, შემფოთებით, ხანგრძლივად, მერე ქალმა ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიძო, უხმაუროდ მიიღრინა კართან და ურდული გაუგ-დო. შემობრუნება გაუჭირდა, პირველად ახლა შერცხვა ფარნაოზისა, თითქოს აქამდე, კუსას დაუხმარებლად, ფარნაოზი ვერ უნდა მიმხვდარიყო, სად იმყოფებოდა, რადგან ქალი მოხერხებულად უმაღავდა, კი არ უმაღავდა, თავადაც დავიწყებოდა, მის ოთახ-ში, მხოლოდ და მხოლოდ, ბავშვობაში გაჩუქებული ვარსკვლავების დასაბრუნებლად, ანდა ნატკენი თითების შესახვევად რომ არ შემოდიოდნენ. ქალს მხრები უცახცახებდა. ასე უხმოდ, მხრების ცახცახით იცოდა ტირილი. ფარნაოზი მივიდა და თავზე ხელი გადაუსვა. გული ყელში გაჩხეროდა, არასოდეს არ ყოფილა ასე უბედური. ქალის მი-ტოვებაც ესიკვდილებოდა და ამ ოთახში დარჩენაც; უნდოდა, ამ ქალის სახელი ეთქვა, ეყვირა, ეღრიალა მთელი ქვეყნის გასაგონად, მაგრამ ვერ გაებედა, რცხვენოდა და ეში-ნოდა, აქ არ ეპოვათ, აქ არ დასდგომოდნენ თავზე. ის კი არა, მზად იყო ჯოჯოდ ქვე-ულიყო, ობობად და სამუდამოდ შემძვრალიყო კედლის ბზარში, რადგან იმის წარმოდ-გენაც თავზარს სცემდა, მხარზე ტომარაგადაკიდებული კუსა ეზოში რომ იდგა და ხე-ხილს ათვალაიერებდა, თითქოს ამისთვის მოსულიყო, თითქოს არ იცოდა, ვინ იდგნენ, ვინ ცახცახებდნენ, კურდღლებივით, ურდულაგადებულ კარს უკან. ის რომ კაცი ყო-ფილიყო, ქალს კარის დაკეტვას დაუშლიდა, ეტყოდა, უბრძანებდა, ნუ სტირიო, კუსას კი... არა, კუსას მაინც ვერ დაენახვებოდა, ვერც ვერაფერს ეტყოდა, ისევ აქ ერჩია სიკ-ვდილი, მეძავის ოთახში; ქალმაც შეატყო და მისი გულისთვის გადაკეტა კარი, დაინ-დო, დაზოგა, გაუფრთხილდა, შეეცოდა და ამიტომაც ტიროდა ახლა, რადგან არ ეგონა, თუ კიდევ არსებობდა ვინმე მისი შესაცოდი. დრო კი იწელებოდა, მიიზღაზნებოდა, წამი საუკუნედ ქვეულიყო. მათ კი განძრევისაც ეშინოდათ, თითქოს აღარც განძრევის უფლება ჰქონდათ. თითქოს სულ ასე უნდა მდგარიყვნენ, რადგან ამჯერად ასეთი სას-ჯელი მოეგონებინა მათთვის ბედსა და ბედისწერას. კარს იქით კუსა იდგა, იდგა და იცდიდა, როდის უმტყუნებდათ ნებისყოფა ოთახში გამომწყვდეულებს, როდის დარწ-მუნდებოდნენ, დამალვას რომ აზრი აღარ ჰქონდა, კარს გაუღებდნენ და შემრიგებლუ-რი ღიმილით აღიარებდნენ, ისინიც ისეთივე ხარბი, ბილწი და უსირცხვილო არსებე-ბი რომ იყვნენ, როგორც კუსა, როგორც ყველანი, მაგრამ ყველანი იმით ჯობნიდნენ მათ, რომ არ თვალთმაქცობდნენ, აშკარად იხვეჭდნენ მოსახვეჭს, აშკარად ისრულებდ-ნენ თავიანთ სურვილებს და არცა რცხვენოდათ ამ სურვილებისა. მათ კი ახლა არც თავის მართლების უფლება ჰქონდათ და არც ის იცოდნენ, ვის წინაშე ემართლათ თავი, რომელი ერთის წინაშე; ან ვინ დაუჯერებდათ, ამ ოთახში ბავშვური სიწმინდის და გულუბრყვილობის გასახსენებლად რომ შეკვეტილიყვნენ და არა იმ საქმეზე, რისთ-ვისაც საერთოდ ეს ოთახი არსებობდა. მართლაც, რა უფლება ჰქონდა ფარნაოზს, კუ-სას რომ უყვირა სასაფლაოზე: ტყუიო? განა თვითონ უარესად არ ტყუოდა? პირწავარ-დნილი ცრუპენტელა იყო და მეტი არაფერი. ახლაც ტყუოდა, ახლაც თავს იტყუებდა, რადგან, რაც უფრო მეტი დრო გავიდოდა, რაც უფრო დიდხანს დააყოვნებდა იგი ამ ოთახში, მით უფრო მეტი სიბინძურე აეკვრებოდა ორივეს, მასაც და ინოსაც, რადგან ისინი, ისა და ინო, ერთადერთი წყვილი იყო მთელ ქვეყანაზე, რომელსაც არ ჰქონდა ამ ოთახში ერთად ყოფნის უფლება.

მათთვის ეს ოთახი არ არსებობდა, არ უნდა არ-სებულიყო, რათა არ დაჰკარგვოდა მარადიულობის, სიწმინდისა და სინამდვილის იერი იმ პატარა გოგო-ბიჭს, რომლებიც ოდესღაც მართლა არსებობდნენ, მართლა უყვარდათ ერთმანეთი და მართლა სჯეროდათ, შესაძლებელი რომ იყო ვარსკვლავის გაჩუქება, ერთმანეთის გულისთვის ძალღად გადაქცევა და ვიღაც ავაზაკის იმედით ცხოვრება. ეს ბავშვური რწმენა და სიყვარული ედო, ალბათ, ქვეყანასაც საფუძვლად და ამიტომ-მაც გაემლო, ამიტომაც არ ინგრეოდა. ქვეყანა ორი ბავშვის, გოგოსა და ბიჭის, რწმენისა და სიყვარულის მხრებზე იდგა, ისინი კი, მოწმის შიშით ოთახში გამოძვრდნენ უ-ლი ქალი და კაცი, იმ ორ ბავშვს უკანასკნელი მიწის გოჯსაც, უკანასკნელ ფეხის მოსაკიდებელ ადგილსაც ართმევდნენ. ამას ქალიც გრძნობდა და კაციც, რადგან ორი-ვენი იმ ბავშვებს გაეჩინათ, კი არ გაეჩინათ, მოეშორებინათ, როგორც ზედმეტი და უვარგისი ტვირთი. ისინი წარსულს ართმევდნენ ერთმანეთს, ყველაზე საიმედო თავშე-საფარს, სადაც ცხოვრებისგან დაღლილებს და გათელილებს თავის შეფარება შეეძ-ლოთ და არა მხოლოდ თავის შეფარება, არამედ განახლებაც, განწმენდაცა და აღდგე-ნაც, რადგან იმ წარსულს ვაშლის სუნი ასდიოდა და მოჩხუბარი თოლის ფრთები ჰქონდა.

გარეთ კი წელიწადის დრონი ერთმანეთს ცვლიდნენ, ხეები ყვავდნენ, ნაყოფით იხუნძლებოდნენ, ჭკნებოდნენ და შიშვლდებოდნენ, ქარი ხმელ ფოთლებს უთავბოლოდ დააქროლებდა, მერე კი თოვლი ფარავდა ყველაფერს და ამ უსაზღვრო სითეთრეში მხოლოდ ერთი შავი წერტილი იდგა გაუნძრევლად, ეს წერტილი თანდათან იზრდებო-და, ადამიანის სახეს იღებდა, რომელსაც ტყავის ტომარა მოეგდო მხარზე, თუმცა არ-სად არ მიდიოდა, რადგან არსად არ უნდოდა წასვლა და არც წავიდოდა, რამდენჯე-რაც არ უნდა დატრიალებულიყო ცარგვალი. ის აქ უნდა მდგარიყო, მაინცდამაინც აქ, მეძავის ქობთან, რადგან მხოლოდ აქ შეეძლო დაემტკიცებინა, ყველანი ერთნაირები რომ იყვნენ და არავის არ ჰქონდა უფლება, ზემოდან დაეხედა მისთვის, რამე დაეყვედ-რებინა, რამეში გაემტყუნებინა, რადგან სხვაც, სხვაც კი არა, ყველა მისი მსგავსი იყო, ცოდვის ტყირპი ყველას ერთნაირად დაჰყოლოდა დედის მუცლიდან და თუ აქამ-დე მალავდა, მხოლოდ იმიტომ, არავის რომ უფიქრია მისი შემოწმება, უბრალოდ, სიტყვაზე ენდობოდნენ, ის კი ფეხს არ მოიცვლიდა, სანამ არ შეამოწმებდა, უფრო სწორედ, სანამ არ დაამტკიცებდა იმას, რაც აქამდეც იცოდა, იცოდა, მაგრამ უსაბუ-თოდ. ახლა კი, მოთმინებისა და თითქოს უსარგებლოდ დაკარგული დროის საფასუ-რად, ამ საბუთსაც მოიპოვებდა.

\* \* \*

ვანში შემოდგომის გადაბმული, მომაბეზრებელი წვიმები დაიწყო. ხალხი სახლებში შეიკეტა. ქალაქი ჯანღში ჩაიკარგა, ქალაქის თავზეც ღმერთის ამონასუნთქივით უზარმაზარი ღრუბელი იდგა. აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა გატიტვლებული კენწერო და სახურავის ნაწილი, როგორც ზღვაში დაღუპული ხომალდის ნამტვრევები. წებოვანი, გასქელებული ჰაერი ხმას არ ატარებდა, ყელში წაჭერილებივით ყიოდნენ მამლები, ჭიკჭრამდეც ძლივს აღწევდა ძაღლების ყეფა. ჭრაქები ბჟუტავდნენ. ბიისფერი სინათ-ლე უფრო უცხოსა და უკაცურს ხდიდა გარემოს.

უამინდობას ფარნაოზიც გამოეკეტა, მას კი შინ ყოფნისა ეშინოდა, როგორც მოლა-ლატეს იმ ბანაკისა, რომლის ღალატიც განუზრახავს. ვერც ცეცხლს უსწორებდა თვალს და ვერც ცოლს, რადგან ინოსთან შეხვედრის შემდეგ, კიდევ უფრო, სამუდა-მოდ დარწმუნებულიყო, რა სუსტი

იყო ის ძაფი, რომელიც თინას შეეკოწიწებინა მათ შესაერთებლად. ამ ძაფის გაწყვეტას არც დიდი დრო სჭირდებოდა, არც დიდი ძალა. საკმარისი იყო, ფარნაოზს უბრალოდ წინააღმდეგობა არ გაეწია იმ უხილავი ხმისთ-ვის, განუწყვეტლივ რომ ჩასჩურჩულებდა ყურში, ადექი, რაღას თვალთმაქცობ, ან სხვას რას ატყუებ, ან თავს რაზე იტყუებო, და ყველაფერი თავდაყირა დადგებოდა. ფარნაოზს ეს ხმაც აღიზიანებდა, სიმართლეს კი ამბობდა, მაგრამ არც სასიკეთოს სთავაზობდა რამეს. "რაღას თვალთმაქცობო" კი ეუბნებოდა, მაგრამ ფარნაოზს ძალიან-ნაც რომ მოენდომებინა, ვერ ითვალთმაქცებდა. კიკინებაპრეხილი, გაცრეცილი გოგო, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში თავისი გულუბრყვილობითა და სიწმინდით ასაზრდოებდა ფარნაოზის არსებას, უკვალოდ გამქრალიყო, ფარნაოზის მახსოვრობი-დანაც გაპარულიყო, გაფრენილიყო, როგორც ჩიტი გალიიდან, და მისი ადგილი ქალს დაეკავებინა, ცხოვრების ყველა კარში გამოვლილსა და ყველა ჭუჭრუტანაში შეხე-დულს, ათასი კაცის სიმარტოვის ტუსაღსა და ათასი კაცის სარკოფაგის ზედამხედ-ველს. ფარნაოზს კი ეს ქალი უყვარდა. თვალთმაქცობას მართლა აღარ ჰქონდა აზრი, მაგრამ განა ფარნაოზი აქამდე თვალთმაქცობდა? არა, ის აქამდე იბრძოდა. როგორ იბ-რძოდა, ცუდად თუ კარგად, ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, მთავარია რომ იბრძოდა, იგერიებდა, უძალიანდებოდა, არ ნებდებოდა სიყვარულს, ეშინოდა მისი სიღრმისა, მი-სი იდუმალი წიაღისა, გვამებითა და მარგალიტებით მოფენილი ფსკერისა. ფარნაოზი ზღვას ებრძოდა, სიყვარულის ზღვას, და მთელი სიცოცხლე მის მდულარე ტალღებში ყურყუმალაობდა, როგორც ცარიელი და კუპრით თავგადაგლესილი დოქი. მაგრამ ასე-ვე მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძნობდა, ეს წუთი რომ დადგებოდა, დოქს ან კუპ-რის ხუფი მოსძვრებოდა, ან ძირი გაეზარებოდა და წლობით ნათმენსა და მიყუჩე-ბულ ვნებას ველარაფერი შეაკავებდა, ბოლოს და ბოლოს, ისიც გამოვიდოდა სამზეო-ზე, კბილატკიებულ ნადირივით გაცოფებული, აღზნებული, სინათლისაგან დაბრმავე-ბული, ახალშობილივით უმწეო და უმეცარი, დასაღუპავად განწირული, მაგრამ წინას-წარვე შეგუებული დაღუპვას, და ამიტომაც საშიში, გარდაუვალი დაღუპვის შეგრძნე-ბით გაღონიერებული და გათამამებული, არა - გათავხედებული.

ეს ვნება ფარნაოზის გამოსაცნობი ნიშანი იყო და მისი დამალვა აღარ შეიძლებო-და, როგორც არ შეიძლებოდა ინოს შეხვეული თითის დამალვა. თინას არც უკითხავს, რა მოგივიდა, ან ვინ შეგიხვიაო, რადგან სისულელე იქნებოდა ამის კითხვა. საერთოდ ხმა არ ამოუღია თინას, სანამ ახალ სახვევს ადებდა თითზე. შუაზე გაყოფილი და სა-დად დავარცხნილი თმა უბზინავდა და ფარნაოზი გრძნობდა, ამ ქალთანაც დამნაშავე იყო, ამ ქალსაც ღუპავდა, თუ უკვე არ დაეღუპა, რადგან თინას ხმას, სურნელსა და სიმხურვალეს მხოლოდ სახლის გავსება შეეძლო, გულისა კი არა. თინასთვის გან-კუთვნილი გული გამოზამთრებული ნიორივით ფშუტე იყო, ცარიელი, გაპარული. ფარნაოზს კი, ამის თქმა არ შეეძლო, ერიდებოდა, თითქოს ეს სადად თმადავარცხნი-ლი ქალი მისი ცოლი კი არა, სტუმარი იყო, რომელსაც სტუმრობა გაგრძელებოდა, მაგრამ მასპინძელი ძველებურად უშლიდა სუფრასა და ლოგინს, რადგან მასპინძლობა ავალდებულებდა, სტუმრისთვის პატივი ეცა. "არ უნდა დავბრუნებულიყავიო", - ფიქ-რობდა ფარნაოზი და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მოტყუებით ჩამოეყვანათ აქ, სამშობლოში, მამისეულ სახლში. ასეთი გრძნობა კი იმიტომ ჰქონდა, ჩამოსვლამდე სხვანაირად რომ ფიქრობდა, სხვანაირად ეგონა და უფლებაც რომ არ მიეცათ, მაინც ვეღარ გაჩერდებოდა, ხომალს მოიტაცებდა, მეკობრეებს შეუამხანაგდებოდა, ანდა უხო-მალდოდ, უამხანაგოდ გადმოცურავდა



ზღვებს. იქ, უცხოეთში, ყველაფერი სხვანაირად ჩანდა. იქ ერთი წამითაც არ დაეჭვებულა, ინო რომ ელოდებოდა. ის კი არა, იმასაც ფიქრობდა, ნავსადგურში დამხვდებაო, ყველას თვალწინ კისერზე ჩამომეკიდება და ბო-ლო მოელება ჩვენს ტანჯვა-წამებასო. იმას კი აღარ დაგიდევდათ, ინოს საიდან უნდა შეეტყო ზუსტად მისი ჩამოსვლის დღე და საათი. ან იქნებ ეს ათი წელიწადი ფეხმო-უცვლელად უნდა მდგარიყო ნავსადგურში?! ხო, ასე უნდოდა ფარნაოხს, ასეთი ნატვ-რა ჰქონდა. იმდენად შორს იყო სამშობლოდან, კარგის მეტი არაფერი ახსოვდა. ახლა კი, მართლაც უცხოელი მეზღვაურით იჯდა საკუთარ სახლში და გრძნობდა, ყოველ-თვის ასე იქნებოდა, არასდროს გაუქრებოდა გაუცხოების გრძნობა, თუმცა ირგვლივ ყველანი ახლობლები იყვნენ, იატაკზე კი მისი სისხლი და ხორცი დალოდავდა, ყვე-ლასა და ყველაფერს ეპოტინებოდა, რათა წამომდგარიყო და ადამიანს დამსგავსებოდა. ფარნაოხი შვილს უყურებდა და გული სტკიოდა, თითქოს საკუთარ ოჯახში მძევლად დაეტოვებია იგი და თუ ბედისწერისგან თავს მოხვეულებირობას დაარღვევდა, უპირვე-ლეს ყოვლისა ამ ვარდისფერ არსებას გაწირავდა. ფარნაოხს ისიც ეგონა, თითქოს ქა-ლები, რომელთა ხელშიც ტრიალებდა პატარა უხეირო, მისი ჯიბრით, მის დასათრგუნ-ნავად, მკაცრად და უხეშად ექცეოდნენ ბავშვს, განგებ აჭმევდნენ ისე, ლუკმა სასულე-ში რომ გადასცდენოდა და იმის ნაცვლად, წიოკობა აეტეხათ, მთელი ქვეყანა შეეძრათ, იცინოდნენ, ბეჭებში უპარტყუნებდნენ და დასძახოდნენ, ფუი, შე უნდილოო. მერე ფარნაოხსაც გამოხედავდნენ დამცინავი ღიმილით, ვითომ, არც ახლა გჯერა, ჩვენს ხელში რომაა შენი სულიო, და ერთხელ კიდევ წაუთაქებდნენ ძლივს გამობრუნებულ ბავშვს: არ გრცხვენია, ნახე როგორ შეაშინე მამაო. ფარნაოხს მართლა ეშინოდა, სა-ნამ სუნთქვაშეკრული ბავშვის ხმას ისევ გაიგონებდა, სისხლი გაეყინებოდა ხოლმე და თვითონაც ეხშობოდა სასუნთქავი. ქალები კი, ვითომც აქ არაფერიო, ფაფითა და გა-ხეხილი ვაშლით გასისინებულსა და პირმოთხუპნულ უხეიროს ლეკვივით გადაიგდებ-დნენ კალთიდან და ისევ იცინოდნენ, იატაკზე თუ გაიშხლართებოდა და შუბლს დაჰკ-რავდა ფილაქანს. ხოლო ფარნაოხი გიჟივით რომ წამოვარდებოდა, ახლა იმას შეუყვი-რებდნენ, იმასაც ბავშვივით გამოაპანლურებდნენ. რა იყო, რამ დაგაფეთა, თუ არ წაიქ-ცა, როგორ გაიზრდებოაო. ფარნაოხს შუბუსაგან ჰქონდა გაგებული, ბავშვის ნაწლავი ღობეზე რომ გადაჰკიდო, მაინც იფეთქებსო, და ამის იმედითაა ათენ-აღამებდა.

პატარა უხეირო, ყველა მისი ტოლი ბავშვივით, უმწეოც იყო და სულელიც, მაგრამ არც უმწეობას განიცდიდა და არც სულელობას. ერთი წუთის წინათ მდუღარე ცრემ-ლით ატირებული, უცებ უაზრო ტიტინს მოჰყვებოდა, ისე ელოლიავებოდა ყველასა და ყველაფერს, თითქოს მათგან, ან მათი მიზეზით არაფერი სტკენოდა; ის ცხოვრებას სწავლობდა და გუნება-განწყობილების სწრაფი, განუწყვეტელი მონაცვლეობა ეხმარე-ბოდა, ასევე მონაცვლეობით, თანაბრად და თანდათანობით შეეთვისებინა ცხოვრების სიტკბო და სიმწარე, სითბო და სიცივე, სინაზე და სიუხეზე, რომელთა არსებობაზეც იყო დამოკიდებული მისი მომავალი სიცოცხლე. იატაკი, რომელზედაც შუბლს იჩეჩქ-ვავდა, ახლაც რომ შემულეებოდა, ვედარასოდეს გაივლიდა ზედ. მას კი უნდა გაეგლო, თავი აეწია და ცაც დაენახა, ოთხზე დამდგარს ქეჩოზე რომ უხიციანებდა მსუბუქი და ნაზი თითებით. ამიტომ ტკივილიც უნდა აეტანა და უნდა შეჰგუებოდა კიდევ. პატარა უხეიროც ასე იქცეოდა, ასე კარნახობდა ბუნება, რადგან ეს აუცილებელი ტკივილი იყო, ცოდნის მომმატებელი, სიცოცხლისთვის საჭირო ცოდნისა. თუმცა ხანდახან, ყოვ-ლად გაუთვალისწინებელი, ყოვლად უსარგებლო და ამიტომაც განსაკუთრებულად გულდასაწყვეტი ტკივილის ატანაც უხდებოდა პატარა უხეიროს. ისე მოულოდნელად აითვალწუნებდა ხოლმე

დედა, ისე მწარედ უჩქმეტდა, ან ისე დაუდევრად ჩათხრიდა პირში კოვზს და ისე უყვირებდა, ყველანი ერთნაირები ხართო, ტკივილისა და გაცეცხისაგან აღარ იცოდა რა ექნა, თუმცა ტირილის მეტი მაინც არაფერი შეეძლო. მას არც ის ესმოდა, რას ეუბნებოდა დედა, მაგრამ ხვდებოდა, ეს ჩვეულებრივი, საალერსო ანდა დასაძინებელი სიტყვები არ იყო. მაგალითად, დედამისი ასეთი ხმით არასოდეს არ იტყოდა: წადი, ტურავ, დაიკარგე აქედანო. პატარა უხეიროს არც იმ სიტყვების აზ-რი ესმოდა, არ იცოდა ვინ იყო, ან რატომ აგდებდნენ ტურას, მაგრამ ამას რომ ამბობ-და, დედამისს ისე უყუყუნებდა თვალები, ისე უტკბილდებოდა ხმა, არტახიდან ხელის ამოდრობაც ავიწყდებოდა და აკვნის თავზე აკონწილებული საჩხრიალოც. ნეტარებით, ბედნიერებითა და სიამაყით ეღიმებოდა გამეცვებული ტურის წარმოდგენაზე და ასე გაღიმებული იძინებდა კიდეც. დედის მოულოდნელი შემოწყრომა თავგზას უბნევდა, ეს ისეთი უბედურება იყო, მისი არსება ვერ გასწვდებოდა, დიდხანს ვერ გაუძლებდა, და უნებურად ისიც მშველელს ეძებდა, მშველელს კი არა, ნუგეშისმცემელსა და შემაქცე-ვარს. ასეთად კი მამა ეგულებოდა, დაბარებულივით ყოველთვის დროულად რომ გა-მოჩნდებოდა ხოლმე, გულში იხუტებდა და ცრემლიან ლოყებს ულოკავდა. ისიც მა-შინვე სიცილისა და ცუდლუტობის გუნებაზე დგებოდა, თვითონაც ცდილობდა აელო-კა მამის ლოყები, წვერით დაჩხვლეტილ ენაზე ხელებს ისვამდა, იფურთხებოდა და მა-ინც ჯიუტად ეტანებოდა ქვასავით მკვრივსა და ფარდაგივით მსუსხავ სახეს.

თუ პატარა უხეირო ვერ ხვდებოდა, ფარნაოზმა ხომ იცოდა, რატომ შემოსწყრებოდა ხოლმე თინა შვილს. ეს ზღაპრული მოთმინების ქალიც ხანდახან ვერ ერეოდა თავს და ისე უხეშად დაითრევდა ბავშვს, ან ისე გამეტებით უჩქმეტდა, ტკივილისაგან თვი-თონ უარესად ეგლიჯებოდა ხორცები, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო, ეგონა გაგიჟდე-ბოდა, ასე მაინც თუ არ ამოიყრიდა ჯავრს უსასრულო მოლოდინისთვის, ნამალადევიდ შეკოწიწებული ოჯახისთვის და, რაც მთავარია, გაუზიარებელი, ისევ და ისევ უპასუ-ხოდ დარჩენილი სიყვარულისთვის. თინას ბოლომდე ჰქონდა იმედი, მისი მოთმინება სხვანაირად დაჯილდოვდებოდა, სხვები თუ არა, ფარნაოზი მაინც ჩაწვდებოდა ამ მოთმინების სიღრმესა და სიღიადეს, ფარნაოზი მაინც მიხვდებოდა, რა ძვირი უჯდე-ბოდა ამგვარი მოთმინება ქალს, რომელსაც უყვარდა და რომელიც არ უყვარდათ, და ერთხელ მაინც სხვანაირად გადაუსვამდა თავზე ხელს, თუნდაც როგორც დოღში გა-მარჯვებულ ბედაურს, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი საწინააღმდეგოდ ხდებოდა, ფარნაოზი დღითი დღე უცხოვდებოდა და დღითი დღე ძნელდებოდა უბრალო, საყველ-პურო სიტყვის თქმა. ორივენი წინასწარ ფიქრობდნენ, რა ეთქვათ და როგორ ეთქვათ, ან საერთოდ ეთქვათ თუ არა რამე. თინა ისევ ითმენდა, რადგან ფარნაოზი ისევ შორს იყო მისგან, ისევ სხვას ეკუთვნოდა, თუმცა ყოველდღე მის გვერდით წვებოდა, რო-გორც ქმარი, მაგრამ მათი შეუღლებაც ძალადობასა და ამბოხს ჰგავდა, თითქოს ორი-ვენი ძალად მიჩეჩებულ ტვირთს იმორებდნენ. უნებლიე სიახლოვე და ერთად ყოფნის ვალდებულება მაინც თავისას აკეთებდა. თინა იქ იწვა, სადაც უნდა წოლილიყო, სა-დაც მისი ადგილი იყო და უნდოდა თუ არ უნდოდა, ცდილობდა თუ არ ცდილობდა, მისი გატრუნული და გავარვარებული სხეული ღამის წყვილიაღში მაინც იძენდა ანდა-მატურ ძალას და უხმოდ, უსიტყვოდ იზიდავდა ყველაფერს მამაკაცურს, რაც კი მათ ოთახში არსებობდა. ფარნაოზი წვალობდა, უძალიანდებოდა ამ მარადიულსა და ღვთა-ებრივ ძალას, მაგრამ საბოლოოდ მაინც მიდიოდა მასთან, ტანჯვითა და რაღაც არაა-დამიანური ნეტარებით აღზნებული, როგორც მწყურვალი წყაროსთან; მიდიოდა,

რად-გან არ შეეძლო, არ მისულიყო. არსებობდა თავის დაღწევის ერთადერთი გზა: ფარნა-ოზი საერთოდ უნდა გაქცეულიყო ამ ოთახიდან. ამ ოთახიდან კი არა, ამ სახლიდან და სამუდამოდ მიეტოვებინა ყველა და ყველაფერი: მამის საფლავიცა და შვილის აკ-ვანიც. მსხვერპლი დიდი იყო, თავზარდამცემად დიდი და ის მხოლოდ იმიტომ უნდა გაეღო ფარნაოზს, ცოლი რომ არ უყვარდა. უფო სწორად, სხვა რომ უყვარდა და ყო-ველთვის ის სხვა ეყვარებოდა, გინდაც ათი სიცოცხლე ეცხოვრა, გინდაც ფეხით დაე-კიდათ, გულ-მუცელი ამოეცლიათ, ცოცხლად დაემარხათ, მდულარე კუპრი ჩაესხათ ხა-ხაში. ის სხვა რომ არ ყოფილიყო, ალბათ, არც დაფიქრდებოდა, უყვარდა თუ არა ცო-ლი. სხვა კაცებივით ისიც, ალბათ მხოლოდ მაშინ აუბუზღუნდებოდა ცოლს, სადილს თუ დაუგვიანებდა, ფეხსაბანი წყლის შენელება თუ დაავიწყდებოდა, ანდა მეზობელ-თან მარილის სასესხებლად გადასული, სადამომდე შერჩებოდა ჭორაობასა და მასლა-ათს. თინას არაფერი დაუშვავია, არც ძალით შემოვარდნია სახლში, თვითონ დაუმა-ხა, თვითონ შემოიყვანა, რადგან სხვანაირად ფიქრობდა მაშინ და სულერთი იყო, ვის მოიყვანდა, ვის დაისვამდა ცოლად. მაშინ ფარნაოზი თავშესაფარს ეძებდა, დასამალ ადგილს, ინოსგან დასამალ ადგილს, და არ უნდოდა დაეჯერებინა, არსად რომ არ არ-სებობდა ასეთი ადგილი. არც სააქაოს და არც საიქიოს. თინა უდანაშაულოდ იღუპე-ბოდა. თინა მისი ცხოვრების ფარღალალა ქოხში შემთხვევით შემოფრენილი ჩიტი იყო და იმის ნაცვლად, უკანვე გაეფრინა, გზა ესწავლებინა, საკენკი დაუყარა, ცეცხ-ლთან გაათბო და შეიჩვია, რადგან აღარ შეეძლო, ეშინოდა ამ ფარღალალა ქოხში მარტო დარჩენისა. თინა პატივისცემას იმსახურებდა მხოლოდ, რადგან ყველაფერს ხვდებოდა და მაინც ითმენდა, ისევ მისი გულისთვის, მისი ფარღალალა ქოხის გუ-ლისთვის, მართლა ოჯახისთვის რომ დაემსგავსებინა ქალისა და ბავშვის სურნელს. ფარნაოზს კი აღარ მოსწონდა, მოსწონდა კი არა, აღიზიანებდა, ვერ იმნოვებდა, ვერ ეგუებოდა სიმყუდროვესა და პატივს, რადგან სიმყუდროვე და პატივი არც იმას ჰქონდა, იმას, ერთადერთს, ყველასაგან განწირულს, დაღუპულსა და დამღუპველს. ფარნაოზს თინას მოთმინებაც აღიზიანებდა, ხელ-ფეხს უკრავდა, ანამუსებდა, თავსაც აძულებდა და თინასაც. ერჩინა, თინას ეყვირა, ეჩხუბა, მეზობლები შეეყარა, ქმარი შინიდან გა-მოეგდო, მაგრამ ასე რომ მოქცეულიყო, მაშინ თინა არ იქნებოდა, მაშინ ფარნაოზსაც გაუადვილდებოდა მასთან ურთიერთობაცა და ლაპარაკიც. მაგრამ თინას სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო, მოთმინება მისი სიძლიერეც იყო და სისუსტეც, რადგან სხვა არაფერი იცოდა და ორივე ხელით ეპოტინებოდა ამ ყოვლის მომრევსა და დამაქცევარ ძალას; იტანჯებოდა და სხვასაც სტანჯავდა. მაგრამ თინა მაინც არ იყო ფარნაოზის-თვის მთავარი დაბრკოლება. ბოლოს და ბოლოს, ადრე თუ გვიან ისინიც გააგებინებ-დნენ ერთმანეთს, უაზრობა რომ იყო მათი ერთად ყოფნა, სისულელე, სიმახინჯე და სილაჩრე, რაკი ერთმანეთი არ უყვარდათ. მაგრამ თინა მისი შვილის დედაც იყო, პა-ტარა უხეიროსი, და ის მარტო შვილი კი არ იყო ფარნაოზისთვის, არამედ უკანასკნე-ლი იმედიც. მისი უდარდელი ღაღანი რომ ესმოდა, საცოდაობით გული ემდულრებოდა, გუნებაში უჩოქებდა, გაჩენისთვის პატიებას სთხოვდა, რადგან დარწმუნებული იყო, თვითონ ვერ შეძლებდა იმას, რაც მამამისმა შეძლო: ვერ დაუმალავდა შვილს, მონად რომ იყო დაბადებული და მონობაში აღმოხდებოდა სულიც, თუკი მამა-პაპის მსგავსად განგებ დაყრუვდებოდა, განგებ გამოლენჩდებოდა და სამშობლოს ღალატს სამშობლო-სათვის თავდადებად ჩათვლიდა. პატარა უხეიროს სხვა გზა უნდა გამოენახა, რადგან თავიდანვე ეცოდინებოდა სიმართლე, თავიდანვე, როგორც კი ყური გაეხსნებოდა, თვა-ლი აეხილებოდა და ფეხზე დგომას შეძლებდა. როგორც არ

უნდა ჰყვარებოდა, რო-გორც არ უნდა შესცოდებოდა, მამამისი მაინც ვერ დაუმაღავდა სიმართლეს, რადგან მხოლოდ ეს იყო მისი მოვალეობა, ამისთვის გაეჩინათ ღმერთებს: სიმართლე უნდა აღმოეჩინა მარტოს, სხვების დაუხმარებლად, რათა შვილისთვის დაეხვედრებინა, გადა-ეცა, გადაედო. მართალია, არც ეს ავალდებულებდა ფარნაოზს თინასთან ცხოვრებას, მაგრამ თინას მიტოვება შვილის მიტოვებასაც ნიშნავდა, უმამოდ გაზრდილ შვილს კი შეიძლება აღარ დაეჯერებინა კაცისთვის, რომელსაც მხოლოდ მის ჩასახვაში მიეღო მონაწილეობა, მის ჩასახვაში და არა გაზრდაში. მთავარი კი გაზრდაა. პატარა უხეირო თავიდანვე, თანდათანობით უნდა შესჩვეოდა სიმართლეს, როგორც სიარულს, როგორც გველებზე მონადირე - გველის შხამს. ინო სხვა იყო. ინო მარტო მას ეკუთვნოდა და როგორც არ უნდა ეცხოვრა, მაინც ყოველთვის მარტო მისი იქნებოდა. შვილი კი - არა. ამიტომაც ვერ მიატოვებდა მას, თუ უნდოდა, პირნათლად შეესრულებინა თავისი მთავარი მოვალეობა: სიმართლის თქმა. ამავე მიზეზით ვერ გადაედგა ფარნაოზს ის ნაბიჯი, რომელიც ყველაფერს თავის სახეს დაუბრუნებდა, თავის სახელს დაარქმევდა და ცხოვრებასაც უფრო ასატანს გახდიდა. "შვილს აბრალებ ყველაფერსო" - ჩასძახო-და ფარნაოზს უჩინარი ხმა და ხანდახან თვითონაც სჯეროდა, ეს აჩემებული სიმართ-ლის მთქმელობაც მისი სიმხდალისა და გაუბედაობის ნაყოფი რომ იყო, მონაჩმახი, გამონაგონი, ისევ და ისევ სიმხდალისა და გაუბედაობის გამმართლებელი. "შენ იმას სწუხარ, ხალხი რას იტყვისო, ოქროსავით ცოლ-შვილი მიატოვა და მეძავს გაეკიდაო" - აღარ ინდობდა უჩინარი ხმაც და ფარნაოზი შემოილივით წამოვარდებოდა ხოლმე საწოლიდან, როცა მისი ფიქრი ამ წერტილში იყინებოდა. თინა მძინარესავით ნელა და პირისწყლაპუნით გადაბრუნდებოდა ხოლმე კედლისაკენ, ფარნაოზი კი, სიცხიანი ავადმყოფივით, ანდა სამსჯავროს წინაშე წარმდგარი, მაგრამ უდანაშაულო პატიმარი-ვით, იმეორებდა: არა, არა, არაო, და აღარ იცოდა, რაზე გადაეტანა ყურადღება, ეს სუ-ლისშემხუთავი, დამაკნინებელი და ამავე დროს ჭეშმარიტებასავით უტიფარი ბრალდე-ბა რომ მოეშორებინა. "რა ინოს ბრალია, მე თუ ცხოვრება ვერ ამიწყვიაო" - ეკამათე-ბოდა გუნებაში უჩინარ ხმას, მაგრამ თვითონვე გრძნობდა, ბოლომდე გულწრფელი არ იყო, მთელი მისი ცხოვრება ინოზე ფიქრით იყო გატენილი, როგორც ბროწეულის ნა-ყოფი მარცვლებით და ყველაფერი ინოს ბრალი იყო, რაც კი გადახდენოდა, ავიცა და კარგიც. ის ინოს ადანაშაულებდა, თუმცა თვითონაც ვერ იტყოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რა უნდა ეღონა ინოს, სხვანაირად რომ წარმართულიყო მათი ცხოვრება. განა თვითონ რამე იღონა საამისოდ? ერთი ქვეციანი ძაღლის თავში აღებული ფულით მოინდომა გოგოს ყიდვა, იმის ნაცვლად, გზაზე გადასდგომოდა მგზავრებს, ზღვაში დასდევნებოდა ხომალდებს, მეფის ხაზინამდე ხვრელი გაეთხარა და მთელი ქვეყნის სიმდიდრე შავთვალემა მალალოს ფეხებთან დაეხვავებინა, რადგან შავთვალემა მალა-ლომ უკეთესად იცოდა ინოს ფასი, ვიდრე ფარნაოზმა, ვიდრე სხვა ვინმემ. განა მართ-ლა არ ღირდა ინო მთელი ქვეყნის სიმდიდრედ? განა არ ღირდა, მისი გულისთვის, მისი გულუბრყვილო ღიმილის გადასარჩენად ავაზაკი გამხდარიყო? გადაეწვა ქალაქე-ბი და სისხლში ჩაეხრჩო ყველა, ვინც კი გზაზე გადაუდგებოდა? ღირდა, რა თქმა უნ-და, ღირდა, მაგრამ ფარნაოზს არც ავაზაკობა შეეძლო, არც ქურდობა და არც კაცის კვლა. ის კი არა, შავთვალემა მალალოს ფეხები დაუკოცნა, შვილივით უპატრონა, არადა, თავი უნდა გაეჩეჩქვა, მიეფურთხებინა მაინც, რადგან სწორედ ის ჩადგა ინოსა და ფარნაოზს შორის, ხარბი და უგრძნობელი, ურჩხულივით მიუდგომელი და უსიყვა-რულოდ ჩაბერებული მირიად კაცის

ხელში, მაგრამ მაინც ფარნაოზზე მართალი, რადგან მან ინოს ფასი იცოდა. გარდა ამისა, შავთვალემა მალალოს თავისი გზა ჰქონდა, თავისი ანგარიში ჰქონდა ქვეყანასთან და ცდილობდა ყველა დაემსგავსებინა, ყველას მასავით ეცხოვრა. რაში ეპიტნავებოდა, ვილაცას თუ არ მოსწონდა ამ ყაიდის ცხოვრება; ან რატომ დაუთმობდა შვილს, მით უფრო, იმ ვილაცას, როცა შვილი თვი-თონვე სჭირდებოდა და იმ ვილაცაზე უკეთესად იცოდა მისი ფასი. დათმობით არავის დაუთმობდა, თუ ძალით არ წაართმევდნენ, და თუ ის ვილაცა მაშინ ჯერ კიდევ პატა-რა ბიჭი იყო, რატომ მამას არ ჩაუვარდა ფეხებში, რატომ არ უთხრა ვილუპები, დამეხ-მარეო? იქნებ უხერიო სახლიანად გაიყიდებოდა, შვილი რომ არ დაეჩაგვრინებინა ვინ-მესთვის? ეცადა მაინც. მაგრამ არა, ფარნაოზი მამასაც ვერ სთხოვდა დახმარებას, მა-მამისს სიარული არ შეეძლო, მთელი დღე თავაუღებლად ქარგავდა, ხოლო მისი შუ-ბის ტარზე ბავშვის სველი საფენები ეკიდა. ამიტომაც აირჩია ყველაზე იოლი გზა, გაქცევა და სხვების გამტყუნება. "რატომ თავი არ მოიკლავ" - ამასაც კი ფიქრობდა ხოლმე ფარნაოზი, მაგრამ რატომ უნდა მოეკლა ინოს თავი? იქნებ ასეთი ცხოვრება მოსწონდა კიდევ? განა მისი დედა-დებიც ასე არ ცხოვრობდნენ? სხვა გზა ვინ აჩვენა, ვინ გაუხადა ასარჩევად საქმე? ფარნაოზს უნდა მოეკლა ინო, ან თვითონ უნდა მოეკლა თავი, მაგრამ ეგეც რომ არ შეეძლო, სამაგისოდაც რომ არ ვარგოდა?! თინას კი მართლა არაფერი ეკითხებოდა, ის არ იღებდა მონაწილეობას იმ ვნებათაღელვაში, რომელიც უიმისოდ, მის გაჩენამდე აეტეხა ბუნებას, ღმერთებსა თუ ბედისწერას. ის უბრალოდ არსებობდა, როგორც წყალქვეშა კლდე, და უნდოდა თუ არ უნდოდა, ამსხვ-რევდა ტალღებს, თავზე რომ გადასდიოდა. თინა არავისგან არ იმსახურებდა არც გუ-ლისწყრომას, არც სიძულვილს, მისი ერთადერთი დანაშაული, თუკი ეს დანაშაულად შეიძლება ჩაეთვალოს ქალს, ის იყო, ფარნაოზს რომ გაჰყვა ცოლად, მაინცდამაინც ფარნაოზის ცოლობა რომ მოინდომა. აკი პირველსავე ღამეს თვითონვე უთხრა ქმარს, ძალიან ვიყავი შენს ცოლობას მოწადინებული, მაგრამ ახლა აღარც მიკვირს, აღარც მიხარიაო. თინას ერთი წუთითაც არ უფიქრია, თავისი ცოლობით ტანჯვის მეტს არა-ფერს რომ მოუტანდა ფარნაოზს. პირიქით, მისი ერთადერთი სურვილი იყო, გაეხედნი-ერებინა ის, მზრუნველობით, ყურადღებით, ერთგულებითა და, თუ საჭირო გახდებოდა, თავგანწირვითაც. თვითონ ბედნიერად თვლიდა თავს, ვინც უნდოდა, ის ჰყავდა ქმრად, ვინც უნდოდა, სწორედ ის იყო მისი შვილის მამა, ოჯახი ჰქონდა და ამ ოჯახში არა-ვის უფიქრია, შეეხლუდა მისი უფლებები, აეთვალწუნებინა, ეჭვის თვალთ შეეხედა, რადგან თვითონვე არ იძლეოდა საამისო საბაზს, ისე დასტრიალებდა, ისე დარაჯობდა იქაურობას, როგორც მეომარი მეთაურის კარავს, მაგრამ ერთი რამე არ იცოდა, ან ვერ გაითვალისწინა თინამ: ერთი ადამიანის ბედნიერება არ შეიძლებოდა ყოფნოდა ორ ადამიანს, საერთოდ არ შეიძლებოდა ბედნიერების გაყოფა. ამას მერე მიხვდა, მაგრამ მაინც ითმენდა, რადგან სხვა არაფერი შეეძლო: იმით იცავდა მონაპოვარს, რითაც მო-ეპოვებინა. ბევრი ძნელად მოსანელებელი ცრემლი ჩაყლაპა, უფულებელყოფილი ქა-ლის ცრემლი, ბევრი ღამე გაათენა თვალგაშტერებულმა, მაგრამ დილით ყველასათვის ისეთივე თინა იყო, ხალისიანი, მშრომელი, მოყვარული, ამაყი ცოლი და ბედნიერი დედა. არავინ არ იცოდა, რა ღატაკი და საცოდავი იყო თინას სარეცელი, სადაც, ცოლქმრული ალერსის ნაცვლად, ორი, ერთმანეთისათვის ბოლომდე უცხოდ დარჩენი-ლი სხეული უკიდურესი შეუღლების ჟამსაც ვერ ივიწყებდა ამ სიუცხოვეს, ისინი კი არ ნებდებოდნენ ერთმანეთს, არამედ იმორჩილებდნენ, კი არ აღელვებდნენ, არამედ აღიზიანებდნენ, რადგან მათი ერთად ყოფნა შემთხვევითი იძულება იყო და არა გარ-დუვალი აუცილებლობა. ამაოდ ეხვეწებოდა ხოლმე მოულოდნელად

გამოღვიძებული თინა ქმარს, მაცალე, გონზე მოვიდეთ, მაგრამ საკმარისია, გონზე მოსულიყვნენ, მა-შინვე გაითიშებოდნენ. ამასაც მერე მიხვდა თინა, როცა ქალური ალღოთი ამოიციო ქმრის ძალადობის მიზეზი. მისი ქმარი ძალადობით ჩქმალავდა ჭეშმარიტს, მაგრამ სულ სხვა ქალისთვის განკუთვნილ ვნებას. ამიტომაც იყო ყველა მისი მოძრაობა მტკივნეული, დამაკნინებელი და დამსჯელი. "მაცალე, გონზე მოვიდეთ", კი ეუბნებოდა თინა, მაგრამ უკვე მრავალგზის დარწმუნებულიყო, ქმარი რომ არ დააცლიდა გონზე მოსვლას, როგორც ავაზაკთა მცირერიცხოვანი რაზმი - გზისპირას დაბანაკებულსა და ჩამინებულ ქარავანს, რადგან ავაზაკთა რაზმმა არ იცის, როგორ წინააღმდეგობას გა-უწევს ქარავანი, ღირს თუ არა, საერთოდ, გასამარცხავად, მაგრამ მაინც ესხმის თავს, რადგან სხვა გზა არა აქვს, მათი გამოქვაბული გამოხრული ძვლებითაა სავსე, ხოლო მეთაურის უმოქმედობამ და გაუბედაობამ, შეიძლება, სულმთლად დაშალოს ეს ისედაც მცირე რაზმი, გაანიავოს, დაუკარგოს საკუთარი თავისა და გამარჯვების რწმენა.

თინას არ შეეძლო არ ეგრძნო ეს, რადგან თინა ის ქალი არ იყო, რომელსაც მისი ქმრის ამბოხებული ხორცი დაეძებდა. ფარნაოზმაც ერთი რამე იცოდა მხოლოდ, შეხვ-დებოდა თუ აღარ შეხვდებოდა ინოს, ვერასოდეს შეეგუებოდა უიმისობას, ვერაფერს მიიღებდა ცხოვრებისგან სანაცვლოს, საერთოდ ვერაფერს მიიღებდა ცხოვრებიდან და მისი არსებობა, არსებობაც კი, დამთრგუნველი და აუტანელი იქნებოდა ყველასათვის, ვისაც ბედი დააკავშირებდა მასთან, შვილი ერქმეოდა თუ ცოლი, დისშვილი თუ და, რადგან მთავარი შეცდომა თავიდანვე იყო დაშვებული, თავიდანვე დაუმაღეს ის, რისი ცოდნაც ისევე აუცილებელია, როგორც დედისა, დედისა თუ არა, დედის საფლავისა მაინც. ეს ის შემთხვევაა, როცა არცოდნა ცოდვაცაა და გამოუსწორებელი ბოროტებაც, რადგან ამ ბოროტების გამოსასწორებლად ერთადერთი გზა არსებობს მხოლოდ: უკან დაბრუნება, წარსულამდე არსებულ დროში, გამოქვაბულში, ადამიანის პირველ თავშე-საფარში, წინაპართა საფლავებზე გადავლით, გადაბიჯებით, გადახიხებით, და თავი-დან დაწყება ცხოვრებისა, შენი კი არა, საერთოდ ცხოვრებისა, როცა არავინ არ იცის, რა არის თავისუფლება, რადგან ჯერ ყველა ერთნაირად თავისუფალია. ამ ბოროტებას ერთი საზარელი თვისება აქვს, მისმა მსხვერპლმა არ იცის, რომ მსხვერპლია; ამიტომ ცხოვრობს ისე, როგორც არ უნდა ცხოვრობდეს, როგორც არ იცხოვრებდა, თავის დროზე რომ მიეცათ საამისო ცოდნა. ფარნაოზმა ეს ცოდნა თავისით მოიპოვა, სხვების დაუხმარებლად, და ბევრი რამე სამუდამოდ დაეღუპა, ან ისე დაუმახინჯდა, ძალაუნე-ბურად ყველასაგან გამოირჩა, გამაშკარავდა და ქვეყანა, რომელშიაც ის არსებობდა, ორ ნაწილად გაიყო, ერთ მხარეს თვითონ აღმოჩნდა, მეორე მხარეს კი - ყველა და-ნარჩენი. თუ მეორე მხარეს ჯერ არ შეემჩნია, ადრე თუ გვიან მაინც შეამჩნევდა მის განცალკევებას, ამ განცალკევების მიზეზსაც გამოიძიებდა, რაც, მაინცდამაინც ჭკუაში არ დაუჯდებოდა, და უმაღ მეტიჩრობას დასწამებდა იმავე ფარნაოზს, გადათელავდა, გასრესდა და მოიშორებდა, ვიდრე აჰყვებოდა, დაუჯერებდა და ერთხელ აწყობილ ცხოვრებას აიწეწავდა მხოლოდ იმის გულისთვის, ფარნაოზის აზრით, ყველანი უმე-ცარი, მხდალი და თვინიერი ცხვრები რომ არიან თურმე, რომლებსაც სიამოვნებთ კი-დეც, როცა ზედმეტ მატყლს აკრეჭენ და ფეხებზე ჰკიდიათ, ვინ იქსოვს იმ მატყლით პერანგს. ისინი ტიტვლები კი იყვნენ, მაგრამ არავის აპატიებდნენ, მათი სიშიშვლის შემჩნევას. ესეც ყველა დანარჩენის თვისება იყო და ეს თვისება, საბოლოო ჯამში, კი არ ართულებდა, აადვილებდა ცხოვრებას. სიშიშვლე ამსგავსებდათ, სირცხვილის გრძნობას უკარგავდათ, ათავხედებდათ და ეს

თავხედობადა იყო ერთადერთი კედელი, თუმცა თვითონ ამის მიხედვრაც არ შეეძლოთ, ხელს რომ უშლიდა მათ საბოლოო გა-ნადგურებას, მაგრამ ამაზრზენსა და სავალალოს ხდიდა მათ არსებობას. ეს, რაღა თქმა უნდა, ერთ დღეში არ მომხდარა, არც თავისთავად, ყველაფერი ადრევე, აქედან ძალიან შორს, კნოსის სასახლეში, ყველაზე დიდი მეფის გონებაში იყო მოფიქრებულ-ი და გადაწყვეტილი. მინოსმა იცოდა, ხალხს მახვილი კი არა, ტყუილი იპყრობდა, ტყუილი და უმოქმედობა, და მარყუჟი, რომელსაც ფარნაოზი გაჩენის დღიდანვე გრძნობდა, იმ თოკის ბოლო იყო, რომლითაც აიეტი გაკოჭეს მისმა ერთგულმა მცვე-ლებმა, რათა სამუდამოდ გაეთრიათ მშობლიური ქალაქიდან. რაც ოყაჯადომ გააკეთა, ვერც ერთი სახელგანთქმული მხედართმთავარი ვერ გააკეთებდა, რამდენი ლეგიონიც არ უნდა ჰყოლოდა და რა იარაღითაც არ უნდა აღეჭურვა ლეგიონერები. ოყაჯადო ტახტის კანონიერი მემკვიდრის დროშით შემოვიდა ვანში და ეს დროშა აიეტის მო-შულღეებს, მაგრამ სამშობლოს დანატრებულსა და სამშობლოსთვის თავდადებულ ვა-ნელებს ეჭირათ ხელში. მათთვის ეს ბრძოლა სამართლიანობისთვის ბრძოლა იყო, ქვეყნის საკეთილდღეო ბრძოლა, და არც ერთს არ მოსვლია თავში აზრად, რომ უფრო ცბიერი და შორსმჭვრეტელი მტერი მათივე მეშვეობით სამუდამოდ ართმევდათ სამშობ-ლოს. ბევრი მათგანი მშობლიურ მიწაზე განიგმირა ვანისთვის გამართულ ბრძოლაში და ბედნიერი ჩაბარდა სიკვდილს, როგორც ღირსეული მამულიშვილი, რომელსაც სიკ-ვდილ-სიცოცხლის შუა არჩევანის უფლება არა აქვს, როცა სამშობლო განსაცდელ-შია. ახლა ისინი ოყაჯადოს გათხრილ საძმო საფლავეში იწვნენ, სამუდამოდ მოტყუე-ბულნი, გაბითურებულნი და ცოცხლად დარჩენილებთან შედარებით, ერთი დიდი უპი-რატესობა ჰქონდათ: ვერასოდეს გაიგებდნენ, რა მწარედ იყვნენ მოტყუებულნი, ვერასო-დეს დაჯიჯგნიდათ სინდისის ქენჯნა წამოჩიტული დაჟიშვილების დანახვისას. განუ-ზომლად მძიმე იყო ცოცხლად დარჩენილთა ხვედრი: ან იხტიბარი არ უნდა გაეტეხათ, თავი მოესულელებინათ და შეეშნობინათ ჯილდოები, ან იარაღი ზავშვის ფსიტიან საფენებში დაემალათ და, საქმროს მომლოდინე გოგოებივით, ყაისნალით ამოელამები-ნათ თვალები. არჩევანი დიდი ხნის წინათ მოხდა. ასე რომ, ახლა გვიანლა იყო თით-ზე კბენანი. სიმართლე ტყუილით შეიმოსა, როგორც მგელი ცხვრის ტყავით და თამა-მად დაძუნძულდება ფარეხში, მწყემსისთვის კი ადგილიც აღარ რჩებოდა. ცხვრებსაც უმწყემსოდ ერჩიათ, რადგან მწყემსი კომბლით დაუვლიდათ ხოლმე, უფსკრულისკენ არ ახედებდათ, არც გაფანტვის ნებას აძლევდათ, მგელი კი ყველაფერზე თანახმა იყო, ვისაც რა უნდოდა, ის ექნა, სადაც მოეპრიანებოდა, იქ ეწიწვნა ბალახი, როცა უნდო-და, მაშინ დაბრუნებულიყო ფარეხში, თუ უნდოდა, სულ ნუ დაბრუნდებოდა, თავში ქვა ეხალა და მუცელში სამართებელი, არც არავინ დათვლიდა და არც არავინ გამო-ენთებოდა საძებნელად ბომბორა ძაღლებით. მგელს მეტი ნდობა ჰქონდა, რადგან ისიც მათსავით ოთხზე დადიოდა და ტყავიც მათნაირი მოესხა. მწყემსი კი თავიდანვე უცხო იყო და ახლა ხომ უფრო და უფრო უცხო გამხდარიყო, აღარც მისი გამაფრთხილებე-ლი ძახილი ესმოდათ და აღარც მისი სალამურის წკრიალი. პირუტყვიული თავისუფლ-ლებით გალალეული ცხვარი უფსკრულისკენ მიიძოვდა ბალახს. მგელი კბილებს ილესავდა, რადგან მალე თავზესაყრელად ექნებოდა ხორციცა და ძვალიც. "მერე შენ რა? შენ რა გაწუხებს? შენ ხომ დროულად განუდექი? ცხვრობა იუკადრისე, პირი ვერ დააკარე საზიარო ბალახსა და ეკალს. თუმცა არა, ბალახი და ეკალი რა შუაშია, უბ-რალოდ შეგეშინდა, შენც არ გადაჩეხილიყავი მასთან ერთად, რადგან შენი ტყავი გირჩევნია ფარისას, ფარას კი ყველაფერი საერთო აქვს, სიკვდილიც" ... - იღიზიანებდა თავს ფარნაოზი და

ხანდახან ექვდებოდა კიდეც, იქნებ მართლა სხვებს ვაბრალებ ჩემს სისუსტეს, ჩემს უყაირათობას და ამით უფრო დიდ ცოდვას ჩავდივარო. აბა, რა-ტომაა - ფიქრობდა იგი - სხვები მშვენივრად რომ ცხოვრობენ, ოჯახდებიან, შრომობენ, მხიარულობენ და იხოცებიან, როგორც წესი და რიგაო; რალა მაინცდამაინც მარტო მე ვამჩნევ უბედურებასა და განსაცდელს, რაც არ უნდა მნელი შესამჩნევი იყოსო; იქნებ მამაჩემიც მართალი იყო და რა უნდა დაებარებინა, როცა არაფერი ჰქონდა დასაბარებელიო. ამგვარი ფიქრი კი უარესად სტანჯავდა ფარნაოზს, თვითონ გამოდიოდა დამნაშავე ყველას წინაშე, მაგრამ დანაშაულის გრძნობა კი არ აფრთხობდა, უაზროსა და უსარგებლოს ხდიდა მის არსებობას. მაშინ მართლა რილასთვის იხანგრძლივებდა სიცოცხლეს? დაკარგულს ვერ ელეოდა და ამიტომ, თუ შვილისთვის რომ სიმართლე ეთქვა? კი მაგრამ რა იყო სიმართლე? რა იცოდა, მართლა სიმართლე რომ იყო ის, რასაც მხოლოდ და მხოლოდ თვითონ თვლიდა სიმართლედ? ხომ შეიძლებოდა, კიდეც უფრო დიდი, უარესი დანაშაული ჩაედინა: შვილიც გაებრიყვებინა და დაელუპა? იქნებ მხოლოდ დუმილი და შეგუება იყო ერთადერთი გზა, რომელიც ადა-მიანისთვის დაეთმოთ ღმერთებს, იქნებ ის არ იდგა ადამიანის გზაზე, ვერ გარკვეუ-ლიყო ვერაფერში და ამიტომაც ეუცხოვებოდა გარემო?! "ალბათ, ასეაო", - ასკვნიდა თავატკივებული ფარნაოზი და ისევ ნიჟარაში იკეტებოდა, რათა ერთხელ კიდეც აეხსნა და აეწონა აუხსნელი და აუწონავი.

\* \* \*

აგერ უკვე მთელი კვირა გადაუღებლად წვიმდა. სახლში კი სასიამოვნოდ, რულის-მომგვრელად თბილოდა. ცეცხლზე შემომდგარ ქვაბში წყალი დუღდა. წყალს მეტი სიმყუდროვისთვის ადუღებდნენ ქალები და აბუყბუყებული, ორთქლმომბული ქვაბი ოთახს მართლაც მყუდროსა და ახლობელს ხდიდა. ყველანი დაცვარულ ბურუსში გახვეულიყვნენ. ხმასა და მოძრაობას წყალქვეშა ბინადართა სიზანტე და სილბილე შეეძინა, ზღაპრულად იდუმალი გამხდარიყო. "კუსა მოდისო", - თქვა პოპინამ და ცოტა ხნის მერე სხვებმაც გაიგონეს ნაცნობი ჟღრიალი, თანდათან რომ გამოეყო წვიმის ხმასა და მათკენ წამოვიდა. ფარნაოზიც ამ ხმამ გამოაფხიზლა ფიქრებისგან, მაშინვე პატარა უხეიროს ღულუნიც გაიგონა, ქვაბის ბუყბუყი და ქალების წყნარი საუბა-რიც. ოთახში ზიარა შემოვიდა, მხარზე კუსას ტომარა ჰქონდა გადაკიდებული, ტომარა კართან დააგდო და ორივე ხელი სველ სახეზე ჩამოისვა.

- კუსაც ახლავე მოვა! - თქვა ზიარამ და პირდაპირ ბავშვივით გაიღიმა.

კუსაც თითქმის ფეხდაფეხ შემოჰყვა ზიარას და პირდაპირ ცეცხლს მიაშურა. ფი-ლაქანზე წყლის გუბეები გაჩნდა. ზიარა ისევ კართან იდგა და დაბნეულად იღიმებოდა. "რას გაშტერებულხარ, მოდი ცეცხლთანო" - დაუძახა კუსამ. კუსას ბოლქვა-ბოლქვა ასდიოდა ოხშივარი და მარტო ცეცხლისთვის მიშვერილი წითელი ხელებიდა მოუ-ჩანდა. ზიარაც ცეცხლისკენ წავიდა, თან ცდილობდა, კუსას დანატოვარ გუბეებში ჩა-ედგა ფეხი, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო, ზიარას მოკლე ფეხები ჰქონდა და კუსას ერთი ნაბიჯი მის სამ ნაბიჯს უდრიდა. კი არ მიდიოდა, გუბე-გუბე მიხტუნავდა და ისეთი სასაცილო სანახავი იყო, უნებურად ყველას გაეღიმა. კუსამაც ჩაიხვიხვინა, ზი-არას აცალა ოხშივარში შემალვა და მერე ქალებს გასძახა: თუ იცით, ყველაზე ძალი-ან რა უნდა ჩემს თანამეცხედრესო, მაგრამ პასუხს აღარ დაუცადა და თვითონვე გააგრძელა: შვილი უნდა, ასე ამბობს, მე რატომ არ უნდა მყავდეს შვილი, ვითომ ვისზე რა ნაკლები



ვარო. გაიგეთ, რა მომინდომა? ხე, ხე... - ისევ ჩაიხვიხვინა კუსამ. ქალუ-კამ ცეცხლთან ორი წყვილი ფლოსტი დაჰყარა. ზიარამ უცებ გაიხადა სველი წაღები, წინდებიც ზედ მიაყოლა და ფლოსტებში წაჰყო შიშველი ფეხი. "წამო, კაბაც გამოიც-ვალეო", - დაუძახა პოპინამ, მაგრამ ზიარამ უარის ნიშნად თავი გააქნია, კუსას შეხე-და და გაიღიმა, ალბათ, წარმოიდგინა, რა სასაცილო იქნებოდა სხვის კაბაში, რომელი ქალისაც არ უნდა ყოფილიყო ის კაბა. ზიარა ყველაზე ტანმორჩილი გახლდათ.

- რაო, რა მინდაო? - ჩაეკითხა კუსა.

- შვილი მინდა! - დაუფიქრებლად უპასუხა ზიარამ.

- გესმის, თინიკო? - გასძახა კუსამ ქალების მხარეს და ისევ ზიარას მიუბრუნდა: ერთი ისიც გვითხარი, ღირსი თუ ხარ შვილისაო. ხმაზე ეტყობოდა, სასიკეთოდ არ იყო განწყობილი, საკინკლაო მიზეზს ეძებდა.

- ზიარა, მოდი ჩვენთან, აქაც თბილა, - დაიძახა თინამ.

გამშრალი და გაბურძენული ზიარა რომელიღაც პატარა ცხოველივით გამოცუნ-ცულდა ორთქლის ღრუბლიდან. პოპინამ ბავშვი მიაწოდა და ისიც უცებ გათამამდა, ქალებში ჩაჯდა და პატარა უხეირო მუხლზე ააბუქნავა. ბავშვით ხელში არც ისეთი პატარა და მახინჯი ჩანდა. ეს ზიარამაც იცოდა და მადლიერების გრძნობით სახეგაბ-რწყინებული ქეჩოში კოცნიდა პატარა უხეიროს. ქალები საუბარში გაერთნენ. კუსა ისევ ორთქლის ღრუბელში იდგა და იქიდან მოხარშული კიბოებივით წითელი ხელე-ბი გამოიყო. ფარნაოზი დარწმუნებული იყო, კუსა მას უყურებდა და დამცინავად იღი-მებოდა. ისიც იცოდა, რამ მოიყვანა კუსა ამ თავსხმაში აქ, რატომ მოიყვანა ზიარაც. ეს დღეები, ალბათ, ზარზეიმში გაატარა, ასეთი საიდუმლო რომ იცოდა. რა იცოდა მა-ინც ამისთანა? გარდა იმისა, რომ ინომ ნატკენი თითი შეუხვია ფარნაოზს. ინოს ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა. კი, მაგრამ რაღა ინოს სახლის წინ მოიტეხა კისერი? საიდან იცოდა ფარნაოზმა, ინო იქ რომ ცხოვრობდა? მეორეც ერთი, რა კუსას საქმეა, სად მოიტეხავს ფარნაოზი კისერს? არავის საქმე არ არის და კეთილი ინებონ, ნურც ჩაერევინან, თორემ... რა "თორემ?" რას იმუქრები? თუ მართლა არაფერი მომხდარა, რა-ტომ გიფრიალებს გული, რატომ გეშინია ორთქლის ღრუბლისკენ გახედვისა, თითქოს ღრუბელი კი არა, ურჩხულია, ღრუბლის სახე მიუღია, სახლში შემოგპარვია და სა-ცაა, ისევ ურჩხულად გადაქცეული, წინ დაგისკუპდება და ისე გაგიღიმებს, თვითონვე ჩაუვარდები პირში, თუნდაც იმიტომ, მისი ღიმილი რომ აღარ დაინახო. არა, ყელში რომ გაეჩხირო, ხმა რომ ჩაუხშო და არ ათქმევინო ის, რის სათქმელადაც მოსულა. ეს საბრალო ზიარაც გაუპამპულეზია, მთელი კვირა აზეპირებინებდა ალბათ, აქ რომ ეთ-ქმევინებინა: შვილი მინდა, ვისზე რა ნაკლები ვარო. მართლაც რითია ვინმეზე ნაკლები? შენ თუ შვილი გყავს, იმიტომაც არ დახტუნაობ ასკინკილით გარე-გარე, შინ კი მევალესავით იბღვირები. გაღმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებო, ასეა შენი საქმეც. მაგრამ კუსას რას მოატყუებ, არც სხვას მოგატყუებინებს კუსა, არც ცოლსა და არც იმას. შენ ხომ ორი კურდღლის დაჭერა გინდა? როცა ცოლთან ხარ, ის გენატრება, ხოლო როცა იმასთან ხარ, ცოლისკენ გამორბიხარ, თითქოს სარკოფაგიდან ამოცვენი-ლი მკვდრები დაგდევნებინო. არა, ასე არ გამოვა. ერთ-ერთს უნდა შეეშვა, ერთ-ერთი სამუდამოდ უნდა დაივიწყო. ან იქნებ იმის იმედი გაქვს, ისა და თინა

შეთანხმდებიან და შუაში ჩამიწვენენო? ლაჩარი ხარ და მეტი არაფერი, ლაჩარი! არა, თავვი, წუწვი თავვი, ერთდროულად რომ მოუნდომებია ნიგვზის ორივე ლეზანის დათრევა, მაგრამ ვერ მიართვეს, კატამ მოუსწრო და თავისი მომნუსხავი თვალებით ადგილზე გააშეშა. აი, ახლა გამოვკატა ორთქლის ღრუბლიდან და როგორც მოეპრიანება, ისე აბურთა-ვეებს თავვს, სიცილით დახოცავს ყველას. მერე, შიშისაგან გონდაკარგულს, კუდში ჩა-ავლებენ ხელს, ერთს აპორწიალებენ და სანაგვეზე მოისვრიან. მადლობა თქვი, ამაზე თუ დაგყაბულდნენ და კატამ დაანება შენი თავი სანაგვეზე გადასაგდებად. კატამ იცის თავვის გემო, ისიც იცის, თავვს მომკვდარუნება რომ ეხერხება.

ამ ფიქრებში იყო ფარნაოზი, ორთქლის ღრუბლიდან კუსა რომ გამოვიდა, ფარნაო-ზის წინ სკამზე ჩამოჯდა და დაშაშრული ხელები გახურებულ ბარძაყებზე დაისვა. "ინო თუ ახსენა, მოგვკლავო" - გაიფიქრა ფარნაოზმა. კუსა ხმას არ იღებდა, თავისთ-ვის იჯდა და თითებგაფარჩხულ ხელებს ბარძაყებზე ისვამდა; მერე წამოდგა, ზიარას-თან მივიდა, ბავშვი ჩამოართვა და ბავშვიანად ისევ თავის სკამთან დაბრუნდა. პატარა უხეირომ ფარნაოზი დაინახა, სიხარულისგან სახე გაუბრწყინდა, დაიფრუტუნა, ვარ-დისფერ პირზე დორბლი მოადგა და ხელები გაუშვირა. ფარნაოზს მოერიდა კუსასთ-ვის ბავშვის ჩამორთმევა, ეს კუსამაც იგრძნო და გაუღიმა, პატარა უხეირო სახით თა-ვისკენ შემოატრიალა, მიტყუპებულ ბარძაყებზე დაიყენა და ზედიზედ რამდენჯერმე ჩა-აბუქნინა. "აჲ, აჲ, ცხენო, საით გაგაჭენო?" - იძახდა კუსა და პატარა უხეიროსაც უცებ დაავიწყდა ფარნაოზი, გულიანად კისკისებდა, სიამოვნებდა, ბუქნისაგან სუნთქვა რომ ეკვროდა და პატარა, ფუნჩულა თითებით კუსას ცხვირს ეტანებოდა. ფარნაოზმა თვალი აარიდა, გრძნობდა, როგორ ღიზიანდებოდა, როგორ ებურძგნებოდა კანი, თით-ქოს მის გასაბრაზებლად იძახდა კუსა: აჲ, აჲ, ცხენო. პატარა უხეირო ნეტარებისა-გან ფრუტუნებდა, დორბლის ვერცხლისფერ ბუშტულებს აფრქვევდა და ისე სხმარტა-ლებდა, გეგონებოდათ, კუსამ რომ ხელი გაუშვას, აფრინდებო. კუსა განგებ ათამაშებ-და პატარა უხეიროს ფარნაოზის ცხვირწინ, ვითომ, ამ ბავშვის პატრონს, რა უფლება გაქვს სხვა რამეზე ფიქრისაო. ერთი წუთიც და ფარნაოზი წამოვარდებოდა, ძალით გამოგლეჯდა ბავშვს და მერე... მერე არ იცოდა, რა მოხდებოდა, მაგრამ თუ ახლავე არ შეწყდებოდა გულუბრყვილო ბავშვისა და გველაძუა კაცის თამაში, მხოლოდ და მხოლოდ, მის გასაღიზიანებლად გამიზნული, რაღაცა აუცილებლად მოხდებოდა. იმაზე უფრო სკდებოდა გულზე, კუსა პატარა უხეიროსაც რომ ასულელებდა, ვითომ მართლა სიამოვნებდა მასთან თამაში. ფარნაოზმა ვერაფრით ვერ ანიშნა ქალებთან ლაპარაკით გართულ თინას, ბავშვი წაიყვანეო, დაძახება კი ვერ გაბედა, ხმას არ ენდო, ხმა დაფარულ ბრაზსა და მღელვარებასაც ამოიყოლებდა და ყველას ყურადღებას მიიქცევდა. ქალები წყნარად საუბრობდნენ, უხაროდათ, ერთად რომ იყვნენ, ერთ ჭერქვეშ, ერთმა-ნეთის ახლობლები, და ირგვლივ ასეთი სიმშვიდე სუფევდა. მეტი არც არაფერი უნ-დოდათ, არც არაფერი ადარდებდათ.

- ნუ გააწვალეთ ეს კაცი! - მაინც ვეღარ მოითმინა ფარნაოზმა.

ქალებს არც ახლა მიუქცევიათ მათთვის ყურადღება, ან შეიძლება, ვერც კი გაიგეს ფარნაოზის ნათქვამი, ყელიდან არაბუნებრივად სუსტი და მთრთოლვარე ხმა ამოუვი-და. ფარნაოზს შერცხვა და გაილურსა. როგორც ყოველთვის, ახლაც მტკივნეულად, წუხილითა და შემფოთებით გრძნობდა, როგორ წითლდებოდა. "ხე, ხე..." - ჩაიციინასა-ვით კუსამ. ის ახლოს იჯდა და არც

ფარნაოზის ხმის გაგონება გასჭირვებია და არც მისი შინაგანი მღელვარების ამოცნობა. მაშინვე წამოდგა და ბავშვი თინას ჩაუგორა კალთაში. თინამ ღიმილით ამოხედა, ბავშვი ზიარას გადააწოდა და ლაპარაკი გააგრძელა. კუსა თავის სკამთან დაბრუნდა.

- ასეა ცხოვრება... - თქვა კუსამ.

- რა თქვი? - ჰკითხა ფარნაოზმა.

კუსამ არ უპასუხა. აღარც ფარნაოზი ჩასციებია. ჩუმიად ისხდნენ და ქალებს უსმენ-დნენ. პატარა უხეიროც გატრუნულიყო ზიარას კალთაში. გარეთ წვიმდა. თუ რამის თქმას აპირებდა, ახლა უნდა ეთქვა კუსას. ირგვლივ სრული სიმუდროვე სუფევდა. კუსა იდაყვებით მუხლებს დაჰყრდნობოდა და სახეში შესცქეროდა ფარნაოზს.

- არაფერს გამოსწირავენ ჩვენი ქალები? - თქვა ფარნაოზმა, უფრო კუსას გასაჩე-რებლად, გასაჩუმებლად, პირსმომდგარი სიტყვა უკანვე რომ ჩაებრუნებინა იმისთვის.

კუსა კარგს არაფერს იტყოდა, მაგრამ რაც კუსამ თქვა, იმდენად მოულოდნელი და იმდენად წარმოუდგენელი იყო ფარნაოზისთვის, გაცვივებისგან პირი დაალო. გადაუღებელ წვიმას, ოთახში გამეფებულ სიმუდროვესა და ბავშვთან თამაშს შეიძლება მარ-თლა დაეყენებინა კუსა გულახდილი საუბრის გუნებაზე, მაგრამ არც ის იყო გამო-რიცხული, ახალ მახეს აგებდა, ახალი ვერაგობა განეზრახა.

- ბიძაჩემო, აი, ერთ დღეს რომ დაიძახოს ვინმემ: ვანელებო, გვეყოფა მონობაო, შენ რას იზამდი? - ჰკითხა კუსამ.

პასუხის დაყოვნება არ შეიძლებოდა, კუსა გადაიხარხარებდა და ეტყოდა: რისი გე-შინია, სხვა ხომ არა ვარ, შენთანაც თუ არა ვთქვი, აბა ვიდასთან ვთქვაო. ამიტომაც იყო, დაუფიქრებლად რომ უპასუხა ფარნაოზმა: სადაც სხვები, მეც იქაო, თუმცა, რომც დაფიქრებულყო, მაინც ასე უპასუხებდა.

- როგორ გგონია, რას იზამდნენ სხვები? - ისევ ჰკითხა კუსამ და სკამიანად უფრო ახლოს მიჩოჩდა ფარნაოზთან.

ამჯერად კი დაუგვიანდა ფარნაოზს პასუხი, მაგრამ კუსამ თვითონვე გააგრძელა: რას იზამდნენ და, ამის დამძახებელს თავს გაუჩიქვავდნენო.

- შენც ასე მოიქცეოდი, ბიძაჩემო? - არ მოეშვა კუსა გადაფითრებულ ფარნაოზს.

- მე არ ვიცი, როგორ მოიქცევდნენ სხვები... - თავი აარიდა პირდაპირ პასუხს ფარ-ნაოზმა და მაშინვე იგრძნო, კიდევ ერთხელ დამარცხდა და ეს დამარცხება, სხვა და-მარცხებებთან შედარებით, უფრო მნიშვნელოვანიც იყო, რადგან დისშვილთანაც ვერ თქვა ის, რასაც ყველაზე დიდ სიმართლედ თვლიდა, რაც ზეზეულად ახმობდა და ალ-პობდა, როგორც მკურნალის უყურადღებობით ჭრილობაში ჩარჩენილი ჭუჭყი.

ამ საუბრის შემდეგ ფარნაოზს უარესად დაეკარგა მოსვენება. შეგნებულად თუ შეუგნებლად კუსამ დაუმტკიცა, რა უაზრობა იყო ყველაფერი, რისთვისაც ამდენი ხნის განმავლობაში გულს ასკდებოდა, არარსებულ გზებს დაეძებდა, ოდესღაც დამთავრებულ-ი და დავიწყებული საქმის თავიდან გადაქექვას აპირებდა და ვერც კი გრძნობდა, ისევე ძნელი და წარმოუდგენელი რომ იყო ეს, როგორც დაკლული და გატყავებული პირუტყვის სამოვარზე გადენა. თანაც მარტო, ცარიელ-ტარიელი მოჰკიდებოდა ამოდენა საქმეს და თავისი სიმარტოვითაც ყველას დასაცინი ხდებოდა, რადგან ხალხისთვის მარტო კაცი ჭამაშიც ცოდოა და ომში რა ხიერი დაადგებოდა. კუსამ ხომ უთხრა: შენ სხვებივით არ მოიქცეოდით, სხვები კი მართლა გაუჩქვავენ თავს, თუკი ვინმე გაბედავს და დაუძახებთ: ყველანი მონები ვართ, მე კი აღარ მინდა მონობა და კეთილი ინებეთ, ცოლ-შვილიანად გაწყდით ჩემი თავისუფლების გულისთვისო. კუსას სიმართ-ლე უფრო მწარე იყო და ამიტომაც უფრო ნაღდი, წყალი არ გაუვიდოდა. კუსას ნათქვამიდან ისე გამოდიოდა, თითქოს ფარნაოზი თავისით კი არ გამდგარიყო განზე, არა-მედ ბედს გამოეცალკეებინა, მარტო დაეტოვებინა და სიმარტოვით გამწარებული თვი-თონ ვერც ამჩნევდა, როგორ შურდა, როგორ აცოფებდა სხვათა სიმშვიდე და კმაყოფი-ლება, შურდა, მაგრამ ამ გრძნობისა რცხვენოდა და სხვა, მისთვის შეუფერებელ სამო-სელში ხვევდა. ამიტომაც ყველასათვის თვალშისაცემი ხდებოდა, როგორც ჭრელა-ჭრულა ჯამბაზი, სანახაობაზე ხალხის მოსაზიდად რომ გაუშვებენ ქუჩებში. კუსა მარ-თალი იყო, ფარნაოზი სხვებივით ვერ მოიქცეოდა, ვერ გაუჩქვავდა თავს იმ ადამი-ანს, რომელიც მათ მონობას აღიარებდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის ადამიანი, შეიძ-ლება, თვითონვე ყოფილიყო (ასე ფიქრობდა კუსა). მეორეც ერთი, მეორეც ერთი, თეთრი სახედარი სხვა სახედრებს არ უყვართ, სულ იმის შიშში არიან, ჩვენმა პატ-რონმა ახლა ამაზე არ მოგვდოს შარი, თქვენც რატომ არა ხართ თეთრებიო - თქვა მა-შინ კუსამ და ცოტა ხნის მერე დაუმატა: ერთი კაცის პატიოსნება გინდ ყოფილა, გინ-და არა, თუმცა ჯობს, არც ის იყოს, რადგან ხელის შეშლის მეტს არაფერს აკეთებსო. როგორც ფარნაოზმა გაიგო, მას პატიოსნად თვლიდნენ და ეს იყო მისი ყველაზე დი-დი დანაშაული, თეთრი სახედარივით გამორჩეული, ყველას თვალში ეჩხირებოდა, სხვის ქვაბსა და ლოგინს უთვალთვალედა, როცა თავისი მისახედი ჰქონდა. მთლად ასე არ უთქვამს კუსას, მაგრამ ასე გამოდიოდა, ფარნაოზმა ასე გაიგო კუსას ნათქვამი: ყველამ თავის ქვაბსა და ლოგინს რომ მიხედოს, საქმე წინ წავაო. და მართლაც, რამ-დენად უკეთესი იქნებოდა ყველასათვის, ფარნაოზი საერთოდ არ ყოფილიყო, ანდა ისიც სხვა დანარჩენს დამსგავსებოდა და სიმართლის მთქმელისთვის ერთი ქვა მასაც გამოეკრა კალთაში. ფარნაოზი ბევრ რამეში ეთანხმებოდა კუსას, გულისყურით უსმენ-და და ეშინოდა, ვინმეს არ დაერღვია მათი განმარტოება. "ნეტავ, ქალებს არ გავახსენ-დეთო" - ათასში ერთხელ გაიფიქრებდა ხოლმე იგი და მარტო ამის გაფიქრება უშლი-და ხელს, უფრო დაწყნარებულად მოესმინა კუსასთვის.

- მგლებში მაცხოვრებელმა ყმული უნდა იცოდეს - ამბობდა კუსა, - ეს ძველი სიბრძნეა და ახალს ვერავინ მიუმატებს, გინდაც მიუმატოს, ახალს ძველი სჯობია, რადგან ბევრჯერაა გამოცდილი და უფრო სანდოა; კაცი ძველ ტანსაცმელს საჭიროე-ბისთვის იცვამს, ახალს კი თავის გამოსაჩენად და სხვების გულის გასახეთქადო.

ფარნაოზი უსმენდა, უსმენდა და უკვირდა, მისი არსება უყოყმანოდ და უდრტვინვე-ლად იღებდა კუსას ნალაპარაკებს, მაგრამ შიგნით, სულის სიღრმეში ყველაფერი უც-ვლელად რჩებოდა, მისი სული, ნიაგადავლილი მინდორივით, თრთოდა, იფოფრებოდა, მაგრამ

ადგილზევე რჩებოდა, ვერ მიჰყვებოდა ნიავს, რადგან არც ნიავს შეეძლო მისი დაძვრა. ფარნაოზს კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დიდი გარდაქმნის მიჯნაზე იდგა და სულ ერთი ნაბიჯი იდგა, სრულიად ახალ, მისთვის ახალ სამყაროში აღმოჩენილიყო და მასაც, ამ სამყაროს კანონიერი ბინადრებით, მოეპოვებინა მარა-დიული სიმშვიდისა და ყოველდღიური ცხოვრებით ტკბობის უფლება, მაგრამ არ იქნა და არ დაადგა საშველი ამ ერთი, ამ თითქმის უმნიშვნელო ნაბიჯის გადადგმას, თუმცა მთელი მისი არსება მზად იყო საამისოდ, ამას იხვეწებოდა, როგორც ავადმყოფი, განკურნების იმედი რომ ჩაესახება და ახლა ყველაფერი მომვლელელებზეა დამოკიდებული; მთავარია მომვლელებს არ მობეზრდეთ მისი მოვლა-პატრონობა, ერთი ღამე კი-დევი გატეხონ, ერთხელ კიდევ გაიქცნენ წამლის მოსატანად, ერთხელ კიდევ შეუზიზღებლად გაიტანონ მისი ქოთანის. კუსას ვერ გაამტყუნებდა, კუსა მზად იყო, დახმა-რებოდა განკურნების გზაზე შემდგარ ფარნაოზს, თავს არ იზოგავდა, რაღას არ ეუბნებოდა: ყვავმა ზღვის იქითაც შავი კვერცხი დადოო, კოდალა სულ აკაკუნებს, მაგრამ მისი გაკეთებული ხარატულები არავის უნახავსო, ვის პურსაც ჭამ, ხმალიც იმისი უნდა მოიქნოო, არა მჯერა, რომ ჭრიჭინამ კვერცხი დადოს არწივისო, მაგრამ ფარნა-ოზს არ ეწერა იმ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმა, რადგან ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვანაირად ესმოდა მკურნალსაც და ავადმყოფსაც. ამიტომაც უთხრა, ალბათ, მოთმინებიდან გამოსულმა კუსამ: თევზი ბალახის მოსაძოვად ნაპირისკენ რომ წამოვა, გათავებულია მისი საქმე, აუცილებლად მეზადურის წერა გახდებაო.

მერე ყველანი სუფრას შემოუსხდნენ. ქალები ისე ტრიალებდნენ, თითქოს დიდი წვეულება ჰქონდათ. ოთხი ქალის დიასახლისობას მთელ სახლში მართლაც საზეიმო განწყობა შეექმნა. ხმამაღლა იცინოდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ ადგომას კერძის გამოსატანად, შენ რატომ უნდა ადგე, მე მოვიტანო; მოკლედ, ერთმანეთს დატკბობოდნენ და იმ წუთას მართლა გულით უყვარდათ ერთმანეთი. ზიარა პატარა უხეიროს სუფრასთანაც არ იშორებდა, კალთაში ეჯდა, რასაც მოიტანდნენ, ყველაფერზე კითხულობდა, ბავშვს ეჭმევა თუ არაო. "ძირს ჩაუშვი, არაფერი უშავს, მიჩვეულია ლოლიალსაო" - ეუბნებოდა თინა, მაგრამ ზიარა უფრო მაგრად იხუტებდა პატარა უხე-იროს, თითქოს ძალით უპირებდნენ წართმევას. თინას ნათქვამმა ფარნაოზს რატომღაც დედალუსის კუტი შვილი გაახსენა და ახლა ამაზე გადაუქანდა გული, ხომ შეიძლება ესეც კუტად დარჩესო. ფარნაოზმა ცხადად დაინახა იატაკზე დაყურსული იკაროსი, დიდი, გაცეხებული თვალებით ასცქეროდა ჰაერში აფარფატებულ ბუმბულს. ამ ჩვენ-ბამ ისე შეაკრთო და შეაწუხა, ლამის თავს ვეღარ მოერია და იკითხა: რა ხნიდან იწყებენ ბავშვები სიარულსაო. რატომ უნდა დამსგავსებოდა მისი შვილი დედალუსის შვილს, საიდან სადაო, მაგრამ თვითონ იყო ფეთიანი, ყველგან უბედურებას დაეძებდა, როგორც ბრმა ქათამი ხორბალს, რადგან, კუსას თქმისა არ იყოს, სიამოვნებდა საკუ-თარი უბედურება. ასე ფიქრობდა ფარნაოზი და გუნებაში შვილის ასაკს ანგარიშობდა. პატარა უხეირო მერე წელში გადამდგარიყო. მაგრამ, ალბათ, არ ეგვიანებოდა სი-არული, თორემ ქალები უფრო ადრე შეამჩნევდნენ, რადგან ქალებს მასზე მეტი გაეგებოდათ ბავშვისა. ფარნაოზი ცოტა დამშვიდდა და თვითონაც დაუძახა ზიარას: ჩამოს-ვი, ხომ ხედავ, ხელს გიშლის ჭამაშიო. ზიარა კი უარესად იხუტებდა კალთაში ასხ-მარტალებულ პატარა უხეიროს და ამბობდა: უიმე, რას ამბობთ, ამას ვენაცვალე, ჩემი შვილი ეს არისო.

ქალუკამ ყალიოდ მოხარშული დედალი შემოიტანა და კუსას დაუდგა წინ. კუსამ ორთქლში გახვეულ დედალს მარლი მუჭით მოაყარა, სადაც არის ბედი შენი, იქ მი-გიყვანს ფეხი შენიო, თქვა და დანას პირი გაუსინჯა. რატომღაც ყველანი დაიძაბნენ, გაჩუმდნენ და კუსას მიაჩერდნენ ხელებში. კუსა დანის პირით ხელისგულს იფხეკდა, გაღიმებული შესცქეროდა ფარნაოხს და ეუბნებოდა: დანა დაგჩლუნგებია, ბიძაჩემო. მერე წამოდგა, კართან მივიდა, ტყავის ტომარასთან ჩაიმუხლა, თავმოხსნილ ტომარაში ილლიამდე ჩაჰყო მკლავი და ისე გაიტრუნა, თითქოს ტომრიდან ცოცხალი გველი უნ-და ამოეყვანა და ცდილობდა, მოხერხებულად წვდენოდა კისერში. ტომარა აჟღერიალდა. ცოტა ხნის მერე, გრძელმა, წვერიანმა დანამ მართლაც ცოცხალი გველის ტანივით გაიელვა ჰაერში. "დანა ამას ჰქვიაო", - თქვა კუსამ და ისევ მაგიდასთან დაბრუნდა. ის ქათამი, ფრთების გარდა, მარტო კუსამ და ზიარამ შეჭამეს, ვერავინ დააკარა პირი, თუმცა ორივენი თავგამოდებულნი ირწმუნებოდნენ, მშვენიერი ქათამია და კარგადაც მოხარშულაო. კუსამ ერთი ფრთა თინას გადაუღო, მეორე კი - ფარნაოხს, თან გაიღ-რიჯა: ერთმანეთის ფრთა შეჭამეთ, ერთმანეთს რომ არ გაუფრინდეთო.

კუსა და ზიარა რომ წავიდნენ, სახლი უცებ ჩაკვდა. ლაპარაკი უჭირდათ, თითქოს დიდი ხნის დამდურებული ხალხი ისევ შერიგებულიყვნენ, მაგრამ სათქმელი არაფერი ჰქონდათ, რადგან უბრად ყოფნაში განვლილ დროს მაინც თავისი გაეტანა და ისინიც სამუდამოდ გაეუცხოვებინა ერთმანეთისთვის. თინამ ბავშვი წაიყვანა დასაძინებლად. პოპინა და ქალუკა ისე ალაგებდნენ სუფრას, თითქოს ამ სუფრასთან მათი მიზეზით ვიღაცას კაცი შემოჰკვდომოდა. ფარნაოხი ისევ მაგიდასთან იჯდა და სვამდა, მაგრამ ღვინო არ ეკიდებოდა, არ უსრულებდა საწადელს, მას კი დათრობა უნდოდა, არაფერ-ზე რომ აღარ ეფიქრა, გონება რომ დაეკარგა, გული რომ შეჰკლონებოდა და მძორივით გაეთრიათ, მძორივით უგრძნობელი ჩაეგდოთ საწოლში, თუკი იქ იყო მისი ადგილი და სხვა გამოსავალი არ არსებობდა. იმ საწოლში ფარნაოხს ძილი აღარ ეწერა, მეტს ვეღარ ითვალთმაქცებდა, ისედაც საკმარისად წაებლწა და დაეცირებინა იგი თავისი თვალთმაქცობით. კუსამ უკანასკნელი უკან დასახევი გზაც გადაუჭრა, უკანასკნელი საშუალებაც წაართვა იმისა, ინოსთან შეხვედრა სიზმრად, კომმარად, ოცნების აბდა-უბდა მონაჩმახად ჩაეთვალა. მას სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი ინოსთან შეხვედ-რის დღე, სხვანაირად ეხატებოდა, თუმცა არ სჯეროდა, როდისმე მართლა თუ გათენ-დებოდა იგი. გათენდა და დაღამდა კიდევ. ერთი კვირის წინათ დაღამდა, სამუდამოდ, სამარადჟამოდ, უიმედოდ, უკვალოდ და სამარცხვინოდ. ფარნაოხმა იმ დღეს უკანასკნე-ლი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, უკანასკნელი შესაძლებლობა თავის მართლები-სა, დანაშაულის გამოსყიდვისა და ნამდვილი, ჭეშმარიტი ბუნების გამომჟღავნებისა. ფარნაოხმა იმ დღეს დაჰკარგა ინო, იმ დღეს გასწირა საბოლოოდ, რადგან სწორედ იმ დღეს უნდა გამოეყვანა, ძალით უნდა გამოეთრია ათასი კაცის გახრწნილი ვნებით ამ-მორებული ოთახიდან და მასთან ერთად დასდგომოდა უსასრულო გზას, რომელიც წარსულამდე არსებულ დროში გადაიყვანდათ, პატარა მღვიმეში, რადგან სწორედ იქ შეეძლებოდათ ეცხოვრათ ისე, როგორც ოდესღაც ცხოვრობდნენ ადამიანები, თამამად და თავისუფლად, საკუთარი თავის იმედით, ნადირის შიშითა და მზის სიყვარულით, და, რაც მთავარია, რწმენით, რომ ხვალაც ერთად გაიღვიძებდნენ, ჩანავლებული, მაგ-რამ ჩაუქრობელი კვირის პირას, მის მარადიულ სითბოს მიფიცებულნი, როგორც ლეკვები დედის მუცელს. მაგრამ ეს ოცნება იყო, ფუჭი ოცნება, რადგან რაც არ უნდა ეფიქრა და ეჭოჭმანა ფარნაოხს, მეორე გულით, უფრო ამტანი, მოურიდებელი გულით იცოდა, ვერასოდეს მოიქცეოდა ასე, გინდაც

ათჯერ, ათასჯერ განმეორებულიყო ინოს-თან შეხვედრის დღე, რომელიც ისეთივე სინამდვილე იყო, როგორც ყველა დანარჩენი, რაც მისთვის განეკუთვნა ბუნებას. ეს დღეც მისი საკუთრება იყო და როგორმე უნდა გადაეტანა. ავი გადაიტანა კიდეც. ინოს ხელი ჰკრა, სამუდამოდ შეაქცია ზურგი და ოჯახს მოაშურა, რადგან ინოს ოთახისა თუ სამარხის კართან ვიღაც გარეწარი აიტუხა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, როდის დაიამხანაგებდა ფარნაოზს. ფარნაოზს კი შეეშინდა და სწორედ მაშინ გახდა გარეწარიც, მოღალატეც, თვალთმაქციცა და უსინ-დისოც, და თუმცა ამით, როგორც მერე კუსამაც განუმარტა, სხვებს დაემსგავსა და იმ სხვებთან ცხოვრების უფლებაც მოიპოვა, სამაგიეროდ, სამუდამოდ დაჰკარგა ის, რასაც ველარაფერი შეუცვლიდა, რადგან მისი შემცვლელი არც არსებობდა. მან ოცნების უფლება დაჰკარგა, ოცნებისა და სიყვარულის. ერთიცა და მეორეც ხელის გაუნძრევლად მოინდომა და იმიტომ, მსხვერპლის გაუღებლად. ღვინო რაღას უშველიდა, ან როგორ მოეკიდებოდა, როცა მისი სული ფხიზლდებოდა ახლა, ნელა, ტანჯვითა და წამებით ახელდა ცისხელა თვალს და ფარნაოზი სულის თვალთ ინოს ხედავდა, ტირილისაგან აცახცახებულ მხრებსა და ფუტკრისფერ თავს, შესაბრალისად რომ ჩაე-ქინდრა ინოს, მენახირის შოლტით ყინწმოწყვეტილ ყვავილივით. ფარნაოზს ინო ენატრებოდა, უფრო მწარედ, ვიდრე მკვდარი დედის ხილვა, უფრო მტანჯველად, ვიდრე დაკარგული სამშობლოს დაბრუნება, რადგან ინო ერთადერთი ქალი იყო, რომელ-საც მკვდარი დედისა და დაკარგული სამშობლოს მაგივრობის გაწევაც შეეძლო. ასე ავადმყოფურად არასოდეს მონატრებია ფარნაოზს ინო; ალბათ, ტანი უგრძნობდა, სა-მუდამოდ რომ კარგავდა, საბოლოოდ რომ ემშვიდობებოდა და აღარასოდეს ეღირსებოდა მისი ხილვა.

ფარნაოზმა ვერც გაიგო, როდის გამოვიდა შინიდან, არავის გაუჩერებია, არავის უკითხავს, სად მიდიხარ ამ თავსხმაშიო, თითქოს სხვებმაც იგრძნეს, რომ ახლა, ამ წუთას არავის არ ჰქონდა უფლება, თავისი არსებობა გაეხსენებინა მისთვის, რაიმე ყურადღება გამოეჩინა მის მიმართ. ფარნაოზი თავისუფალი იყო, არავის, არაფერს აღარ ეკუთვნოდა, გარდა მოულოდნელად გაჩენილი განზრახვისა და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას წარმოადგენდა ეს განზრახვა, მნიშვნელოვანი იყო თუ უმნიშვნელო, დამღუპველი თუ გადამრჩენელი, მისაღწევი თუ მიუღწეველი. რაც მთავა-რია, არსებობდა და ზემოქმედების უნარი ჰქონდა.

ის უკვე მირბოდა, წყვილიადი გამდნარი ფისივით ლაპლაპებდა, სხეულზე ეკვროდა და აბრკოლებდა. ის კი წინ გადახრილიყო, სახეზე ხელები აეფარებინა, წვიმა რომ მოეგერიებინა, და ჯიუტად მიიწევდა წინ. ქალაქი არ თავდებოდა, თითქოს ისიც წყვილიადივით, წყვილიადივით კი არა, გამდნარი ფისივით იწელებოდა, გრძელდებოდა და ფეხდაფეხ მისდევდა. ეზოებიდან წვიმას თავმეფარებული ძაღლები ყეფდნენ, უხა-ლისოდ, ყასიდად, პატრონების გასაგონად, თორემ თავიანთი ძაღლური გუმანითა გრძნობდნენ, ეს აქოშინებული ადამიანი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა მათთვის. შეიძლება, გულსაც უკეთებდნენ წვიმაში მარტო დარჩენილ კაცს, ნუ გეშინია, აქ ჯერ კიდევ ქვეყანაა, სადმე შენც შეაფარებ თავსო. ფარნაოზი კი მირბოდა, თავითა და მხრებით მიაპობდა წვიმასა და წყვილადს. ცარიელი, ვიწრო ქუჩები გვირაბებს ჰგავდნენ, საიდანაც თქორით განათებული ქვაფენილი გამორბოდა. სარკმლები-დან გამოჰყეტილ სინათლეზე წვიმა ოქროსფრად ირხეოდა, თითქოს სახურავზე დალი გულადმა გაწოლილა და თმა მიწამდე ჩამოშლიაო. "გიჟივით დავრბივარ ამ ქალაქშიო" - ფიქრობდა ფარნაოზი და უკვირდა, აქამდე რომ ვერ გაეღწია ქალაქიდან. დაღლილო-ბისგან ძლივსლა

სუნთქავდა, თავფეხიანად სველი იყო. მაგრამ მაინც გრძნობდა, რო-გორ ჩასდიოდა კისერში წყალი. უცებ დედალუსი გაახსენდა. კი არ გაახსენდა, მოე-ლანდა. თითქოს სველ სახურავზე შავი, კოლხური ნაბდისხელა ფრთების ფართხუნით იმაგრებდა თავს და მოსძახოდა: რით ვერ გაიგე, თავი იგივე ბოლოა, ხოლო ბოლო იგივე თავიო. "თავი იგივე ბოლოა, ბოლო იგივე თავი, თავი იგივე ბოლოა, ბოლო იგივე თავი" - უაზროდ, უსასრულოდ იმეორებდა თვითონაც და მირბოდა.

შინიდან რომ გამოვიდა, ჯერ კიდევ არ იყო კარგად გარკვეული თავის განზრახვა-ში, გრძნობდა, წინააღმდეგობა არ უნდა გაეწია ამ განზრახვისთვის, გაცნობით კი მე-რეც გაეცნობოდნენ ერთმანეთს, გზადაგზა. მაგრამ ეცა თუ არა წვიმის პირველი შხე-ფი სახეში, გონებაც გაუნათდა, დაინახა კიდევ ის პატარა მღვიმე, სადაც ოდესღაც მასა და ინოს, ავაზაკის იმედით შინიდან გაპარულეებს, თავი შეეფარებინათ, ათიოდე ხმელი პურისა და ღორის დაშაშხული ბარკლის ანაბარა, რადგან მაშინ უფრო თამა-მები იყვნენ და უფრო ახლოს იყვნენ მიზანთანაც, რომელიც ამდენი წლის მერე აღარც კი არსებობდა. სამაგიეროდ მღვიმე გადარჩენილიყო, ორი ბავშვის საგზლით გაეტანა თავი და გაღიზიანებული ნიჟარის მსგავსად, მარგალიტად ექცია ამ ორი ბავ-შვის გულუბრყვილო ოცნება. ახლა ის მღვიმე, თუ მარგალიტიანი ნიჟარა, მუჭში ეჭი-რა ღამეს და ათასში ერთხელ, ერთი წამით შლიდა მუჭს, ფარნაოზისთვის რომ დაე-ნახებინა, შეეხარბებინა და მიეზიდა. ფარნაოზიც ბრმად, ალაღბედზე მიიკვლევდა მისკენ გზას, ქვიშა და ღორღი ჩხრიალით ეცლებოდა ფეხქვეშ, ხელნაკრავივით აწყდე-ბოდა გადაფარჩხულ ბუჩქებს, დაუზოგავად რომ სცემდნენ სახეში სველი და დრეკადი ტოტებით, თითქოს წვიმასა და წყვიდად ისინიც გაეანჩხლებინა, ისინიც აემხედრები-ნა ამ მარტოხელა ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც მაინც მათკენ იშვერდა ხელებს, მაინც მათ ებლაუჭებოდა, რადგან მაღლა უნდოდა ასვლა, მაღლა ეგულებოდა თავშესა-ფარი, მისი იმედის, ოცნებისა და იმედის საგანძური. როგორმე უნდა მიეღწია იქამდე და მიაღწევდა კიდევ, რადგან ადამიანი იყო და სხვა გზა არ ჰქონდა. ნათრევი და ნაწ-ვალეები, მრავალგზის ხელმოცარული, ათას განსაცდელში გამოვლილი, ხანგრძლივი ტყვეობიდან თავდაღწეული, ის იმ განძის სანახავად მიდიოდა, ოდესღაც, მისთვის უკე-თეს დროს, შავი დღისთვის რომ გადაემალა. დამარხულმა განძმა გააძლებინა დღემდე, ის რომ ეგულებოდა, იმიტომ არ ეთელვინებოდა, იმიტომ არ ეკვლევინებოდა ცხოვრე-ბას. ახლა მთავარია, გზა არ დაბნეოდა და განძიც ხელუხლებელი დახვედროდა. დიდი დრო გასულიყო იმ დღის მერე, როცა განძი აქ ამოიტანა და იმ იმედით მიაბარა მი-წას, არასოდეს რომ არ დასჭირდებოდა.

მღვიმე ადვილად იპოვა, თუმცა, არც უძებნია, თურმე თავიდანვე მისკენ მოდიოდა, რადგან გულს მოჰყავდა, გული უწევდა მეგზურობას, მაგრამ დაინახა თუ არა მღვიმე, ფეხი მოეკვეთა, რადგან ქაჯური, არაადამიანური, არარსებული ალღოთი იგრძნო, მღვიმეში ვიღაც იყო. გრძნობას, რომელიც ფარნაოზს დაეუფლა, შიში არ ეთქმოდა, მაგრამ შიშსა ჰგავდა, დამბორკველი, ყოველგვარი აღტკინების ჩამაქრობელი და გამა-ბითურებელი ძალით. ფარნაოზი მაინც შევიდა მღვიმეში, შეწყალეების სათხოვნელად მოსულ ტყვესავით, წელში მოხრილი და წინასწარ შეგუებული ყოველგვარ მოულოდ-ნელობას. უნდა შესულიყო, გინდაც სახეში ძუ მგელი სცემოდა, გველი შემოხვეოდა კისერზე, ანდა ავაზაკს ხანჯალი ეტაკებინა მუცელში. წელში რომ გაიმართა, ორი ყვითელი ლაქა დაინახა, თითქოს კაცის ფეხის ხმაზე მღვიმის სულმა



თვალეები და-აჭყიტაო. ლაქები უცებ გაქრა და ფარნაოზმა საშინელი დარტყმა იგრძნო მკერდში; პირველად ვერც მოისაზრა, რა მოხდა, ეგონა, თვითონვე შეასკდა კედელს, სიბნელისა-გან დაბრმავებული. მერე ჩლიქების ფხაკუნით გაიგონა და ორმა ყვითელმა ლაქამ მღვიმის მეორე კუთხეში გაიელვა. ფარნაოზი დამშვიდდა, მღვიმეში რომელიღაც უწყვი-ნარი ცხოველი აფარებდა თავს, რომელიც უცხო სტუმრის გამოჩენას ისე დაეფრთხო, დაუფიქრებლად მიატოვებდა აქაურობას, რაღა თქმა უნდა, თუკი ეს უცხო სტუმარი ამის ნებას მისცემდა და ერთი წამით მაინც მოშორდებოდა გასასვლელს. ფარნაოზს მკერდი უბჟუოდა, არ სტკიოდა, მაგრამ თანდათან უხურდებოდა. თითქოს ქალუკა შალში გახვეულ ცხელ აგურს ადებდა, როგორც ადრე, ბავშვობისას, წვიმაში ტანტა-ლითა და ზღვაში ჭყუმპალაობით გაციებულს. ფარნაოზი ვერ ხვდებოდა, გასასვლელს რომ კეტავდა, მღვიმე კი უარესად ჩაიხუთა, პირსა და ნესტოებში დუბელა წყალივით უგროვდებოდა ცხოველის მძაფრი სუნი; ცხოველი კი ვერ ისვენებდა, წრიალებდა, მღვიმის იატაკს ჩლიქებით ფხოჭნიდა და ხმამაღლა სუნთქავდა. ფარნაოზი გასასვლელს მოშორდა და იქვე ჩაჯდა, კი არ ჩაჯდა, ხორკლიან კედელს ზურგი ჩამოახოხი-ალა, ისე დაღლილიყო, განძრევის თავიც აღარ ჰქონდა. მღვიმეში ცივი ჰაერი შემოიჭრა, მეძებარი ძალღვიით მოირბინა მღვიმე და სველი თემოებით ყველაფერს გაეგლისა. გარეთ ისევ წვიმდა. მარტო დარჩენილი წვიმა ლაპარაკ-ლაპარაკით ჩარბოდა ღორღიან ფერდობზე. მღვიმის ბინადარიც დამშვიდებულიყო, კუთხეში მიყუჟულიყო და ორი ყვითელი ლაქა ფარნაოზისთვის მიეპყრო. "მხედავსო", - გაიფიქრა ფარნაოზმა. მერე ყვითელი ლაქები გამრავლდნენ, ერთმანეთში აირივნენ, დაბზრიალდნენ და ფარნაოზს ჩაეძინა. დილით თხის პეტელმა გამოადვიმა, თხა დასდგომოდა თავზე და დიდი, წყლისფერი, წითელ წრეებში მომწყვდეული თვალეებით ათვალაიერებდა.

გარეთ აღარ წვიმდა. მღვიმის იატაკი თხის კურკლით იყო მოფენილი. ფარნაოზიც კურკლში იჯდა, მთელი სხეული სტკიოდა, ტანზე შემშრალი ტანსაცმელი ეხამუშებო-და, მოძრაობას უშლიდა. მერე დამპალი ძონძის ნაფლეთები და ბარძაყის თეთრი ძვა-ლი დაინახა, მისი და ინოს საგზლის ნარჩენები, და ისე მადიანად გაიზმორა, თითქოს დიდი ხნის მონატრებულ სახლში გაღვიძებოდა. თხამ დაიკვივინა და ფარნაოზს ამაზეც გაეღიმა. ირგვლივ ყველაფერი გულისამაჩუყებლად ნაცნობი იყო. თხა კი ჯიუტად დაჰკვივინებდა თავზე, თითქოს ღამის გასათევ ფულსა სთხოვდა.

- ეეე, ბებრუცუნა, ეს ჩემი სახლია! - უთხრა ფარნაოზმა თხას.

თხა დიდი ხნის მოსაწველი იყო, რძით გაძიძგული ძუძუები ლაჯებში აღარ ეტეო-და. იმდენი რძე დაგროვებოდა, დაბერილი და დაწითლებული კერტებიდან თავისთავად წვეთავდა; რძის თეთრი და მსუყე წვეთი ტყაპანით ეცემოდა ქვის იატაკზე და მტკავე-ლისხელა გუბეს აჩენდა. როდის-როდის მიხვდა ფარნაოზი თხის გაჭირვებას და შეწუ-ხებული მის უკანა ფეხებთან ჩაცუცქდა. გაუბედავად შეავლო ხელი მკვრივსა და გა-ძიძგულ ძუძუს და ქაფიანი რძის პირველი ნაკადი მშუილით დაეღვარა მუხლებზე. ძარღვიანი, ჯიუტი კერტები წარამარა უსხლტებოდა გაწებილი თითებიდან. მღელვარე-ბისგან უცებ გაიოფლა. თხას ძუძუებს ტკენდა მამაკაცის უხეში და გამოუცდელი ხე-ლი, მაგრამ ეს ტკივილი მოგონილი იყო იმ ნეტარებასთან, რასაც დაგროვილი რძის მოშორება ანიჭებდა. გაუნძრევლად იდგა, ხელი რომ არ შეეშალა ისედაც გამოუცდე-ლი მწველავისთვის. გათავისუფლებული რძე კი მოშხუოდა, ჯერ მწველავის

მუხლებზე იღვრებოდა და მერე მიწაზე, ღრმულებში გროვდებოდა, იბუშტებოდა, ბინძურდებოდა, ფერს იცვლიდა და ახლა მღვიმიდან გასასვლელს დაედებდა. ფარნაოზს უკვე კოჭებადღე სწვდებოდა რძე, ხოლო რძის სუნი და ოხშივარი ღრუბელივით დასდგომოდა თავზე. ფარნაოზმა რძეში დაიჩოქა და ძუძუს პირი შეუშვირა, მძლავრი, მჩხვლეტავი ნაკადი თვალეში ეშხეფებოდა, აბრმავებდა, მაგრამ მაინც ახერხებდა მის დაჭერას და ხმაურით, ფაციფუცით ყლაპავდა. მთელი სახე რძეში ჰქონდა მოთხუპნული, "სად ეტე-ვა ამდენი რძეო" - ფიქრობდა გაკვირვებული, რადგან ისიცა და თხაც უკვე სანახევ-როდ რძეში იდგნენ. რძეს მიეკვლია გასასვლელისთვის და ზანტად, ტორტმანით მიიზ-ლაზნებოდა მღვიმიდან, რათა სამზეოზე გამოსული, კისრისტეხით დაშვებულიყო ფერ-დობზე და რაც შეიძლება შორს გაეტანა თავისი ჯადოსნური სითბო და სურნელი. მაგრამ მის სათავეს ჯერ არაფერი შეტყობოდა. ამ უცნაური თხის სიუხვე და სიბარა-ქე ფარნაოზს უკვირდა და უხაროდა კიდევ, ისიც კი გაიფიქრა, იქნებ ღმერთებისააო, რადგან თხა მართლაც ღვთაებრივი სიმშვიდით იდგა და ათასში ერთხელ თუ გამოხე-დავდა მის ფეხებთან ჩაცუცქულ კაცს. მერე გაბმულად დაიკვივნა, სველი, დამჩატებული ძუძუები ისე გამოგლიჯა ხელიდან, თითქოს ფარნაოზს თავის შესაქცევად ეჭირა ისინი, საკუთარ რძეში გააბოტა და მღვიმიდან გავიდა. რძეც შხუილით მიჰყვა უკან. მალე ისევ გამოჩნდა მღვიმის იატაკი, ბარძაყის თეთრი ძვალი და ძონძის ნაკუწები; რძე აქა-იქ ღრმულებშიღა ჩარჩენილიყო. ფარნაოზი არასოდეს არ ყოფილა ასეთი გა-ხარებული, თითქოს თხის რძეს ყველაფრისგან ერთბაშად განეკურნა. არა, თითქოს არც არაფერი ჰქონდა განსაკურნებელი, რადგან აქ, ამ მღვიმეში გაჩენილიყო, თხას გაეზარდა და ახლა პირველად უნდა გამოსულიყო სამზეოზე. დღევით კი იმიტომ ღე-ლავდა, იმიტომ უფრიალებდა გული, ჯერ რომ არ იცოდა, რა დახვდებოდა გარეთ. გარედან მხოლოდ ჩიტის სტვენა აღწევდა, ხოლო ჩიტს ისეთი მშვიდი, წკრიალა და სა-სიამოვნო ხმა ჰქონდა, სამყარო, სადაც ამგვარი ხმა იბადებოდა, არ შეიძლებოდა თვი-თონ უშნო, ბოროტი და სახიფათო ყოფილიყო. ისიც ხომ თხის რძით იყო განზანდილი და, ალბათ, იქაც რძის დამატრობელი სუნი ტრიალებდა, მინდორი ხასხასებდა და აქა-იქ გამოჰყეტილ ყვავილებს ალისფერი ფუტკრები დაბზუოდნენ; მინდორზე კაცს ხნუ-ლი გაჰქონდა, კაცს დედიშობილა ბავშვები მოჰყვებოდნენ, ყვავილებივით ლამაზი და ფუტკრებივით აბეზარი; ხოლო იმ ბავშვებს მუცელზე მიხუტებული კალათებით პუ-რის, სიკეთის, სიყვარულის, სიმშვიდისა და სიბრძნის თესლი მოჰქონდათ. ასეთ ქვეყანას ხედავდა ფარნაოზი თხის რძით გაჟღენთილ მღვიმეში და რატომღაც მამამისის აფრისხელა ტილო ახსენდებოდა, მაგრამ ახლა ესეც ახარებდა, მღვიმიდან დანახული ქვეყნისა და მამის ნახელავის გარეგნული მსგავსება ახარებდა - ეს მსგავსება ადასტუ-რებდა, უხეიროც ასეთ ქვეყანას რომ ხედავდა; თუ არ ხედავდა, უნდოდა მაინც, ასეთი ყოფილიყო იგი. ასე რომ, უკვე ორნი გამოდიოდნენ ერთნაირი თვალისა და სურვილის მქონენი. ეს კი რაღაცას ნიშნავდა, სხვა თუ არაფერი, ორი ერთზე მეტი იყო, მეტი დაეჯერებოდა და ხვალ შეიძლება კიდევ მიმატებოდათ ვინმე, თუკი ის ვინმე სინამდ-ვილეში არსებობდა და ახლა ისიც ამ ჩიტის სტვენას უსმენდა. სამი კაცი კი უკვე ხალხია.

ფარნაოზი მღვიმიდან თამამად გამოვიდა. თხა ნეკერს წიწკნიდა. ფეხის ხმაზე თავი აიღო და მხოლოდ მაშინ მიხვდა ფარნაოზი, ეს თხა ადრეც ჰყავდა ნანახი, ისიც გაახ-სენდა, სად ენახა და როდის. ეს თხა შავთვალეზა მაღალს თხა იყო. ამდენს კი აღარ ელოდა ფარნაოზი. თუ ბედისწერა ისევ არ აპამპულეზდა, მაშინ მაინცდამაინც რაღა ამ მღვიმეში უნდა შეეფარებინა თავი შავთვალეზა მაღალს თხას? "ხომ შეიძლე-ბაო" ... - დაიწყო და ველარ გააგრძელა ფიქრი

ფარნაოზმა. არა, ინომ, ალბათ, არც იცოდა ამ თხის არსებობა და გინდაც სცოდნოდა, სად ეცალა სამწყემსავად. სისულე-ლე იყო ამგვარი ფიქრი, მაგრამ ამ ფიქრმა სხვა, უფრო ძნელად შესაღწევად ფიქრი გა-უჩინა ფარნაოზს, რომელიც თანდათანობით, დღითი დღე ისე გაუშინაურდა, ისე გა-უტკბა და დაუმეგობრდა, დაარწმუნა კიდეც, მისთვის რომ დაევალებინათ ღმერთებს ამ უპატრონო თხის მწყემსობა, რათა საბოლოოდ განწმენდილიყო ძველი ცოდვებისგან და ახლა მაინც გაელო ის ყურადღება და მზრუნველობა, რაც თავის დროზე, ერთგუ-ლი ძაღლის, კიკინებაპრეხილი გოგოსა და კუტი ბავშვის მიმართ ვერ გამოემჟღავნებინა. ღმერთები მართლებიც იყვნენ და კეთილებიც, ფარნაოზს მწყემსობა უნდა ესწავ-ლა. ერთი თხის მწყემსვა მაინც უნდა შეძლებოდა, თუკი მართლა აპირებდა ახალი ცხოვრების დაწყებას. ფარნაოზს სახლი დაავიწყდა, გულადმა იწვა მღვიმის ქვის იატაკზე და გაღიმებული უსმენდა თავის მეგობარ ფიქრს. ის კი ათასჯერ გარდაცვ-ლილი და ათასჯერ ხელახლა დაბადებული კაცის დამაჯერებლობით უხსნიდა, უმარ-ტავდა და უმტკიცებდა, რომ სრულებითაც არ იყო გასაკვირი, თუ ერთ მშვენიერ დღეს ინოც ამოვიდოდა აქ. "განა ზღვაში გადაგდებული ქვა სამუდამოდ ქრება, სამუდამოდ იკარგება? არა, არც ქრება და არც იკარგება, უბრალოდ, მისი დანახვა აღარ შეგვიძ-ლია, რადგან წყალშია ჩაძირული. მაგრამ, შეიძლება, ვიღაცამ წყალში ჩაყვინთოს და სწორედ ის ქვა ამოიღოს, ჩვენ რომ სამუდამოდ დაკარგული გვეგონა" - ამბობდა მეგო-ბარი ფიქრი და ფარნაოზს ისე მოსწონდა, ისე აღელვებდა მეგობრის ნალაპარაკევი, მართლაც უსასრულოდ შეეძლო ესმინა და წოლილიყო ასე, გულადმა გამოტოლი, სა-კუთარი სხეულის სიმძიმით გაჩენილ ღრმულში. ძნელი დასაჯერებელი იყო, მართლა ისე რომ მოხდებოდა, როგორც მისი მეგობარი ამბობდა, მაგრამ მაინც იყო მის ნალა-პარაკევი იმედის თოკის ნაგლეჯი, რომელსაც ყველა, ფარნაოზის დღეში მყოფი, და-უფიქრებლად ჩასჭიდებდა ხელს. ფარნაოზსაც ეძნელებოდა გაეშვა ხელი ამ თოკისთ-ვის, მაგრამ იძულებული იყო, დროებით მაინც მოქცეულიყო ასე, რადგან იქ, ქვევით ბიჭი ეზრდებოდა და იმ ბიჭსაც სჭირდებოდა ხელის ჩასავლები, სანამ სიარულს ის-წავლიდა და წელში გაიმართებოდა.

ფარნაოზის გაგარეულება დიდი ხანია შეემჩნიათ ოჯახში, თინა ძველებური მუყაი-თობით დასტრიალებდა ჯამ-ჭურჭელსა და კერას, მაგრამ პოპინასა და ქალუკას თავ-ზარს სცემდა მის გულში დატრიალებული ცეცხლის გუგუნე. ორივენი ქალები იყვნენ და ორივეს გამოეცადა უგულებელყოფის სიმწარე, სიმარტოვის ყინვა და ეკალი. თინა უბედური იყო, უიღბლო - მისი ბედი ორ სულელ დედაკაცს გადაეწყვიტა, თავიანთთ-ვის სასარგებლოდ, რადგან მათ უფრო სჭირდებოდათ თინა, ვიდრე თინას ისინი. თი-ნასთვის არც უკითხავთ, თანახმა თუ იყო მათი რძლობისა, არც ფარნაოზისთვის უკითხავთ რამე, თუმცა მაშინ ფარნაოზი აქ არ იყო და ისიც არ იცოდნენ, დაბრუნ-დებოდა თუ არა როდისმე. ისინი კი სამეზობლოდ გადმოსულ გოგოს ასულელებდნენ, აქებდნენ, ანებივრებდნენ და "რძალო-რძალოს" ძახილით შემოჰყავდათ კაკანათში. ახ-ლა თინა ყველაზე უბედური ქალი გამოდიოდა მათ შორის, ქმარი ჰყავდა და ქვრივი-ვით ცხოვრობდა, ლოგინს ორისთვის შლიდა და შიგ მარტო იძინებდა, თუკი იძინებდა საერთოდ, თანაც იძულებული იყო, ქმრის ნალერსები ქალივით ხალისიანად ეტრია-ლა ოჯახში, რათა სხვებსაც არ გაეგოთ, სხვებიც არ მიმხვდარიყვნენ, რა პატარა, უმ-ნიშვნელო, დამაკნინებელი და ძალით მოპოვებული ადგილი ეჭირა მას ამ ოჯახში. არა მარტო ქალები, ფარნაოზიც გრძნობდა ამას, მასაც ეცოდებოდა თინა და ცდი-ლობდა, რაც შეიძლება ყურადღებიანი და თავდაჭერილი ყოფილიყო მის მიმართ, მაგ-რამ იმასაც გრძნობდა, ამგვარ

მეცადინეობას არავითარი შედეგი არ მოსდევდა, არც შეიძლებოდა მოჰყოლოდა, რადგან გული არ ერია საქმეში, გული იქ, მღვიმეში დაე-ტოვებინა გაველურებული თხის ანაზარა და ერთი სული ჰქონდა, როდის მოათავებდა საქმეს, როდის აირბენდა დასახედად, დასარწმუნებლად, უვნებლად რომ დახვდებოდა თხაცა და გულიც, თუმცა სანამ მღვიმემდე აღწევდა, ისე დელავდა, თითქოს მარტო-ხელა და ავადმყოფი დედისთვის წამლის მიწოდება უგვიანდებოდა. როგორც კი ქა-ლაქს გასცდებოდა, მაშინვე ავი წინათგრძნობა აეკვიატებოდა ხოლმე, ვაითუ აღარ დამხვდეს, ვაითუ ნადირმა დაგლიჯაო, მაგრამ შეიხედავდა თუ არა მღვიმის წყვილია-ში, ორი ყვითელი ლაქა გაიელვებდა და ნაცნობ კიკინსაც გაიგონებდა. "არ აციებს კერასო" - მადლიერების გრძნობით იტყოდა ხოლმე ფარნაოზი და საკუთარი სხეულის სიმძიმით გაჩენილ ღრმულში წვებოდა. ასე ცხოვრობდა ფარნაოზი, ხოლო იმ დღის მერე, როცა პატარა უხეირო დაიღუპა, საერთოდ აღარ გამოსულა მღვიმიდან, სანამ ცოცხალ-მკვდარი, უგონო და უგრძნობელი, ძალით არ გამოათრიეს ოყაჯადოს ჯარის-კაცებმა.

სახლში ცხოვრების ყაიდა შეიცვალა, ქალებსაც აღარ უჩერდებოდათ გული შინ და დილიდანვე იმის ბჭობაში იყვნენ, ისევე სასაფლაოზე გასულიყვნენ, თუ ისევე ზიარას-თვის დაეხედათ. ზიარა ფეხმძიმედ გახლდათ და ესეც ამართლებდა მათ ყოველდღიურ სტუმრიანობას. პატარა უხეირო კი თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა, თითქოს თვი-თონაც გრძნობდა, ცოტა დრო რომ ჰქონდა განკუთვნილი ამ ქვეყანაზე, მოსასწრებად ჰქონდა საქმე, თუკი საერთოდ აპირებდა რამის მიხვედრასა და გაგებას, თუკი არ უნ-დოდა, ისეთივე უმეცარი და გულუბრყვილო წასულიყო ამ ქვეყნიდან, როგორც მოვ-ლენოდა.

ერთ დღეს თინამ პატარა უხეირო ფეხზე დააყენა, ფარნაოზისკენ შეატრიალა და ზურგში ოდნავ უბიძგა. ფარნაოზი ოთახის მეორე ბოლოში იჯდა და მონუსხულივით მისჩერებოდა მისკენ ბორძიკით მომავალ შვილს. აზრადაც არ მოსვლია, წამომდგარიყო და ხელი შეეშველებინა. გაუნძრევლად იჯდა და, შიშის ნაცვლად, მოუთმენელი, სულსწრაფი და ამაფორიაქებელი მოლოდინი დაუფლებოდა. პატარა უხეირომ მშვიდო-ბიანად მიაღწია მამამდე და გაშლილი ხელისგულები მუხლებზე დააწყო. "დადისო", - გაიფიქრა ფარნაოზმა და ცოლს შეხედა. თინაც მას უყურებდა და თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, დამსხვრეულ შუშებს უგავდა. ფარნაოზი შეადრწუნა თინას ცრემლმა, ის ერთდროულად სიხარულის ცრემლიც იყო, შვილის პირველი დამოუკიდებელი ნა-ბიჯების ხილვით მოგვრილი, და გლოვისაც: თინა მისგან წასულ შვილს მისტიროდა, შვილიც მიდიოდა მისგან, სამუდამოდ მიდიოდა და თინა ისევე მარტო რჩებოდა. ფარნა-ოზმა ძლივს ამოდერდა: მომილოცავს ბიჭის დავაჟკაცებაო. თინამ გაიღიმა, ხელის ზურგით თვალი ამოიწმინდა და თქვა: ახლა ამას უნდა ვუცადო მთელი სიცოცხლეო. ერთი წუთის მერე თინას დედის კალთაში ედო თავი და ბავშვივით ზღუქუნებდა. დე-დამისი მატყლს ჩეჩავდა, "რა მოხდა, შე უბედუროო" - შეიცხადა ელდანაცემმა, შვილს თმაში ჩაავლო ხელი და ძალით აიგლიჯა კალთიდან მისი გავარვარებული სახე. თი-ნას სველ ლოყებზე მატყლის ბეწვები ასწებებოდა. უარესად რომ არ შეეშინებინა დე-და, თავს ძალა დაატანა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოისლუკუნა: არაფერი, დედაჩემო, არაფერი, პატარა უხეირომ გაიარაო. დედამისს პირკატა ეცა. როგორც ყველა ხანში შესული ადამიანი, ისიც უცებ და იოლად განეწყო ყოველგვარი უბედურების მოსასმე-ნად, გადასატანადაც, და თინას დროზე რომ არ გაეცა ხმა, ალბათ, იტყოდა კიდევ, რას იზამ, შვილო, მოსახდენი უნდა მოხდესო, რადგან გუმანი უმაღ შვილის მოვლა-

დამშვიდებდას უბრძანებდა, ვიდრე უაზრო წიოკობის ატეხვას, მით უფრო, რომ ჯერ არც ის იცოდა, რა უბედურება დასტეხვოდა თავზე მის საბრალო ქალიშვილს. თინას ნათქვამმა კი მის ცნობისმოყვარეობას, რაღაც არაჩვეულებრივს რომ მოელოდა თუ მო-ითხოვდა, ცივი წყალი გადაასხა. "ადე, ნუ გამიოხრე მატყლიო" - შეუღრინა შვილს და კალთა გადაიბერტყა. თინა კი სლუკუნებდა, სახეზე ჩამოშლილ თმას ისწორებდა და უაზროდ იღიმებოდა, რათა დედამისს არ შეეტყო, როგორ უჭირდა ადგომა, უჭირდა კი არა, არ შეეძლო, ფეხებს ველარ გრძნობდა, აღარ ჰქონდა ფეხები და მათ ნაცვლად ცივი და დაბუყებული სიცარიელე გამოზმოდა წელსქვევით. "რომ ველარ ავდგეო?!" - ფიქრობდა თავზარდაცემული თინა, მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა, იცოდა, ამა-საც მოერეოდა, თუკი მოითმენდა და არ შეიმჩნევდა, დედისათვის არ უნდა გაეგებინე-ბინა, თორემ ისეთ წიოკობას ატეხდა, ქვეყანას შეუყრიდა. "რა მოხდა, რა არის საწიო-კო, ხომ შეიძლება, დედა-შვილი სულ ასე ისხდნენ და მატყლსა ჩეჩავდნენო?" - თავს იმშვიდებდა თინა და გაღიმებული შესცქეროდა პირმოკუმულ დედას.

- რას ვუზივარ, მოგეხმარო მაინცო - თქვა თინამ და თვითონაც აიღო მატყლის ფთილა.

მისი დრო ამოწურულიყო, ჩამოთავებულიყო, როგორც კოდში საფეკვავი. ტომარას თავის მოკვრად აკლდა და ზურგზე მოკიდებდა. მოსახდენი მომხდარიყო, თანაც ისე მომხდარიყო, როგორც მას უნდოდა. ვისი რა ბრალია, თუ აქანავებული ლეღვის ტო-ტიდან ყველაფერი მომხიბვლელი და ადვილად ხელმისაწვდომი ჩანდა? თინამ შეასრუ-ლა ის, რაც მიზნად დაისახა და ახლა ვერავინ გაამტყუნებდა, დედის ფეხებთან რომ მჯდარიყო და მატყლი ეჩეჩა. მაგრამ გაწბილებულ ოცნებას, წყალში ჩაყრილ მოთმი-ნებასა და დაკარგულ დროსაც ხომ სჭირდებოდა დაცვა და გამართლება? არა, თინას-თვის ახალი ბრძოლის დრო დგებოდა, შურისძიების დრო, და ისიც დაუნდობელი იქ-ნებოდა ყველას მიმართ, ვინც არ გაუგო, ვინც მისი თეთრი შავად დაინახა, ანდა დაი-ჯერა, ყველაფრის მოთმენა რომ შეეძლო მას. აჰ, დედის ფეხებთან გატრუნვა დამარ-ცხებას ნიშნავდა, ბედთან შეგუებას, საკუთარი უმწეობისა და უსამართლობის აღიარებას. მაგრამ აღსარება დაჰგვიანებოდა თინას, აღარც თავის გამტყუნების უფლება ჰქონდა, რადგან აქამდე შეგნებულად ხუჭავდა თვალს, შეგნებულად იყრუებდა ყურს, რათა დრო მოეგო, ერთი ნაბიჯიც წაედგა წინ, სიყვარულის დასახიჩრებულ გვამამდე მიეღწია, ეხილა და დარწმუნებულიყო, მართლა გვამი, მართლა მისი სიყვარულის გვამი რომ იყო იგი. სხვებს შეიძლება შეშლოდათ, მიემსგავსებინათ, ანდა სულაც მო-ეგონათ, თინას გასამწარებლად. რაც არ უნდა ძნელი ყოფილიყო, ჯობდა მაინც საკუ-თარი თვალით ენახა და სამუდამოდ გამოეძეებინა გულიდან მტანჯველი იმედიცა და ეჭვიც: ვაითუ მომატყუეს, ვაითუ ძალით დავიბრძავე თვალიო. ახლა ყველაფერი ზურგს უკან მოეტოვებინა, სულისშემხუთავი გზაც და ძვირფასი გვამის ხილვაც. მაგ-რამ გვამსაც სჭირდებოდა მოვლა-პატრონობა, იმ გვამს კი თინას მეტი არავინ ჰყავდა დამმარხველი, თინა იყო მისი პატრონი და ღირსეულადაც დამარხავდა, არც ცრემლს დააკლებდა და არც მსხვერპლს. დედამისს გინდაც არ ეთქვა, წადი, აქ რას უზიხარ, შენ შენი მატყლი გაქვს დასაჩეჩო, მაინც წამოდგებოდა, თავისი სიჯიუტით მაინც აღიდგენდა სადღაც გამქრალ ფეხებს და ძველებურად, ამაყი ცოლისა და ბედნიერი დედის უზრუნველობით, შეაღებდა უხეიროს ეზოს ჭიშკარს, რადგან ამ ჭიშკარს იქით იყო მისი ნამდვილი ცხოვრება. ეს ცხოვრება კი ჯერ არ დამთავრებულიყო, რაღაც აკ-ლდა, რაღაც, თითქმის უმნიშვნელო, მაგრამ აუცილებელი, დასრულების უფლება რომ მოეპოვებინა. ის "რაღაცაც" ამ ჭიშკრის იქით არსებობდა მხოლოდ,

და როცა თინამ ჭიშკრის სახელურს მოჰკიდა ხელი, გული ისევე აუთრთოლდა, როგორც იმ დღეს, ფარნაოზის ცოლი რომ გახდა. "აი, ჩემი სახლიო" - მაშინაც და ახლაც ასე გაიფიქრა თინამ და ეზოში შევიდა. უკვე სახლთან მისული, უკანვე გამობრუნდა, პოპინას გაუქმებულ სამღებროზე მიყუდებული ცოცხი აიღო და მოკირწყლული ბილიკიდან ხმელი ფოთლები გადახვეტა.

თინა არ აპირებდა რაიმეს შეცვლასა და გამოსწორებას, სამაგიეროდ, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, დასასრულისთვის დაეცადა, როგორც არ უნდა ყოფილიყო იგი. გული უგრძობდა რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო, ყველას რომ შეძრავდა, შეაძრწუნებდა. ბოლოს და ბოლოს, ტაძარი ინგრეოდა, მოთმინების ტაძარი, სი-ჯიუტის ქვითა და კირით ნაშენი. თინაც ამ ტაძრის კედლებთან ერთად იზრდებოდა და მტკიცდებოდა, მაგრამ ბავშვური გულუბრყვილობითა და ოცნებით წამოწყებული მშენებლობა თანდათან სხვა მნიშვნელობას იძენდა. თუკი თინა ფარნაოზის შემოტყუ-ებას შეძლებდა, მაშინ ეს ტაძარი მათთვის და მათი შვილებისთვის ყველაზე გამძლე და სამუდამო თავშესაფარი უნდა ყოფილიყო. თინამ მართლაც შეუძლებელი შეძლო, მაგრამ ტაძარმა ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება. საკირედ იქცა, სატუსალოდ, საცხედრედ... ალბათ, რაღაც დააკლო ანდა გადააჭარბა თინამ, რაღაც ვერ გაითვალის-წინა, მაგრამ ამის გამოსწორება უკვე გვიანდა იყო. ეს ტაძარი ან ასეთად უნდა დარჩენილიყო, ან საერთოდ უნდა დანგრეულიყო, და ინგრეოდა კიდევ. თინა უკვე შეჩვეო-და ამ აზრს, მაგრამ გული კი არ წყდებოდა, სინანულს კი არ გრძნობდა, არამედ ჩა-მონგრეული კედლების გრუხუნის მოლოდინში ძნელად ასახსნელი სიხარულითა და მოუთმენლობით ცახცახებდა იმ ბავშვივით, ხის მოჭრას რომ ადევნებს თვალს და ერ-თი სული აქვს, აქანავებული, ატორტმანებული ხე როდის დაენარცხება მიწაზე გა-ფარჩხული ტოტების ლაწალაწით.

თინას მოლოდინი ოჯახის დანარჩენ წევრებსაც გადასდებოდა, ყველას გასჩენოდა ავი წინათგრძნობა და ყველა თავისებურად წუხდა, რადგან სახელი ვერ დაერქმიათ, არ იცოდნენ, რას ნიშნავდა იგი, რას მოასწავებდა. გაურკვევლობა კი უარესად აფრ-თხობდათ, ერთმანეთს თვალს არიდებდნენ, ღობე-ყორეს ედებოდნენ, როგორმე რომ ჩა-მოთავებულებიყო თითქოს მათ ჯიბრზე გაწელილი დღე და თავთავიანთ საწოლებში განმარტოებულიყვნენ, ერთმანეთისაგან წყვიდადითა და დუმილით გამოყოფილ კუნძუ-ლებზე, სადაც ძეძვის მეტი არაფერი ხარობდა, თვალს მაინც რომ დაესვენა, და სადაც დაუნდობელი ტურები გათენებამდე ყურისწამლებად ჩხაოდნენ.

პოპინამ სასაფლაოზე სიარულს მოუხშირა, დღეს არ აცდენდა. საქმეც რომ ჰქონო-და შინ, მაინც იქ წასვლა ერჩია, თითქოს საქმე მოიცდიდა, მიცვალებულები კი ვერა. "რა ვქნა, წუხელაც დამესიზმრნენ, ისეთი სახე ედო მამაჩემს, მთელი ღამე ტირილში გავატარე, რაღაცა აწუხებს და ვერ გამიგიაო" - თავს იმართლებდა პოპინა. სინამდვი-ლეში კი თვითონ აწუხებდა რაღაცა და ვერ გაერკვია, ეს წუხილი ერეკებოდა შინი-დან, წუხილი და ავი წინათგრძნობა. თითქოს მოსალოდნელ უბედურებას მშობლების სიახლოვეს უფრო ადვილად აარიდებდა თავს. მკვდარი მშობლები უფრო საიმედონი გამხდარიყვნენ, ვიდრე ცოცხალი ნათესავები, რადგან უბედურება მხოლოდ ცოცხლე-ბისგან იყო მოსალოდნელი, ცოცხლებისგან და ცოცხლებისთვის. პოპინას ძველმა შიშმაც გაუხსენა, ყველას დამფრთხალი შესცქეროდა თვალებში, ყველას ეფერებოდა, რადგან არ იცოდა, ვისგან ან ვისთვის მზადდებოდა უბედურება, რასაც ავი წინათგრძ-ნობა

ყოველდღე უდასტურებდა. არც წყვილი კვიპაროსი ავიწყებოდა, სისხლით ბან-და ქერცლიან წვივებს, იქნებ ასე, ყველას ფერებითა და სამსახურით, მოეგო ღმერთე-ბის გული და ოჯახი გადაერჩინა. სხვა რა შეეძლო, რა ელონა? დიდი-დიდი მშობლებ-თან თუ მოყვებოდა თავის გასაჭირს, თუმცა ყველაფრის თქმას იქაც ერიდებოდა, საწყენსა და საჩოთიროს განგებ მიაფუჩჩებდა ხოლმე, გული რომ არ დაეწყვიტა და ზედმეტად აღარ შეეწუხებინა ისინი. აკლდამას რომ გამოგვიდა და ფილაქანზე წყალს მოაპკურებდა, რომელიმე ლოდზე ჩამოჯდებოდა, გაიღიმებდა, თითქოს მართლა დაინა-ხა მშობლებიო, და მოყოლას იწყებდა, წყნარად, თანამიმდევრულად, ისე, რომ საკუთარ-ი ხმისთვისაც ესმინა, რათა სწრაფად შეძლებოდა შერბილება ანდა გამოსწორება, თუკი, ლაპარაკით გართულს, რამე მშობლებისთვის არასასიამოვნო წამოსცდებოდა. დარწმუნებული იყო, მშობლები გულისყურით უსმენდნენ. ისიც ცდილობდა, ყოველი სიტყვა მკვდრებისთვის უფრო სასიამოვნო და ადვილად მოსასმენი გაეხადა.

პატარა უხეირომ რომ გაიარა, პოპინა იმ დღესაც გაიქცა სასაფლაოზე. იქაურობა დააწკრიალა, ლოდზე ჩამოჯდა, ხელები კალთაში ჩაიწყო და თქვა: ორივესთვის მომი-ლოცავს, დღეს პატარა უხეირომ გაიარაო.

- უკვე დიდი ბიჭია - ხმა გაუთბა პოპინას და ენად გაიკრიფა - უკვე კბილებიც გა-მოეჭრა. რა არის, იმის ენამ რომ არ თქვას. იმ დღეს შუბუმ მაყვალნი ამოიტანა ვენა-ხიდან, სახეში ჩახედა და უთხრა: თუ იცი, რატომ გქვია უხეიროო. არც კი დაფიქრებულა, პაპაჩემსაც უხეირო ერქვა და იმიტომო, პაპაჩემი მეომარი იყო და მეც მეომარი უნდა გამოვიდეო. სიცლით დაგვხოცა. შუბუ კი ხანჯალს დაჰპირდა. რა შეგეშინდათ? ნამდვილს კი არა, ხისას. თუ სულ ასეთი კარგი ბიჭი იქნები, ისეთი ხანჯალი უნდა გამოგიტალო, ამირანსაც რომ შეშურდესო. ის იყო და ის, ვეღარ მოვაშორეთ შუბუს, მეც შენთან უნდა წამოვიდე და გიყურო, როგორ გამოთლი ხანჯალსო. დედამისმა ძლივს ჩამოსვა ვირიდან (პოპინამ ხმამაღლა გაიცინა, რადგან ნათლად დაუდგა თვალ-წინ, როგორ ექაჩებოდა თინა ვირზე შესკუპებულ უხეიროს). ოოოხ - სიცლის ოხვრა გადააბა პოპინამ და უცებ მოიწყინა. კარგა ხანს იჯდა ჩუმად, ჩვეულებისამებრ შემკრ-თალი და მობუზული. მერე თავი აიქნია, თითქოს სახეზე ჩამოვარდნილ თმას ისწო-რებსო და თქვა: ღმერთმა ნუ ქნას, ისიც შენსავით უბედური გამოვიდესო.

პოპინა დღეს ვეღარ დაზოგავდა მკვდრებს, დღეს ვეღარ ითვალთმაქცებდა და თავის შიშსაც და სამდურავსაც პირდაპირ, შეუნიღბავად ეტყოდათ, ეტყოდათ, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა, მკვდრების იმედზელა იყო დარჩენილი. ისინი კი მომკვდარიყვნენ, მაგ-რამ მაინც პოპინას მშობლები იყვნენ და იქიდანაც უნდა მოხმარებოდნენ, იქიდანაც უნდა დაერიგებინათ ჭკუა და იქიდანაც უნდა შეეწიათ მანუგეშებელი სიტყვა. პოპინას მკვდრები ეცოდებოდა, მაგრამ თვითონ უფრო ცოდო იყო: ისინი, მართალია, მიწაში იყვნენ, მაგრამ მაინც ერთად იყვნენ და ეს უკვე დიდი შეღავათი იყო, დიდი უპირატე-სობა პოპინასთან შედარებით. პოპინას ძმაც ჰყავდა და შვილიც, მაგრამ ორივე ბო-ლომდე უცხო დარჩა მისთვის, ორივესი ეშინოდა, რადგან ერთი უმამოდ გაეჩინა და ამით სამუდამოდ დაემცირებინა სხვების თვალში, მეორეს კი მოუშორებელ ტვირთად დასწოლოდა თავზე. შეიძლება, მხოლოდ პოპინა ფიქრობდა ასე, თვითონვე ირწმუნებ-და თავს, რომ ძმისთვისაც და შვილისთვისაც დამცირებისა და უბედურების მეტი არა-ფერი მოჰქონდა და ამ მოგონილი დანაშაულით თვითონვე იმწარებდა სიცოცხლეს, რადგან კაცებისა

საერთოდ არაფერი გაეგებოდა. უცნაური და საშიში მამის წყალო-ბით, მისთვის კაცები საერთოდ უცნაური და საშიში გახდნენ. არაფრისა არ შინე-ბია ისე, როგორც მამის, რადგან მამაც ყოველთვის მკვდარი იყო მისთვის, დედასთან ერთად მოჰკვდომოდა, მაგრამ დედისაგან განსხვავებით, მამა ბრაზიანი მკვდარი იყო, რომელიც თითქოს ცოცხლად დარჩენილთა დასაფრთხობად და გასამწარებლად დაე-ტოვებინათ დაუმარხავი. პოპინას მაშინ ბევრი არ მოეკითხებოდა, თუნდაც, ბავშვობის გამო, ხოლო მამამისს სწორედ ის აფრისხელა ტილო ჰქონდა გადაფარებული, რომელიც ცოტა ადრე დედის ცხედარს ეფარა. სხვაც ბევრი რამე აღიქვა და შეითვისა პო-პინას დამფრთხალმა გონებამ მაშინ არასწორად და სამუდამოდ, და თუმცა მას მერე დიდი დრო გავიდა, ისეთი არაფერი მომხდარა, აზრი შეცვლოდა, ძველი რწმენა გაქარ-წყლებოდა. განა ფილამონეც, ფარნაოზიცა და კუსაც მამამისივით უცნაური და სა-შიში არ იყვნენ? "შენი ბრალია, მამაჩემო, შენი!.. - ჩაესმა პოპინას საკუთარი ხმა და სისხლი გაეყინა, ერთი კი გაიფიქრა, როგორ მიტრიალდება ენა მკვდრის გასამტყუნებ-ლადო, მაგრამ მაშინვე გადაწყვიტა, ბარემ ბოლომდე ამოებერტყა გული, თუკი უნდო-და, ცოტა შვება მასაც ეგრძნო. ნაძალადევად გაიცინა და გააგრძელა: - კაცები შებრუნებულად ხედავთ ყველაფერს: რაც გაქვთ, ის არ გინდათ. არკი იცით, რა გინდათ. ჩემი ძმაც, რაც დრო გადის, სულ შენ გემსგავსება. შენც ასეთი იქნებოდი, ფეხზე რომ გეარნა. თინა მეცოდება, რაც არ უნდა იყოს, სხვისი შვილია, ჩვენს უბედურებას მას-თან რა ესაქმება... აღარ იცის, როგორ მოიგოს ჩემი ძმის გული, ოჯახზეა გადაყოლი-ლი, ქმარ-შვილის მეტი არაფერი ახსოვს, იმის დროც აღარ რჩება, დედასთან გადაირ-ბინოს. არ შეიძლება, ოჯახშიც დაილაპარაკოს კაცმა ტკბილად? რატომ არ შეიძლება? ამიხსენი. სხვას ვიღას ვკითხო? ჩემი შვილია და, ისე მიბღვერს, თითქოს... არა აქვს საბღვერლად საქმე? მამა წავართვით, გავუქციეთ. იქამდე ურბენია, სანამ სული არ ამოსძვრება, მაგრამ რას ვერჩით, იმას რაღას ვერჩოდით? იმიტომ, რომ შენს შვილს უკეთესი ქმარი ეკუთვნოდა, არა? არა, მამაჩემო, ყველანი ჩვენზე უკეთესები არიან. ჩვენ ვიღაცამ დაგვწყევლა, რაღაც ცოდვა დაგვატეხა თავზე და ისე გაგვაბრუა, ვეღარც კი ვამჩნევთ, კიდევ რომ ცხოვრობს ჩვენს გარშემო ხალხი. სხვებს რაღას ვუმწარებთ ცხოვრებას? ყველას რაღაცა აქვს გასახარი, სტუმარი დაუდით, ჭირიც იციან და ლხი-ნიც. ჩვენთან კი ვინ მოვა, კუსასა და ზიარას მეტი, თუმცა ახლა ფარნაოზიც სტუმარ-რი გაგვიხდა. მე ჩემს თავს აღარ ვჩივი, ან ვის რაში ვჭირდები, მაგრამ მართო მე ხომ არა ვარ ცოცხალი? დედა რომ მომიკვდა, მეც მაშინ უნდა დავმარხულიყავი. ცოცხლად უნდა დავმარხულიყავი. რატომ დამტოვე, დედაჩემო, რატომ?! არ გეცოდები, ახლა მა-ინც არ გეცოდები?! რამე მაინც გესწავლებინა, არ იცოდი, სად მტოვებდი?! შენ რომ არ გელაღატა, იქნებ ჩემთვისაც გამორეულიყო ერთი ბედნიერი დღე, იქნებ ჩემი შვი-ლიც აღარ მოშხამავდა ქვეყანას! ჩემი შვილი ხომ შხამიანია, დედაჩემო, გველის შხამი აქვს ენის ქვეშ. როგორ უნდა იცხოვროს ასე, ვის დაეწვება გული? ცოდვის შვილია და იმიტომ, ჩემი შვილია და იმიტომ მეცოდება, მე გავაჩინე ასეთი. გველკაცია ჩემი შვილი, დედაჩემო, გველკაცი. რა მექნა, მითხარი, ან სად გაქცეულიყავი, გაქცევაც რომ არ შემიძლია! გაქცევა კაცების საქმეა, ყველა კაცი გარბის, ყველას გაქცევაზე უჭირავს თვალი. ხომ ასეა, მამაჩემო? ნეტავ შენც შეგძლებოდა გაქცევა. რომ არ შე-გემლო, იმიტომ ჩამოხში ზეზეურად, მაგან გადაგრია. თუ კვდებოდით, ფარნაოზს რა-ღას აჩენდით? ფარნაოზი ხომ ჩემზე უბედურია, ჩემზეც და შენზეც, მამაჩემო, შენი შვილია და ისიც შენ დაგემსგავსა, მაგრამ იმას გული აქვს დამსხვრეული, გულისთ-ვის ვერ მოუყრია თავი, მამაჩემო. იმ დღეს თინამ ვეღარ შეიკავა თავი და აკი უთხრა, რა ვქნა, ეტყობა, არ ყოფილა საშველი, აღარ შემიძლია



შენი შეკავება და რაც მოგი-ვიდეს, თავს დააბრალო, შენ არც ცოლი გინდა და არც შვილი, თავს იტყუებ, ძა-ლით გვეპოტინები, რადგან იცი, რა მოგელის უჩვენოდ და გემინიაო. ან ჩვენ რას გვაწვალე, ან თავს რაზე იწვალე. მოსახდენი მაინც მოხდება და რაც ადრე მოხდება, უკეთესიაო, მამაჩემო. შენმა შვილმა კი ხმა ვერ ამოიღო, თავჩაღუნული იჯდა. გუ-ლი დამეთუთქა, ლამის დავუყვირე, არ დაუჯერო-მეთქი, თინა განაწყენებულია და თვითონ არ იცის, რას ამბობს-მეთქი. მაგრამ მეც ენა დამება. რადგან თინა მართალია, მამაჩემო, ხომ მართალია თინა? მიპასუხეთ, რა ვქნათ, როგორ ვუშველოთ ფარნაოზს? შვილი გელუპებათ, შვილი!"

პოპინას ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლი, თითქოს გუშინ დაემარხა მშობლები, თითქოს გუშინ დაობლებულიყო და საკუთარი საცოდაობით იწვოდა. სხვა რომ ვერა-ფერი გაეწყო, მუშტებით კაბის კალთას აწვებოდა, თითქოს ვერ დამშვიდდებოდა, სა-ნამ არ ჩახევდა, სანამ არ ჩაფხრეწდა. ხანდახან ისე აიქნევდა თავს, თითქოს არ მოს-წონდა, არ აკმაყოფილებდა მკვდარი მშობლების რჩევა-დარიგება, თუმცა ეს რჩევა-და-რიგებაც მისსავე აღზნებულ გონებაში იზადებოდა.

- მეც ვიცი, რომ არაფერი არ ეშველება, მეც ვიცი, რომ ესეც ჩვენი ბედია, მაგრამ ვიყოთ ასე გულბელდაკრეფილნი?! - მოთქვამდა პოპინა.

მშობლებთან ლაპარაკმა, ასე თუ ისე, მაინც დაამშვიდა, რადგანისგან გათავისუფლ-და, რაღაცა, ბალღამივით მწარე და მავნებელი, გამოიტანა ნათქვამმა სიტყვამ მისი არსებიდან და შვება აგრძნობინა. პოპინა წამოდგა, კაბა გაისწორა და ახლა უკვე ნა-ხევრად ხუმრობის კილოთი თქვა: ცოცხალს კაცი ლაპარაკს ვერ გაგიბედავდა, ახლა კი, გინდა თუ არა, მაინც უნდა მომისმინო.

მშობლების აკლდამიდან გამოსული პოპინა ძნელი, ბუნდოვანი სიზმრიდან თავ-დაღწეულს ჰგავდა, შინამდე არაფერი არ მოჰყვებოდა ხოლმე, ვერც თავის ნათქვამს იხსენებდა, ვერც მშობლებისას; არადა, დარწმუნებული იყო, მართლა იქიდან ბრუნდე-ბოდა, მართლა ელაპარაკა მათთან, შეცვლით კი არაფერი იცვლებოდა: ეჭვი ისევ ეჭ-ვად რჩებოდა, შიში კი - შიშად. "ესენიც მასულელებენო, - ფიქრობდა შინისკენ მიმა-ვალი პოპინა, - ყველაფერზე თავს მიქნევენ, არაფერში კი არ მეხმარებიანო". ასე რომ, პოპინა სახლში ძველებურად დამფრთხალი და დაბნეული შედიოდა, ოღონდ უარესად გულმოკლული საკუთარი უმწეობითა და მკვდრების გულგრილობით. "იქნებ იქ უკე-თესია ცხოვრება და ამიტომაც აღარ ადარდებთ ჩვენი ამბავიო" - გაჰკრავდა ხოლმე პოპინას ამგვარი ფიქრიც და უნებურად ფეხს აუჩქარებდა, თითქოს ფიქრს გამოუსწ-რებდა და აღარ დააკაწვრინებდა თავს. ცხოვრება გრძელდებოდა და არც მას ჰქონდა ამ ქვეყნიდან ასე იოლად წასვლის უფლება, რაც არ უნდა მომხიბვლელად დაეხატათ მისთვის მშობლებს საიქიო ცხოვრება. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, პატარა უხე-ირო არსებობდა და ზიარაც ფეხმძიმედ იყო. მასაც ჰქონდა თავისი სიხარული, მართ-ლა მთლად კი არ გასწყრომოდნენ ღმერთები. ზიარას ფეხმძიმობის ამბავს პოპინა შეგნებულად უმაღავდა მშობლებს, ეშინოდა არ დაეთარსათ, აბუჩად არ აეგდოთ ღმერთებს მისი წინამასწარა სიხარული. სიხარულით კი ძალიან უხაროდა. ზიარას მშობიარობას ბევრი რამე უნდა შეეცვალა, უპირველეს ყოვლისა კი მისი შვილი, მისი უბედური შვილი. პოპინა დედა იყო და უთქმელადაც გრძნობდა, როგორ სტანჯავდა კუ-სას უშვილობა, როგორ უმატებდა გესლს და ამ გესლში როგორ იხრჩობოდა თვითონ-ვე. კუსას შვილი წამალივით სჭირდებოდა, ან გესლისგან განკურნავდა, ან გასაქცევ მიზეზს მისცემდა. თუ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, თავის სანაცვლოს დატოვებდა, თვითონ

კი გაიქცეოდა. ისიც კაცი იყო და, ასე თუ ისე, მის ძარღვებშიც უხეიროს სისხლი წრიალებდა, ნაწილობრივ მაინც, იმდენი, რომ მოსვენება დაჰკარგოდა. კუსა-მაც იცოდა, ბევრი რამე იყო დამოკიდებული ზიარაზე და ისე დატკობოდა ცოლს, მა-თი ამბავი მეზობლებს სალაპარაკოდ ჰქონდათ გამხდარი. კუსამ სახლში მოიხედა, ქო-ხი ხელახლა გადაახურვინა, ეზოს ღობე შემოავლო და სახედარიც იყიდა. ზიარას რცხვენოდა ვირით სეირნობა ქალაქში, ისედაც მუშტისხელა, უარესად პატარავდებოდა და თავჩაღუნული, ჯიუტად ჩასცქეროდა ვირის გაფშვიკილ ქეჩოს. კუსა კი გაღიმებული მიუძღოდა ვირს და ტომარასაც განგებ უფრო ხმამაღლა აჟღერებდა, ყველას რომ მიექცია მათთვის ყურადღება. ერთ დღეს კი ზიარას ცოცხი ხელიდან გამოართვა, ქოხი თვითონ გამოგავა და უთხრა: თუ ცოცხალ ბავშვს გამიჩენ, საერთოდ აღარ გცემო. პოპინამ ყველაფერი იცოდა, რადგან ზიარა არაფერს უმაღავდა დედამთილს, გუ-შინ ეს მითხრა და ასე და ასე მომექცაო, მაშინვე ჩაუკავლავდა ხოლმე. პოპინამ ისიც იცოდა, მისი შვილი რატომ ანებივრებდა, რატომ დაჰფოფინებდა თავზე ზიარას, ქმრის ყურადღებასა და ორსულობას ერთნაირად რომ დაემრგვალებინა და გაელამაზებინა კიდეც. ზიარას კუსასთვის გაქცევის უფლება უნდა მიეცა. ასე ფიქრობდა პოპინა, რადგან, მისი აზრით, კაცები შვილებს იმიტომ აჩენდნენ, თვითონ რომ გაქცეულიყვნენ, თითქოს ახალშობილის ჭყავილი ის იდუმალი და ნანატრი ნიშანი იყო, რომელიც მათი ჟამის დადგომას აუწყებდათ, როგორც მამლის ყვილი გათენებას. პოპინას აზრით, მხოლოდ ამ ნიშნის მერე იწყებდნენ კაცები ცხოვრებას, ნამდვილ მამაკაცურ ცხოვრებას, უაზროს, უსასთუმლოს და უქალების, ქარივით სწრაფსა და თავისუფალს. მათი ნაშიერის ჭყავილით გათენებული დღე მათი მოვალეობის აღსრულებასაც ნიშნავდა და მათი უკანასკნელი, მხოლოდ მათთვის განკუთვნილი დღის დადგომასაც. ამიტომაც ეკარგებოდათ თავგზა, ამიტომაც ვერ ახერხებდნენ ამ დღის მშვიდობიანად დამთავრებას, იმასაც ვერ ახერხებდნენ, წესიერად მომკვდარიყვნენ, კი არ კვდებოდნენ, იღუპებოდნენ და სხვებსაც ღუპავდნენ, რადგან დაღუპვაც ისევე გარდაუვალი იყო მათთვის, როგორც განთავისუფლება, მაგრამ ამის მისახვედრად დროც აღარ რჩებოდათ. სამაგიეროდ ქალები ხვდებოდნენ ამას, არა მარტო პოპინა, არამედ ყველა ქალი. აკი თინამაც უთხრა ფარნაოზს: შენი შეკავება აღარ შემიძლია, და რაც მოგივა, თავს დააბრალო. თინამ იცოდა, რაც მოუვიდოდა ფარნაოზს, პოპინამაც იცოდა და ამიტომაც გაცეცხლდა თინაზე, როგორ უბრალოდ გაიმეტა, როგორ იოლად აიღო ხელი თავის მოვალეობაზე, რადგან, იმავე პოპინას აზრით, თუ კაცის მოვალეობა გაქცევა იყო, ქალს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა შეეფერხებინა ეს გაქცევა, ფეხებში უნდა ჩავარდნოდა, ხელი არ უნდა გაეშვა, გინდაც დასაღუპად განწირული კაცი წიხლით შესდგომოდა, უნდა მოეთმინა, უნდა გაეძლო, რადგან ესაა ქალის მოვალეობა, ამიტომ გააჩინა ქალად ღმერთმა.

პოპინას ყველაფერი არ მოუყოლია მშობლებისთვის, ბევრი რამე კი შებრუნებულად მოუყვა. მართალია, პოპინა ყოველთვის თინას მხარეზე იყო, თანაუგრძნობდა და ამართლებდა კიდეც, მაგრამ იმ დღეს, როცა პატარა უხეირომ პირველად გაიარა, თავ-ზარი დასცა თინას მრისხანებამ და დაუნდობლობამ. ეს იმდენად მოულოდნელი და იმდენად დაუშვებელი აღმოჩნდა პოპინასთვის, დიდხანს ვერ მოისაზრა, რა ხდებოდა, და პირდაღებული შესცქეროდა რძალს; თინას თმა გასწეწოდა, კაბა ტანზე შემობრე-ცოდა, ისე წამოჭარხლებოდა სახე, თითქოს კალოზე ნიჩბით ხორბალს ანიავებდა. ფარნაოზი თავჩაღუნული იჯდა და პოპინას შეეცოდა ძმა, თავი ველარ შეიკავა და და-უძახა: არ დაუჯერო, თვითონაც არ იცის, რას ამბობსო. თინა კი იმას

ამბობდა, რაც წლების მანძილზე დაგროვებოდა გულში და მისი პირიდან ამოსულ სიტყვას მომაკვ-დინებელი ძალა ჰქონდა, რადგან გამწარებული და მოთმინებიდან გამოსული ქალის სიტყვა იყო. "ზიარასი რატომ უნდა მშურდესო, - ამბობდა თინა, - მე რატომ უნდა ვი-ყო ყველაფერში გამორჩეული, როცა თავიანთ გომბეშო ცოლებს ქმრები ვირებით ასე-ირნებენო. ვისაც ჩემი დანახვა არ სიამოვნებს, თავი ქვას უხლია, ერთ დღეს გაწყვე-ტილხართ ყველანიო".

ფარნაოზი თავჩალუნული იჯდა, არა, ფარნაოზი პატარა უხეიროს უყურებდა, საცო-დავად აწურული, გაცეცხლებული და დამფრთხალი ხან მამას რომ გახედავდა, ხან კი დე-დას, როგორც უნებურად შუაზე გადატეხილს და ამავე დროს ყველაზე საყვარელ სა-თამაშოს. პატარა უხეიროსაც, როგორც ყველა ბავშვს, თავისი ანგარიში ჰქონდა, სა-დაც ორჯერ ორი ყოველთვის სამი გამოდიოდა, ისა და მისი მშობლები. მისი ანგარი-ში ამაზე შორს არც მიდიოდა და არც სჭირდებოდა. სამი მისთვის ყველაზე ცხადი და ამავე დროს ყველაზე ჯადოსნური ციფრი იყო. განუყოფელი და მარადიული. განა ყველა ისე არ ანგარიშობს, როგორც ხელს აძლევს? რა გასაკვირია, ბავშვსაც ჰქონდეს თავისი ანგარიში? "ემშაკურადაა ყველაფერი მოწყობილი, - ფიქრობდა ფარნაოზი, - თუ სიკეთე გინდა, ბოროტებასაც უნდა მოუხუჭო თვალი. ერთს მეორე მოსდევს. ან ორივეს ზურგი უნდა შეაქციო, ან ორივე უნდა ჩაიხუტო, ორივენი თავზედი და უზრ-დელი ბავშვებივით არიან, მცირეოდენი ყურადღებაც საკმარისია ერთის მიმართ, მა-შინვე კალთაში რომ ჩაგისხდნენ, რადგან ერთმანეთს ხელს არ უშვებენ და წინასწარ-ვე არიან შეთანხმებულნი, ყველაფერი ძმურად გავიყოთო". თვითონაც ამიტომ იყო ასეთი, ვერავის ვერ მოუტანა სიკეთე, რადგან ბოროტების ჩადენა არ შეეძლო. ვერც დამნაშავეს დამღას მოიშორებდა, გინდაც თხის რძეში განზანილიყო და გინდაც კაცის სისხლში. ასე იქნებოდა სულ, ან რა შეცვლიდა, რა გარდაქმნიდა, გინდაც ესწავლა, ახლა ნასწავლი დაკვრა საიქიოს თუ გამოადგებოდა. კაცი რასაც დათმობს, სამუდამოდ უნდა დათმოს, ხოლო რასაც აირჩევს, უნდა იმყოფინოს კიდეც. ისიც და ისიც არ გა-მოდის, არ შეიძლება. ისიც და ისიც კეთილი ბოროტებაა, ან ბოროტი სიკეთე, ნაძა-ლადევად შერწყმული, ნაძალადევად შეთითხნილი და ამიტომაც ამაზრზენი, უსისხლო და უნდილი, უნაკვერჩხლო ცეცხლი, რომელზედაც არც მწვადი იწვის და არც შამფუ-რი. მის ოჯახშიც ასეთი ცეცხლი ენთო და თინა ცამდე მართალი იყო, წყალს რომ ასხამდა, ფეხებით რომ ტკეპნიდა, რადგან ასეთ ცეცხლს ისევ უცეცხლობა სჯობდა. არ გაუვიდა თვალთმაქცობა, გაუგეს, მიუხვდნენ ეშმაკობას და სახეში მიაყარეს ქვიშა, ბაჯალლო ოქროდ რომ ასაღებდა. თინა რომ არ უყვარდა, იმიტომ კი არ იყო დამნაშა-ვე, არამედ იმიტომ, მოთმინების საშუალება რომ მისცა, ამდენი დრო რომ დააკარგვი-ნა, უაზროდ და უშედეგოდ. მაგრამ თვითონაც ჩაუვარდა კოვზი ნაცარში. თუ მან თი-ნას დრო დააკარგვინა, თინამ თავის მართლების საშუალება წაართვა. თუკი ოჯახი აღარ ექნებოდა, როგორღა ეთქვა შვილისთვის: თქვენი გულისთვის ვწვალობდი, თქვე-ნი გულისთვის ვითმენდი და თქვენი გულისთვის ვიყავი გაჩუმებულიო. კარგია, რომ ასე მოხდა, კარგია, რომ დროზე მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან მაინც მოხდებოდა. ყველამ ის უნდა აკეთოს, რაც შეუძლია. ქვისმთლელმა ქვა უნდა კოდოს, რადგან თა-ვიდანვე ქვის კოდვა უსწავლია, სხვა არაფერი იცის, ან თუ იცის, უნდა დაივიწყოს, რადგან ზედმეტი ცოდნა ხელს შეუშლის მხოლოდ, მკლავს დაუძაბუნებს, თვალს გა-უმტერებს, ათას რამეს დაჰპირდება, არაფერს კი არ მისცემს, რადგან ის ზედმეტი ცოდნაა, ზედმეტი კი ცოდნაც მავნებელია. ადამიანს იმდენი ცოდნა სჭირდება, რაც შთამომავლობით გადმოეცემა, როგორც სახლი, ან იარაღი, საწოლი თუ ვარცლი. ასე ფიქრობდა ფარნაოზი და მამა ახსენდებოდა, ხუთი

წლის წინათ გარდაცვლილი მამა ეცოდებოდა და ბავშვური მონატრებით, ბავშვური მოუთმენლობით უნდოდა, რამე, მისი ხელშენავლები ნივთი სჭეროდა ხელში. მაგრამ ახლა წამოდგომა უსინდისობა იქნებოდა, ამ წუთას ისე არავის სჭირდებოდა იგი, როგორც თინას. მას კიდევ შეეძლო ამ დღის გადატანა, გაჭიანურება, თინას კი - აღარ. თინას მოთმინება ამოწურულიყო, თინას მოთმინებაც, რომელსაც თითქოს არასოდეს არ უნდა ჰქონოდა დასასრული. მაგრამ რაც არ უნდა გაუგებარი და მოულოდნელი ყოფილიყო ფარნაოზისთვის ამ მოლოდინის დასასრული, უფლება არ ჰქონდა ხელი შეეშალა მისთვის, რაკი ამდენი ხნის დამარხულს, ბოლოს და ბოლოს, მაინც გამოეტანა გამბედაობის სისხლისფერი ყვავილი. თუმცა, ფარნაოზი იმასაც ხედავდა, როგორ უფერულდებოდა, როგორ დატაკდებოდა, როგორი მარტივი და ჩვეულებრივი ხდებოდა თინა ამ გამბედაობის შედეგად. ახლა მის წინ ჩვეულებრივი ქალი იდგა, ჩვეულებრივი უსიამოვნებებით მოთმინები-დან გამოსული, რომელსაც გაგონებაც არ უნდა, უფრო დიდი უსიამოვნებები რომ არ-სებობენ ამ ქვეყანაზე.

"ბავშვსაც შეაძულებს ჩემს თავსო" - გაიფიქრა ფარნაოზმა, მაგრამ მაინც არ წა-მომდგარა სკამიდან.

\* \* \*

იმ დღის მერე ხუთმა წელმა გაიარა. ახლა ფარნაოზი მამისეული სახლის ჭიშკ-რამდე მოდიოდა მხოლოდ, თითქოს იქ მთავრდებოდა ქვეყანა, და მაშინაც ფეხები უკან რჩებოდა, მეზობლების რცხვენოდა და ერთ სიკვდილს ათავებდა, სანამ პატარა უხეი-როს გამოუყვანდნენ, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო შვილის ნახვის სურვილი, ფარნა-ოზს არც შეეძლო და არც უნდოდა წინააღმდეგობა გაეწია მისთვის. ყელზე შებმული თოკივით ექაჩებოდა ეს სურვილი და ბოლო-ბოლო მაინც მოათრევდა ხოლმე ჭიშკრამ-დე, მორიდებულ გლახასავით, ძლივს რომ გაეხედა ხელის გაშვება და რაკი გაეხედა, უნდა მოეცადა კიდევ, სანამ პურს გამოუტანდნენ, რაც არ უნდა დამამცირებელი და აუტანელი ყოფილიყო ეს მოლოდინი, რადგან იმ პურის გარეშე ქუჩის ბოლომდეც ვე-ღარ მიაღწევდა, ისე დაეუძღურებინა შიმშილს. ფარნაოზიც იდგა და იცდიდა, დამახე-ბას ისევ დაცდა ერჩია, თუმცა დარწმუნებული იყო, მთელი უბანი უთვალთვალებდა საკუთარ ჭიშკართან გლახასავით ატუზულ კაცს, საკუთარი შვილის სათხოვნელად მოსულს. ეს იმდენად უჩვეულო, იმდენნაირი გრძნობის აღმძვრელი სანახაობა იყო, არავის გაემტყუნებოდა ფარდის უკან ყურყუტი. "რამდენიც უნდათ, იმდენი მიყურონო" - თავს იმშვიდებდა ფარნაოზი, რადგან მაინც ვერ გაბრუნდებოდა შვილის უნახავად, მართლაც ნაწყალობევი პურივით ძვირფასი რომ გამხდარიყო მისთვის, ძნელად შესა-ლევი, ყველანაირი კერძის შემცვლელი და მაგიერი, ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოპოვებული და ამიტომაც მოწიწებისა და თრთოლვის აღმძვრელი. ხომ შეიძლებოდა, მასზე ადრე სხვა გლახას ჩამოევლო, მწყალობელს კი აღარაფერი დარჩენოდა მისთ-ვის. "რომ იცოდეთ, როგორ მჭირდებოდა ძაღლიო" - ახსენდებოდა ჭიშკართან მომლო-დინე ფარნაოზს ცუგას მხსნელის სიტყვები და ახლა, ამდენი წლის მერე ესმოდა მა-თი აზრი, ესმოდა ქალამნებდაფლეთილი და ყელზე ქვაშებმული კაცისა, დაუფიქრებ-ლად, შეუზიზღებლად რომ ეშვებოდა ფეხსადგილის ორმოში.

ფარნაოზმა წინასწარ არასოდეს არ იცოდა, წამოჰყვებოდა თუ არა შვილი, რადგან, ადვილი შესაძლებელია, პატარა უხეიროს მობეზრებოდა ერთსა და იმავე კაცთან ერთ-სა და იმავე გზაზე

წინ და უკან ხეტიალი, გინდაც იმ კაცს მამამისი რქმეოდა. განა მამებს ამდენი დრო აქვთ შვილებთან სახეტიალოდ და სალაპარაკოდ? ისინი ხომ იძულებულნი იყვნენ, ასე მოქცეულიყვნენ, რადგან საერთო სახლი არ ჰქონდათ, სადაც შეეძლებოდათ ერთმანეთი არც კი შეემჩნიათ და მაინც ერთად ყოფილიყვნენ, ხმა არ გაეცათ ერთმანეთისთვის და მაინც უფრო მეტი ეთქვათ, ვიდრე ახლა, ამ იძულებითი ხეტიალის დროს. მათი შეხვედრები ტყუპებით ემსგავსებოდნენ ერთმანეთს, ერთფე-როვნების ღორმუცელა ფუნჯი იმ პატარა და განსხვავებული სივრცის გადაღებვასაც აპირებდა, ჯერ კიდევ რომ შეენარჩუნებინა მათთვის ბუნებას, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლოთ, სხვანაირად ვერც წარმოედგინათ და მაინც ერთად მიჰყვებოდნენ ქუჩას, შეთქმულებით შემკრთალნი და აღზნებულნი. თვითონაც გრძნობდნენ, რაღაცა რომ დაერღვიათ, ან რაღაცის დარღვევას რომ აპირებდნენ და ბოლომდე გაურკვეველი და-ნაშაულის შეგრძნება უარესად აახლოებდათ. დანაშაულს კი ნამდვილად სჩადიოდნენ, რადგან იმ რთული და ჯიუტი ორგანიზმიდან, რომელსაც ოჯახი ჰქვია, მაინცდამაინც მათი მამაშვილობის, უშუალოდ, პირდაპირად მათი დამაკავშირებელი ძარღვის გამო-ცალკეევას აპირებდნენ, რომელიც სინამდვილეში დამოუკიდებლად არც არსებობდა, ისიც რომელიღაც სხვა, მასზე უფრო ძველი ძარღვის გამონაზარდი, განტოტება და გაგრძელება იყო და ისიც სამუდამოდ ჩახლართული თავის მსგავსსა და მონათესავე ძარღვებში. "გავიაროთო?" - გაუბედავად ჩაეკითხებოდა ხოლმე ფარნაოზი შვილს და როცა პატარა უხეირო სიხარულისგან გაცისკროვნებული თვალებით ამოხედავდა, მხოლოდ მაშინ უმშვიდდებოდა გული, მხოლოდ მაშინ უქრებოდა გაუცხოვებისა და უუფ-ლებობის გრძნობა და უკვე თამამად მიჰყავდა შვილი თავის წარსულში. მამის წარ-სულში ბევრი რამე იყო საოცარი პატარა უხეიროსთვის. ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ადრე, ადრე კი არა, თითქმის გუშინ, ამ გაუვალი და აშშორებული ჭაობის ნაცვლად თვალუწვდენელი ზღვა ლივლივებდა, ზღვაზე ხომალდები მოცურავდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომელი შემოსასწრებდა ვანის ნავსადგურში. ზღვა ახლაც არსებობდა, მაგრამ ისე შორს დაეხია ქალაქიდან, ხანდახან თუ გაიეღვებდა მისი ფოლა-დისფერი ანარეკლი ქარისაგან გადაზნექილ ლერწმებს შორის; მთელი დღე უნდა გე-ტოპა გველებით სავსე ჭანჭრობებში, ისიც კარგი მეგზურის თანხლებით, ზღვამდე რომ მიგეღწია. მეთევზეთა უბანიც ისევ არსებობდა, ისევ მეთევზეთა უბანი ერქვა, მაგრამ ძველ ხელობას აღარავინ მისდევდა, ზღვისთვის ზურგი შეექციათ და ახლა ზემო ქალაქში დაწანწალებდნენ რაიმე შემთხვევითი სამუშაოს საძებნელად. ყოფილი მეთევზეების ცოლები და ქალიშვილები ბადეების ნაცვლად ლერწმის ჭილოფებსა და კალათებს წნავდნენ და თავიანთი ნახელავის გასაყიდად ისინიც თან მიჰყვებოდნენ ხოლმე კაცებს ზემო ქალაქში. მათი პატარა, ფიცრული სახლები უკვე სანახევროდ წყალში იდგა და მარილისა თუ ცეცხლის სასესხებლად ერთმანეთთან ნავებით მიდი-ოდნენ, ნავებითვე მიდიოდნენ ზემო ქალაქამდე, რადგან წყალი ღრმა იყო და სახიფათო. ბევრჯერ ატეხილა ამ ყველაზე განაპირა უბანში წიოკობა, დიდხანს უძებნიათ ჭა-ობის წყალში ჩავარდნილი ბავშვი თუ მოხუცი, მაგრამ ძებნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. თანდათან ხალხი ამასაც შეეჩვია. მათი რწმენით, მარად მობუყბუყე, ავად მზინავი ჭაობი, ქვესკნელიდან ამოშვებული ურჩხული იყო და თვითონვე ირჩევდა მსხვერპლს. ისევ ასე ჯობდა, ვიდრე ამ ურჩხულს ყველანი ერთბაშად გადაესანსლა. ყოფილი მეთევზე სადამოთი ისევ ძირგამომპალ ნავში ჩასხამდა ხოლმე თავის ცოლ-შვილს, უმთავრესად უკანვე რომ მოჰქონდა ახოხოლავებული კალათები და გადაგრავ-ნილი ჭილოფები, ნიჩბის ნაცვლად გრძელ ჭოკს დაიჭერდა, რომლითაც

ფაფასავით რბილსა და ფუყე ფსკერს აწვებოდა და ნავს შინისკენ მიაცურებდა. გეგონებოდათ, ქარონს მიცვალებულთა სულები გადაჰყავს სულეთშიო და ჭაობის ზედაპირზე არეკ-ლილ მთვარის შუქში მართლაც მიცვალებულებს ჰგავდნენ ნავში მსხდომნი, ისე გატ-რუნულიყვნენ, თითქოს შინ კი არა, სიკვდილის იდუმალსა და ნეტარ ქვეყანაში მი-ცურავდნენ.

ასეთივე ძნელი წარმოსადგენი იყო პატარა უხეიროსთვის, რომ ზღვის პირას ვაშ-ლის დიდი ბალი ხარობდა და ყველას, ვისაც კი მოესურვებოდა, შეეძლო იმ ბალში პი-რის ჩატკბარუნება, ოღონდ წკნელიც არ უნდა შეეტეხა არავის, თორემ დარიაჩანგი მოკვდებოდა და ბალიც გაქრებოდა, როგორც მოხდა კიდეც, რადგან ვიღაცას დაევიწყე-ბინა დარიაჩანგის დანაბარები, შთამომავლობით გადამავალი თაობიდან თაობაში, რო-გორც უკვდავების წამლის საიდუმლო. დარიაჩანგი კი ისეთი ლამაზი ყოფილა, ხალხი თურმე მის შუქზე პურსა ჭამდა.

მამის მონაყოლი სრულებითაც არ ჰგავდა იმ ზღაპრებს, სამი ქალი მორიგეობით რომ უყვებოდა. ის ზღაპრები თავიანთი სინაზითა და სიმსუბუქით არც იმ სამი ქა-ლისგან განსხვავდებოდნენ და არც ერთმანეთისაგან, ბოლო ყველას ერთნაირად კეთი-ლი ჰქონდა, რადგან ბავშვის დასაძინებლად იყვნენ გამიზნულნი და არა ცხოვრების სკივრში ჩასაჰყეტად. ხოლო მამის მონაყოლი ისე ააფორიაქებდა ხოლმე პატარა უხეი-როს, თითქოს ყველაფერი თვითონ გადახდომოდა თავს, თითქოს პირველად კი არ ის-მენდა, არამედ იხსენებდა, ცდილობდა გაეხსენებინა ოდესღაც უკვე განცდილი და გა-დატანილი. მამის ბავშვობისდროინდელი ქალაქი უფრო მომხიბვლელი და უფრო ახ-ლობელი იყო მისთვის. ეჭვიც არ ეპარებოდა, თვითონაც რომ ერბინა ამ ქალაქის ქუ-ჩებში, თვითონაც მოეწყვიტა ვაშლი დარიაჩანგის ბაღში, თვითონაც გასულიყო ახმაუ-რებულ ნავსადგურში უცხოური გემების სანახავად და, ცუგასთან ერთად, თვითონაც ეკოტრიალა გახურებულ სილაში. ეს ყველაფერი კი მაშინ მომხდარიყო, როცა ისა და მამამისი ერთი არსება იყვნენ და ყველაფერი საერთო ჰქონდათ, ერთი თვალით უცქე-რდნენ ქვეყანას და ერთი ყურით ესმოდათ მისი ხმები. ხანდახან ისეთი გრძნობა ჰქონ-და, მამა რომ გაჩუმებულიყო, თვითონ გააგრძელებდა ამბავს, ანდა, საკმარისია, თვა-ლები მაგრად დაეხუჭა, ზღვაცა და დარიაჩანგის ბალი, მოჩხუბარი თოლიაცა და სი-ლაში გაგორებული ცუგაც თავის ადგილს დაბრუნებოდა. ამიტომაც იყო, ალბათ, რომ "მომიყვეის" მაგივრად "კიდეც გამახსენეო",- ეუბნებოდა ხოლმე მამას.

- მეც რომ შენოდენა გავიზრდები, ჩვენი სახლიც ჭაობში იქნებაო - თქვა ერთხელ პატარა უხეირომ.

გადატყავებულ მუხლზე ფოთოლი დაეწებებინა; მუხლი კი მღვიმედან რომ ბრუნდე-ბოდნენ, მაშინ იტკინა, ხმელ ფესვს წამოჰკრა ფეხი და წაიქცა. "მოგვკლავენ ახლა ქა-ლებიო" - უთხრა ფარნაოზმა. პატარა უხეირო ცქვიტად წამოხტა, მამას გაუღიმა, მაგ-რამ ნატკენი მუხლიდან ხელის მოშორება მაინც გაუჭირდა. ფარნაოზმა თხმელის ბუჩქს ფოთოლი შეაწყვიტა და მუხლზე დაადო, ასე გეჭიროს, გაგიგრძელებსო. პატარა უხეიროს სიარული უჭირდა, რადგან იძულებული იყო, ხშირ-ხშირად შეეშველებინა ხელი ფოთლისთვის. მერე ფოთოლი შედედებულმა სისხლმა მიიწება და საერთოდ დაავიწყდა მისი არსებობა.

ფარნაოზი შეაკრთო და გააკვირვა შვილის ნათქვამმა: შენოდენა რომ გავხდები, ჩვენი სახლიც ჭაობში იქნებაო. პატარა უხეირო უფრო მეტს ხვდებოდა, ვიდრე მას ეგონა, ან მიზანშეწონილად მიაჩნდა. მან იცოდა, ბავშვის გონება მძაფრად რომ აღიქვამდა ყველაფერს, რასაც მიაწვდიდნენ, ხოლო რასაც ის პატარა უხეიროს აწვდიდა, საკმარისზე მეტი იყო ამ ჩვილი და სათუთი გონების აღსაგზნებად, გაღვივებული კო-ცონივით, მეტი და მეტი ფიჩხი რომ სჭირდებოდა, რათა ნაღვერდალი დაეყარა, მთელი ძალით აბრიალებულიყო და რაც შეიძლება შორს განეფანტა მის გარშემო დაეყურს-ლი წყვილიადი. ფარნაოზი ფიჩხს არ აკლებდა ამ კოცონს, მაგრამ მის საქმეში არ ერე-ოდა; დაე, იქით მიეშუქებინა თავისი ალი, საითაც მოეპრიანებოდა, უფრო სწორედ, დაე, თვითონვე გამოეტანა დასკვნები, თუკი საამისო უნარი უკვე შესწევდა. ფარნაო-ზიც ამან შეაკრთო სწორედ, არ ეგონა, ეს დღე ასე ადრე თუ დადგებოდა; შეაკრთო და გააკვირვა კიდეც, რადგან არაფერი იყო გასაკვირი და არაბუნებრივი პატარა უხეიროს ნათქვამში. ჭაობი ხომ მართლაც განუწყვეტლივ მოიწევდა ქალაქისკენ, აღარ ყაბულ-დებოდა ზღვის დანატოვარ მიწას და, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, ეს ფუტფუტა, დონდლო და მცოცავი უბედურება შეეჩერებინა. მალე მათი სახლი კი არა, მთელი ქა-ლაქი ჭაობის დორბლით დაიფარებოდა. ქალაქი უფრო პატარა იყო, ვიდრე ჭაობი, უფ-რო ძველიც, და აღარც იმდენი ძალა ჰქონდა, ამ ახალგაზრდა ურჩხულს შებრძოლე-ბოდა. ურჩხული საათობით იზრდებოდა, უკბილო პირიდან შხამს ანთხევდა, ნესტიანი ბულითა და ოხშივრით ცას აბნელებდა და გათოშილი, არაფრისმთქმელი თვალებით ამაბუნებდა, ალპობდა და ისრუტავდა მის ჭანჭრობებში ჩარჩენილ ადამიანს. პატარა უხეირო მართალი იყო. ის უკვე აზროვნებდა, ფიქრობდა, მაგრამ ეს ფიქრი, მის ჩასახ-ვამდე გაჩენილი, ათას გზაზე ნათრევი, ათას კედელზე ნახახუნები, ათასნაირად დამა-ლული და მიჩქმალული ფიქრი, ძნელი მოსავლელი და ძნელი ასატანიც იყო ამ კრი-ალა და სუფთა სულისთვის, ჯერ ჩიტსაც რომ არ დაედეგა ზედ ფეხი და ყვავილის ფურცელიც არ დასცემოდა. კიდეც არა უშავდა, როცა მამასთან იყო, მამის სიახლოვე ამ ფიქრს ოცნების იერს აძლევდა, სასიამოვნოსაც ხდიდა და საზეიმოდ განაწყობდა ხოლმე, მაგრამ როგორც კი მარტო რჩებოდა, ფიქრიც დაუნდობელი, ბრაზიანი და მკაცრი ხდებოდა, არც თავს ანებებდა და არც ახლოს უშვებდა, თითქოს მისი უსასაკო-ბა აღიზიანებდა, როგორც ობოლი შვილიშვილი ავადმყოფსა და სიბერისაგან უარესად დაუძლურებულ ბაბუას, რომელიც ამ თითისტოლა ბავშვის ანაბარა კი დარჩენილა, მაგრამ იმდენი კიდეც გაეგება, შვილიშვილს მისი მოვლა-პატრონობა რომ არ შეუძ-ლია, როგორც არ უნდა მოინდომოს, საამისოდ ჯერ პატარაა, არც მისი მოწოდებული წამალია სანდო და არც მისი მოხარშული ჭინჭარი. ამას პატარა უხეიროც გრძნობდა და რას არ იგონებდა, ოღონდ როგორმე გაეხანგრძლივებინა მამასთან ყოფნა, რაც შე-იძლება გვიან დაბრუნებულიყო შინ. არც ფარნაოზს ეთმობოდა შვილი, მაგრამ შინ დაბრუნების დრო უცებ ახლოვდებოდა. "ალბათ სამივენი ჭიშკართან დგანანო" - გაი-ფიქრებდა ფარნაოზი და მაშინვე თვალწინ დაუდგებოდა, გულხელდაკრეფილნი რო-გორ იდგნენ ჭიშკართან და როგორ ამშვიდებდნენ ერთმანეთს თინა, პოპინა და ქალუ-კა.

- წავიდეთ, ქალებს შეეშინდებათო - ამბობდა ფარნაოზი და პატარა უხეიროც აღარ უძალიანდებოდა, თუმცა გზადაგზა ერთსა და იმავეს გაიძახოდა: ხომ იციან, შენთან რომ ვარ, რიდასი უნდა შეეშინდეთო.

ფარნაოზი ქუჩის დასაწყისში ემშვიდობებოდა შვილს და ეს ყველაზე ძნელი წუთები იყო ორივესთვის. ორივეს ისეთი გრძნობა უჩნდებოდა, თითქოს ვერასოდეს ვეღარ შეხვდებოდნენ, თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდნენ, მაგრამ ერთმანეთს უმაღლავდნენ, იმას კი არ ამბობდნენ, რისი თქმაც უნდოდათ, არამედ იმას, რაც უფრო დააჩქარებდა მათ განშორებას, ორივესთვის ესოდენ მძიმესა და დამთრგუნველს. "აბა, მოკურ-ცხლე, ხომ გატყობ, ერთი სული გაქვს, როდის ჩაგორდები ლოგინშიო", "ხვალაც ამ თვისააო" და მრავალი ამგვარი სისულელეებით ემშვიდობებოდა ფარნაოზი შვილს, მე-რე კი იდგა და უყურებდა, როგორ მიუყვებოდა ქუჩას პატარა უხეირო და სევდიოთა და სიხარულით გული თანაბრად ევსებოდა, რადგან ეს პატარა არსებაც იმასვე განიცდიდა ახლა, რასაც თვითონ: იძულებითი განშორების სიმწარესა და მოსალოდნელი შეხვედრის სიხარულს. მარტო ამიტომ ღირდა ცხოვრება, ის პატარა უხეიროს სჭირდებოდა და ბედნიერი იყო; ეს ბედნიერება ცეცხლოვანი ტუჩებით იკოცნებოდა, სუნთქვას უკრავდა და სისხლის გემოს უტოვებდა პირში. შინ შესვლამდე პატარა უხეირო რამდენჯერმე მოხედავდა ხოლმე ქუჩის თავში გარინდულ მამას, თანდათან რომ უჩინარდებოდა საღამოს ბინდში, მაგრამ მაინც ნათლად ხედავდა მისი სახის ნაკვთებს. "ნუ ჩერდები, წადიო" - აუქნევდა ხელს ლანდი და ისიც ძლივს იკავებდა თავს, ისევ მის-კენ რომ არ გაქცეულიყო. პატარა უხეიროს თავისი საკუთარი ფიქრიც ჰქონდა, საი-დუმლო, ყველასაგან დამალული, მამისგანაც კი. ეს ფიქრი მაშინ გაჩნდა, როცა ფარნაოზმა მღვიმეში აიყვანა იგი და წოლისაგან გაჩენილი ღრმული აჩვენა. "მე წავართ-ვი მამაჩემს სახლიო" - გაიფიქრა პატარა უხეირომ და უცებ ისე შეეცოდა მამა, ბედად იქვე თხა რომ არ ყოფილიყო, თავს ვერ შეიკავებდა და ატირდებოდა. პატარა უხეირომ თხას დაუწყო თამაში, შეკავებული ტირილისაგან აცახცახებული სახე რომ დაემალა.

- აი, აქ ვცხოვრობ მე - უთხრა მამამ.

"ვიცი, აქ რომ ცხოვრობ, - ფიქრობდა ვითომ თხასთან თამაშით გართული პატარა უხეირო - ადრე კი იქ ცხოვრობდი, სადაც მე ვცხოვრობ ახლა. აქაც არ შეიძლება ჩვენი ერთად ცხოვრება, რადგან მე აქ მაშინ ვიცხოვრებ, როცა შენ სხვაგან გადასახლდებიო". ისე გამოდიოდა, თითქოს მამა შვილს ადგილს უთავისუფლებდა, თითქოს სახლი, სადაც ადრე ფარნაოზი, ახლა კი პატარა უხეირო ცხოვრობდა, ზღვაში მოტივ-ტივე ფიცარი იყო მხოლოდ და ეს ფიცარი ორივეს ერთად ვერ დაიმაგრებდა, ერთ-ერთს უნდა დაეთმო მეორისთვის, რათა ორივენი არ დაღუპულიყვნენ. თუ მართლა ასე იყო, მაშინ სწორედ იქცეოდა ფარნაოზი, შვილს რომ უთავისუფლებდა ადგილს. მაგრამ მართლა ასე იყო? მართლა შუა ზღვაში იყვნენ ორივენი და მართლა დამპალი ფიცარი იყო პაპისეული სახლი? რა თქმა უნდა, უჭირდა პატარა უხეიროს ამ ამბებში გარკვევა, მაგრამ როგორმე უნდა გაერთვა თავი, რადგან ეს მისი საკუთარი ფიქრიც, მის არსებაში აღმოცენებული, უწინაპრო, დაუწმინდავი და დაულაგებელი, იმ დიდი ფიქრის გამონაზარდი თუ გამონაყარი იყო, მამისაგან რომ მიეღო შთამომავლობით.

ცხოვრება აქ კი თავისი გზით მიდიოდა, სულ არ აინტერესებდა, შეამჩნევდა თუ არა პატარა უხეირო, აუღებდა თუ არა ალღოს და აუწყობდა თუ არა ფეხს. "მუცელმა მოცდა არ იცისო" - იტყოდა ხოლმე ყოველ დილას ქალუკა, ხილაბანდის ბოლოთი პირს აიკრავდა და ცომის ზელას შეუდგებოდა. პოპინა სახლსა ჰგვიდა, თინა კი ლო-გინებს ამზეურებდა და შინდის სახრით გამეტებით ბერტყავდა ფარდაგებს.



ერთ დღეს კი მოხდა ის, რასაც არავინ არ ელოდა, რამაც მთელი ქალაქი ერთხელ კიდევ ააფორიაქა, დააბნია და დააშინა.

ქალაქი ახალი ჩაძინებული იყო, გალავანში ორი კაცი რომ შემოვიდა, ორივე მე-ლოტი. თავები ისე უპრიალებდათ, თითქოს ოქროს თასები ახურავთო. ორივეს მოკლე ტუნიკი ეცვა, სანდლის თასმები ბარძაყებამდე დაეხვიათ. ისინი ძმები იყვნენ, ერთს შიში ერქვა, მეორეს - ელდა. ისე თამამად და თავისუფლად მოაბიჯებდნენ, თითქოს ამ ქალაქში დაბადებულან და გაზრდილანო. "სწორედ თუ მოვდივართო", - თქვა ელ-დამ. "მოვედით და ეგ არისო", - უპასუხა შიშმა. ძმებმა პირველივე ჭიშკარი დაუკითხა-ვად შეაღეს და ქობის განათებულ ფანჯარას მიადგნენ, "რაც გინდა ისა თქვი, და სხვის ფანჯარაში ყურებას მართლაც არაფერი ჯობიაო" - თქვა შიშმა. ძმებმა ფანჯა-რაში შეიხედეს. ოთახში ოთხნი იყვნენ, ერთი კაცი და სამი ქალი. კაცი ზურგით კე-დელს აჰკვროდა და უაზროდ იყურებოდა სივრცეში. ორი შაოსანი ქალი ტახტზე იჯ-და, ერთმანეთის გვერდით, ხელები კალთებში ჩაეწყოთ და თვალს არ აშორებდნენ მე-სამე ქალს. მესამეს ძველი, ბოლოებშემორღვეული პერანგი ეცვა, შიშველი, დასიებული ფეხები ფლოსტებში წაეყო და ოთახში წინ და უკან დადიოდა. ის ორსულად იყო და, ეტყობოდა, უფრო ახალგაზრდაც იმ ქალებთან შედარებით, მაგრამ მშობიარობის ტკივილებს ისე დაედრიჯა, ასი წლის დედაბერს დამგვანებოდა. პატარა ქალი იყო, ფეხმოკლე, მუცელი კი უსაშველოდ გაზრდოდა, გეგონებოდათ, მუცელი დაატარებს თავის ნებაზეო. მაგიდაზე ჭრაქი პარპალებდა და ოთახში მყოფთა დაუშნობელ, უც-ნაურად დაგრძელებულ ჩრდილებს დაუზოგავად ახეთქებდა ჭერსა და კედლებზე. სი-ნათლის მოუსვენარი ალი მხოლოდ სანახევროდ ანათებდა საგნებსა და ადამიანებს. ამიტომაც, საგნებიცა და ადამიანებიც თითქოს სინათლისგან დალაქავებულ ჭაობში იდგნენ. ძმებმა სარკმელზე მიაკაკუნეს და სირბილით გაშორდნენ იქაურობას. ის ფეხ-მძიმე ქალი ზიარა იყო, ორი შაოსანი, ერთმანეთის გვერდით რომ ჩამომჯდარიყო ტახ-ტზე, პოპინა და ქალუკა, კედელთან გარინდული კაცი კი - კუსა.

ზიარამ შუადამისას იმშობიარა, მასაც მკვდარი ბავშვი ეყოლა.

მეორე დღით ცუცამ მარჩენალი შვილი, რომლის მკლავზეც გაწვრთნილი კაჭკა-ჭივით დასკუპებულიყო, სარკმელში გაახედა და უთხრა: თუ ხედავ, რა ხდება შენს სა-მეფოშიო. ოყაჯადომ განსაკუთრებული ვერაფერი დაინახა. სასახლის ეზოში, თავლის გვერდით, ნეხვის ზვინი იდგა, სარეცხის თოკისთვის ძველი შუბი შეეყენებინათ, სახა-ბაზოდან კი ბოლი ამოდიოდა. "პურს აცხოვენო", გაიფიქრა ოყაჯადომ, მაგრამ ეზოსთ-ვის თვალი მაინც არ მოუშორებია, რადგან იცოდა, დედამისი ტყუილუბრალოდ არ მოიყვანდა აქ და არც ასე გამომცდელად მიაშტერდებოდა, აბა, ხვდება თუ არა რამეს ჩემი შვილიო, არა, ჩემი მარჩენალი შვილიო. ოყაჯადოს რაღაცა უნდა შეემჩნია, რაღა-ცას უნდა მიმხვდარიყო, ასე იყო ყოველთვის, რაც თავი ახსოვდა, და ასე იქნებოდა სულ. "მაინც როდემდეო", - გუნებაში ვიღაცას გაუბრაზდა ოყაჯადო და უცებ იგრძნო, როგორ მობეზრებოდა ყველაფერი; ან რა საჭირო იყო ეს უაზრო წვალება, რატომ უნ-და ემტვრია თავი იმის მისახვედრად, რასაც დედამისი უკვე მიხვედრილიყო. ეთქვა და გაეთავებინა, ისინი ხომ უკვე მარტონი იყვნენ, ორნი, დედა და შვილი, ხოლო ის მე-სამე, რომლის გულისთვისაც ოყაჯადო ასე თუ ისე იძულებული იყო ზედმეტად შეე-წუხებინა თავი, რახანია გამგზავრებულიყო საიქიოს, საიქიოს კი არა, სარკვეში შემძვ-რალიყო, მაინც თავისი გაეტანა, დამარხვის საშუალებაც არ მიეცა ქმრისთვის, თით-ქოს ქმარი რამეს

დააკლებდა, ღირსეულად ვერ უპატრონებდა. სამაგიეროდ მის მაგივრად ოყაჯადომ საგვარეულო აკლდამაში წყლით სავსე ტაშტი დაასვენა. აბა, რა ექნა, რაღაცა ხომ უნდა დაემარხათ? კამასგან კი მეტი არაფერი დარჩენილა. ოყაჯადოს არა-ფერი გახარებია ისე, როგორც კამას გაქრობა. ცხედარივით შუა დარბაზში დასვენებულ ტაშტს რომ ჩახედა, გული გაეზადრა, იგრძნო, ახლა იწყებოდა ნამდვილი, ყო-ველგვარი მოვალეობისაგან განტვირთული, განუსაზღვრელი და შეუზღუდავი მეფობა, რადგან იქაც, ცრემლივით მღვრიე წყალშიც, მისი სამეფო ჯიდა ლივლივებდა. ამიტომ-მაც იყო, მთელი წელი რომ ატირა და ავიშვიმა ხალხი, სასახლე კი ძაძებში გაახვე-ვინა და ისე ჩამოაბნელებინა, უჩირაღდნოდ ნაბიჯის გადადგმაც ჭირდა. მერე რამდენ-ჯერ გასცინებია თვითონვე იმ ჩამოაბნელებული და ჩახუთული სასახლის გახსენება-ზე, იმ თამაშობაზე, დედამისმა მის გასაწვალეზად რომ მოიგონა და კარგადაც აწვალეზდა, აწვალეზდა კი არა, ქანცი გასძვრებოდა ხოლმე, სანამ მიაგნებდა ჭრიჭინასავით გაუჩინარებულ ცუცას, საიდანლაც რომ ეძახდა ოთხზე დამდგარ ოყაჯადოს, ხმას წამოყვივი, შე სულელოო. ოყაჯადოც აბა რას შვრებოდა, სხვას რას უნდა წაჰყოლოდა, მაგრამ ხმა აბნევედა სწორედ, და როცა ეგონა, ესაა მივიძწყვდიე ჩემი მაწვალეზელიო, ახლა სულ სხვა მხრიდან ესმოდა ცუცას ქირქილი. დედამისს სიარული არ შეემლო, მაგრამ ხვლიკივით დახოხავდა. კამას გაქრობის შემდეგ სასახლეში ნანატრმა სიმშვი-დემ დაიბუდა, არც მომჩივრები აწუხებდნენ და არც მთხოვნელები, დრო თავზე საყრე-ლად ჰქონდათ სათათბიროდაც და სათამაშოდაც, და ვინ იცის, როდემდე გაგრძელდე-ბოდა ეს უზრუნველი სიამტკბილობა, დედამისს მაინცდამაინც დღეს რომ არ აეტეხა მისი გამჭრიახობის ერთხელ კიდევ შემოწმება. ოყაჯადო სარკმელთან იდგა და ნახევა-რი სახე უხურდა, დედის გამომცდელი მზერა უხურებდა სახის ნახევარს და გრძნობდა, როგორ მობეზრებოდა ყველაფერი, რასაც უკვე მიხვედრილიყო და რასაც აწი მიახვედ-რებდა დედა. იმასაც გრძნობდა ურმის კოფოსავით რომ გახვევებოდა მკლავი, რომელ-ზედაც დედამისი ჩამოსკუპებულყო. "მოვისრიალებ და ეგ იქნებაო", - გაიფიქრა ოყა-ჯადომ, მაგრამ როცა მოთმინებიდან გამოსულმა ცუცამ კაჭკაჭივით შეიფრთხიალა, თვითონაც დაინახა უცნაური არსება, რომელიც ბავშვსაცა ჰგავდა და უზარმაზარ ჩიტსაც. სასახლის ეზოში ჩამოვარდნილი, ვერაფრით ვეღარ ახერხებდა აფრენას, თუმ-ცა თავს არ იზოგავდა, გამწარებული დარბოდა წინ და უკან, ფრთებს აფართხუნებდა, თითქოს სწყდებოდა კიდევ მიწას, მაგრამ მაშინვე ძირს ენარცხებოდა და უშნოდ გა-ფარჩხული, მიწაზე წამოდეებული ფრთებით მიიხვეტავდა ეზოს. "არიქა, დავიჭიროთო" - უნდოდა ეყვირა ოყაჯადოს, მაგრამ ცუცამ დაასწრო და უთხრა: ეგ მართლა ჩიტი ნუ გგონია, შენი მეჯინიბის შვილიშვილი გახლავსო. ოყაჯადოს იმდენად დაუჯერებლად ეჩვენა დედის ნათქვამი, სიფრთხილის გრძნობა სრულებით გაუქრა და მთელი ტანით გადაიწია სარკმელში.

- რას შვრები, უბედურო! - იკვილა ცუცამ და ცოტა ხნის მერე დაამატა: თუმცა, კი გაქვს სამაგისოდ საქმეო.

დედის შეკვივლებამ ოყაჯადოც გამოაფხიზლა, ოყაჯადოც შეაშინა, დღემდე არარსე-ბული თვალი აუხილა და უცებ დაარწმუნა, მართლაც არაჩვეულებრივი ამბის მომსწ-რე რომ გამხდარიყო და რაღაცნაირი, დღემდე გაუთვალისწინებელი საფრთხე გამოსჩე-ნოდა. მეჯინიბის შვილიშვილი სასახლის ეზოს დაბზარულ ფილაქანზე მუხლებს იტყავებდა და მართლაც იყო რაღაცა შემაშფოთებელი და შემადრწუნებელი ამ ფრთებგამობმული ბავშვის უმწეო ფაფხურში, ხაფანგში

ფეხჩავარდნილი ნადირივით, მზად რომ იყო კბილებით გადაედრღნა საკუთარი ძვალიც, ოღონდ ხაფანგიდან თავი დაედწია.

- მთელი ქალაქი ასეა. აღარ უნდათ ჩვენთან ყოფნა! - დაიჩხავლა ცუცამ.

"აღარ უნდათ ჩვენთან ყოფნა, აღარ უნდათ ჩვენთან ყოფნა!" - გაიმეორა გუნებაში ოყაჯადომაც და სისხლი აუჩქროლდა, ბებერი და გაზანტებული სისხლი კი არა, ძვე-ლი, ამ სისხლის წინაპარი, ამ სისხლის მაჭარი, მართლა მაჭარივით რომ დაბობოქრობდა მის მარღვებში და მოსვენებას უკარგავდა, ადგილზე არ აჩერებდა, გამოფხიზ-ლებას არ აცლიდა, სულ რაღაცას ჰპირდებოდა და ბოლოს ქვაც ააღებინა ხელში სა-კუთარი მამის თავის გასაჩერქვად, რადგან რასაც ჰპირდებოდა, მამასისხლად ფასობდა. ოყაჯადომაც გაიღო მამის სისხლი, კი არ გაიღო, გადაჭრა, ქვით გადაჭრა, რადგან მი-სი ერთი ბოლო საჯინიბოს შუა ბოძზე იყო გამობმული და რამდენიც არ უნდა გაე-წია, მიზნისაკენ გადადგმული ფეხი ყოველთვის ჰაერში დარჩებოდა გაშვერილი, სისხ-ლის მოკლე თოკი უკანვე ექაჩებოდა. ასე წვალობდა ოყაჯადო, სანამ მარჩიელმა თვა-ლი არ აუხილა, მერე კი აღარც დაფიქრებულა, ხელიც არ აჰკანკალებია და ქვის ერ-თი დაკვრით ჭიაყელასავით გაწყვიტა სისხლის თოკი და გამარჯვების ყიჟინაც დასცა, როცა საჯინიბოს შუაბოძზე გამობმული და თავგაჩერქვილი მამამისი კლაკვნითა და ცახცახით დაფავდა სულს. მერე კი აღარ გასჭირვებია მიზნამდე მისვლა, დანაპირები მიიღო და იმდენ ხანს ეაღერსა, იმდენჯერ მოიოხა გული მისი ვნებიანი სხეულით, მობეზრდა კიდეც, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, ოყაჯადო ხელს რომ აიღებდა მასზე, დაუვიწყებდა ძველ სიამტკბილობას, ძველ თავგამოდებასა და ერთგუ-ლებას, მის ხელებში ჩამჭკნარსა და ჩაბერებულ მეუღლეს. არა, არც ასეთი უგუნური და უსამართლო იყო იგი, ერთადერთი, ნამდვილი და კანონიერი მეუღლისათვის სიბე-რეში ზურგი შეექცია. ის ხომ ამ ქალისათვის იყო გაჩენილი და ამ ქალთან ერთად ეწერა სიცოცხლეცა და სიკვდილიც. კამა დანამატი იყო მხოლოდ, მზითვი იყო მისი ნამდვილი ცოლისა და ამიტომაც გადნა, დაიღია და გაქრა კიდეც, მისი ნამდვილი ცოლი კი ღმერთქალივით მარადიული იყო და თუ ბერდებოდა, ამასაც ოყაჯადოს ხათრით აკეთებდა მხოლოდ, გული რომ არ დაეწყვიტა მისთვის, თავად ბებერი და და-უმღურებული, შურით არ აღვსილიყო მარად ახალგაზრდა ცოლის შემყურე. ამ ქალს მეფობა ერქვა, ტახტი, ჯიღა, სასახლე, ქვეყანა, პატივი, სახელი, სიმდიდრე, სიამაყე, მშვიდი სადილი და მშვიდი ძილი. მერე რაა, რომ ცოტა მობეზრებოდა კიდეც ოყაჯა-დოს ყოველდღილა ერთი და იგივე სახის დანახვა, რომელსაც ნაოჭებში ფერუმარილი ჩაკვდომოდა, წირპლიანი თვალების გახელა უჭირდა, მაგრამ მაინც ახელდა, რადგან თვალის დაპატარავებული ჭრილებიდან ერთხელ კიდეც გადმოფრქვია ოყაჯადოს თავ-ზე მარად ახალგაზრდა და მარად სანატრელი ბრწყინვალეა მეფური ბუნებისა. ამ დაპატარავებული ჭრილებიდან გადმოფრქვეული სხივები ამოძრავებდნენ ოყაჯადოს არსებას, როგორც ძაფები თოჯინას, და ორივენი გულიანად იცინოდნენ, როცა მეუღ-ლის თვალებიდან გადმოფრქვეულ სხივებზე აკონწიალებული ოყაჯადო ცხვირის ნაც-ვლად ქეჩოს იფხანდა, ანდა შუბლის ნაცვლად მუცელზე იდებდა ხელს. "ახხხლა თვა-აალი მაჩვეეეეეეე". - ძლივსლა ლაპარაკობდა სიცილისაგან დაოსებული ცოლი და ოყაჯადოც იცინოდა, იცინოდა, რადგან სულ სხვა მხარეს ექაჩებოდა მის ხელს მაჯა-ში ჩაფრენილი სხივი. ასე იქცევდნენ თავს, ამას ერქვა მეფურად თავის შექცევა, მაგ-რამ მოწყენაც იცოდნენ და მათი მოწყენაც მეფური იყო, მეფურად მომხიბვლელი და დიადი: მასთან როგორ მოვიდოდა მელორისა და მებატის ცეკვა-თამაში.

ოყაჯადო ზურ-გზე დაიწყობდა ხოლმე ხელებს და დაუყვებოდა სიჩუმისა და სიცარიელის ტალანებს, მისი ფლოსტების ხმა უფრო ჩუმსა და უკაცურს რომ ხდიდა, რადგან ეს ხმაც მათი ნაწილი იყო, მათი სიმტკიცის გუშაგი. მიდიოდა და გული სიამაყით ევსებოდა, საყი-დელზე პირველად გაგზავნილი ბავშვივით, სასიამოვნოდ რომ უღიტინებს კისერში მშობლის შეფარული მზერა და მღელვარება: რამე არ შეემთხვას, რამე არ დაუშავდეს ჩემს პატარასო. ოყაჯადო კი მთელი ქვეყნის მზერას გრძნობდა, ასევე მღელვარესა და შემფოთებულს, ჩაფიქრებული და მარტო მოსეირნე მეფის ხილვით. ქვეყანას სული მისდიოდა, მაგრამ მაინც ვერ ჩასწვდომოდა მეფის საფიქრალს. ოყაჯადო კი უარესად იჭმუხნიდა წარბებს, უარესად ანელებდა ნაბიჯს და გულში ზეიმობდა: ოპროწუწუნ, ვერ მოგართვით, აბა გამოიცანით, თუ კარგი ბიჭები ხართო. გამოსაცნობი კი არაფე-რი იყო, მარტო მოსეირნე კაცს მეფის გვირგვინი ედგა თავზე და ესეც საკმარისი იყო, შურითა და მოწიწებით შეეხედა მისთვის ყველას. ახლა კი, ვილაც მეჯინიბის ტილი-ან შვილიშვილს აღარ მოსწონდა აქაურობა, აღარ უნდოდა პირდაღებულს ეცქირა მეფისთვის. კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, აბა, რილასთვის დასეირნობდა ამ ტალანებში, რილასთვის ითმენდა ამ უსაშველო სევდასა და მოწყენილობას, თუკი მაყურებელიც აღარ ეყოლებოდა, თუკი ყველანი ერთბაშად დაჰკრავდნენ ფეხს და გაფრინდებოდნენ. "სად მამაჩემთან მიფრინავენო" - ფიქრობდა ოყაჯადო და ძველი, უკანალივით ტახტზე გადაცვეთილი გუმანითა გრძნობდა, ტახტის ყველაზე ვერაგ მტერთან ჰქონდა საქმე. ტყუილუბრალოდ არც დედამისი აწრიალდებოდა ასე. არც გულხელდაკრეფილი დახვ-დებოდა ცუცა ამ ახალ მტერს, მაგრამ მასაც მართებდა ჩაფიქრება, რაც შეიძლება ღრმად უნდა ჩაფიქრებულიყო ისიც. შეთქმულება, ღალატი, ამბოხება, შხამი და ხან-ჯალი - ტახტის ძველისძველი მტრები იყვნენ, იმდენად ძველი, მტრობა აღარც ეთქმო-დათ: ისე გასცნობოდნენ და გაშინაურებოდნენ ერთმანეთს, უერთმანეთობა ვეღარც კი წარმოედგინათ. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ერთმანეთს სჭირდებოდნენ კიდევ. ტახტმა ყოველთვის იცოდა, სად იყვნენ ისინი, რას აპირებდნენ, როდის იყო მოსა-ლოდნელი მათი გამოჩენა და მართლაც უღირსი უნდა ყოფილიყო ტახტობისა, თუკი უდროო დროს ჩამოეყვინებოდა და მისი გადატრიალების ნებას მისცემდათ. მათი ურ-თიერთობაც ძირითადად ამით ამოიწურებოდა: ტახტს არ უნდა დავიწყნოდა მათი არ-სებობა და ყოველთვის ფხიზლად უნდა ყოფილიყო, მათ კი განუწყვეტლივ უნდა ეტ-რიალათ ტახტის გარშემო და ხელსაყრელი შემთხვევისათვის დაეცადათ. ესეც ერთგვა-რი თამაშობა იყო, მეფური თამაშობა, რაც აეშმაკებდა და სიფხიზლის გრძნობას უღ-ვიძებდა ერთსაც და მეორესაც, ტახტსაც და ტახტობის მსურველსაც. მეჯინიბის შვი-ლიშვილი კი სხვა რაღაცა იყო, ყოვლად წარმოუდგენელი და ამიტომაც გაუთვალის-წინებელი შემთხვევა, სხვა ქვეყნიდან შემოხეტებული თუ შემოფრენილი ვირჩიტა. "ეგ-რე არ გამოვა, მმაოო" - უკვე შესდგომოდა ოყაჯადო ფიქრს. მართლაც, რა გამოდიოდა, ხალხს რომ ფრენა ესწავლა, მერე ან ტახტს რაღა ფასი ექნებოდა, ანდა ტახტზე მჯდომარეს. აეშვირა თავი ცისთვის და იქამდე ეპრუწუნა, სანამ არ მოსწყინდებოდა. ვილა გაუგონებდა და ვილა ჩაუფრინდებოდა კალთაში. არა, ოყაჯადოს იქამდე უნდა ელონა რამე, სანამ ხალხი ფრენას ისწავლიდა. "ხომ არ უნდა გადამიყოლონ ამ ოხერ-მა მეჯინიბეებმაო" - გაცეცხლდა უცებ. რა ჰქონდა ოყაჯადოს ცინგლიანი მეჯინიბის ნათესლარის დასაწყენი, ვითომ რატომ არ უნდა მოსწონებოდა აქაურობა, რა ენახა უკეთესი? არაფერი. ბაყაყივით წუმპეში გაჩენილიყო და წუმპეში დატყლაპუნობდა ახ-ლაც. კარგად არც ჰქონდა ფიქრი დამთავრებული, თვითონაც რომ ეცა აშმორებული წუმპის სუნი. ისე გაუკვირდა, თითქოს

ეს სუნი ფიქრს ამოჰყოლოდა. ოყაჯადომ ტუჩე-ბი აიმრიზა და დარბაზი მოათვალიერა. კედლები ატკეცილიყო, გამხმარი, დაფხვნილი და მტვრადქცეული საღებავი ბლუჯა-ბლუჯა ეყარა იატაკზე, ფილაქანი ამოცვენილიყო, ღრმულებში აქა-იქ წყალიც ჩამდგარიყო, და ოყაჯადომ უნებურად მაღლა აიხედა. დაბ-ზარულ ჭერზე თავდაყირა ეკიდნენ ღამურები. იატაკამდე ჩამოზრდილი აბლაბუდა ქა-ჯის ნაწნავით ირხეოდა. გულითაც რომ მოენდომებინა, ვერც ერთი მისანი ვედარ ამოიცნობდა, რა ეხატა ადრე ამ კედლებზე. ობმოკიდებული ლაქები ქვესკნელიდან ამოშვებული ურჩხულებით შესეოდნენ, გადაემოვათ, გადაეჭიმათ, გასისინებულებიყვნენ და ახლა საღათას ძილით ეძინათ ადამიანთა და ცხოველთა ნარჩენებში. ოყაჯადოს გაეცინა, რადგან ერთ კედელზე ტახის უკანა ტანს ადამიანის ცალი ფეხი მის-დევდა მხოლოდ.

- რა გაცინებს, ვიღუპებით! - დაიხზავლა ცუცამ, აქამდე ჩუმად რომ გასუსულიყო შვილის მკლავზე და ფიქრს აცლიდა.

"რას დამსგავსებია აქაურობაო" - გაიფიქრა ოყაჯადომ და ფანჯრის დირეზე სიაგვა-ცის დროშასავით აფრიალებულ ძაძის ნაკუწს წაეტანა, მაგრამ ვერ შესწვდა. ეს პატა-რა ნაკუწილა შერჩენოდა ლურსმანს იმ ერთწლიანი გლოვის სამახსოვროდ, ოყაჯადომ ცოლის პატივსაცემად რომ გამოაცხადა. იმის მერე ასე ფრიალებდა ალბათ, ნიავის ყოველ წამოქროლვაზე, მაგრამ ოყაჯადომ ისიც ახლა შეამჩნია პირველად. ძაძის ნაკუწმა კამა გაახსენა, კამამ კი - სარკე. საუკუნე გასულიყო, რაც სარკეში არ ჩაეხედა. სასახლის დათვალიერებამ გუნება დაუმძიმა და დააფრთხო კიდევაც, იქნებ მეც აღარა ვარ და ჩემს მაგივრად სხვა დააბოტებს ამ ტალანებშიო. ტანმა სარკისაკენ წაიყვანა, ტანს ახსოვდა სარკის ადგილსამყოფელი, თორემ ოყაჯადო ალბათ ვერასოდეს მიაკვ-ლევდა, ვერასოდეს მიხვდებოდა, რომ ეს ნაცრისფერი თუ ნაცარწყალი საგანი სარ-კე იქნებოდა. სარკეს გოჯის სისქე მტვერი დასდებოდა, უმეთვალყუროდ გაპარულ დროს მტვერზე დაკლაკნილი ნაოჭის მსგავსი ღარები გაეჩინა, თითქოს უხსენებელთა ჯოგი გადახობებულაო ზედ. ოყაჯადომ იდაყვით გადაწმინდა სარკის ზედაპირი და ისე ჩააშტერდა, თითქოს ჭაში იყურებოდა. სარკის უსასრულო წიაღიდან თანდათან ამო-ცოცდა და გამოიკვეთა თმაგაჩეჩილი, შიშისა თუ უჰაერობისგან თვალმდაყვლეპილი, ჩაწვირული და ჩაბინძურებული, მომწვარული და მორღვეული სახე, რაღაც უცნაური არსებისა, რომელიც ერთდროულად საშიშიც იყო და საცოდავიც, სასაცილოც და ამაზრზენიც, მრისხანეცა და ბეჩავიც. მობოშებული პირიდან ტიტველი ღრძილები მო-უჩანდა, ცხვირზე ცინგლი შეხმობოდა, თვალებს კი მრისხანედ აბრიალებდა, თითქოს ბრაზობდა, მისი შეწუხება რომ გაეხედათ, სარკის ფსკერიდან რომ გამოეხმო ვიდაცას. "ეს რაღა უბედურებააო" - გაიფიქრა ოყაჯადომ და გაშლილი ხელისგული უნებურად სარკეს დააფარა, თითქოს შეეძლო, უკანვე ჩაებრუნებინა ეს უცნაური ურჩხული. "აი, ვინ შეჭამა კამაო" - უნდოდა ეყვირა ოყაჯადოს, მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი, იმ ურჩხულსაც აქირქილებული ცუცა ეჯდა მკლავზე. მწარედ გაეღიმა, მწარედ და ღვარძლიანად. ნაცნობმა ქირქილმა გონება გაუნათა, ერთხელ კიდევ მიახვედრა მისახ-ვედრელი და სწორედ ის დაანახვა, რაც ახლა ყველაზე ძალიან სჭირდებოდა, რაც ხელს ერთიორად დაუმძიმებდა და დაუგრძელებდა კიდევ. "აი, თურმე როგორს მხედა-ვენო" - გაბრაზდა, ძალიან გაბრაზდა ოყაჯადო, თითქოს საკუთარ გამოსახულებას კი არ უყურებდა სარკეში, არამედ ფეხსადგილის კედელზე მიჯღაბნილ უხამსობას, რომ-ლის ქვეშაც მისი სახელი მიეწერა ვიდაცას. ახლა აღარც ის იყო ძნელი მისახვედრი, რატომ ცდილობდა ტილიანი მეჯინიბის შვილიშვილი აქედან

გადახვეწას, რატომ იტყავებდა ცხვირ-პირს სასახლიდან გამოხვეტილ ნაგავში, ქათმის ბუმბულითა და ძვე-ლი ძონძებისგან შეკოწიწებული ფრთებით.

- ბებიაჩემისაგან გამიგონია, ქათამი რომ ღობეს შეაფრინდება, დაკარგულად ჩათვა-ლეო - თქვა ცუცამ.

- არ უნდა შეფრინდეს ღობეზე ქათამი! - თქვა ოყაჯადომ და თვითონვე ესიამოვნა, ასე იოლად რომ გამოიტანა დასკვნა დედის ნათქვამიდან.

- მართალი ხარ, მართალი ხარ, შენ დაურჩი დედაშენსაო - ტაში შემოჰკრა ცუცამ და სიხარულისგან ისე შეიფრთხილა, ოყაჯადოს ელდა ეცა, ამანაც თუ ფრენა და-მიწყო, კარგად ყოფილა ჩემი საქმეო.

ოყაჯადოს თვალის ახლოდა და სმენაც გახსნოდა, ფრთების ტყლაშუნი მთელ სა-სახლეს ისე აზანზარებდა, თითქოს მისი ატაცებაც გადაუწყვეტიაო. ოყაჯადოს, რა თქმა უნდა, ერთ წუთში შეეძლო გაესრისა ეს თავხედი ბავშვი, მაგრამ ტახტთან ერ-თად მიღებული გამოცდილებით იცოდა, მსხვერპლი მსხვერპლს მოითხოვდა, ხოლო სისხლი, ათს თუ აშინებდა, ერთს ჩხუბის ხასიათზე აყენებდა და ახლა ის ხდებოდა სადევნელი და ასალაგმი. არა, ამ საქმეს უსისხლოდაც მოევლებოდა. განა ქათამი ღო-ბეს რომ შეაფრინდება, აუცილებლად უნდა დაკლა? იქნებ ის ქათამი კვერცხის მდებე-ლია? კი არ უნდა დაკლა, ფრთები უნდა შეაჭრა, ფრთები უნდა დაუმოკლო და მერე თავის ნებაზე გაუშვა, რამდენიც უნდა იკაკანოს, კვერცხი რომ შეაწუხებს, მაინც ღო-ბეს აქეთ ჩაცუცქდება.

მოსალოდნელმა საფრთხემ უცებ გამოაფხიზლა და დააბრძენა ოყაჯადო. აქამდე სხვა იყო, აქამდე არც გამოსაფხიზლებლად ჰქონდა საქმე და არც დასაბრძენებლად, ის კი არა, მოსწონდა კიდევ, ერთსა და იმავეს სამჯერ რომ უმეორებდა დედამისი. აბა, რა ეგონა, აბა, როგორ უნდოდა, განა ასე ადვილია მეფურ გონებაში შეღწევა? დედა იმიტომაცა დედა, შვილის მაგივრადაც რომ იფიქროს. არა, დედაზე არაფერი ჰქონდა სა-საყვედურო, ცუცა ყოჩალი ქალი იყო და საფრთხესაც დროულად უღებდა ალლოს. დღესაც ხომ ცუცამ მიიყვანა ფანჯარასთან, კიდევ კარგი, რომ მიიყვანა, თვითონ აზ-რადაც არ მოუვიდოდა ფანჯარაში გახედვა, ისე ეზარებოდა და ისე მობეზრებოდა ყვე-ლაფერი, მაგრამ ვერ მოგართვით, ეს სულ სხვა სიზარმაცე და მობეზრებაა, მისი ერ-თადერთი და მარადიული მეუღლის დასანახად გამიზნული, მას რომ ეთქვა, თუნდაც გუნებაში, დაიღალა ჩემი კაციო. ქათმებს კი მართალი ეგონათ, ღობეებს აფრინდე-ბოდნენ, ეგაა გვეშველაო, და გაწილული ბუმბულით უბინძურებდნენ ქვეყანას, სასახ-ლეს საქათმისათვის დაემსგავსებინათ, აქაც შემოედწია ქათმის წილსა და ბუმბულს. მაგრამ ოყაჯადო რისი ოყაჯადო იქნებოდა, ქათმებსაც თუ ვერ მოუვლიდა; ან რა დი-დი ამბავი უნდოდა ქათმების მოვლას, საკმარისი იყო დაეჭირა, თავშეკცევით ამოედო ილიაში და საკუთარი ხელით გამოეპუტა მექათმის უყურადღებობით დაგრძელებული ფრთა, ქათმობას რომ ავიწყებდა, ფრენის იშტაზე რომ მოჰყავდა და მიმინობას ანდო-მებდა. "რა კარგად გამახსენა დედაჩემმა ქათამიო" - გაიფიქრა ოყაჯადომ და მტკიცედ გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ შესდგომოდა საქმეს. უპირველეს ყოვლისა, რალა თქმა უნ-და, მეჯინების შვილიშვილი დაისჯებოდა.

მეჯინიბის შვილიშვილი პირველობის უფლებას ნამდვილად იმსახურებდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეფის თვალწინ სწავლობდა ფრენას, მეორეც ერთი, ახლოს იყო, გალავანში, და დიდი დევნა არ სჭირდებოდა. გარდა ამისა, სხვებამდეც ის მიიყვანდა, ის გაუკვლევდა გზას. ოყაჯადოს ბევრი აღარ უფიქრია, მაშინვე ბრძანა, სასახლის მთავარ ეზოში ოთხი პალო ჩაესოთ, ზედ მეჯინიბის შვილიშვილი თავის ფრთებიანად გაეჭიმათ და იქამდე ეცემათ წყალში დარბილებული შოლტებით, სანამ არ გაახსენდე-ბოდა, ჩიტი კი არა, მეჯინიბის ნათესლარი რომ იყო, ფუნაში გამოჩეკილი წიწილა.

შოლტების წივილი და ბავშვების ღრიალი მდუღარე კუბრივით გადაესხა ქალაქს. ქალაქი უცებ გაისუსა, სმენად იქცა. იქნებ მომეყურაო, მაგრამ სასახლის გალავანს იქით მოქნეულ შოლტებს გალავანს აქეთ გადმოჰქონდა აღრიალებული ბავშვის დაფ-ლეთილი ხორცი და სისხლი. სისხლისა და ხორცის ნაკუწები ყველას მიეშხეფა სახე-ზე. ხოლო როცა გალავანმა დაკუწული ფრთებიც ამოაფრქვია, როგორც ჩახურებული თონე ნავლსა და ფერფლს ამოაფრქვევს ხოლმე, ყველანი მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე. სასახლე აფრთხილებდათ, ჯერ შორიდან ემუქრებოდათ, მაგრამ თუ დროზე არ მოეგე-ბოდნენ გონს, არც შოლტებს გაუჭირდებოდათ გალავანზე გადმოსვლა. ყველამ თავის შვილს დაუწყო ძებნა, ყველამ რატომღაც თავისი შვილი წარმოიდგინა შოლტების ქვეშ გაწოლილი. იმ ღამეს ბავშვების მეტს არავის სძინებია ვანში.

"გული ცუდს მე-უზნება, დედაკაცო" - ოხრავდნენ კაცები და აღარც დედაკაცებს ჰქონდათ მათი და-სამშვიდებელი სიტყვა. მარტო ბავშვებს არ ჩაუგდიათ აინუნში სასახლის მუქარა. დი-ლით ქალაქი ფრთოსანი ბავშვებით გაივსო. რიღასგან აღარ აკოწიწებდნენ ფრთებს, სკვირებიდან სულშებრილ ალივით ქრებოდა კაბები და ხილაბანდები, ცარიელდე-ბოდა ბოღჩები, რომლებშიაც თვეობით გროვდებოდა საბალიშედ გადარჩეული ბუმბუ-ლი. ისევ აწრიალდა ძაძის ნაკუწი სასახლის ფანჯრის დირეზე. ბავშვები ფრთების შხუილითა და ყიჟინით დარბოდნენ ქუჩებში, თითქოს ყიჟინა ძალას შემატებდათ და მათ მსუბუქ სხეულებს მართლა აატივტივებდა ჰაერში. ვინ უსმენდა უფროსების ძა-ხილს, ხვეწნასა და გაფრთხილებას; გალახული თანატოლის ღრიალს თითქოს უარე-სად აღეგზნო და გაეთამამებინა ისინი. აღარც თამაში ჰგავდა თამაშს, თამაშზე მეტი იყო, გამომწვევი, გამაღიზიანებელი და ამიტომაც აღარც უფროსებს გაჰკვირვებიათ, მოულოდნელად, ყველა კუთხე-კუნჭულიდან ოყაჯადოს ჯარისკაცები რომ გამოცვივდ-ნენ უცებ და აწივლებული შოლტებით დაერივნენ ბავშვებს. შოლტის წივილი ბავშვ-ვის წივილმა დააგრძელა და ეს სისხლის გამყინავი ხმა მთელ ქალაქს შემოეხვია კი-სერზე. მაშინ კი გადაეფარნენ უფროსები თავიანთ შვილებს. "გვაცალეთ, ჩვენ თვითონ დავსჯითო", ივედრებოდნენ შვილების ცოდვით ნაღველჩაქცეულნი, რადგან ბო-ლომდე არც თვითონ იყვნენ დარწმუნებულნი ბავშვების უდანაშაულობაში. მაგრამ ოყაჯადოს ჯარისკაცების გაჩერება აღარაფერს შეეძლო. ტკივილისგან წელმოწყვეტი-ლი ბავშვები ერთმანეთზე მიხობავდნენ, კედლის ბზარებში მიძვრებოდნენ, ქვების ქვეშ იმალებოდნენ, მაგრამ იქაც სწვდებოდათ შოლტის აწივლებული, ასისინებული ენა და კიდევ ერთ სისხლიანსა და ფართო ზოლს ატოვებდათ სამოსშემოფლეთილ სხეულზე. ჰაერი ჩაიხუთა, ოფლითა და სისხლით გაიზინთა, ბუმბული ძლივსღა ეშვებოდა მიწა-ზე.

ღამემ ასე თუ ისე დაუბრუნა ქალაქს ჩვეულებრივი იერი. ცოტა უფრო გვიან, მაგ-რამ მაინც აპარპალდნენ სინათლის მკრთალი ალები, გაუბედავად, მორიდებულად, თითქოს მათი

გაშოლტვაც შეეძლო ვინმეს. რომელიღაც სახლის სახურავზე კატა დე-დამკვდარი ბავშვივით ტიროდა; შუა ქუჩაში ძაღლი ჩაცუცქულიყო და მთვარეს უყეფ-და. ვიღაცამ ქვა ესროლა და შეუკურთხა. კუდამოძუებული, აწკაწკავებული ძაღლი ყორეზე გადმომდგარ ლელვების ჩრდილში შეიმალა. მერე ცაც გამოჩნდა, რადგან უცებ ვარსკვლავებით გაივსო, ხოლო მიწაზე, დამის სიგრილისაგან ბუსუსაშლილი, მუქი ლურჯი ფერი გადაეკრა ყველაფერს. წყვილიადმა სულიერივით ამოიფშვინა. სახლები-დან კი ჩამიჩუმიც არ ისმოდა, თითქოს სახადი მოსდებიათო.

ქალაქზე ისევ ჩამოიარეს ტყუპმა ძმებმა, ორივენი კარგ გუნებაზე იყვნენ და ხმა-მაღლა მოლაპარაკობდნენ. "როგორც ვატყობ, კარგა ხანს ჩავრჩებით ამ ქალაქშიო" - თქვა ელდამ. "სულ ერთი არ არის, სადაც ვიქნებითო" - უპასუხა შიშმა. ორივემ გაი-ცინა, კი არ გაიცინა, გადაიგრუხუნა და ქალაქიც, შეჩიჩხინებულ ლოკოკინასავით, უარესად შეიყუჟა ნიჟარაში.

ქალაქი საგონებელში ჩავარდა, ვერ ხვდებოდა, რა დაეშავებინა, მაგრამ ვერც უსია-მო შეგრძნება მოემორებინა, თვითონაც რომ არ იცოდა, რა დაერქმია, საიდან გამომ-ტყვრალიყო, რატომ არ ანებებდა თავს, რატომ ავალდებულებდა რაღაცის გახსენებას, გაჭირვეულებული მთვრალივით. ხალხს რაღაცა დავიწყებოდა, ურომლისოდაც არ ჰქონდა შინიდან გამოსვლის უფლება. ამას უკვე გრძნობდა, ხვდებოდა, მაგრამ მისი გაჯიუტებული მახსოვრობა ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან, კარს არ უღებდა, ბრაზია-ნი ცოლივით, ღვინის სმას გადაყოლილი ქმრის დასჯა რომ გადაუწყვეტია. ის კი სა-კუთარი სახლის წინ იდგა და ვერ მიმხვდარიყო, რა დაეშავებინა, რატომ არ უღებდ-ნენ კარს, თუ ეს მართლა მისი სახლი იყო. უკან გამობრუნების თავი აღარ ჰქონდა, ფეხზე ძლივს იდგა, ისე ტრიალებდა ქვეყანა, საკმარისია, სახლის კედელს მოშორებო-და, ვეღარ მოაგნებდა. გული კი უგრძნობდა, მთვრალი კაცის უტყუარი ალღო კარნა-ხობდა, სწორედ მოსულიყო, მაგრამ სახლში გამეფებული სამარისებური დუმილი და ეს ოხერი სიბნელე მაინც უფუტუფუტებდა ეჭვის ჭიას. კარი ოდნავ მაინც რომ გამოე-ლოთ მისთვის, სულ ოდნავ, იმდენად, რომ ოჯახის სუნს მაინც შეძლებოდა გამომრო-მა, ყველაფერი გაირკვეოდა, ნაცნობი სუნი ცნობიერებას დაუბრუნებდა, ერთგული ძაღლივით შემოურბენდა გარშემო, ხელებსა და სახეს აულოკავდა და მაშინ სხვებიც იცნობდნენ, რადგან მასაც მათი სუნი ექნებოდა.

ხალხი თვალს გულში იბრუნებდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სასაფლაოზე მოსულიყო, მიცვალებული კი შინ დარჩენოდა, ახლა ცარიელ საფლავს ჩასცქეროდა და ვერ მიმხვდარიყო, რატომ მოსულიყო აქ, რა უნდოდა ამ ცარიელ საფლავთან. თვალს კი იბრუნებდა გულში, მაგრამ იქაც არ იყო არაფერი. თავს ძალას ატანდა, უთავბოლოდ იხსენებდა ყველაფერს, რისი გახსენებაც შეეძლო, იქნებ, შემთხვევით, ის მთავარიც გახსენებოდა, უკან რომ ექაჩებოდა, წარსულისაკენ, როგორც ერთგული ძაღ-ლი უფსკრულის პირამდე მისულ ბრმას. არც ისე ადვილი აღმოჩნდა წარსულში შებ-რუნება; მით უფრო, რომ აქამდე უკან მოუხედავად მოსულიყო. ან რას იფიქრებდა, უკანმოსაბრუნებლად თუ გაუხდებოდა საქმე, თორემ რამე ნიშანს აიღებდა. თავის დროზე, მას გასავლელი გზა აინტერესებდა და არა გამოვლილი. გამოვლილი მკვდრებს ეკუთვნოდა, მკვდრების ქვეყანას ემატებოდა. გასავლელი კი მარტო მისი იყო და სანამ თვითონაც იქნებოდა, ხელი არავის მიუწვდებოდა; მერე კი... მერე ქვა ქვაზეც ნუ იქნებოდა თუნდაც. მაგრამ მთლად ასე არ ყოფილა, უკანმოუხედავად წინ ვეღარ წავიდოდა, ერთ ადგილას უნდა ეტკეპნა მიწა, ეფხანა ქეჩო და ეწყევლა თავბედი, რაკი დროზე არ დაეჭირა საამისო



თადარიგი. რაღა მაინცდამაინც ჩვენს ქალაქში უნდა მოხდეს ყველაფერი უბედურებაო, წუწუნებდა და ადგილზე ბორძიკობდა, როგორც ცხენი ბოგირთან, რომლის ქვეშაც საფრთხე ეგულება და არად აგდებს პატრონის მათრახსა და გინებას. ის ახლა, ერთდროულად, ცხენიც იყო და მხედარიც, სიბრაზის-გან გონებადახშული მხედარი და სიფრთხილისგან დაბრძენებული ცხენი. რომელი აჯობებდა, რომელი გაიტანდა თავისას? მხედარს უკან დაბრუნებისა რცხვენოდა, რო-გორ ეთქვა, ბოგირზე გადასვლისა შემეშინდაო, ცხენი კი უმაღლესად ადგილზე მოკვდებოდა, ვიდრე თავსაც და პატრონსაც ხიფათში ჩააგდებდა. "ჭიტაო", - ეძახდა ბოგირის ქვეშ შემალული ხიფათი ცხენს და ისიც ხვიხვინებდა, კისერს იბრუნებდა, ყვითელ კბი-ლებს აკრეჭდა, რადგან სხვა ენა არ იცოდა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, პატრონიც დაეჭვებინა, დაეფიქრებინა და დაეფრთხო კიდევ. ახლა თავმოყვარეობა სწყვეტდა ყვე-ლაფერს, ცხენის ჭკუაზე ევლო თუ თავისაზე, მაგრამ რაკი ერთხელ უკვე დაეჭვებინა ცხენს, ისიც უკვე სხვანაირად ფიქრობდა, ბოგირის გადავლა ისე აღარ ადარდებდა, როგორც უკან დაბრუნება. თვითონაც უკან დაბრუნება უნდოდა და თუ კვლავ ერთ ადგილას ატრიალებდა ცხენს, მხოლოდ იმიტომ, უკანგამობრუნება გამოქცევას არ დამ-სგავსებოდა. მერე კი თვითონ იცოდა, რა დღესაც დააყრიდა ცხენს, როგორ აიგდებდა სამასხროდ მის სიჯიუტეს და სილაჩრეს. ყველაფერს ცხენს დააბრალებდა და ცხენიც დაიბრალებდა, ან ვინ დაუწყებდა გამოკითხვას. გაიცინებდნენ და ეტყოდნენ: "არა, ძმაო, თუ ასეა, მაგ ცხენზე აღარ შეიჯდომებო". "მეც მაგას არ ვამბობო" - უპასუხებ-დათ ისიც და ამით გათავდებოდა ყველაფერი.

ქალაქი მაინც შემობრუნდა წარსულისაკენ, ისევ გაიხსენეს მზის გულზე მიყრილი მოხუცები, თვითონაც რომ დავიწყებოდათ და სიკვდილსაც. ტანმა უგრძნოთ, შესაძლე-ბელი რომ იყო ამ ბებრებს ხსომებოდათ ის, რაც მათ დავიწყნოდათ, ან რაც თავის დროზე არ გამოეკითხათ მათთვის. დაობებულსა და ჩამომძინილ ბებრებს შუაში ის-ვამდნენ, აცახცახებულ ხელებში ჯამს უდგამდნენ, შიგ წყალ-ღვინოს უსხამდნენ და ეხვეწებოდნენ, ემუდარებოდნენ, წლებით ამოქოლილ ყურებში ჩასმახოდნენ, რა ამბა-ვია ჩვენს თავს, ასეთი რამე თუ გაგიგონიათ როდისმეო. მოულოდნელი ყურადღებით დამფრთხალი და შეწუხებული ბებრები უაზროდ ატრიალებდნენ წირპლიანსა და წამ-წამგაცვნილ თვალებს, ვერ მიმხვდარიყვნენ, რა უნდოდა მათგან ამ უცხო ხალხს, რა-ტომ ასმევდნენ ღვინოს, ნახევარზე მეტი ჩავარდნილ მკერდზე და უგრძნობელ მუხ-ლებზე რომ ეღვრებოდათ. "გაიხარეთ, გაიხარეთ, შვილებო, მადლსა შვრებითო", - ჩივ-ჩივებდნენ ისინი და ბებრული, უმწეო ღიმილით ყველაფერზე თავს აკანტურებდნენ. რადგან ბებრული გუმანი კარნახობდათ, ასე უნდა მოქცეულიყვნენ, ყველაფერზე თავი უნდა ექნიათ, რადგან დათანხმების მეტი მაინც არაფერი შეეძლოთ, თავის განუწყვე-ტელი კანტურითღა უკავშირდებოდნენ ისინი ცხოვრებას, ერთ გაბმულ, მყუდრო ბურა-ნად რომ ქცეულიყო მათთვის, მაგრამ მაინც არ ეთმობოდათ, რადგან ხსენისა და ფსი-ტის სუნი ასდიოდა და უკანასკნელ დღეს პირველი დღის ელფერში ხვევდა. ამიტომაც დავიწყებოდათ ყველაფერი, ბებრული ეშმაკობისა თუ ბუნების გულკეთილობის წყა-ლობით განთავისუფლებულიყვნენ განვლილი ცხოვრების ხსოვნისაგან, რათა ისევე უშიშრად და გულუბრყვილოდ გადასულიყვნენ სიკვდილში, როგორც სიცოცხლეში მოსულიყვნენ. ხალხიც მალე დარწმუნდა, თავის კანტურისა და დაბნეული ღიმილის მეტს ვერაფერს გამორჩებოდნენ ამ გადაყრუებულ მოხუცებს, ძვლებით სავსე ტომრები-ვით რომ მიყრილიყვნენ მზის გულზე და ჩრდილების მეტს ველარაფერს ხედავდნენ. და მაშინ, თითქმის ყველას ერთდროულად

გაახსენდა ბოჩია, ყველაზე ზონზროხა და უწყინარი კაცი. თითქოს ისიც მხოლოდ ახლა შეამჩნია ყველამ, ბოჩია ზუსტად ისე-თივე რომ დარჩენილიყო, როგორც პირველად იხილეს. იმ პირველი ხილვის მერე კი დიდი დრო გასულიყო, თვითონ გაზრდილიყვნენ, დასწოდნენ და გაესწოთ კიდევაც ბოჩიასთვის, ბოჩიას კი არაფერი შესტყობოდა, თითქოს დრო გვერდს უქცევდა, ვერ ამჩნევდა და ამიტომაც ვერ დაეძველებინა. ეს ნაკლები საოცრება როდი იყო და თუ ამ საოცრებას აქამდე ვერავინ ამჩნევდა, მხოლოდ იმიტომ, ყველანი გაჩენის დღიდანვე რომ შეჩვეოდნენ ასეთ ბოჩიას, უცვლელს, მარადიულს, უწყინარსა და კეთილს. ბოჩია მათი ქალაქის განუყოფელი, აუცილებელი ნაწილი იყო და თავისი ფეხმოუცვლელი და ფერუცვლელი არსებობით სხვებისთვისაც უფრო საიმედოსა და ხანგრძლივს ხდი-და სიცოცხლეს. ბოჩია იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე ქუჩებში. მაგრამ არავინ მოი-კითხავდა, არავინ შემფოთდებოდა, სად გაქრა ის კაციო, თითქოს არ შეიძლებოდა, ბოჩიას რამე მოსვლოდა, რადგან მათ გაჩენამდეც, როგორც მონაყოლით იცოდნენ, და მათი გაჩენის შემდეგაც, ბოჩია სულ იყო, სულ ასეთი იყო, ერთი ხნისა, ერთი სისქი-სა და სიმაღლისა, როგორც რომელიღაც ღმერთის ქანდაკება, ქანდაკება კი არა, თავად ღმერთი, რაღაც დანაშაულისა თუ აჩემების გამო, ადამიანებთან რომ ცხოვრობდა და ცდილობდა მათ დამსგავსებოდა, რათა ღმერთობა არ შეემჩნიათ, არ დამფრთხალიყვნენ და არ დაეტოვებინათ მარტო. ბოჩია ამდენს ახერხებდა, მაგრამ დაეჭვების საშუალებას მაინც აძლევდა ხალხს, ხალხი უფრო ფხიზელი და ყურადღებიანი რომ ყოფილიყო. მის გარშემო მთელი თაობები იხოცებოდნენ, მიწაში უკვე ფენა-ფენა იწვნენ მკვდრე-ბი, ის კი ისევ თავაულებლად მუშაობდა თავის სახელოსნოში, ბურბუშელის ოქროს-ფერ ზვირთებში ჩამჯდარი, ანდა ხეების ქვეშ იდგა და მასაც ასხდებოდნენ კოდალები. საკმარისია, ხეების ქვეშ დამდგარიყო, მაშინვე გულზე გადაეყრებოდა, რაც არ უნდა საწყენი შეხვედროდა, სისხლიც ახალგაზრდულად აუჩქროლდებოდა და კაფანდარა ფოთოლას მოანატრებდა ხოლმე. შეიძლება, ამ ხეებში ბუდობდა მისი მთავარი სული და ამიტომაც ვერაფერს აკლებდა დრო, მაგრამ უფრო უცნაური ისაა, ფოთოლასაც რომ გადასდებოდა მეუღლის მარადიული სიჭაბუკე, მარადიული სიჯანსაღე და ცხოვ-რების ხალისი. მათ ოჯახში ახლაც გაუჩერებლად ჭრიალებდა აკვანი, ხოლო აკვანში ჩაკრული ნაბოლარას და-ძმების უმრავლესობას მიწაში ეძინათ სამუდამო ძილით, ხან-გრძლივი და ჭარმაგი სიცოცხლით გამაძღრებსა და დაღლილებს. ვანელები კარგად რომ ჩასძიებოდნენ, ღრმად რომ ჩაჰყოლოდნენ თავიანთ ფესვებს, ალბათ, ყველანი ერ-თმანეთის ნათესავებიც აღმოჩნდებოდნენ, ისეთი მრავალრიცხოვანი და უსასრულო იყო ბოჩიასა და ფოთოლას შთამომავლობა.

ბოჩიამ მისი სახლის წინ შეკრებილ ვანელებს მფრინავი ვერძის ამბავი მოუყვა, მოუყვა, როგორ მოაფრინა იმ ვერძმა პატარა ბიჭი, რომელსაც ქვეყანა დანით დასდევ-ნებოდა და ვანზე უკეთეს თავშესაფარს ვერსად იპოვიდა. მოუყვა, როგორ შეაწუხა ვა-ნელები ამ უცხო ბიჭის ბედმა. როგორ გამოიდეს თავი, როგორ დაუდგნენ ქომაგად, მათ ჭერქვეშ შემოფრენილ ბავშვს უცხოობა რომ არ ეგრძნო და შიშაც დავიწყებოდა, რადგან, ძველი ვანელების აზრით, შეშინებული ბავშვისგან ვერც კარგი მეომარი გა-იზრდებოდა და ვერც კარგი მეოჯახე.

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამე მიეცა დავიწყებას, მაგრამ ბოჩიას აქამდე გამოჰყოლოდა მოსალოდნელი ბედნიერების მძაფრი შეგრძნება, ამ პატარა უცხო ბიჭის ხილვამ რომ გაუჩინა. მართალია, ცხოვრებამ საპირისპირო დაუმტკიცა, ყველაფერი წალმა შეუტრიალა,

მაგრამ ბოჩიამ მაინც ვერ მოიშორა ის შეგრძნება, მა-ინც აქამდე შემორჩა, როგორც ღიმილი გაწბილებული კაცის სახეს.

ბოჩია მოგონებებმა გაიტაცა, მისი ხნის კაცს კი ტყუილიც დაეჯერებოდა. გაოცებული ხალხი პირდაღებული უსმენდა, განძრევისაც ეშინოდა, ეშინოდა, არ გამქრალი-ყო ის საოცარი ხილვები, ბოჩიას მონაყოლს რომ ამოჰყოლოდა, ფრთამოხატული პეპ-ლებივით რომ დაფარფატებდნენ ჰაერში, ვარდის სურნელს რომ აფრქვევდნენ და ოქ-როს მტვერში ხვევდნენ ქვეყანას. ბოჩია ყვებოდა და თვითონვე უკვირდა, რა ზღაპრულად უცნაური და მომხიბვლელი ჩანდა ყველაფერი, რაც აქამდე მარტო მან იცოდა, რაც სხვა უამრავ მოგონებებთან ერთად სამუდამოდ ჩაღუქილიყო მისი გულის ფსკერ-ზე და, შეიძლება ამიტომაც, დაჰკარგვოდა ფერიცა და მნიშვნელობაც, როგორც ბებიის საქორწილო კაბას. ახლა კი, გამომზეურებული, სკივრიდან ამოღებული, ნიავედაკრულ-ლი, ამდენი ცნობისმოყვარე შვილიშვილის თვალწინ, არა მარტო თვითონ იბრუნებდა პირველყოფილ სინაზესა და სიმსუბუქეს, არამედ თავისი მფლობელის დამატრობელ სიქალწულებსაც აცოცხლებდა, მის საქორწილო თრთოლვასა და სამზადისს. ხალხს სიამაყით გული ებერებოდა, დაგვიანებული ცრემლი ყელში აწვებოდა, ასევე დაგვიანებული სინანული სულს უწუხებდა, რადგან ასეთი ლამაზი და ასეთი ჰაეროვანი ბე-ბია იოლად და უდარდელად დაევიწყებინა, ისე დაევიწყებინა, ახლა მის საფლავსაც ვერ მიაგნებდა, ბალახი მაინც რომ მოეგლიჯა და თუნდაც ერთი წუთით ჩამოჯდომო-და ფერხთით.

რა იცოდა ბოჩიამ, რა ბოროტებას სჩადიოდა ამით, თორემ უმალ თავს მოიკლავდა, თუკი შესაძლებელი იყო მისი სიკვდილი, ვიდრე ამგვარ სისულელეს წამოროშავდა, ხალხს ოცნებას გაუჩენდა და ცისკენ გაუქცევდა თავს.

იმ დღესაც დიდხანს იდგა ბოჩია ხეების ქვეშ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გამოიკეთა გუნება. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი არ უნდა ჰქონოდათ საფრთხილო ფოთო-ლასა და ბოჩიას, მათი აღურიცხველი შთამომავლობა ყოველმხრივ ჩვეულებრივი იყო, არც ფრთა ეზრდებოდა და არც ცის საჭვრეტად ეცალა. ბოჩიას სხვა რაღაცა აწუხებ-და ახლა, გრძნობდა, მართლაც ძალიან დიდხანს გაჩერებულიყო ამ ქვეყანაზე, ერთი კაცის კვალობაზე ბევრ რამეს მოსწრებოდა, მაგრამ ყველაფერი ერთბაშად გადაეშალა, სადღაც, არარაობის ჯურღმულებში შეერეკა აწივლებულ შოლტსა და გალახული ბავშვის ღნავილს. ბოჩია ხეების ქვეშ იდგა და თვალწინ ის ყურიანი კალათა ედგა, საიდანაც, ვინ იცის რამდენი წლის წინათ, მამობილმა ამოიყვანა, ღრუბლის ქულასა-ვით ფუნჩულა და შიშველი. ბოჩიაც იმ კალათასავით დაცარიელებულიყო და თანდა-თან უარესად ცარიელდებოდა, რადგან სამუდამოდ ეკარგებოდა ჩვილის სუნიცა და სითბოც, ერთიცა და მეორეც თავისუფლად გაჰქონდა ნიავს მისი ფარღალა კედლე-ბიდან.

ვერც ფოთოლამ მოისვენა იმ ღამეს, შამფურივით ტრიალებდა, თითქოს სხვის ლო-გინში იწვა, მიუჩვეველ ადგილას. ასედაც იყო, ფოთოლას უბოჩიოდ სიცოცხლე არ შეეძლო, არც იცოდა, როგორ უნდა ეცოცხლა, რადგან, რაც თავი ახსოვდა, ყოველთ-ვის ბოჩია ჰყავდა გვერდით, ბოჩიას გვერდით იძინებდა და ბოჩიას გვერდით ეღვიძებო-და. ბოჩიათი იწყებოდა მისი დღეცა და ღამეც, მაშინ თენდებოდა და მაშინ ღამდებოდა მისთვის, როცა ბოჩია მოისურვებდა, როცა ბოჩია იტყოდა "გათენდაო", ანდა "დაღამ-დაო". თვითონ, ბოჩიას მეტი, არაფერი გაეგებოდა ამ ქვეყნისა. ასე იყო სულ, დიდხანს კი არა, სულ, და მხოლოდ ეს ერთადერთი სიტყვა აღნიშნავდა

ფოთოლასთვის დროს. ახლა კი ფოთოლას დროს ბზარი გასჩენოდა, კვერცხივით გამოტეხილიყო და შავი წი-წილა გამოეგდო გარეთ, ერთადერთი ღამე ფოთოლას ცხოვრებაში, რომელსაც ამჩნევდა, რადგან მარტო იყო, უბოჩიოდ. რაღა ეშველებოდა ამ წიწილას, უკანვე ვინღა შე-აბრუნებდა გამოტეხილ კვერცხში?! ჯერ კიდევ სველი, ლორწოვანი ბუმბულით ეტმას-ნებოდა ტანზე, თითქოს ფოთოლა ვალდებული იყო, სხვისი წიწილა გაეზარდა. არა, არ უნდოდა ფოთოლას ეს ღამე, ვერც გააწევდა, თუკი როდისმე დაადგებოდა საშველი და დამთავრდებოდა. მაგრამ უბოჩიოდ როგორ უნდა დამთავრებულიყო, ან ფოთოლას როგორ უნდა გაეგო მისი დამთავრება, თუკი ბოჩია გვერდით არ ეყოლებოდა?! ფოთო-ლა იტანჯებოდა, ვერც ქმრის დამახეხა გაეებდა და იმისიც ეშინოდა, ვაითუ ბოჩიას მშვიდად სძინავს და აღარც კი ვახსოვარო. თავს ებრძოდა, არ იჯერებდა, ასე იოლად თუ დაივიწყებდა ბოჩია ცოლს, რომელიც მისი დაუოკებელი ვნების შიშით განგებ ჰგვიდა უკვე ათასჯერ დაგვილ სახლს, ხელახლა რეცხავდა უკვე დარეცხილსა და დაკრიალებულ ჭურჭელს, ქმარს რომ უქმად ჩამომჯდარი არ ენახა. განა შეეძლო ასეთ ბოჩიას ახლა მშვიდად დაეძინა?! არა. უმალ ფოთოლა მოკვდებოდა, გული გაუსკდებო-და. ამიტომაც ვერ ბედავდა ოთახიდან გამოსვლას და მისი აფორიაქებული გონება წა-რამარა შემოახეტებდა ხოლმე ბოჩიას აჩრდილს, მაგრამ ბოჩიას აჩრდილი ზღურბლს აქეთ არ გადმოდიოდა, გაბუტული ბავშვივით ატუზულიყო კართან. "რა იყო, ცუდად ხომ არა ხარო" - ეძახდა ფოთოლა საწოლიდან, მაგრამ ბოჩია რომ არ პასუხობდა, თვითონვე მირბოდა მისკენ და ბოჩიას ნაცვლად ჩაკეტილ კარს აწყდებოდა. "გაიღვიძე, გაიღვიძე, გაიღვიძეო" - ახლა უკვე ხმამაღლა ყვიროდა ფოთოლა და კარზე მუშტებს აბრახუნებდა, მაგრამ ბოჩიასგან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ფეხშიშველი, მუშტებდაბეჭილი და ყვირილისგან ყელატკიებული ფოთოლა გათოშილ კარს ეხუტებოდა და მწარედ ტიროდა, დიდხანს ტიროდა, სანამ ოთახში თანდათან არ გაიცრიცა ღამის წყვილი და ალიონმა არ გადაალურჯა ყველაფერი. მერე ფოთოლამ ქათმების კრიახი გაიგონა და კარს ურდული გაუგდო, მაგრამ მაშინვე არ გასულა ოთახიდან, საწოლთან მიბ-რუნდა, ცივ ფილაქანზე დგომით გაშეშებული ფეხები ფლოსტებში წაჰყო და მხრებზე შალი მოიხურა. "რა ბებერივით ვკანკალებო" - ერთი კი გაიფიქრა და ეზოში გამოვი-და. ბოჩიას ლოგინი ხეების ქვეშ გაეშალა, მაგრამ შიგ არ ჩაწოლილიყო, ზემოდან იწ-ვა საბანზე. როცა ფოთოლა ახლოს მივიდა, გაცეცხისაგან პირი დაალო: ბოჩიას ლო-გინზე სიბერისგან დაჩიავებული, დაჭმუჭნული და გადაყვითლებული ცხედარი ესვენა. ფოთოლამ უნებურად მაღლა აიხედა, თითქოს ხეებს ჩამოვარდნოდან ყუნწზევე მიმჭკ-ნარი ნაყოფი.

\* \* \*

ტყუპმა ძმებმა ხალხი სახლებში გამოკეტეს. ვანი უკაცურ ქალაქს დაემსგავსა. გე-გონებოდით, ქალაქი დედაწულიანად გაუქვავებია ჯადოქარს, ანდა აყრილა და გადახ-ვეწილაო. სამარისებურ დუმილს მხოლოდ ბერძნის წყაროს მკლავის სისხო ნაკადის შფოთვა და დგაფუნი არღვევდა. ქალაქი ძმებს დარჩენოდით და ისინიც უდარდელად, არხეინად დასეირნობდნენ ქუჩებში. ათასში ერთხელ, თუ ვინმე მაინც გაბედავდა თა-ვის გამოყოფას შინიდან, ძმები ფეხებს დაუბაკუნებდნენ ხოლმე და ისიც მაშინვე უჩინარდებოდა. ოდესღაც მოვლილი და ლამაზად თავმოებმული ბუჩქები უშნოდ გაი-ფარჩხნენ; ქუჩებში ქვეწარმავლის ჯოგივით გამოცოცდა სურო და ხვიარა; ქვაფენილ-ზე ბალახმა ამოხეთქა; ქვითკირის კედლებს გამომშრალი, დამველებული სისხლისფე-რი მღიერა გადაეკრა; გვიმრისა და შვიტის მეწინავე რიგებმა ვეღარ გაუძლეს უსაშვე-

ლოდ გამრავლებულ თანამომძმეთა მოწოლას და გზებსა და ბილიკებზე გადმოცვივდ-ნენ; ყორეების ჩრდილში ჭინჭარი ახასხასდა; ოწინარებს მწვანე ბოლივით აუყვა ხავ-სი; სახლებს შორის, ქუჩების გაღმა-გამოღმა ობობებმა ქსელი გააბეს; მოშიებულმა პი-რუტყვმა ზმუილით გამოანგრია სადგომები და ქუჩებში გაიფანტა; ფრინველმაც მალე მიატოვა საბუდრები და ახლა, სადაც მოეპრიანებოდა, იქა სდებდა კვერცხს; ძმებს გა-სართობი გაუჩნდათ, კვერცხებს კალთაში იგროვებდნენ და ერთმანეთს ესროდნენ, ძროხებს დააჯირითებდნენ, ღორებს კუდით დაათრევდნენ, აჭყივლებდნენ და თვითონ-ნაც ღორებივით ჭყიოდნენ, ქათმებს ცოცხლად პუტავდნენ და ტიტველი ქათმები სიკვ-დილის მოციქულებივით დაბორიალობდნენ ქალაქში.

სარკმელზე ცხვირმიჭყლეტილი ადამიანი ყველაფერს ხედავდა და გული უკვდებო-და, ყველაფერი თავიდან გასაკეთებელი გახდომოდა, თუკი როდისმე კიდევ გამოვიდო-და გარეთ და გამოკეტილ ბინებში თვითონაც არ გაიხრწნებოდა თავისი ნასუნთქისა და ნაფიქრალის მსგავსად. მაგრამ ადამიანი რისი ადამიანი იყო, თუ სულ ასე უმოქმე-დოდ დარჩებოდა, მიცვალებულივით გულხელდაკრეფილი. მისი ქალაქი შიშსა და ელ-დას დაეპყრო, მაგრამ ამასაც უნდა შეგუებოდა იგი, რადგან ყველაფერს აიტანდა, სა-კუთარი მონაგარის ასე გაოხრებას კი ვერა. საქმე არ იცდიდა. პირუტყვი თავიდან იყო მოსაშინაურებელი, ფრინველი - საბუდარს მისაჩვევი, ბალახი - მოსაგლეჯი; სუროსა და ხვიარასთვის ბართა და ცულით უნდა დაემოკლებინა დაგრძელებული ხელები. "დედას ვუტირებ, ბართა და ცულით ამოვიძრკვავო" - უკვე გეგმებს აწყობდა გუნება-ში და კოცონსაც აბრიალებდა, რომელზედაც თავისუფლების მოტრფიალე სარეველა იწვოდა და ქვეყანას სასიამოვნო, სიმშვიდისა და თვლემისმომგვრელი სურნელით ავ-სებდა. ამ სურნელისთვის ცხოვრობდა ადამიანი, ეს სუნი ენატრებოდა ახლაც და ენა ექავებოდა, იმდენი სათქმელი დაგროვებოდა ამ ხნის განმავლობაში. არა, არ შეიძლე-ბოდა, ასე რომ გაგრძელებულიყო, არც გაგრძელდებოდა. ქვეყანა ჩალით არ იყო და-ხურული, სიმართლე გზას გაიკვლევდა, დამნაშავე მონახებოდა და დაისჯებოდა კი-დეც, გალახული ბავშვების ჯავრსაც ამოიყრიდა და ისევ მარჩენალ ხარს ჩაუდგებოდა კვალში ალაღმართალი მშრომელი. ისევ მიადგებოდა მეზობელს ცეცხლისა და მარი-ლის სასესხებლად, მართლა ცეცხლისა და მარილისათვის კი არა, ისე, დასახედად, როგორ ცხოვრობდა, რას ჭამდა, რას სვამდა, რა ეცვა და რა ეხურა. აბა, მეტი რა იყო ცხოვრება, შენიანს თუ მხარს არ გაუხახუნებდი, სუფრასთან თუ არ დაუჯდებოდი, არ ილაპარაკებდი და მასაც არ აალაპარაკებდი. არა, არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელე-ბულიყო ასე. დღეს თუ არა, ხვალ მაინც უნდა გამოედარა, მეტის გადადება აღარ შე-იძლებოდა. დღეს თუ არა, ხვალ ისიც გამოვიდოდა შინიდან და შემორიგებული მეზო-ბელივით გაუღიმებდა ქვეყანას. ხვალ ჯობდა, ხვალამდე იქნებ გარკვეულიყო კიდევ ყველაფერი, სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. ერთ დღეს კი... ერთ დღეს მგლის ტყავ-ში გაძლებდა კაცი.

მაგრამ მოლოდინმა არ გაუმართლა. შოლტების წივილი ჯერ კიდევ ყურებში ედგა, მეხივით რომ გავარდა ქალაქში ახალი ცნობა: ქვისმთელი ფარნაოზის ბიჭი ტაძრის გუმბათზე აიპარა, ხელები ფრთებივით გაშალა და გადმოხტაო. მალე მთელი ქალაქი ტაძართან იდგა და, დაბნეული, ხან ტაძრის გუმბათს აპყურებდა, ხან იმ ადგილს დას-ცქეროდა, სადაც პატარა უხერიო დანარცხებულიყო მიწაზე. "გეგონებოდათ, ეგაა, მარ-თლა გაფრინდაო" - ყვებოდნენ ამ ამბის მომსწრენი. შიშისა და მღელვარებისაგან სა-ხე დაჰკარგოდათ, ხმა უკანკალებდათ, თითქოს ეს წუთია თვითონ გადარჩენოდნენ სა-შინელ განსაცდელს.

მიწას დროზე შეუმჩნევია ცაში მოლივლივე ბავშვის სხეული და ისე მიუზიდა თავისი ღონიერი ხელებით, პატარა უხეირო ერთი კი ამოტრიალებულა ჰაერში და ყი-რამალა წამოსულა ძირს, ისეთი ხმა გაუღია, თითქოს ცაც თან ჩამოიტანაო.

თინა ამ დროს ჭურჭელს რეცხავდა, რამდენჯერაც არ შეუშვირა წყალს პატარა უხეიროს ჯამი, იმდენჯერ სისხლივით გაწითლდა წყალი.

ფარნაოზი ზემო უბანში ქვაფენილს აგებდა, ტაძართან რომ მოირბინა, სისხლის გუბეზე მიწა უკვე წაეყარათ. ნოტიო მიწას აქა-იქ პატარა უხეიროს თმა აეკრა. ირგვ-ლივ სიჩუმე და სიცარიელე სუფევდა, როგორც დანაყრებულ ლომის ბუნაგში. კაცი ვერ იფიქრებდა, ამ ცოტა ხნის წინათ ასეთი ქარბორბალა თუ დატრიალებულიყო აქ. ტაძრის კედელზე არეკლილი მზე ფარნაოზს თვალებში სცემდა. ტაძარს ზურგი შეაქცია, იქვე, მიწაწაყრილ გუბესთან ჩაჯდა და სველ მიწას ხელი ისე ფრთხილად გადა-უსვა, თითქოს ეშინოდა, არ გასხლტომოდა. მიწის სიგრილემ მთელს ტანში დაუარა, სველი ხელისგული სახეზეც ჩამოსვა და თითებზე მიწებებულ თმას სული შეუბერა. ჰაერის ნაკადმა თმა დააბზრიალა და მაღლა წაიღო. ასე, ცახცახითა და ტრიალით ას-ცდა ტაძარს, გვერდზე გაუხტა ჩამოქროლილი ჩიტების გუნდს, გაცრეცილ ღრუბლებში გაძვრა და მზეს მიაშურა. ხელისგულებით მიწას დაყრდნობილი, უკან გადაქანებულ-ი ფარნაოზი თმას იქამდე უყურებდა, სანამ სინათლემ და უსასრულობამ თვალები არ დაუბრმავა. იმ დღეს, როცა ფარნაოზი დაიბადა, დარეტიანებული და საომარი ეტ-ლის ბორბლებით ფეხებდაჩქვკვილი მამამისიც სწორედ ასე იჯდა ბრძოლის ველზე.

თინას არც სახე დაუხოკავს, არც მოთქმით შეუმრავს ქვეყანა. უბედურებას მომზა-დებული დახვდა, რადგან განუწყვეტლივ მოლოდინში იყო; იმ დღის მერე, როცა პატა-რა უხეირომ გაიარა, ერთი წუთითაც არ გაქრობია ავი წინათგრძნობა, მაგრამ არც რჩევა უკითხავს ვინმესთვის და არც დახმარება უთხოვია. ან ვინ რას უშველიდა, მო-სახდენი უნდა მომხდარიყო. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ეპარებოდა ეჭვი თა-ვის სიმართლეში. რაღაცაში, ალბათ, მასაც მიუძღოდა ბრალი, რაღაცა მასაც დაეშავე-ბინა, რადგან სინდისის ქენჯნა აწუხებდა და გული გაუჩერდებოდა ხოლმე, როცა შვილის თვალებში სიბრაღულსა და თანაგრძნობას კითხულობდა. პატარა უხეირომ დედამისი პირველად რომ ნახა ატირებული, თვითონაც ატირდა და სლუკუნ-სლუკუნით უთხრა: ნუ ტირი, გავიზრდები და მე ვიქნები შენი ქმარიო. იმ დღის მერე თინას შვილის თანდასწრებით აღარ უტირია, მაგრამ პატარა უხეირო მაინც ყველაფერს ხვდებოდა, უფრო მეტი ესმოდა, ვიდრე მოეთხოვებოდა. ეს აზნევდა, ეს აფორიაქებდა, ეს აშინებდა თინასაც, რადგან სხვამ თუ არა, თვითონ ხომ იცოდა, რა უსინდისოდ მოქცეოდა შვილს, რა მიზნით და რა საქმისთვის გაეჩინა იგი. თინას მაშინ არ შეემ-ლო შვილის მომავლის განჭვრეტა, ახალი დამთავრებული ჰქონდა ბრძოლა, გამარჯვე-ბა თავბრუს ახვევდა და მარტო იმაზედა ფიქრობდა, რითი განემტკიცებინა ეს გამარჯ-ვება. ქვეყანა კი დაეპყრო, მაგრამ ამ ქვეყანას ახლა ათვისება სჭირდებოდა, ხელახლა უნდა მოეპირკეთებინა კედლები, სახურავი გამოეცვალა, ტახტზე დედისეული ფარდაგი გადაეფარებინა და ზედ მისი ბავშვობის დროინდელი თოჯინები ჩაემწკრივებინა, არც თვითონ რომ ეგრძნო თავი უცხოდ და არც სხვებს შეემჩნიათ მისი უცხოობა. შვილიც ამიტომ სჭირდებოდა, ყველაზე მეტად შვილი განუმტკიცებდა რწმენას, სამართლიანად რომ ებრძოლა და სამართლიანად მოეპოვებინა ის, რაც მოეპოვებინა. მაშინ თინას სხვანაირად არც შეეძლო ეფიქრა ბავშვზე, რომელიც ჯერ არ არსებობდა, რომელიც ჯერ მის გონებაში ჩაისახა

და მერე საშოში. შვილის გაჩენისთანავე თინას გეგმებიც უკვალოდ გაქრა, მას აღარც აინტერესებდა ისინი, რადგან მისდა უნებურად, სრულიად მოულოდნელად, უფრო დიდი საზრუნავი გაუჩნდა. ეს პატარა, თბილი და ღულუნა არ-სება თავს ერჩია და აღარც ის ახსოვდა, რა იმედებს ამყარებდა მასზე. სამაგიეროდ, არც იმაზე დაფიქრებულა: ეკუთვნოდა თუ არა, სწორი იყო თუ არა მისი განზრახვა და საერთოდ ჰქონდა თუ არა უფლება შვილის გაჩენისა. მან ხომ თავიდანვე იცოდა, რომ კაცს, რომელიც ამ ბავშვის მამა უნდა გამხდარიყო, არ უყვარდა იგი და არც რა-მე ნიშანს იძლეოდა იმისას, როდისმე რომ შეიყვარებდა. ბავშვს კი ორივენი ერთნაირად ეყვარებოდა, დედაცა და მამაც, და ამ ორ ცეცხლს შუა ვერასოდეს გააკეთებდა არჩევანს, მთელი სიცოცხლე მათ დაუნდობელ სიმხურვალეში უნდა ეტრიალა და ამო-უკვნესავად ჩაფერფლილიყო კიდეც. მაგრამ თინა მაშინ ასე ვერ იფიქრებდა, რადგან თავისი სისწორისა და სამართლიანობის საბუთი გვერდით ეწვა, ძუძუზე ხელს უთა-თუნებდა და ძილმორეულ თვალებს უჭუტავდა. მაგრამ სინამდვილეში ესეც მწარე ხუმრობა ყოფილა და მეტი არაფერი. ღმერთებმა გაამასხარავეს თინა, ის კი, თავისი სიკერპის გამო, იქამდე ვერ მიხვდა ამას, სანამ შვილის სისხლი არ შეაშხეფეს სახეში. პატარა უხეიროს სიკვდილმა საბოლოოდ გამოაფხიზლა და დაარწმუნა, მთელი მისი ცხოვრება მისივე ოცნების ნაყოფი იყო, რომელიც ვერც დროის დინებას გაუძლებდა და ვერც ამინდთა მონაცვლეობას. ტყუილად ელოლიავებოდა თურმე ამ ნაყოფს, რომ-ლის მოსაწევადაც ამდენი შრომა და მოთმინება დასჭირდა და რომელიც, ბოლოს და ბოლოს, მაინც გამოიბა მისი სიჯიუტისა და მოთმინების ხემ, რათა ქარის პირველსავე წამოქროლებზე მთელი ქალაქის თვალწინ, ქვაფენილზე დაენარცხებინა და გაესრისა. ერთხელ მაინც დაეჭვებუიყო, რატომ სწყალობდნენ ღმერთები ასე, რატომ უსრუ-ლებდნენ ყველაფერს, რაც კი ჩათქვა და მოესურვებინა? განა არ ჰქონდა დაეჭვების საფუძველი? ჰქონდა, როგორ არ ჰქონდა. რამდენჯერ შერჩენია ხელში ტაროს მაგივ-რად ფუჩეჩი. ბედნიერებასაც ბევრჯერ მოუღიტინებია გულის კოვზზე ფუნჩულა თა-თი., ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ, მაგრამ როცა თვითონაც წასტანებია ამ ფუნჩულა თათს, ხელში სიცარიელე შერჩენია. მაგრამ თინას მაშინ ის უფრო აღარდებდა, სხვებსაც არ შეემჩნიათ მისი გაწბილება. წამით გაირინდებოდა ხოლმე ხარხარის მო-ლოდინში, ეგონა, ყველანი ხელებში მისჩერებოდნენ, თითქოს სხვისას ითვისებდა რა-მეს. თუმცა თვითონაც გრძნობდა, სხვისას რომ ითვისებდა და ამიტომაც ეჩვენებოდა ასე, ამიტომაც არ იტეხდა იხტიბარს და ყოველი მარცხის მერე უფრო ამაყად და გა-მომწვევად მიჰყვებოდა ბავშვობიდან არჩეულ გზას. მერე რა, თუ სხვისას ითვისებდა? ჯერ ერთი, რატომ იყო ის სხვისა, რა უფლების ძალით, ან სხვა რას აკეთებდა მასზე მეტს თავისი საკუთრების დასაცავად? სხვა თითსაც არ ანძრევდა იმის დასაცავად, რის მითვისებასაც თინა აპირებდა, რადგან ის მართლა სხვისი იყო, თავიდანვე სხვას ეკუთვნოდა, ღმერთებს სხვისთვის ეჩუქებინათ და, რამდენიც არ უნდა ეპამპულა თი-ნას, მაინც ვერ ამოფხეკდა ტვიფარს, დამდასა თუ ნიშანს, ბედისწერას რომ დაემჩნია ზედ. თინას მოთმინება მიუგდეს მხოლოდ, როგორც კატას ძაფის გორგალი, კატასაც რომ თავი შეექცია, კი არ ენადირა, ეთამაშა, ვითომ ვნადირობო. ბოლოს კი ღმერთებ-საც მობეზრდათ მისი წარამარა გაპამპულეობა და აკი ერთბაშად მოუთავეს კიდეც ხე-ლი. დაე, ახლა სხვებს ეცადათ, თუკი ამგვარი სურვილი ჰქონდათ, თავიანთი ბედის შეცვლა, რომელიც მათ გაჩენამდე დაედგინა და გადაეწყვიტა ვიღაცას. თინასთვის კი ყველაფერი დამთავრებულიყო, ჩამოთავდა კოდში საფქვავი და მასაც ისლა დარჩენოდა, ტომარაში გადაეცალა დაკარგული დრო. ზურგზე მოეგდო თავმობმული ტომარა და შინისაკენ

გასდგომოდა გზას. თინა ლასლასით გადადიოდა ქუჩაზე, თითქოს მართლა მძიმე ტომარა აეკიდა და ჭუჭყიანი, გაოფლილი პერანგით გრძნობდა, როგორ მოხეზ-რებოდა ცხოვრება, უაზრო და უსასრულო, როგორც მისი მოთმინება.

ფარნაოზი მღვიმეში იწვა, არც არაფერზე ფიქრობდა, არც არაფერს ელოდებოდა. გრძნობდა, ძალიან ცოტა დრო დარჩენოდა და მაინც ველარაფერს მოასწრებდა. ან რა-ღა ჰქონდა მოსასწრები, პატარა უხეირომ მის მაგივრად ყველაფერი თქვა და გააკეთა კიდევ. მისმა შვილმა გამოიტანა სამხეოზე და მთელი ხმით იყვირა, რაც მას სტკიოდა და აწამებდა, რასაც ვერ ურიგდებოდა და ვერც ებრძოდა. შვილმა კი აჯობა, შვილმა აჯობა და ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მის ცხოვრებაში, შვილმა აჯობა და ამით გაამართლა მთელი მისი ცხოვრება, დათრგუნა, დაამხო, გააცამტვერა და ამით გამარჯვების რწმენა გაუღვივა. რამდენ ხანს გასტანდა ეს რწმენა, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, მთავარი ის იყო, ფარნაოზი ამ რწმენით რომ დატოვებდა ქვეყანას.

პატარა უხეიროს სიკვდილმა ფარნაოზს მარადიული გაურკვევლობის, მარადიული ყოყმანისა და მარადიული შიშის გრძნობა მოაშორა, მან, როგორც მოწამლულმა ნა-დირმა, ბოლოს და ბოლოს, მაინც ამოანთხია შხამი, ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე ძა-ლით რომ ატენიდა პირში, კი არ აპარებდა, ატენიდა, მაგრამ ამას იმდენი დრო და იმ-ხელა მსხვერპლის გაღება დასჭირდა, კი არ განთავისუფლდა, დაცარიელდა. სწორედ ამ სიცარიელის შეგრძნებამ დაახვია თავბრუ და შვილის სისხლის მიწაწაყრილ გუ-ბესთან ყეყეჩივით დასვა.

ფარნაოზი უკვე მკვდარი იყო, ამას თვითონაც გრძნობდა, განუწყვეტლივ გრძნობდა, რადგან განთავისუფლებით კი განთავისუფლებულიყო ყველაფრისაგან, ყველასაგან, საკუთარი არსებისგანაც, მაგრამ იმ თავისუფლებისა არაფერი ეცხო, რომლისკენაც ცოცხალი მიილტვოდა. ეს სიკვდილი იყო, მიწის, ჭიალუებისა და ფესვების სუნით გაჟღენთილ სუდარას მოითრევდა და ბუზღუნებდა: ისე არავინ მოკვდა, მე რომ არ დამდონ ბრალიო. ფარნაოზი მოუთმენლად, ბავშვური სულწასულობით ელოდებოდა, თითქოს სიკვდილს საჩუქრებით სავსე ტომარა მოჰქონდა. ასედაც იყო, კიდევ ერთი ნა-ბიჯი და ფარნაოზი ისევ იხილავდა ყველაფერს, რაც სამუდამოდ დაჰკარგვოდა, რაც სამუდამოდ მიეზარებინა მიწისთვის. არ ეგონა, ასეთი სანუკვარი თუ იქნებოდა დასას-რული; სიკვდილს რომ გადაეფიქრა, თვითონ წაეტანებოდა სუდარას, როგორც მძინარე გადახდილ საბანს, რათა იმქვეყნიური სუსხით აბურძგნული ხორცი დაეფარა. ბოლო იგივე თავი იყო, თავი იგივე ბოლო, ფარნაოზი ისევ იქ მოსულიყო, საიდანაც მოვლენოდა ქვეყანას. არტახებში გახვეული ჩვილივით იწვა და მისი არსება უარს ამბობდა ყველაფერზე, რაც თავს გადახდენოდა. ყველაფერი მართლაც ძნელად დასამახსოვრებელ სიზმარს ჰგავდა და ფარნაოზიც იოლად იჯერებდა, არტახებში გახვეული ჩვილი ვარო. არტახები ისე მჭიდროდ შემოეხვიათ, სუნთქვა უჭირდა, ხელ-ფეხი დაბუჟვოდა და ოფლში გახვითქულიყო, მაგრამ მაინც განუძრევლად იწვა. "ასეა საჭიროო. დედა-ჩემს არ შეეშლება, ბავშვის მეტი რა გაუზრდიაო" - ფიქრობდა ფარნაოზი და გამშრა-ლი ტუჩებით თხის ძუძუს დაეძებდა. რძეს უფრო იმიტომ სვამდა, იქნებ სასაზე მიკ-რული თმა ჩაიყოლოსო. თუმცა, რა თქმა უნდა, თმა ეჩვენებოდა, მაგრამ ვერაფრით მოეშორებინა ეს შემაწუხებელი შეგრძნება. ჭუჭყიანი თითებით ჩაკაწრული სასა სტკიოდა, სისხლს აფურთხებდა, თმა კი ადგილიდან არ იძროდა, იძროდა კი არა, თითქოს იზრდებოდა კიდევ. ფარნაოზი თხაზე ბრაზობდა, თითქოს თხის ბრალი იყო, რძეს რომ არ შეეძლო თან ჩაეტანა არარსებული თმა. ფარნაოზი ძუძუზე კბენდა, ძა-ლით იშორებდა, მაგრამ



მეორე წუთას შემფოთებული ემახდა, დედაჩემო, დედილოო. აფორიაქებული თხა თავზე ედგა, დაჰკვიკინებდა და ფართე, წითელ წრეებში მომწყვ-დეული წყლისფერი თვალებით გაოცებული ათვალეირებდა, მაგრამ როცა სიბრაზისა-გან ძალმიცემულმა ფარნაოზმა მჯილი გამეტებით ჩათხლიშა თვალებში, თხა მღვიმე-დან ჩლიქების ფხაკაფხუკით გავარდა, მხოლოდ ერთხელ, ერთი წამით შემოჰყო დარე-ტიანებული თავი მღვიმის ხვრელში და იმის მერე აღარც გამოჩენილა.

"კი, მაგრამ კუსა სად არის აქამდეო" - ახსენდება უცებ ფარნაოზს თავისი დისშვი-ლი. ახსენდება კი არა, არც დავიწყებია, კუსას ელოდება აქ, აქ დათქვეს პაემანი, რად-გან არავინ შეუშალოთ ხელი საიდუმლო საუბარში. დღეს უნდა ითქვას ყველაფერი და ფარნაოზს გული უცნაურად უჩქროლდება თანამზრახველის მოლოდინში, მაგრამ მაინც იკუნტება, მაშინვე თვალში რომ არ ეცეს კუსას ღრმულიდან ამოშვერილი ფე-ხები.

- როგორა ხარ, ბიძაჩემო? - ამბობს კუსა და ხელებს ისე იფშვნეტს, თითქოს მოში-ებულმა სტუმარმა გაწყობილ სუფრას დახედაო.

ფარნაოზი ხმას არ იღებს, თავს იმძინარებს, იმიტომ კი არა, კუსასი რომ ეშინია, არა, სრულებითაც არა, ან რიღასი უნდა ეშინოდეს, უბრალოდ კუსასთან აღარაფერი აქვს სალაპარაკო, ახლა ახსენდება, უკვე ყველაფერი უთხრეს ერთმანეთს, თანაც ერ-თხელ კი არა, ბევრჯერ. მობეზრდა კიდეც, აღარ აინტერესებს, მას ახლა მხოლოდ ერ-თი რამე აწუხებს და ეჩოთირება: თვითონ უფრო გრძელია, ვიდრე ღრმული, რომელ-შიც ჩაწოლილა. კი, მაგრამ რატომ? რატომ მოხდა ასე?! - უკვირს ფარნაოზს. ამოშვე-რილი ფეხებიდან დამრული სისხლი თავში აწვება, ფეხები კი უბუჟდება. გაფუყულ, გაშემებულ ფეხებზე თითქოს ჭიანჭველები შესცოცებიან. ეს ჭიანჭველები საიდანღა გაჩნდნენ? ერთხელ ხომ უკვე შეჭამა ისინი კნოსის ნავსადგურში, გაჩეჩქვილ მსხალ-თან ერთად. ფარნაოზს გულს აზიდებს გაჩეჩქვილი მსხლისა და ჭიანჭველების წარ-მოდგენაზე. თუ უნდა, რომ მართლა მოისვენოს, როგორმე უნდა ჩაეტიოს ამ ღრმულში, კეთილი უნდა ინებოს და მოიკუნტოს, დაპატარავდეს, დამოკლდეს, განა ასე არ იქცე-ვიან ყველანი, ის ვითომ რითია სხვებზე უკეთესი? რამდენჯერ უნდა გაუმეორონ ერ-თი და იგივე? ან თუ სხვას შეუძლია, მან რატომ ვერ უნდა შეძლოს? ვისზე ნაკლებია? კუსა ახლობელია, მაგრამ არც ახლობელს ესაიძოვნება, ცხვირწინ რომ დაუწყო შენი აქოთებული ფეხები. ფარნაოზი ცდილობს, ათასნაირად იკრუნჩხება, მაგრამ ფე-ხები მაინც ამოშვერილი აქვს ღრმულიდან, თითქოს განგებ, გამომწვევად, ყველამ რომ დაინახოს. ღრმული აშკარად მოკლეა, მისი დაგრძელება კი ასე უცებ წარმოუდგენე-ლია, შეუძლებელია, ფიქრიც სისულელეა, განა ქვა ასე ადვილად ემორჩილება ადამი-ანს? ეს მაინც იცის, ამის მეტი რა უკეთებია? გამოქვაბულში ბნელა, რადგან კუსა ზურგით აჰფარებია ხვრელს, საიდანაც ისედაც ძლივსძლივობით აღწევდა მკრთალი სინათლის ნატამალი. "ეწყინა, კიდეც ვაწყენინეო" - ფიქრობს ფარნაოზი, მაგრამ თით-ქმის მაშინვე ისევ ჩნდება დამახინჯებულ წრეში მომწყვდეული ბუსუსიანი სივრცის ნაგლეჯი და კუსას ხმაც ესმის. "წვალობ?" - ეკითხება კუსა და როგორც იცის ხოლ-მე, უსიამოდ ქირქილებს იმ კაცივით, ვიღაცას რჩევა რომ მისცა, მაგრამ იმ ვიღაცამ არ დაუჯერა და ისიც ქირქილებს, მხოლოდ იმიტომ, ასე უცებ რომ დადასტურდა მისი სიძარტლე. "ახლა რაღას იტყვი, ვინ ყოფილა მართალი? ხე, ხე..." - ქირქილებს კუსა და ფარნაოზს სისხლი ეყინება. კუსა მართალია. გესმით თუ არა, რას ნიშნავს ეს? ფარნაოზი ხვნეშის, იოფლება, დამაბულობისაგან ლამის კუნთები

დააწყდეს, მაგრამ მაინც ვერ ჩაუტევია ფეხები ღრმულში. მის ფეხებთან ჩაკუნცხული კუსა ყურადღებით, საქმის მცოდნე კაცივით ათვალთვლებს, როგორც საზრიანი და გამოცდილი გლეხი დაავადმყოფებულ ხეხილს. არა, ის ასე იოლად არ მოეშვება ამ ხეხილს, რომელ-საც, იმის ნაცვლად, კვირტი გამოეღო, უცებ კენწერო გაუყვითლდა, კანი გაუშრა და საკმარისია ხელი ოდნავ შეახო, მტვრად ჩამოვიდეს ძირს. ხეს მკურნალობა სჭირდება, ვინ მისცემს ნებას, ასე უბრალოდ ადგეს და გამოეცალოს თავის თანამომძმეებს, კვირ-ტებით რომ დახუნძლულან და კვლავაც მზად არიან, გამოიღონ ნაყოფი, პირნათლად მოიხადონ თავიანთი ვალი ბუნებისა და კაცის წინაშე. ეეე, შვილოსა, რაც ამ კაცს ოფლი ჩაუტევია ერთი ქეციანი ხის გასახარებლად; ყველა რომ ასე გაბერწდეს და გადაგვარდეს, სად წავა?! ღმერთებსა და ბუნებას ასე დაუდგენია: ხე იმიტომ არის ხე, ნაყოფი გამოიღოს, მეორე ხეს ჰგავდეს და, აქაო და მე სხვებზე კარგი ვარო, უშნოდ არ გაიფარჩხოს. მეტი სიმაღლე არც ხეს დააყრის ხეირს; მაშინ მან სხვისი წილი წყალიც უნდა შეიწოვოს. კი მაგრამ რატომ? სხვამ რა დააშავა? სხვა თავჩაღუნული დგას და შრომობს, დიახ, შრომობს, ნაყოფით იხუნძლება, როცა ის მეორე, სიმაღლი-საგან გამოლენჩებული, ცას მისჩერებია და მოვალეობა აღარც კი ახსოვს.

- ზედმეტი არაფერი არ ვარგა, - ამბობს ფარნაოზის ფეხებთან ჩაცუცქული კუსა - ამ ღრმულში რომ ვერ ეტევი, იმიტომ წვალობ. შენ უფრო გრძელი ხარ, გრძეელი. ხე, ხე... ამიტომაც საჭიროა...

- არ! - ყვირის ფარნაოზი, რადგან უკვე თვითონაც კარგად იცის, რაა საჭირო ამ ღრმულში რომ ჩაეტეოს, მოისვენოს, დამთავრდეს.

- არა-მარა... - იცინის კუსა, როგორც კეთილი ბაბუა შვილიშვილის სისულელეზე. - შენ მართლა რა ჯიუტი ყოფილხარ, ვაიმე, ვაიმე!

ფარნაოზს ესმის, როგორ ეცემა ქვის იატაკზე ხელსაწყოებით სავსე ტომარა, და უკანასკნელი იმედიც ეწურება. თავიდან ვერ შეამჩნია ტომარა და გაუკვირდა კიდეც, როგორ მოხდა, უტომროდ რომ გამოსულაო, მაგრამ ესეც თავს დააბრალოს, ასე გუ-ლუბრყვილოდ რომ ფიქრობდა. განა კუსა იმის კაცია, ხელსაწყო დაავიწყდეს, ერთსა და იმავე საქმეზე ორჯერ გაისარჯოს? ძალიან შემცდარა, ასე თუ იფიქრა. კუსამ თა-ვისი საქმე იცის და კარგადაც იცის. აი, მასაც რომ ასევე სცოდნოდა თავისი საქმე, მაშინ შეიძლება რაღაცა გამოსულიყო, რაღაცა მაინც. ახლა კი ტყუილია ყველაფერი, კუსამ აჯობა და რახან აჯობა, ისაა მართალიც. გათავდა, სხვა ყველაფერი სისულე-ლეა. სი-სუ-ლე-ლე-ა, დამარცვლა ფარნაოზმა. კუსაცა და მისი ხელობაც ძველთაძვე-ლია. გუშინდელი ბიჭი თვითონაა, თვითონ და მისი დამთხვეული მეგობარი. მართლაც, კაციშვილს არ მოსვლია თავში ამგვარი სისულელე. ვერ მოგართვი, დედალუს, გაფრენა რომ ასე ადვილი იყოს, მიწაზე ვიღას გააჩერებდი, შენ გეკითხები? კაცი იმისთვისაა, ქვა რომ კოდოს, სახლი ააშენოს, გზა გაიყვანოს. ასე ყოფილა და ასე იქ-ნება. ყოველთვის ასე იქნება ნეტავ? ყოველთვის? ახლა უკვე ხმამაღლა კითხულობს ფარნაოზი და კუსაც მაშინვე პასუხობს.

- მართლა და მართლა, რა გახდა, შე დალოცვილო? მითქვამს და გიმეორებ: ყო-ველთვის! - ამბობს კუსა და თავმოხსნილ ტომარაში იქექება, თითქოს ცოცხალი გვე-ლის ამოყვანას აპირებდეს. ტომრიდან რკინის უსიამო ჟღრიალი ისმის, გამოქვაბულის ოდნავ გაცრეცილ წყვდიადში ხერხის პირი ელავს, თითქოს წყვდიადმა გაიცინა და კბილები დაკრიჭაო.

- ადამიანი უნდა ჩაეტიოს მისთვის განკუთვნილ ორმოში, თუ უნდა, რომ მშვიდად იცხოვროს. არც არავის არა აქვს ნება, გამოდგეს და ემახოს, ორმოში ცხოვრობო. ვისი რა საქმეა, თუკი იგი თავს მშვენივრად გრძნობს ამ ორმოში და ღამით, ძილის წინ, ღმერთებს ეჩურჩულება, სულ ასე მამყოფეთ, არაფერი შეიცვალოსო. თუკი უნდა, რომ... თუმცა, თვითონაც ხომ გრძნობ, რა მოუხერხებელია ასე წოლა?

კუსას ამ ბოლო სიტყვებს ხერხის ღრჭიალი მოსდევს და ფარნაოზს ტკივილისაგან, არა, შიშისაგან გონება ეკარგება, მაგრამ თითქმის მაშინვე ფხიზლდება და უკვირს, ყველაფერი ასე უცებ რომ დამთავრებულა. კუსაც უკვე წასულა, თვითონ კი... ფარნა-ოზს მღელვარებისაგან სუნთქვა უგუბდება, მღელვარებისა და სირცხვილისაგან. რამ-დენად მართალი და კეთილი ყოფილა კუსა. რას არ ფიქრობდა, რაღას არ სწამებდა, როგორ ეჯავრებოდა, ღამის... არა, მადლობელი ვარ, ღმერთებო, ასე რომ არ მოხდა, საკმარისია, რა სისამაგლეც ჩაიდინა, შვილის სისხლიც ეყოფა სატანჯველად, ინოს გაუბედურებაც ეყოფა თავში საცემად, თინას წყევლაც მოუღებს ბოლოს. განა მისი უგნურობის მსხვერპლი არ გახდა სამივე? ან ერთს რას ერჩოდა, ან მეორეს, ან მესამეს? აი, სად ყოფილა ბოროტების სათავე ჩამალული, სად ყოფილა ჩამარხული ძაღლის თავი, ცუგას თავი. ის კი, მთელი სიცოცხლე თვალთმაქცობდა და ცუდი ქურდი-ვით სხვებს ადებდა ხელს, სხვებს უქექავდა უბეებს, როცა გველი თვითონ ჰყავდა და-მალული. მადლობელი ვარ შენი, კუსა, მადლობელი! და თუ ესეც შეგიძლია, მომიტე-ვე უმეცრება. რამდენად უკეთესია ასე.

ფარნაოზი მართლაც თავისუფლად წევს ღრმულში, როგორც აბაზანაში, სასიამოვნოდ თბილი წყლით სავსე აბაზანაში, და განგებ, სიამოვნების გასახანგრძლივებლად, უძალიანდება თვლემას. ეშმაკი ხარ, ფარნაოზ, ეშმაკი, შენც გყვარებია კარგი ცხოვრება. რატომაც არა, რატომაც არა - განგებ ხმამაღლა და ხაზგასმულად იმეორებს ფარ-ნაოზი და გრძნობს, როგორ ეფაკლება სახე სირცხვილისაგან და სიამოვნებისაგან ერ-თდროულად, თითქოს ქალიშვილი იყოს და პირველად ეკოცნოს მამაკაცისათვის, ურომლისოდაც ცხოვრება აღარ შეუძლია.

დაბნეულ ფეტვის მარცვალსაა

რა მოჰკრეფს წიწილის მეტიი

მღერის ფარნაოზი და გაშლილ ხელისგულებს წყლის ზედაპირზე ატყაპუნებს, ნი-კაპამდე რომ მოსდგომია უკვე, თუმცა, თვითონაც კარგად იცის, წყალი კი არა, მისი საკუთარი სისხლია, გადაჭრილი ფეხებიდან მზუილით მოედინება, მოთქრიალებს, რო-გორც ბერძნის წყაროს მკლავის სისხლ ღარიდან - წყალი.

პატარა უხეიროს დაღუპვამ სასახლეც საგონებელში ჩააგდო: ერთ ქათამს მაინც მოესწრო ღობეზე გადაფრენა! მართალია, ეს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა, მაგრამ მისი სისხლით ჩამოწითლებული ღობე სხვა ქათმებსაც აფრთხოვდა, აკაკანებდა და აქოთქოთებდა.

ქათმის კაკანი და ქოთქოთი არც საშიში იყო და არც ძნელი ჩასაწყნარებელი, მკვდარ მელიას გადაუკიდებდა ლობეზე და ამით გათავდებოდა ყველაფერი; მაგრამ მართლა ქათმები იყვნენ ისინი, ვისაც სასახლე ქათმებად თვლიდა? როდის იყო, ქათა-მი რომ თავს იკლავდა? არა, ამ სიკვდილს სხვა სახელი ერქვა და ამის არშემჩნევა ოყაჯადოსაც არ შეეძლო. ხოლო ცუცამ ისე საცოდავად ამოიკნავლა, ახლა გვმართებს ვაჟკაცობაო, დიდი მიხვედრილობა არ უნდოდა, ცუდ საქმეში გახვეულიყვნენ დედა-შვილი. ოყაჯადოს რატომღაც ვანში შემოსვლის დღე გაახსენდა, უფრო სწორედ, ისე ცხადად დაუდგა თვალწინ იმ კაცის გადაფითრებული სახე, ყელში შუბგარჩილმა თა-ვისი სახლის ბანიდან რომ ჩამოსძახა, გაუმარჯოს აიეტსო, საკუთარმა მახსოვრობამ შეაძრწუნა, იმანაც შეაძრწუნა, მაინცდამაინც დღეს რომ გაახსენდა ის კაცი, ერთადერთი კაცი მთელ ქალაქში, რომელმაც დაუფიქრებლად, უყოყმანოდ, უშიშრად და ყველას დასანახად სიკვდილი არჩია მისი მეფობის აღიარებას. დღესაც იგივე განმეო-რებულიყო ზუსტად. მართალია, ის კაცი მისმა ჯარისკაცებმა ლუკმა-ლუკმა აჩეხეს, მაგრამ ეტყობა, ბოლომდე ვერ მოეკლათ მაინც, რაღაც გადარჩენილიყო, რაღაც კი არა, სისხლი გადარჩენილიყო, ამდენ ხანს მიწაში გაეძლო, მიწის ქვეშ ეხეტიალა, რა-თა დღეს ხელახლა ამოეხეთქა და ხელახლა გადაეწითლებინა მისი სამეფოს ფილაქა-ნი.

"ჩამოვარდნილიყო, ან ჩემს ჯარისკაცებს მაინც შემოკვდომოდათ. გადმოხტომა რა უბედურებააო" - შფოთავდა ოყაჯადო და გრძნობდა, როგორ ეშინოდა იმ მკვდარი ბავ-შვის, როგორ ეზიზღებოდა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, რა დიდი სიამოვნებით გა-აცოცხლებდა, რათა ხელახლა მოეკლა საკუთარი ხელით.

ვინ იცის, როდემდე იშფოთებდა ოყაჯადო, როდემდე იტრიალებდა ერთ ადგილას მისი გაოჩნებული გონება, ისევ ცუცას რომ არ წაეკრა ხელი.

- ბავშვს რა ჭკუა მოეკითხება, პატრონია მოსაკლავიო - თქვა ცუცამ და გამომცდე-ლად მიაჩერდა შვილს.

"დიდი, დიდიდი ქალია დედაჩემიო" - გაიფიქრა ოყაჯადომ და დინჯად, აუჩქარებ-ლად მიჰყვა დედისაგან მინიშნებულ გზას. ის ახლა არა მარტო ტახტის ყველაზე სა-ხიფათო მტრის დასამარცხებლად მიდიოდა, არამედ თავის გამოსაჩენადაც ყველაზე დიდი მეფის წინაშე. დღევანდელი დღე დიადი იყო ოყაჯადოს ცხოვრებაში, დღეს უნ-და დაემტკიცებინა, ღირსი რომ იყო იმ სამეფო გვირგვინის ტარებისა, რომელიც თვი-თონ მინოსმა დაადგა თავზე, ოდესღაც, საყმაწვილო მუწუკებით შუბლგადაჭმულ ბიჭს. იმ ბიჭს ჭაღარა მორეოდა უკვე, ნახევარი თმა გასცვენოდა, მაგრამ დროს უფრო მეტი მიეცა მისთვის, ვიდრე წაერთმია. დროს მისთვის ყველაფრის დამარცხების, ყველაფ-რის დათრგუნვის უნარი მიეცა და მარადიულობის მოსასხამით დაეჯილდოვებინა ჯი-უტობისათვის, ამტანობისათვის, გულგრილობისათვის, შეურყევლობისათვის, სიბრმავე-სათვის და სიყრუვისათვის. დრო კმაყოფილი იყო, რადგან ოყაჯადოს ერთხელაც არ დაურღვევია მისი მშვიდი მდინარება. არც დღეს დაარღვევდა, რადგან სწორედ დღევან-დელი დღის გაბიაზურებისათვის იღვწოდა და მეცადინეობდა, ხელით დაატარებდა ქვა-სავით დამძიმებულ დედას და ერთსა და იმავეს სამ-სამჯერ იმეორებდა. ოყაჯადო წი-ნასწარ ზეიმობდა გამარჯვებას და თვალწინ მინოსი ედგა, მარადიული მეფე, მეფეთა მეფე, მეფეთა მშობელი და გამმრავლებელი, მაგრამ შიშისაგან ფერი კი არ მისდიოდა,

მუხლი კი არ ეკვეთებოდა, თანატოლივით თამამად შესცქეროდა სახეში და ქარაგმულად, როგორც ნამდვილ მეფეებს შეჰფერით, უყვებოდა თავის გეგმებს, დღევანდელი ბრძოლის მოსაგებად რომ შეედგინა უკვე. "კაცო, ჩვენ ჩვენთვის ვისხედით, პურსა ვჭამდით, არხეინად. ერთიც ვნახოთ, მაგიდის ქვეშ ბავშვი არ შემძვრალა". "ბავშვი თუ ძაღლი?" - ჰკითხა მინოსმა. ოყაჯადომ გაიცინა. "მოიცა, ნუ მახნევ. ძაღლებიც იყვნენ, მაგრამ ერთი ბავშვიც გამორეოდათ. ვისი ოხერია, ახლაც არ ვიცი. ხოოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მაგიდა დამპალი ყოფილა: შემთხვევით წამოედო ის ბავშვი, თუ განგებ გამოაცალა ფეხი, ამოდენა მაგიდა, თავის პურმარილიანად თავზე დაიმხო. წამოვცვივ-დით ყველანი, ჩაგვმწარდა ქეიფი. ჯერ არ ვიცით ბავშვის ამბავი, კალთებს ვიფერ-თხავთ და ვართ ერთ ამბავში, ვიღაცამ რომ იყვინა, ეს ბავშვი აქ საიდან გაჩნდაო; გავიხედეთ და რას ვხედავთ, წიწილასავით გდია, მკვდარი. მკვდარი ბავშვი შემოგვაპა-რეს სუფრაზეო, იხუვლა ხალხმა და კარ-ფანჯარა მხრებით გაიტანა. დავრჩით მარტო მე და მკვდარი ბავშვი, სად წავიდე, მეფეც ვარ და მასპინძელიც. თავადაც მოგეხსენე-ბა, მეფე სხვის სახლშიც მასპინძელია. ვდგავარ და ვფიქრობ. სტუმრები კი გაიქცნენ, მაგრამ მაინც ჩემკენა აქვთ გულისყური, ვნახოთ ერთი, რას იზამსო. პატარა საქმეა, საქეიფოდ მოვიდნენ და ამხელა ცოდვა დატრიალდა ოჯახში. შენ თუ არ დაადე ხელი, ვინ დაიბრალეხს? არადა, ვიღაცა ხომ უნდა იყოს დამნაშავე? ყველა უდანაშაულო ხომ არ იქნება? სტუმრები რას გამიბედავენ, მაგრამ მაინც მესმის მათი ფაჩუნი, ეგაა მას-პინძელი და დამნაშავეც მაგან უნდა იპოვოსო. ახლა, არ გაინტერესებს, როგორ ვიპო-ვე? დედას გეფიცები, ცუცას თუ ეთქვას რამე. რად უნდა ამას ცუცა? დავიწყეთ სტუმრებით. კი, იქ იყვნენ, მაგრამ მუხლებით ხომ ვერ დაინახავდნენ, რა ხდებოდა მაგიდის ქვეშ? შენი არ იყოს და მათაც ძაღლი ეგონათ ალბათ. სად ეცალათ ძაღლი-სათვის, ახალი დამსხდრები ვიყავით, ვინ ღვინოს ისხამდა, ვინ ხორცს ჭრიდა, ვინ პურს იწოდებდა და ვინ მარილს. მართალი ხარ, მაგათშიც შეიძლება ვინმეს გამორჩე-ვა, მაგრამ უკეთესი დამნაშავე რომ არსებობს? ახლავე, ახლავე მოგახსენებ ყველა-ფერს. მგონი გამიგრძელდა სიტყვა, მაგრამ ახლა მოკლედ ვიტყვი. ვინ მოკლა ბავშვი? ვინ მოკლა და მაგიდამ. მაგრამ მაგიდა არ არის დამნაშავე. ხომ გაგიგონია, აკიდებულ აქლემს საცერი დაადეს და ჩაიჩოქაო, ასე იყო იმის საქმეც. დამპალი იყო თუ რაც იყო, კი იდგა მშვენივრად და პურმარილსაც უძლებდა, ბავშვი რომ არ წაპოტინებოდა. ბავშვს რა იმდენი ძალა უნდა ჰქონოდა, მაგრამ სწორედ ის პატარა ძალა იყო ზედმე-ტი. ასე რომ, ერთი შეხედვით, თვითონ ბავშვი გამოდის დამნაშავე. მაგრამ შენ წარმო-იდგინე, არც ბავშვია დამნაშავე. ბავშვს რა ჭკუა მოეკითხება, პატრონია მოსაკლავი, იმ ბავშვის პატრონი. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, არ უნდა მიხედოს თავის შვილს? აბა, მშობელი რისაა?!" - დაამთავრა ოყაჯადომ და სიამაყისგან გაბერილ გულზე ხელი ჩამოისვა. მერე ჩვეულებისამებრ შეიჭმუხნა შუბლი და იყვინა: ბავშვი ვისიაო.

კუსას ნერწყვის გადაყლაპვა გაუჭირდა. ერთი წამით გადაწყვიტა ხმას აღარ ამოვი-ღებ, გინდაც აქვე მომკლანო, მაგრამ მაშინვე შეუწყრა თავს, აბა, რიდასთვის გამორ-ბოდი, სიკვდილი თუ გინდოდა, თვითონაც მოგნახავდნენო.

პატარა უხეიროს დაღუპვის ამბავმა კუსა ფეხზე წამოაგდო, თითქოს უდაბნოში გზააბნეულმა და უაზრო ხეტიალისგან სასომიხდილმა მგზავრმა უცებ მამლის ყვილი გაიგონაო. მიხვდა, რომ გადარჩა, ამჯერადაც დააღწია თავი განსაცდელს, რადგან ამ-ჯერადაც უდანაშაულო იყო, და მართლაც, რაღა მაინცდამაინც ზიარას უნდა გადაჰყ-როდა, რაღა მაინცდამაინც მის ცოლებს

უნდა გასჩენოდათ მკვდარი ბავშვები, თუ ეს უსამართლო ქვეყანა მაინცდამაინც კუსას არ ჩასდგომოდა კრიჭაში? პატარა უხეიროს სიკვდილმა ცოტა დაამშვიდა: ეს გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე მკვდარი ბავშვის დაბადება, რომელსაც, ადვილი შესაძლებელია, ღმერთები გასაპამპულეზებლად უგზავნიდნენ შვილსდანატრებულ მამას. რა იყო გასაკვირი, რას არ იგონებდნენ ღმერთები, ერთი გულიანად რომ გადაეხარხარათ. ქალები რომ გამოყარა შინიდან, იმის მერე სულ ამაზე ფიქრობდა კუსა, გულადმა იწვა ტახტზე, ცოდვის ტახტზე, ჭერს შესცქეროდა და მწარედ ელიმებოდა ღმერთების ხუმრობაზე. გავიგე, ყველაფერი გავიგეო, ხმა-მაღლა ამოიძახებდა ხოლმე და ახლა სკდებოდა გულზე, ამდენი დრო და ძალა ტყუილ-ლუბრალოდ რომ შეეღია იმ საფრთხობელა ზიარასთვის. ზიარას გახსენებაზე ტანი ექავებოდა და ხელახლა ადუღებდა წყალს, ერთხელ კიდევ რომ ებანავა იქვე, შუა ქოხში, მაგრამ მდულარეს არ შეემლო შიშნაჭამი სხეულის დამშვიდება. იწვა და ფიქრობდა. საფიქრელი კი ბევრი ჰქონდა. საკმარისია, ვინმეს ჩაეწვეთებინა ოყაჯადოსათ-ვის, კაცი, შენ რომ პურს აჭმევ, იმის ნაცვლად ხმალიც შენი იქნოს, მკვდარ ბავშვებს აჩენსო, და გათავდებოდა ყველაფერი, ვეღარც ცა უშველიდა და ვეღარც მიწა. არადა, იმდენი მტერი ჰყავდა, არც უნდა გაჰკვირვებოდა, ასე თუ მოხდებოდა. როცა ქა-ლაქი ფრთიანი ბავშვებით გაივსო, უარესად დაფრთხა. უარესად იწამა აღსასრულის მოახლოება. დარწმუნებული იყო, განგებ ტრიალებდნენ ბავშვები მისი ქოხის გარშემო, განგებ გაჰყვიროდნენ ასე, რათა სხვებისთვისაც დაენახებინათ, სად იმალებოდა მთავარი დამნაშავე. მისმა დამთხვეულმა დედა-ბებიამაც ისეთი წიოკობა ასტეხეს, ქვეყანა შეუყარეს, ვითომ ძალიან დასწყდათ გული. გული დასწყდათ კი არა, სიხარულ-ლით ცას ეწიენ, ახლა რაღას გვისაყვედურებ, მკვდარ ბავშვს ნაბიჭვარი არ სჯობიაო? იწვა კუსა და გულს ასკდებოდა. იწვა და ცხოველური, შეურიგებელი სიძულვილით უსმენდა შოლტების წივილს, როგორც ჩირგვებში შიშისაგან მუხლმოკვეთილი მელია - მოახლოებულ მწვერვების ყეფას. თუმცა მელას რა უჭირდა, ოთხი ფეხი ჰქონდა, სირბილიც ეხერხებოდა; კუსა კი, ყინვადაკრულ ჭრიჭინასავით შეეყუჟულიყო ფიქრის დაბზარულ კედელში და განუწყვეტლივ ელანდებოდა ვიღაცის ცერა თითი, მის გა-საწყლეთად რომ მოიწევდა, მოიწევდა და თანდათან იზრდებოდა. კუსას სჯეროდა, დამ-ნაშავე რომ იყო, უფრო სწორად, სასახლეში ნათრევს, არც გაუკვირდებოდა, ვიღაც ოხრის ჩიტობანაც მისთვის დაებრალეზინათ, შენმა მკვდარმა შვილებმა დაგვიფეთა ხალხიო. შოლტები კი წიოდნენ, ყველა კუთხე-კუნჭულს ქექავდნენ, ყველა ხვრელში მიძვრებოდნენ და კუსას შიშისაგან ხორციც ტკიოდა, ეწვოდა, ეგლიჯებოდა. შოლტე-ბის წივილი, მართალია, უფრო მალე ჩაწყნარდა, ვიდრე კუსა ელოდებოდა, მაგრამ დუმილი უფრო ძნელი ასატანი გახდა, ხიფათის სუნით გაიჟღინთა, რადგან გამოცდი-ლებით იცოდა, ეს დუმილი დასასრულს კი არ ნიშნავდა, არამედ ახლა უნდა დაწყებულიყო მთავარი: დამნაშავის გამონახვა. დამნაშავეს კი, ვერც შორს წასვლა მოესწრო და ვერც გადამალვა. ის თავის ქოხში იწვა, ხოლო მის ქოხს ყველა მიგანიშნებდათ, ვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, რადგან კუსას, ჭრელი ძალივით, ყველა იცნობდა, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე. სანამ აურზაური იდგა ქალაქში, კიდევ იყო გა-დარჩენის იმედი, იმედის ნატამალი მაინც, კიდევ შეიძლებოდა დავიწყნოდათ იგი, მაგ-რამ ახლა, ამ მეფურ სიჩუმეში, ყველაფერი მალა ამოდიოდა, რაც კი აურზაურს ჩაე-ძირა და მიექმალა. განა წყნარი ზღვა არ გამორიყავს ხოლმე ღელვაში დამხრჩვალს? მოკლედ, ერთი შეხედვით, ყველა გზა მოექრათ და, უნდოდა თუ არა, კუსაც უნდა შეჰ-გუებოდა ბედს, მაგრამ პატარა უხეიროს სიკვდილმა ისევ გაუჩინა იმედი. ახლა საქმე დასწრებაზე იყო, ახლა ერთის ნაცვლად ორი დამნაშავე არსებობდა და თუ სასახლეც

კუსას თვალთ შებედავდა ორივეს, არც არჩევანი გაუჭირდებოდა. მისი უდღეური შვილი, ერთი წამით რომ გაიფრთხილა, მართლაც რა მოსატანი იყო ფარნაოზის შვილთან. კი, მაგრამ რატომ? რატომ და იმიტომ. თქვენ ის მითხარით, განსხვავებას თუ ამჩნევთ ამ ორ ბავშვს შორის? განსხვავება დიდია, არ შეიძლება, არ შეამჩნიოთ. ერთი მკვდარი დაიბადა. მეორემ კი გაფრენა მომინდომა, ცოცხალი იყო და თავი მოიკლა, რადგან იმ მეორის მამიკო თვითონაც აფრენს ცოტას, ცოტას კი არა, კარგა გვა-რიანად. იმდენი ქნა, იქამდე არ მოისვენა, სანამ შვილიც არ გაასულელა. მე მკითხეთ იმის ამბავი, მაგის მეტი რა ვიცი. ვის ჰყავს დასალუპი შვილი? ან ბავშვს რა ჰკუა მოეკითხება, ბავშვი სულელია და მშობელმა უნდა აგოს პასუხი, მშობელმა უნდა ზღოს კოკურა, თუ მისმა ცერცეტმა შვილმა ჩამთელა. რაც შეეხება ჩემს შვილს, ჯერ ისიც საკითხავია, მართლა ჩემი იყო თუ არა. მე რატომ უნდა მიჩნდებოდეს მკვდარი ბავშვი, ვითომ, რა მეტყობა სამაგისო? მე რა ვიცი, მე რას მეკითხებით, ზიარას ჰკითხეთ. ქალი ოხერია, ქალისგან ყველაფერს უნდა ელოდოს კაცი.

ამგვარმა ფიქრებმა უარესად გაამხნევეს კუსა. ახლა მთავარია, სხვასაც ასე ეფიქრა და მისკენ გამომშვერილი ხელი დროულად შეეტრიალებინა ჰაერში.

- ბავშვი ბიძაჩემისაა. ერთი ნათრევი კაცია, არც ოჯახში ივარგა და არც გარეთ! - თქვა კუსამ.

რადგან თქვა, ბოლომდეც უნდა ჩაჰყოლოდა, დაზოგვას აზრი აღარ ჰქონდა, მაინც ველარაფერს უშველიდა ფარნაოზს, უნდა ელაპარაკნა, სანამ გააჩუმებდნენ, სანამ მო-ბეზრდებოდათ მისი მოსმენა და დაუყვირებდნენ: გაეთრიე, მოგვშორდი, გავიგეთ ყვე-ლაფერიო.

- მამამისი სახელგანთქმული მეომარი იყო, ჯერ მამათქვენის, მერე კი თქვენი მონა და მორჩილი, - ჰყვებოდა კუსა, - უხეირო ერქვა, მაგრამ ერთ ლაშქრად ღირდა. შვილს მაინც ვერ მოუარა, ან როგორ უნდა მოევლო, თვითონ იყო საპატრონო, შინ ნახევარი-და მოიტანეს, ეტლს გადაევლო ფეხებზე. შვილმა ქვისმთლელობა ისწავლა და ამით იქცევდა თავს, მთელი დღე ქვას უკაკუნებდა. ბიძაზე ძვირი არ უნდა თქვას კაცმა, მაგრამ ვერ იყო მთლად დალაგებული, საწყალი დედაჩემი და ბიცოლაჩემი თავზე ევ-ლებოდნენ, ნამუსს უნახავდნენ, არ გამოჰქონდათ გარეთ მისი ამბავი, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი... (კუსამ უცებ იგრძნო, ფარნაოზზე ისე ლაპარაკობდა, როგორც მკვდარზე, მაგრამ ამან კი არ შეაწუხა, უფრო წახალისა, დაარწმუნა, სწორედ იქეო-და, მკვდარს რაღა ეშველებოდა, ცოცხალს უნდოდა გადარჩენა, ცოცხალი კი თვითონ იყო). - მე მგონი, ვიღაცამ ვირის ტვინი აჭამა, - გააგრძელა კუსამ, - იმის მერე სულ ცისკენ ეჭირა თვალი. სახედარივით იდგა და ცას უყურებდა. ხან მე, ხან დედაჩემი, ხან ჩვენი თინიკო, შევუძახებდით ხოლმე და როდის-როდის ისიც ფხიზლდებოდა. ხე, ხე, ფხიზლდებოდა კი არა, ტოროლა, გაგვეცლებოდა ხოლმე, უფრო მყუდრო ადგილი რომ მოენახა. რაღა ბევრი გავაგრძელო, იქამდე არ მოისვენა, სანამ შვილიც არ დაღუ-პა. საყვარელი ბავშვი იყო, ფუნჩულა, მაგრამ მამასავით ოხერი და ბრაზიანი. თვითონ სადღაც, ჯამბაზებისგან ესწავლა ფრენა და აჩემებული ჰქონდა, გინდა თუ არა, ჩემს შვილსაც უნდა ვასწავლოო. ჯერ შვილს ვასწავლი და მერე სხვებსაცო. არ მჯეროდა მისი ლაყობისა, ჩემი იმედი ნუ გაქვს-მეთქი, ენა დაიმოკლე, თორემ მე თვითონ მო-ვახსენებ მეფეს ყველაფერს-მეთქი, მაგრამ საქმეში ხარ?! ერთხელ ჯოხიც მოვუქნიე, კოჭი მინდოდა მომემტვრია, მაგრამ აფრინდა და აიცდინა...

ცუცამ რაღაც უჩურჩულა ოყაჯადოს, ოყაჯადომ ხელი ასწია, კუსა გააჩუმა და ჰკითხა, შენ ერთხელაც ხომ იყავი აქაო.

- რა ხანია თქვენს სამსახურში ვდგავარ, - გაიღიმა კუსამ, ვითომ როგორ დაგავიწყ-დითო. გულში კი ერთი სიკვდილი გაათავა, რომ მკითხოს, რას ვაკეთებ, რა ვუპასუ-ხოო, მაგრამ მალევე დამშვიდდა, რადგან ელვასავით გადარბენილმა შიშმა გონება გა-უნათა და უცებ მთელი არსებით, ყველა ძარღვით, ყველა ძვლითა და ტვინის ყველა ხვეულით ერთბაშად იგრძნო, ამ ერთი დღისთვის უხდიდნენ აქამდე ფულს, თითქოს წინასწარ იცოდნენ, აუცილებლად დადგებოდა ეს დღე და კუსასაც საშუალება მიეცე-მოდა სამაგიერო სამსახური გაეწია თავისი პატრონისათვის, წლების განმავლობაში დაუფიქრებლად რომ უყრიდა ქისაში ფულს, ყოველთვის ბევრი რომ ეჩვენებოდა კუ-სას, რადგან უზრუნველად, ხელის გაუნძრევლად მოსდიოდა. ახლა კი ეცოტავა. მისგან გაწეული სამსახური გაცილებით მეტი ღირდა, მან სხვა დამნაშავე აპოვნინა ოყაჯა-დოს, უბრალო კი არა, ქურდბაცაცა კი არა, ქვეყნისათვის საშიში კაცი. თანაც ის კა-ცი მისი ბიძა იყო, დედის ძმა და არც ეს უნდა გამორჩენოდათ ანგარიშში. დამნაშავეს მოსპობასთან ერთად დანაშაულიც ისპობოდა, ეს კი დიდი საქმე იყო, რადგან ამგვარი დანაშაულის არსებობა ტახტსაც აყენებდა ჩრდილს და ტახტზე მჯდომარესაც. "აი თურმე რისთვის ვჭირდებოდიო - გაბრაზდა კუსა - შე კაი კაცო, თუ ასეთი საჭირო ვიყავი, ასე იაფად რატომ შემაფასეო, მცოდნოდა მაინც, ჩემი საქონლისათვის მე თვი-თონ რომ დამედო ფასიო". კუსა ახლა უფრო თამამად და უტიფრად მიაჩერდა ოყაჯა-დოს, მაგრამ ოყაჯადო კუსას ვედარ ხედავდა, მისი მეფური გონების თვალი ჩირაღდა-ნივით დაეძებდა იმ პატარა გამოქვაბულს, რომელშიაც მისი ტახტის მტერი შეეყუჟ-ლიყო.

კუსა აქეთ რომ მოდიოდა, მარტო თავის გადარჩენაზე ფიქრობდა, მაგრამ საქმე ისე შემობრუნდა, იქნებ რამეს გამორჩენოდა კიდეც. ფარნაოზს მართლა აღარაფერი ეშვე-ლებოდა, ახლა გინდაც გადაეთქვა, ვილა დაუჯერებდა. არა, ფარნაოზი მკვდარი იყო და დამარხვალა აკლდა, თუკი, რაღა თქმა უნდა, მიწას მაინც აღირსებდნენ. ის კი ამქ-ვეყნად რჩებოდა და ფარნაოზსაც კარგად მოეხსენებოდა, რამდენი რამე სჭირდებოდა კაცს ამ ვერაგ ქვეყანაზე. "დავიჯერო, არაფერს მომცემენო" - გაიფიქრა კუსამ და მხარზე გადაკიდებული ტომარა განგებ შეისწორა, რათა ტომრის ჟღერიალს ოყაჯადო გამოეფხიზლებინა და ისევ შეემჩნია იგი. "რა ვქნა, ბიძაჩემო, ესაა ჩემი სამსახურიო" - ერთხელ კიდეც მოუბოდიშა გუნებაში ფარნაოზს, და სამივეს: ტახტსაც, ტახტზე მჯდარ ოყაჯადოსაც და ოყაჯადოს მკლავზე დასკუპებულ ცუცასაც ერთად გაუღიმა.

- გაუშვი ეგ კაცი, ტყუილად რაღას აცდენ! - უთხრა ცუცამ ოყაჯადოს.

ოყაჯადომ გაკვირვებულმა შეხედა კუსას, თითქოს პირველად ხედავდა, თითქოს ტომარაგადაკიდებული, წვრილკისერა და ქოჩორგადაგლესილი კაცი ეს წუთია ამომძვ-რალიყო მიწიდან. "რაღა უნდა, აკი ყველაფერი ვთქვითო" - მიუბრუნდა ოყაჯადო დე-დას. ცუცამ კუსას შეხედა, გაუღიმა და უთხრა, ბეჭედს გაჩუქებდი, მაგრამ ქმრის სახ-სოვარია და მენანებოა.

ფარნაოზს არაფერი გაუგია, როგორ გამოიყვანეს მღვიმიდან, როგორ გამოატარეს მთელი ქალაქი, რათა ყველას მისცემოდა საშუალება ტახტის მტრის დანახვისა, ნაცა-რი რომ მიეყარა მისთვის, მიეფურთხებინა, ანდა დაეწყევლა მაინც. მაგრამ სასახლი-სათვის მოულოდნელად,



პირმოკუმული ხალხი შიშითა და თანაგრძნობით აყლებდა თვალს ტანჯულ ადამიანს, რომელსაც ოყაჯადოს ჯარისკაცები ფიჩხის გუდურასავით მიათრევდნენ ქუჩაში. ფარნაოზს არც ქალების ზუზუნნი ესმოდა და არც კაცების გა-დაფითრებულ სახეებს ხედავდა, დაუძღვრებულ გონებას ბავშვობაში გადაეყვანა და ისევ ის დღე ეგონა, როცა ერთი კვირის "ნაავაზაკარი", მოღუშული მიაბიჯებდა ახარ-ხარებულ თანამოქალაქეთა შორის და მხოლოდ იმას ცდილობდა, არ წაებორძიკა, არ წაქცეულიყო, არ გაბრაზებულყო, ბოლომდე ჩაეთავებინა ქუჩა, რათა ყველას შეძლე-ბოდა, დამტკბარიყო მისი ცქერით, დამარცხებულის ცქერით. ისე, კაცმა რომ თქვას, დიდად არც განსხვავდებოდა ეს დღე იმ დღისგან, უბრალოდ, ერთი დამარცხების და-საწყისი იყო, მეორე კი - დასასრული. ამ ორ დღეს შუა მოქცეული დრო, ფუჭი იყო, ფუყე კაკალი, რომელიც ხეზე კი ეკიდა, დანარჩენი კაკლების მსგავსად, მაგრამ მათ-გან განსხვავებით, ნაჭუჭში სიცარიელე მოემწყვდია მხოლოდ.

კომკის კედელზე რკინის ორი რგოლი მიეჭედებინათ, რგოლებში მაჯის სისხო თო-კები გამოეტარებინათ და მათი მოდუნებული ბოლოები ყალყზე შემდგარი გველები-ვით ირხეოდნენ ფარნაოზის თავზე. ფარნაოზი კომკის ძირას იწვა და ცალ მუხლზე ჩაჩოქილი ჯარისკაცი თულუხიდან წყალს ასხამდა სახეზე. მოედანზე ტევა აღარ იყო. ფუტკრის სკებივით ზმუოდნენ პირმოკუმული ქალები. უმწეო თანაგრძნობას კაცები-სათვის ყბა ჩამოეგრძელებინა. გაჩახჩახებული მზე ფასკუნჯივით ფოფინობდა აპრია-ლებულ სახურავებზე და მისი მხურვალე ამონასუნთქი უარესად არეტიანებდა ხალხს. სინათლისგან აჭრელებული თვალებით ყველანი მზეს მისჩერებოდნენ, მზის იმედი ჰქონდათ, თითქოს მზე მართლა ფასკუნჯივით დააცხრებოდა კომკის ძირას გამოტილ ადამიანს და სამშვიდობოს გაიტაცებდა. უცებ ვილაცამ იყვირა: შეხედეთ, შეხედეთო, და ხალხის გატრუნულ ზღვიდან ჯერ ფარნაოზის ჩაქინდრული თავი ამოტივტივდა, მერე ფრთებივით გაშლილი, ილღიებში თოკებამოტარებული მკლავები და ბოლოს მთელი ტანი: თავიდან ფეხებამდე, ჩვარივით მჩატე და უსიცოცხლო. ჯარისკაცები, რომლებიც ფარნაოზის ილღიებში ამოტარებული თოკის ბოლოებს ექაჩებოდნენ, არ ჩანდნენ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ფარნაოზი თავისით მიიწევდა მალლა. კედლის ხორკლიან ზედაპირზე გადატყაული ზურგი სველსა და მოშავო კვალს სტოვებდა. ფარნაოზს არც ახლა გაუგია რამე, მან მიწაზევე დაკარგა გონება, და, ჩამოხლეჩილი ტოტივით უგრძნობელი, მშვიდად ირწეოდა ჰაერში.

მთელი ღამე ენთოთ ცეცხლი ჯარისკაცებს და მორიგეობით წათვლემდნენ ხოლმე, თითქოს ვინმე მოვიდოდა ამ გაფშეკილი ტოტის მოსაპარავად. ისინი ორნი იყვნენ, ერ-თი - დაბალი და მსუქანი, მეორე კი - მაღალი და გამხდარი; ერთი ბოროტი იყო, მეო-რე - კეთილი. ერთს მართლა ეძინა, როცა მისი ჯერი დადგებოდა, მეორე კი - თავს იმძინარებდა, რადგან ეჩვენებოდა, თითქოს კედელზე გაკრული კაცი ეძახდა: წყალი დამალევენე, ადამიანი არა ხარო. "არაფერი გესმისო?" - ეკითხებოდა მეორეს, მაგრამ მეორეს მხოლოდ ცეცხლის ვნებიანი კრუსუნი და ბაყაყების ყიყინი ესმოდა. დილით ორივენი მოშხამულები იყვნენ. ერთს გადატანილი შიში და სინდისის ქენჯნა აწუხებ-და, მეორეს - დაქუცმაცებული ძილი და გაკაპასებულ ცეცხლთან ყურყუტი. ერთმა გა-იზმორა და მალლა აიხედა, აიხედა და გაშემდა, ხელებგაშლილი და უკან გადაზნექი-ლი, თითქოს უეცრად წელკავი შეაფრინდაო. "მომკვდარა, გესმის, კაცო, მომკვდარაო!" - დაუძახა

მეორეს. მეორე ჩანავლულ ცეცხლს მისდგომოდა და შარდით აქრობდა. ნალ-ვერდალზე გადაკრული, სქელი, დაპობილი ფერფლი შიშინებდა და თეთრ ბოლს უშ-ვებდა. "რა მოკლავდა, ვერა ხედავ, თვალებს როგორ აზრიალებსო", - გამოსძახა პირ-ველს. "თვალებს ვინ დაუხუჭავდაო?" - შეეპასუხა პირველი. "არა, მეტიქი!" - გაჯიუტდა ცეცხლთან მდგარი და ისე შეიკუნტრუშა, თითქოს ზურგზე მოკიდებული ტვირთი შე-ისწორაო. მერე დაიხარა, ქვა აიღო და თქვა: აბა, თუ არ გჯერა, მიყურეო. ქვა ფარნა-ოზის ახლოს მოხვდა კედელს და გვერდზე გასხლტა, პირველმა უნებურად თვალეზი დახუჭა. "ჰე, ჰე, ჰეეო", - შესძახა ქვისროლიამ და კედელზე გაკრულმა კაცმა მის ყვი-რილსაც რომ არ მიაქცია ყურადღება, თვითონაც დაეჭვდა, მგონი მართლა მომკვდა-რაო, და ისევ ქვას დაუწყო ძებნა. "მოიცა, მოიცა, ახლა ჩემი ჯერიო", - აყვირდა პირ-ველი, გულში კი ფიქრობდა, ასე ჯობია, მე გამეტებით მაინც არ ვესვრიო. ახლა ორი-ვენი მონაცვლეობით ისროდნენ. ვერც ერთი ვერ ახვედრებდა მიზანს, რადგან ერთი ჩქარობდა, არ მაჯობოს ამ კრუხის პალომო, მეორე კი, ყველა გასროლაზე გულს ასკ-დებოდა, ეს რა ვქენი, თავიდან რატომ ავიღე ქვაო. ბოლოს ქვამ მიზანს მიაღწია, რომ-ლისა იყო, თვითონაც ვერ გაარკვიეს, ნასროლი კი მაგარი ჩანდა, რადგან ჰაერში გა-მოკიდებული კაცი მთელი ტანით შეთრთოლდა და თავი მეორე მხარეს გადაუვარდა.

ტკივილმა ფარნაოზს გონება დაუბრუნა, ცხენივით ფეხზე დამძინებიაო, გაიფიქრა და კედელს მოშორდა. ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, წყვილი კვიპაროსი და-ინახა, მერე მომლოდინე ქალივით ღობეზე მკლავებგადმოწყობილ ლედვსაც შეასწრო თვალი და გული აუთრთოლდა, მამისეულ სახლთან მისულიყო. "რა ახლოს ყოფილა აქედან ჩემი სახლიო", - გაუკვირდა ფარნაოზს და უნებურად უკან მოიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა, ტრიალი, გადაძოვილი მინდვრის მეტი, არადა, ცხადად გრძნობდა, ვიღაცა უთვალთვალებდა. მინდორს თვალი ვეღარ მოაშორა და იქამდე უყურა, სანამ გაქუცულ ბორცვებს შორის თიხის უზარმაზარი გომბემო არ შეამჩნია. გომბემო შუა მინდორში დასკუპებულყო და ფარნაოზს უყურებდა. "მდიოს რამდენიც უნდაო" - გაი-ფიქრა ფარნაოზმა და ჭიმკარი შეაღო. ეზოს მოკირწყლულ ბილიკზე დედალუსის კუ-ტი შვილი, იკაროსი იჯდა, ხელში ვაშლი ეჭირა და ფილაქანზე შეჟავდა. ღობის ძირ-ში ქათმები კაკანებდნენ. ბავშვიცა და მთელი ეზოც ჩრდილის ბადეში გახვეულიყო. იკაროსმა, ფარნაოზი რომ დაინახა, ვაშლი გადააგდო და ხელები გაუწოდა. ვაშლს ბავშვის ნაკბილარები წარწერასავით დამჩნეოდა. ფარნაოზი დაიხარა, მაგრამ სანამ იკაროსს აიყვანდა, ერთხელ კიდევ მოათვალიერა ეზო, თითქოს ბავშვის მოსაპარად მოსულიყო. გახარებულმა ბავშვმა ჩიტივით შეიფრთხილა ფარნაოზის ხელებში და ფარნაოზს გული გაუთბა, იგრძნო სიკეთეს სჩადიოდა და არაფერი ჰქონდა საფრთხი-ლო. არავინ დაუშლიდა ბავშვის წაყვანას. ის კი არა, ალბათ, ელოდებოდნენ კიდევ, იცოდნენ, უნდა მოსულიყო და ამიტომაც დაესვათ ბავშვი ეზოში. "გავიაროთო?" - ჰკითხა ფარნაოზმა, მაგრამ ისე გაუჭირდა ამ ერთი სიტყვის თქმა, თითქოს პირველად ეუბნებოდა ქალს: მიყვარხარო. გამოვიდნენ თუ არა ეზოდან, გულზე შემოეყარათ, ჭაო-ბი ჭიმკრამდე მოსულიყო. "ჩემი ბრალია, დავაგვიანეო" - გაიფიქრა ფარნაოზმა, ხმა-მაღლა კი თქვა: აი, ხომ ხედავ, არაფერია გულის დასაწყვეტი შენი ეზოს გადაღმაო. მაგრამ იკაროსმა თითქოს ვერც გაიგო ფარნაოზის ნათქვამი და ტანი ისე გაიქნია, როგორც მხედარმა გაოჩნებულ ცხენზე. ფარნაოზმაც ხათრი ვეღარ გაუტეხა და პირვე-

ლი ნაბიჯი ფრთხილად გადადგა, უფრო მკვირივი, საიმედო ადგილი რომ მოეძებნა ფეხის მოსამაგრებლად. ჭაობმა მაშინვე უკან დაიხია, თითქოს წყვილია ჩირაღდანი მია-ნათესო. ბავშვმა ისევ შეიფრთხილა და ფარნაოზიც თამამად მიჰყვა უკანდახეულ ჭა-ობს. ნაჭაობარზე ხის კენწეროებმა ამოჰყვეს თავი, მალე მთელი ტანით ამოიზარდნენ მიწიდან და მათ თვალწინ ვაშლის უსასრულო ბაღი გადაიშალა. "აგე, დარიაჩანგის ბაღო", - დაიყვირა ფარნაოზმა და გაცეცხული ადგილზე გაშეშდა. დარიაჩანგის ბაღი მზეზე ხასხასებდა, დამატრობელ სურნელს აფრქვევდა, ალაგ ყვავდა, ალაგ მწიფდა და ალაგ უკვე ნაყოფი ჩამოსდიოდა. ფუტკრების ჯოგი ოქროს მტვერივით ედგა თავზე, შორს, თვალის საწიერამდე, გაჰქონდა ნიავს მისი ყვავილი. ბაღიდან თეთრი თიკანი გამოვიდა, ერთ ადგილას გაქვავებული კაცი და ბავშვი რომ დაინახა, დაიკვირა, სიხა-რულისაგან შეიკუნტრუშა და ისევ ბაღში შეტრიალდა, თითქოს ეუბნებოდათ, მანდ რას უდგებართ, აქ მოდით, აქ ჯობიაო. მერე ბაღს გადადგა ზღვამ ამოიფშვინა, მძლავ-რი სუნთქვით კენწეროები გადაზნიქა და ფარნაოზს თავბრუ დაახვია უსასრულო სი-ლურჯემ. იკაროსიც აეფორიაქებინა ამ ზღაპრულ სანახაობას, ვეღარ ისვენებდა, ცქმუ-ტავდა, წინ იწევდა, თითქოს უფარნაოზოდაც წავიდოდა, გაფრინდებოდა, ვაშლის ყვა-ვილით გაჰყვებოდა ნიავს. მაგრამ ფარნაოზიც უფრო ღონივრად უჭერდა ხელებს, თითქოს ეშინოდა, მართლა არ გაფრენოდა ბავშვი, მართლა არ აჰყოლოდა ცდუნებას. "მტკივა, გამიშვიო", - ვეღარ მოითმინა იკაროსმა. - არა, არსადაც არ გაგიშვებ! - უცებ აღელდა ფარნაოზი.

მერე ბავშვს ყურის ბიბილოზე აკოცა და ჩასჩურჩულა: აი, ასეთი იქნება ქვეყანაო.

- ასეთი ხომ არის?! - გაუკვირდა იკაროსს.

- ხო, არის და იქნება კიდევ! - უთხრა ფარნაოზმა.